უილიამ
მანჩესტერი

პრეზიდენტ კენედის მკვლელობა

მერანი თბილისი 1974

И (Амер)
9 (73)
В 285

უილიამ მანჩესტერის წიგნში აღწერილია ის რთული და დაძაბული ვითარება, რაც პრეზიდენტ ჯონ კენედის მკვლელობის წინ სუფევდა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მწერალი დამაჯერებლად აღწერს მკვლელობის მიზეზებს, ასაბუთებს მათი წარმოშობის გარდუვალობას.

ფაქტების კვალში ჩამდგარი მანჩესტერი ვერ გაექცა სინამდვილეს, იმის აღიარებას, რომ პრეზიდენტის მკვლელობა ბუნებრივად მოჰყვა კაპიტალისტური სამყაროს იმ მანკიერებას, რასაც პროგრესულისადმი სიძულვილი ჰქვია.

წიგნში საინტერესოდ არის დახატული წინააღმდეგობებით სავსე ეს სამყარო.

თარგმანი ეთერ კეშაღმაძისა

პირველი გამოცემა

70304—32
В ——————— 79-74
М 604(08)74

© გამომცემლობა „მერანი", 1974

პროლოგი

ტეხასში მამგზავრების წინაღლე

ჯონ კენედის და ლინდონ ჯონსონს, მათი ბუნებისა და ცხოვრების ყაიდის ესოდენ დიდი სხვაობის მიუხედავად, ერთი ყოვლისშთამნთქმელი სწრაფვა აერთიანებდათ — სწრაფვა პოლიტიკური ბრძოლებისადმი. სწორედ შიდაპოლიტიკურმა ბრძოლამ აიძულა პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი, 1963 წლის გვიან შემოდგომაზე, ვაშინგტონიდან ათასი მილით დაშორებულ შუაგულ ტეხასს სწვეოდნენ. შტატის შინაომები ფლეთდა და ანადგურებდა დემოკრატიულ პარტიას. გამგზავრება აუცილებელი შეიქნა. ტეხასის გუბერნატორი ჯონ კონელი და ამავე შტატის სენატორი რალფ იარბორო ერთმანეთთან დანასისხლად იყვნენ. 1960 წლის არჩევნების დროს კენედიმ და ჯონსონმა ტეხასში მეტად მცირე უმეტესობა — 46233 ხმა მიიღეს. აშკარა იყო, თუ ამ შტატის გუბერნატორი და სენატორი უახლოეს დროში არ შეთანხმდებოდნენ, დემოკრატიულ პარტიას პრეზიდენტის მომავალ, 1964, წლის არჩევნებში გამარჯვების არავითარი იმედი არ უნდა ჰქონოდა. სწორედ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გაემგზავრნენ ტეხასს კენედი და ჯონსონი. მათი მოგზაურობა ხალხის ფართო მასების ყურადღებას მიიპყრობდა. ვითომდა შერიგებული კონელი და იარბორო პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს ტეხასის ხუთივე მსხვილ ქალაქში გაჰყვებოდნენ. მგზავრობის კულმინაცია პრეზიდენტის მოგზაურობის დასასრული — ჯონსონის რანჩოში მისელა იქნებოდა, სადაც მასპინძელი საპატიო სტუმარს თავის საგვარეულო სამზარეულოს კერძებს მიართმევდა.

მართალია, კენედის უყვარდა წინასაარჩევნო ბრძოლებში მონაწილეობა, მაგრამ ახლა ამისათვის შესაფერი ამინდი არ იდგა. თავდაპირველად ჩარევასაც არა თელიდა საჭიროდ: ბოლოს და ბოლოს ტეხასი — ეს ერთვარსკვლავიანი დროშის შტატი ხომ ვიცე-პრეზიდენტის გავლენის სფერო იყო. 1960 წელს მან აქ ბრწყინვალედ ჩაატარა საარჩევნო კამპანია. მაგრამ როგორც პროფესიულ პოლიტიკოსს შეეფერებოდა, კენედიმ რეალურად შეაფასა შტატში შექმნილი კრიტიკული მდგომარეობა და ისევ გამგზავრება არჩია, თუმც ეს გადაწყვეტილება დიდი ხალისით არ მიუღია. მისი აზრით, იქ არსებული წვრილმანი უთანხმოება ჯონსონს თვითონ უნდა მოეგვარებინა. პრეზიდენტ კენედის ეს მოგზაურობა თავსმოხვეულად ეჩვენებოდა.

განა შეძლებ ძალაუფლების მთელი სიძლიერით აღჭურვილ პრეზიდენტს უთხრა, რომ მისმა ვიცე-პრეზიდენტმა ფაქტიურად დაკარგა ყოველგვარი გავლენა თავის შტატში? საეჭვოა. კიდეც რომ გეთქვა, ვერ მიგიხვდებოდა და ამასში მხოლოდ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების სურვილს დაინახავდა. ჯონსონი ჭაბუკობიდანვე ნაჩვევი იყო წინააღმდეგობათა დაძლევას, მაგრამ ახლა ჭეშმარიტად ძნელ პრობლემას შეეჯახა. კენედის მსგავსად, ჯონსონიც პოლიტიკურ არენაზე მეტად თავისებურად გამოვიდა. ამომრჩეველთა ხმებზე მონადირე ჯონსონი არ მალავდა, რომ იგი არ თანაუგრძნობდა იმათ, ვინც დოგმატურად უდგებოდა რთული პრობლემების გადაწყვეტას. ამ ზომიერებაში იყო ამომრჩეველთა შორის მისი წარმატების საიდუმლოება, რაც მას დემოკრატიული პარტიის აპარატში გავლენის დაკარგვად დაუჯდა. საშუალო გეზის აღებით მან პარტიის ვერც ლიბერალური ფრთის სიმპათია დაიმსახურა და ვერც კონსერვატიულის. აკი უცხო კაცადაც თვლიდნენ. მაგრამ ბედის ირონიის წყალობით ჯონსონის წინაშე იმ კვირას მდგარი დილემა წარმოიშვა როგორც შედეგი 1960 წლის არჩევნებისა, როცა რესპუბლიკელთა პარტიის კანდიდატები რიჩარდ ნიქსონი და ჰენრი კეაბოტ ლოჯი დამარცხდნენ და გაიმარჯვა დემოკრატიულმა პარტიამ. მასაჩუსეტსის შტატის სენატორად ახლად არჩეულმა ჯონ კენედიმ ბიჯი წინ წარდგა — იგი პრეზიდენტი გახდა. ნაბიჯი გადადგა სენატის უმრავლესობის ადრე ყველაზე გავლენიანმა ლიდერმა ლინდონ ჯონსონმაც — იგი ვიცე-პრეზიდენტად მოგვევლინა, მაგ-

რამ ეს არ იყო ამაღლება. მისი წილხვედომილი თანამდებობა როგორღაც გაურკვეველი გახლდათ. ას სამოცდათოთხმეტი წლის მანძილზე, ანუ ამერიკის შეერთებული შტატების პირველი პრეზიდენტის არჩევის დღიდან, ამერიკელი ხალხი სრულ გულგრილობას იჩენდა იმათ მიმართ, ვინც საყოველთაოდ ემსახურებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურს. მაგალითად, მილიონიდან ერთმა კაცმა თუ იცოდა, რომ 1845-1849 წლებში შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტად იყო კაცი, გვარად დალასი. ყველა იმ აზრს იზიარებდა, რომ პრეზიდენტის ქვემოთ არჩევითი პოსტის მქონე პიროვნებები მხოლოდ გარეგნულად იყენენ პატივდებულნი. დიახ, თვითონ ვიცე-პრეზიდენტებმა იცოდნენ სინამდვილეში, რა ცოტას ნიშნავდა ეს თანამდებობა. ერთი ენამოსწრებული კაცი წერდა: „ვიცეპრეზიდენტობა დანაშაული არ არის, მაგრამ თავისებური მანკია, ანონიმური წერილების შეთხზვის მსგავსი“.

სიტყვა „ანონიმური“, სამწუხაროდ, საკმაოდ ახლოს იდგა ჭეშმარიტებასთან. ჯონსონი მიხვდა, რომ იგი როლის გარეშე დარჩენილი დუბლიორი იყო. პოლიტიკურად თითქმის ნულთან გათანაბრებულს არავითარი საძირკველი არ გააჩნდა, რაზედაც დაყრდნობას შეიძლებდა. ზოგიერთი კონგრესმენი მეტი გავლენითაც კი სარგებლობდა. საარჩევნო ოლქებს დაყრდნობილ ადამიანებს, ყოველთვის მოენახებათ ცოტა რამ თავიანთი მომხრეთათვის, მაგრამ სიკეთე, რისი გაცემაც ვიცე-პრეზიდენტს სხვათათვის შეეძლო — თვით პრეზიდენტისგან ბოძებული უნდა ყოფილიყო. წინათ ძალითა და ენერგიით სავსე ჯონსონი ახლა უსიცოცხლო და უხალისო გახდა. შეერთებულ შტატებში მაღალი სახელმწიფოებრივი პოსტის მქონე პირთა ძლიერების წყარო თანამდებობების ჯილდოდ დარიგების უფლება გახლავთ. მაგალითად, იმისათვის, რომ ჯონსონს თავისი ერთ-ერთი ყველაზე ერთგული მომხრის, კერძოდ, ტეხასელი სარა ჰიუზისათვის ფედერალური მოსამართლის თანამდებობა მოეპოვებინა, საკმაოდ ბევრი და დიდი წინააღმდეგობის გადალახვა მოუხდა, როგორც თვით მთავრობაში, ისე მის გარეთ. საქმე ის გახლდათ, რომ ამ ქალის ასაკი მოსამართლის თანამდებობაზე დასანიშნად დადგენილ ზღვარს გადაცილებული აღმოჩნდა. სწორედ ამ მიზეზის გამო ამერიკის სასამართლო კოლეგიამ უარყო მისი კანდიდატურა. ვიცე-პრეზიდენტმა პრეტენზია განაცხადა იმ ადგილე-

ბის განაწილების უფლებაზე, რაც რალფ იარბოროს, როგორც სენატორს ეკუთვნოდა. ამ მოთხოვნას ჯონსონი იმით ასაბუთებდა, რომ ტეხასელი ამომრჩევლები ლინდონს კვლავ თვლიდნენ მათი შტატის უფროს სენატორად. კენედიმ ვიცე-პრეზიდენტის თხოვნა გაიზიარა: ჯონსონს უფლება მიეცა ტეხასის შტატის თანამდებობათა ნახევრის განაწილებისა. შეეძლებოდა დაენიშნა ტეხასის მოსამართლეები, საბაჟოს ჩინოვნიკები და საზღვაო დაცვის მოსამსახურენი, თუ რა თქმა უნდა, იარბოროს ამ კანდიდატურათა საწინააღმდეგო არაფერი ექნებოდა. ამ ამბავმა იარბოროს სასტიკი აღშფოთება გამოიწვია, მაშინ როცა ჯონსონის ყოფილ პროტეჟეს, — კონელის ყურიც არ გაუბერტყავს.

ასე რომ, ვიცე-პრეზიდენტის წინაშე მდგარ პრობლემებს თვითონ ვიცე-პრეზიდენტი არ ქმნიდა. ამასვე იტყოდა მისი ყველა ოცდათექვსმეტივე წინამორბედი. ყველა პრობლემა დაკავშირებული იყო იმ თანამდებობასთან, რაც მას ეპირა და რასაც ტეხასის შტატის ისტორია შობდა. კენედი უსაფუძვლოდ იმედოვნებდა, რომ ჯონსონი კვლავ შეინარჩუნებდა თავის ძლიერ გავლენას სენატზე. საქმე ეხებოდა არა უბრალო კონტაქტების შენარჩუნებას, არამედ უფრო დიდ ამბებს. მთავრობის მეთაურს სურდა ისეთი ვიცე-პრეზიდენტი ჰყოლოდა, რომელიც ისევე იმოქმედებდა. თითქოს იგი კვლავ სენატის უმრავლესობის ლიდერი ყოფილიყო. მაგრამ ეს ასე ვერ იქნებოდა. ძალაუფლების სათავეში კენედის მოსელის პირველ ხანებში ვაშინგტონის ჟურნალისტთა წრეები ვარაუდობდნენ ამ ჩანაფიქრის ვანხორციელება მოხერხდებაო, მაგრამ იგი ჩაიფუშა; თუმცა ბრალი არავის მიუძღოდა, როგორც ამაში მოგვიანებით თვით პრეზიდენტიც დარწმუნდა.

გაზეთების კორესპონდენტებმაც უხმოდ ჩაყლაპეს მითი ვიცე-პრეზიდენტის პოსტის მნიშვნელობის გადიდებაზე — წინა მთავრობიდან მემკვიდრეობით გადმოსული მითი, სადაც იგი ასეთივე ფიქცია იყო.

მანძილს თეთრი სახლის დასავლეთ ფრთაზე მდებარე პრეზიდენტის ელეგანტურ ოვალურ კაბინეტსა და პრეზიდენტის კანცელარიის შენობის № 274 ოთახში მოთავსებულ ვიცე-პრეზიდენტის კაბინეტს შორის რამდენიმე წუთში გაივლიდით. და მაინც, გულახდილად რომ ვთქვათ, მათ შორის გაუვალი უფსკრული არსებობდა.

ჟურნალისტები თვალყურს ადევნებდნენ პრეზიდენტის ოჯახის ყოველ წვრილმანს, მაშინ როცა ვიცე-პრეზიდენტის ოჯახი თითქმის არ აინტერესებდათ. დალასის გარეუბანში მცხოვრებ ახალგაზრდა რუს ემიგრანტ მარინა ოსვალდს არასოდეს გაეგონა ლინდონ ჯონსონის სახელი. ვაშინგტონში ჯონსონისადმი ინტერესი, როგორც გამოჩენილი პიროვნებისადმი, იმდენად მცირე გახლდათ, რომ მისი ბინის ტელეფონი ნაჩვენები იყო აბონენტთა ჩვეულებრივ ცნობარში.

ვიცე-პრეზიდენტის მეუღლე არასოდეს შესულა პრეზიდენტის ცნობილ თვითმფრინავ „ბოინგ 707"-ში, რომელსაც კუდზე ნომერი 26000 ეწერა. ფარულმა სამსახურმა ამ თვითმფრინავს საკოდო სახელწოდებად „ანგელოზი" უბოძა, ჩვეულებრივ კი „სსძ-1"-ს ეძახდნენ. ხოლო იმ თვითმფრინავს კი, ჯონსონი ოფიციალური მგზავრობისას რომ სარგებლობდა, ჟურნალისტებმა „სსძ-2" შეარქვეს, თუმცა სინამდვილეში ასეთი თვითმფრინავი არ არსებობდა. ვიცე-პრეზიდენტს არ ჰქონია მუდმივად საკუთარ განკარგულებაში მყოფი მთავრობის თვითმფრინავი. „ბოინგ № 26000" ესკადრილიის ფლაგმანი იყო და იგი მთავრობის მეთაურს ეკუთვნოდა. პრეზიდენტს თავის განკარგულებაში მნიშვნელოვანი მგზავრობებისათვის „ბოინგ-707"-ის ტიპის კიდევ სამი თვითმფრინავი ჰქონდა, ნომრებით 86970, 86971, 86972.

თუ ჯონსონს რაიმე ოფიციალური მიზნისათვის ერთ-ერთი ამ თვითმფრინავთაგანი სჭირდებოდა, ავიაციის ხაზით პრეზიდენტის ადიუტანტ, ბრიგადის გენერალ გოდფრი მაკჰიუსათვის უნდა მიემართა. იყო შემთხვევა, როცა ასეთ თხოვნაზე უარიც კი მიუღია.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჯონსონი ტყვე იყო თავისივე თანამდებობისა. ჯონ კენედის არასოდეს უმუშავია ამ არასახარბიელო თანამდებობაზე და წარმოდგენაც არა ჰქონდა მის უბადრუკობაზე. წვრილმან საქმეებში ჩაუხედავი ჯონ კენედი თანდათან მაინც მიხვდა ვიცე-პრეზიდენტის პოსტის „უმწეობას", როგორც ეს ერთხელ პირად საუბარში თვითონვე განაცხადა. პრეზიდენტი ყოველნაირად ცდილობდა ჯონსონისათვის პატივი ეცა. მისთვის სპეციალურ დავალებებსაც კი იგონებდა. კენედიმ სწორედ მისი ხათრით თეთრი სახლის წესდება ხელახლა გადაათვალიერა. ასე, მაგალითად, როცა პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი ოფიციალურ შეხვედრებს უნ-

და დასწრებოდნენ, არსებული წესის თანახმად, პრეზიდენტი რეზიდენციის დიდ კიბეს ნელი ნაბიჯით მარტო უნდა ჩამოჰყოლოდა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი შეუმჩნეველად ლიფტით დაშვებულიყო! კენედიმ ბრძანება გასცა, რათა ჯონსონი ყოველთვის თან ხლებოდა, მასთან ერთად გადაეღო სურათები და სტუმრებსაც ერთად შეხვედროდნენ. დიახ, ვიცე-პრეზიდენტს თავი ისე უნდა დაეჭირა, თითქოს იგი თეთრ სახლში ცხოვრობდა. რაც, რასაკვირველია, ასე არ იყო. ფაქტს ვერსად გაექცეოდი. ვიცე-პრეზიდენტი ორმოცდამეთერთმეტე ქუჩის № 4040 სახლის ბინადარი გახლდათ. უფსკრული კვლავ ამოუვსებელი რჩებოდა.

ამ გულისტკივილს ჯონსონი აშკარად არ გამოთქვამდა. როგორც თვითონ ამბობდა, მიეჩვია ჩრდილში ყოფნას. იგი აღტაცებული იყო პრეზიდენტით, ცდილობდა გაემართლებინა მისი ნდობა. კენედის თანაშემწეებთან შეუთანხმებლად ჯონსონს ერთი ნაბიჯიც კი არასოდეს გადაუდგამს, არ წარმოუთქვამს არც ერთი სიტყვა. უშიშროების ნაციონალური საბჭოს სხდომებზე ყოველთვის თავს იკავებდა პოლიტიკურ საკითხებზე საკუთარი აზრების გამოთქმისაგან, თუ მთავრობის მეთაური სპეციალურად არა სთხოვდა.

ყველაზე მეტად ჯონსონს საქმის სიმცირე აწუხებდა. სენატის თავმჯდომარეობის გარდა, იგი ოფიციალურად მიმდინარე საკითხებს განაგებდა. სამი წლის განმავლობაში ნაკლებად აქტიურმა მოღვაწეობამ თითქოსდა გამოფიტა მისი სასიცოცხლო ენერგია. ტეხასში გამგზავრების წინ მისი მთავარი საქმიანობა გამგზავრების მომზადება გახლდათ.

საკუთარ სახლში კონფლიქტის მოგვარების აუცილებლობა, გასაგებია, დიდ ენთუზიაზმს არა ჰგვრიდა. ამ მგზავრობით ჯონსონი არაფერს იგებდა, მაგრამ. შეეძლო კი დაეკარგა ბევრი, თუ ვინიცობაა იგი უხეირო გამოდგებოდა. დიახ, თუ პრეზიდენტი აღფრფრთოვანებას მოკლებული ტურისტის როლს ასრულებდა, არც მისი ვიცე-პრეზიდენტი იყო მისგან დიდად შორს.

ნოემბრის დასაწყისში ჯონსონი კალიფორნიის საავიაციო ქარხნის გახსნაზე უელშში (დასავლეთი ვირჯინია) სიტყვით გამოვიდა, შემდეგ თვითმფრინავით თავის რანჩოში ჩაფრინდა, სადაც ძირითადად პოლიტიკური სადილებისათვის ბილეთების გავრცელების საქმეს გადაჰყვა. 19 ნოემბერს დალასში გაფრინდა და გაზია-

ნი წყლების ამერიკელი ფაბრიკანტების კრებაზე სიტყვა წარმოთქვა. ხოტბა შეასხა უალკოჰოლო სასმელების სარგებლიანობას.

ვიცე-პრეზიდენტის გაელენის მეტად უმნიშვნელო როლზე იმითაც შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ ის მარშრუტი, რაც კენედისა და ჯონსონის ავტომანქანათა კორტეჟს 22 ნოემბერს დალასში უნდა გაევლო, საბოლოოდ ამ ქალაქის ერთ-ერთი კერძო კლუბის წევრთა კრებაზე 18 ნოემბრის სამშაბათ დღეს დალასში დამტკიცდა. კრების მონაწილეებმა, საიდუმლო სამსახურის აგენტებმა და ადგილობრივმა საქმოსნებმა არ ჩათვალეს საჭიროდ ამ საკითხის თაობაზე ვიცე-პრეზიდენტს მოთათბირებოდნენ. დალასის გაზეთმა „ტაიმს ჰერალდმა" ეს მარშრუტი სწორედ მაშინ აღწერა, როცა ჯონსონი იმავე ქალაქში გაზიანი წყლების ფაბრიკანტებს წინაშე სიტყვას ამბობდა.

დალასის აეროდრომ ლავ ფილდში ჩამოფრენიდან ორი საათის შემდეგ ჯონსონი სხვა თვითმფრინავში გადაჯდა და გეზი თავისი სახლისაკენ აიღო. იქ მართლაც ბევრი მოსამზადებელი საქმე ელოდა. პრეზიდენტს ჯონსონის რანჩოში პარასკევი საღამო და შაბათი დილა უნდა გაეტარებინა. ლინდონი ყოველთვის სტუმართმოყვარე მასპინძელი იყო და ახლა მით უმეტეს. თანაც ამ ბოლო დროს ვიცე-პრეზიდენტის მეგობრები, ცოტა არ იყოს, შეშფოთებას გამოთქვამდნენ იმ დაჟინებული ხმების გამო, თითქოსდა მის კანდიდატურას დასახელება არ ეწერა მომავალი წლის პრეზიდენტის არჩევნებში.

შინ ჩამოსული ჯონსონი შეხვედრის საბოლოო მზადყოფნის შემოწმებას შეუდგა. აკეთებდა ყველაფერს, რაც კი ვიცე-პრეზიდენტს შეეძლო. იგი კენედისა და მის თანმხლებთ სან-ანტონიოს საერთაშორისო აეროპორტში უნდა დახვედროდა. პრეზიდენტი თვითმფრინავ 26000-ით 1963 წლის 21 ნოემბრის 13 საათსა და 30 წუთზე დაეშვებოდა. რადგანაც ჯონსონი ამ მგზავრობის დროს პრეზიდენტს თან უნდა ხლებოდა, მის განკარგულებაში აღმოჩნდა მთავრობის სატრანსპორტო საშუალებანი. პრეზიდენტის სათადარიგო თვითმფრინავიც (№ 86970) მაშინვე უნდა დაშვებულიყო და მთელი მგზავრობის პერიოდში მომსახურებოდა. ამინდის პროგნოზი კარგი იყო და ცოლ-ქმარმა ჯონსონებმა სან-ანტონიომდე ორსაათიანი ფრენა პირადი თვითმფრინავით ირჩიეს. მათ „კუინერ

„იჩკრაფტის“ ტიპის საკუთარი თვითმფრინავი ჰყავდათ. ჯონსონს ურდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ადგილზე დროულად ეაფრინდებოდა. აბა თავს როგორ აპატიებდა არ შეხვედროდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს, როცა იგი სან-ანტონიოს აეროდრომზე თვითმფრინავის კიბიდან გადმოვიდოდა. ვიცეპრეზიდენტმა თავის პილოტს დაავალა გაცილებით ადრე ჩაეყვანა ის და მისი მეუღლე სან-ანტონიოში. მართალია, დრო დარჩებოდა, მაგრამ მას სწორედ ასეთი აჩქარება უყვარდა. რაც შეეხება უახლოეს მომავალს — აქ იოლ ვალდებულებათა შესრულება ელოდა: კვირას ოსტინში იხსნებოდა სინაგოგა, ორშაბათს ბ'ნაი ბრიტის[1] საპატივცემულოდ ნიუ-იორკში სიტყვა უნდა წარმოეთქვა. ორივე სიტყვის ტექსტი მზად ჰქონდა და გადაწყვიტა სხვა საქმისათვის მოეკიდა ხელი. ხუთშაბათს ლედი ბიორდთან[2] ერთად სან-ანტონიოს აეროდრომზე ისაუზმებდა და თმასაც დამშვიდებით შეიკრეჭდა.

•

პრეზიდენტი იძულებული შეიქნა დაეკარგა სამი უძვირფასესი დღე ტეხასის საშინაო პოლიტიკის ხვეულებში გასაძრომ-გამოსაძრომად. კენედისათვის ამ მგზავრობას მხოლოდ ერთი ნათელი მხარე ჰქონდა: მასთან ჟაკლინიც იქნებოდა. ეს გადაწყვეტილება მოულოდნელი იყო, ჟაკლინი სრულ იმ მეუღლეთა რიცხვს არ ეკუთვნოდა, არჩევნების წინა კამპანიებში რომ მონაწილეობენ ხოლმე.

— მართალი გითხრათ, საკუთარი თავი ვერ წარმომიდგენია პრეზიდენტის ცოლის როლში, მაგრამ ჯონზე კი ვფიქრობ, როგორც პრეზიდენტზე, — თქვა ერთხელ ჟაკლინმა.

ამომრჩეველთა ხმებზე ნადირობა მისი მეუღლის მოღვაწეობის სფერო გახლდათ, სახლი და ბავშვები კი — მისი ხვედრი.

პრეზიდენტის უახლოესი მრჩეველებიც იზიარებდნენ ამ აზრს, თუმცა სრულიად სხვა მიზეზებისა გამო. ირლანდიური წარმოშობის იანკები მთელ სახელმწიფოს მიიჩნევდნენ იმ სფეროდ, სადაც ის ადამიანები მოქმედებდნენ, რომელთაც თავიანთი ბედი დაუკავ-

---

[1] ბ'ნაი ბრიტი — ებრაელთა ბურჟუაზიული ორგანიზაცია.

[2] ლედი ბიორდი (ინგლ.) — ჩიტუნია — ვიცე-პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის მეუღლის მეტსახელი.

შირეს. ჟაკლინ კენედი მეტყველებდა დახვეწილი აქცენტით. გაჟე-მოცული იყო იმ ატმოსფეროთი. რასაც ისინი მაღალ საზოგადოებას ეძახდნენ. თუმცა ყველაფერი ეს არა ვგონებ დიდ დამსახურებად მოჩვენებოდათ გულცივ ბოსტონელ ამომრჩევლებს! ჯონ კენედიმ პირველმა მიანიშნა, რომ პრეზიდენტის პოსტზე მისმა მოსვლამ ყველაფერი ძირფესვიანად შეცვალა. ელეგანტურობა, შესაძლოა, მინუსად ექცეს რომელიმე მეორეხარისხოვანი პოლიტიკური მოღვაწის ცოლს, მაგრამ ქვეყნის პირველი ლედისათვის — ეს უდიდესი პლუსია. ამომრჩევლები, განსაკუთრებით კი ქალები, აღფრთოვანებულნი იყვნენ მთავრობის რეზიდენციაში სილამაზისა და დახვეწილი სტილის გამეფებით. პრეზიდენტისათვის ერთ-ერთი სავალდებულო ნიშანი — წარმოსადეგობა და მის გვერდში მდგარი დედოფლის გარეგნობის მქონე ქალი მისდამი საყოველთაო ინტერესს აღვივებდა. უფრო საინტერესო და პოლიტიკური თვალსაზრისითაც უფრო სასარგებლო იქნებოდა, თუ ჟაკლინს ტეხასელები პრეზიდენტის გვერდით იხილავდნენ.

1963 წლის 4 ოქტომბერს, როცა კონელიმ თხოვნით მიმართა ჟაკლინსაც მიეღო მონაწილეობა წინასაარჩევნო კამპანიაში, ამგვარი შესაძლებლობა მაშინ შორეულ ამბად მიიჩნიეს. 1963 წლის აგვისტოში ცოლ-ქმარ კენედებს საშინელი მეხი დაატყდათ თავს: მათ დაკარგეს ბავშვი, დაბადებიდან ორმოცი საათის შემდეგ. მხოლოდ პრეზიდენტის ახლობლებმა იცოდნენ, რა მწარედ განიცდიდნენ მშობლები ამ დანაკლისს. ჟაკლინი, რა თქმა უნდა, თავისი ოჯახის სიმყუდროვეში აპირებდა ამ დარდის გადატანას. მისი აზრით, ცხოვრების ჩვეულებრივი მდინარება გამოიყვანდა ამ მძიმე მდგომარეობიდან. ჯონ კენედიმ კი სხვა გეგმა წამოაყენა: ჟაკლინმა გულის დარდი სხვა ქვეყანაში უნდა გაიქარვოსო. ჟაკლინის აზრით, ეს წინადადება პოლიტიკური თვალსაზრისით დიდად გონივრული ვერ იყო. ერთი წლის შემდეგ არჩევნებია და ბერძენი მილიონერის იახტით საზღვაო მოგზაურობა ვერაფერი სახარბიელო საშუალება იქნება ამომრჩეველთა მისამხრობადო. მაგრამ ჯონის გადაწყვეტილება მტკიცე აღმოჩნდა და ჟაკლინიც გაემგზავრა. მათი დაშორება უცნაურ სულის მოთქმად იქცა ორ ტრაგედიას შორის და უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე თვითონ ვარაუდობდნენ. კავშირგაბმულობის სრულყოფილ საშუალებათა და ამქვეყნად ყველაზე

დიდი პრივილეგიების მიუხედავად ისინი ერთმანეთისაგან თითქმის ისევე შორს იყვნენ, როგორადაც, ალბათ, დედოფალ ვიქტორიას დროინდელი ცოლ-ქმარი იქნებოდა. ჟაკლინი მეუღლეს ათფურცლიან წერილებს სწერდა და, როგორც ყოველთვის, სასვენი ნიშნების ნაცვლად ყველგან ტირეებს სვამდა. ქალი წერდა, — როგორ ენატრებოდა, როგორ აკლდა მისი სიახლოვე, როგორ წუხს, რომ ჯონს არ შეუძლია ახლა მასთან ერთად იგრძნოს ხმელთაშუა ზღვის უდარდელი ატმოსფერო.

ჟაკლინის გასაოცრად, ჯონი მართალი გამოდგა: სწორედ ისე მოხდა, როგორც ის ვარაუდობდა. პირველი ლედი მოგზაურობამ ნამდვილად გაართო — პრეზიდენტსაც ხომ ეს უნდოდა. საბერძნეთსა და მაროკოში იმდენად სხვა გარემო იყო, რომ 17 ოქტომბერს ამერიკაში დაბრუნებული ჟაკლინი მოსალოდნელზე უკეთეს გუნებაზე აღმოჩნდა. ჟაკლინს მომავალ არჩევნებზე ზრუნვის სურვილიც კი გაუჩნდა.

— ჩვენ ერთად ჩავატარებთ საარჩევნო კამპანიას, მე წამოგყვები ყველგან, სადაც კი მოისურვებ, — უთხრა ჟაკლინმა ქმარს.

პრეზიდენტის შეკითხვის პასუხად, ეხება თუ არა ეს გადაწყვეტილება ტეხასში ჩემს მომავალ გამგზავრებასო — ქალმა თავისი წითელყდიანი უბის წიგნაკი გადაშალა და 21, 22, 23 ნოემბერს სიტყვა „ტეხასი" მიაწერა. ჟაკლინს ამ წიგნში, ჩვეულებრივ, მიღებების თარიღები შეჰქონდა ხოლმე.

მეორე დღეს ეს ამბავი პრეზიდენტმა თავის მთავარ პოლიტიკურ მრჩევლებს კენ ო'დონელსა და ლერი ო'ბრაიენს აცნობა. ამ საუბრის მომსწრე ჰიუსტონელი კონგრესმენი ალბერტ ტომასი შემდეგ იგონებდა, „მოულოდნელობისაგან ყველამ პირი დაღო".

ჟაკლინს ტეხასი ანუ ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი არასოდეს ენახა. თვით პირველ ლედად გახდომის შემდეგაც კი მიდლბურგის (ვირჯინიის შტატი) ახლოს ატოკის ქალაქგარეთა სახლის იქით ბიჯი არ გადაუდგამს. პრეზიდენტის თანაშემწის პიერ სელინჯერის მიერ 7 ნოემბერს ჟურნალისტებისათვის გადაცემულ ცნობას ჟაკლინის მომავალი მგზავრობის თაობაზე უდიდესი სენსაცია მოჰყვა. ტეხასში მყოფი ლედი ბიორდი თავის რანჩოდან სწერდა: „პრეზიდენტის შესახებ წერენ მეხუთე გვერდზე, ლინდონს — ბო-

ლო გვერდი დაუთმეს, თქვენ კი პირველი გვერდი". კენედების ოჯახის მეგობარმა და ჟურნალისტმა ჩარლი ბარტლეტმა ტელეფონით საუბრის ღროსაც კი უთხრა ჯონს — ერთმა სენტ-ლეისელმა ახალ ცნობათა მომწოდებელმა ჟაკლინზე თქვა: „ამ გოგონას თავი კარგად მუშაობს".

— ალბათ, ყველა ჩვენგანისაგან განსხვავებით, — ცივად მიუგო პრეზიდენტმა. მაგრამ ცოლს სხვა უთხრა:

— ყველაფერი კარგად გვარდება. შენ ჩემ გვერდით იშვიათად ჩანხარ ხოლმე, ჰოდა, აკი განსაკუთრებითაც გაფასებენ. — პრეზიდენტი აშკარად აღფრთოვანებული იყო

აკეთე აშკარა იყო მისი ნერვულობაც (რაც ქალს უცნაურად ეჩვენა). პრეზიდენტი შიშობდა, რომ ჟაკლინს სანანებლად გაუსდებოდა ეს მგზავრობა. სურდა, ჟაკლინი ნასიამოვნები დარჩენილიყო და სხვა დროს ასეთსავე მოგზაურობაში მონაწილეობის სურვილი არ დაეკარგა. ბავშვობიდანვე შეუპოვარი. ასპარეზული სულის პატრონი, ახლაც აღსავსე იყო წადილით, მისი ცოლი ტეხასში რაც შეიძლება ლამაზი გამოჩენილიყო. კენედის გადაწყვეტილება ურყევ ძალად იქცეოდა ხოლმე, რამაც იგი ამჯერად მამაკაცთათვის მიუღწეველ ეგზოტიკურ სფეროშიაც შეიყვანა: ერთად ცხოვრების მთელი დროის მანძილზე პირველად ჰკითხა მეუღლეს, რის ჩაცმას აპირებო. პრეზიდენტს განსაკუთრებით ჟაკლინის დალასური მორთულობა აინტერესებდა.

— იქ, საუზმეზე წაულას მოსასხამებითა და ბრილიანტის სამაჯურებით დამშვენებული მდიდარ რესპუბლიკელთა ცოლები იქნებიან. შენც ასევე ბრწყინვალედ უნდა გამოიყურებოდე. იყავი სადა, აჩვენე იმ ტეხასელებს, რას ნიშნავს ჭეშმარიტად კარგი გემოვნება.

მის გარეგნობაზე ასეთი ზრუნვა რომ შენიშნა, ჟაკლინმა ჰკითხა:

— თუ დალასში კარგად უნდა გამოვიყურებოდე და ამას ასეთი მნიშვნელობა აქვს, მაშინ რატომ უნდა ვიმგზავრო თავიდანვე ღია მანქანით ქარში?

დიახ, პრეზიდენტმა იცოდა რატომაც. ხალხთან ლაციცი ეს თიოქმის იგივეა, რაც თანამდებობათა გაცემა, პოლიტიკური გავლენის ერთ-ერთი წყაროთაგანი შეერთებულ შტატებში. სწორედ

ამის გამო იძულებული ხარ გაიარო ხალხის წინაშე და საკმაოდ ნელი სვლით. კორტეჟს ორმოცდახუთი წუთი უნდა ეცლო ქალაქ დალასის ქუჩებში.

ასე საუბრობდნენ პრეზიდენტი და მისი მეუღლე 1963 წლის 20 ნოემბერს, კენედის ვაშინგტონში ყოფნის უკანასკნელ ოთხშაბათ საღამოს. ორშაბათი პრეზიდენტმა ფლორიდაში ოფიციალურ სიტყვებსა და არაოფიციალურ წინასაარჩევნო საქმეებს მოანდომა (საქმე ეხებოდა ამომრჩეველთა იმ ათ სმას, რომელთა უგულვებელყოფა არ შეიძლებოდა). სამშაბათს, ადრე დილით, იგი უკვე თაეის კაბინეტში იჯდა. წიგნში, სადაც ჩანიშნული იყო, თუ ვის უნდა დალაპარაკებოდა პრეზიდენტი მომავალი ორმოცდარვა საათის განმავლობაში, ჩამოთვლილი იყო უამრავი სატელეფონო ნომერი კაბინეტის წევრებისა, მათი მოადგილეებისა, საკუთარი თანაშემწეებისა, უმაღლესი სასამართლოსა და კონგრესის წევრებისა. პრეზიდენტი შეიდჯერ ელაპარაკა რობერტ კენედის. როგორც შემდეგ ამას თვითონ რობერტი იხსენებდა, ძმას საუბრებისას, ისევე როგორც იმ ბოლო ათი დღის განმავლობაში, საკმაოდ სევდიანი ხმა ჰქონდა.

იმ სამშაბათ დილით იგი მართლაც უგუნებოდ იყო. ბავშვები ჟაკლინთან ერთად ატოკში აგარაკზე იყვნენ. რაც იმას ნიშნავდა, რომ საუზმის შემდეგ ფრანგული ენის გაკვეთილი გაუცდებოდა. ის კი, პრეზიდენტი რომ ფრანგულს სწავლობდა, ფრიად საიდუმლოდ ინახებოდა. თანდათან რთულდებოდა შარლ დე გოლთან ურთიერთობა. დე გოლის თავმოყვარეობაზე ეფექტის მოსახდენად პრეზიდენტმა მისი ენის შესწავლა გადაწყვიტა. სურდა საფუძვლიანად ესწავლა ფრანგული, რომ შემდეგ თვითონვე გაემართა ხოლმე მასთან მოლაპარაკებები. ასეთი რამ ნიშანდობლივი იყო კენედისათვის. ენთუზიაზმით მიღებული გადაწყვეტილება მაშინვე საქმედ იქცა. კენედის მასწავლებელი გახლდათ ჟაკლინ ჰირში. იგი მის ქალიშვილს — კეროლაინს ფრანგულს ასწავლიდა. სექტემბრიდან მოყოლებული პრეზიდენტს თეთრ სახლში ყოველ დილით უტარდებოდა ფრანგული ენის გაკვეთილი.

— როგორ ფიქრობთ, რამდენი ხანი დამჭირდება ენის შესასწავლად? — ჰკითხა მან მადამ პირშს.

— ერთი წელი, — უპასუხა ქალმა. კენედის არ შეეძლო არ მიეღო ასეთი გამოწვევა.

— სანაძლეოს ვდებ, რომ ექვს თვეში დავძლევ, — უთხრა მან მასწავლებელს.

პრეზიდენტს, მართლაც, ბრწყინვალე წარმატებები ჰქონდა. ერთხელ, საფრანგეთის კოლონიის წარმომადგენლებთან საუბრისას ცდუნებას ვერ გაუძლო და რამდენიმე ფრანგული ფრაზაც კი ია-ურთო. პრეზიდენტის განზრახვა, ესწავლა ფრანგული, არავინ იცოდა, მაგრამ ვაშინგტონში საფრანგეთის ელჩის გამჭრიახი ცოლის, ნიკოლ ალფანის ყურამდე მაინც მიაღწია რაღაც გაურკვეველმა ხმებმა. ქალმა, რა თქმა უნდა, ეს ცნობა ქმარს მყისვე მიაწოდა.

პრეზიდენტის კაბინეტში სენატორ დირკსენის თანხლებით ილინოისის შტატის მეფრინველეობის ნაციონალური საბჭოს წარმომადგენლები შეავიდნენ. დელეგაციას თან ინდაური მოეყვანა. მადლობის[1] დღის აღსანიშნავად პრეზიდენტს ყოველწლიურად ინდაურს მიართმევდნენ ხოლმე. ამ დელეგაციის გასტუმრების შემდეგ პრეზიდენტმა მიიღო აშშ-ის ელჩი განაში, განათლების შუშაკთა დელეგაცია ოთხმოცდაათი კაცის შემადგენლობით, სახელმწიფო მდივანი დინ რასკი, აშშ-ის ელჩი ინდონეზიაში და პრეზიდენტის თანაშემწე პრესის დარგში პიერ სელინჯერი (საუბარი ეხებოდა ერთ საიდუმლო საქმეს).

შუალამისას პიერ სელინჯერი დინ რასკთან და პრეზიდენტის სპეციალურ თანაშემწე მაკჯორჯი ბანდისთან ერთად ჰონოლულუში უნდა გაფრენილიყო ვიეტნამის[2] თაობაზე სამხედრო თათბირში მონაწილეობის მისაღებად. თვით დინ რასკი და კაბინეტის კიდევ

---

[1] მადლობის დღე — მასაჩუსეტსის პირველი კოლონიზატორების ხსოვნის აღსანიშნავად დაწესებული ოფიციალური დღესასწაული (ნოემბრის უკანასკნელი ხუთშაბათი).

[2] ხსენებულ პიროვნებათა გარდა ამ თათბირში მონაწილეობდნენ: აშშ-ის თავდაცვის მინისტრი მაკნამარა, ამერიკის ელჩი საიგონში ლოჯი, ამერიკული ჯარების სარდალი სამხრეთ ვიეტნამში პარკინსი და აშშ-ის შეიარაღებული ძალების სარდალი წყნარი ოკეანის რაიონში ადმირალი ფელტონი. თათბირზე განიხილეს სამხრეთ ვიეტნამში აგრესიის გაფართოებასა და პატრიოტული ძალების დათრგუნვასთან დაკავშირებული საკითხები.

ხუთი სხვა წევრი იაპონიაში[1] მიფრინავდნენ. ძნელად შესანიღბი გახლდათ პიერ სელინჯერის ყველა ამ მგზავრობათა დამალვა. პრესამ იცოდა, რომ იგი ტოკიოშიაც ჩავიდოდა. პრესის წარმომადგენლებს განეცხადეს (და მათაც დაიჯერეს), რომ საქმე მხოლოდ გასეირნებას ეხებოდა. თუმცა, რა თქმა უნდა, ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო. კენედის კარგად ახსოვდა მისი წინამორბედის ფიასკო იაპონიაში, როცა მემარცხენეთა დემონსტრაციებმა აიძულეს ეიზენჰაუერი უარი ეთქვა თავის ვიზიტზე ამ მხარეში. კენედის მიზნად ჰქონდა მომავალი წლის თებერვლისათვის ტოკიოში ოფიციალური ვიზიტით გამგზავრებულიყო და ამერიკის პრესტიჟი აღედგინა. პიერს ახლა სწორედ ამ მგზავრობისთვის უნდა მოემზადებინა ნიადაგი.

პრეზიდენტი თავის მაგიდას უჯდა და დოკუმენტებს აწერდა ხელს. სათვალე ეკეთა. უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში მხედველობა აშკარად გაუუარესდა (სიბერის დაწყების უცილობელი ნიშანი) და მარტო ყოფნისას ერთთავად სათვალეს იკეთებდა.

— მე დღეს მივფრინავ და მინდოდა გამოგმშვიდობებოდით, — უთხრა პიერ სელინჯერმა.

კენედიმ თავი ასწია და გაიღიმა. ტეხასში პრეზიდენტის თანაშემწე პრესის დარგში მაკ კილდაფი იქნებაო, — მოახსენა პიერმა. ჩვეულებრივ, პრესის განყოფილებაში მეორე თანაშემწე ენდი ჰედჩერი იყო, მაგრამ ჰედჩერი ზანგი გახლდათ და ვაშინგტონში დარჩა.

— ვინ მოემსახურება კანცლერ ერჰარდტს? — იკითხა კენედიმ.

დასავლეთგერმანელი კანცლერი ორშაბათს უნდა ჩამოსულიყო. სელინჯერი კი მხოლოდ მომავალ ოთხშაბათს დაბრუნდებოდა.

— ენდი იქნება აქ.

---

[1] ექვსი მინისტრის ვიზიტი — აშშ-ის კაბინეტის წევრები ტოკიოში უნდა ჩაფრენილიყვნენ იაპონიის პარლამენტის ქვემო პალატის არჩევნების წინა დღისათვის ვიზიტი მიზნად ისახავდა ი

— კეთილი, კეთილი. — პრეზიდენტმა მუშაობა შეწყვიტა, სათვალე მოიხსნა და სელინჯერს მიმართა: — როგორღაც არ მინდა ტეხასში წასვლა.

— მაგაზე ნუ სწუხხართ, — უპასუხა სელინჯერმა. — ეს იქნება ბრწყინვალე მოგზაურობა. თქვენ იქ უამრავ მომხრეს გაიჩენთ.

კენედის გაეღიმა:

— მალე დაბრუნდით.

თეთრი სახლის ვარდისფერ ბაღში ბინდი ჩამოწვა. მოსაღამოვდა, მაგრამ მნახველთა მიღება კვლავ გრძელდებოდა. პრეზიდენტი ინახულა პატივცემულმა როჯერ ჰილსმენმა, პატივცემულმა ჯეიმს ბელმა, ბ-მა რიჩარდ ჰელმსმა, ბ-მა ჰერშელ პიკმა. პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ჰოლბორნი კენედის ჯერ გერმანიის საკითხზე, შემდეგ კი ახალ „თავისუფლების მედალზე" ესაუბრა. სწორედ ამ დროს კაბინეტში ნაცნობი ხმები შემოიჭრა. დაბრუნდნენ ბავშვები (ჟაკლინი ჯერ ისევ ატოკში იყო). ცხვირგაკაწრული პატარა ჯონი ოთახში ატირებული შემოვარდა. ბიუს მისი დაიკო კეროლაინი ამშვიდებდა. ბავშვს ცხვირი მაშინვე შეუხვიეს და პრეზიდენტის მდივნის, ეველინ ლინკოლნის, კაბინეტში გაიყვანეს. იმდღევანდელი უკანასკნელი მნახველი ეკონომიური ექსპერტების საბჭოს თავმჯდომარე უოლტერ გელერი პრეზიდენტს უმუშევრობასთან დაკავშირებულ ამბებზე და სიღატაკესთან ბრძოლის ახალ, კენედისეულ პროგრამაზე ესაუბრა.

— მე კვლავ იმის მომხრე ვარ, — დაბეჯითებით განაცხადა პრეზიდენტმა, — რომ სიღარიბეს გადაჭრით უნდა შეებრძოლოთ, რაღაც უნდა ვიღონოთ. ასევე საჭიროდ ვთვლი ვზრუნავდეთ გარეუბნებში მცხოვრებ საშუალო შემოსავლის მქონე ადამიანებზე. ეს ორი პუნქტი ერთმანეთს არ ეწინააღმდეგება. შეუდექით მუშაობას.

ყოველივე ამის შემდეგ პრეზიდენტმა ბავშვები გაიყოლა და აუზისაკენ წავიდა. ნასადილევს კი რეზიდენციის მეორე სართულზე ოვალურ კაბინეტში განმარტოვდა დოკუმენტებზე სამუშაოდ.

ძნელი წარმოსადგენია, რამდენს ასწრებდა იგი, თუნდაც მას შემდეგ, როცა ბავშვები იძინებდნენ! აი ახლაც, საჭირო იყო ტეხასში წარმოსათქმელ სიტყვათა პროექტებისათვის თვალის გადავლება, მოსაგვარებელი ჰქონდა ერთი პირადი საქმე (პირველი ლედისათვის საშობაო სიურპრიზად ბეწვის ხალიჩის მირთმევა უნდო-

და), გასარკვევი ჰქონდა რამდენიმე ახალი პოლიტიკური საკითხი. პრეზიდენტს ერთგვარი წინათგრძნობა კარნახობდა, რომ რესპუბლიკელთა პარტია საკუთარი თავის დამღუპველ ნაბიჯს გადადგამდა და პრეზიდენტობის კანდიდატად ბარი გოლდუოტერს წამოაყენებდა. მას არ შეეძლო მტკიცედ დაიმედებული ყოფილიყო, ამიტომაც ძალ-ღონის დაუზოგავად აპირებდა თავის გადადებას. ასე, მაგალითად, შრომის დღიდან მოყოლებული ჯონსონის ნდობით აღჭურვილი თანაშემწე კლიფ კარცერი ოსტინში შტაბ-ბინას აწყობდა ტეხასში წინასაარჩევნო კამპანიისათვის. პრეზიდენტის სიძე სტივ სმიტი კეირაში ახლა ოთხ დღეს ვაშინგტონში ატარებდა, სადაც დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის საქმეებზე მუშაობდა. პეტ ლუისი ვისკონსინში საქმიანობდა, ხოლო ელენ კეიზი — კლივლენდში. მით უკეთესი, თუ გოლდუოტერს მსხვერპლად შესაწირ ბატკნად აქცევენ: იგი გამანადგურებელ მარცხს იგემებს, მას მხოლოდ რამდენიმე შტატი თუ მიემხრობა.

იმაზე კი, როგორი უმრავლესობით გაიმარჯვებდნენ დემოკრატები, ჯერ მხოლოდ მკითხაობა შეიძლებოდა, თუმცა პრეზიდენტი დარწმუნებული იყო, რომ მას ხელახლა აირჩევდნენ და თანაც ხმების დიდი უმრავლესობით. სჯეროდა, პოსტიდან წასვლამდე თუ მთელი მსოფლიოს არა, დასავლეთის სახელმწიფოების ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწედ იქცეოდა. ხელახლა არჩევის შემდეგ, მთავრობის რეორგანიზაციაზეც კი ოცნებობდა. შეცვლა მოუწევდა კაბინეტის შემადგენლობას. იუსტიციის მინისტრის პოსტიდან წასვლა სურდა რობერტ კენედის. იუსტიციის სამინისტროში თავის მოღვაწეობაზე იგი ლაპარაკობდა როგორც განვლილ ეტაპზე. მთავრობის მეთაურის შემდეგ ყველაზე გავლენიანი პირი, ოცდაათ წელს ოდნავ გადაცილებული რობერტ კენედი ჯერ ვერ გადადგება. მაგრამ სად იქნება იგი ყველაზე სასარგებლო? ფინანსთა სამინისტროდან წასვლას აპირებს დუგლას დილონიც: მას საკუთარ საბანკო ფირმაში სურს დაბრუნება. რა უყოს რასკს? რასკი ხვდებოდა, პრეზიდენტი თვითონ აპირებდა ყოფილიყო თავისი მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრი. მაგრამ იმედოვნებდა, რომ მას სხვა საქმეს მოუნახავდა. პრეზიდენტის მეორე ვადით არჩევის შემდეგ კაბინეტს, უთუოდ, სახელმწიფო მდივანი რობერტ მაკნამარა ჩაუდგება სათავეში. მაშინ ვინ უხელმძღვანელებს თავდაცვის

სამინისტროს? თავდაცვის მინისტრი რობერტ ფ. კენედი? ალბათ, არა. უმცროსი კენედი ლათინურ ამერიკაში საქმის მოგვარებას ცდილობდა და წინასწარ გადაწყვიტა დინ რასკის წასვლის შემდეგ სახელმწიფო მდივნის მოადგილეობა ეთხოვა ამერიკათშორისო საქმეების დარგში. თუმცა, კაბინეტის წევრთა გადაადგილება ჯერ არცთუ ისე სასწრაფო საქმე იყო.

სამშაბათობით კონგრესის ლიდერები, ჩვეულებრივ, მთავრობის მეთაურთან საუზმობდნენ, მაგრამ პრეზიდენტის ფლორიდაში გამგზავრების გამო იმ სამშაბათს ეს საუზმე მეორე დღისათვის გადაიდო. ოთხშაბათს 8 საათსა და 45 წუთზე დაიწყო პრეზიდენტის იმდღევანდელი პირველი მიღება. სენატორებს მენსფილდს, ჰემფრის, სმაზერს, კონგრესმენებს ალბერტს, ბოგსს და რეზიდენციაში მოწვეულ სტუმრებს პრეზიდენტი იმ დილით ხალისიან გუნებაზე ეჩვენათ. აი უკვე ნოემბერია, საცაა მადლობის დღე დადგება, თითქმის წელიწადი მიიწურა, მათ კი ჯერაც არ დაუმტკიცებიათ ჩვეულებრივი ფინანსური კანონპროექტები. მაინც რას აკეთებენ აქამდე? კენედიმ სათვალე მოიხსნა, მუშტით ცხვირი მოისრისა და შეშფოთებით ჩაილაპარაკა:

— როცა ვაშინგტონში არა ხარ, ერთთავად ყველაფერი გაცილებით უკეთ გეჩვენება.

მინესოტელმა სენატორმა ჰერბერტ ჰემფრიმ და წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერმა ჰეილ ბოქსმა გაიგონეს პრეზიდენტის ეს სიტყვები. მერე ისინი კენედისთან ერთად თეთრი სახლის დასავლეთ ფრთაზე გადავიდნენ, სადაც პრეზიდენტს დალასში მოსალოდნელ უსიამოვნებათა გამო კონგრესის ზოგიერთი წევრის შეშფოთება მოახსენეს. კენედიმ მხრები აიჩეჩა. 1962 წელს იგი ორჯერ ელაპარაკა ამ საკითხის თაობაზე ჰეილ ბოქსს, როცა მას ახალ ორლეანში დემონსტრაციით ემუქრებოდნენ. ახლაც იგივე პასუხი გასცა: იმის წარმოდგენაც კი, რომ ამერიკის პრეზიდენტს არ ძალუძს ამა თუ იმ ამერიკულ ქალაქში ჩასვლა, უბრალოდ უაზრობაა.

კონგრესმენმა ბოქსმა ტეხასელ დემოკრატთა შორის არსებული უსიამოვნებანიც ახსენა.

— ბატონო პრეზიდენტო, თქვენ ნამდვილი კრაზანების ბუდეში მიემგზავრებით, — ვითომდა ხუმრობით გადაუკრა მან.

კენედიმ როგორღაც დაბნეულად უპასუხა:

— ჰო, მაგრამ ბოლოს გამოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებთანაც შეხვედრა საინტერესოა ხოლმე.

მზის სხივებით სავსე კაბინეტში კენედი კვლავ შეუდგა მიმდინარე ადმინისტრაციული საკითხების განხილვას. 9 საათსა და 15 წუთზე ფინანსთა მინისტრის მოადგილე ჰენრი ფაულერმა პრეზიდენტს საგადასახადო კანონპროექტის სიახლეები გააცნო. დახვეწილი მანერების მქონე ვირჯინიელი ფაულერი კენედის გამორჩეულად უყვარდა და ცხოველი საუბარიც გაუბა. მერე ხომალდის ახალი მოდელი უჩვენა. 9 საათსა და 38 წუთზე პრეზიდენტის კაბინეტში მორცხვად შევიდა დასავლეთ ბერლინელი სამი სტუდენტი. პრეზიდენტი მოსულთ გულღიად მიესალმა. 9 საათსა და 42 წუთზე ტანკისტ-ოფიცერთა დელეგაციამ პრეზიდენტს მერვე ; ავშანსატანკო დივიზიის მისასალმებელი ადრესი გადასცა. 9 საათსა და 45 წუთზე ფინანსთა მინისტრ დილონისაგან სატელეფონო ცნობა მოვიდა. თეოდორ დილონი სენატში იყო, სადაც საბჭოთა კავშირისათვის ხორბლის მიყიდვის საკითხის განხილვას ესწრებოდა. სენატში ვითარება, მართლაც კრაზანების ბუდეს წააგავდა. 9 საათსა და 48 წუთზე სენატიდან დაბრუნდნენ სენატორი სმაზერსი და პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე ლერი ო'ბრაიენი. მათ მითითება უნდა მიეღოთ, თუ რომელი ტაქტიკისათვის დაეჭირათ მხარი სენატში ამ საკითხის გადაწყვეტისას. შემდეგ პრეზიდენტის კაბინეტში მედიდურად შევიდა სახელმწიფო დეპარტამენტის საოქმო ნაწილის უფროსი ენჯი დიეკი, რომელიც სიერა-ლეონაში აშშ-ის ელჩს ახლდა თან: პრეზიდენტის სპეციალურმა მრჩეველმა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ჯერი ვიზნერმა პრეზიდენტს ამერიკელ მეცნიერთა დელეგაცია წარუდგინა. დელეგაციის წევრები ახლად ჩამოსულნი იყვნენ ჟენევიდან, სადაც საპლანეტათშორისო საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია მიმდინარეობდა; დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წევრს ჯონ ბეილს სახე გაუნათდა, როცა პრეზიდენტმა ლინა ჰორნსა და ხეთ სხვა მსახიობს ხელი ჩამოართვა; იაპონიაში გამგზავრების წინ კაბინეტის სხვა წევრებთან ერთად პრეზიდენტს ეახლა სოფლის მეურნეობის მინისტრი ორვილ ფრიმენი. მან და მისმა მოადგილემ ჩარლი მერფიმ, პრეზიდენტს ამერიკის სოფლის მეურნეობის

მდგომარეობის სურათი დაუხატეს. პრეზიდენტის შემდეგი სტუმარი გახლდათ მშვიდობის[1] კორპუსის საერთაშორისო სამდივნოს გენერალური მდივანი დინ გუდვინი. მას ლათინური ამერიკის ინტელიგენციის შეიდი წარმომადგენელი ახლდა თან.

პარასკევს გუდვინი ინიშნებოდა პრეზიდენტის სპეციალურ თანაშემწედ კულტურის საკითხების დარგში. ამჯერად კი პრეზიდენტს ლათინური ამერიკის ქვეყნებში მყოფი ამერიკელი პერსონალის ამბები აინტერესებდა.

შემდეგ პრეზიდენტთან შეეიდნენ სახელმწიფო დეპარტამენტიდან მოსული სახელმწიფო მდივნის მოადგილე ალექსის ჯონსონი და მისი ორი პირველი თანაშემწე. კამბოჯელებთან კელავ გაფუჭდა ურთიერთობა. პრინც ნოროდომ სიანუკმა ის-ის იყო მოითხოვა, რათა ამერიკის შეერთებულ შტატებს ყოველგვარი ეკონომიური დახმარება შეეწყვიტა მისი ქვეყნისათვის[2]. კითხვა: უნდა გადაარწმუნოს თუ არა იგი ჩვენმა ელჩმა? პასუხი: არა, არ არის საჭირო. კენედის უკმეხი ტონი ჰქონდა. დახმარება, დაუყოვნებლივ, ახლავე, დღის მეორე ნახევარშივე უნდა შეწყდეს. ვინაიდან უკვე 17 საათი და 50 წუთი იყო, სამმა დიპლომატმა მაშინვე დატოვა იქაურობა.

ეველინ ლინკოლნთან ტელეფონმა დარეკა.

— ტელეფონთან მისის კენედია, — მოახსენა ქალმა პრეზიდენტს. — მოსამართლენი მაღლა გელოდებიან.

ეს მიღება, დედაქალაქში კენედის უკანასკნელი გამოჩენა რომ გამოდგა, ორი ნაწილისაგან შედგებოდა. ოფიციალურ ცერემონიებში მონაწილეობა ვაშინგტონელთა საყვარელი საქმიანობაა, მაგრამ მოსამართლეებზე მეტი სიამოვნებით მას არავინ ელტვის. მეორეს მხრივ არავის გაუმეღავნებია უფრო მეტი მზადყოფნა ოფი-

---

[1] 1961 წელს პრეზიდენტ ჯონ კენედის ინიციატივით დაარსდა მშვიდობის კორპუსი. მისი მიზანი იყო აშშ-ის იდეოლოგიური და პოლიტიკური შეღწევის გაძლიერება აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის განვითარებად ქვეყნებში.

[2] კამბოჯის ასეთი მტკიცე უარი ამერიკის ეკონომიურ დახმარებაზე გამოწვეული იყო აშშ-ის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ძირგამომთხრელი საქმიანობით კამბოჯის მთავრობის საწინააღმდეგოდ. ცსს-ს მიერ ტაილანდისა და სამხრეთ ვიეტნამის ტერიტორიაზე დადგმული ეგრეთ წოდებული რადიოგადამცემი „კამერ სერეი" (თავისუფალი კამბოჯა) მოუწოდებდა ხალხს დაემხოთ ნეიტრალური პოლიტიკის გამტარებელი ნაროდომ სიანუკის მთავრობა.

ციალურ ცერემონიათაგან თავის დაღწევისა, ვიდრე კენედის ოჯახს. უმაღლესი სასამართლოს წევრთათვის ამ მიღების მოწყობის აუცილებლობა აშკარა იყო. სამსახურიდან გადამდგართა ჩათვლით ისინი თერთმეტნი იყვნენ

მთავრობის მეთაურის რეზიდენციის ზემო სართულში გაიმართა წარმოდგენის პირველი განყოფილება, იუსტიციის მინისტრისა და უმაღლესი სასამართლოს წევრთა მონაწილეობით.

დაბლა იცდიდნენ მეორე განყოფილების მონაწილენი — მართლმსაჯულებისა და თეთრი სახლის მეაბჯრეთა 565 წარმომადგენელი. მათ შორის „ახალი ზღუდეების" პოლიტიკის ყველაზე თავგამოდებული მომხრეებიც. ისინი, ვინც ამ სამი წლის წინ იანვრის თვის დასასრულს ვაშინგტონს ჩამოვიდნენ[1], რათა დათოვლილ პენსილვანია-ავენიუზე პრეზიდენტს მისალმებოდნენ, გაეღვივებინათ მათ მიერვე დანთებული ნაპერწკალი, თავადაც ანთებულიყვნენ იმ აღტყინებით, შემდეგ რომ „კენედის სტილად" იქნა ცნობილი.

ეს სტილი თითქოს მაგიურ თვისებას ფლობდა. კენედის ერთთავად დრამატული ატმოსფერო ეკრა გარს. ეიზენჰაუერმა ერთ-ერთ კერძო საუბარში განაცხადა: — კენედი ხალხის საყვარელ პიროვნებად იქცა. მას ყოველთვის რაღაც ემართებოდა, ყოველთვის რაღაც უნდა მოეხდინა. სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის გარდა მას მეტად ფართო ინტერესები ჰქონდა. ამ კაცს ყველაფერი აინტერესებდა. თვით ყველაზე მოსაწყენი წვრილმანიც კი მას ცხოველ ინტერესს უღვივებდა. ავიღოთ ასეთი მაგალითი: მისი სამუშაო კაბინეტის მორთულობა-მოწყობილობას ანახლებდნენ იმ შემოსავლით, რომელიც გროვდებოდა ჟაკლინ კენედის მიერ შედგენილი, ერთ დოლარად ღირებული, თეთრი სახლის მეგზური წიგნაკის გაყიდვით. დეკორატორებმა უკვე რამდენიმე კვირის წინ მოამზადეს ყველაფერი. მათ მხოლოდ დღენახევარიღა სჭირდებოდათ სამუშაოს დასამთავრებლად, რომლის დროსაც ოთახი ცარიელი უნდა ყოფილიყო. კაბინეტის სხდომათა დარბაზში სამშაბათს ახა-

---

[1] იგულისხმება კენედის მიერ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტის ოფიციალურად დაკავების გამო თეთრ სახლთან გამართული 1960 წლის 20 იანვრის ცერემონია.

ლი ფარდები დაჰკიდეს. პარასკევს პრეზიდენტის კაბინეტის ფატაკზე ხასხასა წითელი ფერის ხალიჩა უნდა დაეგოთ. ხელმძღვანელთა უმრავლესობას დეკორატორები ხელს უშლიან ხოლმე, კენედი კი გატაცებული იყო მათი შრომით და ინტერესით ადევნებდა თვალს მუშაობის შედეგებს.

პრეზიდენტის მოლოდინში სტუმრები კოქტეილს წრუპავდნენ და ერთმანეთთან მუსაიფით ერთობოდნენ. უეცრად კარი გაიღო და პრეზიდენტი შემოვიდა. ლაქის ფეხსაცმლის ბრჭყვიალით, სქელ-ხალიჩაზე მწყობრი ნაბიჯით მიმავალს, ფართო მხრები ოდნავ წინ წაეხარა და დამსწრეთ გულღიად უღიმოდა. პრეზიდენტმა დარბაზის საზეიმო შემოვლა დაიწყო და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ერლომ უორენის წინ შედგა. მოსამართლე უილიამ დუგლასმა პრეზიდენტს თავისი საცოლე წარუდგინა.

— გაიცანით ჩემი „მბრძანებელი", — წარმოთქვა მან.

კენედი ელოდა ამ გაცნობას. მას განაგონი ჰქონდა, ქალი ძალიან ახალგაზრდაა და უმაღლესი სასამართლოს წევრთა ხანში შესული ცოლების შურს წინასწარმეტყველებდა.

— მოხარული ვარ მივესალმო „მბრძანებელს", — ღიმილით უპასუხა პრეზიდენტმა.

მოსაუბრეებს რობერტ კენედი შემოუერთდა, მას დუგლასის საცოლესთან სურდა გამოლაპარაკება. პრეზიდენტი დიანაზე ჩამოჯდა და მოსამართლეებთან გაიბა საუბარი. მერე უმაღლესი სასამართლოს წევრ გოლდბერგს მიუბრუნდა, შემდეგ კვირას ერთ პირად საქმეზე მინდა მოგეთათბიროთო. გოლდბერგის წინასწარმეტყველებით პრეზიდენტს ალბათ, თავისი აგარაკისათვის მუშების დაქირავება ჰქონდა მხედველობაში. ერთხელ გოლდბერგმა შეუსრულა ამგვარი დავალება. გოლდბერგი შრომის საკითხებში სპეციალიზებული იურისტი გახლდათ.

პრეზიდენტმა უარი თქვა შეთავაზებულ კოქტეილზე და ბუხრის მოოქროვილი საათის ქვეშ სარწეველა-საკარძელში ჩაჯდა. მარცხნივ მოსამართლე ბაირონ უაიტი მიუჯდა. ჯან-ღონით სავსე ამერიკელის ეს კლასიკური ტიპი კენედის ლამის ოცდახუთი წლის მეგობარი და ომისდროინდელი თანამებრძოლი იყო.

შემოვიდნენ მანდილოსნები. პრეზიდენტის რძალი ეტელ კენედი დარბაზის იქითა კუთხეში იჯდა და მაზლს მისჩერებოდა. ეტე-

ლი 1950 წლიდან მისი ძმის, რობერტ კენედის მეუღლე იყო და პირველი ლედის შემდეგ იქ დამსწრე ყველა ქალზე უკეთ იცნობდა პრეზიდენტს. ამიტომაც არა ტყუვდებოდა პრეზიდენტის დარბაისლური საუბრით. ქალი უეცრად მიხვდა, რომ პრეზიდენტი ფრიად მნიშვნელოვანი ამბით იყო შეწუხებული. ჯონ კენედი სარწეველაზე გადაწვა და ხელზე ნიკაპდაყრდნობილი სანახევროდ მოხუჭული თვალებით წინ იყურებოდა. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარემ დარბაზის ბოლოდან ხუმრობით გამოსძახა — ტეხასში ცხელი დღე დაგადგებაო. ფიქრებში ჩაფლულ კენედის პასუხი არ გაუცია. „მაინც რატომ არის ჯეკი ასე ჩაფიქრებული?“ — თავისთავს ეკითხებოდა ეტელი. წუთით ადრე, ვიდრე ხალხი კიბისკენ დაიძრებოდა, ეტელმა დარბაზი გადაჭრა და პრეზიდენტს მიესალმა. წინათ, როგორი მოუცლელიც არ უნდა ყოფილიყო პრეზიდენტი, ყოველთვის მოიკითხავდა ხოლმე ეტელს. ახლა კი ხმა არ ამოუღია. მთელი ამ ცამეტი წლის განმავლობაში პირველად უყურებდა პრეზიდენტი რძალს ასეთი ხილვადაკარგული თვალებით.

დიახ. ტეხასში პრეზიდენტს, ალბათ მართლა, ცხელი დღეები ელოდა. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე უორენი ახალგაზრდობაში კალიფორნიის ყველაზე დიდი პოლიტიკოსი გახლდათ, მაგრამ იგი არასოდეს შეჯახებია ისეთ ინტრიგანებს, როგორიც ტეხასის დემოკრატიულ პარტიაში იყვნენ, ამ ერთვარსკვლავიანი დროშის შტატში. აქ, ისევე როგორც სხვაგან, დემოკრატიული პარტიის ნაციონალური ხელმძღვანელობა ყველაფერს აკეთებდა მშვიდობის შესანარჩუნებლად, მაგრამ ტეხასს მშვიდობა სძაგდა. თითოეული საარჩევნო ოლქი შინაპარტიული ბრძოლებით აშეწილ-დაშეწილი, დამოუკიდებელი ავტონომიური სამთავრო გახლდათ. პარტიულ ბოსებს, მთავრების მსგავსად, გამუდმებული ძმათა ომი ჰქონდათ და დაუზოგავად ესხმოდნენ ერთმანეთს. დევნიდნენ უდანაშაულო ვასალებს. ისინი, მართლაც რომ პოლიტიკური კანიბალები იყვნენ და თუ შორით მოსული ვინმე მიამიტი მათ შორის გარევას გაბედავდა, შესაძლოა, ცოცხლადაც შეესანსლათ.

ჯონ კენედი არ გახლდათ მიამიტი. ვერც იმას ვიტყვით, მასა-

ჩუსეტსის შტატში შინაპოლიტიკური ბრძოლა თამაშის ყველა წესის დაცვით მიმდინარეობდა. პრეზიდენტი ოჰაიოზე ნაკლებად როდი იცნობდა ტეხასს. 1960 წელს ლოს-ანჯელესის დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე, პრეზიდენტობის კანდიდატად წამოყენების დროს, როცა ჯონსონმა მისთვის გვერდის აევლა სცადა, კენედის ჯონსონის მომხრეთა შეტაკების მოგვრიება მოუხდა. მათ მიერ გავრცელებული ხმების მიხედვით კენედი ავადმყოფი იყო და თავისი პირველი ვადის გასვლამდე ვერ იცოცხლებდა (ლოს-ანჯელესის ყრილობის შემდეგ კი ურცხვად განაცხადეს — მხედველობაში გვქონდა ადისონის ავადმყოფობაო). მას შემდეგ იგი რამდენჯერმე იყო ამ შტატში. უკანასკნელად 1963 წლის 5 ივნისს ელ-პასოს სასტუმრო „კორტესში" კონელიმ თანხმობა მისცა მის მომავალ მგზავრობას. უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში დასაზვერად გაგზავნილი დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წარმომადგენლები ნიადაგს სინჯავდნენ ყველაზე საშიში ადგილების აღმოსაჩენად. მათ მოწოდებულ ცნობებს პრეზიდენტი არ კითხულობდა. მისი საქმე ქვეყნის მართვა იყო. პერსპექტიული დაგეგმარება სხვებს ჰქონდათ მინდობილი, კერძოდ — პრეზიდენტის სპეციალურ თანაშემწეს ო'დონელ'ს. მაგრამ თეთრ სახლს მაინც სუსტი წარმოდგენა ჰქონდა გავლენიანი ტეხასელების — იარბოროსა და კონელის შორის გაჩაღებულ დაუნდობელ, მტრულ პერიპეტიებზე.

ეს ძველი კონფლიქტი გახლდათ. იგი უფრო მეტი ხნისა იყო, ვიდრე თვით მისი მონაწილენი. ეს მტრობა იდეური შეუთანხმებლობის შედეგად წარმოიშვა. პირველად იგი მერყეე ოცდაათიან წლებში მომწიფდა. მემარჯვენე უმრავლესობამ, ეგრეთ წოდებულმა „ჯეფერსონის დემოკრატებმა"[1] და „ჰეშმარიტმა ტეხასელებმა"[2] უარი განაცხადეს რუზველტისათვის მხარი დაეჭირათ. მემარჯვენეებმა ჯერ კიდევ 1944 წელს პარტიის ყრილობაზე თავიანთი საკუთარი დელეგაცია ვაგზავნეს. უფრო მოგვიანებით, შტა-

---

[1] ჯ ე ფ ე რ ს ო ნ ი ს დ ე მ ო კ რ ა ტ ე ბ ი — პოლიტიკოსები, რომელთაც აშშ ფედერალური მთავრობის პროგრამიის მეტისმეტი ზრდის წინააღმდეგ გაილაშქრეს.

[2] ჰ ე შ მ ა რ ი ტ ი ტ ე ხ ა ს ე ლ ე ბ ი — შტატების უფლებათა შეუზღუდველობის მომხრენი.

ტის მემარჯვენეებმა ედლაი სტივენსონი მიატოვეს. 1952 წელს კი გუბერნატორ-დემოკრატმა და დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წევრმა (ტეხასიდან) წინასაარჩევნო კამპანიაა დოოს რესპუბლიკელთა პარტიის კანდიდატებს დაუჭირეს მხარი.

ოთხი წლის შემდეგ ტეხასში აჯანყდნენ ზომიერები. ზომიერთა წარმომადგენელმა ტეხასელმა ადვოკატმა ბაირონ სკელტონმა წინასწარ შეითანხმა წარმომადგენელთა პალატის სპიკერი სემ რეიბერნი და დათანხმდა დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წევრობაზე.

ყოველივე ამის შედეგად არეულობა მხოლოდ გაიზარდა. პოპულისტების[1] მემკვიდრეებმა გადატრიალება მოახდინეს და „ტეხასელ დემოკრატებად" წოდებული ლიბერალური ფრაქცია ჩამოაყალიბეს.

მათ ვმირად რალფ იარბორო იქცა. მან სამჯერ სცადა სენატის წევრად გახდომა, ვიდრე 1957 წელს მართლაც არ აირჩიეს. იარბორო როგორღაც საოცრად წვრილი ხმით ლაპარაკობდა და სიტყვებს ყლაპავდა. უყვარდა ხატოვანი გამოთქმები და ერთთავად გაჭიანურებული ლაპარაკი. რაღაც გამოულეველ წვრილმანებზე გამუდმებით ეკინკლავებოდა დემოკრატებს. და მაინც კონგრესში ის გახლდათ ერთადერთი ტეხასელი ლიბერალი. მას არც გავლენიანი მეგობრები ჰყავდა და არც ფული ჰქონდა (წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებისას აღებულმა ვალებმა საკმაო თანხა შეადგინეს). იარბორო შეურყეველად ერთგული აღმოჩნდა იმ მთავარი საკითხისა, რასაც დალასის გაზეთი, „მორნინგ ნიუსი" „მემარცხენეთა და ლიბერალთა ღერძს" ეძახდა. მას თავისი პოზიცია მაშინაც არ შეუცვლია, როცა „ტეხასელი დემოკრატების" ფრაქცია დაიშალა. 1960 წელს ლოს-ანჯელესში გამართულ პარტიის ყრილობაზე მან ჯონ კენედის დაუჭირა მხარი, მაშინ, როცა შტატის დემოკრატიული პარტიის დანარჩენი ნაწილი თავიანთი ფავორიტის, კანდიდატ ჯონსონის ირგვლივ გაერთიანდა. იგი დასაჯეს და ტეხასის დელეგაციის შემადგენლობაში არ შეიყვანეს. წარმომადგენელთა პალატის სპიკერი რეიბერნი რომ არ ჩარეულიყო, ალბათ, უფრო მკაც-

---

[1] პ ო პ უ ლ ი ს ტ ე ბ ი — „აგრარული დემოკრატიის" პროგრამის დამცველი პოლიტიკური პარტია მე-19 საუკუნის დასასრულს.

რადაც დასჯიდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, რეიბერნი ერთი წლის შემდეგ გარდაიცვალა და იარბოროს მტრების დამაოკებელი აღარავინ იყო. მემარჯვენეებს ადვილად შეეძლოთ თავს დასხმოდნენ განდეგილ-პოპულისტ იარბოროს.

ამ დროისათვის მემარჯვენე დემოკრატებს ღირსეული ლიდერი გაუჩნდათ. ჯონსონს არასოდეს უსარგებლია მათი სრული ნდობით. ჯონ ბ. კონელი-უმცროსის სახით მემარჯვენეებმა ჯონსონისაგან ფასდაუდებელი საჩუქარი მიიღეს. კონელი გახლდათ ჯონსონის თანაშემწე ადმინისტრაციულ საქმეთა ხაზით და საზღვაო მინისტრი კენედის კაბინეტში. ამჟამად კი ტეხასის გუბერნატორი და თავისი თავის ბატონ-პატრონი. საქმეში ჩაუხედავ ადამიანებს იგი ისევ კენედისა და ჯონსონის კაცი ეგონათ. თუ კონელის საერთოდ ჰყავდა ბელადი, იგი ნავთის მაგნატი ფორტ-უორტელი სიდ რიჩარდსონი იყო მხოლოდ. 50-იანი წლების დასასრულს კონელი მასთან მუშაობდა და ერთ-ერთ ყველაზე მტკიცე რგოლად იქცა ტეხასის გაზისა და ნავთობის სისტემათა მონოპოლიაში. მემარცხენე მოღვაწეთა მოძველებული გამოთქმა რომ გვეხმარა, მისთვის შეიძლებოდა ნავთობის მონოპოლიის იარაღი გვეწოდებინა. კონელს გარეგნობაც შესაფერისი ჰქონდა: მაღალი, მოხდენილი, ჩამოსხმული ტანი, ჭაღარა ხვეული თმა და სავსე, თითქმის ქალური ტუჩები. მის რწმენაში თვალთმაქცური არაფერი იყო. იგი არავინ ბაძავდა. იარბოროს ლიბერალიზმის მსგავსად, მისი კონსერვატიზმიც ჭეშმარიტი გახლდათ.

გუბერნატორი კონელი კლასიკური მაგალითი იყო გამდიდრებული, აღზევებული ღარიბი კაცისა, რომელმაც საოცრად შეიზიზღა ერთ დროს მისი ტოლი და სწორი ადამიანები (რაში გამოიხატებოდა ზიზღი სიღარიბისადმი — ეს, რა თქმა უნდა, სხვა საკითხია. ლინდონ ჯონსონიც იმავე წრიდან იყო, მაგრამ მისი პოლიტიკა მკვეთრად განსხვავდებოდა კონელის პოლიტიკისაგან). კონელმა მთელი ტეხასი ჭაბუკობაშივე მოიარა და კარგად გაიცნო. ჯონ ბ. კონელი-უფროსი ჯერ ფერმერ-არენდატორი იყო, მერე პარიკმახერი, ბაყალი, ავტობუსის მძღოლი. როცა იგი სან-ანტონიო-კორპუს-კრისტის ხაზზე მძღოლად მუშაობდა, ოჯახიც სან-ანტონიოში გადმოიყვანა. შემდეგ კონელი (მამა) კვლავ მიწათმოქმედებას დაუბრუნდა. გალატაკებისაგან თავის დასაღწევად სალახობდა კიდეც.

ასეთ ოჯახში გაზრდილი უმაწვილი მხოლოდ მაღლა მიმავალი გზისაკენ იყურებოდა. დიახ, მას უკეთესად უნდა ეცხოვრა. უნდა ჩასჭიდებოდა ოქროს კიბის ქვედა საფეხურს, აჰყოლოდა მაღლა, მერე კი თავშიაც მოქცეოდა. კონელი-უმცროსმა მიაღწია კიდეც ამას. ტეხასის უნივერსიტეტში იგი პირველი სპორტსმენი იყო. შეორთო ყველაზე მომხიბვლელი სტუდენტი გოგონა. შეითვისა რბილი, შემპარავი ქცევები, გაიწაფა ეშმაკობაშიაც. გაიჩინა მდიდარი მეგობრები, შემდეგ კი მათი ერთგული მოკავშირე გახდა.

რაც შეეხება რალფ იარბოროს, ისიც კარგად იცნობდა ტეხასელი ღარიბების მძიმე ცხოვრებას. ჰოდა, აკი მეტრადაც გაუხდა იმათ, ვისაც, მისი აზრით, ამაზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. კონელი ვერ იტანდა სიღარიბეს. ჯონსონის სიტყვებით რომ ვთქვათ, კონელი თავს კარგად გრძნობდა მხოლოდ სამას დოლარად ღირებულ კოსტიუმში. შეკვეთით შეკერილ ფეხსაცმელებში და მის ბაკალესად ჩაცმული ხალხის საზოგადოებაში. იგი თავგამოდებით ცდილობდა საბოლოოდ გამიჯნოდა ცხოვრებას, რომელიც ბავშვობაში იგემა. გუბერნატორად გახდომის შემდეგ მან კიდევ უფრო განამტკიცა თავისი ურთიერთობანი. რითაც ყველას აცნობინა, რომ იგი ვაშინგტონის ლიბერალიზმს ვერ დაემგზავრებოდა. პროფკავშირების წევრებსა და „ლიბებს", როგორც ამას ლიბერალებს ეძახდნენ, კვლავ გაუძნელდათ ადგილის მონახვა შტატის პარტიულ კრებებზე. კონელი წინააღმდეგი იყო ფედერალური ბიუჯეტის გაზრდის, ნავთის იმპორტის და უფასო სამედიცინო სამსახურისა. იგი გამოდიოდა ტეხასის ტელევიზიით, სადაც კენედის კანონპროექტის წინააღმდეგ ილაშქრებდა. პრეზიდენტის მსგავსად, ისიც ემზადებოდა მომავალი არჩევნებისათვის. შესაძლოა იგი წინააღმდეგობას წაწყდომოდა ტეხასის პირველად არჩევნებში. ამიტომაც უკვე დრო იყო საკუთარი პოზიციების გამკვრებისა. მომავალ შემოდგომაზე, თუ რა თქმა უნდა, პირველადი არჩევნები რაიმე მოულოდნელობას არ შეამთხვევდა. კონელისა და იარბოროს კენედისა და ჯონსონთან ერთად უნდა ჩაეტარებინათ წინასაარჩევნო კამპანია. რასაკვირველია, თუ პრეზიდენტი კვლავ ჯონსონს აირჩევდა თავის მუდმივ მოადგილედ. 1964 წლის 3 ნოემბრის არჩევნები ყველას ეხებოდა. გუბერნატორი დაუფარავად აცხადებდა — წინ წაწევა მსურსო. სინამდვილეში მას უფ-

რო დიდი სურვილიცა ჰქონდა, კერძოდ, იარბოროს გაშავება. ამიტომაც ცდილობდა ასე თავგამოდებით პრეზიდენტის ტეხასში მომავალი ვიზიტის დროს, რაც შეიძლება დიდი პოლიტიკური კაპიტალი დაეგროვებინა.

კონელის მტკიცე პოზიცია ჰქონდა. მას, როგორც შტატის აღმასრულებელი ძალაუფლების მეთაურს, თავისთან უნდა მიეღო ფედერალური მთავრობის ხელმძღვანელი. თეთრი სახლიც მოთმინებით ეექცეოდა ამ დამოუკიდებლობას. ლერი ო'ბრაიენმა კონგრესმენ ალბერტ ტომასს დაურეკა და უთხრა: კარგი იქნება, თუ გუბერნატორი წამყვან როლს ითამაშებს პრეზიდენტის კორტეჟის ჩამოსვლის შემდეგო. იქ ხომ ტომასის საპატივცემულოდ სადილი უნდა გამართულიყო. კონგრესმენი გადაკრულს მიუხვდა და თავისი მხრივ, კონელის ოსტინში დაურეკა. სადილზე შენ წარმადგინეო. ტეხასელ კონგრესმენებს მიახვედრეს, რომ ყველა წერილმან საქმეს ოსტინში გადაწყვეტდნენ.

კონელის თხოვნით, მგზავრობა მისი „ობიექტური ხასიათის" ხაზგასასმელად — ორად გაყვეს — „პარტიულ" და „ზეპარტიულ" ნაწილებად. მგზავრობას სან-ანტონიოში, ფორტ-უორტში და დალასში ზეპარტიული ხასიათი უნდა ჰქონოდა, ხოლო ჰიუსტონსა და ოსტინში — პარტიული. კონელს საწყენად რომ არ დარჩენოდა, დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე ჯონ ბეილი პრეზიდენტის თანმხლებ პირებს მხოლოდ ოსტინში ჩასვლის შემდეგ უნდა შეერთებოდა, სადაც იგი ავიაკომპანია „დელტა იერლანზიის" თვითმფრინავით კენედის კორტეჟის დალასში მოგზაურობის დაწყების დროისათვის უნდა ჩაფრენილიყო. კომიტეტი პრეზიდენტის თვითმფრინავის საწვავის ხარჯების გაღებასაც კი კისრულობდა. ბეილი რთული არითმეტიკული გამოთვლების გამოყვანას შეუდგა. სამხედრო-საჰაერო მონაცემების საფუძველზე პრეზიდენტის თვითმფრინავის ფრენა საათში 2300 დოლარი ჯდებოდა.

პრეზიდენტის თანაშემწეების — ო'დონელისა და ო'ბრაიენის თქმით, კონელიმ კოზირები იგდო ხელთ. ოქტომბრის დასაწყისში პირველად გახდა ცნობილი, თუ რომელი კარტის ჩამოსვლას აპირებდა. ვიდრე მგზავრობის დეტალების განსახილველად აღმოსავლეთით გაფრინდებოდა, კონელიმ სასტუმრო „ადოლფუსში" და-

ლასის დიდკაცობის თათბირი გამართა. თათბირს ესწრებოდნენ ქალაქის მოქალაქეთა ძლევამოსილი საბჭოს თავმჯდომარე კ. ერიკ ჯონსონი, სავაჭრო პალატის პრეზიდენტი რობერტ კოლუმი, ეროვნული სავაჭრო ბანკის თავმჯდომარე რ. ლ. ტორსტონი, დალასის გაზეთ „მორნინგ ნიუსის" გამომცემელის ტედ დილის ვაჟი ჯო დილი (თვითონ ტედი ამ დროს ვაშინგტონში იყო) და დალასის „ტაიმს ჰერალდის" კორესპონდენტი ალბერტ ჯექსონი. გუბერნატორმა ფაქტიურად ამ თათბირზე ბოდიში მოიხადა პრეზიდენტის მომავალი ვიზიტის გამო. მეტად ძნელ ვითარებაში აღმოჩნდიო, განაცხადა და თავისი როლი იმ კაპიტნის როლს შეადარა, რომელსაც ადმირალმა მისი ხომალდის დათვალიერება სთხოვა. მე არ შემიძლია ჩამოსვლა ავუკრძალო პრეზიდენტსო, თუმცა იქვე დასძინა. — მათ უნდა იცოდნენ, რომ მე სულაც არ ვაპირებ „კენედის ხელზე მოსამსახურე ბიჭად" გახდომასო. საქმე უფრო შორსაც წავიდა. თუ იგი, კონელი, ამ შემთხვევას იარბოროს დასამცირებლად გამოიყენებდა, სავსებით რეალური ხდებოდა ტეხასის ლიბერალიზმის განადგურება. წინ „ლიბების" სცენიდან განდევნის შესანიშნავი შესაძლებლობა იდგა.

— მე არ ვაპირებ ლიბერალებთან ვალდებულებების დარღვევას, — განმარტავდა კონელი. — მე მჭირდება ჯგუფი ადამიანებისა. დალასის წარმომადგენლობის სახით. თქვენ, ჯენტლმენებო, თქვენი გავლენისა და ურთიერთობათა გათვალისწინებით, სწორედ ასეთ ჯგუფს წარმოადგენთ.

სამ ოქტომბერს კონელიმ ოსტინში მოიწვია ტეხასელ კონგრესმენთა თათბირი (იარბორო არ მიუწვევიათ), სადაც განაცხადა, პრეზიდენტს შტატის ოთხი უდიდესი ქალაქის — სან-ანტონიოს, ჰიუსტონის, ფორტ-უორტის და დალასის ნახვა სურსო. კონელის აზრით, ტეხასში კენედის მხარე ეჭირათ „ზანგებსა და დემოკრატ ჯარისკაცებს". სამწუხაროდ, ისინი ღარიბები იყვნენ, ხოლო დემოკრატიული პარტიის ცენტრალურ ხელმძღვანელობას ამ მგზავრობით პარტიული სალაროს შევსების სურვილი ჰქონდა.

— ჩემი აზრით, ეს არ არის სწორი, — განაგრძობდა კონელი, — თქვენ კარგად იცით, რომ კენედის უსახსრო ხალხი უჭერს მხარს. მე ბიზნესმენებს ველაპარაკე და ისინი არ აპირებენ მისი წინასაარჩევნო კამპანიის ფინანსირებას.

კონელის ამ განცხადებას ცოტა არ იყოს შეხლა-შემოხლა მოჰყვა. დავაში სან-ანტონიოელი ლიბერალი, კონგრესმენი ჰენრი გონზალესი ჩაერია.

— მაინც, რომელ საქმიან ხალხს ელაპარაკეთ? — გაჯავრებით ჰკითხა მან,—თუ იმათ, ვინც თქვენ თანამდებობებზე დანიშნეთ. რასაკვირველია, კენედის მხარს არ დაუჭერენ. ეს ხომ რესპუბლიკელთა ჯგუფია. მე კი შემეძლო თქვენთან საქმიანი ხალხი მომეყვანა, მაგრამ ვფიქრობ, გუნებაში არ მოგივათ იმიტომ, რომ თქვენ არ მოგემხრობიან.

გუბერნატორი სიგარას სიგარაზე ნერვულად აბოლებდა, მაგრამ ჯიუტად მაინც თავისას გაიძახოდა — მოგზაურობას პარტიული ხასიათი არ უნდა ჰქონდესო.

მეორე დღეს კონელიმ დაახლოებით იგივე ხაზი გაატარა კენედისთან ტელეფონით საუბრისას, მხოლოდ იარბოროს მისამართით დაუმატა ორიოდ „ტკბილი სიტყვა". როგორც იქნა, ბოლოს და ბოლოს მიღწეულ იქნა კომპრომისი: სან-ანტონიოში პრეზიდენტი გამოვიდოდა სამხედრო საჰაერო ბაზის ექვსი ახალი შენობის ჩახსნასთან დაკავშირებით (ეს იყო პარტიისგარეშე აქცია); ჰიუსტონში დაესწრებოდა ალბერტ ტომასის პატივსაცემად გამართულ სადილს (ეს იყო პარტიული ღონისძიება, მაგრამ იგი თვით ტომასის გარდა სარგებელს არავის მოუტანდა); ფორტ-უორტსა და დალასში მთავრობის მეთაურს მიესალმებოდნენ ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები (ეს კი — არაპარტიული ღონისძიება); საარჩევნო კამპანიისათვის ფულის შესაგროვებელი ერთადერთი ადგილი იქნებოდა ოსტინი — შტატის დედაქალაქი და გუბერნატორის ადგილსამყოფელი. კონელიმ თითოეულ კონგრესმენს ოსტინში გამართული სადილის ბილეთების გარკვეული რაოდენობა გამოუყო გასანაწილებლად. იარბოროსაც მიიღო თავისი კვოტა.

— ნუ ჩაითრევთ პრეზიდენტს შინაპოლიტიკურ ბრძოლაში, — იხვეწებოდა კონელი.

ასეთი თხოვნა, რა თქმა უნდა, აბსურდული გახლდათ. მის წინაშე ხომ ბავშვები არ იყვნენ. განა კაპიტოლიუმსა და თეთრ სახლში მშვენივრად არ იცოდნენ, რომ თვითონ პრეზიდენტობა გარდუვალად იყო დაკავშირებული შინაპოლიტიკურ ბრძოლასთან! კენე-

ღის სირთულეს ის უქმნიდა, რომ მას არ შეეძლო კონელის ჩამოცილება. თუ ტეხასში მოწყობილი ეს ოფიციალური მგზავრობა ამ შტატში დემოკრატიული პარტიის ერთიანი ფრონტის მოჩვენებით სურათს შექმნიდა, კენედი ფრიად კმაყოფილი დარჩებოდა. ერთადერთი ადამიანი, რომელსაც შეეძლო დაერწმუნებინა გუბერნატორი, უფრო შორს წასულიყო, მისი ყოფილი ლიდერი, ანუ ახლანდელი ვიცე-პრეზიდენტი გახლდათ.

ჯონსონი კი ჩუმად იყო. როგორც თვითონ ამბობდა, მას არ უოანხმებდნენ მგზავრობასთან დაკავშირებულ ამბებს. კენედის განცხადებას — ტეხასში გამგზავრება გადავწყვიტეო, დეტალების საკმაოდ დაწვრილებითი განხილვა მოჰყვა.

თავდაპირველად ვიცე-პრეზიდენტმა ენთუზიაზმით დაუჭირა მხარი თანხის შესაგროვებელი კამპანიის ჩატარებას. ამაზე ცოტა ადრე მასაჩუსეტსში გამართულ ბანკეტზე შეგროვილ იქნა 680 ათასი დოლარი დემოკრატიული პარტიის ფონდის სასარგებლოდ. თუმცა თეთრი სახლი ენერგიულად უარყოფდა, მაგრამ მაინც დაბეჯითებული ხმები დადიოდა: კენედი 1964 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისას ჯონსონს უსათუოდ ამოშლის საარჩევნო სიიდანო. თვით ჯონსონამდეც მივიდა რამდენიმე შემაშფოთებელი სიგნალი. თავისი დიდი პოპულარობის დადასტურების სურვილით აღგზნებულმა ტეხასში ოთხი ბანკეტის მოწყობის წინადადება წამოაყენა, სადაც ლოიალური დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს საშუალება ექნებოდათ მომავალი წინასაარჩევნო კამპანიის სასარგებლოდ დიდძალი ფულის გაღებით კენედისა და ჯონსონისათვის ერთგულება დაემტკიცებინათ.

ჯონსონის მსგავსად, იარბოროც ფხიზლად აკვირდებოდა საქმის მსვლელობას. ალღოთი გრძნობდა მოსალოდნელ უსიამოვნებას, მაგრამ იძულებული იყო 19 ოქტომბრამდე ტაქტიკური დუმილისათვის მიემართა. ამ დღეს (რაც კონელისათვისაც კარგად იყო ცნობილი) ოსტინში იარბოროს პატივსაცემად სადილი უნდა გამართულიყო მისი წინასაარჩევნო კამპანიის ჩასატარებელი ვალების დასაფარავად. სადილის ჩატარებისთანავე იარბორომ კვლავ წამოიწყო ავისმომასწავებელი სიგნალების მიწოდება.

იგი იძულებული გახდა თეთრი სახლისათვის კენედის სასიკეთოდ გაწეული თავისი ურყევი ერთგულების ისტორია შეეხსენე-

ბინა. ნუთუ თავის მშობლიურ შტატში დაამცირებენ? და თუ ასეა, მაშინ იგი ვაშინგტონში ყოფნას ამჯობინებს. მაგრამ იარბოროს აწყნარებდნენ. სამჯერ მარტო ლერი ო'ბრაიენი ელაპარაკა. თავისი ბოხი ხმით დაბეჯითებით უმტკიცებდა, პრეზიდენტს შენი უგულ-ებელყოფა აზრადაც არა აქვს, ნამდვილად სურს ამ მოგზაურობის დროს სენატორი თავის თანმხლებ პირთა შორის ჰყავდესო. დიახ, პრეზიდენტი, მართლაც ამ აზრისა გახლდათ. იარბოროს გარეშე წასვლას წაუსვლელობა ერჩია. ამას ტეხასელ ლიბერალებში უთუოდ აღშფოთება მოჰყვებოდა და მომავალ არჩევნებში სამაგიე-როს გადახდას შეეცდებოდნენ.

არც თეთრ სახლში და არც მთელ ვაშინგტონში არავინ იყო ისეთი, ვიცე-პრეზიდენტის გამოკლებით, ვისაც ტეხასის შტატის გუბერნატორის ინტერესების დაცვა სურვებოდეს. დედაქალაქ-დან დაბრუნებული კონელი გულმოდგინედ ხლართავდა ინტრიგე-ბის ნატიფსა და რთულ ბადეს. მის აბრეშუმის ძაფებში პირველად დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის მიერ ტეხას-ში დასაზვერად გამოგზავნილი ცხვირკეხიანი, ჩასკვნილი ჯერი ბრუნო გაიხლართა. 28 ოქტომბრის გვიან საღამოს ჩაფრინდა ბრუ-ნო ოსტინის აეროდრომზე, სადაც ერთმანეთისადმი მტრულად გან-წყობილი ორი დელეგაცია დაუხვდა. ერთი დელეგაცია კონელისა იყო, მეორე — იარბოროსი. ო'დონელის მითითებათა შესაბამისად ბრუნომ ბოდიში მოუხადა იარბოროს წარგზავნილთ. მეორე დღეს მან კონელისთან ერთად ისაუზმა ოსტინის კლუბ „ორმოც აკრში", შემდეგ კი პრეზიდენტის მომავალი მარშრუტის სხვა ადგილების დასათვალიერებლად გაფრინდა. ბრუნო ასეთ საქმეებში გამობრ-ძმედილი კაცი გახლდათ. მთელი ექვსი წლის განმავლობაში იგი იყო პოლიტიკურ მოღვაწეთათვის ჩატარებული სხვადასხვა კამპა-ნიების ორგანიზატორი. რამდენჯერმე მონაწილეობდა პრეზიდენ-ტობის კანდიდატების წინასწარ არჩევებსა და თვით პრეზიდენტის არჩევნებში. მაგრამ არასოდეს შეხვედრია მეკავშირეთა ასეთი რა-ოდენობა. ნაციონალურ კომიტეტს თითოეულ საგრაფოში თავისი წარმომადგენელი ჰყავდა და ეს სავსებით საკმარისი იყო. აქ კი გუბერნატორმა კონელიმ მეორე რაზმი გამოიყვანა, სენატორმა იარბორომ — მესამე, ვიცე-პრეზიდენტმა ჯონსონმა — მეოთხე, ბო-ლო პროფკავშირებმა — მეხუთე. ბრუნო 30 ოქტომბრიდან 1 ნო-

ემბრამდე დალასში იმყოფებოდა და კონელის ერთ-ერთი ინტრიგის ამბავი გაიგო. ინტრიგის მიზანი სენატორ იარბოროსათვის ადგილის მიჩენა გახლდათ. მოგზაურობის დეტალებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან იგი იმ შენობის ამორჩევასთან იყო დაკავშირებული, სადაც პრეზიდენტი სიტყვით უნდა გამოსულიყო. აქედან გამომდინარე იგი დაკავშირებული იყო იმ მარშრუტთანაც, რაც კორტეჟს აეროდრომიდან პრეზიდენტის სიტყვის წარმოთქმის ადგილამდე უნდა გაევლო.

თვითონ ბრუნოს არჩევანი დალასის სასტუმრო „შერატონის" დიდ სამეჯლისო დარბაზზე შეჩერდა, მაგრამ დარბაზი ქალთა რომელიღაც ორგანიზაციას დაეჯავშნა. დირექციამ ქალებს სხვა შენობაში გადასვლაც კი არ შესთავაზა. ბრუნოს უბოდიშოდ განუცხადეს — პრეზიდენტმა სადმე სხვაგან მონახოს თავისთვის დარბაზი. რაც შეეხება დალასის მემორიალურ დარბაზს, მისი დაკავება არავის მოუწადინებია. ეს დიდი დარბაზი თერთმეტი ათას კაცს იტევდა და ქალაქის მესვეურნი სწორედ ამ მიზეზით იწუნებდნენ. მათი აზრით, რაც მეტი ხალხი შეიყრებოდა, მით მეტი იქნებოდა დამთხვეულთა რიცხვიც. მათ, რასაკვირველია, ქალაქის რეპუტაცია აწუხებდათ და არა პრეზიდენტის სიყვარული, — ეს ხომ დალასი იყო. რჩებოდა დარბაზის არჩევის სამი შესაძლებელი ვარიანტი: ქალთა ლიგის შენობა და მის პირდაპირ ინდუსტრიალურ ბულვარზე აღმართული სავაჭრო ჰოლისა და სავაჭრო ცენტრის შენობები. სავაჭრო ჰოლში უალკოჰოლო სასმელების ფაბრიკანტების თავშეყრა იყო განზრახული. რა თქმა უნდა, შეიძლებოდა მათთვის დარბაზის დათმობა ეთხოვათ, მაგრამ ბრუნომ აღარ ინდომა მათი გაღიზიანება და ნაცრისფერი, ნაკლებმოსაწონი ქალთა ლიგის შენობა ირჩია. მისი აზრით, მშრომელ ხალხს სწორედ ეს მიიზიდავდა. ქალაქის მესვეურთ გუნება წაუხდათ. მათთვის, როგორც რესპუბლიკელებისათვის, კიდევ შეიძლებოდა გვერდის ავლა, მაგრამ აი, დემოკრატ-გუბერნატორ კონელისათვის ანგარიშის გაუწევლობა შეუძლებელი იყო. როგორც გამოირკვა, ქალთა ლიგის შენობის დაბალი ჭერი კონელს ხელს შეუშლიდა ერთი ჩანაფიქრი განეხორციელებინა. გუბერნატორს სურდა დალასსა და ოსტინში საპატიო სტუმართა მაგიდები სხვადასხვა სიმაღლეზე ყოფილიყო განლაგებული. პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი და გუ-

ბერნატორი, სხვა მაგიდებთან შედარებით მომაღლოდ მდგარ მაგიდას მიუსხდებოდნენ. ოფიციალური პირები, არცთუ ისეთი მაღალი რანგისა, როგორიც მაგალითად, შტატის უხუცესი სენატორი იყო, ცოტა ქვემოთ დასხდებოდნენ — შესაბამისად ნაკლებ საპატიო მაგიდებთან. ყოველივე ამის შედეგად იარბოროო, რასაკვირველია, დამცირებული აღმოჩნდებოდა.

ბრუნო უფლებამოსილი გახლდათ ადგილზეკე გამოეტანა საბოლოო გადაწყვეტილება. შემდეგ, იგი საოცრად იტანჯებოდა აკვიატებული აზრისაგან, ქალთა ლიგის შენობა რომ დამეჭირა, ავტომობილების კორტეჟი სკოლის სახელმძღვანელოების შენობას არ ჩაუვლიდაო. პირველ ნოემბერს შენობის საკითხი ბრუნომ ვერ გადაწყვიტა და იგი ღიად დარჩა ფარული სამსახურის აგენტის უინსტონ ჯ. ლოუსონის ჩამოსვლამდე, რომელიც დალასში ერთი კვირის მოგვიანებით, დასაზვერად იქნა გამოგზავნილი. საიდუმლო სამსახურმა უსაფრთხოების თვალსაზრისით უპირატესობა ქალთა ლიგის შენობას მისცა, ვინაიდან სავაჭრო ცენტრს თექვსმეტი ძნელად დასაცავი შესასვლელ-გასასელელი ჰქონდა. საბოლოოდ, ვარგისად მაინც ორთავე შენობა აღიარეს და საკითხი თეთრი სახლის წინაშე დასვეს, თუმცა იქაც კონელის დამაშოშმინებელი პოლიტიკა ეჭირათ. 14 ნოემბერს ო'დონელმა სავაჭრო ცენტრის შენობას დაუჭირა მხარი. რაც შეეხება ოსტინს, იქ კონელს სხვა ფანდის დაგება ჰქონდა განზრახული. გუბერნატორის რეზიდენციაში მიღებას გაუმართავდა პრეზიდენტს, სენატორ იარბოროს კი საერთოდ არ მიიწვევდა.

ასე რომ, პრეზიდენტის მოგზაურობის წარმატება კონელის წინასწარ გამიზნულმა საქციელმა მისი ვაშინგტონიდან გამომგზავრებამდე დააყენა ეჭვის ქვეშ. კონელი უზარმაზარ ქსელს ხლართავდა და უნდა ითქვას, გამჭრიახადაც. პარადოქსალურია, მაგრამ იგი უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში მთელი სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების ცენტრში მყოფ თვით ჯონ კენედისაგან იღებდა მაგალითს. სხვაობა ის იყო, რომ კენედი არასოდეს ცდილა ვინმეს განდევნასა და მისი ადგილის დაჭერას. ტეხასის იმ მმართველ წრეში, რომელსაც გუბერნატორი წარმოადგენდა, არავინ იყო ისეთი, ვისაც 1960 წელს კენედისათვის დაეჭირა მხარი. ამ უკანასკნელთა უკმაყოფილების გამოძახილი პრეზიდენტის ყუ-

რსაც მისწვდა. 20 ოქტომბერს, სწორედ იმ დროს, როცა რეზიდენციაში გამარჯვებულმა მოსამართლეთა მიღებამ აპოგეას მიაღწია, ოთხ სახლში სან-ანტონიოდან გამოგზავნილი დეპეშა მოვიდა, დეპეშას სამი ლიბერალი აწერდა ხელს, ისინი გამოთქვამდნენ იმედის გაცრუებას ბექსარის საგრაფოში პრეზიდენტის მეტისმეტად ხანმოკლე უიზიტის გამო. ამ საგრაფოში მიიღო კენედიმ მთელ ტეხასში ყველაზე მეტი ხმა რესპუბლიკელ ნიქსონთან შედარებით.

ერთადერთი ქალაქი, სადაც ყველაფერი შეუფერხებლად მიდიოდა, ჰიუსტონი იყო. შტატის სხვა ქალაქებში შეიმჩნეოდა უკმაყოფილებანი. ზოგან იგი მართლაც გარდუვალი ჩანდა. სახელმწიფოს მეთაურს სამოგზაურო დრო მეტისმეტად შეზღუდული ჰქონდა. ბრაუნსვილის, სან-ბანიტოს, კორპუს-კრისტისა და ფრიპორტის მცხოვრებნი ვერასოდეს გაიგებდნენ, რატომ არ შეეძლო პრეზიდენტს მათთვის რამდენიმე საათის დათმობა. ყველაზე მეტს, კონელის ტაქტიკით გულნატკენი, კენედის მომხრე ხალხი ხმაურობდა. მათ არაფერი უწყოდნენ სენატორ იარბოროს მძიმე მდგომარეობისა. იცოდნენ მხოლოდ, რომ ტეხასში ჩამოდიოდა პრეზიდენტი, რომლის მიღება-გამასპინძლება-გასტუმრებას ძირითადად რესპუბლიკელები და განდგომილი დემოკრატები აპირებდნენ. თუნდაც იმ ერთი ამბის გათვალისწინება, რომ შტატის მთელი 254 საგრაფოს მოსახლეობის ნახევარზე მეტი მხოლოდ ექვს ქალაქში ცხოვრობდა, ყველაფერს ჩრდილავდა და ფარავდა. ტეხასის საავტომობილო გზებზე ორდღიანი დაძაბული მოგზაურობის დროს კენედი დაახლოებით მილიონ ამერიკელს მიესალმებოდა, ვაშინგტონში დაბრუნებულს კვირასვე სამხრეთ-ვიეტნამში აშშ-ის ელჩი ჰენრი კებოტ ლოჯი უნდა მიეღო, ორშაბათს კანცლერ ერჰარდის პატივსაცემად გამართულ ოფიციალურ სადილს დაესწრებოდა, ხოლო სამშაბათს კონგრესის წევრებს შეხვდებოდა და მათთან ისაუბრებდა, მოკლედ, რომ ვთქვათ, მანამ, ვიდრე თავის ვალდებულებათა შესანიშნავ ტყვეობას დაუბრუნდებოდა.

დადგა დრო მოპატიჟებულ მოსამართლეთა დაბლა ჩასვლისა. პრეზიდენტი სარწეველა-საკარძლიდან წამოდგა და ხელით ანიშ-

ნა. შეუმჩნეველად შემოსულმა საზღვაო ქვეითი ჯარების კაპიტანმა წყნარი ხმით უბრძანა სადღესასწაულო ფორმაში გამოწყობილ ორ რიგით ჯარისკაცს, კიბესთან მიეტანათ ამერიკის შეერთებული შტატების ზოლიან-ვარსკვლავიანი სახელმწიფო დროშა და პრეზიდენტის ოქროთი გაწყობილი ლურჯი ალამი. პრეზიდენტიც იმავე მიმართულებით წავიდა. მის უკან მიმავალი სამი სამხედრო ადიუტანტი თითოეულ სტუმარს პროცესიაში მსვლელობის თანამიმდევრობას უსაზღვრავდა. წინ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე უორენი მიდიოდა, მას გოლდბერგი მისდევდა. სულ ბოლოს იუსტიციის მინისტრი რობერტ კენედი მიდიოდა. ორკესტრი სამხედრო მარშს უკრავდა, მერე იგი დოლის რაკარუკმა და ფანფარის ხმებმა შესცვალა. ბოლოს კი გაისმა ჩქარი ტემპით შესრულებული ძველი შოტლანდიური მელოდია „დიდება ბელადს".

„სმენაზე" გაუნძრევლად იდგა პრეზიდენტის ადიუტანტი ავიაციის დარგში ბრიგადის გენერალი გოდფრი მაკჰიუ. მან ჩუმი მზერა ესროლა პრეზიდენტს, მაგრამ ჟესტით არაფერი გამოუსატავს: მაკჰიუს სურდა, პრეზიდენტს არ დავიწყებოდა, რომ მისდამი პატივისცემის გამოხატვის დამთავრებამდე თვითონაც გაუნძრეველად მდგარიყო. ყველა იმ პრეზიდენტთაგან, ვისაც კი იგი ემსახურებოდა, მხოლოდ ეს ერთი არ ჩერდებოდა დროშასთან.

გაისმა დოლის ცემა. ყველაფერი დამთავრდა. როგორც კი თავისუფლება იგრძნო, ბელადი აღმოსავლეთის დარბაზში შევიდა და ხალხში გაერია — სასამართლოს წვრილ ჩინოვნიკთა საზოგადოებაში. პრეზიდენტი და პირველი ლედი ფრთხილად იკვლევდნენ გზას მწვანე, ცისფერ და წითელ დარბაზებში თავშეყრილ საოცრად აღგზნებულ, აქოთქოთებულ ადამიანებს შორის.

განსაკუთრებულად მისაღწევი დღეს პრეზიდენტს არა ჰქონდა რა. აქ მისი ერთგული ხალხი იყო მოსული. ისინი მისი მეგობრები იყვნენ და პრეზიდენტს ჭეშმარიტად სურდა, მის სახლში დრო მხიარულად გაეტარებინათ. ამასთან ერთად პრეზიდენტს ჰქონდა ნამდვილი პოლიტიკური მოღვაწის თვისებები. ადამიანებს უყვართ, როცა ამჩნევენ, სიამოვნებთ, როცა ახსოვთ მათი სახელები. დიახ, კენედიმ იცოდა ეს. ჰოდა აი, პრეზიდენტი გაუჩერდა თეთრ სახლში მიღებაზე პირველად მყოფ ფოსტისა და კავშირგაბმულობის ახალდანიშნულ მინისტრ ა. გრონუსკს. იგი გამოესაუბრა ფინანს-

თა მინისტრ დუგლას დილონსაც. პასუხად დუგლას და ფილისს დილონებისაგან ქათინაურიც მიიღო. შესანიშნავად გამოიყურებითო, უთხრეს. მერე დილონმა დასძინა:

— გამარჯობათ და ნახვამდის. ჩვენ იაპონიაში მივემგზავრებით.

— ვიცი, — უპასუხა კენედიმ და უგემურად გაიღიმა. — თქვენ იაპონიაში მიემგზავრებით, მე კი ტეხასში. ო, ღმერთო, რა დიდი სიამოვნებით გაგიცვლიდით ადგილებს,—დაუმატა მან და ამოიოხრა.

საბანკეტო დარბაზში პრეზიდენტს საუზმე და ჭიქა პუნში ელოდებოდა. მან სწრაფად გაიარა ის დარბაზიც და თავის კაბინეტში დაბრუნდა. სათვალემომარჯვებული პრეზიდენტი მთელი საათით ჩაუჯდა საზღვარგარეთიდან მოსულ დეპეშებს. პირველი ლედი ბანკეტზე ცოტა მეტხანს გაჩერდა, მერე კი რობერტ (ბობი) და ეტელ კენედებთან ერთად მაღლა ავიდა.

ტეხასში ინტერესით მიედევარ და წინასაარჩევნო კამპანიაშიც მივიღებ მონაწილეობასო, — უთხრა ჟაკლინმა მაზლს. ბობისა და ეტელის წასვლის შემდეგ ჯონმა და ჯეკიმ მოგვიანებით ისადილეს. მათი რამდენიმე სატელეფონო საუბარი მხოლოდ მეგობრებსა და ნათესავებს ეკუთვნოდათ: წაიკითხეს მშობლების წერილებიც. მხიარულად გაგეტარებიოს დრო ტეხასშიო, — წერდა ჟაკლინს დედა. დაახლოებით ასეთივე შინაარსისა იყო დედამთილის წერილიც. ნიუ-იორკში ვიყავი, ათასგვარ ხალხს შევხვდი. პრეზიდენტის მიერ ნიუ-იორკში საპოლიციო დაცვაზე უარის თქმას ხალხის დიდი მოწონება გამოუწვევიაო, — იწერებოდა პრეზიდენტის დედა.

1963 წლის 20 ნოემბრის, იმ საღამოს ერთადერთი, ასე ვთქვათ, გარე საუბარი სახელმწიფო მდივნის მოადგილის ჯორჯ ბოლის სატელეფონო ზარი გახლდათ. ევროპაში რამდენიმე თათბირის[1] მო-

---

[1] სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯორჯ ბოლი 1963 წლის ნოემბერში ბონს. ბერლინსა და პარიზს ეწვია. დასავლეთ გერმანიისა და ინგლისის მეთაურებთან შეხვედრებში, ისევე როგორც 18 და 19 ნოემბერს პარიზში გამართულ ნატოს საბჭოს სხდომებზე ჯორჯ ბოლი აშშ-ის მოკავშირეებზე გავლენის მოხდენას ცდილობდა. თხოვდა აღნიშნულ სახელმწიფოებს ხელახლა განეხილათ თავიანთი საგარეო პოლიტიკა სოციალისტურ ქვეყნებთან დაკავშირებით. ამერიკის შეერთებულ შტატებს სურდა აეძულებინა მოკავშირეები ხელი აეღოთ საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან ვაჭრობის გაფართოების განზრახვაზე. ინგლისისა და იტალიის მთავრობებმა ამ საკითხში მხარი არ დაუჭირეს ვაშინგტონს, რის გამოც ბოლის მისია დასავლეთ ევროპაში წარუმატებლად დამთავრდა.

ნაწილე ბოლი ის იყო ვაშინგტონში ჩამოფრინდა. აშშ-ში დაბრუ-ნებული ბოლი თავისთავად ხდებოდა სახელმწიფო მდივნის მოვა-ლეობის შემსრულებელი. ჰოდა, ამიტომაც 21 საათსა და 20 წუთ-ზე პრეზიდენტს მოახსენა — ჩამოვედი და თქვენს განკარგულება-ში ვარო. პრეზიდენტმა გაკვრით გააცნო ის რამდენიმე საკითხი, გართულების საშიშროებას რომ ქმნიდა. ბოლიმ აღუთქვა, მიეხედა ამ პრობლემებისათვის.

— ჰოდა კეთილი, — უთხრა პრეზიდენტმა — მე ტეხასიდან კვი-რას დავბრუნდები, თქვენ კემპ დევიდში ჩამოდით. იქ კებოტ ლო-ჯი იქნება და ერთად მოვითათბიროთ. პრეზიდენტმა ყურმილი და-დო და მეორე სართულზე ავიდა.

სტუმრები ცეკვავდნენ. კაცმა რომ თქვას, ამისათვისაც იყო გა-მიზნული აღმოსავლეთის დარბაზი. მისი სრული სახელწოდება — აღმოსავლეთის სამეჯლისო დარბაზი — და კენედის მომხრე იქ მო-ცეკვავე ახალგაზრდა კავალრები თავიანთი ელეგანტური მანდი-ლოსნებით, მართლაც რომ კარგად ერწყმოდნენ ერთმანეთს. მათ-თვის ამ ცეკვებში არაფერი იყო განსაკუთრებული. ბედნიერი მო-მავალი ათასი ასეთი საღამოს იმედს იძლეოდა. სანთლით გაპრია-ლებულ პარკეტზე ტუსტეპის მხიარულად მოცეკვავე საიდუმლო სამსახურის აგენტებს ოდნავი ეჭვიც არა ჰქონდათ, რომ სწორედ ამ იატაკზე, ახლა რომ საცეკვაო პირუეტებს აკეთებდნენ, სამი დღის შემდეგ პრეზიდენტის ცხედარს დაასვენებდნენ. იმ პრეზი-დენტისას, ვისი დაცვის ფიციც ჰქონდათ დადებული. დიახ, ისინი თავიანთ სიცოცხლესაც კი გასწირავდნენ საყვარელი პრეზიდენ-ტისათვის, მაგრამ რომ არა იცოდნენ რა! უბედურებას არაფერი მოასწავებდა. ცეკვის ეშხზე მოსული ოფიცრები დარბაზში ლა-ღად ტრიალებდნენ იმ დროს, როცა, ზემოთ, ოთახში უკვე ეძინა კაცს, ვინც კონსტიტუციის ძალით მათი მთავარსარდალი იყო. ის-ტორიაში ყველაზე ძლიერმა სამხედრო ძალებმაც ვერ შეძლეს კა-ტასტროფისათვის ხელის შეშლა.

* *

და მაინც...

ქსელი, რომელსაც ბედისწერა ხლართავდა, უხილავ ჩრდილებს ისროდა. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების მესამე რანგის კაპი-

ტანი ოლივერ ს. ჰალეტი მთელი ოთხშაბათი თეთრი სახლის ოპერატიულ განყოფილებაში იჯდა და პრეზიდენტისათვის ახალი დეპეშების გაშიფრვაზე მუშაობდა. ამ ახალმოსულ ცნობებში განსაკუთრებული არაფერი ყოფილა. მაგრამ თეთრ სახლში ყოფნა ამ კაცისა, რომელიც სამხედრო-საზღვაო ხაზით პრეზიდენტის თანაშემწის მოადგილე იყო, შეიძლება ბედის უცნაურ დაცინვად მიიჩნიოს კაცმა. ოლივერ ჰალეტი ამ პოსტზე სულ ახალი დანიშნული იყო და არც თვითონ და არც მისი მეუღლე მიღებაზე მიწვეული არ ყოფილან, მაგრამ მუხთალი ბედის კარნახით ისინი დაკავშირებული იყვნენ იმ უბედურებასთან, რაც ორმოცი საათის შემდეგ უნდა მომხდარიყო. თეთრ სახლში ჰალეტი ცხრა თვის უკან დაინიშნა. წინათ წყალქვეშა ნავზე მუშაობდა, კიდევ უფრო ადრე კი ისა და მისი მეუღლე მოსკოვში, ათსართულიან საცხოვრებელ სახლში მოთავსებულ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში მუშაობდნენ. მას იქ სამხედრო-საზღვაო ატაშეს პოსტი ეჭირა. ჰალეტის მეუღლე ჯოანი კი საელჩოს მისაღებში მუშაობდა. 1959 წლის ოქტომბრის თვის უკანასკნელ დღეს საელჩოს ჰოლში გამხდარ-გამხდარი, უცნაურთვალებიანი ახალგაზრდა შევიდა და ჯოან ჰალეტის მაგიდაზე თავისი მწვანე პასპორტი დააგდო. ტეხასური აქცენტით მოლაპარაკე ახალგაზრდამ ჯოანს მოახსენა, — უარს ვაცხადებ ამერიკის მოქალაქეობაზეო.

მისაღებში მომუშავე თანამშრომლებს არ ეხებათ ამდაგვარი საკითხები. იგი არც ატაშეს საქმეა. მაგრამ საელჩო მეტად მჭიდრო სამყაროა და ცოლ-ქმარმა ჰალეტებმა არაერთხელ ნახეს ელჩ ლუელინ ტომპსონთან თუ აშშ-ის საკონსულოს თანამშრომლებთან შეხვედრის მოსურნე გაცხარებული ჭაბუკი. კონსულებს ათასგვარი არგუმენტები მოჰყავდათ. მათი ამოცანა იყო, დაერწმუნებინათ პოტენციური გამქცევები, ხელი აეღოთ თავიანთ განზრახვაზე. დროთა ვითარებაში ჰალეტებმა მხედველობიდან დაკარგეს ახალგაზრდა. ჰალეტები ერთი ადგილიდან მეორეზე გადაჰყავდათ. ლუელინ ტომპსონთან ერთად, რომელიც 1962 წელს განსაკუთრებულ დავალებათა ელჩად დაინიშნა, ჰალეტები სამშობლოში დაბრუნდნენ. ჰალეტი პრეზიდენტის ოფიციალური გარემოცვის წევრი გახდა და პენსილვანია-ავენიუზე № 1600-ში დაიდო ბინა. ჰალეტების ბავშვები სტოუნ-რიჯის სამრევლო სკოლაში დადიოდნენ რობერტ

ფ. კენედის შვილებთან და დისშვილებთან (სარჯენტ შრივერის ბავშვებთან) ერთად. ჰალეტები ხშირად იგონებდნენ მოსკოვს. იხსენებდნენ იმ ახირებულ ახალგაზრდასაც. ნეტა როგორ არის ის გამხდარი, უკმაყოფილო ჭაბუკიო ცოცხლად ედგათ თვალწინ მისი ქედმაღლური, უცნაურად დაძაბული გამოხედვა. ისიც ახსენდებოდათ, როგორ აიტაცებდა ხოლმე მაგიდიდან ნიუ-იორკის გაზეთ „ჰერალდ ტრიბუნს" და როგორი გატაცებით ნთქავდა მის ყოველ სტრიქონს. ჰალეტებზე ამ ყმაწვილმა უსიამოვნო, მაგრამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა. მათ კარგად დაამახსოვრდათ ამ კაცის გარეგნობაცა და სახელი და გვარიც — ლი ჰარვი ოსვალდი, თუმცა მასზე უკვე კარგა ხანია არაფერი გაეგონათ. მათი აზრით, იგი, ალბათ, ისევ საბჭოთა კავშირში იყო.

მაგრამ...

ოსვალდი რუსეთში აღარ იყო. მან საკონსულოს აცნობა, — გონს მოეგე, აქ ყოფნა აღარ მინდაო. სახდეპარტამენტიდან ფული ისესხა და 1962 წლის ივნისში ახალგაზრდა, თვალმარდი რუსი მეუღლითა და მცირეწლოვანი ქალიშვილით ტეხასში დაბრუნდა. ოსვალდის შემდგომ საქმიანობას უდიდესი ინტერესით იკვლევდნენ მისი სიკვდილის შემდეგ. მის გარშემო არსებული ყველა წვრილმანის გაცხრილვისას დარჩა ორი არსებითი ფაქტი: მარცხზე მარცხის განცდა და ბოლოს მაინც დალასში დაბრუნება.

ყველა გაუგებრობის დიდი ნაწილი აიხსნება მისი პრეტენზიებით პოლიტიკური რწმენის სფეროში. ოსვალდს მოსწონდა თავის მარქსისტად გასაღება. სინამდვილეში კი მას უფრო ნაკლები იდეალები ჰქონდა, ვიდრე კატას. გონების გამოფხიზლების მომენტებში ამას თვითონვე აღიარებდა. იგი წინააღმდეგი იყო დემოკრატიისა, კომუნიზმისა და საერთოდ ამქვეყნად ყველაფრისა. ჯერ კიდევ ამერიკაში დაბრუნებამდე დაწერილ ავტობიოგრაფიულ მონახაზში იგი წერდა: „ჩემი ხასიათის ცუდ თვისებად ვთვლი უპატრონობით გამოწვეულ სწრაფვას და დამოუკიდებლობისადმი"! (Sic!). უკან, შინისკენ გამომგზავრებისას საკუთარ თავს ეკითხებოდა, რა მოხდება, რომ ვინმე (ეტყობა, თვითონ) „ადგეს და განაცხადოს, რომ იგი წინააღმდეგია არამთუ მთავრობისა, არამედ თვით ხალხისა. წინააღმდეგია მთელი ქვეყნისა და მისი სოციალობის ყოველგვარი საფუძვლისა. მე ბევრი გამიგია და წამიკითხავს ამერიკანიზ-

მის აღორძინებაზე ამერიკაში და არა ულტრამემარჯვენული ტიპისა, უფრო თავაზიანი, გარეგნულად არაამერიკული, ვთქვათ ისეთისა, როგორსაც „ამერიკა — უპირველეს ყოვლისა"[1] ან „თავისუფლების ფონდის"[2] ჯგუფთან ვხვდებით. მაგრამ თვით ამ უფორმო, პატრიოტული ჟესტების საფარქვეშ არსებობს ამ ძვირადღირებული ღონისძიების სულისჩამდგმელთა მიერ დამალული ნაჯახი. ვის უნდა მივმართო მე? ურცხვ, გონებაშეზღუდულ ოპორტუნისტებს, ორივე სისტემის წარმომადგენლებს, სინამდვილეს მოწყვეტილ ჰეგელიანელ იდეალისტებს, რელიგიურ ჯგუფებს, რევიზიონისტებს და ოპსურდულ ანარქიზმს? არა!"

ეს ბოდვა დადასტურებაა იმისა, თუ როგორი უმიზეზო სიძულვილით შეპყრობილი კაცი იყო ოსვალდი. ამ ბოდვაში პოლიტიკური მრწამსის ძებნა ნიშნავს ძელის ძებნას პოლიპში. იგი მაინც გაიქცა რუსეთში. მისი ცხოვრების ხასიათი იქ და, ბოლოს, უცნაური საქციელი შინ დაბრუნების შემდეგ, გამოძიების ფედერალური ბიუროს (გფბ) გაძლიერებული მეთვალყურეობის საგნად იქცა. როგორც ამას გამოძიების ფედერალური ბიუროს ინსტრუქცია მოუწოდებდა, აგენტები ფსიზლად ყოფილიყვნენ, თუ ვინიცობაა, „პრეზიდენტზე შესაძლებელი თავდასხმის" საშიშროების გამო რაიმე ცნობა მოვიდოდა. მოსალოდნელი იყო, რომ დალასის 75 კაცისაგან შემდგარი გფბ-ს განყოფილება ოსვალდის თაობაზე რაიმეს აცნობებდა საიდუმლო სამსახურის ხუთკაციან ადგილობრივ განყოფილებას, მაგრამ ამდაგვარი არაფერი მომხდარა. ოსვალდის დოსიე გფბ-ს აგენტს ჯეიმს პ. ჰოსტი-უმცროსს ებარა. იგი გახლდათ „ნოტრ დამის" კოლეჯდამთავრებული, ჯონ კენედის აშკარა თაყვანისმცემელი, ოდნავ ჩასკვნილი, ბოხი ხმის პატრონი ოცდათხუთმეტი წლის კაცი. 1963 წლის 4 ნოემბრიდან ჰოსტისათვის ცნობილი იყო, რომ ოსვალდი ჰიუსტონ-სტრიტისა და ელმსტრიტის კუთხეში მდებარე სასკოლო სახელმძღვანელოების ტეხასის საწყობში მუშაობდა. ეს საწყობი გახლდათ ხელსაყრელი

---

1 „ამერიკა — უპირველეს ყოვლისა" — 1940-41 წლებში არსებული იზოლაციონისტების კომიტეტი, რომელიც ამერიკის ომში ჩაბმის საწინააღმდეგო კამპანიას ატარებდა.

2 „თავისუფლების ფონდი" — ულტრამემარჯვენე ანტიკომუნისტური ორგანიზაცია.

ადგილი სნაიპერის ჩასასაფრებლად, ფრიად სახიფათო წერტილი კორტეჟის გასავლელ გზაზე. დაგეგმილი მარშრუტის თანახმად, კორტეჟს სწორედ საწყობის ფანჯრების წინ ზიგზაგურად უნდა მოეხვია. მსროლელს შეეძლო ნიშანში ამოეღო პრეზიდენტის მანქანა, ჯერ კიდევ შენობასთან მოახლოვებამდე. დაეცადა, ვიდრე იგი მთელ ვირაჟს დაასრულებდა და ესროლა მაშინ, როცა მოსახვევიდან გამოჩნდებოდა. მაგრამ ჰოსტს თავი არ შეუწუხებია ამგვარი დაზუსტება-შეპირისპირებით. მას მარშრუტის თაობაზე ოფიციალური შეტყობინება არ მიუღია, და როცა ადგილობრივმა გაზეთებმა მარშრუტის რუკა გამოაქვეყნეს, მას მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა — შეძლებდა თუ არა იგი, ჯიმ ჰოსტი, კენედისათვის თუნდაც ერთი წამით თვალის შევლებას.

ხუთი თვის შემდეგ ჰოსტმა შემდეგი განაცხადა: როცა რუკაზე ვნახე, რომ მანქანა მეინ-სტრიტზე გაივლიდა, მე მხოლოდ იმაზელა ვფიქრობდი, სად შევძლებდი მის დანახვას, გამიღიმებდა კი ბედი?

საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლებს კი თვალი უნდა სჭეროდათ ამ შენობაზე, ყველა ვითარებაში მეთვალყურეობის გარეშე არ უნდა ყოფილიყო [1].

მაგრამ მათ ეს არ გააკეთეს.

ტეხასში წინასწარ გაგზავნილმა საიდუმლო სამსახურის აგენტმა ლოუსონმა 18 ნოემბერს პრეზიდენტის კორტეჟის მარშრუტით იმოგზაურა. მასთან ერთად იყვნენ დალასის პოლიციის უფროსი ჯეს კარი და დალასის საიდუმლო სამსახურის მთავარი აგენტი ფორესტ სორელზი. ამ სამთაგან მხოლოდ სორელზი ტოვებდა შედარებით დარბაისელი კაცის შთაბეჭდილებას. გამხდარი, წელში მოხრილი, გამჭოლად მზირალი გამოცდილი პოლიციელი სორელზი წარმოშობით რედ-რივერიდან იყო. ერთხელ ტუსკონში მას ცნობილ ბანდიტ ჯონ დილინჯერთანაც მოუხდა შებმა და მისთვის წართმეული ფულის დათვლაც დასჭირდა. 1935 წელს იგი სს-ში იწყებს მუშაობას. ასე ეძახდნენ ახალგაზრდა აგენტები ახლანდელ

[1] საიდუმლო სამსახურის გენერალურმა ინსპექტორმა მაიკლ ჟ. ტორტინამ ჯერ კიდევ 1961 წელს აცნობა ამ წიგნის ავტორს, რომ ყველგან, სადაც კი პრეზიდენტის კორტეჟი სელას შეანელებდა, გზის მთელი მონაკვეთი წინასწარ უნდა გასინჯულიყო.

საიდუმლო სამსახურს. სწორედ ეს სორელზი ახლდა ფრანკლინ რუზველტს, როცა პრეზიდენტმა დალასში რობერტ ე. ლის[1] ძეგლი გახსნა. მაშინაც ეს ქუჩები გაიარეს. ასე რომ, მას არ სჭირდებოდა შეხსენება სნაიპერების საშიშროებაზე, მანქანა კარის მიჰყავდა. და როცა მან ჰარვუდ-სტრიტზე შეუხვია, სორელზმა დალასის შენობების ზემო სართულებს შეავლო თვალი, თავისი კბილის ექიმის კაბინეტი დაიბახა და ხმამაღლა წარმოთქვა:

— დასწყევლოს ეშმაკმა, ცოცხალი სამიზნეები ვიქნებით, რა!

პრეზიდენტის კორტეჟის საკალ გზაზე ოცი ათასზე მეტი ფანჯარა გამოდიოდა. ცხადია, მათ არ შეეძლოთ ყველა ფანჯარასთან კაცის დაყენება. ამას მთელი არმია დასჭირდებოდა და კორტეჟიც თავის ადგილს დაჰკარგავდა. ამიტომაც ფანჯრები საერთოდ არ გაუსინჯავთ. როცა პოლიციის მანქანამ მეინ-სტრიტიდან ჰიუსტონ-სტრიტზე შეუხვია, ლოუსონმა იკითხა, რას წარმოადგენს ტეხასის სახელმძღვანელოების საწყობი. კარიმ და სორელზმა აუხსნეს — ეს სასკოლო სახელმძღვანელოების ჩვეულებრივი საწყობიაო.

უნდა ვიფიქროთ, რომ გფბ-სა და საიდუმლო სამსახურის წარმომადგენლებმა ყველაფერი გააკეთეს, რის გაკეთებაც შეეძლოთ. იქნებ, კარის უწყება სწორად მოიქცა, როცა პარასკევ დღეს ოსვალდის საფარამდე ერთი კვარტალით აქეთ, ჰიუსტონ-სტრიტისა და მეინ-სტრიტის გაყოლებით ბრბოზე დაკვირვება შეწყვიტა. მათი აზრით, ამ პუნქტებიდან დაწყებული მოძრაობის ინტენსიურობა თანდათან იკლებდა. შესაძლოა, ზედმეტიც ყოფილიყო, საწყობის მახლობლად მდგარი დალასელი პატრულებისათვის, ნიუ-იორკელი პოლიციელების მსგავსად, ფანჯრებზე დაკვირვება მოგვეთხოვა. მაშინ ისინი ფანჯარაში თოფმომარჯვებულ კაცს დაინახავდნენ. იქნებ, ყველა პოლიციელმა შეასრულა კიდეც თავისი მოვალეობა. იქნებ გასროლის აცდენა შეუძლებელიც იყო. იქნებ, ახლა გვიანაა ამაზე ლაპარაკი.

და მაინც. და მაინც...

დაგვიანებულ მსჯელობებსაც აქვს თავისი აზრი. ყველაფერი ფარული, დროთა მსვლელობისას აშკარა ხდება. ერთ-ერთი საი-

---

[1] რობერტ ე. ლი — გენერალი, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო ომის დროს სამხრეთელთა ჯარებს სარდლობდა.

დუმლო გფბ-ს დოსიეში ჰოსტთან იმალებოდა, მეორე სორელზმა ინიშნა. ვინაიდან კაპიტანი ჰალეტი, 1963 წლის 20 ნოემბრის ოთხშაბათ საღამოს თეთრი სახლის აღმოსავლეთ ფრთაზე თავის კაბინეტში იმყოფებოდა, მესამე საიდუმლოც იქვე იმალავდა თავს. მეოთხე საიდუმლომ, იმავე საღამოს, მხოლოდ ცოტა მოგვიანებით, შეუმჩნევლად გაიელვა იუსტიციის მინისტრის სახლში, რომლის მისამართიც ჩეინ ბრიჯ-როუდ 4700, ვირჯინიის შტატი გაბლდათ.

თეთრ სახლში გამართულ მოსამართლეთა მიღების მსგავსად, არც აქ იგრძნობდით რაიმე ცუდის ნიშანწყალს. ძველებური სახლი, წინ დიდი საფოსტო ყუთი წარწერით „რ. ფ. კ ე ნ ე დ ი". შიგ, სახლში გულიანი მხიარულება სუფევდა. ზეიმობდნენ ოჯახის უფროსის დაბადების დღეს. რობერტ კენედის ოცდათვრამეტი წელი შესრულებოდა და საზოგიოდე უახლოეს მეგობარს მოეყარა თავი.

ამ ნადიმიდან დაბრუნებულ ერთ-ერთ სტუმარს, კენ ო'დონელს, მოსვენებას არ აძლევდა მეხსიერებაში ჩაჭედილი ორი დეტალი.

რამდენიმე დღის შემდეგ ამ შიშმა კვლავ გაახსენა თავი.

- ტელეხედვის კომენტატორის დევიდ ბრინკლის მეუღლემ ტეხასში არსებულ დაძაბულ ვითარებაზე ჰკითხა რაღაც, მაგრამ ჩვეულებისამებრ სიტყვაძვირმა ო'დონელმა ქალს არაფერი უპასუხა.

ცოტა მოგვიანებით თვითონ ბობმ ჰკითხა:

— თქვენ ნახეთ ბაირონ სკელტონის წერილი?

ო'დონელმა თავი დაუქნია. დიახ, მან ნახა ის წერილი.

* * *

დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წევრს ბაირონ სკელტონს მთელი თვე ტანჯავდა საშინელი წინათგრძნობა. თავისთავად ეს ამბავი უჩვეულო იყო, რადგან მოჭარბებულ მგრძნობელობას მას ვერავინ უსაყვედურებდა. ეს სამოც წელს მიღწეული კაცი საადვოკატო ფირმა „სკელტონი, ბროუმერი და კორტნის" უფროსი პარტნიორი და ტემპლის (ტეხასის შტატი) პირველი ნაციონალური ბანკის დირექტორი გახლდათ. წინათ მას ტემპლის სავაჭრო პალატის პრეზიდენტის პოსტი ეკავა. კოხტა შავი კოსტიუმი, ფუშფუშა ჭაღარა თმა და რბილი ტემბრი მას ნამდვი-

ლი რესპექტაბელური სამხრეთელის იერს აძლევდა. სამი წლის უკან მან დიდი როლი ითამაშა კათოლიკე კენედისა და დიდი ჰიუსტონის მოძღვართა ასოციაციის სკეპტიკურად განწყობილ პროტესტანტ მღვდლებთან ისტორიული შეჯახების ორგანიზაციაში. ჰიუსტონში გაწეული საქმიანობით სკელტონმა პრეზიდენტის პატივისცემა და მადლიერება დაიმსახურა. კენედის ახლაც მაღალ დონეზე უნდა გაეგეორებინა ტეხასის ქალაქებში თავისი მოგზაურობა, რითაც შტატის დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წევრ სკელტონს სიამაყისა და ზეიმის გრძნობა უნდა დაუფლებოდა.

სამწუხაროდ სკელტონს ასეთი რამ არ უგრძნია. პრეზიდენტის ტეხასში მოგზაურობის პროგრამა დალასში შეჩერებას ითვალისწინებდა, ხოლო ბოლო ხანებში ამ ქალაქებზე დაკვირვება სკელტონს სულ უფრო და უფრო მეტ შიშსა ჰგვრიდა. ყოველგვარი წამქეზებლური გამოხდომებით დალასში იმდენად იყო დაძაბული ატმოსფერო, რომ იგი ჭეშმარიტად შეძრწუნებული გახლდათ სკელტონის აზრით, ასეთ ვითარებაში ადვილად შეიძლებოდა შთაგონების ქვეშ იოლად მოსაქცევი, მერყეევი ადამიანის, ანუ როგორც თეოდორ ეძახდა, „უცნაური ტიპის", სამოქმედოდ შეგულიანება ჰოდა აი, სწორედ ამიტომ სკელტონმა 4 ნოემბერს ზომების მიღება გადაწყვიტა.

„გულახდილად უნდა გითხრათ, — მისწერა მან იმ დილით იუსტიციის მინისტრს, — ძალიან ვშიშობ პრეზიდენტის დალასში მომავალ ვიზიტთან დაკავშირებით". სკელტონს მოჰყავდა დალასში მცხოვრები ფრიად ცნობილი კაცის განცხადება, — კენედი არასასურველი პიროვნებაა თავისუფალი სამყაროსთვისო, სკელტონი წერდა,—კაცს, რომელსაც ასეთი რამ შეუძლია განაცხადოს, პრეზიდენტისათვის ვნების მიყენებაც არ გაუჭირდებაო. ბოლოს კი ასკვნიდა, რომ უკეთესად იგრძნობდა თავს, თუ პრეზიდენტის მარშრუტი დალასს ასცდებოდა. დაბეჯითებით ითხოვდა სერიოზულად განეხილათ ეს საკითხი და პრეზიდენტი დალასში არ ჩასულიყო

სკელტონი ამ წერილით როდი დაკმაყოფილდა. ორი დღის შემდეგ წერილი გაუგზავნა ჯონსონის მარჯვენა ხელად ცნობილ, უოლტერ ჯენკინსსაც. იგი ამ წერილშიც დალასთან დაკავშირებულ

შიშს გამოთქვამდა. ჯობია პრეზიდენტმა და ვიცე-პრეზიდენტმა ამოაგდონ დალასი თავიანთი მოგზაურობის პროგრამიდანო, — წერდა იგი ჯენკინსს. სკელტონმა არც ეს იკმარა და ერთი კვირის შემდეგ თავად გაფრინდა ვაშინგტონს, სადაც დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წევრებს ჯონ ბეილსა და ჯერი ბრუნოს შეხვდა. ბრუნოსთან ხანგრძლივი საუბრის დროს სკელტონმა დაწვრილებით აღწერა დალასის პოლიტიკური ატმოსფერო და დაუფარავად გამოთქვა თავისი შიში ამ ვითარების გამო.

— იქ საშიშია,—ისევ და ისევ იმეორებდა იგი.—წინასწარ აღებულ ვალდებულებათა მიუხედავად, პრეზიდენტმა დალასს გვერდი უნდა აუაროს.

სკელტონის ყოველმა ცდამ სრულიად უშედეგოდ ჩაიარა. იუსტიციის მინისტრი სკელტონს სერიოზულ კაცად იცნობდა, მაგრამ მისი წერილი 8 ნოემბერს მაინც ო'დონელს გაუგზავნა. ო'დონელმა კი სკელტონის ეჭვები უსაფუძვლოდ მიიჩნია. ჯენკინსისა და ბრუნოს აზრით სკელტონი უბრალოდ განაწყენებული იყო, რადგან ისა და ტეხასის წარმომადგენელი დემოკრატიული პარტიის ნაციონალურ კომიტეტში მისის ვაინერტი პრეზიდენტის თანმხლებ პირთა რიცხვში არ შეიყვანეს. დიახაც, მას ჰქონდა განაწყენების მიზეზი. კენედის მომავალ მოგზაურობასთან დაკავშირებით არც სკელტონისათვისა და არც მისის ვაინერტისათვის არაფერი უკითხავთ (ეს მათ მხოლოდ გაზეთებიდან გაიგეს). რაც პოლიტიკური ეთიკის უხეში დარღვევა გახლდათ. ყველაფრის მიზეზი, რა თქმა უნდა, გუბერნატორ კონელის დაჟინებული მოთხოვნა იყო, რომ თეთრი სახლი მხოლოდ მას შეთანხმებოდა. ბრუნო კიდევაც გამოუტყდა სკელტონს, ხოლო ჯენკინსმა თვით გუბერნატორთან მოლაპარაკება გადაწყვიტა. ის, რომ სკელტონს გვერდი აუარეს, შედარებით ნაკლები მნიშვნელობის ფაქტი გახლდათ, მაგრამ პრეზიდენტის სიცოცხლის უსაფრთხოება ხომ მაინც უნდა ყოფილიყო პირველხარისხოვანი მნიშვნელობის საკითხი. დიახ, ასე თვლიდა სკელტონი და ყოველნაირად ცდილობდა, რათა იგი სხვებისათვისაც ჩაეგონებინა.

თუმცა, თვით პრეზიდენტამდეც რომ მიეღწია სკელტონის ამ გამაფრთხილებელ ცნობებს, იგი დალასში მაინც გაემგზავრებოდა. ვიზიტთან დაკავშირებული განცხადება წინასწარ იყო გამოქვეყნე-

ბული. ქალაქი ელოდა პრეზიდენტს და ასე ნაგვიანევ ეტაპზე უკან დაბრუნება მეტად უხერხული იქნებოდა. დამალვა კენედის ბუნებისათვის უცხო რამ იყო. ჩერჩილის მსგავსად, ყველაზე მნიშვნელოვნად იგი მამაცობას თვლიდა, სხვა ყველაფერი თავისით მოვაო. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი — ყველა შტატის პრეზიდენტია, — მოაგონა მან საუბრისას კონგრესმენ ჰეილ ბოგსს. ყოველად დაუშვებელია, რომ იგი თუნდაც რომელიმე შტატში დაამინონ. პრეზიდენტის თანამდებობასთან არის დაკავშირებული მის პატივსაცემად ჰიმნის შესრულებაც და სიკვდილის მუქარაც. ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე კენედი ოფიციალურად შეუდგებოდა თავისი მოვალეობის შესრულებას, ერთმა გონებაარეულმა კაცმა, გვარად რიჩარდ პოლ პავლიკმა, საკუთარ ტანზე მავთულით მიიბა დინამიტიანი შვიდი კოჭი, რათა ახლად არჩეულ პრეზიდენტთან ერთად აფეთქებულიყო. კენედის პრეზიდენტად გახდომის პირველსავე წელს თეთრ სახლში ათასამდე მუქარის წერილი მოვიდა. ზოგი მართლაც შიშის მომგვრელი იყო, მაგრამ ყველა ეს წერილი, როგორღაც არარეალური ჩანდა, რადგან აღფრთოვანებულ ზღვა ხალხთან შეხვედრები სულ სხვაზე ლაპარაკობდნენ. ასე იყო შინ, ასე იყო საზღვარგარეთ. ყველგან, სადაც კი ჟაკლინ კენედი თავის ქმარს გაჰყოლია, მხოლოდ და მხოლოდ თბილ გრძნობათა საერთო აღიარების მოწმე გამხდარა. ქალს ისიც კი ვერ წარმოედგინა, რომ მის ქმარს ვინმე თუნდაც პამიდორს ესროდა.

კენედი, რა თქმა უნდა, გრძნობდა, რომ პრეზიდენტად ყოფნა საშიშროებასთან იყო დაკავშირებული. სახელმწიფოს ყველა მეთაურმა იცის, რომ იგი გარკვეულ რისკზე მიდის: „ასეთია პროფესიასთან დაკავშირებული რისკი", — თქვა იტალიის ხელმწიფემ, როცა 1897 წელს მკვლელის ხანჯალი აიცდინა (ეს ხელმწიფე მერე მაინც ტყვიით მოჰკლეს). სწორედ ამ შემთხვევის მაუწყებელმა საგაზეთო ამონაბეჭდმა აღაფრთოვანა კაცი, რომელმაც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უილიამ მაკინლი მოჰკლა.

— თუ კაცს იმის არ ეშინია, რომ დაიჭერენ, იგი პრეზიდენტის სიცოცხლესაც არ დაინდობს, — უთხრა ფრანკლინ რუზველტმა თავის მეუღლეს.

ეიზენჰაუერის აზრით, მისი მოკვლა შეეძლო ყველას, ვისაც სა-

კუთარი სიცოცხლე არად უღირდა. ჯონ ფიტჯერალდ კენედი ერთ ასეთ სასაცილო შემთხვევას იხსენებდა: ერთხელ კალიფორნიაში მოგზაურობისას ვიღაც მისმა თაყვანისმცემელმა ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე მისი მანქანისაკენ პატარა საშველი ქილეტი ისროლა. ჰოპ — და იგი პრეზიდენტსა და მის გვერდით მჯდარ დეივ პაუერსს შორის ჩავარდა.

— ვინმეს რომ შენი მოკვლა სდომებოდა, ახლა ცოცხალი აღარ იქნებოდი, — უთხრა პრეზიდენტმა პაუერსს.

ტეხასში გამგზავრებამდე ცოტა ხნით ადრე, პრეზიდენტმა თავის მეგობარ ჟურნალისტ ბარტლეტს შენიშვნა მისცა, როცა ვირჯინიაში სწრაფად მიმავალმა მანქანამ მათ მანქანას გაუსწრო:

— ეს არ შეიძლებოდა, ჩარლ, ხომ შეეძლოთ მოეკალი.

მართალია, პაუერსსაც და ბარტლეტსაც პრეზიდენტის ამ სიტყვებზე ნაძალადევად გაეცინათ, მაგრამ გუნებაში სულაც არ ეცინებოდათ.

პრეზიდენტის სიცოცხლის უსაფრთხოება საიდუმლო სამსახურის თითქოსდა ძლიერ და კომპეტენტურ ხელში იყო.

პრეზიდენტ მაკინლის სიკვდილის შემდეგ, ამ სამოცდაორი წლის მანძილზე, საიდუმლო სამსახური ლეგენდად იქცა. არავინ დაეჭვებულა, რომ ახლა, იქნებ, სწორედ ამ ლეგენდის ხარჯზე არსებობდა, რომ მისი ზოგიერთი მეთოდი უკვე უმოქმედო თუ მოძველებული გახდა. სინამდვილეში ეს მართლაც ასე იყო. ვაშინგტონის საზღვრებს გარეთ პრეზიდენტის ყოველი გამგზავრებისას საიდუმლო სამსახურის აგენტები დამოკიდებული იყვნენ ადგილობრივ საპოლიციო პერსონალზე. პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის დროს საიდუმლო სამსახურის უფროსი ფრანკ ვილსონი უურადღებით აკვირდებოდა, რამდენად ეფექტურად მუშაობდა ამერიკის შეერთებული შტატების თითოეული მსხვილი ქალაქის საპოლიციო აპარატი (სხვათა შორის დალასის საპოლიციო სამსახურს იგი ერთ-ერთ ყველაზე არაეფექტურ აპარატად მიიჩნევდა). მერე ეს პრაქტიკა უკუაგდეს. საიდუმლო სამსახური მუდმივად მხოლოდ ერთი ქალაქის — ნიუ-იორკის პოლიციაში იყო წარმოდგენილი. მაშინაც კი, როცა საიდუმლო სამსახურს ნილსონი ხელმძღვანელობდა, შიში სნაიპერების წინაშე ისეთივე მწვავე პრობლემა იყო. როგორც ახლა, 1963 წელს. მაგრამ რუზველტის საავტომობილო მგზავ-

რობების დროს საიდუმლო სამსახურის აგენტები მანქანის საფეხურებზე იდგნენ და პრეზიდენტს, ასე ვთქვათ, ცოცხალ ფარად ერტყმოდნენ. თანამედროვე მანქანებს ასეთი უძრავი საფეხურები აღარ შეესაბამებოდა, თუმცა საიდუმლო სამსახურს კიდევ ჰქონდა ერთი ასეთი მანქანა. დაბალსაჯდომიან თანამედროვე მანქანებზე ეს საფეხურები უაზრო რაღაც იქნებოდა. პრეზიდენტისათვის განკუთვნილი უძრავსაფეხურიანი უკანასკნელი მანქანა 1949 წელს გამოშვებული „ლინკოლნ კოსმოპოლიტენი" გახლდათ. 1953 წლის პირველ ივლისს იგი სხვა მანქანით შეიცვალა. შეკვეთით დამზადებულ „ლინკოლნს", რომელიც თეთრ სახლს 1961 წლის 14 ივნისს წარუდგინეს, ჰიდრავლიკური პატარა გვერდითი საფეხურები ჰქონდა. იგი მართვის ადგილიდან სიგნალიზაციით გამოიწეოდა. ვარაუდობდნენ, რომ ამ გამოსაწევ საფეხურებს ფეხის დასადგამად გამოიყენებდნენ. მაგრამ, სამწუხაროდ, საიდუმლო სამსახურის მიერ წარდგენილი კონსტრუქცია უვარგისი გამოდგა. საფეხურების გამოვარდნა ისეთი სისწრაფით ხდებოდა, რომ იქ მყოფი ადამიანების დაშავებას იწვევდა. ამიტომაც იგი ერთხელაც არ გამოუყენებიათ. ყოველივე ამის გამო საჭესთან მჯდარი მძღოლი მანქანაში მთავარი აგენტის როლში აღმოჩნდა. პრეზიდენტის მანქანის მძღოლს განსაკუთრებული კრიტიკული შემთხვევისათვის საჭირო სპეციალური მომზადება რომ გაევლო და საშიშროების პირველსავე სიგნალზე მანქანა მკვეთრად დაემუხრუჭებინა, იქნებ, მსროლელს ვეღარ მოეხერხებინა მეორე გასროლა. მაგრამ მძღოლს ასეთი მომზადება არა ჰქონდა. თანაც ისეთ ქალაქში, როგორიც დალასია, პრეზიდენტის მანქანის მძღოლი ყურადღებით უნდა მიჰყოლოდა მათ წინ მიმავალ მანქანას: მძღოლმა არამცთუ გზა არ იცოდა, არც არასოდეს გაევლო ამ ადგილებში.

1963 წლის 22 ნოემბერს დაცვის ძირითად ხაზად, მის გადამწყვეტ ფაქტორად აგენტთა რეაქციის სისწრაფე უნდა ქცეულიყო. მათი უნარი კრიტიკული სიტუაციის დროს მეყსეული რეაგირებისა. ამ უნარის შესაფასებლად არსებობს სტანდარტული გამოცდები. როგორც კი წითელი შუქ-ნიშანი აინთება, გამოსაცდელმა მუხრუჭს უნდა დააჭიროს. შედეგი აღიბეჭდება შკალაზე, რომელიც წამის მეათედებით ისაზღვრება... ამდაგვარ გამოცდებს სხვა პროფესიის პირებთან ერთად პერიოდულად გადიან რეაქტიულ თვით-

მფრინავთა პილოტებიც. სამწუხაროდ, იმ სხვებს შორის არ შედიოდა პრეზიდენტის დაცვა. მაგალითად, აგენტ კლინტ ჰილს არცა სმენია ამგვარი გამოცდების არსებობა. ახლაც, როცა ეს წიგნი იწერება, საიდუმლო სამსახურის მთავარი სამმართველოსათვის იგი კვლავ უცნობი ამბავია. თვით ექსპერტთათვისაც კი ადამიანის ფიზიოლოგიური რეაქციები სულმთლად ნათელი ვერ არის. თუმცა ცნობილია, რომ ეს რეფლექსები ნელდება და ქვეითდება ადამიანის ხანში შესვლასთან დაკავშირებით. ცხოვრების ჩქარ ტემპს კი შეუძლია მათი კიდევ უფრო შესელება. საიდუმლო სამსახურის სისტემაში ეს ტემპი, მართლაც, ფრიად დაძაბულია, ხოლო ამ სამსახურის ტრადიციები ითხოვდა, რომ კენედისთან ახლო პოსტებზე შედარებით ხანში შესული ადამიანები ყოფილიყვნენ. ბილ გრირი — დალასში პრეზიდენტის მანქანის მძღოლი ორმოცდათოთხმეტი წლის კაცი იყო, კენედის დაცვის უფროსი როი კელერმანი, რომელიც გრირის გვერდით დაჯდებოდა, ორმოცდარვა წლისა გახლდათ. უფრო ახალგაზრდა და მოქნილი აგენტები წინა მანქანაში უნდა მსხდარიყვნენ, ან, უკეთეს შემთხვევაში, პრეზიდენტის უკან მომავალ მანქანაში.

კანონით ჯონ ფ. კენედიზე ყოველგვარი თავდასხმის შემთხვევაში პასუხს დუგლას დილონი აგებდა (აშშ-ის პრეზიდენტ მაკინლის მკვლელობის შემდეგ კონგრესმა პრეზიდენტის სიცოცხლეზე პასუხისმგებლობა ფინანსთა მინისტრს დააკისრა). საიდუმლო სამსახური ამ სამინისტროს ეკუთვნოდა, მაგრამ დროთა მსვლელობაში იგი პრეზიდენტის პირადი პერსონალის განუყოფელი ნაწილი გახდა. პრეზიდენტის თანაშემწე ო'დონელი საიდუმლო სამსახურის აგენტებს შიკრიკებადაც კი იყენებდა. თვითმფრინავის დაჯდომისას ისინი დამსწრე საზოგადოებას ჰალსტუხის სამაგრ ქინძისთავებს ურიგებდნენ. ქინძისთავებზე სატორპედო კატარღა „პტ — 109“ გამოსახულება იყო ამოტვიფრული (ამ კატარღაზე მსახურობდა ჯონ კენედი ომის დროს).

წინასაარჩევნო კამპანიით დაინტერესებულ აგენტებს სიამოვნებდათ კიდეც ასეთი მონაწილეობა, მაგრამ, როგორც დაცვის მსახურნი, ისინი ხშირად განაწყენებულნი რჩებოდნენ. ლინკოლნის მსგავსად კენედიც უარს აცხადებდა ეცხოვრა გალიაში.

— როგორ მოხერხდება ამ კაცის დაცვა? — ჰკითხა კარდინალ

კაშინგს გაღიზიანებულმა აგენტმა, — პრეზიდენტის შვილის, ახალდაბადებული პატრიკის დასაფლაველისას.

ახალგაზრდა პრეზიდენტი ეიზენჰაუერზე აქტიური იყო და ხალხში ყოფნისაკენ ისწრაფოდა. „პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა და უშიშროების უზრუნველყოფა შეუძლებელია", — უთხრა ერთხელ ო'დონელმა საიდუმლო სამსახურის აგენტების ჯგუფის უფროსს ჯერი ბენს. საკმარისი იყო, პრეზიდენტისათვის თავს მოგეხვიათ ხშირი გაფრთხილება, რომ იგი ჯანყდებოდა. ცოლქმარი კენედების აზრით, საიდუმლო სამსახური ხშირად აჭარბებდა. ერთხელ ჟაკლინი პლაჟის მყუდრო ადგილას იჯდა. უეცრად სანაპირო დაცვის კატარღაში მყოფი აგენტები მოშორებით ნავში მჯდარ მეთევზეს ყვირილით მისცვივდნენ. დაცვის ასეთმა საქციელმა ქალი საოცრად გაანერვიულა. ამდაგვარ უტაქტო მოქმედებათა გამო პრეზიდენტი დიდ ანგარიშს არ უწევდა საიდუმლო სამსახურის მოსაზრებებს. ეს კი ნიშნავდა, რომ მას შეეძლო ცუდთან ერთად კარგი რჩევაც უყურადღებოდ დაეტოვებინა. მაგალითად, თავისთავად კარგი იყო, დაცვის აგენტები პრეზიდენტის „ლინკოლნის" ფართო ძარაზე რომ ადიოდნენ, როცა ბრბო კონტროლის დაკარგვით იმუქრებოდა, ცუდი კი მათი ერთთავად გვერდით ყოფნა გახლდათ. კენედის მობეზრდა ყოველ მოხედვაზე მის უკან ატუზული აგენტების ცქერა.

სიკვდილამდე ოთხი დღით ადრე, 18 ნოემბერს, პრეზიდენტმა ტამპაში (ფლორიდის შტატი) ყოფნისას აგენტ ბორინგს ციცად სთხოვა, მანქანას მოაშორე ეს „აივი ლიგელი[1] უქნარებიო". ბორინგი არ განაწყენებულა: პრეზიდენტს გაღიზიანება არ ეტყობოდა. კენედი საერთოდ კარგად ეექცეოდა დაცვის მუშაკებს. თუმცა, სამწუხაროდ, ზოგჯერ მათი საქციელისათვის მხოლოდ უტაქტობა შეიძლება გეწოდებინა. პრეზიდენტის ვენესუელაში ყოფნის დროს დაცვას პირადად იუსტიციის მინისტრი ადევნებდა თვალს. ამ მოგზაურობისას უზრუნველყოფილი იყო ასპროცენტიანი დაცვა, რასაც არავითარი უსიამო გრძნობა არ გამოუწვევია. ვენესუელაში

---

[1] „ა ი ვ ი ლ ი გ ი" — ამერიკის პრივილეგიური უნივერსიტეტების (ჰარვარდის, პრინსტონის, კოლუმბიის და სხვ.) კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა გაერთიანება.

განსაკუთრებული ვითარება სუფევდა და ჰეშმარიტადაც იზრუნეს პრეზიდენტის სიცოცხლის უსაფრთხოებაზე. კარაკასი ოდითგანვე მოუსვენარი, მშფოთვარე ადგილია და ასეთად რჩება დღესაც. აკი უთხრა კიდეც კენედიმ სენატორ ჰუბერტ ჰემფრის: ვენესუელის პრეზიდენტი ბეტანკური ყოველ მომენტში შეუძლიათ განგმირონო.

არავის, თვით ბაირონ სკოლტონსაც აზრად არ მოსვლია, რომ კენედის თავის ქვეყანაში უფრო მეტი საშიშროება ელოდა, ვიდრე ბეტანკურს. თუმცა ბევრი შიშობდა, რომ კენედი დალასში უსიამოვნებას ვერ ასცდებოდა. სკელტონი სხვებისაგან გამოირჩეოდა არა იმ შეშფოთებით, რასაც იგი ახლა განიცდიდა. არაფერ შეუპოვრობით. სწორედ იმ დროს, როცა სკელტონი დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის შტაბ-ბინაში რეკავდა. ევანგელიკური ეკლესიის მღვდელი ბილი გრეჰემი საერთო მეგობრის სენატორ სმაზერსის მეშვეობით ცდილობდა კენედისათვის პირადი შიში გადაეცა. დალასში არსებული განწყობილება ცნობილი იყო. იმავე კვირას პრეზიდენტის თანაშემწემ ჰოლბორნმა ორჯერ დაურეკა ლონდონის გაზეთ „სანდი ტაიმსის" კორესპონდენტ ჰენრი ბრენდონს და ურჩია, მონაწილეობა მიეღო პრეზიდენტ კენედის ტეხასურ მოგზაურობაში. ჰოლბორნი თავის წინადადებას ტეხასში მოსალოდნელი უსიამოვნებით ასაბუთებდა. ასე რომ, თეთრი სახლის რეკომენდაციით 22 ნოემბერს ბრენდონი დალასში მყოფი ერთადერთი უცხოელი კორესპონდენტი აღმოჩნდა.

პრეზიდენტის დალასში მოსალოდნელი ჩასვლის ცნობამ შეერთებულ შტატებში ფართო რეაქცია გამოიწვია. გაზეთის ყველაზე ზერელე მკითხველებმა, თვით იმ ადამიანებმაც კი, რომლებიც რუკაზე ამ ქალაქს ვერ მოგინახავდნენ, იცოდნენ, რომ დალასთან მთელი წყება საშიში ინციდენტები იყო დაკავშირებული. 1960 წელს, საარჩევნო კამპანიის დროს დალასელ დიასახლისთა გაფთრებული ბრბო ლინდონ ჯონსონს სულ ფურთხეა-ფურთხვით შეხვდა. ჰოდა ახლა, იმ ქალაქში ხელახლა გამგზავრების ვაფიქრებაზე ჯონსონის მეუღლე, ლედი ბიორდი, მუშტებს ნერვულად კრუნჩხავდა. სულ ახლახან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დღეს, კერძოდ, 24 ოქტომბერს, დალასში თავს დაესხნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელ ედლაი სტივენსონს.

მეორე დღეს პრეზიდენტის სპეციალურმა თანაშემწემ არტურ შლეზინგერ-უმცროსმა ვაშინგტონიდან სტივენსოს ლოს-ანჯელეს-ში დაურეკა და კენედის სახელით მძიმე ვითარებაში გამძლეობის გამოჩენა მიულოცა. საუბრისას სტივენსონმა შენიშნა, რომ იგი უკიდურესად შეშფოთებულია იმ სიძულვილით, რაც მან დალასში იხილა, თან სერიოზულ დაეჭვებას გამოთქვამდა, საერთოდ ღირდა თუ არა პრეზიდენტის იქით გამგზავრება. სტივენსონი ითხოვდა მისი აზრი პრეზიდენტისათვის გადაეცათ, როცა შლეზინგერმა ყურმილი დადო, შეყოყმანდა: ვერ გადაეწყვიტა, მოეხსენებინა თუ არა სტივენსონის მოთხოვნა. მოგზაურობა, რა თქმა უნდა, გეგმის მიხედვით განხორციელდება. ო'დონელი კი სტივენსონის მოქმედებას კიდევ ერთხელ ფაცი-ფუცა, ხანში შესული კაცის საქციელად ახსნის. უსაფუძვლოდ გაფუჭდება ურთიერთობა პრეზიდენტსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში მის წარმომადგენელს შორის. შლეზინგერი ჯერ კიდევ ყოყმანობდა, როგორ მოქცეულიყო, რომ კვლავ ზარის ხმა გაისმა. ტელეფონთან სტივენსონი იყო. მან რატომღაც უკან წაიღო თავისი მოსაზრება. შლეზინგერმა კი ასე იფიქრა, — ალბათ, უფრო ღრმად შეაფასა ვითარება და დალასიდან მოშორებულმა უფრო სწორ ასპექტში დაინახა ყველაფერიო.

საქმე კი სწორედ პირუკუ იყო. სტივენსონი ადგილზე ყოფნისას, ალბათ, უფრო მართებულად აფასებდა შექმნილ ვითარებას. ახლა უკვე ძნელია ამაზე მსჯელობა, რადგან ყველას, ვინც კი ამ გამაფრთხილებელ ნიშანს იძლეოდა, მომხდარმა ტრაგედიამ თავისი დაღი დააჩნია. ერთი თვისება კი მაინც ყველას საერთო ჰქონდა: რაც უფრო ახლოს იცნობდა დამკვირვებელი დალასს, მით უფრო დიდი იყო მისი შეშფოთება. მთავრობის მეთაურის შოფერი, წარმოშობით ირლანდიელი ბილ გრირი, როგორღაც მშვიდად იყო. მისი აზრით, უცხოელებით სავსე საზღვაო პორტებში ჩასვლა უფრო დიდ რისკთან იყო დაკავშირებული, ვიდრე ავტომანქანით ქვეყნის შიგნით მოგზაურობა. საიდუმლო სამსახურისათვის დალასი მძიმე რეპუტაციის ქალაქი იყო. ვიცე-პრეზიდენტთან დაახლოებულ პირებს ისიც კი არ გააკვირვებდათ, რომ დემონსტრაციის ობიექტად თვითონ ჯონსონი ქცეულიყო. თუმცა, საიდუმლო სამსახურის ძველმა აგენტებმა გამოცდილებით იცოდნენ, ადგილობრივი მოსახლეობა პრეზიდენტის ვიზიტს საკუთარ პატივისცემად ჩათვლიდა და ეს გრძნო-

ბა დაჯაბნიდა, უკანა პლანზე გადასწევდა პოლიტიკურ მრწამსს. დალასის რეპუტაციის კარგად მცოდნე მრჩევლებს — ფინანსთა მინისტრ დუგლას დილონს, სპეციალურ მრჩეველს თეოდორ სორენსენს, სელინჯერის თანაშემწეს მალკოლმ კილდაფს მიაჩნდათ, რომ საქმე სულაც რამდენიმე გამკიცხავი შეძახილით დამთავრდებოდა. რაც შეეხება ტეხასში მცხოვრებ დემოკრატ-კონგრესმენებს — გონზალესს, ტიგს და რაიტს ამ მოგზაურობის პერსპექტივები უფრო ავბედითად ესახებოდათ. ისინი პლაკატებიან მოპიკეტეებს თუ ლაყე კვერცხების სეტყვას მაინც ელოდნენ. წრიალი აუტყდა კაპიტოლიუმში ტეხასის შტატის წარმომადგენელ დემოკრატიული პარტიის პატარა ჯგუფს. სენატორმა ჯონ ტაუერმა უარი თქვა 22 ნოემბერს დალასში მიწვევაზე, ხოლო კონგრესმენმა ბრიუს ელჯერმა, გააუქმა მის საპატივცემულოდ დალასის სასტუმრო „მარიუტში" განზრახული ბანკეტი. საკუთარ სახლში მყოფი ტეხასელები კიდევ უფრო მეტად ნერვულობდნენ. აკი პრეზიდენტს კონელიმაც მოახსენა, ჩემი აზრით, დალასის საზოგადოება „მეტისმეტად ემოციურია" და იქ შეჩერების გადაწყვეტილებას გადასინჯვა უნდაო. ერთმა ოსტინელმა გამომცემელმა პრეზიდენტის მომავალი ვიზიტის თაობაზე წინასწარმეტყველურად განაცხადა, ამ მოგზაურობის დროს პრეზიდენტს უეჭველად რაღაც შეემთხვევაო.

მაგრამ პრეზიდენტს ყველაზე აშკარა გაფრთხილებით ტეხასის მეზობელი შტატის, არკანზასის სენატორ-ლიბერალმა ჯეიმს უილიამ ფულბრაიტმა მიმართა. კონგრესმენს დალასისა არაფერი სწამდა. სწორედ შარშან, გადარჩევნების დროს, ფულბრაიტს გააფთრებით დაესხა თავს დალასის გაზეთი „მორნინგ ნიუსი". სენატორი დალასს პოლიტიკური ძალადობის ქალაქად თვლიდა. თუმცა, ფულბრაიტს დალასში მეგობრებიცა ჰყავდა, მაგრამ მაინც რამდენჯერმე აარიდა თავი მათ მიპატიჟებას. ფულბრაიტი შიშს აეტანა, ფიზიკურ შიშს, და ამას არც მალავდა. სამ ოქტომბერს, ერთი დღით ადრე, ვიდრე პრეზიდენტი კონელისთან ერთად ტეხასში მოგზაურობის გეგმას დაამტკიცებდა, ფულბრაიტმა სთხოვა პრეზიდენტს, დალასისათვის გვერდი აევლო. მთავრობის მეთაურმა და სენატორმა ფულბრაიტმა ის დღე თითქმის ერთად გაატარეს. ისინი ჯერ თვითმფრინავით ლიტლ როკში ჩაფრინდნენ, მერე კი შვეულ-

მფრენით ჰებერ სპრინგსში გადაფრინდნენ კაშხალის გახსნაზე დასასწრებლად. ფრენისას თუ შემდეგ საუზმის დროს ფულბრაიტი მთელი დაბეჯითებით, მხოლოდ ამას უმეორებდა:

— დალასი ძალიან საშიში ქალაქია. პირადად მე არ წავიდოდი და არც თქვენ გმართებთ იქ ჩასვლა.

თვითონ დალასში ნამდვილი შიშიანობა გამეფებულიყო. სენატორ იარბოროს ორმა ძმამ, ამ ორმა დალასელმა ადვოკატმა, თითქმის ერთნაირი შინაარსის წერილები მისწერა კენედის. ადგილობრივ მოსახლეობაში პრეზიდენტისადმი სიძულვილის განწყობილება იგრძნობაო, — დაუფარავად აღიარებდნენ ისინი. ერთი დალასელი ქალი კენედის თანაშემწე სელინჯერს წერდა:

„ნუ მისცემთ პრეზიდენტს დალასში ჩამოსვლის ნებას. მე მისი ბედი მაშინებს, ვფიქრობ, აქ რაღაც საშინელი შეემთხვევა“.

ფედერალური მოსამართლე სარა ჰიუზი მოსალოდნელი ინციდენტების შიშს აეტანა. იუსტიციის სამინისტროს რანგით მაღალმა ჩინოვნიკმა, დალასში ვიცე-პრეზიდენტის წარმომადგენელმა პროკურორმა ბერფუტ სანდერსმა ჯონსონის პოლიტიკურ მრჩეველს უთხრა: კარგად ვიცი, ქალაქის პოლიტიკური ატმოსფერო და პრეზიდენტის აქ ჩამოსვლა მიზანშეუწონლად მიმაჩნიაო! ქალაქის მმართველებს ხომ თავიდანვე შიშის კანკალი ჰქონდათ ავარდნილი. მათ იცოდნენ, რომ ფედერალური მთავრობის სიძულვილის ტალღამ ზოგან უმაღლეს წერტილს მიაღწია. აშკარად წუხდნენ, განრისხებულ ბრბოს კონტროლის უნარი არ დაეკარგა.

გადაწყვიტეს მინიმუმამდე შეემცირებინათ მიმსალმებელთა რაოდენობა. ჩვეულებრივ, პრეზიდენტის ვიზიტი საკმარისი საფუძველია ბავშვების სკოლიდან დათხოვისა, განსაკუთრებით მაშინ, თუ მთავრობის მეთაური დიდი ხანია არ ყოფილა ამ ქალაქში, ბავშვების გაკვეთილებიდან განთავისუფლება ეჭვს არ იწვევს. დალასმა გადაწყვიტა გამონაკლისი გაეკეთებინა.

სასკოლო განათლების ინსპექტორის უაიტის განცხადებით, მხოლოდ იმ მოსწავლეებს მიეცემოდათ პრეზიდენტთან შეხვედრის უფლება, ვისაც მშობლები გაიყოლებდნენ.

საპატიო სტუმრის დახვედრის მომწყობი კომისიის წევრებს არ სურდათ პრეზიდენტს ბევრი ხალხი შეხვედროდა. ისინი წინააღმ-

დეგი იყვნენ კორტეჟს ქალაქზე გაევლო. მაგრამ ეს ნიშნავდა, რომ იმ ათას ორას კაცს, ვინც 1960 წელს კენედის ასარჩევად იღვწოდა, მისთვის თვალიც ვერ მოეკრა, რადგანაც იმ დარბაზს, სადაც კენედი უნდა გამოსულიყო, მიღების ორგანიზატორები კონსერვატიული ელემენტებით შეავსებდნენ. ამიტომაც კომისიის წევრებმა დათმეს ეს ამბავი. მათ მხოლოდ კორტეჟის ზოგიერთ ოფიციალურ შეჩერებას შეუშალეს ხელი (დალასელ ლიბერალთა პატარა, მაგრამ მებრძოლ ჯგუფს სურდა, რომელიმე ობიექტის გახსნასთან დაკავშირებით კენედი შეჩერებულიყო და ხალხს მისალმებოდა) და კენედის პატივსაცემად გამართული ბანკეტისათვის შენობა თვითონვე შეარჩიეს. რომელიმე დაუპატიჟებელი სტუმარი ძნელად თუ შეძლებდა ამ ბანკეტის ჩაშლას. ბანკეტის გამართვა დალასის სავაჭრო ცენტრის ზამთრის ბაღში ჰქონდათ განზრახული. ეს იქნებოდა შესაფერისად მოწყობილი, კარგად ორგანიზებული ღონისძიება.

პრეზიდენტის თვალწინ გადაიშლებოდა შიდა ტბა, მოშრიალე ხეები, ლაღად იფრენდნენ თუთიყუშები, შადრევნის ჭავლი ჭერს მისწვდებოდა. იმხანად დალასში ანეგდოტად ჰყვებოდნენ, თითქის ბანკეტის ერთ ორგანიზატორს მეორესათვის ეთქვას, ისე უნდა მოვაწყო, თუთიყუშმა კენედის საჭმელში რაღაცეები ჩაყაროსო.

მაგრამ ეს იყო კერძო, პიროვნული დამოკიდებულება. ფართო საზოგადოებრიობა კი უახლოეს დროში კეთილგანწყობილი ატმოსფეროს დამყარებას ითხოვდა. სავაჭრო პალატის პრეზიდენტი და მოქალაქეთა საბჭოს თავმჯდომარე მცხოვრებლებს სთხოვდნენ არ გაემართათ დემონსტრაციები. ორთავე გაზეთში დაბეჭდილი მოწინავე წერილები მოსახლეობას სიმშვიდისა და თავშეკავებისაკენ მოუწოდებდა. „ტაიმს ჰერალდი" იმედოვნებდა, რომ „ისევე როგორც მთელ მსოფლიოს, ჯონ ფ. კენედისაც მოეწონება რასაც აქ ნახავს". დალასის „მორნინგ ნიუსიც" კი — ეს მემარჯვენეთა რუპორი — აცხადებდა: „სტივენსონთან დაკავშირებული ინციდენტის მსგავსი კიდევ ერთი შემთხვევა მთელი ერის თვალში დალასს სასიკვდილო ჭრილობას მიაყენებს, განსაკუთრებით პოლიტიკური თვალსაზრისით". 18 ნოემბერს ქალაქის მესვეურებმა სასწრაფო დადგენილება მიიღეს, რომელიც ჩამოსულ ორატორებ-

ზე თავდასხმას ითვალისწინებდა. ორი დღით გვიან ამოქმედდა დალასის პოლიციის უფროსი ჯეს კარი. რაიმე ნაბიჯის გადადგმა კარისათვის უდიდესი საქმე იყო. პოლიციის უფროსი იმ ქალაქისა, რომელიც საუკუნის უდიდესი დანაშაულის არენად უნდა ქცეულიყო, მეტად რბილი, ნაკლებად ენერგიული და ზანტი კაცი გახლდათ. მაგრამ ქალაქის საქმიანი წრეების უფრო გაბედულმა ლიდერებმა კარის ჩააგონეს, ახლა ქალაქში განსაკუთრებული მდგომარეობა სუფევსო და კარიმაც საჯაროდ განაცხადა: ყოველგვარი არასაკადრისი საქციელის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ მკაცრ ზომებს მივიღებო. იგი უფრო შორსაც წავიდა. თუ ჩამოსული სტუმრის დაცვას პოლიცია ვერ გაართმევს თავს, მაშინ კერძო პირებსაც მიეცემათ უფლება საეჭვო მოქალაქეთა დაპატიმრებისაო. მოქალაქეებისათვის დამნაშავეთა დაპატიმრების უფლების მიცემით პოლიციის უფროსი თავისთავად პანიკის ნიშანს იძლეოდა. ფაქტიურად მან ყოველი მოქალაქე პოლიციის თანაშემწედ გამოაცხადა, მაშინ როცა კარის განკარგულებაში მყოფი ძალები მცირე სულაც არ იყო. კარიმ მობილიზაცია გაუკეთა სათადარიგო ძალებს, გააუქმა ყოველგვარი შვებულება, თავი მოუყარა შეიდასამდე პოლიციელს, ტეხასის დეპარტამენტის საზოგადოებრივი უშიშროებისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტებს. ქალაქი სავსე იყო პოლიციელებით. დალასი ხომ არასოდეს ყოფილა უშიშროების მკაცრი ზომების მომსწრე. მიზეზი ასეთი უპრეცედენტო სიფრთხილისა გახლდათ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ვიზიტი.

•

დიახ, ჯერ გამაფრთხილებელ ხმათა გუგუნი ისმოდა, რასაც შემდეგ კატასტროფა მოჰყვა. მათ შორის კი ძევს უფსკრული, რომლის სიღრმეს, ალბათ, ვერასოდეს გამოიკვლევენ.

ტრაგედიიდან ათი თვის შემდეგ უორენის კომისიამ ვერ იპოვა „ვერავითარი დასაბუთება" დალასში არსებულ „სიძულვილის საერთო ატმოსფეროსა" და ლი ჰარვი ოსვალდის დანაშაულს შორის. უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო ერთპირი დასკვნა, თუმცა უორენის კომისიის ცალკეულმა წევრებმა გარკვეული შენიშვნა-შეს-

წორებები გამოთქვეს. ეს გადაწყვეტილება ნაკარნახევი გახლდათ მიზანშეწონილი მოსაზრებებით. ისინი იმედოვნებდნენ, რომ მათი მოხსენება ყველაზე ფართო აღიარებას მოიპოვებდა. კომისიის უმრავლესობის აზრით დალასთან დაკავშირებით გამოთქმულ ვარაუდებს შეეძლოთ კომისიის დანარჩენი დასკვნების ერთგვარი დისკრედიტირება, რის გამოც საკითხზე პირდაპირი პასუხის გაცემას თავი აარიდეს. კომისიის წევრების აღიარებით მკვლელისათვის ცნობილი იყო დალასის დაძაბული პოლიტიკური ვითარება, მაგრამ მაინც ასკვნიდნენ: „განსჯა იმისა, თუ როგორი ძალით იმოქმედა ოსვალდზე ქალაქის საერთო პოლიტიკურმა მღელვარებამ, შეუძლებლად მიგვაჩნია. თუმცა ოსვალდისათვის იგი ცნობილი იყო“.

მთელ ამ ფრაზაში გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე სწორედ სიტყვა „განსჯა“ გახლავთ. სრულიად აშკარაა — შეუძლებელია პიროვნებისა და გარე სამყაროს ურთიერთკავშირის ზუსტად განსაზღვრა. ეს იგივეა, სცადო სამშობლოზე დარდის ფოტოგრაფირება ანდა ვნება წარმოიდგინო მუზეუმის ექსპონატად. მოგეხსენებათ, პატიოსნებას, ღირსებას, სიყვარულსა თუ სიძულვილს განცხადებების დაფაზე კნოპებით ვერ მიაკრავ. თუმცა ყველა ესენი ნამდვილად არსებობენ. მოქმედების ზოგიერთი მიზეზის დასაბუთება მართლაც შეუძლებელია. მათ ისევე ვერ დაიჭერ, ვითარცა ჩრდილს. განსჯა-მსჯელობისას ჩვენ მხოლოდ ვარაუდების გზას ვირჩევთ. დასაბუთებული ვარაუდის წამოყენება კი ისტორიკოსის ვალდებულებაა. მათ წყაროდ მხოლოდ თითების ანაბეჭდები, ტყვიის გაფრენის ტრაექტორია და სპექტოგრაფული გამოკვლევები არ ,ქმარა. აღიარებულია, რომ დალასელი მკვლელი დანაშაულებრივი შეთქმულების წევრი არ ყოფილა. შესაძლოა, ამას არცა ჰქონდეს პირდაპირი დამოკიდებულება საკითხის არსთან. ლი ჰარვი ოსვალდს „მარტოხელას“ ეძახდნენ. ოსვალდის პიროვნების აღწერისას თუ მის მიერ ჩადენილი დანაშაულის შეფასებისას ყველა ამ სიტყვას ჩაეჭიდა. უდავოა, მისი აზროვნება შეზღუდული იყო. ყოველი დამნაშავის აზროვნებას ვიწრო კალაპოტი აქვს, მაგრამ მარტოხელები არ არსებობენ. არც ერთი ადამიანი არ არსებობს ცარიელ გარემოში. მის ყოველ მოქმედებას განსაზღვრავს ის დრო და საზოგადოება, რომელშიაც იგი ცხოვრობს.

პრეზიდენტ ლინკოლნის მკვლელი ჯონ უილკს ბუტი არ ყოფილა კონფედერატების აგენტი, როგორც ეს ადრე ეგონათ, იგი მხოლოდ თავისი გონების კარნახით მოქმედებდა. მაგრამ მისი მსხვერპლი პრეზიდენტი ლინკოლნი, მოკლულ იქნა ჩვენი ისტორიის მეტად კრიტიკულ მომენტში, სწორედ იმ ქალაქში, სადაც სამხრეთელების მომხრენი ბობოქრობდნენ და ხალხს ამბოხებისაკენ მოუწოდებდნენ. შეუძლებელია დაადგინო, რა ურთიერთკავშირი არსებობდა ჩადენილი დანაშაულის გარემომცველ მაშინდელ ისტორიულ პერიოდსა და ადგილს შორის. მაგრამ აბსურდი იქნება ამტკიცო, რომ ეს კავშირი არ არსებობდა, რომ ფორდის თეატრში ჩადენილი მკვლელობა შეიძლებოდა სრულიად მშვიდ, აუღელვებელ საზოგადოებაში მომხდარიყო.

ბუტის მსგავსად, ოსვალდიც გარეშე დამკვირვებელმა მოკლა, რამაც ასე შეაფერხა და შეუძლებელი გახადა შემდეგი გამოძიება. იმ ქალაქის გარშემო, რომელმაც ასეთი შიში შთაუნერგა ბაირონ სკელტონს, სენატორ ფულბრაიტსა და კიდევ უამრავ სხვა ადამიანს, საკმაოდ ბევრი რამ არის ცნობილი.

15 ნოემბერს იუსტიციის სამინისტრომ პრეზიდენტის სპეციალურ თანაშემწე კენ ო'დონელს ქალაქ დალასის თაობაზე ვრცელი საიდუმლო მოხსენება გაუგზავნა. მოხსენებაში აღნიშნავდნენ, რომ ქალაქის 747 ათასი მცხოვრებიდან უმრავლესობა „ანგლო-საქსური და შოტლანდო-ირლანდიური წარმოშობისა" იყო. უკანასკნელ ხანებში ქალაქის მოსახლეობა სწრაფად იზრდებოდა, ძირითადად, ტეხასის, ლუიზიანისა და არკანზასის შტატების სოფლებიდან მოსული ხალხის ხარჯზე. დალასში ჩამოსახლებული ეს სამხრეთელები „პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებში კონსერვატორებად რჩებოდნენ", რადგან მათი ახალი გარემოცვაც მათ შესედულებებს იზიარებდა.

„დალასის პოლიტიკური კონსერვატიზმი აიხსნება უაღრესად რელიგიური აღზრდითა და მრავალი წლის განმავლობაში ამისათვის შესაფერი პირობების არსებობით". ნავთის მოპოების შედეგად წარმოქმნილმა უღიდესმა დამოუკიდებელმა სიმდიდრემ და ახლანდელმა ინდუსტრიალიზაციამ ეს კონსერვატიზმი კიდევ უფრო გააძლიერა და ბოლო ხანებში „აშკარად შემტევი" და „პოლიტიკურად მებრძოლი" ხასიათისა გახადა.

დალასის ფული — ახალი ფულია, თანაც ბევრი... მთელ სამხრეთში ტეხასის დედაქალაქი ყველა ქალაქს უსწრებს საქონლის წარმოებით, საბითუმო ვაჭრობით, სადაზღვევო და საბანკო საქმეებით. ყოველი წლის ოქტომბერში დალასში იმართება სხვა შტატების ბაზრობებთან შედარებით, ყველაზე დიდი ბაზრობა. უკანა პლანზე აღმოჩნდა ბომბის მეშვეობით გამდიდრებული იქაური ძველი მოსახლეობა. ხელისუფლება ახალი ხალხის ხელში გადავიდა და მარჯვედაც სარგებლობდნენ ამ უფლებებით. ყველგან, სადაც კი რასობრივი ინტეგრაციის საკითხი გართულებით იმუქრებოდა, ისინი მშვიდად თმობდნენ პოზიციებს, თავიანთი მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის შეგნებითა და მოქალაქეობრივი მოვალეობის გრძნობით ხელმძღვანელობდნენ კორუფციისა და მანკიერებისგან თავისუფალ წმინდა ქალაქს (დიდმა ჯარიმებმა აიძულეს პროფესიონალი მეძავები დაეტოვებინათ დალასი და მისგან ოცდათორმეტი მილით დაშორებულ ქალაქ ფორტ-უორტისათვის შეეფერებინათ თავი). ქალაქის თავკაცები ნამეტნავად დაინტერესდნენ სიმფონიური ორკესტრით, ოპერით, ხელოვნების მუზეუმით, ღაუფარავად ისწრაფოდნენ, რათა საზოგადოებრიობის თვალში ქალაქს სასიამოვნო იერი ჰქონოდა. კულტურა და განსწავლულობა ხელს უწყობდა ამ მიმზიდველი ფასადის შექმნას.

ო'დონელის ხელთ არსებული უამრავი ცნობა ეხებოდა დალასის ბაპტისტების კოლეჯს, სამხრეთის მეთოდურ უნივერსიტეტს, ეპისკოპალურ კოლეჯს, ტეხასის უნივერსიტეტთან არსებულ უმაღლეს სამედიცინო სასწავლებელსა და პარკლენდის მემორიალურ ჰოსპიტალში გაერთიანებულ მრავალრიცხოვან კლინიკებს.

გარეგნული იერი შეიძლება გრიმით შეიქმნა, ამიტომ ქალაქზე იმ რეკლამით ვერ იმსჯელებ, თვითონვე საკუთარ თავს რომ უკეთებს. არსებობს უფრო სარწმუნო წყაროები, კერძოდ, ადგილობრივი არჩევნების შედეგები. 1963 წელს დალასი რესპუბლიკელების ციტადელი იყო, რასაც თვით მისი მოსახლეობის შემადგენლობა მოწმობდა. დალასის თვითმოქმედი მოსახლეობის ძალიან დიდ ნაწილს, 53,5 პროცენტს, სხვადასხვა საწარმოთა და კანტორათა დირექტორები, პირადი ქონების ვაჭრობის აგენტები თუ მოსამსახურეები შეადგენდა. პროტესტანტულ ქალაქს, რომელიც ფიზიკურ

შრომას არ ეწეოდა და პატარ-პატარა სოფლებიდან ჩამოსული, დემოკრატიასთან ტრადიციულ კავშირს მოწყვეტილი ხალხის ხარჯზე იზრდებოდა, ადგილობრივი გაზეთის მოწინავე წერილში ახასიათებდნენ, როგორც „აღმავალი რესპუბლიკანიზმის ცენტრს“. სინამდვილეში იგი კუნძული უფრო იყო. დალასის ირგვლივ მდებარე სოფლების მოსახლეობა კვლავ ძველი რწმენით ცხოვრობდა.

დალასელები თავის ქალაქს სიყვარულით „დიდ დ.“-ს ეძახიან. ჰოდა ამ „დიდი დ.“-ს ჩრდილოეთით, მისგან ოცდაათი მილის დაშორებით, მდებარეობს კონგრესის მეოთხე ოლქი. ეს ოლქი, წარმომადგენელთა პალატის სპიკერის სემ რეიბერნის სამემკვიდრეო მამული გახლავთ და კვლავაც რჩება დემოკრატიული პარტიის მძლავრ საყრდენად. 1960 წელს პრეზიდენტის არჩევნების დროს კენედისა და ნიქსონს ტეხასის ჩრდილო აღმოსავლეთ სამოცდათორმეტ საგრაფოდან სამოცდათერთმეტში ერთნაირი ხმის რაოდენობა ჰქონდათ: მოხდა ბრწყინვალე გამონაკლისი: „დიდმა დ.“-მ უდიდესი უმრავლესობით (62,5 პროცენტი) კენედის მისცა ხმა. წარმომადგენელთა პალატაში აირჩია ერთი წარმომადგენელი, ხოლო შტატის ლეგისლატურაში რვა რესპუბლიკელი. ახლა კი დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წევრი (ტეხასიდან) ბაირონ სკელტონი ლამის სასოწარკვეთამდე მიდიოდა. იგი უკვე შეგუებული იყო აზრს, რომ მომავალ, 1964 წლის არჩევნებში, ხმების უდიდეს ნაწილს დალასი კენედის მოწინააღმდეგეს მისცემდა.

სკელტონის მიერ ვაშინგტონისათვის თავისი შიშის გამხელა მხოლოდ პარტიული ბრძოლების თვალსაზრისით არ იყო ნაკარნახევი. ამომრჩეველთა ხმების მიმხრობის მოსურნე, ნაციონალური კომიტეტის წევრი ხალხს თავიანთ კანდიდატს არ დაუმალავდა. კენედის შანსების გაზრდით დაინტერესებული სკელტონი, პირიქით მოინდომებდა დალასელებს თვალნათლივ ენახათ პრეზიდენტი, მაგრამ საქმე ეს როდი იყო. ქალაქში მეფობდა ჩვეულებრივი შიდაპოლიტიკური ბრძოლისათვის უცხო, უცნაური დაძაბულობა, სულიერი აღგზნება, საზოგადოების არანორმალური მდგომარეობის მომასწავებელი საოცრად ისტერიული ტონი. ეს კი დალასში განსაკუთრებულად საშიში ჩანდა. ბოლო ხანებში ქალაქის ლიდერების მიერ სიყვარულით შექმნილ ქალაქის სახეს ბნელი ძალადობის ლაქები დააჩნდა. აღარ იყვნენ მსუბუქი ყოფაქცევის ქალიშვილები

თუ მექრთამეები, სამაგიეროდ მკვლელთა რიცხვი სასწაულებრივ იზრდებოდა.

მკვლელობათა რაოდენობის მიხედვით ამერიკის შეერთებულ შტატებში ტეხასს პირველი ადგილი უჭირავს, თვით ტეხასში კი დალასს. ყოველთვიურად მხოლოდ „დიდ დ."-ში უფრო მეტი მკვლელობა ხდება, ვიდრე მთელ ინგლისში. მათი ჩამდენი დამნაშავენი არც ბანდიტებია და არც ჩამოსული ხალხი. ყველაფერი ეს დალასელ მოქალაქეთა ნახელავია. უკანასკნელ წელს მკვლელობათა რიცხვმა 10 პროცენტით იმატა. ყოველი ოთხი მკვლელობიდან სამი (72 პროცენტი) ცეცხლმსროლელი იარაღის გამოყენებით ხდებოდა. „დიდ დ."-ში ასეთი იარაღის შეძენისას არავითარი რეგისტრაცია არ არის საჭირო. საერთოდაც იარაღით ვაჭრობა და მისი შენახვა არავითარ კონტროლს არ ექვემდებარება. ადგილობრივი სასამართლოს მიერ უარყოფილ იქნა ცდა ასეთი კონტროლის დაწესებისა. 1963 წელს, 22 ნოემბრამდე, დალასში 110 მკვლელობა მოხდა. ძალადობით სიკვდილი დალასის ჩვეულებრივი ცხოვრების ნაწილი გახდა და მასზე ისე ლაპარაკობდნენ თითქოს არაფერიო. პრეზიდენტის ვიზიტის ოფიციალურად გამოცხადების დღეს, დალასელი მზა ტანსაცმლის ფაბრიკანტი ერთ დროს ნიუ-იორკში მოვაჭრე, ეიბრაჰემ ზაპრუდერი, ვიღაც მისთვის უცნობ კაცს სამოქალაქო უფლებათა საკითხებზე ესაუბრებოდა.

— ღმერთმა შექმნა დიდი ადამიანები — თქვა უცნობმა. უცნობს მხედველობაში კენედი ჰყავდა. მერე საკუთარ თავზე მიანიშნა და დასძინა: — თქვენ წარმოიდგინეთ, ღმერთმა პატარა ადამიანებიც გააჩინა.

ბოლო სიტყვები როგორღაც გააგრძელა და ისე წარმოთქვა:

— მაგრამ მათ შორის შანსების გასათანაბრებლად, კოლტმა თავისი 45 კალიბრიანი შექმნა.

ზაპრუდერი შეაშფოთა ამ კაცის სიტყვებმა. ამდაგვარი რამ მას არასოდეს გაუგონია მზა ტანსაცმლით მოვაჭრე მენჰეტენის კვარტალებში.

— ჩვენ არ გვჭირდება თქვენისთანა ადამიანები, — შეაწყვეტინა ზაპრუდერმა უცნობს.

და მაინც ასეთი ადამიანები არსებობდნენ. კენედის პრეზიდენტად ყოფნის მესამე წელს დალასის საგრაფოში საოცრად აღგზნე-

ბული ატმოსფერო სუფევდა. ხდებოდა უაზრო, უგუნური ამბები. უზარმაზარი სარეკლამო ფარების წარწერები ისტერიულად მოუწოდებდნენ „ერლ უორენის სამართალში მიცემას“, ხოლო ებრაელთა მაღაზიებზე სვასტიკები იყო მიხატული. ახალგაზრდა ფანატიკოსი დიასახლისები საჯაროდ ცეკვავდნენ და ტაშის ცემით გაიძახოდნენ: „სტივენსონი მოკვდება, დამდგარია მისი აღსასრული, აღსასრული, აღსასრული, ჯოჯოხეთში ცეცხლი წაეკიდება; წაეკიდება, წაეკიდება!“

სახელმწიფო სკოლებს ურიგდებოდათ ულტრამემარჯვენეთა პროპაგანდისტული მასალები. კენედის სახელის ხსენება კლასებში უკმაყოფილო წამოძახილებს იწვევდა. სკოლების უმცროს ადმინისტრაციულ პერსონალს ულტრამემარჯვენეთა კრებებზე დასწრებას ავალდებულებდნენ. დალასი იქცა ქრისტიანი ჯვაროსნების, ჯონ ბერჩის, მინიტმენების და პატრიკ ჰენრის საზოგადოებათა მექად. იგი გახდა მთავარი შტაბი ტეხასელი ნავთის მრეწველის მილიარდერ ჰერალდსონ ლაფაიეტ ჰანტის სპეციფიკური მოღვაწეობისა. ერთმა გადამდგარმა გენერალ-მაიორმა თავისი სახლის წინ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დროშა ტარით მაღლა, თავდაყირა გამოაფინა. 1963 წელს შრომის დღის აღსანიშნავ დღესასწაულზე თავისი სახლის წინ ეარსკვლავ-ზოლიანი დროშა გამოფინა საგრაფოს ხაზინადარმა უორენ გ. გარდინგმა. ხაზინადარს ექიმის ვაჟი მიუახლოვდა და უთხრა:

— ეს ხომ დემოკრატების დროშაა! რაკი დროშების გამოფენა დაგიწყიათ, ბარემ ნამგალი და ურო გამოგეფინათ?

ეს არ გახლდათ პარტიული რწმენის უბრალო გამოვლინება. ეს იყო ამ რწმენისაგან დამოუკიდებლად არსებული განწყობილება, იგი ინფექცია იყო, რითაც ორთავე პარტიის წევრები იყვნენ დაავადებულნი. რა თქმა უნდა, ყველაზე მყვირალა ულტრამემარჯვენეთაგან ბევრი რესპუბლიკელი იყო. ადგილობრივ გმირთა შორის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული პიროვნება კონგრესმენი ელჯერი გახლდათ. ეს კაცი უფრო იმით იყო ცნობილი, რომ სამი წლის წინ ლინდონ ჯონსონის ცოლის ლედი ბიორდის ლანძღვა-ფურთხვის მოწმე გახლდათ. მაგრამ დალასის საგრაფოში დემოკრატიული პარტია დიდად არ განსხვავდებოდა რესპუბლიკელებისაგან. დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა უმრავლესობა რეს-

პუბლიკელთა ალტერნატივას კი არ წარმოადგენდა, არამედ მათ მემარჯვენე ვარიანტს. „დიდი დ."-ს ერთი კონგრესმენი, საწოლეების ფაბრიკანტის ვაჟი, ფორმალურად დემოკრატი იყო. მაგრამ ეს არაფერს ნიშნავდა. ვაშინგტონში კონგრესმენ დემოკრატ ჯო პულს ძნელად თუ გაარჩევედით რესპუბლიკელ ელჯერისაგან. დალასის სოლიდური კაპიტალის მხარდაჭერით გათამამებულმა ჯო პულმა გაილაშქრა სამოქალაქო უფლებათა კანონპროექტის წინააღმდეგ და თავის ამომრჩეველებს აშკარად განუცხადა, „გულს მირევს" კენედის მთავრობაო. ჯო პული უარჰყოფდა მისდამი წაყენებულ ბრალდებას, რომ კონსტრუქციული არასოდეს არაფერი გაუკეთებია. მას კი თავი მოჰქონდა წარმომადგენელთა პალატის ანტიამერიკული საქმიანობის გამომკვლევი კომისიის ყველა სხდომაზე დასწრებით. კაპიტოლიუმში მას უცნაურობად მიიჩნევდნენ, შინ, დალასში, იგი მხოლოდ და მხოლოდ ტიპიური დემოკრატი იყო. ბოლოს და ბოლოს უკვე ოცდათერთმეტი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც დემოკრატიული პარტიის აღმასკომმა დალასში უკანასკნელად დაუჭირა მხარი დემოკრატიული პარტიის წარმომადგენლებს. დალასელთაგან თავს დემოკრატად თვლიდნენ გენერალი ედვინ უოკერი და მილიარდერი ჰ. ლ. ჰანტი. ქალაქის მიერ ერლ კეიბელი დემოკრატების საარჩევნო სიით გავიდა, რის გამოც ადგილობრივი რესპუბლიკური ჟარგონით მას „დალასის სოციალისტურ მერს" ეძახდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ პოლიტიკური ფანდი იყო. თვით ჯონ ბერჩის საზოგადოების მომხრეებმაც კი იცოდნენ, რომ ერლ კეიბელი არასოდეს ყოფილა „კომუნისტური შეთქმულების" ერთგული და მისი მონაწილე. ხუთი წლის უკან იგი ელჯერს ემხრობოდა. წარსულში კეიბელი ტეხასის მრეწველთა ულტრაკონსერვატიული ასოციაციის თავმჯდომარე იყო. იგი ჯონ ბერჩის საზოგადოების ადგილობრივი განყოფილების საორგანიზაციო სხდომას ესწრებოდა დალასის ოტელის ერთ-ერთ ნომერში. 1963 წლის 22 ნოემბრის შემდეგ, როცა პოლიტიკაში სხვა სიომ დაჰბერა, მერის მოგონებანი თავის ადრინდელ ურთიერთობებზე მეტად ბუნდოვანი გახდა — იგი სხვა ხატისაკენ შეტრიალდა. კეიბელი ახლა ხშირად გამოდიოდა, როგორც ჯონსონის ჯურის დემოკრატი. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ოტელში გამართულ იმ სხდომაზე ფაქტიურად იგი ჯონ ბერჩის საზოგადოების წევრი არ გამხდარა. მან და

ელიზაბეტ ანუ ტურფა კეიბელმა (ტეხასელ პოლიტიკოსთა ცოლების საალერსო სახელები ხალხისათვისაც ცნობილი ხდება) მაგნიტოფონზე ჩაწერილ ბერჩისტების იდეოლოგიური მოწოდებანი მოისმინეს და წავიდნენ. მაგრამ ამ საზოგადოების წევრები იყვნენ მათი უახლოესი მეგობრები და კეიბელმა ისევე კარგად იცოდა გაბატონებული პოლიტიკური განწყობილებანი და ისეთივე პატივისცემით იყო მათდამი გამსჭვალული, როგორც ოცდაათიანი წლების დასაწყისის ყოველი გერმანელი ჩინოვნიკი. კეიბელს უთხრეს, კრებაზე ანტიკომუნიზმზე იქნება საუბარიო და კრებასაც იმიტომ დაესწრო. კეიბელსა და მის მეუღლეს უნდა გამოეხატათ ეს დაინტერესება, რადგან მემარჯვენეთა განწყობილების გამოხატვა ისეთივე მოქალაქეობრივ ვალად ითვლებოდა, როგორც დალასის საეკლესიო საბჭოსა და კოვბოის საზოგადოებაში მონაწილეობა. ჰოდა აი, ქალაქის მერის ოცდაათმა მეგობარმა და ახლობელმა, თავი შეიყარა ოტელ „სტეტლერ ჰილტონში", რათა პატივი ეცათ საკონდიტრო ნაწარმის მსხვილ ფაბრიკანტ რობერტ უელჩისათვის.

ორი კონგრესმენის, გადამდგარი გენერლისა და ადგილობრივი მილიარდერისაგან შემდგარ ჯგუფს, რასაკვირველია, ნებისმიერ ქალაქზე ექნებოდა გავლენის პრეტენზია. არსებობდნენ დალასის ბუნტარული განწყობილების სხვა გამომხატველნიც: კოვბოის ჩექმებში გამოწყობილ, საქმიანი სამყაროს წარმომადგენლებს, თავიანთი მანქანების ქრომირებულ ბუფერებზე მიკრული ჰქონდათ წარწერები „ნოკაუტი ყველა კენედის!"; წყალბადის ზეჟანგით თმაშეღებილმა, ხანში შესულმა მანდილოსნებმა და მდიდარმა გავლენიანმა ქვრივებმა ერთგვარი თამაშიც კი გამოიგონეს: კითხვა — „კენედთაგან რომელი გძულთ ყველაზე მეტად? (სწორი პასუხი: 1. ბობი, 2. ჯონი, 3. ტედი, 4. ჟაკლინი); განათლებული, გალაღებული ახალგაზრდა წყვილები დალასის გარეუბნებში ვისკის მაღალ ჭიქებს უსხდნენ და პრეზიდენტის ოჯახზე უხამს ჭორებს უამბობდნენ ერთმანეთს. განსაკუთრებით კარგად ეს ანეკდოტები ოხუნჯებს გამოსდიოდათ პრეზიდენტის ბოსტონური აქცენტის იმიტირების წყალობით.

ისიც უნდა ითქვას, რომ მარტო დალასი არ ფლობს სიძულვილის მონოპოლიას. პრეზიდენტის კრიტიკა ამერიკის ძველი ჩვეულებაა. სახელმწიფოში პრეზიდენტი ყველაზე მსხვილი ობიექტია

კრიტიკისათვის და მისი კულტის არსებობას ყოველთვის ანტიკულტის წარმოშობა უპირისპირდება.

— გახსოვდეს, მთელი ეს ხროვა მხოლოდ იმას ელოდება, როდის გამგლიჯოს ნაფლეთებად, — აფრთხილებდა თავის ქალიშვილს ეუდრო ვილსონი, ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველი ეადით იმყოფებოდა პრეზიდენტის პოსტზე და საქმეებიც თითქოსდა კარგად ჰქონდა აწყობილი.

ენდრიუ ჯეკსონს ცოლქმრული ერთგულების დამრღვევად სახავდნენ, ლინკოლნს — მაიმუნად, ჰარი ტრუმენს — გალანტერიის უიღბლო გამყიდველად, ტომას ჯეფერსონს „გიჟ ტომს“ ეძახდნენ. გაკილვას თვით ვაშინგტონიც ვერ გადაურჩა.

„მე ამერიკის მტრობასა და უცხო სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ ყოფნას მაბრალებენ, — წერდა პრეზიდენტი ვაშინგტონი „გიჟ ტომს“, — ჩემი მთავრობის თითოეული ნაბიჯი ისეთნაირად არის შერყვნილი საოცრად გაზვიადებული უხამსი გამოთქმებით, რომ იგი „ნერონს კი არა, უბრალო ჯიბგირსაც არ შეეფერება“.

ძლიერი პრეზიდენტი მზად უნდა იყოს გაკიცხვის მოსასმენად. კენედიმ შექმნა ძლიერი მთავრობა, რასაც უკიდურესი ელემენტების ამოძრავება მოჰყვა. მათ შედარებით წყნარად ეჭირათ თავი წინა, ასე ვთქვათ, ნაკლებად მტკიცე პრეზიდენტის დროს. მართალია, ზოგიერთ პატარა ქალაქში ისინი საზოგადოებისათვის გეზის მიცემასაც ახერხებდნენ, მაგრამ ყოველთვის მაინც აშკარა უმცირესობად რჩებოდნენ.

დალასს განსაკუთრებულ ვითარებას უქმნიდა მისი სიდიდე და ქმედით წინააღმდეგობათა არსებობა. იქ არ ყოფილა არავითარი შეუთანხმებლობა, რადგან არ არსებობდა აზრთა ჭიდილი. დალასი გახლდათ ერთადერთი ამერიკული დიდი ქალაქი, სადაც ძალადობისადმი წამქეზებლობა ფრიად რესპექტაბელური გახდა. ადგილობრივმა ხელისუფლებმა უელჩი განადიდეს, ხოლო ედლაი სტივენსონს მოგზაურობისას ბოიკოტი გამოუცხადეს. პრეზიდენტისა და მისი ძალაუფლების მომხრენი მებრძოლ სულს მოკლებული მცირერიცხოვანი ჯგუფი იყო. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, როცა 1961 წლის 10 ოქტომბერს კენედი დალასში ჩავიდა, რათა სასიკვდილო სარეცელზე მყოფი წარმომადგენელთა პალატის სპიკე-

რი სემ რეიბერნი მოენახულებინა, მას მხოლოდ ერთი ოფიციალური პიროვნება — პოლიციის უფროსი მიესალმა.

დალასის აშკარა ერთსულოვნება ჩიხში ამწყვდევდა არამცთუ გარეშე პირთ, თვით ტეხასელებსაც კი. გონზალესის მშობლიურ ბესკარის საგრაფოში ისევე ძლიერად უჭერდნენ მხარს დემოკრატიულ პარტიას, როგორც დალასში რესპუბლიკელებს. ჰოდა აი, ეს კონგრესმენი ერთხელ ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ასოციაციისაგან ჯილდოს მისაღებად დალასს ჩავიდა. დაჯილდოების ცერემონია ბაპტისტების მეტად პატარა ეკლესიაში გაიმართა და არალეგალურ კრებას უფრო წააგავდა. საქმის მოთავენი საოცრად დაშინებულნი ჩანდნენ, როგორღაც ნერვულად წრიალებდნენ, მერე რაღაც საჩქაროდ წაიბურტყუნეს, ხელში მედალი შეაჩეჩეს და მაშინვე გაიფანტნენ. ვაშინგტონში დაბრუნებულ გონზალესს ყველაფერი ეს როგორღაც უსიამო სიზმრად ეჩვენა. მერე ხუმრობდა კიდეც, არა ბატონო, პირადი დაცვის მოწმობის უქონლად იქ წინასაარჩევნო კამპანიაში სწორედ ვერ მივიღებ მონაწილეობასო. პრეზიდენტსაც უთხრა:

— დალასი კონგოსა ჰგავს, იგი არ არის მზად თვითმმართველობისათვის.

მაგრამ გონზალესი საკითხს არასწორად აყენებდა. დალასს სწორედ თვითმმართველობა აკლდა. მისი უქონლობის გამო ქალაქს გავლენიან ვაჭართა კომიტეტი მართავდა. აკი ნათქვამიც იყო ო'დონელისადმი მიმართულ იუსტიციის სამინისტროს მოხსენებაში: „დალასს ხელმძღვანელობს მოქალაქეთა საბჭო, რომელშიც მსხვილ კომპანიათა ხელმძღვანელები შედიან“.

1937 წლიდან ძირითადი გადაწყვეტილებები ამ ჯგუფის ოცდაათ წევრს და მათ პოლიტიკურ საყრდენს, ნდობით აღჭურვილ პირთა ასოციაციას გამოჰქონდა. ადგილობრივ თანამდებობის პირთა დანიშვნისას ისინი ბევრ რამეში შუასაუკუნეობრივი ოლიგარქიის მსგავსად მოქმედებდნენ.

1963 წლის 20 ნოემბერს, სწორედ იმ დროს, როცა პრეზიდენტი თავის რეზიდენციაში უმაღლესი სასამართლოს წევრებს ხვდებოდა, „მოხეტიალე ქადაგად“ წოდებულმა სიდლოუ ბაქსტერმა ტეხასელ ბაპტისტთა ყრილობის ხუთი ათას დელეგატს განუცხადა: ამერიკელ ამომრჩეველებს უდიდესი შეცდომა მოუვიდათ, თეთრ

სახლში რომ კათოლიკე პრეზიდენტი შეუშვესო. რელიგიურმა რწმენამ უნდა დაჯაბნოს პოლიტიკური ლოიალობაო, — დასძენდა ბაქსტერი. იგი დაბეჯითებით მოითხოვდა, რათა 1964 წელს ბაპტისტებს ხმა მიეცათ არა დემოკრატებისა თუ რესპუბლიკელებისათვის, არამედ პროტესტანტებისათვის. მოწონებისა და თანხმობის ნიშნად მრევლი ფეხზე წამოდგა და ერთხმად დაიძახა: „ამინ!"

რასაკვირველია, ისინი არ აპირებდნენ პრეზიდენტის მოკვლას. ამაზე სერიოზულად არც კი ლაპარაკობდნენ. მკვლელობის თაობაზე დალასში მხოლოდ გასართობად ოხუნჯობდნენ. თუმცა თვით ეს მიკრობი ფრიად რეალური იყო. მორალური აღშფოთების აშკარა ქუხილი ისმოდა დალასის გაზეთ „მორნინგ ნიუსის" მოწინავე წერილებში.

გაზეთი „მორნინგ ნიუსი" — შტატის უძველესი საქმიანი ორგანოა. იგი პირველად 1842 წელს გამოვიდა, როცა ტეხასი ჯერ კიდევ რესპუბლიკა იყო. ამ გაზეთს თითქმის ყველა კითხულობდა. ლი ჰარვი ოსვალდი გულისყურით სწავლობდა მის გრძელ სვეტებს. იგი თვით ბაირონ სკელტონსაც კი ჰქონდა გამოწერილი, რათა მის მეუღლეს ქალის მოდური ტანსაცმლის ფირმის „ნეიმან მარკუსის" რეკლამები არ გამორჩენოდა. ამ გაზეთის გამომცემელი და გამგეობის თავმჯდომარე გახლდათ ე. მ.—ტედ დილი. ეს მსუქანი, წრიპინა ხმის პატრონი კაცი, ერთთავად მომწვანო შუშებიან სათვალეს ატარებდა. დილი შეუდრეკელი ერთგულებით ემსახურებოდა ე. წ. „კიტ კარსონისა და დენიელ ბუნის სულისკვეთებას".[1] დილის მეთაურობით „მორნინგ ნიუსმა", დალასის ამ ყველაზე საპატიო ორგანომ, სამოციანი წლების დასაწყისში კარგი რეპუტაცია შეუქმნა ულტრა მემარჯვენეებს. 1961 წლის შემოდგომაზე ტეხასელ გამომცემელთა ჯგუფთან ერთად ტედ დილიც გახლდათ მიწვეული თეთრ სახლში, გამართულ საუზმეზე. იქ დამსწრე სტუმართა გასაოცრად, დილიმ ჯიბიდან ამოიღო და ხმამაღლა წაიკითხა მასპინძლის წინააღმდეგ მიმართული მის მიერ შედგენილი მკაცრი საბრალმდებლო აქტი. მას სურდა ყველას სცოდნოდა, რომ

---

[1] კარსონ კიტი (1809—1868) და ბუნ დენიელი (1735—1821) — ამერიკული არმიის ოფიცრები, ეგრეთ წოდებული „გმირები". ჩრდილო ამერიკის მკვიდრ ინდიელების წინააღმდეგ მიმართული ომებისა.

იგი, ტედ დილი, ჭკუასუსტი, „ტყუილებით შესაყოლიებელი“ თუ „მისატყუებლით მისამხრობი“ კაცი არ არის. მე მივედი იმ დასკვნამდე, — განაცხადა მან, — რომ „ჩვენ შეგვიძლია რუსეთის განადგურება, ეს კი ნათლად უნდა ვაგრძნობინოთ საბჭოთა მთავრობას“.

მერე კენედის მიუბრუნდა და პირდაპირ მიახალა: „სამწუხაროდ ამერიკისათვის თქვენ და თქვენი მთავრობა მხოლოდ პრანჭია ქალიშვილები ხართ. ჩვენ კი ისეთი ვაჟკაცი გვჭირდება, ხალხს რომ ხმალამოწვდილი გაუძღვება. ჩვენთან ტეხასში და საერთოდ სამხრეთ-დასავლეთში ბევრს მიაჩნია, რომ თქვენ, კეროლაინის სამთვლიანი ველოსიპედით დასეირნობთ“.

პრეზიდენტი აილეწა. მას, რა თქმა უნდა, შეეძლო ტედ დილის ამ თავხედური გამოსელის იგნორირება, მაგრამ მისი სამი წლის ქალიშვილის ხსენებამ საოცრად აღაშფოთა და გაანერვიულა, რასაც დილი ვერასდროს მიხვდებოდა. კეროლაინს ხომ ყველაფერ ამასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა და მისი სახელის ხსენება ნამდვილი იდიოტიზმი იყო.

კენედიმ მხოლოდ ცივად მიუგდო:

— ომებზე ლაყბობა უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე მათი გაძღოლა. მე თქვენზე არანაკლებ მტკიცე კაცი ვარ და პრეზიდენტადაც გულჩვილობისათვის როდი ამირჩიეს.

ამ ინცინდენტის თაობაზე „მორნინგ ნიუსში“ დაბეჭდილ ანგარიშში („გულახდილი საუბარი“) კენედის პასუხი გამოტოვეს. სამაგიეროდ, რედაქტორებს მოჰყავდათ მკითხველთა გამოხმაურებები („მკითხველები სავსებით ეთანხმებიან ჯ. ფ. კენედის მისამართით გამოთქმულ ტედ დილის განცხადებას“), ბრიუს ელჯერისა და ჰ. ლ. ჰანტის ქება-დიდებაც.

„მადლობა ღმერთს, გამოჩნდა კაცი, ვისაც ეყო გამბედაობა ეთქვა ის, რაც თქვენა თქვით“, — წერდა ერთი თაყვანისმცემელი, ხოლო მეორე გაკვირვებული კითხულობდა: „რატომ ასე მოკრძალებულად აცხადებს, „მორნინგ ნიუსი“, იმ ფაქტს, რომ მიიღო ორი ათასზე მეტი დეპეშა, წერილი თუ სატელეფონო ზარი, რომლებშიაც მკითხველთა 84 პროცენტი ტედ დილის გამოსვლას იწონებდა“.

არა გვაქვს საფუძველი, ეჭვი შევიტანოთ ამ მონაცემების სის-

წორეში, გაზეთის ერთგულ ხელისმომწერთ და ადგილობრივი სატელევიზიო კომპანიის „ა. ჰ. ბელკო კორპორეიშნის“ მაყურებლებს (ეს კორპორაციაც თავის მხრივ დილის ეკუთვნოდა) გამომცემლის პოზიციაში საძრახისი არა დაუნახავთ რა. სასკოლო სახელმძღვანელოების ტეხასის საწყობის დირექტორს როი ს. ტრუელს სულაც არ მოსწონდა კენედის საგარეო პოლიტიკა, ხოლო პრეზიდენტის საშინაო პოლიტიკა მისი აზრით „რასობრივ აღრევას“ უწყობდა ხელს. იქვე, სახელმძღვანელოების საწყობის მეუბნლად მომუშავე წყალსადენის ოსტატ ჰოვარდ ბრენანის აზრით კენედიმ „მეტისმეტი ლმობიერება გამოიჩინა კუბის კრიზისის დროს“. ლი ჰარვი ოსვალდის ძმამ, რობერტმა 1960 წელს დემოკრატებს მისცა ხმა. ახლა კი მთავრობის „სოციალიზმით“ შეშფოთებული გოლდუოტერს ემხრობოდა.

ტეხასში პრეზიდენტის უკანასკნელი გამგზავრების წინ მთელი ორი თვის განმავლობაში გაზეთ „მორნინგ ნიუსის“ ფურცლებზე ორუელის[1] წერილები იბეჭდებოდა. მისი ზოგიერთი ფრაზის გასაგებად გარკვეული კოდის ცოდნა იყო საჭირო. ფრანკლინ დ. რუზველტის ახალი კურსი „უცნაურ კურსად“ იყო მონათლული, აშშ-ის უმაღლესი სასამართლო — „კრემლის სასამართლოდ“. სახელმწიფოს დედაქალაქი „უცნაურ ქალაქად“. იქ, — წერდა იგი, — „სახელმწიფოს უშიშროებისათვის საშიში მავნე ელემენტები, რენეგატები და ბნელი პიროვნებები ცხოვრობენ“, მათი რაოდენობა ცნობილი არ არის, მეთაურობს კი ყოველად საშიში არამზადა.

„მორნინგ ნიუსის“ რედაქციის თანამშრომლებს შორის ზოგჯერ უთანხმოებაც წამოიჭრებოდა ხოლმე, კერძოდ იმაზე, თუ, სახელდობრ, რა ყაიდის არამზადა იყო კენედი. მას ხან როგორც ნამდვილ იდიოტს ისე უსწორდებოდნენ, ხოლო როცა ხელმოწერილ იქნა ატომური იარაღის გამოცდის ნაწილობრივი შეზღუდვის ხელშეკრულება, იგი „ორმოცდაათგზის რეგვენად“ გამოაცხადეს. ხან გაიძვერა ქურდადაც სახავდნენ ხოლმე, „თუმცა დამადასტურებელი საბუთების მიღება ჯერ ვერ მოვახერხეთო“. წერდნენ იმასაც, თით-

---

[1] ჯორჯ ორუელი — ინგლისელი მწერლის ბლერ ერიკ არტურის (1903—1950) ფსევდონიმია. მისი ნაწარმოებები გაჟღენთილია ანტიკომუნისტური და ანტისაბჭოური სულისკვეთებით. მწერალი მოქმედებისა და პერსონაჟების აღწერისას ხმარობდა კოდებს.

ქოს პრეზიდენტმა „ერთი თაღლითისაგან 22 ათასი დოლარი ქრთამი აიღო“, რათა შეეჩერებინა უცხოელთა გასახლებასთან დაკავშირებული ზოგიერთი ღონისძიება. ყველაზე ხშირად მაინც იუდად სახავდნენ, რომელიც „კომუნისტურ-ათეისტურსა და უღვთო ხაზს მიჰყვებოდა“. იმ კაცად, ვინც ეხმარებოდა „კომუნისტურ ბანაკთან დაკავშირებულ ძალებს“, იფარავდა და იცავდა მარტოხელა დედებს, მოქალაქეთა დოვლათზე თავდამსხმელ ადამიანებს, „პროფკავშირში ნაძალადევად შემყვანთ“. კრეფდა საშემოსავლო გადასახადებსა და გადამხდელის თანხმობის გარეშე ამ ფულს საზღვარგარეთ, ვითომდა „სხვა ქვეყნების დახმარების“ საბაბით, „ღმერთის უარმყოფელ ქვეყნებში ხარჯავდა“.

უშედეგო იქნებოდა, „მორნინგ ნიუსის“ ფურცლებზე პრეზიდენტის პიროვნების ღრმა დახასიათება გვეძებნა. გაზეთმა პრეზიდენტის საწინააღმდეგო ტოტალური შეტევა წამოიწყო. 10 ოქტომბერს გაზეთის მკითხველებმა შეიტყვეს, რომ „მისტერ კენედის სახელმწიფო დეპარტამენტი მთელი ხმით ილაშქრებს ანტიკომუნისტური ძალების მიერ დომინიკელთა რესპუბლიკასა და გონდურასში ხელისუფლების ხელში ჩაგდების წინააღმდეგ“. უფრო ადრე კი გაზეთის მოწინავეში ქება-დიდებას ასხამდნენ პრეზიდენტზე გააფთრებული თავდასხმებით სავსე, ცილისმწამებლურ წიგნს. კენედის ერთ-ერთი ყველაზე ნდობით აღჭურვილი პირის განცხადებით ამ პასკვილის ავტორი ერთხელაც არსად შეხვედრია პრეზიდენტს. გაზეთი ყოველ ნომერში ათავსებდა ნაწყვეტებს ამ წიგნიდან, რასაც თვით რედაქტორის შენიშვნები ერთვოდა. გაზეთი არწმუნებდა თავის მკითხველებს, „ყველა ფაქტი დოკუმენტებით დასტურდება“ და ავტორს შესაძლებლობა აქვს ჯონ ფ. კენედი ისეთად წარმოგიდგინოთ, როგორიც ის ნამდვილად არისო.

პირველი ნაწილი

გზაში

პირველი თავი

სან-ანტონიო, კიუსტონი, ფორტ-უორტი

ხუთშაბათს, 21 ნოემბერს, შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჩაიცვა ხერხემლის გასამაგრებელი საგანგებო კორსეტი, თასმებით ამოიკრა ყელიანი ფეხსაცმელი (მარცხენაში მეოთხედი დუიმის სიმაღლის სუპენატორი ჰქონდა ჩაფენილი), კამერდინერის მიერ შეთავაზებულ კოსტიუმზე სადა ჰალსტუხი გაიკეთა და პრიალა ქინძისთავით დაიმაგრა. ქინძისთავზე ნაღმოსანი კატარღა „პტ-109“ იყო გამოსახული. ჯიბეში ჩაიდო წმ. ქრისტოფორეს მედალმიბმული შავი ტყავის საფულე. შიგ ოცდაექვსი დოლარი და მასაჩუსეტსის შტატში გაცემული მანქანის მართვის უფლება იდო. როგორც ყოველთვის, მისი ხელწერა აქაც რეცეპტზე ექიმის ხელმოწერასავით გაურკვეველი იყო: ტექსტი გვაუწყებდა, რომ მოწმობა მიეცა ქ. ბოსტონში ბაუდუინის ქ. 122-ში მცხოვრებ ჯონ ფ. კენედის. თუ მფლობელი მოწმობას არ განაახლებდა, მანქანის მართვის უფლება ჩამოერთმეოდა 1965 წლის 29 მაისს და მასაჩუსეტსის შტატის პოლიციას შეეძლო მისი დაკავება. მასვე ერთვოდა მოსალოდნელი დამრღვევის გარეგნობის მოკლე აღწერილობა: სიმაღლე — 6 ფუტი, თმის ფერი — კოდი № 4 (წაბლისფერი), თვალების ფერი — კოდი № 6 (ნაცრისფერი), დაბადების თარიღი — 1917 წლის 29 მაისი. თან გაყოლილი ეს პატარა ბარათი გახლდათ მისი პიროვნების დამადასტურებელი ერთადერთი საბუთი.

საწოლი ოთახიდან გამოსვლამდე პრეზიდენტმა სარკეში საკუთარ თავს შეავლო თვალი. სარკის ჩარჩოში გაჩრილი იყო საფოსტო ფერადი ღია ბარათი კენედების ირლანდიელ „წინაპართა სახლის“ გამოსახულებით, ბარათი გამოგზავნილი იტალიის ამალფიდან („იტალია მე უფრო მომწონს, ვიდრე ჰაიანისი[1], მაგრამ ჰაია-

[1] ჰაიანის-პორტი (მასაჩუსეტსის შტატი) — ჯონ ფ. კენედის მშობლების საცხოვრებელი ადგილი.

ნისი ცოტა უფრო იმიტომ მომწონს, რომ იქ ბაზრობაა. ჩემო მამიკო, ძალიან მომენატრე. კეროლაინ“.); გაკრული ხელით ნაწერი ვაშინგტონში კათოლიკურ წირვათა განრიგი; მომენტალური სურათი დედის ტუფლებში ფეხგაყრილი კეროლაინისა; ჯეკის მიერ სახალისოდ გადაღებული ფოტო და ბოლოს ჯონის, ჯეკის, ბობისა და ეტელის ძველი ფოტოსურათი. ამ სურათში ჯეკის შეფიქრიანებული სახე ჰქონდა, ეტელსა და ბობის სახეები უბრწყინავდათ, ხოლო თვითონ პრეზიდენტი საოცრად ჭაბუკი ჩანდა. ამ დილით იგი ასე არ გამოიყურებოდა. თეთრ სახლში თითქმის სამ წელიწადს ყოფნამ თავისი გაიტანა. თმაში კოდი (№ 4) ჭაღარა გაერია, სახეზე, განსაკუთრებით, ტუჩის გარშემო ნაჭეები მოუმრავლდა.

მართალია, ეიზენჰაუერი მას ისევ „ბიჭს“ ეძახდა, მაგრამ ორმოცდაექვსი წლის პრეზიდენტი უკვე საკმაოდ მომწიფებული კაცი გახლდათ. წინადღით აუზის სასწორზე შედგა, ზუსტად 172,5 გირვანქას იწონიდა. იგი კარგ სპორტულ ფორმაში იყო. სარკეში ძალღონით სავსე ევროპული ყაიდის მამაკაცი ჩანდა. ჯერ ისევ ტანად, კარგი გარეგნობის კაცს, პროფილი ლინდბერგს მიუგავდა. თვალები (კოდი № 6) კვლავინდებურად სხივიანი ჰქონდა. ფერიან სახეს საფეთქლებთან ოდნავი სიწითლე გადაჰკრავდა. ფლორიდაში ხანმოკლე მგზავრობისას მზე ოდნავ მოჰკიდებოდა. პრეზიდენტს გამარჯვებული, საკუთარ თავში დარწმუნებული, მაგრამ მძიმე და საქმიანი მოგზაურობისათვის გამზადებული ოჯახის უფროსის შესახედაობა ჰქონდა, რაც მართლაც ასე ემთხვეოდა სინამდვილეს.

— კეროლაინ! ჯონ! — დაიძახა მან.

პრეზიდენტმა ტაში შემოჰკრა და ბავშვებიც უმალვე მასთან გაჩნდნენ. ჯონს კუბოკრული მოკლე შარვალი ეცვა, კეროლაინს კი ცისფერი წინდები და ლურჯი ხავერდის კაბა. მშობლები ტეხასს მიემგზავრებიანო, — უთხრა ბავშვებს აღმზრდელმა მოდ შოუმ. პატარა ჯონისათვის აღმზრდელის ეს სიტყვები არაფერს ნიშნავდა, მაშინ როცა მამის ხშირი მოგზაურობის გამო მის დაიკოს საკმაო ცოდნა დაუგროვდა გეოგრაფიაში. გოგონას უყვარდა ასეთი გამოთხოვებისათვის საგანგებოდ, დასამახსოვრებლად მომზადება. წინაღამით კეროლაინმა საგულდაგულოდ შეარჩია კაბა და თავისი პატარა საწოლის ახლოს მიაფინა. იგი ახლა კარს უკან ხტუნავდა ნაცნობი, დაბალი ხმის მოლოდინში. პრეზიდენტმა გამოცდილე-

ბით იცოდა, გოგონას ჩაცმულობის შეუმჩნევლობა რომ არ ივარგებდა, დღევანდელი უყურადღებობისათვის ხვალ გადახდებოდა. მაშინვე თავაზიანი ქათინაური წაუჩურჩულა და ბავშვებითურთ მაგიდისკენ გაემართა.

დედა თმის ვარცხნამ შეაგვიანა, ასე რომ, საუზმეზე მამა ბავშვების განკარგულებაში აღმოჩნდა. ვიდრე პრეზიდენტი გაზეთებს ათვალიერებდა და თავდაცვის მინისტრის მოადგილეს მითითებებს აძლევდა, ბავშვები მხიარულად ჟღურტულებდნენ. 9 საათსა და 15 წუთზე პრეზიდენტის ქალიშვილი სკოლაში უნდა წასულიყო. გოგონა მამას გადაეხვია და წასჩურჩულა:

— ნახვამდის, მამიკო („ნახვამდის, კეროლაინ", — უპასუხა მამამ) — და მოჰკურცხლა თავისი ცისფერწინდებიანი წვრილი ფეხებით.

ნახევარი საათის შემდეგ პრეზიდენტი თეთრი სახლის დასავლეთი ფრთისაკენ გაემართა. პატარა ჯონს არ გამომშვიდობებია. კენედის უყვარდა ვაჟიშვილთან შეძლებისდაგვარად მეტ ხანს ყოფნა. ახლაც აპირებდა ბავშვის აეროდრომზე წაყვანას. მამის მოლოდინში პატარა ჯონი სათამაშო თვითმფრინავით ერთობოდა და ფანჯრიდან ღრუბლებით დაფარულ ცას გაჰყურებდა. ყინულლავდა.

დაძაბულ შრომაში გართულმა პრეზიდენტმა ერთი საათი დაჰყო თავის კაბინეტში. აშშ-ის კიდევ ორ ელჩს ებრძანა გამგზავრება. მერე ხელი მოაწერა გოდფრი მაკჰიუს მიერ მომზადებულ დეკრეტს სამხედრო-საჰაერო პერსონალისათვის მორიგი რანგების მინიჭების თაობაზე. დაურეკა ბობი კენედისა და არტურ გოლდბერგს, სამახსოვრო წარწერა გაუკეთა პროფესორ კლინტონ როსისტერისათვის საჩუქრად გამზადებულ წიგნს. წარწერით დაამშვენა მასაჩუსეტსის შტატში ვორჩესტერის სკოლის დირექტორისათვის გასაგზავნი ფოტოსურათიც. მერე კვლავ ბობის დაურეკა, ბოლოს კი პირადი თანაგრძნობის დეპეშა გაუგზავნა საზღვარგარეთ დაღუპული ხუთი ამერიკელი სამხედრო მოსამსახურის, ახლობლებს.

კაბინეტიდან გამოსული პრეზიდენტი სხდომათა დარბაზში შევიდა და ყურადღებით შეათვალიერა წინადღით დაკიდებული ფარდები.

— ჩვენსას როდისღა მივიღებთ? — ჰკითხა თავის მდივან ეველინ ლინკოლნს და ფარდების წითელ არშიას ხელი შეაელო.

— როცა ტეხასში ვიქნებით, — მიუგო ქალმა.

— ნოხებსაც?

— დიახ, ნოხებსაც, — დაუდასტურა მდივანმა.

— კეთილი, მაშ დაბრუნებულებს ახალი კაბინეტები გვექნება.

პრეზიდენტმა მდივანს ტედ სორენსენის გამოძახება სთხოვა. ტედმა პრეზიდენტის მიერ ტეხასში წარმოსათქმელი სიტყვების ტექსტები შემოიტანა. კვირის განმავლობაში მათ რამდენჯერმე გაუგზავნ-გამოუგზავნეს ერთმანეთს ტექსტების ეს პროექტები. მუშაობის ასეთი წესი კარგა ხანია დამკვიდრდა. მართალია, დოკუმენტების ავტორობა ერთობლივი იყო, მაგრამ სიტყვებს მაინც პრეზიდენტის აშკარა დაღი აჩნდა. ტედმა ცამეტი წლის წინათ, ჯერ კიდევ ერთმანეთის გაცნობამდე, გამოსული კენედის პირველი წიგნის ლიტერატურული სტილი აითვისა. დიახ, პრეზიდენტს აფიქრებდა სავაჭრო ცენტრში წარმოსათქმელი სიტყვა. სურდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ დალასი სათქმელს გაუგებდა. ორთავემ სათვალეები გაიკეთეს და ჟაკლინის მიერ თეთრი სახლის საწყობში გამოძებნილ მაგიდას მიუსხდნენ. დაძაბული სიჩუმე იდგა. პრეზიდენტი გულისყურით ეცნობოდა ორიგინალს, ხოლო ტედი ტექსტის ასლს ატრიალებდა.

— კარგია, — წარმოთქვა ბოლოს პრეზიდენტმა.

დალასის „მორნინგ ნიუსი", ალბათ, ამ სიტყვასაც არ ჩათვლიდა კარგად. აი რის თქმას აპირებდა პრეზიდენტი დალასის მაგნატებისა და მათი ცოლებისათვის:

„ამ ქვეყანაში ყოველთვის გაიგონებთ სხვადასხვაგვარად მოაზროვნე ადამიანთა ხმებს, იმათ სიტყვებს, ვინც კრიტიკით გამოდის, თუმცა სამაგიეროდ არაფერს გვთავაზობს; ვინც ყოველთვის მხოლოდ უარყოფითს ხედავს, დადებითს კი არასოდეს. ვინც ყოველივეს შავ, ბნელ ფერებში ჰვრეტს და გავლენის მოპოვებას მხოლოდ პასუხისმგებლობის აცდენით აღწევს. ამგვარი ხმები გარდუვალია. დიახ, ქვეყანაში სულ სხვადასხვაგვარი ხმები ისმის. ხმები იმათი, ვინც სინამდვილისაგან მთლიანად მოწყვეტილ, ჩვენი დროის მოთხოვნილებისათვის სრულიად შეუფერებელ აზრებს ქადაგებს. ამ შეხედულებათა თანახმად, ალბათ მხოლოდ ცარიელი

სიტყვებია საკმარისი; ლაშქრეა გამარჯვების უფრის, ხოლო სიმშვიდე სისუსტის ნიშანია". მემარჯვენეთა წარმოდგენა თითქოს ერი დამარცხდება, რადგან მისი ვალდებულებანი შესაძლებლობებს აღემატება, რომ თითქოს ძალა ლოზუნგებში მდგომარეობდეს. „დიახ, ძალა უაზრობაა, თუ იგი სამართლიანობას არ ეყრდნობა", — ასე მკაცრად აპირებდა იგი თავისი სიტყვის დამთავრებას.

პრეზიდენტმა ყური მოისრისა. იქნებ, საჭირო იყო სიტყვაში რაიმე პატარა ხუმრობის ჩართვა, ტექსტის გაცოცხლება. მგონი, არსებობს კიდეც ტეხასზე რაღაც კარგი ანეკდოტები. ტედიც შეჰპირდა საოხუნჯო გამოთქმათა დოსიეს გადავათვალიერებო. პრეზიდენტმა ეველინს დაურეკა:

— როგორია ამინდის ცნობები? — ჰკითხა ქალს და გოდფრი მაკჰიუს მოწოდებული პროგნოზის შემოწმება დაავალა.

10 საათსა და 42 წუთზე მდივანი ცუდი ცნობებით დაბრუნდა. დალასიდან მოსული ახალი პროგნოზის თანახმად უახლოესი ორი დღის განმავლობაში ტეხასში სიცხეს ვარაუდობდნენ.

— სიცხე! — წამოიძახა განაწყენებულმა კენედიმ და შეიკურთხა, — სიცხე! სიცხე! ჟაკლინის ყველა კაბა უკვე ჩალაგებულია, თანაც, მგონი, არც ერთი არ გამოდგება. დასწყეველოს ღმერთმა! — ერთხელ კიდევ შეიკურთხა და გაბრაზებული წამოდგა.

— ჰო, ტედ, რა ამბავია?

ეს უდროოდ შემოსული კაცი ტედი რირდონი გახლდათ. პრეზიდენტის ირლანდიური წრის უძველესი წევრი, ჯერ კიდევ ჰარვარდის უნივერსიტეტიდან მოყოლებული. კენედის კონგრესში არჩევის შემდეგ იგი ყველგან თან ახლდა ხოლმე. რირდონი ერთი ადმინისტრაციული საკითხის შესათანხმებლად შემოვიდა. შობაც და ახალი წელიწადიც წელს კვირის შუაგულში ხვდებოდა. უკანასკნელად ასე პრეზიდენტ ეიზენჰაუერის დროს იყო. ჰოდა, მაშინ პრეზიდენტმა ყველა სახელმწიფო მოსამსახურე ამ დღესასწაულების წინა დღეს ნახევარი დღით ადრე გაათავისუფლა. რირდონის აზრით ეს კარგი პრეცედენტი იყო.

ჯერ კიდევ სიბრაზედაუმცხრალმა კენედიმ ავად გახედა მოსულს.

— მაინც რატომ უნდა მივცე დამატებითი სადღესასწაულო დღეები?

— კი, მაგრამ, ეს ხომ შობაა! — შეეპასუხა რირდონი.

პრეზიდენტმა მუქარით ჩაიბუზღუნა.

— წინ არჩევნებია... — მშვიდად წარმოთქვა სორენსენმა.

— სამხედრო მოსამსახურეებს რაღა ვუყოთ? — უკვე იმედიანად იკითხა რირდონმა. — შეიძლება მათი გათავისუფლება?

— კარგი, კარგი, რაც გინდათ, ის ქენით, გაუშვით ნახევარი დღით ადრე. შეადგინეთ ბრძანება და ხელს მოვაწერ, — წარმოთქვა ბოლოს პრეზიდენტმა და კაბინეტიდან გავიდა.

რეზიდენციის მეორე სართულზე პრეზიდენტი ჟაკლინის მოსამსახურე ქალს შეეფეთა.

— სად არის ჯონი? — ჰკითხა პრეზიდენტმა.

გახარებულ ბიჭუნას რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე საწვიმარი ეცვა და თავზეც ზუიდვესტკა[1] ეხურა. დაბლა ჩამოსვლისას ახლა უკვე ბავშვების დაცვის პასუხისმგებელი, საიდუმლო დაცვის აგენტი ბობ ფოსტერი შეუერთდა. პრეზიდენტმა ქუდს წაავლო ხელი და მამა-შვილი ვერტმფრენის ასაფრენი მოედნისაკენ გაიქცნენ. იქ უკვე თავი მოეყარა ტეხასში მიმავალთა უმრავლესობას. კენედის უახლოეს კეთილისმყოფელთ კი დასავლეთი ფრთის კაბინეტები მიეტოვებინათ და მის გასაცილებლად გამოსულიყვნენ. წვიმაში უქუდოდ მდგარმა პრეზიდენტმა სორენსენის გამოძებნილი ანეკდოტები ჯიბეში ჩაიდო. როგორღაც დაბნეული გამომეტყველებით მოუსმინა თავის თანაშემწე ენდი ჰეტჩერს და სახდეპარტამენტის რამდენიმე საჩქარო ქაღალდს თვალი სწრაფად გადაავლო.

კენედის გუნება გამოუკეთდა. მერე ჰოლბორნმა მაკჯორჯ ბანდის მიერ გონებამახვილურად დაწერილი ბარათი გადასცა, რომელშიაც ბანდი პრეზიდენტს იანვარში ორკვირიან შვებულებას სთხოვდა. კენედის გაეცინა და წერილის ბოლოში გარდიგარდმო წააწერა: „თანახმა ვარ. მგონი, ჩემი შვებულებაში გასვლის დროც არის. ჯ. ფ. კენედი“. გამგზავრების წუთები მოახლოვდა და პრეზიდენტი სასწრაფოდ ავიდა № 1 ვერტმფრენში.

ამუშავდა ხრახნები. უზარმაზარი, ყავისფერი კრაზანებივით ზუოდა ასაფრენ ბილიკზე მდგარი სამი ვერტმფრენი. მერე ჰაერში

---

[1] ზ უ ი დ ვ ე ს ტ კ ა — წყალგაუმტარი ქსოვილის ფართოფარფლებიანი მრგვალი ქუდი.

აიჭრნენ და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით თორმეტი წუთის საფრენი მანძილით დაშორებულ ენდრიუსის აეროდრომისკენ აიღეს გეზი. პრეზიდენტის გამგზავრება ყოველთვის საინტერესო სანახაობა იყო და გამვლელებიც ჩერდებოდნენ ხოლმე. ტეხასელი დონ ელინჯერი და ნარკოტიკების კომისიის თავმჯდომარე დინ მარკჰემი რეზიდენციის პირდაპირ უესტ იუზეკუტივ-ავენიუზე იმყოფებოდნენ და პრეზიდენტის ჩაჯდომას და აფრენას შეპყურებდნენ.

— მე არ ვიცოდი, თუ ო'ბრაიენი და ო'დონელი მიემგზავრებოდნენ, — დაბნეულად წარმოთქვა მარკჰემმა.

— ისინი უსათუოდ უნდა გაჰყოლოდნენ, ამ მგზავრობას პოლიტიკური ხასიათი აქვს, — შენიშნა ტეხასელმა და კონელისა და იარბოროს მტრობის ამბავი გაიხსენა.

როცა გიგანტური კრაზანები ჰორიზონტს მიეფარნენ, ტეხასელმა სინანულით დასძინა:

— რაც არ უნდა მოხდეს იქ, პრეზიდენტი ამ მგზავრობით ვერაფერს მოიგებს.

* * *

1963 წლის შემოდგომაზე თეთრი სახლის ტელეფონის ნომერი ჯერ კიდევ ნ ე ი შ ნ ლ-1414 [1] გახლდათ. როცა პრეზიდენტი შინ იყო, მასთან დაკავშირება შედარებით ადვილად ხერხდებოდა. რა თქმა უნდა, ტელეფონის ზარს თვითონ პრეზიდენტი არ პასუხობდა.

თუ პრეზიდენტის კანცელარიის შენობის მეოთხე სართულზე მოთავსებულ ორმოცნათურიან განმანაწილებელ ფარზე სიგნალი აინთებოდა და თქვენ პრეზიდენტის რომელიმე თანაშემწის სახელს დაასახელებდით, ერთ-ერთი ტელეფონისტი ქალი მაშინვე შეგაერთებდათ კომუტატორის შესაბამის ნომერს და თქვენც ოვალურ კაბინეტს ან რეზიდენციას დაუკავშირდებოდით. მაგრამ მდგომარეობა მაშინვე იცვლებოდა, როგორც კი მთავრობის მეთაური ვერტმფრე-

[1] 1964 წლის ზამთარში გამოძახების სისტემა შეიცვალა. ახლა ტელეფონის ნომერი მთლიანად ციფრებით იკრიფებოდა.

ნის ასაფრენი მოედნიდან ჰაერში ადიოდა. მთელი სისტემა მუშაობის სხვა რეჟიმზე გადადიოდა. მოქმედებას იწყებდა უსაფრთხოების უზრუნველყოფის სულ სხვა, ფრიად რთული ჯაჭვი.

იცვლებოდა თვით სახელებიც — მათ კოდებით აღნიშნავდნენ. თეთრ სახლს უკვე აღარ ახსენებდნენ თეთრ სახლად. მას „კასლი" („კოშკი") ერქვა, მოგზაურობის ყოველ გარკვეულ მომენტში პრეზიდენტის ზუსტ ადგილსამყოფელს „ჩარკოულად" („ხის ნახშირად") ახსენებდნენ. თვითონ ჯონ კენედი „ლანსერად" (შუბოსნად) იწოდებოდა, მის მეუღლეს „ლეისი" („მაქმანი") ერქვა, ქალიშვილს — „ლირიკა", ხოლო ვაჟს — „ლარკი" („ტოროლა"). შეერთებული შტატების პირველი ოჯახის ყველა წევრის სახელი ასო „ლ"-ზე იწყებოდა, ხოლო საიდუმლო სამსახურის აგენტების სახელები ასო „დ"-ზე. ვიცე-პრეზიდენტისა და მისი ოჯახის წევრების სახელები კი ასო „ვ"-ზე იწყებოდა: ლინდონ ჯონსონი „ეოლანტირი" (მოხალისე) იყო, ლედი ბიორდი კი „ვიქტორია" (გამარჯვება).

ტურისტების წარმოდგენით პრეზიდენტის ბინა ერთთავად პენსილვანია-ავენიუს 1600 ნომერ სახლში მდებარეობს. მაგრამ თეთრ სახლს ჰქონდა ნაწილებად დაყოფის უნარი. მას შეეძლო ერთსა და იმავე დროს რამდენიმე ქალაქში განაწილებულიყო. კანცელარიის შენობის მეოთხე სართულზე მყოფი ტელეფონისტი ქალები ადგილზევე რჩებოდნენ, მაგრამ ნამდვილი თეთრი სახლი მდებარეობდა იქ, სადაც იმ მომენტში „ლანსერი" ანუ კენედი იმყოფებოდა. როგორც კი პრეზიდენტი გზას დაადგებოდა, თეთრი სახლის აღმოსავლეთი ფრთის სარდაფში მოთავსებული სატელეფონო კვანძი კოდირებული ფერადი მაეთულების ჯუნგლად იქცეოდა ხოლმე, რომელსაც პრეზიდენტის რეზიდენციის კავშირგაბმულობის ოცეულის პირველხარისხოვანი ტექნიკოსები ემსახურებოდნენ. სახელმწიფოებრივი უშიშროების დაცვის მიზნით, „შუბოსანი" ტელეფონს ფეხით ხუთი წუთის სავალზე უფრო მეტად ვერ დაშორდებოდა. თეთრი სახლის კავშირგაბმულობის უფროსი პოლკოვნიკი მაკნალი ანუ სხვა სიტყვით „სტარი" („ვარსკვლავი") ყოველთვის ცდილობდა პრეზიდენტი ფაქტიურად ტელეფონთან კიდევ უფრო ახლო ყოლოდა. ტელეფონები იყო ყველგან: პრეზიდენტის ვერტმფრენშიაც და თვითმფრინავ 2600-ის ბორტზეც. ყოველ აეროდ-

რომზე პრეზიდენტის თვითმფრინავის დაჯდომის აღგილიდან 50 ფუტის დაშორებით იდგმებოდა გადასატანი ტელეფონები. მისი კორტეჟის ავტომანქანებში კი ორ სიხშირეზე მომუშავე რადიოტელეფონები იდგა. იმ ხუთშაბათს, ადრე დილით, დროებითი სატელეფონო კვანძები დაიდგა სან-ანტონიოს, ჰიუსტონის, ფორტ-უორტის, დალასის, ოსტინის სასტუმროებში, ჯონსონის რანჩოში და ავტოსაბმურეებზე. თითოეულ მათგანს ჰქონდა საკუთარი სატელეფონო ნომერი. მაგალითად, დალასში თეთრი სახლი მოთავსებული იყო სასტუმრო „ერატონში". იქ დარეკვა შეიძლებოდა მხოლოდ რიგერსაიდ 1-3421, რიგერსაიდ 1-3422. და რიგერსაიდ 1-3423-ით. თუმცა, ვისაც არ უნდა აეკრიფა ერთ-ერთი ამ ნომერთაგანი, თუ იგი საკუთარი კოდის სახელწოდებას არ იტყოდა, საუბარს ვერ მოახერხებდა.

ტეხასში გამგზავრებასთან დაკავშირებით „ს" ჯგუფის წარმომადგენლად უორენტ-ოფიცერი[1] არტ ბეილსი გაიგზავნა („სტერდი" — „მტკიცე"). ეს ხმელ-ხმელი, ოცდათოთხმეტი წლის ვეტერანი იცნობდა სამხრეთ-დასავლეთის სატელეფონო კომპანია „ბელის" ყველა უფროსს. მას შეეძლო უახლოესი ხაზიდან თუ ლუკიდან დაკავშირებოდა ყოველგვარ გაუვანილობას, ჩართულიყო ყოველნაირ საუბარში ან გამოეთიშა გაფრთხილების გარეშე.

ქალაქიდან გასულ პრეზიდენტს უნდა ჰქონოდა ვაშინგტონთან პირდაპირი, შეუფერხებელი კავშირი. ეს კი ნიშნავდა, რომ ბეილსს შეეძლო საჭიროების შემთხვევაში შეეწყვიტა ყოველნაირი სატელეფონო საუბარი, თუნდაც კაბინეტის წევრისაც კი. პრეზიდენტის კორტეჟის მსვლელობის დროს ბეილსი მეკავშირეების ჯგუფთან ერთად იჯდა მანქანაში. ტრადიციის მიხედვით, ეს იყო კორტეჟის უკანასკნელი მანქანა. მასთან ერთად მგზავრობდა „ს" ჯგუფის წარმომადგენელი უორენტ-ოფიცერი აირა გირჰარტი.

პრეზიდენტის თანმხლებ პირთა შორის, გირჰარტს ანუ „ჩრდილს" დაკისრებული ჰქონდა ყველაზე ავბედითი ამოცანა. მას არავინ მიმართავდა სახელითა და გვარით, თვით კოდური სახელითაც კი. იგი ყველასათვის ცნობილი იყო, როგორც „ტომრიანი კა-

---

[1] **უ ო რ ე ნ ტ-ო ფ ი ც ე რ ი** — საშუალო კატეგორია სერჟანტსა და ოფიცერს შორის.

ცი" ან უბრალოდ „მეტომრე". თვით „ტომარა" წარმოადგენდა ოცდაათგირვანქიან ლითონის ჩემოდანს, რომელსაც სეიფის რთული საკეტი ჰქონდა. შიგ ინახებოდა სხვადასხვაგვარი სქელი საიდუმლო პაკეტები. თითოეულ მათგანს ბეჭდის დასმით ხელს აწერდნენ არმიის შტაბის უფროსები. ერთ-ერთი ამ პაკეტის საიდუმლო ციფრების საშუალებით პრეზიდენტი საჭიროების შემთხვევაში ოთხ წუთში დაუკავშირდებოდა გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრსა თუ საფრანგეთის პრეზიდენტს. მეორეში ატომური შეტევის დასაწყებად საჭირო საიდუმლო შიფრები ინახებოდა. დანარჩენებში მუდმივად ნაწერ ფურცლებს რაღაცნაირი ნახატები ჰქონდა დართული. ნახატები კომიკსებს მოგაგონებდათ, უფრო სწორად საშინელებათა კომიკსებს, რადგან იგი საგულდაგულოდ და ისეთნაირად იყო შედგენილი, რომ კენედის სამივე სამხედრო ადიუტანტს შეეძლო ეთქვა რამდენი მილიონი კაცის სიცოცხლეს შეიწირავდა „ეიბლის საპასუხო აქცია", „ბეიკერის საპასუხო აქცია", „ჩარლის საპასუხო აქცია" და ასე შემდეგ. „საშინელი სამსჯავროს" ამ წიგნებს ადგენდა ტეიზველ შეპარდი, პრეზიდენტის ადიუტანტი სამხედრო საქმეების დარგში. არავის უყვარდა მათი გახსენება, მით უმეტეს მასზე ლაპარაკი. მოგზაურობისას „ტომრიან კაცს"ექცეოდნენ როგორც პარიას[1]. მთელი მისი სამუშაო მხოლოდ იმაში მდგომარეობდა, ყოფილიყო სადმე შორიახლო, თან ეტარებინა ეს „ტომარა" და ხსომებოდა სეიფის საკეტის კომბინაცია, თუ ვინიცობაა მორიგე ადიუტანტს დაავიწყდებოდა. და მაინც ისიცა და მისი საშინელი ტვირთიც აუცილებლობას წარმოადგენდნენ.

დალასში დატრიალებული ტრაგედიის გამო ორივე ეს უორენტოფიცერი მეტად რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. ბეილსს ძალიან გაუჭირდა, რადგან სასწრაფო შემთხვევებისათვის არსებული საოპერაციო ოთახი ყველაზე შეუფერებელი ადგილი აღმოჩნდა საიმედო კავშირის უზრუნველსაყოფად. გირჰარდტი კი იმიტომ, რომ ეს „მეტომრე" ვიცე-პრეზიდენტის საიდუმლო სამსახურის აგენტებისათვის უცნობი პიროვნება გახლდათ. მრავალრიცხოვანი იყო პრეზიდენტის ამალა. არსებობდა ჯგუფი „ს", ჯგუფი „დ", ჯგუფი

---

[1] პარია — უუფლებო, გარიყული, დაბეჩავებული ადამიანი.

„ვ“, გაერთიანებული სამდივნო, პოლიტიკური მრჩეველები, ექიმები, სამხედროები, ბარგზე პასუხისმგებელი პირები. ერთი სიტყვით, თანმხლებ პირთა რიცხვი უსასრულო ჩანდა. ყოველ ჯგუფს მოგზაურობის თავისი მუდმივი ინსტრუქცია ჰქონდა. მაგალითად, იმათთვის, ვინც ბარგის საქმეს გახაგებდა, გასამგზავრებელი მზადება თეთრი სახლის სარდაფის მონახულებით იწყებოდა. პრეზიდენტის ქალაქიდან გამგზავრების წინ ხელოსან-სერჟანტს სარდაფიდან ამოჰქონდა კენედის საწოლზე დასაგები ორი პორტატული სამდუიმიანი ფირფიცარი და ხუთდუიმიანი მატრაცი, რათა იგი ენდრიუს აეროდრომის სამხედრო საჰაერო სამსახურის „სატრანსპორტო პუნქტში წინასწარვე გაეგზავნა თვითმფრინავში ჩასატვირთად. ორ კაცს ევალებოდა ამერიკის შეერთებული შტატების დროშების, პრეზიდენტის ალმის, პრეზიდენტის ემბლემის საქმე. ერთ-ერთი მათგანი სათანადო ადგილას უნდა დაედგათ კენედის ყოველი გამოსვლის წინ. თუ პრეზიდენტს ვიცე-პრეზიდენტიც ახლდა თან, საჭირო იყო ელექტრომოწყობილობიანი ტრიბუნის დაქირავება და ვიცე-პრეზიდენტის სათვალიდან ზუსტად სამოცდათექვსმეტი დუიმის სიშორეზე დადგმა.

პრეზიდენტის თითოეულ თანხმლებ პირს ეძლეოდა ბარათი ზომით 3×5, რაზედაც კორტეჟში მისთვის განკუთვნილი ადგილი იყო აღნიშნული. ასევე ურიგდებოდათ პრეზიდენტის თანმხლებობის დამადასტურებელი მკერდზე დასაბნევი ნიშანი. ამ ნიშნების ფერი იცვლებოდა ცალკეული გამგზავრების მიხედვით, თვით ნიშნის გამოსახულება კი იგივე რჩებოდა. უშუალოდ პრეზიდენტის გარემომცველ პირებს შუაში წერტილიანი ელიფსის ფორმის ნიშნები ჰქონდათ. მეკავშირეების ნიშანს დიაგონალურად ჰკვეთდა ხაზი, ხოლო საიდუმლო სამსახურის აგენტების ნიშანი შუა ადგილას გაწყვეტილ ზოლს გამოხატავდა. ვინაიდან ტეხასისათვის წითელ ფონზე თეთრი ფერი შეარჩიეს, გეგონებოდათ, თითქოს აგენტებს „დამსახურების“ არმიული მედლები უკეთიათო.

აგენტ ბობი ფოსტერს არა ჰქონდა ასეთი ზოლიანი ნიშანი, იგი მხოლოდ ენდრიუსის აეროპორტამდე უნდა მიფრენილიყო. ისა და მისი სამეურვეო ბავშვი არ მიემგზავრებოდნენ. ჯონი-უმცროსი ჯერ კიდევ პატარა, მაგრამ ნამდვილი კენედი (თვალები და ტუჩ-კბილი მამისა ჰქონდა) შინ დარჩენას ჯერ ვერ შეგუებოდა. როგორც კი

ვერტმფრენი დიდებული თვითმფრინავის „სსძ-1“ გვერდით დაეშვა, მშობლებმა მაგრად ჩაიკრეს პატარა ჯონი გულში.

— მეც მინდა ფრენა, — ათრთოლებული ხმით შესჩივლა პატარამ.

— შენთვის არ შეიძლება, — ალერსიანად უთხრა პრეზიდენტმა.

ბიჭი ატირდა. თვითმფრინავის ასაფრენ ბილიკზე ფოტოკორესპონდენტები შეკრებილიყვნენ და მშობლებმა უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ატირებული ბავშვის ვერტმფრენშივე დატოვება გადაწყვიტეს, თორემ მეორე დღის გაზეთების პირველი გვერდები, ცოტა არ იყოს, მინორული გამოვიდოდა. პრეზიდენტმა უკანასკნელად გადაკოცნა გულამომჯდარი ვაჟი და საწვიმარში გახვეულ მოცახცახე პატარა მხარზე ხელი მოუთათუნა. მერე უეცრად აგენტს მიუბრუნდა და უთხრა:

— ბატონო ფოსტერ, მიხედეთ ჯონს.

— დიახ, სერ, — უპასუხა ფოსტერმა, თუმცა პრეზიდენტის სიტყვები როგორღაც ეუცნაურა. ასეთი თვალცრემლიანი გამომშვიდობება წინათაც ყოფილა, მაგრამ არასოდეს გაუფრთხილებია.

* * *

იმ დღეს, ადრე დილით, დალასის ქუჩებს ხუთი ათასი პრიმიტიულად ნაბეჭდი ფურცელი მოეფინა. ფურცლის ზემო ნაწილზე პრეზიდენტის ორი სურათი იყო მოთავსებული — ერთი ანფასით, მეორე პროფილით. ფურცელი მიაგავდა საგანგებო განცხადებას, რომელშიც, ჩვეულებრივ დამნაშავის გარეგნობას და სხვა ნიშანთვისებებს აქვეყნებენ ხოლმე. და ეს მართლაც გამიზნული ამბავი იყო. სათაურიც ამასვე გვამცნობდა: „იძებნება სახელმწიფოს ღალატის გამო“.

„ეს კაცი, — იუწყებოდა განცხადება, — იძებნება ამერიკის შეერთებული შტატების წინაშე ღალატისათვის,“ — შემდეგ ჩამოთვლილი იყო ბრალდების შვიდი პუნქტი. მთავრობის მეთაურს, სხვათა შორის, ბრალად ედებოდა კონსტიტუციის ღალატი „შეერთებული შტატების სუვერენიტეტის გადაცემა კომუნისტების კონტროლის ქვეშ მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის“, „შეცდომები უამრავი საკითხის გადაწყვეტისას“, კერძოდ, კუბის საკი-

თხი და ის ხელშეკრულება, რაც ატომის იარაღის გამოცდის ნაწილობრივ შეზღუდვას გულისხმობდა, რასობრივი უწესრიგობისაკენ წახალისება, „ფედერალური ჯარების შეკრა სუვერენულ შტატში“, უმაღლესი სასამართლოსათვის მხარის დაჭერა, „ანტიქრისტიანული გადაწყვეტილების გამოტანა“. ბოლოს, პრეზიდენტს ამხელდნენ, როგორც იმ კაცს, ვინც ამერიკელი ხალხის საშინელ მოტყუებაში გამოიჭირეს (ბევრი რამ ეხებოდა მის პირად ცხოვრებასაც, კერძოდ, კენედის პირველ ქორწინებასა — sic! — და განქორწინებას)“.

ერთი სიტყვით, გინების ამ ნიაღვარში თავს იყრიდა ყველა ის წამქეზებლური მონაჭორი, რასაც კენედის დაუძინებელი მტრები ავრცელებდნენ. მისი ყოველი მოძულე, სულ ერთია, მემარჯვენე იქნებოდა იგი თუ მემარცხენე, მისთვის შესაფერ მასალას იპოვიდა.

იქნებ, ამ ფურცლის მნიშვნელობა გადაჭარბებულად მივიჩნიეთ, პრეზიდენტის მკვლელი და ამ ფურცლის შემდგენლები ერთმანეთთან დაკავშირებული არ ყოფილან. კენედის დალასელი მტრები უამისოდაც ზიზღით იყვნენ ანთებულნი და ეს დამატებითი საწვავი ამ ცეცხლს ოდნავ თუ გააღვივებდა. იმ დილით, სასკოლო სახელმძღვანელოების ტეხასის საწყობის წინ, მდინარე ტრინიტის გაღმა მდებარე ე. გრეინერის საშუალო სკოლაში ხმის გამაძლიერებლით გამოაცხადეს, რომ ხვალ მოსწავლეებს პრეზიდენტის კორტეჟის შეხვედრის უფლება ეძლევათ მხოლოდ მშობლებთან ერთადო.

მეცადინეობა იწყებოდა. უორენ გარდინგის თოთხმეტი წლის ვაჟი საკლასო ოთახში იჯდა. ზარის დარეკვის წინ კლასში მასწავლებელი შევიდა და მკაცრად გამოაცხადა:

— არც ერთ თქვენგანს პარადზე არ გაეუშვებ. თქვენ აქ დარჩებით, თუნდაც მთელმა თქვენმა ოჯახებმა მოგაკითხონ. იგი ცუდი პრეზიდენტია. ამას იმიტომ კი არ ვამბობ, რომ მე რესპუბლიკელებს ვემხრობი. ჩემთვის სულ ერთია, მასზეა ლაპარაკი თუ მის ძმა ბობზე. არც ერთი არ უქნია ღმერთს. არც მე წავალ იქ და არც თქვენ გაგიშვებთ. მორჩა და გათავდა. — მერე ამ ახალგაზრდა, ელეგანტურად ჩაცმულმა მასწავლებელმა ღიმილით დასძინა: — ის კი

ირა, სადმე რომ შემხვედროდა, პირდაპირ სახეში შევაფურ-ხებდი.

ერთი საათის შემდეგ, 10 საათსა და 30 წუთზე, დალასის ქუ-ჩებს „ტაიმს ჰერალდის" ფურცლები მოეფინა. წიგნების საწყო-ბის ერთმა თანამშრომელმა ელმ-სტრიტისა და ჰიუსტონ-სტრიტის კუთხეში გაზეთი იყიდა და პრეზიდენტის კორტეჟის მსვლელობის სქემის ფრიალით შენობაში შევარდა. ამ ცნობას საწყობში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. თანამშრომლები აშკარად აფორიაქდნენ. პრეზიდენტის მანქანა მათი საწყობის ფანჯრების წინ გაივლიდა და ნელი სვლით სამმაგი გვირაბისაკენ გასწევდა.

* * *

თვითმფრინავი 26000 ენდრიუსის აეროდრომიდან აღმოსავლე-თის სტანდარტული დროით 11 საათსა და 05 წუთზე აფრინდა. მი-სი ოდნავ დაქანებული მარცხენა ფრთის ქვეშ სულ რაღაც ერთი წა-მით გამოჩნდა კაპიტოლიუმის მრგვალი შენობა, მაღლიდან ჭადრაკის გაბრტყელებულ ფიგურას რომ მიაგავდა. მერე თვითმფრინავი მაღ-ლა აიჭრა და საათში 550 მილის სისწრაფით სამხრეთ დასავლეთი-საკენ აიღო გეზი. თვითმფრინავს მართავდა ალაბამელი ვაჟკაცი, მარჯვე პილოტი, პოლკოვნიკი ჯიმ სუინდალი. ამ ასტონიან, ოცნე-ბის მსგავს მანქანას, ბრწყინვალე აპარატურა, ხმაგაუმტარი კაბი-ნები, ხელოვნური კლიმატის დანადგარები და უზადო შიდა გა-ფორმება ჰქონდა. „ბოინგის" ფირმისათვის ეს იყო „707" ტიპის თვითმფრინავი, სამხედრო-საჰაერო ძალებისათვის „VC-137", მაგ-რამ მსოფლიოსათვის იგი გახდა ცნობილი, როგორც ამერიკის შე-ერთებული შტატების პრეზიდენტის პირადი საფლაგმანო თვით-მფრინავი.

არსებითად იგი ბევრით არაფრით განსხვავდებოდა თავისი ტი-პის სხვა თვითმფრინავებისაგან. ყველა ამათ „პრატ ენდ უიტნის" ფირმის ერთნაირი რეაქტიული ძრავები ედგათ, მაგრამ თვითმფრი-ნავი 26000 პირადად ჯონ კენედისა იყო. პრეზიდენტი თვალყურს ადევნებდა თვითმფრინავის შიდა გაფორმებას, მითითებაც მისცა ცისფრად შეეღებათ. იგი პრეზიდენტმა 1962 წლის 21 ოქტომბერს მიიღო და 75 ათასი მილი იფრინა. მთავარი სალონის კედლებზე,

საავარძლების გადასაკრავებზე, ჭურჭელსა და ტელეფონების დისკოებზე პრეზიდენტის ოქროს ემბლემა იყო გამოსახული. მარტო ეს ანიჭებდა ამ ლაინერს თავისებურ ერთადერთობას, თუმცა იგი სხვა მხრივაც გამორჩეული იყო. ამ თვითმფრინავისათვის გამოწერილი იყო 15 ჟურნალი და 5 ყოველდღიური გაზეთი. მას გზას უთმობდა ყველა სხვა თვითმფრინავი — სამხედრო თუ სამოქალაქო. ფრუნას თვალყურს ადევნებდნენ რადარის დანადგარები, ხოლო დაბლა, საჰაერო მარშრუტის გასწვრივ, საიდუმლო სამსახურის საკონტროლო პუნქტების მთელი სისტემა იქმნებოდა.

პრეზიდენტის თვითმფრინავის იძულებითი დაჯდომის შემთხვევაში მასთან უმოკლეს ვადაში გაჩნდებოდა საიდუმლო სამსახურის აგენტი. საკმარისი იყო, თვითმფრინავზე მყოფ უფროს აგენტს არ მოეხსენებინა, რომ იგი გადის „ა“ ან „ბ“ საკონტროლო პუნქტს, რომ სირენები აყვირებულიყვნენ.

სუინდალის თვითმფრინავის აფრენისა თუ დაჯდომის წინ და შემდეგ 15 წუთის განმავლობაში აეროდრომის საფრენი მინდორი ყველა სხვა თვითმფრინავისათვის დაკეტილი იყო. „სსძ-1“ შეეძლო ორი რეაქტიული ძრავითაც ეფრინა, მაგრამ ეკიპაჟი ყოველ გაჩერებაზე ოთხივე ძრავას გულმოდგინედ ამოწმებდა. პრეზიდენტის თანმხლები პირებისა და პრესის მუშაკების თვითმფრინავებს სტარტის უფლება ეძლეოდათ მხოლოდ მას შემდეგ, როცა სუინდალი მანქანას ზეცაში აიყვანდა. მერე ამ თვითმფრინავებს ჰაერში უნდა გაესწროთ პრეზიდენტის თვითმფრინავისათვის იმ ანგარიშით, რომ მათ მგზავრებს მოესწროთ დანიშნულ ადგილას გადმოსვლა და პრეზიდენტის შესახვედრად მომზადება, ვიდრე იგი ჰიმნ „დიდება ბელადის“ ჰანგს შეწყობილი ტრაპის საფეხურებს ჩამოჰყვებოდა.

პრესის წარმომადგენლები — ორმოცი ვაშინგტონელი რეპორტიორი და ლონდონის „სანდი ტაიმსის“ კორესპონდენტი ბრენდონი — დაქირავებული თვითმფრინავით მგზავრობდნენ. პრეზიდენტის თვითმფრინავში თეთრი სახლის პრესის ჯგუფის რეპორტიორები იყვნენ. რადიოს, ტელევიზიის, ჟურნალებისა და დედაქალაქის ყოველდღიური გაზეთების ოთხი ვეტერანი.

ჯგუფის შემადგენლობა ყოველ გაჩერებაზე უნდა შეცვლილიყო. დალასში კი იქაური, „მორნინგ ნიუსის“ კორესპონდენტი ბო-

ბი ბასკინი უნდა შეერთებოდათ. ასევე, გზაში ერთმანეთს უნდა შენაცვლებოდა მგზავრობის მონაწილე ტეხასის 13 კონგრესმენი. მათგან მხოლოდ ოთხისათვის იყო პრეზიდენტის თვითმფრინავში განკუთვნილი ადგილი.

თვითმფრინავი შიგნით დაყოფილი იყო ცალკეულ სექციებად. ტყავგადაკრული სამართავი სახელურებითა და მბრწყინავი ციფერბლატებით გარშემორტყმული ქუდჩამოწეული სუინდალი თავისი ეკიპაჟის ოთხ ოფიცერთან ერთად თვითმფრინავის ცხვირის მხარეს იჯდა. მომდევნო, კავშირგაბმულობის განყოფილებაში ორ მილიონ დოლარად ღირებული ელექტროაპარატურები იდგა; ტელეტაიპები, შალითაწამოცმული საშიფრო დანადგარები და თეთრ სახლთან თუ მიწაზე განლაგებულ საიდუმლო სამსახურის პუნქტებთან დამაკავშირებელი სატელეფონო კვანძი. შემდეგ ბუფეტი, ოთახი ეკიპაჟისათვის და თანმხლებ პირთა სალონი — ოცდაათი საკარძლითა და ელექტროსაბეჭდი მანქანებიანი ორი მაგიდით. იქით კი პრეზიდენტის სალონი იყო, რასაც კენედი კაბინეტად იყენებდა ხოლმე. იქ, დედამიწიდან ხუთასი მილის სიმაღლეზე პრეზიდენტს შეეძლო სხდომის ჩატარება და ხელქვეითებთან ტელეფონით ისევე თავისუფლად საუბარი, როგორც ამას თეთრ სახლში თავისი „კოშკის“ დასავლეთ ფრთაზე ყოფნისას აკეთებდა ხოლმე.

კაბინეტის უკან იწყებოდა კორიდორი, მას საკუთრივ პრეზიდენტის საძინებელსა და საბაზანოში შეჰყავდით. (მისი საწოლი პირველი ლედის საწოლში ვერ შეგეცვლებოდათ, კენედის ლეიბი თხელი და ქვასავით მაგარი იყო). კიდევ უფრო იქით, თვითმფრინავის კუდის ნაწილში ბუფეტი და სამხედრო ადიუტანტებისა თუ საიდუმლო სამსახურის უფროსი აგენტებისათვის ექვსი საკარძელი იყო მოთავსებული. იმ ხუთშაბათს იქ ისხდნენ აგენტები როი კელერმანი, კლინტ ჰილი და ჟურნალებს ათვალიერებდნენ. თვითმფრინავის კუდის ნაწილში სრული სიმშვიდე სუფევდა. პრეზიდენტმა გახსნა ნიანგის ტყავის შავი პორტფელი, ამოიღო ქაღალდები და სალონის მაგიდაზე გაშალა. უმალვე სათვალე გაიკეთა და „პირადად მის სახელზე“ მოსული დიპლომატიური დეპეშების კითხვა დაიწყო. მერე ერჰარდის მომავალი ვიზიტის მასალებს გაეცნო, ბოლოს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და სამხედრო დაზვერვის ცნობებიც შეისწავლა. თვითმფრინავის მეორე

ნაკვეთურში კი ჟაკლინი თავის მდივანთან, პამელა ტურნიურთან ერთად ტეხასში წარმოსათქმელი სიტყვის დახვეწაზე მუშაობდა. სიტყვა რაც შეიძლება მოკლე უნდა ყოფილიყო. ჟაკლინი ლათინური ამერიკის მოქალაქეთა შეერთებული ლიგის წევრთა წინაშე უნდა გამოსულიყო და გადაწყვიტა სიტყვა ესპანურ ენაზე წარმოეთქვა.

კორიდორში, დიდი კარის წინ, წარმოუდგენელი ხმაური იდგა. რალფ იარბორო ბრძოლისათვის ემზადებოდა. სულ რაღაც რამდენიმე დღით ადრე გაიგო იმ ხაფანგის არსებობა, რასაც ასე გულმოდგინედ უგებდა გუბერნატორი კონელი, როგორც საქმის ვითარებიდან ჩანდა, ოსტინში დამარცხება ელოდა. დიახ, შტატის ამ უძველესი სენატორის ღირსების შელახვა სურდათ. სცენაზე ჰაიჰარად გაატარებდნენ, უცხო კაცივით ორიოდ სიტყვით წარადგენდნენ და ამით დაამთავრებდნენ ყველაფერს. მის მრავალწლიან დამსახურებაზე სიტყვასაც არ დაძრავდნენ და არც საპატიო ადგილას დასვამდნენ. იარბორომ იმ სადილზე დასასწრები 11.300 დოლარის ბილეთი გაყიდა, მეორე დღეს ოსტინში რომ უნდა გამართულიყო. იქ კი, ალბათ, მისი ცოლისთვისაც არ აღმოჩნდება ადგილი! ყველაფერთან ერთად კონელის ოჯახი მის საჯაროდ იგნორირებას აპირებს. კონელი ოფიციალურ მიღებას მოუწყობს პრეზიდენტ კენედის, მოიწვევს სამართლის წვრილფეხა კაცუნებს. ის კი, სენატორი კაცი, ვერ შეძლებს მისთვის შესაფერ როლში გამოვიდეს.

რაც მეტს ფიქრობდა იარბორო, მით უფრო ეკიდებოდა ცეცხლი გულზე. მისი მჭუხარე ხმა თანდათან ძლიერდებოდა. ტეხასური აქცენტიც საოცრად დაეტყო. მისი აზრით, კონელსა და ჯონსონს (იგი ვიცე-პრეზიდენტს ამ შეთქმულების მონაწილედ თვლიდა) ისეთივე შავი გული ჰქონდათ, როგორც რესპუბლიკელებს. მაგრამ დაე, იცოდნენ იმათ, ვინც ყველას დაშინებას აპირებს, რომ თავიანთი პოლიტიკური ვერმახტის სამობილიზაციოდ შეუფერებელი დრო შეარჩიეს. იარბორო არ გახლავთ მეოცნებე პროვინციელი ყმაწვილი, მშობლების მყუდრო ბინა რომ ახლახან დატოვა. ტყუილად კი არ იყო იგი ტეხასის შტატის მესამე სამოსამართლო რაიონის მოსამართლე, ხოლო ექვსნახევარი წელი — შეერთებული შტატების

სენატორი. იგი უკან არ დაიხევს, ბრძოლას განაგრძობს. ბოლოს და ბოლოს ყველაფერი მოგვარდება.

ერთი სიტყვით, იარბოროო ფრიად შეშფოთებული გახლდათ. თუმცა, ამ გაზაფხულზე ჩატარებულმა მოსახლეობის დაკითხვამ აჩვენა, რომ მისი პოპულარობა შტატის ამომრჩეველთა შორის ხუთი, ათი პუნქტით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე კონელისა თუ კენედ-ჯონსონისა. იარბოროო მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის საკითხებში კარგად ერკვეოდა და ტეხასის ამ საქმით დაკავებული მოსახლეობა აფასებდა კიდეც მას. იარბოროს შეეძლო მშვიდად ყოფილიყო. იგი გაუძღებდა ოსტინში მოსალოდნელ ანგარიშსწორებას. ერთადერთი, რაც მართლა აწუხებდა, ეს პრეზიდენტი გახლდათ, რომლის ბედსაც მან საკუთარი ბედი დაუკავშირა. ახლა სენატორს დიდად აეკვეებდა გუბერნატორის პარტიული ლოიალობა. მისი აზრით, საარჩევნო კამპანიის დროს კონელი მხოლოდ წმინდა სიმბოლური მხარდაჭერით დაკმაყოფილდებოდა. იარბოროო პირდაპირ უთხრა თვითმფრინავში მყოფ მაკ კილდაფსა და რამდენიმე კონგრესმენს — ჯო კილგორს, ჯონ იანგს, ტაიგერ ტიგს და ჰენრი გონზალესს — როგორადაც არ უნდა მოინდომოთ, შედეგი მაინც გაურკვეველი იქნებაო. იარბოროო მათი ყურადღება მექსიკელების ხმის მიცემაზე გაამახვილა. მექსიკელები — მერყევი ხალხია (გონზალესმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია). თუ თვითონ და კონელი ერთი და იმავე სიით გავლენ, ეს მხოლოდ იმის დასტური იქნება, რომ ერთ ტომარაში მათ ნაირ-ნაირი საქონელი შესთავაზეს. ზოგი საერთოდ არ მისცემს ხმას, ზოგი კი ან ერთს აირჩევს ან მეორეს.

თეთრი სახლის პრეს-ჯგუფის რეპორტიორი ჯიმ მატაისი კვლავ ოსტინში მიღების საკითხს დაუბრუნდა და სენატორს ჰკითხა:

— როგორ უყურებთ თქვენ ამ ამბავს?

— მე მეგობრებისაგან ბევრი წერილი მივიღე, ტელეფონითაც მეკითხებიან: რატომ არა ვართ მიწვეული მე და მისის იარბოროო რეზიდენციაში.

მატიასმა საკითხი უფრო მწვავედ დასვა:

— როგორი ყოფილა სილის გემო?

გულმოკლულმა იარბოროო მკვახედ ესროლა:

— ჩემთვის ეს სრულიადაც არ არის სიურპრიზი. გუბერნატო-

რი კონელი ადმინისტრაციულ საკითხებში იმდენად უმეცარია, მისგან სხვას არც არაფერს უნდა მოელოდეს კაცი.

რეპორტიორმა ჩაიწერა. ვენდეტა ქაღალდზე უკვე ფიქსირებული იყო. თვითმფრინავის დაშვების შემდეგ ეს გახცხადება ცნობილი უნდა გამხდარიყო პრესის წარმომადგენელთა სპეციალურ თვითმფრინავში მყოფ კორესპონდენტებისათვის.

ასე რომ, ვაშინგტონიდან თვითმფრინავის აფრენის ერთი საათის შემდეგ განხეთქილება უკვე დაიწყო. ამკარა შეშფოთება ეტყობოდა იარბოროზე ნაკლებად გულახდილ გ[illegible]ზალესსაც კი. მან თავისი გულისტკივილი ტიგს გაუზიარა. აი, ისინი ახლა მის მშობლიურ ქალაქ სან-ანტონიოში მიფრინდებიან, მაგრამ კონელის მიერ მოწყობილი მანევრირების შედეგად ამ მგზავრობას პოლიტიკური ხასიათი არ ექნება. თვით ოფიციალურ ცერემონიებთან დაკავშირებული შესაძლებლობიდანაც კი არ იქნება შესაფერისად გამოყენებული. ალამოდან კორტეჟი მხოლოდ ერთ კვარტალს გაივლის, მაგრამ იქ არავითარი ცერემონია არ არის განზრახული პრეზიდენტის მიერ გვირგვინის მიტანასთან დაკავშირებით. ასევე არ ხერხდებოდა ჯ. ფ. კენედის სახელობის სკოლასთან შეჩერება. გონზალესის დაჟინებული მოთხოვნით სან-ანტონიოს ეჯვუდის რაიონში აგებულ ახალ სკოლას მთავრობის მეთაურის სახელი ეწოდა. იგი აეროპორტ კელი ფილდის ჩრდილოეთით, სულ რაღაც ორ კვარტალის მოშორებით მდებარეობდა. სკოლის საზეიმო გახსნა ხუთ წუთზე მეტს არ წაიღებდა, მაგრამ ო'დონელისა და ო'ბრაიენის თქმით, ამ ხუთი წუთის გამოჭრის საშუალებაც კი არ იყო. გონზალესი ის იყო მგზავრობის პროგრამას გაეცნო. კორტეჟი სან-ანტონიოში ორი საათი უნდა გაჩერებულიყო, ხოლო მტრის ბუნაგდალასში სამი საათი. მაინც ვის მხარეზე არიან ისინი?

ტიგმა რაღაც ჩაიბუტბუტა. სწორედ ამ დროს დიდი კარი გაიღო და გრძელი სიგარით ხელში პრეზიდენტი სალონში შემოვიდა.

— პრეს-კონფერენციას გილოცავთ, ბატონო პრეზიდენტო, მაინც რა მარჯვედ გაუსწორდით გოლდუოტერს, — შემოსვლისთანავე უთხრა ჯო კილგორმა.

გონზალესმა ჟურნალი „ნიუსუიკის" ბოლო ნომერი აიღო, უკანასკნელ გვერდზე გადაშალა, პრეზიდენტს გაუწოდა და ჰკითხა:

— ეს ნახეთ?

ჟურნალის ერთ-ერთ გვერდზე ჟურნალისტ რაიმონ მოლის მოგრძო სახე იყო დაბეჭდილი. სტატიაში „შეიძლება თუ არა პიროვნებისათვის პატივის აყრა?“ მოლი მოუწოდებდა არიზონის შტატის მცხოვრებლებს, გამოეჩინათ სიმტკიცე და „წარედგინათ ნამდვილი ალტერნატივა იმისათვის, რასაც დღეს კენედის მთავრობა მათ სთავაზობდათ“.

პრეზიდენტმა გადაიხარხარა.

— მოლის აზრით, ბარი გოლდუოტერი შეუმცდარია, — დაცინვით ჩაილაპარაკა მან.

მართლაც, ბარი გოლდუოტერის გარშემო ატეხილი ხმაური ფრიად საინტერესო სიტუაციას ქმნიდა შიდაპოლიტიკურ ფონზე. მემარჯვენე პრესის წარმომადგენლები დაჟინებით მოითხოვდნენ გოლდუოტერს განეგრძო სროლა თავისი მე-18 საუკუნის დროინდელი ზარბაზნებით. ეს ხომ გოლდუოტერსაც სურდა და კენედისაც. პრეზიდენტმა კვლავ გადაიკითხა მოლის სტატია, ჟურნალი დაგრაგნა და მუხლებზე დაირტყა:

— აი ეს მესმის!

გონზალესი პრეზიდენტის განწყობილების ცვლას აკვირდებოდა.

— ბატონო პრეზიდენტო, ჩემი აზრით, როგორლაც არასამართლიანად მიმაჩნია ბრიუს ელჯერსაც იმდენივე დრო დაუთმოთ, რამდენიც მე.

შეფიქრიანებულ პრეზიდენტს ო'ბრაიენი წამოეშველა. იგი, როგორც საკანონმდებლო ორგანოების წარმომადგენლებთან ურთიერთობის პასუხისმგებელი, ცდილობდა ყველაფერი სცოდნოდა, როცა კონგრესმენი თავის აზრს გამოთქვამდა.

მარშრუტის თანახმად, — განმარტა გონზალესმა, — პრეზიდენტი ელჯერის ქალაქ დალასში ერთი საათით მეტ ხანს დაჰყოფდა, ვიდრე სან-ანტონიოში.

— ბატონო პრეზიდენტო, მთელს ქვეყანაში თქვენი სახელობის ეს ერთადერთი სკოლა გვაქვს. თვით ბოსტონშიც კი არ არის ასეთი. ჰოდა, ნამდვილად გმართებდათ იქ შეველა.

— ძალიან მცირე დრო გვაქვს, — თქვა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდნილმა კენედიმ. — იძულებული გავხდით, ზოგი რამ პროგრამიდანაც კი ამოგვეღო.

— რადგან ასეა, იქნებ, უფრო გვიან, — შეეხვეწა ჰენრი. — ჩემ-

თვის ეს პოლიტიკური საკითხია. მერე თვალი ჰკიდა, ო'ბრაიენი გაჩუმებას რომ ანიშნებდა და გაჩუმდა.

პრეზიდენტმა მუხლებზე დაირტყა ხელი.

— კეთილი, ჰენრი, — ოდნავი დაფიქრების შემდეგ წარმოთქვა მან, — მე იქ მოგვიანებით, მაგრამ მაინც მოვალ.

— პირობას მაძლევთ? — სასწრაფოდ ჩაეკითხა გონზალესი.

— დიახ, გაძლევთ, — თქვა მან და მხრები ასწია, როცა ლერის მიერ ტანჯული სახით ხმადაბლა წარმოთქმული „როდის?" გაიგონა. პრეზიდენტმა საათს დახედა, ისინი უკვე ცენტრალური სტანდარტული დროის ზონაში იმყოფებოდნენ და საათის ისრები ერთი საათით უკან, 13 საათსა და 15 წუთზე დააყენა.

— ჰენრი, თხუთმეტი წუთის შემდეგ ჩვენ უკვე შენს ოლქში ვიქნებით, — თქვა მან.

— გაუმარჯოს სოფელს! — გაიღიმა გონზალესმა.

— ბეკსარის საგრაფო, — თქვა კენედიმ, როგორც პროფესიულმა პოლიტიკოსმა.

თვითმფრინავის მსუბუქი ლურჯი ფრთები ხან მეჩხერ ბალახს სერავდა და ხან უნაყოფო ქვიშნარ მიწას. წინ, ალუმინისფერი ზეცის თაღქვეშ, თვალისმომჭრელად კაშკაშებდა დაბლობზე გართხმული ქალაქი. სან-ანტონიოში ცხელოდა

* * *

იქ, სან-ანტონიოში კი, აეროდრომის საპარიკმახეროდან ახლახან გამოსული ჯონსონი პრეზიდენტის დამხვდურთ მწკრივებად აწყობდა. საქმე უამრავი იყო. აშშ-ის ავიაციის მინისტრი იუჯინ ზუკერტი მაშინ იმ მხარეს იმყოფებოდა და, რა თქმა უნდა, აეროდრომზე გამოსვლა არ დაუყოვნებია. პრეზიდენტის ამ ქალაქში ჩასვლის ოფიციალური საბაბი საჰაერო სივრცის შემსწავლელი ბრუკსის სამედიცინო ცენტრის მონახულება გახლდათ. მინისტრმა არ იცოდა, სახელდობრ სად უნდა დამდგარიყო პრეზიდენტთან შეხვედრის დროს. ასევე ადგილის გამონახვა იყო საჭირო მისის კორნელისათვის, ტეხასის გენერალური პროკურორის უოგონერ კარისათვის და სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალ-ლეიტენანტისათვის.

შემხვედრთა შორის უნდა განსაზღვრულიყო ადგილი უშუალოდ ვიცე-პრეზიდენტის გარემოცვისათვის: მისი პოლიტიკური მრჩეველის კლიფ კარტერის, თანაშემწე ლიზ კარპენტერისა და ახალგაზრდა მდივანი ქალის მარი ფემერისთვის. მათ უკან სავაჭრო პალატის საზეიმო დელეგაცია იდგა — ოცდაექვსი გაოფლიანებული და კისერწაწვდილი კაცი.

როგორც გამოირკვა, სან-ანტონიოს მერმა უ. უ. მაკალისტერმა მოატყუა საიდუმლო სამსახური: თან წამოიღო თავისი ფოტოაპარატი და მალულად გადაიღო, წინა ღამით ვაშინგტონიდან თვითმფრინავით ჩამოტანილი, პრეზიდენტის ლურჯი „ლინკოლნი“ და საიდუმლო სამსახურის ჯავშნიანი „კადილაკი“. მერს აგენტმა ჟურნალისტის მოწმობა მოსთხოვა. მაკალისტერს მოწმობა თან არა ჰქონდა, მაგრამ აგრძნობინა, მასზე მბრძანებლობის უფლებას არ მისცემდა, რომ იგი ქალაქის მერია და და ეს მისი ქალაქია. ლინდონი კი სწორედ ასეთი სიტუაციებისათვის გაჩენილი კაცი გახლდათ. ორივეს დაბეჯითებით სთხოვა კეთილად მორიგებულიყვნენ და შემხვედრთა რიგებში ადგილები გამოუყო.

და აი, აეროდრომზე დაეშვნენ პრეზიდენტის თანმხლებ პირთა და პრესის წარმომადგენელთა თვითმფრინავები. საპატიო სტუმრის მიმღები კომისია თითქმის სრულ მზადყოფნაში გახლდათ — აკლდათ მხოლოდ ერთი კაცი.

სამწუხაროდ, ეს კაცი თვითონ მასპინძელი იყო.

მოგეხსენებათ, პრეზიდენტის თვითმფრინავის „ანგელოზის“ დაჯდომასთან დაკავშირებით, აეროდრომი დაკეტილი იყო ყველა სხვა თვითმფრინავისათვის. უკანასკნელ წუთს აეროდრომის საკონტროლო სამსახურმა კერძო თვითმფრინავიდან შემაშფოთებელი სიგნალი მიიღო. თვითმფრინავი ჰორიზონტის აღმოსავლეთ მხარეზე ზეცაში ეკიდა და დაჯდომას ითხოვდა. აეროდრომის პასუხზე — ჩამოდის „საპატიო სტუმარი“, ე. ი. პრეზიდენტი და აეროდრომი დაკეტილიაო, კერძო თვითმფრინავის მგზავრმა აეროდრომს აცნობა: მე, ტეხასის გუბერნატორი ვარ, თვითონაც საკმაოდ საპატიო სტუმარიო. კონელი პრეზიდენტის დასახვედრად ჰიუსტონიდან მოფრინავდა, სადაც სიტყვით გამოვიდა ტეხასის მრეწველთა ასოციაციის მიერ ოტელ „შერატონ-ლინკოლნში“ გამართულ საუზმეზე. გუბერნატორს პრეზიდენტისათვის სან-ანტონიოში ჩა-

ფრენა უნდა დაესწრო. სწორედ ამიტომ იყო, რომ კონელიმ ერთ თავის მეგობარ ნავთის მაგნატს „ჯეტსტარის“ ტიპის თეთრი რეაქტიული თვითმფრინავი სთხოვა. სან-ანტონიოს აეროდრომის საკონტროლო პუნქტმა კონელისათვის გამონაკლისი დაუშვა და თვითმფრინავი მიიღო. გუბერნატორი თვითმფრინავიდან სწრაფად გადმოხტა. ოცდაექვს ბიზნესმენს სათითაოდ ჩამოართვა გაოფლილი ხელები, მერე შემხვედრთა შორის თავისი ცოლის თეთრ კაბას მოჰკრა თვალი და გვერდში ამოუდგა.

— სულმოუთქმელად გელოდი, — წასჩურჩულა ქალმა და მარგალიტის ყელსაბამი შეათამაშა.

— აი! — დაიძახა ვიღაცამ და ჰაერში მართლაც გამოჩნდა კუდზე ვარსკვლავ-ზოლიანი „სსძ-1“, უხილავი საჰაერო გზით ნელ-ნელა რომ ეშვებოდა.

— ჯეკი! — შეჰყვირა ვიღაც ქალმა და ხალხმაც აიტაცა დაძახილი: ჯეკ! ჯეკ-ი-ი-ი!

გუბერნატორმა შვებით ამოისუნთქა და ჩაიცინა. ჟაკლინის პოპულარობას თვითონაც წინასწარმეტყველებდა.

თვითმფრინავთან ტრაპი მიაგორეს და უკანა კარიც გაიღო. გამოჩნდა გაუბედავი ღიმილით განათებული; პირველი ლედის მორცხვი სახე. ბრბო აგუგუნდა. ლედი ბიორდი ალერსიანად უქნევდა ხელს. მერე თვითმფრინავის კარის ჭრილში ყველასათვის ნაცნობი ახოვანი ტანის კაცი აღიმართა, პიჯაკის ღილს რომ თითებით ატრიალებდა. ბრბო კვლავ ახმაურდა. მესამე კაცად რალფ იარბორო უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ რალფმა იცოდა, ჰენრი გონზალესი ამ ქალაქის განსაკუთრებულად საყვარელი ადამიანი რომ იყო და ნელი წაბიძგებით წინ გაუშვა. ირგვლივ საოცარი გუგუნი იდგა. როცა პრეზიდენტმა ქალაქის მერს ხელი ჩამოართვა და გონზალესის მრავალრიცხოვანი ოჯახით გარშემორტყმული განზე გადგა, დამხვდურთ ტაში დასცხეს.

ჯონ კენედის რაღაც განსაკუთრებული ნიჭი ჰქონდა სახეების, ფაქტებისა და ვინაობის დამახსოვრებისა. ახლაც, როცა მის პატივსაცემად მოსულ ადამიანებს ჩაუარა, ყოველი მეორე კაცისათვის გამონახა მოკითხვისათვის საჭირო სიტყვები. რაც შეეხება ბავშვებს, ეს ჟაკლინის საქმე იყო. მისდამი მიპყრობილ სახეთა

ზღვაში პატარა მაყურებლებს პოულობდა და თავისი მომხიბვლელი ღიმილით ასაჩუქრებდა.

ამავე დროს ხდებოდა საავტომობილო კორტეჟის ფორმირებაც. ვიცე-პრეზიდენტის ყოფნის გამო საიდუმლო სამსახურის მიერ წინასწარ შედგენილი გეგმა ჩვეულებრივისაგან ოდნავ განსხვავებული გამოვიდა. ბარგიანი ავტომანქანა და წინამძღოლი მანქანა, რომელშიც ადგილობრივი პოლიციელები ისხდნენ, გზის შემოწმების მიზნით დაახლოებით, ერთი მეოთხედი მილით წინ მიდიოდნენ. თვით კორტეჟის პირველი მანქანაც პოლიციისა გახლდათ. შიგ-~~ინ~~ შინგტონელი აგენტი და სან-ანტონიოს საიდუმლო სამსახურის აგენტები ისხდნენ. მას მიჰყვებოდა მთავარი მანქანა: ოთხტონიანი „ლინკოლნი". საუეს გრირი მართავდა, გვერდით კელერმანი ეჯდა. ასაკეც საჯდომებზე ცოლ-ქმარი კონელები ისხდნენ. უკანა საჯდომებზე კი პრეზიდენტი და მისი მეუღლე. სხვას ყველას შეუძლია ადგილი შეიცვალოს, მაგრამ პრეზიდენტი ყოველთვის უკანა საჯდომის მარჯვენა მხარეზე ზის თუ, რა თქმა უნდა, თავისი სურვილით არ დაუთმობს რომელიმე სხვა სახელმწიფოს მეთაურს. ტეხასის გუბერნატორი ასეთი არ გახლდათ და კენედიც მთელი მოგზაურობის დროს თავის ადგილზე უნდა დარჩენილიყო. საიდუმლო სამსახურის აგენტებს ზუსტად უნდა სცოდნოდათ, სად დაჯდებოდა პრეზიდენტი კორტეჟის ტეხასში მოგზაურობისას.

„ლინკოლნს" უკან მიჰყვებოდა რვაადგილიანი „კადილაკი". თეთრი სახლის კორესპონდენტებმა ამ მართლაცდა ბორბლებიან არსენალს საოკეანო ლაინერის „კუინ მერის" სახელი შეარქვეს. მანქანას ემორი რობერტსი მართავდა. „კუინ მერის" ყოველ საფეხურზე ორ-ორი აგენტი იდგა. პრეზიდენტის თანაშემწეები პაუერსი და ო'დონელი ასაკეც საჯდომებზე ისხდნენ. მომდევნო ღია მანქანაში ვიცე-პრეზიდენტი და მისი მეუღლე მოეთავსებინათ. მძღოლის გვერდით აგენტი რუფუს იანგბლადი იჯდა. შემდეგ თანამიმდევრობით მოდიოდნენ ვიცე-პრეზიდენტის მცველთა მანქანა ლემ ჯონსის მეთაურობით, გონზალესის ლიმუზინი, მაკ კილდაფის მანქანა თეთრი სახლის პრესის წარმომადგენელთათვის, ორი ღია მანქანა ფოტოკორესპონდენტებისა და კინოოპერატორებისათვის და მანქანების გრძელი ქარავანი ექსპანსიურ კონგრესმენთათვის ლერი ო'ბრაიენის მეთაურობით. კავშირგაბმულობის ბოლო მანქანის წინ მიდიო-

და ავტობუსი წარწერით „გ. ს. პ.“ „განსაკუთრებით საპატიო პირები“. სინამდვილეში კი იქ მსხდომნი, არცთუ ისე განსაკუთრებულად პატივსაცემი ადამიანები იყვნენ. ისინი უბრალოდ თანმხლები პირები გახლდათ. ო'დონელის გადაწყვეტილებით პრეზიდენტის მდივან ქალს ეველინ ლინკოლნსა და პრეზიდენტის პირად ექიმ ბერკლის ადგილები ამ ავტობუსში მიუჩინეს, თუმცა თვითონ მათ ეს გადაწყვეტილება სულაც არ ეჭაშნიკათ. ხალხის დიდი თავყრილობისას ავტობუსი ხშირად კორტეჟს ჩამორჩებოდა ხოლმე. ერთხელ რომში ასეთ ავტობუსს გზა აებნა და მთელი ორი საათით კორტეჟს მოსწყდა. ეველინისათვის რომ გეკითხათ — იგი, როგორც პრეზიდენტის მდივანი, მასთან ახლოს უნდა ყოფილიყო, ხოლო ბერკლის აზრით, პრეზიდენტზე თავდასხმა და მისი დაჭრა არასოდეს არ იყო გამორიცხული.

პრეზიდენტის გარემომცველ პირთათვის ო'დონელის სიტყვა კანონი იყო. თვით პოლკოვნიკ სუინდალის ჩათვლით, იგი ამტკიცებდა ყველა კანდიდატურას. თუ ვინმე დაუმორჩილებლობას გაბედავდა, რასაკვირველია, შეცვლაც შეეძლო, მაგრამ სენატის წინაშე იგი უძლური გახლდათ. რალფ იარბოროს საქციელიც ამის დემონსტრაციაც გახლდათ. როდესაც სენატორი თავისი მოკლე და ღონიერი ფეხებით აეროდრომის ჩრდილოეთ ნაწილისაკენ გაემართა, მას გზა გადაუღობა ადგილობრივ ლიბერალთა ჯგუფმა. იარბოროს მოახსენეს, რომ არსებობს შეთქმულება მის ოსტინში გამგზავრებასთან დაკავშირებით. იარბოროს შესთავაზეს დაეტოვებინა პრეზიდენტის ესკორტი დალასში, რათა ოსტინში თავიდან აეცდინა შეურაცხმყოფელი დამცირება.

— ჯონსონთან ერთად არ ჩაჯდეთ მანქანაში, — გააფრთხილეს იარბორო. თითოეული ლიბერალისათვის აქაც და ჰიუსტონშიც ცნობილია, თუ რის მოწყობას გიპირებენ კონელი და ჯონსონი. ხალხს კი აინტერესებს, დაუთმობთ თუ არა.

იარბორო საგონებელში ჩავარდა.

— როგორა თქვით? — ჩაეკითხა იგი, — არ ჩავჯდე ჯონსონის მანქანაში?

კორტეჟი საცაა უნდა დაძრულიყო, მან კი ჯერაც არ იცოდა, რომელ მანქანაში უნდა ჩამჯდარიყო. მისი შელახული თავმოყვარეობისათვის ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყოველნაირად ცდი-

ლობდა რამე ახალი გაეგო. თეთრ სახლში მიღებული მითითებანი სრულიად საწინააღმდეგო იყო. ივნისში, ელ-პასოში მოგზაურობისას, პრეზიდენტს გვერდიდან არ მოუშორებია. როცა წამოიჭრა ტეხასში გამგზავრების საკითხი, გარკვევით უთხრეს, ამჯერად ასე არ იქნებაო. შემდეგ დაარწმუნეს, პრეზიდენტისა და გუბერნატორის გვერდით დაგსვამთო. სამი დღის უკან კვლავ შეცვალეს ყველაფერი. ლერი ო'ბრაიენმა შემპარავი ხმით აცნობა, რომ იგი ყოველ ქალაქში იმოგზაურებდა იმ ქალაქის ყველაზე პოპულარულ პირთან ანუ მერთან. როგორც შემდეგ იგონებდა, ვიცე-პრეზიდენტის მანქანა ერთხელაც არ უხსენებიათ.

— თქვენ ვიცე-პრეზიდენტის მანქანაში გიპირებენ ჩაჯდომას, — დაეინებით უმტკიცებდა მევერიკის მეგობარი და იგი მართალი აღმოჩნდა. როცა იარბორო ავტომანქანების გრძელ რიგს მიუახლოვდა, მის წინ ტანადი, შემელოტებული აგენტი იანგბლადი აისვეტა.

— ბატონო სენატორო, თქვენი ადგილი ვიცე-პრეზიდენტის მანქანაშია, — თქვა მან და ო'დონელის მორიგი ბრძანება გადასცა.

იარბორომ იანგბლადს ახედა, ქუსლებზე შემოტრიალდა და გონზალესისაკენ გასწია.

— ჰენრი, ხომ არ წამიყვანთ თქვენი მანქანით? — ჰკითხა მან გონზალესს.

კონგრესმენი და თეთრი სახლის პრესის წარმომადგენლები აღფრთოვანებულნი იყვნენ. ორმოცივე კორესპონდენტმა იცოდა, სახელდობრ, რა თქვა სენატორმა № 1 თვითმფრინავში. ადგილობრივმა კორესპონდენტებმა ისიც გააგებინეს, თუ ვინ ვისთან დაჯდებოდა სან-ანტონიოს კორტეჟში. როგორც კი შენიშნეს, იარბორო ვიცე-პრეზიდენტის მანქანას გაურბისო, მაშინვე გარდუვალი დასკვნა გააკეთეს და მისი საქციელი უპატივცემულობად მონათლეს.

იანგბლადი ვიცე-პრეზიდენტის მანქანის წინა ადგილისაკენ გაძვრა, უეცრად შემოტრიალდა და ვიცე-პრეზიდენტს წინ დაუდგა.

— აი, ხომ ხედავთ, — უთხრა მან, — მე მოვახსენე.

ჯონსონები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. ყველა სხვა მანქანა გაჭედილი იყო. მათი მანქანის უკანა საჯდომზე თავისუფ-

ლად მოთავსდებოდა სამი კაცი. აშკარა იყო — იქ ერთი მგზავრი აკლდა. როგორც ეს მოგვიანებით ლედი ბიორდმა საუბარში განაცხადა „გვითხრეს, თქვენთან ერთად რალფ იარბორო იმგზავრებსო, მაგრამ რამდენჯერაც მოვიკითხეთ, ადგილზე არ აღმოჩნდა!..“ ჯონსონი წინ გამწკრივებულ მანქანებს გაჰყურებდა. დამნაშავე იყო კონელი, მაგრამ იგი უკვე მოხერხებულად იჯდა დიდ „ლინკოლნში“. საშიშროება ემუქრებოდა ჯონსონის პრესტიჟს. ბედი, როგორც ეს ერთხელ პრეზიდენტმა კენედიმ შენიშნა, უსამართლო იყო.

იგი უსამართლო გახლდათ თვით კენედის მიმართაც, ვინც იმ დღის მთავარი გმირი უნდა ყოფილიყო. როცა ერთმა რეპორტიორმა გონზალესს ჰკითხა, თუ რა იქნებოდა, მისი აზრით, იმდღევანდელი გაზეთების მოწინავე, ჰენრიმ უპასუხა:

— სან-ანტონიო მსურვალედ ესალმება პრეზიდენტს.

ჟურნალისტმა თავი გააქნია:

— იარბორო უარს აცხადებს ჯონსონთან ერთად მგზავრობაზე.

— დაიცა, ყმაწვილო, შენ მისი მოტყუება გინდა, არა? — აღშფოთდა გონზალესი.

— ეს საინტერესო ინფორმაციაა, — თავს იმართლებდა კორესპონდენტი.

კორესპონდენტებს ეს ამბავი ისევე უნდა შეენიშნათ, როგორც იმ პლაკატების არსებობა, სადაც გოლდუოტერს აქებდნენ და ადიდებდნენ, ან თუნდაც ის ბინძური წარწერა, „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, პრეზიდენტო კენნიტი“ [1]. უნდა შეენიშნათ ისიც, თუ როგორ ასწია პრეზიდენტმა კენედიმ წარბები, როცა აეროპორტის ჭიშკარს იქით ფერადკანიანი მოსახლეობის პროგრესის ხელშემწყობი ნაციონალური ასოციაციის პლაკატს მოჰკრა თვალი: „ბატონო პრეზიდენტო, თქვენ იმყოფებით ქალაქში, სადაც არსებობს „რასობრივი სეგრეგაცია“. ისიც უნდა დაენახათ, პრეზიდენტი რომ კონელისაკენ გადაიხარა და პლაკატის თაობაზე რაღაც ჰკითხა, იმდენად ხმამაღლა, რომ მათ ზემოთ მფრინავ საპოლიციო ვერტმფრენის გუგუნშიც კი გაიგონეს.

წინასწარ აკვიატებული დამოკიდებულების მიუხედავად, გონ-

---

[1] „ნ ი ტ ი“ — ინგლისურად „ტილიანს“ ნიშნავს.

ზალესი ერთგვარად მაინც მართალი გამოდგა: მთავარ ამბავს დღეს საერთო არაფერი ჰქონდა შინაპოლიტიკურ კინკლაობასთან. უცნაურია, მაგრამ იგი ასახა საღამოს გაზეთმა, რომელიც იმ დროს იბეჭდებოდა, როცა პრეზიდენტი ჯერ კიდევ ჰაერში იყო. გაზეთის გაყიდვა სწორედ მაშინ დაიწყეს, კორტეჟი რომ აეროდრომის ჭიშკრის უკან, პალმების ხეივნიდან გამოვიდა, აღმოსავლეთით შეუხვია და ქალაქისაკენ აიღო გეზი. სან-ანტონიოს გაზეთი „ლაიტი" სწერილში სათაურით — „ჩვენ მივესალმებით ჯ. ფ. კენედისა და ჯეკის", წერდა:

„პრეზიდენტი ჯონ ფ. კენედი პირველად ეწვია ქალაქ ალამოს და მას უდიდესი ენთუზიაზმით დაუხვედნენ ხუთშაბათს, სან-ანტონიოში ჩამოსვლისას".

გაზეთ „ლაიტის" თანამშრომლებს დიდი მიხვედრილობა არა სჭირდებოდათ. მათთვის ცნობილი იყო თავიანთი გაზეთის ხელისმომწერთა ტემპერამენტი, სწამდათ, შეხვედრა ენთუზიაზმით იქნებრდა სავსე. მოსწავლეები გაათავისუფლეს მეცადინეობიდან, მაღაზიების ვიტრინები ჩვეულებრივზე ერთი კვირით ადრე მორთეს საშობაოდ. პრეზიდენტის შესახვედრად გამოვიდა მთელი მშრომელი ხალხი. დემოკრატიულმა პარტიამ წარადგინა მისი ყველა ერთგული ადამიანი. პარადი უსათუოდ კარგად ჩატარდებოდა, თუნდაც მითი გამომდგარიყო ადამიანების თავისკენ მიმხრობის კენედის უდიდესი ნიჭი. სინამდვილეში კი, კენედის ეს უნარი უფრო მეტი სიძლიერისა აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ. განსაცვიფრებელი სანახავი იყო კენედის შესახვედრად გამოსული ხალხი: გზის გასწვრივ ერთმანეთს მჭიდროდ მიჰკვროდა 125 ათასზე მეტი კაცი თუ ქალი. ქალაქს სულ სხვა იერი ჰქონდა.

გზის კიდეები სახეგაბრწყინებული ლათინური ამერიკელებით იყო სავსე. ისინი სანახაობის საყურებლად ან მხოლოდ მისალმებისათვის როდი იყვნენ მოსულნი. ათასობით ადამიანმა ბევრი უნარი და მოსაზრება დახარჯა, რათა ამ მიღებისათვის თავისი განუმეორებელი ხასიათი მიეცათ. ჰოვარდის-სკოლასთან ყველა მოწაფე ამერიკის დროშას აფრიალებდა. ალამო ჰეიტსის საშუალო სკოლის მოსწავლეების გვერდით მათი მშობლებიც იდგნენ. წმინდა მარიამის ქუჩაზე მოსწავლეები უზარმაზარი, თეთრ-წითელი ტრანსპარანტის ქვეშ შეკრებილიყვნენ. „თქვენ გესალმებათ ბრეკინრიჯის

სკოლა“, ეწერა ამ ტრასპარანტზე. ლედი ბიორდი უკვე ველარ უთავდებოდა ტოპოგრაფიული ხერხით დამზადებული პლაკატების ყურებას, თუმცა არც ხელით ნაწერი პლაკატები იყო ცოტა. „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ჯ. ფ. კ.!“, „ბენვენიდო, ბ-ნო პრეზიდენტო!“, „ჯეკი, ჩამოდით ტეხასში წყლის თხილამურებზე სასრიალოდ!“ წინა მანქანები ბრუკსის სამედიცინო ცენტრს მიუახლოვდნენ. არც ეს ცენტრი აღმოჩნდა მშვიდი ადგილი.

სამხედრო-საჰაერო ძალების პერსონალმა 9 ათასი გასაშლელი სკამი დადგა იმათთვის, ვისაც ამ ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით პრეზიდენტის მოკლე სიტყვის მოსმენა სურდა. მაგრამ ამ ადგილების დაკავების მსურველი, სულ ცოტა, 20 ათასი კაცი აღმოჩნდა. საზოგადოებასთან კავშირის უფლებით აღჭურვილი რწმუნებული ფრიად მშვიდი პოლკოვნიკი ახლა საკმაოდ შეშფოთებული ჩანდა. ხალხის ასეთი თავშეყრის დროს მოსალოდნელ სიძნელეებზე იგი არაფის გაუფრთხილებია და ერთხანს დაიბნა კიდეც. სასკოლო გაზეთების კორესპონდენტთა უფლებით პრესის სექტორში ადგილები დაიკავა საშუალო სკოლების ექვსმა დირექტორმა. წინა რიგში ჩააყენეს მღვდლის ანაფორაში გამოწყობილი შავჩანთიანი კაცი. ერთ-ერთ იქაურ მცხოვრებს შიშის ელდა ეცა, როცა მასში ფსიქიურად დაუწყობელი, არანორმალური კაცი შეიცნო. ვიღაც ხანში შესულ ქალს პრეზიდენტისათვის თავისი ახალდამთავრებული სურათის ჩუქება სურდა. სურათზე ყვავილები ეხატა. ვიღაც მოხუცი კი პრეზიდენტისათვის ტეხასური სიმინდის ორი ტაროს მირთმევას აპირებდა.

როცა ოფიცრებმა ხალხთა რიგებიდან ეს ახირებული ადამიანები გამოიყვანეს, უეცრად ტრიბუნაზე აღმართული დროშა და პრეზიდენტის ემბლემა შენიშნეს. არეულობაში მათ ვერც კი შეამჩნიეს თეთრი სახლის იმ მუშაკების მოსვლა, ვისაც დროშების აღმართვა ევალებოდათ. ორკესტრი ასრულებდა მელოდიას „კაცი, რომელიც მე მიყვარს“, პრეზიდენტი კი ის იყო თავის „ლინკოლნიდან“ გადმოდიოდა. სწორედ ამ დროს, ხალხის რიგებს გამოეყო ვიღაც თვალგაშტერებული ქალი და გაუბედავი ნაბიჯით ჟაკლინისკენ წავიდა.

— ქალბატონო კენედი, ქალბატონო კენედი, ძალიან გთხოვთ ხელი მოჰკიდოთ ჩემს ხელს! — ქვითინებდა ქალი.

მათი თითები ერთმანეთს შეეხნენ.

— ო ღმერთო, — ხმამაღლა ატირდა ქალი, — მან მართლა მომკიდა ხელი!

სახეზე ღიმილშეყინულმა პირველმა ლედიმ უკან დაიხია.

გრილი ქარი საკმაოდ გაძლიერდა. დამსწრეთა უმრავლესობას არ ესმოდა პრეზიდენტის სიტყვა. სიტყვა კი „ახალი ზღუდეების“ პოლიტიკის მხურვალე დადასტურება იყო:

„ჩვენ... დიადი ახალი ხანის ზღურბლთან ვდგავართ. იგი მარტო კრიზისებს კი არ შობს, არამედ ხსნის ახალ პერსპექტივას. ვდგავართ იმ დროის ზღურბლთან, რომელიც სავსეა მიღწევებითა და ძიებით. იგი მოგვიწოდებს მოქმედებისაკენ და ძალ-ღონის მაქსიმუმს სთხოვს ყველას, ვისაც კაცობრიობის საქმიანობის ყველა სფეროში ახალი გზის გაკაფვა სურს. დადგა პიონერებისა და მაძიებლების ჟამი...“

ჟაკლინს ესმოდა ქმრის სიტყვები. იგი იქვე, მის უკან იჯდა. და ისეთი დაძაბული ყურადღებით უსმენდა, როგორც რომელიმე სხვა ახალგაზრდა ქალი, რომელსაც პრეზიდენტის სიტყვა პირველად ესმოდა.

როცა პრეზიდენტმა და მისმა თანმხლებმა პირებმა სან-ანტონიოს საერთაშორისო აეროპორტი დატოვეს, პოლკოვნიკმა სუინდალმა სამი თვითმფრინავისაგან შემდგარი თავისი საჰაერო ფლოტი უახლოეს კელი ფილდის აეროდრომზე გადაიყვანა. 15 საათსა და 48 წუთზე ცოლ-ქმარი კენედები კვლავ ავიდნენ „ანგელოზის“ ბორტზე. ორთავეს ღვარად ჩამოსდიოდა ოფლი. დაიწყო ასეთი მოგზაურობისათვის თანმხლები სასიცოცხლო ძალების დაქვეითება. თვით კელი ფილდის აეროდრომზეც სახელმწიფო დაწესებულებათა 5 ათასმა თანამშრომელმა მქუხარე ოვაცია გაუმართა. ამან, რასაკვირველია, აამაღლა მათი სულიერი განწყობილება, მაგრამ შესაბამისად დაქანცა კიდეც. პრეზიდენტმა და მისმა მეუღლემ ორი ბოთლი კოკა-კოლა დალიეს და საწოლ კაბინაში გავიდნენ.

ცოლ-ქმარს გვერდიგვერდ ყოფნის თითქმის მთელი დღე ედგათ წინ, მაგრამ ეს იყო მათი უკანასკნელი წყნარი საათი. კაცმა რომ თქვას, სრული საათიც არა, რადგან ფრენა მხოლოდ ორმოცდახუთ წუთს გრძელდებოდა. ამით შემოიფარგლა მათი პირადი ცხოვრება, გამომწყვდეული პატარა ლურჯ კაბინაში. თვითმფრი-

ნავი ოცდაათი ათასი ფუტის სიმაღლეზე, მწვანე და ყავისფერი კვადრატებით დაფარულ ცენტრალური ტეხასის დაბლობზე მიფრინავდა.

თვითმფრინავი ჰიუსტონში ჩაფრინდა. ცოლ-ქმარი კვლავ გაშორდნენ ერთმანეთს. პრეზიდენტმა ალბერტ ტომასი იხმო და ჰკითხა:

— როგორ არის საქმე?

კელი ფილდის აეროპორტში ყოფნისას პრეზიდენტმა ტომასს სთხოვა ჩარეოდა იარბოროსა და კონელის კონფლიქტში და როგორმე „შეერიგებინა". უკანასკნელი ნახევარი საათის განმავლობაში ჰიუსტონის უფროსი კონგრესმენი მონდომებით ცდილობდა ამ დავალების მოგვარებას. ტომასმა ჯერ სალონის წინა ნაწილში სენატორი იარბორო გაიხმო და გადაჭრით განუცხადა—საქმე მეტისმეტად გამწვავდა და ასე არ ივარგებსო. იარბორო ოდნავ მოტყდა და ზოგი რამ აღუთქვა. შეთანხმების ინტერესებიდან გამომდინარე იგი იმ საღამოს კონგრესმენ ალბერტ ტომასის პატივსაცემად გამართულ სადილზე გამოვიდოდა, ოღონდ იმ პირობით, თუ მისი მეუღლე ჰიუსტონის აეროდრომზე დახვდებოდა და ქალაქში ტომასებთან ერთად გაემგზავრებოდნენ. ეს, რა თქმა უნდა, საფარი იყო. იარბოროს არ უნდოდა ჯონსონის მანქანაში ჩაჯდომა. წინდახედულმა ალბერტმა წინააღმდეგობა ვეღარ გასწია, რადგან საქმე სენატორ იარბოროს ეხებოდა.

— კეთილი, — თავშეკავებულად წარმოთქვა კენედიმ. — გუბერნატორი რაღას ამბობს?

— ჯონი ფეხს ითრევს, — უპასუხა კონგრესმენმა.

ტომასმა სენატორი უკანვე მიაცილა და ახლა კონელი გაიხმო.

— ბრძოლა უნდა შეწყდეს, დადგა დრო ერთმანეთისათვის ხელის ჩამორთმევისა, — პირდაპირ დაიწყო ტომასმა.

გუბერნატორმა ორჭოფული პოზიცია დაიჭირა. ტომასმა სთხოვა კონელის, რათა სადილზე დამსწრეთათვის პრეზიდენტი თვითონ მას წარედგინა, ხოლო ვიცე-პრეზიდენტი — იარბოროს. კონელმა იუარა. რამდენადაც ვიცი, — განაცხადა მან, — წარდგენის დროს სენატორი უნდა იჯდეს. იძულებული ტომასი უხალისოდ დაეთანხმა. მერე კვლავ ცდილობდა სხვა დათმობისათვის მაინც მიეღწია, მაგრამ ამაოდ: არაფერი გამოდიოდა.

— თქვენ პატარა ბიჭივით იქცევით, — მიახალა გაბრაზებულმა ტომასმა.

— მე ო'ბრაიენის ან კენ ო'დონელის ნახვა მსურს, — ცივად გამოეპასუხა გუბერნატორი.

— მე უკვე ველაპარაკე მათ და ვთხოვე არაფერი დაგითმონ, — მკაცრად მიუგო ტომასმა.

რაღაცამ გაიკრიალა: ამუშავდა თვითმფრინავის სამუხრუჭო დანადგარები.

„ანგელოზი" ძირს ეშვებოდა.

— რას მეტყვით ჰიუსტონზე? — იკითხა ჩაფიქრებულმა პრეზიდენტმა.

— ველავ, — ნერვულად წარმოთქვა ტომასმა.

დიახ, ტომასზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა სან-ანტონიოში მოწყობილმა შეხვედრამ. ჰოდა, სურდა ჰიუსტონსაც ასეთივე ბრწყინვალე შეხვედრა მოეწყო.

— ჩემი ხალხი ჭიანჭველასავით შრომობდა, ვიცი თავს გამოიდებს, — დაბეჯითებით თქვა ტომასმა.

— ვნახოთ, — უპასუხა პრეზიდენტმა.

განმეორდა აეროპორტში შეხვედრა: დაბლა, ტრაპთან მდგარი ლინდონ ჯონსონი, ქალაქის სახეგაბრწყინებული მერი, ყვავილების მაღაზიის მფლობელ ალბერტ მილერის სამი დუჟინი ყვითელი ვარდი და ერთი თეთრი ორქიდეა პირველი ლედისათვის, აეროპორტის შესასვლელთან კი თავშეყრილი რვა ათასი ტეხასელი. შუადღის მზის ქვეშ დგომით ოფლში გაღერილი ადამიანები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ: „ჯეკ-ი-ი-ი!" ტომასს სანერვულო არა ჰქონდა რა. მთელი გასული კვირის განმავლობაში საზოგადოებასთან კავშირის სპეციალისტი ჯეკ ვალენტი თავის ფირმას არც კი გაჰკარებია. იგი გახლდათ დღევანდელი სადილის მთავარი თავმჯდომარე. მან სამი ათას ხუთასი ბილეთი გაჰყიდა და გააკეთა ყველაფერი, რათა ო'დონელისათვის მიცემული პირობა შეესრულებინა. „თუ თვითმფრინავი „სსძ-1" დღე-ღამის გაყრამდე დაჯდება, — წერდა იგი ო'დონელს პირველ ნოემბერს გაგზავნილ წერილში, — მაშინ მე უზრუნველვყოფ მუშათა რაიონებიდან დიდძალი ხალხის, დაახლოებით ორასი-სამასი ათასი კაცის დასწრებას".

ჰიუსტონში პრეზიდენტს ისე მხურვალედ არ შეხვედრიან, როგორც სან-ანტონიოში. შემხვედრთა რაოდენობა 175 ათასს თუ აღ-

წევდა მხოლოდ. ეს, რა თქმა უნდა, დალასი არ იყო, მაგრამ ლიბერალები აქ უმცირესობას წარმოადგენდნენ. ჰერისის საგრაფოს ამომრჩეველთა დიდმა უმრავლესობამ ჰიუსტონში 1960 წლის არჩევნების დროს ნიქსონს დაუჭირა მხარი. გზაზე, სადაც კენედის უნდა გაევლო, ადგილობრივ მემარჯვენეთა წარმომადგენლებს რამდენიმე ღვარძლიანი პლაკატი გამოეფინათ. „გაფრთხილდით, კენედიმ ბოლო არ მოუღოს თქვენს ბიზნესს!“, „ძირს ძმები!“, „თანაარსებობა ნიშნავს კაპიტულაციას!“. დაგვიანებით ჩამოსვლის მიუხედავად, ირგვლივ მაინც ენთუზიაზმი მეფობდა. ტომასის გამოჩენას მისი ამომრჩევლები ტაშით ხვდებოდნენ და ისიც ხელის ქნევით პასუხობდა.

პრეზიდენტისაკენ დახრილმა ტომასმა ამაყად ჰკითხა:

— აბა, რას იტყვით?

— ო'კეი, — კენედის გაეღიმა. — თქვენ გაიმარჯვეთ!

ჭიშკართან ცოლ-ქმარი კენედები ხალხის დინებას მიჰყვნენ. ჯეკისათვის წინასაარჩევნო კამპანიის ამდაგვარი ჩატარება უჩვეულო იყო, მაგრამ ქალი მთელი არსებით ჩაება. შეუღლეც ფრიად კმაყოფილი ჩანდა. მალიმალ შეხედავდა ხოლმე ცოლს და ღიმილით ახალისებდა. ერთი წუთით ქალი თითქმის გაუჩინარდა. რამდენიმე ხელი ბრჭყალებივით ჩაესო მისი ხელის მტევანს და შიშით შეპყრობილმა ჯეკიმ იგრძნო, მოაჯირს იქით რომ ეწეოდნენ. უეცრად თითქოს ხელი უშვესო, ჯეკი შებარბაცდა და ყვითელი ვარდები დაუცვივდა.

— ნუ მიმატოვებთ, შორს ნუ მიდიხართ! — შესჩივლა სუნთქვაშეკრულმა ქალმა ალბერტ ტომასს.

— საკმარისია, — წარმოთქვა ტომასმა. მერე მან და მისმა ორმა ხანში შესულმა მეგობარმა ჟაკლინი შუაში ჩაიყენეს და ვიდრე ქალი მანქანაში არ ჩაჯდა, აღარ მოშორებიან.

პრეზიდენტის ლურჯი „ლინკოლნი“ საბარგო ფვითმფრინავით დალასს გაეგზავნათ. აქ პრეზიდენტი თეთრ, უფრო მომცრო, ღია მანქანაში უნდა ჩამჯდარიყო. სხვამხრივ ქარავანი უცვლელი იყო და რალფ იარბოროც კვლავინდებურად ყველაზე ეკლიან ფიგურად რჩებოდა.

შეხვედრის მოსაწყობად ჰიუსტონში წინასწარ გაგზავნილი, დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი, მარტინ ანდერვუდი ცალ-

კე იარბოროს ეასლა და ცალკე ჯონსონს. ორივეს სათითაოდ უმ-ტკიცებდა, ერთმანეთის გვერდიგვერდ უნდა იმგზავროთო. ჯონსო-ნი თანახმა იყო, სენატორი კი არა.

— გეგმის მიხედვით თქვენ ამ მანქანით უნდა გაემგზავროთ, — დაჟინებით უმტკიცებდა ანდერვუდი. იარბორო უარის ნიშნად კვლავ თავს აქნევდა. ახლა აგენტი იანგბლადი მეორედ შეეცადა მის მოთოკვას და წყენით უთხრა:

— ნავარაუდევი იყო, რომ თქვენ, სან-ანტონიოშიც და აქაც, ჯონსონთან ერთად იმგზავრებდით.

— მე ჩემს მეუღლესთან ერთად ვიმგზავრებ, — ხრინწიანი ხმით მიუგო იარბორომ.

— ჩვენი გეგმის მიხედვით, თქვენ კორტეჟის მსვლელობის დამ-თავრებამდე ვიცე-პრეზიდენტის მანქანით უნდა იმგზავროთ, — კვლავ გაუმეორა აგენტმა. მერე ჯონსონისაკენ წამოვიდა და ბრა-ზიანად განაცხადა:

— მეტი აღარ შემიძლია, საკმარისად ვუმტკიცე.

ლინდონმა არაფერი უპასუხა, გაქვავებული სახით თავი დააქ-ნია მხოლოდ.

რამდენიმე იარდი მანქანებმა ბობღვით იარეს წინ. სხვა-გვარად არ ხერხდებოდა. ხალხით გავსილიყო ასფალტირებუ-ლი შარაგზა. ასეთ ამბავს თვით ვალენტიც არ ელოდა, ჯონ კო-ნელი კი პირდაპირ გაოცებული იყო. ლედი ბიორდი, ჩვეულებისა-მებრ, ახლაც უბრალოდ, ყოველგვარი ხელოვნურობის გარეშე უყურებდა ყველაფერს. სადღაც ხალხში სახედაღარული მოხუცი შენიშნა, რომელსაც ხელით ნაწერი პლაკატი ეჭირა „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, კენედი!"; მერე სკაუტების ფორმაში გამო-წყობილი „1381" რაზმელი თორმეტიოდე გოგონა დაინახა; შენიშ-ნა პატარა ბიჭიც. ამერიკის გახუნებული დროშით ხელში „სმენა-ზე" რომ გაჭიმულიყო. ჟაკლინმა კი ტრევის-სტრიტზე ათ-თორმეტ რიგად მდგარ ხალხს მიაქცია ყურადღება. მათ უკან რამდენიმე მი-ლის მანძილზე ყოველგვარი მოძრაობა შეჩერებულიყო. პრეზი-დენტმა გულისტკივილით შენიშნა:

— აი, რატომ დავანებე თავი ნიუ-იორკში საპოლიციო ესკორ-ტით მგზავრობას.

ჟაკლინს ჰიუსტონი საინტერესო ქალაქად ეჩვენა. იგი შუა პრე-

რიაში გადმოტანილ მენჰეტენის ორ კვარტალს წააგავდა. ჰიუსტონიც თავის მხრივ ინტერესით ზვერავდა ჯეკის. ორმოცი წუთის მგზავრობის შემდეგ, როცა საპატიო პირთა კოლონა სასტუმრო „რაისსთან“ გაჩერდა, ჟურნალ „ტაიმსის“ კორესპონდენტი ჰიუ სიდი ტროტუარის გაყოლებაზე მიმოდიოდა და ხალხს ქუჩაში გამოსვლის მიზეზს ეკითხებოდა.

— პრეზიდენტისა და ჯეკის სანახავად, — პასუხობდნენ ისინი. უფრო ხშირად კი უბრალოდ: „ჯეკის გულისათვის“.

კენედიმ გამოსული ხალხის რაოდენობის დადგენა სთხოვა დეივ პაუერსს.

— თქვენ სანახავად? დაახლოებით იმდენი, რამდენიც თქვენი უკანასკნელი აქ ყოფნის დროს მოვიდა და კიდევ ერთი ასი ათასიც ჯეკისათვის თვალის შესავლებად.

მეინ-სტრიტზე ნამდვილი ბედლამი იყო. როგორც იქნა, ლინდონი გამხიარულდა. ერთ დროს იგი აქ, ორი კვარტალის იქით მდებარე სკოლაში მასწავლებლობდა. აკი მოჰკრა კიდეც თვალი ძველი მეგობრების ჯგუფს და მათ შესახვედრად გაემართა. ტანდაბალი ვალენტი ვიცე-პრეზიდენტს ძლივს ეწეოდა.

კენედი მეინ-სტრიტისა და ტრევის-სტრიტის კუთხემდე მივიდა. იგი კიდევ აპირებდა გზის გაგრძელებას, მაგრამ ჰიუსტონის საპოლიციო სამმართველოს წინ მახვილგონიერი ბარიკადა აღემართა, რათა პრეზიდენტს ხელი აეღო ამ განზრახვაზე. სასტუმროს სადარბაზო შესასვლელის პირდაპირ ასეულობით მოტოციკლის მეიდრო რიგები იდგა. მოტოციკლების იქით მთრთოლვარე ხელები მოჩანდა, მაგრამ წინ გამოშვერილი საჭეები ეღობებოდა, კენედის არ შეეძლო მათ მისწვდომოდა და თავის სურვილზე უარი თქვა. ცოლმა პრეზიდენტს ხელკავი გაუკეთა და სასტუმროს დირექტორის მაქს პეკის წინამძღოლობით ხალხით გაჭედილ ჰოლში შევიდნენ. მერე კი მეხუთე სართულზე მათთვის განკუთვნილ, დღე-ღამეში 150 დოლარად ღირებულ ლუქს-ნომერში ლიფტით ავიდნენ.

პრეზიდენტმა პიჯაკი და სულ მთლად დასველებული პერანგი გაიხადა, სარწეველა სკამში ჩაჯდა და გაზეთების თვალიერება დაიწყო. ჯეკი გაეცალა. სან-ანტონიოდან ფრენის დასასრულს პრეზიდენტმა წასთვლიმა, ჯეკი კი ჟურნალს კითხულობდა. ახლა ოთახში წამოწოლილი ჯეკი თვლემდა, ხოლო პრეზიდენტი საღამოს წარ-

მოსათქმელი სიტყვის ტექსტის გადამუშავებით იყო გართული. მაკ კილდაფმა თეთრი სახლიდან ტელეფონით გადმოცემული ტეხასური ანეკდოტები მოიტანა. პრეზიდენტმა დახედა და გვერდზე გადადო. პაუერსმა ადგილობრივ პოლიტიკურ მოღვაწეებთან შეხვედრის ამბავი მოახსენა. ამჯერად კმაყოფილნი იყვნენ. ო'დონელმა ნება დართო მოეტანათ მოსწავლეთა ჯგუფური სურათი, რათა პრეზიდენტს სამახსოვრო წარწერა გაეკეთებინა. მერე ცოლ-ქმარმა კენედებმა ისადილეს. ყოველი ოფიციალური ბანკეტის წინ მათ უნდა ეჭემათ, რადგან საპატიო მაგიდასთან დაჯდომის შემდეგ ჭამისათვის ვეღარ იცლიდნენ.

მომავალი ბანკეტი სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იყო და ჟურნალისტების უმრავლესობამ დაუსწრებლობა გადაწყვიტა. სწორედ ამიტომ, ლონდონის „სანდი ტაიმსის" კორესპონდენტი ჰენრი ბრენდონი ჰიუსტონში მცხოვრებ ერთ ინგლისელთან სადილობდა. თანამემამულემ ბრენდონს ტეხასელ მემარჯვენეთა შორის გამეფებული კენედის საწინააღმდეგო მძიმე სურათი დაუხატა. ბრენდონს იგი აკვიატებულად მოლაპარაკე კაცად ეჩვენა.

— ულტრამემარჯვენეები ყოველგვარ სისაძაგლემდე მიდიან, — ლაბეჯითებით იმეორებდა მოსაუბრე. — არა, მე არ ვაზვიადებ.

სასტუმრო „რაისის" მეხუთე სართული, პრეზიდენტისა და ამ მგზავრობის დროს მისი თანმხლები უახლოესი ადამიანებისათვის იყო განკუთვნილი. ზუსტად მათ ზემოთ, მეექვსე სართულის ნომერში კი (100 დოლარი დღე-ღამეში) ვიცე-პრეზიდენტი და მისი მეუღლე ლედი ბიორდი სადილობდნენ.

ნასადილევს ლინდონ ჯონსონი კენედის შეხვდა.

მათი უკანასკნელი შეხვედრის საუბრის არსი დღემდე გაურკვეველი რჩება. ცხრამეტი თვის შემდეგ ჯონსონმა ეს შეხვედრა ამდაგვარად აღადგინა: „რაიმე გარკვეული უთანხმოება არა გვქონია. იყო აზრების აქტიური გაცვლა-გამოცვლა", რომლის დროსაც ჩვენი შეხედულებანი „ძირითადად ერთმანეთისას ემთხვეოდა". ჯონსონი დაწვრილებით არ მოჰყვა, კერძოდ რას შეეხებოდა მათი საუბარი, მაგრამ თუ სხვების მოგონებას დავუჯერებთ, პრეზიდენტი და მისი მემკვიდრე შტატის შინაპოლიტიკურ კონფლიქტზე მსჯელობდნენ. სახელდობრ, რა ითქვა, კვლავ გაურკვეველი რჩება, ვი-

ნაიდან. ერთი პრეზიდენტი ცოცხალი აღარ არის, მეორე კი მოვლენათა საოცარმა ქარიშხალმა წარიტაცა და მეხსიერებაში აებურდა ყველა წინამორბედ ამბავთა თანამიმდევრობა. ისინი მარტონი იყვნენ. ჟაკლინი თავისი სიტყვის გასამეორებლად მეორე ოთახში გავიდა. ქალს ესმოდა მათი აღგზნებული ხმები, მაგრამ მთელი მისი ყურადღება სიტყვას შთაენთქა. ოთახში შემსვლელ-გამომსვლელ ოფიციანტსა და სასტუმროს მსახურთ რამდენჯერმე მოესმათ იარბოროს გვარი. ამ ადამიანების დასკვნით. სენატორისადმი ასეთი დამოკიდებულება კენედის უსამართლობად მიაჩნდა და მკაცრადაც ლაპარაკობდა. ჯონსონი შეფის წინაშე თოკავდა თავის მძვინვარებას, მაგრამ, კარს უკან მდგარი ერთ-ერთი მორიგე აგენტის სიტყვით, ჯონსონი ოთახიდან ტყვიასავით გამოვარდა. თავისი გრძელი ფეხებით კორიდორში სწრაფად მიმავალი ჯონსონი სასტუმროს დირექტორ მაქს პეკსაც გაცეცხლებული ეჩვენა.

ვიცე-პრეზიდენტის გასვლისთანავე ჟაკლინი ოთახში შევიდა და ქმარს ჰკითხა:

— რა ამბავი გქონდათ? ლინდონი გაცოფებული ჩანდა.

პრეზიდენტმა ჩაიცინა:

— ხომ იცი ლინდონის ამბავი — მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა.

უეცრად, თავისდა მოულოდნელად, ჟაკლინი ქმარს გამოუტყდა, გუბერნატორი კონელი როგორღაც არ მომწონსო.

— რატომ თქვი ეს? — ჰკითხა კენედიმ.

— მე არ ძალმიძს მთელი დღე მასთან ყოფნა. იგი ერთი იმათთაგანია... არ ვიცი, როგორ ავხსნა. უბრალოდ ვერ ეუძლებ, როცა იგი ჩემ გვერდით ზის და საკუთარ თავზე მაღალფარდოვნად ლაპარაკობს! თანაც, მგონია, მთელი დღე შენი დაგესვლის ცდაშია.

— ჯეკი, შენ არ უნდა თქვა, კონელი არ მომწონსო, — უთხრა პრეზიდენტმა. — თუ ასე ილაპარაკებ, თავშიაც ასე ჩაგეჭედება, ხოლო ეს ყველაფერი გავლენას მოახდენს შენს მეორე დღის საქციელზე. იგი ახლა ბევრ იმ ტეხასელ ბიზნესმენს ელაციცება, ვინც ადრე მას არ ემხრობოდა. კონელი ჩემი გვერდის აელას ცდილობს ტეხასში — აი ეს გახლავთ მანქანაში მისი ლაპარაკის არსი. რას

ზამ, ამაზე ვერ შეედავები. დაე ეცადოს. თუ ღმერთი გწამს, ნუ კანაწყობ თავს მის საწინააღმდეგოდ. მე აქ სწორედ ამდაგვარი კანწყობილების გასაფანტავად ჩამოვედი. ვფიქრობ, ვაიძულო ორი ადამიანი ერთი მანქანით იმგზავრონ. თუ არადა, ვერავის ვერავისთან უმგზავრია და ეგ არის.

ჟაკლინი შეეცადა ქმარს დამორჩილებოდა და პირადი აზრები უკუეგდო. თანაც მისი გამოსვლის დრო ახლოვდებოდა. ლათინური ამერიკის მოქალაქეთა გაერთიანებული ლიგის წარმომადგენლები ქვემოთ, დიდ დარბაზში ელოდებოდნენ, ტექსტის დაზეპირება კი მოულოდნელად ძნელი საქმე გამოდგა.

* * *

საიდუმლო სამსახურს თითქოს ყველაფერი გაეთვალისწინებინა. უკანასკნელი ცხრა დღის მანძილზე აგენტებმა ჰიუსტონში „კოლიზიუმის“ შენობის ყველა მოსამსახურე დაჰკითხეს. სწორედ აქ უხდა გამართულიყო ტომასის საპატივცემულო სადილი. სასტუმრო „რაისში“ შემოწმებულ იქნა ჰაერის კონდენსირების ყოველი აპარატი, რათა გამოერიცხათ მომწამვლელი გაზის არსებობა. შეიარაღებული მცველები მორიგეობდნენ პრეზიდენტის ლუქს-ნომრის პირდაპირ მდებარე დაბალი სახლის სახურავზე. ვეტო დაედო დიდ სამეჯლისო დარბაზში საპატიო მაგიდასთან პრეზიდენტის მისვლას, რადგან იგი ყველას თვალწინ მეტისმეტად ახლო აღმოჩნდებოდა. ამის სანაცვლოდ დარბაზის სამხრეთ ნაწილში დროებითი ტრიბუნა აღმართეს.

ლათინური ამერიკის მოქალაქეთა გაერთიანებული ლიგის შვიდასი წევრი ცდილობდა პრეზიდენტისათვის ხელის ჩამორთმევას. წინ ხელის კერით მიიწევდნენ. შეიქნა საოცარი ზედახორა. სასტუმროს დირექტორმა მაქს პეკმა შენიშნა, რომ პიჯაკსა და პერახგზე ღილები აგლეჯოდა.

— დიდ გასაჭირში ხართ, ბატონო პრეზიდენტო, — უთხრა სასტუმროს რომელიღაც თანამშრომელმა.

კენედი შეიშმუხნა.

— დიახ, ეს არცთუ ადვილი საქმეა, — თქვა მან.

სამეჯლისო დარბაზში კენედი ვიცე-პრეზიდენტის შემდეგ გამოვიდა. მოკლედ ილაპარაკა პროგრესისათვის კავშირის როლზე [1].

— ახლა კი — ღიმილით დასძინა პრეზიდენტმა, — ვთხოვ ჩემს მეუღლეს მანაც გითხრათ ორიოდე სიტყვა.

ქალი შეეცადა საზოგადოების წინაშე საჯაროდ გამომსვლელისათვის ჩვეული მღელვარება დაეთრგუნა. წმინდა ესპანურ ენაზე წარმოთქმული მისი სიტყვა მექსიკურ კილოს ყურმიჩვეულ ხალხს როგორღაც უცხოდ ეჩვენა.

— ... რადგან ეს ტრადიცია, ძლიერი და სიცოცხლის უნარიანია. თქვენ ტეხასისა და შეერთებული შტატებისათვის შრომობთ. დიდი მადლობა ყველას, გაუმარჯოს ლიგას!

— ოლე! — გაჰყვიროდა ხალხი. სინამდვილეში ჟაკლინს განსაკუთრებული არაფერი უთქვამს. პრეზიდენტმა მათ მეტი უთხრა, მაგრამ ქალმა ილაპარაკა მათ მშობლიურ ენაზე. „ჯეკი ლაპარაკობდა ესპანურად, — წერს დეივ პაუერსი, — იგი ძალიან მოეწონათ და აპლოდისმენტებითაც დააჯილდოეს“.

უკვე ბნელოდა, როცა მანქანების კოლონა დაიძრა. ეს იყო იმ დღის მეოთხე ტური, მაგრამ დაწოლამდე კიდევ ორი მოგზაურობა ელოდათ, თურმე კაცს ოვაციებიც კი მოსწყინდება.

— მაინც ვინ მოუწყო ალბერტ ტომასს ეს სადილი? — იკითხა დაღლილმა ჟაკლინმა.

— თვითონ ალბერტ ტომასმა, — ხუმრობით უპასუხა პრეზიდენტმა. მერე სრულიად სერიოზული სახით დაწვრილებით უამბო, თუ როგორ შეადგინა ტომასმა პროგრამა, როგორ დაწერა საკუთარი თავის განმადიდებელი სიტყვები, როგორ დაძრწოდა მთელ შტატში, ჰყიდდა ბილეთებს, აგვარებდა სადილის საქმეებს.

ალბერტ ტომასის პატივსაცემად გამართული სადილი ტიპური წვეულება იყო პოლიტიკური მოღვაწის პატივსაცემად გამართული

---

[1] „კ ა ვ შ ი რ ი პ რ ო გ რ ე ს ი ს ა თ ვ ი ს — ლათინური ამერიკის ეკონომიური და სოციალური განვითარების პროგრამა, დამყარებული ეგრეთ წოდებულ ამერიკულ „დახმარებაზე“. ამ კავშირის წევრად ითვლება აშშ-ის ლათინური ამერიკის ყველა ქვეყანა (კუბას გარდა). იგი შეიქმნა პრეზიდენტ ჯ. ფ. კენედის ინიციატივით.

სადილისა. „მადლობას გიხდით ჰერისის საგრაფო, კონგრესმენო ტომას", — იუწყებოდა მომაღლოდ გაკრული უზარმაზარი წარწერა. ერთიმეორის მიყოლებით გამოდიოდნენ ცნობილი ორატორები, ერთს ჩაახველებდნენ და გაცვეთილი ანეკდოტების მოშველიებით ყალბ ქება-დიდებას ასხამდნენ კონგრესმენს. მერე მას „კადილაკი" მიართვეს. ჩამოსულთა წარდგენის პროცედურას შეეძლო ერთგვარად გაემძაფრებია მდგომარეობა, მაგრამ ტომასმა მოხერხებულად აუარა გვერდი და ჩამოსულნი თვითონვე წარადგინა. პრეზიდენტს განსაკუთრებული მკვერმეტყველება არ გამოუჩენია. მისი სიტყვის შედარებით საინტერესო ადგილები (ერთადერთი, რის გახსენებაც შესძლო შემდეგ ჟაკლინმა) ბიბლიიდან იყო ამოღებული.

სიტყვის დიდ ნაწილს სტატისტიკური მონაცემები შეადგენდა.

ტეხასი მეხუთე შტატი იყო, რომელმაც მსხვილი სამხედრო შეკვეთები მიიღო. სიტყვის შინაარსი საკმაოდ მოურიდებლად შეახსენებდა, რომ ჰიუსტონი თავის ამ დიდ შემოსავალს პენტაგონს უნდა უმადლოდესო. მაგრამ კენედის ჰქონდა ნიჭი ყველაზე ჩვეულებრივი პროზის კლასიკურ ლათინურად გასაღებისა. ჰოდა, თავისი გამოსვლა ვითომ წამოცდენილი სიტყვებით შეამკო. მომავალ თვეში, — განაცხადა მან, — შეერთებული შტატები ორბიტაზე გაიყვანს საპლანეტათშორისო სივრცის ათვისების ყველაზე დიდ ობიექტს. „სივრცეში გაუშვებს ყველაზე ძვირფასს... ანუ, უკაცრავად, ყველაზე დიდ სასარგებლო ტვირთს და ჩვენ ამ მხრივ პირველ ადგილს დავიკერთ". მერე იქვე დასძინა: „უნდა მოგახსენოთ, რომ ეს იქნება ყველაზე ძვირფასი ტვირთიც".

პრეზიდენტმა შვების გამომხატველად გაიცინა, თუმცა სინამდვილეში შვება არ განუცდია. პრეს-კონფერენციებზე კენედის ბუნებრივად, ძალდაუტანებლად ეჭირა თავი. კითხვებისა და პასუხების მონაცვლეობა მისი ჭკვის სასინჯი ქვა გახლდათ. ოფიციალური სიტყვები მას სულაც არ ხიბლავდა.

თავდაჭერის ეს ძალდაუტანებელი მანერა ნებისყოფის დიდი დაძაბვის შედეგი გახლდათ. იგი ჯონსონივით გულზიარი კაცი არ იყო. თავის დაჭერის ასეთი თავისუფალი მანერა დამსწრეთ ფრიად ბუნებრივად ეჩვენებოდათ. ძალიან ცოტა ვინმემ იცოდა, რა უღირდა იგი პრეზიდენტს. როცა პრეზიდენტი ტრიბუნაზე იყო, იქმნე-

ბოდა სრული შთაბეჭდილება, რომ იგი თავისუფლად, ყოველკეთილი მომზადების გარეშე ლაპარაკობდა. მისი სულიერი მდგომარეობის გაცემა მხოლოდ ხელებს შეეძლო და აკი ყოველთვის ცდილობდა კიდეც მათ დამალვას.

21 საათსა და 30 წუთზე საპატიო სტუმრები მაგიდიდან წამოდგნენ, მაგრამ დასვენება მათ მხოლოდ უახლოესი ქალაქის სასტუმროში შეეძლოთ. „კოლიზეუმის" წინ პატარა შეფერხება წარმოიშვა. წუთიერ განწყობილებას აყოლილ ვიცე-პრეზიდენტს რატომღაც მოეჩვენა, კიდევ ერთი მგზავრი მჭირდებაო. არჩევანი იქვე მდგარ ჯეკ ვალენტიზე შეაჩერა. ვალენტიმ მანქანის გასალები თავის ცოლს გადასცა. მარტო დარჩენით განაწყენებული ქალი ქვაფენილზე მოღუშული შედგა. მერი მარგარეტ ვალენტი გათხოვებამდე სენატორ ლინდონ ჯონსონის მდივანი გახლდათ და ტიტული ვიცე-პრეზიდენტი სულაც არ აშინებდა. იგი ახალნალოგინევი იყო და ღამე მარტო დარჩენა შიშსა ჰგვრიდა. ცოლს დააშორეს ტეხასის გენერალური პროკურორი კარიც. თვალცრემლიანი ქალი უარზე იდგა უქმროდ გაფრენაზე. კონგრესმენი ტიგი თავისუფალ მანქანას ეძებდა და წინ- და უკან დაფეთებულივით დარბოდა. უეცრად ვიღაცის ხმა მოესმა:

— ეი, ტიგ, რატომ იარბოროს არ დაემგზავრები? — ეს პრეზიდენტი იყო, „კადილაკიდან" თავი გამოეყო და იღიმებოდა.

მანქანაში ისხდნენ ჟაკლინი, ჰიუსტონის გაზეთ „ქრონიქლის" გამომცემელი ჯონ ჯონსი და მისი მეუღლე ფრედი. ჯონსონს არც ასლა გაუმართლდა. ჯონსმა, როგორც რედაქტორმა, პრეზიდენტს მოახსენა, მისი გაზეთის ხვალინდელ ნომერში მოთავსდებოდა ცნობა, რომ ტეხასის ამომრჩეველთა 57 პროცენტმა მხარი დაუჭირა იარბოროს, ხოლო 50 პროცენტმა კენედი-ჯონსონს. ყოველივე ამის გამო არ ღირდა სენატორთან წაჩხუბება. რედაქტორის მეუღლე ფრედი ჯონსი ვიცე-პრეზიდენტის თაყვანისმცემელთა რიცხვს არ ეკუთვნოდა. ფრედის საკუთარი, სრულიად გარკვეული შეხედულებანი ჰქონდა ტეხასის თითოეულ ქალაქზე. მას ფორტ-უორტი უყვარდა. იგი პატარა, ღარიბი ქალაქია, თავი მოაქვს, როგორც „ძროხების ქალაქს, საიდანაც იწყება დასავლეთი".

— მაგრამ დალასი! — ფრედი ცუდი აზრისა იყო დალასზე. — ეს არის ვაჭართა ქალაქი, საშინელი ქალაქი.

ჟაკლინს ფრედი მოეწონა და თავის თავს ეკითხებოდა, ნეტა მართლა როგორი აღმოჩნდება დალასიო.

უკვე თვითმფრინავში პრეზიდენტმა იარბოროს უთხრა:

— რალფ, ესაა გაზეთ „ქრონიქლის“ მიერ ჩატარებული სახალხო დაკითხვების შედეგებს გავეცანი და წარმატებას გილოცავ. მერე გოდფრი მაკჰიუსთან ერთად ზოგიერთი პატაკის გადასინჯვას შეუდგა.

23 საათსა და 07 წუთზე ფორტ-უორტის გარეუბნის სამხედრო-საჰაერო ბაზაში — კარსუელში სამი თვითმფრინავი ჩაფრინდა. ნაცრისფერი ლითონის უზარმაზარ ანგარებზე აღმართულ ფირფიცრის უცნაურ დაფებს დიდი ასოებით ეწერა: „მშვიდობა — ჩვენი პროფესიაა“. ცრიდა. გამწკრივდა უკანასკნელი კორტეჟიც. იმ რწმენით, რომ ასე გვიან პრეზიდენტის შესახვედრად არავინ გამოვიდოდა, იარბორომ აგენტ იანგბლადს ჰკითხა, ჩემთვის ხომ არ მოინახება ვიცე-პრეზიდენტის მანქანაში ადგილიო.

სენატორ იარბოროს ვარაუდი არ გამართლდა: ქალაქის მთელი მაგისტრალის გასწვრივ წვიმით გალუმპული ხალხი გამწკრივებულიყო და კენედისა და მის მეუღლეს ესალმებოდნენ.

— ლინდონი! აი ლინდონ ჯონსონი! — გარკვევით ისმოდა შემხვედრთა აღტაცებული შეძახილები.

ჯონსონები და კონელები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. ლედი ბიორდიმ გაიხსენა — ფორტ-უორტის სასტუმრო „ტეხასი“ იყო ადგილი, სადაც მისი მეუღლის ცხოვრების ყველაზე დრამატული ეპიზოდები გათამაშდა. ხოლო ნელი კონელისათვის აქ ჩამოსვლა ხომ „შინ დაბრუნებას ნიშნავდა“. განა აქ არ გაიარა კონელისა და ნავთის მაგნატ სიდ რიჩარდსონის შეკავშირების პირველმა დღეებმა.

„კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ბატონო პრეზიდენტო“, — იუწყებოდა სასტუმროს მახლობლად გაკრული წარწერა, მაგრამ ეს სასტუმრო ელეგანტური „რაისი“ არ გახლდათ. პრეზიდენტისათვის განკუთვნილი აპარტამენტები უფრო პატარა და იაფფასიანი აღმოჩნდა, ვიცე-პრეზიდენტისათვის გამოყოფილ აპარტამენტებთან შედარებით. სასტუმროს შესასვლელი მოგუგუნე ხალხით იყო გატენილი. უმრავლესობას კრემისფერი, ფართოფარფლებიანი ტეხასური ქუდები ეხურა. პრეზიდენტმა ნომერში შესვლისთანავე ო'დო-

ნელი იხმო და მიმდინარე საკითხების განხილვას შეუდგა. ბოლოს გაკვრით კონელისა და იარბოროს კონფლიქტსაც შეეხნენ.

ჟაკლინი საშინლად დაიღალა, თან იმასაც ხვდებოდა, რომ ხვალინდელი დილა უფრო დაძაბული ექნებოდა. იგი თავის ჩემოდნებისაკენ დაიხარა და ტანსაცმელების შერჩევას შეუდგა.

— დღეს შესანიშნავად გეჭირა თავი, — უთხრა ქმარმა.

— შენ როგორა ხარ? — ჰკითხა ჟაკლინმა.

— ო ღმერთო, ძალიან გავიტანჯე!

კენედის სასიცოცხლო ენერგია ისევე მოჩვენებითი იყო, როგორც მისი ლაღი და მხიარული მანერები. მთვლემარე პრეზიდენტი ხვალინდელ დღეზე ფიქრობდა.

— ხვალ საუზმემდე სკვერში უნდა წარმოვთქვა სიტყვა. შენ მანამ იწექი. ათის თხუთმეტ წუთზე კი საუზმეზე გამოდი.

ჟაკლინმა ძილი ნებისა უსურვა ქმარს. სინათლის გამორთვამდე კოხტად მიაწყო-მოაწყო დილით ჩასაცმელი ტანსაცმელი: მუქი ლურჯი კოფთა, მუქი ლურჯი ჩანთა, დაბალქუსლიანი ტუფლები, ვარდისფერი კოსტიუმი და ბერეტის მსგავსი პატარა შლაპა.

* * *

ცოლ-ქმარ კენედებს 850 ნომერში ეძინათ, მახლობელთა უმრავლესობა კი ჯერ ისევ ფხიზლად იყო. ხუთი სართულით მაღლა, უფრო დიდ და ხალვათ ნომერში ლინდონი თავის ტეხასელ მეგობრებს ართობდა. თავისუფლებამოპოებული ჯონ კონელი მის თაყვანისმცემელთა შორის იჯდა სასტუმროს კაფეტერიაში. „მორნინგ ნიუსის“ კორესპონდენტმა ბობი ბასკინმა იარბოროს აღშფოთების ამბები მოუყვა კონელს. გუბერნატორმა დამსწრეთ შეთანხმებისაკენ მოუწოდა. საიდუმლო სამსახურის აგენტი ამ დროისათვის დაცვაში იმყოფებოდა. ცხრა აგენტმა ქალაქს მიაშურა გასართობად, თანაც ისე, რომ პრეზიდენტის დაცვის უფროსის კელერმანისათვის სიტყვაც არ უთქვამთ. კილდაფთან ერთად, მათ ჯერ ფორტუორტის პრეს-კლუბში ლუდითა და კოკტეილით დაიწყეს. მერე შვიდმა მათგანმა ეგრეთ წოდებულ „მარანში“ ამოყო თავი, სადაც უალკოჰოლო სასმელი „სოლტი დიკსი“ შეუკვეთეს. ერთ-ერთი მათგანი იქ დილის ხუთ საათამდე დარჩა. დილამდე იქეიფა საი-

დუმლო სამსახურის ოთხმა აგენტმა. ეს ადამიანები ხვალ პრეზიდენტის მანქანის უკან მიმავალ მანქანაში უნდა მსხდარიყვნენ. მათ სიფხიზლეზე ბევრად იყო დამოკიდებული პრეზიდენტის სიცოცხლის უსაფრთხოება. მოქეიფეთა ამ ჯგუფს დროგამოშვებით უერთდებოდა დილის რვა საათამდე ცვლის მორიგეებად გამწესებული სამი აგენტი. ისინი ოფიციალურად ასრულებდნენ სამსახურეობრივ მოვალეობას ანუ უნდა დაეცვათ პრეზიდენტის საწოლის კარი, მაგრამ საყარაულო მოწყენილობას დროსტარება ამჯობინეს.

კანადური რადარების ეკრანებზე უჩვეულო რამ სიგნალი არ გაჩენილა. ეს ღამე განსაკუთრებით მშვიდი იყო, როგორც შინ, ისე საზღვარგარეთ. უცხოეთიდან მოსულ ახალ ამბავთა შორის მეტნაკლები ყურადღების ღირსი გახლდათ ცნობა ლეიბორისტული პარტიის გამარჯვებისა დამატებით არჩევნებში და საბჭოთა მთავრობის საპროტესტო ნოტა დასავლეთ ბერლინში ამერიკული ტრანსპორტის გაგზავნის თაობაზე. შინ, შეერთებულ შტატებში, ალკატრასის ციხეში გარდაიცვალა სამუდამო პატიმრობამისჯილი, სამოცდაცამეტი წლის კაცი, რომელიც ციხეში ცნობილი ორნითოლოგი გახდა. ქალაქ ნესვილში დამთავრდა ჯიმი ჰოფას[1] სასამართლო პროცესი. ამერიკულმა ლეგიონმა ებილინში (ტეხასის შტატი) თავიანთი კედლიდან ჩამოხსნა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სურათი (კენედისთან შეხედულებათა შეუთანხმებლობის გამო).

სხვა ახალი ამ ცნობებში არაფერი ყოფილა.

ფორტ-უორტის აღმოსავლეთით, ოცდაათი მილით დაშორებულ ქალაქ დალასში სრული სიმშვიდე სუფევდა. ყალბი გამოდგა საშიშროების მაუწყებელი სიგნალები, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად ასე ჩანდა.

კომპანია „პეპსი-კოლას" ადვოკატი რიჩარდ მ. ნიქსონი საოცრად დაღლილიყო და ღრმა ძილით ეძინა. ეს დღე მან დალასის საკავშირო ცენტრის პირდაპირ მდებარე შენობაში უალკოჰოლო სას-

---

[1] ჯიმი ჰოფა — აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი პროფკავშირის, საბარგო ავტომანქანების მძღოლთა კავშირის ხელმძღვანელი — სამართალში მიცემულ იქნა მექრთამეობისა და გამომძალველობის მოგონილი ბრალდებით.

მელების ფაბრიკანტების ყრილობაზე გაატარა. პარადისათვის საბოლოო მზადება დღის მეორე ნახევრისათვის დამთავრდა, მას შემდეგ, როცა დალასის საიდუმლო სამსახურის მთავარმა აგენტმა სორელზმა პრეზიდენტის „ლინკოლნი“ და ჯაეშნიანი მანქანა აეროპორტ ლავ ფილდის მიწისქვეშა გარაჟში მოათავსა. მანვე შეუკვეთა დალასის ფორდის სააგენტოს „ლინკოლნისა“ და „მერკურის“ ტიპის მანქანების მთელი კოლონა, ხოლო კომპანია „კონტინენტალ ტრეილუიზს“ ავტობუსები — პრესის მუშაკებისა და „განსაკუთრებით — საპატიო პირთათვის“.

ვაშინგტონში სრული სიმშვიდე სუფევდა. ამაში საკვირველიც არაფერი იყო. იგი ქვეყნის შედარებით მშვიდი ქალაქია. მოსახლეობის უმრავლესობა აქ ადრე იძინებს. იმ საღამოს ერთ-ერთ გამონაკლისს ჰაილენდ-პლეისზე გამართული სადილის მონაწილენი წარმოადგენდნენ. შეკრებილთა შორის იყვნენ მშვიდობის კორპუსის საერთაშორისო სამდივნოს გენერალური მდივანი გუდვინი და სენატორი ედვარდ მ. კენედი. მასპინძლობდნენ გუდვინის მეგობარ სამხრეთამერიკელებს. სხვა რამდენიმე მნიშვნელოვანი ოფიციალური მიღება იმ დღეს ვაშინგტონში არ გამართულა.

თვითმფრინავი № 86972 კი ამ დროისათვის ჰავაის კუნძულებზე იმყოფებოდა. მინისტრები რასკი და დილონი თავიანთი მეუღლეებით სტუმართათვის განკუთვნილ ადმირალ ჰარი ფელტის ცალკე სახლში მოთავსდნენ. კაბინეტის წევრთაგან ვაშინგტონში მხოლოდ რობერტ კენედი, მაკნამარა, ცელებრეცე და ფოსტისა და კავშირგაბმულობის ახალდანიშნული მინისტრი გრონუსკი იმყოფებოდნენ.

ერთ-ერთი ყველაზე მოსაწყენი შეკრება, რომელიც იმ საღამოს ვაშინგტონის სასტუმრო „შორჰემში“ გაიმართა, გახლდათ ფსიქოლოგთა ასოციაციის სხდომა. მოხსენებით გამოვიდა მინესოტის შტატის სენატორი ჰიუბერტ ჰემფრი. მოხსენების თემა გახლდათ: „ჯანმრთელი ფსიქიკა და მშვიდობა მთელ მსოფლიოში“. რეპორტიორებს, რასაკვირველია, თავად მოხსენება არ მოუსმენიათ. მათ ვერ წარმოიდგინეს, თუ რამდენად აქტუალური შეიძლებოდა გამხდარიყო მოხსენების ეს თემა. ჰემფრი ბევრს ფიქრობდა დალასზე და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ საზოგადოება, ისევე როგორც ცალკეული ადამიანი, „ადვილად შეიძლება მოექცეს ემოციური მერყე-

ობის, უწესრიგობისა და ირაციონალური საქციელის გავლენის ქვეშ". მისი აზრით, „ემოციურმა მერყეობამ დააზიანა ჩვენი არცთუ დიდი, მაგრამ გავლენიანი უმცირესობა, რასაც ერთნი ულტრამემარჯვენეებს უწოდებენ, მეორენი — ბერჩისტებს, მესამენი— უკიდურეს რეაქციონერებს".

ისინი განაგრძობენ ქვეყნიერების შავად და თეთრად გაყოფას და სურთ ყველაფერზე ჰქონდეთ სწრაფი და საბოლოო პასუხი — ცდილობენ, დოგმებად შეცვალონ კონსტრუქციული აზროვნება, ურისხდებიან გარემომცველ სამყაროს, ეშინიათ მისი და ფრიად შეშფოთებული არიან.

1963 წლის 21 ნოემბრის იმ საღამოს ჰემფრი აფრთხილებდა ადამიანთა ქცევების შემსწავლელ მეცნიერთ, „ემოციურად მერყეი პიროვნების თუ უპასუხისმგებლო მოქალაქის მოქმედებას შეუძლია დაღუპოს გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე".

* * *

მანქანების იმ ათასობით მძღოლთა შორის, ხუთშაბათ საღამოს ფორტ-უორტში პრეზიდენტის მარშრუტი რომ გადაკვეთეს, იყო საავადმყოფოში მომუშავე მომვლელი ქალი მარგარიტა კლევრი ოსვალდი. იგი ჰარგროუვის საავადმყოფოში დღის სამ საათზე მიდიოდა და საღამოს თერთმეტი საათისათვის ბრუნდებოდა. შინ მიმავალ ქალს ტრინიტი-პარკის მეორე მხარეზე, ჩვეულ გასასვლელთან გზა გადაუღობა ორმა პოლიციელმა. მისთვის დამახასიათებელი შეუპოვრობით ქალმა ყურადღება არ მიაქცია პოლიციელებს. თავისი მოლურჯო-მონაცრისფრო „ბიუიკის" ექსელატორს ფეხი დააჭირა და წვიმის საფარქვეშ სიბნელეში გაუჩინარდა. მარგარიტა ოსვალდი სიამოვნებით იხსენებდა პოლიციელთა შეფიქრიანებულ გამომეტყველებას. თუმცა ეს გამარჯვება არცთუ ისე დიდი იყო, როგორც მას ეგონა. მისი აზრით, კორტეჟი უკვე მოემგზავრებოდა, მაგრამ პრეზიდენტი რომ სადმე ახლოს ყოფილიყო, მას როგორმე აიძულებდნენ გზის შეცვლას. მარგარიტა ოსვალდმა „ბიუიკი" ბლოკებით ნაგებ ორბინიანი სახლის წინ ტომას-პლეისის 2200 ნომერში დააყენა. ამ სახლში მას ოროთახიანი ბინა ეჭირა. ქალი სახლში 21 საათსა და 15 წუთზე შევიდა ანუ ხუთი წუთით

ადრე, ვიდრე პრეზიდენტი კარსუელის სამხედრო-საჰაერო ბაზას დატოვებდა.

მარგარიტა ოსვალდს საკუთარი თავი რაღაც უხილავი ძალების მსხვერპლად ჰყავდა წარმოდგენილი. საშინლად განიცდიდა ყოველგვარ წყენას. იგი მკივანა, უსიამოვნო ხმის პატრონი, ორმოცდათექვსმეტი წლის ქალი გახლდათ. უყვარდა ლაპარაკი ფულებსა და საზოგადოებაში გარკვეულ მდგომარეობაზე; თუმცა არც ერთი ჰქონდა და არც მეორე, სწყუროდა კი ძალიან. სამჯერ გათხოვების მიუხედავად ქონება მაინც ვერ დააგროვა. ერთი ქმარი მოუკვდა, ორმა კი მიატოვა. უკანასკნელი ქმარი ბრალსაც კი სდებდა, ფიზიკური შეურაცხყოფისას დამასახიჩრაო. დიახ, მარგარიტა ოსვალდს შეეძლო ამის გაკეთება. იგი ფიზიკურად ძლიერი აღნაგობისა გახლდათ.

იმჟამად მარგარიტა ოსვალდი საავადმყოფოში მომვლელად მუშაობდა და გასამრჯელოდ დღეში ცხრა დოლარს იღებდა. ბანკში 80 დოლარის ანაბარი ჰქონდა. ქალი იმედოვნებდა, რომ მისი მანქანა და მისი მოხუცებული ავადმყოფი ერთ ან ორ წელიწადს კიდევ გაძლებდნენ. ქალი ამაყობდა თავისი მომჭირნეობის უნარით, რაც თავის უმცროს, ოცდაოთხი წლის ვაჟს მემკვიდრეობით გადასცა. მარგარიტა ოსვალდი და მისი ვაჟი ლი ჰარვი სხვა მხრივაც ჰგავდნენ ერთმანეთს ნაცნობთა დახასიათებით ლი ჰარვი ოსვალდი ნერვული, თავის თავში ჩაკეტილი, ადამიანებთან ძნელად შემგუებელი, გულფიცხი, გოროზი, გულჩათხრობილი ახალგაზრდა იყო. როგორღაც „შებოჭილი" თითქოსდა „ერთ წერტილს მიპყრობილი ჭკუის" პატრონი. კაპიტან ჰალეტს, როცა მან მოსკოვში პირველად ნახა ლი ჰარვი ოსვალდი, ამერიკიდან „ოჯახურ უსიამოვნებას" გამოქცეულ კაცად ეჩვენა. მას ყველა ციე და ქედმაღალ ადამიანად თვლიდა. მარგარიტა ოსვალდსაც იგივე თვისებები ჰქონდა. ჯერ კიდევ ახალგაზრდობიდანვე უყვარდა მბრძანებლობა. მიხვევ აღიარებით „დაახლოებით ხუთჯერ გამოაგდეს სამუშაოდან". საკუთარ თავსა და ვაჟიშვილზე მარგარიტამ შემდეგი განაცხადა:

— მეც მდევნიდნენ და ამასაც. ყველა ზურგს მაქცევდა, თუმცა ახლაც იმასვე სჩადიან.

ლის მამა გულის საბედისწერო შეტევით გარდაიცვალა შვილის დაბადებამდე ორი თვით ადრე. ასე რომ, მარგარიტა ოსვალ-

დი ბავშვით მარტო დარჩა. ასეთ პირობებში დედა-შვილი განსაკუთრებით უნდა შეწყობოდნენ ერთმანეთს, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. მართალია, როცა ლის უფროსებთან ჰქონდა ხოლმე უსიამოვნებანი, დედა ყოველთვის უფროსებს ადანაშაულებდა, ყველა ბრალდებას „გამოგონილს" ეძახდა, მაგრამ ამით მხოლოდ საკუთარ რეპუტაციას იცავდა. სინამდვილეში, მას მართლა უჭირდა ბიჭის დანაშაულის სწორად შეფასება. ქალი მთელი დღეობით შინ არ იყო, ბიჭს კი მასთან სამსახურში მისვლას სასტიკად უკრძალავდა. მარგარიტას არც ლის თანატოლი ბავშვების მისვლა და მის სახლში თამაში ეხატებოდა გულზე. ასე რომ, უმეტეს დროს ლი მარტოობაში ატარებდა და ძალიან ადრეც დაიწყო სკოლაში გაკვეთილების გაცდენა. იქ სიარულს სახლში უსაქმოდ ყოფნა, ტელევიზორის ყურება თუ კომიკური წიგნების კითხვა არჩია. 13 წლის ბიჭი იყო ლი, როცა გაკვეთილების გაცდენის მიზეზით დედა-შვილი სკოლას ფსიქიატრმა იხმო. ექიმის დასკვნით, ქალი ვერ ხვდებოდა ლის განმარტოების მიზეზს, რომ ეს დედისადმი პროტესტის გამოცხადების ფორმა იყო, მისდამი ასეთი უყურადღებობით გამოწვეული. ეს იყო ოჯახური პირობების სრული მოშლით წარმოქმნილი რეაქცია.

თავისი კლასის ხელმძღვანელს ლიმ ასე განუცხადა:

— რას იზამ, ჩვენ ერთ ჭერქვეშ გვიხდება ცხოვრება და, ალბათ, მიყვარს კიდეც.

მისთვის არ უთხოვიათ განემარტა, რას ნიშნავს სიყვარული. სავსებით შესაძლებელია, ბიჭს მასზე ნამდვილი წარმოდგენაც არა ჰქონდა. ლის თანდათან ფიცხი და მკაცრი ხასიათი ჩამოუყალიბდა. ერთხელ საკუთარ ძმას დანითაც კი გამოენთო (დედამ ეს ამბავი „პატარა წაჩხუბებად" ჩათვალა). მეორედ დანამოღერილი მივარდა რძალს (ძმის ცოლს) და სიკვდილით ემუქრებოდა. ამ ჩხუბმა მეტად სერიოზული სახე მიიღო და დედამ ჩარევა სცადა, მაგრამ უკვე გვიან აღმოჩნდა: მას უკვე დაკარგული ჰქონდა შვილზე ზემოქმედების ძალა. დამორჩილების მაგივრად დავაუკაცებული ლი, იქით მივარდა დედას და ცემა დაუწყო. ჭაბუკის ქცევებში უკვე საკმაოდ ჩამოყალიბებული რეფლექსები შეიმჩნეოდა. მას არც მამაკაცებთან ურთიერთობისას შეეძლო თავისი გაღიზიანების მოთურგვნა და ვერც ქალებთან დამოკიდებულებას ართმევდა თავს. სწრაფად და თავშეუკავებლად ერეოდა სიშმაგე.

მართალია, გამოსაცდელი ტესტები მისი გონებრივი განვითარების მაღალ დონეს აჩვენებდნენ, მაგრამ იგი არ დასტურდება დასასიათებებით. საბუთების მიხედვით, იგი ცუდად სწავლობდა და მეცხრე კლასის შემდეგ კიდევაც მიატოვა სკოლა. თავისი ძმის, რობერტის, მიბაძვით საზღვაო ქვეითი ჯარების კორპუსში ჩაერიცხა. ავტორიტეტების არმცნობ ახალგაზრდისათვის ასეთი არჩევანი, რა თქმა უნდა, ვერ იყო დიდად სახარბიელო რამ. ლი, როგორც იტყვიან, სისხლს უშრობდა ოფიცრებს, მაგრამ არც ისინი რჩებოდნენ ვალში. ჯარში ამხანაგები დაცინვით „ზღვის ქათამს“ ეძახდნენ. მის მიერ სამხედრო სამსახურში გატარებული სამი წელი შეიცავს უამრავ წვრილ, დისციპლინარულ სასჯელს და ორ სამხედრო-საზღვაო სასამართლოს, რომელიც ბოლოს, რუსეთში გაქცევის ცდისათვის, გამოგდებით დაგვირგვინდა. იგი მოიშორეს, როგორც არასასურველი პიროვნება. მაგრამ საზღვაო-ქვეით ნაწილში სამსახური თავის დაღს ასვამს ყველაზე ურჩ რეკრუტებსაც კი. სნაიპერული საქმის სწავლება იქ გაცილებით უკეთაა დაყენებული, ვიდრე სადმე სხვაგან და რიგითმა ოსვალდმაც სან-დიეგის სასროლეთზე შამხანა მ-1-ით სროლაში სნაიპერის კლასიფიკაცია მიიღო. ეს იყო ერთადერთი, რაშიაც მან ერთგვარი ნიჭი გამოამჟღავნა.

ლი ოსვალდს ჩვეულად ჰქონდა ასაკით უფროსი მამაკაცებისათვის მიემართა სიტყვით „სერ“. ოსვალდის ამ თვისებამ კეთილსასურველი გავლენა მოახდინა ტეხასის სახელმძღვანელოების საწყობის დირექტორ, კონსერვატორული შეხედულების მქონე როი ს. ტრულზე. ამ კაცის აზრით, ახლანდელი ახალგაზრდების უმრავლესობა არ იჩენდა უფროსი ასაკის ადამიანებისადმი საჭირო პატივისცემასა და მოკრძალებას. ოსვალდი მათ შორის სასიამოვნო გამონაკლისი აღმოჩნდა და სასწრაფოდაც მიიღეს სამუშაოზე. 1963 წლის 15 ოქტომბრიდან ოსვალდს საათში ერთი დოლარი და 25 ცენტი დაენიშნა. მართალია, ჭუჭყიან საწყობში წიგნების შეფუთვა არცთუ დიდად სახარბიელო საქმე იყო, მაგრამ ეს მაინც ბედის გაღიმებას ნიშნავდა. ცოლი მეორე ბავშვის მოლოდინში იყო. წიგნების საწყობში მუშაობის დაწყების მეხუთე დღეს ქალს პარკლენდის ჰოსპიტალში მეორე ქალიშვილი შეეძინა. რუსეთიდან დაბრუნებული ოსვალდი ზედიზედ განიცდიდა იმედების გაცრუებას, მაგრამ ყოველივე ამას არავითარი კავშირი არა ჰქონდა რუსეთში ყოფნასა

და იქაურ თავგადასავლებთან, რასაც ოსვალდი საგულდაგულოდ მალავდა. საქმის არსი ის გახლდათ, რომ მას აზრიანად არაფრის გაკეთება არ შეეძლო. ყოველ ნაბიჯზე მეღავნდებოდა უსიამო ჭეშმარიტება, რომ იგი არავის დასჭირვებია, არავის მოუსაკლისებია. სამშობლოზე გულაცრუებულმა ოსვალდმა საბჭოთა კავშირს მიაშურა, მაგრამ იქაც ფიასკო განიცადა და უკანვე დაბრუნდა.

ერთი თვით ადრე, ვიდრე ტრული სამუშაოზე მიიღებდა, ოსვალდმა ჰავანაში გაქცევა სცადა, მაგრამ მეხიკო-სიტიში კუბელებმა ვიზა არ მისცეს. დიახ, ოსვალდი თავისი დროის ყველაზე გარიყულ ადამიანად იქცა. არ იქნება გაზვიადებული, თუ ვიტყვით, რომ იგი ჯონ ფიტცჯერალდ კენედის დიამეტრიულად საწინააღმდეგო პიროვნება იყო.

თვითონ ოსვალდიც ასევე ფიქრობდა და გრძნობდა. ოსვალდი პრეზიდენტის წარმატებებს კენედების ოჯახის სიმდიდრეს მიაწერდა. მისი აზრით, ჯონ კენედის წარმატებისათვის ყველა საჭირო პირობა ჰქონდა. ისევე როგორც მის ბევრ სხვა მცდარ აზრებში, ამაშიაც იყო ჭეშმარიტების მარცვალი. პრეზიდენტი გახლდათ ათგზის მილიონერი, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ერთი ნიშანი მათ შორის არსებულ ათას სხვა განმასხვავებელ ნიშანთა შორის. კენედის ჰქონდა თითქმის ყველაფერი, ოსვალდს თითქმის არაფერი. ისიც სათქმელია, რომ კენედი თვალში საცემი კარგი გარეგნობის კაცი იყო, მაშინ როცა ჯერ კიდევ სრულიად ჭაბუკ ოსვალდს უკვე გამელოტება დაწყებოდა, აბა ტანი ხომ სულაც კვერნის აღნაგობისა ჰქონდა. პრეზიდენტი ომის დროს გულადობით გამორჩეული ოფიცერი გახლდათ, შემდეგ კი, სნეულებიდან გამოჯანმრთელების პერიოდში დაწერა ისეთი წიგნი, რომელმაც პულიტცერის პრემია დაიმსახურა. ლი ოსვალდს კი თვით მშვიდობიანობის დროსაც სამხედრო სამსახურში ყოფნისას ყოველად სამარცხვინოდ ეჭირა თავი და, შეიძლება ითქვას, წერა-კითხვის მეტი არა იცოდა რა. ყოვლისშემძლე გახლდათ მთავრობის მეთაური და მთავარსარდალი კენედი. ოსვალდი კი ყოვლად უძლური და უსუსური. კენედის ყველგან აღტაცებული მისალმებებით ხვდებოდნენ, მაშინ როცა ოსვალდს ზედაც არავინ უყურებდა. კენედი უყვარდათ, ოსვალდი სძულდათ. კენედი გმირი იყო, ოსვალდი — მსხვერპლი.

ოსვალდს ბავშვობიდანვე ემუქრებოდა განსაკუთრებული ფსი-

ქიური დაავადება — პარანოია[1]. პარანოიით დაავადებულნი, ბოლოს და ბოლოს, კარგავენ რეალობის ყოველგვარ შეგრძნებას. ეუფლებათ პირადი განაწყენების საშინელი გრძნობა და ანგარიშსწორების ბრმა წყურვილი. არავის შეუძლია იწინასწარმეტყველოს ამა თუ იმ ცალკეულ შემთხვევაში რა შეიძლება იქცეს კატასტროფის მიზეზად. ლი ოსვალდის სულში დაგუბებულმა ვულკანმა 1963 წლის 21 ნოემბრის ხუთშაბათ საღამოს იფეთქა.

ოსვალდის დედამ, რასაკვირველია, არაფერი იცოდა. მარგარიტა ოსვალდს ეს ფიქრადაც არ მოსვლია. წელიწადზე მეტი იყო, რაც ვაჟი და რძალი არ ენახა. უფრო მეტიც, იგი სულაც არ ცდილობდა მათი ამბის გაგებას. როგორც ჩანდა, ეს ყველაფერი დიდად არც აწუხებდა. მარგარიტა ცალკე, განმარტოებულად ცხოვრობდა. აი ახლაც, თავისი თეთრი ხალათი გაიმზადა და მძიმედ დაეშვა საწოლზე. მარგარიტა ოსვალდს ადრე ადგომა და დღის სატელევიზიო გადაცემების ყურება უყვარდა.

* * *

ხუთშაბათს, 21 ნოემბერს 16 საათსა და 40 წუთზე, როცა ცოლქმარი კენედები ორმოცდახუთწუთიანი მშვიდი ფრენის შემდეგ ჰიუსტონში თვითმფრინავიდან გადმოდიოდნენ, დალასის სახელმძღვანელოების საწყობში ლი ოსვალდმა სამუშაო დღე დაამთავრა. მერე თავის კოლეგა, ალაბამელ ხმელ-ხმელ ყმაწვილ უესლი ფრეზიერს გარეუბან ირვინგში წაყვანა სთხოვა. ფრეზიერს ერთი გვარიანად მოძველებული „შევროლე" ჰქონდა. როგორც ფრეზიერმა შემდგომ გაიხსენა, ოსვალდი მასთან მივიდა მხოლოდ იმის შემდეგ, როცა საღამოს გაზეთ „ტაიმს-ჰერალდის" პირველ გვერდზე დაბეჭდილი სამარშრუტო რუკა შეათვალიერეს. საეჭვო აღარაფერი იყო, პრეზიდენტის კორტეჟი ხვალ ამ საწყობის წინ გაიელიდა.

— ამ საღამოს შინ ხომ ვერ წამიყვან? — ჰკითხა ოსვალდმა.

— რატომაც არა, — უპასუხა ფრეზიერმა, — მე ხომ თვითონ შემოგთავაზე, როცა კი სახლში წასვლა დაგჭირდება, ყოველთვის

---

[1] პ ა რ ა ნ ო ი ა (ბერძ.) — ქრონიკული ფსიქიური დაავადება. ხასიათდება აკვიატებული სულელური იდეებით, ზოგჯერ ჰალუცინაციებითაც კი.

წაგიყვან-მეთქი. რა დროც უნდა იყოს, მე მზად ვარ დანაპირები შევასრულო, როგორც კი ცოლის ნახვას მოისურვებ.

ფრეზიერს ოსვალდის მაშინდელი თხოვნა მხოლოდ შემდეგ მოეჩვენა უჩვეულოდ. წინათ ოსვალდი ცოლთან მხოლოდ პარასკეობით მიდიოდა, დღეს კი ხუთშაბათი იყო. სხვა დღეებში ოსვალდი დალასში ცხოვრობდა. ნორს ბეკლი-ავენიუს 1026 ნომერში ავეჯით გაწყობილი ბინა ჰქონდა ნაქირავები.

— დღეს რატომ მიდიხარ სახლში? — ჰკითხა ფრეზიერმა.

— ფარდებისათვის კარნიზები უნდა წამოვიღო, — აუხსნა ოსვალდმა.

ფრეზიერმა, რასაკვირველია, არ იცოდა, რომ ოსვალდის ბინაში ნორს ბეკლი-ავენიუზე უკვე ეკიდა ფარდები და თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

საწყობიდან ირვინგამდე მანქანით მგზავრობა გატკეპნილ გზაზე მარხილით მგზავრობას წააგავდა. საოცრად უნაყოფო მიწაზე გაწოლილი ბეტონის შარაგზა ათმწკრივად იყო გაყოფილი. შარაგზის გასწვრივ დიდი ქარხნები, ბენზინის კოლონები და ღამის კლუბები ჩამწკრივებულიყო.

ოსვალდი დუმდა. ფრეზიერს ეს ამბავი არ გაჰკვირვებია: ლი ხშირად ჩანდა დაღვრემილი, თუმცა იმდღევანდელი ფიქრები ეტყობოდა, რაღაცით განსაკუთრებული იყო. მუშაობისას ოსვალდმა ღრო შეარჩია (როგორც ჩანს, ნასადილევს), ამანათების განყოფილებაში გაძვრა და ყავისფერი ქაღალდისაგან ტომარა გააკეთა, რაში შიგ თავისი 6,5 მილიმეტრიანი შაშხანა დაემალა. დიახ, ოსვალდს ჰქონდა „მანლიჰერ კარკანოს“ სისტემის იარაღი. წარსულ ზამთარს, სპორტსაქონლით მოვაჭრე ჩიკაგოს „კლეინის“ მაღაზიას ოსვალდმა შეკვეთა გაუგზავნა. შეკვეთის ბლანკი გამოგონილ გვარზე, ალეკ ჯ. ჰიდელის სახელზე შეავსო, რასაც 21 დოლარი და 45 ცენტიანი ფულადი გზავნილება დაურთო. 20 მარტს მისი საფოსტო ყუთის მისამართზე — დალასი № 2915 — გამოგზავნეს ოთხგზის გამადიდებელი ოპტიკური სამიზნიანი შაშხანა № 02677. იმავე ფსევდონიმით ოსვალდმა „სმიტ-ვესონის“ სისტემის რევოლვერიც შეუკვეთა. კვალის დაფარვის ეს ცდა თვითონ ოსვალდსაც მოუქნელად ეჩვენა. შეკვეთის ორთავე ბლანკი მისი საკუთარი ხელით იყო შევსებული. საფოსტო ყუთი № 2915 მის სახელზე გახლდათ

არენდირებული. საფულეში კი ალეკ ჯ. ჰიდელის სახელზე გაცემული უხეიროდ გაკეთებული ყალბი მოწმობა ედო.

რევოლვერს დალასში ნაქირავებ ბინაში ინახავდა. რაც შეეხება შაშხანას, იგი მომწვანო შალის საბანში ჰქონდა შეხვეული და საკუთარი ნივთებით გამოტენილ რამდენიმე ტომარასთან ერთად ირვინგში, ფრეზიერის სახლის მახლობლად, ინჟინერ-კონსტრუქტორ მაიკლ პეინის გარაჟში ჰქონდა შენახული. სწორედ ამ შაშხანის წამოსაღებად მიდიოდა ახლა ოსვალდი. მართალია, შინ წაყვანა ოსვალდმა ფრეზიერს მხოლოდ იმის შემდეგ სთხოვა, როცა დაბეჯითებით გაიგო პრეზიდენტის კორტეჟის მარშრუტი, მაგრამ ვფიქრობთ, (და არც უსაფუძვლოდ) რომ მაშინაც კი ოსვალდის გადაწყვეტილება საბოლოო არ იყო. მას ჯერ კიდევ არ მიეღწია წერტილისათვის, როცა უკან დასახევი გზა მოჭრილია. ლის საქციელი ირვინგში მისვლის შემდეგ გვაფიქრებინებს, რომ ამ გადაწყვეტილების შესაცვლელად არცთუ დიდი ზემოქმედება იყო საჭირო.

შეერთებული შტატების პრეზიდენტისადმი უდიდესი შურის მიუხედავად, ჯონ კენედის მაინც არ ეჭირა ოსვალდის ცხოვრებაში მთავარი ადგილი. ამ ადგილს მისი ცოლი, მარინა ოსვალდი ფლობდა და აკი პირველად მასთან მივიდა კიდეც. შაშხანის მსგავსად, ცოლიც იმ მისამართზე დასავლეთის მეხუთე ქუჩის № 2115-ში უნდა მოეკითხა. დიახ, მხოლოდ მას შემდეგ გაემართა ოსვალდი შაშხანის გამოსატანად, როცა ცოლმა ზურგი აქცია და გადაჭრით განუცხადა, შენთან ცხოვრება არ შემიძლიაო.

გარეგნულად პეინების ბინა ოთხი ოთახისაგან შემდგარი სადა, ერთსართულიანი ბლოკით ნაგები სახლი იყო. ისეთი, როგორიც ასობით და ათასობით დგას აშშ-ის სამხრეთ დასავლეთში. სახლის შიგნით მიშენებულ გარაჟს საწყობად იყენებდნენ. უჩვეულო არც ამაში იყო არაფერი. ოთახების შიდა მოწყობილობა კარგ გემოვნებაზე დიდად არ მეტყველებდა, და არც ბინაში იგრძნობოდა მზრუნველი ქალის ხელი, მაგრამ თავად სახლი მეტად მოხერხებული და პრაქტიკული იყო. ქუჩისაკენ გამავალ ოთახში იდგა დივანი, რადიომიმღები და „ზენიტის“ ფირმის ტელევიზორი. სამზარეულოს სიღრმეში დიდი მაგიდა მოჩანდა. სამზარეულოს მარცხენა მხარეს გარაჟი იყო, მარჯვნივ — აბაზანა და თეთრი ჟალუზებიანი, საკმაოდ ღარიბულად მოწყობილი ორი პატარა საწოლი ოთახი. ეს

ყო გარეუბანთათეის დამახასიათებელი ჩვეულებრივი სახლი. იგი უჩვეულოდ მსოლოდ მასში მცხოვრებმა ადამიანებმა აქციეს.

ოჯახის უფროსი მაიკლ პეინი ამ სახლში აღარ ცხოვრობდა. იგი ინჟინერ-კონსტრუქტორად მუშაობდა ფორტ-უორტის ვერტმფრენის ქარხანა „ბელაში". სუსტი აგებულების, ქერათმიანმა მაიკლ პეინმა თავისი მომავალი მეუღლე რუთ ჰაიდი ხალხური ცეკვების საღამოზე გაიცნო. 1957 წლის 28 დეკემბერს ახალგაზრდები შეუღლდნენ. რუთი ერთ-ერთ სოციალ-პოლიტიკურ მოძრაობაში წამყვან როლს ასრულებდა, თითქოს მაიკლიც ჩაება ამ მუშაობაში, კერძოდ იმ კომიტეტის საქმიანობაში, რომელიც აღმოსავლეთისა და დასავლეთის კონტაქტების საკითხებს აგვარებდა. ეს კომიტეტი დახმარებას უწევდა ამერიკელ მოქალაქეებს საბჭოთა მოქალაქეებთან მიმოწერაში. კომიტეტს თვითონ რუთი თავმჯდომარეობდა. სამწუხაროდ, პეინების ინტერესი სოციალური რეფორმებისადმი საკმარისი არ აღმოჩნდა მათი ერთად ცხოვრებისათვის. შეუღლების ხუთი წლის თავზე, 1962 წლის სექტემბერში, პეინები განქორწინდნენ. რუთი თავისი ორი ბავშვით სახლში დარჩა. მაიკლმა კი ოჯახი დატოვა.

როგორც პიროვნება, რუთი უფრო ძლიერი და საინტერესო იყო, ვიდრე მაიკლი. ანტიოქიის კოლეჯდამთავრებული რუთი კვაკერების სექტას ეკუთვნოდა. 1963 წლის შემოდგომაზე მას ოცდათერთმეტი წელი შეუსრულდა. ამ ტანად, შავთვალა, შავგვრემან ქალს ოდნავ მოგრძო, მაგრამ სასიამოვნო სახე და რბილი, მელოდიური ხმა ჰქონდა. რუთი მორწმუნე და მეტად ჭკვიანი ახალგაზრდა დედის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ქალი მზად იყო ყველაფერი ეღონა ახლობლის დასახმარებლად. ღარიბების გამკითხავი რუთ პეინი დონორიც გახლდათ, პარკლენდის ჰოსპიტალს რეგულარულად აძლევდა სისხლს. ქმართან განქორწინებიდან ხუთი თვის შემდეგ იგი შეხვდა ოცდაერთი წლის ქერათმიან მარინა ოსვალდს. ქალს, რომელიც უკიდურესად საჭიროებდა დახმარებასა და მზრუნველობას. მათ ერთმანეთი 1963 წლის 22 თებერვალს სტუმრად ყოფნისას გაიცნეს. მარტოხელა რუთს მეგობარი სჭირდებოდა. მან მაშინვე გამოართვა მარინას მისამართი და შემდეგ წერილი მისწერა. აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის კონტაქტების დამყარების ხელშემწყობ კომიტეტში მუშაობამ რუთს რუსული ენის დიდი ინტერესი აღუძრა. საბჭოთა კავშირში დაბადებულსა და გაზრ-

დილ მარინა ოსვალდს მადლობის ნიშნად თავისი მფარველისათვის რუსული შეეძლო ესწავლებინა.

ასე იქცა მარინა ნიკოლოზის ასული ოსვალდი მისი ქმრისა და პეინების ოჯახების დამაკავშირებელ რგოლად. რუთი კი მისთვის ყველაზე კეთილისმყოფელ ადამიანად. ამ დროიდან რუთის, მარინასა და ლი ჰარვი ოსვალდის ცხოვრება ერთმანეთს მჭიდროდ დაუკავშირდა. ლი და რუთი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ქერათმიან მარინასთან მეგობრობაში. ასეთი მდგომარეობა მარინასათვის სრულიად უჩვეულო ამბავი იყო. მარინა აინსანველსკელი უქმრო ქალის უკანონო, არასასურველი შვილი იყო და დღემდე არ იცოდა, ვინ იყო მისი მამა. მარინას ბავშვობისა და ალზრდის პირობები ბევრად წააგავდა ლი ოსვალდის ცხოვრებას. ბავშვობისას გოგონას ხშირად სჯიდნენ. იყო შემთხვევა, როცა მარინა მთელი შეგნებით ფიქრობდა თვითმკვლელობაზე, მაგრამ ლისთან შედარებით მას ჰქონდა ერთი უდიდესი უპირატესობა. იგი ფრიად მომხიბვლელი გარეგნობის ქალი იყო. მარინას ნახვისას ადამიანებს მისდამი მფარველობის და ზრუნვის გამოჩენის სურვილი უჩნდებოდათ. საბჭოთა კავშირიდან ქმრის იმედით წამოსული მარინა, ახლა რუთთან ეძებდა დახმარებასა და მფარველობას.

ჯერ კიდევ რუთის გაცნობამდე ოსვალდის ქორწინება მწარე ფარსად იქცა. მინსკში ყოფნისას კი ეგონა ლამაზი, ურყევი რწმენის კომუნისტი ქალი ვითხოვეო, სამუდამოდ „მარინენკად“ და საყვარელ არსებად რომ დარჩებოდა. მაგრამ ნამდვილი მხოლოდ მისი სილამაზე აღმოჩნდა. სხვამხრივ ქალმა ყველაფერში უმტყუნა. ლი იმედოვნებდა — მარინაც შეიძულებდა იმ სამყაროს, რომელიც მას ასე მობეზრდა, უარჰყოფდა უსახსრობის გამო მისთვის მიუწვდომელ კაპიტალისტური სამყაროს ბურჟუაზიულ კრიტერიუმს. ყოველივე ამის მაგივრად მარინა თითქოს ბურჟუაზიული დიასახლისის პაროდიად იქცა: გამუდმებით სთხოვდა ახალ-ახალ ნივთებს, გართობისა და კინოს ფულს. დასცინოდა მის უუნარობას, სხვების თანდასწრებითაც კი საყვედურობდა, „მამაკაცი არა ხარო“. პირველ ხანებში ლი მხოლოდ შეუბღვერდა ხოლმე: „ჩაიწყვიტე ხმა!“ მერე კი თავისი პიროვნების ერთგულმა ლიმ მეუღლეს საპასუხო დარტყმები აგემა, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. ამერიკაში დაბრუნების შემდეგ ოსვალდის დედამაც მა-

ლეეე შენიშნა მისი მომხიბვლელი რძლის დაშავებული სახე და ამოლურჯებული თვალები. მარგარიტა ოსვალდისათვის ნათელი გახდა, „შვილსა და რძალს ვერ ჰქონდათ აწყობილი ოჯახი". მაგრამ არც ის იქნებოდა სწორი, — ქმარი მხეცად წარმოგვედგინა, ხოლო ცოლი კი უდანაშაულო მსხვერპლად. ყველაფერი გაცილებით უფრო ღრმა და რთული იყო. 1963 წლის გაზაფხულზე, რუთი ხშირად ხვდებოდა ოსვალდებს, ხედავდა ცოლ-ქმრის უთანხმოებას, ერთთავად დაობდნენ, ჩხუბობდნენ, ვერც ერთი ვერ მიმხვდარიყო, როგორ აეცდინათ ყველაფერი ეს. მარინა უფრო ძლიერი მოწინააღმდეგე გამოდგა: ქალმა იცოდა ქმრის სუსტი მხარეები და უფრო ადვილად ახერხებდა მის დაჩოქებას. ბოლოს და ბოლოს კაპიტულირებული მხოლოდ ლი რჩებოდა. საბაზანოში ჩაკეტილ დასჯილ ლის კოშმარები სტანჯავდა, სიბნელეში დამხობილი მწარედ ქვითინებდა.

როგორც კი რუთი და ოსვალდები დაახლოვდნენ, მარინამ ლის პროვოცირება დაუწყო. ქმრის თანდასწრებით აშკარად ელაციცებოდა რუთს, ამცირებდა ქმარს — აცხადებდა ლიზე უკეთ რუთმა იცის რუსული. ეს მტკიცება არცთუ უმნიშვნელო რამ იყო და მისი მტაცებლური ინსტინქტების შეუმცდარობაზე მეტყველებდა. ლის ხომ ისედაც ცოტა რამ ჰქონდა საამაყო. მართალია, ლის შეეძლო მარჯვე სროლის უნარით მოეწონებინა ცოლისათვის თავი, დაერწმუნებინა ქალი მის ვაჟკაცობაში, მაგრამ ქალაქის პირობებში ამ უნარის დემონსტრირების ნაკლები შესაძლებლობა იყო (1963 წლის 10 აპრილს ლიმ სცადა კიდეც ამის გაკეთება. ამ ორი ქალის დამეგობრების შემდეგ, ლიმ მარინაზე შთაბეჭდილების მოსახდენად, ფოსტით შეკვეთილი ახალი შაშხანით, გენერალ მაიორ ედვინ უოკერს ესროლა. მაგრამ როგორც კი ჩახმახს გამოკრა, გენერალი შეირხა და ლიმ მიზანს ააცდინა). მარინა მწარედ კილავდა ლის ცუდ რუსულს, თუმცა თვით რუთის აღიარებით, მან უფრო ცუდად იცოდა რუსული, ვიდრე ლიმ.

გენერალზე თავდასხმიდან ორი კვირის შემდეგ, ლიმ დატოვა ტეხასი და სამუშაოს საძებრად ახალ ორლეანში გაემგზავრა. მარინა კი რუთის ბინაში გადაბარგდა. მარინასა და რუთის ერთად ცხოვრება ხანმოკლე აღმოჩნდა. მაისში ოსვალდები კვლავ შეერთდნენ. რუთმა მარინა თავისი გოგონათი ლუიზიანაში ჩაუყვანა

ლის, თუმცა მარინას ქმართან დაბრუნება სულაც არ სურდა და მიზანშეუწონლადაც მიაჩნდა. თითქმის ჩასვლისთანავე კვლავ იფეთქა ცოლ-ქმრის დავამ. რუთმა, როგორც ამას შემდეგ იგონებდა, „მეტად უხერხულად იგრძნო თავი" და დაუყოვნებლივ უკან გამოემგზავრა.

სექტემბრის ბოლოს, მარინას წერილის პასუხად, რუთი ლუიზიანაში გაემგზავრა. მალე მარინა თავისი პატარა ჯუნითა და ერთი მანქანა ბარგი-ბარხანით კვლავ ტეხასში ჩამოიყვანა. დაინგრა ლი ოსვალდის უკანასკნელი ნამდვილი ოჯახური კერა. საერთოდ, ცხოვრებას მისთვის უხვად არაფერი გაუმეტებია, მაგრამ ახლა მართლაც აღარაფერი გააჩნდა. ლისათვის ეს მეტად კრიტიკული მომენტი აღმოჩნდა. რუთის გადმოცემით, ცოლთან და შვილთან გამომშვიდობებისას იგი „მეტად მწუხარე ჩანდა". ორი დღის შემდეგ მან კუბაში გაქცევა სცადა, მაგრამ როცა აქედანაც არაფერი გამოვიდა, 4 ოქტომბერს ისევ მარინას და რუთს მიადგა ტეხასში, თუმცა არც ერთ ამ ქალთაგანს იგი არაფრად ეპიტნავებოდა. ქალებს შორის შექმნილი დამოკიდებულება გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე ოდესმე ლის შეეძლო ჰქონოდა მარინასთან. რუთი უკეთესი იყო, როგორც მეგობარი, ჰქონდა მეტი ფული და წარმატებითაც უძღვებოდა ოჯახურ მეურნეობას.

რუთმა არსებობის გაცილებით უფრო სტაბილური პირობები შეუქმნა, ვიდრე როდესმე შეიძლებოდა ჰქონოდა ამ ყველასაგან მოძულებულ, ნახევრად ობოლ არხანგელსკელ ქალს. ემოციონალურად მშვიდი რუთი სთხოვდა მარინას შეესწორებინა მისთვის ყველა შეცდომა, რასაც იგი რუსულად მეტყველებისას დაუშვებდა. თავისი მერყეევი მდგომარეობით გაღიზიანებული ოსვალდი კი წონასწორობას კარგავდა, როცა ვინმე რამეს უსწორებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ცოლს აუკრძალა კიდეც ამდაგვარი შესწორებანი. რუთს ჰყავდა ავტომანქანა „შევროლე", შეეძლო საკუთარ შვილებთან ერთად მარინა და მისი ბავშვებიც წაეყვანა სასეირნოდ. ლის მანქანის ტარების უფლებაც არა ჰქონდა. ოსვალდს მხოლოდ ყველაზე უბადრუკ ბინაში შეეძლო მიეცა თავშესაფარი თავისი ოჯახისათვის. რუთს ჰქონდა მოხერხებული საკუთარი სახლი, კრიალა ნივთებითა და ელექტრომოწყობილობებით სავსე სამსაერეულო. ბავშვებისათვის კი მზიანი პატარა ეზო, სათამაშოდ სილით

სავსე ყუთი და საქანელა. რუთ პეინს ყოველ კვირას 80 დოლარიან ჩეკს უგზავნიდა მაიკლ პეინი. ეს თანხა და შემოსავლის კიდევ სხვა წყაროები უზრუნველყოფდნენ მათი არსებობის საკმაოდ მაღალ დონეს.

14 ოქტომბერს დედისადმი გაგზავნილ წერილში მარინა გულახდილად წერდა, — ჩემი ქორწინება უხეირო გამოდგა, ახლა ფულს ვაგროვებ აღმოსავლეთში გამოსამგზავრებლადო. მარინას მეუღლემ შეჯიბრებას ვერ გაუძლო. იგი კვლავ უფულოდ იყო. თუმცა მარტო ამით არ განისაზღვრებოდა რუთის უპირატესობა. კოლეჯში მიღებული განათლება გახლდათ რუთის ცოდნისა და ავტორიტეტის თავდები. ქალი თავისუფლად მსჯელობდა „მამათა და შვილთა" პრობლემაზე, მის პირად მოთხოვნილებაზე „მოენახა საკუთარი „მე"-ს გამოხატულება უფრო დიდ ამბებში, ვიდრე ეს ცოლობა და ოჯახის დიასახლისობა იყო". გარემომცველი სამყაროს საღად შეცნობის უნარი საშუალებას აძლევდა რუთს, პრაქტიკული რჩევები მიეცა ჩიხში მომწყვდეულ ლისათვის. როგორც კარგა ხნობით უმუშევარ კაცს, თვითონაც უნდა სცოდნოდა, სად შეეძლო მის ორსულ ცოლს უფასო სამედიცინო კონსულტაციის მიღება, მაგრამ სწორედ რუთმა წაიყვანა იგი პარკლენდის ჰოსპიტლის უფასო კლინიკაში.

თავად ლიც რუთის საზრუნავი გახდა. კვირადღეობით ქალი ოსვალდს მანქანის ტარებას ასწავლიდა ხოლმე, მანვე შეახვედრა იგი სახელმძღვანელოების საწყობის გამგე როი ტრულს. რუთი გაბედულად კისრულობდა ყველა საზრუნავის მოგვარებას, როცა კი ოსვალდი მასთან სტუმრად იყო და დიდბუნოვან დიასახლისობასაც უწევდა. ლის ნებადართული ჰქონდა დროისშეუზღუდველად ეცქირა ტელევიზორში ფეხბურთისა თუ ძალადობის განმასახიერებელი ფილმებისათვის, რასაც დიდის გატაცებით უყურებდა. მთავარი ის კი არ იყო, რომ ქონების პატრონი რუთი კეთილისმყოფლობდა არამქონე მარინას, არამედ ის მეგობრობა, რომელიც ერთმანეთის გულწრფელად მოყვარულ ამ ორ ქალს შორის დამყარდა. მათ მოსწონდათ ერთურთის საზოგადოება და შვილების მოყვარული დედებიც იყვნენ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს პატარა კოლექტივი ბედნიერად გრძნობდა თავს. მართალია, მომავალი კვლავ გაურკვეველი იყო, მაგრამ ეს ორი დიდი და ოთხი პატარა ადამიანი გონივრულად შეეწყვნენ ცხოვრების ახალ ვითარებას.

ლი ოსვალდი თამაშიდან გარიყეს მაიკლ პეინში. სახლი თავისი სურვილით დატოვა. ლი ოსვალდი კი აშკარად გააძევეს და ეს მისთვის უმძიმესი დარტყმა აღმოჩნდა. იგი მარტო ცოლს მოსწყვიტეს, ჩამოაცილეს ბავშვებსაც. ბავშვები კი მის ცხოვრებაში დიდ როლს ასრულებდნენ. მისი ფსიქიზის მიუხედავად ლის ჰქონდა ერთი საღი თვისება — მამობრივი გრძნობა. როგორც რუთი იგონებს, — ლის უყვარდა ტკბილეულითა და საჭმელებით სავსე პაკეტებით მოსვლა. მაშინვე გოგონებს რუსულად დაეძახებდა „დევოჩკი". ახლა კი ამასაც ვეღარ ახერხებდა. ოსვალდი უნდა შეგუებოდა უცხო კაცის მდგომარეობას იმ ადამიანთა შორის, ვინც ერთ დროს მის ოჯახს წარმოადგენდა.

რუთი სუსტ ადამიანად თვლიდა ოსვალდს და მისი მუშტებისა სულაც არ ეშინოდა. ქალი იმდენად კი ერკვეოდა მარქსიზმში, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულ ლის ყბედობის მთელ სიყალბეს მიმხვდარიყო. ამაში იგი სავსებით ეთანხმებოდა თავის მეუღლეს. მაიკლს, როგორც კომუნისტის ვაჟს, კიდევ უფრო სწორად შეეძლო ემსჯელა ლის აზრების ჭეშმარიტ ხასიათზე. ერთ-ერთი შემთხვევითი შეხვედრის დროს მაიკლმა ყურადღება მიაქცია ტელევიზორთან მჯდარ, ეკრანსმიშტერებულ ოსვალდს.

— რევოლუციონერისათვის ეს ყმაწვილი როგორღაც ძალიან დიდხანს ზის ერთ ადგილზე, — დაცინვით ჩაილაპარაკა მან.

სწორედ ამ მაიკლმა ორჯერ გადააადგილა დახვეული საბანი ბარგიბარხანით გამოტენილ გარაჟში. მისი აზრით, შიგ კემპინგის მოწყობილობა უნდა ყოფილიყო. მას, როგორც ინჟინერს, სიმძიმის მიხედვით შეეძლო მიმხვდარიყო, რომ საბანში რკინის ნივთი იყო გახვეული. როგორც ეს თვითონ შემდეგ განაცხადა, იგი „ერთგვარ უხერხულობას" გრძნობდა სხვისი ნივთების გადაადგილებისას. მას, რა თქმა უნდა, აზრადაც არ მოსელია გაეშალა საბანი და ენახა. რა იდო შიგ. შიგთავსი, რასაკვირველია, გააოცებდა, თუმცა მაიკლს ოსვალდი მოძალადე კაცად ესახებოდა.

საკუთარ სახლში თითქმის უცხო მაიკლსაც არ გამოეპარა ეს ახალი ურთიერთგანწყობილებანი. მისი აზრით, ქალები ლის დაუბრკოლებლად ჩამოიცილებდნენ — „იგი რუთისათვის საშიში არ არის". პეინიც, ისევე როგორც მისი ცოლი, ოსვალდს დაუცველ, პრეტენზიულ და საკუთარი თავის შემბრალე კაცად თვლიდა. რუ-

თი კიდევ უფრო შორს წავიდა. ფსევდოიდეოლოგმა ლიმ მეტად უსუსური შთაბეჭდილება მოახდინა მასზე და ქალი გარკვეული პირობების წაყენებასაც არ მოერიდა. არც მე და არც მარინას არა გვსურს ამ სახლში მოსული გიხილოთო, — გადაჭრით განუცხადა ბოლოს რუთმა. ლის მხოლოდ თავისი ქალიშვილების ხანდახან მონახულების უფლება ეძლეოდა. ეს იყო და ეს. სხვა შემთხვევაში, მას იმ სახლში მისვლა ეკრძალებოდა. იგი უნდა შეჩვეოდა აზრს, რომ მის ცოლს სხვა სახლი ჰქონდა. გარეგნულად ლი თითქოს შეეგუა კიდეც ამ გადაწყვეტილებას. მან იმდენად უკლო ირვინგის დასავლეთის მეხუთე ქუჩაზე სიარულს, რომ იმ სახლში სამართებელიც კი აღარა ჰქონდა. მისი მუდმივი საცხოვრებელი ახლა ნორს ბეკლი-ავენიუზე მდებარე ავეჯით გაწყობილი ბინა იყო. ცოლისათვის თითქმის უცხო კაცად ქცეულ ლის იქ მისვლის უფლება მხოლოდ კვირადღეობითღა ჰქონდა.

რუთისათვის ლის პიროვნება უკვე გარკვეული იყო, მარინა კი უფრო ძნელად შესაცნობი ადამიანი გახლდათ, ამით აიხსნებოდა მისი მომხიბვლელობაც. ვერასდროს გამოიცნობდით, რას მოიმოქმედებდა იგი თუნდაც ერთი წუთის შემდეგ. რუთი გრძნობდა თავისი მეგობრის ხასიათის ერთგვარ შეუცნობელ თვისებას, რასაც იგი „კედელს" ეძახდა. რუთი იგონებდა: „მასთან შეიძლებოდა რომელიღაც გარკვეულ წერტილამდე მისვლა, მაგრამ იქით კი უკვე აღარ". რუთის წარმოდგენაც არა ჰქონდა იმ საშინელებაზე, რაც იმ საზღვარს იქით იმალებოდა. ეჭვიც არასოდეს გასჩენია მარინას ესოდენ ორპირ ბუნებაზე. მეგობარმა თითქოს ყველაფერი უამბო ლის შესახებ, სინამდვილეში კი ბევრი რამ დაუმალა. მარინამ ქმრის გამოგონილი გვარებიც იცოდა და გენერალ უოკერზე სიბნელეში თავდასხმის ამბავიც. განა თვითონ მარინამ არ გადაუღო ქმარს სურათი „მანლიჰერ-კარკანოს" ფირმის 6,5 სანტიმეტრიანი შაშხანით ხელში. მთელი იმ გრძელი გზის მანძილზე, როცა რუთთან ერთად კვლავ ტეხასში ბრუნდებოდა, მარინას კრინტიც არ დაუძრავს, თუმცა კარგად იცოდა, რომ მისი ქმარი ჰავანაში გაქცევას აპირებდა.

რუთი მორწმუნე გახლდათ. როგორც ყველა კვაკერი, ჭამის წინ ლოცულობდა. ჰოდა, მარინამ იცოდა, რელიგიურ მოსაზრებათა გამო რუთი ყოველგვარ ძალადობას რომ უარყოფდა. იმ ადათ-წესის

მიუხედავად, რომელიც რუსეთშიაც ასევე პატივდებულია, როგორც შეერთებულ შტატებში, მან განზრახ დაუმალა რუთს ის გასაოცარი ფაქტი, რომ იმ ჭერქვეშ ეძინათ, სადაც ინახებოდა საბრძოლო ვაზნებით ვატენილი მძლავრი იარაღი, რომლის ტყვიის სისწრაფე წამში 2165 ფუტს უდრიდა.

დაახლოებით 17 საათი და 25 წუთი იქნებოდა, როცა უესლი ფრეზიერმა ლი მანჭანიდან გადმოსვა და იქვე, ნახევარი კვარტალით დაშორებულ თავისი სახლისაკენ აიღო გეზი. ოსვალდს შინ მხოლოდ მარინა და ბავშვები დაუხვდნენ (რუთი სასურსათო მაღაზიაში წასულიყო), ამიტომ არსებობს მხოლოდ მარინას ვერსია ამ სახლში გამართული სცენის თაობაზე. ეს ვერსია მარინას სასარგებლოდ დიდად არაფერს მეტყველებს და დაეჭვებაც, ვფიქრობ, საფუძველს მოკლებულია.

ქმრის დანახვამ მარინა ჯერ გააოცა, მერე კი ბრაზი მოერია. ლის გამოჩენა სრულიად მოულოდნელი იყო. ჩამოსვლამდე მას ჯერ უნდა დაერეკა და რუთისათვის მისვლის ნებართვა ეთხოვა. ლიმ იცოდა, შუა კვირაში მისი ჩასვლა ქალებს ვერაფრად გაახარებდა და, ეტყობა, ამიტომაც არ დარეკა, თუმცა მისი ცოლის მრისხანებას სხვა მიზეზიც ჰქონდა. ორშაბათს, 18 ნოემბერს, მარინამ სრულიად მოულოდნელად ოსვალდის ბინაში, ნორს ბეკლიავენიუზე დარეკა. ლიმ, მისთვის ჩვეული სისულელის გამო, არ გააფრთხილა მარინა, რომ იქ მოგონილი გვარით ცხოვრობდა. ჰოდა, როცა მარინას თხოვნით 18 ნოემბერს რუთიმ ტელეფონის ნომერი აკრიფა, ბინიდან უპასუხეს — არავითარი ოსვალდი ამ სახლში არა ცხოვრობსო. მეორე დღეს ლი ტელეფონით ელაპარაკა მარინას და აუხსნა — ჩემი დიასახლისი და მეზობლები აქ როგორც ლი ო. ჰ-ს მიცნობენო. სრულიად გაურკვეველი მიზეზის გამო ლი ძალიან გაუჯავრდა მარინას ბინაზე დარეკვისათვის. აბა მარინა ხომ სულ მთლად გაცეცხლებული იყო. ახლა აღარ შეიძლებოდა რუთისათვის იმის დამალვა, რომ ოსვალდი დალასში გამოგონილი გვარით ცხოვრობდა. ლიმ იმავე დღეს რამდენჯერმე დაურეკა მარინას, მაგრამ გაჯავრებულმა ქალმა აღარ მოინდომა მასთან ლაპა-

რაკი. ოსვალდი თავგამოდებით უმტკიცებდა ცოლს, შესარიგებლად ჩამოვედიო, ქალი კი მაინც არა ცხრებოდა. ფერწასული, გუნებაწამხდარი ლი ნანობდა თავის საქციელს და რამდენჯერმე საუბრის წამოწყება სცადა. მოუყვა თავის მარტოობის ამბავს, ბავშვებთან დაშორების სიმწარეს, რომ რუთი მისთვის „ერთი გრძელი, სულელი დედაკაცია“ და ჭირის დღესავით ეზარება. მარინამ არ ისურვა მისი მოსმენა. ლი კიდევ უფრო განერვულდა, თუმცა წასვლით მაინც არ ბიდიოდა. მარინას სიტყვებით რომ ვთქვათ, „მისთვის თავის მოწონებას ცდილობდა“. მერე ბავშვებს მიუჯდა. ხან ჩვილი შეახვია, ხანაც ჯუნს გამოეთამაშა. მოუდრეკელ მარინას ლიმ ხვეწნა დაუწყო. ნუ გამიბრაზდები, შენი მრისხანება. ძალიან ცუდად მოქმედებს ჩემზეო. ბოლოს ისიც კი უთხრა, აქაურობა დატოვე და ჩემთან დალასში წამოდიო. მომწყინდა მარტო ცხოვრება. ცოლ-ქმარი გვქვია და ერთად კი არა ვცხოვრობთო. იმის გაფიქრებას ვერ ვუძლებ; ჩემს თავს რუთი რომ გირჩევნიაო. მე არ მსურს რუთისთან ცხოვრობდე, ჩემი ცოლ-შვილი ჩემ გვერდით უნდა იყოსო. ოღონდ წამოსვლაზე თავი დამიქნიე და ხვალვე დავიქირავებ დალასში ბინასო, — ეხვეწებოდა განერვულებული ოსვალდი.

სწორედ ამ დროს მანქანაც მოვიდა — დაბრუნდა საყიდლებზე გასული რუთი. ქალმა მაშინვე მოჰკრა თვალი მინდორზე ჯუნისთან მოთამაშე ლის და განზე მჯდარ გაბუსხულ მარინას. ლის დანახვამ რუთიც ძალიან გააკვირვა, მაგრამ საყვედურის მსგავსი არაფერი დასცდენია. პირიქით, მის გართობას შეეცადა და პრეზიდენტის მომავალ ვიზიტზე ჩამოუგდო ლაპარაკი. რუთი ამ ვიზიტზე საერთოდაც ძალიან ბევრს ფიქრობდა. სწორედ ახლა, სავაჭრო ცენტრში ყოფნისას, გეგმებს აწყობდა, როგორ მოეხერხებინა, რომ ხვალ დილით მარინასთან ერთად ბავშვებიც წაეყვანა და პრეზიდენტის კორტეჟის სავალ გზაზე, სადმე საყურებლად მარჯვე ადგილი შეერჩია. ქალმა ლიც გაიხსენა და გაიფიქრა — რა მოხერხებული იქნებოდა, ლის რომ ელმ-სტრიტზე წიგნების საწყობში ემუშავა, იქედან ხომ ასე კარგად დაინახავდნენ ავტომანქანებს. რუთიმ იცოდა ეს შენობა. სამმაგი მიწისქვეშა გვირაბიდან მანქანით გამოსულს ათასჯერ მოუკრავს თვალი ფირმა „ჰერცის“ მიერ ამ სახლის სახურავზე მოწყობილ ნეონის კაშკაშა რეკლამისათვის, რომ-

ლითაც მძღოლები ზუსტ დროსა და ჰაერის ტემპერატურას გებულობდნენ. სასკოლო სახელმძღვანელოები დალასში ორ სხვადასხვა ადგილას მდებარე შენობაში ინახებოდა და რუთის რატომღაც ეგონა, რომ ლი მოედნიდან რამდენიმე კვარტალით დაშორებულ, უფრო ძველსა და უფრო ცნობილ შენობაში მუშაობდა. აკი, თხოვნაზედაც ამიტომ შეიკავა თავი. პაკეტებით დატვირთული რუთი ლის მიუახლოვდა და რუსულად უთხრა:

— Наш президент приедет в город.

ოსვალდმა არაფერი უპასუხა. ქალს გვერდი აუარა და ნაგაჭრის გადმოტანაში მისაშველებლად მანქანისაკენ გასწია.

18 საათსა და 30 წუთზე ლი ოსვალდი მათთან ერთად მაგიდას მიუჯდა. სადილობის დროს თითქმის ხმა არ გაუღია. რუთის თანდასწრებით ვერ ახერხებდა მარინას გადმობირებაზე ლაპარაკის ჩამოგდებას. გრძელი მაგიდის ბოლოში მჯდარი დაძაბული და დაღვრემილი ოსვალდი თეფშში ჩანგლით იჩიჩქნებოდა და მომავალი შეტევისათვის ემზადებოდა. ჭურჭლის ალაგებისთანავე ოსვალდმა ცოლს კვლავ დაუწყო თხოვნა, ვიდრე ქალმა ცივად არ მიახალა — ჩემზე არა ჭრის ეს ხვეწნა-მუდარა, გადაწყვეტილი მაქვს რუთისთან დავრჩე. ეს უფრო გონივრულად მიმაჩნია. ბოლოს და ბოლოს, ასე ხომ საკმაოდ ნაკლები ფული გეხარჯება, როცა მე აქ ვარ და შენ კი დალასშიო. მაგრამ ლისათვის ახლა ფულს უკვე აღარ ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. მოსალოდნელი მარტოობის წარმოდგენამ ლი კიდევ უფრო გაანერვიულა. ადრე ეგონა, მარინა დაუთმობდა. ლის სიძუნწე მათი ხშირი განცალკევების უცვლელი მიზეზი გახლდათ.

ახლა ლი უკვე ნამდვილად ფეხქვეშ ეგებოდა ქალს, ცდილობდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, ცოლი დაებრუნებინა. ყველაფერზე ყაბულს იყო. სარეცხი მანქანის შეძენასაც შეჰპირდა, მაგრამ არაფერმა გაჭრა. ლი მიხვდა, — მარინა მხოლოდ თამაშობდა მასთან. ქალმა სარკასტულად მიახალა, — აქედან წაეთრიე და ეგ ფული საკუთარ თავს დაახარჯე. მე არა მჭირდება შენი დიდსულოვნება, თავშესაფარი რუთისთან ვპოვე და როგორმე გავძლებ უშენოდ.

სავსებით შესაძლებელია, ოსვალდის საბოლოო გარდატეხა სწორედ ამ პასუხს მოჰყვა. მას უკვე აღარაფერი დარჩენოდა, თვით სიამაყეც კი. მარინას გადმოცემით, „ლი გაჩუმდა, ტელევიზორს

მიუჯდა, მერე კი ასევე უჩუმრად დასაძინებლად წავიდა". მათ საბოლოო განხეთქილებასა და საწოლ ოთახში ნაადრევად შესვლას შორის დაახლოებით ორი საათი გავიდა.

ირვინგში წყვდიადი ჩამოწვა. ამ ქალაქიდან ორას ორმოცი მილით დაშორებულ ჰიუსტონში სასტუმროს ერთ-ერთ ნომერში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი უხეშად ელაპარაკებოდა ვიცე-პრეზიდენტს. წელში მოხრილი ოსვალდი კი ჩაბნელებულ ოთახში იჯდა. საკუთარი შვილების მოვლით გართულ დედებს მისთვის არ ეცალათ. თუმცა მარინამ ერთხელ მაინც შეიხედა ოთახში, სადაც ტელევიზორ „ზენიტის" ეკრანს მიშტერებული ლი დაინახა. ტელევიზორში მეორე მსოფლიო ომის ბრძოლების ამსახველ ძველ ფილმს უჩვენებდნენ. ქალს თითქოს მოეჩვენა კიდეც, რომ ლი დაძაბული შეპყურებდა „ზენიტის" მოლიცლიცე ეკრანს. სინამდვილეში ოსვალდი თითქმის გიჟად იყო.

სიგიჟე ვირუსი არ არის, ივი უეცრად არ აზიანებს ადამიანს. ლი ოსვალდის ავადმყოფობა მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე ღვივდებოდა. ამ სიცოცხლეს კი ყველაზე დიდი კვალი მარინასა და რუთზე მეტად მისმა ღედამ დააჩინა. ისინი უკვე არანორმალურ ადამიანს შესვდნენ შესაძლებელია, შექმნილმა ვითარებამ ხელი შეუწყო ამ აფეთქებას, მაგრამ რომელიმე მათგანისათვის ამაზე პასუხისმგებლობის დაკისრება უმართებლო და არასწორი იქნებოდა.

მაგრამ 21 ნოემბერს ცოლთან უკანასკნელი შეჯახების შედეგად გაბოროტებულმა შეძრწუნებამ, შესაძლოა, მართლა ითამაშა მთავარი როლი. მისი გონების სრული დაბნელება, ალბათ, საღამოს ცხრა საათისათვის ბოლდა. იმის შემდეგ, როცა ჟაკლინ კენედიმ ჰიუსტონში ესპანურად წარმოთქვა თავისი მოკლე სიტყვა და პრეზიდენტთან ერთად კონგრესმენ ალბერტ ტომასის პატივსაცემად გამართულ სადილზე დასასწრებლად წავიდა. ეს დრო ზუსტად არის დადგენილი მარინასა და რუთის მიერ. ცხრა საათზე მარინამ საწოლ ოთახში შემოსული ქმარი დაინახა. ლიმ კარი მოხურა. რუთიმ ჯერ ბავშვები დააძინა, მერე კი ბავშვებისათვის სათამაშო კუბურების ლაქით შესალებად გარაჟში შევიდა. ქალს გარაჟში სინათლე ანთებული დაუხვდა. რუთი მიხვდა, რომ გარაჟში ლი იყო ნაბოროფი. მარინა ბავშვებს არ მოშორებია და თანაც იგი ყოველ-

თვის აქრობდა ხოლმე სინათლეს. ღის ჩვეული დაუდევრობისათვის ბუნებრივი იყო სინათლის გამოურთველობა. ოსვალდს კი გარაჟში მხოლოდ ერთი მიზეზი — შაშხანისათვის შეეძლო შესვლა.

ახლა მხოლოდ ვარაუდები შეგვეძლია გამოვიქვათ — ღამ შაშხანა ყავისფერ ქაღალდის ტომარაში ჩადო და საწოლ ოთახში შეიტანა, თუ იქვე გარაჟში ღატოვა.

მეორე ვარიანტი უფრო შესაძლებლად მეგვაჩნია. შაშხანის საწოლში შემოტანით იქძნებოდა საბიშროება. რომ შაშხანას საბრძოლ ძარინა წააწყდებოდა — ერთადერთი ადამიანი ქვეყანაზე, ვინაც სწორად შეეძლო საწოლში შაშხანის დამალვის ნამდვილი მიზეზის გამოცნობა. უფრო მეტიც, მას ფეხიც კი შეეძლო შაშხანისათვის წამოეკრა, თუ იგი ღამით ატირებულ ჩვილთან მივიდოდა, რომლის საწოლიც მისგან რამდენიმე ფუტის დაშორებით იდგა. გარაჟში დატოვებულ შაშხანას კი დილითაც ადვილად გამოიტანდა.

საწოლი ოთახის პატარა ფანჯრების იქით კი ისევ ქინქლავდა. ამოქრილი ქარი ყრუდ ეხლებოდა საფოსტო ყუთებს, მავთულებს, მქიდროდ დაუხურავ ჩარჩოებს, შრიალით ფანტავდა აუკრეფავ ნაგავს, ხრიალებდა წყალსადინარებში. დადგა ხუთშაბათი, თუმცა ჯერ ისევ ღამე იყო.

მეორე თავი

პრეზიდენტის ავტომანქანა ss 100 ✠

ოცდაორ ნოემბერს დილით, ჯერ კიდევ გათენებამდე ორი საათით ადრე, ფორტ-უორტის სასტუმრო „ტეხასის“ წინ, ავტომანქანების გაჩერებასთან პრეზიდენტის თაყვანისმცემლებმა იწყეს დენა. პატარ-პატარა ჯგუფებად შეყრილნი, მთქნარებითა და პაპიროსის წევით ამოდიოდნენ კომერს-სტრიტზე და მაღაზიების ულანათო ვიტრინების წინ ჩერდებოდნენ. კვლავ მაგრად წვიმდა. ამ ადამიანებმა დაბეჯითებით ისიც არ იცოდნენ, ნამდვილად გამოვიდოდა თუ არა პრეზიდენტი. თავისთავად ეს გამოსვლა ჩაფიქრებული იყო, როგორც დათმობა იარბოროს მომხრეებისადმი და კენედის რეპუტაცია, როგორც ამტანი კაცისა, გახლდათ მისი მომხიბვლე-

ლობის ერთ-ერთი ელემენტი. ამ თავსხმაში ბოლოს იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, გეგონებოდათ პარადი იწყებაო. ალაგ-ალაგ პირშშვენიერი მდივანი გოგონების ჭოლგებიც ელავდნენ. მაგრამ მოსულთა უმრავლესობას, რასაკვირველია, უხეშ ფეხსაცმელებსა და ლაბადებში გაბვეული პროფკავშირის წევრი მამაკაცები წარმოადგენდნენ. შეკრებილნი მეგობრულად უთათუნებდნენ მხრებზე ერთმანეთს და გულთბილი შეძახილებით ხვდებოდნენ ყვითელ საწვიმრებში გახვეულ მეთვალყურე ცხენოსან პოლიციელებს. თან ყელწაწვდილი ათვალიერებდნენ, იქნებ, ლეგენდარული საიდუმლო სამსახურის რომელიმე აგენტს მოვკრათ თვალიო.

გათენებისას ხუთი ათასზე მეტმა ადამიანმა მიაპყრო მზერა ყავისფერი ავურით ნაგებ სასტუმროს სტანდარტულ ფასადს. დროდადრო ერთსულოვანი მისალმებებიც გაისმოდა.

პრეზიდენტის შოფრები ბილ გრირი და ჰენრი რიბკა სასტუმროდან გამოვიდნენ. მათ ფორტ-უორტის პოლიციის გარაჟიდან კენედისა და საიდუმლო სამსახურის მანქანები უნდა გამოეყვანათ. ამუშავდა კენედის ნომრის ქვემო სართულზე მოთავსებული კავშირგაბმულობის კვანძი. პოლკოვნიკმა სუინდალმა კარსუელიდან აცნობათ: თვითმფრინავი მზად იყო გაფრენისათვის. სიგნალების რეკვამ ტელეტაიპიც გამოაცოცხლა. ისინი ყოველდღიურად აწვდიდნენ პრეზიდენტს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მოკლე ცნობას. ახლაც, კავშირგაბმულობის ოცეულის მორიგემ ეს ცნობა ორმაგ კონვერტში ჩადო, დაბეჭდა და გენერალ გოდფრი მაკჰიუს გადასცა. გენერალმა პაკეტის მიღებას ხელი მოაწერა, კიბის საფეხურებს აუყვა და სასტუმროს 850 ნომრის კართან მოკრძალებით შედგა. მას ერთხელ კიდევ უნდა მოეწერა ხელი, აღენიშნა საიდუმლო ცნობის გადაცემის ზუსტი დრო. გოდფრი სიზუსტის მოყვარული კაცი გახლდათ.

ეს ადამიანები ტექნიკურ პერსონალს ეკუთვნოდნენ. თეორიულად ისინი ზუსტად ისევე იმოქმედებდნენ, რომ პრეზიდენტი ვთქვათ. გვარად ბერტ ლარი ყოფილიყო. პრაქტიკულად კი, როგორც ამაში ზოგიერთი მათგანი იმ დღეს დარწმუნდა, მათი ლოიალობა 850 ნომერში მყოფი კაცისადმი განსაცვიფრებლად პირადული გამოდგა და სხვა ვინმეზე არ შეიძლებოდა გავრცელებულიყო. ოფიციალურად, მათი მოვალეობა ერცელდებოდა პრეზიდენტის

ძალაუფლებაზე ანუ პრეზიდენტის პოსტზე მყოფ რომელიც გვეგ-ბავთ პიროვნებაზე. პოლიტიკოსები კი სულ სხვა ყაიდის ხალხი იყო. მათი ლოიალობა მთლიანად პირადულ ხასიათს ატარებდა. საერთოდაც პოლიტიკოსები უფრო საინტერესო, უფრო გულზიანი ხალხი გახლავთ. ვიდრე ტექნიკური პერსონალი. პოლიტიკოსები, ცოტა არ იყოს, ალმაცერად უცქერდნენ საათის მექანიზმის სიზუსტით გაანგარიშებულ პროცედურებს. თუმცა მათაც უხდებოდ ამ დაძაბული გრაფიკის დამორჩილება. ავტომანქანათა სადგომის მხრიდან მოღწეული სმაურის გაგონებაზე უეცრად შეფუცხუნენ. თავშეყრილ ამომრჩეველთა დანახვისთანავე დააკიწყდათ გუშინდელი დაღლა და მზად იყვნენ მოგზაურობა განეგრძოთ.

კენედისა და მის ამალას დღეს უკიდურესი მოქნილობა უნდა გამოეჩინა. წვერის პარსვისას კენ ო'დონელმაც სწორედ დღევანდელ მარშრუტს შეავლო თვალი. მოსალოდნელი იყო, რომ დღეს პირველს მას იხმობდა პრეზიდენტი. წინ იდგა დაბრკოლებებით სავსე კიდევ ერთი გარბენა: ორი სიტყვის წარმოთქმა აქ; ჩაფრენა დალასში; გრძელი გზა სავაჭრო ცენტრამდე; კიდევ ერთი სიტყვა ბერგსტრომის სამხედრო-საჰაერო ბაზაში ჩაფრენა, სადაც ტეხასის უნივერსიტეტის „გრძელრქებიანთა“ ფეხბურთის გუნდის კაპიტანს კენედისათვის ავტოგრაფებიანი ბურთი უნდა გადაეცა; მანქანებით მგზავრობა ქალაქზე გავლით; რამდენიმე მიღება; თანხის შესაგროვებლად ოსტინში გამართულ ბანკეტზე გამოსათხოვარი სიტყვის წარმოთქმა; კიდევ ერთი უკანასკნელი კორტეჟი და ვერტმფრენით ლინდონ ჯონსონის რანჩოში ჩაფრენა. დიახ, ყველაფერი ეს ს ჯ-მარისი გახლდათ პრეზიდენტის რომელიც გნებავთ თანაშემწის წესაშფოთებლად, ვისაც ამ მოგზაურობათა პასუხისმგებლობა ეკისრებოდა. მაგრამ ო'დონელს ჯერ კიდევ ბოლომდე არ დაეცალა თავისი მწარე ფიალა. მის წინ იდგა ყველა პოლიტიკოსისათვის მეტად უსიამო პრობლემა — არახელსაყრელი ამინდი.

განა ყველა ტეხასელი დაბლა, სკვერში მომლოდინე მუშა ხალხივით იყო გაკაჟებული: თუ ზეცა მართლა განრისხდებოდა, ხალხს დღევანდელ თავყრილობებს შეთხელება ელოდა. პრეზიდენტის მანქანის საკითხიც მოსაგვარებელი შეიქნებოდა, თუ დალასში გაწვიმდებოდა. პრეზიდენტის ღია მანქანაზე საფარის გადაჭიმვა კი დროს ითხოვდა. მაგრამ მერე რომ გამოიდაროს? მისი ნახვის მომლოდ-

ნე ხალხისათვის იგი დახურულ მანქანაში თითქმის უხილავი აღ-
მოჩნდებოდა. ო'დონელმა ცერად გახედა მეინქლავ, მოთმინები-
დან გამომყვან წვიმას. არავინ იცოდა, როდის გადაიღებდა.

მეორე გარეულება თვითონ ქაკლინი გახლდათ. პრეზიდენტი
რომ მარტო ყოფილიყო, გზაზე ამოდარღნილ გრიგალსაც მშვიდად
აიტანდა. მაგრამ მისი გუშინდელი შეშფოთება მოწმობდა, რომ იგი
წინააღმდეგი იქნებოდა მისი ცოლის წვიმაში დასველებისა. ქაკლი-
ნი არც ტექნიკურ პერსონალს ეკუთვნოდა და არც პოლიტიკოსებს.
იგი გუნდის უჩვეულო წევრი გახლდათ, მექანიზმის ახალი ხრახნი
და ყველა მასთან შეგუებასა და შეწყობას ცდილობდა. მით უფრო,
რომ ქალი აშკარად იმსახურებდა ამ პატივისცემას. ქაკლინის ყოფ-
ნამ სან-ანტონიოსა და ჰიუსტონში ყველა დაარწმუნა, რომ მო-
მავალ არჩევნებში იგი ლდიდეს მიმზიდველ ძალად გადაიქცე-
ოდა.

ცოლ-ქმარი კონელები ხალხით ამოშუშებულ სკვერს მეექვსე
სართულიდან ღასცქეროდნენ და ქაკლინზე მუსაიფობდნენ. ნელის
აზრით, ქაკლინი პირველად მეტისმეტად თავდაჭერილი ჩანდა, მაგ-
რამ საღამო ხანს საკმაოდ გამხიარულდა. — შენიშნა ჯონმა. იმაზე
კი, რომ ამ ქალს თავისი გამოჩენით ყველგან საზეიმო განწყობი-
ლება შეჰქონდა — ორთავეს ერთი აზრი ჰქონდათ.

პრეზიდენტის გარემომცველ ადამიანთა საფიქრალი კვლავ
„დიდ დ."-ს უტრიალებდა ჯონსონების ჰოლის მახლობლად 1302
ხომერში მყოფი ტაიგერ ტიგი თავის კოლეგებს ტელეფონით ესა-
უბრებოდა და მდგომარეობას აზუსტებდა: მას ეშინოდა დალასისა.
რი კელერმანმა ლავ ფილდის აეროდრომში დარეკა და აგენტ ლო-
უსონს ჰკითხა:

— როგორ არის ჩვენი საქმეები დალასში? რიგზეა ყველაფერი?

— დიახ, რა თქმა უნდა, — დაარწმუნა ლოუსონმა, — პროგრა-
მა კარგია.

რუფუს იანგბლადმა კი მეორე აგენტს ჰკითხა:

— დაცვის შემამოწმებელ განყოფილებიდან ახალი ხომ არა-
ფერია? — რა თქმა უნდა, იგელისხმებოდა ცნობები დალასი-
დან.

ლოუსონის მოთხოვნით საიდუმლო სამსახურის დაცვის ერთ-
ერთმა განყოფილებამ 8 ნოემბერს ქალაქი შეამოწმა. დიახ, ქალაქი

დალასი, სადაც ერთი თვის წინ თავს დაესხნენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში შეერთებული შტატების წარმომადგენელ ედლაი სტივენსონს. აგენტმა ახალი ვერაფერი უთხრა. მან მხოლოდ ეხმოდ გადასცა მეთოთხმეტე გვერდზე გადაშლილი, პარასკევს დილით გამოსული, დალასის გაზეთ „მორნინგ ნიუსის“ ნომერი.

სიკვდილის მაუწყებელი ცნობის მსგავსად, მთელი გვერდი შავ ჩარჩოში მოთავსებულ განცხადებას ეკერა. „ბატონო კენედი, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება დალასში“. ამ სარდონიკული სათაურის ქვემოთ დაბეჭდილ წერილში იმ ორგანიზაციის წევრები თავიანთ თავს „ამერიკულ საგამომძიებლო კომიტეტს“ რომ უწოდებდნენ პრეზიდენტს თორმეტი რიტორიკული კითხვით მიმართავდნენ (როგორც შემდეგ გამოირკვა მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ჯონ ბერჩის საზოგადოების ადგილობრივი კოორდინატორი და ნელსონ ჰანტი, მილიარდერ ჰ. ჰანტის ვაჟი). პრეზიდენტს მიაწერდნენ „ათასობით კუბელის“ ციხეში ჩაგდებას, მათ წამებასა და დევნას. პრეზიდენტს ბრალად ედებოდა ვიეტნამში ამერიკელი ჯარისკაცების მკვლელ კომუნისტ ჯარისკაცებისათვის სურსათ-სანოვაგის მიყიდვა. აშკარად გადაჰკრავდნენ იმაზედაც, რომ მან ფარული შეთანხმება დაუდო აშშ-ის კომუნისტურ პარტიას. სხვა კითხვათა შორის იყო ასეთიც:

„რატომ უბრძანეთ თუ ნება დართეთ თქვენს ძმას, იუსტიციის მინისტრ ბობი კენედის, ლმობიერად ექცეოდეს ამერიკაში მცხოვრებ კომუნისტებს, მათ თანამზრახველებსა და ულტრამემარცხეხეებს, მაშინ, როცა თქვენის ნებართვით იგი დევნის პირადად თქვენი, თქვენი მთავრობის, თქვენი ხელმძღვანელობის გამაკრიტიკებელ ლოიალ ამერიკელებს?“

ეს გახლდათ განმეორება ფურცლებისა — „იძებნება სახელმწიფო დამნაშავე“, თუმცა აქ იყო რაღაც ახალიც: ამჯერად თავდასხმებს აწყობდნენ ფართო აუდიტორიის წინაშე, პრეზიდენტის ჩაშოსვლამდე რამდენიმე საათით ადრე გამოსული გაზეთის საშუალებით.

„ბატონო კენედი, — ასკვნიდნენ დასასრულს, — მოვითხოვთ, დაუყოვნებლივ გვიპასუხოთ ამ კითხვებზე“.

• • •

თომას-პლეისის 2200 ნომერში მოთავსებულ თავის ულაზათო ოიხაში მარგარიტა ოსვალდი ტელევიზორის ეკრანის წინ დაჯდა და ყოველდღიურ ექვსსაათიან გართობა-მორიგეობას შეუდგა. როგორც ყოველთვის, ჯერ ენ-ბი-სი-ს გადაცემა „დღეს" მოისმინა, მერე 7 საათსა და 8 წუთზე. როცა წვიმით დასველებულ ფანჯრებში სინათლის პირველი სხივები შემოიჭრა ტელევიზორის პატარა ეკრანზე დალასის პოლიციის უფროსის ჯეს კარის გამოსახულება გამოჩნდა. კარმა ილაპარაკა მათ მიერ ჩატარებულ უსაფრთხოების რთულ ღონისძიებებზე. დასასრულს კი გამაფრთხილებლად დასძინა: იმათ მიმართ, ვინც პრეზიდენტის ვიზიტის გაუგებურებას შეეცდება, მაშინვე გადამჭრელ ზომებს მივიღებთო.

დალასის კათოლიკური ეკლესიის მღვდელ ოსკარ ჰიუბერს, ჩვეულებისაებრ, დილის ხუთ საათზე, თავის პატარა, სადად მოწყობილ ოთახში გაეღვიძა. იგი პარკლენდის ჰოსპიტლიდან სამი მილით დაშორებულ წმინდა სამების ეკლესიის მსახურთათვის განკუთვნილ სახლში ცხოვრობდა. დილის ლოცვის შემდეგ მღვდელი ყოველდღიურ სამრეველო საქმიანობას შეუდგა. ჰიუბერს კარგად ახსოვდა, რომ ეკლესიიდან სამი კვარტალის დაშორებით გაიკლიდა ◆ᲨᲨ-ის პირველი კათოლიკე პრეზიდენტი. მღვდელმა თავის კოლეგებს იქ წასვლა შესთავაზა, მაგრამ მათ ადგილზევე დარჩენა და ამ სანახაობის ტელევიზორით ყურება ჰქონდათ განწირახული.

— აბა მე წავალ. სამოცდაათი წლის კაცი ვარ და ჯერ პრეზიდენტი არასოდეს მინახავს,—დაბეჯითებით თქვა ჰიუბერმა.—ასეთა შესაძლებლობის ხელიდან გაშვება არ შეიძლება!

ოსტინში გამართულ სადილზე მიუპატიჟებლობის გამო თავს გახაწყენებულად გრძნობდა დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წევრი ბაირონ სკელტონი. თუმცა, როგორც პარ-

ტიის ლოიალურმა წევრმა მაინც იკიდა ლანგასტელ სადილზე დასასწრები ოქროს ასდოლარიანი ორი ბილეთი და თავის მეუღლე რუთთან ერთად აპირებდა იქ წასვლას. იმედოვნებდა, საპატიო მაგიდასთან დასვამდნენ. სკელტონს საქმეების მოსწრება სურდა და ძალიან ადრე გაეშურა თავის საოფიციალო კანტორაში. ქალაქის მთავარ ქუჩაზე მიდასვლისა ასალვანურდა პატრონს მოჰკრა თვალი, რომელსაც ხელში დალასის „მორნინგ ... ...“ ეჭირა და ვიტორინის შიგნიდან მოლიმარი სახით სკელტონს რაღაცას ანიშნებდა.

* * *

გაზეთ „მორნინგ ხიუსის“ გამომცემელის ვაჟი ჯო დილი ვერ იყო მაინცდამაინც კარგ გუნებაზე. იგი მაიამიდან წუხელ გვიან დაბრუნდა და როცა გამზადებული გაზეთი მეთოთხმეტე გვერდზე გადაშალა, იქვე გაშეშდა. ჩვეულებრივ, გაზეთს ან მას აძლევდნენ გასაცნობად ან არადა განცხადებათა განყოფილების გამგეს. ეს უკანასკნელიც გასული იყო ქალაქიდან და გაზეთი თვითონ ტედ დილის ნებართვით იბეჭდებოდა. ჯომ მაშინვე ნამას დაურეკა და თავისი შეხედულება გაუზიარა:

ისე გამოვიდა, „ეაცი სადილზე მიიწვიო და მერე პანდური ამოარტყა“

მაგრამ ტედი თავისას ამტკიცებდა. მე ყურადღებით წავიკითხე ეს განცხადება და იგი მხოლოდ ჩვენი მოწინავე წერილების განმეორებას წარმოადგენსო.

— საქმე ეს კი არ არის, — არ ეთანხმებოდა ეაეი. — უბრალოდ, შეუფერებელი მომენტია შერჩეული. — ჯოს ენანებოდა ახალგაზრდა კონსერვატიული პიზნესმენებისა და თვით მის მიერ ბოლო ხანებში დახარჯული დრო და მოწადინება „დიდი დ“-ს შერცხვენილი სახელის შესალამაზებლად. იმედგაცრუების მწარე გრძნობით მოშხამულმა ყურმილი დაკიდა. საქმეს შველა აღარ ეწყობოდა: გაზეთი უკვე იბეჭდებოდა.

საეაჭრო ცენტრის ზამთრის დახურულ ბაღში თითქმის ამთავრებდნენ პრეზიდენტის სამასპინძლო სუფრის გაწყობას. შენობის გარეთ მუშები ფლაგშტოკების აღმართვაზე მუშაობდნენ. ერთზე ვარსკვლავ-ზოლიანი დროშა უნდა დაემაგრებინათ, მეორეზე კი

ეხასის ერთვარსკვლავიანი დროშა იფრიალებდა. მუშებს მოპიკეტე ახალგაზრდების შეტევების მოგერიება უხდებოდათ და საქმის დამთავრება, ცოტა არ იყოს, გვიანდებოდა. კენედის საწინააღმდეგო დემონსტრაციების მონაწილეთ ხელში პლაკატები ეჭირათ: „იანკებო, წაეთრიეთ შინ!" და (წითელი ასოებით) „ჰაილ, კეისარო!".

როგორც მოსალოდნელი იყო, მოპიკეტეებს აღშფოთებული სახეები ჰქონდათ. ისინი დალასის თეთრი მოსახლეობის საბჭოს წევრები იყვნენ. ტუჩებზე სალბუნის ზოლები მიეკრათ, ესაო და შემოგვხედეთ. როგორ პირაკრულები ვართო. ამ დროისათვის სავაჭრო ცენტრში თეთრი სახლის სატელეფონო ხაზი ჩართეს და გვერდით სარწეველა-სავარძელი მიუდგეს ხელით ნაქარგი რბილი ბალიშებითურთ.

დილით, მარინა ოსვალდს მაღვიძარა საათის დარეკვამდე გაეღვიძა. ღამით ორჯერ დასჭირდა ჩვილთან მისვლა. ვიდრე საწოლის თავთან მდგარი ლი სამუშაო. პერანგსა და ნაცრისფერ შარვალს იცვამდა, ქალმა ბავშვს აჭამა. საუზმეს მე თვითონ მოვიმზადებო, — უთხრა ლიმ მარინას, რაც ალბათ, ცოლთან საუბრის გაბმის საბაბი იყო მხოლოდ, რადგან მარინა მისი გულისათვის არც არასოდეს დგებოდა. მერე დაპირებები აღუთქვა, რასაც მეტყვი, ყველაფერს შეგისრულებო. შეჰპირდა კაბას, პატარა ჯუნისათვის — ტუფლებს. მარინამ ხმა არ გასცა. ჩვილი საწოლში ჩააწვინა, თვითონაც ჩაწვა და ტკბილად ჩაიძინა. ლი მიხვდა, — მათ შორის უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო. მაგრამ, ეტყობა, სურდა ქალიც მიხვდარიყო ამას. თითიდან ნიშნობის ბეჭედი წაიძრო და მარინას ბებიის ნაქონ ფაიფურის პატარა თასში ჩადო. ლიმ სიტყვაც არ გასტეხა. რა თქმა უნდა. თავისი ჯიბის სისქის შესაბამისად. დადგა დღე. როცა ამ ბედუკულმართ კაცს უნდა დაემტკიცებინა, რომ მასაც შეუძლია რაღაც მოიმოქმედოს, რომ იგი მამაკაცია და სიძულვილს არ იმსახურებს. საწოლ ოთახში 187 დოლარი დატოვა, თვითონ მხოლოდ 15 დოლარი და 10 ცენტი დაიტოვა.

მას უკვე ალარა სჭირდებოდა ფული.

სამზარეულოში ლიმ ერთი ფინჯანი ყავა ღალა. ბევიფერ ქალალდში გახვეული სტერეოსამიზნიანი შაშხანა აიღო და ქუჩაში გავიდა. დასავლეთის მიმართულებით ნახევარი კვარტალი გაიარა, კუთხეში მდგარი სახლის სამზარეულოს ფანჯარაში თავისი შემელოტებული თავი შეჰყო და შიგ შეიყიტა. სწორედ იქ საუზმობდა, თავის დასთან მცხოვრები, უესლი ფრეზიერი. უესლის დედას ოსვალდი არასოდეს ენახა და შვილს გაკვირვებით ჰკითხა:

— ვინ არის ეს კაცი?

— ეს ლიმ მომაკითხა, წასვლის დროა. ალბ თ

ფრეზიერმა ყბილები სასწრაფოდ გამოიწმინდა. პალტო ჩაიცვა და ქუჩაში გამოვიდა. მას ჩვეულებად ჰქონდა საჭესთან დაჯდომისას უკან უნდა მოეხედა. ჰოდა აი. უკანა საჯდომზე უცნაურ პაკეტს მოჰკრა თვალი.

— ლი, რა გაქვთ იმ პაკეტში?

— ფარდების კარნიზებია, — მოკლედ მიუგო ოსვალდმა.

— ჰო. მართლა, აკი მითხარი. უნდა წამოვიღოო. საუზმე საღლა გაქვს?

— ვიყიდი რამე საუმელს. — უპასუხა ოსვალდმა.

ფრეზიერმა მანქანა ჩართო და სიჩქარე გადაიყვანა.

ძველი „შევროლეს“ დამტვერილი შუშები წვრილმა წვიმამ ერთიანად გადათხუნა.

— ან ხეირიანი წვიმა მოვიდეს ან სულაც გამოიდაროს. — ბაღიზიანებულად ჩაიბურტყუნა ფრეზიერმა. წუთიც და შუშებზე წვიმის მსხვილი წვეთები ახმაურდა. ფრეზიერი ყურადღებით მისჩერებოდა გზას. უკვე რვის თხუთმეტი წუთი იყო. რვა საათზე კი წიგნების საწყობში უნდა ყოფილიყვნენ.

ფორტ-უორტის სასტუმრო „ტეხასის“ 850 ნომერში დილის 3 საათსა და 30 წუთზე აუჩქარებლად შევიდა მთავრობის მეთაურის კამერდინერი და საწოლი ოთახის კარზე დააკაკუნა.

— ბატონო პრეზიდენტო, — ჩუმად წარმოთქვა ჯორჯმა.

კენედი საბნის ქვეშ შეირხა და ჯორჯი ოთახში შევიდა.

— გარეთ წვიმს, — წაილუღლუღა მან.

— ო, ეს ცუდია, — თქვა ნამძინარევმა კენედიმ. წამით ჩაფიქრდა და მძიმედ ამოიხვნეშა.

კენედი ჯერ ისევ იცვამდა, დაბლა, მანქანების სადგომს რომ

გახედა, მაგრამ მისი ოთახიდან არაფერი ჩანდა და სასწრაფოდ ჟაკლინის ოთახში შევიდა.

ღმერთო ჩემო, რა ზღვა ხალხს მოუყრია თავი, — წამოიძახა ფანჯარასთან მისულმა პრეზიდენტმა. — აბა გახედე! მართლაც, განსაცვიფრებელი ამბავია!

პრეზიდენტი ჟაკლინს მიუბრუნდა, ცოტა ხნის შემდეგ შეგხვდებიო, აღელვებით წაულაპარაკა და თავის ოთახს მიაშურა. პრეზიდენტს მსუბუქი საუზმე მიართვეს. ის იყო ფინჯანი ყავა გადაჰკრა და ნახევარი ფუნთუშაც მიაყოლა, რომ ოთახში დეივ პაუერსი შემოვიდა. პრეზიდენტი მოსულს მხიარულად მიესალმა.

— შენ ნახე სან-ანტონიოსა და ჰიუსტონში მისასალმებლად გამოსული ხალხი?

დასტურის ნიშნად დეივმა თავი დაუქნია.

— ეს მართლაც გასაოცარი რამ იყო! — შენ მართალი იყავ: ჟაკლინი ძალიან მოეწონათ.

პრეზიდენტი წვიმას უკვე აღარ დაეძებდა, ერთი სული ჰქონდა ძირს ჩასვლამდე. მაგრამ ვაი, რომ იგი ხშირად ვერ ახერხებდა თავისი სურვილების განხორციელებას. მისი თავსამკაულები — მთავრობისა და სახელმწიფოს მეთაურის ცილინდრი, მთავარსარდლის ქუდი და პოლიტიკური ლიდერის ქვაბ-ქუდა — გამუდმებით ახსენებდნენ მის მოვალეობებს. ნომერში გენერალი გოდფრი მაკჰიუ შეძოვიდა. პრეზიდენტი ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს პატაკს უნდა გასცნობოდა. კენედიმ სათვალე გაიკეთა და სწრაფად გადაავლო თვალი საიგონის, კვიპროსისა და კორეის ამბებს. მისივე მითითებთ ცნობაში შეიტანეს ციფრები ვიეტნამში დანაკარგების ოდენობისა და საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ხელმძღვანელ პირთა განცხადებების ზუსტი ანგარიში. როგორც ჯორჯ ვაშინგტონი ამბობდა, „ინფორმაციისაგან იზოლაცია“ წარმოადგენდა სახელმწიფოს მეთაურის ერთ-ერთ ძირითად პრობლემას. პრესაზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა. კენედი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდა, რომ სახელმწიფოს მეთაურთა გამონათქვამები პრესაში ხშირად არასწორად იყო ციტირებული.

მიუხედავად ამისა, პრესა მაინც სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა. მას „რამდენადმე უფრო დიდი“ აუდიტორია ჰყავდა. ვიდრე ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცნობებს.

თანაც პრეზიდენტს უნდა სცოდნოდა, რას კითხულობდა მისი ხალხი. ეიზენჰაუერისაგან განსხვავებით, რომელიც არავითარ ყურადღებას არ აქცევდა პრესას, კენედი ყოველ დილით ათვალიერებდა დედაქალაქების დღის მთავარ გაზეთებს. იგი აწყობდა ერთგვარ პოლიტიკურ მოგზაურობას. დღეს კი, ბუნებრივია, საკუთარ სახელთან დაკავშირებული პირველ გამოხმაურებათა გაცნობა აინტერესებდა. ამ ცნობებმა პრეზიდენტს გუნება გაუფუჭა. კონელისა და იარბოროს შორის არსებული კონფლიქტი ღამის განმავლობაში უდიდეს შინაპოლიტიკურ სენსაციად ქცეულიყო. ტეხასის გაზეთები მას განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ. ამ კამპანიის მეთაურ დალასის „მორნინგ ნიუსს“ პირველივე გვერდზე მოეთავსებინა ორი მეტად ცხარე სტატია: „კენედის ვიზიტთან დაკავშირებული მძაფრი პოლიტიკური შეჯახებანი“ და „იარბოროომ ხმა ჩაუწყვიტა ლინდონ ჯონსონს“. გაზეთის შიდა გვერდზე კი ასეთივ სტატიაც იყო დაბეჭდილი: „პრეზიდენტის ვიზიტმა გააძლიერა განხეთქილება ტეხასის დემოკრატიული პარტიის შიგნით“.

კენედიმ გაბრაზებით მოისროლა გაზეთი, ისე რომ, მომდევნო გვერდზე დაბეჭდილი პროვოკაციული განცხადება არ შეუნიშნავს (მას არც ის სტატია წაუკითხავს, რომლითაც ხალხს ატყობინებდნენ, დალასში „კორტეჟი ნელა გაივლის, რათა ადამიანებმა, როგორც საჭიროა, ისე დაინახონ პრეზიდენტი და მისი მეუღლეო“).. თავდასხმებმა სერიოზული ხასიათი მიიღეს. კენედიმ ყურმილს სტაცა ხელი და ო'დონელს დაურეკა: სენატორი იარბორო ვიცე-პრეზიდენტის მანქანაში ჩაჯდეს — არავითარი მომიზეზება და თავის მართლება არ გავიგონო. იქნებ, სენატორი უფრო დაზარალებულიც კია, ვიდრე დამნაშავე, მაგრამ ყოველივე ამას საზღვარი უნდა დაედოს. არსებობს მოგზაურობის ჩაშლის საშიშროება. კენ ო'დონელმა და ლერი ო'ბრაიენმა იარბორო არჩევანის წინაშე უნდა დააყენონ: ან დღეს ჯონსონთან ერთად წამოვიდეს მანქანით ან არა და გზას ფეხით დაადგეს.

სასტუმროს ჰოლში კენედის თანამგზავრებს მოეყარათ თავი. პრეზიდენტს დაბლა დაუხვდნენ ლინდონ ჯონსონი, ჯონ კონელი, რალფ იარბორო, რამდენიმე კონგრესმენი და ფორტ-უორტის სავაჭრო პალატის პრეზიდენტი რაიმონდ ბაკი. ყველანი ქუჩაში გავიდნენ. კვლავ ეინეღლავდა. ბილ გრირმა პრეზიდენტს ლაბადა

გაუწოდა, კენედიმ უარის ნიშნად თავი გააქნია და ზეიმური გამოშეტყველებით ღია საბარგო მანქანაზე ავიდა, მაგრამ ირგვლივ ყველა როდი იყო ასეთი ენთუზიაზმით აღვსილი. ჟურნალ „ტაიმის“ კორესპონდენტი ჰიუ საიდი გააკვირვა ვიცე-პრეზიდენტის პირქუშმა გამომეტყველამ. საიდიმ მისალმებისას დილა მშვიდობა უსურვა ჯონსონს, ვიცე-პრეზიდენტმა კი პასუხად რაღაც უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა.

— ფორტ-უორტში არ არიან სულით ძაბუნი ადამიანები! — ჩასძახა კენედიმ მიკროფონში. იგრიალა აპლოდისმენტებმა.

— სად არის ჯეკი? — წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

კენედიმ მერვე სართულის ფანჯრისკენ გაიშვირა ხელი.

— მისის კენედი საკუთარი თავის „ორგანიზაციითაა“ გართული, — ღიმილით წარმოთქვა მან. — მართალია, ამისათვის მას ცოტა მეტი დრო სჭირდება, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენზე კარგად გამოიყურება.

ლერი და კენი პრეზიდენტის გამოსვლის საცქერლად ექიმი ბერკლის ოთახში შევიდნენ. ორივე დაღვრემილი ჩანდა. მათ უკვე ბიეტანათ პირველი იერიში იარბოროზე. სენატორი ირწმუნებოდა, ჩემი საქციელი გავლენას არ მოახდენს პრეზიდენტის მოგზაურობაზეო, პრეზიდენტის პოპულარობის დამაჯერებელი საბუთი მრავალათასიანი მასების პრეზიდენტთან ახლოს ყოფნის სურვილიაო. მაგრამ გამოქექილმა პოლიტიკოსებმა იცოდნენ, რომ მათი ბოსი ამ სიტყვებით არ გაბრიყვდებოდა. ვიდრე პრეზიდენტი ფორტ-უორტის წარმოებათა, კერძოდ, გამანადგურებელი თვითმფრინავების შემქმნელთ ქება-დიდებით იხსენიებდა, ლერი ო'ბრაიენი და კენ ო'დონელი შორს, ჰორიზონტზე მცურავ ღრუბლების შავ ნაფლეთებს შეჰყურებდნენ და ღმერთს გამოდარებას ევედრებოდნენ.

სარკის წინ მდგარი ჟაკლინი საკუთარი თავის „ორგანიზაციას“ აბთავრებდა და თან რადიოთი ქმრის სიტყვას ისმენდა. ჟაკლინს უხაროდა, რომ წვიმდა. იმედოვნებდა, ახლა მაინც გადახურავენ მანქანასო. წუხდა, თმის ვარცხნილობა დამეშლებაო. თავისი დაღლილი შესახედაობაც აწუხებდა, სარკეს მიაშტერდა და თითქოს ამოიკვნესაო:

— ო, ღმერთო, პოლიტიკურ კამპანიაში ერთი დღის მონაწილეობამ ადამიანი შეიძლება ოცდაათი წლით დააბეროს!

წვიმა თითქოს შეწყდა, როცა უესლი ფრეზიერის მანქანამ დიდი დალასის გარეუბანს მიაღწია. მანქანის სადგომზე დაყენებამდე უესლიმ შუშის საწმენდი ჯაგრისები აამუშავა და ფირმა „ჰერაცის“ სარეკლამო ფარზე მოთავსებულ საათს გახედა. დროზე მოსულიყვნენ. ოსვალდმა თავისი პაკეტი აიღო და მანქანიდან სწრაფად გადმოვიდა. მას ფრეზიერიც მიჰყვა, მაგრამ როგორც ახალგაზრდებს სჩვევიათ ხოლმე, უესლის ყურადღება რკინიგზის ლიანდაგებმა და ირგვლივ მქროლავმა ავტომანქანებმა მიიპყრეს. საწყობთან მისულ ფრეზიერს ოსვალდი უკვე შენობაში დაუხვდა.

ოსვალდის საქმიანობას მომდევნო რამდენიმე წუთის მანძილზე მხოლოდ სხვათა ჩვენებების მიხედვით თუ ვიეარაუდებთ. სახელმძღვანელოების საწყობის დირექტორის ტრულის მოგონების თანახმად ოსვალდი შესასვლელთან შეხვედრია და მისალმებია:

— დილა მშვიდობისა, ლი.

— დილა მშვიდობისა, სერ, — ჩვეულებისამებრ უპასუხია ოსვალდს.

მაგრამ ტრულის მოგონებანი ბუნდოვანია და პაკეტზეც არაფერი ახსოვს.

შაშხანის დამალვაში, როგორც ეს არაერთხელ მომხდარა, ლის ბრმა შემთხვევა დაეხმარა. საწყობის ძველი იატაკი ლაქებით ყოფილა მოსვრილი. ტრულს შეუმჩნევია, რომ იქ შენახული წიგნები ისვრებოდა და იატაკზე ფანერის დაფენა უბრძანებია. ჯერ იატაკის ერთი ნახევარი უნდა მოფენილიყო, მერე — მეორე. ამ სამუშაოს შესასრულებლად საჭირო გახდა წიგნებით სავსე მუყაოს ყუთების გადატანა საწყობის უკანა მხრიდან წინა ნაწილში. მუშებმა ყუთები ერთმანეთზე ორმწკრივად შეაწყვეს. ამრიგად, სამხრეთი მხარე, რომლის მახლობლადაც კორტეჟს უნდა გაევლო, მუყაოს ყუთებითა და წიგნების საზიდი ურიკებით გაიჭედა. იქ დამალვა ძალიან ადვილი საქმე შეიქნა. სწორედ აქ, სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხეში ოსვალდმა ყუთებისაგან მოაწყო თავისი სნაიპერული საფარი. აქედან უნდა დაენახა პირდაპირ მისკენ მომავალი პრეზიდენტის მანქანა. დიახ, ეს შტაბელებად დაწყობილი წიგნები იფარავდა მას საწყობის მოპირდაპირე მხარეს მდებარე დალ-ტექ-

სის შენობაში მყოფ ადამიანთა თვალისაგან. ზოგიერთი ყუთი კი დამიზნების დროს საყრდნობადაც გამოიყენა.

ულაზათო იყო ოსვალდის თავშესაფარი: ძველი იატაკი აქ განსაკუთრებით მოთხვრილი ჩანდა. თეთრი ქვით ნაგებ ალაგ-ალაგ ჩამომტვრეულ კედლებს მტვრის სქელი ფენა დასდებოდა. შიგ ყოველთვის ბნელოდა. მაშინაც კი, როცა ფანჯარა ღია იყო. 60-უატიანი ნათურები რაღაც უსიამო შუქსა ჰფენდნენ ამ ახორხლილ, უზარმაზარ ნივთებს. მაგრამ ოსვალდისათვის ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. შენობაში მჯდარ ლის გარეთ, მანქანაში მყოფი ობიექტისათვის უნდა ესროლა და არა პირიქით. მის შაშხანას ელმ-სტრიტზე მარჯვენა მხარეს მომავალი ფიგურა უხდა ამოეღო მიზანში. იმ დროისათვის კი იქ შუადღის ჩახჩახა სინათლე იქნებოდა.

ჰიუსტონ სტრიტის პირდაპირ მდგარ დალ-ტექსის შენობის შეოთხე სართულზე, თავისი მზა ტანსაცმელის მაღაზიის კანტორაში, ეიბრაჰემ ზაპრუდერი შეეიდა.

— მზემ გამოანათა! — ჩურჩულით უთხრა მან მდივან ქალს თავისი უზადო იდიშით.

— სად არის თქვენი კინოკამერა? — მკაცრი ხმით ჰკითხა ქალმა.

— შინ, — მოკრძალებულად მიუგო ეიბმა.

ისინი კარგი მეგობრები იყვნენ და ხშირად უყვარდათ ასეთი სცენების გათამაშება, ვითომდა ქალი თავის უფროსს მბრძანებლობდა.

— მისტერ ზაპრუდერ, თქვენ ახლავე გაბრუნდებით შინ, არა შგონი, ხშირად გიხდებოდეთ პრეზიდენტისათვის ფერადი ფილმების გადაღება.

ზაპრუდერმა თავისი პეპელა-ჰალსტუხი შეისწორა და როგორღაც უღიმღამოდ შეეპასუხა:

— მე მეტად ტანდაბალი კაცი ვარ და, ალბათ, ახლოს მისვლასაც ვერ მოვახერხებ.

— ქვემოთ არ იქნება იმდენი ხალხი, — უმტკიცებდა ქალი და როცა ყოყმანი შეატყო, უფრო მტკიცე ხმით უთხრა: — აჩქარდით, ამის მოსწრება ოც წუთშიაც შეიძლება.

„მართლაც არ არის ურიგო იდეა", — გაიფიქრა ზაპრუდერმა

მერე თავისი მოკლე ფეხებით უკანვე, ლიფტისაკენ ბურტყუნ-ბურტყუნით გაბრუნდა:

— საკუთარმა მდივანმა შინ გამაგდო! ცუდად არის ჩემი საქმე.

მდივანმა მოუთმენლად მომლოდინე ქალის სახე მიიღო და ზაპრუდერმაც დააიმედა:

— კეთილი, კეთილი, ლილიან! წაეედი.

— ჩვენ წინ მივდივართ! — მქუხარე ხმით დასძახა თავისი სიტყვის დასასრულს საბარგო მანქანაზე მდგარმა პრეზიდენტმა. ვიდრე აჩოჩქოლებული ხალხი სტვენდა და ფეხებს აბრასუნებდა პრეზიდენტი მანქანიდან ჩამოვიდა, ცხენოსან პოლიციელებს ხელი დაუმოართვა და ინგლისელ კორესპონდენტ ჰენრი ბრენდონს წასჩურჩულა:

— საქმეები უკეთ მიდის! — პრეზიდენტი სასტუმროში. შებრუნდა.

პროგრამის მიხედვით ახლა ოფიციალური საუზმე უნდა გამართულიყო, მაგრამ ლიფტში ყოფნისას კილდაფმა პრეზიდენტს სთხოვა, გაუთვალისწინებელი შესვენებით ესარგებლა. კილდაფს გაზეთები წაეკითხა და კენედის შეშფოთებას იზიარებდა. მან გუბერნატორ კოხელისაც დაუმტკიცა პრეს-კონფერენციის მოწვევის აუცილებლობა, მაგრამ მისი აზრით, ჯერ გუბერნატორთან თვით პრეზიდენტს უნდა განეხილა ეს საკითხი.

კენედი გაეცნო კონელის მიერ პრესისათვის მომზადებულ განცხადებას, რომელიც საკმაოდ რბილი და უშინაარსო ეჩვენა. ხალხის წინაშე ეს გუბერნატორი ყოველთვის ჰარმონიას ქადაგებდა. უკძესსა და მკვეთრ ხმებს იგი მხოლოდ სცენის მიღმა გამოსცემდა ხოლმე. იარბოროს ახლანდელი ობსტრუქციაც მისი შედეგი იყო. მაგრამ თვით ასეთი განცხადებაც ახლა რაღაცას ნიშნავდა. ჰოდა, აი, მოიწონა კიდეც და ჰოლში მიბრუნდა, სადაც თვითონ რალფ იარბოროს შეეფეთა. ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე პრეზიდენტმა გადაჭრით განუცხადა — უსათუოდ ვიცე-პრეზიდენტის მანქანაში უნდა ჩაჯდეო.

— რალფ, თუ ღმერთი გწამს, მორჩი ამ დავიდარაბას!

ბოულოდნელი შეხვედრით დაბნეულმა და პრეზიდენტის ასეთი პირდაპირი განცხადებით გაღიზიანებულმა სენატორმა მხოლოდ იმის თქმა მოახერხა, ამ სასტუმროში ახლა სწორედ ჯონსონთან ერთად მოვედიო. კენედიმ თავი გადააქნია: ეს არ კმარა. თუ სენატორი პრეზიდენტის მეგობრობას პატივს ცემს, ჯონსონს კუდში უნდა სდიოს. ნაკლები ხელს არ აძლევს. პრეზიდენტი არ აპირებს, ვინმეს უფლება მისცეს, მიკიბულ-მოკიბული მანევრებით გააცუროს. კენედიმ გუნებაწამხდარი სენატორი მიატოვა და დიდი სამეჯლისო დარბაზის სამზარეულოში შევიდა, სადაც დარბაზში უნდა გასულიყო. პრეზიდენტმა მოიხედა, თანმხლებნი დარაზმულად მოსდევდნენ უკან.

მერე აგენტ ბილი დანკანს გადაუჩურჩულა:

— სად არის მისის კენედი? მინდა საუსმეზე ჩამოვიდეს. ყველანი მზადა ხართ?

ჟაკლინი მხოლოდ ოცი წუთის შემდეგ გამოჩნდა. შემოვიდა თავისი გაუბედავი, მომხიბვლელი ღიმილით და მაშინვე ნამდვილი ალიაქოთი ატყდა. ორი ათასი ტეხასელი სკამზე შემდგარი ესალმებოდა ქალს. ჟაკლინს თვალი მოსჭრა ფოტოკამერის დაუსრულებელმა ნათებამ და უზარმაზარ კანდელაბრებში ჩასმულმა ელექტროსანთლებმა. იყო წუთი, როცა შეეშინდა კიდეც. მსგავსი რამ არასოდეს მოსწრებია. ეგონა, საცაა დავეცემიო, მერე მომლიმარ ქმარს მოპკრა თვალი და ოდნავ დამშვიდდა.

კენედიმ თავისი გამოსვლა ასე დაიწყო:

— ორი წლის წინ პარიზში ყოფნისას ვთქვი. — მე, პრეზიდენტი, მისის კენედის თანმხლებლის როლში აღმოვჩნდი-მეთქი. დაახლოებით ამავეს განვიცდი ახლაც, ტეხასში მოგზაურობისას. კაცი-შვილს არ აინტერესებს, როგორა ვართ ჩაცმული ლინდონი და მე.

ქმრის სიტყვებმა ჟაკლინს ლინდონ ჯონსონის რანჩოში ხვალინდელი ვიზიტი გაახსენა.

თუმცა ჟაკლინს იქაურობა არასოდეს ენახა, მაგრამ კარგად ახსოვდა ქმრის ნაამბობი. ჯონსონის რანჩოს კენედი პრეზიდენტად არჩევის მერვე დღეს ესტუმრა. ეს იყო თავისებური და ერთგვარად უსიამოვნო ვიზიტი. რანჩოში საღამო ხანს ჩასულებს ვიცე-პრეზიდენტმა კენედის უთვნია სანადიროდ წასვლა შესთავაზა. კენე-

დი ბოშინაურებულ ნადირის ხოცვას სპორტად არ თვლიდა და შეეცადა მიწვევას დელიკატურად დაძვრომოდა. მაგრამ როგორ აეხსნა მისი ეს მგრძნობიარობა თავაზიანი მასპინძლისათვის, რომელიც ამას ვერასოდეს გაიგებდა, შესაძლოა, ჯონსონს სტუმარი სუსტნერვებიან კაცადაც კი ჩაეთვალა. ეს კი კენედისათვის უბრალო ამბავი როდი იყო. ვითარცა ერის ლიდერს, არ ჰქონდა უფლება ვინმეს ეჭვი შეპპაროდა მის ვაჟკაცობაში.

ჯონსონს გულღია მასპინძლობის გამოჩენა სურდა და ნადირობა ველარ გადაათქმევინეს. მისი აზრით, ეს იყო ყველაზე უკეთესი, რაც კი რანჩოში თავისი სტუმრებისთვის შეეძლო შეეთავაზებინა. ჯონსონი ყოველნაირად ცდილობდა კენედი თავის ლოიალობაში დაერწმუნებია. ლინდონმა თავისი თანამშრომლები იხმო და გააფრთხილა: დაივიწყეთ ჩემდამი პირადი ერთგულება. ჩვენ ყველას ახლა ერთი ლიდერი გვყავს. მას ყველა სურვილი უნდა შევუსრულოთ, ყოველნაირად ვასიამოვნოთ.

ჯონსონს ეგონა, სწორად იქცეოდა. ვერც კი წარმოედგინა, ხტუმარს სანადიროდ მიწვევა რომ არ სიამოვნებდა, თორემ კრინტს როგორ დასძრავდა. კენედის თავშეკავება ჯონსონმა მორიდებით ახსნა. სტუმრისათვის დამახასიათებელ თავპატიჟად მიიჩნია, ღვინის დალევასა თუ კერძის მეორედ გადმოღებაზე გაცხადებულ უარის მსგავსად. არა, სტუმარი უნდა გადმოებირებინა. ახალ ბელადს ლინდონმა მაგრად ჩაჰკიდა ხელი და იქაური ჩვეულებების ახსნა დაუწყო — ეს ყველაფერი ჩვენებური წესია და საპატიო სტუმარმა ტრადიციას მხარი უნდა დაუჭიროსო.

ჰოდა აი, 1960 წლის 17 ნოემბერს, დილის ექვს საათზე სანადიროდ დაიძრნენ. ჯონსონი მდგომარეობის შესაფერისად გამოწყობილიყო — გაქონილი, ფორმადაკარგული კოვბოური შლაპა დაეხურა და ტყავის ნახმარი კურტაკი ჩაეცვა. კენედის კუბოკრული კურტაკი და მსუბუქი შარვალი ეცვა. პრეზიდენტი მატჩის მაყურებელ ფეხბურთის გულშემატკივარსა ჰგავსო, — იხუმრა ერთ-ერთმა სტუმარმა. გარიჟრაჟზე, ნისლის გაფანტვისთანავე ყველანი თეთრ „კადილაკში“ ჩასხდნენ და უმშვენიერესი ადგილებისაკენ აიღეს გეზი. იქ კი, საპატიო სტუმარმა მასპინძელს მოლოდინი გაუმართლა. საქმის ტექნიკური მხარე არ იყო შეინცდამეინც რთული. დიდი გარჯა არა სჭირდებოდა ირმის თვალში ტყვიის ჩას-

მას. თოფის კონდახს ლოყაზე მიიბჯენთ, დაუმიზნებთ, ღრმად ჩაისუნთქავთ, შეძდეგ ცოტას ამოისუნთქავთ, ბოლოს სუნთქვას შეიკრავთ და ჩახმახს ფრთხილად დააჭერთ. ავტომანქანის საბურავის გამოცვლა მეტ ცოდნასა და ხელოვნებას მოითხოვს.

მაგრამ ცხოველებზე ნადირობისას საქმე მარტო ამით არ მთავრდება. აქ იყო რაღაც სხვა, წამის რაღაც ნაწილი, რაც ამ მოხადირეს ტახჯვას ჰგვრიდა. მომენტი, როცა მონადირე მსხვერპლს უძიზსებს. სწორედ ამ მომენტში ჯონ ფიტცჯერალდ კენედის მზერა შაშხანას ასცდა და იმ სიცოცხლის განსახიერებაზე შეჩერდა, რომლის შეწყვეტასაც იგი ცდილობდა, მაგრამ კენედის სიტყვა ჰქონდა მიცემული და უკან ვერ დაიხევდა. პრეზიდენტმა გაისროლა და უძალვე მანქანისაკენ გამობრუნდა. მერე კი ნადირობის ამ მოგონებას თავი ვეღარ დააღწია. მოსვენებას არ აძლევდა მის მიერ მოკლულ ცხოველზე ფიქრი და შინ მოსულმა მეუღლეს ყველაფერი უამბო.

თქვენ წარმოიდგინეთ, საქმე ამითაც არ დამთავრებულა. მალე ჯონსონმა მოკლული ირმის თავის ფიტული შეუკვეთა. ერთ მშვენიერ დილას, სენატორებთან საუზმის შემდეგ, ლინდონმა ფიტული იღლიაში ამოიჩარა და პრეზიდენტს ეახლა. ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ეს ირემი ჯონსონის საკუთარ რანჩოში მოჰკლა და ვიცე-პრეზიდენტიც ამაყობდა ამით. ეგონა, პრეზიდენტიც სიამაყის ასეთივე გრძნობას განიცდიდა. ეს ხომ მართლაც შესანიშნავი გასროლა იყო!

— ვითომ რატომ არ უნდა დაიკიდოს ეს ნადავლი პრეზიდენტის კაბინეტში? — შესთავაზა ჯონსონმა.

კენედი შეძრწუნდა, მაგრამ თავაზიანობამ აიძულა დაინტერესებული კაცის სახე მიეღო. როგორც კი ვიცე-პრეზიდენტი წავიდა, კენედიმ ირმის თავის კაბინეტიდან გატანა ბრძანა.

გავიდა ხანი. ერთხელ ლინდონმა ტელეფონით უწყინრად ჰკითხა: სად არის ირმის თავი? ადგილზე როდის დაჰკიდებენ? მერე კიდევ და კიდევ შეახსენა. ბოლოს და ბოლოს ეს ფიტული პრობლემად იქცა პრეზიდენტსა და ვიცე-პრეზიდენტს შორის. კენედიმ აძჯერადაც დაუთმო. დიდ მოღვაწეს სიფრთხილე ჰმართებს. პრეზიდენტს უნდა შეეძლოს წვრილმანი საკითხების დათმობა, რათა მსხვილმან საქმეებში თავისი გაიტანოს. ეს ამბავი ხომ არსებითად,

მართლაც, წვრილმანი იყო. ირმის თავი დაჰკიდეს. მაგრამ ოვალურ კაბინეტში კი არა, მის გვერდითა დარბაზში. პრეზიდენტმა დაუთმო. მხოლოდ ჟაკლინმა იცოდა, რა უღირდა მის ქმარს ეს დათმობა. ზოგან მოგება, ზოგან წაგება — ასეთია არჩევით თანამდებობებზე მყოფი ადამიანების ტაქტიკა. ერთხელ პრეზიდენტმა თავის მეგობრებთან იხუმრა:

— აბქვეყნად სამი რამ ფასდება მეტისმეტი გადაჭარბებით: ტეხასის შტატი, გამოძიების ფედერალური ბიურო და ნანადირევი.

ასე იყო თუ ისე, ამ ინციდენტის გახსენება უსიამოვნო გრძნობას იწვევდა.

კენედიმ გამომეტყველი ჟესტებით დაამთავრა თავისი სიტყვა სასტუმრო „ტეხასის" სამეჯლისო დარბაზში გამართულ საუზმეზე.

პრეზიდენტმა ტელეფონით იხმო ო'დონელი. მერე ჟაკლინს მიუბრუნდა და უთხრა, აქედან ზუსტად 10 საათსა და 40 წუთზე მივემგზავრებითო.

როცა კენ ო'დონელი სასტუმროს ნომერში შემოვიდა, კენედიმ თქვა:

— რა იქნება, უახლოეს ორ კვირაში კალიფორნიაში რომ გავემგზავროთ?

— მე თანახმა ვარ, — განაცხადა ქალმა, რის საზღაურადაც იშვიათად მოღიმარი კაცის, კენის ღიმილი დაიმსახურა. მასთან შეხვედრისას ჟაკლინი ყოველთვის მოკრძალებით იმსჭვალებოდა. მშვიდი, გამხდარი სახის ეს კელტელი კალვინისტი მისი ქმრის ფანტასტიკურად ერთგული კაცი იყო. სინამდვილეში ჟაკლინი ნაკლებად იცნობდა კენ ო'დონელს. პრეზიდენტის ცხოვრება ერთმანეთისაგან იზოლირებულ რამდენიმე ნაწილად იყო გაყოფილი და ამ იზოლაციის ჭეშმარიტ ჰერმეტულობას თვითონვე ადევნებდა თვალს. მაგალითად, ტედ სორენსენი პრეზიდენტთან უფრო ახლოს იყო, ვიდრო ო'დონელი. მაგრამ სორენსენი შორს იდგა პრეზიდენტის მეუღლისა და ო'დონელისაგან. ერთადერთი ადამიანი, რომელიც პრეზიდენტის ცხოვრების ყველა მხარესთან იყო დაკავშირებული, გახლდათ იუსტიციის მინისტრი. სორენსენს პრეზიდენტის „მეორე მეს" ეძახდნენ, ნამდვილად კი პრეზიდენტის „მეორე მე" მისი ძმა, რობერტ კენედი გახლდათ.

ო'დონელს პრეზიდენტისათვის არცთუ სასიამოვნო სიურპრიზი ჰქონდა მოსახსენებელი. ვიდრე კენედი სამეჯლისო დარბაზში სიტყვას ამბობდა, კილდაფს დალასის „მორნინგ ნიუსი" გადაეთვალიერებია და „იძებნება დამნაშავის" განცხადებას წასწყდომოდა. იმავე გაზეთით ხელში იგი მაშინვე ო'დონელის ნომერში შევიდა. ახლა ო'დონელმა გაზეთი კენედის შემოუტანა. ასე ნახა პირველად ეს განცხადება პრეზიდენტმა. კენედის სახე შეეჭმუხნა და გაზეთი უხმოდ ჟაკლინს გადასცა. უშალვე გაქრა ქალის ცოცხალი გამომეტყველება და თითქოს გული ერევაო, ყელში რაღაც მოაწვა.

პრეზიდენტმა თავი გადააქნია და კენს ხმადაბლა უთხრა:

— ძნელი წარმოსადგენია, გაზეთი ასეთ რამეს ბეჭდავდეს! — მერე ჟაკლინს მიუბრუნდა: — ჩვენ დღეს გიჟების მხარეში მივემგზავრებით.

ო'დონელმა ტექსტი ჩაიკითხა. აღელვებული პრეზიდენტი ოთახში ბოლთასა სცემდა. მერე უეცრად მეუღლის წინ შედგა.

— "შენ იცი, რომ წუხანდელი ღამე ზედგამოჭრილი იყო პრეზიდენტის მოსაკლავად, — თქვა მან. — მაგრამ ქალს ქმრის სიტყვებისათვის სერიოზული მნიშვნელობა არ მიუცია.

— არა, მე მართლაც ასე ვფიქრობ, — დაბეჯითებით წარმოთქვა კენედიმ და თავისი ფანტაზია კიდევ უფრო გააღვივა. — წვიმდა, უკვე ბნელოდა და ირგვლივ ასეთი ჭყლეტა იყო. აბა წარმოიდგინე, ვინმეს რომ პორტფელში რევოლვერი ჰქონოდა. — პრეზიდენტი ცხოველი ჟესტიკულაციებით ლაპარაკობდა. რამდენჯერმე კედელს თავისი გაშეშებული საჩვენებელი თითი მიარტყა და ცერით ორჯერ წარმოადგინა ჩახმახის გამოკვრის იმიტაცია. პრეზიდენტმა ისიც კი გაითამაშა, როგორ დააგდებდა მკვლელი რევოლვერს და ხალხში გაუჩინარდებოდა.

სწორედ ამ დროს ოთახში ლინდონ ჯონსონი შემოვიდა თავისი დისა და მისი ქმრის ბერჯემ ალექსანდერის თანხლებით. მათ პრეზიდენტისათვის ხელის ჩამორთმევა სურდათ. ლინდონმა პრეზიდენტს და და სიძე წარუდგინა. მერე კი ჩვეული მოწიწებით, შეუმჩნევლად გავიდა ოთახიდან და თავისიანებსაც ანიშნა. შიმყევითო. ამ ვიზიტმა პრეზიდენტს მისი პარტიის რიგებში გაჩაღებული შინაბრძოლები მოაგონა. კენედიმ იქვე მდგარ კენ ო'დონელს დაავალა, ახლავე მისი სახელით ტელეფონით დაერეკა

ო'ბრაიენისათვის, რათა იარბორო ვიცე-პრეზიდენტის მანქანაში ჩაჯდარიყო, თუნდაც მანქანის საჯდომზე მისი ძალით ჩაგდება დაჭირვებოდათ. საუბრის დასასრულს პრეზიდენტმა ო'დონელს ყურძილი თვითონ გამოსტაცა და ო'ბრაიენს თითოეული სიტყვა განსაკუთრებულად გაუმეორა:

— ჩასვით მანქანაში!

კენი ლერისთან წავიდა. ჟაკლინმა ზეცას ახედა, თუმცა ჯერაც ვერ იტყოდით, საბოლოოდ რიგორი ამინდი დადგებოდა. ქალს ცუდი ამინდის იმედი ჰქონდა. სისულელე იყო, ამდენი დროის დაკარგვა საკუთარი თავის გასალამაზებლად, თუ ღია მანქანაში ორძოცდახუთწუთიანი მგზავრობა ყველაფერს ამაოდ აქცევდა.

— ოჰ, როგორ მინდა მანქანა გადახურონ! — ნაღვლიანად წარმოთქვა ქალმა.

ეს საკითხი იქვე გადაწყდა.

ზეცაზე ოქროსფერი წვრილი ზოლი გამოჩნდა. ამინდის გამოკეთების იმედით პრეზიდენტმა თხელი კოსტიუმი ჩაიცვა.

ო'დონელმა შვებით ამოისუნთქა: გაჩნდა მოწმენდილი ცისა და ნათელი დღის იმედი. ღია მანქანებით იმგზავრებდნენ. ო'ბრაიენმა კენედის თვალიც კი ჩაუკრა და ღიმილით უთხრა:

— საკენედოდ შეკვეთილი, საგანგებო ამინდია.

კორტეჟი მზად იყო გასამგზავრებლად. გაზეთების კორესპონდენტებმა ადრევე დაიკავეს ავტობუსებში ადგილები, ყველას სურდა იარბოროს გამოსვლისათვის შეეხედა.

გუბერნატორ კონელის „გრძელრქიანთა" კლუბში პრეს-კონფერენცია დაემთავრებინა და ახლა კენედის მოლოდინში ქვაფენილზე რეპორტიორ ბობი ბასკინს ელაპარაკებოდა. ბასკინი ინტერესით მოელოდა პრეს ჯგუფთან ერთად თვითმფრინავ „სსძ-1"-ით გაფრენას (ბასკინს „ძორნინგ ნიუსი" ჯერ არ ენახა. ეს დარტყმა თვითმფრინავში განიცადა). ის იყო საუბარს ამთავრებდნენ, რომ უეცრად დაღლილმა, ფიქრებში წასულმა იარბორომ გვერდზე ჩაიარა. ო'ბრაიენი მაშინვე ეცა სენატორს.

— ჩვენი სურვილია, აზრი შეიცვალოთ, ბატონო სენატორო, — დაიწყო მან.

— პრეზიდენტს დიდად გაახარებთ, თუ ვიცე-პრეზიდენტს დაემგზავრებით.

იარბოროს ის იყო უარი უნდა ეთქვა, რომ ო'ბრაიენმა ავტობუსს გახედა და უთხრა:

— ხომ ხედავთ, ისინი ჩვენ გვითვალთვალებენ, ეს მათთვის სენსაციაა.

— ლერი, მე ბედნიერი ვიქნები, რადგან მათ პრეზიდენტის პოპულარობის დამამტკიცებელ საბუთებს წარვუდგენ. ტეხასის ყველა დიდი ქალაქის ხალხით გაჭედილი ქუჩები პრეზიდენტისადმი ერთგულების უპრეცედენტო დემონსტრაციაა. მისი პოპულარობის კაცილებით დამაჯერებელი მტკიცება, ვიდრე ყველაფერი ის, რის გაკეთებაც მე შემიძლია.

სენატორის სიტყვებს არავითარი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ლერი კვლავ უსალისოდ იდგა.

— მოვისმინეთ, — თქვა იარბოროომ, — მე განცხადებას გავაკეთებ.

— თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ თუნდაც ათიათასსიტყვიანი განცხადება, — აუღელვებლად უპასუხა ლერიმ, — მაგრამ ყველაფერს აჯობებს, თუ ახლა, ამ მანქანაში ჩაჯდებით. — ო'ბრაიენმა ცალი თვალით სასტუმროდან გამოსულ ჯონსონებს გახედა. საათი 10 საათსა და 40 წუთს უჩვენებდა. ისინი მზად იყვნენ ვასამგზავრებლად.

უეცრად იარბოროომ ფარ-ხმალი დაყარა და შემრიგებლური კილოთი დაიწყო:

— კეთილი, თუკი ეს ასე მნიშვნელოვანია...

— დიახ, ბატონო სენატორო, — სიტყვა გააწყვეტინა ო' ბრაიენმა. მაშინვე ჯონსონს მიუბრუნდა და ჩუმად ვადაულაპარაკა:

— სენატორი თქვენთან და მისის ჯონსონთან ერთად იმგზავრებს.

— შესანიშნავია, — ჩუმადვე უპასუხა ჯონსონმა.

ის კი, რაც ამის შემდეგ მოხდა, მართლაც ოპერეტაში გათამაშებულ სცენას წააგავდა. ო'ბრაიენმა ისინი მანქანასთან მიიყვანა. იარბოროო შოფრის უკან დაჯდა, ლედი ბიორდი შუაში. ლინდონი კი მარჯვნივ. ის იყო გამარჯვების გრძნობით აღვსილ ლერის სენატორისაკენ მანქანის კარი უნდა მიეხურა, რომ მანქანას მეორე მხრიდან დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წარმომადგენელი და გუბერნატორის მეუღლე, ნელი კონელი მოადგნენ

პრეზიდენტის სამოგზაუროდ განკუთვნილ ხუთადგილიან „ლინ-კოლნს“ ცოლ-ქმარი კენედების, გუბერნატორ კონელისა და საიდუმლო სამსახურის აგენტების კელერმანისა და ვრეირის დატევა შეეძლო მხოლოდ. ვუბერნატორის მეუღლე სხვა მანქანით უნდა ვამგზავრებულიყო. ნაციონალური კომიტეტის წარმომადგენელს ყველაზე მართებულად ქალის ვიცე-პრეზიდენტის მანქანასთან ძიუვანა ეჩვენა და კიდევაც დააპირა ჯონსონისათვის მიესვა გვერდით, მაგრამ ეს მანქანა ხუთადგილიანი იყო და უკანა საჯდომზე მხოლოდ სამი კაცი თავსდებოდა. როცა ვიცე-პრეზიდენტმა და მისმა მეუღლემ ნელი კონელისათვის ადგილის გასანთავისუფლებლად ჩაიჩოჩეს, ყველაზე შორს, კიდეში მჯდარი იარბორომ საოცრად მიჭეჭყილი აღმოჩნდა.

იარბორომ იფიქრა, ესაა ბედმა გამიღიმაო და მანქანიდან ვადმოსვლა დააპირა. ლერის ელდა ეცა. მაშინვე გუბერნატორის მეუღლეს სტაცა ხელი და წინა საჯდომზე პოლიციელ-შოფერსა და აგენტ იანგბლადს შორის ჩააკვეხა. მდგომარეობის უხერხულობა იმითაც უფრო ღრმავდებოდა, რომ ჯონსონები დალასში თანმხლებ პირთათვის განკუთვნილი თვითმფრინავით მიემგზავრებოდნენ. ამის გამო ნელი კონელი თვითმფრინავ „სსძ-1“-ში იარბოროსთან ერთად უნდა ასულიყო.

მანქანის დაძვრისთანავე ქუჩაში მისალმებები გაისმა, თუმცა თვით მანქანაში სამარისებური სიჩუმე იდგა. ლედი ბიორდი ტაქტის განსახიერება აღმოჩნდა. იკი ძალდაუტანებლად ჰყვებოდა გზად გავლილ ღირსშესანიშნაობებზე. განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა ავტონაწილების დამამზადებელი ფირმა „ოლრაიტის“ სავაჭრო ცენტრი, ავტომანქანების სადგომი. მაეზოლეუმი და გრინვუდის სასაფლაო. კარსუელში კი თერმოატომური იარაღის შესანახი რამდენიმე უზარმაზარი საწყობი.

მეორე მანქანაში მჯდარ ო'ბრაიენს ხვითქი გადასდიოდა. ფარეხჰაიტის მიხედვით ტემპერატურა 80 გრადუსს უახლოვდებოდა, ტენიანობაც კვლავ მაღალი ჩანდა. 11 საათი და 8 წუთი იყო და, თუ კარსუელის ქუჩებში გამოსული ადამიანები არ დააყოვნებდნენ, მაშინ განრიგის დროში ჩაეტეოდნენ. მით უფრო, რომ ხალხის თავმოყრა აქ ნაკლებმოსალოდნელ საქმედ მიაჩნდათ. ეს გახლდათ უშიშროების ყველაზე მკაცრი რეჟიმის ზონა. მიუხედავად ამისა,

მანქანებს გაჩერებისთანავე შემოესია ხალხი. პრეზიდენტის გასაცილებლად ქუჩაში გამოსულიყო ყველა მექანიკოსი თუ მზეთავი. ძოელი თხუთმეტი წუთი მანქანამ ხალხის ალყას თავი ვერ დააღწია. შეკრებილნი მხიარულად გაჰყვიროდნენ და ჩამოსართმევად იშვერდნენ ხელებს.

ჯონ კონელი გაკვირვებული მისჩერებოდა მთელ ამ აურზაურს. ტეხასის გაზეთების სტატიები ასეთ მგზნებარე შეხვედრებს როდი წინასწარმეტყველებდნენ. კენედი ხომ ქვეყნის აღმოსავლეთი მხარის მკვიდრია და თანაც ასეთი სადავო პოლიტიკის მქონე. მაშ რატომ ხვდებიან ასე გულმხურვალედ სამხედრო-საჰაერო ძალების მსახურნი? ყველა ხომ მასაჩუსეტსელი არ იქნება!

ცოლ-ქმარი კენედები თვითმფრინავის ტრაპზე 11 საათსა და 23 წუთზე ავიდნენ. ეველინ ლინკოლნმა მათ მომენტური სურათი გადაუღო და ფიქრებში ჩასულ კილდაფს მიჰყვა უკან.

მზის სხივები ხალისიანად ციმციმებდნენ მუქ ლურჯ ხალიჩაზე. კავშირგაბმულობის კაბინაში რალფ იარბოროომ კმაყოფილებით დაჰკრა მხარზე ხელი ო'ბრაიენს.

— აი სწორედ ეს გვჭირდება ჩვენ! — ზეიმობდა იგი. — როცა პრეზიდენტი ოსტინს დატოვებს, მილიონ ადამიანს ეყოლება ნანახი. ყოველ მეათე ტეხასელს. მომავალ შემოდგომაზე ამ შტატშიაც მიაღწევს გამარჯვებას, ხომ მართალს ვამბობ, ლერი?

ო'ბრაიენი პასუხს ჩაუფიქრდა. სენატორი მართალი იყო — შედეგი ნამდვილად წარმოუდგენელი აღმოჩნდა.

— დიახ, გეთანხმებით, — მიუგო ო'ბრაიენმა.

— მაგრამ როგორ ნაბიჯს გადაადგამდა ახლა იარბოროო?

პოლიტიკაში პაიკისათვის ეტლს არავინ სწირავს. ქუჩაში სენატორმა დაუთმო პრეზიდენტს. ახლა მას ჰქონდა უფლება ლერისათვის თავისი მოთხოვნები წარედგინა. დიახ, იგი, ო'ბრაიენი წარმართავდა კენედის შინაპოლიტიკურ კურსს. ვინაიდან ნოემბერში თვითონ იარბოროს ელოდა გადარჩევნები, ახლა თავისი უფლებით უნდა ესარგებლა და აკი ისარგებლა კიდეც.

— მე ძალიან მძიმე მდგომარეობაში ვარ, — გულახდილად განაცხადა მან.

— იქნებ, რამეში გამოგადგეთ? — თანაგრძნობით ჰკითხა ო'ბრაიენმა.

— დღევანდელ საღამოზე მინდა მოგახსენოთ, — დაიწყო იარბოროომ და თან გასასველელში მდგარ ალბერტ ტომასს ანიშნა, შეშოგვიერთდიო. იარბოროო ოსტინში არსებულ სიძნელეებზე ალაპარაკდა. ტეხასელ ამომრჩეველებს არ უყვართ ისეთი ადამიანები, შარჯვენა ლოყას რომ უშვერენ მარცხენაში გარტყმის შემდეგ. ოსტინი კიდევ უარეს შეურიგებლობას გამოიჩენს, ვინაიდან იგი იარბოროს მშობლიური ქალაქია. დიახ, თუ ვინმე დამეხმარება ამ პრობლემის გადაჭრაში, სიკვდილამდე მისი მადლიერი ეიქნებიო, — დაიფიცა სენატორმა.

— მოდით, მოსამართლენო, ამ საქმეს მე მივხედავ, — უთხრა ტომასმა ო'ბრაიენს. ტომასს ჩვეულად ჰქონდა ადამიანებისათვის ციმშართა სიტყვით: „მოსამართლენო". ამ კონგრესმენს იარბოროზე არახალლებ მოთაფლული ენა ჰქონდა. დღეს, ისევე როგორც გუშინ, მშვიდობისმყოფლის განსახიერებად ქცეულიყო. ტომასი თვითმფრინავის კუდში მოთავსებულ პატარა კაბინისაკენ გაემართა. იქ მყოფი პრეზიდენტი ჯერაც ავადმყოფურად განიცდიდა ტეხასია პრესის გაცნობას.

— ეს სისაძაგლეა, — წარმოთქვა პრეზიდენტმა და გაზეთი ასწია. — და რაც უფრო უარესი — ტყუილი. იგი შტატში ჩამოვიდა არა როგორც მოწინააღმდეგე, არამედ როგორც მომრიგებელი.

— თუ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, ამას სისაძაგლედ თვლით, რაღას იტყოდით, დალასის „მორნინგ ნიუსი" რომ გენახათ? — ჰკითხა მაკჰიუმ.

— მე ვნახე იგი, — უპასუხა პრეზიდენტმა და საწოლი ოთახისაკენ მიმავალ კორიდორს გაუყვა, თუმცა კარებშივე შეჩერდა. კორიდორში ვიწრო სკამებზე ო'დონელი და კონელი გვერდიგვერდ ჩაშომსხდარიყვნენ. მოსალოდნელი შეჯახების თავიდან ასაცილებლად ო'დონელმა და ო'ბრაიენმა. სენატორი და გუბერნატორი თვითმფრინავის თავსა და ბოლოში მოათავსეს. კენ ო'დონელს შრომამ ფუჭად ჩაუარა, მცირე წარმატებასაც ვერ მიაღწია. არც პირფერობით შეზავებული ლოგიკა მოქმედებდა გუბერნატორზე. კონელის მტკიცებით ჯონსონსა და იარბოროს შორის ნამდვილად არსებობდა ფრაქციული უთანხმოება და თვითონ, როგორც ჯონსონის პროტეჟე, შუაში გამოჭყლეტილი აღმოჩნდა.

— მე, ტეხასში თქვენთვის გაუგებარ პრობლემებთან მიწევს

შეჯახება, ისევე როგორც თქვენ გიხდებათ მასაჩუსეტსში ისეთი პრობლემების გადაწყვეტა, რომლებსაც, ალბათ, მე ვერას გავუგებდი, — იმტკიცებოდა გუბერნატორი.

კენედი საუბარში არ ჩაერია. მათი მოგვარება თავისი თანაშემწეების საქმედ ჩათვალა, მისი გონება ჯერ ისევ დილანდელ გაზეთებს უტრიალებდა.

— მაინც რა გაზეთია ეს დალასის „მორნინგ ნიუსი"? — გაბრაზებით ჰკითხა კენს. — შერე იცი, ვისი პასუხისმგებლობით არის დაბეჭდილი ეს განცხადება? დილის. არ გახსოვს იგი? თეთრ სახლში გამართული სცენის შემდეგ ვთხოვე გამოერკვიათ, რას წარმოადგენდა როგორც პიროვნება. ყველგან გაიძახის, სამხედრო კორესპონდენტი ვიყავიო. დალასშიაც ყველას სჯერა მისი. — გულმოსულმა პრეზიდენტმა ბოლოს გამომცემლის მისამართით უკიდურესად სათაკილო სიტყვებიც კი იხმარა.

კენედიმ კორიდორში მომავალი ალბერტ ტომასი დაინახა და საწოლ ოთახში შეიპატიჟა. სერჟანტმა ჯო აირესმა თეფშით ახალი ანანასები და ფინჯანი ყავა შემოიტანა. სწორედ ამ დროს თვითმფრინავი გადაიხარა, კენედიმ წონასწორობა დაკარგა და ფინჯანში ოთხი სავსე კოვზი შაქარი ჩაყარა.

— რით შემიძლია გემსახუროთ, კონგრესმენ?

— ბატონო პრეზიდენტო. საქმე ახლა სწორედ შებრუნებით დგას: თუ ყოველივე იმის შემდეგ, რაც თქვენ ჩემთვის ჰიუსტონში გააკეთეთ, მე წარმატებას ვერ მივაღწევ, არა ვყოფილვარ ასარჩევი და ეგ არის.

კარზე კაკუნი გაისმა. დეივ პაუერსმა პრეზიდენტს დალასის საავარო ცენტრში წარმოსათქმელი სიტყვის ტექსტი გადასცა.

— თქვენს ადგილზე მე კარგად ჩავუფიქრდებოდი დალასში წარმოსათქმელ სიტყვას. ეს ულმობელი ქალაქია, — სერიოზული ტონით დასძინა ტომასმა.

კენედიმ ამ შენიშვნას ყურიც არ ათხოვა, დღევანდელი პრესის გაცნობის შემდეგ, არაფერი აღუძრავდა თუნდაც ერთი სიტყვის შერბილების სურვილს. „ტაიმს ჰერალდის" ვაშინგტონელმა კორესპონდენტმა ამ სიტყვის წინასწარი ტექსტი წაიკითხა და რედაქცია გააფრთხილა, „გამანადგურებელი დარტყმაა". ჯონ კენედის სწორედ ასეთი სიტყვის წარმოთქმა სურდა.

— ვითომ რა იქნება, კენის რომ დაეხმაროთ? — ჰკითხა პრეზიდენტმა ტომასს და კარს გახედა.

— სწორედ ამიტომ ვარ აქ, — უპასუხა კონგრესმენმა და ოთახიდან გავიდა.

ალყაშემორტყმულმა კონელიმ დათმობა იწყო. მიწაზე დაშვებამდე რამდენიმე წუთით ადრე ო'დონელს მხარზე ხელი მოუთათუნა და თავისებურად დაიბუხუნა:

— კეთილი, ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც პრეზიდენტმა თქვა. რაკი იმას სურს, იარბორო საპატიო მაგიდას. უკდეს, იგი იქ დაკდება.

მაგრამ გამარკვევა სრული არ აღმოჩნდა: გუბერნატორის რეზიდენციაში მიღების საკითხს თავაზიანად შემოუარეს. ნელი არ აპირებდა სენატორის მიღებას. ისიც უნდა ითქვას, რომ არც ო'დონელმა და არც ტომასმა არაფერი იცოდნენ გუბერნატორის გეგმაზე. კერძოდ, მაგიდების იმ საპატიო განლაგებაზე, რომელთა დადგმასაც იგი სხვადასხვა სიმაღლეზე აპირებდა. თუ კონელი ამ გეგმის განხორციელებას დაუჭერდა მხარს, გამოდიოდა, რომ მათ ვერაფერსაც ვერ მიაღწიეს. თუმცა ისინი მაინც ფიქრობდნენ, რაღაც გავაკეთეთო.

კენმა საზეიმოდ აცნობა პრეზიდენტს, კონელი დაგვნებდაო.

— საოცარია! — ჩაიცინა კენედიმ. — ამით მთელი მოგზაურობაა გამართლებული.

მფრინავმა ჯიმ სუინდალმა თვითმფრინავის ქვეშ გაწოლილ ბეტონის მბზინავ ლენტს დახედა. თვითმფრინავი „სსძ-1" მიწას შეეხო. მფრინავმა საბორტო ჟურნალში 11 საათი და 38 წუთი აღნიშნა და თვითმფრინავი მოწითალო აეროვაგზლის მარცხნივ მდებარე შენობასთან მიასრიალა. „საერთაშორისო რეისები" — დიდი ასოებით ეწერა გარედან.

ჯებირის მხრიდან ხალხის გუგუნი მოისმოდა. უშიშროების უზრუხველსაყოფად, ეტყობოდა, მკაცრი ზომები მიეღოთ. შეიარაღებული პოლიციელები აეროვაგზლის აღმოსავლეთის ფრთის ყველა შვერილის სახურავზე იდგნენ. ხოლო ხანში შესული არწივისებური სახის აგენტი სორელზი, რომელიღაც ფოტოგრაფს ჯებირს იქით ერეკებოდა. სუინდალს კი ეს თავშეყრილი ადამიანები ერთ მთლიან, აღფრთოვანებულ გროვად ეჩვენებოდა. ვინ იცის, იქნებ,

დალასს ცილსაც სწამებდნენ. პილოტის კაბინიდან ყველა ტიპურ ტეხასელს ჰგავდა, სან-ანტონიოელთა მსგავსად, პრეზიდენტისათვის მგზნებარე შეხვედრის მოწყობის სურვილით ანთებულს.

ძაგრამ ეს მხოლოდ პირველი შთაბეჭდილება იყო. სან-ანტონიოში პრეზიდენტს მთელი ქალაქი ესალმებოდა. აქ კი — ადგილობრივი „იატაკქვეშელები". ვაჟკაცურად გამოიყურებოდნენ გზისპირ ჩამწკრიეებული ლიბერალები. დარაზმულ მოსწავლეებს ამერიკის დროშა და გაბედული პლაკატი ეჭირათ: „ჩვენ გვიყვარს ჯოხი". ერთი ზანგი ბიჭუნა წარწერილ მუყაოს აფრიალებდა: „ვაშა, ჯ. ფ. კ!" ლიბერალები ცდილობდნენ ჰიუსტონისა და ფორტ-უორტის შეხვედრები გაეხუნებინათ და პრეზიდენტისათვის უკეთესი შეხვედრა მოეწყოთ. გეგონებოდათ, თითქოს, დალასში განცდილმა დამარცხებამ, სასტიკმა იზოლაციამ, გავლენიან პიროვნებათა ზიზღით სავსე დამოკიდებულებამ ლიბერალებს საბრძოლო სული ჩაჰბერაო. იყო ლიბერალი, თანაც ზომიერი, დალასში არცთუ ადვილი საქმეა. კენედის ერთგულება მამაცობას მოითხოვდა და მისი დალასელი მომხრეები სწორედ ამ გაბედულების საჩვენებლად გამოსულიყვნენ ქუჩებში. ეს ნამდვილად ვაჟკაცური საქციელი იყო. იმათ, ვინც ამ სურათს თეითმფრინავის ფანჯრიდან უყურებდა, შესაძლოა, ყველაფერი ვარდისფრად მოსჩვენებოდათ, ძაგრამ მთელი დალასი როდი იყო კენედის მომხრე. ლავ ფილდის აეროდრომზე დალასისაგან განსხვავებული ატმოსფერო სუფევდა. როგორც გონზალესმა შენიშნა, ადამიანები ხან ხელების ქნევას იწყებდნენ, ხანაც ნერვულად ტრიალებდნენ. დალასის „ობზერვერის" გამომცემლის, რონი დაგერის ყურადღება მოფრიალე კონფედერაციის დროშამ და ადამიანების პატარ-პატარა ჯგუფებმა ძიიქცია. ისინი აპლოდისმენტებისათვის როდი იყვნენ მოსულნი. გამომწვევად მდგარი პირქუში ადამიანები ჩიბუხს ჩიბუხზე აბოლებდნენ. ლიზ კარპენტერის აზრით, კენედის მოწინააღმდეგეთა ეს პლაკატები ყველაზე მტრული იყო, რაც კი საერთოდ ოდესმე ეხახა. „ძირს, კენედების გვარი!" — ეწერა ერთ-ერთ მათგანზე. „ღაეხმარეთ კენედის დემოკრატიის განადგურებაში!"—მოუწოდებდა მეორე. ვიღაც ზიზღით სახემოღრეცილ კაცს სამსიტყვიანი პლაკატი ეჭირა — „შენ მოღალატე ხარ!" ხოლო ავტომანქანაზე დამაგრებულ პლაკატიდან ზიზღის ნიაღვარი გადმოდიოდა: „ბატო-

ნო პრეზიდენტო, სოციალისტური ტენდენციების გამომცდელებისათვის და კომუნიზმის წინაშე კაპიტულაციისათვის, მე თქვენ ბეზიზღებით!" დაახლოებით ამასვე იუწყებოდა სხვა პლაკატებიც: „1964 წელს — გოლდუოტერი და თავისუფლება"; „კენედი! ჰოლს და კომუნისტური პარტიის ლიდერებს თქვენი გადარჩენა სურთ". „იახკებო და მათო მსგავსნო, წაეთრიეთ შინ!" იქვე თავწყვეტილად თარეშობდნენ მისწაელეთა დიდი ჯგუფებიც. ტომის ჯეფერსონის სახელობის უმაღლესი სკოლიდან სპეციალური დელეგაციაც კი მოვიდა კენედისათვის დასასტვენად.

პრეზიდენტის შეხვედრის ორგანიზაციის მომწყობი, თორმეტი კაცისაგან შემდგარი ოფიციალური კომიტეტი დალასის თავისუფლებათა სარკე იყო. მასში არ შედიოდა პროფსაბჭოების არც ერთი წარმომადგენელი, რაც ფრიად უჩვეულოდ ჩანდა დემოკრატი პრეზიდენტის დროს. ადგილობრივი პროფსაბჭოების მოღვაწენი მოწადინებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ აეროდრომზე მოწყობილ ცერემონიალსა თუ მის პატივსაცემად გამართულ საუზმეში. მაგრამ რესპუბლიკელებსა და მემარჯვენე დემოკრატებთან რამდენიმე ცხარე შეჯახების შემდეგ უკან დაიხიეს. პრეზიდენტის შესახვედრად მოსულ დელეგაციაში ცხრა რესპუბლიკელი, ორი დემოკრატი და ერთი ლიბერალი შედიოდა. შეხვედრამდე ერთი საათით ადრე მათ თავი მოიყარეს ნაციონალური ბანკის წინ და დიდი შავი ლიმუზინებით აეროდრომისაკენ გაემართნენ. პირველი ადამიანი, ვინც მათი წრე გაარღვია, გახლდათ გუბერნატორი კონელი და არა პრეზიდენტი. გუბერნატორმა დაარღვია ეტიკეტის წესი, მაგრამ ეს კომიტეტი ხომ ბოლოს და ბოლოს მის მიერ გახლდათ შერჩეული და თავის მხრივ, თვითონაც მათი კაცი იყო. კენედის არ შეეძლო დალასში ხმის უმრავლესობა მიეღო. საერთოდაც საეჭვო იყო, რომ ნოემბერში აქ ღირსეულად შეძლებდა თავის დაცვას. დემოკრატი გუბერნატორი ადგილობრივი გმირი გახლდათ. თვით არქიკონსერვატიულმა დალასელებმაც კი ვერ აღმოუჩინეს სოციალისტური ტენდენციების მსგავსი რამ.

მათ იცოდნენ, კონელი ამ იდეალებს არ უღალატებდა და მზად იყვნენ 1964 წლის ნოემბერში ხმა მიეცათ გოლდუოტერ-კონელისათვის.

ვიდრე თვითმფრინავთან ტრაპს მიაგორებდნენ, კენედი თავის

კაბერდინერს გაეხუმრა და თვალმოჭუტული გაჰყურებდა თავშეყრილ ხალხს. ეაკლინი ქმრის გვერდით იდგა. „იატაკქვეშეთი“ მოწოხების შეძახილებით შეეგება პრეზიდენტსა და მის მეუღლეს. კეხედების გამოჩენას მოთმინებით ელოდნენ ჯონსონებიც. ერთ დღე-ღამეზე ნაკლები დროის განმავლობაში, ისინი მეოთხე გულმხურვალე შეხვედრას უწყობდნენ პრეზიდენტსა და მის მეუღლეს. ამიტომაც ორთავე წყვილის მდგომარეობა ცოტა არ იყოს სულელურიც კი იყო. დღეს კიდევ ორი ასეთი შეხვედრა ედგათ წინ. ბერგსტროშის სამხედრო-საჰაერო ბაზასა და მის საკუთარ რანჩოში. ლიხდონმა ჯეკის შეხედა და კომიკური იერით მხრები აიჩეჩა, ესაო და რა უაზრო მდგომარეობაში ვარო. ქალს გაეცინა, მაგრამ ჯოხსონი საშუშაოს დაუმთავრებლად არასოდეს ტოვებდა, რაგინდ უაზროც არ უხდა ჩვენებოდა იგი. ამის უფლებას არ აძლევდა მასში მჩქეფარე ენერგიის გეიზერი. რაკი ვიცეპრეზიდენტი ხარ — მაშასადამე, ხელიც ყველას უნდა ჩამოართვა. ჰოდა აი, თვითმფრინავ „სსძ-1“-დან გადმოსული ყველა მგზავრი ხელის ჩამორთმევით შეაჯახჯღარა. სულ ბოლოს გადმოსულმა, კილდაფმა ვეღარ მოითმინა და ლინდონს უთხრა:

— სერ, თუ თქვენ დღეს კიდევ ჩამომართმევთ ხელს, ვფიქრობ, რაღაც დაგემართებათ.

— ნუ სულელობ, მაკ, — მხარზე ხელი მოუთათუნა ჯონსონმა.

დამხვდური ხალხის გაფანტვასთან ერთად ამოიწურა ვიცე-პრეზიდენტის მოვალეობა დალასში. შემდგომი ღონისძიება, რომელიც მისი მონაწილეობით ბერგსტროშში ჩატარდებოდა, 15 საათსა და 15 წუთზე იყო დაგეგმილი. ჯებირს იქით თავშეყრილი ხალხი პრეზიდენტის პატივსაცემად გახლდათ მოსული. ჯონსონი იქ მხოლოდ ზრდილობის გამო მივიდა, მაგრამ ცოლ-ქმარ კენედებისაკენ დამხვდურთა გაწვდილი ხელები რომ დაინახა, ლედი ბიორდი ნაცრისფერი მანქანისაკენ წაიყვანა. ეს ღია მანქანა სორელზმა ფირმა „ფორდის“ ადგილობრივ აგენტს მისთვის გამოართვა. საქეს ჰერშელ ჯეკსი უჯდა. წინა საჯდომზე ჯეკსის გვერდით მჯდარ რუფუს იახგბლადს თავისი პორტატული რაცია „ბეიკერის“ ტალღაზე დაეყენებია, მისი საშუალებით მათ უკან მომავალ მანქანაში მყოფ აგენტ ლემ ჯონსთან დაკავშირების საშუალება ეძლეოდა. თუ კავ-

შირგაბმულობის ოცეულის მორიგეებს არ ჩავთელით, ამ ტალღაზე მხოლოდ რუფი და ლემი მუშაობდნენ. ყველა დანარჩენთ, თავიანთი რაციები „ჩარლის“ ტალღაზე პრეზიდენტის მანქანასთან დასაკავშირებლად ჰქონდათ მომართული. ის იყო მათი ყურადღების ცენტრი. საიდუმლო სამსახურის შიფრს გაცნობილთ კი შეეძლოთ „შუბოსანისა“ და „მაქმანის“ მოძრაობისათვის ედევნებინათ თვალყური. მოესმინათ სულ წინ, პრეზიდენტის მანქანაში მძღოლის გვერდით მჯდარი როი კელერმანისა და კორტეჟის ბოლოში კავშირგაბმულობის მანქანაში მყოფი არტურ ბეილსის საუბარი. ბეილსი მეთოდურად ამოწმებდა ყველა არხს, განსაკუთრებით „ლინკოლნსა“. და მის უკან მომავალ საიდუმლო სამსახურის ორ მანქანას. ისინი გამუდმებით უკავშირდებოდნენ ჯიმ სუინდალს და სასტუმრო „შერატონის“ პატარა კომუტატორს. ეს უკანასკნელი პრეზიდენტს თავის მხრივ ფორტ-უორტის კომუტატორთან აკავშირებდა, ხოლო მისი საშუალებით კანზას-სიტის საიდუმლო სამსახურის ოპერატიულ განყოფილებას, ენდრიუსის აეროდრომს, პენტაგონსა და თეთრი სახლის ათასობით სატელეფონო ნომერს.

კეხედებმა თვითმფრინავის მარცხენა ფრთის ქვეშ წინა დღის წვიმით გაჩენილ წყლის პატარა გუბურას შემოუარეს. აეროპორტ ლავ ფილდის ჭიშკართან მისული პრეზიდენტი უეცრად დაიხარა და ოთხმოცდახუთი წლის დემოკრატ მანდილოსან ენი დანბარს მიესალმა. ბორბლებიან სავარძელში მჯდარი არტრიტით სნეული კაციც პრეზიდენტის სანახავად მოეყვანათ. ცოლ-ქმარმა ჯებირის გაყოლებაზე დაუსრულებელი ხელის ჩამორთმევებით დაახლოებით ორმოცდაათი იარდი გაიარეს.

— მოგწონთ წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა?—ჰკითხა ჟაკლინს ჩარლზ რობერტსმა.

— ძალიან მომწონს! — გაისმა პასუხი.

ხალხი ქალისაკენ დაიძრა.

— სად არის ჩემი ქმარი? — სწრაფად იკითხა მან, თუმცა მაშინვე დაინახა და შვებით ამოისუნთქა.

ჟაკლინს დალასი ჩვეულებრივ ქალაქად ეჩვენა, მაგრამ ვინც დალასს კარგად იცნობდა, მოუსვენრად გრძნობდა თავს.

გოხზალესმა ოდნავ შესამჩნევი ღიმილით გადაულაპარაკა კონგრესმენ ჯონ იანგს:

— კარგი იქნებოდა, ვინმეს ფურთხის საწინააღმდეგო ნიღაბი გაეძოელგოხა, — მერე კონფედერატების დროშას შეავლო თვალი და დასძინა:

— როგორ დამავიწყდა ტყვიისაგან მფარავი ჩემი ქილეტის ჩაცმა.

როი კელერმანი ნაბიჯზე არა რჩებოდა პრეზიდენტს. ყურადღებით აცქერდებოდა სახეებსა და ფოტოაპარატებს. ერთმა ადგილობრივმა რეპორტიორმა ჩარლზ რობერტსს წასჩურჩულა:

— დალასის პოლიციამ, როგორც იქნა, ისწავლა, რა უნდა გააკეთოს. აეროპორტიდან გასვლის შემდეგ პრეზიდენტთან ათ ფუტზე არავის მიუშვებს.

ჰიუ საიდი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა აეროპორტებში თავშეყრილ დამხვდურთ, ავტობუსიდან გადმოვიდა და ხალხს შეერია. იგი მიხვდა, როგორ დაძაბული იყო ატმოსფერო. მთავრობის შეთაური კვლავ ჯებირის გასწვრივ მიუყვებოდა გზას. პრეზიდენტი ისე დაშორდა თანმხლებ პირთა ძირითად ჯგუფს, რომ ბილ გრირმა უკან დასაბრუნებელი დროის დასაზოგად „ლინკოლნი“ დაადევნა. პრეზიდენტი ჯებირთან კიდევ ხუთ წუთს დაყოვნდა.

რონი დაგერმა თავის ბლოკნოტში ჩაწერა: „კენედის სურს აჩვენოს, რომ არ ეშინია“.

როგორც იქნა, კენედი მანქანაში ჩაჯდა. სრულიად მოულოდნელად პრესის წარმომადგენელთა მანქანა ვეღარ დაიძრა. ატყდა ერთი ალიაქოთი. ალბათ, ბატარეა გაფუჭდა, წუთით გაუელვა შეშინებულ კილდაფს. მაგრამ არა, მოტორი ამუშავდა. სწორედ ამდროს „ლინკოლნთან“ პაუერსი გაჩნდა.

— უკვე საუზმის დროა. — მხიარულად უთხრა კენედის, მერე ჟაკლინს მიუბრუნდა და მოაგონა, რომ მის მხარეზე მყოფ ხალხს მისალმებოდა.

— თუ თქვენ და პრეზიდენტი ერთი და იმავე ამომრჩევლებს მიესალმებით. ეს მხოლოდ ძალ-ღონის ტყუილი ხარჯვა იქნება.

ჯერ კიდევ თვითმფრინავში გახდა ცნობილი, რომ კორტეჟის დალასში მოძრაობის თანამიმდევრობის განკარგულება გადაცემული არ იყო. ამიტომაც მანქანებს ფორტ-უორტის განრიგით მოუხდებოდათ სვლა. რასაც დიდი არეულობა მოჰყვა. არავინ იცოდა, რომელ მანქანაში უნდა ჩამჯდარიყო. ყველა უკეთესი ადგილე-

ბის დაკავებას ცდილობდა. ვინც მსუბუქ მანქანებში ვერ მოთავსდა, „საპატიო პირთათვის“ განკუთვნილ ავტობუსებში ჩახტა. ავტობუსის ბოლოში მოკუნჭულები აღმოჩნდნენ პრეზიდენტის ექიმი ბერკლი და მდივანი ეველინ ლინკოლნი.

— აღმაშფოთებელია! — აკანკალებული ხმით წამოიძახა ექიმმა ბერკლიმ.

არა, ეს სიტყვები საკუთარ პრესტიჟზე ზრუნვის გამო არ წარმოუთქვამს. იგი სხვაზე მეტად ერიდებოდა ყურადღების ცენტრში ყოფნას.

— პრეზიდენტის პირადი ექიმი უშუალოდ მასთან უნდა იყოს. ვერ გამიგია, რატომ არ მსვამენ მთავარ მანქანაში. მე ხომ დაცვის აგენტებს შორის ჩაჯდომაზეც არ ვიტყოდი უარს, — წყენით შესჩივლა ექიმმა ეველინს.

რა თქმა უნდა, ექიმი უკიდურესი შემთხვევის დროს თუ იქნებოდა საჭირო, მაგრამ სწორედ ეს უკიდურესი შემთხვევა ამართლებდა ექიმი ბერკლის იქ ყოფნას საერთოდ.

უეცრად ლერი ო'ბრაიენი ადგილს მოწყდა. მართალია, იარბოროს საკითხს იგი უკვე გარკვეულად თვლიდა, მაგრამ თითქოს ახლა მიხვდაო, — სენატორს მაინც არ უთქვამს იმგზავრებდა თუ არა იგი დალასში ვიცე-პრეზიდენტთან ერთად. თან პრეზიდენტის მისკენ მოპყრობილი მზერა დაიჭირა, თვალებით იარბოროს მიხედეო, რომ ახი'ნებდა, იარბორო კი, როგორც ჩანდა, სხვა მანქანას ეძებდა. მეორდებოდა სასტუმრო „ტეხასის“ წინ გამართული ისტორია. ლერიმ სენატორს მკლავზე ხელი წაავლო, ლედი ბიორდი გვერდით მიუსვა და მანქანის კარი სწრაფად მიკეტა.

კორტეჟი დაიძრა. ახლა თვითონ მას, ო'ბრაიენს აღარ ჰქონდა ადგილი და, შესაძლოა, დარჩენილიყო კიდეც. დაბნეულად მიმოიხედა, მერე უეცრად იმ ღია მანქანაში ჩახტა, კონგრესმენები მეიჰონი, როჯერსი და ტორნბერი რომ ისხდნენ.

* * *

სახელმძღვანელოების საწყობის მუშებმა მთელი დილა მეექვსე სართულის დაცლილ-მოსუფთავებულ ოთახებში იატაკის გადაგებაზე იმუშავეს. ნასაუზმევს კი პრეზიდენტის კორტეჟის საზეიმო სვლისათვის უნდა ეცქირათ. ყოველ მათგანში ეს ამბავი სხვადა-

სხვაგვარ გრძნობას იწვევდა. რასაკვირველია, თანაგრძნობას არა გვრიდათ პრეზიდენტის უკომპრომისო პოზიცია ზანგების თანასწორუფლებიანობაზე. საწყობის დირექტორის როი ტრულის აზრით, სხვადასხვა რასის ადამიანები ერთმანეთს არ უნდა შეუღლებოდნენ. საუზმის დრო რომ არა, — განაცხადა მან შემდგომ, — ჩემი ბიჭების ნახევარიც არ გამოვიდოდა ამ პარადის საცქერლად. ისინი კონსერვატორები არიან, როგორც თვითონ მე და საერთოდ ტეხასელთა უმრავლესობა, თუ რა თქმა უნდა, ზანგებს არ მივიღებთ მხედველობაში.

პარადი მაინც პარადია — იგი სანახაობაა და 11 საათსა და 45 წუთზე შენობის ორი ძველი ლიფტით ხალხმა დაბლა, ქუჩაში იწყო ჩასვლა. წიგნის საწყობის უფროსმა მოსამსახურემ ფლოტის ყოფილმა სტიუარდმა ჩარლზ გივენსმა შენიშნა, რომ ოსვალდი შეხუთე სართულზე ლიფტის კართან იდგა და დაბლა მიმავალ კოლეგებს ათვალიერებდა. მაღლა სართულები დაცარიელდა. როგორც საიდუმლო სამსახურმა შემდეგ დაადგინა, საწყობი იდეალური ადგილი იყო სნაიპერისათვის.

არც ერთ დამნაშავეს არ შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ხელს არ შეუშლის შემთხვევით მოსული კაცი, რომლის მეხსიერებაც მას სწორედ დანაშაულის ჩადენის ადგილას დაიმახსოვრებს. ასე მოუვიდა ოსვალდსაც. მოულოდნელად მობრუნდა გივენსი — პიჯაკის ჯიბეში პაპიროსი ჩარჩენოდა, და მეექვსე სართულზე კიდევაც შეეფეთა ოსვალდს.

— შენ რა, აქ რჩები? — ჰკითხა გაკვირვებულმა გივენსმა.

— არა, სერ, — ჩვეული მოკრძალებით მიუგო ოსვალდმა.

შერე, ალბათ, ეშვის გაფანტვის ან კიდევ, უფრო სწორად, გასაქცევი გზის მოსამზადებლად დასძინა:

— როცა ჩახვალთ, გთხოვთ, ლიფტის კარი მიკეტოთ.

ოსვალდს მხედველობაში ჰქონდა შენობის დასავლეთ მხარეზე მოქმედი ლიფტი, რომლის მაღლა გამოძახება მხოლოდ კარის მიკეტვის შემდეგ შეიძლებოდა.

— კეთილი, — უთხრა გივენსმა და გავიდა.

ოსვალდი მარტო დარჩა. საბოლოო მომზადებისათვის მის განკარგულებაში კიდევ ნახევარ საათზე მეტი იყო. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ სახურავის უკანა მხარეს, უცნაური, დიდი სა-

ბარგო ვაგონის მსგავსად ამოშვერილი ნაგებობიდან ისმოდა მტრედების ნელი ღუღუნი. ეს მინაშენი ერთ დროს საქვაბე იყო. ახლა, ორთქლით გათბობის გამორთვის შემდეგ ყანგი ჭამდა და მტრედების თავშესაფრადღა ქცეულიყო.

დაბლა ჩასულმა ჩარლზ გივენსმა ვერ შეძლო დასავლეთი ლიფტის კარის მიკეტვა. კაბინა სადღაც ზემოთ გაჩხერილიყო. მანაც ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო. როგორც შემდეგ მანვე გაიხსენა, მაშინ ზუსტად 11 საათი და 35 წუთი იყო.

•

11 საათსა 55 წუთზე კორტეჟის ავანგარდი სორელზის ბრძანებით პრეზიდენტისათვის საგანგებოდ გაკეთებულ ლავ ფილდის გალავნის ჭიშკრიდან გამოვიდა. წინ პოლიციის ორი მოტოციკლი მიუძღოდა.

კორტეჟი ასეთი თანამიმდევრობით იყო განლაგებული:

მოწინავე მანქანა — თეთრი, უნომრო „ფორდი". მანქანას პოლიციის უფროსი კარი მართავდა. მის გვერდით აგენტი ლოუსონი იჯდა. უკანა საჯდომზე შერიფი ბილ დეკერი (მარცხნივ) და სორელზი (მარჯვნივ) ისხდნენ. ამ „ფორდს" სამი მოტოციკლი მისდევდა. მათგან ხუთი ავტომობილის კორპუსის დაშორებით სხვა მანქანები მიჰყვებოდნენ.

SS100X —პრეზიდენტის მანქანა ნომრით **CC-300**. მანქანაში ექვსი მგზავრი იჯდა. მანქანის მძღოლ გრირს გვერდით კელერმანი უჯდა. გადასაწევ საჯდომებზე ცოლ-ქმარი კონელები ისხდნენ. პრეზიდენტი და მისი მეუღლე უკანა საჯდომებზე მოთავსებულიყვნენ. მანქანა **CC-300**-ს ორთავე მხრიდან ესკორტად წყვილ-წყვილი მოტოციკლი მიჰყვებოდა.

„ჰავბეკი" — ლიმუზინი № **CC-678** პრეზიდენტის მანქანას ძისდევდა. საჭესთან აგენტი სემ კინი იჯდა. „ჰაებეკის" კომანდორი ემორ რობერტსი კინის ეჯდა გვერდით. კლინტ ჰილი და მის უკან მდგარი. აგენტი ბილ მაკინტაირი მარცხენა საფეხურზე იდგნენ. ჯონ რიდი და აგენტი ლენდისი კი — მარჯვენა საფეხურზე. დეივ პაუერსი მარჯვენა გადასაწევ სკამზე იჯდა, კენ ო'დონელი — მარცხენაზე. აგენტი ჯორჯ ჰიკი უკანა დასაჯდომის მარცხენა მხარეს,

აგენტი ვლენ ბენეტი მარჯვენაზე. მათ შორის AP-15233 სისტემის ისეთი გამხვრეტი ძალის მქონე ავტომატი იდო, რომ მკერდში მოხვედრილი მისი ტყვია ადამიანს თავსაც აცლიდა.

ვიცე-პრეზიდენტის ღია, გადახდილი მანქანა „ჰავბეკს" ორნახევარი ავტომობილის კორპუსის დაშორებით მიპყვებოდა, რაც ვიცე-პრეზიდენტის როლს უსვამდა ხაზს. პარადების მოყვარულ რალფ იარბოროს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, რომ ჯონსონს ეს ამბავი დიდად არ ეჭაშნიკებოდა. უკანა დასაჯდომის მარცხენა მხარეს მჯდარი სენატორი აღფრთოვანებით იქნევდა ხელებს. მოღუშული ლინდონ ჯონსონი კი მხოლოდ წინ იცქირებოდა.

„ვერსიტი" — დახურული მანქანა, ვიცე-პრეზიდენტის მანქანის უკან მიდიოდა და მას ტეხასის პოლიციის აგენტი მართავდა.

მანქანა, რომელშიაც პრესის წარმომადგენლები ისხდნენ, სატელეფონო კომპანიისათვის ქირით გამოერთვათ და მძღოლიც იქაური იყო. კილდაფი და იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი მერიმენ სმიტი წინ ისხდნენ. თეთრი სახლის უფროსი კორესპონდენტი ყოველთვის შუა ადგილას იჯდა ხოლმე. ასე რომ, რადიოტელეფონთან ყველა კორესპონდენტზე ახლოს ის იყო. ასოშიეიტედ პრესის წარმომადგენელი ჯეკ ბელი, დალასის „მორნინგ ნიუსის" რეპორტიორი ბასკინი და „ამერიკენ ბროდკასტინგ კომპანის" კორესპონდენტი ბობ კლარკი უკან ისხდნენ. კრიტიკულ სიტუაციაში მათ ამ მანქანიდან არაფრის გადაცემა არ შეეძლოთ, თუ სმიტი მათ ტელეფონს არ დაუთმობდა. ხოლო სმიტი, ეს ჩოფურა, შკაცრი სახის კაცი ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული ჟურნალისტი გახლდათ.

მათ მისდევღნენ ფოტოგრაფების ღია მანქანები, ხოლო სულ უკან კორტეჟის სხვა მანქანები გაძაბულიყო.

პრეზიდენტის კორტეჟმა მოკინგბერდ-ლეიზე შეუხვია. აქ ხალხის დახვედრა კონელის ვერც კი წარმოედგინა. მაგრამ მოტყუვდა. ბერფუტ სანდერსმაც ის დღე მოიგონა, როცა 1960 წლის 13 სექტემბერს კენედიმ და ჯონსონმა ლემონ-ავენიუზე გაიარეს. მაშინ იქ კაცის ჭაჭანება არ იყო, თუმცა კენედი იმ დროს პრეზიდენტობის კანდიდატი გახლდათ მხოლოდ; ახლა კი პრეზიდენტი. კორტეჟს ალაგ-ალაგ ახლაც ხვდებოდა უკაცრიელი ადგილები.

სიცხე მატულობდა, მზე თვალს სჭრიდა. ჟაკლინს უნებურად ეხუჭებოდა თვალი. ჰოდა ი, გაიკეთა კიდეც შავი სათვალე, მაგრამ პრეზიდენტმა სთხოვა მოიხსენიო — ხალხს შენი დანახვა სურს, სათვალე კი სახეს გიმალავსო. ჟაკლინმა სათვალე მოიხსნა, თუმცა კვლავ ხელში ატრიალებდა და როცა გზის გასწვრივ არავინ იყო, ფარულად იკეთებდა. ლემონ-ავენიუზე „ლინკოლნი" გვირაბში შევიდა. ჩრდილის მოკლე ზოლმა ქალს სული მოათქმევინა.

კენედის ბრძანებით კორტეჟმა ორჯერ შეაჩერა სვლა. ლემონ-ავენიუსა და ლომო ალტოს კუთხეში გამწკრივებულ ბავშვებს პლაკატი ეჭირათ: „ბატონო პრეზიდენტო, გთხოვთ შეჩერდეთ და ხელი ჩამოგვართვათ".

— ჭოდით აქ შეეჩერდეთ, ბილ, — დასძახა კენედიმ თავის მძღოლს. პრეზიდენტი მანქანიდან გადმოვიდა. ყიჟინით მიეარდნილმა ბავშვებმა კინაღამ ძირს დასცეს.

ამ სცენას დიდი მოწონებით შესცქეროდნენ იქვე მდგარი პრეზიდენტის მომხრე ცოლ-ქმარი გაუდეტები. ქალბატონ გაუდეტს რაღაც ქვეცნობიერი ასოციაციები გაუჩნდა. სწორედ იმ დილით, ადგილობრივ რადიოგადაცემას მოუსმინა. გადაცემაში დაწვრილებით აღწერდნენ პრეზიდენტ ლინკოლნის მკვლელობის ამბებს. დილით ჭოსმენილს ქალი ახლა ქმარს უამბობდა და ბოლოს დასძინა:

— პრეზიდენტი კენედი „მეწამული გულის" ორდენით მარტო დალასში ჩამოსვლისათვის არის დასაჯილდოებელი.

კელერმანმა და მისმა აგენტებმა ბავშვებს თავაზიანად სთხოვეს დაშლილიყვნენ. ქალაქი ჯერჯერობით უწყინარი ჩანდა. მოწინავე ჭანქანაში მჯდარი ლოუსონის წინადადებით გვირაბები ხალხისაგან უნდა დაეცალათ, იქ მხოლოდ ფორმაში გამოწყობილი პოლიციელები უნდა დარჩენილიყვნენ. როგორც პირველ გვირაბში გავლისას დარწმუნდნენ, მისი რჩევა ყურადღოთ. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო.

მანქანიდან პრეზიდენტის მეორედ გადმოსვლისას, აგენტები, რასაკვირველია, კვლავ ფხიზლად იყვნენ, მაგრამ თავდაჭერილად. კენედიმ მონაზონ ქალთა ჯგუფის მისალმება ისურვა. როგორც კათოლიკეს, მას ყოველთვის ახარებდა მათთან შეხვედრა, მაგრამ დაცვის უტაქტო აგენტებს შეეძლოთ გაეუგემურებინათ იგი.

ლინდონ ჯონსონმა მის ჭანქანაში რადიოს ჩართვა ბრძანა. ად-

ჯილობრიკი სადგურის დიქტორი კორტეჟის მსვლელობის ცნობას ეადასცემდა.

რიგან-სტრიტზე, თავისი მრეველის ჭაბუკთა შორის მღვდელი ოსკარ ჰიუბერი ჩამდგარიყო.

— ეიცი, რატომაც ხართ აქ. მე ვერ მომატყუებთ. თქვენ პრეზიდენტის ნახვა კი არა, ჯეკისათვის თვალის შევლება გსურთ, — ეხუმრებოდა იგი ახალგაზრდებს.

სწორედ ამ დროს მღვდელს მოტოციკლების გუგუნი მოესმა. შეჯგუფულმა ახალგაზრდებმა ხელი შეუშალეს მოხუც მღვდელს დაეხახა პრეზიდენტი. მაგრამ თვითონ პრეზიდენტმა შენიშნა იგი. შოტრიალდა, მღვდელ ჰიუბერს პირდაპირ სახეში შეხედა და გაუღიმა:

— ვაშა! — დაიძახა აღფრთოვანებულმა მღვდელმა.

იქვე მოსახვევთან, კორტეჟის სავალი გზის ვიწრო ყელის დასაწყისში, უზარმაზარი საცხოვრებელი სახლის მეცხრამეტე სართულზე „მორნინგ ნიუსის" გამომცემელი ტედ დილი ტელევიზორს მისჯდომოდა. მან იმ დილით ექიმს თავისი ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა შეამოწმებინა და სახლში ახლად შემოსულს, სპორტული ხალათი გადაეცვა. დილიმ ბოიკოტი გამოუცხადა საეაჭრო ცენტრში გამართულ საუზმეს. გაზეთი „მორნინგ ნიუსის" წარმომადგენლად თავისი ვაჟი გაგზავნა. ტედს ქუჩიდან ხმაური შემოესმა და ფანჯარაში გაიხედა. კორტეჟი ოუკ ლაუნპარკის გაელით მიდიოდა.

მოწინავე მანქანა პარკში მდგარ გენერალ რობერტ ლის ქანდაკებას გასცდა. ფორესტ სორელზს ძველი დრო, კერძოდ ის დღე მოაგონდა, როცა ამ ქანდაკების გახსნას ფრანკლინ რუზველტი ესწრებოდა. სორელზი მაშინ ჭაბუკი აგენტი იყო და პირველად მიანდეს გამოჩენილი მოღვაწის დაცვა. გაახსენდა მაშინდელი შიშიც, მერე რომ ჩვეულ ამბად ექცა. თუმცა შენობების ეს ღია ფანჯრები აგენტს ახლაც არ ასვენებდნენ.

ხალხი მატულობდა. მოსახვევების ყოველი სანტიმეტრი ადამიანებით იყო გაჭედილი. იგრძნობოდა მოლოდინის დაძაბულობა. დალასის დემოკრატიული პარტიის საარჩევნო ოლქის შტაბის წინ საგრაფოს ხაზინადარი გ. გარდინგი იდგა. პრეზიდენტმა გარდინგს ოთხი ფუტის დაშორებით ჩაუარა. გარდინგი გააოცა პრეზიდენტის

სახის შეწუხებულმა გამომეტყველებამ და გვერდით მდგარ მოსამართლეს ჰკითხა, მე მეჩვენა ასე თუ შენც იგივე შთაბეჭდილება დაგრჩაო. მოსამართლემ კვერი დაუკრა. სწორედ ამ დროს ქუჩის მოპირდაპირე მხარეზე გარდინგმა ორი ყმაწვილი დაინახა. ბიჭებს ხელში გოლდუოტერის უზარმაზარი ემბლემა ეჭირათ. აღშფოთებულმა გარდინგმა ბიჭებს მუშტი მოუღერა და კორტეჟის ჩავლისთანავე მათთან მიიჭრა: „მიპასუხეთ, რატომ შეგაქვთ პრეზიდენტის ვიზიტში პარტიული პოლიტიკის ელემენტი?“ მკაცრი ხმით ჰკითხა გარდინგმა. საჩხუბრად მომართული ბიჭები გარდინგს ჯიქურ დაუხვდეს. ერთ-ერთმა პრეზიდენტს შეაგინა კიდეც. გარდინგმა ჭაბუკს სასტიკად შეუტია, მაგრამ ამ დროს გარდინგს დაუძახეს. 12 საათი და 15 წუთი იყო. თხუთმეტ წუთში საეკლესიო ცენტრში უნდა ყოფილიყო. კორტეჟის მისასწრებად მოკლეზე გადაკვეთის შემთხვევაშიც დიდი სიჩქარე მართებდათ. გარდინგმა ყმაწვილებსა და მათ ემბლემას მკაცრი მზერა შეავლო და სხვა მხარეზე გადავიდა.

ლაივ ოუკ-სტრიტიდან ხალხის გუგუნი მოისმოდა. ქვაფენილის გასწვრივ რვა, ათ, ზოგჯერ თორმეტ მწკრივადაც კი იდგნენ. დაწესებულებათა მდივანი ქალები ლამის ფანჯრებიდან გადმომხტარიყვნენ. გეგონებოდათ, კენედის მომხრე ყველა ამომრჩეველს სწორედ აქ მოუყრია თავიო. ჰარვუდ-სტრიტის მარცხნივ მჭიდროდ მდგარ ხალხთა გროვაში ბევრი შაგგერემანი მექსიკელიც ჩანდა. ხალხის ასეთმა ჭყლეტამ გრირი აიძულა მანქანის სელა საათში ოც მილზე შეენელებინა, მერე თხუთმეტზე ჩამოვიდა, მერე ათზე და ბოლოს შვიდი მილის სისწრაფითღა მიდიოდა. „ლინკოლნის“ მარცხენა ფრთიდან ორი ფუტის დაშორებით მოტოციკლზე მჯდარი ბ. ვ. ჰარჯისი საოცრად შეავიწროვა მოზღვავებულმა ხალხმა. ხალხის ბრბო ჟაკლინისაკენ იზიდებოდა. მისი თეთრხელთათმნიანი ხელის ყოველ აწევას გაბმული შეძახილი მოსდევდა—„ჯეკი-ი-ი!“ ყველაზე აქტიური აგენტი კლინტ ჰილი იძულებული გახდა „ჰავბეკის“ საფეხურიდან ჩამომხტარიყო და ჰარჯისს მიშველებოდა, აგენტი მთელი ტანით აეფარა ჟაკლინს.

ახლა კორტეჟი უკვე მეინ-სტრიტზე მიდიოდა. გზაჯვარედინის გეზად, ქალაქის ცენტრის უზარმაზარი ნაცრისფერი შენობა იყო აღმართული — პოლიციის უფროსის კარის შტაბ-ბინა. როცა პრეზი-

დენტის მანქანამ, კარის მანქანის მსგავსად, მარჯვნივ შეუხვია, კეხედიმ თორმეტი კვარტალის სიგრძეზე გაძაბული ადამიანთა ხეობა დაინახა, კანტორის მოსამსახურეთა შეძახილებით და ალმების ფრიალით სავსე ათას ხუთასი იარდის სიგრძის ვიწრო ხახა. ამ ცოცხალ ხეობას თავს წამოსდგომოდა მცხუნვარე მზის ქვეშ ულრუბლო ზეცისკენ აზიდული, დალასის საქმიანი ნაწილის რვა ცათამბჯენი. რესპუბლიკური ნაციონალური ბანკის შენობის წვერზე აღმართული მბრუნავი პროექტორი ახლა უმოძრაოდ იდგა და ზეცის ლაჟვარდს ნემსივით გარჭობოდა. სავაჭრო ბანკის ახალთახალი მბრწყინავი შპილის საათი ცენტრალური სტანდარტული დროით 12 საათსა და 21 წუთს უჩვენებდა. მნიშვნელობა აქვს ამის დახუსტებას. ასი წლის წინ, 1865 წლის 15 აპრილს, დილის 7 საათსა და 20 წუთზე ვაშინგტონის მეათე ქუჩაზე მდებარე თერძ უილიამ პეტერსონის სახლში გარდაიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ავრაამ ლინკოლნი. იმ დროისათვის თუმცა ოთხი წლის შემოღებული იყო აღმოსავლეთის სტანდარტული დრო, მაინც ვერავინ შენიშნა განსხვავება ცენტრალურსა და აღმოსავლეთის სტანდარტულ დროს შორის. ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა. მაშინ მოქმედების ადგილას მყოფი ადამიანები და ქვეყნის სხვა ნაწილებში მცხოვრებნი სულ სხვადასხვა სამყაროს ხალხნი იყვნენ. დროსა და სივრცეს მაშინ უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. იმ დროისათვის, როცა შორეულ კუთხეებში მცხოვრებნი მკვლელობის ამბავსა და მის მნიშვნელობას იგებდნენ, მათი ცხოვრების პირობები იმდენად იცვლებოდა, რომ პრეზიდენტის სიკვდილს ვაშინგტონში მცხოვრებლებთან შედარებით სულ სხვა კუთხით აღიქვამდნენ.

1963 წლის 22 ნოემბერს კი ყველაფერი სხვაგვარად იყო. მარტო ტელევიზიამ ისეთნაირად შეამცირა დედამიწის განზომილებანი, რომ დიდი ტრაგედიით გამოწვეული შეძრწუნება ერთსა და იმავე დროს იგრძნო ასეულ მილიონობით ადამიანმა.

ჩვენი საუკუნე — მოგზაურობისათვის არნახული სისწრაფის საუკუნეა. მე-19 საუკუნის საშუალო ამერიკელი, თითქმის არასოდეს ტოვებდა შობლიურ შტატს. ხშირად ისე კვდებოდა, დაბადების ადგილს ოცდაათი მილითაც კი არა შორდებოდა. ჩვენს დროში მცხოვრები მისი შვილთაშვილი კი, იბადება ქვეყნის ერთ კუთხეში,

ცოლად ირთავს მეორე კუთხის ქალს. ხოლო მუშაობს მესამეში. 40-იანი წლების დასაწყისში იგი იბრძოდა აფრიკაში, ევროპაში, აზიაში. ახლა მას ერთ საათში შეუძლია ბოსტონიდან ნიუ-იორკს ჩაფრინდეს ან ზაფხულის მოკლევადიან შვებულების დროს მთელი მხარე გადასეროს. ზოგიერთმა პროფესიამ ხომ ადამიანი ნაწილ-ვილ მოხეტიალედ აქცია. რაც უფრო მდიდარი და გავლენიანია იგი, მით უფრო ხშირად სარგებლობს საჰაერო ტრანსპორტით. რადგ-ან ყოველი პრეზიდენტი თავისკენ მხოლოდ გავლენიან პირებს იწვ-ევს (თვითონ კენედიც საკმაოდ დიდ ქონებას ფლობდა), ბუნებ-რივია, პრეზიდენტთან თავისი საქმიანობითა და ცხოვრებით დაკავ-შირებული ბევრი ადამიანი იმ ხუთშაბათსაც მოეზაერობდა — ვინ აეროპორტში იყო, ვინ ჰაერში და ვინ კიდევ შორეულ კონ-ტინენტებზე. დიახ, ეს მათთვის სრულიად ბუნებრივი ამბავი გახლდათ.

იმ დროს, როცა ბილ გრეიმ დალასში დიდი „ლინკოლნი" დასაქრა, ჰავაის კუნძულებზე 8 საათი და 21 წუთი იყო. მთავრობის თვით-მფრინავი № 86972 ჰიკემ ფილდის აეროდრომიდან აფრინდა და ძლიერი პირქარის საპირისპიროდ კურსი იაპონიისაკენ აიღო. სოფ-ლის მეურნეობის მინისტრ ორვილ ფრიმენს საუზმე დაემთავრებინა და თავის მეუღლეს ესაუბრებოდა. სახელმწიფო მდივანი დინ რას-კი, ფინანსთა მინისტრი დილონი, ვაჭრობის მინისტრი ჰოდჯესი, შრომის მინისტრი ვირტცი და შინაგან საქმეთა მინისტრი იუდალი თავ-თავიანთ საქმეებს მისჯდომოდნენ. პიერ სელინჯერი თვით-მფრინავის ილუმინატორიდან დაბნეულად დაჰყურებდა ზღვის თვალუწვდენელ მონაცრისფრო-მოცისფრო პანორამას. კაბინაში მჯდარ პილოტს მოწყობილობების ჩვენებათა მიხედვით გაანგარი-შებები გამოჰყავდა. შედეგები არასახარბიელო იყო: ქარის მიმე-ზით თვითმფრინავის სიჩქარე საათში 450 კილომეტრამდე დაეცა. პილოტი ტოკიომდე ძირდაუშვებელ ფრენას აპირებდა, ახლა კი აშკარა იყო აქედან 1874 მილის დაშორებით მღვბარე უეიკში მო-უწევდა დაფრენა და საწვავის აღება. ადრე დასახული გეგმის ეს ცვლილება ნაკლებად აღელვებდათ მაღალი თანამდებობის ამ შგზავრთ. აქ კითხვისა და თვლემის საშუალება მაინც ჰქონდათ, რაც მათთვის ასე ბშვიათი ფუფუნება იყო. ჰოდა აი, ტკბებოდნენ კიდეც. გვერდით, თეთრ სახლთან, დამაკავშირებელი ტელეფონი

იდგა. მაგრამ თითქოს არ არსებობდა მისი აწკარუნების მიზეზი. მათ არც შიფრების წიგნი ჰქონდათ ხელთ.

მათგან ხუთი ათასი მილის დაშორებით — ვაშინგტონში, თეთრ სახლში ყველა ტკბებოდა ერთ-ერთი უმშვიდესი, როგორც ეს მაშინ ეგონათ, დილის დადგომით. ვაშინგტონში 13 საათი და 21 წუთი იყო. 22 ნოემბრის ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად რეზიდენციაში 1339 ტურისტის შემოსევა იყო. უკანასკნელი ტურისტი რომ შევიდა, აღმოსავლეთის ჭიშკარიც დაიკეტა. ვაშინგტონში, — უფრო სწორად, ატლანტიკის მთელი სანაპიროს გაყოლებაზე საუზმის საათი დადგა. თითქმის ყველა, ვინც კი კენედიმ თანამდებობაზე დანიშნა, მისი მოკავშირენი თუ მოწინააღმდეგენი ამ დროს სადღაც საუზმეს უსხდნენ და პოლიტიკის საკითხებს არჩევდნენ. 13 საათსა და 21 წუთზე სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი ჯორჯ ბოლი ფინანსთა მინისტრის მოადგილეს ჰენრი ფაულერს ხორბლის გაყიდვის თაობაზე ტელეფონით ელაპარაკებოდა. ფაულერმა ყურმილი დადო და ფინანსთა სამინისტროს სასადილოში შევიდა, რათა თავის თანაშემწეებს საგადასახადო ანგარიშებზე ძოთათბირებოდა. მერვე სართულზე, სახელმწიფო დეპარტამენტის სასადილოში, სახელმწიფო მდივნის მოადგილე ალექსის ჯონსონს ინდონეზიის ელჩთან ჰქონდა შეხვედრა. სწორედ ამდროს, სხვა მაგიდაზე სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილე ავერელ ჰარიმანი კონგრესმენების დელეგაციას მასპინძლობდა. მდინარე პოტომაკის გაღმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს უფროსი ჯონ მაკოუნი აგენტების ჯგუფთან ერთად საუზმობდა. ჩილის საელჩოს ძიღება გაემართა სენატორ ჰიუბერ ჰემფრისა და პრეზიდენტის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი თანაშემწის რალფ დანგენისათვის. ეს ის ჰემფრი გახლდათ; რომელსაც ჯონ კენედიმ მთავრობაში მოხვედრის იმედები 1960 წელს დასავლეთ ვირჯინიის შტატში ჯერ კიდევ პირველადი არჩევნების დროს დაუმსხვრია. წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ჯოს მაკორმაკი, მეორე კაცი იმათ შორის, ვისაც განსაკუთრებული შემთხვევის დროს კონსტიტუციის ძალით პრეზიდენტის პოსტის დაკავება შეეძლო, მეგობრებთან ერთად წარმომადგენელთა პალატის რესტორანში შევიდა.

13 საათსა და 21 წუთზე პრეზიდენტის თანაშემწე ტედ სორენსენი სასტუმროს ნომრიდან გამოვიდა, სადაც გაზეთ „სტარის“.

კორესპონდენტი რი რობერტსი ცხოვრობდა. თუმცა რობერტსი რესპუბლიკელი იყო, მაგრამ კენედის თაყვანისმცემელია რიცხვს ეკუთვნოდა. კორესპონდენტს უნდოდა სორენსენისათვის რაიმე დაეცდინა იმ დარხეული ხმების თაობაზე, რომ თითქოს ჯონსონი ვერ ძოხვდებოდა მომავალ საარჩევნო სიაში. პრეზიდენტის თანაშემწეები უკვე მთელი თვეა უარყოფდნენ ამ ჭორებს და, ცოტა არ იყოს, მობეზრდათ კიდეც. რობერტსთან საუბარში სორენსენმა ხაზგასმით აღნიშნა — ჯონსონი კენედის კანდიდატურაა. მერე ქვეცხობიერად კენედის ნათქვამი მოაგონდა — 1840 წლიდან დაწყებული ყოველი მეოცე წლის თავზე არჩეული პრეზიდენტი, — ჰარისონი, ლინკოლნი, ჰარფილდი, მაკინლი და ფრანკლინ რუზველტი პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას დაიხოცნენო. კენედი იცინოდა ისტორიის ამ უცნაურობაზე. რა თქმა უნდა, კენედი ცდილობს ამ ტრადიციის დარღვევას, — დასძინა სორენსენმა. დიახ, არც სორენსენს მიუღია ეს ამბავი სერიოზულად, ეს მხოლოდ უცნაური დამთხვევა იყო და მეტი არაფერი. თუმცა რობერტსის მიერ ვიცეპრეზიდენტის ხსენებამ მის მეხსიერებაში წამით მაინც გამოიწვია ამ უცნაური ისტორიული ფაქტების გახსენება.

პენტაგონის „E“ სექტორში ავტოკალმით შეიარაღებული თავდაცვის მინისტრი რობერტ ს. მაკნამარა 50 მილიარდიან სამხედრო ბიუჯეტზე ფიქრობდა. მის გვერდით მჯდარი პრეზიდენტის სპეციალური მოადგილე მაკ ჯორჯ ბანდი, საბიუჯეტო ბიუროს თავმჯდომარე კერმიტ გორდონი, და პრეზიდენტის თანაშემწე მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ჯერი ვიზნერი გამოთვლით მანქანებზე მუშაობდნენ. მუხლობრივად ამოწმებდნენ ბიუჯეტის ცალკეულ ნაწილებს. სულ მოკლე ხანში პრეზიდენტს უნდა სწვეოდნენ, და მისთვის საბოლოო გადაწყვეტილებანი წარედგინათ.

* * *

ამერიკის შეერთებული შტატების ყველა თანამდებობის პირი როდი სადილობდა ამ საათებში. ზოგი ადრე დანაყრებას ირჩევდა, რათა მალევე შედგომოდა სამუშაოს. ბევრისათვის ეს სამუშაო ხშირად საღამოს 9 — 10 საათამდე გრძელდებოდა. აშშ-ის უმაღლესი სასამართლოს წევრები კაპიტოლიუმის უკან მდებარე მარმა-

რილოს ტაძრის პანელებით გაწყობილ გრძელ კონფერენც-დარბაზ-
ში გადავიდნენ. მაღალზურგიან ტყავის საკარძლებს მოსამართლე-
თა გვარის მაუწყებელი სპილენძის ფირფიტები ჰქონდა მიკრული.
მაუდგადაფარებული მაგიდის შორეულ კუთხეში, სწორედ კართან
უმაღლესი სასამართლოს ახლად არჩეული წევრი არტურ გოლდ-
ბერგი იჯდა. არც ერთ გარეშე პირს არ ჰქონდა ამ სხდომებზე და-
სწრების უფლება. რაიმე სასწრაფო ცნობის მოსვლის შემთხვევაში
შიკრიკს მხოლოდ კარზე დაკაკუნება თუ შეეძლო. კარის კაკუნს კი
გოლდბერგი ეხმაურებოდა.

ასევე უმკაცრესი საიდუმლოების რეჟიმს იცავდნენ პენტაგონის
ოქროს დარბაზშიც. აქ შტაბის უფროსების გაერთიანებული კომი-
ტეტისა და დასავლეთ გერმანიის ბუნდესვერის მეთაურთა გაერ-
თიანებული სხდომა მიმდინარეობდა. ამ კომიტეტის თავმჯდომარე,
მეცნიერის გარეგნობის მქონე ელეგანტური გენერალი მაკსუელ
ტეილორი მაგიდის ერთ მხარეს იჯდა. მის მოპირდაპირე მხარეს კი
ბუნდესვერის გენერალური ინსპექტორი გენერალი ფრიდრიპ ფერ-
ჩი დაესვათ.

ყველა პარადულ ფორმაში იყო გამოწყობილი — გერმანელები
მოვალეობის გრძნობის კარნახით, ამერიკელები კი გერმანელების
წამხედურდობით. ყველას ორდენების ნაირფერი ლენტები და
ბრეკეიილა აქსელბანტები ეკეთა.

თავიანთი ბრწყინვალებით გენერლები უმაღლეს სასამართლო-
საც კი ჯაბნიან. გარეგნული იერით სამხედროები მარტო ეკლესიას
თუ ჩამოუვარდებიან. აკი ემზადებოდა კიდეც კარდინალი რიჩარდ
კაშინგი მათ დასაჩრდილად. იგი ბოსტონის სამხედრო-საჰაერო
ბაზის ახალი სარდლის მოლოდინში იყო. მისი უსამღვდელოესობა
შესაფერი ჩინებულებით აპირებდა დახვედრას. ძვირფას სამოსელ-
ში გამოწყობილი კარდინალი წმინდანების ოქროს ქანდაკებებს,
მდიდრულად მორთულ საკურთხეველსა და შუა საუკუნეების სიუ-
ჟეტებზე შექმნილ სურათებს შორის აღმართულიყო. ფართო
მხარბეჭით, კვადრატული ყბებითა და გამჭოლი გამოხედვით იგი
ჩეროკის ტომის ინდიელს უფრო ჰგავდა, ვიდრე წმინდანს. მის
უსამღვდელოესობას ძველ ჰამიტელთა ბელადივით ეპირა თავი და
მბრძანებლური კილო ჰქონდა. კარდინალი იმედოვნებდა, ბევრი
ლაპარაკი არ მოუწევდა. იგი ასთმით ავადმყოფი გახლდათ და

ფილტვების ემფიზემით შეწუხებულს ქანგბადის ორ-ორი ბალი-შით ეძინა ხოლმე.

— ნუ მიმტკიცებთ, კარგად ვიცი, ოთხი დღე-ღამე სამარეში ნაწოლ ლაზარეს რომ მიმიგავს ხმა, — ებუზღუნებოდა ივი მედიცინის დას.

კენედის ნაცნობ პირთა შორის ყველაზე მოკრძალებული პოსტი დათაფლული ხმის პატრონ „ნეიშნლ ბროდკასტინგ კომპანი" (ენ-ბი-სი) კორესპონდენტ დევიდ ბრინკლის ეჭირა. კორესპონდენტი ძველებურ საწერ მაგიდას დაყრდნობოდა. ახლა გადაცემისათვის ხელსაყრელი დრო არ იყო, და ისიც დუმდა. ენ-ბი-სის ადგილობრივ სადგურში მოდებზე გადასცემდნენ და როგორც ბრინკლი ფიქრობდა, საკმაოდ სულელურადაც. კარდინალ კაშინგის, გენერალ ტეილორისა და უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის უორენისაგან განსხვავებით ბრინკლი ისტორიას არ ქმნიდა. ივი მხოლოდ კომენტარს უკეთებდა მას. მისი სამუშაო მაგიდასთან ყოფნა იძიტომაც უნდა აღინიშნოს, რომ ამ თვრამეტი წლის წინათ, როცა ბრინკლი ჯერ კიდევ ოცდასუთი წლის ჭაბუკი იყო, უორმ-სპრინგსიდან (ჯორჯიის შტატი) მოვიდა ცნობა ფრანკლინ დ. რუზველტის გარდაცვალებისა და მაშინაც ენ-ბი-სის ვაშინგტონის კანტორაში ის ერთადერთი კორესპონდენტი აღმოჩნდა. ბრინკლის დღემდე ახსოვს, როგორ შეახურეს რუზველტის დაკრძალვის დროს სიტყვა „კორტეჟის" არასწორად წარმოთქმის გამო.

ჰაიანის-პორტში კი პრეზიდენტის ბიძაშვილმა ქალმა ენ გარგანმა საწოლში ჩააწვინა პრეზიდენტის ღრმად მოხუცებული მამა ჯოზეფ პ. კენედი. მოხუცი ნასადილევს ისვენებდა და ცოტა თვალსაც ატყუებდა ხოლმე. მათ ის იყო ტელევიზორში ერთად მოუსმინეს დღის პირველ საათზე გადმოცემულ ახალ ცნობებს. დამბლადაცემულ ყოფილ ელჩს აინტერესებდა, რომელი ვაჟიშვილი იმყოფებოდა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. წამოწვა პრეზიდენტის დედაც. ენ გარგანი თავის დასთან დეტროიტში აპირებდა გაძგზავრებას და მზადებას შეუდგა. ელჩის მომველელი ქალი რიტა დალასი ენს ჩაცმასა და გამზადებაში ეხმარებოდა.

ჰაიანის-პორტიდან ექვსასი მილის დაშორებით ამერიკის შეერთებული შტატების სენატის წევრებს თვალები ებლიტებოდათ ფედერალურ საბიბლიოთეკო საქმეზე გამართულ ძილისმომგვრელი

კამათისაგან. ვინაიდან სენატის თავმჯდომარედ შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი ითვლებოდა და იგი იქ არ იყო, ჯონსონის ადგილი პრეზიდენტის უმცროს ძმას, ედვარდ მ. კენედის ეკავა. სასენატორო დარბაზის გვერდით იყო ოთახი პრეზიდენტის ოთახის სახელწოდებით. ამ ოთახს ეს სახელი შეერქვა იმის გამო, რომ ლინკოლნიდან დაწყებული ვიდრე გუვერამდე მთავრობის ყველა მეთაური ამ ოთახში აწერდა ხელს კანონპროექტებს. ფრანკლინ რუზველტის დროს კი ამ ოთახით სარგებლობაზე რატომღაც ხელი აიღეს.

სენატის წარმომადგენელი პრესასთან კავშირის ხაზით რიჩარდ რიდელი იმ დღეს მარტო იჯდა პრეზიდენტის ამ ოთახში და „ვაშინგტონ პოსტს“ კითხულობდა. იგი გატაცებით ათვალიერებდა სახ-ახტონიოსა და ჰიუსტონში გადაღებულ ცოლ-ქმარი კენედების მხიარულ სურათებს. დროდადრო სენატის კულუარებში ასოშიეიტედ პრესის ტელეტაიპის შესახედადაც გადიოდა ხოლმე. პრეზიდენტის მომხრე რიდელს დემოკრატთა მხარეზე დადგმული ასოშიეიტედ პრესის ტელეტაიპი ერჩივნა რესპუბლიკელთა ტელეტაიპის ცქერას.

ვიცე-პრეზიდენტის სავარძელში ჯდომა საპატიოდ ითვლებოდა, მაგრამ ედვარდ კენედი, ისევე როგორც უფრო ადრე მისი ძმა, ამას როგორღაც ისე უყურებდა. ძმები კენედები აქტიური ადამიანები იყვნენ. მათ უყვარდათ მამაკაცური თამაშობანი: შეჯიბრებები, ჭიდაობა. იუსტიციის მინისტრი რობერტ კენედი ამ მომენტისათვის უდავოდ, უფრო მშვიდად გრძნობდა თავს, ვიდრე სენატორი ედვარდ კენედი მთელი ხუთშაბათი და პარასკევი დილა რობერტ კენედი იუსტიციის სამინისტროში გამართულ უსასრულოდ გრძელ სხდომებს თავმჯდომარეობდა. ეს საგანგებო სხდომები ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლას მიეძღვნა. სხდომები ნასადილევს უნდა გაგრძელებულიყო. ახლა, კი იგი შინ, მაკლინში (ვირჯინიის შტატი) იყო და საუზმეზე ორი სტუმარიც ჰყავდა მიწვეული: ნიუ-იორკელი პროკურორი რობერტ მორგენტაუ და მისი თანაშემწე. რობერტი მხოლოდ ერთი წუთით გადაეშვა ეზოს სიღრმეში ლურჯად მოლივლივე აუზში. მერე სასწრაფოდ შორტები ჩაიცვა და მეუღლესა და სტუმრებს შეუერთდა.

მთავრობაში რობერტ კენედის განსაკუთრებული მდგომარე-

ობის გამო კავშირგაბმულობის განყოფილებამ საჭიროდ სცნო შიგ სახლში და მის ირგვლივ თეთრი სახლის ტელეფონების მთელი ბატარეა დაედგა. ტელეფონის ნომერ ნეიშნლ 8—1414-ით რობერტ კენედისთან ისევე სწრაფად დარეკავდით, როგორც ჯონ კენედისთან. ეს იმ დროს, როცა ლინდონ ჯონსონს თეთრ სახლთან დამაკავშირებელი მხოლოდ ერთი ტელეფონი ჰქონდა. რობერტ კენედის სახლის ირგვლივ მარტო ამ მონაკვეთზე ორი ტელეფონი იდგა: ხის მწვანე პატარა ყუთში აუზის შესასვლელთან და ასევე ხის ყუთში ჩოგბურთის კორტთან.

მშვიდობის კორპუსის დირექტორის სარჯენტ შრივერის მოადგილე ბილ მოიერსი ახლა საუზმობდა. ეს ნიუიერი ახალგაზრდა ტეხასელი, პრეზიდენტთან შეხვედრის მოსაწყობად, ოსტინში ნინასწარ იყო გაგზავნილი. მოიერსმა ადრევე შეამოწმა პრეზიდენტის შესახვედრად გაწეული მუშაობა და ნაბეჭდი პროგრამების გარდა იმდღევანდელი საღამოსათვის ყველაფერი გაკეთებულად ეჩვენა. მომზადებული იყო სტუმართა მისაღები ადგილები, ტონახახევარი სალათი, გუზგუზებდნენ კოცონები რვა ათასი ულუფა შემწვარის მოსამზადებლად (კათოლიკები პარასკევობით შემწვარს არ მიირთმევენ, მაგრამ ახლა გვიან იყო მენიუს შეცვლა). გაყიდულმა ბილეთებმა კენედ-ჯონსონის საარჩევნო ფონდს 350 ათასი დოლარი შესძინა. მთელი შტატიდან დილიდანვე მოაწყდნენ ოსტინს ბილეთების მფლობელნი. უმრავლესობა ჯერ ისევ გზაში იყო, თუმცა ზოგი ჯერ სახლიდანაც არ გამოსულიყო. მათ შორის დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წევრი ბაირონ სკელტონი.

გამოცოცხლება იგრძნობოდა ლინდონ ჯონსონის რანჩო „ეულკანში“ (ასე იხსენიებდა მას საიდუმლო სამსახური). თეთრი სახლის დაცვის აგენტებით აივსო იქაურობა. საღამოს რვა საათისათვის განზრახული იყო „ეულკანის“ გარშემორტყმა, რის შემდეგაც იქით მხოლოდ საშვებით გაატარებდნენ. მდინარის პირად მსახიობებთან გენერალურ რეპეტიციას გადიოდა ბეს ებელი. სამზარეულოს წინ ხის გრძელ მაგიდაზე აწყობდნენ ასეულობით ახალგაზმომცხვარ ღვეზელს. თვით სამზარეულოში მოფუსფუსე ელენ უილიამსი კი მუშაობის შეუწყვეტლად რადიოთი ისმენდა პრეზიდენტის კორტეჟის დალასში მსვლელობის ამბებს.

* * *

ფორტ-უორტში ტელევიზორს მიმჯდარი მარგარიტა ოსვალდი ლაშის ექვსი საათი ეკრანს თვალმოუშორებლად მისჩერებოდა. ქალი საყვარელმა პროგრამამ გაიტაცა და პრეზიდენტის ვიზიტი სულ მთლად დააეიწყდა. ასეთივე გატაცებით შესცქეროდა ტელევიზორ „ზენიტის“ ეკრანს ირვინგში მყოფი მარინა ოსვალდიც. რუთ პეინი საშზარეულოში საუზმეს ამზადებდა. ხოლო რუთის ქმარი მაიკლი გამუდმებით პრეზიდენტის ვიზიტზე ფიქრობდა. იგი ამდროს სტუდენტ დეივ ხოელთან ერთად ფორტ-უორტსა და დალასს შორის მდებარე რესტორანში საუზმობდა. პეინს როგორღაც ამ უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მხოლოდ მკვლელობასთან დაკავშირებული ბოროტი ხუმრობები ესმოდა და ცუდ გუნებაზე იყო. საუზმის. დროს (შემდგომ მან ვერ მოიგონა, პირველად ვინ დაიწყო ამაზე ლაპარაკი) მკვლელის ფსიქიკის ისტორიული თვალსაზრისით გახსნას შეეცადნენ. მაგრამ ვანსჯას მალევე თავი მიანებეს, დარწმუნდნენ. რომ არც ერთ მათგანს ისტორიის საამისო ცოდნა არა ჰქონდა.

პარასკევი დალასში ხელფასის გაცემის დღეა. ეს კი პარკლენდის ჰოსპიტალისათვის ჩხუბში ნაცემ და დაჭრილ მთვრალ პაციენტთა ძოსლვავებას ნიშნავდა. „სასწრაფო დახმარების“ მიმღებში ასეთ დაზარალებულთა მოწყდომას მხოლოდ გვიან ღამით ვარაუდობდნენ. შუადღისას ჯერ ისევ მშვიდი ამტოსფერო სუფევდა. მთავარი ქირურგი ჰიუსტონში გახლდათ, უფროსი სამედიცინო და მედიცინის მუშაკთა კონფერენციაზე იყო წასული. ჰოსპიტლის დირექტორი ჯეკ პრაისი თავისი კაბინეტის ფანჯარასთან იდგა და აძიხლის მშვენიერებით მოსიბლული ჰარი ჰაინსის ბულვარს გაჰყურებდა. თან იმაზე ფიქრობდა, დართავდნენ თუ არა ჰოსპიტლის თუნდაც რამდენიმე თანამშრომელს პრეზიდენტის კორტეჟის საცქერლად ქუჩაში გასვლის უფლებას.

პარკლენდის ჰოსპიტლის მახლობლად, სავაჭრო ცენტრის შენობაში, ბონდომებით იმეორებდა ვიღაც ორღანისტი ჰიმნ „დიდება ბელადის“ სტროფებს. ორას ტეხასელ პოლიციელს შემოერტყა ალყა სავაჭრო ცენტრის შენობისათვის. დალასის საპოლიციო სამმართველოს სერჟანტმა რობერტ დაგერმა დაინახა, როგორ წაიყვა-

ნეს სამოქალაქო ფორმიანმა პოლიციელებმა კენედის საწინააღმდეგო პლაკატებიანი სამი კაცი. პოლიციის უფროსის კარის გადაწყვეტილება, გამოეყენებინა თავისი მთავარი ძალები იმ შენობის დასაცავად, სადაც საუზმე უნდა გაემართათ, იმ უნდობლობის მაუწყებელი იყო, რასაც დალასის ხელმძღვანელები საკუთარი თავის მიმართ განიცდიდნენ. მოპატიჟებულთა სიაში ძირითადად გავლენიანი სამოქალაქო მოღვაწენი იყვნენ. მათ შორის მყოფ პრეზიდენტს სრული უშიშროება უნდა ჰქონოდა გარანტირებული. მაგრამ ეს ასე არ გახლდათ. ბევრი მათგანი ულტრამემარჯვენე ორგანიზაციებს ეკუთვნოდა. დალასის „ტაიმს ჰერალდის" გამომცემელი სიაში ჯონ ბერჩის გვერდით ეწერა. ასე რომ, თუ აეროპორტს არ მივიღებთ მხედველობაში, სავაჭრო ცენტრი ადგილობრივი უშიშროების სისტემის შედარებით მნიშვნელოვანი რგოლი იყო.

ამ სისტემის ყველაზე სუსტად დაცული ადგილი, დალასის საქმიან ნაწილში, დილის მოედანი გახლდათ. პოლიციის აზრით, ხალხი მოედნის აღმოსავლეთით მეინ-სტრიტზე მოიყრიდა თავს და მისი ყოველი კვარტალი პოლიციის ინსპექტორის მეთვალყურეობის ქვეშ იქნებოდა. ვარაუდობდნენ, რომ კორტეჟის სისწრაფე უზრუნველყოფდა უშიშროებას იმ მომენტამდე, ვიდრე პრეზიდენტი კარგად დაცულ სავაჭრო ცენტრს არ მიაღწევდა. ლაე ფილდის აეროდრომზე — 365 დალასელი პოლიციელი იყო, სავაჭრო ცენტრში — 60, მაშინ როცა ორი კვარტალის გაყოლებაზე მეინ-სტრიტიდან, ვიდრე გვირაბამდე სულ რამდენიმე პატრული იდგა. არ არსებობდა უშიშროების ორგანიზებული სისტემა. კორტეჟს ნელა უხდა ევლო. დაცვის ასეთი სხვაობა იმით აიხსნებოდა, რომ კორტეჟის მსვლელობის მთელი ამ ზიგზაგისებური გზის გასწვრივ მეინ-სტრიტს, ჰიუსტონ-სტრიტსა და ელმ-სტრიტს შორის არ მოელოდნენ ხალხის დიდ თავშეყრას.

რა თქმა უნდა, წიგნების საწყობის შენობის გასწვრივ გაცილებით ნაკლები ხალხი იყო, ვიდრე სავაჭრო რაიონში, მაგრამ აქაც საკმაოდ ბევრი ხალხი გამოსულიყო. ეიბ ზაპრუდერის მდივანი ქალი შენობიდან დაბლა იყურებოდა და გაოცებას ვერ მალავდა ხალხის ასეთი მოზღვავების გამო. ზოგს ბავშვებიც ახლდნენ თან. ერთი ახალგაზრდა მამა ჩარლზ ბრენდი თავის ხუთი წლის ბიჭუნას ერთთავად ამას უმეორებდა:

— არ დაგავიწყდეს პრეზიდენტისათვის ხელის დაქნევა, ვინ იცის, იქნებ გიპასუხოს კიდეც.

სახელმძღვანელოების საწყობის წინ მდგარ როი ტრუსლსა და მის თანამშრომელ ყმაწვილებს მოახლოებული მოტოციკლების გრუხუნი შემოესმათ. მათგან მარჯვნივ, ასე ოცდაათი ფუტის დაშორებით, წიგნების საწყობსა და გვირაბს შორის, საგზაო ნიშნების ქვეშ, ბეტონის დაბალ სამაგრზე ჩია ზაპრუდერი მოკალათებულიყო. კინოკამერისათვის ტელეობიექტივი წამოეცვა და მის უკან მდგარ სტენოგრაფისტ ქალს თავაზიანად უხსნიდა:

— შარიონ, მე თუ აქეთ-იქით ტრიალი დავიწყო, შენთან ლაციცად არ ჩამომართვა. გადაღებისას წონასწორობის დაცვა მჭირდება, გესმის? ჩემი „ზუმარი" გამოსახულებებს ამახინჯებს და ცქერა მიძნელდება ხოლმე.

სწორედ ამდროს, ფხიზელი თვალის მქონე რომელიმე პოლიციელს ყურადღებით რომ შეეთვალიერებინა გაღებული ფანჯრები, ისტორიის მსვლელობის შეცვლა მოხერხდებოდა. ოსვალდი უკვე იდგა თავის საბრძოლო პოზიციაზე და დაბლა მყოფთ თავისუფლად შეეძლოთ მისი დანახვა. შაშხანების ავ-კარგში საკმაოდ გარკვეული ახალგაზრდა, ვინმე არნოლდ როულენდი, იქ თავის მეუღლესთან ერთად იდგა. როულენდმა ფანჯარაში ოსვალდის სილუეტს შოჰკრა თვალი, რომელსაც, როგორც ჭას ენიშნა, სტერეოსკოპიულ საბიზხიანი შაშხანა ეჭირა. ოსვალდს ერთი ხელი კონდახზე ჰქონდა, მეორე კი ლულაზე.

ცოლ-ქმარ როულენდებიდან თორმეტი ფუტის დაშორებით პოლიციელი იდგა, მაგრამ არნოლდს აზრადაც არ მოსელია მისთვის რამე ეთქვა. იგი არც დაეჭვებულა, რომ ფანჯარაში მყოფი კაცი პრეზიდენტის მცველი არ იყო, მან მხოლოდ თავის ცოლს გადაულაპარაკა:

— გინდა საიდუმლო სამსახურის აგენტი დაგანახო?

— აბა სად? — ჰკითხა ქალმა.

— აი იქ, იმ შენობაში, — მიუთითა ქმარმა.

ჰიუსტონ-სტრიტის დასავლეთ მხარეზე კანტორის ორი მოსამსახურე რობერტ ედვარსი და როლანდ ფიშერი იდგნენ. სამუშაოდან განთავისუფლებული ყმაწვილები კარგა ხანია მოსულიყვნენ

და თბილი ამინდით ტკბებოდნენ. უეცრად ედვარდმა თითი გაიშვირა:

— ერთი იმ ბიჭს შეხედე.

ფიშერმა მითითებული სახლისაკენ გაიხედა. ისინი იარაღს ვერ ხედავდნენ, მაგრამ ედვარდის ყურადღება ოსვალდის პოზამ მიიპყრო. იგი ფიშერსაც უცნაურად ეჩვენა, ოსვალდი მონუსხულივით ძარჯვნივ იყურებოდა. ფიშერს მოეჩვენა, რომ იგი „არ ირხეოდა, თვალს არ ახამხამებდა, ქანდაკების მსგავსად უმოძრაო თვალებით იყურებოდა".

ოსვალდის ყველაზე ახლოს მნახველი მაინც წყალსადენის ოსტატი ჰოვარდ ბრენანი გახლდათ. იგი მოედანზე 12 საათსა და 18 წუთზე მოვიდა (სახელმძღვანელოების საწყობის შენობის სახურავზე აღმართული ფირმა „ჰერცის" შუქრეკლამის საათის წყალობით იქ მისვლის დრო მანაც ზუსტად იცოდა). ბრენარი მოედნის საშფუტხახევრიანი სიმაღლის ცემენტის თეთრ ღობეზე მოკალათდა, სწორედ საწყობის შესასვლელის პირდაპირ, იქ, სადაც როი ტრულის ძეთაურობით საწყობის მოსამსახურეთა ჯგუფი იდგა. დიახ, ჰიუსტონ-სტრიტისა და ელმ-სტრიტის გადაკვეთის ადგილას მოკალათებული ბრენანი ოსვალდისაგან ორმოცი იარდით დაბლა იმყოფებოდა. სიცხისაგან მოთენთილმა ბრენანმა სამუშაო ხალათის სახელოთი ოფლი მოიწმინდა და ტემპერატურის გასაგებად ფირმა „ჰერცის" შუქრეკლამას ახედა. მაგრამ ფარის ეს მხარე იმ ადგილიდან არა ჩანდა. ბრენანმა მზერა წიგნების საწყობის მეექვსე სართულს შეავლო და ოსვალდის მოგრძო სახეზე შეაჩერა. იგი მშვენივრად ხედავდა ოსვალდის პროფილს. ბრენანიც ვერ მიხვდა, რატომ იყო ის ახალგაზრდა კაცი ასე გაშეშებულ-გაქვავებული.

უეცრად მეინ-სტრიტიდან შეძახილები მოისმა. ბრენანს, როულეხდს, ედვარდსი და ფიშერს მაშინვე დააეიწყდათ გაღებულ ფანჯარაში გაშეშებული უცნაური ფიგურა და იქით მიტრიალდნენ.

— აი, ისინიც მოდიან! — მღელვარებით წამოიძახა ედვარდმა.

* * *

ჟაკლინ კენედის მოეჩვენა, რომ ეს იყო მექსიკა — ცხელი, ბრბოთვარე, ხმაურიანი მექსიკა, მწველი, მცხუნვარე მზითა და

და აღტაცებული შეძახილებით, მის ირგვლივ ტალღების მსგავსად რომ მაღლდებოდნენ.

ქალს ეგონა, თითქოს გარშემო მყოფი ადამიანები უცხონი აღარ იყვნენ, რომ ისინიც მის უახლოეს ადამიანებად იქცნენ. ფრთებზე პატარა ალმებიანი მბრწყინავი ლურჯი „ლიმუზინი“ ხალხის ტალღას არღვევდა. კორტეჟი წინ მიიწევდა.

12 საათი და 22 წუთი. მეინ-სტრიტი და ერვი-სტრიტი

უეცრად თორმეტიოდე ჭაბუკი ქუჩაში გამოცვივდა. დალასის პოლიციის ინსპექტორმა ჰერბერტ სოიერმა თავის საკომანდო პოსტიდან სიგნალი მისცა. რამდენიმე პოლიციელმა წრე შეჰკრა და ბიჭებს უკან დაახევინეს. გააქტიურების ნიშნები საიდუმლო სამსახურსაც დაეტყო. კლინტ ჰილი ჟაკლინს ზედ გვერდზე მისდევდა, ხოლო ჯეკ რიდი „ჰავბეკის“ მარჯვენა ფრთიდან გადმოხტა, აღფრთოვანებული ფოტო-მოყვარულისათვის გზის გადასაღობად. „ვერსიტში“ ლემ ჯონსმა მანქანის კარი რამდენიმე დუიმზე შეაღო, რომ ლიხდონ ჯონსონზე თავდასხმის შემთხვევაში წინ გაჭრილიყო.

მარცხნივ სავაჭრო ცენტრის შენობა იდგა. ამ სახლის მეშვიდე სართული დალასელი მილიარდერის ჰ. ლ. ჰანტის შტაბ-ბინას წარმოადგენდა. მდივანი ქალებით მხარდამშვენებული ჰანტი დაჟინებით მისჩერებოდა, თუ როგორ მხიარულად ესალმებოდა კენედი შესახვედრად გამოსულ ხალხს.

12 საათი და 23 წუთი. მეინ-სტრიტი და აკარდ-სტრიტი.

მოწინავე მანქანაში მყოფ ფორესტ სორელს ერთთავად გაბმული შეძახილები ესმოდა: „პრეზიდენტი მოდის!“

— ღმერთო ჩემო, გაიხედე რამდენი ხალხია ფანჯრებში გადმოყუდებული, — წაულაპარაკა მან ლოუსონს.

კლინტ ჰილი ფანჯრებს აკვირდებოდა. აკვირდებოდა სენატორი რალფ იარბოროც და სულაც არ მოსწონდა ეს ყურთამდე დაღებული ფანჯრები. იგი აღტაცებაში მოჰყავდა ქვაფენილზე გამოფენილ ხალხს. პრეზიდენტის შემდეგ კორტეჟის ყველაზე გახალისებული წევრი სწორედ იარბოროა გახლდათ. იგი ზედაც არ უყუ-

რებდა კვლავინდებურად მდუმარე ვიცე-პრეზიდენტს. სენატორი ყველას მხურვალედ ესალმებოდა. თვალებით ნაცნობ სახეებს ეძებდა. მისდა გასაკვირად, ძალიან ბევრი ხალხი ჩამოსულიყო ალ-მოსავლეთ ტეხასის სასოფლო-სამეურნეო რაიონებიდან. კანტო-რების ფანჯრებში კი რატომღაც მეგობრებს ვერ მოჰკრა თვალი. და არც მისასალმებელ შეძახილებს გაჰყვიროდა არავინ. იარბორო ქვეშოდან მაღლა იყურებოდა და მათი აზრების გამოცნობას ცდი-ლობდა. როგორც იარბოროს მოეჩვენა, იმ ადამიანებს მეტად პირ-ქუში არაკეთილისმსურველი გამომეტყველება ჰქონდათ. თითქოს ალ'ძფოთებულიც კი იყვნენ იმ მიღებით, ქუჩაში გამოსული ხალხი კენედის რომ უმართავდა.

12 საათი და 24 წუთი. მეინ-სტრიტი და ფილდ-სტრიტი

ფედერალური ბიუროს ადგილობრივ აგენტ ჯიმ ჰოსტს, რომელ-საც ოსვალდისათვის თვალყურის დევნება ჰქონდა დავალებული, სურვილი აუსრულდა: მოსახვევთან მდგარმა კენედის შეავლო თვალი და ახლა სასაუზმე „ალამო გრილში" დასანაყრებლად შევიდა.

12 საათი და 26 წუთი. მეინ-სტრიტი და პოიდრას-სტრიტი

ბარი ფემერმა ავტობუსიდან თავისი დედა დაინახა და ხელის ქნევა დაუწყო. ლიზ კარპენტერს ხალხის გუგუნის გაგონებაზე გუ-ლი ხალისით ევსებოდა: „ჰოდა, ამის შემდეგ ბარი გოლდუოტერსა და დალასის „ნიუსს", გიყვარდეს, შეერყევათ ნიადაგი".

ბაგრამ ყველა როდი გრძნობდა ამდაგვარ გულდაჯერებას. იარ-ბოროს მსგავსად გონზალესიც, დალასისადმი კვლავ სკეპტიკურად იყო განწყობილი. თუმცა სენატორი და კონგრესმენი გამონაკლისს წარმოადგენდნენ. კილდაფი დარწმუნდა თავისი შიშის უსაფუძ-ლობაში. ისეთი პირი უჩანდა, ეს მიღება, ალბათ, ყველაზე უკეთესი გამოდგებოდა ამ კვირაში კენედისადმი მოწყობილ ყველა შეხვედ-რათა შორის, თვით ფლორიდას ჩათვლით. ო'ბრაიენს ამ ქუჩამ ნიუ-იორკის ბროდვეი მოაგონა: შენობათა მიერ შექმნილი ისეთი-ვე ხეობა, ისეთივე აღგზნებული გუგუნი და შეძახილები. ო'დონელი

წამოიმართა, უნდოდა პროფესიული თვალსაზრისით შეეფასებინა არსებული ეითარება. შესაძლოა, კენედის დალასში მხოლოდ ეს ხალხი უჭერს მხარს, მაგრამ მისი აღფრთოვანება ნამდვილად ხალასი იყო. ქვაფენილზე მდგარი ხალხის ყვირილზე: „ჯეკი, აქეთ! აქეთ, ჯეკი-ი-ი!“ ო'დონელს ინსტინქტმა უკარნახა, — პირველი ლედის ჩამოსვლა ფასდაუდებელ წვლილს შეიტანდა მომდევნო თვეების საარჩევნო კამპანიაში.

კენედი კვლავ ესალმებოდა ხალხს. ღრიანცელი მატულობდა. ნელი კოხელის ესმოდა, როგორ ჩურჩულებდა პრეზიდენტი. „გმადლობთ, გმადლობთ, გმადლობთ“. „მაინც რატომ აკეთებს ასე, მათ ხომ არ ესმით მისი სიტყვები?“ — გაიფიქრა ქალმა და ახსნაც თვითონვე მოუნახა; უბრალოდ ჩვეულების გამო. კარგად აღზრდილი კაცია.

ქუჩისაკენ ზურგშექცეული კლინტ ჰილი, მანქანის საფეხურზე იდგა, თუმცა დროდადრო დაბლაც ხტებოდა.

სათვალავი დაკარგა რამდენჯერ ჩამოხტა და ახტა. უკვე მძიმედ სუხთქავდა. რიდი საფეხურზე იდგა. დაცვის დანარჩენი აგენტები კვლავ მანქანაში ისხდნენ.

ლამარ-სტრიტი, ოსტინ-სტრიტი...
12 საათი და 28 წუთი. მეინ-სტრიტი. და მარკეტ-სტრიტი.

კვარტალები გაღარიბდა — კორტეჟი პატარა სავაჭროების, ლოშბარდების, ბარებისა და საშუალო სკოლების ჭრელ რაიონში შედიოდა. „ჩქარა მაინც გაგვეყვანა აქედან“, — გაიფიქრა იარბოროშ, — თუკი მოისურვებენ, შეუძლიათ ზემო სართულიდან პრეზიდენტს ყვავილის ქოთანიც კი ესროლონ, — თუმცა აი უკვე მივიდნენ კიდეც: ორი კვარტალის მოშორებით, მარცხენა მხარეზე სასამართლოს უშნო შენობა მოჩანდა, მარჯვნივ კი — ოლქის არქივის ჩამოთხიპნილი სახლი. მათ უკან უკვე მოედნის მწვანე ღაღანებდა.

„ღმერთო, რა სასიამოვნოა გაშლილი ცის ხილვა“, — გაიფიქრა სენატორმა. მერე გაახსენდა, ამ შენობაში სასამართლოს ნაცნობი ჩინოვნიკები რომ ჰყავდა და მანქანაში აწრიალდა; თვალებით ნაცნობებს დაუწყო ძებნა.

ძოწინავე მანქანამ არქივის მხარეს შეუხვია. იარბოროს შეეშალა, — ეგონა სტემონს-ფრიუეიზე პირდაპირ მეინ-სტრიტიდან გავიდოდნენ, მაგრამ სწორედ მათ წინ მდებარე ფეხით მოსიარულეთა კუნძული ვერ შენიშნა, რის გამოც ელმ-სტრიტზე უნდა ჩაეხვიათ. იარბორო გაოცდა: კი მაგრამ რატომ უხვევენ მარჯვნივ? ისინი ხომ იქით არ მიდიან? რა ხდება?

12 საათი და 29 წუთი. მეინ-სტრიტი და ჰიუსტონ-სტრიტი

ძოსახვევს იქით ხალხი შეთხელდა. ჰიუსტონ-სტრიტზე გახვევის შემდეგ კლინტ ჰილი კვლავ შეახტა საფეხურს. მაგრამ აქაც მხურვალე აპლოდისმენტები გაისმა. დალასელთა მიღებით გაოცებული და აღფრთოვანებული ნელი კონელი კენედისაკენ შემობრუნდა:

— ბატონო პრეზიდენტო, ახლა კი ვეღარ იტყვით, დალასს არ ვუყვარვარო, — საზეიმო კილოთი წარმოთქვა ქალმა.

კენედის გაეღიმა:

— არა, ამის თქმა არ შეიძლება.

ელმ-სტრიტზე გასულმა კარიმ თავისი მოწინავე მანქანის საქმე მარცხნივ მოატრიალა. მანქანა მკვეთრად შემობრუნდა. კარისათვის ეს სრულიად უბრალო რამ იყო — ასე ათასჯერ მოუხვევია. თუმცა ნამდვილი 120-გრადუსიანი ბრუნი გახლდათ. და როცა ბილ გრირმა „ლინკოლნი“ მოაბრუნა, კინაღამ რიო ტრულის წინ აღმოჩნდა. „ჰავბეკის“ და ვიცე-პრეზიდენტის მანქანის მძღოლებიც სემ კინგი და ჰერშელ ჯეკსიც, ალბათ, ამავე მდგომარეობაში იყვნენ.

„დალახვროს ეშმაკმა, — თავისთვის ჩაილაპარაკა ჯეკსმა, — ეს ხომ ნაღდი ნალისებური მოხვევა იყო“.

12 საათი და 30 წუთი. ჰიუსტონ-სტრიტი და ელმ-სტრიტი

კორტეჟი ახლა ასო Z წააგავდა. პოლიციის უფროსი კარი, კორტეჟის თავში, ზემო გზახიდს უახლოვდებოდა. უკვე ელმ-სტრიტზე გასული სამი მძღოლიც გრირი, კინი და ჯეკსი კარის მანქანას მიჰყვებოდნენ. წიგნების საწყობის შენობა მახვილი კუთხის წვერში

იდგა. კორტეჟის მეორე ნაწილი — სამგზავრო-საბარგო ავტობუსი, ავტობუსი გასაკუთრებით საპატიო პირთათვის და კავშირგაბმულობის მანქანა — ჯერ ისევ მეინ-სტრიტზე იყო.

ხუთი წუთიც და პრეზიდენტი ადგილზე იქნება, — გადაულაპარაკა სორელზმა კარის.

ლოუსონმა სავაჭრო ცენტრს რადიოთი აცნობა, ხუთ წუთში ადგილზე ვიქნებითო. მერე ზემო გზახიდს შეავლო თვალი. მაღლა რკინიგზის მუშები იდგნენ, ეს კი უშიშროების წესების დარღვევა იყო. ლოუსონმა მანქანის ფანჯრიდან ყვითელ საწვიმარ ლაბადაში გამოწყობილ პოლიციელს ანიშნა, ადგილი გაათავისუფლეო, მაგრამ პოლიციელმა ვერაფერი გაიგო და არც შერხეულა.

ბძიმე ბოსახვევის შემდეგ გრირი ძლივს მოვიდა გონს. დაძაბულობა შენელდა. გზახიდზე მდგარი მუშები გრირმაც დაინახა. შეფიქრიანებული მძღოლი უცნობ ქუჩას აკვირდებოდა — შეიძლებოდა თუ არა საჭიროების შემთხვევაში მანქანის მკვეთრი მოტრიალება და გზახიდის ქვეშ, გასავლელში პრეზიდენტის გაყვანა. „ლიხკოლნი“ მუხას მიუახლოვდა. ტოტებგაბარჯღული ხე წამით აღიმართა ჯონ კენედისა და მეექვსე სართულის ფანჯრიდან გამოშვერილ ლულას შორის. კინოკამერას ჩახუტებული ეიბ ზაპრუდერი უკვე მოახლოებულ პრეზიდენტის მანქანას იღებდა. ნელიმ გვირაბს მიათითა და ჯეკის უთხრა:

— თითქმის მივედით. აქვეა, გვირაბს იქით.

ჯეკის სასიამოვნოდ წარმოუდგა გრილ გვირაბში გავლა. იქ ყველაფერი ისე მშვიდი ჩანდა. ჟაკლინმა მარცხნივ მოიხედა. ქუჩაში მდგარმა ჩარლზ ბრენდმა მაღლა ასწია თავისი პატარა ბიჭუნა: დადგა დრო პრეზიდენტისათვის ხელის დაქნევისა.

კენი კვლავ პრეზიდენტის კეფას მისჩერებოდა. ო'დონელიც ისევ თავის გადასაკეც სკამზე დაჯდა.

— დეივ, როგორ არის საქმე? — ჰკითხა მან პაუერსს.

— ჩემსაში 12 საათი და 30 წუთია, წარმოიდგინე, არც ისე ცუდად. მხოლოდ ხუთი წუთით ვიგვიანებთ, — უპასუხა პაუერსმა.

ემორი რობერტსმა სავაჭრო ცენტრს რადიოთი აცნობა, დანიშნულების ადგილიდან ხუთი წუთის სავალზე ვიმყოფებითო.

მერე საკუთარ ანგარიშგებაში ჩაიწერა: „12 საათი და 30 წუთი. პრეზიდენტი სავაჭრო ცენტრში მივიდა“.

რუფუს იანგბლადი საიდუმლო სამსახურის რადიოგადამცემის ტყავის ღვედს ათამაშებდა ხელში. დრო მანაც ჩაინიშნა, რომლის დახასვაც, როგორც ადრეე მოგახსენეთ, ფირმა „ჰერცის“ სარეკლამო ფარზე შეიძლებოდა. მას კარგად ახსოვდა — 12 საათსა და 30 წუთზე საეკრო ცენტრში გამართულ საუზმეზე უნდა ყოფილიყვნენ. მის უკან მჯდარი ლედი ბიორდი ზარმაცად ათვალიერებდა დალტექსის აგურის წითელ შენობასა და სახელმძღვანელოების საწყობის უსიამო-წითელ აგურის ფასადს. ლინდონი კვლავ რადიოს უსმენდა. იარბოროც დამშვიდებული ჩანდა.

„ვერსიტი“ 120 გრადუსიანი ბრუნით უხვევდა.

პრესის მანქანები მოსახვევს უახლოვდებოდნენ. კილდაფმა საწყობის შესასვლელთან გაკრული აბრა არასწორად ამოიკითხა და მერიმენ სმიტს წასჩურჩულა:

— დასწყევლოს ეშმაკმა, რა არის ეს, — წიგნების ბუწყობი?

ჯერ კიდევ მეინ-სტრიტზე ეველინ ლინკოლნმა გაკვირვება გამოთქვა:

— არა, თქვენ წარმოიდგინეთ: მთელი დალასი გამოვიარეთ და ერთი დემონსტრაციაც არა ყოფილა!

ქალს ერთი იქაური ნაცნობი სიცილით შეესიტყვა:

— ეს დალასია. ჩვენ არც ისე ცუდები ვართ.

„ლინკოლნი“ საათში 11,2 მილის სისწრაფით მიდიოდა. მანქანამ მუხას ჩაუარა. ზაპრუდერი მარჯვენა მხარეზე ნელ-ნელა ატრიალებდა თავის კინოაპარატს. როგორღაც ერთ მომენტში მანქანა მისი მხედველობის არედან გაქრა. მაგრამ მეექვსე სართულის ფანჯრიდან ამ მანქანას არაფერი ეფარებოდა. იგი მუხის უკანასკნელ ტოტსაც გასცდა. ბრენდის ხუთი წლის ბიჭუნამ მორცხვად ასწია თავისი პატარა მკლავი. პრეზიდენტმა გულთბილად გაუღიმა და ბავშვისათვის დასაქნევად თვითონაც ასწია ხელი.

უეცრად ძლიერი, გამაყრუებელი ხმა გაისმა.

* * *

ყველამ სხვადასხვაგვარად აღიქვა ეს ხმა, ჟაკლინ კენედის მოეჩვენა, რომ ეს მოტოციკლის გამონაბოლქვის მჭახე ხმა იყო. პოლიციის უფროსს, კარის, შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს ვიღა-

ცამ რკინიგზის პეტარდა ააფეთქა. რონალდ შიფერმა და ბობ ედვარდმა იგი მოტორის უეცარ გამონაბოლქვად მიიღეს და გაეცინათ კიდეც. კორტეჟის უმრავლესობამ, მათ შორის სორელზმა, კონელიმ, იარბოროომ, გონზალესმა და ტომასმა მასში ინსტინქტურად შეიცნეს შაშხანის გასროლის ხმა.

თეთრი სახლის დაცვა კი საოცრად დაიბნა. დაცვის აგენტების გამოცდილება ღია სივრცეში სროლის საქმესთან დაკავშირებით ვაშინგტონის ნაციონალური ტყის სანერგეში გამართული ყოველწლიური კურსებით შემოიფარგლებოდა. იქ მათ მხოლოდ საკუთარი იარაღის გასროლის სმა ესმოდათ. ამიტომაც აგენტებისათვის უცხო აღმოჩნდა ხმის ის ეფექტები, რომელსაც გასროლისას გამოსცემს ხოლმე ხელის ცეცხლმსროლელი იარაღი ქალაქის ნაგებობათა შორის, ამ შემთხვევაში კი დილის მოედნის[1] შენობათა შორის.

ემორი რობერტსმა ოსვალდის პირველსავე გასროლაში შაშხანის ხმა შეიცნო. ასევე იცნო იგი იანგბლადმა, რომლის ელვისებურმა რეაქციამ იქნებ იხსნა კიდეც ლინდონ ჯონსონის სიცოცხლე. რაც შეეხება „ჰავბეკის" აგენტებს, ისინი დაიბნენ. გაუბედავად იხედებოდნენ აქეთ-იქით. ლოუსონმა, კელერმანმა, გრირმა,

---

[1] აკუსტიკა ამ მოედანზე მაცდუნებელია. ვერც ამ წიგნის ავტორმა, ისევე როგორც უორენის კომისიამ, ვერ დააღგინა, რამდენჯერ ისროლა ოსვალდმა. ორმა ტყვიამ მიზანს მიაღწია. მოწმეთა უმრავლესობა ამტკიცებს, სამი გასროლის ხმა გავიგონეთო. სნაიპერის საფარშიც სამი ცარიელი ვაზნა იპოვეს, მაგრამ მოკმედების ადგილიდან შედარებით ახლომყოფმა რამდენიმე მოწმემ — კერძოდ ჟაკლინ კენედიმ, კლინტ ჰილმა, ზაპრუდერმა მხოლოდ ორი გასროლა გაიგონეს. მისთვის დამახასიათებელი მოუწესრიგებლობის მიზეზით გამორიცხული არ არის, ოსვალდს საწყობში ვაზნადაუცელელი შაშხანა მოეტანა. საუსებით დასაშვებია, რომ ოსვალდმა სამჯერ გაისროლა, დროის იმ შუალედში, მართლაც შესაძლებელი იყო სამი გასროლის მოსწრება, თუმცა შემდეგ იმასაც ამტკიცებდნენ, ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან პირველსა და მესამე გასროლას შორის ექვს წამს უნდა გაევლო. ცდებით დამტკიცდა, რომ ოსვალდის შაშხანიდან გასროლისათვის საჭირო იყო 2,3 წამი. ჩვეულებრივ, არითმეტიკულად ასე ანგარიშობდნენ: 2,3 წამს უმატებდნენ 2,3 წამს და კიდევ 2,3 წამს. რაც საერთოდ 6,9 წამს იძლევა. სინამდვილეში ეს ასე არ გახლდათ. სწორი გამოთვლა სხვა პასუხს გვაძლევს. პირველი გასროლის შემდეგ გადის 2,3 წამი, მეორეს შემდეგ 2.3 წამი, რასაც მაშინვე მიჰყვება მესამე გასროლაც. ესე იგი, სამივე გასროლას მხოლოდ 4,6 წამი სჭირდება.

რიდმა და ჰილმა იგი პეტარდის აფეთქებად მიიჩნიეს. საწყობის დირექტორმა, როი ტრულმა, ოსვალდის პირველი გასროლა სატაცუნას გასკდომის ხმად მიიღო, ეს კიდევ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, ისევე როგორც „ლინკოლნის“ გვერდით მოტოციკლზე მჯდარ პოლიციელ ჩეინისაც შეიძლება აპატიო მსგავსი შეცდომა: ჩეინი რიგითი პოლიციელი იყო და არა პრეზიდენტის მცველი. მთავრობის მეთაურთა დაცვა საიდუმლო სამსახურის აგენტების პროფესიაა. ისინი მხოლოდ ამისათვის არსებობენ. კლინტ ჰილისა და ჯეკ რიდის გარდა, რომელმაც საფეხურიდან ჩამოხტომაც სცადა, თუმცა რობერტსმა არ დაანება, პრეზიდენტის დაცვის მანქანაში მყოფ ადამიანთა მოქმედება მეტად პასიური იყო. კიდევ უფრო ტრაგიკული აღმოჩნდა პრეზიდენტის დაცვის უფროსის როი კელერმანისა და მის განკარგულებაში მყოფ ბილ გრირის დაბნეულობა. გრირსა და კელერმანს შეეძლოთ უმალვე გვერდზე გაეხვიათ, მაგრამ იმ საშინელი ხუთი წამის განმავლობაში ისინი პარალიზებულნი აღმოჩნდნენ.

კლინტ ჰილი არ მიმხვდარა, ეს გასროლა თუ იყო, მაგრამ დაინახა პრეზიდენტი, რომ წინ გადიხარა და თავზე წაიკრა ხელი. კლიხტისათვის ეს საკმარისი იყო. მისთვის ჩვეული მომენტალური რეაქციით მანქანიდან გადმოხტა და წინ გაიჭრა.

„ჰავეკის“ მარჯვენა გადმოსაწევ სკამზე მჯდარმა პაუერსმა, ო'დონელს შესძახა:

— მგონი, პრეზიდენტი დაჭრეს!

ვიცე-პრეზიდენტის მანქანაში მყოფ ედარბოროს თითქოს თოფის წამლის სუნიც კი ეცა და გაშმაგებით წამოიყვირა:

— ღმერთო ჩემო! პრეზიდენტი ნოკაუტეს!

— არა, ეს წარმოუდგენელია! — წამოიძახა სუნთქვაშეკრულმა ლედი ბიორდიმ.

რაღაც მომენტში ლინდონ ჯონსონს მოეჩვენა, რომ რადიოს ხმა აფეთქების ხმამ გადაფარა, მაგრამ ვიდრე იმას მოისაზრებდა, რა აფეთქება იყო იგი, მისკენ გადმოფაფრული იანგბლადი დაინახა.

იანგბლადი ისე როდი იყო დარწმუნებული თავისი მოქმედების სისწორეში, როგორც ეს გარეგნულად ჩანდა. რა უაზრობად მოიხათლება ყველაფერი, თუ მართლა შეეცდიო, ფიქრობდა გუნებაში, მაგრამ ლინდონს მაინც მტკიცე ხმით შესძახა:

— დაწექით.

პრესის წარმომადგენელთა მანქანაში მყოფმა კილდაფმა გაოცებით იკითხა:

— რა მოხდა?

კილდაფის უკან მჯდარი ბობ ბასკინი მიხვდა, რაშიაც იყო საქმე. იგი ქვეითი ჯარის ვეტერანი გახლდათ და შეძრწუნებულმა თავშესაფრის მოსაძებნად მიმოიხედა.

თეთრი სახლის ფოტოგრაფმა სტაფტონმა მექანიკურად წაავლო ხელი თავის ტელეობიექტივს.

— ეს რა, მოტოციკლის ტკაცუნი იყო? — იკითხა კონგრესმენმა იანგმა.

— არა, ეს შაშხანის გასროლაა, — წამოიძახა გონზალესმა, რომლის ბოლო ნადირობა წინა კვირით თარიღდებოდა.

მაინც რა სისულელეა, სალუტების აქ მოწყობა! — გაჯავრდა კილდაფი.

— მართლაც, რომ სისულელეა, — დაუდასტურა გენერალმა გოდფრი მაკჰიუმ.

განსაკუთრებით საპატიო პირთათვის განკუთვნილ ავტობუსში მჯდარ ექიმ ბერკლის მალაზიის მინებისათვის მიეპყრო მზერა. დიახ, პრეზიდენტის ექიმს არაფერი გაუგონია — იგი მეტად შორს იყო პრეზიდენტისგან.

* * *

პრეზიდენტი დაიჭრა, თუმცა სასიკვდილოდ არა. 6,5 მილიმეტრიანი ტყვია უკანა მხრიდან მოხვდა, დაუზიანა მარჯვენა ფილტვი და სასუნთქი მილის გავლით ყელიდან გამოვიდა. ტყვიამ გახვრიტა პრეზიდენტის ჰალსტუხის კვანძი. იგივე ტყვია მოხვდა კონელის ზურგს, გაიარა მკერდი, მარჯვენა ხელის მტევანი და მარცხენა თეძო. დაჭრის დაგვიანებით შეგრძნების შედეგად გუბერნატორმა ტყვიის მოხვედრა მაშინვე ვერ იგრძნო. დაჭრის მომენტში იგი მარჯვნივ იხედებოდა, საიდანაც შაშხანის გასროლის ხმა მოესმა.

როგორც კი „ლინკოლნი" საგზაო ნიშანს გასცდა, იგი კვლავ მოხვდა ეიბ ზაპრუდერის მხედველობის არეში. ეიბმა პრეზიდენტის დაღრეჯილ სახეს მოჰკრა თვალი და ელდა ეცა, თუმცა კვლავ განაგრ-

ძობდა თვისი ფოტოკამერით მანქანის მსვლელობის გადაღებას. თან გუნებაში ფიქრობდა, ალბათ, თვალთმაქცობს პრეზიდენტიო. კენედის სახის გაბრმეტყველება კი ისეთი იყო, თითქოს ამბობდა:

„აჰა, წამომეწიენენ". გაოცებული ზაპრუდერი ვერაფერს მიმხვდარიყო: „ეს რა ხდება, ვითომ ხუმრობს პრეზიდენტი?"

ნელი კონელი შემობრუნდა და ყურადღებით მიაჩერდა კენედის. პრეზიდენტმა უმოძრაო სახით ხელი ყელთან მიიტანა და ოდნავ დაბლა ჩაჩოჩდა.

რი კელერმანს მოეჩვენა, თითქოს პრეზიდენტმა მისთვის ჩვეული ინტონაციით წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, დამჭრეს!" კელერმანმა და გრირმა უკან მოიხედეს. მანქანამ აქეთ-იქით ყანყალი იწყო და ნელ-ნელა გამოდიოდა კოლონის მწყობრიდან. მძღოლი და აგენტი მიხვდნენ, რომ პრეზიდენტი ნამდვილად დაჭრილი იყო.

სწორედ ამ მომენტში დაჭრა შეიგრძნო ჯონ კონელიმაც. თითქოს უზარმაზარი მუშტი ჩასცხო ვილაცამ ზურგში. მერე უნებლიეთ წინ გადაიხარა, თავისი სისხლით მოსვრილი მუხლები დაინახა და მარცხნივ გადავარდა. ჯონი და ნელი გრძნობდნენ, რომ „ლიხკოლნი" სვლას ანელებდა. ერთმანეთზე წაწოლილებმა მაღლა აიხედეს და კელერმანისა და გრირის შეშფოთებულ სახეებს შეეფეთნენ.

გუბერნატორმა თავი განწირულად იგრძნო და თავსარდაცემულმა წამოიყვირა:

— არა, არა, არა, არა! ჩვენ ორთავეს მოგვკლავენ!

ქაკლინმა შეყვირება გაიგონა. რატომ ყვირისო, გაუკვირდა და შეწუხებული ქმრისაკენ შემობრუნდა.

გრირი საჭეს მოუტრიალდა, კელერმანძა გაუბედავად მიმოიხედა. არც ერთ იმათგანს ჯერ არავითარი რეაგირება არა ჰქონდათ.

თუმცა ახლა უკვე ძალიან გვიან იყო. ჰოვარდ ბრენარმა დაინახა, როგორ აუჩქარებლად ემზადებოდა ოსვალდი თავისი უკანასკნელი გასროლისათვის. პირველმა გასროლამ დააფრთხო ჩიტები. ჯერ თითო-ოროლა მტრედი წამოფრინდა, მერე მთელი გუნდი მაღლა აიჭრა და ზეცაში ათასი ფრთის ტკაცუნი გაისმა. მტრედები სულ ზევით და ზევით მიიწევდნენ, ვიდრე ცის ტატნობზე ასოს მსგავსი მუქი ლურჯი მოცახცახე მარაო არ შექმნეს.

ოსვალდმა თითი მოღუნა და კვლავ დაუმიზნა. ოთხმოცდარვა

არდით დაშორებული ცოცხალი მიზანი საოცარი სიცხადით ჩანდა ტერეოსკოპულ სამიზნეში.

ოსვალდმა ჩახმახს დააჭირა.

პირველი ლედი — უკანასკნელად პირველი ლედი — პრეზიდენტისკენ გადიწია. პრეზიდენტს დამცინავი სახე ჰქონდა. ქალს შირად ენახა ქმრის ასეთი გამომეტყველება, პრეს-კონფერენციაზე ყოფნისას რთულ საკითხზე პასუხის გასაცემად რომ ჩაფიქრდებოდა ხოლმე. კენედიმ საოცრად მოხდენილი მოძრაობით მარჯვენა ელი ასწია, თითქოს თავისი წაბლისფერი წინ გადმოყრილი თმის უკან გადაწევა სურსო, მაგრამ ვეღარ შეიძლო და ღონეწართმეული მკლავი დაბლა ჩამოუცურდა.

მესამე თავი

ტრაგედია და პანიკა

გაოცებისაგან გაშეშებული ბრენანის თვალწინ ლი ოსვალდმა მარჯვე, მხედრული გამართულობით მოკვეთილად დაიხია უკან და ჩრდილში გაუჩინარდა.

დაბლა თავშეყრილ ხალხს კი სიგიჟემ დარია ხელი.

ახლახან ქარიშხალგადავლილ ველსა ჰგავდა მოედანი. ჩარლზ ბრენდმა ბიჭი მიწაზე დასვა და სახუთარი სხეულით აეფარა.

პრეზიდენტის მანქანის მარჯვენა მხარეზე ესკორტად მიმავალი ცალიდ ჰეიგუდის მოტოციკლი ტროტუარს შეეჯახა. აყირავებული მოტოციკლის ბორბლები ჯერ ისევ ტრიალებდნენ, პისტოლეტმოშარჯვებული პოლიციელი კი ვიადუკის ბალახმორეულ შეღმართზე მიბობღავდა.

ხალხის ბრბოში მდგარმა ვიღაც მამაკაცმა ღრმად დარწმუნებულმა, რომ მის წინ მყოფი ქალის სიცოცხლეს იფარავდა, ხელის ძლიერი დაკვრით დაბლა დასცა იგი.

დალასის გაზეთ „ტაიმს ჰერალდის“ კორესპონდენტმა ბობი ჯეკსონმა შეამჩნია, როგორ გაუჩინარდა მოპირდაპირე ფანჯარაში გამოშვერილი შაშხანის ლულა. ფანჯრის ცარიელ ჭრილს მიჩერებული ბობი საკუთარ თვალებსაც არ უჯერებდა.

პრეზიდენტის „ლინკოლნის“ უკან მოტოციკლით მიმავალი პოლიციელი მარიონ ბეიკერი გასროლით შეშინებულ მტრედების გუნდს მიჩერებოდა. ჩახლეჩილი ხმით იწყევლებოდა სახელმძღვანელოების საწყობის დირექტორის როი ტრულის გვერდით მდგარი პოლიციელი. დაზაფრული ეიბ ზაპრუდერი კი ყურისწამღებად ერთსა და იმავეს იმეორებდა:

— მათ მოჰკლეს ის! მათ მოჰკლეს ის! მათ მოჰკლეს ის!

პრეზიდენტის პირადი დაცვის ავტომანქანის უკანა დასაჯდომიდან წამომხტარ აგენტ ჰიკის ავტომატი მაღლა აეწია და მიზნის ძებნაში ლულას უაზროდ ატრიალებდა. კენ ო'დონელსა და დეივ-პაუერს ყურებში კვლავ უწიოდათ პრეზიდენტის მკვლელი ტყვიის საშინელი ხმა. ო'დონელი პირჯვარს იწერდა, პაუერსი ჩურჩულებდა: „იესო და ღვთისმშობელო!..“ სემ კინმა კარგად დაინახა, როგორ იფეთქა სისხლმა პრეზიდენტის კეფაზე გაჩენილი ჭრილობიდან. უმალვე პრეზიდენტის პირადი დაცვის აგენტების კელერმახისა და გრირის გასაფრთხილებლად განგაშის მიმცემ სატერფულს მარცხენა ფეხი დააჭირა. ყურისწამღებად ასივლდა დაცვის მანქანა „ჰავბეკის“ საყვირი. სემ კინმა მანქანა მარჯვნივ მკვეთრად მოატრიალა, რომ აგენტ კლინტ ჰილს არ დაჯახებოდა. თავჩაქინდრულმა კლინტმა „ჰავბეკს“ წინ გადაურბინა და პრეზიდენტის მანქანისაკენ გაქანდა. ცოტაც და იგი უკვე პრეზიდენტის მანქანის უკანა ბუფერს შეეხებოდა.

„ლინკოლნმა“ სვლა შეანელა. მანქანაში ნამდვილი ჯოჯოხეთი ტრიალებდა. უკანასკნელმა ტყვიამ პრეზიდენტს თავი გაუხვრიტა და ნათხემი დაუზიანა. მეუღლისაკენ გადახრილმა ჟაკლინმა შეამჩნია, როგორ შორდებოდა თავის ქალას კეფის ვარდისფერი ძვლის ნაწილი. პირველად სისხლი არ ჩანდა, მაგრამ სულ რაღაც ერთი წამის შემდეგ სისხლით აივსო იქაურობა. შადრევანივით ამოხეთქილი სისხლით მოისვარა ჟაკლინი, ცოლ-ქმარი კონელები, კელერმანი, გრირი, მანქანის შიდა გადასაკრავები, მანქანასთან სირბილით მიჭრილი კლინტ ჰილი და თვით ქვაფენილიც კი.

„ლინკოლნის“ ძირი ხელისგულის სისქე სისხლის ლეკერტებით მოიფარა. სისხლით გაიჟღინთა პრეზიდენტის ტანსაცმელი. სისხლის ტბორში ამოისვარა ვარდების თაიგული. კენედის სხეული უხმაუროდ გადაცურდა ჟაკლინისაკენ.

პრეზიდენტის მანქანის უკან მოტოციკლზე მჯდარ პოლიციელ ჰარჯისსაც კი სისხლის შხეფებით მოესვარა სახე. ნელი კონელს ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს სახეში მუჭით წვრილი საფანტი შეაყარესო.

ჯონ კონელი უკვე ყველაფერს მიხედა. რატომღაც თავისი ბავშვობა და ძველი „ფორდით“ მგზავრობა მოაგონდა. გონებაში მამისა და მეგობრების სახეებმა გაუელვეს. გუბერნატორი სისხლისაგან იცლებოდა. მერე ნელ-ნელა გვერდზე გადაწვა, ცოლის მუხლებს დაეცა და ვედრებისა თუ ტკივილის გამომხატველი საშინელი ხმით წამოიყვირა. უბედურებით შეძრწუნებულმა მისმა ცოლმაც ყვირილი ასტეხა. ორთავენი მომხდარი ამბის კოშმარს დაეთრგუნა. მათი ტანსაცმელიც კენედის კამკამა სისხლით იყო მოსვრილი. პრეზიდენტის მეუღლე წამოხტა, მუხლებით შედგა ქმრის სისხლით მოსვრილ დასაჯდომზე და ტროტუარისაკენ მიბრუნებულმა ყვირილი მორთო:

— ღმერთო ჩემო, რას სჩადიან, ღმერთო ჩემო, ჯონი მოჰკლეს, მოჰკლეს ჩემი ქმარი! ჯონი! ჯონი! — იძახდა გამწარებული ქალი და ბედის უკუღმართობით მოცელილი მანქანის საბარგულზე გადაწვა. მერე ნელ-ნელა უკან მომავალ დაცვის მანქანის „ჰავბეკის“ ბორბლებისაკენ იწყო ჩაცურება. კინმა იგრძნო, მანქანის დროულად დამუხრუჭებას ვერ შეძლებდა.

ნამდვილად უცნაური იყო, მაგრამ ფირმა „ჰერცის“ სარეკლამო ფარზე საათის ციფერბლატის ისრები კვლავ 12 საათსა და 30 წუთს აჩვენებდა. პრეზიდენტის კორტეჟი ჯერ კიდევ ინარჩუნებდა თავის ზუსტ წყობას. მტრედების გუნდი აღარ ჩანდა. ზეცამ კვლავ დაიბრუნა თავისი უღრუბლო, კაშკაშა სილურჯე. ტრაგედიის ადგილის გარდა ირგვლივ ყველაფერი კვლავ ძველებურად გამოიყურებოდა.

დალასმა, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა თუ მთელმა დანარჩენმა სამყარომ ვერ მოასწრო მომხდარი უბედურების შეცნობა, თუმცა მათთვისაც ბევრი რამ გამოუსწორებლად შეიცვალა. მოჰკლეს ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეთხუთმეტე პრეზიდენტი. ცხოვრებას გამოესალმა ჯონ ფიტცჯერალდ კენედი. ყველაფერი, რის გაკეთებაც მან თავისი ქვეყნისათვის შეძლო, უკვე ისტორიად იქცა.

როგორც იქნა, ავტომანქანა SS 100X-ის წინა საჯდომზე მყოფმა დაცვის წარმომადგენლებმა მოქმედების უნარი მოიკრიბეს.

— ახლავე გავეცალოთ აქაურობას! — უბრძანა მძღოლს კელერმანმა და მიკროფონს ნაწყვეტ-ნაწყვეტად ჩასძახა:

— ლიუსონ, გელაპარაკებათ კელერმანი. ჩვენთან დაჭრილია. გვიჩვენეთ ჰოსპიტლის [1] გზა.

პრეზიდენტის „ლინკოლნის" საბარგულს ორთავე მხრიდან მცველთა დასადგომად ლითონის სპეციალური ხელსაწიდი და საფეხური ჰქონდა მიმაგრებული.

უკანასკნელი გასროლიდან 2,6 წამის შემდეგ აგენტმა კლინტ ჰილმა ძარცხენა ხელსაწიდს წაავლო ხელი და ის იყო საფეხურზედაც შედგა ფეხი, რომ ბილ გრირმა მთელი ძალით დააჭირა ესკალატორის პედალს და ლითონის ეს უზარმაზარი, თითქმის ოთხტონიანი მანქანა წინ გააქანა. კლინტს საფეხურზე ფეხი აუსხლტა და უსულო ტვირთივით დაეკიდა მანქანას. სასოწარკვეთილი კლინტი ცალი ხელით გამწარებით ჩაეწიდა სახელურს. მეორე თავისუფალი ხელით კი რადაციისათვის წავლებას ცდილობდა. უეცრად პრეზიდენტის მეუღლე საოცარი სისწრაფით მისკენ გადმოიხარა და ხელი გაუწოდა. მათი ხელები ერთმანეთს ჩაებღაუჭნენ. ახლა ძნელია იმის თქმა, რომელმა რომელი გადაარჩინა.

ვერც კლინტმა და ვერც კენედის ქვრივმა ვერ შეძლეს ამ წუ-

---

[1] პრეზიდენტის თვითმფრინავში მყოფი პოლკოვნიკი ჯიმ სუინდალი რადიოგადაცემებს უგდებდა ყურს. მფრინავს მოესმა, თითქოს კელერმანს ეთქვას: „პრეზიდენტი დაჭრილია. საქმე ცუდად არის. სასწრაფოდ ჰოსპიტალში". კელერმანის მოგონების თანახმად, მას თითქოს მძღოლისათვის იქაურობის დატოვება ჯერ კიდევ მეორე გასროლამდე ებრძანოს და ლიუსონისათვის რადიოთიც მაშინვე ეცნობებინოს მომხდარი უბედურება.

ამ წიგნის ავტორთან საუბარში კელერმანმა ვანაცხადა: „მერე გრირი შებრუნდა და უკან მიიხედა, იქნებ, არც კი დამიჯერა". კელერმანი აქ ცდება. მართალია, თვითონ გრირმა გარკვევით ვერ მოიგონა, სინამდვილეში რა მოხდა მაშინ. ზაპრუდერის კინოლენტის, ლიუსონის, კენედის ქვრივისა და ცოლ-ქმარი კონელის ჩვენებანი კელერმანის ამ ვერსიას არ ემთხვევა. უფრო მეტიც, მას რომ მართლაც იმ წუთშივე ეცნობებინა ლიუსონისათვის კენედიზე თავდასხმის ამბავი, ავტომანქანა „ჰაუბეკში" მყოფი დაცვის აგენტები, მათ რიცხვში კინიც უბედურების სიგნალს თავიანთ რადიომიმღებიდან გაიგონებდნენ.

თების მეხსიერებაში აღდგენა[1]. ზაპრუდერის ფილმი კი არ იძლევა ამ მომენტის სრულ სურათს. ქაკლინი დაეხმარა კლინტს საბარგულზე აბობღებულიყო. ქალი კი უკანვე მანქანაში ჩავარდა, მანქანის გვერდითი შუშა ოდნავ აწეული აღმოჩნდა, კლინტმა ხელი ჩასჭიდა შუშას, მარჯვენა ფეხი მოპირდაპირე კარს მიაბჯინა და პირჩამხობილი საბარგულის გარდიგარდმო გაწვა.

კლისტის ნავარჯიშევი, ათლეტური სხეული ასეთ საშინელ ვითარებაშიც კი ყოველნაირ სიჩქარეს გაუძლებდა, მაგრამ გაუძლებელი ახლა მწუხარება იყო. პრეზიდენტის მანქანაზე შეხტომისას კლინტმა თვალი შეავლო კენედის კეფაზე გაჩენილ პირდაღებულ ჭრილობას. მიხვდა, ჭრილობა სასიკვდილო იყო, რომ დაცვამ ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა. სასოწარკვეთილი კლინტი უღონო გახრისხებით უბრახუნებდა თავისუფალ ხელს მანქანის საბარგულს.

დალასის პოლიციის უფროსის კარის „ფორდს" თუმცა სპეციალური ძრავა ედგა, მაგრამ მას მაინც არ შეეძლო ზეძლიერ მოტორებიან „ლინკოლნსა" და პირადი დაცვის „ჰავბეკს" გაჯიბრებოდა. კინი მთელი სისწრაფით დაედევნა გრირს და ვიადუკის ქვეშ, ბნელ გასასვლელში, სამი მანქანა ერთმანეთს კინაღამ შეასკდა. კარიმ მანქანა მარცხნივ მკვეთრად მიატრიალა, კინმა მარჯვენა მხარე დაიჭირა. ისინი თითქმის გვერდიგვერდ მიჰქროდნენ.

კარის არ გაუგონია კელერმანის მიერ ლოუსონისათვის რადიოთი გადაცემული უბედურების სიგნალი და მოტოციკლზე მჯდარ მიტკალივით სახეგათეთრებულ პოლიციელს ჰკითხა:

— ვინმე დაიჭრა?

— დიახ, — ყვირილით უპასუხა მან.

კარიმ მაშინვე რადიოთი შეატყობინა ქალაქის პოლიციის მორიგეს. „გაეშურეთ პარკლენდის ჰოსპიტალში. სწრაფად მოემზადონ". საავტომობილო კორტეჟმა დაშლა იწყო. ის იყო კარი, გრირი და კინი ვიადუკის ქვეშ შეჯახებას გადაურჩნენ, რომ მათთან ლინდონ ჯონსონის მანქანაც მიიჭრა. ვიცე-პრეზიდენტის მცველთა

---

[1] ქაკლინ კენედის საერთოდ არ ახსოვს, როგორ აღმოჩნდა მანქანის საბარგულზე: ღრმა შოკში მყოფს შეგრძნება აღარა ჰქონდა. ქაკლინმა ზაპრუდერის კინოლენტის ცალკეული კადრების ნახვის შემდეგაც ვერაფერი გაიხსენა, ისე ეჩვენა, თითქოს სრულიად უცნობი ქალის ფოტოგრაფიას უყურებდა.

მანქანა სულ რაღაც ერთი წამით შეყოვნდა. უკანასკნელი გასროლის ექო ჯერ გადაელილიც არ იყო, რომ აგენტმა ლემ ჯონსმა კარი გააღო და გაქანებული მანქანიდან ელმ-სტრიტზე გადმოხტა ინერციით რამდენიმე მეტრი გაირბინა და სწორედ იქ შეჩერდა, სადაც პრეზიდენტი მკვლელის მსხვერპლი გახდა. ლემ ჯონსმა თვალი ჰკიდა, საავტომობილო პროცესიის მოწინავე მანქანებმა უეცარი სისწრაფე რომ განავითარეს და იქაურობას გაეცალნენ.

— წინ! — შესძახა მან ვიცე-პრეზიდენტის დაცვის მანქანაში მყოფ ამხანაგებს და ხელით ანიშნა, არ შეჩერდეთო. მალე მას ჟურნალისტების მანქანამ ჩაუქროლა. მომდევნო მანქანას კი თეითონ გადუდგა და, წამიყვანეთო, შესძახა, მაგრამ მანქანაში მყოფ ფოტოგრაფების უმრავლესობა ტეხასელები იყვნენ და ჯონსი ვერ იცნეს. მანქანა არ შეჩერდა და, ის იყო გვერდი უნდა ჩაევლო, რომ ვაშინგტონელმა ფოტოკორესპონდენტმა დაიძახა:

— ეი შეჩერდით, ეს ხომ ჯონსია!

მძღოლმა მანქანა დაამუხრუჭა, — ჯონსი კარის გაუღებლად გადაევლო ბორტს და მანქანაში ჩახტა. ყველაფერი ისე სწრაფად მოხდა, სვლაშენელებულმა მანქანამ გაჩერება ვერც კი მოასწრო.

ხუთი მოწინავე მანქანა საოცარი სისწრაფით მიჰქროდა პარკლენდის ჰოსპიტლისაკენ. დანარჩენი მანქანების მძღოლები საკუთარ თავს იყვნენ მინდობილნი. მდგომარეობას ის ართულებდა, რომ არც ერთ ამ მანქანას, პროცესიის ბოლოში მომავალ მეკავშირე მანქანის გარდა, რადიოკავშირის აპარატები არა ჰქონდა. ისიც არ იცოდნენ, ბედმა კორტეჟს მარშრუტი რომ უცვალა და კვლავ სავაჭრო ცენტრისაკენ განაგრძობდნენ გზას.

პარკლენდის მემორიალური ჰოსპიტალი, პრეზიდენტის მკვლელობის ადგილიდან ოთხი მილის დაშორებით, ჰარი ჰაინსის ბულვართან მდებარეობს. შორიდან საავადმყოფო ძველ, დიდ საცხოვრებელ სახლს მიაგავს. ეს ულაზათო ცამეტსართულიანი ნაცრისფერი სახლი პატარა შემაღლებაზე დგას, საიდანაც ფორტ-უორტის მხარეს გაწოლილი დაბლობის ხედი იშლება. ჰოსპიტალი 607 საწოლისათვის არის გაანგარიშებული. მისი პერსონალი დიდად არ იწუხებს თავს პაციენტთა ინდივიდუალური მომსახურებისათვის. ყოველ დიდ ჰოსპიტალში „სასწრაფო დახმარების“ განყოფილება გულმიუსვლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. იქ მისულთ ჩვეულებრივ,

მყრალი სუნი და უხეში ბრომისგან გულგაქვავებული ადამიანების გაყინული მზერა ხვდებათ ხოლმე.

ამ მხრივ პარკლენდის ჰოსპიტალი განსაკუთრებით უსიამო აღმოჩნდა, თუმცა მისმა სამედიცინო პერსონალმა კარგად იცოდა თავისი საქმე და რიგიანადაც ართმევდა თავს. საქმე კი არცთუ ცოტა ჰქონდათ. ჰოსპიტლის სასწრაფო დახმარების განყოფილებაში ყოველდღიურად საშუალოდ სხვადასხვა შემთხვევის 272 მსხვერპლი მოჰყავდათ, ანუ ერთი პაციენტი ყოველ ხუთ წუთში. კენედის მკვლელობის მომენტში ჰოსპიტალში გადაუდებელი სასწრაფო დახმარება უკეთდებოდა ოცდასამ პაციენტს. ესენი იყვნენ საავტომობილო კატასტროფების მსხვერპლნი, ცხოველებისაგან დაკბენილნი, თეთრი ცხელებით შეპყრობილნი, მწვავე ინფექციით დაავადებულნი, საშიში გამონადენების მქონე ადამიანები. ოცდამეოთხე პაციენტი ქალი ჰოსპიტალში 12 საათსა და 31 წუთზე მოიყვანეს. სწორედ ამ დროს ვიადუკის მხრიდან სირენების გამუდმებული კივილით ჰოსპიტლისკენ გაშმაგებული სისწრაფით მომავალ მანქანებს მოჰყავდათ ამ საავადმყოფოს ისტორიაში ყველაზე გამოჩენილი ორი პაციენტი.

მათთან ერთად მოჰქროდნენ უბედურებითა და მწუხარებით გულშეღონებული მათი ცოლები, ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეთექვსმეტე პრეზიდენტი, საიდუმლო სამსახურის აგენტები, კორესპონდენტები.

გავიდა სულ რაღაც რამდენიმე წამი და გონს მოვიდნენ პრეზიდენტის კორტეჟის მონაწილე სხვა ბოღვაწენიც. დაიწყო ძებნის ციებ-ცხელება და გასაოცრად მოკლე დროში ჰოსპიტლის უმწეო ტელეფონისტ ქალებს თავს დაატყდათ ზარებისა და შეკითხვების ნიაღვარი. აქამდე დალასის პოლიციის უბრალო სერჟანტსაც კი რიგგარეშე შეეძლო ესარგებლა ჰოსპიტლის კომუტატორით. გაიელის კიდევ რამდენიმე წუთი და მთავრობის წევრის დარეკვასაც კი ყურადღებას არავინ მიაქცევს.

არც პარკლენდის ჰოსპიტალში იცოდა ვინმემ, რა განსაცდელი ელოდათ. ქალაქის მილიციის სამმართველოს სამორიგეო დავთრის მიხედვით კარის მიერ გაცემული პირველი რადიოგრამა: „გაეშურეთ პარკლენდის ჰოსპიტალში. სასწრაფოდ მოემზადონ“ მიღებულ იქნა 12 საათსა და 30 წუთზე. სინამდვილეში მორიგის № 1 მიკრო-

ფონის კნოპი თითქოს ჯადომ შეკრაო, ცნობა დიდი შეფერხებით გადაიცა. ასე რომ, ჰოსპიტალს ბრძანება სამი წუთის დაგვიანებით ეუწყა. ეს პირველი რადიოგრამა ტელეფონისტმა ანა ფერგიუსონმა მიიღო. სწორედ მას უთხრა მილიციის მორიგემ: „თქვენთან მოდის 601. კოდი 3. მოემზადეთ“. ეს კი ნიშნავდა, რომ უბედურება შეემთხვა ყველაზე მაღალი თანამდებობის პირს. „601“ იყო პრეზიდენტის მცველ პოლიციის სამოტოციკლო ესკორტის მოხმობის ნიშანი. ხოლო იშვიათად ხმარებული „კოდი 3“ კი განსაკუთრებული სისწრაფის აუცილებლობასა და უაღრესად კრიტიკულ მდგომარეობას გულისხმობდა. 12 საათი და 33 წუთი იყო. ტელეფონისტმა ფერგიუსონმა დაწვრილებითი ცნობები იკითხა, რაზედაც უპასუხეს: „ესროლეს პრეზიდენტს“.

სამი წუთის შემდეგ, 12 საათსა და 36 წუთზე პრეზიდენტის „ლინკოლნი“ უკვე პარკლენდთან ანელებდა სვლას. ჰოსპიტალი მზად არ იყო.

უზომო მღელვარებისაგან ბილ გრირს ხელისგულები ცივი ოფლით დაფარვოდა. მას პროფესიონალ შოფრად მუშაობის ოცდახუთმეტი წლის გამოცდილება ჰქონდა. გრირი ბრწყინვალედ ფლობდა მანქანის მართვის ტექნიკას. გასცდნენ თუ არა სავაჭრო ცენტრს, გრირმა წინ, ნელი სვლით მიმავალი საბარგო მანქანები შენიშნა. მძიმე ავტომანქანები თითქმის გვერდიგვერდ მიდიოდნენ და გზის გადაღობვის საშიშრება იქმნებოდა. გრირმა დაინახა, როგორ გაუჭირდა პოლიციის უფროსს კარის მათთვის გვერდის ავლა. მანძილი საბარგო მანქანებს შორის თანდათან ვიწროედებოდა. გრირმა სწრაფად მოზომა ეს სივრცე. საჭე ჯერ მარცხნივ, მერე მარჯვნივ შეატრიალა და მშვიდობიანად გაძერა მანქანებს შორის არსებულ ვიწრო ხვრელში.

მთელი ამ ხნის განმავლობაში გრირს რაღაც საქმე მაინც ჰქონდა. როი კელერმანს ეს უპირატესობაც არ გააჩნდა. იძულებითი უმოქმედობა ნამდვილ წამებად ექცა. ფიზიკური აღნაგობით კელერმანი ნამდვილი ჰერკულესი იყო. ეს გარეგნულად ზოზინა და სიტყვაძუნწი ადამიანი, ჩვეულებრივ, ისე ჩუმად ლაპარაკობდა, რომ დაცვის აგენტებმა დაცინვით „ყბედი“ შეარქვეს. ნამდვილად კი, თავისი ბუნებით იგი მეტად აქტიური პიროვნება გახლდათ. ახლაც

უჩვეულო მღელვარებისაგან ერთიანად დუღდა, შექმნილ ვითარებას კი მტანჯველი უმოქმედობისათვის გაეწირა.

კელერმანის უკან მჯდარ ორ ქალს სათუთად ეჭირათ თავიანთი მძიმედ დაჭრილი ქმრები. მას კი არაფრით, აბსოლუტურად არაფრით არ შეეძლო შველა და მიხმარება! მის უკან გადასვლას, იქნებ, სარგებლობის მაგივრად ზიანიც კი მოეტანა. ერთადერთი, რაც მისი სიტყვით შეეძლო ეღონა, იყო „მათი უფრო მოხერხებულად მოწყობა", თუ საერთოდ აქ მოხერხებულად ყოფნაზე შეიძლებოდა ლაპარაკი.

კლინტ ჰილი ქაკლინს შეჰყურებდა. ნელი კონელი ქმარს ეშველებოდა. სხვა არსებითი რამის გაკეთება შეუძლებელი იყო. ცოლქმარ კონელებს ეჭვადაც არ უფიქრიათ, რომ კლინტი საბარგულზე იყო გაწოლილი. თავის მხრივ არც კლინტმა იცოდა კონელის დაჭრის ამბავი. მან მხოლოდ შუა გზაზე შენიშნა კონელის მკერდზე სისხლის ლაქები. ამ დრომდე სისხლი, რომლითაც მოსვრილი იყო მთელი მანქანა, მხოლოდ კენედის სისხლი ეგონა. მაგრამ ჯონ კონელის პერანგზე გაჩენილი სისხლის ლაქის საოცარმა სიდიდემ დაეჭვა იგი. მთელი პერანგი სისხლით გაჟღენთილი ჩანდა. კონელი გრძნობას ჰკარგავდა. ბოლოს თვალები დახუჭა და გაიფიქრა, ალბათ, ვკვდებიო. ცოლსაც მომაკვდავი ეგონა, ტუჩები ქმრის ყურთან მიეტანა და ნელა ეჩურჩულებოდა: „მშვიდად იწექი, ყველაფერი კარგად იქნება"! თუმცა თვითონაც არა სჯეროდა საკუთარი სიტყვებისა. აღარ ჰქონდა ბედნიერი დღეების დადგომის იმედი. იყო წამი, ეგონა, გათავდაო, მაგრამ აი კონელმა ოდნავ შესამჩნევად შეარხია ხელი და ცოლმაც მზრუნველად შეახო ქმრის ხელს თავისი ხელისგული.

უკანა მხრიდან ყრუ ქვითინი გაისმა. ნელიმ ქაკლინის მიერ ჩუმად წარმოთქმული სიტყვები გაიგონა:

— მოკვდა! მოჰკლეს! ო, ჯონ, ჯონ, როგორ მიყვარხარ!

მერე სიჩუმე ჩამოვარდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ქაკლინი კვლავ ალაპარაკდა. ნელისა და კლინტს ესმოდათ ქაკლინის სიტყვები, თუმცა თვითონ ვერ გრძნობდა, თუ ლაპარაკობდა.

ქაკლინს ღრმა შოკი დაუფლებოდა და, არსებითად, ისევე უგონოდ იყო, როგორც გუბერნატორი კონელი. ქალმა გაიგონა რადიოთი გადაცემული კელერმანის ბრძანება და უკვირდა, ასეთი ნელი

სვლით რატომ ვტოვებთ უბედურების ადგილსო. სახე ქმრის სისხლით ჰქონდა მოსვრილი, მაგრამ ქალს იგი არც კი უგრძვნია. მთელი მისი არსება პრეზიდენტის კეფაზე გაჩენილ ჭრილობას მიეპყრო. სისხლით მოსვრილ დასაჯდომებში ჩაზნექილ ჟაკლინს ქმრის გვამი ჩაეკრა და ხელებით მხრებსა და თავს უმაგრებდა. მთელი სასოებით ცდილობდა გამოუსწორებელის გასწორებას. ქალს ისიც კი აშფოთებდა, სხვებსაც რომ შეეძლოთ დაენახათ ეს საშინელი ჭრილობა.

პრეზიდენტის მანქანა წარმოუდგენელი სისწრაფით მიჰქროდა ბულვარის მთავარ მაგისტრალზე. პირქარმა ჟაკლინს შუბლზე ჩამოაფხატა თავისი პატარა მრგვალი შლაპა. ქალმა უხეშად მოიგლიჯა ქუდი თავიდან და ძირს დაახეთქა. შლაპის ქინძისთავს თმის ბღუჯა შერჩა, ჟაკლინს ტკივილი არ უგრძნია. ექვსი წუთი დასჭირდა უბედურების ადგილიდან ჰოსპიტალში მისვლას. დაიწყო მომხდარის აღქმის რეაქცია, რაც ნიშანდობლივი გახდა არა მარტო მომდევნო კვირისათვის, იგი დიდხანს, ძალიან დიდხანს იგრძნობოდა. ეს პირველი რეაქცია, არსებითად, თითქოს მთელი ერის გრძნობისა და ქცევის მაუწყებელი იყო. მისი ზოგიერთი ნიშანი აშკარად და გარკვეულად გამომჟღავნდა — მაგალითად: მომხდარი უბედურების დაუჯერებლობის სურვილი, მწუხარება, აღშფოთება, სასოწარკვეთა. მაგრამ არსებობდნენ კიდევ სხვა, უფრო რთული და ნაკლებშესამჩნევი გრძნობები. ზაპრუდერისა და ჟაკლინის მსგავსად, არავის სჯეროდა, რომ კენედის მკვლელობა ერთი დამნაშავის ნამოქმედარი იყო. პრეზიდენტი „მათი“ მსხვერპლი გახლდათ და არა „მისი“. დანაშაული მეტისმეტად დიდი იყო, ერთი ბოროტმოქმედისათვის მისაწერად. თუ ფორდის თეატრი ისტორიაში შევიდა როგორც შენობა, რომელშიც დამნაშავემ პრეზიდენტ ლინკოლნს ესროლა, დალასი იქცა ქალაქად, სადაც „იმათ“ მოკლეს კენედი. ყველაფერ ამას ირაციონალური საწყისიც ჰქონდა: ჟაკლინის ტრაგიკული ცდა, დაემალა ჭრილობა ან ზაპრუდერის აუხსნელი საქციელი, თავისი კინოაპარატით შეუჩერებლად გადაეღო მთელი ეს საშინელება, თუნდაც იმავე ზაპრუდერის გაბმული ყვირილი „მათ მოჰკლეს იგი!“ ყველაფერი ეს, ალბათ, იყო ინსტინქტური, უნებური გამოვლინება.

პრეზიდენტის ქვრივი და საგალანტერიო სახელოსნოს მფლობელი ინერციის კანონით მოქმედებდნენ. ცხოვრება თავისი გზით

უნდა წასულიყო, თუმცა სავსებით აშკარა გახდა, რომ იგი შეწყდა. კიდევ უფრო ნაკლებად გასაგებია დალასის პოლიციის უფროსის კარის საქციელი. პოლიციის უფროსს დაავიწყდა რადიოკავშირის გამოყენება, ხოლო როცა იგი გონს მოეგო და განკარგულება გადასცა, ახლა სხვა პოლიციელმა მთელი ხუთი წუთით დააყოვნა მისი ბრძანების გადაცემა. ფაქტიურად დარღვეული აღმოჩნდა ნორმალური აზროვნების მთელი პროცესი. ზოგიერთმა პასუხისმგებელმა პირმა, როგორც იტყვიან, თავი დაჰკარგა. დღის მეორე ნახევარში ასეთი გამოვლინებები კიდევ უფრო გაიზარდა პარკლენდის ჰოსპიტალში, პრეზიდენტის თვითმფრინავში, თუ საკუთრივ ვაშინგტონში.

თვით ყველაზე დინჯი და ზომიერი ადამიანებისათვისაც კი გარემოს აღქმის უნარს თავისი საზღვრები აქვს. პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ყველას პრეზიდენტის, დაჭრილი კენელისა და მათგან სულ რამდენიმე ნაბიჯით უკან მომავალი პრეზიდენტის კონსტიტუციური მონაცვლის ბედი აწუხებდა. უფრო მეტიც, პრეზიდენტის უახლოეს გარემომცველთ ლი ოსვალდის სახელი არც კი გაეგონათ. ოდნავი წარმოდგენაც არავის ჰქონდა, რა მაშტაბისა იყო მთავრობის საწინააღმდეგო ეს შეთქმულება. სად იმყოფებოდნენ შეთქმულნი? ვინ იყვნენ „ისინი“? ამერიკული ფაშიზმის ცენტრად აღიარებული დალასის რეპუტაციის წყალობით, ხალხი დილის მოედანზე გასროლილ ტყვიებს მემარჯვენეთა აჯანყების დაწყების ნიშნად ან სულ მცირე რასისტების ძალადობის აქტად თვლიდა. სენატორების — იარბოროს, გონზალესისა და ტიგის აზრით, დალასტურდა მათი მოსალოდნელი შიში. ადრინდელი მოწინააღმდეგენი ახლა ხმაამოუღებლივ იზიარებდნენ მათ შეხედულებებს. მხოლოდ ერთ კაცს, ლინდონ ჯონსონს მიაჩნდა ეს ტრაგედია საერთაშორისო კომუნიზმის საქმედ. თუმცა ყოველივე ამას, რასაკვირველია, ახლა არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ვინც უნდა ყოფილიყვნენ „ისინი“, ახლა კვლავ შეეძლოთ საიდუმლო დარტყმა განეხორციელებიათ. ამიტომაც უსაფრთხოების არავითარი ღონისძიება გადამეტებული არ ჩანდა. ტრაგედიის მომდევნო, პირველ საათებში ხილვადობა ნულს გაუტოლდა, მოგვიანებით უცოდინარობის ბურუსი გაიფანტა და კვლავ ჩაისახა პერსპექტივის გრძნობა. ყველაფერმა, რასაც პირდაპირ კავშირი არა ჰქონდა კენედისთან, ჯონ-

სონთან და კონელისთან, უკანა პლანზე გადაიწია. თვით მათი ცოლების ბედიც კი არავის აღელვებდა. რა თქმა უნდა, პარკლენდის ჰოსპიტლისაკენ გამალებით მიმავალი მანქანებიდან მათი გადმოსმა შეუძლებელი იყო, მაგრამ როგორც კი მანქანებს დაამუხრუჭებდნენ, შეწყდებოდა მათი ყურისწამღები წივილი, ეს ქალები ზედმეტ ტვირთად გადაიქცეოდნენ და მათთვის არავინ მოიცლიდა.

კატასტროფის ერთ-ერთი ყველაზე პირველი და ამაზრზენი შედეგი გახლდათ პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაში გაჩენილი განხეთქილება. პრეზიდენტის თანაშემწე შლეზინგერ — უმცროსის დახასიათებით, ეს ხალხი ორ ჯგუფად გაიყო: „ლოიალებად“ და „რეალისტებად“. წარმოიშვა ღრმა უფსკრული „ლოიალებსა“ და „რეალისტებს“ შორის. მწუხარებით ზარდაცემული „ლოიალები“ ვერ შერიგებოდნენ კენედის დაღუპვას. „რეალისტებმა“ კი მაშინვე სცნეს ძალაუფლების ახალი პრეზიდენტის ხელში გადასვლის ფაქტი. „რეალისტების“ მოქნილობით აღფრთოვანებული „ლოიალელი“ შლიზინგერ — უმცროსი პირველყოვლისა პრეზიდენტის უახლოეს გარემოცვაზე ფიქრობდა. განხეთქილება კი ყველგან აშკარა იყო. იგი სამხედრო აპარატსაც შეეხო. გენერალი ტედ კლიფტონი რეალისტურ ჯგუფს მიემხრო მაშინ, როცა გენერალ მაკჰიუს განსვენებულ პრეზიდენტ კენედის ერთგულება თავის კარიერადაც კი დაუჯდა. წინააღმდეგობანი გაჩნდა თვით პრეზიდენტის დაცვაშიც. კენედის დაცვის პირველი „რეალისტი“ გახდა ყოფილი ბალტიმორელი პოლიციელი, შეჭაღარავებული, ჩასკვნილი ემორი რობერტსი. პრეზიდენტ კენედის გული ჯერ ისევ ფეთქავდა, როცა რობერტსმა, მართალია მძიმე, მაგრამ გარდუვალი გადაწყვეტილება მიიღო — დამდგარიყო ახალი პრეზიდენტის დროშის ქვეშ.

პრეზიდენტის დაცვის მანქანაში, კინის გვერდით მჯდარმა რობერტსმა, დაინახა, როგორ ჩაუმსხვრია, უკანასკნელმა ტყვიამ პრეზიდენტ კენედის კეფა. იგი მიხვდა, ჭრილობა სასიკვდილო იყო და ყველა აუცილებელი დასკვნაც უმალვე გამოიტანა. ისევე როგორც დაცვის სხვა აგენტებს, მასაც თან ჰქონდა სამსახურებრივი ინსტრუქცია, — „ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დაცვის“ წერილობითი ბრძანება. რამეთუ მკვდარს არ შეეძლო პრეზიდენტის ფუნქციების შესრულება, როგორც ეს მაშინვე საღად განსაჯა რობერტსმა, სახელმწიფოს მეთაური ახლა უკვე ვიცე-

პრეზიდენტი იყო. ამიტომაც აღარ ღირდა „ლინკოლნის“ დაცვაზე თავის შეწუხება. მაგრამ მან ვერ მოასწრო კლინტ ჰილის შეჩერება. ხოლო როცა ჯეკ რიდმაც დააპირა კლინტს მიჰყოლოდა და მანქანიდან გადმოსასტომად მოემზადა, რობერტსმა შესძახა:

— შეჩერდი, ჯეკ! — ჯეკი ჯერ შეყოყმანდა, მაგრამ მაინც თავის ადგილს დაუბრუნდა. მერე, როცა დაცვის მანქანა ჰოსპიტლისკენ გაქანდა, რობერტსი აგენტ ბილ მაკინტაირს მიუბრუნდა:

— მათ მოჰკლეს პრეზიდენტი. როგორც კი გავჩერდებით, შენ და ბენეტი ჯონსონთან მიხვალთ. მისი დაცვა ახლა თქვენ გევალებათ.

რობერტსის აზრით, სამსახურებრივი მოვალეობანი გარკვევით საზღვრავდნენ მის პასუხისმგებლობას: მას ახლა ჯონსონზე უნდა ეზრუნა და მხოლოდ ჯონსონზე.

ასე დამთავრდა საიდუმლო სამსახურის პროფესიული ვალდებულებანი იმ ადამიანის მიმართ, ვინც ახლა „ლინკოლნის“ ძარაში სულთმობრძავი იწვა.

ლინდონ ჯონსონის უსაფრთხოებაზე, რა თქმა უნდა, პირველ ყოვლისა, პასუხს აგებდა მისი პირადი დაცვა, რომელიც მასთან ერთად მანქანაში იმყოფებოდა. იქ, იმ მანქანაში მომხდარი ვითარების აღწერა კი სრული სიზუსტით შეგვიძლია. როგორც თვით ჯონსონმა განაცხადა, ჯერ კიდევ მეორე, სასიკვდილო გასროლამდე, აგენტმა რუფუს იანგბლადმა მას ხელი ჰკრა და მანქანაში დაბლა დასცა. თუმცა თვითონ იანგბლადს ეეჭვება მისი რეაქციის ასეთი ელვისებურება. თავისი ეჭვებით უფრო შორს მიდის სენატორი რალფ იარბოროო. მისი ვერსიით, მანქანის წინა დასაჯდომზე მყოფი იანგბლადი საერთოდ არ წამომდგარა თავისი ადგილიდან. როგორც სენატორი იხსენებს, იგი თითქოს ჯონსონისაკენ უკან გადმოიხარა და რაღაც ჩუმად წასჩურჩულა. იარბოროს აზრით, იანგბლადი ფიზიკურადაც ვერ მოთავსდებოდა მანქანის უკანა დასაჯდომზე. იარბოროს ამ ჩვენებას ადასტურებს დეივ პაუერსიც, რომელსაც სწორედ ამ დროს უკან მოუხედავს. მაგრამ პაუერსი მაინც სხვა მანქანაში იჯდა, ხოლო იარბოროო, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, მეტისმეტად აღელვებული იყო. იარბოროს არ უნდოდა ვიცე-პრეზიდენტი მასზე გულად კაცად ჩაეთვალათ და ამიტომაც ადევნებდა მის საქციელს თვალს. რალფი ცდილობდა ყოველთვის ხსომებო-

და, რომ იგი ტეხასის სენატორია და ახლა არჩევნების წელიწადს სიმხდალის გამოჩენა და მანქანის ბორტს ამოფარება არ ეპატიებოდა. ლედი ბიორდი და ჰერშელ ჯეკსი ირწმუნებიან, იანგბალდს თავი და მხრები უკან ჰქონდა გადმოწეული და ჯონსონს ისე იფარავდაო.

— ჩქარა გაწექით! — დაიყვირა აგენტმა მისთვის დამახასიათებელი სამხრეთული აქცენტით. ლედი ბიორდი იარბოროსკენ გადაიხარა, თან გულში ფიქრობდა: „ნეტა, აქ სად უნდა გაწვეს ადამიანი“.

იანგბლადმა პორტატული რადიოსადგურის სასამხრე ღვედები მოსწია და უკანა დასაჯდომისაკენ გადაძვრა. ხოლო, როცა დაინახა, პრეზიდენტის დაცვის მანქანა „ჰავბეკი“ „ლინკოლნს“ დაედევნაო, მაშინვე თავისი მანქანის მძღოლს დასძახა:

— მიჰყევი იმათ! — მერე ვიცე-პრეზიდენტის დაცვის მანქანა „ვერსიტს“ რადიოთი სიგნალი გადასცა.

— „სხივო“, ლაპარაკობს „ხანჯალი“, ლაპარაკობს „ხანჯალი“ (სხივი იყო აგენტი კივენტი. უ. მ.) ვუკავშირდები „ჩარლის“, მოიმოქმედეთ იგივე.

რადიოკავშირი უმალვე პრეზიდენტის ტალღაზე გადართო და ემორი რობერტსის ხმა გაიგონა:

— „სხივო“, ლაპარაკობს „რუხი“. „ხანჯალმა“ დაიცვას „ვოლონტერი“.

— იგი დაცულია, — უპასუხა კივეტმა. რადგან კარგად ხედავდა ვიცე-პრეზიდენტის მანქანის უკანა დასაჯდომზე ატეხილ ფაცაფუცს.

იანგბლადი გულისყურით უსმენდა „რუხისა“ და „სხივის“ მოკლე-მოკლე რეპლიკებს. შეიტყო, რომ „შუბოსანი“ (პრეზიდენტი) მძიმედ იყო დაჭრილი და ახლა მანქანები ჰოსპიტლისკენ მიჰქროდნენ. რომ „ფრანტი“ (აგენტი ლემ ჯონსი) გზაზე სადღაც ჩამორჩა, ხოლო დაცვის მანქანების „ჰავბეკისა“ და „ვერსიტის“ ეკიპაჟებიდან ორ-ორი კაცი იგზავნებოდა ვიცე-პრეზიდენტის დასაცავად. ასე რომ, იანგბლადის ჩათვლით ვიცე-პრეზიდენტის უსაფრთხოების უზრუნველყოფას უკვე ხუთი კაცი ემსახურებოდა.

მოლაპარაკებაში იანგბლადიც ჩაერთო და მოითხოვა პირველი შესაძლებლობისთანავე გამოეყოთ მეექვსე აგენტი „ვიქტორიას“ (ჯონსონის ცოლი) დასაცავად.

ლედი ბიორდი ვერაფერს ხვდებოდა. ორ ვეებერთელა მამაკაცს შორის ჩაჭედილი გაკვირვებული ქალი მხოლოდ თავის თავსღა ეკითხებოდა: ნეტა რას ლაპარაკობენ ამ რადიოებშიო.

იარბოროსაც ერთი სული ჰქონდა ამბის გაგებამდე და იანგბლადსა და ჯონსონს გასძახა:

— რა ხდება?

პასუხი არავის გაუცია. არსებითად არც ეიცე-პრეზიდენტმა იცოდა სენატორზე მეტი. კოდური ნიშნები მისთვისაც ასევე ჩინური იყო. იანგბლადმა კი პანიკის წარმოქმნის შიშით განმარტება საჭიროდ არ მიიჩნია, მხოლოდ ჯონსონს წაუჩურჩულა:

— შეიქმნა უჩვეულო ვითარება. როცა ადგილზე მივალთ, თქვენ და მე მაშინვე უნდა გამოვცალკევდეთ.

— ო'კეი, ძმობილო, — მოგუდული ხმით უპასუხა ჯონსონმა.

— რა ხდება იქ? — კვლავ დაიყვირა იარბოროსმ. მისთვის არავის შეუხედავს, მაგრამ იანგბლადმა როგორღაც მისდა უნებურად წამოიყვირა:

— მათ მოჰკლეს პრეზიდენტი!

ჯონსონის მეუღლემ გაგონილი არ ირწმუნა. „ეს ხომ ამერიკაა, — ფიქრობდა ქალი, — ჩვენში მკვლელები არ არიან“. მერე გვერდზე გაიხედა, ფეხით მოსიარულეთა გადასავლელის შუაში ლითონის საგზაო მაჩვენებელს მოჰკრა თვალი. მწვანე ფონზე დიდი ასოებით ეწერა: „პარკლენდის მემორიალური ჰოსპიტალი. პირველი შესახვევი მარცხნივ“. ქალი მაინც ვერაფერს მიხვდა და მკითხაობდა, რა ეწერა მაჩვენებელზე — საუტლენდი თუ პარკლენდი? — თუმცა ჯონსონის მეუღლემ სიტყვა „ჰოსპიტალი“ სრულიად გარკვევით წაიკითხა. „ჰო, — გაიფიქრა ქალმა... — მოხდა ან თითქმის მოხდა რაღაც საშინელება“. და მაინც თავს ძალად აიმედებდა, აუხდენელზე ოცნებობდა. ცდილობდა თავი დაემშვიდებინა, თითქოს ეს ყველაფერი მხოლოდ უსაფრთხოების წინასწარი ზომები იყო. „არა, იქნებ, მართლა მოხდა რაღაც უბედური შემთხვევა და ახლა იმ საუტლენდის, ლეიკლენდის თუ პარკლენდის ჰოსპიტალში მივდივართ, — კვლავ გაუელვა ქალს გონებაში. — მაგრამ რა არის აქ

ისეთი? ახლა იქ ცოტა ხნით შეეჩერღებით და შეეამოწმებთ, ვინმე მართლა ხომ არ დაშავდა".

აგენტები „ხანჯალი", „რუხი", „სხივი", ყველაკ განაგრძობდნენ მთავრობის რადიოკავშირით მიკროფონებში თავიანთ გაუგებარ ჟარგონზე ბურტყუნს.

მაგრამ ლედი ბიორდის დაჟინებულ იმედებს ახდენა არ ეწერა. თვით აქაც კი შეუძლებელი აღმოჩნდა მასობრივი ინფორმაციისაგან თავის დაღწევა.

ჰოსპიტალს მოახლოებული ვიცე-პრეზიდენტის მანქანაში ყოველგვარი ხმაური გადაფარა კომერციული რადიოსადგურის ხრიალმა, რომელიც მძღოლ ჰერშელ ჯეკსის დინამოდან აღწევდა. უეცრად გადაცემა შეწყდა და რადიომიმღებიდან არეული ხმები გაისმა. რადიოსტუდიაში აყირავებული ავეჯის ხმაური და ოპერატორების ხმამაღალი, აშკარად ისტერიული გადალაპარაკებანი ისმოდა. ბოლოს, როგორც იქნა, მღელვარებისაგან სუნთქვაშეკრული დიქტორი გონს მოეგო. ნაწყვეტ-ნაწყვეტად გადმოცემული ცნობებისგან თანდათან გამოიკვეთა რაღაც საერთო სურათი. მართალია, იგი ჯერ კიდევ საკმაოდ დაქსაქსული და არასრული გახლდათ, მაგრამ ამ ცნობებში, მართლაც, იარაღით გასროლის ფაქტს იტყობინებოდნენ და არა ავტომანქანის სახშობისა თუ სათამაშო ყუმბარის გასკდომის ამბავს.

რადიოთი გადაცემული ყველა ამ ცნობის წყარო გახლდათ ჟურნალისტთა ჯგუფის წევრები კილდაფის მეთაურობით. ისინი ლედი ბიორდის უკან, სულ რაღაც თხუთმეტი მეტრის დაშორებით მოდიოდნენ.

ჯერ კიდევ ელმ-სტრიტზე იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის (ი. პ. ი) კორესპონდენტმა მერიმენ სმიტმა შეძლო რადიოტელეფონის ყურმილის ჩაგდება. მისმა კოლეგებმა დალასის ი. პ. ი-ის ბიუროში აშკარად გაიგონეს სმიტის მყეფარე ხმით წარმოთქმული სიტყვები:

— დალასის საქმიან კვარტალში პრეზიდენტის კორტეჟს სამჯერ ესროლეს.

სინამდვილეში სმიტი არ იყო ისეთი შეუმცდარი რეპორტიორი,

როგორიც მაშინ შეიძლებოდა მოჩვენებოდათ. მართალია, სმიტი შესანიშნავად ერკვეოდა ცეცხლმსროლელი იარაღის სახეობებში, მაგრამ ეს სამი ტყვია მას ავტომატის გასროლა ეგონა. ამიტომაც თავის მომდევნო გადაცემებში მას „ჯერი“ უწოდა. ამ შეცდომის მიუხედავად, მისი რეაქციის სისწრაფე ჭეშმარიტად განსაცვიფრებელი აღმოჩნდა. პირველი „ელვა“ იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის ტელეტაიპით გადაცემულ იქნა 12 საათსა და 34 წუთზე ანუ ორი წუთით ადრე, ვიდრე პრეზიდენტის მანქანა პარკლენდის ჰოსპიტალს მიაღწევდა. თავდასხმის უშუალო მოწმეთა გონს მოსვლამდე ეს ახალი შემაშფოთებელი ცნობა მთელ მსოფლიოს მოეფინა. იმ ადამიანების თვალში, ვისაც გაგონილი და წაკითხული ყველაფერი სჯერა, „სამ“ რიცხვს რაღაც განსაკუთრებული წონა აქვს. ბევრი იმათგანი, ვინც თავდასხმის დროს მოედანზე იყო, თვლიდა, რომ მხოლოდ ორი გასროლის ხმა გაიგონა, მაგრამ ეს ჩვენებანი მათ შემდეგ შესცვალეს.

პრესის მანქანაში იმ დროს მყოფ ხუთი ჟურნალისტიდან კილდაფს, ბასკინსა და კლარკს მხოლოდ მანქანის გაჩერების შემდეგ შეეძლოთ რაიმე ეღონათ. მერიმენ სმიტი და ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი ჯეკ ბელი ჟურნალისტების სხვა ყაიდას ეკუთვნოდნენ. ისინი ტელეგრაფის სააგენტოს აგენტებად მუშაობდნენ და მათი ოპერატიულობა წამებით იზომებოდა. სმიტი გახლდათ ის პირველი კორესპონდენტი, ვინაც ეს უდიდესი მნიშვნელობის სენსაციური ცნობა გადასცა. მისთვის ეს იყო ყველაზე დიდი წარმატება მთელი თავისი ჟურნალისტური კარიერის მანძილზე. მან შეგნებულად დაუგვიანა ლაპარაკი ასოშიეიტედ პრესის ტელეფონისტსა და კორესპონდენტ ბელის, რითაც თავისი გადაცემის უპირატესობა გაზარდა. სმიტს რადიოტელეფონის მიკროფონი ჩაებღუჯა და კვლავ თვითონ განაგრძობდა გადაცემას. ჯერ ინფორმაციის ერთი ნაწილი უკარნახა, მერე მეორე, მესამე, მეოთხე. აღშფოთებული ბელი თავისი ადგილიდან წამოხტა და სმიტს მივარდა: ახლავე მომეცი მიკროფონი. სმიტს დრო გაჰყავდა, დალასელ ტელეფონისტს მის მიერ გადაცემული ცნობის გამეორებას სთხოვდა. თან იმას ირწმუნებოდა, ხაზი დაზიანებულია, გადაცემა ჭირსო. მაგრამ ამ ეშმაკობას არავინ წამოგებია: მანქანაში მყოფთ მშვენივრად ესმოდათ იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის ტელეფონისტის ხითხითა ხმა.

კავშირი შესანიშნავი იყო. სიბრაზისაგან აჭარხლებული ბელი ყვირილით მივარდა სმიტს და მიკროფონის ძალით წართმევა დაუპირა. სმიტმა მიკროფონი მუხლებში მოიქცია და მძღოლთან შეიკრუნჩხა. გააფთრებული ბელის განურჩევლად მოქნეული მუშტები ხან შოფერს ხვდებოდა და ხან მის გვერდით მჯდარ კილდაფს.

— ეს რა შენობაა? — შესძახა კილდაფმა შოფერს.

— პარკლენდის ჰოსპიტალი, — ასევე ხმამაღლა მიუგო მან.

როგორც იქნა, მერიმენ სმიტმა მიკროფონი ჯეკ ბელს დაუთმო, მაგრამ რაღა დროს, კავშირი მაშინვე გაწყდა.

• •

ჰოსპიტლის ეზოს აგურით ნაგები შესასელელი წითელი ნეონის ორი წარწერით იყო განათებული „მხოლოდ „სასწრაფო დახმარება“ და „შესვლა ნებადართულია მხოლოდ სანიტარული მანქანებისათვის“. ავტომანქანათა იმ სამი სადგომიდან, საიდანაც ავადმყოფები სპეციალურ ბაქანზე გადაჰყავდათ, დაკავებული მხოლოდ პირველი აღმოჩნდა. სადგომზე იდგა თეთრად შეღებილი მანქანა. იგი დალასის დამკრძალავი ბიუროს მფლობელ ვერნონ ო'ნილს ეკუთვნოდა და საჭიროების მიხედვით ხან „სასწრაფო დახმარების“ მანქანად იყენებდნენ და ხან კატაფალკად. პრეზიდენტის მანქანამ სადგომებს ჩაუარა, მარცხნივ შემობრუნდა და დიაგონალურად გაჩერდა. დანარჩენმა ხუთმა მანქანამაც სელა მკვეთრად დაამუხრუჭა და შესასელელის გაყოლებაზე გამწკრივდნენ.

მაშინვე გაიღო ყველა მანქანის კარი. პრესის მანქანიდან გადმომხტარი სმიტი კლინტ ჰილთან მიიჭრა.

— როგორ არის? — ჰკითხა სუნთქვაშეკრულმა ჟურნალისტმა.

კლინტს ჯერ წყველა აღმოხდა, მერე კი ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგდო:

— იგი მკვდარია, სმიტ.

შაგვრემანი სმიტი რაღაცით პირატს წააგავდა, კისრისტეხით რომ შევარდა ჰოსპიტლის შენობაში. კორიდორის მარცხენა მხარეს, უბედურ შემთხვევათა სარეგისტრაციო ფანჯარაში მორიგე ქალი ქვითრებს არჩევდა. სმიტი ოთახში შეიჭრა, ტელეფონის ყურმილს ხელი წააცლო და ქალს შესძახა:

— როგორ გამოვიძახო ქალაქი?

— აკრიფეთ ცხრიანი, — ენისბორძიკით უპასუხა ქალმა.

სმიტმა ჯერ ცხრიანი აკრიფა და მერე ი. პ. ი-ის ადგილობრივი განყოფილების ნომერი და კლინტ ჰილის სიტყვები გადასცა.

იქით ეი-ბი-ბი-ს კორესპონდენტმა კლარკმაც მოახერხა გადასასხმელი სისხლის მარაგის შესანახ ოთახში ტელეფონის აპარატის აღმოჩენა. ბელი კი ჯერ ისევ აპარატს დაეძებდა. მაგრამ წამები, რისთვისაც ასე გამალებით იბრძოდნენ ტელეგრაფის აგენტები, უკვე წუთებში გადაიზარდა. უიმედოდ იგვიანებდა ასოშიეიტედ პრესი. ბელი შეეცადა კენ ო'დონელისაგან გაეგო რამე, მაგრამ კრიჭაშეკრულმა კენმა სიტყვის დაძრაც ვერ შეძლო.

ამ დროისათვის რის ვაი-ვაგლახით იანგბლადიც გადმოვიდა ვიცე-პრეზიდენტის მანქანიდან. ჯონსონი კვლავ თავის ადგილას იჯდა და როგორღაც ხელებს ისრესდა. ამ ჟესტს თვალი მოჰკრეს მოცლილმა ადამიანებმა, რაც საფუძვლად დაედო ჭორის გავრცელებას, თითქოს ჯონსონიც დაჭრილი იყო. სულ რაღაც ერთი წამის შემდეგ ხუთი აგენტის მჭიდრო რკალში მოქცეული ჯონსონი ცალკე გაიყვანეს. რაღაც მცირე დროის მანძილზე ჯონსონის მეუღლე დაცვის გარეშე დარჩა და ისიც მალევე ქმრის კვალს მიჰყვა. პარმალზე ასვლისას ქალი შეეცადა როგორმე დაენახა, რა ხდებოდა პრეზიდენტის „ლინკოლნში", მან მხოლოდ ერთი წამით მოჰკრა თვალი მანქანაში მოხდენილად გადახრილ ქალის სხეულს.

უკვე პირველ ლედად ქცეულმა ლედი ბიორდიმ პირველი მზერა შეავლო მის წინამორბედს. ჯონსონის მეუღლე შენობაში შევიდა.

სხვა ყველა პრეზიდენტის მანქანასთან შეჯგუფებულიყო. უფრო სწორად ყველა, გარდა სანიტრებისა: ჰოსპიტლის არც ერთი თანამშრომლის ჰაჰანება არა ჩანდა. კელერმანმა, სორელზმა და ლოუსონმა აღშფოთებით გადახედეს ერთმანეთს.

— სასწრაფოდ წყვილი საკაცე! — მთელი ძალით დაიყვირა როიმ.

ძახილს არავინ გამოხმაურებია. ჰოსპიტალი თითქოს ჩაკვდაო.

ჰოსპიტლისათვის შეტყობინების დაგვიანებას (რაც გამოწვეული იყო დალასის პოლიციის მორიგის მიკროფონის დროებითი დაზიანებით) არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ჯონ კენედის

ამქვეყნიური ტანჯვისათვის. მისი ჭრილობები რომ ნაკლებსახიფათო ყოფილიყო, რასაკვირველია, ჰოსპიტლისთვის ცნობის ასე ლაგვიანებით გადაცემა ფრიად სერიოზული გამოძიების საგანი გახდებოდა. მაშინ იმის გამოკვლევითაც დაინტერესდებოდნენ, თუ რა მიზეზის გამო აღმოჩნდა პრეზიდენტის პირადი ექიმი ბერკლი კორტეჟის კუდში.

მაგრამ ამერიკის მთავრობის მეთაურის გადარჩენა უკვე აღარაფერს შეეძლო. იგი მთელი ექვსი წუთის მკვდარი გახლდათ. ექიმი ბერკლი მზადაც რომ ყოფილიყო — ხალათსა და ქირურგიულ ნიღაბში, იქვე ჰყოლოდა პარკლენდის ჰოსპიტლის მთელი პერსონალი, მაშინაც კი ეერაფერს უშველიდა თავის პრეზიდენტს. უფრო მეტიც, მსხვერპლი რომ უბრალო მოკვდავი ყოფილიყო და არა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ყოველი ექიმი პირველი გასინჯვისთანავე „გზაშივე სიკვდილის“ ფაქტს დაადასტურებდა. კენედი აღარ სუნთქავდა. თვალის გუგები გაფართოებული და უმოძრაო ჰქონდა. ტყვიას სწორედ ტვინი გაეხვრიტა.

და მაინც პრეზიდენტის მეუღლეს სათუთად ეჭირა მისი სხეული, თავად კი გულამოსკვნილი ყრუდ ქვითინებდა.

ლოუსონი გამალებული შევარდა ჰოსპიტალში, ხოლო პაუერსი და ო'დონელი პრეზიდენტის მანქანისკენ გაქანდნენ. პაუერსმა გაიგონა ემორი რობერტსის შეძახილი, შეჩერდით, მაგრამ მისი ყურადღება არ მიუქცევია. ეგონა, პრეზიდენტის სიცოცხლის გადასარჩენად ყოველ წამს ჰქონდა მნიშვნელობა. პაუერსმა მთელი ძალით თავისკენ მოსწია „ლინკოლნის“ მარჯვენა კარი. სურდა, ო, როგორ სურდა, გაეგონა მისთვის კარგად ნაცნობი, საყვარელი ხმა: „ყველაფერი რიგზეა, უვნებლად გადავრჩი“.

პაუერსსა და პრეზიდენტს ცოტა რამ ხომ არ გადაუტანიათ ერთად. რა ხიფათს არ გადარჩენილან. რამდენჯერ ყოფილან მძიმე, თითქოს გამოუვალ ვითარებაში და მაინც ყველაფერი კარგად დამთავრებულა. „ამჯერადაც ყველაფერი კარგად იქნება, — ფიქრობდა აღგზნებული პაუერსი, — უსათუოდ კარგად, არ შეიძლება მოხდეს გამოუსწორებელი!“ მაგრამ პრეზიდენტის გაყინული თვალების დანახვისთანავე მიხვდა, რომ გამოუსწორებელი უკვე მომხდარიყო.

— ო, ღმერთო ჩემო, ბატონო პრეზიდენტო! — წამოიყვირა მან და მწარედ აქვითინდა.

ო'დონელი მანქანის მარცხენა ფრთასთან იდგა. უსაზღვროდ დაძაბული და ლარივით გაჭიმული „სმენაზე“ მდგარ, ხელებდაშვებულ ჯარისკაცივით გაშეშებულიყო. თითქოს კაცი კი არა, ქვის ქანდაკიაო.

ემორი რობერტსმა პაუერსი იქით მიწია და მანქანის ბორტთან მიიჭრა.

— წამოდექით, — უთხრა მან ჟაკლინ კენედის. პასუხის ნაცვლად ქალის ძლივს გასაგონი გოდება მოისმა. რობერტსი პრეზიდენტის სახეს ვერ ხედავდა და ქალის ხელი ოდნავ ასწია, მაგრამ როცა ჯონ კენედის შიგ სახეში ჩახედა, მაშინვე გაუშვა ჟაკლინს ხელი, შემობრუნდა და თუმცა თავის უშუალო უფროსს კელერმანს მიმართავდა, მბრძანებლურად წარმოთქვა:

— თქვენ კენედისთან დარჩით. მე ჯონსონთან მივდივარ! — და ლედი ბიორდის კვალს მიჰყვა.

ამ დროისათვის გრირი უკვე ეხმარებოდა ლოუსონს „ლინკოლნის“ კარებთან წყვილი საკაცის გაწყობაში. ცოლ-ქმარი კენედები და კონელები კვლავ იმავე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ირგვლივ შემოხვეული ადამიანებიც მოცელილებივით ფეხზე ძლივს იდგნენ. შოკსა და დაბნეულობას მათთვის მოქმედების უნარი წაერთმია. სულ რაღაც შვიდი წუთის წინ საზეიმო სადილზე მიჰქროდნენ, ახლა კი, რომელიღაც ჰოსპიტლის შესასვლელთან შეჯგუფებულნი უთავბოლოდ ირეოდნენ. არავინ იცოდა, ვინ დასჭრეს და რამდენად სახიფათოდ. ერთ-ერთმა ასეთმა მაყურებელმა ჟაკლინის კაბაზე სისხლის დანახვისას წამოიყვირა:

— ღმერთო ჩემო, ჟაკლინი დაუჭრიათ!

ამ სიტყვებმა მაშინვე მიაღწიეს ჰოსპიტლის პაციენტების ყურებამდე. იარბოროომ და კილდაფმა ერთდროულად შენიშნეს კონელის სახეზე შემხმარი სისხლის ლეკერტები და დაასკვნეს, ალბათ, ტყვია შიგ შუბლში მოხვდაო. გუბერნატორს სახეზე მართლაც მკვდრის ფერი ედო.

მაგრამ ტეხასის გუბერნატორმა სწორედ მაშინ დაიწყო გონს მოსვლა. რამდენიმე წუთის წინ კი თვითონაც ასე ეგონა, ესაა ვკვდებიო. მანქანის მკვეთრად დამუხრუჭების ბიძგმა როგორღაც მდგომარეობიდან გამოიყვანა. ქუთუთოები შეარხია და თვალებიც ოდნავ გაახილა. კონელი გრძნობდა მანქანის ირგვლივ ატეხილ ფა-

ციფუცს და გონებაში გაუელვა: პრეზიდენტის ცხედრის გადარჩენა მხოლოდ გადასაწყვეტი დასაჯდომების გადახსნით თუ მოხერხდებაო. ჰოდა, აკი სცადა კიდეც წამოწევა, მაგრამ ცოლი განზრახვას ვერ მიუხვდა და შეაჩერა.

როგორც იქნა, სანიტრებიც მოვიდხენ და მანქანის ბორტს იმ მხრიდან მიადგნენ, სადაც ნელი იჯდა. გუბერნატორს თვალის უსწრაფესად მხრებზე მოავლეს ხელი და მანქანიდან გადმოყვანა დაუწყეს. იქითა მხრიდან კი პაუერსი უკავებდა ფეხებს, მაშინ როცა თავად ძლივს ოდგა ფეხზე და ქვითინსაც სიმწრით იკავებდა. მთელი ეს ოპერაცია ადვილად და სწრაფად ჩატარდა. კონელის მდგომარეობა სინამდვილეში არცთუ ისე მძიმე იყო, როგორც ადრე ეგონათ. სხეული მოდუნებული არა ჰქონდა, პირიქით კუნთები დაძაბა კიდეც, რომ სანიტრებს არ გასჭირვებოდათ. კონელი პირველ საკაცეზე დააწვინეს და ჰოსპიტალში გააქანეს. ბარბაცით მიმავალი შეუღლეც ქმარს უკან აედევნა.

ჯერი პრეზიდენტზე დადგა. ჟაკლინ კენედი როგორღაც გაშეშებული ჩანდა. ყოველი მხრიდან მზერამიპყრობილ, ღია მანქანაში მჯდარ ქალს თავი თითქოს უმწეოდ და უსასოოდ უნდა ეგრძნო, მაგრამ იგი ვაჟკაცურად იბრძოდა თავისი პატარა სამყაროს შესანარჩუნებლად, სადაც მხოლოდ ორნი იყვნენ — თვითონ და პრეზიდენტი. თავდახრილ ქალს ქმრის ცხედარი კვლავ სასოებით ეჭირა. თუნდაც ერთი წამით ხელის შეშვება, მოხვეული მკლავების მოდუნება ნიშნავდა უცხო, ცნობისმოყვარე თვალთათვის პრეზიდენტის ტყვიით გახვრეტილი დამახინჯებული თავის ჩვენებას. ამის გაფიქრებაც კი მისთვის აუტანელი იყო. ქალი ცდილობდა მანქანის ირგვლივ შემოჯარული ხალხისათვის არ შეეხედა. ქმრის გასისხლიანებული თავი მკერდზე მიეკრა და თანდათან დაბლა იწეოდა. ჩამოვარდა ხანმოკლე, დაძაბული პაუზა. მხოლოდ ახლოს მყოფთ ესმოდათ ქალის ჩუმი ნაწყვეტ-ნაწყვეტი სლუკუნი.

კლინტ ჰილი და როი კელერმანი მანქანის უკანა საფეხურებზე შედგნენ. ჰილი ჟაკლინს ზურგს ამოუდგა და მოკრძალებით მიმართა:

— გთხოვთ, ქალბატონო კენედი.

მერე, როცა ჟაკლინის მხრებს შეეხო, ჰილი მიხვდა, როგორ უცახცახებდა მთელი სხეული. გავიდა ოთხი წამი, ხუთი...

რალფ იარბოროო ბუნდოვნად ხვდებოდა საქმის ვითარებას. მართალია, ეს მისი შინაგანი, ინტუიციური მიხვედრა იყო, თვით ჭრილობა მას არ დაუნახავს, მაგრამ გრძნობდა. — ჟაკლინს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, ამ ხარბად მაცქერალი მოსეირეთათვის თავისი უბედურება არ ეჩვენებინა. სენატორი იარბოროც ამ ბრბოს ნაწილი იყო. სხვებთან ერთად ისიც ცდილობდა ყველაფერი კარგად დაენახა, არაფერი გამორჩენოდა. თვითონაც ხვდებოდა ცქერის უხერხულობას, მაგრამ რომ არ შეეხედა ესეც არ შეეძლო. ჟაკლინის სიმტკიცით გამოწვეულმა აღფრთოვანებამ, ბრბოს გაშიშვლებული ცნობისმოყვარეობის არარად ჩაგდებამ თავისი გაიტანა: იარბოროს ენებურად უკან დაიწია. ჟაკლინმა ქვითინი ჩაიხშო, უეცრად წელში გაიმართა. ამაყად თავაწეული ქალის სახე გაქვავებულ ნიღაბს მოგაგონებდათ.

— გთხოვთ, — კვლავ გამოსცრა ჰილმა. — პრეზიდენტი ექიმთან უნდა მივიყვანოთ.

ქალმა პასუხად თითქმის უხმოდ წამოიკვნესა:

— ვერ მოგცემთ, ჰილ! [1]

— კი მაგრამ, იგი ხომ ჰოსპიტალში უნდა მივიყვანოთ, ქალბატონო კენედი.

— არა, ჰილ! თქვენ უკვე იცით, რომ იგი მოკვდა. ჰოდა, დამტოვეთ მასთან!

უეცრად ჰილი მიხვდა, ასე რა აღიზიანებდა ქალს. იგი იყო ერთადერთი ადამიანი, ვისაც ამის გაგება შეეძლო, რადგან პირველი გასროლის შემდეგ, იმ რამდენიმე წამის განმავლობაში, მხოლოდ მან ნახა ის მარად წარუშლელი სცენა, რაც „ლინკოლნის“ უკანა დასაჯდომზე მოხდა.

ჰილმა მაშინვე გაიძრო პიჯაკი და ჟაკლინს მუხლებზე დაადო. ფრთხილი, ნაზი მოძრაობებით ქალმა პიჯაკი ქმარს თავზე მოახვია.

---

[1] კლინტ ჰილი ირწმენება, ჟაკლინს გარკვეეით არაფერი წარმოუთქვამსო, მაგრამ ჟაკლინმა ნამდვილად თქვა ეს სიტყვები. მას კარგად ახსოვს -ეს. მისი დამოწმება უფრო სარწმუნო წყაროდ მიგეაჩნია, რადგან იმ წუთისათვის იგი უკვე სავსებით იყო გონს მოსული. აქედან დაწყებული ყველა მისი მოგონება გამოირჩევა განსაცვიფრებელი სიცხადით, რასაც იქ მყოფთა სხვა ჩვენებანიც ადასტურებენ.

კლინტი, როი, დეივი, გრირი და ლოუსონი პრეზიდენტის სხეულს უკვე საკაცეზე ათავსებდნენ. უეცრად ჟაკლინს კვლავ პანიკური შიში დაეუფლა — ისინი მეტისმეტად ჩქარობდნენ და პიჯაკი დაბლა ჩაცურდა. ქალი სწრაფად წაწვა სისხლით გაჟღენთილ დასაჯდომზე და პიჯაკს ხელი შეაშველა. მთელი ის დრო, ვიდრე პრეზიდენტის უსულო სხეული რის ვაი-ვაგლახით საკაცეზე გადაჰქონდათ, ჟაკლინს თავისი ფერდაკარგული თითებით ეკავა ქმრის კეფაზე გადაფენილი პიჯაკი. დიდი ჯაფა დასჭირდა პრეზიდენტის მანქანიდან გადმოყვანას. კონელისაგან განსხვავებით კენედის სხეული ერთიანად მოდუნებული ჰქონდა.

როგორც ძველმა იურისტმა, სენატორმა იარბოროუმ მაშინვე შენიშნა ავისმომასწავებელი ნიშნები — პრეზიდენტს ფეხები მიცვალებულივით უყანყალებდა.

ჰოდა აი, კენედი უკვე საგორავ საკაცეზე დასვეს და სასწრაფოდ ჰოსპიტალში შეიყვანეს. „უცხო პირთა შესვლა აკრძალულია" — იუწყებოდა საგდულიან კარზე გაკრული წარწერა. დიახ, ამ კარის იქით სრულიად სხვა სამყარო სუფევდა. მზის სხივი შიგ არასოდეს აღწევდა და ჰაერიც მიაზმებს მოეწამლა. კორიდორის კედლები, გულისდამამძიებელი ხორცისფერი შორენკეცის ფილებით იყო მოპირკეთებული, ხოლო იატაკის წაბლისფერი ლინოლიუმი გადაქექილიყო. კორიდორის ორთავე მხარეს ლაბირინთივით დახლართულ პატარ-პატარა ოთახებში პედიატრები, თერაპევტები, გინეკოლოგები, რენტგენოლოგები და ქსენონი მოეთავსებინათ. როგორც იქნა, ქირურგიულ განყოფილებასაც მიაღწიეს. ოთახი თეთრი ფარდებით მომცრო კაბინებად იყო დაყოფილი. ერთი უკანასკნელი მოსახვევიც და ვიწრო გასასვლელში აღმოჩნდნენ. გასასვლელი თავისი სიგანით „ლინკოლნის" ძარას არ აღემატებოდა. მარცხნივ ტრავმულ ჭრილობათა № 2 პალატა მდებარეობდა, საიდანაც ჯონ კონელის კვნესა ისმოდა. კარებთან ცრემლისაგან სახეშესიებული მისი მეუღლე იდგა. ქალმა მოსულთ უხმოდ აარიდა თვალი. პრეზიდენტის საკაცე მარჯვნივ № 1 პალატაში შეაგორეს. შესვლისას ვიღაცამ ჟაკლინი შეაჩერა. დიახ, მხოლოდ აქ, პალატის ზღურბლთან უშვა ქალმა პრეზიდენტის თავზე წახურული პიჯაკის კალთას ჩაფრენილი თითები. ჟაკლინმა უკან დაიხია.

მწუხარებას სხვადასხვაგვარად ავლენენ ადამიანები. ზოგი (მათ

რიცხვს შედარებით ღრმა განცდების ადამიანები მიეკუთვნებიან) უხმოდ იტანჯება. ქვეყანა ვერ ხედავს მათ ცრემლებს. პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწე კენ ო'დონელიც, უდავოდ, ადამიანთა ამ კატეგორიას ეკუთვნოდა. შესახედავად იგი ახლა მოულოდნელად სმენა და მეტყველებადაკარგულ ადამიანს ჰგავდა. შეიძლება ითქვას, ჰოსპიტალში იმქამად მყოფთა შორის მხოლოდ ჟაკლინი იტანჯებოდა მასზე მეტად. ო'დონელი ისედაც არ გამოირჩეოდა დიდი მოუბრობით, ახლა კი მწუხარებამ სულ მთლად ჩაახშო, თითქოს გარე სამყაროს მოწყვიტაო. ეს ტანდაბალი, შავგვრემანი კაცი უმიზნოდ დაბორიალობდა წინ და უკან № 1 პალატასა და მორიგე მედდის მაგიდას შორის. სახეზე რაღაც უცნაური გამომეტყველება შეპყინვოდა, გეგონებოდათ, ჩაქუჩის მოულოდნელი დარტყმით გააყრუესო. კენი შეკითხვებსაც კი უპასუხოდ ტოვებდა. თუმცა ეს არც არავის უკვირდა, კენი საერთოდაც სიტყვაძვირი და მკაცრი კაცი იყო. საკუთარ განცდებში ჩაფლული ადამიანები ვერ ამჩნევდნენ ო'დონელში მომხდარ ღრმა ცვლილებას. იგი ყველაზე ერთგული ვასალი გახლდათ და თავისი სიუზერენის დაკარგვით საშინელ სიმარტოვეს და უმწეობას გრძნობდა.

დეივ პაუერსმა ჰაიჰარად ჩაიწერა სამად სამი სტრიქონი:

„12 საათი და 35 წუთი. სირბილით შევიყვანეთ საგორავზე დაწვენილი პრეზიდენტი სასწრაფო ქირურგიის № 1 პალატაში. გვერდითვე მოგვდევდა საგორავს ხელწავლებული ჯეკი".

რალფ იარბოროს დედის რძესთან ერთად ჰქონდა შეთვისებული სამხრეთის შტატების მრავალფერი რიტორიკა. მისი აზრები, ჩვეულებრივ, მაღალფარდოვან სენტენციებად ყალიბდებოდნენ. იარბოროს ბაგეთაგან წარმოთქმული ეს სიტყვები ისევე ბუნებრივად გეჩვენებოდა, როგორადაც ო'დონელის უთქმელი სევდა.

— ბატონებო, ჩვენ აღმოვჩნდით საშინელი დანაშაულის მოწმენი, — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქვა რეპორტიორებით გარშემორტყმულმა იარბოროომ და სული შეეგუბა. მერე ძალის მოსაკრებად გვერდზე მიტრიალდა და ხმადაბლა წაილაპარაკა: — მშფოთვარე ტალღებმა შთანთქეს ეკსკალიბური... [1]

---

[1] ეკსკალიბური — მეფე არტურის ხმალი. ლეგენდის თანახმად, მეფემ სიკვდილის წინ ამ ხმლის ტბაში გადაგდება ბრძანა.

მოვლენების მეტისმეტად სწრაფი განვითარების შედეგად უმრავლესობის რეაქცია ფრიად დაყოვნდა.

ადამიანების ტანჯვას შეჩვეული გახლდათ პარკლენდის ჰოსპიტლის უფროსი ჯეკ პრაისი. რესპუბლიკელთა პარტიის კონსერვატიული ფრთის ერთგულ პრაისს სულაც არ ხიბლავდა კენედის დიდება, მაგრამ თვით ეს კაციც კი ვერ გარკვეულიყო, რომ არსებობდა რაღაც კავშირი მისი ჰოსპიტლის საოპერაციოებში დატრიალებულ ტრაგედიასა და იმ უწმინდეს ინსტიტუტს შორის, რაც მის თვალში ამ მომენტამდე ამერიკის პრეზიდენტის თანამდებობა იყო.

ჯეკ პრაისი ჯერ კონელის სასწრაფო დახმარების ოთახში შეყვანას წაეშველა, ახლა კორიდორში იდგა და ჰოსპიტლის პერსონალს შორის წესრიგს ამყარებდა. მოულოდნელად მის წინ, საგორავზე დაწვენილმა კიდევ ერთმა პაციენტმა გაიქროლა, რომელსაც გულზე ვარდების თაიგული ედო. ჯეკ პრაისისათვის საგორავიანი საკაცე ჩვეულებრივი სანახაობა იყო და მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუცია. მისი ყურადღება არც პაციენტს მიუქცევია, დაზარალებულს თავზე პიჯაკი ჰქონდა მოხვეული. ვიღაცამ წამოიკვნესა:

— ო ღმერთო, პრეზიდენტი კენედი მოუკლავთ!

პრაისის შეგნებამდე ვერც ამ სიტყვებმა მიაღწიეს. იგი უბრალოდ ვერ მიხვდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო. საგორავს ვიღაც ახალგაზრდა ქალიც მისდევდა, ფოტოსურათების წყალობით პრაისმა მაშინვე იცნო იგი. ხოლო როცა ქალის მოხრილი სხეული ქირურგიული განყოფილების კარისაკენ გაქანდა, პრაისი უმალვე მისკენ მიტრიალდა. უთუოდ მოხდა რაღაც განსაკუთრებული. ყველა სურათში იგი უზადოდ ჩაცმული ჩანდა, ახლა კი საშინლად თმაგაწეწილი, დასერილ-დალაქავებული კაბით გარბოდა. პრაისი სულ მთლად დაიბნა, ვერ მიმხვდარიყო, როგორ გადაისხა ქალმა ფეხებზე წითელი საღებავის ასეთი სქელი ღვარი.

პარკლენდის ჰოსპიტალი ჯერ პირველი შემოსევისგან ვერ მოსულიყო გონს, რომ სავაჭრო ცენტრიდან ხალხის ახალი, უზარმაზარი ტალღა მოაწყდა.

კონგრესის წევრებით სავსე პირველი მანქანა საოცარი სისწრაფით მიიჭრა ჰოსპიტალთან. იქიდან გადმომხტარმა ჰენრი გონზა-

ლესმა პრეზიდენტის „ლინკოლნიდან“ გადმოყვანის მომენტსაც კი მიუსწრო.

უბედურების ამბავი ყველაზე გვიან „განსაკუთრებით საპატიო პირთა“ მანქანაში მსხდომთ გაიგეს. მათ სავაჭრო ცენტრში უკანა მხრიდან შესელა ჰქონდათ ნაბრძანები.

უეცრად ექიმმა ბერკლიმ იგრძნო, რომ მოხდა რაღაც საშინელება. ატმოსფერო ავისმომასწავებლად დამძიმებული ენიშნა. ირგვლივ ვიღაც უცნობი ადამიანები მიმოდიოდნენ. „ნიუ-იორკ ჰერალდ ტრიბუნის“ კორესპონდენტი თავშეუკავებლად ქვითინებდა და თან დროდადრო ყვიროდა:

— ოჰ, ეს მამაძაღლები, წყეულები!

ექიმმა ბერკლიმ და მთავარი ფარმაცევტის თანაშემწემ პოლიციის მანქანით წასასვლელად გამზადებული დაცვის აგენტი ბერგერი შეაჩერეს და მასთან ერთად ჰოსპიტალისკენ გაქანდნენ.

ჰოსპიტლის „სასწრაფო დახმარების“ განყოფილებაში პრეზიდენტის შეყვანიდან სულ რაღაც რამდენიმე წუთის შემდეგ ამავე კარს პრეზიდენტის ექიმი ბერკლიც მოადგა.

პარკლენდის ჰოსპიტლის ტერიტორია ძველი, უვარგისი ავტომანქანების საყარ ადგილს დაემგვანა. ყველა მისასვლელი გზა თუ მდელო ცარიელი მანქანებით იყო მოფენილი. თითქმის ყველა მანქანის კარი ყურთამდე ღია იყო, ზოგის მოტორიც კი მუშაობდა, ჰაიჰარად დაყენებული მანქანები უცნაურად მიყრილ-მოყრილი ჩანდა.

თვითონ ჰოსპიტალშიც ხომ ნამდვილი ქაოსი სუფევდა.

თუ საქმის წმინდა გარეგნულ მხარეს არ მივიღებთ მხედველობაში, სწორედ ქალაქის ჰოსპიტლები, ვიდრე სხვა რომელიმე საზოგადოებრივი დაწესებულებანი, მზად არიან თავი გაართვან ამდაგვარ პანიკურ სიტუაციას. და მაინც, არა მგონი, ქვეყნად რომელიმე სამედიცინო დაწესებულებას შეძლებოდა ასეთი გამოცდის დამაკმაყოფილებლად ჩაბარება. ჰოსპიტალი მაღალი რანგის უცხო პირთა ურდოებით აივსო და რაიმე წესრიგსა და დისციპლინაზე ლაპარაკიც კი ზედმეტი იყო.

საოცარია, მაგრამ ყველაზე მორჩილი ხალხი პრესის მუშაკთა ჯგუფი აღმოჩნდა. მათ დანახვაზე ჰოსპიტლის დირექტორ ჯეკ პრაისს შიშის ელდა ეცა. მისივე ბრძანებით ჰოსპიტლის ერთ-ერთმა

მუშაკმა ისინი შენობის მეორე ფრთის № 101 — 102 — სამედიცინო ოთახებში მოათავსა. აქ მოიყარა თავი ჟურნალისტთა უმრავლესობამ და მოთმინებით ელოდნენ ახალ ოფიციალურ ცნობებს. პრესის მუშაკები სრულიად არ ცდილობდნენ განსაკუთრებული თავგანწირვის გამოჩენას. საკუთარი გამოცდილებით იცოდნენ, თუ ყველა ერთად დაელოდებოდა პრეზიდენტის თანაშემწეს პრესის დარგში, განაწყენებული არავინ დარჩებოდა.

ჯეკ პრაისს გაცილებით მეტი საზრუნავი საკუთარმა პერსონალმა გაუჩინა. ყველას ყელგაწვდილი ეხვეწებოდა, თქვენ პალატებში დაბრუნდითო, მაგრამ არავინ ემორჩილებოდა. ფეხზე მოსიარულე ავადმყოფები ხომ ვეღარაფერმა დააკავა. სადღა აღარ ჰყოფდნენ ცხვირს. არავითარი ხვეწნა-მუდარა არა სჭრიდა. მათი პალატებში დაბრუნება შეუძლებელი შეიქნა. ერთმა ავადმყოფმა ექთანს ასეც კი უთხრა:

— პრეზიდენტი მკვდარია. ჰოდა, რა იქნება ვითომ, ჩვენ რომ თვალი შევავლოთ? მკვდრისათვის ხომ სულ ერთია.

ექთანმაც როგორღაც დაუფიქრებლად უპასუხა:

— ჰო, მაგრამ ჟაკლინ კენედის მწუხარებას ხომ უნდა გავუწიოთ ანგარიში.

— როგორ, ჯეკი აქ არის? — დაიყვირა ავადმყოფმმა. — სად არის? სად?

ავადმყოფი მხოლოდ ძალით მოაშორეს იქაურობას.

რასაკვირველია, საიდუმლო სამსახური ვალდებული იყო ყოველგვარი დაყოვნების გარეშე ნამდვილი კორდონი შეექმნა ჰოსპიტლის გარშემო, მაგრამ მომხდარმა კატასტროფამ მოულოდნელად გამოამჟღავნა ფარულად არსებული ერთი მანკი — დაცვის ცალკეული აგენტების ერთგულება კონკრეტული პიროვნებისადმი და არა თანამდებობისადმი. ვიდრე ხელისუფლების სათავეში კენედი იდგა, მართვის მთელი სისტემა შეუფერხებლად მუშაობდა. ახლა კი ადრინდელი წესრიგი უიმედოდ იყო დარღვეული. თეორიულად დაცვის უფროსად კვლავ როი კელერმანი რჩებოდა, თუმცა ემორი რობერტსმა უკვე აგრძნობინა, რომ მის უფროსობას უკვე არა სცნობდა. ახლა, როცა კელერმანმა „ჰავბეკის“ მანქანის აგენტებს ჰოსპიტლის შესავლელების დაცვა უბრძანა, აგენტებმა ისიც კი არ

ცნობეს, რომ მათ რობერტსის მიერ ნაბრძანები უკვე სხვა დავალება ჰქონდათ და მის ბრძანებას ვერ შეასრულებდნეს.

აგენტების უმრავლესობა საერთოდ მას აღარაფერს უპატაკებდა, რაც არცთუ ისე ცუდი იყო, რადგან იმ წუთებში კელერმანისა და რობერტსის შეჯახება მხოლოდ გამოუვალ მდგომარეობას შექმნიდა.

ვინაიდან პირადი დაცვის უფროსებს თვითონ პრეზიდენტები ირჩევენ, კელერმანი ჯონსონისათვის უცნობი იყო, რამაც არსებითად გადაწყვიტა კიდეც კელერმანის ბედი. გაურკვეველი რჩებოდა, ვინ იქნებოდა მისი შემცვლელი. ახლა ჯონსონს რობერტსი იცავდა, რასაც მანამ იანგბლადი აკეთებდა. თანაც იანგბლადი ჯონსონის პირადი პროტეჟე გახლდათ. ასე რომ, საიდუმლო სამსახური, რომელიც მონაცვლეობის სიმბოლო უნდა ყოფილიყო, სრულიად დაშლილი აღმოჩნდა.

პრეზიდენტის ჯგუფის სხვა წევრების მსგავსად, დაცვის აგენტებსაც არა ჰყავდათ უმაღლესი უფროსი. მომხდარი საშინელებით ისინიც ისევე გაოგნებულნი იყვნენ, როგორადაც ყველა სხვა. კელერმანი და ჰილი-კენედის დაცვას განაგრძობდნენ, იანგბლადი, ჯონსი, რობერტსი — ჯონსონის დაცვაში გადავიდნენ. თითქმის ყველა, საკუთარი, პირადი დამოკიდებულებიდან გამოდიოდა. არ არსებობდა არავითარი გეგმა ან მოფიქრებული სისტემა, რომლის გარდუვალი შედეგი სწორედ ეს ანარქია აღმოჩნდა. ამ მხრივ საყურადღებოა ჰოსპიტლის თანამშრომლის, მომვლელი ქალის შირლი რენდალის დაკვირვებანი. მისი მოგონების მიხედვით დაახლოებით 12 საათსა და 35 წუთზე ჰოსპიტალში შემოიჭრნენ „პისტოლეტმომარჯვებული უცნობები". ქალს ჯერ ისიც კი ეგონა, ალბათ, „ბოროტმოქმედთა ალყაში" მოვექეცითო.

ჰოსპიტლის სატელეფონო კავშირის სისტემა უძლური აღმოჩნდა თავი გაერთვა გამოძახებათა ასეთი ნიაღვრისათვის, რამაც კიდევ უფრო დაამძიმა ისედაც დაძაბული ატმოსფერო. ჰოსპიტლის ტელეფონისტმა-ქალებმა მალევე შენიშნეს, რომ მათი ყველა შიდა ხაზი დაკავებული იყო. რა თქმა უნდა, რეკდნენ ადამიანები, რომლებიც ცხრიანის აკრეფით ქალაქთან დაკავშირებას ცდილობდნენ.

დადგა წუთი, როცა სატელეფონო კომუტატორის ფარზე ერთ-

დროულად აინთო მისი სრული გადატვირთვის მაუწყებელი ორ-მეტივე სასიგნალო ნათურა.

დაკავშირების საჭიროების აუცილებლობამ უზომოდ გადააჭარბა სატელეფონო სისტემის შესაძლებლობებს. თითქოს საშიშროებაც კი შეიქმნა „სასწრაფო დახმარების“ განყოფილების გარე სამყაროსთან მოწყვეტისა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. თვით იმ ყველაზე დაძაბულ პირველ ნახევარ საათში პრეზიდენტის თანმხლებმა პირებმა მრავალჯერ დარეკეს ვაშინგტონსა თუ სხვა ქალაქებში. შეუფერხებლად მოქმედებდა საიდუმლო სამსახურის მიერ საკომანდო პუნქტად ქცეული მორიგე ექთანის პოსტი. უმაღლეს ხელისუფლებას იზოლაციის საშიშროება წუთითაც არ დამუქრებია.

№ 1 პალატაში პრეზიდენტის ცხედრის შეტანისთანავე კელერმანი, ჰილი და ლოუსონი. იქვე, შუშის ტიხარით გამოცალკევებულ მორიგე ექიმის კაბინაში შევიდნენ. როიმ ლოუსონს მთავრობის კავშირგაბმულობის დალასის პუნქტის ნომერი ჰკითხა.

— რივერსაიდ 1 — 3421, — უპასუხა ლოუსონმა.

ჰილმა მაშინვე აკრიფა საჭირო ნომერი.

კელერმანმა ტელეფონისტ ქალს თავი წარუდგინა და უთხრა:

— ახლავე დამაკავშირეთ ვაშინგტონს! ნუ დაიკავებთ ამ ხაზს და ნურც გაგეთიშავთ.

თეთრი სახლის მორიგე ტელეფონისტმა ქალმა კელერმანი აღმოსავლეთ ფრთის კომუტატორს დააკავშირა. ტელეფონთან საიდუმლო სამსახურის აგენტთა ჯგუფის უფროსი ჯერი ბენი მივიდა.

— შეამოწმეთ საათი, — დაიწყო როიმ. — ახლა ჩვენთან 12 საათი და 40 წუთია (ბენის საათი 12-სა და 39 წუთს უჩვენებდა ანუ ჩამორჩებოდა ერთი წუთით). ვიმყოფებით პარკლენდის საავადმყოფოში. იგი დაჭრეს.

— ვისზე ამბობთ ამას? — ჰკითხა თავზარდაცემულმა ბენიმ.

— იგი დაჭრეს, — გაუმეორა როიმ. — ჯერ კიდევ ცოცხალია. „სასწრაფო დახმარების“ საოპერაციოში წევს. ისა და გუბერნატორი კონელი თოფის ტყვიით არიან დაჭრილნი. ნუ დაკიდებთ ყურმილს! გაცნობებთ შემდგომ ვითარებას.

კავშირი, მართლაც, არ გაწყვეტილა მაშინაც კი, როცა ბენი დაბლა, პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწის ჯეკ მაკნალის კაბინეტში ჩავიდა. ასე დაიწყო ის გაუთავებელი, ლამის ორშაბათამდე შე-

უწყვეტელი საუბრები. მავთულის ერთ მხარეს მიტკალიევით გათეთრებული ბენი იყო, მეორე მხარეს კი — კელერმანი ან მასთან დარჩენილი კენედის დაცვის აგენტები. თეთრი სახლის კავშირგაბმულობის კვანძს ყოველ წუთს შეეძლო ამ საუბრებში სხვა ტელეფონების ჩართვა. ჰოდა აი, ერთ-ერთი პაუზის დროს, როცა კლინტ ჰილს ტელეფონის ყურმილში ბენის აჩქარებული სუნთქვა ესმოდა, უეცრად რაღაც ჩხაკუნი გაიგონა და ქალის ნაცნობი ხმაც მოესმა:

— ერთი წუთით.

ეს რობერტ კენედის მეუღლის, ეტელის ხმა გახლდათ. რამდენიმე წამის შემდეგ ყურმილი უკვე მის მეუღლეს ეჭირა. ყველაფერი დაწვრილებით მითხარითო. — ითხოვდა რობერტ კენედი.

ეს ჩარევა იმდენად მოულოდნელი იყო და იუსტიციის მინისტრის ხმაც ისეთნაირად ჰგავდა პრეზიდენტისას, რომ მღელვარებისაგან შეძრწუნებული კლინტი კინაღამ წაიქცა. უფრო მოგვიანებით ოთახში კენედის ადიუტანტი გენერალი გოდფრი მაკჰიუ შევიდა და თეთრი სახლის ოპერატიული განყოფილების მორიგესთან დაკავშირება ითხოვა.

— კეთილი, მხოლოდ ლაპარაკის დამთავრების შემდეგ ყურმილს ნუ დაკიდებთ, — გააფრთხილა კელერმანმა.

დაბნეულმა გოდფრიმ ყურმილი მაინც დაჰკიდა. კელერმანმა მაშინვე წააავლო მილს ხელი, ხაზი კვლავ გაუწყვეტელი აღმოჩნდა. თეთრი სახლის მეკავშირეები მდუმარედ ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობას და თითოეულ სიტყვას გულისყურით ეკიდებოდნენ. სამწუხაროდ, მეკავშირეების ეს ნამდვილად თავდადებული შრომა სათანადოდ არ შეფასებულა. პარკლენდის ჰოსპიტალში კი ტელეფონისტი ქალები მათდა შეუმჩნევლად ჩამოაცილა უფროსმა უორენტ-ოფიცერმა არტ ბეილსმა კავშირის მართვის საქმეს. არტ ბეილსს იმის დრო არა ჰქონდა, სხვებისათვის აეხსნა და განემარტა, რას აკეთებდა ან რა მიზნით. სავაჭრო ცენტრში ჰაიჰარად შედგენილი პოლიციელთა რაზმით მოიპრა იგი ჰოსპიტალში. მაშინვე უახლოეს ტელეფონის აპარატს მივარდა და ცხრიანი აკრიფა. როგორც კი ქალაქს შეუერთდა, კომუტატორის მეშვეობით დალასის განყოფილება „შერატონიდან" თეთრი სახლის კვანძს დაუკავშირდა. შემდეგ ტელეფონის ყურმილი პოლიციელს გადასცა და მისი მკაცრად დაცვა უბრძანა. ახლა იგი სხვა ტელეფონისკენ გაიქცა, რათა იქაც იგი-

ვე მოემოქმედნა. ბეილსისათვის დახმარებას იყენენ შეპირებული თეთრი სახლის კავშირგაბმულობის უფროსი პოლკოვნიკი ჯორჯ მაკნალი და „ამერიკენ ტელეგრაფ ენდ ტელეფონ კომპანის“ წარმომადგენელი ჯეკ დოილი. მათ ტეხასში პრეზიდენტის მოგზაურობის დროს უნდა უზრუნველეყოთ შეუფერხებელი კავშირი ყოველი სატელეფონო ხაზიდან. ახლა ისინი აეროდრომ ლეე ფილდში იმყოფებოდნენ, საიდანაც არტურ ბეილსის დასახმარებლად ჰოსპიტლისაკენ მოჰქროდნენ მეკავშირე ტექნიკოსები. მათ უნდა დაეყენებინათ მეორე კომუტატორი, გაემართათ ადგილობრივი კავშირისათვის საჭირო სამი დროებითი ახალი კაბელი და ოთხიც საქალაქთაშორისო ლაპარაკისათვის. „ამერიკენ ტელეგრაფ ენდ ტელეფონ კომპანის“ ხელოვნების წყალობით დოილმა შეძლო დალასისა და ვაშინგტონის დამაკავშირებელი არხების გადაუტვირთავი მუშაობა. პარკლენდის ჰოსპიტალი დედაქალაქს შემოვლითი გზით — ჩიკაგოსა და ლოს-ანჯელესის მეშვეობით დააკავშირა. თუ ეს განსაკუთრებული ღონისძიებანი საკმარისი არ აღმოჩნდებოდა, ბეილსს მარაგად კიდევ სხვა საშუალებანიც ჰქონდა—პრეზიდენტის კორტეჟის ოთხი ავტომანქანის დანადგარები. „ლინკოლნის“, „ჰავბეკის“, პრესისა და მეკავშირეთა ავტომანქანების რადიოგადაცემებს შეეძლოთ თეთრ სახლთან დაკავშირების უზრუნველყოფა. ამიტომ იმის მტკიცება, თითქოს პარკლენდის ჰოსპიტალს ვაშინგტონთან კავშირი არა ჰქონდაო, საფუძველს მოკლებულია. ეს სატელეფონო „კრიზისი“ მხოლოდ ზოგიერთი პიროვნების წარმოდგენაში არსებობდა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ზოგჯერ ადამიანები გარეგნულ ნიშნებს მეტ ყურადღებას აქცევენ, ვიდრე საქმის რეალურ მდგომარეობას.

ჰოსპიტლის ტელეფონისტ ქალებს ბეილსი თვალითაც არ უნახავთ. ისინი ვერც კი მიხვდნენ, ისე გადავიდა მთელი კავშირი სხვა ადამიანების ხელში. მათ არ შეეძლოთ სცოდნოდათ, რომ ამ გარეგნულ ქაოსში გონივრული სისტემა იმალებოდა. ისინი მხოლოდ მათ ირგვლივ გამეფებულ ბედლამსა და არეულობას ხედავდნენ. ამასობაში იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის (იპი) სააგენტოს მიერ გადაცემულ ცნობას თავისი რეაქცია მოჰყვა. მომდევნო ორი საათის განმავლობაში ტელეფონისტი ქალი გაუთავებლად პასუხობდა ზარებს — ინგლისიდან, კანადიდან, ავსტრალიიდან, ვენესუელადან,

საფრანგეთიდან, მექსიკიდან. აკი ჩაწერა კიდეც თავის ჟურნალში:

„სასწრაფო გახდა ყველა საერთაშორისო სატელეფონო ლაპარაკი, ხოლო ყველა აბონენტი უმაღლეს წარჩინებულ პიროვნებად იქცა, ყოველგვარი რიგისა და მოცდის გარეშე რომ ითხოვენ დაკავშირებას“.

დალასში მომხდარი თავდასხმის პირველ საათში ისტერიამ ისეთ საზომებს მიაღწია, რომლის წარმოდგენა ნამდვილად შეუძლებელი იყო. შემდეგ ბევრი ცდილობდა მეხსიერებაში აღედგინა იმ პირველი წუთების საქციელი. ყველა აღნიშნავს ჭეშმარიტად უკიდურეს აღელვებას, მაგრამ საკუთარი თავისადმი კონტროლის უნარის დაკარგვის აღიარება გაუჭირდათ. ფაქტები კი უფრო მიუკერძოებული გახლდათ. დიახ, კონტროლი თითქმის დაკარგული იყო. ადამიანების მოქმედებაში შეიმჩნეოდა ყოველგვარ აზრს მოკლებული საქციელი. ამის დასადასტურებლად სულაც არ არის საჭირო რაიმე ანონიმური სატელეფონო საუბრების მოყვანა.

პარკლენდის ჰოსპიტლის „სასწრაფო დახმარების“ განყოფილებაში მყოფ ადამიანთა მაშინდელი საქციელი მეტყველი დადასტურებაა იქ გამეფებული ისტერიისა. თითოეული მათგანი ცხოვრებაში გამოცდილი, მრავალჭირგანცდილი ადამიანი იყო. და მაინც, თითქმის გამონაკლისს გარეშე, ყველა მათგანის საქციელი სხვა დროისათვის ფრიად უცნაურად გამოჩნდებოდა. ეს უცნაურობანი, რა თქმა უნდა, დაცინვის საბაბს არ იძლევა, მაგრამ რამდენიმე მაგალითის მოყვანა მაინც არ იქნებოდა ურიგო, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია იმ საერთო მდგომარეობის აღდგენა, რომელშიაც ეს ყველაფერი ხდებოდა. თუ ვინმე ახლა მოისურვებს ცალკეულ პიროვნებათა საქციელის შეფასებას, ერთთავად უნდა ახსოვდეს, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მათი მოქმედება იმდენად დამახასიათებელი და ერთმანეთის მსგავსი იყო, რომ დროის რაღაც პატარა მონაკვეთში ნორმებიდან გადახრა სწორედ თავისებურ ნორმებად იქცა.

ავიღოთ თუნდაც პრეზიდენტის უფროსი სამხედრო ადიუტანტი, ომის ვეტერანი გენერალი ტედ კლიფტონი. ჰოსპიტალში მყოფთა შორის მას პირველს უნდა გახსენებოდა სამხედრო მეკავშირეების გამოყენების შესაძლებლობა. მაგრამ მას რატომღაც ეგონა,

რომ სამხედრო კავშირის საშუალებათა მოქმედებაში ოპერატიულად ჩართვა არ მოხერხდებოდა. კლიფტონმა პარკლენდის ჰოსპიტლის ტელეფონისტ ქალს თავისი მოწმობა წარუდგინა და სთხოვა სასწრაფოდ დაეკავშირებინა იგი თეთრ სახლთან. რაღაც სასწაულით მან მართლაც შეძლო ნაციონალურ საკომანდო პუნქტის მორიგეს დაკავშირებოდა და აუცილებელი მითითებანი მიეცა. მერე თეთრი სახლის ოპერატიული განყოფილების ტელეფონსაც დაუკავშირდა და სადაზვერვო სამსახურის თანამშრომელთა უკანასკნელი ცნობები შეიტყო. შემდეგი სატელეფონო საუბარი, მას შედარებით გვიან, პრეზიდენტის მეორე სამხედრო ადიუტანტის, გენერალ გოდფრი მაკჰიუს თანდასწრებით ჰქონდა. ამ უკანასკნელმა, როგორც ჩანს, არაფერი იცოდა პირველი საუბრის თაობაზე. კლიფტონმა თავის კაბინეტში დარეკა და ტელეფონთან ჰოსულ ოფიცერს სთხოვა, გადაეცა მისი მეუღლისა და პრეზიდენტის თანმხლებ პირთა ცოლებისათვის, რომ მათი ქმრები საღი და უვნებელნი არიან. იგი მხოლოდ ამის შემდეგ დაინტერესდა სადაზვერვო მონაცემებით. საუბრის ასეთი თანამიმდევრობა მაკჰიუს, ცოტა არ იყოს, უცნაურად ეჩვენა, თუმცა განსაკუთრებული მნიშვნელობა ამისათვის არ მიუცია. მაკჰიუს, როგორც უცოლოდ დაბერებულ კაცს, დიდი დანაშაული არ დაუნახავს, ასეთ დაძაბულ მომენტში რომ ცოლქმრული მზრუნველობა გამოხატეს.

ან თუნდაც, კლინტ ჰილი, კაცმა, რომელმაც ელმ-სტრიტზე სულ ახლახან იშვიათი საზრიანობა და სიმამაცე გამოიჩინა, ახლა ქირურგიულ განყოფილებაში უაზრო ხეტიალისას უეცრად შენიშნა, რომ პიჯაკი არ ეცვა. მერე ასევე უეცრად დაასკვნა, რომ მის გარეგნულ შესახედაობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და თავისი აღნაგობის მქონე ჰოსპიტლის თანამშრომელს პიჯაკი სთხოვა. ლანდრეგანმა პიჯაკი უსიტყვოდ გაიხადა, თუმცა გუნებაში ფიქრობდა და არცთუ უსაფუძვლოდ — ნეტა სულ ერთი არ არის, ვის როგორ ეცმევა ასეთ დროსო.

კლინტ ჰილის მსგავსად, დეივ პაუერსიც შეწუხებული ჩანდა. მან თავისი პიჯაკის სახელოზე სისხლის ლაქები შენიშნა და ცოლისათვის ნათქვამი საკუთარი სიტყვები გაახსენდა: პრეზიდენტთან მგზავრობისას განსაკუთრებული გამოწყობა საჭირო არ არის, სულ ერთია, მაინც ყველა პრეზიდენტს დაუწყებს ყურებასო.

პაუერსი იაფფასიან ყავისფერ კოსტიუმში იყო და აშკარა სიამოვნებას გრძნობდა, ადვილად შესალევი, უბრალო ტანსაცმელი რომ ეცვა.

№ 1 პალატის შესასვლელს მოღუშული, ლამის მძვინვარე გამომეტყველების კაცი, ადგილობრივი პოლიციის სერჟანტი ბობი დაგერი იცავდა. ეს სათვალიანი აყლაყუდა თავისი მსხვილი ნაკვთებითა და გამჭოლი მზერით ჟაკლინს როგორღაც უსიამო კაცად ეჩვენა. აბა რას იფიქრებდა პრეზიდენტის მეუღლე, რომ ამ კაცს სულ სხვა დარდი უღრღნიდა გულს: ავტომობილი, რომლითაც იგი ჰოსპიტალში მოიჭრა, დალასის პოლიციის უფროსის მოადგილეს ბატჩელორს ეკუთვნოდა. პრეზიდენტის დაჭრის ამბავი რომ გაიგო, დაგერი სავაჭრო ცენტრთან იდგა. ჰოდა აი, ბატჩელორის გაუფრთხილებლად მის მანქანაში შევარდა და ჰოსპიტლისაკენ გამოქანდა. ახლა კი ათასი ეჭვი ურევდა გუნებას: რას იტყვის უფროსი? ვინ იცის, იქნებ, ისიც იფიქროს, ავტომობილი გამტაცესო? იქნებ, პოლიციაშიც გააცხადოს? დაგერს ქურდობა დასწამოს? პოლიციელის თვალში ეს ყველაფერი სერიოზულ პრობლემებად იზრდებოდა და მეტად მრისხანე შესახედაობას აძლევდა. ჟაკლინს კი ჯონ ბერჩის ულტრამემარჯვენე საზოგადოების მომხრედაც კი ეჩვენა. ამავე დროს სრულიად ანალოგიურ პირობებში მოქცეულ ადამიანთა საქციელიც გასაოცრად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ჟაკლინ კენედი და ნელი კონელი თავიანთი მძიმედ დაჭრილი ქმრების მდგომარეობის გაგების მოლოდინში ზუსტად ორ ნაბიჯზე იდგნენ ერთმანეთთან. ორთავემ იცოდა, რომ პრეზიდენტი სასიკვდილოდ იყო დაჭრილი. თუ საერთოდ ასეთ პირობებში რაიმე ეტიკეტზე შეიძლება მსჯელობა, მაშინ უთუოდ გუბერნატორის მეუღლეს უნდა დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. პირველმა ჟაკლინმა მიმართა და ჩუმი ხმით კონელის მდგომარეობა იკითხა. ნელიმ ჯერ არაფერი უპასუხა. ქალი რატომღაც უცნობად მოეჩვენა. მერე კი როგორღაც ნაწყვეტ-ნაწყვეტად მიუგო:

— იგი გადარჩება. — ეს იყო და ეს, მეტი არა უთქვამს რა.

უეცრად სენატორმა რალფ იარბოროომ თავი ვეღარ შეიკავა და ისტერიკული ყვირილი ატეხა:

— იგი მოკვდა! რა საშინელებაა! რა საშინელებაა!.. — შეუს-

ვენებლივ გაჰყვიროდა. იარბორო სისხლის გადასხმის ლაბორატორიის გამგის კაბინეტში გაიყვანეს.

რაც შეეხება დალასის მერ კეიბელს, მან, პირიქით სიტყვა ვერ დასძრა. ო'დონელის მსგავსად საკუთარ თავში ჩაიხშო. მარტო მის გვერდით მდგარ ადამიანებს ესმოდათ ჩურჩულით წარმოთქმული, მისი სიტყვები:

— არა, ეს არ მომხდარა. არ მომხდარა!

ჟურნალ „ტაიმსის" კორესპონდენტი ჰიუ საიდი საოცარი გაოფთრებით იწერდა ყველაფერს, თუმცა მერე ამ ჩანაწერების ნახევარიც ვერ გაარჩია. ბობი ბასკინი დალასის საქმიან ნაწილში გაემგზავრა და თავის „მორნინგ ნიუსის" რედაქციაში შევიდა.

სათანადო დაცვის უმოქმედობამ უცხო პირებს ჰოსპიტალში დაუბრკოლებლად შეღწევის საშუალება მისცა. საბედნიეროდ, ჰოსპიტლის კორიდორების ლაბირინთებმა თავისთავად დაიფარეს ლინდონ ჯონსონი უცხო თვალთაგან, იგი შენობის ცენტრში, ჭრილობების შესახვევ განყოფილებაში ჰყავდათ დამალული, ისე ძნელად მისაგნებ ადგილას, რომ როცა ჰოსპიტლიდან გამოგზავრების დრო დადგა, ჯონსონის გარეთ გამოსაყვანად სპეციალური გამყოლი აღმოჩნდა საჭირო.

ასეთ დროს პასიურად ყოფნა მეტად ძნელი გამოდგა ამდენი საქმიანი ხალხისათვის. აკი ამიტომაც იძლეოდნენ ჰოსპიტალში თავმოყრილი ადამიანები რაღაც უაზრო ბრძანებებს. უკვეთდნენ თუ ცდილობდნენ შეეკვეთათ სრულიად არასაჭირო სატელეფონო გამოძახებები. უაზრობის ეპიდემიამ მოიცვა არა მარტო პრეზიდენტის უახლოესი წრეები, იგი ჰოსპიტლის სამედიცინო პერსონალზედაც გავრცელდა.

საოპერაციო პალატაში მყოფმა გუბერნატორმა კონელიმ იგრძნო, რომ ტანსაცმელზე ექაჩებოდნენ. მერე ვიღაცის ხმაც გაიგონა:

— მე გავხადე პიჯაკი და ხალათი.

პასუხად ბუტბუტი გაისმა:

— აი, შარვალს ვერაფერი მოვუხერხე.

ტკივილისაგან გამწარებულმა კონელიმ უეცრად წამოიკვნესა:

— შემომაჭერით და ეგ იქნება!

დაჭრილმა გუბერნატორმა მისდა უნებურად ექიმებს უკარნახა

მათთვის კარგად ნაცნობი და ჰოსპიტალში არცთუ იშვიათად გამოყენებული წესი მძიმედ დაჭრილი პაციენტის ტანთ გახდისა.

რეალობისაგან კიდევ უფრო შორს აღმოჩნდნენ ჰოსპიტლის კანცელარიის მუშაკები. მათთვის მტკიცედ ესწავლებიათ, რომ ყოველ ვითარებაში მთავარი ფაქტორი — ქაღალდია. სწორედ ეს ბიუროკრატიული გაფორმების ჩვეული რიტუალი გახლდათ მათი სასურველი თავშესაფარი — ირგვლივ არსებული ქაოსისაგან თავდასაღწევი საშუალება.

პუნქტუალურად აღმოჩნდა შეტანილი ჰოსპიტლის ჟურნალში პრეზიდენტის სახელი „კენედი ჯონ ფ.“ და მისი იქ მიყვანის დრო 12 საათი და 38 წუთი. არა ნაკლები სიზუსტით დაედგინათ პაციენტის სქესი და კანის ფერი. მას მიეკუთვნა უბედური შემთხვევის მსხვერპლთა 24770 ნომერი. „ძირითადი ჩივილების“ გრაფაში ორი ასო იყო ჩაწერილი „ნ. ჭ“ — ნატყვიარი ჭრილობა.

ანალოგიური ჩივილი ეწერა № 24773 პაციენტის ჯონ კონელის გრაფაშიც. მისი სახელი და გვარი პრეზიდენტის გვარის სამი სტრიქონით ქვემოთ იყო რეგისტრირებული. საავადმყოფოში პირიდან სისხლის დენით მოსული თეთრი პაციენტი ქალისა და მუცლის არეში ტკივილების მქონე შავკანიანი ქალის შემდეგ (სინამდვილეში გუბერნატორი ჰოსპიტალში ყველა ამათგანზე ადრე შემოიყვანეს). ასეთი არეულობა გაგრძელდა დღის შემდეგ მონაკვეთშიაც. გააფთრებული პრაისი მოხსნით დაემუქრა ყველაზე თავგამოდებულ რეგისტრატორს, საქმეს ვერც ამ მუქარამ უშველა: ავსებდნენ რაღაც დაუსრულებელ ანკეტებს და ურიცხვ ბარათებს შორის თაროებზე აწყობდნენ.

ლერი ო'ბრაიენი კონგრესმენ ალბერტ ტომასთან და ჯეკ ბრუკსთან ერთად შემოვარდა ჰოსპიტალში. ქირურგიული განყოფილებისაკენ მიმავალ ო'ბრაიენს გზა შეეშალა და სხვა მხარეს გაუხვია. მის წინ დახლს უკან მდგარი ვიღაც სათვალიანი ქალი აღმოჩნდა.

— ერთი წუთით, — უაპელაციო ტონით მიმართა ქალმა და კალმისტარი და თეთრი ქაღალდი გაუწოდა. სავსებით გამოთიშულმა ო'ბრაიენმა სარეგისტრაციო ბლანკზე დიდი ასოებით მორჩილად გამოიყვანა თავისი სახელი და გვარი „ო'ბრაიენ, ლორენს ფ.“ მერე უეცრად შედგა, თითქოს მეხი დაეცაო. იგი მხოლოდ ახლა მიხვდა თავისი საქციელის იდიოტიზმს. კალმისტარი და ბლანკი იქვე დააგდო და კვლავ პრეზიდენტის საძებნელად გაქანდა.

* * *

ჯონ კენედის ცხედარი ოთახში თავშეყრილ უზომოდ შეშფოთებულ ადამიანთა ცენტრში ესვენა. ეს ოთახი მოჩვენებით პასუხისმგებლობას არ საჭიროებდა. იქ მყოფმა მანდილოსნებმა თუ მამაკაცებმა კარგად იცოდნენ თითოეული წამის ფასი, ხოლო დისციპლინის ჩვეული გრძნობა მათ მოქმედებას განზომილსა და ერთგვარ სიმშვიდის დაღსაც კი აჩენდა. ადამიანთა ხელები მექანიკურად აწვდიდნენ საოპერაციო იარაღებს, ატრიალებდნენ აპარატების სახელურებს. რეზინის ხელთათმანიანი თითები უხმაუროდ ემორჩილებოდნენ მათთვის ცნობილ რიტმს. ეს იყო ამ ადამიანებისათვის კარგად ცნობილი ბრძოლა. ყველა ნაცადი ხერხისა და გამოცდილი იარაღების გამოყენებით. მათი თავდადება მაშინაც არ შეწყვეტილა, როცა აშკარად ნათელი გახდა, რომ იგი უიმედოდ იყო წაგებული.

დიახ, მისი შედეგი თავიდანვე გადაწყვეტილი იყო! კისერზე ჭრილობა პატარად ჩანდა და სისხლიც ოდნავ ჟონავდა (პირველ წამებში, ვიდრე სხეულს გადააბრუნებდნენ, ექიმებს ეგონათ, რომ ტყვია სწორედ აქ მოხვდა). გაცილებით მძიმე იყო თავის ქალის ჭრილობა. სწორედ ის გახლდათ იმ საშინელი სისხლის დენის წყარო. ელმ-სტრიტიდან დაწყებული მთელი გზის მანძილზე იგი წამითაც არ შეჩერებულა. თვით აქ, საოპერაციო ოთახშიც არ შეწყვეტილა იგი.

უფროსი საოპერაციო და დორის ნელსონი ერთიანად სისხლში იყო მოსვრილი. ყველას, ვინც კი პაციენტის ახლოს იდგა, მისი სისხლის შხეფები აჩნდა. თითქოს, კენედის ძარღვებში სისხლის ნატამალიც აღარ უნდა ყოფილიყო, მაგრამ მისი ძლიერი გული კვლავ განაგრძობდა ფეთქვას. ლამის ლიტრ-ნახევარი ალისფერი სისხლი გადმოიღვარა ალუმინის საგორავზე, ზეწარსა თუ იატაკზე.

მეორე უფროსმა ქირურგიულმა დამ დიანა ბოურინმა და ექთანმა მარგარიტა ჰინჩკლიფმა პრეზიდენტს სწრაფად გახადეს ტანსაცმელი. დაუტოვეს მხოლოდ ტრუსი და დაზიანებული ხერხემლის საყრდენი სამედიცინო კორსეტი. მერე მისი ყველა ნივთი ერთად დააწყვეს და პალატის კუთხეში თაროზე შემოდეს. კენედის სანახევროდ გახდილ, დიდ სხეულს არავითარი გარეგნული დაზიანება

არ აჩნდა. შავი ტყავის საფენსე პირაღმა მწოლს ხილვადაკარგული თვალები გაფართოებოდა, თითქოს ჭერში მოკაშკაშე ერთადერთ ნათურას მისჩერებიაო. პალატაში ყველაზე ადრე სავსებით ახალგაზრდა, ასე ოც წელს ცოტათი გადაშორებული მორიგე ექიმი ქირურგი—ორდინატორი ჩარლზ კარიკო შემოვიდა. ექიმმა სახელდახელო გასინჯვით სასწრაფოდ დაადგინა, რომ მაჯისცემა უკვე აღარ ჰქონდა და სისხლის წნევა ნულამდე იყო დაცემული. მიუხედავად ყველაფრისა, კენედის სხეულში სიცოცხლე კვლავ ბჟუტავდა. ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა ნელი, აგონიური სუნთქვა და გულის კანტიკუნტი ცემა. კარიკომ მაშინვე დაიწყო სიცოცხლისათვის ბრძოლა. სასუნთქი გზების გასაწმენდად პირში მილი ჩაუდგა. მერე კათეტერის საშუალებით განსაკუთრებული ტიპის ფიზიოლოგიური ხსნარი შეუყვანა.

რომელი ჯგუფის სისხლი აქვს პრეზიდენტს? — სასწრაფოდ, მაგრამ ჩუმი ხმით იკითხა ექიმმა. ექთანი მაშინვე კორიდორში გავარდა და ექიმის კითხვა ჰილსა და კელერმანს გაუმეორა.

კლინტმა უბის წიგნაკის ამოღება დააპირა, მაგრამ როიმ დაასწრო:

— ნულოვანი, რეზუსი დადებითი.

უკან შებრუნებულ ექთანს პალატაში უკვე სიმჭიდროვე დაუხვდა. თუმცა კართან მდგარი დორის ნელსონი შიგ მხოლოდ იმ თანამშრომლებს უშვებდა, ვისი იქ ყოფნაც, მისი აზრით, აუცილებელი იყო. ოთახში თოთხმეტიოდე ექიმს მაინც მოეყარა თავი. მედიცინის მუშაკთა ასეთი სიმრავლე, რასაკვირველია, სრულიად ზედმეტი გახლდათ. პალატა თეთრი სახლის მეორე სართულზე მდებარე პრეზიდენტის სააბაზანო ოთახზე ორჯერ პატარა იყო. ახლა იქ საჭირო იყო მხოლოდ სამი ექიმი: ჰოსპიტლის კაფეტერიიდან ცხვირპირის მტვრევით გამოქცეული ქირურგი მალკომ პერი, პრეზიდენტის პირადი ექიმი ბერკლი (მხოლოდ მან იცოდა კენედის ავადმყოფობის მთელი ისტორია და შავ პორთფელში ყოველთვის თან ჰქონდა შესაფერ დოზებში გამზადებული გადაუდებლად საჭირო განსაკუთრებული პრეპარატები) და ბოლოს ჰოსპიტლის უფროსი ანესთეზიოლოგი მარიონ ჯენკინსი. დანარჩენი ექიმები — ნეიროქირურგები, თერაპევტები, უროლოგები ფიქრობდნენ ვინ იცის, იქნებ, საჭირო დავრჩეთო. მოხდა კი ისე, რომ მათი იქ ყოფნით მოტანილი

სარგებელი, მხოლოდ პრეზიდენტის ირგვლივ შექმნილი ბარიერი აღმოჩნდა, რითაც იგი ცნობისმოყვარე, დაინტერესებულ ადამიანთა თავხედური ჭვრეტისაგან დაიფარეს.

ექიმების ჯგუფს მარტ პერი ჩაუდგა სათავეში. თავისი პაციენტის მსგავსად, ისიც ძლიერი აგებულებითა და შთამბეჭდავი გარეგნობით გამოირჩეოდა. სწორედ ისინი აღმოჩნდნენ იმ სცენის ცენტრში, სადაც ეს უტყვი დრამა თამაშდებოდა. პალატაში შემოვარდნილ პერის ლუკმა ხეირიანად გადაყლაპულიც არა ჰქონდა, მაგრამ მუშაობაში ჯერ კიდევ გზაშივე ჩაერთო, შემოსვლისთანავე იატაკზე მოისროლა თავისი ლურჯი სპორტული პიჯაკი, თვალის უსწრაფესად ჩამოიცვა თავის დიდ ხელებზე რეზინის ხელთათმანი—სადღა იყო ხელის დაბანის დრო. ექიმს თავისი მოქმედების აწონ-დაწონის დროც აღარ ჰქონდა. ერთი კი გაიფიქრა, პრეზიდენტი, რომ მეგონა, იმაზე მოსული კაცი ყოფილაო და გონებაში კალეიდოსკოპივით აერია ყველაფერი. რასაკვირველია, სისხლის დენა შეხედვისთანავე შეამჩნია, აღნიშნა კიდეც „მისი სწრაფი და დიდი რაოდენობით დაკარგვა“, რადგან მკერდი უკვე აღარ ირხეოდა, პულსის მოსინჯვა ბარძაყის არტერიაზე სცადა, მაგრამ მისი ძლიერი თითები კენედის ხერხემლის საყრდენ მაგარ ჯავშანს წააწყდა. სისხლის გადასასხმელი ზომები უკვე მიეღოთ. პაციენტის მარჯვენა ფეხის ვენა გაშიშვლებული იყო. ექთანი ბოურინი პრეზიდენტს მარცხენა ხელის მაჯიდან სისხლის ლეკერტებშემხმარ ოქროს საათ-სამაჯურს ხსნიდა მეორე ვენის გასაშიშვლებლად. ბერკლიმ თავისი სამედიცინო საკვოიაჟიდან ას-ას მილიგრამიანი ჰიდროკორტიზონის ფლაკონი ამოიღო და ჩურჩულით წარმოთქვა:

— ვენაში თუ კუნთებში?

ყველა საჭირო ნემსი და გადასხმა ყოველგვარი დაყოვნების გარეშე კეთდებოდა, მაგრამ საჭირო იყო სასუნთქი გზების სწრაფი გაწმენდა. პირიდან ჩადგმული მილი, ალბათ, კისრის ჭრილობის მიზეზით, ვერ მუშაობდა. კენედის უგონო მდგომარეობაში ყოფნის გამო ნარკოზის გამოყენება არ შეიძლებოდა.

— სკალპელი! — წამოისროლა პერიმ.

რეზინის ხელთათმანწამოცმულ ხელისგულზე ექთანმა მაშინვე დაუდო სკალპელი. ჭრილობის ოდნავ ქვემოთ, ექიმმა პრეზიდენტს კისერი გაუსერა და სასწრაფოდ ტრაქეოტომიის გაკეთებას შეუდგა. პირიდან ჩადგმული მილი რესპირატორს შეუერთეს.

სწორედ ამ მომენტში გადაწყვიტა ჟაკლინმა პალატაში შესვლა. მთელი ათი წუთი იდგა იგი ბნელ კორიდორში. ყოველი მომდევნო წუთი წინა წუთზე მწარე კოშმარით იყო სავსე. ხარისკისრიანი პოლიციელი დაგერი ჟაკლინს ჯიუტად ათვალიერებდა. ნელი კონელი იქ აღარ იყო. დორის ნელსონი და სანიტრები მოწიწებით სთხოვდნენ ჟაკლინს, ხელთათმანი წაეძრო და იქვე ზეწარჩამოფარებულ კაბინაში შესულიყო დასასვენებლად.

მხოლოდ ახლა მივიდა ჟაკლინის გონებამდე მომხდარი ამბის უსაზღვრო საშინელება და მისი გამოსწორების შეუძლებლობა. მაგრამ აქედან რომ ფეხს არ მოიცვლიდა, ეს კი მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი.

ბარკლენდის ჰოსპიტლის სამედიცინო პერსონალი ვერ წარმოიდგენდა, თუ რა შეუდრეკელი ნებისყოფა იმალებოდა ამ გადაწყვეტილების იქით. ისინი ჟაკლინს ხომ მხოლოდ ყურმოკრულად იცნობდნენ. რობერტ კენედის მსგავსად, ჟაკლინი სინამდვილეში მკვეთრად განსხვავდებოდა იმ პიროვნებისაგან, თავის წარმოდგენაში მილიონობით ამერიკელმა რომ ჩამოაყალიბა. რობერტ კენედი უფრო რბილი და ფაქიზი კაცი იყო, ვიდრე ეგონათ. ჟაკლინი კი პირიქით, გაცილებით მტკიცე და მედეგი, ვიდრე მასზე ფიქრობდნენ. პრეზიდენტის დიდების შარავანდედში ამ ორი ადამიანის პირადი თვისებები ნიადაგ შეუმჩნეველი რჩებოდა. ჯონ კენედის სიცოცხლეში ამას მნიშვნელობა არა ჰქონდა. ახლა კი პრეზიდენტის სიკვდილთან ერთად მათი ინდივიდუალური თვისებებიც მთელი ძალით გამომჟღავნდა.

რამდენიმე წუთი ქალი ყურადღებით აკვირდებოდა მის ირგვლივ მყოფ ადამიანთა საქციელს, მაგრამ მაინც ვერაფრით მიმხვდარიყო, რატომ შერბოდნენ ერთიმეორის მიყოლებით ეს ექიმები იმ პალატაში, სადაც მისი ქმრის ცხედარი ესვენა. მას ოდნავადაც არ ეეჭვებოდა, რომ ქმარი მოუკლეს. მერე — ნემსებსა და გადასხმაზე ლაპარაკს წაჰკრა ყური. ექიმები ფიქრობენ, რომ სამედიცინო ტერმინოლოგია უბრალო მოკვდავთ შორის მოწიწების თრთოლვას იწვევს. ჩვეულებრივ, ისინი მართალნი არიან, მაგრამ ამჯერად ასე არ მომხდარა. მათი შეუღლების პირველივე დღიდან კენედის ავადმყოფობა მოეძალა და ჟაკლინს არცთუ ცოტა დრო გაუტარებია საავადმყოფოების მოსაცდელებში. მან კარგად იცოდა, რა არის ფიზი-

ოლოგიური ხსნარი და როცა პალატიდან სიტყვა „რეანიმაცია“ მოესმა, მშვენივრად მიხვდა მის მნიშვნელობას. ჟაკლინი გაკვირდა: „ჯერ კიდევ ცოცხალია!“ ქალს არ ეჯერა: დარწმუნებული იყო, რომ იგი მოკლეს. „ნუთუ კიდევ არის სიცოცხლის რაიმე იმედი? — ფიქრობდა გუნებაში.—ო ღმერთო, ნეტავი გადარჩებოდეს და მთელ ჩემს სიცოცხლეს ვანაცვალებ! ყველაფერს გავწირავ მისი სიცოცხლისათვის“. დიახ, სიტყვებმა „ნეტავი გადარჩებოდეს“, „ყველაფერს გავწირავ“ — როგორღაც ელვისებურად გაუნათეს გონება. „იმედი — ეს ადამიანის სულში ჩაბუდებული მფრთხალი ბარტყია“, — წერდა ემილი დიკინსონი [1].

— თქვენ გჯერათ, რომ... — წაიჩურჩულა ჟაკლინმა და მახლობლად მდგარ კენსა და მარტის გახედა.

მათ ხმა არ გაუღიათ, ან კი რა უნდა ეთქვათ. მერე სულაც გაეცალნენ იქაურობას. ო'დონელი წამით თითქოს გამოვიდა ტრანსის მდგომარეობიდან და ო'ბრაიენს წასჩურჩულა:

— ო ღმერთო, ათასიდან, ალბათ, მხოლოდ ერთი შანსია გადარჩენის!

თვით ამ წამიერი, უღიმღამო იმედის გაჩენისთანავე ჟაკლინს რაღაც დაუძლეველი სურვილი მოერია და სასწრაფოდ წაილაპარაკა:

— მე შევალ მასთან.

მედდა დორის ნელსონმა ჟაკლინის სიტყვები გაიგონა და ქალს გზა გადაუღობა. ნელსონი თავისი აგებულებისა და არაჩვეულებრივი მუსკულატურის წყალობით თეთრ გახამებულ ურჩხულს წააგავდა. მთელი თავისი სიცოცხლე იგი სამედიცინო აზროვნების იმ სკოლის თავგამოდებული დამცველი იყო, ვინც ნათესავს სათოფეზე არ აკარებს ავადმყოფს. ამ სკოლის ერთ-ერთ მიზანს უსაფუძვლო იმედის ჩანასახშივე მოსპობა წარმოადგენს. სწორედ იმდაგვარი იმედისა, ახლა ჟაკლინს რომ ჩაესახა.

— თქვენი აქ შემოსვლა არ შეიძლება! — მკაცრად განუცხადა ნელსონმა და თავისი ღონიერი ფეხები განივრად გადგა.

მაგრამ ჟაკლინის შეშინება არც ისე ადვილი იყო.

— მე შევალ პალატაში და იქიდან ვერავინ გამომაგდებს, —

---

[1] ემილი დიკინსონი (1830 — 1886) — ამერიკელი პოეტი ქალი.

თქვა ქალმა და დორის ნელსონის გვერდის ავლით კარში შეძრომა სცადა. ღონიერმა დორისმა ადვილად მოაცილა ჟაკლინი კარს. ქალების ბრძოლის ამ ხმაურმა პრეზიდენტის ექიმის ბერკლის ყურადღება მიიქცია და კორიდორში გამოვიდა.

— ქალბატონო კენედი, თქვენ რამე დამამშვიდებელი უნდა მიიღოთ, — მღელვარებისაგან ათრთოლებული ხმით წარმოთქვა მან.

— მისი სიკვდილის ჟამს გვერდით მინდა ვიყო, — უპასუხა ქალმა.

ექიმის სიმპათიები ჟაკლინის მხარეს იყო და თანაგრძნობის ნიშნად თავი დაუქნია.

— ეს მისი უფლებაა, ეს მისი უფლებაა! თქვენ ვერ დაუშლით.

ამ სიტყვებით ექიმმა ჟაკლინი პალატაში შეიყვანა. პრეზიდენტის სისხლით ხალათმოსვრილმა მედდამ უხალისოდ გაატარა ისინი. დორის ნელსონს, შეცდომით, ეს კაცი საიდუმლო სამსახურის ერთ-ერთი აგენტი ეგონა. პალატაში კი, ბერკლი ჟაკლინს ამოუდგა და მზრუნველობით იცავდა, რომ ვინმეს იქედან არ გამოეყვანა.

ოთახი თანდათანობით გაიჭედა. ჟაკლინი და პრეზიდენტის პირადი ექიმი იქვე, შესასვლელთან, მარცხენა კუთხეში მიამწყვდიეს. მათ უკან, სასწრაფო დახმარების საოპერაციო პალატის კედელი იყო აღმართული, ჟანგბადის გადამცემი მწვანე შლანგითა და კედელზე დაკიდებული, დოლბანდის ხვეულებით გამოტენილი, ლითონის პატარა კარადით. ჟაკლინი როგორღაც წინ გადაქანდა და სისხლით მოსვრილი ლოყა წამით ექიმ ბერკლის მხარს შეახო. უეცრად, თავისი ქმრის სისხლის მორწყულ იატაკზე ჩაიჩოქა, თვალები დახუჭა და რაღაც ლოცვა წაიბუტბუტა, მერე ასევე სწრაფად წამოდგა, წელში გაიმართა და ქირურგ პერის მოუღლელ ხელებს მიაჩერდა.

თითქოს პალატაში ნემსიც აღარ ჩავარდებოდა, მაგრამ კიდევ ერთმა ექიმმა მაინც შეძლო შიგ შეღწევა. ეს ახოვანი მამაკაცი, ჰოსპიტლის მთავარი ნეიროქირურგი, უილიამ კემპ კლარკი გახლდათ.

კლარკი ჰოსპიტლის ერთ-ერთი მთავარი სპეციალისტი იყო და პალატაში შეჯგუფებულმა ექიმებმა შეძლებისდაგვარად გზა დაუთმეს. კლარკმა და პერიმ ერთმანეთს შეხედეს, მაგრამ ერთურთის თვალებში დამამშვიდებელი ვერაფერი ამოიკითხეს. ორივე ექიმს

მშვენივრად ესმოდა, პრეზიდენტის სიცოცხლის გადარჩენა რომ შეუძლებელი იყო, თუმცა მექანიკურად მაინც განაგრძობდნენ ყველა იმ პროცედურის შესრულებას, რაც ასეთ დროს კეთდება ხოლმე.

ჟაკლინის დანახვისთანავე კლარკმა იკითხა:

— იქნებ, თქვენთვის გასვლა ჯობდეს? უკეთესია გარეთ დაელოდოთ.

ჟაკლინის ტუჩები ოდნავ შეირხა და თითქმის უხმოდ წარმოთქვა:

— არა.

პალატაში კლარკის შემოსვლის დროისათვის პერი უკვე ამთავრებდა ტრაქეოტომიას, სასუნთქავში სატრაქეოტომიო მილს დგამდა. მერე ჯენკინსმა ეს მილი სანარკოზო აპარატს შეუერთა, რადგან რეპერატორზე უფრო ზუსტად მისი რეგულირება ხერხდებოდა. კლარკი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა ელექტროკარდიოგრაფის მაჩვენებლებს. თითქმის ყველა შესაძლებლობის გამოყენების შემდეგ, პერიმ უკანასკნელ საშუალებად პაციენტისათვის გულის დახურული მასაჟის გაკეთება მიიჩნია.

პერი თავდაუზოგავად ცდილობდა სუნთქვის სტიმულირებას, მაგრამ ვერ იქნა და მოხერხებული პოზიცია ვერ დაიკავა. მერე ფეხის წვერებზე აიწია, თუმცა პაციენტის გულმკერდი მაინც მაღლად ეჩვენა.

— მომეცით სკამი, — წარმოთქვა აქოშინებულმა პერიმ.

ვიღაცამ სკამი მიაწოდა. ზედ შემდგარი პერი მთელი ათი წუთი ენერგიულად ზელდა კენედის გულმკერდს.

ყველაფერი, რა საშუალებაც კი პარკლენდის ჰოსპიტალს გააჩნდა, პრეზიდენტის სიცოცხლის გადასარჩენად იყო მობილიზებული: ფიზიოლოგიური ხსნარი, ჰიდროკორტიზონი თუ სისხლი, ორი კათეტერის საშუალებით კენედის ძარღვებში რომ შედიოდა. ცხვირის გზით შეყვანილ ზონდს, ღებინების თავიდან ასაცილებლად კუჭიდან უნდა ამოეღო შიგთავსი. პლევრის ღრუში ორთავე მხრიდან შეყვანილი იყო სითხის გამოსაწოვი დრენაჟები. ბოლოს, იძულებულმა ექიმებმა ჯერ კიდევ უილიამ გარვეის დრომდე არსებულ ყოვლად პრიმიტიულ მეთოდს მიმართეს: მათ სცადეს ადამიანის გაცოცხლების ტექნიკა, რომელიც თავისი სიმარტივით გაჩერებუ-

ლი საათის შენჯღრევის გზით ამუშავების ცდას წააგავდა. პერი მასაჟს უკეთებდა კენედის ელასტიკურ, კუნთებიან გულმკერდს, ცდილობდა მისი გაჩერებული გულის ოდნავ მაინც ამოძრავებას. დაძაბულობისგან ექიმს კუნთებიღა ასტკივდა.

ამაო აღმოჩნდა ყოველი ცდა და მონდომება. შეწყდა თვით ცალკეული კრუნჩხვითი მოძრაობებიც. აღარც კეფის მარჯვენა მხარეს პირდაღებულ ჭრილობიდან დიოდა სისხლი, ახლად შეშხაპუნებულ სითხეებს გარდა ორგანიზმში სისხლის წვეთი აღარ იყო. ვენები სულ მთლად დაშრეტილი ჩანდა, ხოლო კანი ავის მომასწავებლად გაფერმკრთალებული. უკვე უმოქმედოდ იდგა ელექტროკარდიოგრაფის აპარატი, აქამდე კენედის გულის ხანმოკლე, ძლივს დასაჭერ თრთოლვას რომ აღნიშნავდა. აქოშინებულმა პერიმ კბილი კბილს დააჭირა და კენედის ცხედრისაკენ დაიხარა. კართან ატუზულმა როი კელერმანმა კორიდორი გადაჭრა და სამედიცინო საგუშაგოსთან მივიდა. იქ თეთრ სახლთან სატელეფონო კავშირს კლინტ ჰილი უდგა დარაჯად და ყურში უჩურჩულა:

— გადაეცი ჯერის, მხოლოდ არაოფიციალურად და არც პრესაში გამოსაქვეყნებლად. იგი გარდაიცვალა.

ფირმა „ინტერნეიშნლ ბიზნეს მაშინზის“ სარეკლამო ფარის საათი დღის პირველ საათს უჩვენებდა. ელექტროკარდიოგრაფის ისარი კვლავინდებურად უძრავად იდგა.

უილიამ კემპ კლარკი აპარატს მოშორდა და ძლივძლივობით გამოსცრა:

— ყველაფერი ამაოა, მაკ!

მაკ პერის ხელები უსიცოცხლოდ გაშეშებული ჩანდა. მერე მიცვალებულის არაბუნებრივად თეთრი მკერდიდან ხელები ნელ-ნელა ასწია, სკამიდან ზანტად გადმოვიდა და პალატიდან ბრმასავით გავიდა. იგი იქვე, პირველსავე სკამზე, მძიმედ დაეშვა და სივრცეში თვალგაშტერებულმა ნეკის ფრჩხილს დაბნეულად დაუწყო კვნეტა. პრეზიდენტის თავთან მდგარი ჯენკინსი დაიხარა და პრეზიდენტს სახეზე ზეწარი უხმოდ წააფარა.

ექიმი კლარკი ჟაკლინს მიუახლოვდა:

— თქვენი ქმრის ჭრილობა მომაკვდინებელი აღმოჩნდა.

ქალმა მხოლოდ ტუჩები შეარხია:

— მე ვიცი ეს.

ექიმი ბერკლი ისე ახლოს იდგა პრეზიდენტის საწოლთან, რომ ხელის გაწვდენით შეძლო მაჯის გასინჯვა, მაგრამ ეაი რომ, მაჯა არ ისინჯებოდა... ბერკლი წელში გაიმართა, კედლის რუხ შორენკეცს მიეყრდნო და თავისი ფართო ღაჟღაჟა სახე ჟაკლინს მიუახლოვა. სურდა დარწმუნებულიყო, რომ ქალი მიხვდა მომხდარი ამბის საშინელებას. შეეცადა ეთქვა კიდეც, „პრეზიდენტი გარდაიცვალაო“ მაგრამ ხმამ უღალატა და ვერ შეძლო სიტყვების გარკვევით წარმოთქმა.

მეორე მსოფლიო ომის დროს ბერკლის ხელში გაიარა ათასობით დაჭრილმა მეზღვაურმა. იგი იყო წყნარი ოკეანის მოქმედი ფლოტის სრულუფლებიანი ადმირალი. ახლა კი თავი ვერაფრით დაემორჩილებინა. ძლივძლივობით გადაყლაპა ყელს მობჯენილი რაღაც მძიმე გუნდა და ყრუდ წაილაპარაკა:

— პრეზიდენტი გარდაიცვალა.

ბერკლის პასუხი არ გაუგონია, დაინახა კი, როგორ ნელ-ნელა ჩაქინდრა ქალმა თავი.

კენ ო'დონელმა ბურანში მყოფი კაცივით გვერდი აუარა პედიატრიულ განყოფილებას და პრეზიდენტის სიკვდილი ლინდონ ჯონსონს აცნობა.

პაუერსმა თავის უბის წიგნაკში ჩაწერა:

„13 საათი და 00 წუთი. ექიმმა უილიამ კლარკმა დაადასტურა ბ-ნი პრეზიდენტის სიკვდილი“.

როგორც ჩიკაგოს უნივერსიტეტის მიერ მეორე წელს ჩატარებული საგანგებო გამოკითხვის შედეგად მიღებული ცნობებით დასტურდება, ზრდასრული მოსახლეობის 68 პროცენტმა ანუ 75 მილიონმა კაცმა დალასის დროით პირველი საათისათვის უკვე იცოდა მომხდარი თავდასხმის ამბავი. პირველი ოცდაათი წუთის განმავლობაში მოდიოდა ძუნწი, არაზუსტი, ზოგჯერ დამახინჯებული ცნობებიც. მაგრამ ის კი თავიდანვე ნათელი გახდა, რომ ელმსტრიტზე ჩადენილი ახლანდელი დანაშაული ქვეყნის ცხოვრებაში ყველაზე კატასტროფული ამბავი იყო, პირლ-ჰარბორზე მომხდარი თავდასხმის შემდეგ. ჩადენილ იქნა მთელი ერის საწინააღმდეგო დანაშაული. დიახ, ერი გრძნობდა და განიცდიდა ამას.

ჯერ კიდევ დაღამებამდე, მოსახლეობის 99,8 პროცენტმა უკვე იცოდა, რომ მათი კანონიერი პრეზიდენტი ტყვიით განგმირული

დაეცა. ქვეყანა მოიცვა უჩვეული სიძლიერის ემოციურმა კრიზისმა.

პარკლენდის ჰოსპიტალში გამეფებული უწესრიგობა, შეშფოთება და მწუხარება მოედო მთელ ქვეყანას — სადაც კი ტელევიზორი, რადიომიმღები, ტელეფონი ან თუნდაც პრიმიტიული სატელეგრაფო აპარატი არსებობდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ზემოქმედების გარეშე პრაქტიკულად არ დარჩენილა არც ერთი კაცი. პრეზიდენტის სიკვდილის დროისათვის ამერიკა თითქოს ერთიან გიგანტურ საავადმყოფო პალატად იქცა.

ლი ჰარვი ოსვალდის უკანასკნელი გასროლიდან ზუსტად ექვსი წუთის შემდეგ ცისფერ ეკრანებს მიუჯდა ამერიკის შეერთებული შტატების ტელემაყურებელთა ურიცხვი არმია. 12 საათსა და 36 წუთზე „ამერიკენ ბროდკასტინგ კომპანის" რადიოკომენტატორმა კონ გარდინერმა შეწყვიტა ადგილობრივი რადიოგადაცემები და მერიმენ სმიტის მიერ წვალებით შექმნილი პირველი ელვა გადასცა. 12 საათსა და 40 წუთზე ტელემაყურებელთა წინაშე წარსდგა „კოლუმბია ბროდკასტინგ კომპანის" კომენტატორი უოლტერ კრონკაიტი. ცნობა ასეთი გახლდათ:

„ტეხასის შტატში, ქალაქ დალასში სამჯერ ესროლეს პრეზიდენტ კენედის კორტეჟს". პირველ ცნობებში იუწყებოდნენ, რომ პრეზიდენტი „მძიმედ იყო დაჭრილი".

მთელი ეს უზარმაზარი რადიოსატელევიზიო ამერიკული იმპერია თავისი ამოუწურავი ფულადი რესურსებით დავიდა უბრალო რუპორის მდგომარეობამდე. ამ მილიარდიან გადმოცემულ ცნობებს სუნთქვაშეკრული უსმენდა ქვეყნის მოსახლეობის მთელი ორი მესამედი. მათ ესმოდათ ტელეგრაფის სააგენტოს ორი კორესპონდენტის ხმა, ჰოსპიტლის ტელეფონების ყურმილი რომ ჩაებღუჯათ და ცნობებს იქიდან გადმოსცემდნენ. სმიტსა და ბელს ერთი სამწუხარო ხვედრი აერთიანებდათ. მათ უშუალო კავშირი არა ჰქონდათ ამ უკანასკნელ ამბებთან. ნამდვილი ღირებულება კი ასეთ დროს მხოლოდ სისწრაფეს ჰქონდა. ვიდრე დაბნეული ხალხი არასწორი ცნობების გავრცელებას შეძლებდა, თავად ხდებოდნენ გიგანტური აუდიტორიის ნაწილი. რომ ეს სისწრაფე არა, ტყუილს შეეძლო ისე ღრმად გაედგა ფესვები, რომლის წინააღმდეგ ბრძოლა თვით ამ პირობებშიც კი უიმედო იქნებოდა. 76-მილიონიანი აუდი-

ტორიის უდიდესმა ნაწილმა მომხდარი ტრაგედიის ამბავი სხვისგან ყურმოკრულად გაიგო. პარასკევი სამუშაო დღე იყო, თანაც დღის სატელევიზიო გადაცემები მაინცდამაინც მაღალი რეპუტაციით ვერ სარგებლობდნენ. ასე რომ, პრეზიდენტზე თავდასხმისა და მასთან დაკავშირებული ხმების გავრცელების მთავარი წყარო ერთმანეთისათვის ზეპირად ნათქვამი ამბები გახლდათ. გამონაკლისს თვით თეთრი სახლიც კი არ წარმოადგენდა, რომელსაც თავისი კონფიდენციალური საინფორმაციო სააგენტო ჰქონდა — ამერიკის შეერთებული შტატების საიდუმლო სამსახური.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლმა მთელი ექვსი წუთით დაასწრო რიი კელერმანის ტელეფონის ზარს. სახელმწიფო დაწესებულებებს სატელეგრაფო სააგენტოებიდან ცნობების მისაღებად საკუთარი ტელეტაიპები აქვთ, ამიტომაც სამუშაოზე მყოფმა მაღალი თანამდებობების ჩინოვნიკებმა პრეზიდენტზე თავდასხმის ამბავი საიდუმლო სამსახურის ხელმძღვანელებზე ადრე გაიგეს.

„დალასი, 22 ნოემბერი (ი პ ი) პრეზიდენტს ესროლეს სამჯერ...“ ტელეტაიპიდან უხეშად მოხეული ამ შინაარსის გრძელი ყვითელი ქაღალდები ჩაბარდა ჯორჯ ბოლს სახდეპარტამენტში, ედგარ გუვერს გამოძიების ფედერალურ ბიუროში (გ ფ ბ), პრეზიდენტის სპეციალურ თანაშემწე ტედ სორენსენს თეთრ სახლში, შინაგან საქმეთა მინისტრის იუდოლის შემცველ უოლტერ პოზენს, დინ რასკს, ამერიკის შეერთებული შტატების მინისტრთა კაბინეტის ერთ-ერთ ხელმძღვანელ მუშაკს, რომელიც იმ დროს ჰონოლულუს კუნძულებიდან 900 მილის დაშორებით თვითმფრინავში იმყოფებოდა და ბოლოს რობერტ მაკნამარას პენტაგონში. პენტაგონის საკომანდო ცენტრში ზუმერი აზუზუნდა, მისმა ხმამ გენერალი მაკსუელ ტეილორიც გააღვიძა, დასავლეთ გერმანიის სამხედრო დელეგაციასთან გამართული მოლაპარაკების შესვენების დროს ტკბილად რომ თვლემდა.

კენედისადმი გულწრფელი სიყვარულის მიუხედავად აშშ-ის თავდაცვის მინისტრ მაკნამარას თავგზა არ დაუკარგავს და საჭირო ზომებიც მიიღო. ეს ცნობა მინისტრს სატელეგრაფო სააგენტოს უზომოდ შეშფოთებულმა ადიუტანტმა შეუტანა. ამ დროს მაკნამარასთან პრეზიდენტის თანაშემწე ჯერი ვიზნერი იმყოფებოდა. ვიზნერი ყურადღებით აკვირდებოდა ბიულეტენის კითხვისას მაკ-

ნამარას სახის გამომეტყველების ცვლილებას და გუნებაში გადაწყვიტა: „ნამდვილად ომი გამოცხადდაო“... მაგრამ როცა გარეგნულად მშვიდმა მაკნამარამ თათბირის მონაწილეთ ბიულეტენის ფურცელი წასაკითხად გადასცა, ვინზერმა შვება იგრძნო, თითქოს ლოდი მოხსნეს გულიდანო; ყოველგვარი უბედურება ჯობდა ატომური ომის ხანძარს. თავდაცვის მინისტრი მაშინვე ამოქმედდა. იმ წუთშივე დახურა სხდომა და პრეზიდენტის თანაშემწე მაკჯორჯ ბანდი თავდაცვის სამინისტროს მანქანით თეთრ სახლში გაგზავნა. მერე სასწრაფოდ მოეთათბირა გენერალ ტეილორს და აშშ-ის შტატების გაერთიანებული ჯგუფის ხელმძღვანელებს. თათბირის შედეგად ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების უფროსებს ასეთი შინაარსის ელვა-დეპეშები დაეგზავნათ: „1. პრესის ცნობით ტეხასში თავს დაესხნენ პრეზიდენტ კენედისა და გუბერნატორ კონელის. ორთავე მძიმედ არიან დაჭრილნი და დალასის ჰოსპიტალში იმყოფებიან. ოფიციალური ცნობები ჯერ არ მიგვიღია. გაცნობებთ შემდგომ ვითარებას.

2. გმართვებთ განსაკუთრებული სიფხიზლის გამოჩენა და სრული მზადყოფნა“.

ყველა სიმპტომი მდგომარეობის განსაკუთრებულ საშიშროებაზე მიუთითებდა: პოლიტიკური მოტივების გამო სახელმწიფო მოღვაწეთა მკვლელობა, როგორც წესი, წინ უძღვის ხოლმე სახელმწიფო გადატრიალების ცდას. გენერალმა ტეილორმა საგანგებოდ გააფრთხილა ვაშინგტონის რაიონის ყველა სამხედრო ნაწილი გამოეჩინათ განსაკუთრებული სიფხიზლე.

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ბილ პოზენის აზრით პრეზიდენტზე თავდასხმა უკვე დაწყებული გადატრიალების პირველი ეტაპი იყო. რომ მის მეხსიერებაში ჯერ არასოდეს ყოფილა დედაქალაქი ასე არაორგანიზებული და დაუცველი. კაბინეტის ექვსი წევრი ახლა თვითმფრინავით წყნარი ოკეანის ზეცას სერავდა, ხოლო პრეზიდენტი და ვიცე-პრეზიდენტი დალასში იმყოფებოდნენ.

ამდროს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დინ რასკი თვითმფრინავ № 86972-ის სალონში ფეხზე იდგა და ორსიტყვიან ლაკონურ ცნობას ხელში ნერვულად ატრიალებდა. მერე იქ მყოფ მანდილოსნებს თვითმფრინავის კუდის კაბინაში გასვლა სთხოვა. სტიუარდი იხმო და უბრძანა სალონში დაუყოვნებლივ

შემოსულიყვნენ დილონი, ფრიმენი, იუდოლი, ვირტცი, ჰოჯესი, სელინჯერი, გელერი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე რობერტ მენინგი და თეთრი სახლის აპარატის მუშაკი მაიკ ფელდმენი. რასკი ხმაამოუღებლივ უცდიდა მათ თავშეყრას. იმედოვნებდა, მისი სახე არ გასცემდა სულში დატრიალებულ გრძნობათა კორიანტელს. მაგრამ საკუთარი თავის მთლიანად დამორჩილება მაინც ვერ შეძლო. ორვილ ფრიმენმა რასკის დანახვისთანავე გაიფიქრა — უთუოდ პრეზიდენტმა ჩვენი იაპონიის ვიზიტი შეცვალა საერთაშორისო მდგომარეობის რაღაც მოულოდნელად განვითარების მიზეზითო. დუგლას დილონის ფიქრებს კი უფრო გარკვეული ხასიათი ჰქონდა: ვიზნერის მსგავსად, ფინანსთა მინისტრი ამერიკის ერთ-ერთ ქალაქს უკვე წყალბადის ყუმბარით აფეთქებულად თვლიდა.

ამდროისათვის თვითმფრინავმა სააგენტოების უკვე სამი ცნობა მიიღო. ბოლოს, როცა ყველამ მოიყარა თავი, რასკმა ჩუმი ხმით დაიწყო:

— სულ ახლახან ტელეტაიპით მივიღეთ ცნობა, თუმცა არ ვიცით, რამდენად შეესაბამება სინამდვილეს. გვატყობინებენ, რომ დალასში პრეზიდენტი დაჭრეს და, შესაძლოა სასიკვდილოდაც.

— ღმერთო ჩემო! — მოისმა ფრიმენის ხმა.

ლუთერ ჰოჯეს მუხლები მოეკვეთა. იატაკზე რომ არ დაცემულიყო, მაგიდის კიდეს წაავლო ხელი და სკამზე მძიმედ დაეშვა. პიერ სელინჯერი რასკისაკენ გადაიხარა და სააგენტოს ცნობა წაიკითხა. მერე ხმისამოუღებლად სახელმწიფო მდივანს საინფორმაციო ბიულეტენი გამოართვა და ასევე კრინტისდაუძრავად ხელახლა წაიკითხა. უილორდ ვირტცმა ცნობას ეჭვის თვალით შეხედა და ხმამაღლადაც განაცხადა: „ყველაფერი ეს მოგონილი ამბებია და მეტი არაფერი“.

— ახლავე უკან უნდა გავბრუნდეთ, — კატეგორიულად განაცხადა პიერ სელინჯერმა.

— საჭიროა რაღაც დადასტურება მაინც მივიღოთ, — მყისვე უპასუხა რასკმა.

პრესის ცნობების შემოწმება-დადასტურება პიერ სელინჯერის საქმე იყო და იგი მეკავშირეებისაკენ გაემართა. მაგრამ როგორც კი მეკავშირეთა კაბინაში ფეხი შედგა და მორიგე სერჟანტი დაინახა,

მაშინვე გაახსენდა, კოდების პატარა ცნობარი რომ არა ჰქონდათ თან.

— დამაკავშირეთ თეთრ სახლს, — თქვა მან და თითქოს რაღაც სასწრაფო საქმე გაახსენდაო, დაუმატა: — შეეცადეთ ადმირალი ფელტიც მომიძებნოთ.

ერთი წუთიც და სელინჯერი უკვე თეთრ სახლს ელაპარაკებოდა. ხაზზე იყო მესამე რანგის კაპიტანი, ოპერატიული განყოფილების მორიგე, ოლივერ ჰალეტი. პიერმა მხოლოდ თავისი საკუთარი კოდის გახსენება შეძლო:

— „ინფორმაცია", ლაპარაკობს „გზისპირა". რა ისმის პრეზიდენტისა?

— ჯერჯერობით ადრე მიღებულ ცნობებს ვაზუსტებთ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პრეზიდენტი თავში უნდა იყოს დაჭრილი, — უპასუხა ჰალეტმა.

— ცოცხალი კია?

— ჩვენ ხელთ არსებული ცნობებით, ცოცხალია.

პიერი მოსაუბრის მიერ წარმოთქმულ ყოველ სიტყვას იმეორებდა. რასკი სალონში თავშეყრილ ხალხს მიუბრუნდა და ხმამაღლა იკითხა:

— რა ექნათ?

— უკანვე გავფრინდეთ, — გადაჭრით მიუგო დილონმა.

მოკლე თათბირი სულ რაღაც ოც წამს გაგრძელდა. ბოლოს ყველა ერთ აზრს დაადგა. პილოტს შესაფერი განკარგულება მიეცა და ილუმინატორში მზირალმა ვირტცმა დაინახა, როგორ მკვეთრად გადაიხარა სამხრეთისაკენ მიმართული ფრთა და თვითმფრინავმა 180-გრადუსიანი რკალი მოხაზა.

თვითმფრინავის შუა კაბინაში მყოფი ალვინ ჯოზეფი გამალებით იწერდა: „მოულოდნელი ვირაჟი, მკვეთრი მობრუნება..."

თვითმფრინავი ტოკიოსაკენ აღარ მიფრინავს, მაგრამ არც ის ვიცით, საით აქვს გეზი. „ამბობენ, თითქოს დალასში მიფრინავსო".

კავშირგაბმულობის კაბინაში მყოფი რასკი ჯორჯ ბოლს დაუკავშირდა და უთხრა:

— ჩვენ მივიღეთ ელვა და ახლა უკანვე ვბრუნდებით. სად ჩავფრინდეთ, დალასში თუ ვაშინგტონში?

ბოლმა არ იცოდა რა ეპასუხა.

— ორმოცდახუთი წუთის შემდეგ ჩვენ აეროდრომ ჰიკემში ვიქნებით. მე დაგირეკავთ იქიდან, — უთხრა სახელმწიფო მდივანმა.

მის გვერდით მჯდარი პიერ სელინჯერი, როგორც იქნა, დაუკავშირდა სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობას და შეუთანხმდა, რომ მათ ჰიკემის აეროდრომზე გასაფრენად გამზადებული რეაქტიული თვითმფრინავი დახვდებოდათ, რომლითაც ის და რასკი დალასის აეროდრომ ლავ ფილდში ჩაფრინდებოდნენ. რაც უფრო მეტს ფიქრობდა რასკი, მით უფრო ლოგიკურად ეჩვენებოდა მოქმედების ეს გეგმა. თუმცა ყველაფერი წმინდა წყლის იმპროვიზაცია იყო. რასკს ოდნავი წარმოდგენაც არ ჰქონდა, რა ხდებოდა დალასში. მან ეჭვადაც არ იცოდა, რომ ტეხასში პრეზიდენტს ვიცე-პრეზიდენტიც ახლდა თან.

მერე კვლავ თეთრი სახლის საინფორმაციო განყოფილების მორიგეს დაუკავშირდა. სელინჯერი მოუთმენლად ელოდა ახალ ცნობებს. სორენსენის მსგავსად, მანაც გამოთვალა, თუ როგორ უცნაურად ემთხვეოდა პრეზიდენტების მკვლელობათა თარიღები იდუმალებით სავსე ოცწლიან ციკლს. ერთ-ერთი მინისტრი პიერს შეეპასუხა, განა შეიძლება სერიოზულად ილაპარაკო რაღაც დამთხვევებზე, როცა აგერ რუზველტი ოთხჯერ იყო არჩეული ამერიკის პრეზიდენტადო.

ყველა ერთხმად ალაპარაკდა. ერთმანეთს არ აცლიდნენ. ფირმენი რაღაცნაირი აკვიატებით ამტკიცებდა, თავში დაჭრა უცილობელ სიკვდილს სრულიად არ ნიშნავსო. თვითონ მეც ხომ თავში დავიჭერი ბუჰენვალთან გამართულ ბრძოლებში, მაგრამ აგერ ცოცხალი ვარ და სავსებით გამოვჯანსაღდიო.

„გზისპირა", ნუ წყვეტთ კავშირს, — გადმოსცა კაპიტანმა ჰალეტმა.—ვცდილობთ, მიღებული ცნობების უტყუარობის შემოწმებას.

გავიდა ოცდაათი წამი.

— „ინფორმაცია" უხმობს „გზისპირას". ჯერ ისევ ვამოწმებთ. კავშირს ნუ გაწყვეტთ.

კვლავ გავიდა ოცდაათი წამი.

— „გზისპირა", ნუ მოშორდებით აპარატს.

— აქა ვარ, — უპასუხა პიერმა.

ასე მეორდებოდა ყოველი ოცდაათი წამის შემდეგ. პიერი მო-

ონებებში ჩაიძირა. ცოცხლდებოდნენ წარსული სცენები, კრიტი-
ული სიტუაციები, კენედის გვერდით გატარებული დღეები. ახლა,
როცა მისი თავი პრეზიდენტს ყველაზე მეტად სჭირდება, იგი რვა-
სი მილით არის მისგან დაშორებული. რასაც ამასვე ფიქრობდა.
ასე უმწეოდ თავი არასოდეს უგრძვნია. პრეზიდენტი სულთმობრძა-
ვი იყო, ის კი სადღაც ზეცაში, ოკეანის თავს, ოცდათხუთმეტი ათა-
ი ფუტის სიმაღლეზე ლითონის ყუთში იყო გამომწყვდეული.

* * *

იუსტიციის სამინისტროს მეხუთე სართულზე ედგარ გუვერმა
იუსტიციის მინისტრის სამდივნოსთან პირდაპირი ხაზით დამაკავში-
რებელი აპარატის ყურმილი აიღო და დარეკა. ზარს რობერტ კენე-
დის პირადი მდივანი. ანჟი ნოველო გამოეხმაურა. შეძრწუნებულ
ნოველოს ის იყო პრესის განყოფილების აქვითინებულმა მდივანმა
ქალმა ტელეტაიპის ლენტის ნაგლეჯი შეუტანა.

— გელაპარაკებათ ედგარ გუვერი, გაიგეთ ახალი ამბავი? —
გუვერის ლაპარაკის მექანიკური მანერა ტყვიამფრქევის ჯერს მია-
გავდა.

— დიახ, გავიგე, ბატონო გუვერ, მაგრამ მე პირველს არ შემიძ-
ლია ამის შეტყობინება.

— პრეზიდენტი დაჭრილია. მინისტრს მე თვითონ დავურეკავ.

თეთრი სახლის ტელეფონისტმა ქალმა გუვერი კენედის ვილის
საცურაო აუზთან მდებარე ტელეფონს დააკავშირა. ზარის ხმის გა-
გონებაზე ეტელ კენედიმ მამაკაცები მიატოვა და აპარატთან მი-
ვიდა.

— დირექტორს სურს საუბარი, — უთხრა ეტელს ტელეფონის-
ტმა ქალმა.

რობერტ კენედის მეუღლეს არ სჭირდებოდა იმის განმარტება,
რომელი დირექტორი იყო ეს. ვაშინგტონში ბევრი დირექტორია,
მაგრამ არსებობს ერთი დირექტორი, ამ სიტყვის უმაღლესი მნიშ-
ვნელობით.

— იუსტიციის მინისტრი საუზმობს, — მიუგო ეტელმა.

აუზის მეორე მხარეს მყოფმა მისმა მეუღლემ ის იყო საათს და-
ხედა. იგი სამუშაოდან ერთი საათის წინ წამოვიდა, ახლა თევზიან

ბუტერბროდს შეექცეოდა და თან მორგენტაუს ეუბნებოდა, თათბირზე მალევე უნდა დავბრუნდეო.

— ძალიან სასწრაფო ამბავია, — გაუმეორა ეტელს ტელეფონისტმა. ეტელმა მაღლა ასწია ტელეფონის თეთრი ყურმილი და ქმარს გასძახა:

— ედგარ გუვერი რეკავს.

რობერტს მაშინვე ცუდად ენიშნა, რომ მოხდა რაღაც უჩვეულო. გამოძიების ფედერალური ბიუროს (გ ფ ბ) დირექტორი სახლში არასოდეს ურეკავდა. ბუტერბროდი მყისვე დააგდო და ჩქარი ნაბიჯით ტელეფონისკენ გასწია. სწორედ ამდროს მორგენტაუმ შენიშნა, ტრანზისტორულ რადიომიმღებს მიმჯდარი ერთი მუშა ელდანაკრავივით რომ წამოხტა და უაზრო ყვირილით მათკენ გამოქანდა.

იუსტიციის მინისტრმა ყურმილი აიღო.

— უნდა გაცნობოთ, რომ პრეზიდენტი დაჭრეს, — ყოველგვარი ინტონაციის გარეშე უთხრა გუვერმა. ჩამოვარდა სიჩუმე.

— რამდენად სერიოზულია ჭრილობა? — იკითხა რობერტ კენედიმ.

— ვფიქრობ, მძიმე მდგომარეობაა. ვცდილობ ამბის დაწვრილებით გაგებას. თუ რამე ახალს შევიტყობ, მაშინვე გაცნობებთ.

გ ფ ბ-ს დირექტორმა ყურმილი დაკიდა. რობერტი მეუღლისა და სტუმრებისაკენ წამოვიდა, მაგრამ გზაზე მეხდაცემულივით გაშეშდა. მხოლოდ ახლა გაიაზრა ნათქვამის მთელი მნიშვნელობა. ყბა ჩამოუვარდა. მორგენტაუს სიტყვით, მთელი სხეული საოცარმა კრუნჩხვამ დაუგრიხა.

— ჯონი დაუჭრიათ, — ძლივს გამოსცრა რობერტმა და სახეზე ხელები აიფარა.

მისი პირველი შეგნებული აზრი დაჭრილ ძმასთან დაუყოვნებლივ გაფრენა იყო. მაშინვე მაკნამარას დაურეკა, სთხოვა მისთვის თვითმფრინავი გამოეყოთ და ტანზე ჩასაცმელად ოთახში შეევარდა.

მერე დალასში დარეკა და კლინტ ჰილს ჰოსპიტალში კათოლიკე მღვდლის მიყვანა დაავალა.

— როგორი ექიმები ჰყავთ მანდ? რასა იქმს ჟაკლინი? — კითხვას კითხვაზე აყრიდა იგი.

რობერტი კიდევ რამდენჯერმე ელაპარაკა მაკნამარას. თუმცა, ყველა ეს ინფორმაცია სამხედრო დაზვერვიდან მოდიოდა, მაგრამ მან, რატომღაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცნობაც მიიღო. ეს მაშინ, როცა ცსს-ს შეფი ჯონ მაკოუნი ახალ ამბებს თვითონაც „კოლამბია ბროდკასტინგ კომპანიის" სატელევიზიო გადაცემებში ეძებდა.

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს შენობა კენედის ვილიდან ხუთი წუთის სავალზე იყო და რობერტ კენედიმ ჯონ მაკოუნს, შინ გამომიარეო, სთხოვა.

სწორედ ეს კაცი გახლდათ მეთაური იმ უწყებისა, რასაც პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა ყოველგვარ საერთაშორისო შეთქმულებებთან. იმ წუთიდან მოყოლებული, როცა მაკოუნს მისმა აქოშინებულმა თანაშემწემ პრეზიდენტზე თავდასხმის ამბავი აცნობა, თავში მხოლოდ ერთი აზრიდა უტრიალებდა — ხომ არ იყო დალასში მომხდარი თავდასხმა რომელიმე ასეთი შეთქმულების შედეგი. მას არავითარი სადაზვერვო ცნობა არ გააჩნდა ამ ამბის თაობაზე, ამიტომაც გარკვევით ვერც ვერაფერი თქვა. მაკოუნს მხოლოდ ზოგიერთ ამერიკულ ქალაქში, განსაკუთრებით კი დალასში, საფუარივით მზარდ ფანატიზმზე შეეძლო ემსჯელა.

სულით ხორცამდე შეძრწუნებული რობერტ კენედი ხან ერთ ტელეფონს მივარდებოდა და ხან მეორეს, თან თავისთვის ბუტბუტებდა. „აბა რა იქნებოდა, როცა ირგვლივ ამდენ სიძულვილს ანთხევდნენ".

* *

სენატის კულუარების იმ ფრთაზე, სადაც რესპუბლიკური პარტიის წარგზავნილები მოკალათებულიყვნენ, იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის ტელეტაიპს საქმიანი კაკუნით გამოჰყავდა ახალი ფაქტები, სრულყოფდა თავის ისტორიულ ცნობას. გრუხუნით გაიღვიძა ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს აპარატმაც. ფედერალური ბიბლიოთეკის თაობაზე გამართული მოსაწყენი დებატების წყალობით, აპათიით გაჟღენთილ ატმოსფეროში. ეს ამბავიც შეუმჩნეველი დარჩებოდა, სენატორ უეინ მორზეს დაუშრეტელი ცნობისმოყვარეობა რომ არა. ასოშიეიტედ პრესის აპარატთან გამუდმებით მორიგეობდა სენატორ მორზეს სამდივნოს თანამშრომელი ქალი ფილის როკი.

13 საათსა და 41 წუთზე ქალი ტელეტაიპს მიუახლოვდა და საზარლად შეჰყვირა. მახლობლად მჯდარ პრეს-ბიუროს ხელმძღვანელ რიჩარდ რიდელს გაზეთი ხელიდან გაუვარდა და ქალთან მიიჭრა. რიდელს თვალში მოხვდა ტელეტაიპის ლენტის სტრიქონები:

„ასოშიეიტედ პრესის ფოტოკორესპონდენტმა ჯეიმს ალტგენსმა გვაცნობა, რომ თვითონ დაინახა პრეზიდენტის სისხლით მოსვრილი თავი. ალტგენსი აგრეთვე ირწმუნება, ორი გასროლის ხმაც გავიგონე, თუმცა პირველად მომეჩვენა, თითქოს ვიღაც სატკაცუნას აფეთქებდაო...“

სენატში სამსახურის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, იმ დღიდან მოკიდებული, როცა ცხრა წლის ბიჭმა შიკრიკად დაიწყო მუშაობა, რიდელს წესი არ დაურღვევია. ახლა კი სენატის სხდომის დროს შეიჭრა დარბაზში და ხან ერთ სენატორს მივარდებოდა და ხან მეორეს, თან მღელვარებისგან დორბლმორეული ხმამაღლა გაჰყვიროდა:

— პრეზიდენტი დაჭრეს... პრეზიდენტი! იგი დაჭრილია:

ფლორიდის შტატის სენატორი ჰოლანდი გაოცებით მიაშტერდა რიდელს. ილინოისის შტატის სენატორი დირკსონი უეცრად ცალიელ ტომარასავით ჩაიჩუტა. თითქმის უგონო ოიდელმა მზერა ტრიბუნას მიაპყრო. იქ კი, თავმჯდომარის სკამზე პრეზიდენტის ძმა, მასაჩუსეტსის შტატის სენატორი ედვარდ (ტედი) კენედი დაინახა. დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერს მაიკლ მენსფილდს უეცრად გაახსენდა, რომ ედვარდი იმ დღესაც თავმჯდომარე იყო, როცა პრეზიდენტის პატარა ვაჟი პატრიკ კენედი გარდაიცვალა, და საჩქაროდ ტრიბუნისაკენ გაქანდა. მაგრამ მას რიდელმა მიასწრო. მაგიდასთან მივარდნილი რიდელი უკვე ხმამაღლა გოდებდა:

— რა უბედურება მოხდა! რა საშინელებაა, რა საშინელება!

სწორედ ამ დროს სენატორი ედვარდ კენედი რაღაც წერილს აწერდა ხელს და კალამი აუკანკალდა.

— რა მოხდა? — იკითხა მან.

— თქვენი ძმა... — ის იყო უნდა დაეწყო რიდელს, მაგრამ უეცრად მოაგონდა, რომ ედვარდს ორი ძმა ჰყავდა. — თქვენი ძმა... პრეზიდენტი. იგი დაჭრეს!

სენატორი ჯერ რიდელს მიაშტერდა, მერე მეორე მხრიდან მისკენ მომავალი სენატორი ჰოლანდი დაინახა, ჩაქუჩის გამოსართმე-

ად რომ მოიჩქაროდა. ედვარდი კვლავ რიდელს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— თქვენ საიდან იცით ეს?

— ტელეტაიპით გადმოსცეს. ეს წუთია ტელეტაიპით გადმოსცეს.

ედვარდმა სწრაფად მოხვეტა თავისი ქალალდები. რიდელმა ედვარდს მხარზე დაადო ხელი და მზრუნველად უთხრა:

— იქნებ, რეაქტიული თვითმფრინავით ტეხასში გაფრინდეთ. მე თუ რამეში გამოგადგებით?

— არა, — უპასუხა უმცროსმა კენედიმ და სასწრაფოდ გაეცალა იქაურობას.

მისი გასვლისთანავე დარბაზში საშინელი ხმაური ატყდა. ჩაიშალა მთელი საპარლამენტო პროცედურა. სენატორმა მორზემ სენატის ყველა წევრისათვის სავალდებულო სასწრაფო სხდომის მოწვევა მოითხოვა. შენობის ყველა მხარეს, სენატორების ყველა კაბინეტში, სენატის სრული შემადგენლობით მოწვევის მაუწყებელი ზუმერები აზრიალდა. ამ ზარის მეშვეობით გაიგო ეს ამბავი აიდაჰოს შტატის სენატორმა ჩერჩმა, როცა იგი სახდეპარტამენტის შენობის მერვე სართულზე დიპლომატებთან ერთად საუზმეს შეექცეოდა. მან, რა თქმა უნდა, საქმის ვითარება მაშინვე აუწყა საუზმეზე მყოფ ავერელ ჰარიმანსა და ყველა იქ მყოფ დიპლომატს.

მორზეს წინადადებას ნიადაგი უნდა მოემზადებინა სენატის სხდომის დახურვის გამოცხადების ფორმალობისათვის. ჩვეულების მიხედვით, ეს წინადადება უმრავლესობის მეთაურს უნდა შეეტანა, მაგრამ მაიკლ მენსფილდი იმდენად იყო აღელვებული, რომ მეტყველების უნარიც აღარა ჰქონდა. ამიტომ წინადადებით გამოვიდა უმცირესობის ლიდერი დირკსენი, თუმცა მასაც დაავიწყდა ოქმისათვის აუცილებელი მოტივირების მოყვანა. ჰოდა აი, ყოველგვარი ფორმალური განმარტების გარეშე ჰოლანდის თავმჯდომარეობით გამართულმა სენატის საგანგებო სხდომამ საერთოდ შეწყვიტა მუშაობა.

კორიდორში გამოსულმა ტედ კენედიმ ტელეტაიპთან მიახლოებისას ნაბიჯი შეანელა. ხალხი მჭიდრო კედლად შემორტყმოდა ორთავე აპარატს, მისი გარღვევა შეუძლებელი ჩანდა. ტედმა იქვე,

ლინდონ ჯონსონის მისაღებში შეუხვია და მთავრობის ტელეფონით იუსტიციის მინისტრს დაურეკა. ტელეფონი არ მუშაობდა. ყურმილში არავითარი სიგნალი არ ისმოდა. ტედმა კვლავ აკრიფა ნომერი. ახლა „დაკავების“ სიგნალი მოისმა. ბოლოს ისევ ქუჩაში გამოსვლა გადაწყვიტა, თუმცა თვითონაც არ იცოდა, რას აკეთებდა. აქ ტედი იცნო სამდივნოს ერთ-ერთმა მუშაკმა. მას მანქანის რადიოთი მოესმინა უკანასკნელი ცნობები და ტედი თავისი მანქანით სენატის ძველ შენობამდე მიიყვანა, სადაც მისი სამუშაო კაბინეტი იყო..

ამ დროისათვის სატელეფონო კავშირის უწესივრობა სულ უფრო და უფრო უცნაურ ხასიათს იღებდა. ზოგჯერ სატელეფონო ზარები აღწევდა მიზანს, მაგალითად, „ნეიშნლ ბროდკასტინგ კომპანის“ წარმომადგენელი მარტინ აგრონსკი ადვილად დაუკავშირდა ედვარდ კენედის მისაღებს და ჰკითხა კიდეც, აპირებდა თუ არა იგი დალასში გაფრენას. მაგრამ როცა თვითონ ტედი ჩაიკეტა კაბინეტში და კვლავ თავის ძმასთან დაკავშირება სცადა, არც ერთი ტელეფონი არ მუშაობდა. ვერც იუსტიციის სამინისტროში დარეკა და ვერც თეთრი სახლის საშუალებით დაუკავშირდა რობერტს. მართალია, ერთმა ტელეფონმა, როგორც იქნა, გამოსცა სიცოცხლის სუსტი ნიშანი, მაგრამ როგორც თეთრი სახლის ტელეფონისტმა ქალმა უთხრა, იუსტიციის მინისტრი იმ დროს დალასს ელაპარაკებოდა. რობერტისაგან განსხვავებით, ტედს არა ჰქონდა თეთრი სახლის ავტომატურ სატელეფონო კავშირთან დამაკავშირებელი აპარატი, ამიტომაც ტელეფონისტმა ქალმა ვერ ჩართო იგი ამ საუბარში. ტედ კენედიმ არ იცოდა, რომ იმ წუთში მისი ძმა კლინტ ჰილს ელაპარაკებოდა. მან ისიც კი არ იცოდა, პრეზიდენტი უკვე ჰოსპიტალში რომ იყო.

შინ მისულმა ტედმა კვლავ განაახლა ძმასთან ტელეფონით დაკავშირების შეუპოვარი ცდა, მაგრამ არც სახლის ტელეფონი იღებდა ხმას. სახელგანთქმული სატელეფონო კომპანია „ჩეზაპიკი და ოჰაიო“ უეცრად დაყრუვდა და დამუნჯდა. თითქოს სატელეფონო ხაზები საერთოდ მოიშალაო. მთელი სატელეფონო ქსელის ასეთმა მოულოდნელმა გამოთიშვამ ტედსა და მის მეგობრებს ისიც კი აფიქრებინა — ხომ არ არისო ეს ამბავი ვინმეს წინასწარ მოფიქრებული მოქმედების შედეგი.

— ყველაფერი განზრახ არის მოწყობილი, აქ სახელმწიფო ინტერესებია ჩარეული, — თქვა ტედის შეშინებულმა მეუღლემ.

ტედის აზრით, მეზობლებთან შესვლა, და როგორმე ერთი მოქმედი აპარატის შოვნა იყო საჭირო. შესაძლოა, ეს მართლაც ერთადერთი საშუალება გახლდათ. ტედმა ტელევიზორი ჩართო, მაგრამ კომენტატორები ისე ბუნდოვანად ლაპარაკობდნენ, რომ თავდაუღწეველი სასოწარკვეთა შეგიპყრობდათ.

რადაც უნდა დაჯდომოდა, ტედი ჰიკორი ჰილში ძმის რეზიდენციას უნდა დაკავშირებოდა. რადგან ბობი დალასს ელაპარაკა, რაღაც უთუოდ ეცოდინებოდა. ტედი ქუჩაში გამოვიდა და თავის მეგობარ კლოდს უთხრა:

— ჩვენ უნდა გავიყოთ. შენ მარჯვენა მხარის კარებზე აკაკუნე, მე მარცხენაზე. თუ რამეს აღმოაჩენ, უმალვე შემატყობინე.

პრეზიდენტზე თავდასხმის ცნობის პირველი ნაპერწკალი, შემდეგ რომ მოგზგზე ვეება ხანძრად იქცა, იმ სახლების, ავტომანქანებისა თუ სამსახურის რადიომიმღებებიდან გამოფრინდა ვისაც იგი იმ დროს ანუ 1 საათსა და 36 წუთზე ჰქონდა ჩართული.

ტეხასის შტატის მუნიციპალიტეტის გადამდგარ მოსამსახურეთა საპენსიო უზრუნველყოფის განყოფილების დირექტორმა დინ გორჰემმა თავის საკუთარ მანქანაში მოისმინა პრეზიდენტზე თავდასხმის ცნობა, თუმცა მან კვლავ დიდი სიჩქარით განაგრძო გზა ოსტინის საკონცერტო დარბაზისაკენ, სადაც მდიდრულად გაფორმებული მენიუ უნდა მიეტანა. დიახ, იმ დიდი ბანკეტისათვის, რომელსაც ჩატარება არ ეწერა.

მემარჯვენე შეხედულებების მქონე ახალგაზრდა კომივაიჟორმა ბერნარდ ვაისმანმა ეს ამბავი დალასის საქმიან ნაწილში გავლისას მოისმინა. „მორნინგ ნიუსში" მთელ სვეტზე დაბეჭდილ, შავ ჩარჩოში ჩასმული, პროვოკაციულ განცხადებას მისი ხელწერაც ამშვენებდა. როგორც შემდეგ თვითონ ყვებოდა, იგი ისე შეშინდა, მეც არ დამაბრალონ პრეზიდენტზე თავდასხმის წამქეზებლობაო, რომ მთელი ოთხი საათი რომელიღაც ბარში ყურყუტებდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა: „ღმერთმა ნუ ქნას, მკვლელი უოკერის[1] ჯგუფელი აღმოჩნდეს. ღმერთმა ნუ ქნას, მკვლელი უოკერელი ბიჭი იყოს".

---

[1] იგულისხმება ულტრამემარჯვენე გენერლის ედვინ უოკერის მომხრენი.

მენავთობე მილიარდერი ჰ. ლ. ჰანტი თავის კაბინეტში უჩარმაზარ, ძვირად ღირებულ ტელევიზორს უჯდა. მილიარდერმა პრეზიდენტზე თავდასხმის შემდგომი ამბებით დაინტერესებული თანამშრომლები კაბინეტში შემოიყვანა, თვითონ კი მაშინვე გაეცალა იქაურობას.

დალასის „მორნინგ ნიუსის" გამომცემელი ტედ დილი საკუთარი ადგილობრივი სატელევიზიო სადგურის მორიგ პროგრამას უყურებდა. უეცრად ტელესტუდიაში მღელვარებისგან აქოშინებული დიქტორი შემოვარდა და ძლივძლივობით წარმოთქვა:

— საშინელი ამბავი: პრეზიდენტი დაჭრეს. გადარჩება თუ არა, არ ვიცი.

დილი უბრალოდ შეაშფოთა დიქტორის ასეთმა უტაქტო საქციელმა. იგი ფიქრობდა, რომ მის ტელერეპორტიორებს უფრო დახვეწილი მანერები უნდა ჰქონოდათ.

ტელევიზორის ამ გადაცემებს ინტერესით მისჩერებოდა მარგარიტა ოსვალდიც. ეს ხომ ნამდვილი სენსაცია გახლდათ. ხვალ ფორტ-უორტის ყველა გაზეთის პირველი გვერდი მკვლელობის დაწვრილებითი ცნობებით იქნება აჭრელებული. ალბათ ისე, როგორც ეს 1959 წელს იყო, როცა მისი შვილი ლი რუსეთში გაიქცა. ხვალ აუცილებლად წაიკითხავს ამ საინტერესო ახალ ამბებს და სატელევიზიო გადაცემის „მსოფლიო დღეს" ნახვასაც მოასწრებს. ქალს, რასაკვირველია, ეჭვადაც არ უფიქრია, რომ ეს გადაცემები მას რითიმე ეხებოდა. შემდგომში მარგარიტამ ასე გადმოსცა თავისი მაშინდელი განწყობილება: „პრეზიდენტზე თავდასხმას სულაც არ ავუღელვებივარ. მე ასეთი ხასიათი არა მაქვს. ჩემი შეხედულებით, უკვე მომხდარ ამბავს შეგუების მეტი არაფერი შეელის. რაც არ უნდა მოხდეს, ჩემს ძილსა და მადაზე არაფერი მოქმედებს".

მარინა ოსვალდმა და მისმა მფარველმა რუთ პეინმა პრეზიდენტზე თავდასხმის ამბავი სახლში, სწორედ იმ ტელევიზორიდან გაიგონეს, რომელსაც ერთი დღის წინ ლი ოსვალდი მთელი საღამო უჯდა. გადმოცემის შინაარსს მარინას რუთი უთარგმნიდა. მერე სანთელი აანთო და ლოცვა დაიწყო.

— შენ რა, ასე ლოცულობ? — ჰკითხა მარინამ.

— ჰო, — უპასუხა რუთმა, — მე ასე ვლოცულობ.

მარინა თეთრეულის გასაფენად ეზოში გავიდა. სწორედ ამ

�ოს დიქტორმა გამოაცხადა — პრეზიდენტს სახელმძღვანელობის საწყობიდან ესროლესო. რუთი სასწრაფოდ გავიდა მარინასთან და ამბავი მიუტანა. მარინას არაფერი უთქვამს, მაგრამ მალულად გარაჟში შეიპარა და შეამოწმა, ისევ იდო თუ არა დაგრაგნილი საბანი. ქალმა საბანი თავის ადგილას დაინახა და დამშვიდდა. ბა რას იფიქრებდა, რომ შიგ არაფერი იდო. „მადლობა ღმერთს!" — თავისთვის წაიბუტბუტა.

რუთს კი არავითარი კავშირი არ დაუნახავს ამ გასროლასა და ლი ოსვალდს შორის, მაგრამ ის კი გაიფიქრა, რა კარგია, დალასის საქმიან ნაწილში ნაცნობი რომ მყავს და ყველაფერს დაწვრილებით მიამბობსო.

* * *

სატელეფონო კავშირის მწყობრიდან გამოსვლა, მაშინ რომ ასე საეჭვოდ ჩანდა, სინამდვილეში სხვა არაფერი იყო, თუ არა შედეგი ტელეფონის ყველა მფლობელის ერთდროულად ლაპარაკის სურვილისა. ახლა შეუძლებელია იმის გამოთვლა, თუ რამდენი ყურმილი აიღეს ვაშინგტონში არსებულ 443.994 სატელეფონო აპარატიდან 22 ნოემბრის, იმ საბედისწერო გასროლის პირველი ოცდაათი წუთის განმავლობაში. მაგრამ სატელეფონო კომპანია „რეზაპიკი და პოტომაკის" მიერ მოყვანილი ციფრი — მეოთხედი მილიონი საქალაქთაშორისო ლაპარაკი მხოლოდ ერთ პარასკევ დღეს — თავისთავად ფანტასტიკურია. ნომრის აკრეფის შემდეგ სიგნალის დაგვიანებას, რაც ხაზის გადატვირთვის მიზეზით ხდებოდა, კერძოდ ვაშინგტონის რაიონში, უბრალოდ საშიში ხასიათი მიეცა. ტელეფონები მწყობრიდან გამოდიოდნენ, ხოლო როცა ხალხის საკმაო რაოდენობა ყურმილს კიდებდა, ტელეფონები კვლავ იწყებდნენ მუშაობას. მერე დროებით ისევ მუნჯდებოდნენ, მერე კვლავ იძლეოდნენ სიცოცხლის ნიშნებს და ასე უსასრულოდ. მალე ეს მოვლენა მთელ მხარეს მოედო. ნათელი გახდა — რაიმე მძიმე ეროვნული უბედურების დროს ერთ-ერთი ყველაზე არასაიმედო რგოლი სატელეფონო კავშირი იქნებოდა, რომ იგი პირველი გამოვიდოდა მწყობრიდან.

დიქტორის მიერ წაკითხული უკანასკნელი ამბები თუ ტელეტა-

იპით მიღებული ინფორმაცია, ჩვეულებრივ, აღიქმება, როგორც სარწმუნო ფაქტებზე დამყარებული ცნობა.

მაგრამ პრეზიდენტის მკვლელობაზე ფიქრიც კი იმდენად დაუჯერებელი ჩანდა, რომ ბევრმა სულაც არ ირწმუნა იგი.

ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე ჯორჯ რიდს ერთმა მისმა თანამშრომელმა დაურეკა:

— მომისმინე, ჯორჯ, ამ წუთში მაცნობეს სრულიად დაუჯერებელი ამბავი, — რიდიც დაეთანხმა, რომ ყველა ეს ხმები ყალბი და მოგონილი იყო.

როცა ოსტინში მყოფ მშვიდობის კორპუსის დირექტორის მოადგილეს ბილ მოიერსს მოახსენეს „პრეზიდენტი მოკლეს და ვიცე-პრეზიდენტი დაუყოვნებლივ გთხოვთო“, მან ეს ამბავი უხეირო ხუმრობად ჩათვალა.

კენედიზე თავდასხმა ასევე არ ირწმუნეს სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ლ. ტომპსონმა და პრეზიდენტის თანაშემწე არტურ შლეზინგერმა. მათ ამ ამბავს „გულისამრევი, უნიჭო იუმორი“ უწოდეს.

ტეხასელი ინჟინერ-კონსტრუქტორის მაიკლ პეინის აზრით, იგი კენედის წინააღმდეგ მიმართული კიდევ ერთი ბოროტი ანეკდოტი იყო. მაგრამ როცა მკვლელობასთან დაკავშირებით ტეხასის სახელმძღვანელოების საწყობიც ახსენეს, თავისი ყოფილი მეუღლისაგან განსხვავებით, მაშინვე ლი ოსვალდი გაახსენდა. ის კი არა, გამოძიების ფედერალურ ბიუროში დარეკვა და ლი ოსვალდზე ცნობის მიწოდებაც კი დააპირა.

თვით იმ გაცხარებას, რითაც ეს ადამიანები პირველი ცნობების უარყოფას ცდილობდნენ, თავისთავად მიეყავართ გარკვეულ დასკვნებამდე. გეგონებოდათ, თითქოს, თუ საჭირო ენერგიითა და თავგამოდებით უარყოფდნენ ამ უსიამოვნო ფაქტებს, ბოლოს და ბოლოს ყველაფერი კეთილად დამთავრდებოდა.

სინამდვილის უარყოფის ერთ-ერთი ფორმა გახლდათ ინფორმაციის ყოვლად უტყუარი ცნობების არადაჯერება და იმის რწმენა, რომ კენედი ჩქარა და უმტკივნეულოდ გამოჯანმრთელდებოდა.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი ელჩის (ინგლისში) ჯოზეფ პ. კენედის სახლში შინამოსამსახურე დორამ მეორე სართულზე ამავალ კიბესთან მიირბინა და შეშფოთებით შეჰყვირა.

— ენ! ენ! გაიგონეთ, რა მოხდა?

პრეზიდენტის ბიძაშვილი ქალი ენ გარგანი დეტროიტში გასამგზავრებლად გამზადებულიყო. მოსამსახურის დაძახილზე ენმა ბიძამისის მომვლელ რიტა დალასს ზურგი აქცია და კიბისაკენ გაქანდა. რა ხუშტურიანი ვინმეა ეს მოსამსახურე გოგო! საკმარისია პუდელი ეზოში გაძვრეს, რომ ერთი ალიაქოთი ატეხოს. ახლა ხომ სულ მთლად შეშლილა და ეგ არის. ასეთ ყვირილზე, შესაძლოა, ძია ჯოსაც გაღვიძებოდა და ძალო როზასაც.

— რა ამბავია? — გაჯავრებით ჰკითხა ენმა.

— ვიღამაც თოფი ესროლა პრეზიდენტს, — მოკლედ დახატა ქალმა დალასში დატრიალებული ტრაგედია.

ენი მაშინვე შევარდა თავის ოთახში და ტელევიზორი ჩართო. ქალს თავს დაატყდა ინფორმაციის მთელი ნიაღვარი. იგი დაიბნა და თვითონაც იგივე ჩაიდინა, რისთვისაც მოსამსახურე გოგოს გაკიცხვას აპირებდა. ტელევიზორი ისეთ ხმაზე ააღრიალა, რომ კარში პრეზიდენტის დედა როზ კენედი გამოჩნდა.

— ენ, თუ შეიძლება, ცოტა ჩუმად. დასასვენებლად მივწექი.

შეშინებულმა ენმა და მოსამსახურე გოგომ უსიტყვოდ ანიშნეს ერთმანეთს და ტელევიზორს გამოსართავად მისცვივდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო. როზ კენედიმ გაიგონა მისი შვილის მძიმედ დაჭრის საშინელი ამბავი. თავზარდაცემული დედა სავარძელში ჩაიკეცა და ცახცახმა აიტანა. ისიც უნდა ითქვას, რომ მის თავს დატეხილი უბედურების გაგება უტელევიზოროდაც არ დაიგვიანებდა, სულ ბევრი რამდენიმე წამით გაგრძელებულიყო ეს ბედნიერი უცოდინარობა. ჰოდა აი, დარეკა კიდეც რობერტ კენედიმ, „საქმეს ცუდი პირი უჩანს, რამდენადაც ვიცი, ჯონი შეიძლება ველარ გადარჩესო“.

უბედურებისაგან მოკუნტულმა დედამ ყურმილი დაკიდა და ხელები სხეულზე გარდიგარდმო ისე შემოირტყა თითქოს გამყინავი შემცივნებისაგან თავს იფარავსო.

— უნდა ვიარო, ერთ ადგილას ჯდომა არ შემიძლია, — სასოწარკვეთით წაილაპარაკა დედამ.

თავზარდაცემული როზ კენედი კუთხიდან კუთხეს აწყდებოდა. ენიმ ახლა კორიდორის ბოლოს, თავის ოთახში მთვლემარე პრეზიდენტის მამა წარმოიდგინა და ჩუმად აქვითინდა.

ვაშინგტონის კლუბ „ეფ სტრიტში“ საუზმეს ამთავრებდნენ სე-

ნატორი ჯეიმს ფულბრაიტი და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის ყოფილი პრეზიდენტი იუჯინ ბლეკი. ბლეკს, ისევე როგორც ბევრ სხვას, პრეზიდენტთან შეხვედრა მისი ტეხასიდან ჩამოსვლისთანავე ჰქონდა დანიშნული. ისა და სენატორი ეკონომიურ პრობლემებზე მსჯელობდნენ და თან ყავას შეექცეოდნენ. სწორედ ამ დროს ოთახში ვიღაც შემოვიდა და თავზარდამცემი ამბავი წამოისროლა. ფულბრაიტი სკამიდან წამოიჭრა, ხელსახოცი იატაკზე მოისროლა და იყვირა:

— დალახვროს ეშმაკმა, ხომ ვეუბნებოდი: „ნუ წახვალ დალასში-მეთქი!“

*

ისე როგორც ტაიფუნის დროს გემს მიმწყდარი აბობოქრებული ტალღები ჩვეულ რიტმს ურღვევს ხომალდს და აიძულებს შკიპერს, გემის გახვრეტის შიშით, ნაოსნობაში აკრძალულ ხერხებს მიმართოს, ასევე გულს მიხლილ განცდებსა და წუხილს გამოყავს ადამიანი ჩვეული მდგომარეობიდან.

22 ნოემბრის იმ პარასკევ დღეს ბევრი ქალი და კაცი ცდილობდა ნორმალური აზროვნების შენარჩუნებას, მაგრამ სწორედ საპირისპირო საქციელი გამოდიოდათ. პრეზიდენტის ერთ-ერთმა უახლოესმა თანაშემწემ, მთელი ორი საათით დაჰკარგა თავის თავზე ყოველგვარი კონტროლის უნარი. შემდგომ ისიც კი ვერ მოიგონა, თუ სად იყო. რადგან იმ საათებში იგი არავის უნახავს, უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრ სხვათა მსგავსად, მისთვისაც განმარტოება იყო ერთადერთი აუცილებლობა.

როზ კენედიმ ოთახში ყოფნა ირჩია. პრეზიდენტის და ჯინ კენედი-სმიტი მარტოდმარტო დიდხანს დაბორიალებდა ქუჩებში. ბობი კენედის ბავშვობის მეგობარი დეივ ჰეკეტი ახლობელთა წრეშიც ქეღარ გაჩერდა და ქალაქში ისეთ ლუდხანას დაუწყო ძებნა, სადაც ვერავინ იცნობდა და სხვათა მზერას არიდებული თავისუფლად დალევდა.

დალასში ფედერალურმა მოსამართლე სარა ჰიუზმა, პრეზიდენტზე თავდასხმის ამბავი რომ გაიგო, აუჩქარებლად დატოვა სავაჭრო ცენტრის შენობა, სადაც ოფიციალური მიღება უნდა გამართულიყო და შინ გაემგზავრა. ვაშინგტონის უნივერსალური მაღა-

ზიის „ლორდი და ტეილორის“ მომხმარებელმა ქალმა უეცრად შენიშნა, რომ მის გარდა მთელ მაღაზიაში აღარავინ იყო: არც მყიდველი და არც გამყიდველი, თვით ადმინისტრატორიც კი. თუ მოისურვებდა, ქალს დაუბრკოლებლივ შეეძლო წაეღო იქ გამოფენილი ნივთები.

საფრანგეთის ელჩის მეუღლე ნიკოლ ალფანი საუზმის დროს თავის მეუღლის პირდაპირ იჯდა და ყურადღებით აკვირდებოდა, როგორც იცვლებოდა ქმრის სახის გამომეტყველება ტელეფონით ლაპარაკისას. ქალმა იფიქრა, ალბათ, პრეზიდენტი დე გოლი მოკლესო. მერე, როცა საქმის ნამდვილი ვითარება გაიგო, მძღოლს გამოუძახა და რობერტ კენედისა და მისი ოჯახისათვის სამძიმრის სათქმელად გაემგზავრა. საფრანგეთის ელჩის მეუღლისათვის ეს ჩვეული საქციელი იყო. იმ წუთში მას ეს ყველაზე უბრალო და ბუნებრივ ჟესტად ეჩვენა. პერუს ელჩის მეუღლემ ანალოგიური ვიზიტი გაუკეთა დამწუხრებულ ჟანეტ ოჩინკლოსს — ჟაკლინ კენედის დედას.

პრეზიდენტის სიკვდილით შეძრწუნებულმა გამომცემლობათა და გრავიურების უწყების ორმა მხატვარმა სასწრაფოდ გამოიღეს თავიანთი ხელსაწყოები და ჯონ კენედისადმი მიძღვნილი მემორიალური მარკის სახელდახელო ესკიზი მოხაზეს. თუმცა მხატვრები ყოველგვარი წინასწარი მომზადების გარეშე მუშაობდნენ და სულაც არ მოელოდნენ თავიანთი ქმნილების უზადობას, მათი ნამუშევრის შედეგებმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ოთხი დღის შემდეგ გრავიურა უკვე ფოსტისა და კავშირგაბმულობის მინისტრს ედო მაგიდაზე, ხოლო 1964 წლის დასაწყისში კიდევაც დაიბეჭდა. მწერლები სტატიებისა და ნეკროლოგების შექმნას შესდგომოდნენ. ჩაფიქრებული კომპოზიტორები როიალის კლავიშებს აყღარუნებდნენ.

პრეზიდენტთან საკმაოდ დაახლოებული სასულიერო პირი კარდინალი კაშინგი და მისი მრევლი შეუსვენებლივ ლოცულობდა. მთელი ქვეყანა უკიდურეს დაძაბულობას მოეცვა. მმართველ წრეებს კვლავ სახელმწიფო გადატრიალების შიში ზარავდა. ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ჯავშნიანი მუშტი ისევ დაძაბულად იყო შეკრული შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის ბრძანებით, რომელთაც მთელ მსოფლიოში გაბ-

ნეულ ყველა ამერიკულ სამხედრო ბაზაში საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადეს. რაღაც საშინელი იმპულსების კარნახით ადამიანები ყოვლად უცნაურად იქცეოდნენ. ბევრი, გულისამაჩუყებელი სიჯიუტით, კვლავინდებურად განაგრძობდა ფაქტისათვის თვალის არიდებას. მაგრამ ყოველი მომდევნო წუთი, რეალობის უარმყოფელ ამ პატარა კერებს თანდათან სპობდა.

განმარტოებას მოწყურებული ადამიანები ქუჩებში ეულად დაეხეტებოდნენ ან სულაც საკუთარ ოთახებში სცემდნენ ბოლთას. ზოგი სრულიად უცნობი ხალხისაკენ ილტვოდა. ანალიზის უნარშერჩენილი ადამიანები კი იმაზე იმტვრევდნენ თავს, თუ ვინ იდგა მკვლელის უკან და, საერთოდ, როგორი იყო მკვლელობის მოტივები.

თითქმის ყველა ვარაუდს ერთი მიმართულება ჰქონდა. მკვლელის პოლიტიკური ფიზიონომიაც აღარავის ეეჭვებოდა. საზოგადოების საერთო თვალსაზრისით მკვლელი და მისი თანამონაწილენი (თანამონაწილეთა არსებობა დადასტურებულად მიაჩნდათ) მებრძოლი მემარჯვენე ძალების აგენტურა იყო. ამ აზრისანი იყვნენ თვით ჯონ ბერჩის საზოგადოების წევრებიც კი. ამერიკის ბევრ ქალაქში ადამიანები ერთმანეთს უყვებოდნენ ამა თუ იმ ადგილობრივი ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის მეთაურის მიერ სახალხოდ გამოთქმული სიხარულის ამბავს დალასში მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებით.

სენატორმა ჰუბერტ ჰემფრიმ კენედიზე თავდასხმის ცნობა მანქანაში რადიოთი მოისმინა. მაშინ კიდევ შეიძლებოდა იგი „ფაქტების უარმყოფელთა“ რიგებისათვის მიგეკუთვნებინა, მაგრამ როცა გონება მოიკრიბა, ფაქტების ფრაგმენტები დაახარისხა და რეალური სურათი წარმოიდგინა, მთელი მისი არსება სიბრაზემ და თანაგრძნობამ მოიცვა. იგი ღრმად თანაუგრძნობდა კენედის ოჯახს, განსაკუთრებით პრეზიდენტის დაქვრივებულ მეუღლეს.

სულ რაღაც რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა დალასის საათის ისრებმა ზუსტად 13 საათი აჩვენეს, პარკლენდის ჰოსპიტლის მთავარმა ნეიროქირურგმა კემპ კლარკმა დაადასტურა ჯონ კენედის სიკვდილი. სენატორ ჰემფრის რადიომიმღებმა, ისევე როგორც ქვეყნის სხვა რადიომიმღებებმა, ქვეყანას აუწყეს, რომ „ჰოსპიტალში პრეზიდენტთან ორი მღვდელი მივიდა“. პრეზიდენტის თავ-

ში დაპრა თავისთავად მძიმე ფიქრებს იწვევდა, მაგრამ ეს ახალი ცნობა იქცა იმის კონკრეტულ დასტურად, თუ რა ავისმომასწავებლად წარიმართა მდგომარეობა. ახალი ამბების იძულებითი ცენტრალიზაციის წყალობით ქვეყანამ იგი პარკლენდის ჰოსპიტლის „სასწრაფო დახმარების“ განყოფილებაში თავშეყრილ ხალხზე აღრე გაიგო. ექიმ კლარკის სიტყვები № 1 პალატის იქით არ გაუგონიათ. იქვე, რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით ქირურგიულ კაბინეტში მყოფმა კენედის უახლოესმა თანამებრძოლებმა არ იცოდნენ, რა ხდებოდა იქ, მაშინ, როცა 75 მილიონიანმა რადიომსმენელმა თუ ტელემაყურებელმა უკვე იცოდა მღვდლების პარკლენდის ჰოსპიტალში მისვლის ამბავი. კარდინალ კაშინგისაგან განსხვავებით, ღირსი მამები ოსკარ ჰიუბერი და ჯეიმს ტომპსონი სულაც არ სარგებლობდნენ ეკლესიის ბურჯების ავტორიტეტით, მაგრამ ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. დალასის მრევლის ამ მოკრძალებული მღვდლების ეკლესიები ახლოს იყო იმ ჰოსპიტალთან, სადაც სასიკვდილოდ განწირული პრეზიდენტი იწვა და მათი იქ მიწვევის მიზეზიც მხოლოდ ეს იყო. მღვდლები ჰოსპიტალში იმ დროს მიეიღნენ, როცა პრეზიდენტის სასთუმალთან მდგარმა კემპ კლარკმა თავისი პოსტი დატოვა. ჟაკლინ კენედიმ ჩრდილივით უხმაუროდ ჩაუარა ექიმ ბერკლის და ქმრის სხეულს დახედა. მოკლულ პრეზიდენტზე წაფარებული ზეწარი მეტად მოკლე აღმოჩნდა მისი ტანისათვის. იმ ადგილიდან, სადაც ჟაკლინი შედგა, ჭრილობა არა ჩანდა. პრეზიდენტის თვალები რომ არა, ქალს შეიძლება ცოცხლადაც კი მოჩვენებოდა.

ჯონ კენედის სახეს თითქმის ბუნებრივი გამომეტყველება ჰქონდა. იგი არც შიშს გამოხატავდა და არც აგონიას. პირიქით, მისი სახის ნაკვთებიდან თითქოს ირგვლივ მყოფთა მიმართ ღრმა თანაგრძნობაც კი გამოკრთოდა. ამ გამომეტყველებას კიდევ უფრო ამძაფრებდა პირის მწუხარე ნაოჭი. ჟაკლინი მონუსხულივით მისჩერებოდა ქმრის ცხედარს. პალატაში უკვე ახალი ხმები გაისმა. ხმაურით გაჰქონდათ სამედიცინო აპარატურა, რახუნობდა დასვრილი დოლბანდების ჩასაყრელი ვედროს სატერფული. შრიალით გრაგნიდნენ გამჭვირვალე მუშამბას, ყრუდ გაისმა პრეზიდენტის სისხლით გაჟღენთილი ტანსაცმლის სამგზავრო ჩანთაში ჩაგდების ხმა, უხმოდ ქვითინებდა ექიმი ბერკლი.

პრეზიდენტის ფარფო, ათლეტური მხრების გვერდით მღვარე ჟაკლინი კვლავ დუმდა. მაგრად ჩაეჭიდა მიცვალებული ქმრის ხელი და მისთვის ესოდენ ძვირფას სახეს მისჩერებოდა.

ოთახში მღვდლები შემოვიდნენ. დაძაბული და მედიდური ჟაკლინი ისევ ქმრის სასთუმალთან იდგა.

მღვდლების გამოჩენა დამსწრეთა უმრავლესობისათვის ტრაგედიის ახალი აქტის დაწყებას მოასწავებდა.

ადამიანებმა ვერც კი შენიშნეს მათი შავი სამოსელი. კორიდორებსა თუ პალატებში თაეშეყრილი ხალხი ლამის გონდაკარგული იყო.

„ყველაფერი დამთავრდა“, — გაიფიქრა ჰენრი გონზალესმა ტანდაბალი მღვდლის დანახვისას. მაკ კილდაფმა კი ალბერტ ტომასს წასჩურჩულა:

— გამოდის, რომ გარდაიცვალა!

კილდაფი ჟაკლინ კენედის პრეს-მდივან ქალ პამილა ტურნიურს მიუახლოვდა და ენის ბორძიკით უთხრა:

— მღვდელი გამოიძახეს.

ქირურგი მაკ პერი ისევ კორიდორში იჯდა, მღვდელმა რომ ჩაუარა, მაგრამ იგი არც კი შეუმჩნევია. თაფლისფერი თვალები მწუხარებისა და დაღლილობისაგან გაშეშებოდა, სახე მოღრეცოდა. შორენკეცით მოპირკეთებულ კედელს დაუხამხამებლად მზერამიპყრობილი, თითქოს ამ კედელზე ეძებდა მტანჯველი კითხვის პასუხს.

მღვდელი ჰიუბერი ჟაკლინთან მივიდა. თვალებში მწუხარება ედგა, თუმცა სახე მარმარილოს ქანდაკივით უშფოთველი ჰქონდა.

— მადლობას მოგახსენებთ მოსვლისათვის. ილოცეთ მასზე, — ჩურჩულით, მაგრამ გარკვევით წარმოთქვა ჟაკლინმა.

მერე უეცრად ჟაკლინს თავი ჩამოუვარდა და როგორღაც წინ გადაქანდა. მღვდელმა ტომპსონმა ექთანს უხმო.

— თქვენ ექიმი გჭირდებათ? — ჰკითხა ჰიუბერმა.

ჟაკლინი უმალვე გაიმართა და თითქოს გაღიმებაც კი სცადა.

— ო არა.

დიახ, მას ჭეშმარიტად სჭირდებოდა ექიმი. კიდეე ცოტაც და, ალბათ, გონებას დაჰკარგავდა. ექთანმა ცივი კომპრესი მოიტანა. ჟაკლინი დაიხარა და შუბლზე მჭიდროდ მიიკრა.

როცა ყველაფერი დამთავრდა, მღვდლებმა სული მოიბრუნეს და დატიხრული კაბინებისა და კორიდორებისაკენ გაემართნენ. კართან მათ დაცვის ერთ-ერთი აგენტი შეეგება და ჰიუბერს მრავალმნიშვნელოვნად უთხრა:

— წმინდა მამაო, თქვენ არაფერი გინახავთ და ამ ამბისა არც არა იცით რა!

ორთავე მღვდელმა თანხმობის ნიშნად თავები დააკანტურეს, თუმცა დაპირება არცთუ ისე ადვილი შესასრულებელი იყო. მღვდლები შეეცადნენ კორიდორში გავლისას პასუხი არავისათვის გაეცათ, მაგრამ რეპორტიორებმა თვალი მოჰკრეს მღვდლების შავ სამოსელს და ავტომანქანაში ჩაჯდომისას მიუსწრეს. ყველაზე წინ ჟურნალ „ტაიმსის" კორესპონდენტი ჰიუ. საიდი მიიჭრა. მამა ტომპსონი უკვე საჭეს უჯდა, ხოლო ღრმად მოხუცებული ჰიუბერი მანქანის კარს აღებდა. კორესპონდენტების ალყაში მოქცეულმა ტომპსონმა გადაჭრილი უარი განაცხადა თავისი გვარის დასახელებაზე.

ჰიუ საიდმა ჯიქურ ჰკითხა:

— პრეზიდენტი მოკვდა?

— დიახ, მოკვდა.

უეცრად ვიცე-პრეზიდენტის მიტოვებული მანქანიდან რადიომიმღების ხმა გაისმა. ეტყობა, არავის მოჰფიქრებია მანქანაში რადიოს გამორთვა. იქვე მიმავალ „ნიუ-იორკ ტაიმსის" კორესპონდენტ ტომ უიკერს მიტოვებულ კარღია მანქანიდან გარკვევით მოესმა როგორღაც მექანიკური ხმით გადმოცემული ცნობა:

„გარდაიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. ვიმეორებ, ახლახან გამოაცხადეს, რომ გარდაიცვალა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი".

უიკერი რკინის ღობეს გადაახტა და საიდის გასძახა:

— ჰიუ, ახლა გადმოსცეს, რომ პრეზიდენტი გარდაიცვალა. ჩემი აზრით, ეს ოფიციალური განცხადებაა.

საიდიმ თავი ჩაქინდრა, ლაპარაკი აღარ შეეძლო. უიკერი პრესცენტრისაკენ გაქანდა.

ოფიციალურად ჯერ არაფერი იყო ნათქვამი. ვიღაც მღვდლის სიტყვებს წონა არა ჰქონდა, მაგრამ განა რამდენ ხანს შეიძლებოდა ოფიციალური განცხადების დაყოვნება. უკვე 13 საათი და 15 წუთი იყო. მეოთხედი საათი გავიდა, რაც ექიმებმა დაადასტურეს პრეზი-

დენტის სიკვდილი. სასწრაფო დახმარების განყოფილებაში არ იცოდნენ, რომ მამა ჰიუბერმა გაამხილა ეს ამბავი, თუმცა ასეთი შემაძრწუნებელი საიდუმლოს დიდხანს შენახვა შეუძლებელი იყო. პრეზიდენტის სიკვდილს საკმაოდ ბევრი ხალხი დაესწრო.

მაკ კილდაფმა გვერდზე გაიხმო კენ ო'დონელი და ჩუმად ჰკითხა:

— გარდაიცვალა?

ო'დონელმა შეკითხვა მოკლე პასუხით დაუდასტურა.

— ახლა, რა თქმა უნდა, ყველაზე შეუფერებელი დროა შენ გკითხო ასეთი რამ, — განაგრძო კილდაფმა, — მაგრამ მსოფლიომ უნდა იცოდეს პრეზიდენტ კენედის გარდაცვალება.

— განა ეს ცნობილი არ არის? — იკითხა კენმა.

— არა, ჯერ ოფიციალური განცხადება არ გამიკეთებია.

— მაშასადამე, ახლავე უნდა გააკეთო, თუმცა დაიცა, ჯერ ლინდონ ჯონსონს შეუთანხმდი.

დაცვის აგენტმა კილდაფი ჰოსპიტლის თეთრ ლაბირინთებში გაატარა. ერთ-ერთი მოსახვევის ბოლოში კილდაფმა კენედის კონსტიტუციური მემკვიდრის ფართო ზურგი დაინახა, მაშინვე მასთან მივიდა და მიმართა:

— ბატონო პრეზიდენტო!

პირველად უწოდეს ჯონსონს პრეზიდენტი, იგი შემობრუნდა და როგორც კილდაფი შემდეგ იხსენებდა, ისე შეხედა, თითქოს იგი „დისნეის მულტიპლიკაციური ფილმის პერსონაჟი ყოფილიყოს". კილდაფმა ახალ პრეზიდენტს კენედის სიკვდილის ოფიციალურად გამოცხადების ნებართვა სთხოვა, მაგრამ ჯონსონმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არა, დაიცათ! ჩვენ ჯერ არ ვიცით, რა არის ეს? იქნებ, სულაც კომუნისტური შეთქმულებაა. როგორმე სასწრაფოდ უნდა გავეცალო აქაურობას და თვითმფრინავამდე მივიდე. მზადა ხართ ჩემს აქედან გასაყვანად?

საიდუმლო სამსახურს თადარიგი უკვე დაეჭირა. ეს ჯონსონმაც იცოდა, მაგრამ პარკლენდის ჰოსპიტლის დატოვება კენედის სიკვდილის გახმაურებამდე სურდა. კილდაფი მიხვდა საქმის ვითარებას.

13 საათსა და 20 წუთზე მან განმეორებით მიმართა ჯონსონს:

— როგორც კი თქვენ ჰოსპიტალს დატოვებთ, მე ოფიციალურ განცხადებას გავაკეთებ.

— კეთილი, ჩემი გამგზავრებისთანავე აუწყეთ პრეზიდენტის სიკვდილი, — კვერი დაუკრა ჯონსონმა.

კილდაფი სათადარიგო გასასვლელამდე მიჰყვა ჯონსონს. ქუჩაში გამოსულ კილდაფს რეპორტიორები შემოეხვივნენ.

— რას გვეტყვით? — დაჟინებით ეკითხებოდნენ ცნობამოწყურებული რეპორტიორები.

წარბშეკრულმა კილდაფმა მდუმარედ გაარღვია თავშეყრილი ხალხი, მინდორი გადაჭრა და № 101 — 102 აუდიტორიისაკენ წალასლასდა. მას მხოლოდ მოეჩვენა, ხალხს თავი დავაღწიე და მარტო დავრჩიო, სწორედ შესასვლელთან იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის კორესპონდენტი მერიმენ სმიტი და ასოშიეიტედ პრესის კორესპონდენტი ჯეკ ბელი დაუხვდნენ. ტელეგრაფის სააგენტოს კორესპონდენტებს მიეტოვებინათ თავიანთი ესოდენ მნიშვნელოვანი პოსტები ტელეფონის აპარატებთან და კილდაფს დაჟინებით სთხოვდნენ, კითხვებზე გვიპასუხეო. მაგრამ მაკი არ წამოეგო მათ დაჟინებულ მოთხოვნებსა და პროვოკაციებს. თავს ჯიუტად აქნევდა და ერთსა და იმავეს იმეორებდა: პრეს-კონფერენციის დაწყებამდე კრინტსაც არ დავძრავო.

სულ რაღაც ერთი საათის წინ № 101 — 102 აუდიტორია თანამედროვე სკოლის დიდ საკლასო ოთახს მოგაგონებდათ. ახლა კი სავსე იყო აღელვებული რეპორტიორებით. ჰიუ საიდს აღარ დაუმალავს და კორესპონდენტებს მღვდელ ჰიუბერის ნათქვამი გადასცა. აღარავის ეეჭვებოდა მოსალოდნელი განცხადების შინაარსი. ეს იყო, რომ ოფიციალურად გამოცხადებულად მაინც არ ითვლებოდა. როცა კილდაფი ნელი ნაბიჯით შემაღლებული ადგილისაკენ წავიდა, აქეთ-იქიდან წესრიგის მომწოდებელი ხმები გაისმა:

— ჩუმად! ჩუმად!

ხალხი გაინაბა, მაგრამ ცრემლისაგან თვალდაწითლებულ კილდაფს ხელები უთრთოდა და ხმის ამოღებას ვერ ახერხებდა. ბოლოს, როგორც იქნა, დაიწყო. უნდოდა დამსწრეთათვის ეთქვა, ეს ჩემთვის ჩვეულებრივი პრეს-კონფერენცია არ არისო, მაგრამ ვერ შეძლო და კვლავ დადუმდა. კილდაფის სათქმელი უკვე ყველასათვის ცნობილი იყო. მან სულის მოთქმის ნებართეა ითხოვა. ჩამო-

ვარდა კიდევ უფრო ხანგრძლივი პაუზა. გავიდა წუთი. კილდაფს მიშტერებულ კლიფტონს ეგონა, ძალას ვეღარ მოიკრებს, ვეღარაფერს იტყვისო. ნუთუ არ იქნება არავითარი ოფიციალური განცხადება და ასე დაუსრულებლად ვიყურყუტებთ?

თვითონ კილდაფს კი ყელში მწარე გუნდა გაჩხეროდა. ბოლოს, როგორც იქნა, სიტყვები იპოვა, მართალია, არცთუ მჭევრმეტყველური, მაგრამ აზრის გადმოცემის უნარის მქონე. ზუსტად 13 საათსა და 33 წუთზე კილდაფმა გამხმარი ტუჩები მოილოკა და წარმოთქვა:

— პრეზიდენტი ჯონ ფიტცჯერალდ კენედი...

— ერთი წუთით! — დაიძახა რომელიღაც ფოტოკორესპონდენტმა და საკეტის ჩხაკუნი გაისმა.

— ...პრეზიდენტი ჯონ ფიტცჯერალდ კენედი გარდაიცვალა დალასში, დაახლოებით პირველ საათზე ცენტრალური სტანდარტული დროით.

სატელეგრაფო სააგენტოების რეპორტიორები კორიდორში გაცვივდნენ ტელეფონების მოსაძებნად.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის ტელეტაიპებმა 13 საათსა და 35 წუთზე მთელ მსოფლიოს ამცნეს ელვა — ცნობა, რომ

პრეზიდენტი კენედი გარდაიცვალა.

ტრიბუნაზე მდგარი კილდაფი კი განაგრძობდა:

— ...გარდაიცვალა თავში ტყვიით დაჭრის შედეგად. მკვლელობის დაწვრილებითი ამბები ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ქალბატონი კენედი უვნებლად გადარჩა. გუბერნატორი კონელი დაჭრილია. ვიცე-პრეზიდენტისათვის არ უსვრიათ.

„ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტს უნდოდა ეკითხა, ფიცს როდისღა დადებს ჯონსონიო, მაგრამ გამბედაობამ უმტყუნა და გაჩუმდა. კილდაფი კორესპონდენტს სათქმელს მიუხვდა, ძალა მოიკრიბა და პასუხის გაცემა სცადა, მაგრამ სიტყვების მაგივრად მწარე ქვითინი აღმოხდა. საკითხი ყველას მნიშვნელოვნად მიაჩნდა და ვილაცამ მაინც ჰკითხა:

— დადო თუ არა ფიცი ვიცე-პრეზიდენტმა?

— არა. იგი გაემგზავრა, — უპასუხა კილდაფმა და სულის მოსათქმელად ოდნავ განზე გადგა, მაგრამ კორესპონდენტები არა

ჯხრებოდნენ, სამედიცინო ექსპერტის დასკვნებსა და ექიმების განცხადებებს მოითხოვდნენ.

კილდაფმა შორიახლო მდგარ ჰიუ საიდს მოჰკრა თვალი და ჩახლეჩილი ხმით გასძახა:

— მე არ შემიძლია ახლა ამის გაკეთება.

„სასწრაფო დახმარების" განყოფილებაში დაბრუნებულმა კილდაფმა ყველაფერი დაწვრილებით უამბო პრეზიდენტის ექიმ ბერკლის. ჯერ ისევ გაოგნებულმა ბერკლიმ გულაგდებით იკითხა:

— აცნობეთ პრესას, რომ მეც ვესწრებოდი პრეზიდენტის გარდაცვალების მომენტს?

ამ მოულოდნელი კითხვით გაოცებულმა კილდაფმა თავი გააქნია. ბერკლი სადღაც გავიდა და მაკ პერი მოიყვანა. მოგვიანებით № 101 — 102 აუდიტორიაში პერის კიდევ სამი ექიმი შეუერთდა. მაგრამ ინტერვიუს მთელი სიმძიმე მხოლოდ მან გადაიტანა. დარბაზში ნამდვილი ბედლამი მეფობდა. რამდენიმე კორესპონდენტი ისტერიამდეც კი მივიდა, იძლეოდნენ კითხვებს, ექიმი გაურკვევრად პასუხობდა. მერე უეცრად ვიღაც წამოიჭრებოდა და წინა კითხვაზე პასუხის გაცემის დამთავრებამდე, სრულიად განსხვავებულ კითხვას დაუსვამდა. ასეთ ვითარებაში აზრის მცდარად გაგება გარდუვალი აუცილებლობა იყო. ყველაფერი დამშვიდებულ, წესიერ ვითარებაშიც რომ ჩატარებულიყო, შედეგი მაშინაც საეჭვო იქნებოდა. საქმეს ისიც ართულებდა, რომ არც პერის და არც ერთ სხვა ექიმს პრეზიდენტი გულდაგულ გასინჯული არა ჰყავდათ. მათ პრეზიდენტის გვამი არც კი გადაუბრუნებიათ. (როგორც ამის თაობაზე შემდეგ კარიკომ თქვა, „არავის ეყო გამბედაობა"). ამიტომაც ჭრილობა ზურგის მხრიდან არავის უნახავს. ყველას ეგონა, კისრის ჭრილობა — პრეზიდენტის მანქანის მოძრაობის საწინააღმდეგო ადგილიდან გამოსროლილი ტყვიის შედეგი იყო. რეპორტიორებს არ ენახათ პრეზიდენტის სხეული. მათი ინფორმაციის წყარო პრეზიდენტის ცხედრის მნახველი ექიმი პერი გახლდათ.

შეკითხვაზე, შეიძლებოდა თუ არა, პრეზიდენტს მოხვედრილი ერთ-ერთი ტყვია პრეზიდენტის მანქანის მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებიდან ყოფილიყო გამოსროლილი, პერიმ უპასუხა:

— სავსებით შესაძლებელია,

საიდი მიხვდა, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ასეთ განცხადებას და უეცრად შეჰყვირა:

— ექიმო, თქვენ გესმით, რას ლაპარაკობთ? თქვენ სისულელეს რომავთ!

მაგრამ უკვე გვიან იყო. მეორე დილით მილიონობით ადამიანმა ირწმუნა, რომ მკვლელმა ერთი ტყვია, ზევიდან, პრეზიდენტის მანქანის სავალი ნაწილის მხრიდან ისროლა. მსოფლიოს ბევრ ადგილას ამ ვერსიას დღემდე სრულიად სარწმუნოდ მიიჩნევენ.

პრესამ სამართლიანად გაჰყო მოვლენათა მთელი ეს სასწაულებრივი კალეიდოსკოპი ინფორმაციის ორ მთავარ ნაკადად: ერთი — მკვლელობას აშუქებდა, მეორე — ხელისუფლების მემკვიდრეობას. რობერტ დონოვანი ლოს-ანჯელესში გამომავალ „ტაიმსში" წერდა: „ყველამ მალევე დაასკვნა რომ ჯონსონი ფიცს უთუოდ დალასში დადებდა, რადგან ჩვენს მღელვარე სამყაროში ამერიკის შეერთებულ შტატებს უპრეზიდენტოდ დარჩენა არ შეეძლო, დროის იმ მცირე მონაკვეთის განმავლობაშიც კი, რაც დალასიდან ვაშინგტონში ჩასაფრენად არის საჭირო". ამასთან დაკავშირებით კორესპონდენტებს უნდა ვუსაყვედურონთ: როგორც ყველაფრიდან ჩანს, არც ერთ მათგანს აზრად არ მოსვლია გაელაშქრა იმის საწინააღმდეგოდ, თითქოს აშშ-ის პრეზიდენტის პოსტზე რაღაც დროის განმავლობაში არავინ იყო. ახლა, ეს ამბავი უბრალოდ უცნაურადაც გვეჩვენება, რადგან № 101 — 102 აუდიტორიაში მყოფი ადამიანები თეთრი სახლის გამოცდილი კორესპონდენტები იყვნენ. განა სწორედ მათ არ გააშუქეს ქვეყნის პრესაში 1960 წლის 20 იანვარს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტის მიერ პოსტის დაკავება? მათ მაინც უნდა ხსომებოდათ ეს და იმ კითხვაზე, „დადო თუ არა ფიცი ვიცე-პრეზიდენტმა ჯონსონმა", დადებითი პასუხი გაეცათ: დიახ, სამი წლის წინ, ზამთრის სუსხიან საღამოს ჯონსონმა ფიცი დადო, რომ თავისი შესაძლებლობისა და ნიჭის შესაბამისად „დაიცავს ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუციას". უფრო მეტიც, ქვეყანაში არსებული ტრადიციის მიხედვით, ჯონსონმა ეს უფრო ადრე გააკეთა, ვიდრე ჯონ კენედიმ. ამიტომაც არ შეიძლებოდა ადგილი ჰქონოდა ეგრეთ წოდებულ უმეფობას. იგი უფრო ადამიანების გონებაში არსებობდა, ვინემ კანონით. იმ პარასკევი დღის მეორე ნახევრიდან ყველაფერი შთანთქა ამერიკის ისტორია-

ი ყველაზე საზარელმა მკვლელობის ფაქტმა. შეშფოთებული ქვეანა მკვლელის დასახელებას ითხოვდა. პრეს-კონფერენციაზეც არაინ დაინტერესებულა იმ კაცით, ვისაც მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი პოსტი უნდა დაეკავებინა.

მაგრამ პასუხი ამ კითხვაზე უკვე არსებობდა. უმაღლესი საალმარულებლო ხელისუფლების საქმიანობა არა წყდება: ამერიკას უკვე ჰყავდა სახელმწიფოს ახალი მეთაური და მას ლინდონ ბეინს ჯონსონი ერქვა. მართალია, სავსებით ჯერ თვითონაც ვერ მიმხვდარიყო ამას, მაგრამ უკვე საათზე მეტი იყო, რაც ჯონსონი სათავეში ედგა სახელმწიფოს.

თავი მეოთხე

ლინდონ ბეინს ჯონსონი

თეთრი სახლის ოპერატიული განყოფილებიდან მესამე რანგის კაპიტანმა ოლივერ ჰალეტმა პრეზიდენტის რეზიდენციის კავშირგაბმულობის ცენტრს მითითება გადასცა, რათა მოებრუნებინათ თვითმფრინავი, რომელშიც აშშ-ის კაბინეტის წევრები იმყოფებოდნენ. თვითმფრინავი დალასში შეუჩერებლად, პირდაპირ დედაქალაქში უნდა ჩაფრენილიყო. პრეზიდენტის თანაშემწე პიერ სელინჯერმა მეკავშირეთა კაბინაში რადიოგადაცემას მოჰკრა ყური: „უცხოელი“ უხმობს „გზისპირელს“. თქვენ უკან უნდა გამობრუნდეთ და პირდაპირ ვაშინგტონში ჩამოფრინდეთ“ (თვითმფრინავი უკვე ბრუნდებოდა, მაგრამ აღნიშნულ ოპერატიულ განყოფლებაში ამაზე ჯერ არაფერი იცოდნენ). სელინჯერმა (იგივე „გზისპირელმა“) დინჯად გაიმეორა ეს სიტყვები. სახელმწიფო მდივანი დინ რასკი გაოცებისაგან შეცბა და აქეთ-იქით მიმოიხედა.

— ვინ არის „უცხოელი“? — იკითხა მან. — ვინ არის ახლა ვაშინგტონში?

თვითმფრინავ 86972-ში მყოფ მგზავრებს შიფრების წიგნი თან არა ჰქონდათ და ერთმანეთს გაოცებული შესცქეროდნენ. თუმცა ეს წიგნი ახლა ნაკლებად გამოადგებოდათ, რადგან თვითმფრინავის მგზავრები „უცხოელს“ მართლაც არ იცნობდნენ. იგი მაიორი

გ. რ. პეტერსონი გახლდათ, თეთრი სახლის კავშირგაბმულობის ცენტრის ერთი ნაკლებშესამჩნევი ოფიცერი.

უმაღლესი აღმასრულებელი ძალაუფლება სიცარიელეს ვერ ითმენს. იგი მოქმედების შეუწყვეტლობას ემყარება. უმაღლესი ხელისუფლების უმოქმედობისას უმალვე იწყებს მოძრაობას შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი რწმუნებანი. ისინი გამორჩენის გამო როდი იქცევიან ასე; უბრალოდ ფიქრობდნენ, რომ ვინმემ პასუხისმგებლობა უნდა იკისროს. დიახ, ისინი სავსებით მართალნი არიან, რადგან ერთადერთი ალტერნატივა — ანარქიაა.

ვიცე-პრეზიდენტ ჯონსონს პრეზიდენტის პოსტი ჯერ კიდევ პარკლენდის ჰოსპიტალში, 22 ნოემბრის 13 საათზე რომ დაეკავებინა, არავითარი ვაკუუმი არ იქნებოდა. მაშინვე მოსდებოდა უმაღლესი ხელისუფლების შეცვლა. ამის მიზეზი ნაწილობრივ, ალბათ, ის გაურკვევლობაც იყო, რაც აგერ 122 წელია ჩიხში ამწყვდევს სახელმწიფო სამართლის საქმის სპეციალისტებს. ამერიკული კონსტიტუცია პირველი განყოფილების მეორე მუხლის მეხუთე პარაგრაფში ამბობს, რომ „პრეზიდენტის გადაყენების, მისი სიკვდილის, გადადგომისა თუ ამ თანამდებობასთან დაკავშირებული მოვალეობის შესრულების უუნარობის გამო, როგორც ასეთი, უნდა გადავიდეს ვიცე-პრენზიდენტის ხელში“. ეს განმარტება გრამატიკულად გაუმართავია, რაც, ალბათ, გააწითლებდა ჩვენს მამა-პაპათ — ამერიკის შეერთებული შტატების საფუძველის ჩამყრელთ. რა შუაშია აქ სიტყვა „როგორც ასეთი“?

თუ „უფლებებსა და ვალდებულებებზეა“ ლაპარაკი, მაშინ კონსტიტუციაში ჩამოთვლილ ყველა შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტი კვლავ ვიცე-პრეზიდენტად რჩება. იგი უბრალოდ სარგებლობს მთავრობის მეთაურის უფლებით, მანამ, ვიდრე ხალხი ახალ პრეზიდენტს აირჩევდეს. ახლა ჩემთვის ცხადია, რომ კონსტიტუციის შემქმნელთ სწორედ ეს უნდოდათ ეთქვათ. აშშ-ის მეოთხე პრეზიდენტის ჯეიმს მედისონის ნაწერებში, რაც მისი გარდაცვალებიდან დიდი ხნის შემდეგ გამოქვეყნდა, დამაჯერებლად არის დახატული ამ პრობლემის გარშემო 1787 წელს[1] გამართული კონფიდენციალური განხილვის სრული სურათი.

---

[1] 1787 წელს იქნა მიღებული აშშ-ის კონსტიტუცია.

ამერიკის კონსტიტუციის შემქმნელთ არასოდეს უფიქრიათ, რომ უმაღლესი აღმასრულებელი ხელისუფლების ფუნქციები შეიძლებოდა პრეზიდენტად აურჩეველი კაცის ხელში გადასულიყო. მათ მიერ მოწონებული ტექსტი გვაუწყებდა — პრეზიდენტის სიკვდილის შემთხვევაში ვიცე-პრეზიდენტი ვალდებული იყო პრეზიდენტის მოვალეობა შეესრულებინა „მანამ, ვიდრე ახალ პრეზიდენტს აირჩევდნენ". მაგრამ ეს მითქმა-მოთქმის უარმყოფელი მდგომარეობა შემდგომ გამორიცხულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კონსტიტუციური კონვენტის სარედაქციო კომისიის მიერ. ყოველივე ამის შედეგად, აშშ-ის კონსტიტუციის ახსნა იქცა უბრალო მოკვდავთათვის ხელმიუწვდომელ ხელოვნებად.

საჭიროა აღინიშნოს, რომ სწორედ ამ პირველი განყოფილების მეორე მუხლის მეხუთე პარაგრაფის ღრმად შესწავლას აშუქებდა ამერიკის შეერთებული შტატების სამოცდამერვე იუსტიციის მინისტრის რობერტ კენედის შრომა. ამ ანალიზის საფუძველზე მან დაასკვნა: კონსტიტუციური კონვენტის აზრის მიხედვით პრეზიდენტის სიკვდილის შემთხვევაში „ვიცე-პრეზიდენტის ხელში გადადიოდა პრეზიდენტის ვალდებულებანი და სრული რწმუნებულობა და არა თვით მისი თანამდებობა".

მაგრამ მაშინ მედისონის ნაწერები მეტად გვიან გამომზეურდა და პრეზიდენტის ვალდებულებებთან ერთად ვიცე-პრეზიდენტს თანამდებობაც უბოძეს. ეს გაუმართავად დაწერილი „როგორც ასეთი უნდა გადავიდეს" პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად კი არ აღიქვეს, არამედ თვით პრეზიდენტობად.

ის იყო უილიამ ჰარისონი აშშ-ის პრეზიდენტად აირჩიეს, რომ პოსტის დაკავებასთან დაკავშირებით გამართულ ცერემონიალზე გაცივდა და გარდაიცვალა. ასე რომ, იგი იყო პოსტზე ყოფნისას გარდაცვლილი პირველი პრეზიდენტი. მისმა ვიცე-პრეზიდენტმა ჯონ ტაილერმა არაფერი იცოდა მედისონის ჩანაწერების თაობაზე. მას ეჭვიც არ ეპარებოდა თავის უფლებაში დაეკავებინა „აღნიშნული თანამდებობა". თუმცა, მაშინდელი ზოგიერთი გამოჩენილი მოღვაწე სხვაგვარად ფიქრობდა. დიახ, სხვა აზრისა გახლდათ ჰენრი კლეი და ყოფილი პრეზიდენტი ჯონ ადამსი. 1841 წლის 16 აპრილს ტაილერის მიერ პრეზიდენტის პოსტის დაკავებიდან შვიდი დღის შემდეგ ადამსმა თავის დღიურში გესლიანად ჩაწერა: „ბატო-

ნი ტაილერი, თავი რომ პრეზიდენტად მოაქვს... და არა პრეზიდენ-ტის მოვალეობის შემსრულებელ ვიცე-პრეზიდენტად". მაგრამ ტაი-ლერს გავლენიანი მოკავშირეები აღმოაჩნდნენ, ძირითადად სახელ-მწიფო მდივან დანიელ ვებსტერის სახით. თანაც ტაილერმა მოას-წრო თეთრ სახლში მოკალათება. დრო და ჩვეულების ძალა მის სა-სარგებლოდ მუშაობდა. ივნისის ბოლოს თვით ადამსიც კი მას „ბა-ტონ პრეზიდენტის" ტიტულით იხსენიებს.

მომდევნო საუკუნის მანძილზე სიკვდილმა პრეზიდენტის რან-გზე აღავლინა კიდევ ექვსი ვიცე-პრეზიდენტი — მილარდ ფილმო-რი, ენდრიუ ჯონსონი, ჩესტერ არტური, თეოდორ რუზველტი, კალ-ვინ კულიჯი და ჰარი ტრუმენი. ახლა უკვე აღარავინ ეკამათებოდა მათ პრეტენზიებს „აღნიშულ თანამდებობაზე".

ამრიგად, პრეზიდენტის პოსტის ვაკანტურ ადგილად ქცევის შემდეგ, ვიცე-პრეზიდენტის მიერ აშშ-ის უმაღლესი აღმასრულე-ბელი ხელისუფლების დაკავება ავტომატურ, უფრო სწორად, თით-ქმის ავტომატურ საქმედ იქცა. თუმცა ტაილერმა რაღაც მაინც გააკეთა, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა დალასში მომხდა-რი თავდასხმის შემდეგ მიეცა. როგორც მან იცოდა, პირველი ნაწი-ლის, მეორე მუხლის მეშვიდე პარაგრაფის ძალით ხელისუფლების მეთაურს კონსტიტუციის ერთგულებაზე ფიცი უნდა დაედო „მანამ, ვიდრე პრეზიდენტის მოვალეობას შეუდგებოდა". მართალია, ტაი-ლერმა ეს ფიცი ჯერ ვიცე-პრეზიდენტად ყოფნისას დადო, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის მისი გამეორება გადაწყვიტა.

1841 წლის 6 აპრილს მისგან მეორე ფიცი მიიღო კოლუმბიის [1] საოლქო სასამართლოს მთავარმა მოსამართლემ უილიამ კრანჩმა. ცე-რემონიალის დამთავრებისთანავე კრანჩმა ამ აქტის იურიდიული მხარე წერილობით ჩამოაყალიბა. დოკუმენტში დადასტურებული იყო, რომ პრეზიდენტ ჰარისონის შემცვლელი თავს უფლებამოსი-ლად თვლიდა დაეჭირა პრეზიდენტის პოსტი რაიმე ახალი ფიცის დაუდებლად, იგულისხმებოდა ის ფიცი, რაც მან ვიცე-პრეზიდენ-ტად არჩევისას დადო. ფიცის გამეორების ეს ხელახალი სურვილი „მოსალოდნელი ეჭვებისა და ზედმეტი წინდახედულობით აიხ-სნება".

---

1 აშშ-ის დედაქალაქი ვაშინგტონი კოლუმბიის ოლქში შედის.

კრანჩის ეს დოკუმენტი ნაციონალურ არქივს ჩაბარდა და დავიწყებას მიეცა. ტაილერის მიერ მეორე ფიცის დადების ეფექტური ცერემონია კი ყველას ახსოვდა და მომდევნო ექვსმა ვიცე-პრეზიდენტმა, რომელთაც ბედმა პრეზიდენტობა არგუნა, თავი ვალდებულად ჩათვალეს მისი მაგალითისათვის მიებაძათ... ასე რომ, პირველად „ზედმეტი წინდახედულობის" გამო გადადგმული ნაბიჯი, შემდგომ უზომო მნიშვნელობის აქტად იქცა. ფიცის დადების ამ ცერემონიამ გარდაცვლილი ლიდერების დატირების დღეებში თავისებური ფოლკლორული ღირებულება შეიძინა. ბიბლიის თვით იმ ეგზემპლარებმაც კი, ფიცის დადების დროს პრეზიდენტებს ხელები რომ ედოთ, ამ საპატიო მითის აუცილებელი ნაწილის მნიშვნელობა მოიპოვეს. კონსტიტუცია, რასაკვირველია, ბიბლიას ერთი სიტყვითაც არსად ახსენებს.

კრიზისის დროს, მითის გავლენა ერთიათად იზრდება. 1963 წლის 22 ნოემბერს ნაღდი ამერიკელები, ისევე როგორც პარკლენდის ჰოსპიტლის № 101 — 102 აუდიტორიაში მყოფი პრესის წარმომადგენლები ფიქრობდნენ, რომ ჯონსონს მეორეჯერაც უნდა დაედო ფიცი. ამერიკელები დღესაც იზიარებენ ამ შეხედულებას. ქვეყნის მეთაურთა შეხედულებანი კი ამ საკითხის თაობაზე ორად გაიყო.

წარმომადგენელთა პალატის სპიკერი ჯონ მაკორმაკი, რომელიც კენედის სიკვდილმა ჯონსონის შემდეგ პრეზიდენტის პოსტის პირველი პრეტენდენტი გახადა, ითხოვდა — ჯონსონი რაც შეიძლება ჩქარა მიეყვანათ ფიცის დასადებად, რადგან მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ქვეყანას პრეზიდენტი სჭირდებოდა". ამავე აზრს იზიარებდა უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე უორენი, მისი მტკიცებით, ასეთ ვითარებაში აუცილებელი იყო ფიცის დადება, როგორც ახალი მეთაურის მიერ კონსტიტუციისადმი ერთგულების ოფიციალური დადასტურება. როცა უორენს შეახსენეს, ჯონსონს, როგორც ვიცე-პრეზიდენტს, ასეთი ფიცი უკვე დადებული აქვს, კენედის პრეზიდენტად გახდომის ცერემონიის დროსო, უორენმა უპასუხა:

— დიახ, ფიცი დადო, მაგრამ არა როგორც პრეზიდენტმა.

საქმეში ღრმად ჩახედული ავტორიტეტები კი სხვა პოზიციებზე იდგნენ. დალასის ფედერალური პროკურორის ბერფუტ სანდერ-

სის აზრით, ჯონსონი პრეზიდენტად იქცა ჯონ კენედის სიცოცხლის შეწყვეტისთანავე. ამავე აზრს იზიარებდა იუსტიციის მინისტრი რობერტ კენედიც. ჰუბერტ ჰემფრი კი, შემდგომში ჯონსონმა თავის ვიცე-პრეზიდენტად რომ აირჩია, მღელვარედ აცხადებდა:

— ვიცე-პრეზიდენტი, პრეზიდენტი ხდება მაშინვე, როგორც კი პრეზიდენტი გარდაიცვლება! ფიცის დადებისას იგი მხოლოდ ოფიციალური ტოგით იმოსება და ამ აქტს წმინდა სიმბოლური ხასიათი აქვს.

ყველაზე უკომპრომისიო პოზიცია დაიკავა ყოფილმა პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა. მან გადაჭრით უარყო ფიცის განმეორებით დადების იდეა. მისი აზრით, ჯონსონი პრეზიდენტად იქცა იმ წუთიდან, როცა კენედის დაღუპვა ეჭვს აღარ იწვევდა, ანუ ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე პარკლენდის ჰოსპიტლის ნეიროქირურგი კემპ კლარკი პრეზიდენტის სიკვდილის ფაქტს დაადასტურებდა. ყოფილ პრეზიდენტს სწამდა, რომ 12 საათსა და 30 წუთის შემდეგ ჯონსონი უფლებამოსილი იყო ხელი მოეწერა ყოველგვარი საკანონმდებლო აქტისათვის. 12 საათსა და 30 წუთიდან, ვიდრე 14 საათსა და 38 წუთამდე, ე. ი. ჯონსონის ხელახლა ფიცის დადებამდე სახელმწიფოში რომ კრიტიკული სიტუაცია შექმნილიყო და ჯონსონს აუცილებელი ზომები არ ეხმარა, ეიზენჰაუერის აზრით, მოვალეობის შეუსრულებლობისათვის იგი სასამართლოსათვის უნდა გადაეცათ.

არა მგონი, ამ რთულ პრობლემებს ჯონსონი როდესმე ჩაფიქრებოდა, ვიდრე ოსვალდის თოფის გასროლის გრუხუნმა მას პირისპირ არ შეახვედრა. დაახლოებით წლინახევრის შემდეგ ამ წიგნის ავტორთან საუბრისას ჯონსონმა განაცხადა: „ჩემი აზრით, ვიცე-პრეზიდენტი პრეზიდენტის გარდაცვალებისთანავე ხდება პრეზიდენტი. შემდგომ იგი ვალდებულია დადოს ფიცი, მაგრამ უმაღლესი სააღმსრულებლო ძალაუფლების განხორციელების საქმეში არ შეიძლება იყოს არავითარი პაუზა". როგორც მკითხველს მოეხსენება, ჯონსონმა დადო ხელახალი ფიცი და, ეტყობა, ამიტომაც გრძნობდა თავს ვალდებულად ამ აქტის აუცილებლობა დაეცვა. სხვა მხრივ, მისი მოსაზრებანი სავსებით ემთხვეოდა ავტორიტეტული იურისტების შეხედულებებს. ჯონსონმა აღიარა, რომ დალასში ყოველივე ამაზე სხვაგვარი წარმოდგენა ჰქონდა. ახალი პასუხისმგებლობის შეგნება, მისი სიტყვებით რომ ეთქვათ, დაუყოვნებლივ გა-

უჩნდა, მაგრამ მისი სრული შეცნობა და საკუთარი თავის სახელმწიფო მეთაურთან გაიგივების გრძნობა თანდათან დაეუფლა.

ალბათ, ყოველი ვიცე-პრეზიდენტი ვალდებულია წარმოიდგინოს პრეზიდენტის მოსალოდნელი სიკვდილის შედეგები, მაგრამ ამის მიღწევა არცთუ ისე ადვილია. არა მგონი, არსებობდეს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ის ექვსი ვიცე-პრეზიდენტი, რომლებიც ჯონსონამდე ამგვარ ვითარებაში აღმოჩნდნენ, ამ საკითხს წინასწარ სერიოზულად ჩაფიქრებოდნენ. ამერიკელ პოლიტიკურ მოღვაწეთა დამოკიდებულება თეთრი სახლისადმი უკიდურესად წინააღმდეგობრივ ხასიათს ატარებს. ერთსა და იმავე დროს მის დაპატრონებაზეც ოცნებოდნენ და უფრთხიან კიდეც ამ პოსტს.

ვიცე-პრეზიდენტებს არ უყვართ ფიქრი იმაზე, რომ თეთრ სახლს მათ მხოლოდ ერთი კაცის გულის ძგერა აშორებთ, ხოლო როცა ეს გულის ძგერა უეცრად წყდება, ერთთავად გაოგნებული რჩებიან. 1945 წლის 14 აპრილს პრესის მუშაკებთან საუბრისას ტრუმენმა თქვა:

— არ ვიცი, ბიჭებო, როდესმე განგიცდიათ თუ არა თივის ზვინის დაცემის ან ხარის დატაკების გრძნობა. აი გუშინ მომეჩვენა, რომ მთვარეცა და ვარსკვლავებიც მთელი თავისი სიმძიმით ჩემს მხრებს დააცვივდა.

საჭიროა ჩავუფიქრდეთ ტრუმენის ამ რეაქციას, რათა სწორად წარმოვიდგინოთ დალასში ხელისუფლების გადაცემის პროცესი. ტრუმენი ვაშინგტონში იმყოფებოდა, როცა უორმ სპრინგსიდან პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის გარდაცვალების ცნობა მოვიდა. პირადად ტრუმენს არაფერი აკავშირებდა პრეზიდენტის გარდაცვალების ადგილს. მისი წინამორბედი მოკვდა თავისი სიკვდილით. არ ყოფილა არავითარი ძალადობა. რაც შეეხება ჯონსონის მდგომარეობას დალასში, მართლაც რომ საშინელი იყო.

პრეზიდენტი კენედი მოგზაურობდა ვიცე-პრეზიდენტის მშობლიურ ადგილებში. ოცდაოთხი საათი აღმოჩნდა საჭირო, რათა ტეხასის შტატის გუბერნატორ კონელისა და ამავე შტატის სენატორ იარბოროს გააფთრებული შეტაკების შედეგად ეს ოფიციალური ვიზიტი მისთვის წამებად ქცეულიყო. 22 ნოემბრის 12 საათსა და 29 წუთზე ჯონსონის ვარსკვლავი თითქმის ჩაესვენა.

თავისი ღია მანქანის უკანა დასაჯდომზე მჯდარი ჯონსონი ყრუ

იყო ირგვლივ წამოსროლილი შეძახილებისა და მისალმებების მოსასმენად. იგი ავტომანქანის რადიომიმღების გამაყრუებელ გრუხუნში ცდილობდა დარდის ჩაკვლას. მისი ავტორიტეტი მიწასთან იყო გასწორებული და, ალბათ, აღარც ჰქონდა მისი აღდგენის იმედი. ჰოდა აი, უეცრად სულ რაღაც თექვსმეტი წამის შემდეგ, პრეზიდენტი და მისი მეუღლე სისხლის გუბეში შეცურდნენ, ხოლო ლინდონ ჯონსონი სახელმწიფოს მეთაური გახდა.

თვალის ერთი დახამხამება, მხოლოდ ერთი წამი აღმოჩნდა საკმარისი, მთელი მისი ცხოვრების, მისი ქვეყნის ისტორიის შესაცვლელად. ჯონსონს არ შეეძლო სცოდნოდა, რატომ მოხდა ეს, თუმცა პოლიტიკა ყრმობის წლებიდანვე მისი სტიქია იყო. მერე, როცა მისი გონების ანტენებმა შექმნილი ვითარება აღიქვეს, იგი მაშინვე მიხვდა კოლოსალური მნიშვნელობის ფაქტს — ტეხასში მომხდარმა მკვლელობამ სწორედ ტეხასელი დააყენა ხელისუფლების სათავეში. დალასის კატასტროფა ჯონსონს ყველაზე მეტად აეწვა, ვიდრე რომელიმე სხვა დალასელს. საჭიროა ყოველთვის გვახსოვდეს ეს უპრეცედენტო ელდა, რათა გასაგები გახდეს ვიცე-პრეზიდენტის თავდაპირველი შეზღუდულობა და მისი ზოგიერთი საქციელის გაუგებრობა. იმის შესაჯამებლად, თუ როგორი ძალით იმოქმედა პირველმა შოკმა ვიცე-პრეზიდენტ ჯონსონზე, საჭიროა შებრუნებით აღვადგინოთ მოვლენათა თანამიმდევრობა იმ მომენტიდან, როცა ჯონსონის მეუღლე ლედი ბიორდიმ შეშინებული მზერა შეავლო პრეზიდენტის მანქანაში გაჩენილ წითელ ლაქებს და დაცვის აგენტებით გარშემორტყმულ თავის მეუღლეს მიჰყვა.

• • •

პარკლენდის ჰოსპიტლის „სასწრაფო დახმარების“ განყოფილების მიმღებში ბერტა ლოზანო მორიგეობდა. აქ ხდებოდა მოსულ პაციენტებთან გაცნობა და შესაბამისი მკურნალობისათვის სხვადასხვა განყოფილებაში გაგზავნა. ლოზანოს მაგიდა მთავარი კორიდორის დაახლოებით შუა ადგილას იდგა. ქირურგიულ განყოფილებაში მოხვედრა მხოლოდ მისი მაგიდის გავლით შეიძლებოდა. ამიტომაც ყველა მოულოდნელი მომსვლელი ამ ქალის მხედველობის არეში ხვდებოდა. მის თვალს კი არაფერი ეპარებოდა. საუბედუროდ,

თავაზიანებულმა ტელეფონისტმა ქალებმა ლოზანოს არ აცნობეს პრეზიდენტ კენედის დაჭრის ამბავი.

ჰოსპიტალში სრული სიმშვიდე სუფევდა, ექთანმა ლოზანომ მომხდარი ტრაგედიისა არაფერი იცოდა

უეცრად კარის გაღების ხმა შემომესმა, — ყვებოდა იგი. — კორიდორში უამრავი დალასელი პოლიციელი შემოიჭრა. ჩქარა, საგორავი საკაცე მოგვეცითო, მაშინვე მომაძახეს.

ექთანი სასწრაფოდ გავარდა გინეკოლოგიურ განყოფილებაში და ბორბლებიანი საკაცეები მოიტანა. მერმე ამ საკაცით ვიღაც პაციენტი გაატარეს, ავადმყოფს სახეზე და თავზე პიჯაკი ეფინა. ამავე დროს ერთბაშად მამაკაცების ტალღა მოზღვავდა. მერე უეცრად მოსულთ გაიწ-გამოიწიეს და ბერტამ ზედ ცხვირის წინ ვიცე-პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი დაინახა.

— შევხედე და ვიცანი. მხოლოდ მაშინღა მივხვდი, ვინ გაატარეს ბორბლებიანი საკაცით.

ჯონსონის დაცვის აგენტებს რუფუს იანგბლადსა და ემორი რობერტს თავიდან არ გამოსდიოდათ შეთქმულებაზე ფიქრი და მთელი ეს შენობა დაგებულ მახედ ეჩვენებოდათ. იანგბლადმა სთხოვა ექთანს, რომელიმე მყუდრო ოთახი მიჩვენე ვიცე-პრეზიდენტის შესაფარებლადო.

მათ უკან მიჰყვა ვიცე-პრეზიდენტის შეშფოთებული მეუღლე ლედი ბიორდიც. ავტომანქანაში მან უბრალოდ ყურადღება არ მიაქცია სენატორ იარბოროს ისტერიკულ ყვირილს, მაგრამ მისი ქმრის პირადი დაცვის აგენტების იგნორირება უკვე აღარ შეეძლო. აქამდე საიდუმლო დაცვა მას მხოლოდ სიმბოლურად იცავდა. ახლა კი ყველაფერი სერიოზულად ხდებოდა. აგენტების შეშფოთება ლედი ბიორდისაც გადაედო, მის შიშს ახლა ამ ლაბირინთებში სიარულიც აღრმავებდა.

ექთანმა ლოზანომ ზუსტად შეასრულა იანგბლადის მოთხოვნა. № 13 პალატა ნამდვილად ყველაზე მშვიდი ადგილი იყო მთელს სართულზე. რა თქმა უნდა, ეს სულაც არ იყო ის, რაც იანგბლადს ჰქონდა მხედველობაში. თუ ახალი მკვლელი მათ კვალს მიაგნებდა და პრეზიდენტის კორტეჟს უკან გამოჰყვებოდა (ერთადერთ დაბრკოლებად თავისი მანქანის გასაჩერებელი ადგილის მონახვა აღმოჩნდებოდა), წარმატების არცთუ ცუდი შესაძლებლობა ექნებო-

და. მართალია, თავის სამიზნეს თვალს პირდაპირ ვერ გაუსწორებდა, მაგრამ ის გარემოება, რომ პირველი სართულის მხოლოდ № 12 და № 13 პალატების საერთო ფანჯარა გამოდიოდა შენობის ამ მხარეზე, საოცრად გაადვილებდა მათ წინაშე დასახულ ამოცანას. ყურადღებას იპყრობდა ფანჯრის ჩამოშვებული ჟალუზებიც. განსაკუთრებული გამჭრიახობა არ იყო საჭირო იმის მისახვედრად, რომ კენედის შემცველელი სწორედ ამ ფანჯრის იქით იმყოფებოდა, ავტომატის ჯერისა თუ ხელყუმბარისათვის ესოდენ მისაწვდომ ადგილას.

კედელთან ზურგით მდგარი ჯონსონი სუნთქვის გასაადვილებელი ჯიბის ინჰალატორიდან ორთქლს ისუნთქავდა. ხან ერთ ნესტოს მიაჭერდა ხელს და ღრმად შეისუნთქავდა და ხან მეორეს. ირგვლივ სიწყნარე სუფევდა. ჯონსონს, მის მეუღლესა თუ მცველს ერთი სიტყვა რაა, ისიც არ დასცდენიათ. მოპირდაპირე კედელს მიყრდნობილი ლედი ბიორდი ქმარს მისჩერებოდა. „მე და ლინდოხს კრინტი არ დაგვიძრავს, — იგონებდა შემდეგ ბიორდი, — ერთმანეთს შევცქეროდით და სათქმელს თვალებით ვუზიარებდით. ორთავე ვგრძნობდით, რით შეიძლებოდა დამთავრებულიყო ყველაფერი ეს“.

სხვათა მსგავსად, მათაც ამბის გაგება ეწადათ. ჯონსონმა ერთ-ერთი მცველი გაგზავნა და დაცვის უფროსის როი კელერმანის მოყვანა დაავალა. ჰოსპიტლის ლაბირინთში ხეტიალისას იგი შემთხვევით წააწყდა. როი კელერმანს და ჯონსონს მიჰგვარა.

— როი, შეგიძლია მითხრა, რა მდგომარეობაშია პრეზიდენტი?— ჰკითხა ჯონსონმა.

— პრეზიდენტი კენედი დაჭრილია. მდგომარეობა ძალიან მძიმეა, თუმცა ჯერ ცოცხალია, — უპასუხა კელერმანმა.

— ყველაფერი მაცოდინეთ, — სთხოვა ჯონსონმა.

— კეთილი, სერ, — კელერმანს გულწრფელად სურდა დანაპირების შესრულება, მაგრამ მას მეტად ალარ ეწერა სართულის ამ ნაწილში მოხვედრა. ქირურგიულ განყოფილებაში დაბრუნებისთანავე უამრავი საქმე დაატყდა თავს.

№ 13 პალატის კარში კენ ო'დონელმა შემოჰყო თავი.

— საქმე ცუდადაა. მგონი, პრეზიდენტი გარდაიცვალა, — თქვა მან.

ჯონსონმა არაფერი უპასუხა. ახლა მას ლოდინის მეტი აღარა დარჩენოდა რა.

თანდათან იმატა ჯონსონთან მიმსვლელთა რიცხვმა. პირველი გახლდათ დაცვის აგენტი ლემ ჯონსი. მან გვერდი აუარა მოლარის ჯიხურში გაცხარებულ კარნახში გართულ კორესპონდენტ მერიმენ სმიტს, გასცდა ავადმყოფთა მისაღების ცარიელ მაგიდას და ქირურგიულ განყოფილებაში შესასვლელ ფართო კართან კინაღამ მეკავშირე არტ ბეილსს დაეჯახა.

— თქვენა ხართ „ტომრიანი კაცი?“ დაიცადეთ აქ!—სულმოუთქმელად წამოისროლა ჯონსმა და კვლავ შურდულივით გაქანდა. ბეილსმა ჯონსონთან ნამდვილად „ტომრიანი კაცი“ გირჰარდი გაგზავნა. ვიცე-პრეზიდენტის დაცვის აგენტები შესახედავად არ იცნობდნენ „ტომრიან კაცს“, რომელიც № 8 პალატაში განმარტოებით იჯდა. იგი ემორი რობერტსმა იპოვა და იცნო.

ოთხი კონგრესმენი — ტომასი, ბრუკსი, ტორნბერი, გონზალესი — ჰოსპიტლის საწოლებს შორის დაბორიალებდნენ. საავადმყოფოს პალატების ლაბირინთებში ალალბედზე მოხეტიალე ჰენრი გონზალესს ჯონსონის თანაშემწე კლიფ კარტერმა მკლავზე წაავლო ხელი და უთხრა:

— მომისმინეთ, იქნებ, ვიცე-პრეზიდენტთან წახვიდეთ. მისი დარდი მაქვს და ძალიან ვღელავ.

მერე გონზალესს ჯონსონისკენ მიმავალი გზა უჩვენა. კონგრესმენი № 13 პალატაში შეეიდა. გარეგნულად ყველაფერი მშვიდად გამოიყურებოდა. ჯონსონი ინჰალაციას იკეთებდა. გონზალესმა ერთ-ერთ მცველს ჰკითხა:

— მართლა მძიმედ არის დაჭრილი ქალბატონი კენედი?

— არა, დაჭრილია პრეზიდენტი. ქალბატონი კენედი უვნებლად გადარჩა, — უპასუხა აგენტმა.

— როგორ არის პრეზიდენტი? — განაგრძო გამოკითხვა გონზალესმა.

— მძიმე მდგომარეობაა, — იყო პასუხი.

— დალახვროს ეშმაკმა, — წამოიძახა ჰენრიმ. დიახ, ამ კონგრესმენის მსგავსად, ბევრისათვის ჯერ სრულიად უცნობი იყო, რა მსხვერპლი მოჰყვა თავდასხმას.

შემდეგ, თავიანთი მოგონებების სისტემაში მოყვანისას, ბევრმა

აღიდგინა მეხსიერებაში, თუ ვინ უთხრა მას პირველად პრეზიდენტის სიკვდილი. მაგრამ მაშინ კი ერთმანეთში იყო არეული, რაღაც დაუსაბუთებელი, ათასგვარი ვერსია. სწორედ ამგვარი გაურკვევლობისა და დაეჭვების ატმოსფერო აიძულებდათ ადამიანებს ერბინათ მიხვეულ-მოხვეულ კორიდორებში. ჰოსპიტალში გავრცელებული ერთ-ერთი ყველაზე პირველი ხმა უკიდურესად მარტივი გახლდათ: „ცოცხალი არავინ გადარჩენილა".

იანგბლადი ფეხმოუცვლელად დარაჯობდა ჯონსონს.

იმ წუთიდან, როცა მათი მანქანა „სასწრაფო დახმარების" შესასვლელს მოადგა, იანგბლადს მხოლოდ ერთი აზრი უბურღავდა გონებას — როგორმე ჩქარა გაეღწიათ ამ ჰოსპიტლიდან. იანგბლადი თავს იმტვრევდა ჯონსონის აქედან გაყვანის გზების გამონახვაზე. მას ზიზღს გვრიდა არა მარტო ჰოსპიტალი, არამედ მთელი ქალაქი. იანგბლადი მეტად ძლიერი ნებისყოფის ადამიანი გახლდათ, მაგრამ ისიც ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ვიდრე დალასს არ გასცილდებოდნენ, ჯონსონის უსაფრთხოების უზრუნველყოფა ვერ მოხერხდებოდა. იანგბლადისათვის დალასი ძალადობისა და სიკვდილის სიმბოლოდ იქცა. მისი აზრით, დალასში დაყოვნება უგუნურების მომიჯნავე რისკი იყო. ხსნის უმოკლესი გზა ლავ ფილდის აეროდრომისკენ მიდიოდა. დიახ, რაც შეიძლება ჩქარა უნდა მიეღწიათ აეროდრომისათვის. ემორი რობერტსიც იანგბლადის აზრისა გახლდათ. ორთავენი დაჟინებით უმტკიცებდნენ ჯონსონს მათ რჩევას დამორჩილებოდა, რადგან ეს გადაწყვეტილება მიაჩნდათ ერთადერთ სწორ და გონიერ გამოსავლად, მაგრამ სწორედ აქ აღმოჩნდა ჩასახული ის თესლი, რაც შემდგომ გაუგებრობის მთელ ჯაჭვად გადაიზარდა.

მოკლული პრეზიდენტის ახლობელ ადამიანებს უბრალოდ არ შეეძლოთ წარმოედგინათ ვიცე-პრეზიდენტის განცდილი შეშფოთების მთელი სიღრმე და უეცრად თავსდატეხილი ზემოქმედების სიძლიერე. მართალია, ფაქტიურად იგი უკვე იყო ჯონ კენედის მემკვიდრე, მაგრამ ეს გარემოება მას სავსებით შეცნობილი არა ჰქონდა. № 13 ოთახში მყოფი მოკუნტული ფიგურა სრულიად არა ჰგავდა იმ თვითდაჯერებულ, ცხოვრებით დაბრძენებულ პრეზიდენტს, როგორადაც შემდგომ წარუდგა იგი თავის ქვეყანას. გავა სულ რაღაც რამდენიმე თვე და იგი არად ჩააგდებს საკუთარ

მცველთა რჩევებს, ჯონსონი მათი სრული მბრძანებელი აღმოჩნდება. მაგრამ ეს ყველაფერი მოხდება მოგვიანებით. ახლა კი, უეცარი უბედურებით თავზარდაცემული, თითქმის მეტყველებადაკარგული ჯონსონი უფრო სხვათა ბრძანებებს ასრულებდა, ვიდრე თვითონ იძლეოდა. სადღა იყო მისი თვითდაჯერებული მანერები.

ჯონსონის სულის ამაფორიაქებელ შეშფოთებას ორი გარემოებაც აღრმავებდა. განა მარტო ჯონსონმა, ვერც სხვებმა შეძლეს პირველ წუთებში მთლიანად შეეცნოთ ის ფაქტი, რომ იგი უკვე პრეზიდენტი იყო. უეცარი, საშინელი უბედურებით დათრგუნვილ კენედის თანამშრომლებსაც არ ეყოთ შექმნილი მდგომარეობის შეფასების ძალა.

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ვაშინგტონში გაფრენასთან დაკავშირებული ყველა საკითხი პრეზიდენტის ადიუტანტს, სამხედრო-საჰაერო ძალების გენერალს, გოდფრი მაკჰიუს უნდა გადაეწყვიტა. დაცვის აგენტებმა ორჯერ მიმართეს თხოვნით, ჯონსონს მოელაპარაკეთო, მაგრამ მაკჰიუმ ორჯერვე უარი განაცხადა, იმის მომიზეზებით, რომ ვიცე-პრეზიდენტს საკუთარი თვითმფრინავი ჰყავდა.

გაურკვევლობის გამაღრმავებელი მეორე გარემოება თეთრი სახლის საიდუმლო სამსახურის აგენტთა ჯგუფის უფროსის ჯერი ბენის იქ არყოფნა გახლდათ. ბენის გადაწყვეტილება არ გაჰყოლოდა პრეზიდენტს ყოველ მოგზაურობაში, ნიშნავდა არამარტო ჩამოყალიბებული პრაქტიკის დარღვევას, არამედ პრეზიდენტის თანმხლები აგენტების უმეთაუროდ მიტოვებას. ბენი რომ იმ წუთებში იქ ყოფილიყო, ჯონსონის ირგვლივ შეჯგუფულ აგენტებს თავში აზრადაც არ მოუვიდოდათ მისი სანქციის გარეშე რამეს გაკეთება. მაგრამ ბენი ამ დროს თეთრი სახლის აღმოსავლეთ ნაწილში იმყოფებოდა, ხელში ნერვულად ჩაბღუჯული ყურმილი ეჭირა და დალასში მყოფი თავისი მოადგილის, როი კელერმანის ცნობას ელოდებოდა.

შესაძლოა, კელერმანის ადგილას უფრო ენერგიული უფროსი რომ ყოფილიყო, იქნებ მოეხერხებინა კიდეც საიდუმლო სამსახურის დალასში მყოფ თანამშრომელთა დამორჩილება. თუმცა ესეც ფრიად საეჭვოა, რადგან აქ იანგბლადმა იგდო ხელთ პირველობა. აზროვნების გარკვეულობითა და საზრიანობით იგი ნამდვილად

აღემატებოდა იქ მყოფ ყველა აგენტს. იგი ჯონსონის დიდი ნდობითაც სარგებლობდა. და ემორი რობერტსთან ერთად მოქმედების გეგმაც შეიმუშავა.

არც ერთი მათგანი ამ გეგმის კელერმანისათვის გაცნობას არ აპირებდა. უფრო მეტიც, ისინი არც კი ეთათბირებოდნენ კელერმანს. მართალია, პარკლენდის ჰოსპიტალში რიი კელერმანი ითვლებოდა დაცვის უფროსად, მაგრამ ახალი პრეზიდენტის ჰოსპიტლიდან გაყვანის გეგმის თაობაზე არაფერი იცოდა. იმ ნახევარი საათის განმავლობაში, იგი იანგბლადსაც ელაპარაკა და რობერტსაც, ეს საკითხი კი არც ერთს არ უხსენებია. მხოლოდ გვიან, ისიც თავისი ხელქვეითისგან შემთხვევით გაიგო კელერმანმა, რომ ჯონსონი ჰოსპიტლიდან უკვე გამგზავრებულიყო. როგორც კი კელერმანი მომაკვდავ პრეზიდენტთან ქირურგიულ განყოფილებაში შევიდა, № 13 პალატაში ახალ პრეზიდენტთან დარჩენილმა იანგბლადმა და რობერტსმა ჯონსონს ნამდვილი შეტევა მოუწყვეს.

— ჩემი თვალით ვნახე, პრეზიდენტი თავშია დაჭრილი, იგი ვერ გადარჩება, დროზე გავეტიოთ აქედან, — უმტკიცებდა რობერტსი.

იანგბლადიც ამასვე ადასტურებდა:

— ჩვენ არ ვიცით, რა ხდება აქ, რასთან გვაქვს საქმე. ახლავე უნდა გავეცალოთ აქაურობას.

— იქნებ, კარსუელში ჩასვლა ჯობდეს? — გაუბედავად იკითხა ჯონსონმა, მაგრამ ამის შესაძლებლობა არ აღმოჩნდა. იანგბლადს უკვე გაეგზავნა ლემ ჯონსი, რათა ადგილობრივი პოლიციელისათვის ეკითხა, როგორ გამგზავრებულიყვნენ აშშ-ის ამ სტრატეგიული ბომბდამშენი ავიაციის აეროდრომისაკენ. ჯონსის დაბრუნების შემდეგ ყველა ერთ აზრს დაადგა — კარსუელი ძალიან შორს იყო.

— თვითმფრინავით უნდა გავფრინდეთ, — დაჟინებით ითხოვდა რობერტსი.

— თვითმფრინავი, იქნებ, პრეზიდენტ კენედის დასჭირდეს, — კვლავ ყოყმანობდა ჯონსონი.

სწორედ ამ სიტყვებში აღმოჩნდა მომდევნო გაუგებრობათა მეორე წყარო. ერავის მოსვლია აზრად ეკითხა, თუ რომელი თვითმფრინავი ჰქონდა მხედველობაში ჯონსონს. რობერტსისა და ჯონსის მიერ შემდგომ გამოთქმული აზრით, ისინი სწორ გეზს კარსუელის აეროდრომის თაობაზე გამართულმა საუბრებმა ააცდინეს, თითქოს მათ, ვიცე-პრეზიდენტის თვითმფრინავი ამ სამხედრო აე-

როდრომზე ეგონათ გაგზავნილი. ან იქნებ, საიდუმლო სამსახურის აგენტებიც, ჯონსონის მსგავსად, პრეზიდენტ კენედის თვითმფრინავის გარშემო პრესის მიერ შექმნილი შარავანდედის ტყვეობაში იმყოფებოდნენ. ყოველ შემთხვევაში, № 13 პალატაში გამართული მსჯელობის დროს, ყველა ვარაუდობდა, რომ აეროდრომ ლავ ფილდში მხოლოდ ერთი „ბოინგ 707“ იმყოფებოდა. სინამდვილეში კი ყველაფერი უცვლელად იყო: აეროდრომზე იცდიდა ორივე თვითმფრინავი. არც 26000 და არც 86970 თვითმფრინავს ლავ ფილდი არ დაუტოვებიათ. კომფორტაბელურ ორივე თვითმფრინავს თანაბრად იცავდნენ, მაგრამ რატომღაც ისინი მხოლოდ „სსძ-1“ 26000 აშშ-ის პრეზიდენტის პირად თვითმფრინავზე ფიქრობდნენ. ეს თვითმფრინავი ხომ ყველას ცნობიერებაში ჯონ ფ. კენედისთან იყო გაიგივებული.

ჯონსონი ისევ ითრევდა ფეხს. აკი უთხრა კიდეც თავის მცველს, არ მინდა კადნიერ კაცად გამოვჩნდე, მე მხოლოდ კენედის რომელიმე თანაშემწესთან მოთათბირების შემდეგ გავემგზავრებიო. რობერტსი მაშინვე ქირურგიულ განყოფილებაში გაქანდა პრეზიდენტის თანაშემწე კენ ო'დონელის მოსაძებნად.

— ჯონსონს გამგზავრება სურს, შეუძლია თვითმფრინავით ისარგებლოს? — სასწრაფოდ მიმართა მან ო'დონელს.

თანხმობის ნიშნად ო'დონელმა თავი დააქნია (თავის ამ დაკანტურებას განსაკუთრებული მნიშვნელობა მიეცა მოვლენების შემდგომ განვითარებაში).

მობრუნებულმა რობერტსმა ჯონსონს მოახსენა.

— კენი თანახმაა.

იანგბლადი ისევ თავისას იმეორებდა:

— ჩვენ არ ვიცით, ეს რა სახის შეთქმულებაა და ვინა ჰყავთ ახლა რიგში. ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლება მშვიდად ვიყოთ და თქვენი სიცოცხლის უსაფრთხოებისა არ გვეშინოდეს — ეს ვაშინგტონია.

მერე რობერტსმა პრეზიდენტის მდგომარეობის გასაგებად კიდევ ერთხელ გადაჭრა კორიდორი და № 1 საოპერაციოში შევიდა. 13 საათსა და 13 წუთზე იგი კვლავ წარუდგა ჯონსონს.

— პრეზიდენტი გარდაიცვალა, სერ, — წარმოთქვა მან.

„თავზარი და ტკივილი“, — ასე დაახასიათა მაშინდელი თავისი

მდგომარეობა ახალმა პრეზიდენტმა. ჯონსონმა საათს დახედა და პოლიტიკურ მრჩეველს, კლიფ კარტერს მიმართა:

— დანიშნეთ დრო. — მერე მეუღლეს მიუბრუნდა: — ჩვენ ახლავე უნდა გავემგზავროთ და რაც შეიძლება შეუმჩნეველად.

აშკარა იყო, იგულისხმებოდა საქმის დაჩქარებაც. ჯონსონმა კარტერს ჯეკ ვალენტის, ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწის ლიზ კაპენტერისა და მისი მდივნის მარი ფემერის მონახვა დაავალა.

იანგბლადმა კი თავის მხრივ ჯონსს უბრძანა:

— იპოვე მანქანა, რომელსაც არ ექნება მთავრობის ნომრები და ისეთი პოლიციელი, დალასი რომ თავისი ხუთი თითივით ეცოდინება.

რაც შეეხება ლედი ბიორდის პირველ რეაქციას რობერტსის მოტანილ ცნობაზე, მრისხანე აბობოქრება იყო. მერე თითქოს სუნთქვა შეეკრა, როგორღაც ერთიანად აფორიაქდა. აი მისი სიტყვები:

— ჯერ, ალბათ, არავის დასჭირვებია სიჩქარეების ასეთი უეცარი გადართვა. სულ რაღაც რამდენიმე წუთის წინ ჩემს რანჩოზე ვფიქრობდი, უეცრად კი...

ლედი ბიორდიმ ჯერ ერთგვარი ყოყმანით, მერე კი დაბეჯითებით გაიმეორა:

— მე ქალბატონი კენედი და ნელი უნდა ვინახულო.

ლინდონი არამთუ დაეთანხმა, პირადად გაყოლის სურვილიც გამოთქვა, მაგრამ იანგბლადმა, როგორც შექმნილი ვითარების ბატონ-პატრონმა, ახალ პრეზიდენტს ოთახის დატოვების ნება არ მისცა. ჯონსონმაც უკან წაიღო თავისი განზრახვა რობერტსი ხელახლა გაგზავნეს საოპერაციოში — ამჯერად იმის გასაგებად, შეეძლო თუ არა ჟაკლინ კენედის ლედი ბიორდისთან გამოლაპარაკება.

რობერტსი ჟაკლინს ეახლა, დაბლა დაიხარა და ჩუმი ხმით ჰკითხა:

— წინააღმდეგი ხომ არ იქნებით, ლედი ბიორდი თქვენთან გამოსამშვიდობებლად რომ მოვიდეს?

ჟაკლინმა თანხმობის ნიშნად თავი დააქნია და რობერტსმაც უმალვე მიჰგვარა ჟაკლინს ლედი ბიორდი.

რობერტსისა და ჯონსონის მეუღლის არყოფნის დროს № 13 პალატა მეორედ მოინახულა კენ ო'დონელმა და ჯონსონს კენედის სიკვდილი დაუდასტურა:

მათ შორის გამართული მაშინდელი საუბარი დღემდე კამათის საგანს წარმოადგენს. როგორც ჯონსონი ამბობს, ო'დონელმა ორჯერ დაბეჯითებით შესთავაზა, რათა მას უსათუოდ პრეზიდენტის თვითმფრინავ „სსძ-1"-ით ესარგებლა. ჯონსონი იმასაც იხსენებს, რომ ამ წინადადებას მხოლოდ იმ პირობით დაეთანხმა, თუ თვითმფრინავი თავად ჟაკლინ კენედის და პრეზიდენტის ნეშტის გარეშე ჰაერში არ ავიდოდა.

ო'დონელი კი დაბეჯითებით უარყოფს, ეს ვერსია თავიდან ბოლომდე მოგონილია და სინამდვილეს სრულიად არ შეესაბამებაო. როგორც იგი ჰყვება, ჯონსონი მოსალოდნელი შეთქმულების არსებობის შესაძლებლობაზე ელაპარაკა და ჩემი თანხმობაც ჰოსპიტლიდან ჯონსონის ჩქარა გაცლაზე ამ მიზეზით იყო გამართლებული. ო'დონელი განაგრძობს: „ჯონსონმა მკითხა, უკეთესი ხომ არ იქნება თვითმფრინავის გადაყვანაო. მე რა თქმა უნდა, მეგონა, რომ იგი თვითმფრინავ „სსძ-2"-ის კარსუელის სამხედრო აეროდრომზე გადაყვანას გულისხმობდა, რაზედაც მე უარყოფითად ვუპასუხე. სამხედრო აეროდრომამდე ოცდათხუთმეტი მილია და თვითმფრინავის გადაყვანა საკმაოდ დიდ დროს წაგვართმევს-მეთქი. თან ისიც უნდა ითქვას — არავინ იცოდა, თუ ჯონსონი ლავ ფილდის აეროდრომზე აპირებდა წასვლას. ეს არავის არ შეიძლებოდა სცოდნოდა".

თვითმფრინავ 26000 თაობაზე ო'დონელმა შემდეგი განაცხადა:

— მე ჯონსონთან საერთოდ არ მქონია საუბარი თვითმფრინავ „სსძ-1"-ის შესახებ. ის რომ გვცოდნოდა, ახალი პრეზიდენტი „სსძ-1" თვითმფრინავით აპირებდა გაფრენას, ჩვენ, რასაკვირველია, „სსძ-2" გავფრინდებოდით. მით უფრო, ორთავე თვითმფრინავი სრულიად ერთნაირი იყოო.

ო'დონელი მართლაც სახტად დარჩა, როცა მათი ამ საუბრიდან ერთი საათის შემდეგ ცოლ-ქმარი ჯონსონები პრეზიდენტის თვითმფრინავში დაინახა. სავსებით შესაძლებელია, ახალმა პრეზიდენტმა სიტყვა „თვითმფრინავი" კარსუელის ბაზასთან დაკავშირებით ახსენა და რომ იგი და კენი ერთსა და იმავე თვითმფრინავს გულისხმობდნენ. თუმცა, ნაკლებ სარწმუნოდ მეჩვენება, ო'დონელს, რომელმაც მშვენივრად იცოდა მეორე თვითმფრინავის არსებობა, ჯონსონისათვის ჟაკლინ კენედის მოსვლამდე მოცდა შეეთავაზებინოს.

კენ ო'დონელმა კარგად იცოდა, ჯონსონი გაფრენას იჩქაროდა. მან ისიც იცოდა, რომ პრეზიდენტ კენედის ქვრივი ქმრის ნეშტის გარეშე დალასიდან გაფრენას არ მოისურვებდა, რასაც უდავო დაყოვნება მოჰყვებოდა. მართალია, ო'დონელი მწუხარებით გაოგნებული იყო, მაგრამ მაინც არ შეეძლო არ მიმხვდარიყო, რომ ეს ორი სურვილი თავისთავად გამორიცხავდა ერთმანეთს. ჯონსონისა და ო'დონელის საუბრის ასეთი სხვადასხვაგვარი გაგება საერთო ალიაქოთის მიზეზით თუ შეიძლება ახსნას კაცმა.

თუმცა, ამ სხვადასხვაობის კიდევ ერთი მიზეზიც არსებობდა. შესაძლოა, იმ მომენტში, ახალ მეთაურს სურდა ხაზი გაესვა დაღუპულ პრეზიდენტსა და მას შორის არსებული დიდი სულიერი სიახლოვისათვის, და რომ ო'დონელს ესმოდა და იზიარებდა მის ამ მისწრაფებას. ეს მოსაზრება, რასაკვირველია, მეტად რთულად და ფაქიზად გვესახება, თუმცა ჯონსონი, როცა იგი თავისთავადია, მართლაც, რთული და ფაქიზი პიროვნებაა. ჩვენ არ შეგვიძლია ზუსტად განვსაზღვროთ იმ ღირსსახსოვარ პარასკევს, როდის შეძლო მან საკუთარი თავის დამორჩილება. ყველას გამონათქვამის მიხედვით (თვითონ მისი შეხედულებითაც) № 13 პალატის დატოვების დროისათვის ჯონსონი ჯერ კიდევ იანგბლადის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ჯონსონმა მხოლოდ ლავ ფილდის აეროდრომზე მისვლის შემდეგ შეძლო საკუთარი თავის მთლიანად დამორჩილება.

მეტად მძიმე სცენად იქცა პრეზიდენტთა ცოლების შეხვედრა. რობერტსის უკან მიმავალი ლედი ბიორდი მხოლოდ წინ იყურებოდა — და როგორც მას მოეჩვენა, შევიდა ხალხით სავსე „დარბაზში", სადაც ყველა დუმდა. მიხურულ კარს იქით ექთანი დორის ნელსონი პრეზიდენტის სისხლით მოსვრილ ნეშტს ბანდა. კართან ახალგაზრდა ქვრივი იდგა.

— იგი „ჩრდილივით უტყვი იყო", მისი თვალები მწუხარებით სავსე ღრმა ტბებსა ჰგვანდნენ, — იგონებს ჯონსონის მეუღლე.

სიკვდილის მდუმარება ლახვარივით ეცა ლედი ბიორდის გულს, ქვრივს მოეხვია და ქვითინით უთხრა:

— ჯეკი, ღმერთო, როგორ მინდა რითიმე ხვედრი შეგიმსუბუქოთ!

თითის წვერებზე შემდგარი ლედი ბიორდი მალე გაეცალა იქაურობას და მეორე სართულზე ნელი კონელისთან მივიდა. იქ სულ

სხვა ატმოსფერო სუფევდა. ლედი ბიორდი და ნელი კონელი მთელი ოცდახუთი წელი ახლო მეგობრები იყვნენ. გუბერნატორი ცოცხალი იყო. ბაცი ნარინჯისფერი შორენკეციით მოპირკეთებული კედლებიც კი თითქოს კეთილ იმედებს ნერგავდნენ. ჯონსონის მეუღლემ ნელის მკლავები მოხვია და რიხიანად უთხრა:

— დამშვიდდით, ნუ დარდობთ, მერწმუნეთ, კარგად იქნება.

ამ დროისათვის, ქვემოთ, პირველ სართულზე მთელი მონდომებით გაჩაღდა ჯონსონების გასამგზავრებელი სამზადისი. ლემ ჯონსმა იანგბლადს მოახსენა — დალასის პოლიციის უფროსის კარის ბრძანებით ლავ ფილდის აეროდრომს პოლიციელთა კორდონი შემოარტყესო. ჰოსპიტლის წინ უკვე იცდიდა პოლიციის ნიშნებმოხსნილი ორი მანქანა. პირველი მანქანის საჭეს თვითონ კარი უჯდა. ჯონსი კვლავ გაგზავნეს ჰოსპიტლიდან შეუმჩნეველი გასასვლელის მოსაძებნად. ვესტიბიულში ერთმანეთს შეხვდნენ იანგბლადი და კელერმანი. კელერმანს ეშვადაც არ უფიქრია, რომ ჯონსონი უკვე ტოვებდა ჰოსპიტალს, მაგრამ იგი გრძნობდა, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ახალი პრეზიდენტის დაცვის გაძლიერება და იანგბლადს მიმართა: „გამოიყენეთ მთელი ცვლა — რობერტსი და მისი ხალხი, — კელერმანს დაავიწყდა, რომ იანგბლადს ეს უკვე გაკეთებული ჰქონდა. — მე სტაუტი და მისი ცვლა დამიტოვეთ (სტაუტი საღამოს ცვლის უფროსი იყო)“.

კელერმანის აზრით, უსაფრთხოების ეს ზომები საკმარისი იყო. ჯონსონის, როგორც ვიცე-პრეზიდენტის კუთვნილ ადრინდელ დაცვას ახლა უკვე პრეზიდენტის დაცვის მთელი ცვლა ემატებოდა.

მორიგე სამედიცინო დის ოთახში მყოფი გოდფრი მაკჰიუ პრეზიდენტის თვითმფრინავის ვაშინგტონში გაფრენის სამზადისს ამთავრებდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ თვითმფრინავში მხოლოდ კენედი იქნებოდა. მაკჰიუ ელაპარაკა პოლკოვნიკ სუინდალს და უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით თვითმფრინავის სხვა კუთხეში დაყენება უბრძანა. დაავალა აგრეთვე, ფრენის გეგმის შედგენა ვაშინგტონის მახლობლად ენდრიუსის სამხედრო-საჰაერო ბაზაში ჩასაფრენად.

მფრინავი სუინდალი აეროდრომის ასაფრენი ზოლის მორიგეს, დალასის პოლიციის კაპიტანს, მოეთათბირა და გონივრულად უარ-

ყო ბრძანების პირველი ნაწილი. თვითმფრინავი აეროდრომის ყველაზე უშიშარ ზონაში იმყოფებოდა. რაც შეეხება ფრენისათვის მზადებას, მან ჯერ კიდევ მაკჰიუს დარეკვამდე დაიჭირა თადარიგი. „ბოინგ — 707“-ის ორთავე თვითმფრინავის ავზებში დამატებით ჩაასხეს შვიდი ათასი გალონი საწვავი. სუინდალი გარდაცვლილი პრეზიდენტის უკანასკნელ გაფრენას ამზადებდა კელერმანის მსგავსად არც მაკჰიუმ და არც პოლკოვნიკმა სუინდალმა არ იცოდნენ, რომ თვითმფრინავში კიდევ ერთი პრეზიდენტი აღმოჩნდებოდა.

მდგომარეობა რომ ასე სერიოზული არ ყოფილიყო, ლინდონ ჯონსონის პარკლენდის ჰოსპიტლიდან გამგზავრება ისტერიად შეიძლებოდა მონათლულიყო. იგი ჩარლი ჩაპლინის ერთ-ერთი კინოკომედიის გამოსათხოვარ სცენას მოგაგონებდათ, როცა მგზნებარე დამშვიდობების შემდეგ დაძრული მატარებლის მგზავრები მეგობრების გასაცილებლად მოსული ხალხი აღმოჩნდა მხოლოდ.

პარკლენდის ჰოსპიტლის დატოვება გასამგზავრებელი ხალხის მცირე ნაწილმა შეძლო, უმრავლესობამ იგი ვერ მოახერხა. გამგზავრებისას ნამდვილი ქაოსი და არეულობა სუფევდა.

— ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ძლიერი და ენერგიით სავსე მანქანა ჩემ თვალწინ უეცრად ეროიანად დაიშალა, — განაცხადა ჰენრი გონზალესმა.

რუფუს იანგბლადს, აქამდე რომ ყოველი დეტალი გაანგარიშებული ჰქონდა, სავსებით დაავიწყდა გასასვლელის მოსაძებნად გაგზავნილი ლემ ჯონსი. მან მართლაც აღმოაჩინა, პრესის მუშაკებისათვის შეუმჩნეველი, პირდაპირ ბულვარში გამავალი კარი. თავისი აღმოჩენით აღფრთოვანებული ჯონსი მაშინვე უკან გამობრუნდა და ერთი საათის განმავლობაში მეორეჯერ აღმოჩნდა მშრალზე. ჯონსონი და მისი ამალა ჰოსპიტლიდან უკვე წასულიყო. კლიფ კარტერსა და ჯეკ ვალენტის მეოთხედი წუთით დააგვიანდათ, მაგრამ ჯონსონებს ვერც იმათ მოუსწრეს.

აირა გირჰარტი თავისი მეტალის ჩემოდნითურთ მანქანაში ძალით შეეკვეტა და რომელიღაც პოლიციელს ზედ მუხლებზე დაჯდა. სესილ სტაფტონს დამამახსოვრებელი როლის შესრულება მოუხდა ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების დროს, თუმცა ამ ცერემონიის მონაწილედ იგი სრულიად შემთხვევით გახდა. სტაფტონი

ერთი იმათგანი იყო, ვისაც არტ ბეისლმა ტელეფონის ყურმილის დაჭერა დაავალა, მაგრამ როცა ჯონსონმა თავისი გრძელი ხელების ქნევითა და ფართო ნაბიჯებით გვერდზე ჩაუარა, სტაფტონმა ჯონსონის გამცილებელთა შორის მყოფ ბეილსს ჰკითხა:

— საით გაუწევია?

— პრეზიდენტი ვაშინგტონს მიემგზავრება, — უჩურჩულა პასუხად ბეილსმა.

სტაფტონი უმალვე მიხვდა ყველაფერს.

— მეც მივდივარ, — თქვა მან და ტელეფონის ყურმილი ბეილსს მიაჩეჩა, რითაც ეს უკანასკნელი პრეზიდენტის ჯგუფს ჩამოარჩინა. მაგრამ სტაფტონსაც დააგვიანდა: ახალი პრეზიდენტის საავტომობილო კორტეჟში მისთვის ადგილი აღარ იყო.

კონგრესმენი ალბერტ ტომასიც სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა მოწინავე მანქანაში, თანაც ცოცხალი საფარის როლში. როცა ჯონსონი კენედის პრეს-მდივნის თანაშემწეს კლიფტონს მოშორდა, იანგბლადმა ახალი პრეზიდენტი პოლიციის უფროსის კარის მანქანისკენ წაიყვანა. იანგბლადი ჯერ ისევ შეთქმულების არსებობის შიშით იყო შეპყრობილი. ორი მანქანის მოყვანაც ამის მიზეზი იყო. თუ შეთქმული — სნაიპერი ერთ მანქანაში ლედი ბიორდის დაინახავდა და მიზანში ამოიღებდა, ცეცხლის ქვეშ ჯონსონის მანქანა არ აღმოჩნდებოდა. წინა საჯდომზე კარის გვერდით იანგბლადმა კონგრესმენი ტორნბერი დასვა. თვითონ უკან, ახალ პრეზიდენტს მიუჯდა გვერდით და ოდნავ მოხრა შესთავაზა, ისე რომ შუშებს ზევით არ გამოჩენილიყო. ჰოსპიტლიდან გამოსულმა ტომასმა სწორედ ამიტომ ვერ დაინახა პრეზიდენტი, თუმცა ადგილიდან დაძრულ მანქანებს ხმამაღლა მიაძახა:

— შეჩერდით!

— არ შეჩერდე! — უბრძანა იანგბლადმა კარის.

— ვინ არის? — იკითხა ჩაკუზულმა ჯონსონმა.

იანგბლადმა აუხსნა.

— მაშინ შეაჩერეთ, — გასცა განკარგულება ჯონსონმა. და აი, მთელი ამ ხნის განმავლობაში პრეზიდენტი პირველად წარსდგა გადაწყვეტილების უნარის მქონე პიროვნებად.

იანგბლადმა ამ მოულოდნელი შეჩერებიდანაც სარგებელის გამონახვა გაიაზრა. ცდილობდა ადამიანის სხეულის თითოეული დუ-

იმი პრეზიდენტის დასაცავად გამოეყენებინა. ტომასი, წინა საჯდომზე ვარის მიუსვა, ხოლო ტორნბერი უკან გადმოსვა, ისე რომ, ჯონსონის მხრები იანგბლადისა და ტორნბერს შორის ყოფილიყო მოქცეული. ამრიგად, ჯონსონის მოსახვედრ ტყვიას ჯერ კარი უნდა გაეევლო ანდა ერთ-ერთი კონგრესმენი ან თვითონ რუფუს იანგბლადი.

ჯეკ ბრუკსის მოგონების მიხედვით „უკანალზე შოლტვადაჭერილი მაიმუნებივით მოწყდნენ ადგილს". ლედი ბიორდიმ კი, რიგორც მანდილოსანს შეეფერება, დელიკატურად აღწერა იგი:

„ძალიან, ძალიან დიდი სისწრაფით გავქანდით". სამი მილი სულ რაღაც შვიდ წუთში გაიარეს და ბოლოს, როგორც იქნა, აეროდრომი!

აეროდრომზე მისვლამდე ლედი ბიორდის მანქანაში, თითქმის არ გარხეულან, კრინტიც არავის დაუძრავს. მოწინავე მანქანიდან კი რუფუს იანგბლადმა მხარზე გადაკიდებული თავისი პორტატული აპარატის მეშვეობით კამერდინერს ბრძანება გადასცა — გადაეტანა ჯონსონის პირადი ნივთები თვითმფრინავ 86970-იდან თვითმფრინავ 26000-ში. აეროდრომზე მყოფთათვის ეს იყო პირველი ცნობა თვითმფრინავის შეცვლის თაობაზე.

ჯონსონის მეუღლის მანქანაში მჯდარ ლიზ კარპენტერი, როგორც ახალი პრეზიდენტის ამალის ერთადერთი ჟურნალისტი, ამერიკელი ხალხისადმი პრეზიდენტის მიმართვის პროექტის პირველ სტრიქონებს წერდა.

ქალმა ის იყო წერა დაიწყო, რომ მივიდნენ კიდეც. მანქანებიდან გადმოსვლა და იანგბლადის ბრძანების გაგონება ერთი იქნა:

— სირბილით თვითმფრინავში! — ყველამ სწრაფად აიარა თვითმფრინავის კიბე. ჯონსონის მეუღლეს თვითმფრინავში შესვლისთანავე სალონიდან მიმომხილველ ვალტერ კრონკაიტის ხმა მოესმა. იგი ტელევიზიით კილდაფის ოფიციალურ განცხადებას კომენტარს უკეთებდა.

„ლინდონ ბ. ჯონსონი ახლა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტია". — პირველად გაიგონა ქალმა.

თუმცა ტელევიზორის ხმა ძალიან აეწიათ, მაგრამ ცალკეული სიტყვების გაგონება მაინც ჭირდა. თვითმფრინავის ყველა კუ-

თხიდან ქვითინი ისმოდა. ტიროდნენ ეკიპაჟის წევრები, ბორტგამყოლები, მდივნები. ჯონსონი ტელევიზორისკენ გაქანდა.

— დახურეთ ყველა ილუმინატორის ჟალუზი! — ბრძანა ჯონსონმა.

— დახურეთ ჟალუზები! — ეჭოდ გამოეხმაურა იანგბლადი.

დიახ, პარკლენდის ჰოსპიტლიდან გამომგზავრების შემდეგ ზოგი რამ უკვე შეიცვალა.

ამ ბრძანების შესრულებისას აირესმა ილუმინატორში განსაცვიფრებელ სურათს მოჰკრა თვალი. რომელიღაც მანქანამ უშიშროების სამოქალაქო და სამხედრო წესები უხეშად დაარღვია, აეროდრომი გადმოჭრა და საოცარი სისწრაფით მათკენ გამოქანდა.

ამ მანქანაში ისხდნენ ჯონსი, კარტერი, ვალენტი, სტაფტონი — პრეზიდენტის ფოტოგრაფმა ბრძოლით მოიპოვა მანქანაში ადგილი. მათვე ახლდათ საოცრად დაზაფრული დალასელი პოლიციელი. ყველამ მშვენივრად იცოდა, როგორი უგუნურება იყო ასაფრენ მინდორზე მანქანის ასეთი შეჭრა, მაგრამ უკანასკნელი ნახევარი საათის მანძილზე ადამიანის სიცოცხლე საგრძნობლად გაიაფდა.

სადისპეტჩერო კოშკში მყოფი მორიგეები გაოცებული შეჰყურებდნენ ჯონსისა და მისი თანამგზავრების მანქანას, თავბრუდამხვევი სისწრაფითა და გაბმული სირენით რომ შოჰქროდნენ სამანქანო ზეთით მოსვრილ ბეტონის მინდორზე. მანქანამ გზა დიაგონალურად გადაჭრა და ასასვლელ ტრაპთან შეჩერდა.

ვალენტიმ სავსებით ერთნაირი „ბოინგ — 707“ ორი თვითმფრინავი ერთმანეთისაგან ვერ გაარჩია და იკითხა:

— რომელია ჩვენი?

— აი ეს, — უპასუხა ჯონსმა და მაღლა ასვლაში წაეხმარა.

ეს იყო პრეზიდენტ ჯონსონის პირველი ავტოკორტეჟის უკანასკნელი მანქანა. ამ მანქანის დანიშნულების ადგილზე მოსვლით დამთავრდა იანგბლადის მიერ დაგეგმილი პარკლენდის ჰოსპიტლიდან გამალებული გამოქცევა (ეს რბოლა სავსებით იმსახურებს ასეთ შეფასებას).

აქ კი, პარკლენდის ჰოსპიტალში, ამ ამბისა ჯერ არაფერი იცოდნენ. ქირურგიულ განყოფილებაში მყოფ პრეზიდენტ კენედის თანაშემწეებსა და დაცვის აგენტების უმრავლესობას ეგონა, რომ მთავრობის ჯგუფი, რომელმაც სან-ანტონიოს საერთაშორისო აე-

როდრომიდან მთელი ტეხასი გამოიარა, ჯერ კიდევ ერთ მთლიან ერთეულს წარმოადგენდა. მათ არავითარი აღელვება არ გამოუხატავთ, როცა მოგვიანებით ჯონსონის ელვისებურად გამგზავრების ამბავი გაიგეს. ის, ვისაც ისინი კვლავინდებურად პრეზიდენტად თვლიდნენ, მკვდარი იყო. სხვა რამეზე ფიქრი კი მაშინ ნამდვილად არ შეეძლოთ.

საპრეზიდენტო საქმიანობის ასეთი ნაადრევი დაწყება კენედის გულწრფელად მოყვარულთ გაუმართლებელ გულქვაობად ეჩვენათ. არავინ აპირებს იმის უარყოფას, რომ ეს შეგრძნება მეტად მტკივნეული იქნებოდა, მაგრამ სხვაგვარად არ შეიძლებოდა. შექმნილი ვითარება გარდუვალად მოჰყვა კენედის ვერაგულ სიკვდილს. ამიტომაც ვაშინგტონში ორივე ჯგუფის ერთი თვითმფრინავით დაბრუნება კარგს არაფერს მოასწავებდა. უეცარი ელდისაგან ჯერ თავდაუღწეველ ჯონსონის ზოგიერთ საქციელსაც ეს ანტაგონიზმი, შესაძლოა, კიდევ უფრო გაეღრმავებინა.

წარმოშობილი სიძნელეები ბევრ შემთხვევაში ცალკეულ პიროვნებათა ქცევებითაც აიხსნებოდა. იმ დღეს ჯონსონი თავის თავს არ ეკუთვნოდა. დიახ, სახელმწიფო ინტერესები ძალას მოითხოვდა და არა სიფაქიზესა და დახვეწილობას. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ჯონსონი არამთუ აჩქარდა პრეზიდენტის პოსტის დაკავებას, პირიქით, არასაკმარისი სისწრაფით განახორციელა იგი.

შეერთებული შტატები უპრეზიდენტოდ ვერ იქნებოდა. არც ჯონსონს და არც მის მრჩევლებს კენედის მკვლელობის ფაქტის მთელი მნიშვნელობა სრულად შეცნობილი ჯერ არა ჰქონდათ.

ლავ ფილდის აეროდრომისაკენ ქროლვით მიმავალი მანქანიდან (შუქნიშნის წითელ ფერზეც რომ არ ჩერდებოდა) ყოფილი ვიცეპრეზიდენტის, ახლა უკვე პრეზიდენტის მეუღლემ უეცრად რომელიღაც შენობას შეავლო თვალი და დახრილი დროშა დაინახა. ამ ამბის გახსენებისას ლედი ბიორდი შემდეგ გულწრფელად აღიარებდა, რომ სწორედ მაშინ „იგრძნო პირველად ჩადენილი დანაშაულის მთელი საშინელება“.

ასეთი გრძნობები დაეუფლა უთვალავ ამერიკელს. მთელმა ქვეყანამ იგრძნო რაღაც დაუძლეველი, თითქმის ტელეპატიური მოთხოვნილება გლოვის ნიშნად დროშების დახრისა. დროშები დაიხარა სკოლების, ბირჟების, ციხეების, უნივერმაღების, ადმინისტრა-

ციული დაწესებულებების, კერძო სახლებისა თუ შტატების საკანონმდებლო საკრებულოების შენობებზე. თეთრ სახლში კაპიტანმა ჰალეტმა, როგორც კი თვითმფრინავში მყოფ კენედის კაბინეტის წევრებს ენდრიუსის აეროდრომზე დაბრუნების ბრძანება გადასცა, თავის ხელქვეითს პრეზიდენტის რეზიდენციაზე დროშა დაახრევინა. ეინაიდან ჰალეტს პირდაპირი კავშირი ჰქონდა კელერმან-ბენის საკომუნიკაციო ხაზთან, ვფიქრობ, ყველაზე ადრე დროშა მაინც პენსილვანია — ავენიუს № 1600 სახლის ფლაგშტოკზე ანუ თეთრ სახლზე დაიხარა.

ვაშინგტონიდან დროის ხუთი ზონით დაშორებული თვითმფრინავის კავშირგაბმულობის კაბინაში მყოფ სელინჯერს ცალი ყური ჩურჩულით მოლაპარაკე კაბინეტის წევრების დებატებისათვის მიეგდო. სადაც იმაზე ბჭობდნენ, შეესრულებიათ. თუ არა „უცხოელის“ ბრძანება პირდაპირ ენდრიუსის აეროდრომზე ჩაფრენისა. მეორე ყურით კი „უცხოელის“ მორიგ ცნობებს უსმენდა, რომელიც ყოველ 15 წამის შემდეგ დაზიანებული გრამფირფიტის შეუპოვრობით მონოტონურად მოუწოდებდა „არ გაწყვიტოთ კავშირი... არ გაწყვიტოთ კავშირი“... და აი ბოლოს დარტყმა. უეცრად შეიცვალა მონოტონურად მომწოდებელი რადისტის ხმა და ცივად შეჰყვირა:

— ინფორმაცია „გზისპირელისათვის“. პრეზიდენტი გარდაიცვალა! ვიმეორებ, პრეზიდენტი გარდაიცვალა!..

— პრეზიდენტი გარდაიცვალა, — მოახსენა პიერ სელინჯერმა კაბინეტის წევრებს, თუმცა თვითონაც არა სწამდა თავისივე ნათქვამი.

დინ რასკი თვითმფრინავ 86972-ის რადიოქსელის მიკროფონისაკენ გაემართა. ნელი ნაბიჯით, თავდახრით მიმავალმა რასკმა, როგორც იქნა, თვითმფრინავის ბოლოში, უკანასკნელ კაბინას მიაღწია, გამომშრალი ტუჩები მოილოკა და მიკროფონს ჩასძახა:

— ქალბატონებო და ბატონებო, უნდა გადმოგცეთ მეტად მნიშვნელოვანი ცნობა. გადმოგვცეს ოფიციალური განცხადება: პრეზიდენტი გარდაიცვალა. ღმერთო, იხსენი ჩვენი ქვეყანა!

დიახ, სწორედ ასე უნდა გამოცხადებულიყო ეს სამწუხარო ცნობა, მაგრამ 22 ნოემბერს ყველაფერი ისე როდი ყეთდებოდა, როგორც საჭირო იყო. რასკი კარგად ხედავდა ცენტრალური გასასვლელის ორთავე მხარეს და გაოცებით შენიშნა, რომ მის მიერ დი-

დის ამბით გამოცხადებული სამწუხარო ცნობა არავის შეუცხადებია. თითქოს არაფერი ეთქვას ისეთი, რაც მათ არ სცოდნოდათ. სრულიად დაბნეული რასკი თავის თავს ეკითხებოდა: მაინც საიდან გაიგეს? ის კი ვერ მოისაზრა, რომ მასთან ერთად სალონში მყოფმა კაბინეტის წევრებმა უგულებელყვეს მისი უფლება პირველს ეცნობებინა პრეზიდენტის სიკვდილი და თავიანთ ცოლებს თვითონვე უჩურჩულეს.

ეს ჩურჩული პირველად შრიალს მიაგავდა, თანდათან გუგუნში გადაიზარდა, მერე შესაბრალის გოდებად იქცა და ბოლოს ხმამაღალ ქვითინად დასრულდა.

პრეზიდენტის სიკვდილის ოფიციალურმა დადასტურებამ სულიერად დასცა წარმომადგენელთა პალატის სპიკერი მაკორმაკი. იგი კონგრესმენების რესტორანში სადილობდა, როცა მის მაგიდასთან ორი რეპორტიორი მიიჭრა და კენედის დაჭრა აცნობა. მერე ერთიმეორის მიყოლებით მიდიოდნენ მასთან კონგრესმენები თუ რეპორტიორები და ახალ-ახალ ცნობებს უზიარებდნენ. პარკლენდის ჰოსპიტალში მღვდლების მისვლა მაკორმაკმა პრეზიდენტის სასიკვდილოდ განწირვის დასტურად აღიქვა. ერთი წუთის შემდეგ მას ვიცე-პრეზიდენტის დაჭრის ამბავი მიუტანეს, კიდევ ერთი წუთიც და პირდაპირ განუცხადეს — თქვენს დასაცავად საიდუმლო დაცვის აგენტებს აგზავნიანო. ვიცე-პრეზიდენტის დაჭრის ცნობა, როგორც მოგეხსენებათ, მართალი არ გახლდათ, სამაგიეროდ, მეორე ცნობა გამოდგა სწორი.

პრეზიდენტ ტრუმენის მიერ სპიკერ სემ რეიბერნისადმი დიდი პატივისცემის ნიშნად 1948 წლის 18 ივლისს მიღებულ იქნა ხელისუფლების მემკვიდრეობის ახალი წესი, რომლის ძალითაც წარმომადგენელთა პალატის სპიკერი და არა სახელმწიფო მდივანი, როგორც ეს ადრე იყო, ხდებოდა მეორე კაცად, ვიცე-პრეზიდენტის შემდეგ, ვისაც თავის თავზე უნდა აეღო სახელმწიფოს მეთაურის ფუნქცია. ასე რომ, მკვლელის ტყვიას კენედისთან ერთად ჯონსონიც რომ გაეგმირა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტად ღრმა მოხუცი მაკორმაკი გახდებოდა.

22 ნოემბრის 14 საათსა და 48 წუთზე, ვაშინგტონში ასეთ შესაძლებლობას სავსებით რეალურად მიიჩნევდნენ. ამის გაფიქრებამ თავზარი დამცაო, იგონებს მაკორმაკი. იგი გაუბედავად წამოდგა

და მაშინვე საშინელი თავბრუსხვევა იგრძნო. ყველაფერი თავდაყირა დაუტრიალდა: სუფრები, მაგიდები, ჯამ-ჭურჭელი. ეჩვენებოდა, საცაა, გონებას დავკარგავ და იატაკზე დავეცემიო. აცახცახებული ხელი თვალებზე მოისვა და კვლავ სკამზე დაეშვა. ასე იჯდა იგი, ვიდრე რომელიღაც კონგრესმენმა არ დაუძახა — ჯონსონი უვნებლად გადარჩაო.

ჯონ კენედის ბიძაშვილმა ენ გარგანმა და მამა-კენედის მომვლელმა რიტა დალასმა პრეზიდენტის დედას, როზ კენედის, ვაჟიშვილის სიკვდილი აცნობეს, დედამ ვაჟკაცურად გადახედა მომვლელ ქალს და უთხრა:

— ჩვენ ამასაც გავუძლებთ.

მაგრამ დედას უკვე არც მათთან ყოფნა შეეძლო და არც არავის ნახვა სურდა. მისი ოთახი მეტად პატარა გამოდგა კუთხიდან კუთხეში ბოლთის საცემად. შეშფოთებული დედა კი ადგილზე ვერ ჩერდებოდა, იდაყვებს ტკივილის მოგვრამდე ისრესდა.

— მე სახლიდან გავალ, — მიუბრუნდა იგი ენის.

პრეზიდენტის დედამ, კენედების ოჯახში ყველაზე მორწმუნე ადამიანმა, მტირალი ქალები მიატოვა და ზღვისპირა პატარა მდელობზე ჩავიდა. ვიდრე მის დამბლადაცემულ ქმარს ეძინა, უნუგეშოდ მწუხარე ქალი შემოდგომის ბალახით დაფარულ სანაპიროზე წინ და უკან დაბორიალებდა.

უესლი ფრეზიერმა, ხუთი საათის წინ თავისი თოფიანად რომ მიიყვანა ლი ოსვალდი დალასის საქმიან ნაწილში, ახლა სახელმძღვანელოების საწყობის შენობაში საუზმე დაამთავრა და შინ წასვლა და დასვენება გადაწყვიტა. ასეთ არეულობაში მუშაობაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო.

მარინა ოსვალდის მეგობარი რუთ პეინი ტიროდა, მარინას კი თვალიც არ დანამვია, ისე განაგრძო გარეცხილი თეთრეულის გაფენა.

ბოსტონის სიმფონიურმა ორკესტრმა ჰენდელის კონცერტი შეწყვიტა და ბეთჰოვენის ჰეროიკული სიმფონიის შესრულება დაიწყო. ეს საზეიმო მელოდია ხშირად ქცეულა სამგლოვიარო მარშად. მშვერმეტყველი ადამიანები შესაფერ სიტყვებს ეძებდნენ. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ედლაი სტივენსონმა უბრალოდ და მშვერმეტყველურად თქვა:

— საფლავებში ჩაგვყვება მისი დაკარგვით გამოწვეული მწუხარება.

ამავე დროს, ბევრმა ორატორული ოსტატობით განთქმულმა ადამიანმა თითქოს მეტყველების უნარიც კი დაკარგა. უოლტერ ლიპმანმა ძლივს მიაღწია „ვაშინგტონ პოსტის“ რედაქციას და იქვე გული შეუღონდა.

კარდინალ კაშინგს სამხედრო-საჰაერო ძალების ახალი სარდალი ჰყავდა სტუმრად, მაგრამ მღელვარებისგან ჩახლეჩილი ხმით მხოლოდ ხუთი სიტყვალა წარმოთქვა:

— დღეს მოკლეს პრეზიდენტი ჯონ კენედი. — კარდინალ კაშინგს ბაგეები უხმოდ, მაგრამ განრისხებით უთრთოდა. ადმირალი მაშინვე გაეცალა.

პრეზიდენტ კენედის სპეციალური მრჩეველი ტედ სორენსენი ორატორული ხელოვნების სახელგანთქმულ ოსტატად და „ახალი ზღუდეების“ პოლიტიკის მომხრედ იყო ცნობილი. იგი პრეზიდენტის ყველაზე ახლობელ მრჩევლად ითვლებოდა. თეთრი სახლის კავშირგაბმულობის უფროსის ჯორჯ მაკნალის კაბინეტში მჯდარი სორენსენი გრძნობდა, რაღაც უნდა ეღონა, მაგრამ თავს ვერ იმორჩილებდა, ასე ეგონა, თითქოს ბორკილები ედო. შუაგულ სტადიონზე რომ დაესვათ, ალბათ, ვერც მაშინ გაანძრევდა ხელს. რამდენიმე ხნის შემდეგ როგორღაც შეუმჩნევლად შეირხა და გამწარებით წარმოთქვა:

— მათ სამი წელიც კი არ მისცეს.—მშვიდი ბუნების ტედ სორენსენი ახლა სარკასტულად იყო მომართული.

უფრო აგრესიული ბუნების ადამიანები ხომ სულ ვეღარ ფარავდნენ თავიანთ მებრძოლ სულს. კენედის სპეციალურმა თანაშემწემ რირდონმა სორენსენის დანახვისას შეჰყვირა:

— ოჰ, როგორ მინდა ავიღო ერთი ნეხვის ყუმბარა და ავაფეთქო ეს სანეხვე ტეხასი, რომ აღიგავოს მიწის პირისგან მისი სახსენებელი.

დალასელმა ფაბრიკანტმა ეიბ ზაპრუდერმა ხმაურით გამოიჯახუნა თავისი კაბინეტის კარი და გაშმაგებული წიხლებს ურტყამდა ყველაფერს, რასაც კი გზად აწყდებოდა. ქალაქ ფენიქსში (არიზონის შტატი) ოცდაცამეტი წლის შამაკაცმა სამჯერ ესროლა ჯონ ბერჩის ადგილობრივი ორგანიზაციის ფანჯარას.

მაგრამ ხდებოდა ასეც: ერთმა ოკლაჰომელმა ექიმმა გაბრწყინებული თვალები შეავლო დარდით გულმოკლულ პაციენტს და მოურიდებლად უთხრა:

— შესანიშნავია, იმედი მაქვს, ჯეკიც ზედ მიაკლეს.

ერთ-ერთი შტატის პატარა ქალაქში სახლიდან გამოვარდა ვიღაც ექიმი და სიხარულის ექსტაზში შესულმა მთავარი ქუჩის გაღმა მხარეს მიმავალ, კენედის დიდად პატივისმცემელ კოლეგას, გასძახა:

— რას იზამ, გასართობი სეირნობა დამთავრდა! ამ საქმეს მამა ჯო [1] უკვე თავს ვეღარ გაართმევს!

ტეხასის ქალაქ ამარილოში სტუმრად ჩასული მანდილოსანი სასტუმროს მახლობელ რესტორანში საუზმობდა. (თავისი რეაქციული ვნებების მძვინვარებით იგი შტატის მეორე ქალაქია). უეცრად რესტორანში, პირდაპირ მდებარე სკოლის უფროსკლასელთა აღფრთოვანებული ჯგუფი შემოიჭრა და ერთ-ერთმა მათგანმა სამარცხვინო აღტაცებით შეჰყვირა:

— აი მესმის, ჩაიკეცა თუ არა ჯონი!

ქალმა სასწრაფოდ დატოვა რესტორანი, თუმცა ის კი შეამჩნია, როგორ ალერსიანად უღიმოდნენ რესტორანში მყოფნი ყვირილით შემოჭრილ ამ ახალგაზრდას. თავად დალასში ვიღაც მამაკაცმა სიხარულის ყიჟინით ჰაერში აისროლა თავისი ფართოფარფლებიანი ძვირფასი ქუდი. იქვე, ერთ-ერთი მდიდარი უბნის მეოთხეკლასელმა მოსწავლეებმა, სიხარულისაგან ტაშიც კი შემოჰკრეს, როცა გაიგეს, რომ მათ ქალაქში მოკლეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

როგორც კი მკვლელის ვინაობა დადგინდა, მაშინვე საგულდაგულო ზომები მიიღეს, რათა ხალხის მეხსიერებაში წაეშალათ ამდაგვარი ინციდენტების მოგონება. თუმცა ულტრამემარჯვენეთა წარმომადგენლები მონანიებას სულაც არ ფიქრობდნენ. მათი აღფრთოვანება ხან სად იჩენდა თავს და ხან სად. პრეზიდენტის სიკვდილიდან ექვსი თვის შემდეგ კლუბ „კოსმოსში“ გამართულ გადამდგარ ოფიცერთა კრებაზე, ასევე გადამდგარმა გენერალმა განაცხადა:

---

1 პრეზიდენტ კენედის მამა.

— ეს ღვთის ხელმა გამოუშალა ჩახმახი პრეზიდენტ კენედის მკვლელ თოფს.

მემარჯვენეებმა სიამოვნებით ჩააყოლეს ლი ოსვალდს საფლავში პრეზიდენტ კენედის მკვლელობის დანაშაული. მათ მიზანს მიაღწიეს და ახლა საზოგადოების განკიცხვის თავიდან აცილებას ცდილობდნენ.

დალასის სკოლის ეპიზოდიც კი მიაფუჩეჩეს. იგი პირველად ქალაქის მეთოდური ეკლესიის მღვდელმა უილიამ ჰოლმსმა ახსენა თავის რისხვით სავსე ქადაგებაში პრეზიდენტის მკვლელობის მეორე დღეს. ამ ქადაგების ამბავი უოლტერ კრონკაიტის ყურსაც მისწვდა და „კოლუმბია ბროდკასტინგ სისტემის" (სი-ბი-ეს) ქსელით გადაცემულ თავის რადიოგამოსვლაში გამოიყენა. სი-ბი-ესის დალასის ადგილობრივმა განყოფილებამ ადრევე გაიგო, კრონკაიტი გამოსვლას აპირებსო, და მას აღნიშნული სკოლის მასწავლებლის განცხადება დაურთეს. განცხადება განმარტავდა — რომ თითქოს მისმა მოწაფეებმა აპლოდისმენტები მხოლოდ იმის შემდეგ დასცხეს, როცა გაიგონეს, დღეს შინ დროზე ადრე წახვალთო. ამ განცხადებას ნამუსი უნდა მოეწმინდა ქალაქის შელახული რეპუტაციისათვის: სინამდვილეში სი-ბი-ესის დალასის სატელევიზიო სტუდიამ სკოლები არია.

პრეზიდენტის სიკვდილის გამოცხადების შემდეგ ქალაქის საზოგადო სკოლების ყველა კლასში მეცადინეობა შეწყდა და მოსწავლეები შინ გაუშვეს. ამ სკოლების მიმართ კიდევ შეიძლებოდა წარმოშობილიყო რაიმე გაუგებრობა, მაგრამ დალასში მცხოვრები ყველა ბავშვი საზოგადო სკოლაში როდი სწავლობს. დიდი დალასის გარეუბნებში არსებობენ კერძო სასწავლებლები, მათი კარი დახშულია ფერადკანიანი ბავშვებისათვის. იქ მხოლოდ შეძლებულთა შთამომავლობა იღებს განათლებას. ამ სკოლებში პრეზიდენტის მკვლელობის დღეს მეცადინეობა უკანასკნელ ზარამდე გრძელდებოდა და რადგან სწორედ ასეთი სკოლის მეოთხე კლასში მოხდა მღვდელ ჰოლმსის მიერ მოყვანილი ეპიზოდი, უდაოა, იქაურ მოსწავლეებს მარტო პრეზიდენტის მოკვლის ფაქტი ეუწყა. აქედან გამომდინარე, ბავშვებს მხოლოდ ამ ცნობის აპლოდირება შეეძლოთ.

ყველას, ვინც პრეზიდენტის სამტროდ არ იყო განწყობილი, ზიზღს ჰგვრის ეს ამბავი. ბევრს დღემდეც წარმოუდგენლად ეჩვე-

ნება, მაგრამ ეს შემთხვევა ნამდვილად მოხდა და ყოველგვარ ეჭვს გარეშეა.

ამას ადასტურებს ნაამბობი თვით იმ მასწავლებლისა. იგი რჩევისათვის მღვდელს იმავე პარასკევს ხლებია. აღშფოთებულმა მღვდელმა ჰოლმსმა ყველაფერი ინსპექტორ უაიტს აცნობა, რომელიც თავის მხრივ შვიდი ასეთივე შემთხვევის არსებობაში გამოუტყდა. დალასის მრავალ საზოგადო სკოლაში პრეზიდენტის მკვლელობის ცნობას მისი ხსოვნისადმი აშკარა უპატივცემლობის გამოვლინება მოჰყვა. იმ კვირაში მღვდელი ჰოლმსი მთელ ტეხასში ცნობილ კაცად იქცა. მისი პიროვნების გარშემო მრავალი ცხარე კამათი გაიმართა. მღვდელს მუქარის წარღვნა დაატყდა თავს და დალასის პოლიციის რჩევით ერთ-ერთი მოკეთის სახლს შეაფარა თავი.

პრეზიდენტის მკვლელის სწრაფმა დასახელებამ შეძლო თავდასხმით გამოწვეული პირველი რეაქციის სიძლიერის შენელება. ასეთი ვითარება ხელს აძლევდა გესლიანსა და ავყია ხალხს. მკვლელი რომ ჯონ ბერჩის საზოგადოების აგენტი გამომდგარიყო, ბერჩისტებს იმ ღამით ყველგან, მთელ ქვეყანაში, ბევრი უსიამოვნების გადატანა მოუხდებოდათ. მკვლელის ვინაობის გამორკვევამ შეანელა ქვეყნის შინაგანი ვნებათა ღელვა და ისტერიის ნაცვლად ქვეყანას ღრმა მწუხარება დაეუფლა.

თუმცა პირველი სიმპტომები დამამშვიდებელი მაინც არ იყო. საიდუმლო სამსახურის აგენტის ო'ლირის თქმით დალასში ხალხი უაზროდ 'დაბორიალებდა, ეცემოდნენ, დგებოდნენ და კვლავ სადღაც გარბოდნენ. ვაშინგტონში ტაქსით მიმავალ ბილ უოლტონს გზა გადაუღობა „ნეიშნლ ბროდკასტინგ სისტემის" შენობის წინ თავშეყრილმა ბრბომ, რომლის კუდიც ქუჩის იქითა მხარეს, სასტუმრომდე აღწევდა. მეორე ტაქსში მჯდარმა, შრომის მინისტრის თანაშემწემ ჯიბისკენ წაიღო ხელი თავშესაფართა გზების რუკის ამოსაღებად. ატომური თავდასხმის შემთხვევაში დამხმარე კაბინეტის წევრებს ვირჯინიის დიდ გამოქვაბულში უნდა მოეყარათ თავი, მაგრამ განზრახვა უმალვე გადაიფიქრა. ვაშინგტონიდან იმ თავშესაფრამდე ოცდახუთი წუთის სავალი იყო.

ლაფაიეტის პარკის ჩრდილოეთით, წმინდა იოანეს ტაძარში (პრეზიდენტების ტაძარი), გაბმულად რეკდნენ ზარები. ისე გამაყრუებლად გუგუნებდნენ, თითქოს დიდი ხანძარია და საგანგაშოსა

სცენენო. ავტომანქანების მძღოლები როგორღაც დამთხვეულებივით იქცეოდნენ. არად აგდებდნენ შუქნიშნებს, ფეხით მოსიარულეთა სიგნალებს, პოლიციელებსა თუ სხვა ავტომანქანებს. დიახ, მანქანები შეზარხოშებულებივით, საოცრად თვითნებურად მოძრაობდნენ და ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე შუა ქუჩაშიც უხვევდნენ. ზოგს პირდაპირ გზაჯვარედინზე მიეტოვებინა მოტორჩართული და კარღია მანქანა. პრეზიდენტის მკვლელობის ინფორმაციას კიდევ სხვა ცუდი ამბავი რომ დართოდა, მაგალითად, ლინდონ ჯონსონის მკვლელობა ან იაპონიიდან მომავალი მთავრობის წევრებით სავსე თვითმფრინავის გაქრობა, საზოგადოების ვამწარებულ რეაქციას შეეძლო ყოველგვარი კონტროლი დაეკარგა. ახლა, როცა ამ ამბების რეტროსპექტრულ ანალიზს ვაკეთებთ, რასაკვირველია, ასეთი ვარაუდი თავისთავად აბსურდად ვეეჩვენება, მაგრამ 1963 წლის 22 ნოემბერს პრეზიდენტის მკვლელობის შესაძლებლობაც არანაკლებ აბსურდად გამოიყურებოდა.

სენატორ იუჯინ მაკარტის შინამოსამსახურე ქალმა ბარგის ჩალაგებაც კი დაიწყო, სავსებით დარწმუნებულმა, რომ საშიშროება ემუქრებოდა დემოკრატიული პარტიის ყველა წევრს. სამხრეთ ამერიკაში დაბადებული ეს ქალი, პოლიტიკური გადატრიალებების კატეგორიებით მსჯელობდა. თუმცა საშიშროება ისეთმა ადამიანებმაც გამოთქვეს, როგორიც იყო შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე ბილ პოზენი. შიში სავსებით დასაბუთებული გახლდათ და მას სხვა გამოცდილი მოღვაწენიც იზიარებდნენ. სახელმწიფო მდივნის მოადგილემ ჯორჯ ბოლმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) დირექტორს ჯონ მაკოუნს სწორედ იმ დროს დაურეკა, როცა იგი რობერტ კენედის ვილა ჰიკორი ჰილში მიემგზავრებოდა. ბოლმა ურჩია მაკოუნს:

— საჭირო იქნება თქვენი ზედამხედველთა კომისიის თავშეყრა.

— ეს უკვე გავაკეთეთ, — მოკლედ მიუგო ცსს-ს დირექტორმა.

ამ კომისიის შემადგენლობაში შედიოდნენ კონტრდაზვერვის ყველაზე გამოცდილი თანამშრომლები. რამდენიმე დღის განმავლობაში და შემდეგაც მათ თვალმოუხუჭავი მორიგეობა ელოდათ. უურადღებით უნდა გაეანალიზებინათ საზღვარგარეთული წარმოშობის წყაროები, რათა დაედგინათ, შეიძლებოდა თუ არა ეს დანაშაული საზღვარგარეთელი აგენტების ნახელავი ყოფილიყო.

პენტაგონში ფხიზლად იყვნენ თავდაცვის მინისტრი მაკნამარა და შტაბების უფროსები. გენერალ ტეილორთან და შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის წევრებთან მოკლე თათბირის შემდეგ მაკნამარამ გადაწყვიტა განეგრძო მოლაპარაკება დასავლეთ გერმანიის სამხედრო დელეგაციასთან. გენერალ ტეილორს განსაკუთრებით კარგად ესმოდა რამდენად მნიშვნელოვანი იყო გარე სამყაროსათვის აშშ-ში შექმნილი ვითარების წარდგენა. მისი ღრმა რწმენით, ყოვლად დაუშვებელი იყო, ბონელ სამხედრო წარმომადგენლებს ეგრძნოთ დატრიალებული ტრაგედიის მთელი სიღრმე მანამ, ვიდრე თვითონ უფრო ამომწურავ ცნობებს არ მიიღებდნენ. 14 საათსა და 30 წუთზე ტეილორი და მისი კოლეგები კვლავ ოქროს დარბაზში დაბრუნდნენ. გენერალმა მოკლედ აუწყა დასავლელ გერმანელებს პრეზიდენტ კენედის დაჭრის ამბავი. გენერალმა ფრიდრიხ ფერჩმა, თავისი დელეგაციის სახელით გამოთქვა რწმენა, რომ პრეზიდენტის ჭრილობა სიცოცხლისათვის უსაფრთხო იქნებოდა და პრეზიდენტი მალე განიკურნებოდა. ამერიკელმა გენერლებმა უპასუხოდ დატოვეს გერმანელთა ეს სურვილი და მომდევნო ორის საათის განმავლობაში აჩვენეს საკუთარი თავის ფლობისა და თავდაჭერილობის უჩვეულო ნიმუში. ამერიკის შეიარაღებულ ძალთა მეთაურებს კარგად ესმოდათ, რომ გამორიცხული არ იყო ომის აჩრდილის გამოჩენა იმ ოთახში, სადაც ეს მოლაპარაკება მიმდინარეობდა. ყოველივე ამის მიუხედავად, ისინი კვლავ განაგრძობდნენ მოსაწყენ წვრილმანებზე მსჯელობას, კომენტარს უკეთებდნენ გერმანელი გენერლების წინადადებებს, ხელის აუკანკალებლად აქეთ-იქით აწყობდნენ მაგიდაზე გაფენილ სხვადასხვა ქაღალდებსა და დირექტივებს. ეს იყო ნამდვილი წამება, თვით ესოდენ დისციპლინირებული ადამიანებისთვისაც კი.

განსაკუთრებით გაუჭირდა გენერალ ტეილორს — ამ მოლაპარაკების ხელმძღვანელს. მისი დანიშვნა შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის თავმჯდომარის პოსტზე გახლდათ პირდაპირი შედეგი პრეზიდენტ კენედისა და ტეილორის უშუალო სიახლოვისა. ომის დაწყების შემთხვევაში სწორედ მას უნდა მიეღო პირველი სამხედრო გადაწყვეტილება. ახლა კი მდგომარეობა აიძულებდა გაჭიმული მჯდარიყო მაგიდასთან და ისე დაეჭირა თავი, თითქოს ფრიად დაინტერესებულია საინტენდანტო სამსახურისა და შტაბე-

ბის ურთიერთდამოკიდებულებათა საკითხების გარჩევით. თათბირი ზუსტად განრიგის მიხედვით 16 საათსა და 30 წუთზე დამთავრდა. ამერიკელი შტაბების უფროსები ერთბაშად წამოდგნენ. გენერალმა ტეილორმა საოცრად მშვიდი ხმით წარმოთქვა:

— სამწუხაროდ, უნდა მოგახსენოთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი მოკლულია.

შეშფოთებული გერმანელები, მათი სტოიცისტური გაწვრთნილობის მიუხედავად, თავიანთ საკარძლებში ჩაიკეცნენ.

ამ დროისათვის დედაქალაქის ავტომატური სატელეფონო ქსელის კომპანიამ აღადგინა ნორმალური სატელეფონო კავშირი. ინდივიდუალური აბონენტები არასოდეს წასწყდომიან ამგვარ გართულებებს და მას, ბუნებრივია, პრეზიდენტის მკვლელობას უკავშირებდნენ. საჭირო არ იყო წარმოსახვის განსაკუთრებული ნიჭი, რათა იმ დროს, ანუ 14 და 16 საათებს შორის ქვეყანა დივერსანტთა ურდოებით ამოვსებულად წარმოედგინა, სატელეფონო კავშირს გულდაგულ რომ აზიანებდნენ. კავშირგაბმულობის ამ კრიზისის განსაკუთრებული თვისება ის გახლდათ, რომ იგი ეხებოდა ყოველი რანგის აბონენტს, მდგომარეობის განურჩევლად. კომუტატორების ფარზე მოციმციმე ნათურები ტელეფონისტი ქალისათვის სავსებით ერთნაირია, ხოლო ავტომატური სატელეფონო სადგურებს უნარი არ შესწევთ გააფთრებული სენატორის ზარი ბავშვის ზარისაგან განასხვაოს. წარმოუდგენელად გადატვირთული იყო ხაზი ტეხასსა და დედაქალაქს შორის. ამერიკის შეერთებული შტატების მთელი დასავლეთი ნაწილის სატელეფონო არხები ვაშინგტონის განკარგულებაში იყო მოქცეული და მაინც დალასის საქალაქთაშორისო კავშირის ყველა თვრამეტივე არხი მეტისმეტად გადატვირთული გახლდათ. განუწყვეტლივ მუშაობდა არტ ბეილსის მიერ რეკვიზირებული პარკლენდის ჰოსპიტლის ყველა ტელეფონი. თვით თეთრი სახლის საკომუნიკაციო ცენტრიც კი დროებით პარალიზებული იყო. ამ ცენტრის მეკავშირეებს, ესოდენ მცირე შესაძლებლობით, არასოდეს გაუკეთებიათ ესოდენ ბევრი. მათ, რასაკვირველია, ესმოდათ, რომ მიზეზი ხაზების არნახული გადატვირთვა იყო. სამწუხაროდ, იმ განსაკუთრებული ვითარების გამო, რამაც ეს კრიზისი გამოიწვია, მათ არ შეეძლოთ იმ ადამიანების დამშვიდება, ვინც ნაკლებად ერკვეოდა კავშირგაბმულობის მექანიზმში.

რობერტ კენედი დალასში გასაფრენად ემზადებოდა, როცა აუწყეს, რომ ის მშვენიერი სამყარო, რომელსაც იცნობდა და უყვარდა, უკვე აღარ არსებობდა. რობერტის მეუღლე ეტელი განზე იდგა და ხელებს ისრესდა. ოთახში ჯონ მაკოუნი შემოვიდა.

— თქვენთვის ცნობილია, რამდენად სახიფათოა ჭრილობა? — იკითხა მან.

— არა, — უპასუხა კენედიმ. იგი ნაღმოსანი კატარღის, „პტ — 109“ გამოსახულებიანი ქინძისთავით ჰალსტუხს იმაგრებდა. კატარღაამოტვიფრული მინიატურული ეს ოქროს სამაგრი „ახალი ზღუდეების“ პოლიტიკის სიმბოლო გახლდათ. — თქვენ რა, იცით რამე?

უეცრად საწერ მაგიდაზე მდგარი მთავრობის ტელეფონი აწკრიალდა. რობერტი აპარატისკენ გაქანდა.

— ო, იგი მოკვდა, — შეჰყვირა მან.

— საწყალი ბავშვები, — ტირილით ჩაილაპარაკა ეტელმა.

— მან შესანიშნავად იცხოვრა, — თქვა კენედიმ.

შემდგომ, რობერტ კენედის მეუღლემ ეს პასუხი გამოყო, როგორც ყველაზე დიდი შთაბეჭდილების მომხდენი, რადგან რობერტს იმ შავბნელ წუთებშიც ჰქონდა უნარი კაშკაშა, მზიანი დღეების დანახვისა.

მაკოუნი განცვიფრებული იყო, როგორ წარბის შეუხრელად გაუძლო ამ საშინელ წამებას, ყველაზე მკაცრი გამოცდას, რაც კი შეიძლება ადამიანს შეხვდეს. იგი თითქოს გაქვავდაო. რა სათქმელია, ძმის სიკვდილის გაგონებამ საშინელი თავზარი დასცა, მაგრამ ერთი წუთითაც არ დაუკარგავს თავშეკავების უნარი.

მერე სამივენი კიბეზე დაეშვნენ და სახლის უკანა სადარბაზოსაკენ გაემართნენ. სასტუმრო ოთახის ფანჯრებთან გავლისას რობერტმა შიგ შეიხედა და ტელევიზორს მიჩერებული ნიუ-იორკელ პროკურორ მორგენტაუს ჩუმი ხმით უთხრა:

— იგი მოკვდა, — მერე ბობი აუზისკენ წავიდა. აუზთან ტელეფონმა დარეკა. ხაზზე კვლავ გფბ-ს დირექტორი ედგარ გუვერი იყო. ჯერ კიდევ ერთი წუთის წინ მან არაფერი იცოდა. ჰოდა აი, ახლა გაიგო ის მნიშვნელოვანი ამბავი, რის გამორკვევას ისე ცდილობდა.

— პრეზიდენტი გარდაიცვალა, — მოწყვეტით თქვა მან და ყურმილი დაკიდა.

გუვერს არავითარი თანაგრძნობა არ გამოუთქვამს. არც შეწუხება ემჩნეოდა დიდად. ჩვეულებრივ, არცთუ სიტყვაძუნწი გუვერი თავის უფროსს მეტად მშრალად და თავშეკავებით ელაპარაკა. ასეთ მკვეთრ ცვლილებას, ჰუმანურ მოსაზრებათა გამო, იმ დღეთა მღელვარებას თუ მიაწერს კაცი.

რობერტ კენედიმ ამ ამბების შემდეგ მთავრობის წევრად კარგა ცხრა თვეზე მეტ ხანს დაჰყო, მაგრამ გუვერს, ვისი კაბინეტიც კენედის სართულზევე იყო, არ უნებებია მასთან მისვლა და თავისი თანაგრძნობის გამოხატვა. გუვერის ერთ-ერთმა თანაშემწემ კენედის ფრიად მღელვარე წერილი მისწერა, ხოლო გფბ-ის სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების თანამშრომლებმა თანაგრძნობის გამომხატველი ბარათი გაუგზავნეს, მაშინ როცა მათი დირექტორი სფინქსივით დუმდა.

ამ უბედურების პირველ დღეებში ეტელ კენედი თავს განადგურებულად გრძნობდა. გონს მხოლოდ დასაფლავების შემდეგ მოეგო. ბობი კენედი მაშინვე საქმეებში ჩაეფლო. ჯერ კენ ო'დონელთან დალაპარაკება სცადა, რაც მაშინვე ვერ მოუხერხდა. მერე თავისი ოჯახის ხუთივე წევრი მოძებნა — ნიუ-იორკში თავისი დის ქმარს სტივ სმიტსა და ლონდონში ჟაკლინ კენედის დას ლი რაძივილს დაურეკა. ფიქრობდა დალასში გაფრენის აუცილებლობაზე, რათა იქ ჟაკლინს შეერთებოდა და მასთან ერთად გამოჰყოლოდა ძმის ცხედარს. რობერტმა ძმის სპეციალურ თანაშემწე მაკჯორჯ ბანდისთანაც კი მოასწრო საუბარი კენედის პირადი ქაღალდების თაობაზე. ბანდიმ, თავის მხრივ, სახელმწიფო დეპარტამენტის საშუალებით დაადგინა, რომ თუ პრეზიდენტი პოსტზე კვდება, მისი პირადი ქაღალდები ოჯახის კუთვნილებად იქცეოდა. ბანდიმ პრეზიდენტის სეიფის შიფრის შეცვლის ბრძანებაც აღარ დააყოვნა.

რობერტმა თითქოს კენედების ოჯახის წევრთა საქმიანობის წარმართვა იკისრა. ამ საშინელი განსაცდელის ჟამს ყველას თავისი შესაძლებლობის მიხედვით უნაწილებდა საქმეს. განუწყვეტლად რეკდნენ ტელეფონები. თანდათან იზრდებოდა ჰიკორი ჰილის ვილაში მომსვლელთა რიცხვი. გარეგნულად რობერტ კენედი უფრო მშვიდად გამოიყურებოდა, ვიდრე მასთან მოსული ადამიანები. მათი უმრავლესობა ანგარიშმიუცემელი იმპულსების კარნახით გამოქცეულიყო და ახლა ისიც აღარ იცოდნენ, რა ეთქვათ. აშშ-ის

უმაღლესი სასამართლოს წევრი ბაირონ უაიტი ბობის მხარს შეეხო და დაბნეულად ჩაილაპარაკა:

— ძნელი გასაგებია, როგორ შეიძლებოდა ეს მომხდარიყო, — და შეუმჩნევლად გაშორდა.

— სიტყვები ვერ მიპოვია, — ტაშის შემოკვრით წარმოთქვა საფრანგეთის ელჩის მეუღლემ ნიკოლ ალფანმა, მაგრამ შემდეგ როგორც ეს ვაშინგტონის ერთ-ერთ ყველაზე სტუმართმოყვარე და თავაზიან დიასახლისს შეეფერებოდა, მაინც მონახა ორიოდ სიტყვა: — გამაგრდით, ახლა თქვენა ხართ გვარის ხელმძღვანელი. მთელი იმედი თქვენზეა.

ბობიმ პასუხად თავი დააქნია, თუმცა ვერც კი მიმხვდარიყო, რატომ ეახლა მას საფრანგეთის ელჩის მეუღლე, მაგრამ თავაზიანობის გამო თავი ისე მოაჩვენა, თითქოს მისდამი დიდი მოწიწებით იყო აღვსილი. იგი თვით ამ სიტუაციაშიც კი დიპლომატი უნდა ყოფილიყო, ჰოდა აკი იყო კიდეც. ზოგიერთ თავის მეგობართან დამოკიდებულებისას ისე იქცეოდა, თითქოს მათი განცდებით უფრო იყო შეწუხებული, ვიდრე თავისით.

სხვათა შორის, ასევე ეჭირა თავი ჟაკლინ კენედისაც, რამაც ბევრზე გამაოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ჩვენ არა გვსურს დაღვრემილ სახეთა ცქერა, — მშვიდად განუცხადა რობერტმა ერთ-ერთი კომისიის ხელმძღვანელს.

გუვერთან სატელეფონო საუბრიდან სულ რაღაც ათი წუთის შემდეგ რობერტი თითქოს სხვათა შორის მიესალმა თავის თანაშემწე ედვინ გუტმანსა და ჰკითხა:

— როგორა ხარ?

— ცუდად, — უპასუხა გუტმანმა თავშეკავებით.

— ნუ დარდობ.

— ძნელია.

კენედიმ იგი გვერდზე გაიხმო.

გუტმანმა უამბო ბობის, თუ როგორ შიშს გამოთქვამდა სკელტონი პრეზიდენტის დალასში გამგზავრების გამო. ბობიმაც გაიხსენა, — ხშირად მეც ვშიშობდი შესაძლებელ თავდასხმაზე, მაგრამ თვითონ პრეზიდენტი ამაზე ფიქრს არასოდეს შეუწუხებიაო. ორთავე ძმის აზრით, თუ რომელიმე ფანატიკოსი თავდასხმას შეეცდებოდა, იგი უფრო რობერტს აირჩევდა, ვიდრე ჯონს.

მძიმე განცდების მიუხედავად, ადამიანთა ფიქრები ხშირად სცილდებოდა მათი საკუთარი ბედის საზღვრებს. ამ მძიმე დანაკლისით შეფოთებულნი ახლა იმაზეღა ფიქრობდნენ, როგორ მოხერხდებოდა ამ დანაკლისის შევსება.

— რა მოუვა ახლა ჩვენს ქვეყანას?

ამ სიტყვებით მიმართა ეტელ კენედის ჰიკორი ჰილში სამძიმარზე მოსულმა ერთ-ერთი საპრეზიდენტო კომისიის ხელმძღვანელმა დინ მარკჰემმა.

ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი პრეზიდენტი ეიზენჰაუერიც მარკჰემის მსგავსად ამერიკის ბედზე ფიქრობდა. იხსენებდა საკუთარი ცხოვრების გზაზე მომხდარ ამბებს. მოაგონდა 1948 წელი, როცა კოლუმბიის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკში) პრეზიდენტად გახდომის შემდეგ ცეცხლმსროლელი იარაღის ტარების უფლება ითხოვა. ღამღამობით ხშირად უხდებოდა ცენტრალური პარკის გადაჭრა და ჯიბეშიაც ერთთავად პისტოლეტი ედო, რათა მოსალოდნელი თავდასხმისაგან თავი დაეცვა. თავდასხმა ხომ ამერიკის მოქალაქეს ყოველ ნაბიჯზე ემუქრება. გაიხსენა უფრო შორეული წარსულიც; ოცდაათიანი წლები, როცა ჯერ კიდევ ჭაბუკი მაიორი, ერთ მშვენიერ მზიან დღეს ჰაიტის დედაქალაქ პორტ-ო-პრენსის ქუჩებში სეირნობდა და ნაციონალური სასახლის დარბაზში ამოჰყო თავი. სასახლის კედლები სახელმწიფოს ყოფილ მეთაურთა ბიუსტებით იყო დამშვენებული. თითოეული სკულპტურის ქვეშ გაკრული წარწერის წაკითხვის შემდეგ ეიზენჰაუერმა გამოიანგარიშა, რომ იქ წარმოდგენილ ჰაიტის პრეზიდენტთა ორი მესამედი მოკლული იყო პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების დროს. „რა ველური ქვეყანაა, — ფიქრობდა იგი, — ექიმბაშებისა და მხეცურ ჩვევათა ქვეყანა, როგორ არა ჰგავს ეს ველური ჰაიტი ჩემს სამშობლოს“. სამწუხაროდ, ახლა ეს რწმენა უკვე აღარა ჰქონდა და გულიც საოცრად დამძიმებოდა. მათ შეეძლოთ არ ეფიქრათ ხვალინდელ დღეზე. მაგრამ აშშ-ის ფედერალურ მთავრობას არ შეეძლო ასეთი უფლება მიეცა თავისათვის. მისი ცალკეული წევრები უკვე მკითხაობდნენ, როგორი იქნებოდა თეთრი სახლის ახალი მეპატრონის ხასიათი.

ვიდრე ლინდონ ჯონსონი ვიცე-პრეზიდენტის ნაკლებად შესამჩნევ თანამდებობაზე გაძვრებოდა, კონგრესში იგი საკმაოდ მნიშვნე-

ლოვანი ფიგურა გახლდათ. კონგრესში ჯონსონს პატივსა სცემდნენ, მაგრამ თეთრ სახლში მყოფი ადამიანებისათვის იგი გამოცანა გახლდათ.

იმ ხუთი წუთის განმავლობაში, ვიდრე მაკოუნი ცსს-ს შენობიდან ჰიკორი ჰილის ვილაში მივიდოდა, გონებაში ყველა ცნობა შეაჯამა, რაც კი საერთოდ ამ ახალი პრეზიდენტის გარშემო იცოდა. მაგრამ ამ ანგარიშის ჯამი ნულს დიდად არ აღემატებოდა. მაკოუნს შიშს გვრიდა ახალი ხელმძღვანელობის პერსპექტივა.

ნოხებით მოფენილ სახელმწიფო დეპარტამენტის კაბინეტში მჯდარი ლუელინ ტომპსონი ფიქრებში ჩაძირულიყო. აინტერესებდა, რა უნარის მქონე იყო ჯონსონი საერთაშორისო ურთიერთობათა სფეროში. ტომპსონი მთავარ ექსპერტად ითვლებოდა საბჭოთა კავშირის ხაზით. დროთა მსვლელობაში იგი მიეჩვია, რაც შეიძლება მეტად დაყრდნობოდა ჯონ კენედის აზრს. პრეზიდენტს მიზნად ჰქონდა მთლიანად და ძირფესვიანად გარკვეულიყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ყოველ წვრილმანში.

ტომპსონის აზრით, პრეზიდენტის წარმატებანი ამ სფეროში ფრიად განსაცვიფრებელი იყო. მოგვიანებით ტომპსონმა განაცხადა:

— მან ჩემგან ამოწურა ყველაფერი, რაც კი საერთოდ ამ საკითხის გარშემო ვიცოდი. იმ იშვიათი შემთხვევების დროსაც კი, როცა ჩვენ შორის შეუთანხმებლობა იჩენდა თავს, ბოლოს მაინც ის გამოდიოდა მართალი და არა მე.

და აი რაღაც ერთ წამში მთელმა ამ სიბრძნემ არსებობა შეწყვიტა. ახალ პრეზიდენტს არა ჰქონდა სხვა ქვეყნების მიმართ ის ყოვლისმომცველი ინტერესები, რითაც ასე გამოირჩეოდა მისი წინამორბედი.

გენერალ ტეილორის მღელვარებას უფრო საჭირბოროტო ხასიათი ჰქონდა. ოქროს დარბაზში გერმანელებთან გამართული მოლაპარაკებისას მან სრულიად მშვიდი კაცის ნიღაბი აიფარა და გულგრილად ფურცლავდა ნატოს ცხრილებსა თუ წინადადებებს, მაშინ როცა აშშ-ის შტაბების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის ეს თავმჯდომარე ერთიანად დუღდა. ამ უზომო მღელვარების მიზეზი გახლდათ დალასში წაღებული ფარული დოკუმენტების ლითონის ჩემოდანი. ჩემოდანი მთელი და ხელუხლებელი იყო. გენერალს შეეძ-

ლო თავისი მეკავშირეების იმედი ჰქონოდა. სჯეროდა, ჩემოდანზე პასუხისმგებელ „ტომრიან კაცს“ ახალი პრეზიდენტის სიახლოეს ამყოფებდნენ. მთავარი სიძნელე ის გახლდათ, რომ ჯონსონს ოდნავი წარმოდგენაც არა ჰქონდა, რა იყო ამ ჩემოდანში. მან, რა თქმა უნდა, იცოდა ამ ჩემოდნის არსებობა, მაგრამ მისი შიგთავსის შინაარსი მისთვის უცნობი იყო. ასე რომ, იმ საღამოს ტოტალური ომის მეხი რომ გავარდნილიყო, აშშ-ის საპასუხო დარტყმების მთელი არსენალი უმოქმედო აღმოჩნდებოდა მანამ, ვიდრე ახალი პრეზიდენტი თეიზველ შეპარდის ანბანურ ჭეშმარიტებებს გაეცნობოდა, თეიზველ შეპარდი კენედის. ადიუტანტი იყო სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხაზით.

ის ამბავი, რომ ჯონსონმა არ იცოდა, რა იყო ჩემოდანში, რომელსაც „ტომრიანი კაცი“ გირჰარტი იცავდა, ისეთივე რეალური ფაქტი იყო, როგორც ის სიძნელეები, რასაც გირჰარტი პარკლენდის ჰოსპიტალში ყოფნისას წააწყდა, კერძოდ, ვიცე-პრეზიდენტის დაცვის აგენტებთან ურთიერთობის. დამყარებისას. პრეზიდენტის მკვლელობა არ იყო სახელმწიფოზე უეცარი თავდასხმის სიგნალი. ამიტომაც ამ სახიფათო უყურადღებობას დამღუპველი შედეგები არ მოჰყოლია, თუმცა ამ ამბისაგან გამომდინარე მორალი ვეება ასოებით ამოიკვეთა ისტორიის ფურცლებზე.

ლუელინ ტომპსონის ეჭვები სულ სხვა ხასიათისა გახლდათ. მათ საბუთიანობაზე შეუძლიათ იმსჯელონ იმათ, ვინც მიზნად დაისახავს ჯონსონის საგარეო პოლიტიკის გაანალიზებას. ეს წიგნი ეხება იმ მოკლე, გარდამავალ პერიოდს, როცა ჯონსონი სახელმწიფოს სათავეესთან მივიდა და ამიტომ მას ამგვარი ანალიზის შესაძლებლობა არა აქვს. იქნებ, ტომპსონის შიში სრულიად უსაფუძვლოც იყო. იგივე ითქმის მაკოუნზედაც, რაც მომდევნო წლის გაზაფხულზე მან გულახდილად აღიარა კიდეც. ჯონსონმა ამ დროისათვის, უფრო სწორად, დედაქალაქში დაბრუნებისთანავე, განსაცვიფრებელი სიმტკიცით აიღო ხელში მართვის სადავეები.

დალასში ყოფნისას კი, მოგეხსენებათ, ამის თავი არა ჰქონდა და ვერც შეძლო. მის გარშემო არსებული ვითარება საკუთარ ეწინააღმდეგებოდა ხელისუფლების ასე უეცრად შეცვლას. ლავ ფილდის აეროდრომზე ყოფნისას ჯონსონის შესაძლებლობათა მასშტაბები მეტად შეზღუდული იყო. ჯეკ ვალენტის თვითმფრინავში შეს-

ვლის დროს ახალი პრეზიდენტის ყურადღება ტელევიზორის ეკრანისკენ იყო მიმართული. ჯონსონი იმედოვნებდა, კომენტატორი უოლტერ კრონკაიტი მომხდარი ამბების საიდუმლოებაში გაარკვევდა.

ცხოვრებაში იქმნება სიტუაციები, როცა წვრილმან დეტალებზე დაყრდნობით მაშინვე შეიძლება მოვლენათა მთელი სურათების შექმნა. ეს, რასაკვირველია, დაზვერვის ამოცანაა. ეჭვგარეშეა, ასეც მოხერხდებოდა, პრეზიდენტი ბრწყინვალედ მოწყობილი ოპერატიული განყოფილების მქონე თეთრ სახლში რომ მოეკლათ. მაგრამ დალასში არ არსებობდა სიტუაციის შემფასებელი ოპერატიული განყოფილება. იქ მხოლოდ სიტუაცია იყო. თვით იმის შემდეგაც კი, როცა პრეზიდენტ კენედის სამხედრო ადიუტანტმა, ტედ კლიფტონმა ჯონსონის ლავ ფილდის აეროდრომზე გამგზავრება შენიშნა, ვერ შეძლო ამ ამბის ვაშინგტონისათვის შეტყობინება, რადგან ბეილსმა ვერ მოუხერხა კავშირგაბმულობის დახურული არხის გადაცემა.

ჯონსონმა ტელეგადაცემიდან ახალი რომ ვერაფერი გაიგო, რაღაც შვება იგრძნო და ტელევიზორს მოშორდა. საერთოდ პერსპექტივა არცთუ ისე საშიში ეჩვენა, როგორსაც საკუთარი წარმოსახვა უქმნიდა. თუ, რა თქმა უნდა, თვით კომენტატორებმა იცოდნენ რამე. ნამდვილად კი ბევრი რამ ხდებოდა ისეთი, რაზედაც არც კრონკაიტს და არც ჯონსონს ეჭვიც არა ჰქონდათ. სცენაზე გამოჩნდა ბორტმოქმედების საიდუმლოების გასაღები, თუმცა მისი მნიშვნელობა მაშინვე ვერავინ შეაფასა.

ოცი წუთით ადრე, ვიდრე ჯონსონი და მისი თანმხლებნი თვითმფრინავში ავიდოდნენ, წიგნების საწყობიდან ორი მილის დაშორებით მოკლულ იქნა პოლიციელი ჯ. დ. ტიპიტი. ორმოცი წუთი დასჭირდა, სანამ ამ მკვლელობის მნიშვნელობაზე ვინმე ჩაფიქრდებოდა.

პრეზიდენტის თვითმფრინავში კი ვითარების გაგების სურვილი თანდათან ძლიერდებოდა, თუმცა სურვილი კვლავ დაუკმაყოფილებელი რჩებოდა. ამ მხრივ ლავ ფილდის აეროდრომზე საქმე უფრო ცუდად იყო, ვიდრე პარკლენდის ჰოსპიტალში. აეროდრომზე დარჩენილმა პრეზიდენტ კენედის ზურგის სამსახურმა არაფერი იცოდა, როგორ ვითარდებოდა მდგომარეობა ჰოსპიტალში. ყველაზე

უკეთ ინფორმირებულებსაც კი 12 საათსა და 30 წუთის შემდეგ ფრიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ პრეზიდენტის კორტეჟის მოძრაობაზე. როი კელერმანის მიერ გადმოცემული საშიშროების სიგნალი და რობერტ იანგბლადის ბრძანება ჯონსონის დაცვის თაობაზე გახლდათ ის უკანასკნელი ცნობები, რაც მათ თვითმფრინავის ბორტზე დალასიდან რადიოთი მიიღეს. ამის შემდეგ პრეზიდენტის თვითმფრინავის რადიომიმღებმა „ჩარლიმ" საერთოდ შეწყვიტა მიღება.

პოლკოვნიკი სუინდალის პირადი ვარაუდის მიხედვით, მოხდა რაღაც განსაკუთრებული, მაგრამ ზუსტად მაინც. არაფერი იცოდა. მფრინავს მაშინვე ედლაი სტივენსონზე თავდასხმის ამბავი გაახსენდა და გაიფიქრა, უთუოდ მუშტი-კრივი გაიმართაო. ხოლო შემდეგ, როცა პრეზიდენტის ადიუტანტმა სამხედრო-საჰაერო ძალების ხაზით, გენერალმა მაკჰიუმ დაურეკა და უბრძანა, ენდრიუსის აეროდრომზე გასაფრენად მოემზადეო, სუინდალმა აზრი შეიცვალა. ალბათ, პრეზიდენტის დაზიანებულმა ზურგმა ვერ გაუძლო მგზავრობის სიძნელეებს და ახლა არმიის უოლტერ-რიდის ჰოსპიტალში ან ბეტესდეს სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალში უპირებენ საჩქაროდ გადაყვანასო. ვინაიდან „ჩარლის" კავშირგაბმულობის სისტემამ მუშაობა შეწყვიტა, ხოლო ის სამხედრო მეკავშირეები, რომელთაც უფრო რთული დანადგარების გამოყენება შეეძლოთ, აეროპორტის რესტორანში იყვნენ გასულები (არავის გახსენებია თვითმფრინავის ბორტზე იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლისა და ასოშიეიტედ პრესის სატელეგრაფო სააგენტოების მიერ დადგმული ტელეტაიპი). სუინდალმა თვითმფრინავის სალონის ტელევიზორით სარგებლობა გადაწყვიტა. სალონში მას სერჟანტი აირესი, პრეზიდენტის კამერდინერი — ჯორჯ ტომასი და სელინჯერის მისაღების ორი მდივანი ქალი დაუხვდა.

კატასტროფის ნამდვილი მასშტაბების გაგონებისთანავე ორთავე ქალი გაუჩინარდა. თავზარდაცემულმა სუინდალმა ეკრანს ზურგი აქცია, აირესი კი თითქოს გიჟიაო, ისე ატრიალებდა ტელევიზორის სახელურს, ვიდრე, როგორც ეს შემდეგ განმარტა, „ჩინებულ გამოსახულებას" არ მიაღწია. აი სწორედ ამ არეულობის დროს,

სრულიად მოულოდნელად, მოადგა ჯონსონი პრეზიდენტის თვითმფრინავის ტრაპის საფეხურს; მისი შემოსვლის დროისათვის ეკიპაჟმა სალონის დაცლაც კი ვერ მოასწრო. სუინდალმა ძლივს მოახერხა ძირს ჩასვლა და წესისამებრ მისალმება. ჯონსონი არ გაუკვირვებია მთელი ძალით აყვირებულ ტელევიზორს, სამაგიეროდ, ტელევიზორის მაცქერალთ ჯონსონის გამოჩენა ყოვლად უადგილოდ ეჩვენათ. საოცრად დაბნეულებმა მაშინვე თვითმფრინავის ნაკვეთურებს შეაფარეს თავი. ზოგი ასაფრენ მინდორზედაც კი გავიდა. მაკჰიუს ბრძანების თანახმად, დაუყოვნებლივ შედგომოდა აფრენისათვის მზადებას, სუინდალმაც მაშინვე გამოთიშა ჰაერის საკონდენსაციო დანადგარები და თვითმფრინავის კაბინაც უმალვე ცეცხლმფრქვეველ ღუმელად იქცა.

დასასრულს უახლოვდებოდა რუფუს იანგბლადის ისტორიული საათი. მოვლენათა არანორმალურმა მსვლელობამ, პანიკისა და გაუბედაობის წარმოქმნამ, ცოტა ხნით შეწყვიტა ქვეყნის ცხოვრების ჩვეული მიმდინარეობა. რაკი ახალმა პრეზიდენტმა თავი სამშვიდობოს იგულა, საიდუმლო სამსახური კვლავ კულისებს უნდა შეფარებოდა.

ჯონსონისათვის უშიშროების გარანტიამ დალასის ორომტრიალის გამოშორებისთანავე იმატა. თვითმფრინავის ტრაპზე ასვლა კი საშიშროების დასასრულს ნიშნავდა. მხოლოდ ამ ქალაქში დაბრუნებას შეეძლო ისევ დაეყენებინა მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშ. მაგრამ იგი სულაც არ აპირებდა მზით განათებულ დალასის ქუჩებში ჩასაფრებულ უხილავ ძალებთან შებმის რისკის გაწევას. ჯონსონი გვარიანად იყო შეშინებული. ათი თვის შემდეგაც კი, როცა გახურებული საარჩევნო კამპანიის დროს ჯონსონს ამერიკული ლეგიონის ნაციონალურ ყრილობაზე დალასში გამოსვლა სთხოვეს, უარი განაცხადა. მან ლეგიონისა და ქალაქის ლიდერების განაწყენებასაც კი არ გაუწია ანგარიში.

დალასის გარეუბანში მდებარე ლავ ფილდის აეროდრომი ახლა გიგანტურ ნაბიჯს წარმოადგენდა თავშესაფრისკენ მიმავალ გზაზე. შეიძლება ითქვას, რომ ელმ-სტრიტზე დაწყებული იანგბლადის „პროტექტორატი“ დამთავრდა მაშინ, როცა „ანგელოზის“ სალონში შესულმა იანგბლადმა ჯონსონის ოჯახის თეთრ სახლში დაუყოვნებლივ გადაყვანის საკითხი წამოჭრა.

იანგბლადი აშკარად გასცდა თავის უფლებებს, მაგრამ მისთვის ეს წინადადება სიფრთხილის ერთ-ერთი ზომა იყო მხოლოდ. ჯონსონმა კი მასში სხვა ნიშნებიც შეამჩნია. 13 საათსა და 45 წუთზე ჯონსონი უკვე მყარად იდგა ფეხზე. თავდაპირველად იანგბლადი თვითმფრინავშიაც განაგრძობდა პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწის კენ ო'დონელის ფუნქციების შესრულებას. ემორი რობერტსი და ვიცე-პრეზიდენტის დაცვის სხვა აგენტები მის ერთგვარ აპარატსღა წარმოადგენდა.

იანგბლადმა აგენტ ლემ ჯონსს უბრძანა, თვითმფრინავის ეკიპაჟი ვიცე-პრეზიდენტის მრჩეველთათვის გაეცნო, ბორტგამყოლების დახმარებით შეედგინათ მგზავრთა სია, თვითმფრინავის გაფრენა კი კენედის ცხედრისა და მისი ქვრივის მოსვლამდე დაეყოვნებინათ. პირველი ბრძანება არსებითი ხასიათისა გახლდათ. ეკიპაჟი მხოლოდ ლედი ბიორდის იცნობდა და ისიც გაზეთების საშუალებით. ჯონსონის სხვა თანმხლებნი მათთვის სრულიად უცნობი იყვნენ. საქმეს ისიც ართულებდა, რომ ახალმოსულთა შორის ზოგმა ისიც არ იცოდა, საერთოდ რომელ თვითმფრინავში იმყოფებოდა. ვიცე-პრეზიდენტის მთავარ თანაშემწეს ლიზ კარპენტერს, მაგალითად, ეგონა, რომ იგი 86970 თვითმფრინავში ავიდა.

ჯონსონის უახლოეს თანმხლებ პირებს ჯერ კიდევ დაღამებამდე ელოდათ ქვეყნისათვის ცნობილ ადამიანებად ქცევა, მაგრამ ჯერ თვითმფრინავში ლემ ჯონსს უნდა გაეკაფა მათთვის გზა. ერთ-ერთი პირველი ამოცანა, რომლის გადაწყვეტაც ლემ ჯონსს მაშინვე მოუხდა, გახლდათ პასუხი ლავ ფილდი აეროდრომის საკონტროლო-სანავიგაციო კოშკიდან მოსულ სასწრაფო შეკითხვაზე. აეროდრომის დისპეტჩერები იტყობინებოდნენ, რომ „საკუთარ თვითმფრინავში მჯდარი ვინმე ბ-ნი ბილ მოიერსი აეროდრომის თავზე ფრენდა და დაჯდომის ნებართვას ითხოვდა“. სუინდალის ეკიპაჟის არც ერთ წევრს მანამდე ეს სახელი არ გაეგონა. ლემ ჯონსმა დისპეტჩერები დაარწმუნა, ჯონსონი იცნობს ამ კაცსო. თავისი მოწმობის წარდგენით ჯონსმა უთავდება მოიერსს.

— იცით თუ არა, რომ ჩვენ ქალბატონ კენედის ველოდებით?— ჰკითხა ჯონსმა სუინდალს. მფრინავმა ამის თაობაზე, მართლაც, არაფერი იცოდა. — სად აპირებთ კუბოს მოთავსებას? — განაგრძობდა დაკითხვას ჯონსი. სუინდალმა, რა თქმა უნდა, ვერც ამაზე

გასცა პასუხი. ჯონსმა ტაქტიკურად შესთავაზა მფრინავეს ბორტგამყოლებისათვის თვითმფრინავის კუდის მხრიდან სკამების გამოტანა დაევალებინა.

— კი მაგრამ, სად უნდა წავიღოთ იქედან გამოტანილი სკამები? — იკითხა განცვიფრებულმა პოლკოვნიკმა.

— გადავიტანთ მეორე თვითმფრინავში, — იყო პასუხი. სუინდალი იძულებული გახდა, აირესი ეხმო და ბრძანების შესრულება დაევალებინა.

მათგან ორმოცდაათი ფუტის დაშორებით, აეროპორტის გალავანთან მყოფი ემორი რობერტსს ყურმილი ეჭირა და საოცრად მკაცრი ხმით შეკითხვებს იძლეოდა:

— ვიცე-პრეზიდენტი და ქალბატონი ჯონსონი თვითმფრინავში იმყოფებიან, სად არიან პრეზიდენტი და ქალბატონი კენედი?

ყველა იმ უცნაურ საუბართა შორის, რაც კი იმ პარასკევ დღეს გაიმართა, ყველაზე ფანტასტიკური მაინც რობერტსის საუბარი იყო: ცოლ-ქმარი ჯონსონები მზად არიან დატოვონ დალასი. რაღა აყოვნებთ ცოლ-ქმარ კენედებს?

რობერტსი ნამდვილად შესაბრალის მდგომარეობაში იყო. ეს მისია ფრიად არასახარბიელო გახლდათ. საქმე იმითაც რთულდებოდა, რომ საუბარს ვერ ახერხებდა, ტელეფონის ყურმილში პასუხად მხოლოდ გაურკვეველი და გამკივანი ხმები ისმოდა. მაგრამ რობერტსი არ ეპუებოდა. იგი კვლავ და კვლავ კრეფდა ნომერს ცდილობდა, რადაც უნდა დაჯდომოდა, როგორმე დალაპარაკებოდა. ვერავინ დაადგინა ცოლ-ქმარ კენედების ადგილსამყოფელი.

მაგრამ აი ჯონსმა, თვითმფრინავ 26000 კავშირგაბმულობის განყოფილებაში ისეთი რამ აღმოაჩინა, რომლის მნიშვნელობაც მომდევნო საათის მანძილზე კიდევ უფრო გაიზარდა. პოლკოვნიკ მაკნალის განკარგულებაში მყოფი ელექტრული სასწაულის წყალობით, თეთრი სახლის დაცვის უფროსმა ჯერი ბენმა შეძლო ვაშინგტონიდან პირდაპირი სატელეფონო ხაზით თვითმფრინავ „სსძ-1"-თან დაკავშირება. კავშირი განხორციელდა „შერატონ-დალასის" და „ტეხასის" კომუტატორების მეშვეობით.

კავშირგაბმულობის ამ ახალი რგოლით დედაქალაქის მთავრობა თავს დააღწევდა ტელევიზორის მონურ მორჩილებას. ამას გარდა მისი წყალობით შესაძლებელი გახდა ორმხრივი პირდაპირი კავში-

რის დამყარება თეთრ სახლსა და პრეზიდენტის თვითმფრინავს შორის.

ახალი პრეზიდენტი გათავისუფლდა იმ საოცარი გაშეშებისაგან, № 13 პალატაში რომ ერთიანად ბოჭავდა. იგი უკვე შეეგუა ძალაუფლების მქონე კაცის მდგომარეობას. თვითმფრინავში კუდის მხრიდან ასულ ჯონსონს, პრეზიდენტის საწოლის წინ, ვიწრო კორიდორი უნდა გაევლო. ჯონსონი როგორღაც შეყოყმანდა და სერჟანტ აირესს კორიდორშივე ჰკითხა:

— შეგვიძლია თუ არა რომელიმე სხვა ოთახით ვისარგებლოთ? — მერე ლედი ბიორდის მიუბრუნდა და ხმადაბლა განუმარტა: — ეს მათი პირადი აპარატამენტებია.

სწორედ ამ დროს ტელევიზორის დიქტორის ხმა გაიგონეს და სალონში შეეიდნენ. კრონკაიტის კომენტარებს მიჩერებულ ახალ პრეზიდენტს დახუთულ სალონში ოფლი ღვარად ჩამოსდიოდა, თან საშინლად სწყუროდა. ბორტგამყოლმა წყალი მოუტანა. ჯონსონმა ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა, მერე კენედისათვის მომარაგებული ორი ბოთლი მინერალური წყალიც მიაყოლა. ხელი არ უთრთოდა. ყველა უკვე პრეზიდენტად ქცეულ ჯონსონს მისჩერებოდა; გარშემო მყოფნი მალულად ზვერავდნენ მის ყოველ ჟესტს. ჯონსონი ეკრანისათვის თვალმოუშორებლად ახერხებდა ბრძანების გაცემას: რუფუს იანგბლადს შეახსენა — დაცვის აგენტებმა თვალყური ადევნონ ჟაკლინ კენედის მოსვლასო, აღერიცხათ მათი ყოველი მოქმედება, თან თავის თანაშემწეებთან და კონგრესმენებთან ფიცის ახლავე, დაუყოვნებლივ, დადების მიზანშეწონილობაზე მსჯელობდა.

ლედი ბიორდიც სალონში იყო. საწერი მაგიდის წინ ტახტზე იჯდა და ნერვულად ატრიალებდა მარგალიტის ყელსაბამს. ფიქრებით კი კვლავ იმდღევანდელ ამბებში ჩაძირულიყო, საკმაოდ არეულ-დარეულ სურათებად რომ ედგა თვალწინ; ლედი ბიორდი ხედავდა, როგორი შეშფოთებით სცემდა ბოლთას მისი ქმარი ტახტსა და სავარძელს შორის.

უეცრად პარკლენდის ჰოსპიტლიდან გადმოცემული ცნობაც გაიგონა — ჟაკლინ კენედი არ ტოვებს ქირურგიულ განყოფილებას გარდაცვლილი პრეზიდენტის ცხედრის გარეშეო. ჯონსონმაც მტკიცედ განაცხადა, — პრეზიდენტის თვითმფრინავი ადგილიდან არ და-

იძვრება, ვიდრე ჟაკლინი და კენედის კუბო თვითმფრინავში არ იქნებაო.

ტელევიზორის კვადრატულ ეკრანზე ახალი ცნობა გაჩნდა. პრეზიდენტი კენედი მოკლეს თოფიდან გასროლილი ტყვიითო. სალონში ყველას პერანგის საყელოები გაეღეღა და გაოფლილ სახეებს წამდაუწუმ იწმენდნენ. მხოლოდ ერთ ლედი ბიორდს ამცივნებდა. საოცრად მოკუნტულ ქალს ახლა ქმრის საუბრისათვის მიეგდო ყური. პრეზიდენტი ფიცის დადების ადგილის შერჩევაზე ზრუნავდა.

ჯონსონმა ამ საკითხშიაც მისთვის დამახასიათებელი ტაქტიკა მოიშველია. თავი ფრიად თავშეკავებულად ეჭირა და არავითარ პირად ვალდებულებას არ იღებდა. სხვათა აზრების გაგების მოსურნეს თავად საკუთარი აზრი არ გამოუთქვამს. ყოფილი მეზღვაურის, ჯეკ ბრუკსის აზრით, პრეზიდენტს ახლავე, დაუყოვნებლივ, უნდა დაედო ფიცი. ჰომერ ტორნბერმა უარყო ეს წინადადება — მოვიცადოთ ვაშინგტონში ჩასვლამდეო. ალბერტ ტომასმა ბრუკსს დაუჭირა მხარი.

— ვთქვათ, თვითმფრინავის გაფრენა დაგვიანდა, — ეუბნებოდა იგი ჯონსონს, — ვიდრე თქვენ ქვეყანას გადაუფრენდეთ, ამერიკა ვერ იქნება უპრეზიდენტოდ.

ტომასი უგულვებელყოფდა იმ ფაქტს, რომ ეს არ იყო ჩვეულებრივი თვითმფრინავი, რომ მისი მეთაური პოლკოვნიკი ჯიმ სუინდალი „რაღაც მარშრუტით“ არა ფრენდა. თუმცა, თავისთავად ამ დებატებს, ალბათ, არცა ჰქონდათ დიდი მნიშვნელობა. როგორც ეტყობოდა, ჯონსონს წინასწარვე ჰქონდა გადაწყვეტილი; ჯო აირესის დაკვირვებით, იგი მდგომარეობის მეუფედ გრძნობდა თავს და აკი მიუბრუნდა კიდეც ტომასს:

— მე თანახმა ვარ. ეს ახლავე უნდა გაკეთდეს, მაგრამ სად ვიშოვოთ ფიცის ტექსტი?

თანამოსაუბრენი შეფიქრიანდნენ. ჰალსტუხის მარყუჟები მოუშვეს, ჩაახველეს კიდეც, მაგრამ ერთი სიტყვაც არავის დასცდენია. დადგა დრო, როცა ჯონსონს აღარ აინტერესებდა მათი დასტური, მას მხოლოდ ზუსტი ინფორმაცია სჭირდებოდა, მაგრამ ტეხასელმა კონგრესმენმა ვერ შეძლო მისი მიწოდება. დიდი-დიდი, რის შეთავაზებაც მათ შეეძლოთ, ეს სახელმძღვანელოებში მოთავ-

სებული ილუსტრაციების ბუნდოვანი აღწერა იყო მხოლოდ. სურათებისა, სადაც ყდაგადაქექილ ბიბლიაზე ხელებდაწყობილი, ლამპის მკრთალი შუქით განათებული, ჩესტერ არტურისა თუ კალვინ კულიჯის სახეები იყო აღბეჭდილი. მათ გარშემო ძველებური ყაიდის ღამის პერანგებში გახვეული უცხო ადამიანები ეხვევნენ. ყველას კარგად ახსოვდა, რომ ამ ცერემონიალში, რომელიღაც ოფიციალური პირი იღებდა მონაწილეობას, მაგრამ სახელდობრ ვინ, ეს კი აღარ იცოდნენ. იგი შეიძლებოდა ყოფილიყო უმაღლესი სასამართლოს წევრი ან სულაც რიგითი ნოტარიუსი. უდავოა, მისი როლი მარტო ბიბლიის ხელში დაჭერა არ იქნებოდა, სამწუხაროდ არც ერთ კონგრესმენს არ ახსოვდა წერილი შრიფტით ნაბეჭდი ფიცის ტექსტი.

ეს მოგონებანი, მოგეხსენებათ, საკმარისი არ აღმოჩნდა. მაგრამ პრეზიდენტის შესაძლებლობანი თვითმფრინავის მთავარ სალონში მყოფთა მცირე ცოდნით როდი შემოიფარგლებოდა. როგორც კი ჯონსონს ვაშინგტონთან პირდაპირი კავშირის დამყარების ამბავი ეუწყა, მაშინვე ტელეფონის მოძებნა განიზრახა და აქეთ-იქით მიმოიხედა. ტელეფონის უახლოესი აპარატი, ზუსტად მის პირდაპირ, კაუჭზე ეკიდა, მაგრამ ჯონსონმა არ ისურვა ამ აპარატით ესარგებლა. იქნებ, ჯერ კიდევ ემძიმებოდა კენედის საწერ მაგიდასთან დაჯდომა, მაგრამ უფრო სარწმუნო, ვფიქრობ, განმარტოების სურვილი იყო. ყოველ შემთხვევაში, მან სხვა, კენედის საწოლში საწერ მაგიდაზე მდგარი აპარატით ისარგებლა.

ახალმა პრეზიდენტმა არ იცოდა, რომ თვითმფრინავების 26000, 86970, 86971 და 86972 ყველა საუბარს ენდრიუსის აეროდრომზე ისმენდნენ და მეკავშირეები ფირზე იწერდნენ. როგორც ამ წიგნის ავტორს შემდგომ გენერალმა კლიფტონმა განუმარტა, სამწუხაროდ, საუბრის ჩამწერი დანადგარი მხოლოდ ფრენისას მუშაობდა. შემოწმებამ აჩვენა, რომ 13 საათსა და 26 წუთიდან 14 საათსა და 47 წუთამდე არავითარი საუბარი არ ჩაწერილა. ვინაიდან არ არსებობს ჯონსონის საუბრების უტყუარი ჩანაწერები, შეუძლებელია ისტორიის იმ ფურცლების წაკითხვა, რომელიც თვითმფრინავ 26000 საწოლ კაბინაში შეიქმნა. თუმცა, ნაწილობრივ მაინც შეიძლება მისი ამოხსნა. თვითონ ჯონსონმა ამ სტრიქონების ავტორს აცნობა, რომ არ შეუძლია ზუსტად გაიხსენოს თავისი საუბრების

თანამიმდევრობა, რომ იგი საერთოდ ერთი წუთითაც არ ყოფილა სავსებით მარტო.

— ტკიპასავით მოგეკარით, — ეუბნებოდა იანგბლადი. იგი მარილაც, ჯონსონს ნაბიჯზე არ მოშორებია. ამას გარდა, ჯონსონის საუბრების ყველა მნიშვნელოვან მომენტზე არსებობს მასთან მოსაუბრეთა მოგონებანი.

პრეზიდენტის მიერ ფიცის განმეორებით დადების საკითხი ვერ გადაწყდებოდა მთავრობის მთავარი იურიდიული ექსპერტის ჩარევის გარეშე. ეს იყო ჯონსონის ადმინისტრაციის პირველი პრობლემა. იგი ფრიად დელიკატური გახლათ, რადგან ახალი პრეზიდენტი იძულებული იყო, რჩევისათვის მიემართა მთავრობის იმ წევრისათვის, რომელსაც სრული უფლება ჰქონდა, ხელისუფლების გადაცემისას გვერდზე მდგარიყო. ეს იყო ფრიად უსიამოვნო ამბავი, თანაც მას ყველაზე გასაოცარი, მაგრამ როგორც ჩანს, აუცდენელი გაუგებრობა მოჰყვა.

ბუნებრივია, ყველა იქ მყოფს დაკარგული ჰქონდა წონასწორობის უნარი, მაგრამ ლინდონ ჯონსონი და რობერტ კენედი უკიდურესად იყვნენ აღელვებულნი. ფეხზე ძლივსღა იდგნენ თავს დატეხილი უჩვეულო ტვირთქვეშ. ჯონსონის მხრებს უეცრად დააწვა ქვეყნად ყველაზე საშიში პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმე, ხოლო ახალგაზრდა კენედის კი უდიდესი პირადი ტრაგედია. მაგრამ ახალ პრეზიდენტს სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. ჯონსონის მიერ კონგრესმენებისადმი დასმულ კითხვას პირდაპირი დამოკიდებულება ჰქონდა კონსტიტუციასთან და თვითმფრინავში ვერ გადაწყდებოდა. აუცილებელი შეიქნა კონსულტაციისათვის იუსტიციის სამინისტროსთვის მიემართათ. რა თქმა უნდა, რჩევა შეეძლოთ ეთხოვათ იუსტიციის მინისტრის მოადგილე კატცენბაბისათვისაც, მაგრამ ყველა ვითარებაში იგი უთუოდ თავის პასუხს რობერტ კენედის შეუთანხმებდა. ამრიგად, უფლებრივ საკითხთან დაკავშირებით საჭირო შეიქნა ჯონ კენედის კაბინეტის წევრის იუსტიციის მინისტრის კონსულტაცია. ის გარემოება, რომ იგი ძმა იყო მოკლული პრეზიდენტისა, ბედის მწარე დაცინვა გახლდათ. მით უფრო, თუ ახალ პრეზიდენტს, ტეილორის სიტყვით რომ ვთქვათ, „წინდახედულად“ მოქცევა სურდა, მას უსათუოდ ასე უნდა ემოქმედა. დიახ, მას სხვა გამოსავალი არა ჰქონდა. ამიტომაც, უაკლინ კენედის სა-

წოლის კიდეზე ჩამომჯდარმა ჯონსონმა, თავს რომ იანგბლადი ადგა, ვირჯინიაში მყოფ რობერტ კენედისთან საუბარი შეუკვეთა. რამდენიმე წამიც და ჰიკორი ჰილის ვილაში იუზთან მდგარი ტელეფონი აწკრიალდა.

ჯონსონი ერა ჰგავს ედგარ გუვერს. ლინდონი თავაზიანი, ზრდილი კაცია. საუბრის დასაწყისში, რა თქმა უნდა, რობერტს ჯერ თავისი თანაგრძნობა გაუზიარა ამ დიდი მწუხარების გამო. მაგრამ როგორც უკვე ფრიად მოუცლელი კაცი, მოკლედ ნათქვამი თანაგრძნობის შემდეგ. მალე საქმეზე გადავიდა. დაიწყო იქედან, რომ ეს მკვლელობა „შესაძლოა, საერთაშორისო შეთქმულების ნაწილი იყოსო". საინტერესოდ მიმაჩნია შვიდნახევარი თვის შემდეგ ჯონსონის განმარტება, რაც მან უორენის კომისიას მისცა. ჯონსონის სიტყვითა იუსტიციის მინისტრი მაშინ დაეთანხმა საკითხის ასეთ ინტერპრეტაციას და „მასთან ერთად იმსჯელა ამ საკითხთან წამოჭრილ განსაკუთრებულად სასწრაფო ხასიათის პრობლემებზე, რადგან მაშინ არავითარი ინფორმაცია არ გაგვაჩნდა მკვლელობის მოტივებზე ან თუნდაც იმაზე, თუ რა შეიძლებოდა. მდგარიყო მის უკან". სინამდვილეში, კენედის არავითარი შეხედულება არ გამოუხატავს ჯონსონის მიერ გამოთქმულ ამ ვარაუდებზე. იგი არ იზიარებდა იმათ აზრს, ვისაც ეს მკვლელობა ფართო შეთქმულების შედეგად ეჩვენებოდა და ვერც ჯონსონის ლაპარაკს მიხვდა.

ახალი პრეზიდენტი საუბრის მიზანს უახლოვდებოდა, ცოტაც და პირდაპირ გაუჭრა კიდეც:

— მრავალთა აზრით, მე აქვე, დაუყოვნებლივ უნდა დავდო ფიცი. თქვენ ხომ არაფერი გაქვთ ამის საწინააღმდეგო?

კენედი სახტად დარჩა. სულ რაღაც ერთი საათისა და თხუთმეტი წუთის წინ პირველად გაიგონა პრეზიდენტზე თავდასხმის ამბავი. ერთი საათიც არ არის, რაც მისი სიკვდილი აცნობეს. როგორც იუსტიციის მინისტრი, იგი ასეთი აჩქარების აუცილებლობას ვერ ხედავდა. პირადი შეხედულებიდან გამომდინარეს, კი ერჩივნა, ახალი პრეზიდენტის თანამდებობაზე ასვლა ძმის ცხედრის დედაქალაქში ჩამოსვენებამდე დაყოვნებულიყო.

— კოგრესმენ ალბერტ ტომასის აზრით, ფიცი აქვე უნდა დავდო, — დასძინა ჯონსონმა თავისი წინადადების დასტურად, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო.

— სხვებიც ამავე აზრს იზიარებენ, — კვლავ დაჟინებით განაგრძობდა ჯონსონი.

მაგრამ აუზისპირა ტელეფონი დუმდა. კენედი არ ეწინააღმდეგებოდა, არ უარყოფდა, იგი უბრალოდ ხმას არ იღებდა. იძულებულმა ჯონსონმა ტაქტიკა შეცვალა და ისევ შესაძლებელ შეთქმულებას დააწვა, მერე რჩევის მიცემაც სთხოვა. როგორც იანგბლადი იხსენებს, ჯონსონმა „რამდენიმე კითხვა დაუსვა, თუ სად და როგორ შეუძლია დადოს ფიცი".

ჯონსონი უკვე მეორედ ეკითხებოდა:

— ვის შეუძლია ფიცი მიმაღებინოს?

— ვეცდები გავიგო და დაგირეკავთ, — იყო კენედის პასუხი.

ყურმილის დადებისთანავე რობერტი ტელეფონისტ ქალს დაუკავშირდა, და ნიკ კატცენბახთან დამალაპარაკეო, უთხრა. კენედი ტელეფონში „ცივი, ერთნაირი ხმით ლაპარაკობდა და ასევე გაჭრილად მკითხა", — იგონებს კატცენბახი.

— ნიკ, ლინდონს ფიცის დადება ტეხასშივე სურს. ჰოდა, კითხულობს, ვის შეუძლია ეს გააკეთოს?

— ბობ, მე უბრალოდ გაოცებული ვარ! — წარმოთქვა კატცენბახმა, მაგრამ საპასუხოდ ვერაფერი გაიგონა და კვლავ განაგრძო:— ამის გაკეთება, რამდენადაც მახსოვს, შეუძლია ყველას, ვინც ფედერაციისა თუ შტატის კანონების მიხედვით მოქალაქეთ ფიცი ადებინებს. თუმცა, ცოტა ხანს ტელეფონთან მომითმინეთ და ახლავე შევამოწმებ.

ნიკმა მეორე ტელეფონით იუსტიციის სამინისტროს იურისკონსულტ ჰაროლდ რეისს დაურეკა.

— სავსებით სწორია, — დაუდასტურა ნათქვამი რეისმა. ისიც კი მოაგონა, რომ კულიჯს ფიცი საკუთარმა მამამ, ყოფილმა მომრიგებელმა მოსამართლემ დაადებინა. ფიცის ტექსტი კი, რა თქმა უნდა, კონსტიტუციაში შედისო, — დაურთო ბოლოს.

ვიდრე ბობ კენედი კატცენბახთან ფიცის დადების ამბავს არკვევდა, ჯონსონმა კიდევ ორჯერ დარეკა ვაშინგტონში. პირველად ვიცე-პრეზიდენტის ყოფილ მთავარ თანაშემწეს უოლტერ ჯენკინსს ელაპარაკა. ჯენკინსმა ახალ პრეზიდენტს, სხვათა მსგავსად, დედაქალაქში სასწრაფოდ დაბრუნება ურჩია. რაც შეეხება ფიცის დადების წესებს, ამაზე ჯენკინსმა, სამწუხაროდ, არაფერი იცოდა.

ჯენკინსისაგან რომ ვერაფერი გაიგო, ჯონსონმა ახლა პრეზიდენტ კენედის სპეციალურ თანაშემწეს მაკჯორჯ ბანდის დაურეკა. ორთავე საუბრისას ჯონსონს ეს კითხვა პირდაპირ არ დაუსვამს, ისე გადაკვრით ჩაურთო ლაპარაკში. ცდილობდა მისთვის საჭირო პასუხი, როგორმე შემოვლითი გზით მიეღო. საკითხისადმი ასეთი მიდგომა ახალი პრეზიდენტის ხასიათიდან გამომდინარეობდა და ამასთან დაკავშირებით წამოჭრილ გაუგებრობათა ასახსნელად საჭიროა ნათლად წარმოიდგინოთ საქმისადმი ლინდონის მიდგომა და პირადი თავისებურებანი. კენედისთან ურთიერთობას მიჩვეულ ადამიანებს ჯონსონი უცხო ენაზე მოლაპარაკე კაცად ეჩვენათ. თავის საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში კენედი ისეთივე პირდაპირი კაცი იყო, როგორც მისი პირდაპირ გაშვერილი საჩვენებელი თითი ტელევიზორში გამართულ პრეს-კონფერენციის დროს. ჯონსონი კი გამაგრებული პოზიციებისკენ ფლანგებიდან მიიწევდა და მოწინააღმდეგეს ქვემოდან უთხრიდა ხაროს. მისთვის არც ზურგიდან უეცრად დაცხრომა იყო უცხო რამ და არც ზემოდან ურიცხვ დაბრკოლებათა შექმნა. ზოგჯერ მოწინააღმდეგეს არაქათის გამოცლითაც კი იმორჩილებდა. ძალიან იშვიათად და ფრიად უხალისოდ მიიწევდა იგი ა პუნქტიდან ბ პუნქტამდე პირდაპირი გზით. ორ წერტილს შორის უმოკლესი მანძილი მისთვის გვირაბი იყო.

ჯონსონი კულისებს მიღმა მოქმედების ვირტუოზი გახლდათ. მისი ბუნების სირთულე მარტო ამაში როდი იჩენდა თავს, რადგან იშვიათად თუ ვინმეს მიუღია პოლიტიკის სფეროში იმაზე ნაკლები სიამოვნება, ვიდრე მას სწორედ ამ შეუმჩნევლობის გამო. მაგრამ თუ რომელიმე ეფექტური მანევრი გამოუვიდოდა, როგორც ეს ბეისბოლში ხდება ხოლმე, სურდა მაყურებელს ამ ძნელი ბურთის დამჭერი შეემჩნია და მის ხელთათმანებზე „ლჯ“ (ლინდონ ჯონსონი) ინიციალები ამოეკითხა. მაყურებელიც ყველაფერს შეუცდომლად ამჩნევდა, არაფერი გამოეპარებოდა. მხოლოდ იმის შეგრძნება კი, რომ ეს წინასწარ იყო მოწყობილი, რომ მოთამაშესა და მსაჯს ერთნაირი დამღა ჰქონდათ, ერთთავად თანა სდევდათ. თუმცა, ეს იყო მხოლოდ შეგრძნება. დამამტკიცებელი საბუთი არასოდეს არსებულა. კრიტიკოსები ჯონსონს გაქნილ კაცს ეძახდნენ. ვერ ამჩნევდნენ მისი სტრატეგიის სინატიფესა და და-

ხვეწილობას; თითოეული ზამბარისა და ბერკეტის ამოძრავების უდიდეს უნარს.

საკმარისი იყო ჯონსონი სადმე კომუტატორის მახლობლად მოხვედრილიყო, რომ რვაფეხას მსგავსად ტელეფონის ყველა ყურმილი მოეპოჭა. სენატში უმრავლესობის ლიდერად ყოფნისას სახელმწიფო მოღვაწისათვის დამახასიათებელი ვირტუოზობით ამოძრავებდა მთელ საკანონმდებლო პროცედურას, რისთვისაც მეტწილად შუაკაცებს იყენებდა. ეს უკანასკნელნიც. თავის მხრივ, სხვა შუაკაცებს იხმარდნენ. ჩვეულებრივ საქმე ასე იჩარხებოდა: ჯონსონის რომელიმე მრჩეველი თავის კოლეგას დაურეკავდა. მერე ის თავის ამქარს ურეკავდა. საბოლოოდ, საგულდაგულოდ ქრებოდა მთელი იმ ოპერაციის ინიციატორის კვალი. ჯონსონი ყოველთვის ასწრებდა მოვლენათა ცენტრში ჩადგომას ზედ ფინიშთან, რათა გაწვდილი ხელი ძირს დასაცემად გაშზადებული ბურთისათვის წაევლო.

მაგრამ იმ პარასკევს არც დრო ჰქონდა და ვითარების სიმძიმით შებოჭილი თვითმფრინავში თავს უხერხულად გრძნობდა. თუმცა, მისი სატელეფონო საუბრების შედეგები. მაინც გასაოცარი აღმოჩნდა. დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ ბანდის ჩანაწერი „მოკლე საუბარი მქონდა ახალ პრეზიდენტთან. ვუთხარი, ახლავე ვაშინგტონში უნდა დაბრუნდეთ, აქ ყველანი დაბნეულები ვართ-მეთქი. იგი დამეთანხმა. ახლა მჯერა, რომ მაშინვე დაბრუნება უკვე ჰქონდა გადაწყვეტილი". ჯონსონის ტაქტიკის თავისებურებაა, მიაღწიოს წინასწარ გადაწყვეტილ, მისთვის საჭირო რეზულტატს. ერთი შეხედვით იგი შეიძლება უაზროდაც მოგეჩვენოთ, მაგრამ ეს ასე არ არის. მისი უპირატესობა სწორედ ის გახლავთ, რომ ჯონსონისათვის საჭირო აზრებისა და მსჯელობისათვის პასუხისმგებლობას მისი თანამოსაუბრე კისრულობს და არა თვითონ ჯონსონი.

ბანდისთან საუბრის დროს ჯონსონი გამოტყდა, ფიცის დადების საქმე მაღელვებს და არ ვიცი, სად ჩავატარო ეს ცერემონიაო. ბანდიმ მოუბოდიშა, ახლა მეტად მოუცლელი ვარ, იაპონიიდან მომავალი თვითმფრინავის ფრენას ვაკონტროლებო. საერთოდაც, ბანდის არ უყვარდა მოუფიქრებელი, განუსჯელი რჩევების მიცემა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი მისთვის უცხობ სფეროს

ეხებოდა. ამ შემთხვევაში კი, უბრალოდ ამ რჩევის მიცემის უფლებაც არა ჰქონდა. იელის უნივერსიტეტში სწავლისას მაკ ბანდის მაპროფილებელი დისციპლინა მათემატიკა გახლდათ და ცხოვრების სვლასაც მათემატიკური სიზუსტით ზოითხოვდა. მისთვის ნათელი იყო, ახალი პრეზიდენტის ფიცის დადების პრობლემები სხვის კომპეტენციას ეკუთვნოდა. „ეს ყველაფერი იუსტიციის სამინისტროს დაავალეთო", — ზრდილობიანად შესთავაზა ჯონსონს. და იგი მართალი გახლდათ. ფიცის დადება ეკუთვნის იურიდიულ სფეროს, როგორც იარაღი — სამხედროს. რჩევა უხადო იყო.

იუსტიციის მინისტრს, ისევე როგორც ახალ პრეზიდენტს, ბარემ ერჩივნა ეს საკითხი ვინმე სხვას გადაეწყვიტა, მაგრამ პასუხი მაინც იუსტიციის სამინისტროს უნდა გაეცა.

ვიდრე ჯონსონი ტელეფონით ბანდის ესაუბრებოდა, ნიკ კატცენბახი კვლავ დაუკავშირდა ბობი კენედის და თავის ადრე გამოთქმული შეხედულება დაუდასტურა.

— ნიშნავს თუ არა ეს, რომ ფიცის მიღება შეუძლია ყოველ ფედერალურ მოსამართლეს? — ჰკითხა კენედიმ.

— დიახ, ყოველ მოსამართლეს, საოლქო მოსამართლის ჩათვლით, — უპასუხა ნიკმა და ბოლოს დასძინა: — ეფიქრობ, მისი სურვილით ეს მოსამართლე სარა ჰიუზი აღმოჩნდება.

სარა დალასელი გახლდათ და კატცენბახს კარგად ახსოვდა, როგორი შეუპოვრობით უჭერდა მხარს ჯონსონი მის კანდიდატურას.

თავის ბიბლიოთეკაში მყოფმა კენედიმ თეთრი სახლის ტელეფონისტ ქალს ჯონსონისა და ბანდის საუბრის შეწყვეტა და ახალი პრეზიდენტის მასთან დალაპარაკება მოსთხოვა. მათი საუბრის არსი გაურკვეველია. არსებობს ჯონსონის და რობერტ კენედის ამ მეორე საუბრის ორი ვარიანტი, ისევე როგორც წარმოიშვა ორი ვერსია პარკლენდის ჰოსპიტალში ო'დონელთან მისი მეორე საუბრისა. ფაქტები ბუნდოვანია და მიუდგომელ მეთვალყურეს არ ძალუძს ჰქონდეს თავისი გარკვეული აზრი. შემდგომ, უორენის კომისიაში ჩვენების მიცემისას, ახალმა პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მას სწორედ კენედიმ ურჩია „ფიცი დამედო დაუყოვნებლივ, არ დამეცადა ვაშინგტონში დაბრუნებამდე. ფიცის მისაღებად კი

რეკომენდაცია გაუწია ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოს თანამდებობის პირს". იანგბლადის მოგონებანი ამ საუბრის თაობაზე ფრიად ბუნდოვანია. იგი მზად არის მხარი დაუჭიროს თავისი ბოსის ვერსიას, თუმცა სერიოზულად აცხადებს, საუბრისას მე მხოლოდ ერთი მხარის ლაპარაკი მესმოდაო. მაეთულის მეორე მხარეზე მყოფ კენედის არ ახსოვს, ჯონსონისათვის რეკომენდაცია გაეწიოს, გინდა თუ არა, ფიცის მიღების ცერემონია ახლავე, მანდვე ჩაატარეო. მსედველობაში უსათუოდ, ისიც უნდა მივიღოთ, რომ ამდაგვარი რჩევა არ შეესაბამებოდა რობერტ კენედის მაშინდელ მდგომარეობას. როგორც კენედი იხსენებს და როგორადაც მაშინ მასთან მყოფი მისი სპეციალური თანაშემწე ედვინ გუტმანი უდასტურებს, კენედის ასე არ უთქვამს.

მისი პასუხი დაახლოებით ასეთი გახლდათ:

— ყველას შეუძლია ფიცი დაგადებინოთ. მაგრამ იქნებ, თქვენ ის ადგილობრივი მოსამართლე გსურთ, ვის დანიშვნასაც ასე შეუწყვეთ ხელი. დიახ, ეს ყოველ მოსამართლეს შეუძლია გააკეთოს.

შემდეგ კენედის ჰკითხეს, სად შეიძლებოდა ფიცის ტექსტის შოვა. კენედიმ უპასუხა:

— ეს პრობლემა არ არის. ტექსტს მონახავენ.

— კეთილი, — წარმოთქვა ჯონსონმა და ყურმილი დაკიდა.

სინამდვილეში საქმეს სასიკეთო პირი არ უჩანდა. ტექსტის შოვნა ძნელდებოდა.

სალონში მყოფმა კლიფ კარტერმა ვიცე-პრეზიდენტის მდივან ქალს მარი ფემერს ურჩია:

— ჯობდა მასთან მისულიყავით და წაშველებოდით, რა ხანია ტელეფონს უზის და გამუდმებით რეკავს.

კენედის საწოლ ოთახში შესულ მარი ფემერს ჯონსონი საწოლზე ჩამომჯდარი დაუხვდა. ქალი სავარძელში ჩაჯდა.

— აბა ერთი ჩაიწერეთ, — წარმოთქვა ჯონსონმა და უოლტერ ჯენკინსთან, მაკჯორჯ ბანდისთან და რობერტ კენედისთან გამართული თავისი საუბრები მოკლედ უკარნახა, მერე კი მოსამართლე სარა ჰიუზის დაუყოვნებლივ მოძებნა ბრძანა.

მაშინვე სასამართლოში დარეკეს და სარა ჰიუზი მოიკითხეს. მგონი, სავაჭრო ცენტრში, პრეზიდენტის პატივსაცემად გამართულ

ოფიციალურ საუზმეზე წავიდაო, — იყო კლერკის პასუხი. ახალმა პრეზიდენტმ. მდივან ქალს ყურმილი გამოართვა და შიგ ლაკონურად ჩასძახა:

— გელაპარაკებათ ჯონსონი. სასწრაფოდ მონახეთ იგი.

მერე ისევ მარი ფემერს მიუბრუნდა:

— როგორმე ირვინგ გოლდბერგი მოძიებნეთ.

ირვინგ გოლდბერგი ადგილობრივი პროკურორი და ჯონსონის ტეხასური პოლიტიკური კამპანიების ვეტერანი გახლდათ. მაგრამ არც ის აღმოჩნდა ადგილზე. სარა ჰიუზის მსგავსად, ისიც სავაჭრო ცენტრში წასულიყო, მაგრამ მანამ შინ გაევლო და ახლა ტელევიზორს უჯდა.

აჰა, აწკრიალდა მისი სახლის ტელეფონიც. აფორიაქებულმა მდივანმა ქალმა გოლდბერგს მოახსენა:

— თქვენ თეთრი სახლიდან გკითხულობენ.

მერე ქალის ხმა თანდათან შესუსტდა და ბოლოს სავსებით გაქრა. ტელეფონი, მეტისმეტად ცუდად მუშაობდა. უეცრად გოლდბერგს სუსტი, მაგრამ ნაცნობი ხმა შემოესმა:

— ჯონსონი გელაპარაკებათ, როგორ ფიქრობთ, სად უნდა დავდო ფიცი: აქ თუ ვაშინგტონში?

ირვი ჩაფიქრდა. ვინ იცის, ჯონსონი უკვე პრეზიდენტია. მას ზუსტად არ ახსოვდა, როგორ იყო ეს მუხლი კონსტიტუციაში შეტანილი, მაგრამ მაინც თავის დაზღვევა ამჯობინა.

— მე ვფიქრობ, აქ.

— ვინ უნდა გააკეთოს ეს?

— სარა ჰიუზმა.

— ჰოდა აი, ვეძებთ, ვაპირებთ აქ მოვიყვანოთ. თქვენც მოგვეხმარეთ მოძებნაში.

ყურმილი დადო თუ არა, გოლდბერგმა მაშინვე ფედერალურ პროკურორს, ბერფუტ სანდერსს დაურეკა. სავაჭრო ცენტრიდან თავის სამუშაო კანტორაში ახლად დაბრუნებული პროკურორი სანდერსი კანონებისა და მუხლების ძებნაში ჩაფლულიყო, რომელთა საფუძველზეც პრეზიდენტის მკვლელს ბრალდებას წაუყენებდნენ. მისთვის უკვე დაერეკათ სან-ანტონიოს და ფორტ-სმიტის ფედერალურ პროკურორებს. თვითონ სანდერსს რჩევისათვის თავის ფორტ-უორტის კანტორაში (ტეხასი) და იუსტიციის სამინისტროს

(ვაშინგტონი) სისხლის სამართლის განყოფილებაში დაერეკა. დიახ, სანდერსი ყოველგვარ კონსულტაციას საჭიროებდა. ოსვალდის საქმეს წარმოუდგენელი იურიდიული კოშმარი წარმოშვა. გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის ედგარ გუვერის აზრით, კაცმა, რომელმაც დალასში ელმსტრიტზე ისროლა, დაარღვია ფედერალური კანონი. ოცდაჩვიდმეტი წლის წინ, ილინიოსის შტატში გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტის მკვლელობის შედეგად, გუვერმა შეძლო მისი აგენტების მფარველი კანონის შემოღება. მაგრამ თავში აზრად როგორ მოუვიდოდა, რომ მართლმსაჯულება არ გულისხმობდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურ დაცვას. გამოძიების ფედერალური ბიუროს უფროსი შოკის საშიშროების წინ იდგა. 1902 წლიდან დაწყებული, საიდუმლო სამსახურის ყველა უფროსი მოითხოვდა, რათა კონგრესს პრეზიდენტის მკვლელობა ფედერალურ დანაშაულად ეცნო, თუმცა ვერც ერთმა მათგანმა ამის მიღწევა ვერ შეძლო. აშშ-ის ფედერალური კანონების კოდექსის თანახმად უკანონოდ ითვლებოდა სახელმწიფოს მეთაურის სიცოცხლის მოსპობის მუქარა, მაგრამ იგივე კოდექსი არ ითვალისწინებდა იმ შემთხვევას, როცა ეს მუქარა სისრულეში მოჰყავდათ, ანუ როცა მკვლელი თავის მიზანს აღწევდა. არსებობდა მხოლოდ ერთი გამონაკლისი. გამოძიების ფედერალურ ბიუროს საქმეში ჩარევის უფლება მხოლოდ მაშინ ეძლეოდა, თუ მკვლელის მოქმედება შეთქმულების ნაწილი იყო. პრეზიდენტის მკვლელი დალასში მარტო[1] მოქმედებდა და როგორც კი ეს ფაქტი დადასტურებულად ცნეს[2], პრეზიდენტის მკვლელობა ადგილობრივ ხელისუფალთა იურისდიქციის საქმედ იქცა. იგი დამნაშავე იყო სისხლის სამართლის დანაშაულში, რის შედეგადაც მხოლოდ ტეხასის შტატის კანონი იყო დარღვეული. იურიდიულად არ არსებობდა არავითარი სხვაობა პრეზიდენტის მკვლელობასა და დალასის რომელიმე ბარში გაჩაღებულ დანის ტრიალს შორის.

ბერფუტი თავგამოდებით ცდილობდა ამ გადაუწყვეტელი პრობლემის გადაწყვეტას. შეადგინა საბრალდებულო დასკვნის ხუთი

---

[1] ოფიციალური ვერსიის მიხედვით.

[2] იმავე ოფიციალური ვერსიის თანახმად.

სხვადასხვა ვარიანტი. დაუსაბუთებლობის გამო მათ, რასაკვირველია, განხორციელება არ ეწერა, მაგრამ თავდაპირველად იგი ჯერ კიდევ იმედოვნებდა, რომელიმე მათგანის გამოყენებით შეძლებდა მკვლელის ფედერაციული მართლმსაჯულებისათვის გადაცემას.

ბერფუტის განკარგულებაში იყო აშშ-ის ფედერაციული კოდექსის სამი კანონი: პირველი — მთავრობის ძალაო დამხობის პროპაგანდის საწინააღმდეგო, მეორე საშვთქმულებო მოღვაწეობის საწინააღმდეგოდ მიმართული საერთო კანონი და მესამეც გუვერის მიერ შემოღებული „თანამდებობის პირთა და მოსამსახურეთა“ სიცოცხლის ხელშეუხებლობის კანონი. ასოშიეიტედ პრესის მიერ 14 საათსა და 14 წუთზე გადმოცემული ცნობა რომ დადასტურებულიყო, — თითქოს მოკლულ იქნა პრეზიდენტის მცველი, აი მაშინ იქნებოდა შესაძლებელი ამ უკანასკნელის გამოყენება. გფბ-ს არ შეეძლო პრეზიდენტის მკვლელის დაპატიმრება. მას მხოლოდ პრეზიდენტის მცველის მკვლელის დაკავების უფლება ჰქონდა.

ბერფუტის დაჟინებული ცდა ამ აქტების რაიმე ხერხის გამოყენებისა, გოლდბერგის ხარმა უეცრად შეწყვიტა. გოლდბერგმა მოკლედ მოუთხრო ბერფუტს ახალ პრეზიდენტთან საუბრის შინაარსი და აცნობა: მე სარა ჰიუზი დავასახელე იმ პიროვნებად, ვისაც ახალი პრეზიდენტის ფიცის მიღება შეეძლო და ჯონსონმაც მიიღო ჩემი წინადადება.

— ჩინებულია, მაგრამ თუ ვიპოვით ასე სასწრაფოდ, — მიუგო ბერფუტმა და თავის მხრივ აღუთქვა:—შეეცდები ვავაკეთო ყველა შესაძლებელი.

სარა ჰიუზის კაბინეტი ბერფუტ სანდრესის სამსახურის ზემო სართულზე მდებარეობდა. იგი მაშინვე ზევით აიჭრა და მისაღებში სწორედ იმ დროს შეეიდა, თვითონ სარა ჰიუზმა რომ დარეკა.

სარა ჰიუზს სხვათა დამოუკიდებლად, თვითონ გასჩენოდა სურვილი გაეგო, ხომ არავის მოუკითხავს იგი ტელეფონით. ყურმილი სანდერსმა აიღო.

— გელაპარაკებათ ბერფუტი. ვიცე-პრეზიდენტს სურს, ფიცი თქვენ წინაშე დადოს და პრეზიდენტად აღეკვლინოს. შეგიძლიათ ამის გაკეთება?

სარამ თანხმობა განაცხადა. სწორედ ამ დროს სარას მდივანმა ქალმა, მეორე აპარატის ყურმილი რომ ეპირა, სანდერსს რაღა-

ცეების ნიშნება დაუწყო. რეკავდა ჯონსონის ერთ-ერთი თანაშემწე. სანდერსმა თავი დაუქნია, იცოდა, რაზედაც რეკავდნენ.

— სად უნდა წავიდე? — იკითხა სარამ.

— აეროდრომ ლავ ფილდ'ში. მე საიდუმლო დაცვას მოველაპარაკები და გაგატარებენ. რამდენი ხანი დაგჭირდებათ იქ მისასვლელად?

— ათი წუთი, — ფიცხლად უპასუხა ქალმა და იქვე იკითხა:— კი მაგრამ ფიცის ტექსტი სად არის?

— ვეცდები აეროპორტში დაგახვედროთ.

მაგრამ ბერფუტი უფრო მეტს ჰპირდებოდა, ვიდრე შეეძლო. მომავალ ცერემონიაში მისი მონაწილეობა ამ სატელეფონო საუბრით დამთავრდა. ის ფაქტი კი, რომ მისი მონდომება მეტს ვერ შეწვდა, მის საწინააღმდეგოდ არაფერს ლაპარაკობს. ირგვლივ გამეფებულმა ბედლამმა ყველას თავგზა აუბნია. ის იყო ყურმილი დადო, რომ კვლავ აწკრიალდა ტელეფონი; რეკავდა რუფუს იანგბლადი, რომლისთვისაც ჯონსონს სარა ჰიუზის მომყვანი საპოლიციო ესკორტის უზრუნველყოფა დაევალებინა. ჰიუზი უკვე წამოვიდაო, — აცნობა ბერფუტმა. სარა ჰიუზის ესკორტირებას აზრი არა ჰქონდა, იგი მხოლოდ დააგვიანებდა აეროდრომზე მის მისვლას. მოტოციკლისტებს შეეძლოთ ვერც კი მოენახათ იგი, ანდა, რაც ასევე მოსალოდნელი იყო, იმ საერთო არეულობაში სხვას მისდგომოდნენ.

ქაოსის მასშტაბებზე მეტყველებს დალასის პოლიციის მიერ ფირზე ჩაწერილი სამი ცნობა. 13 საათსა და 56 წუთზე საპოლიციო რადიომ შეცდომით გადმოსცა საპოლიციო სამმართველოს თანამშრომლის მოკლულ ჯ. დ. ტიპიტის ბინის მისამართი, რომლის მეუღლესაც თანამშრომელთა თანაგრძნობა სჭირდებოდა. 12 საათსა და 24 წუთზე დისპეტჩერმა რადიოთი გამოაცხადა, რომ მოდიოდა „პრეზიდენტის ფიცის მისაღებად ვინმე ბილ მოიერსი". 14 საათსა და 35 წუთზე იმავე დისპეტჩერმა შესწორება შეიტანა წინა ცნობაში და პატრულად მყოფ პოლიციელებს გამოუცხადა:

— ახლახან მიღებული ცნობის თანახმად, მოსამართლე სარა ჰიუზი გამოემგზავრა პარკლენდის ჰოსპიტლიდან ლავ ფილდის აეროდრომისაკენ, რათა პრეზიდენტ ჯონსონის ფიცი მიიღოს.

მოიერსს არა ჰქონდა ამ ფუნქციის შესრულების უფლებამო-

სილება, რაც მას დალასის პოლიციის რადიომ მიაწერა, ხოლო სარა ჰიუზი პარკლენდის ჰოსპიტალს ახლოსაც არ გაჰკარებია. და მაინც ყველა ამ შეცდომის წარმოშობა სავსებით გასაგები იყო. ჯონსონის ირგვლივ მყოფ ადამიანთა უმრავლესობა უცნობი იყო, ხოლო სატელეფონო საუბრებისას ადვილად ხდებოდა მოსაუბრისა და მსმენელის ადგილსამყოფელის არევა. იმ დღეს არამცთუ დალასში, მთელ ქვეყანაშიც ადამიანებს ჩვეულებრივი სატელეფონო ზარები, თუნდაც მეზობელი კაბინეტიდან, საქალაქთაშორისო ლაპარაკებად ეჩვენებოდათ. ამიტომ იყო, საპოლიციო დეპარტამენტში სარა ჰიუზის სამუშაოზე დარეკვის ამბავი რომ გაიგონეს, დაასკვნეს, ალბათ ჯონსონის ჰოსპიტლიდან წამოსვლის შემდეგ სარა ახალი პრეზიდენტის თანმხლებლებთან დარჩა ჰოსპიტალში.

რაც შეეხება ფიცის ტექსტს — ეს სხვა საქმეა. ფედერალური პროკურორი ვალდებული იყო მოეძებნა იგი. მაგრამ ბერფუტი იმდენად ჩაეფლო კანონების კოდექსებში, რომ მართლმსაჯულების ნიუანსებმა სულ მთლად შთანთქეს.

სანდერსმა ვერ მოიგონა, სად შეიძლებოდა ყოფილიყო დაბეჭდილი პრეზიდენტის ფიცის ტექსტი. როგორ არ ეძება, სამი ბიბლიოთეკიდან კანონთა კრებულებიც კი მოატანინა. ბოლოს კლერკმა უთხრა:

— ვითომ რა იქნება, კონსტიტუციაში რომ ჩავიხედოთ?

— რა თქმა უნდა, — სწრაფად მიუგო ბერფუტმა და საოცარი უხერხულობა იგრძნო. თუმცა გასაწითლებელი არაფერი ჰქონდა, ტეხასის ჩრდილოეთის ოლქის ფედერალური მოსამართლე სარა ჰიუზი რანგით მასზე მაღლა იდგა, მაგრამ კონსტიტუცია არც მას მოჰგონებია. უფრო მეტიც, ვინაიდან ყოველგვარ ფიცს ძირითადად ერთი საფუძველი აქვს, მოსამართლე ქალის აზრით ამ მომენტისათვის საჭირო ფიცის სიტყვასიტყვით ტექსტს არცთუ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მოგვიანებით ჰიუზი იგონებდა: „ცერემონიის არ მეშინოდა, თავს უტექსტოდაც გავართმევდი, თვითონვე შემეძლო ტექსტის შედგენა". წითელი ფერის საკუთარი სპორტული მანქანით აეროდრომისაკენ მიმავალ ჰიუზს მსვლელობის სიჩქარე უფრო აწუხებდა. ქალი ჯონსონს 1948 წლიდან იცნობდა და „კარგად იცოდა, როგორ მოლოდინშიც იქნებოდა, — ასეთი ხასიათის კაცი იყო".

თანაც ჯონსონს ყველაფრის სათანადო წესის მიხედვით მოგვარება უყვარდა. იმ ამერიკელთა სიამოვნებისათვის, ვინც კონსტიტუციისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას იყო ჩვეული, ჯონსონმა არ დატოვა არც ერთი მნიშვნელოვანი წყარო, სადაც კი ტექსტის მიღება შეიძლებოდა. 14 საათსა და 20 წუთზე დალასის დროით, ანუ 15 საათსა და 20 წუთზე ვაშინგტონის დროით, იუსტიციის მინისტრის ნიკ კატცენბახის კაბინეტში ისევ დაირეკა ტელეფონი. ეს კვლავ თეთრი სახლი განაგრძობდა იურისტის დაუცხრომელ ძიებას, რათა ზუსტად სცოდნოდა, თუ რა უნდა ეთქვა პრეზიდენტს პოსტის დაკავებისას.

— ყურადღებით მომისმინეთ. მე გიკარნახებთ ტექსტს, — უთხრა ნიკმა.

პრეზიდენტის თვითმფრინავში კლიფ კარტერმა მდივან ქალს მარი ფემერს კავშირგაბმულობის კაბინაში ტელეფონთან მისვლა და კატცენბახის კარნახით ტექსტის ჩაწერა უბრძანა. კატცენბახი კი წიგნების კარადასთან მივიდა, გამოაღო მინის კარი და დაბლა თაროდან ლურჯყდიანი მძიმე წიგნი გადმოიღო. იგი 1953 წელს მთავრობის სტამბაში დაბეჭდილი ანოტირებული კონსტიტუცია გახლდათ. კატცენბახი საწერ მაკიდასთან დაბრუნდა და ზეიმურად წარმოთქვა ფიცის სიტყვები:

„საზეიმო ფიცსა ვდებ (ან ვადასტურებ) ერთგულად შევასრულო ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობა და ყოველი ღონე ვისმარო, რათა ზუსტად გავატარო, დავიფარო, და განვახორციელო ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია".

მარის ფანქარი მსუბუქად მოძრაობდა ბლოკნოტის ფურცელზე. ვიდრე ქალი წერდა, ჯონსონი კენედის საწოლი ოთახიდან გამოვიდა და სალონისაკენ გაემართა. სალონში ვალენტი, კარტერი კონგრესმენები — ტომასი და ტორნბერი ლედი ბიორდისთან ერთად ყურადღებით მისჩერებოდნენ ტელეგადაცემას. შემოსასვლელში ჯონსონის მაღალი ფიგურის დანახვისას ყველანი ერთბაშად წამოდგნენ. დიახ, მხოლოდ ახლა მიაღწია მათ შეგნებამდე, თუ ვინ იდგა მათ წინ.

— ეს საშინლად მძიმე ტვირთია, ბატონო პრეზიდენტო, მაგრამ დარწმუნებული ვართ, თავის გართმევა არ გაგიჭირდებათ, —

უთხრა ტომასმა. ეს უკვე მეორე კაცი იყო, ვინც იმ დღეს ჯონსონს შესაფერისად მიმართა.

„ბატონო პრეზიდენტის" გაგონებაზე ვიგრძენი, როგორ „გადამტრიალდა შიგნით ყველაფერი", — ყვებოდა შემდეგ ვალენტი.

სწორედ ახლახან ვესაუბრე იუსტიციის მინისტრს, — დაიწყო ჯონსონმა, — ისიც მირჩევს, ფიცი აქვე დავდო. — მერე მარის მხარეს გაიხედა და დასძინა: — შეამოწმეთ ფიცის ტექსტი.

ქალს უკვე გადაებეჭდა თავისი ჩანაწერი თვითმფრინავის ერთ-ერთ ელექტროსაბეჭდ მანქანაზე.

სალონიდან შემოვარდნილმა ვალენტიმ სასწრაფოდ წაავლო ხელი ნაბეჭდს. მერე ტელეფონის ყურმილი აიღო და კატცენბახს ფიცის ტექსტი წაუკითხა.

— სწორია, — დაუდასტურა ნიკ კატცენბახმა.

მარი სალონში შევიდა და ტელევიზორთან მსხდომთ შეუერთდა. დიქტორის ხმა ცუდად ისმოდა. ქალი თანდათანობით მისვლა მიზეზს: თვითმფრინავის კუდის მხრიდან ჩაქუჩის ხმა გამოდიოდა.

— ეს რა ხმაურია? — ჰკითხა კლიფს.

— დასაჯდომებს ხსნიან ადგილის გასანთავისუფლებლად, — თქვა მან და გაჩუმდა.

— აჰ, რაში ყოფილა საქმე, — წარმოთქვა ქალმა, თუმცა სულაც ვერ მიხვდა, მართლაც რაში იყო საქმე.

კლიფს თვალებში სიწითლე ჩასდგომოდა, შეტრიალდა და ფრაზა დაამთავრა:

— კუბოს ადგილის გასანთავისუფლებლად.

— ოჰ! — როგორც იქნა მიხვდა ქალი.

ყველა ერთბაშად დადუმდა. მსმენელები ტელევიზორიდან სულ რაღაც რამდენიმე ნაბიჯის დაშორებით ისხდნენ, გადაცემის ხმა საგრძნობლად გაძლიერდა. ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ვიღაცამ ტელევიზორის ხმა მაქსიმალურ სიძლიერეზე გადართოო.

ტელეკომენტატორები, როგორც იტყვიან, ჯერ კიდევ სიბნელეში ხეტიალობდნენ, მაშინ როცა დალასის საქმიან ნაწილში ამბებმა ფრიად დრამატული ხასიათი მიიღეს. ერთ-ერთ კინოთეატრში დააპატიმრეს კაცი, რომელმაც მოჰკლა პოლიციელი ტიპიტი. სუთი წუთით ადრე, ვიდრე კატცენბახი მარის ფიცის ტექსტს

ეკარნახებდა, პოლიციის ოპერატიულმა ჯგუფმა დაადგინა, რომ დაპატიმრებული მუშაობდა ტეხასის სახელმძღვანელოების საწყობში. იგი გამოდგა ის ერთადერთი თანამშრომელი, ვინც ადგილზე არ აღმოჩნდა პრეზიდენტის მკვლელობიდან ნახევარი საათის შემდეგ დირექტორ ტრულის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად. ასე რომ, გაუვალ წყვდიადში სინათლის პირველი მკრთალი სხივი აციმციმდა.

ლი ჰარვი ოსვალდის გაქცევა და დაპატიმრება გარკვეულ კონტექსტში უნდა იქნეს განხილული. ეს, რა თქმა უნდა, იოლი საქმე არ არის. გონება ინსტინქტურად უარყოფდა რაიმე კავშირს მასა და მთავრობის მეთაურის მოწამებრივ სიკვდილს შორის. თუმცა იგრძნობა, ოსვალდმა ეს მკვლელობა ჩაიდინა იმ იმედით, რომ კენედის დიდების ანარეკლი სხივი გაანათებდა მის უსახელო არსებობას.

— ახლა ხომ მაინც ყველა გაიგებს, ვინა ვარ მე, — განუცხადა მან მილიციის კაპიტანს დაპატიმრების შემდეგ.

საკუთარი თავისადმი ყურადღების მიპყრობის მიზნით ოსვალდმა საფარიდან გასროლილი ტყვიით მოკლა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი. ამიტომაც მკრეხელურად მიმაჩნია მისი შემჩნევა, ისტორიულ შრომაში მოხსენიება. ეს ნამდვილი შეურაცხყოფა იქნებოდა. ჩვენ გვინდა იგი არ იყოს, მაგრამ სამწუხაროდ არსებობს და არც ამოიშლება ჩვენი მეხსიერებიდან, ისევე, როგორც არ წაიშალა ბუტი და კვისლინგი[1]. მათი სახელები ალაქაგებენ ჩვენი სახელმძღვანელოების ფურცლებს! ასეთი იქნება ოსვალდის სახელიც. დროის მეხსიერება აერთიანებს ჯვარმცმელსა და ჯვარცმულს, ბალდურსა და ლოკის[2], ეიხმანსა[3] და მის მიერ და-

---

1 კვისლინგი — ნორვეგიული ფაშიზმის ხელმძღვანელი. მარიონეტული „სახელმწიფოს მეთაური“ ჰიტლერელთა ჯარების მიერ ქვეყნის ოკუპაციის დროს. ომის დამთავრების შემდეგ ნორვეგიის სასამართლოს განაჩენით ღალატისათვის სიკვდილით იქნა დასჯილი.

2 ბალდური და ლოკი — სკანდინავიური მითოლოგიის პერსონაჟები. ბოროტებისა და მტრობის ღმერთმა ლოკმა მოკლა კეთილშობილებისა და სიკეთის ღმერთი ბალდური.

3 ეიხმანი — ესესელთა ერთ-ერთი მეთაური. ხელმძღვანელობდა მილიონობით ებრაელთა ხოცვა-ჟლეტას ევროპის მრავალ ქვეყანაში.

ხოცილ მილიონობით ებრაელს. ამიტომაც არავითარ სამართლიანობას არ ძალუძს მათი განცალკევება. მედალის ორივე მხარის შესწავლა, საერთოდ, მეტად ძნელი საქმეა, მით უფრო, როცა ამის გაკეთება ერთდროულად ხდება. იმ დანაშაულის შესწავლა, რაზედაც ამჯერად გვიხდება ლაპარაკი, აუცილებელს ხდის 1963 წლის 22 ნოემბრის მოვლენათა სინქრონულ დაპირისპირებას, რადგან ეს ამბები მართლაც სინქრონულად ვითარდებოდა.

ადამიანებისათვის დამახასიათებელია გარკვეული ჩარჩოთი შემოსაზღვრული აღქმა. 22 ნოემბრის მკვლელობამ მათი გონებიდან გამოდევნა თითქმის ყველაფერი სხვა. კენედის მკვლელობის ოფიციალური ცნობა იყო აღქმის უმაღლესი წერტილი. შეძრწუნებულმა გონებამ აღიქვა თანაგრძნობა კენედის ახლობლებისადმი, შიში ქვეყნის ბედ-იღბლის გამო და გრძნობა პირადი დანაკლისისა. თვითონ ლინდონ ჯონსონიც მეტად უსიამო გრძნობებს იწვევდა. კოლეჯის სტუდენტთა მაშინდელ განწყობილებას ასე აღწერს ერთ-ერთი დამკვირვებელი: „ბევრი სტუდენტი აშკარად გამოთქვამდა უნებურად აღძრულ გულისწყრომას ჯონსონის მიმართ, გაძოწვეულს ნაწილობრივ მისი ტეხასური წარმოშობით, ნაწილობრივ კი, როგორც მაშინ ეჩვენებოდათ (მათივე აღიარებით, სრულიად უსაფუძვლოდ), იმ იდუმალი ხერხების გამო, რითაც იგი პრეზიდენტის ძალაუფლების უზურპაციას ეწეოდა“. ძალაუფლების ეს გადაცემა ადამიანებმა აღიქვეს როგორც მწარე წამლის ულუფა. ამერიკელები ჯერ კიდევ სკოლაში ეცნობიან როგორ ხორციელდება ძალაუფლების მემკვიდრეობა. მათ იცოდნენ ამ გზის გარდუვლად გავლის საჭიროება და შეჩვეულიც იყვნენ ამას. მაგრამ ახლა ფიქრშიაც არ უნდოდათ, მომხდარ მოვლენებს შეგუებოდნენ. მათ ცნობიერებაში პრეზიდენტის მემკვიდრე სადღაც შორს, სულ უკან გადასწიეს პრეზიდენტის ახლობელმა ადამიანებმა—პრეზიდენტის ქვრივმა, შვილებმა, მშობლებმა, დებმა, ძმებმა, ბისმა მთავარმა თანაშემწეებმა. თითოეული მათგანი გაცილებით უფრო ფართოდ იყო ცნობილი, ვიდრე შედარებით უფერული ფიგურა ვიცე-პრეზიდენტისა.

თითქმის ჯონსონს ფიცის დადების ცერემონიის დასასრულს მხოლოდ ერთი სიტყვა „დიახ“ უნდა წარმოეთქვა და კვლავ კულისებში მიმალულიყო. პრეზიდენტის თანამდებობაზე მისი ასვ-

ლისთანავე საზოგადოება უმალვე სხვა, გაცილებით უფრო ამაღელვებელ პრობლემებზე გადაერთო.

ასე რომ, თუ ახალი პრეზიდენტისათვის სტატისტის როლი იყო განკუთვნილი და შემდეგ უცერემონიოდ კულისებში უნდა გასულიყო, კენედის მკვლელს აშკარად სდევნიდნენ ისტორიის მისადგომებიდან. იგი იშვიათად იწვევდა ვინმეს დაინტერესებას. მხოლოდ მოგვიანებით, გარკვეული დროის გასვლის შემდეგ (როცა თვითონ მოკლეს), კვლავ გაიხსენეს კენედის მკვლელი. ოსვალდის სიკვდილი, მისი სიცოცხლესათვის ტიპური იყო. სიკვდილის შემდეგ ოსვალდის აჩრდილმა თითქოს გააგრძელა მის მიერ დაწყებული ვულგარული სპექტაკლი. იმანეებოდა, ქედმაღლობდა, ყველაფერს კადრულობდა, ყურადღების ცენტრში რომ მოქცეულიყო, რასაც, სამწუხაროდ ხელი შეუწყო ახალი პრეზიდენტის მიერ დანიშნულმა კენედის მკვლელობის შემსწავლელმა კომისიამ. ეს გარდაუვალი იყო.

კომისიის მანდატი, რომელსაც შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ერლომ უორენი ხელმძღვანელობდა, მისთვის სხვა არჩევანს არა ტოვებდა; კომისიის მოხსენებას თავისუფლად შეიძლებოდა ჰქონოდა ქვესათაური: „ლი ჰარვი ოსვალდის ცხოვრება", რაც ძირითადად იგი მართლაც მის ბიოგრაფიას წარმოადგენდა. ოსვალდი რომ ცოცხალი ყოფილიყო, ეს ამბავი დიდ ნიშნისმომგებ სიამოვნებას მოჰგვრიდა. მოხსენების ინდექსი ოთხჯერ მეტად იმოწმებდა ოსვალდს, ვიდრე კენედისა და ჯონსონს, ერთად აღებულს...

ამ წიგნში ლი ჰარვი ოსვალდი იხსენიება, როგორც კენედის მკვლელი, თანაც ერთხელაც არ არის ნახმარი ისეთი განსაზღვრება, როგორიცაა „ეჭვმიტანილი" ან „მკვლელად ნაგულისხმევი". ეს, რასაკვირველია, არ მოეწონება ყველა იმათ, ვისაც უმართებულოდ ჰგონია, თითქოს დანაშაულის დადგენა მხოლოდ შავ მანტიაში გამოწყობილ მოსამართლეთ ძალუძთ. „ნიუ-იორკ ტაიმსის" მთავარი რედაქტორი მერე ბოდიშს უხდიდა თავის მკითხველებს გაზეთის ერთ-ერთ სათაურში ოსვალდის მკვლელად ხსენების გამო. უორენის კომისიის მოხსენების გამოქვეყნებიდან ოთხი თვის შემდეგ „ვაშინგტონ პოსტი" ძველებურად გაბაგრძობდა ოსვალდის „ეჭვ-

მიტანილად“ სსენებას, მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს.

ოსვალდის დანაშაულის მტკიცებანი გაცილებით ამომწურავი ხასიათისაა, ვიდრე, მაგალითად, ბუტისა, აღარ ელაპარაკებ უკვე იუდა ისკარიოტელზე. დიახ, სწორედ ოსვალდი გახლდათ მკვლელი. ამ განჩინებაში არაფერია პირობითი, კაენის ღამღა ადეკს მის შუბლს.

როცა ოსვალდმა ყიგნების საწყობის ყუთებს შორის თავისი შაშხანა მიატოვა და კიბეზე დაბლა დაეშვა, სწორედ იმ თოფის კონდახის ფირფიტას წამოედო მისი ხალათის ძაფის რამდენიმე ღერი, მისი თითებისა და ხელისგულის უამრავი ანაბეჭდი შერჩა შაშხანასა და იმ ქაღალდის ტომარას, რომელშიაც ირვინგიდან მომავალი, ფრეზიერის მანქანაში, თავის შაშხანას შალავდა. ანაბეჭდები აჩნდა აგრეთვე თოფის საყრდენად გამოყენებულ მუყაოს ყუთსაც. დიახ, ყოველივე ამის შემდეგ მისი დანაშაული ეჭვს აღარ იწვევდა.

ოსვალდი რომ გაესამართლებინათ, მის ესოდენ სასწრაფო დაპატიმრებას ყურადსაღებ წარმატებად ჩათვლიდნენ, მაგრამ სინამდვილეში ყურადსაღები სწორად ის გახლდათ, რომ მან ერთი საათისა და ოცი წუთის განმავლობაში შეძლო ჯეს კარის პოლიციელებს დამალოდა. ოსვალდის სროლის მომენტში შენობის ძირშიაც პოლიციელები იდგნენ, ხოლო ფილაქანზე სულაც ცხენოსანი პოლიცია იყო გამწკრივებული. ერთ-ერთი მათგანი მარიონ ბეიკერი ზუსტად თოფის ლულის ქვეშ იმყოფებოდა. როცა ოსვალდმა „მანლიჰერ-კარკანოს“ მარკის შაშხანა ყუთების მწკრივებს შორის ჩააგდო და კიბეზე დაეშვა, ბეიკერი მოტოციკლიდან გადმოხტა და საწყობის დირექტორ ტრულთან ერთად მაღლა აიჭრა.

მეორე სართულზე ასვლისთანავე პოლიციელმა საწყობის სასაუზმისაკენ მიმავალ მკვლელს მოჰკრა თვალი. ჩქარა მიმავალი კაცის დანახვაზე ბეიკერმა მართებულად იაზრა, ამ კაცს სადღაც მიეჩქარებაო, სასწრაფოდ რევოლვერი იძრო და ხმამაღლა მიაძახა:

— მობრძანდით აქ!

ოსვალდი მივიდა. ბეიკერი ტრულის შეეკითხა:

— იცნობთ ამ კაცს? აქ ხომ არ მუშაობს?

ტრულიმ შეკითხვას დადებითად უპასუხა და პოლიციელი ოსვალდს გაშორდა.

ტრულის დასტურის შედეგად, ბეიკერმა, ბუნებრივია, საწყობის მუშაკები ეჭვმიუტანლად ჩასთვალაო, — ასე განუმარტა ამ წიგნის ავტორს დალასის პოლიციის ინსპექტორმა.

ოსვალდის სისულელისა და პანიკისადმი განსაკუთრებული მიდრეკილების წყალობით საკმაოდ შესაძლებელია, რომ თავგზა დაკარგა პოლიციელ ტიპიტთან შეხვედრისას. მკვლელობის ჩადენის შემდეგ დამნაშავის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯის აღდგენა შესაძლებელია აბსოლუტური სიზუსტით.

მკვლელობის მომდევნო ეტაპების მოკლე აღწერა მოცემულია ქვემოთ მოთავსებულ ცხრილში.

დალასის დრო	ოსვალდის მოქმედება	დალასის პოლიციის მოქმედება
12.34	წიგნების საწყობის მეექვსე სართულიდან ესვრის ჯონ. ფ. კენედის	დალასის პოლიციის უფროსი ჯეს კარი მითითებას იძლევა მოამზადონ პარკლენდის ჰოსპიტალი, ბრძანებს გაჩხრიკონ ვიადუკის ქვეშა სამტოტა გვირაბი.
12,31,5	პოლიციელი ლ. ბეიკერი ოსვალდს აჩერებს მეორე სართულზე წიგნების საწყობის სასაუზმის შესასვლელთან. ამავე საწყობის დირექტორი ტრული პოლიციელს უდასტურებს, რომ იგი ნამდვილად მუშაობს იქ, საწყობში.	
12.32	საწყობის მთავარ კიბესთან მას საეკლესიო მზრუნველი შეეჩეხება და პირდაპირ ნიმართავს: „მართლაც რა საშინელებაა, არა?“ ოსვალდი პასუხად რაღაცას ბურტყუნებს.	ბეიკერი მაღლა, სახურავისკენ განაგრძობს გზას. მტრედების აფრენის ხმაურის გამო ფიქრობს, უთუოდ, სახურავიდან ისროლესო.

დალასის დრო	ოსვალდის მოქმედება	დალასის პოლიციის მოქმედება
12.33	გამოდის საწყობის მთავარი შესასვლელიდან. გზაზე ჩერდება და ენ-ბი-სის კორესპონდენტ რობერტ მაკნეილს ეუბნება, შენობაში ტელეფონი არისო, რადგან მაკნეილი საიდუმლო სამსახურის აგენტად მიიჩნია.	
12.34		პოლიციის დისპეტჩერი ერთ-ერთი არხის რადიოგადაცემაში წიგნების საწყობს ახსენებს იმ შენობად, საიდანაც შეიძლებოდა პრეზიდენტისათვის ესროლათ. სხვა არხებით საპატრულო მანქანებზე მყოფ პოლიციელებს მხოლოდ საყვირის და დამახინჯებული გადაცემების ხმები ესმოდათ.
12.35		საპატრულო მოტოციკლის პოლიციელმა კლაიდ ჰეიგუდმა შტაბ-ბინას რადიოთი აცნობა: „სწორედ ახლა ველაპარაკე ერთ ახალგაზრდას. იგი ირწმუნება ისროლეს წიგნის საწყობის შენობიდანო, რომლის სახურავზეც მოთავსებულია ფირმა „ჰერცის“ შუქრეკლამაო.
12.37		პოლიციელი ჰეიგუდი რადიოთი კვლავ იტყობინება: „გამოგზავნეთ ხალხი ტებასის წი-

დალასის დრო	ოსვალდის მოქმედება	დალასის პოლიციის მოქმედება
12.37		გნების საწყობის შენობის ალ-ყისათვის. ვფიქრობ, ისროლეს ამ შენობიდან." მოვიდა პოლიციის ინსპექტორი ჰერბერტ სოიერი, რომლის ბრძანებითაც ჩაკეტეს საწყობში შესასვლელი.
12.40	საწყობიდან შვიდი კვარტალის დაშორებით ელმ-სტრიტისა და მერფი-სტრიტის კუთხეში ჯდება ავტობუსში.	
12.44	იღებს გადასაჯდომ ბილეთს და გადმოდის ავტობუსიდან.	რადიოთი გადაიცა საგანგაშო კოდი № — 3, ებრძანა დალასის საქმიან ნაწილში პატრულად მყოფ ყველა პოლიციელს, „განსაკუთრებული სიფრთხილით ათვალიერონ ელმ-სტრიტისა და ჰიუსტონ-სტრიტის რაიონები". პოლიციის ინსპექტორი სოიერი საწყობის შესასვლელთან რადიოგადამცემიან მანქანაში ზის და ოსვალდის მნახველ ბრენანის ჩვენებებზე დაყრდნობით მკვლელის გარეგნობის ნიშნებს გადასცემს. პოლიცელ ტიპიტს ებრძანა ოუკლიფის რაიონის პატრულირება.
12.47	ავტობუსიდან გადმოსვლის	

დალასის დრო	ოსვალდის მოქმედება	დალასის პოლიციის მოქმედება
12.48	ადგილიდან 3,5 კვარტალის დაშორებით, დაახლოებით საქალაქთაშორისო ტურისტული ავტობუსების გაჩერებასთან ჯდება ტაქსში. ხმაამოუღებლად ზის მძღოლის გვერდით. ალბათ, შეზარხოშებულია,—ფიქრობს მძღოლი.	ყველა პატრულის საყურადღებოდ ხდება ოსვალდის გარეგნობის აღწერის რეტრანსლაცია.
12.50		საიდუმლო სამსახურის მთავარი აგენტის სორელზის შემოწმების შედეგად საწყობის უკანა შესასვლელი პოლიციისაგან დაუცველი აღმოჩნდა. ტრულის დაევალა საწყობის ყველა თანამშრომლის სიის შედგენა.
12.54	ტაქსში 2,5 მილის გავლის. შემდეგ ბეკლი-სტრიტისა და ნილი-სტრიტის კუთხეში გადმოდის მანქანიდან. სახლი, სადაც იგი ოთახს ქირაობდა, ამ ადგილიდან ფეხით ხუთი წუთის სავალზე იყო.	პოლიციელი ტიპიტი რადიოთი თავისი მანქანიდან იტყობინება, რომ მივიდა დანიშნულ ადგილას. დისპეტჩერმა უბრძანა, „მზად იყოს ყოველგვარი მოულოდნელობისათვის.“
12.55		ყველა პატრულის საყურადღებოდ რადიოში მესამედ გადაიცა ოსვალდის გარეგნობის აღწერილობა.
12.59 13.00	სახლში შესვლისას უყურადღებოდ სტოვებს დიასახლისის მისალმებას.	

დალასის დრო	ოსვალდის მოქმედება	დალასის პოლიციის მოქმედება
13.03	სახლიდან გამოდის პისტოლეტით. ბოლომდე ამოიწევს ქურთუკის შესაკრავს. საწყობის დირექტორმა ტრულმა შენიშნა ოსვალდის არყოფნა.	ტრული ატყობინებს პოლიციელს, რომ „საწყობის მოსამსახურეთა შორის არ არის ერთი". პოლიციელი მიუგებს: „ახლავე ვაცნობოთ კაპიტან ფრიტცს". კაპიტანი ფრიტცის ნახვა არ მოხერხდა.
13.12		შერიფის მოადგილე ლუკ მუნი მეექვსე სართულის ფანჯრის მახლობლად პოულობს სამ ცარიელ ვაზნას.
	პოლიციელი ტიპიტი ოსვალდს აჩერებს აფთიაქთან, ოსვალდის მიერ ნაქირავები სახლიდან თითქმის ერთი მილის დაშორებით. პისტოლეტიდან ოთხი ტყვიის გასროლით ოსვალდი კლავს პოლიციელ ტიპიტს. ამ ამბის დამსწრე ცხრა კაცმა შეიცნო ოსვალდი.	
13.16		„პიკაპის" შოფერი ტიპიტის რადიოთი იტყობინება: „ალო, პოლიცია, აქ ჩვენთან სროლაა".
13.22	ჯერ კიდევ პისტოლეტით ხელში გადაჭრა პატონ-სტრიტი და ბულვარისაკენ გაიქცა. გვერდზე გაურბინა ბენზინის ჩასასხმელი სადგურის ავტომანქანათა სადგომს და თავისი ქურთუკი გადააგდო.	პოლიციის სამმართველოს დისპეტჩერები, ოსვალდის მნახველი ორი ქალის დაკვირვების მისედვით, კვლავ გადასცემენ ოსვალდის ასალ აღწერილობას. პოლიცია, შერიფის მოადგილის იუჯინ ბუნის დახმარებით, წიგნების

დალასის დრო	ოსვალდის მოქმედება	დალასის პოლიციის მოქმედება
13.22		საწყობის შენობის მეექვსე სართულზე პოულობს შაშხანას. ტრული ცნობას აწვდის კაპიტან უილი ფრიტცს: — გამიქრა ერთი კაცი.
13.35	წინ გაურბინა ბეტელის ტაძარს, რომელზედაც გამოკრულია წარმოთქმანი: „ემზადე შენი ღმერთის შესახვედრად„ და „იესო მსსნელია".	
13 40	უბილეთოდ შერბის ტიპიტის მკვლელობის ადგილიდან რვა კვარტალით დაშორებულ კინოთეატრ „ტეხასში".	
13.45		პოლიციის სამმართველოს დისპეტჩერი №-1 არხით გადასცემს: არსებობს ინფორმაცია, რომ ვიღაც საეჭვო პირი ახლახან შევიდა კინოთეატრ „ტეხასში". პოლიციის საპატრულო მანქანებმა კინოთეატრის ალყა დაიწყეს.
13.50	ოსვალდს აპატიმრებენ კინოდარბაზში. დაპატიმრებისას გასწია წინააღმდეგობა, ცდილობდა მოეკლა კიდევ ერთი პოლიციელი. გაჰყვიროდა: — ახლა, ყველაფერი დამთავრებულია! — შენობიდან გამოყვანისას კვლავ შეჰყვირა: — პროტესტს ვაცხადებ პოლიციის უხეშობის წინააღმდეგ!	

დალასის დრო	ოსვალდის მოქმედება	დალასის პოლიციის მოქმედება
13.51		№—2 საპოლიციო ნანქანიდან სერჟანტმა ცნობა გადასცა: დაპატიმრებულია პოლიციელის მკვლელობაში ეჭვმიტანილი პიროვნება. იგი უკვე თქვენთან, პოლიციის განყოფილებაში მოჰყავთ. პოლიციის
14.00		დისპეტჩერმა №—2 არსით გადასცა ბრძანება, რათა ესკორტი კოდი №—2 წითელი შუქითა და სირენებით აღჭურვილი წასულიყო პარკლენდის ჰოსპიტალში ჟაკლინ კენედისათვის თანხლების გასაწევად.
14.15		კაპიტანი ფრიტცი წიგნების საწყობიდან სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილებაში ბრუნდება და ბრძანებს საწყობიდან გაქცეული ოსვალდის დაპატიმრებას. ოსვალდი უკვე აქ არისო, — მოახსენეს პასუხად პოლიციიდან:
14.30	№—317 ოთახში იწყება ოსვალდის დაკითხვა. დაკითხვას ესწრებიან საიდუმლო სამსახურის აგენტი სორელში და გამოძიების ფედერალური ბიუროს წარმოზადგენელი ჰოსტი.	

სამსახურში მიმავალმა მარგარიტა ოსვალდმა მანქანაში რადიო ჩართო და შვილის დაპატიმრების ამბავი გაიგონა. მაშინვე თავისი ძველი „ბიუკი“ ქალმა 180 გრადუსით მოატრიალა და შინისაკენ

გამოქანდა. სახლში შესვლისთანავე გაზეთ „ფორტ-უორტ სტარ ტელეგრამის“ რეპორტიორს ბობი შიფერს დაურეკა. მისი შვილის ლი ჰარვი ოსვალდის მოსკოვში გაქცევის შემდეგ მარგარიტა კვლავ მოექცა საზოგადოების ყურადღების ცენტრში. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი „ბრალდებულ დედად“ იქცა.

„ბრალდებული დედის“ შემდეგი მოქმედება, როგორც ჩანს, ნაკარნახევი იყო თვითრეკლამისადმი უჩვეულო მისწრაფებითა და წმინდა მერკანტილური მოსაზრებებით. ერთმა ჟურნალისტმა და შოფერმა თავიანთი მანქანით მარინა დალასში ჩაიყვანეს. სწორედ აქ შეხვდნენ ქალები ერთმანეთს. მარინას სიტყვით, მარგარიტა მხოლოდ ერთი მანიით იყო შეპყრობილი. ეს ძანია გახლდათ „ფული, ფული და კიდევ ფული“. მერე თვითონ ოსვალდის დედა იხსენებდა, როგორ ცდილობდა ჟურნალისტებთან შევაჭრებას.

დედას ფული უნდა, — უთხრა მან მარინას და ხელი რეპორტიორებისკენ გაიშვირა. მერე ფულის მისანიშნებლად ცერი სხვა თითებს აუსვ-დაუსვა.

— დაყაჭეთ ფულები და მასალებს მოგცემთ, — უთხრა მან ერთ-ერთ მათგანს.

მაგრამ დედა არცთუ ისეთი ეშმაკი იყო, როგორიც ჩანდა. ფოტოსურათებში სულაც არაფერი მისცეს. უფრო მეტიც, სურათში იგი მეტისმეტად ულაზათოდ გამოიყურებოდა. ფოტოგრაფს აზრადაც არ მოსვლია გაეფრთხილებინა ქალი აპარატის საკეტისათვის ლითის გამოკვრის დროს. სურათზე მარგარიტა სწორედ იმ მომენტში აღბეჭდეს, როცა ულამაზოდ გადათხლაშულმა თავისი წინდეაჩიჩაჩული მსხვილი ფეხები წამოყარა. მარგარიტა ოსვალდს ვერ ეპატიებია მისთვის ეგ ამბავი.

შვილის დაპატიმრების პირველ საათებში მარგარიტა ოსვალდმა არ იცოდა, როგორ დაეჭირა თავი. სრულიად მოულოდნელად საქვეყნოდ ცნობილ ქალად იქცა. მას თავისი პრეს-აგენტი არა ჰყავდა, ხოლო მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები ვის არ აუბნევენ თავგზას. ქალს სხვა მხრივადაც არ ეყო დრო თავის საქციელზე დაფიქრებისა. როცა ლი ოსვალდმა ციხიდან დარეკა და მარინასთან ლაპარაკი მინდაო, თქვა, დედამ უხეშად შეუწყვიტა ლაპარაკი. რუთ პეინს უსიამოვნო გაოცება მოჰ-

გვარა დედის ამ საქციელმა. მაშინ მარგარიტამ შემდეგნაირად ახსნა მის წინაშე მდგარი დილემა:

— იგი ციხეშია და არ იცის, ჩვენ რას განვიცდით, და საერთოდ, რა გვიდგას წინ. ასე რომ, მის სურვილებს შეიძლება კაცმა ანგარიში არ გაუწიოს.

საერთოდ მარგარიტა ოსვალდი გახლდათ ყველაზე წარმოუდგენელი პიროვნება ყველა იმათ შორის, ვისაც კი მისი შვილი მთელი სიცოცხლის მანძილზე შეხვედრია. თუ რა თქმა უნდა, თვითონ მას არ მივიღებთ მხედველობაში, იგი ნამდვილად თავისებურად ერთადერთი პიროვნება გახლდათ. თუმცა მისი მთელი ოჯახიც საკმაოდ უცნაური ადამიანებისაგან შედგებოდა. თვითონ ოსვალდს კი დიკენსის რომანის გროტესკულ გმირს უფრო მიამგვანებდით. იგი, მართლაც, საოცრად ჰგავდა რომან „ბარნაბი რაჯის“ გმირს. რაჯის მსგავსად არც ოსვალდს ჰყავდა მეკობრები, რაჯისებურად არც მას შესწევდა ძალა საკუთარი საქციელის შედეგებს გამკლავებოდა. ტიპიტის მკვლელობის შემდეგ ოსვალდმა კინოში შერგო თავი, იმ რწმენით, რომ ჩაბნელებული კინოდარბაზი საიმედო თავშესაფრად ექცეოდა. ის კი არ უფიქრია, ამომრთველის ერთი გადატრიალება სინათლის სხივით ააკიაფებდა კინოთეატრის მთელ დარბაზს და იმ ადგილსაც მეათე რიგში, სადაც თვითონ იჯდა.

კინოთეატრში გადიოდა ჰოლივუდის ერთ-ერთი მღარე ფილმი— „ომი—ჯოჯოხეთია“. ოსვალდის დაუჯერებელი ისტორია რეალობა იყო. ქვეყანა ხედავდა ყველაფერს, რაც კი კინოდარბაზში ხდებოდა. ტელევიზიის წყალობით თითქოს ასობით მილიონმა ადამიანმა კინოთეატრის შესასვლელთან მოიყარა თავი ოსვალდის კინოდან გამოყვანისას თუ მერე, როცა იგი № 317 ოთახში კაპიტან ფრიტცს მიჰგვარეს. იმ დროისათვის ტელეკომენტატორებმა მაყურებლებს უკვე აუწყეს ოსვალდის წარსულის ზოგიერთი მომენტი. დაპატიმრების პირველსავე საათში ოსვალდი ფართოდ ცნობილი კაცი გახდა. მისი ამბები სხვებმაც იმდენივე იცოდნენ, რამდენიც მისმა დამკითხველმა პოლიციის გამომძიებელმა. თუმცა ზოგიერთებმა მეტიც კი. მაგალითად, მესამე რანგის კაპიტანმა ჰალეტმა იგი მანამ იცნო, ვიდრე რადიო და ტელევიზია ოსვალდის საბჭოთა კავშირში ცხოვრების ამბავს გადმოსცემდა...

სახელმწიფო დეპარტამენტის შენობის მერვე სართულზე, თავის

კაბინეტში მყოფმა ჯორჯ ბოლმა, ოსვალდზე გადაცემის მოსმენისთანავე მიატოვა ეკრანი. სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი მეტისმეტად შეშფოთებული იყო. მან ბრძანება გასცა სასწრაფოდ გადაესინჯათ სახდეპარტამენტში არსებული დოსიე, იმის შესამოწმებლად, იყო თუ არა შიგ რაიმე მასალა. დიახ, იგი არცთუ ცოტა აღმოჩნდა.

საბჭოთა კავშირში ოსვალდის გაქცევის ავანტიურა ციურ ძანანასავით აღიქვეს. ამერიკას არ შეეძლო ოსვალდზე, როგორც ამერიკელზე, ხელის აღება და ახლა ისღა დარჩენოდათ ოსვალდის ნამოქმედარზე პასუხისმგებლობა წითლებისათვის მოეხვიათ თავს. სინამდვილეში იგი ტეხასს დიდი ხნით არ მოშორებია. ოცდათორმეტი თვე დაჰყო მან საბჭოთა კავშირში. თანაც ამ დროის დიდი ნაწილი კვლავ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაბრუნების უფლების მიღებას მოანდომა. საბჭოთა კავშირში ყოფნის ერთი წლის შემდეგ თავის დღიურში ოსვალდმა შემდეგი ჩაწერა:

„ვფიქრობ შევცვალო ჩემი გადაწყვეტილება აქ დარჩენის თაობაზე. მოსაწყენი სამუშაოა. აღებული ფული ვერსად დამიხარჯავს. არც ღამის კლუბებია და არც კეგელბანები. არავითარი გართობა, პროფკავშირის მიერ მოწყობილი ცეკვების გარდა. მეყოფა“.

და აი, ოსვალდი ბრუნდება უკან, იმ ქვეყანაში, რომელიც იძულებულია ცნოს ფაქტი, რომ იგი ოსვალდის სამშობლოა, ისევე როგორც დროთა მსვლელობაში ამერიკელები უნდა შერიგებოდნენ ამერიკის ისტორიაში ოსვალდის შესვლის აუცილებლობას.

დალასი განსაკუთრებით ცდილობდა დავიწყებისათვის მიეცა ის ამბავი, რომ მკვლელი ამ ქალაქის ქუჩებში დადიოდა, კითხულობდა მის მოწინავე გაზეთებს, უცქეროდა ადგილობრივი სატელევიზიო სტუდიის პატრიოტულ გადაცემებს, სიამოვნებით ისმენდა კენედის გამამასხრებელ ანეკდოტებს, რომელსაც ერთმანეთს უყვებოდნენ ხოლმე სახელმძღვანელოების საწყობის თანამშრომლები. ულტრამემარჯვენე ბანაკის ახალგაზრდა აქტივისტი ბერნანდ ვეისმანი თავის ჩვენებაში აღიარებდა: „შვებით ამოვისუნთქე“, როცა გავიგონე ოსვალდი თავს მარქსისტად აცხადებსო, რომ ყოველ შემთხვევაში, იგი „უოკერელ ჭაბუკთა“ რიცხვს არ ეკუთვნოდა. დალასის გაზეთის „მორნინგ ნიუსის“ კორესპონდენტ ბობ ბასკინსაც გულზე მოეშვა, ოსვალდი მემარჯვენე ფრთის წევრი რომ არ გამოდგა.

თუმცა, დალასის ზოგიერთი მცხოვრები მაშინვე შიშობდა — მსოფლიოს საზოგადოების აზრი სკეპტიკურად შეხვდება ამ ვერსიასო. პარკლენდის ჰოსპიტლის ექიმმა მორიდებულად თქვა:

— დალასის ანგარიშზე უკვე რამდენივე მეტად სამწუხარო შემთხვევა ირიცხება.

ერთი ტეხასელი სამხედროს თქმით, დალასს სამუდამოდ დაედო შავი დამღა.

პარკლენდის ჰოსპიტლიდან ლავ ფილდის აეროდრომისაკენ საპოლიციო მანქანით მიმავალმა კორესპონდენტმა მერიმენ სმიტმა შოფრისა და მგზავრის ასეთ დიალოგს მოუსმინა:

— იმედი მაქვს, ყველაფერში დალასს არ დაადანაშაულებენ.

— სწორედ რომ დაადანაშაულებენ,—უპასუხა მანქანაში მჯდარმა რომელიღაც მგზავრმა.

დიახ, ეს გარემოება აწუხებდა დალასს. „დიდი დ.", როგორც ამ ქალაქს უწოდებდნენ, შეშფოთებული იყო თავისი რეპუტაციის შელახვით. თუმცა სწორედ ეს წუხილი უღვიძებდა ეჭვს იმ ქვეყნებს, ვინც იმ ხანად ამ ქალაქს აკვირდებოდა. დალასის მესვეურები უგუნებოდ იყვნენ. ქალაქის სავაჭრო პალატამ გამოაქვეყნა განცხადება, — გამოთქვამდა თავის დიდ მწუხარებას პრეზიდენტის გარდაცვალების გამო. საგრაფოს პროკურორი ჰენრი უეიდი, ვისაც მკვლელის წინააღმდეგ საქმე უნდა აღეძრა, სწორედ იმ პარასკევ საღამოს ვიეაცასთან სტუმრად წავიდა და ტელეფონის ნომერიც არ დატოვა, საჭიროების შემთხვევაში მოძებნა რომ შეძლებულიყო. მისმა მეორე თანაშემწემ უილიამ ალექსანდერმა ოსვალდის მიერ პრეზიდენტის მკვლელობის ბრალდების საქმის მომზადება დაიწყო, მაგრამ საქმეს ისეთი მიმართულება მისცა, თითქოს მკვლელობა „საერთაშორისო კომუნისტური შეთქმულების ნაწილი" ყოფილიყოს. ვინ იცის, იქნებ, ამგვარ ჭორს კიდეეაც გადაეტანა ყურადღების ცენტრი დალასიდან, მაგრამ ასეთ საბრალდებო დასკვნას ამერიკის შეერთებული შტატებისათვის უსიამო შედეგის მოტანა შეეძლო ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მართალია, ბრალდება უკვე ფორმულირებული იყო, მაგრამ ფედერალურმა პროკურორმა ბერფუტ სანდერსმა ნიკ კატცენბახს აცნობა. კატცენბახმა შეძლო ვიცე-პრეზიდენტის აპარატის ორი გავლენიანი პიროვნების დარწმუნება, გამოეყენებინათ მათი შესაძლებლობანი და საბრალდებო

ლასკენის ეს პროექტი მზის სინათლეზე გამოსვლამდე გაეუქმებინათ.

დალასის მერის ერლ კეიბელის პირველი რეაქცია ოსვალდის დაპატიმრებაზე მოჩვენებითად მხნე იყო. მერის მიერ პარასკევს გამოთქმული რწმენის მიხედვით, მკვლელობა „არ დასცემდა ქალაქის რეპუტაციას". ამ აზრისაგან განსხვავებით, გაზეთ „მორნინგ ნიუსის" პროგნოზები სავსე იყო პესიმიზმით. უპალოუს ნომერში გამოსაქვეყნებელ მოწინავე წერილში გაზეთი აცხადებდა: „საბერთლიანობა არ გვაძლევს უფლებას მთელი ქალაქი დავადანაშაულოთ ამ ნაციონალურ უსინდისობაში, მაგრამ არც იმის დაუნახავობა შეიძლება, რომ მისმა რეპუტაციამ მეტად სამწუხარო დანაკლისი განიცადა." სინამდვილეში, არც ერთი დაკვირვებული კრიტიკოსი არ აპირებდა მთელი ქალაქის განურჩეველად დადანაშაულებას.

შეადარეთ მთელი მეინ-სტრიტი აივსო კენედის მომხრე ლიბერალ-დემოკრატებით. პრეზიდენტის კორტეჟის მონაწილეთ არასოდეს დაავიწყდებათ მათი ენთუზიაზმი. დაეჭვებას მხოლოდ აბსოლუტისტების თარეში იწვევდა. მათ გაშმაგებულ ტირადებს შეეძლოთ თავგზა აებნიათ მერყევი გონების ადამიანებისათვის. დიახ, ამას მიხვდა ადგილობრივი გაზეთის „ტაიმს ჰერალდის" მოწინავის ავტორი. ივი მოაგონებდა მკითხველებს, რომ სროლის ატეხამდე „სიძულვილის თესლი იყო გადმოგდებული". „ყველა ჩვენგანმა,— წერდა ივი,—მხოლოდ იმაზე უნდა ვილოცოთ, რომ დალასში არასოდეს შეიქმნას ახალი ტრაგედიის წარმომშობი ატმოსფერო". და მაინც დალასის ბევრი მცხოვრები უარყოფდა ყოველგვარ კრიტიკას თუ თვითკრიტიკას.

დალასელი მემარჯვენეები სულაც არაფერს ნანობდნენ. 15 საათსა და 05 წუთზე, როცა ამერიკელი ხალხის 80 პროცენტი საშინელი მწუხარების მარწუხებში იყო მოქცეული, პარკლენდის ჰოსპიტლის შესასვლელთან დადგმულმა ტელეკამერამ აღბეჭდა ჭაბუკთა ჯგუფში მყოფი ერთი ყმაწვილი, რომელსაც ხელში პლაკატი ეჭირა: „იანკებო, წაეთრიეთ შინ!"

ბერფუტ სანდერსი საშინლად გაოცდა, როცა გაიგო, რომ დალასის ოლქის საშუალო სკოლების ფეხბურთის გუნდების უმრავლესობამ უარი არ თქვა ეთამაშათ იმავე პარასკევ საღამოს ელექტრონის შუქით განათებულ სტადიონებზე, მაშინ როცა გადა-

იდო შაბათისთვის დანიშნული ქვეყნის უძველეს გუნდთა, ჰარვარდისა და იელის უნივერსიტეტების რეგბისტთა უპოპულარესი მაჩტი. დალასის ოლქის ხაზინადარ უორენ გარდინგს თავის სახლთან მეზობლის ბიჭუნა შემოხვდა და პირდაპირ უთხრა:

— ბატონო გარდინგ, ძალიან ვწუხვარ, რომ თქვენი პრეზიდენტი მოკვდა.

გარდინგი ჯერ დაიბნა, არ იცოდა, რა ეპასუხა. როგორღაც უსიამოვნოდ შეიშმუხნა და ბიჭს მიუგო:

— შვილო, ის ხომ შენი პრეზიდენტიც იყო. იგი ყველა ჩვენთაგანის პრეზიდენტი იყო.

ბიჭმა უარყოფის ნიშნად თავი გააქანა და მოურიდებლად შეეპასუხა:

— არა, იგი ჩვენი პრეზიდენტი არ ყოფილა. ჩემს დედ-მამას მისთვის ხმა არ მიუცია. კენედი ჩვენთვის არაფერს წარმოადგენდა.

თეთრ სახლში, თავის კაბინეტში მყოფმა პრეზიდენტის თანაშემწე რალფ დანგენმა პირიდან ჩიბუხი გამოიღო, თავის საწერ მაგიდას მიეყრდნო, თავი ხელებში ჩარგო და შრომის მინისტრის მოადგილეს პეტ მოინიჰენს უთხრა:

— საშინელება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ყველაფერში ახლა ამ ოცდაოთხი წლის ჭაბუკს დაადანაშაულებენ.

მეხუთე თავი

ვაშინგტონში დაბრუნების წინ

პრეზიდენტ კენედის მეუღლე საოპერაციოს შესასვლელთან იჯდა და თავს ქვეყნად ყველაზე განმარტოებულ ადამიანად გრძნობდა. სულ რაღაც ერთი საათის წინ იგი ამერიკის პირველი ლედი იყო, სახელმწიფოში პირველი კაცის მეუღლე, განსაკუთრებული პრივილეგიებით აღჭურვილი და პატივისცემით გარემოცული. ჰოდა, ყველაფერი ეს გაქრა ერთ წამში, თოფიდან გამოვარდნილი ტყვიის სისწრაფით. იგი როგორც პრეზიდენტის მეუღლე უკვე აღარ არსებობდა. სხვას ყველას, კენედის ირგვლივ მყოფ

ადამიანებს, შენარჩუნებული ჰქონდათ თავიანთი მდგომარეობა და ძალაუფლებასთან სიახლოვის გარეგნული ნიშნები. თვით მისი მდივნებიც კი ჯერ კიდევ თეთრი სახლის მდივნებად ითვლებოდნენ. თვითონ ქვრივად იქცა. რანგების სახელმწიფო ტაბელში კი ასეთი კატეგორია არ არსებობდა. ყველაფერი, რაც ჟაკლინ კენედის გააჩნდა, მისი მეუღლის, ჯონ კენედის პოსტის წყალობით იყო. ახლა, როგორც ქვრივს, აღარც თანამემწეები ეკუთვნოდა და აღარც პირადი დაცვა. მართალია, გენერლები ტედ კლიფტონი და გოდფრი მაკჰიუ პარკლენდის ჰოსპიტალში დარჩნენ და როი კელერმანმა დაცვისათვის ექვსკაციანი ჯგუფი დატოვა 12 საათამდე სამორიგეოდ, მაგრამ არც გენერლებსა და არც როი კელერმანს ამის გაკეთების ოფიციალური რწმუნება არ ჰქონდათ. კანონის ზუსტად გატარების შემთხვევაში კენედის თვით უახლოესი თანამშემწეებიც კი — კენ ო'დონელი, ლარი ო'ბრაიენი და დეივ პაუერსი — „ანგელოზის" ბორტზე უნდა ყოფილიყვნენ. ფეოდალური აღმასრულებელი უფლების მთელი აპარატი ახლა ლინდონ ჯონსონის ხელში გადავიდა. ახალი პრეზიდენტის მიერ პარკლენდის ჰოსპიტლის დატოვებისთანავე იურიდიულად ვალდებულნი იყვნენ მის კვალს გაჰყოლოდნენ. ჟაკლინ კენედი ხომ მთავრობის მეთაური არ იყო და აღარც ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა.

— მე აქედან ჯონის გარეშე ფეხს არ მოვიცვლი, — წასჩურჩულა ჟაკლინმა კენ ო'დონელს.

— კუბოს შოვნაა საჭირო, — შიმართა კენმა დაცვის აგენტებსა და პრეზიდენტის პირად ექიმ ბერკლის. ბერკლიმ კი თავის მხრივ ჰოსპიტლის ადმინისტრატორ ჯეკ პრაისს უთხრა:

— დალასის რჩეულ დამკრძალავ ბიუროს უნდა დავავალოთ და ბრინჯარს ყველაზე უკეთესი კუბო მოვატანინოთ.

პრეზიდენტის კორტეჟის შემადგენლობის წევრებს კვლავ მომხდარი უბედურების მტანჯველი ფიქრები აწამებდათ. ყველა თავის აზრს გამოთქვამდა, ესა და ეს, ასე და ასე რომ ყოფილიყო, კატასტროფის აცდენა მოხერხდებოდაო.

პრეზიდენტ კენედის მანქანის მძღოლი ბილ გრირი ცრემლით სავსე თვალებით მიუახლოვდა ჟაკლინს. ქალს თავზე ხელისგულები შემოადო და ისე მაგრად მოუჭირა, გეგონებოდა, გასრესა სურსო. მძღოლი ხმამაღლა ტიროდა:

— ო, ქალბატონო კენედი, ო, ღმერთო ჩემო. ო, ღმერთო ჩემო. ამას როგორ მოვიფიქრებდი. მე არაფერი მესმოდა. მაშინვე გვერდზე უნდა მომეხვია. მე კი ვერაფერი მოვახერხე. ოჰ, ქალბატონო კენედი, რომ დავინახე, რაც მოხდა, მერე კი მოვუხვიე; მაგრამ რაღა დროს. ოჰ, ღმერთო, როგორმე დროზე დამენახა!

ჰენრი გონზალესიც გულამოსკვნით ტიროდა. ჟაკლინთან სამძიმრის სათქმელად მისულს მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავი შეეკავებინა, მაგრამ ქალი ისეთი სუსტი, ისეთი განმარტოებული ეჩვენა, რომ თავს ვეღარ მოერია და აქვითინდა:

— ოჰ, ქალბატონო კენედი! რაით შემიძლია გემსახუროთ?

ჟაკლინმა თავი გადააქნია და მაშინვე ჩაქინდრა.

ამის შემდეგ კენ ო'დონელს ჟაკლინთან აღარავინ მიუშვია, ვიდრე 13 საათსა და 30 წუთზე მეკუბოვე არ მოვიდა:

კენმა კვლავ მოიკრიბა უნარი და ჟაკლინის სკამის ახლოს დარაჯივით დადგა.

ახალგაზრდა ქვრივი გაქვავებული სახით იჯდა, მიმქრალი კოცონიდან ამოსული კვამლივით სწორი და წვრილი.

დროდადრო კვლავ გული უღონდებოდა. სამჯერ დაესხა თავბრუ და კინაღამ იატაკზე დაენარცხა. მაგრამ ეს იყო მხოლოდ ფიზიკური უძლურება. იგი კვლავინდებური, განსაცვიფრებელი სიმახვილით აღიქვამდა მის ირგვლივ დატრიალებულ ამბებს. აზროვნების სიცხადეც სავსებით შენარჩუნებული ჰქონდა.

კლინტ ჰილმა და ჰოსპიტლის ადმინისტრატორის მოადგილემ მორიგე ექთანს ჰკითხეს:

— სად მდებარეობს უახლოესი დამკრძალავი ბიურო?

ექთანმა ოუკ-ლოუნზე მდებარე ო'ნილის დამკრძალავი ბიუროს ტელეფონის ნომერი მისცა.

— ჩვენ აქედან დავრეკავთ, — თქვა ადმინისტრატორმა.

დამკრძალავი ბიუროს მფლობელი ო'ნილი, ისევე როგორც ქალაქის მთელი მოსახლეობა, ინტერესით უგდებდა ყურს ახალი ამბების გადმოცემას. ტელეფონმა რომ დაიწკრიალა, იგი სწორედ ჯიბის რადიომიმღებიდან ისმენდა უკანასკნელ ცნობებს.

ადმინისტრატორმა ო'ნილს თავი წარუდგინა და უთხრა: ახლა ყურმილს სხვას გადავცემ, გთხოვთ მოუსმინოთ და გააკეთოთ ყვე-

ლაფერი, რასაც კი გეტყვით. მთელი ჩვენი საუბარი კონფიდენციური უნდა იქნეს.

— თქვენ გელაპარაკებათ კლინტ ჰილი, — დაიწყო ახალმა ხმამ, — საიდუმლო სამსახურის მუშაკი. გთხოვთ პარკლენდის ჰოსპიტალში მოიტანოთ კუბო და რაც შეიძლება მალე.

— ერთი წუთით, ერთი წუთით, — ჩასძახა ყურმილში ო'ნილმა, — ჩვენ ყოველნაირი ფასის საქონელი გვაქვს.

— მოიტანეთ ყველაზე უკეთესი, — უპასუხა კლინტმა.

ო'ნილმა ყველაზე ძვირფასი, რვაასგირვანქიანი წმინდა ბრინჯაოს კუბო შეარჩია, ორმაგი კედლებითა და ჰერმეტულად დამცავი სახურავით. მერე ეს მძიმე კუბო მან და მისმა სამმა თანამშრომელმა ყველაზე უკეთეს კატაფალკაზე დადგეს. 1964 წლის მოდელის ეს ქათქათა „კადილაკი", რომელსაც ჰაერის კონდენსაციისათვის სპეციალური დანადგარიც კი ჰქონდა, ო'ნილმა, ოქტომბრის თვეში, დალასში გამართულ დამკრძალავ ბიუროთა დირექტორების კონფერენციის დროს შეიძინა. მას შემდეგ ჯერ ერთი თვეც არ გასულიყო, მანქანის სპიდომეტრი 900 მილს უჩვენებდა. „კადილაკის" ფანჯრებზე სალათისფერი ფარდები იყო დაშვებული.

ამ დროისათვის ჰოსპიტალში გათამაშდა რამდენიმე უსიამო სცენა, მაგრამ ჟაკლინს იგი არ შეუმჩნეია. გარდაცვლილი პრეზიდენტის თანმხლებმა დაცვის აგენტებმა და სამხედრო ადიუტანტებმა უკვე აითვისეს ქირურგიული განყოფილების ლაბირინთები და გულმოდგინედ ცდილობდნენ ჟაკლინი შემოჯარული ხალხის თვალთაგან დაეცვათ. ისინი ზედმეტ და ყოვლად გაუმართლებელ სიმკაცრედ მიიჩნევდნენ პრეზიდენტის ქვრივის საავადმყოფოში ლოდინს, პრეზიდენტის ცხედრის გასამგზავრებლად მომზადებამდე. მაგრამ ქვრივი ამ აზრს არ იზიარებდა.

— თქვენ ახლა უკვე შეგიძლიათ აეროდრომზე გამგზავრება, — უთხრა ვიდაცამ, მაგრამ ჟაკლინმა კვლავ ცივი უარი განაცხადა.

— მარტო არსად წავალ, მე მხოლოდ ჯონისთან ერთად გავემგზავრები.

როგორც იქნა, გრძელსა და ლაპლაპა კუბოზე სახურავი დაუშვეს და საგორავზე შედგეს. ჟაკლინმა უკანასკნელი სიგარეტი მოსწია. ქალი მზად იყო გასამგზავრებლად. მეკუბოე ხელოსანმაც მოათავა თავისი საქმე. პარკლენდის ჰოსპიტალმა ყველაფერი იღონა,

რაც კი შეეძლო და უკვე ჩვეულ ცხოვრებას უბრუნდებოდა. ახალი პაციენტები ექიმებისა და ექთანების ყურადღებას ითხოვდნენ.

და მაინც პროცესია რატომღაც ადგილიდან არ იძვროდა. საოპერაციოს კარი ყურთამდე ღია იყო და კარგად ჩანდა „ინტერნეიშნლ ბიზნეს მაშინზის“ ელექტროსაათი. აქ მოსვლის დროიდან უკვე საათზე მეტი გასულიყო.

— სერჟანტო, რატომ არ შეიძლება ჩემი ქმრის ცხედართან ერთად დავბრუნდე ვაშინგტონში? — ჰკითხა ჟაკლინმა.

დალასის პოლიციის სერჟანტმა ბობ დაგერმა, მშვენივრად იცოდა დაყოვნების მიზეზი. მან შემთხვევით ყური მოჰკრა ლაპარაკს და მიხვდა, რომ ამბები სულ სხვაგვარად შეტრიალდა, მაგრამ ჟაკლინისათვის ამის გაგებინება არც უფიქრია. მისი აზრით, ყველაფერი, რაც ახლა აქ ხდებოდა, ქალაქ დალასს მიყრუებულ ქალაქთა რიგებში აყენებდა. ტეხასელ დაგერს სირცხვილის გრძნობა წვავდა თავისი მშობლიური ქალაქის გამო.

დიახ, ჰოსპიტალში საზიზღარი სკანდალი გაიმართა. ჟაკლინმა ვერ შენიშნა ქარიშხალი, რომელიც მისგან სულ რაღაც რამდენიმე ფუტის დაშორებით მთელი ნახევარი საათია მძვინვარებდა და კინადამ მუშტი-კრივში გადაიზარდა. გაცილებით გვიან, უკვე ვაშინგტონში გაიგო ჟაკლინმა, სახელდობრ, რამ გამოიწვია მათი ჰოსპიტლიდან გამომგზავრების ასეთი დაყოვნება.

საფრთხის მოახლოება პირველად როი კელერმანმა იგრძნო. ცოტა ხნით ადრე, ვიდრე ო'ნილი ჰოსპიტალში კუბოს მოიტანდა, როი ექიმ ბერკლისთან ერთად მედიცინის დის მაგიდასთან იდგა და ხელში ყურმილი ეჭირა. იგი თეთრი სახლის საიდუმლო სამსახუროს აგენტთა ჯგუფის ხელმძღვანელს ჯერი ბენს ელაპარაკებოდა. სწორედ ამ დროს, ოთახში ფერმკრთალი, ჭორფლიანი სახის მამაკაცი შემოვიდა. კოვბოურ ფილმებში ნანახი დაქირავებული მკვლელივით მეორე ტელეფონის ყურმილს უხეშად წაავლო ხელი და წარმოთქვა:

— გელაპარაკებათ ერლ როუზი. აქ მოხდა მკვლელობა. მათი გამგზავრება შესაძლებელი იქნება მხოლოდ და მხოლოდ ცხედრის გაკვეთის შემდეგ.

როუზი იმ ადამიანთა რიცხვს როდი ეკუთვნოდა, ვისაც თავისი მოქმედების სისწორეში ოდესმე ეჭვი ეპარება. უფრო მეტიც, იგი

ვერც სხვათა მიერ გამოთქმულ კრიტიკას იტანდა. მას დალასის საოლქო სასამართლოს სამედიცინო ექსპერტის პოსტი ეჭირა და კაბინეტიც პარკლენდის ჰოსპიტლის შენობაში ჰქონდა. ამ საოცარ პედანტსა და ბუნებით ცივ კაცს მოსაუბრის ცხვირის წინ თითებს ტრიალი და კლასის ანიხლი დამრიგებლის ტონით ლაპარაკი უყვარდა. გეგონებოდათ, თითქოს განგებ ცდილობს სხვისთვის თავის შეძულებასო. კოლეგებს იგი უკმეხ და გაქნილ კაცად მიაჩნდათ, მაგრამ როუზი ზუსტად ერკვეოდა ტეხასის კანონმდებლობის საქმეში და მას ისე უყურებდა, როგორც საღვთო წერილს. ამიტომაც, იქ ჯამართული სცენის გამო, შემდეგშიაც არავითარი სინდისის ქენჯნა არ უგრძნია. იმ დღეს ნამდვილად გააფთრებამდე მივიდა. იმდენად იყო თავის სიმართლეში დარწმუნებული, რომ მისი გაპეების დაცსრომა აღარ მოხერხდა. თვით ერთი წლის შემდეგაც კი, საკმარისი იყო 22 ნოემბერს გადახდილი ბრძოლა გაგეხსენებინათ, რომ სიბრაზისაგან ცახცახს იწყებდა.

როგორც ექიმი და დალასის სასამართლო ძალაუფლების წარმომადგენელი, იგი იურისტისა და მედიკოსის შერწყმას წარმოადგენდა. როუზი, შესაძლოა, უდიდეს წინააღმდეგობად ქცეულიყო პარკლენდის ჰოსპიტლიდან გამგზავრების საქმეში. მასაც სწორედ ეს უნდოდა. ჰოსპიტლის სიტუაცია მისთვის საეჭვოდ ნათელი იყო და იგი დაუშვებლად მიაჩნდა. დალასში მოხდა მკვლელობა და ახლა ვიღაც-ვიღაცები ტეხასში არსებული კანონების აშკარა დათრგუნვით ჰოსპიტლიდან მოკლულის ცხედრის წაღებას აპირებდნენ. .ისინი უგულვებელყოფდნენ იმ იურიდიულ საფუძვლებს, რომლის დამცველიც სწორედ თვითონ ექიმი როუზი გახლდათ. ვითარება გადამჭრელ მოქმედებას ითხოვდა და ისიც მზად გახლდათ.

როუზმა ტელეფონის ყურმილი დააგდო და გასასვლელისაკენ გაემართა. კელერმანმა ჯერ გზა გადაუღობა, მერე კი შეგნებული სიდინჯით ტკეპნა-ტკეპნით უთხრა:

— მეგობარო, ეს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის ცხედარია და ვაშინგტონში უნდა წავიღოთ.

— არა, ეს ასე არა ხდება, — დამრიგებლური ტონითა და თითის ქნევით უპასუხა როუზმა. — მკვლელობის შემთხვევაში ჩვენ ვალდებული ვართ გვამი გავკვეთოთ.

— კი მაგრამ, ეს პრეზიდენტია. ჩვენ თან უნდა წავიღოთ იგი.

— გვამი დარჩება აქ, — მკვახედ ისროლა როუზმა.

— მომისმინეთ, მეგობარო. მე სპეციალური აგენტი როი კელერმანი გახლავარ. ჩემს განკარგულებაშია თეთრი სახლის საიდუმლო სამსახურის აგენტთა ჯგუფი: ჩვენ უსათუოდ წავიღებთ პრეზიდენტ კენედის ნეშტს შინ.

— არა, თქვენ ნეშტს ვერსადაც ვერ წაიღებთ. არსებობს კანონი. ჩვენ გაიძულებთ მის დამორჩილებას.

ლაპარაკში ექიმი ბერკლი ჩაერია. იგი შეეცადა დაგრწმუნებინა როუზი, როგორც ექიმს ექიმი, მაგრამ მისი მონდომება სრულიად ამაო აღმოჩნდა. გასასვლელში ჩამდგარმა კელერმანმა ძალდონით სავსე კუნთები დაძაბა, როუზისაკენ წაიწია და მღელვარე ხმით უთხრა:

— მეგობარო, ამ კანონის გვერდის ავლა შეიძლება.

გრანიტის კლდესავით მტკიცე როუზმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— მაინც რა უფლებით გამგებლობთ აქ ასე? — ჰკითხა კელერმანმა.

— ახლავე გაიგებთ ჩემს უფლებებს, — გამანადგურებელი ტონით მოუჭრა როუზმა და კვლავ ტელეფონის ყურმილი აიღო.

მას მართლაც შეეძლო თავისი უფლებების დემონსტრირება. პრეზიდენტის ნეშტი ახლა ტეხასის შტატის ადგილობრივ ხელისუფალთა ხელში იმყოფებოდა. დაურღვეველი იყო სასამართლო მედიცინის ექსპერტის პოზიცია. მხოლოდ თვითონ მას შეეძლო უარეყო იგი. როუზი კი სულ უფრო და უფრო თავგამოდებით იცავდა თავის უფლებებს. ჯერ პოლიციის სამმართველოში შერიფს დაურეკა, მერე კი მკვლელობათა საგამომძიებლო განყოფილებას. ორივეგან გაკვეთის აუცილებლობა დაუდასტურეს. ასეთი იყო კანონის მოთხოვნა და მათ სხვა გამოსავალი არა ჰქონდათ. ძალადობის გზით პრეზიდენტისათვის სიცოცხლის წართმევა-მკვლელობა სისხლის სამართლის დანაშაული გახლდათ, ხოლო სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში როუზი მხოლოდ დალასის ოლქის ხელისუფალთა წინაშე აგებდა პასუხს. სწორედ ამ მიზეზის გამო იყო მისი კაბინეტი პარკლენდის ჰოსპიტლის შენობაში. მართლმსაჯულება ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე უნდა გან-

ხორციელებულიყო. მკვლელს ან მკვლელებს, თუ ისინი დაპატიმრებულნი არიან, აქვთ გარკვეული უფლებები, მათ შორის გვამის გაკვეთის ობიექტური მასალების გაცნობისა. როუზს რომ უფრო საღი აზროვნება შეძლებოდა, მიხვდებოდა, რომ გვამის საგულდაგულო გაკვეთის გარეშე, თავისთავად უაზრო იქნებოდა პრეზიდენტის მკვლელობის საქმის გამოკვლევა. ამ მოტივით, რასაკვირველია, კამათი შეიძლებოდა, მაგრამ უჯრო გონიერულ ჩარჩოებში. როუზს მძიმე შეცდომას მისი ასეთი უგუნური საქციელი წარმოადგენდა.

ეჭიმი ბერკლი პირდაპირ ეველრებოდა შეეცვალა ეს ჯიუტი გადაწყვეტილება: —

— ქალბატონი კენედი ფესს არ მოიცელის, ვიდრე თავისი მოკლული ქმრის ცხედარს აქედან არ გაიტანენ. ჩვენ ამას ვერ დავუშვებთ.

როუზს სულაც არ ანაღვლებდა, რას იზამდა ქალბატონი კენედი. თავისი სურვილისამებრ ქალს დარჩენაც შეეძლო და წასვლაც. იგი ცოცხალი გადარჩა და კანონის დარღვევაში ბრალი არ ედებოდა. როუზს კი მხოლოდ ცხედარი აინტერესებდა.

— გვამი დარჩება აქ, — უაპელაციოდ განაცხადა მან. — საჭიროა ყველა კანონის დაცვა. შტატის ფარგლებს გარეთ ცხედრის გასატანად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მისი სიკვდილის წერილობითი დასტური. მე შემიძლია ცხედარი გადავცე ტეხასის შტატის მომრიგებელ მოსამართლეს, გარდაცვალების მიზეზის დასკვნის დასაწერად ანდა სულაც აქვე გავკვეთო ცხედარი.

— კი მაგრამ, ეს ხომ შეერთებული შტატების პრეზიდენტია! — შეჰყვირა ბერკლიმ.

— ამას მნიშვნელობა არა აქვს! არ შეიძლება მხილებათა ჯაჭვის არც ერთი რგოლის გამოტოვება.

კონფლიქტი მედიცინის დების ოთახის ფარგლებს გასცდა. მოკამათეთა ჯგუფს პრეზიდენტის თანაშემწე დეივ პაუერსი შეუერთდა. დეივი საკუთარ ყურებს არ უჯერებდა, როცა როუზი დაწვრილებით უხსნიდა საქმის ვითარებას. პაუერსმა ამ განსაკუთრებული შემთხვევის გამო გამონაკლისის დაშვება სთხოვა. როუზმა უკმაყოფილოდ გააქნია თავი.

— წესი, — ცივი ხმით წარმოთქვა მან.

როუზს ახლა გენერალი გოდფრი მაკჰიუ შეუჩნდა, თუმცა მასაც იგივე მოახსენეს:

— ყოველ შტატს გვამის გატანის თავისი წესი და კანონი აქვს. თქვენ, ვაშინგტონელი ბატონები, ნუ შეეცდებით საკუთარი კანონების ჩვენთვის თავს მოხვევას.

გოდფრიმ დახმარებისათვის ქალაქის მერს კეიბელს მიმართა. ვერავითარ დახმარებას ვერ გაგიწევო, იყო მერის პასუხი. გოდფრის ანალოგიურ თხოვნაზე პარკლენდის ჰოსპიტლის ადმინისტრაციის წარმომადგენელმაც როუზს დაუჭირა მხარი და მისი სიმართლე დაადასტურა. მაშინ გენერალმა ამ სცენის მოწმე — სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ პოლიციის დეტექტივს სთხოვა საქმეში ჩარევა. ამ უკანასკნელის აზრით, დახმარების გაწევა მომრიგებელ მოსამართლეს შეეძლო.

— რამდენი ხანი დასჭირდება ყველაფერ ამას? — იკითხა მაკჰიუმ.

— ათი-თხუთმეტი წუთი, — უპასუხა პოლიციელმა.

ბერკლიმ ახლა როუზს მათთან ერთად გაფრენა შესთავაზა. რაზედაც როუზმა უარი განაცხადა. კანონის ძალით ასეთი გამგზავრება დაუშვებელიაო. ამასობაში ტედ კლიფტონს გაახსენდა, ფორტ-ტორტიდან დალასში ჩამოფრენის დროს პრეზიდენტის თვითმფრინავში ტეხასის შტატის გენერალურ პროკურორ უოგონერ კარის რომ ესაუბრებოდა. კლიფტონმა რადიოს საშუალებით პროკურორის მოძებნა მოითხოვა. ეთერში მაშინვე გადაიცა შესაბამისი რადიოგრამა, მაგრამ კარი არ გამოხმაურებია. აღარსად ჩანდნენ ტეხასის შტატის წარჩინებულნი, ის ადამიანები, ვინც სამი საათის წინ ლავ ფილდის აეროდრომზე პრეზიდენტთან ერთად ჩამოფრინდნენ. გამონაკლისს წარმოადგენდა საოპერაციო მაგიდაზე გაშოტილი შტატის გუბერნატორი. ათი თვის შემდეგ, როცა გუბერნატორს როუზის მაშინდელი საქციელი უამბეს, მან უკიდურესი გაოცება გამოთქვა. მართლაც. როცა უკან ვიხედებით, სასამართლო მედიცინის მუშაკის მიერ ატეხილი მთელი ეს ორომტრიალი მეტად უცნაურ, არაჩვეულებრივ ამბად წარმოგვიდგება. როუზი, რასაკვირველია, აღშურვილი იყო გარკვეული უფლებებით, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავდა მის დაუმორჩილებლობას. როუზის მთელი ძლიერება ძირითადად მის რკინისებურ ნებისყოფაში მდგო-

მარეობდა. იგი უდრეკი კაცი იყო და ზუსტად იცოდა, რაც უნდოდა, მაშინ როცა სხვა ტეხასელები მერყეობდნენ და პასუხისმგებლობას თავს არიდებდნენ. პარკლენდის ჰოსპიტლის ექიმთა შორის ერთადერთი, ვინც აშკარად დადგა გარდაცვლილი პრეზიდენტის მხლებლებთა მხარეზე, ჰოსპიტლის მთავარი ნეიროქირურგი უილიამ კლარკი გახლდათ.

— მომისმინე, ჯეკ, ხომ არ არის ჰოსპიტლის შენობაში მომრიგებელ-მოსამართლე? — ჰკითხა მან პრაისს.

— ერლ როუზმა მთელი პრობლემა შექმნა!

წამოჭრილი დილემის არსის განმარტების შემდეგ კლარკმა დასძინა:

— თუ ღმერთი გწამთ, მოძებნეთ ვინმე. მე მოდავეთა დაზავებას შევეცდები.

შიდა რადიომ მაშინვე მიმართა ჰოსპიტლის შენობაში მყოფთ, ეცნობებინათ, იყო თუ არა მათ შორის მომრიგებელი მოსამართლე. მაგრამ არც ამ მოწოდებას გამოხმაურებია ვინმე. მაშინ ქალაქის მერმა კეიბელმა და ჰოსპიტლის რამდენიმე თანამშრომელმა საკუთარი ინიციატივით დაიწყეს ქალაქში რეკვა მოსამართლის მოსაძებნად. არც ერთი მომრიგებელი მოსამართლე თავის ადგილზე არ აღმოჩნდა. ყველა შესვენებაზე იყო გასული. ბოლოს, როგორც იქნა, ქსენონის მედიცინის დას გაუმართლდა და დალასის ოლქის მესამე საპოლიციო უბნის მომრიგებელ-მოსამართლე ტერონ უორდს დაუკავშირდა. სხაპასხუპით აუხსნა შექმნილი მდგომარეობა და სთხოვა, როგორმე სასწრაფოდ უნდა მოხვიდეთო. სამწუხაროდ, ტერონ უორდს არ შეეძლო ამ თხოვნის უმალვე შესრულება. მისი საპოლიციო მესამე უბანი ჰარლანდში, დალასიდან თოთხმეტი მილის დაშორებით მდებარეობდა. უორდი მაშინვე გაქანდა ჰოსპიტლისკენ. მიდიოდა მთელი სისწრაფით, მაგრამ დანიშნულ ადგილს მხოლოდ ოცდახუთი წუთის შემდეგ მიაღწია. ჰოსპიტალში ამ თავდადების შეფასების უნარის მქონე თუნდაც ერთი კაცი რომ ყოფილიყო, უორდს როგორც გმირს ისე უნდა მისალმებოდა. მაგრამ მისთვის ერთი სამადლობელი სიტყვაც კი არ უთქვამთ. ჰოსპიტალში მისი მოსვლის დროისათვის არაფრის გაგება ალარ სურდათ. როუზის მიერ ატეხილ ალიაქოთს თითქმის ყველა იქ მყოფი ჩაეთრია. ექიმი როუზი ოლქის პროკურორ უეიდს დაელ-

პარაკა. უეიდმა ურჩია, დაეთმო და საიდუმლო სამსახურისათვის საქმის ბოლომდე მიყვანის საშუალება მიეცა. როუზის ადგილას სხვა, ნაკლებად მებრძოლ კაცს გაახარებდა კიდეც უკანდასახევი გზის გამოჩენა, მაგრამ როუზი უკან დახევას სულაც არ ფიქრობდა. პირიქით, სულ მთლად გაგიჟდა. ბერკლისა და მაკჰიუს საკუთარი უღონობის ბღლმა ახრჩობდათ. პაუერის მიერ ინფორმირებული ო'დონელი და ო'ბრაიენი განზე იდგნენ და ცივად გაჰყურებდნენ სასამართლო მედიცინის ექსპერტს. საქმეში ჩარევაზე ჯერჯერობით თავს იკავებდნენ, ანუ იმ დრომდე, ვიდრე სხვები საბოლოოდ დამარცხდებოდნენ. თან თავიანთ ჩარევას აუცილებელ საჭიროებად ჯერ კიდევ არა თვლიდნენ. შეუძლებელია, მთელ ტეხასში ამ ფენომენალური ქმნილებისათვის კანონი არ შოიძებნოსო, — ფიქრობდნენ ისინი.

მთავარი ნეიროქირურგი კლარკი იარაღს არა ყრიდა. როუზს შეედავა და ბარე ორი უხეში სიტყვითაც მიმართეს ერთმანეთს. მერე გვერდზე გაიხმო შეშფოთებული ჯეკ პრაისი და უთხრა: — ჩემი აზრით, საჭიროა ძალა ვიხმაროთო.

— როუზს, ალბათ, იატაკზე წაწვენა და ზედ შეჯდომა მოუწევს, — მრისხანედ წარმოთქვა კლარკმა და დასძინა: ერთი სული მაქვს, ვიდრე ზედ შევაჯდებოდეო. ასეთი სურვილი მარტო კლარკს როდი ამოქმედებდა. თუ როუზი შეგნებულად ცდილობდა სცენის დაპყრობის მიზნით სხვათა დაჯაბნას, მაშინ მან, მართლაც, დიდ წარმატებას მიაღწია. ყველა იქ მყოფი მას მისჩერებოდა. გამონაკლისს მხოლოდ ერთადერთი ადამიანი, ჟაკლინ კენედი წარმოადგენდა.

სწორედ ამ დროს, პარკლენდის ჰოსპიტალს ტერონ უორდის მანქანა მოადგა. ხორცისფერი „ბიუიკი“ მაშინვე ჩაიკარგა ქაოტურად შეყრილ მანქანებში. სასწრაფოდ მოვარდნილ უორდს მხოლოდ მსხვერპლად შეწირვა ეწერა ამ თავისებურ სახალხო სამსჯავროზე. ვერავითარი მომრიგებელი მოსამართლე ვერ შეარიგებდა ქირურგიულ კორპუსში მყოფ მოჩხუბართ. მოსამართლე თავისი რეპუტაციის გაფუჭებას თუ გამორჩებოდა მხოლოდ.

ერლ როუზმა მოსამართლე იცნო და თვალები აუელვარდა. „მბრძანებლური“ ჟესტით საჩვენებელი თითი მოკაკვა და მოსული თავისკენ იხმო:

— მოსამართლე უორდ, თქვენზე ზეგავლენის მოხდენას ცდილობენ! ამ საქმეს კი, ისეთი წარმართვა სჭირდება, როგორიც არ დასჭირვებია არც ერთ სხვა საქმეს ისტორიაში. თუ თქვენ ცხედრის წაღებას დასთანხმდებით, იცოდეთ, ეს კანონის დიდი დარღვევა იქნება.

ტერონ უორდმა სასწრაფოდ წარუდგინა თავი როუზის ირგვლივ შემოკრებილ გამძვინვარებულ ვაშინგტონელებს:

— მე მომრიგებელი მოსამართლე გახლავართ. დავალებული მაქვს ამ საქმის წარმართვა, — მიმართა ექიმ ბერკლის და ჩამოსართმევად ხელი გაუწოდა.

ბერკლიმ იგი ხელის ჩამორთმევის ღირსადაც არა სცნო. პრეზიდენტის ექიმს ყელს მოწოლილი ქვითინი ახრჩობდა და გააფორებისაგან ერთიანად თრთოდა. მას ახლა უბრალოდ არ შეეძლო რაიმე საკანონმდებლო კაზუსებზე მსჯელობა. როუზის საქციელმა წინასწარვე დაუკარგა ნდობა მომრიგებელ-მოსამართლე უორდს. კენედის მხლებელნი ზიზღით იყვნენ გამსჭვალულნი ადგილობრივი იუსტიციის ყველა ჩინოვნიკისადმი.

— ყველაფერს დაუყოვნებლივ გავაფორმებ, — განაგრძო უორდმა და ამჯერად კელერმანსა და ბერკლის მიუბრუნდა. მათ სკეპტიკურად შეათვალიერეს მოსამართლე და უმალვე დარწმუნდნენ თავიანთ სკეპტიციზმში. მომრიგებელი მოსამართლე, როგორც ჩანს, მაშინვე უკუიქცა როუზის წინაშე და „საკანონმდებლო ასპექტების შესამოწმებლად რამდენიმე წუთი" ითხოვა. სინამდვილეში, მისი თხოვნა სავსებით გონივრული ამბავი გახლდათ. ბევრი რამ იყო მისთვის ამ საქმეში გაურკვეველი. ბუნებრივია, იგი მის გაცნობას შეეცდებოდა. მომხდარ ვითარებაში გარკვევისას უორდი ნამდვილად იმსახურებდა ერთგვარ თანაგრძნობას, მაგრამ არაფერი ამდაგვარი არავის გამოუხატავს. სამწუხაროდ, იგი მიმართავდა ბრმა ანტაგონიზმით აღელვებულ ადამიანებს. პრეზიდენტის სიკვდილით შეძრწუნებული კენედის თანაშემწეები და მისი დაცვა ამ სკანდალის გარეშედაც ფრიად მტრულად იყვნენ განწყობილნი ყველაფრისადმი, რაც კი ტეხასთან იყო დაკავშირებული. როუზის გამომწვევმა საქციელმა ხომ ეს ადამიანები ნამდვილ სიგიჟემდე მიიყვანა. დამოკიდებულება უკიდურესობამდე დაიძაბა. მათ თვალში უორდი უბრალოდ როუზის თანამონაწილედ იქცა და მისი

თხოვნა „ერთი წუთი“ მომეცითო, ზედმეტი მავთულხლართის გაწვნის პერსპექტივად ჩათვალეს.

კელერმანმა უორდს პირადი საბუთები წარუდგინა და ჰკითხა:

— მეგობარო, ნუთუ არ არსებობს თქვენს კანონში ისეთი მუხლი, რომელიც ჩვეულ პროცედურაზე უარის თქმის უფლებას მოგვცემდა?

— დიდად ვწუხვარ, — მიუგო გუნებაწამხდარმა უორდმა, — მე კარგად ვიცი ვინაც ბრძანდებით, მაგრამ ამ შემთხვევაში უძლური ვარ რითიმე დაგეხმაროთ.

— მეც დიდად ვწუხვარ, — პირქუშად მიუგო როიმ.

უორდთან საუბრის დროს როი კელერმანმა შეამჩნია, რომ საგორავი, რომელზედაც პრეზიდენტის კუბო იდგა გასასვლელისკენ დაიძრა. როი მაშინვე კუბოსთან მიიჭრა, რათა წინ გასულიყო და გამოგორებაში მიხმარებოდა. აქ ერთმანეთს პირისპირ შეეჯახნენ შტატის სუვერენიტეტის შუბლმაგარი დამცველი და ფედერალური მთავრობის წარმომადგენლები. სასამართლო მედიცინის ექსპერტის ამ საოცარმა სიფიცხემ პანიკის მსგავსი ამბავი გამოიწვია კუბოს გვერდით მდგარ ადამიანთა შორის. ეს განწყობილება მათ ჰოსპიტლის დატოვების შემდეგაც არ მოშორებიათ, რასაც ლავ ფილდის აეროდრომზე ახალი შეხლა-შემოხლა მოჰყვა. ეს ეპიზოდი უეჭველად იმსახურებს ყველა წვრილმანის ზუსტი ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აღდგენას, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის გაკეთება შეუძლებელი აღმოჩნდა: გარკვევით ყალიბდება მხოლოდ ცალკეული, შედარებით აშკარა მომენტები. თითოეული მოწმე თავისებურად ჰყვება მომხდარ ამბავს. მათი ემოციებით სავსე ეს ვერსიები ერთმანეთს ეწინააღმდეგებიან. ფასდაუდებელი იქნებოდა თვითონ ჟაკლინ კენედის ჩვენებანი, რადგან ჰოსპიტალში სწორედ მან გამოიმეღავნა საოცარი სიფხიზლე, მაგრამ იგი შეგნებულად ჰყავდათ იზოლირებული.

საომრად აღრენილი, დოინჯშემოყრილი როუზი რომ დაინახა, ო'დონელი სწრაფად მოეთათბირა პაუერსს. სწორედ ამ დროს როუზმა პრეზიდენტის კუბოს მოჰკრა თვალი. როგორც ამას გონზალესი ჰყვება — როუზმა თითები გაფარჩხა, ხელისგულები მაღლა აიშვირა, თითქოს პოლიციელია და მოძრაობას აწესრიგებსო.

— არა, ვერ გაგატანთ! — შეჰყვირა მან. — ძალადური სიკ-

ვდილის გამო გაკვეთა აუცილებელია! ასეთია ჩვენი კანონი!

როუზის ოპოზიციის ხელმძღვანელი კენ ო'დონელი და ექიმი ბერკლი ექთანების ოთახიდან ოლქის პროკურორ უეიდთან ტელეფონით დაკავშირებას ცდილობდნენ, მაგრამ უეიდის მდივანმა საშველი აღარ დააყენა და კენმა ყურმილი დაკიდა. კენ ო'დონელს ყველაზე გააფთრებული საკუთარი თავი ეგონა, მაგრამ ახმახი სერჟანტი დაგერი რომ დაინახა, აზრი შეიცვალა. ცრემლით თვალდანამული, მძიმე წონის მოკრივესავით ოდნავ წახრილი და მუშტშემართული სერჟანტი ბოლთასა სცემდა, თითქოს ბეისბოლის მოთამაშეა და შეჯიბრების დაწყებისათვის ემზადებაო. „ეს ბიჭი როუზს გაარტყამს, — გაიფიქრა კენმა, — აი ახლა გაარტყამს". დაგერიც ამასვე ფიქრობდა. აკი მოგონებისას განაცხადა კიდეც: „ისე მინდოდა სიფათში მელეწა!"

თვითონ როუზიც ხელჩართული ჩხუბის მოსურნესა ჰგავდა. დალასის სასამართლო მედიცინის ექსპერტი მართლაც ისტერიკულ მდგომარეობაში იყო. ხელებს აქეთ-იქით იქნევდა, ხალათი ამოჩაჩოდა, სისხლდაცლილ ჭორფლიან სახეზე ციცი ფაფის ფერი დასდებოდა. მეტისმეტად აღგზნებული უჩვეულოდ მჭახე ხმით რაღაცას ჩქარ-ჩქარა ლაპარაკობდა, გონზალესს რომ გაბმულ ზუილად ესმოდა. მისი აზრების წყობის გამოცნობა მეტად ძნელი საქმე იყო. როგორც ჩანს, იგი ირგვლივ მყოფთ უფლებების დაცვის აუცილებლობას უქადაგებდა, ლაპარაკობდა და დამნაშავის მომავალ სასამართლოზე, ექიმის მოვალეობაზე და, რა თქმა უნდა, თავის მთავარ თემას — ტეხასის კანონების სიწმინდეს უტრიალებდა, რომლის შელახვასაც ახლა ფედერალური ჩინოვნიკები აპირებდნენ.

კუბოს ირგვლივ მდგარმა მამაკაცებმა კემპ კლარკის რჩევის გაზიარება გადაწყვიტეს: თუ საჭირო გახდებოდა, ძალის გამოყენებით აელაგმათ როუზის წინააღმდეგობა. ო'დონელმა კელერმანს ანიშნა, ამ უკანასკნელმა კი დაცვას. როუზს მკლავღონიერი ვაჟკაცები შემოერტყნენ. ექსპერტი მაღლა იშვერდა კისერს, კუბო არ გამაპარონო, კენს კი კვლავინდებურად უმტკიცებდა:

— თქვენ ახლა ვერ გაემგზავრებით. ჩვენ-არ მოგცემთ ცხედრის წაღების უფლებას.

კენს უკვე ეჭვი შეეპარა ამ პირობებში საქმის მოგვარებაზე. სწორედ ამ დროს ქირურგიულ განყოფილებაში გაშავალ ფართის კართან გაოფლილი მამაკაცები შეჯგუფდნენ. შეიქსა ერთი ჭყლეტა. ბრბოს მიწოლისაგან კარი გაიღო და ხალხმა კორიდორიდან ქირურგიულ განყოფილებისაკენ წაიწია, საიდანაც კენედის თანაშლებთ კუბო უკვე გამოჰქონდათ. ტერონ უორდის გამოთვლით ტეხასელები ორმოციოდ კაცამდე მაინც იყვნენ. აქამდე როუზი მხოლობით რიცხვში გამოდიოდა. მაგრამ ეს ყველაფერი ხომ დალასში ხდებოდა, სადაც როუზი ოფიციალური პირი იყო. მართალია, პოლიციის სერჟანტი დაგერი როუზის წინააღმდეგ ილაშქრებდა, მაგრამ საერთოდ დალასელი პოლიციელები, ბუნებრივია, სასამართლო მედიცინის ექსპერტის მოკავშირეები იყვნენ. ერთი პოლიციელი სხვებთან ერთად შეძვრა და მაშინვე როუზს ამოუდგა. როგორც ჩანდა, ახლა უკვე მარტო ერთი კაცის წინააღმდეგ კი აღარ იყო საჭირო ძალის გამოყენება. პოლიციელს რომ ვაშინგტონელების წინააღმდეგ აქტიური ჩარევა გადაეწყვიტა, ეს პისტოლეტით შეიარაღებული კანონის დამცველი სერიოზულ მოწინააღმდეგედ გადაიქცეოდა. პოლიციელს, მართლაც, პისტოლეტის ბუდესათვის წაევლო ხელი.

ამიტომაც ბერკლიმ და მაკპიუმ შეაჩერეს როუზისკენ ძალისძალით მიმავალი ო'დონელი და ო'ბრაიენი და სხვაგვარი მოქმედება შესთავაზეს. აუხსნეს, რომ იქ იმყოფებოდა მომრიგებელი მოსამართლე, რომელიც უფლებამოსილი იყო შეეცვალა სასამართლოს ექსპერტის გადაწყვეტილება. ყველა მომრიგებელი მოსამართლის მოსვლას დაელოდა, თუმცა ეს იმედები მოსამართლის მოსვლისთანავე გაცრუვდა.

— მე არაფრის გაკეთება არ შემიძლია, — განაცხადა მან. — როცა სიკვდილი მკვლელობის ეჭვს აჩენს, ჩემი ვალია ცხედრის გაკვეთის მოთხოვნა.

ამ შემთხვევაში არსებობდა მკვლელობის ყოველნაირი დასტური და მოსამართლეს არ ძალუძდა მისთვის გვერდის ავლა. უორდს მხოლოდ დრო შეეძლო განესაზღვრა, რომ გაკვეთის პროცედურა სამ საათზე მეტს არ გაგრძელდებოდა.

ო'დონელმა სთხოვა, პრეზიდენტ კენედისათვის გამონაკლისი დაეშვათ. საშინელი ხმაურის მიუხედავად, ო'დონელმა და ო'ბრა-

იენმა გაიგონეს მომრიგებელი მოსამართლის მიერ არამეგობრული ტონით წარმოთქმული სიტყვები:

— ჩემთვის ეს მკვლელობის თაობაზე აღძრული ჩვეულებრივი საქმეა.

ნათქვამმა მაშინვე აღაგზნო ო'დონელი, უხეშად შეიგინა და თითქოს გატანა სურსო, კინაღამ შუბლით შეეჯახა როუზს.

— ჩვენ მივემგზავრებით, — ხმამაღლა წარმოთქვა მან.

როუზის გვერდით მდგარმა პოლიციელმა მომრიგებელი მოსამართლისა და როუზისაკენ გაიშვირა ხელი და ო'ბრაიენს მიმართა:

— ამ ორი კაცის აზრით, თქვენ არსად წასვლა არ შეგიძლიათ.

— ჰო, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ ერთი მხარეა, — ცივად მოუჭრა ლერიმ.

კენმა გამწარებით გაიქნია თავი და ბრძანება გასცა:

— დროა მოვრჩეთ ამ ბედლამს. წავედით. ჯანდაბას იქეთ ყველა ეს წესი და კანონი. ჩვენ მათთან არა გვესაქმება რა. არც სამ საათს დავრჩებით და არც სამ წუთს.

მერე დეიეს გასძახა, რომელმაც ჟაკლინი ფარდის იქით გაიყვანა, რათა მწუხარე ქალს ამ სცენისათვის თვალი არ მოეკრა.

— მივდივართ, ახლავე მივდივართ! — მერე კელერმანს მიაძახა: — გამოიტანეთ კუბო!

ახლა უკვე ყველაფერი ფიზიკურ ძალას უნდა გადაეწყვიტა. კელერმანს არც კი გაუგონია ო'დონელის სიტყვები, მან საკუთარი გადაწყვეტილებით მოსწია საგორავი, რომელზედაც კენედის კუბო იდგა და მხრებით დაიწყო ხალხში გზის გაკაფვა. კელერმანს დაცვის აგენტები და დაგერი წაეშველნენ და საგორავს გასასვლელისაკენ დაუწყეს გამოგორება. ძნელი სათქმელია, ცდილობდა თუ არა ვინმე სინამდვილეში მათთვის ხელის შეშლას, რადგან ის რამდენიმე კაცი, ვინაც თითქოსდა გზის გადაღობვას აპირებდა, უეცრად შეშინდნენ და ახლა იმასღა ფიქრობდნენ, როგორ ჩამოცლოდნენ გზიდან. ეს კია, რომ ერლ როუზი მათ შორის აღარ იყო. მისმა მომხრე პოლიციელმაც დაჰყარა ფარხმალი. დიახ, სასამართლო მედიცინის ექსპერტ—ერლ როუზს უბიძგეს და გასასვლელისკენ გააგდეს. სადღაც გაქრა ტერონ უორდიც. იგი ექთანების ოთახში შეევარდნილიყო და ოლქის პროკურორს ურეკავდა. ის იყო ნომერი აკრიფა და შეერთების სიგნალი გაიგონა, რომ ფარდის იქით

ოთახიდან გამოსული დეივი და მის უკან მიმავალი სისხლის ლაქებით ტანსაცმელმოსვრილი ჟაკლინი დაინახა. ყურმილში უეიდის ხმა გაისმა. პროკურორმა აუხსნა, რომ იგი წინააღმდეგი არ არის ცხედრის ჰოსპიტლიდან წაღებისა. ურრდს ტელეფონის ყურმილი მარჯვენა ხელში ეჭირა, მარცხენა ხელით კი კარებთან თავშეყრილ ხალხს გზის გაგრძელების უფლებას ანიშნებდა.

ამ ჟესტის ფასი, ცოტა არ იყოს, საეჭვო იყო და თავის ეფექტურობით ქანდარის „კომენტარს" წააგავდა ფეხბურთის მოედანზე ატეხილი ჩხუბის დროს. მაგრამ შეტაკება უკვე აშკარად დამთავრებული იყო. გაქრა ადამიანის სისულელით წარმოშობილი უკანასკნელი წინააღმდეგობაც და, საგორავზე დადგმული კუბო კორიდორში გამოიტანეს. კუბოს ჟაკლინი მიჰყვებოდა. მარჯვენა ხელი კვლავ მის მბრწყინავ სახურავისთვის დაედო. როცა პროცესია „სასწრაფო დახმარების" მანქანების სადგომს მიუახლოვდა, დაცვის ერთ-ერთ აგენტს სანიტარი მიუახლოვდა და ჰოსპიტლის ბლანკზე დაწერილი, ექიმ კემპ კლარკის მიერ ხელმოწერილი კენედის გარდაცვალების დამადასტურებელი ცნობა გადასცა.

ო'ნილის მეთაურობით პრეზიდენტის კუბო საგორავიდან გადმოიღეს და კატაფალკაზე დადგეს. მანქანას მარჯვენა მხარეზე პატარა კარი ჰქონდა, საიდანაც შიგ შესვლა და კუბოს გვერდით ასაკეც სკამზე დაჯდომა შეიძლებოდა. ქვრივის მახლობლად მყოფმა დაგერმა ჟაკლინს კარი გაუღო.

— გმადლობთ, — წაიჩურჩულა ქალმა.

ზუსტად 14 საათი და 08 წუთი იყო, როცა ექიმი ბერკლი კატაფალკში უკანა კარიდან შევიდა. თავისი უზარმაზარი სხეულით რის ვაი-ვაგლახით მოთავსდა ჟაკლინის ზურგს უკან. იგი მართლაც საოცრად მიჭეჭყილი იჯდა, რადგან კლინტ ჰილიცა და გოდფრი მაკჰიუც იქვე იყვნენ. წინ კი პირადი დაცვის სამი აგენტი მოთავსებულიყო. კელერმანი, ჩვეულებისამებრ, მარჯვნივ იჯდა. მანქანას ენდი ბერჯერი მართავდა. პირველად ამ რამდენიმე დღის განმავლობაში პრეზიდენტის მანქანის საჭეს ბილ გრირი აღარ უჯდა. გრირი რამდენიმე წუთით ჰოსპიტალში შეყოვნდა, რათა ქალალდის ტომარა გამოეტანა, რომელშიც პრეზიდენტის სისხლით მოსვრილი ტანსაცმელი იყო. კელერმანმა გადაწყვიტა მისთვის აღარ დაეცადა. კუბოს თანმხლებნი შიშობდნენ, რომ კიდევ ელო-

დათ წინასწარ მომზადებული ახალი შეტაკება, ამჯერად უკვე ახალგაზრდა ქვრივის თვალწინ. ჰოდა, ცდილობდნენ, რაც შეეძ-ლება ჩქარა მიეღწიათ აეროპორტამდე. ჰაერში ასულიყვნენ მანამ, ვიდრე მოწინააღმდეგეთა ახალი ძალები მოვიდოდნენ და დამარ-ცხებას აგემებდნენ.

— იცით კია, როგორ უნდა მოხვიდეთ ჩემს მორგთან? — ჰკი-თხა როი კელერმანს ო'ნილმა. — მე თქვენ იქ დაგიცდით.

— არა, ჩვენ ვერ წამოვალთ იქ, — გზიდანვე უპასუხა კელერ-მანმა. — ჩვენ პირდაპირ ლავ ფილდის აეროდრომში მივდივართ. თქვენც გამოგვყევით. თქვენი „სასწრაფო დახმარების" მანქანას იქ მოგიბრუნებთ.

— „სასწრაფო დახმარების" მანქანას კი არა, კატაფალკს, — გა-უსწორა ო'ნილმა და ჟურნალ „ტაიმის" კორესპონდენტ ჰიუ საილს შეშფოთებით ჰკითხა, ფულს ვინ გადამიხდისო.

თეთრი „კადილაკისა" და მისი თანმხლები ოთხი მანქანის მგზავ-რებმა შვების პირველი ნიშნები მხოლოდ მაშინ იგრძნეს, როცა გარი ჰაინსის ბულვარს ჩაუქროლეს. უშიშროების გრძნობა ჰის-პიტლიდან დაშორების პროპორციულად იზრდებოდა. ხსნას სწო-რედ ასეთი სწრაფი სვლა მოასწავებდა და მთელმა ამ მგზავრობა-მაც როგორღაც პანიკური გაქცევის ხასიათი მიიღო, რადგან მათ დალასის კანონების დამრღვევად თვლიდნენ და უკან დადევნებაც არ იყო გამორიცხული. ასეთი სისწრაფით ჯერ არც ერთ კატა-ფალკს არ უვლია. პრეზიდენტის კუბოს თანმხლებნი არანაკლები სისწრაფით მიჰქროდნენ, ვიდრე ჯონსონი და მისი თანამგზავ-რნი.

აეროდრომზე მძღოლმა ბერჯერმა მანქანა მკვეთრად დაამუხრუ-ჭა თვითმფრინავ 26000-ის მახლობლად, რომელსაც ჯერ კიდევ თა-ვიანთ თვითმფრინავად თვლიდნენ. კუბოს გადმოტანისას ხმა არა-ვის გაუღია. ყველა ხვდებოდა, რომ თვითმფრინავში პირველი ჟაკლინ კენედი უნდა ასულიყო. დაცვის აგენტები კენი, ლერი და სამხედრო ადიუტანტები კუბოს თვითმფრინავში ასატანად ემზადე-ბოდნენ.

— იგი საოცრად მძიმეა, — შეშფოთებით წარმოთქვა ტედ კლიფტონმა და თვითმფრინავის კუდის კართან მიდგმული ტრაპის ციცაბო საფეხურებს შეავლო თვალი.

— როგორ ფიქრობთ, შეგძლებთ კუბოს იქ ატანას?—იკითხა მან, მაგრამ კრინტი არავის დაუძრავს. ყველამ იცოდა: ეს უნდა გაკეთებულიყო და მზად იყვნენ მის შესასრულებლად. ეს იყო და ეს. წარმოუდგენელი სიმძიმით წელში გაზნექილმა ადამიანებმა გოდფრი მაკჰიუს თაოსნობით კუბო თვითმფრინავის კუდის ნაკვეთურში შეიტანეს და ტიხარის გვერდით იატაკზე დაუშვეს.

ნაკვეთურში სიბნელე და სულისშემხუთველი სიცხე იდგა. ფანჯარაზე ფარდები ჩამოშვებული იყო, ჰაერის საკონდენსაციო მოწყობილობა კი არ მუშაობდა. სიბნელეში მხოლოდ ჩურჩული და ფეხის ხმა ისმოდა. კუბოს შემტანთ მაშინვე არც კი შეუნიშნავთ, რომ მათ გვერდით კიდევ ერთი მგზავრი იმყოფებოდა. გასასვლელის იქეთა მხარეს, ერთ-ერთი რბილ დასაჯდომზე ეაკლინ კენედი განმარტოებით იჯდა და ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. კუბოს შეტანისას ყველასგან შეუმჩნევლად შევიდა იგი თვითმფრინავში. 14 საათი და 18 წუთი იყო. ყველა მდივანს ტექნიკური პერსონალის კაბინაში მოეყარა თავი. კენედის მხლებელთა შორის პრეზიდენტის ქვრივი ერთადერთი ქალი გახლდათ, ვინც ახლა თვითმფრინავის ამ ნაკვეთურში იმყოფებოდა. გაიმარჯვა მისმა შეუდრეკელმა სიმტკიცემ. ქალი ქმრის კუბოსაკენ მიჩოჩდა.

ეაკლინის დანახვაზე კლიფტონმა და მაკჰიუმ ერთმანეთს გადახედეს.

— ერთ-ერთი ჩვენგანი აქ უნდა დარჩეს, — თქვა კლიფტონმა.

ირგვლივ მყოფთათვის ეს სიტყვები არაფერს ნიშნავდა, მაგრამ ამ ორი გენერლისათვის მისი აზრი სავსებით ნათელი იყო. უხსოვარ დროიდან დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით მოკლული მთავარსარდლის ცხედართან დაკრძალვის წუთამდე საპატიო ყარაულში გამუდმებით უნდა მდგარიყო უმაღლესი რანგის ოფიცერი.

— მე დავრჩები აქ, — უპასუხა გოდფრიმ.

გენერლებმა ეს ტრადიცია ოდონელსაც გააცნეს, რომელმაც თანხმობა თავის დაქნევით დაუდასტურა.

გოდფრი მაკჰიუ გახლდათ ერთ-ერთი უერთგულესი გუშაგი ამ მწუხარე ვახტისა, თუმცა იგი მაშინვე არ შესდგომია ამ მოვალეობას. მას კიდევ ჰქონდა შესასრულებელი ერთი გადაუდებელი ვალდებულება. პრეზიდენტის სამხედრო-საჰაერო ადიუტანტი მაკჰიუ საფლაგმანო თვითმფრინავში იმყოფებოდა.

— სტარტს ავიღებთ? — ჰკითხა მან ო'დონელს.

ო'დონელმა კითხვითვე უპასუხა:

— ვითომ მზად ვართ?

— ახლავე შევამოწმებ საწვავს, — ჩაურთო კლიფტონმა.

— ყველაფერი მოგვარებულია, მე ტელეფონით შევამოწმე, — წარმოთქვა გოდფრიმ და პილოტის კაბინისაკენ გაეშართა.

ვიდრე-ეკიპაჟი თვითმფრინავის კუდის კარს კეტავდა, ჟაკლინი უხმაუროდ წამოდგა და საწოლი კაბინისკენ გაემართა. ქალი კუბის მოშორებას არ აპირებდა, მაგრამ როგორღაც რამდენიმე წუთი მარტო ყოფნა მოუნდა. მისი საწოლი სწორედ კუდის ნაკვეთურს ესაზღვრებოდა. ქალს მოაგონდა, რომ ის და ჯონი უკანასკნელად მარტონი სწორედ აქ იყვნენ. დაკარგული ბედნიერების მოგონებათა მოზღვავებით სულშეხუთულმა ქალმა იფიქრა, იქნებ, სწორედ ამ კაბინაში განმარტოებამ დამამშვიდოს და თავშეკავებისა ძალა მომგვაროსო. ჩუმი ნაბიჯებით გაიარა ნახევრად ჩაბნელებული კორიდორი. ჟაკლინი საწოლს თავისად თვლიდა და კარის სახელურს დაუკაკუნებლად მოსწია. საწერი მაგიდის სავარძელში მარი ფემერი იჯდა, სოლო საწოლზე წამოწოლილი ჯონსონი ქალს რაღაცას კარნახობდა.

ჟაკლინ კენედი კარებშივე გაშეშდა. პრეზიდენტი საწოლიდან ელდანაკრავივით წამოხტა და მოუქნელი მოძრაობით კაბინიდან გავარდა. მარი ფემერმაც სასწრაფოდ აკრიფა თავისი ფანქრები თუ ბლოკნოტები და ჯონსონის კვალს მიჰყვა.

ქვრივმა გაკვირვებული მზერა გააყოლა გასულთ. ოქრომკედით ამოქარგულ ხასხასა ცისფერ ნოხზე მდგარი ქალი წუთით შეყოვნდა, მერე კორიდორში გამოვიდა და უნებურად გასულებისაკენ გადადგა ნაბიჯი, მაგრამ კვლავ შეყოყმანდა, უეცრად მობრუნდა და თვითმფრინავის კუდისაკენ წამოვიდა. ამ დროისათვის გოდფრი მაკჰიუ პილოტის კაბინაში შევიდა. კენედის საწოლი კაბინის წინ გავლისას, სადაც ჯონსონი იმყოფებოდა, კარი მიხურული იყო. თვითმფრინავში საკმაოდ ბნელოდა და მან ვერც ლედი ბიორდი და ვერც სხვა მგზავრები ვერ შეამჩნია. გენერლის ფიქრები თვითმფრინავის დაუყოვნებლად აფრენას უტრიალებდა. გოდფრი მაკჰიუმ შვებით ამოისუნთქა, როცა მისთვის კარგად ნაცნობი მოტორის გუგუნი გაიგონა. ჯიმ სუინდალმა საკუთარი ინიციატივით

ჩართო მოტორი № 3. ეს კი ნიშნავდა, რომ თვითმფრინავი მზად იყო ასაფრენად.

— პრეზიდენტი თვითმფრინავშია! აფრენა! — ხმამაღლა გასცა ბრძანება გოდფრი მაკჰიუმ და წინ გაიხედა. თვითმფრინავში ორი პრეზიდენტი იყო. ასეთ ვითარებას გოდფრი, რასაკვირველია, სულაც არ ელოდა. რადგან ჯონსონმა დედაქალაქში პრეზიდენტის თვითმფრინავით დაბრუნება გადაწყვიტა (არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მას ჰქონდა ამის უფლება. იქნებ, სწორედ ასეც უნდა მოქცეულიყო თვითმფრინავ „სსძ-1"-ის სიმბოლური მნიშვნელობის, გათვალისწინების გამო), კენედისა და ჯონსონის თანმხლებთა შორის დამოკიდებულების დაძაბვა გარდუვალი გახდა. ჯონსონის გადაწყვეტილება, დალასშივე დაედო მეორე ფიცი, ამ, ურთიერთობის კიდევ უფრო გამწვავებული ფაქტორი აღმოჩნდა. კენედის თანმხლებმა ადამიანებმა უკანასკნელი ორი საათის განმავლობაში დაკარგეს პრეზიდენტი და ცხარე ბრძოლა გადახდათ მისი ცხედრის ჰოსპიტლიდან გამოსატანად, — ერთი სიტყვით, იმდენი მძიმე და სამწუხარო რამ, რაც ალბათ, უმრავლესობას მთელი სიცოცხლის მანძილზე არ გარდახდება. მათი ნერვები სიმებივით იყო დაძაბული. ჯონსონს რომ მათთვის იქვე, გვერდით მდგარი თვითმფრინავი შეეთავაზებინა, ბევრ ახალ და მძიმე განცდების სიმწარეს აიცდენდნენ. ვითარება თავისას ითხოვდა. კერძოდ — ყველას შეგნებულად შეეხედა არსებული მდგომარეობისათვის. ჯონსონი უკვე პრეზიდენტი იყო, იმის მიუხედავად, შეძლო თუ არა ყველამ ამ ფაქტის შეცნობა. ცოტა მოგვიანებით რობერტ მაკნამარამ აღნიშნა:

— უნდა გვახსოვდეს, რომ ჯონსონიც ასევე შოკის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

ახალი პრეზიდენტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ვაშინგტონში დაბრუნების დროისათვის იგი უკვე გაბედულად მოქმედებდა. ასევე სასახელოდ უნდა მივიჩნიოთ კენედის თანმხლებ პირთა თავდაჭერილობა, მათი მონდომება, როგორმე დაეფარათ სულის სიღრმეში გაჩენილი ჭრილობები, იმის დიდი შეგნებით, რომ ახალი მთავრობის საწინააღმდეგოდ მიმართული ყოველი აშკარა უთანხმოება ქვეყანას ცუდ სამსახურს გაუწევდა, თვით ამ კაცის ხსოვნასაც, ვის დაკარგვასაც ასე მწვავედ განიცდიდნენ.

კენედი რომ ცოცხალი ასულიყო თვითმფრინავში. ეს, რა თქმა უნდა, თვითმფრინავის აფრენის ნიშანი იქნებოდა, თუმცა ამის თითქმის მკვდარმაც კი მიაღწია. სწორედ ამიტომ ჩართო სუინდალმა მოტორი № 3. თვითმფრინავი „სსძ-1“ მაშინვე უნდა აფრენილიყო, როგორც კი პრეზიდენტი თვითმფრინავში შეიტანეს და ჯო აირესმა კუდის ნაკვეთურის კარი ჩაკეტა.

რადგან სახელმწიფოს მეთაურის ძვირფასი დრო დაზოგვას ითხოვდა, ეკიპაჟიც ჩვეულებრივ, საოცარი სისწრაფით ახერხებდა მანქანის გასაფრენად მომზადებას, რითაც ყოველთვის ამაყობდნენ კიდეც. სუინდალი გამუდმებით ვარჯიშობდა, რათა სტარტისათვის განკუთვნილი დრო კიდევ რამდენიმე წუთით შეემცირებინა. გოდფრი მაკჰიუს აზრით, მოტორის პირველი დაგუგუნების შემდეგ თვითმფრინავს ბევრი დრო აღარ დასჭირდებოდა სასტარტო მოედნის გასარბენად და მგზავრებსაც მალე დაეუფლებოდა ჰაერში აფრენის გრძნობა. ასე გახლდათ ყოველთვის, მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იყო. სუინდალს ჯერ კიდევ არ შეეძლო ადგილიდან დაძვრა, იგი მოტორების გახურებას ელოდა. წინა კარი მოუკეტავი იყო, ტრაპი აუღებელი. ტეხასში პრეზიდენტის მოგზაურობის თანმხლებთათვის განკუთვნილ კაბინაში ახლა უკვე კენედისა და ჯონსონის თანმხლებნი არეულიყვნენ. გოდფრის ყურადღება გასასვლელში მორიალე ადამიანებმა მიიპყრეს. როგორი საკვირველიც არ უნდა აღმოჩნდეს, გოდფრის მოწინააღმდეგედ მაკ კილდაფი იქცა. კენედის ერთ-ერთი უერთგულესი თანაშემწე, კაცი, რომელიც კატაფალკის კვალდაკვალ ცხვირპირისმტვრევით მოჰქროდა აეროდრომისკენ. თვითონ კილდაფს, რა თქმა უნდა, უთანხმოება არ უძებნია, იგი უბრალოდ ახალმა პრეზიდენტმა ინმო და დავალება მისცა. ვიდრე პრეზიდენტის ცხედარს „ანგელოზის“ კუდის ნაკვეთურში ათავსებდნენ, კილდაფი დაბლა, წინა კართან მიდგმულ ტრაპის მახლობლად იდგა.

უეცრად, ეკიპაჟის რომელიღაც წევრი კარს მოადგა და ზემოდან დაიძახა — ჯონსონი კილდაფს მასთან გამოცხადებას სთხოვსო. კილდაფმა სასწრაფოდ აირბინა კიბის საფეხურები. იგი საოცრად გაკვირვებული იყო, აზრადაც არა ჰქონია, რომ ჯონსონი ამ თვითმფრინავში იმყოფებოდა. ისიც ვერ წარმოედგინა, იქ რა უნდა ეკეთებინა. ვიცე-პრეზიდენტს. არანაკლებ გაოცებული აღმოჩნდა ლე-

რი ო'ბრაიენიც, როცა კენედის საწოლიდან გამოსული ჯონსონი და მარი ფემერი დაინახა. ლერის უეცრად ჰოსპიტალში შექმნილი არეულობა გაახსენდა და გაიფიქრა: „საიდან გაიგო, რომ აქ მოვიდოდით? ნეტა რას იღონებდა, რომ არ მოვსულიყავით?"

ჯონსონი კილდაფს შეუვალი ტონით ელაპარაკა. იქვე სალონში მყოფი ახალი პრეზიდენტის მეუღლე თავის ქმარს აკვირდებოდა და ფიქრობდა: „როგორი მკვეთრი ნაკვთები აქვს. სახე ბრინჯაოს გრავიურას მიუგავს".

ჯონსონმა ზუსტად იცოდა, რა სურდა: პრეს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი მაკ კილდაფი, ვისმა სიმშვიდემ იგი ასე გააოცა პარკლენდის ჰოსპიტალში, ახლა სარა ჰიუზის მოსვლასთან დაკავშირებული სამზადისისათვის იხმო. პრეზიდენტი მასში ხედავდა დავალებათა იდეალურ შემსრულებელს, კენედის ენერგიულ თანაშემწეს და ბოლოს ავტორიტეტულ ექსპერტს ბეჭდვითი სიტყვისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა საკითხებში.

ჯონსონმა მოქმედების გეგმა მოხაზა და კილდაფს გადაჭრით განუცხადა:

— მე ფიცი აქვე, თვითმფრინავში უნდა დავდო. ამის თაობაზე ჩვენ უკვე ველაპარაკეთ იუსტიციის მინისტრს.

კილდაფი მაშინვე მიხვდა, ვაშინგტონში გაფრენის დაყოვნების აუცილებლობას. იგი სუინდალისაკენ გაქანდა და ეტყობა, სწორედ მაშინ ჩაუარა გოდფრი მაკჰიუს. ეს გახლდათ გოდფრისთან დაკავშირებული ერთი იმ მრავალ ინციდენტთაგანი, რომელთა ახსნა მხოლოდ იმ დიდი მღელვარებით შეიძლება, რასაც აგრერიგად მოეცვა როგორც კენედის, ისე ჯონსონის თანმხლები პირები.

— გამორთეთ მოტორები, — უბრძანა კილდაფმა სუინდალს, თანაც ყოველგვარი განმარტების გარეშე, ვინაიდან კილდაფი პრეზიდენტ კენედის აპარატის წარმომადგენელი იყო, სუინდალისათვის ეს საბუთი საკმარისი აღმოჩნდა. პილოტი მორჩილად გადაიხარა თავისი დანადგარებისაკენ.

კილდაფი კი რეპორტიორების ძებნაში ტრაპს სირბილით ჩაუყვა.

სწორედ ამ დროს, სულ რაღაც რამდენიმე წამის შემდეგ, პილოტის კაბინაში გოდფრი მაკჰიუ შეეიდა და, როგორც უკვე მოგახსენეთ, ბრძანება გასცა:

— აფრენა! პრეზიდენტი თვითმფრინავშია!

— ვერა, ჩვენ ვერ ავფრინდებით, — უპასუხა სუინდალმა.

— აფრინდით ახლავე! — დაჟინებით გაიმეორა გოდფრიმ.

— ბატონმა კილდაფმა თქვა, რომ ახლა აფრენა არ შეგვიძლია.

— ჩემი საქმე არ არის, ვინ რას ლაპარაკობს. დაიძარით! — კვლავ გაუმეორა ბრძანება მაკჰიუმ.

გოდფრი მაკჰიუ გენერალი გახლდათ, სუინდალი — პოლკოვნიკი. აკი ამიტომაც ეგონა თვითმფრინავის კუდის ნაკვეთურში დაბრუნებულ მაკჰიუს, რომ მისი ბრძანება შესრულდებოდა.

ჯონსონის ბარგი ის იყო თვითმფრინავში შემოიტანეს, იქვე მეზობლად მდგარი თვითმფრინავიდან. ჟაკლინ კენედიმ კვლავ დაიკავა თავისი ადგილი მეუღლის კუბოს პირდაპირ. ახალმა პრეზიდენტმა მაკ კილდაფს ჰკითხა, თვითმფრინავში ფოტორეპორტიორი ხომ არ არისო, მერე კი პერანგის გამოსაცვლელად და თმის დასავარცხნად საწოლის მეზობლად მდებარე სატუალეტო ოთახში შევიდა.

სწორედ ამ მომენტში გოდფრი მაკჰიუ მეორედ ასცდა ახალ პრეზიდენტს. თუმცა კიდევაც რომ შეხვედროდა, საეჭვოა, მაკჰიუს რაიმე შეეცვალა თავის მოქმედებაში. მისთვის ლინდონ ჯონსონი უბრალოდ, ისევ ის ლინდონი იყო, ვიცე-პრეზიდენტი. ხოლო ვიცე-პრეზიდენტებს არათუ ბრძანების უფლება აქვთ პრეზიდენტის ახლობლისათვის, პირიქით, მათ ანგარიშიც უნდა გაუწიონ. ჯონსონიც უჩუმრად ემორჩილებოდა, ამიტომაც უარყო მან პარკლენდის ჰოსპიტალში იანგბლადისა და რობერტსის რჩევა, სასწრაფოდ დაეტოვებია ჰოსპიტალი მისთვის საშიში ვითარების გამო. ჯონსონმა მხოლოდ ო'დონელის ნებართვის შემდეგ დატოვა ჰოსპიტალი, მაგრამ მას შემდეგ ხანი გავიდა. ჯონსონი გონს მოეგო და მომხდარი ამბის მასშტაბები შეიცნო. მან უკვე სცნო საკუთარ თავში ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი.

მაკჰიუს კი ყველაფერი სხვაგვარად ესახებოდა. თავისი ბუნებით იგი ფრიად ემოციური კაცი იყო და უკვე გადაწყვეტილიც ჰქონდა, უარი ეთქვა ტეხასის მოქალაქეობაზე. ჰოდა, ამდაგვარად განწყობილ კაცს, რა თქმა უნდა, ჯონსონის ყოველგვარი დირექტივა აშკარა თავხედობად ეჩვენებოდა.

თვითმფრინავის კუდის ნაკვეთურში ჰაერი მეტისმეტად გახურდა. აუტანელი შეიქნა ნოტიო სიმხურვალე.

— როგორი სიცხეა. დროა გავფრინდეთ, — თქვა ჟაკლინმა.

— განა თქვენ გაფრენის ბრძანება არ გაგიციათ? — ჰკითხა მაკჰიუს ო'დონელმა.

— რასაკვირველია, გავეცი, მაგრამ მაკ კილდაფი ჩაერია და სხვა მითითება მისცა. ახლა წავალ ისევ.

გასასვლელში გოდფრი მაკჰიუ სწორედ მაკ კილდაფს შეეჩეხა... მაკი პრესის წარმომადგენელთა დროებით ჯგუფს ადგენდა (ორმა რეპორტიორმა წილიც კი იყარა, რომელი მათგანი გაფრენილიყო), იქით თეთრი სახლის ფოტოგრაფ სესილ სტაფტონთან ფიცის მიღების ცერემონიის რეპეტიციას გადიოდა. ერთი სიტყვით, გაქაფული მუშაობდა.

— რა ხდება აქ? — განმარტება მოითხოვა მაკჰიუმ.

— გაზეთების წარმომადგენლებს ველოდებით.

— ჯანდაბას იმათი თავი! ნუღარ ვაყოვნებთ, გავფრინდეთ.

— არა, ჯერ ლედი ბიორდის ბარგი არ მოუტანიათ. უნდა დაველოდოთ.

— რა? კი მაგრამ, ის ხომ თავის თვითმფრინავშია?

— არა, აქ არის. გარდა ამისა, ტეხასელი მოსამართლე ქალის მოსვლას ველოდებით.

მაკჰიუ კვლავ კუდის ნაკვეთურში დაბრუნდა.

— რაო, რა გითხრეს? — ჰკითხა კენმა.

— არ მესმის რა ხდება. თურმე ველოდებით ვიღაც მოსამართლე ქალს, რომელიღაც რეპორტიორებს, ქალბატონ ჯონსონის ბარგს, — მოახსენა გოდფრიმ, თუმცა თავის ნათქვამს აშკარა იდიოტობად თვლიდა, მაგრამ იგი ხომ მხოლოდ იმას იმეორებდა, რაც უთხრეს.

ო'დონელის სახემ დაძაბული, დაკუნთული ნიღბის იერი მიიღო და მრისხანედ წამოიძახა:

— ახლავე აფრინდით!

— ახლა, რა თქმა უნდა, ავფრინდებით, — კუშტად დააიმედა მაკჰიუმ. თუ საჭირო იქნება, თვითონვე შეცვლის შტურვალთან სუინდალს.

მაგრამ საწოლი ოთახის წინ, კორიდორში გავლისას მაკჰიუ

შეყოყმანდა. მაკ კილდაფს ტყუილუბრალოდ არ უხსენებია ლედი ბიორდი. გოდფრის ეს ყველაფერი რაღაც აბსურდად ეჩვენებოდა, თუმცა ვინ იცის, იქნებ, მეორე თვითმფრინავს რამე დაემართა? ან იქნებ, თვითონ ჯონსონიც ამ თვითმფრინავშია? გოდფრიმ ხომ ორჯერ გაიარა წინ და უკან მთელი თვითმფრინავის კორიდორი, მაგრამ ერთხელაც არ შეუმჩნევია ჯონსონის იქ ყოფნის არავითარი კვალი. შესაძლოა, სულაც ვიცე-პრეზიდენტის პირადი დაცვის აგენტებმა მიმალეს სადმე.

გადაწყვიტა ყველაფერი თვითონვე შეემოწმებინა. გოდფრი პრეზიდენტ კენედის საწოლ ოთახში შევიდა. ირგვლივ მიმოიხედა. ოთახში არავინ იყო. აბა იმას როგორ წარმოიდგენდა, ჯონსონი ჩაკეტილ კარს იქით, იქვე სატუალეტო ოთახში იქნებოდა. ჰოდა, აკი ჩქარი ნაბიჯით გამოვიდა კიდეც და გზა განაგრძო, მტკიცედ დარწმუნებულმა, რომ კილდაფი შეცდა.

გოდფრი მაკჰიუ თითქოს სპეციალური დანიშნულების მქონე მთელი ჯგუფის ნაწილად იქცა. მისთვის ზურგის გასამაგრებლად ო'დონელმა თვითმფრინავის წინა ნაწილში ტედ კლიფტონი, როი კელერმანი და კლინტ ჰილი გაუგზავნა. მოხდა ისე, რომ სამთავემ გოდფრი მაკჰიუზე ადრე გაიგეს სიმართლე. სწორედ მაშინ, როცა გოდფრი პრეზიდენტის საწოლს ათვალიერებდა.

ტედ კლიფტონს აქეთ-იქიდან ვალენტი, სტაფტონი და ტორნბერი შემოეხვივნენ და სხაპასხუპით მიაყარეს:

— ახლავე ვერ გავფრინდებით. ჯერ ფედერალური მოსამართლე უნდა მოიძებნოს. ლინდონმა ვაშინგტონში დარეკა და იუსტიციის მინისტრს ელაპარაკა.

კელერმანსა და ჰილს ეს საუბარი არ გაუგონიათ. ისინი სუინდალისაკენ მიმავალ კორიდორს გაჰყვნენ. როი კელერმანმა თვითმფრინავზე მიდგმული ტრაპი რომ დაინახა, გაიკვირვა, რატომ ამდენ ხანს არ აუღიათო და თვითონაც დაბლა ჩავიდა. წამიც და გვერდით კილდაფმა ჩაუარა.

— სჯობდა მაღლა ასულიყავით, საცაა ავფრინდებით, — გააფრთხილა როიმ.

— არა, ჩვენ ახლა გაფრენა არ შეგვიძლია. ჯერ პრეზიდენტმა ფიცი უნდა დადოს, — უპასუხა მაკ კილდაფმა და ტრაპთან მდგარ

კლინტ ჰილს გასძახა: — მოსამართლე ფიცს დაადებინებს ჯონსონს. ბობიმ ისურვა ასე.

ამრიგად, გოდფრი მაკჰიუს გარდა აფრენის დაყოვნების მიზეზი ყველასათვის ცნობილი გახდა. ნამდვილად გასაოცარია ამ უცოდინრობის ასეთი ხანგრძლივობა. გენერალი ბარე ხუთჯერ გავიდ-გამოვიდა თვითმფრინავის თავსა და ბოლოში, ვიდრე გაფრენის დაგვიანების მიზეზს გაიგებდა. თვით კენ ო'დონელმა და ლერი ო'ბრაიენმაც კი მასზე ადრე შეიტყვეს ეს ამბავი.

პრეზიდენტის თანაშემწეთათვის განკუთვნილ კაბინაში შესულმა ლერი ო'ბრაიენმა გარკვევით გაიგონა, ვილაცამ მარი ფემერს რომ ჰკითხა, — პრეზიდენტის ფიცის ტექსტი თუ დაბეჭდეო. დასტურის ნიშნად ქალმა თავი დააქნია.

ლერი ო'ბრაიენისათვის ყველაფერი ნათელი გახდა. დაახლოებით ამავე დროს, სალონთან კენ ო'დონელმა ჩაიარა და ასეთ საუბარს წაჰკრა ყური:

— აუცილებელია ფოტოგრაფი, ჩვენ მოსამართლეს ველოდებით.

ეს სიტყვები ო'დონელს უსიამოვნოდ მოხვდა გულზე. არაფერი იცოდა მხოლოდ გოდფრი მაკჰიუმ. ტედ კლიფტონს, რასაკვირველია, შეეძლო ამ საკითხში გოდფრის განათლება, მაგრამ ისინი თვითმფრინავში როგორღაც ასცდნენ ერთმანეთს. როი კელერმანი და კლინტ ჰილი კი დაცვასთან დაკავშირებულ ახლად წამოჭრილ საკითხების მოგვარებას შეუდგნენ. ამ თვითმფრინავით, ჯონსონის მგზავრობის გადაწყვეტილება როი კელერმანის შედგენილ საიდუმლო სამსახურის აგენტების მორიგეობის ყველა გეგმას ფუშავდა. ცვლა, რომელსაც დალასის საავიაო ცენტრში ოთხი საათიდან თორმეტ საათამდე ჯონსონის დაცვა ჰქონდა დავალებული, ახლა თვითმფრინავ 88970-ში იმყოფებოდა.

თვითმფრინავ 26000-ში კი დილის რვა საათიდან ოთხ საათამდე ნამორიგევი, არაქათგამოცლილი აგენტები იყვნენ.

როი შეშფოთებით შლიდა ხელებს. ყოველგვარი ცვლილება ახლა მხოლოდ არეულობის გაძლიერებას გამოიწვევდა. ჯობდა ყველაფერი ასევე დარჩენილიყო.

როი კელერმანს სხვა საწუხარიც ჰქონდა. პრეზიდენტის თანაშემწეთა კაბინაზე გავლისას, იგი გააოცა იქ თაეშეყრილ მგზავრთა

სიმრავლემ. ბევრი მათგანი მისთვის სრულიად უცნობი იყო. ყველა სხვა გაფრენის შემთხვევაში კელერმანისათვის თითეული მათგანი ცნობილი იქნებოდა; უფრო მეტიც, მას წინასწარ ეცოდინებოდა მომავალ მგზავრთა მთელი ასაკალ-დასაკალი. თვითმფრინავ „ᲡᲡᲫ-2"-საგან განსხვავებით „ᲡᲡᲫ-1"-ში ყოველთვის იდო, თვითმფრინავში მყოფ მგზავრთა ზუსტი სია. ასეთი იყო პრეზიდენტის სიცოცხლის უსაფრთხოების ერთ-ერთი ძირითადი კანონი. მგზავრობის სიშორისა თუ სიახლოვის მიუხედავად, პრეზიდენტის ვერც ერთი სტუმარი თვითმფრინავის ტრაპს ფეხს ვერ შეადგამდა, თუ მისი გვარი მგზავრთა დაბეჭდილ სიაში არ აღმოჩნდებოდა.

როი კელერმანი კლინტ ჰილთან ერთად პილოტის კაბინაში შევიდა და სუინდალს შეშფოთებით უთხრა:

— თვითმფრინავში რაღაც ძალიან ბევრი ხალხი ჩანს.

— ყველას წავიყვანთ, — მშვიდად მიუგო ჰოლკოვნიკმა.

როიმ უეცრად მეკავშირეთა კაბინისაკენ მიმავალი რუფუს იანგბლადი შენიშნა და შეაჩერა:

— თქვენ იცნობთ ყველა ამ ხალხს?

— ლემ ჯონსი უკვე შეუდგა მგზავრთა სიის დახუსტებას, — დაბეჯითებით მიუგო იანგბლადმა.

ეს უკვე ორი ბანაკის წარმომადგენელთა დაპირისპირებასა ჰგავდა: კენედის პირადი დაცვის უფროსის — კელერმანისა და ჯონსონის პირადი დაცვის უფროსის — იანგბლადისას. ირგვლივ ატეხილი ფუსფუსი კელერმანზე როგორღაც დამთრგუნველად მოქმედებდა, მაშინ როცა რუფუს იანგბლადისათვის ძველებურ ენერგიასა და სიმხნევეს სულაც არ ეღალატა. ეს მან გასცა განკარგულება მგზავრთა სიების შედგენისა, მან გაგზავნა ჯეკ რიდი აეროდრომის ჭიშკართან სარა ჰიუზის დასახვედრად. თან დალასის პოლიციის უფროსს კარის სთხოვა, რიდს გაჰყოლოდა და სარა ჰიუზის მონახვაში დახმარებოდა. და მაინც არავის შეეძლო ყველა იმ პრობლემის გათვალისწინება, რაც ასეთ ვითარებაში შეიძლებოდა წამოჭრილიყო. თვითმფრინავის მოსალოდნელი გადატვირთვით იანგბლადის ხალხიც ისევე იყო შეფიქრიანებული, როგორც კელერმანის ხელქვეითნი. ჯერ კიდევ კატაფალკის მოსვლამდე ემორი რობერტსმა გულდაგულ დაითვალა მოსალოდნელ მგზავრთა რაოდენობა. მისი აზრით, მოვიდოდა მხოლოდ პრეზიდენტის კუბო

და ჟაკლინ კენედი. როგორც ეს შემდეგ აღიარა, იგი სულაც არ ფიქრობდა, რომ ქალბატონი კენედი ადიუტანტებსა და გარდაცვლილი პრეზიდენტის თანამშემწეებსაც მოიყოლებდა.

მას აშინებდა ო'დონელისა და პაუერსის იქ ყოფნა. თვითმფრინავში ორ პარტიად მოსული ოცდაშვიდი კაცი ავიდა. პოლკოვნიკი სუინდალის დამამშვიდებელი რწმუნების მიუხედავად, ჯონსონის დაცვას თვითმფრინავის გადატვირთვა აღონებდა. ამიტომ იყო, რომ ლემ ჯონსმა კენედის თანმხლებთა შორის შედარებით დაბალი თანამდებობის რამდენიმე კაცს თვითმფრინავის დატოვება სთხოვა. ხოლო თვითმფრინავში ასვლის უფლება არ მისცა რამდენიმე ისეთ მგზავრს, ვინც ვაშინგტონიდან გამომგზავრების მომენტიდან სწორედ ამ თვითმფრინავით „SSJ-1"-ით მგზავრობდა. ერთ-ერთ ასეთ უარყოფილ მგზავრად სენატორი რალფ იარბორო აღმოჩნდა. მთელი ორი დღის განმავლობაში ყველა მხოლოდ იარბოროს ვიცე-პრეზიდენტისაკენ გადმობირებას ცდილობდა. ახლა კი, მოულოდნელად უარყოფილი იქნა. შეურაცხყოფილმა იარბოროომ საქმის განმარტება მოითხოვა, რაზედაც კლიფტონმა ასეთი პასუხი გასცა:

— მაქსიმალური უშიშროების უზრუნველყოფის მიზნით.

კლიფტონი უმალვე შეეგუა მომხდარ ცვლილებებს და საღადაც აზროვნებდა. როგორც გენერალი და სამხედრო ადიუტანტი, იგი პრეზიდენტის „განსაკუთრებული ნდობითა და კეთილი განწყობილებით" სარგებლობდა. ვინაიდან პრეზიდენტის პოსტზე ცვლილება მოხდა, თვითონაც უნდა შეცვლილიყო. იგი ხომ თავის მოვალეობას პრეზიდენტის წინაშე, როგორც პიროვნებისადმი კი არ ასრულებდა, არამედ როგორც ქვეყნის მეთაური — პრეზიდენტისადმი. ვალენტისთან და ტორნბერნთან საუბრის შემდეგ იგი პრეზიდენტ ჯონსონის სამხედრო ადიუტანტის მოვალეობის შესრულებას შეუდგა.

გოდფრი მაკჰიუს კი, ვისაც ყველაფერი ეს სულ სხვაგვარად ესმოდა, მხოლოდ ბრაზი აღრჩობდა და გული გადმოვარდნაზე ჰქონდა. მწიფდებოდა შეურიგებელი კონფლიქტი. კენედის მომხრეთა ჯგუფის აზრით თვითმფრინავის მთავარ მგზავრს კვლავ მათი დაცემული ბელადი წარმოადგენდა. ვინაიდან იგი მკვდარი იყო და ბრძანებებს ვერ გასცემდა, მათი მზერა ქალბატონ კენედისადმი იყო მიპყრობილი. ქალიც, რა თქმა უნდა, მათ მოსაზრებებს იზია-

რებდა, რაც შეიძლება ჩქარა გასცლოდა დალასს. გაოცებული ქაკლინი ვერა და ვერ მიმხვდარიყო, რა იწვევდა ასეთ დაყოვნებას. ჯონსონის თანაშემწენი კი სხვა აზრს ადგნენ. მათი ეს აზრი ნათლად გამოშქვა რუფუს იანგბლადმა, როცა ლემ ჯონსი განზე გაიხმო და ბრძანების კილოთი უთხრა:

— გავფრინდებით მაშინ, როცა ბოსი გვიბრძანებს, დიახ, მხოლოდ მაშინ.

სწორედ ამ დრის მაკჰიუ მესამედ გამოჩნდა პილოტის კაბინასთან და როგორც კი კილდაფს მოჰკრა თვალი, გააფთრებით ეძგერა.

— ჩვენ ახლავე, ამ წუთშივე უნდა ავფრინდეთ, — იყვირა ბრაზმორეულმა.

— ვიდრე ჯონსონი ფიცს არ დადებს, ამის გაკეთება არ შეიძლება, — მიუგო კილდაფმა.

— არავითარი ჯონსონი აქ არ არის. იგი მეორე თვითმფრინავშია.

— მაშინ მოდით და უთხარით იმ ექვსფუტიან ტეხასელს, რომ იგი ლინდონ ჯონსონი არ არის, — მიუგო კილდაფმა და კვლავ გაუმეორა: — ვიდრე პრეზიდენტი ფიცს არ დადებს, ჩვენ ვერ გავფრინდებით.

— მე მხოლოდ ერთი პრეზიდენტი ვიცი და იგი იქ წევს! — შეჰყვირა აჭარხლებულმა მაკჰიუმ და ხელი თვითმფრინავის კუდისაკენ გაიშვირა, სადაც კენედის კუბო იდგა.

ეს სიტყვები ფრიად დრამატულად გაისმა. თვითმფრინავი კი საკმაოდ გაჭედილი იყო. მისი ასეთი აშკარა განცხადება თვითმფრინავის ყველა მგზავრისათვის ცნობილი გახდა ჯერ კიდევ დედაქალაქში ჩაფრენამდე. გენერალ მაკჰიუს ნათქვამი რომ გაიგო, კენ ო'დონელს გული სიამაყით აევსო.

— დილით შენ ჯერ კიდევ ამხელა იყავი, — უთხრა მან მაკჰიუს და ხელით იატაკიდან რამდენიმე დუიმის სიმაღლე აჩვენა, — ახლა კი აი რამოდენა ხარ, — დაუმატა მან და ხელი თავზევით, რამდენადაც შეეძლო, მაღლა ასწია.

მაგრამ ყურები ხომ ჯონსონსაც ჰქონდა. რადიოჯიხურში გათამაშებულმა ამ მოკლე სცენამ მისდ ორთავე მონაწილის ბედი შეცვალა. ო'დონელის მიერ კენედის ახლობელთა სიიდან ამოშლილ

ვილდაფს ახალ პრეზიდენტთან არცთუ უმნიშვნელო წარმატება ელოდა, ხოლო გენერალი მაკჰიუ თავის სამხრეებზე თუნდაც ერთი ვარსკვლავის მომატების იმედსაც კი უნდა შელეოდა. უფრო მეტიც, არმიაში მისი სამსახურის დღეები დათვლილი იყო.

* * *

ახალმა პრეზიდენტმა პერანგი გამოიცვალა და თმა საგულდაგულოდ დაივარცხნა. მერე სერჟანტმა ჯო აირესმა ჟაკლინ კენედისათვის პრეზიდენტის თვითმფრინავის ემბლემიანი რამდენიმე პირსახოცი ამოიღო. ჟაკლინმა სერჟანტს მადლობა გადაუხადა და საწოლში შევიდა. ქალს უკან მიჰყვნენ ცოლ-ქმარი ჯონსონები, რათა ქვრივისათვის თავიანთი თანაგრძნობა გამოეხატათ. ახალი პრეზიდენტი გრძნობდა, ყოველგვარი სიტყვა უძლური იყო. ლინდონი ჟაკლინს მოეხვია, „ჩემო კარგოო“, უთხრა და თავი სინანულით გადააქნია. თანაგრძნობის სიტყვიერი გამოხატვა მან თავის მეუღლეს დაუთმო. მაინც ქალი იყო და თანაც ჟაკლინ კენედის კეთილი განწყობილებით სარგებლობდა.

ცრემლად დაღვრილი ახალი პირველი ლედი ჟაკლინს მიუახლოვდა:

— ო, ჯეკი, თქვენ ხომ იცით, ჩვენ ვიცეპრეზიდენტობაც კი არასოდეს შოგვიწადინებია, ახლა კი ღმერთო, ხედავთ რა გამოვიდა!

— რა იქნებოდა, იქ რომ არ ვყოფილიყავი! როგორი ბედნიერებაა, რომ იმ წუთებში მაინც ვიყავი მასთან, — უპასუხა ჟაკლინმა.

ჯონსონის ინტუიცია გამართლდა. სიტყვები აქ, მართლაც, ყოვლად უადგილო იყო. ლედი ბიორდის თანდაყოლილმა ტაქტმა ამჯერად მარცხი განიცადა.

— ოჰ, რა ვთქვა, აღარ ვიცი, — სლუკუნით განაგრძო ქალბატონმა ჯონსონმა და უეცრად დასძინა: — ყველაზე მეტად გულს ის მიკლავს, რომ ეს უბედურება ჩემს საყვარელ ტეხასის შტატში მოხდა.

ქალი ფრაზის დამთავრებამდე მიხვდა, რომ ზედმეტი მოუვიდა. „ვთქვი და მაშინვე ვინანე“, — იგონებდა იგი შემდეგ. ტეხასური

შოვინიზმი იმ დღეს განსაკუთრებით უადგილო აღმოჩნდა, მგონი, უფრო მეტიც ვიდრე უადგილო. ქალბატონ ჯონსონს თავისი მწუხარება მხოლოდ კენედის დაღუპვით უნდა აეხსნა. დაბნეულმა ლედი ბიორდიმ თვალები დახარა და სისხლით დალაქავებული ჟაკლინ კენედის ხელთათმანები დაინახა. ლედი ბიორდის ყოველთვის შურდა, როგორ ელეგანტურად ატარებდა ჟაკლინი ხელთათმანს. თვითონ კი ხელთათმანში რატომღაც უხერხულობას გრძნობდა და პირველი შესაძლებლობისთანავე იხდიდა. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჯეკის ხელთათმანები მისი განუყოფელ ნაწილად აღიქმებოდა, თუმცა ერთიანად ქმრის სისხლით მოსვროდა.

ლედი ბიორდიმ თავს ძალა დაატანა და ჟაკლინს ჰკითხა:

— ვინმეს ხომ არ დავუძახო ტანსაცმლის გახდაში დაგეხმაროს?

— არა, გმადლობთ, — უპასუხა ჟაკლინმა. — ალბათ, მოგვიანებით მერი გალაჰერს ვიხმობ. ჯერჯერობით კი არა.

სამთავენი საწოლზე ისხდნენ. ჟაკლინი ცოლ-ქმარს შუა იჯდა. ხანმოკლე პაუზის შემდეგ ჯონსონი ალაპარაკდა, თუმცა ფრიად უხერხულად და გაუბედავად:

— აი იმ ფიცის თაობაზე...

— ლინდონ, — წარმოთქვა ჟაკლინმა და უმალვე შეჩერდა. მისი ქმრის თანმხლებთა შორის მან პირველმა შეძლო მომავალთან შეგუება. — თუ ღმერთი გწამთ, მაპატიეთ. მეტად აღარასოდეს მოგმართავთ ასე. მინდოდა მეთქვა: ბატონო პრეზიდენტო.

— ჩემო კარგო, მე ვიმედოვნებ, რომ თქვენ ყოველთვის ასე დამიძახებთ, — უპასუხა ჯონსონმა.

ჟაკლინი დუმდა. მასაც უჭირდა შესაფერი სიტყვების გამონახვა. წინ იდგა კაცი, რომელიც სულ ახლახან იქცა სახელმწიფოს მეთაურად და მისი მტკიცე რწმენით, სახელით აღარასოდეს უნდა მიემართა.

— ჰო, იმ ფიცის თაობაზე, — გაიმეორა ჯონსონმა და საუბრის გაწყვეტილი ძაფის აღდგენას შეეცადა.

— დიახ, მე ვიცი, ვიცი, — აჩქარებით წაილაპარაკა ჟაკლინმა. ქალს ეგონა, მიუხვდა, რის თქმას აპირებდა. დიახ, ჟაკლინს ხშირად ენახა ძველებური გრავიურები, მაშინვე მოაგონდა თეთრი სახლის შესასწავლად გადაცემული სატელევიზიო რეპორტაჟიც, რომლის

გიდადაც თვითონ ჟაკლინი გამოდიოდა და ხალხს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ როზერფორდ ბ. ჰეისის (1877—1881 წ.), ფიცის დადების ამბავს უყვებოდა. ჰეისის პრეზიდენტად გახდომის ცერემონია თეთრი სახლის წითელ დარბაზში გაიმართა. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავდა, რომ პრეზიდენტისათვის საცალდებულო იყო კაპიტოლიუმის საფეხურებზე დგომა. მისი გამართვა ყველგან შეიძლებოდა, თვით აქაც კი. ყველაფრისგან გამომდინარე, ეს ალბათ, სწორედ აქ მოხდებოდა.

— ჰო, მაგრამ როგორ მოეწყობა ყველაფერი ეს? — იკითხა ქალმა.

— მე ჩემს ძველ მეგობარს, მოსამართლე „სარა" ჰიუზს ვთხოვე აქ მოსვლა. იგი, ალბათ, ერთი საათის შემდეგ მოვა. თქვენ მანამ წამოწექით, ცოტა დაისვენეთ. ჩვენ ხელს არ შეგიშლით.

— კეთილი, — წარმოთქვა ჟაკლინმა, თუმცა იმ წუთში სულ სხვაზე ფიქრობდა. ჯონსონები საწოლიდან გავიდნენ და კარი გაიხურეს.

მარტო დარჩენილმა ჟაკლინმა სიგარეტი გააბოლა და გაფანტული მზერა სივრცეს მიაპყრო. ქალი ახლაღა მიხვდა ნათქვამის მნიშვნელობას. „მთელი საათი", ღმერთო ჩემო, ნუთუ კიდევ მთელი ერთი საათი უნდა ვიცადო?

სალონში შესვლისთანავე ჯონსონს პატარა ბარათი გადასცეს:

„ბატონო პრეზიდენტო, თუკი რამეში გამოგადგებით, მე აქა ვარ. მოიერსი". ბილ მოიერსი მეტად საჭირო კაცი გახლდათ. ტეხასელი და თანაც კენედების ოჯახის მეგობარი. ახლა, იგი მართლაც რომ მისწრება იყო. ჯონსონმა მაშინვე აფრინა კაცი მის მოსაყვანად.

მოიერსი კაბინაში შევიდა. პრეზიდენტი თავის ძლივს შესამჩნევი კანტურით მიესალმა.

კრინტი არავის დაუძრავს. გაფითრებული პრეზიდენტი ნაწამებსა ჰგავდა. ასეთი გაოგნებული მზერა და დათრგუნვილი შესახედაობა ჯონსონს როგორღაც არ შეეფერებოდა. დიახ, ამგვარი ნახა მოიერსმა მაშინ ჯონსონი. მოიერსის აღწერის მიხედვით, ჯონსონის ქცევები ძალიან წააგავდა იმათ ნაამბობს, ვინც პარკლენდის ჰოსპიტალში მასთან ერთად № 13 პალატაში იმყოფებოდა. მაგრამ პრეზიდენტის ძალ-ღონის დაცემა ხანმოკლე. ამბავი გამოდ-

გა. იგი უთუოდ, ქალბატონ კენედისთან ბოლო საუბრის რეციდივი იყო. მართლაც, არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ ჯონსონმა კვლავ დაიბრუნა ჩვეული ენერგია თუ საკუთარი თავისადმი რწმენა და პრეზიდენტ კენედის მთავარი თანაშემწეები იხმო.

პრეზიდენტის ქვრივის მსგავსად, კენედის თანაშემწეები მომხდარი უბედურებით სულ მთლად დარეტიანებულნი იყვნენ. მაგრამ ჟაკლინისაგან განსხვავებით, მათ არ ეყოთ უნარი მძიმე წუთებში თავდაჭერისა და ზრდილობის შესანარჩუნებლად; საუბრის ატმოსფერო დაძაბული გახლდათ, თუმცა ამაში საკვირველი არაფერი იყო. საუბარში მაკჰიუც ჩაერია. გენერალმა რომ ჯონსონი დაინახა, მხოლოდ მაშინ მიხვდა, როგორი წინდაუხედაობა გამოიჩინა, თავის დროზე პრეზიდენტის საწოლის ტუალეტში რომ არ შეიხედა. თურმე ლინდონი მართლა თვითმფრინავში ყოფილა.

— თუკი ფიცის დადება მაინცდამაინც თვითმფრინავში უნდა მოხდეს, მაშინ რატომ არ შეიძლება ეს ცერემონია სულაც ფრენის დროს ჩაატაროთ? - იკითხა გენერალმა.

კითხვა თუმცა მართებული იყო, მაგრამ მაკჰიუმ დამაჯერებელი პასუხი მაინც ვერ მიიღო. ამის მაგივრად და მისდა გასაოცარებლად გაცხოველებული კამათი ახლა იმაზე გაჩაღდა, როგორ ოპასად შეერჩიათ სურათების რაკურსები თუ მსხვილი პლანით გადაღებისათვის მოსახერხებელი წერტილები. ამ მსჯელობის მოსმენისას, ზოგმა მაშინვე იაზრა, რომ მოსალოდნელი სპექტაკლის მაყურებლები გახდებოდნენ, რომელშიაც თვით კენედის ქვრივი მიიღებდა მონაწილეობას. მოკლული პრეზიდენტის თანაშემწეთა ეჭვების დამოუკიდებლად, ჟაკლინმაც იგივე დაასკვნა.

როცა კენედების საწოლიდან ახალი პრეზიდენტი და მისი მეუღლე გავიდნენ, ჟაკლინმა მეორე საწოლზე სათუთად დაწყობილი, ოსტინში ჩასაცმელად განკუთვნილი, თავისი ტუალეტი დაინახა; თეთრი კაბა, თეთრი ჟაკეტი და შავი ტუფლები. ბევრ ვინმეს შეეძლო დასაკიდ პატარა კარადიდან მისი ტანსაცმელის გამოღება, — მერის, ეველინს, ჯო აირესს თუ ჯორჯ ტომპსს. მაგრამ, როგორც გამოირკვა, ისინი არაფერ შუაში იყვნენ. ჯეკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სწორედ ჯონსონები ზრუნავდნენ ცერემონიის უკვდავმყოფ სურათზე ჟაკლინს უზადო შესახედაობა ჰქონოდა.

თვითონ ჯონსონი ხომ დიდი ყურადღებით მოეკიდა საკუთარ

გარეგნობას. მოგეხსენებათ, ადვილად შეიძლება ამ საქციელის მცდარად ახსნა. მაგრამ თუ ფიცის დადებას ხაზი უნდა გაესვა ამერიკელებისათვის ან მის საზღვრებს გარეთ, მტრისა თუ მოყვრის თვალში სახელმწიფოს მართვის ამერიკული სისტემის სტაბილურობისათვის, მაშინ, რასაკვირველია, უმჯობესი იყო ეს დადგმა თეატრალური ხელოვნების ყველა წესის დაცვით გაფორმებულიყო. და რაც უფრო ჩქარა აღინიშნებოდა მისი მთავარი სიუჟეტური ქარგის ძალაუფლების უწყვეტელობა, მით უფრო სასურველი იყო მასში ჟაკლინ კენედის მონაწილეობა, რაგინდ მძიმე არ ყოფილიყო იგი მისთვის.

ო'დონელი და ო'ბრაიენი სალონში ახალი პრეზიდენტისა და ახალი პირველი ლედის პირისპირ ისხდნენ.

— კონსტიტუციის თანახმად, ჩემი ადგილი ახლა თეთრ სახლშია, — თქვა ჯონსონმა. — თქვენ ორთავენი უფლებამოსილი ხართ არჩევანი გააკეთოთ. მე ბატონს დაგიყოლიოთ, რათა ისევ თქვენს პოსტებზე დარჩეთ და მხარში ამომიდგეთ მე თქვენ უფრო მეტად მჭირდებით, ვიდრე თქვენ მე. იმაზე მეტად, ვიდრე კენედის სჭირდებოდა თქვენი თავი.

ო'ბრაიენი თავს უხერხულად გრძნობდა. უამისოდაც ხომ საკმაოდ გატანჯული იყო. „დასწყევლოს ეშმაკმა, ნუთუ მოგვიანებით არ შეეძლო მოგვლაპარაკებოდა?“ — ფიქრობდა გუნებაში. ლერის კი მოსალოდნელი კოშმარული სურათი აკვიატებოდა: თითქოს დალასელი პოლიციელების თანხლებით თვითმფრინავში შემოვარდნილი ერლ როუზი იარაღის გამოყენების მუქარით იტაცებდა დალუპული ბელადის ცხედარს. ჯონსონი კი ამ საუბარს შემდეგში ასე იგონებდა: იგი მოქმედებდა იმ კაცივით, რომელსაც „მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი სახელმწიფოს მართვა-გამგეობის სადავეები ხელში აეღო“. ლედი ბიორდიმ ვერ გაიხსენა საუბრის დროს წარმოქმნილი რაიმე გართულება. მისი აზრით, „შექმნილ რთულ ვითარებაში ყველა შესაძლებლობის მაქსიმუმის გაკეთებას ცდილობდა“.

თავის მხრივ, ჯონსონთან მოსაუბრენიც იხსენებენ, რომ ნამდვილად ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ქადაგად დავარდნილი ჯონსონის ლაპარაკის შესაჩერებლად, თუმცა ამაოდ: იგი ბომბართულივით განაგრძობდა ჯიქურ სვლას. მაგრამ ირლანდიელები (ანუ ო'დო-

ნელი და ო'ბრაიენი) არანაკლებ გაწაფული პოლიტიკოსები იყვნენ. დაძაბულნი უსმენდნენ იმის მოლოდინში, როდის დადგებოდა მათი ჩარევის ხელსაყრელი მომენტი. პირველ წარმატებას ო'ბრაიენმა მიაღწია. ისარგებლა ჯონსონის მცირე პაუზით, ხელთ იგდო ინიციატივა, სასწრაფოდ ერლ როუზის მოქმედება აღწერა და დასასიდან გაფრენის აუცილებლობას გაუსვა ხაზი.

— არა, — შეეწინააღმდეგა ჯონსონი.—მე იუსტიციის მინისტრს ველაპარაკე. მისი აზრია, ფიცი სწორედ აქ უნდა დავდო.

ხანის გასვლასთან ერთად რობერტ კენედისთან მისი საუბრის ვერსია სულ უფრო მეტ დამაჯერებლობას იძენდა.

— ახლა მოსამართლის მოსვლას ველოდები. ის ქალი ჩემი მეგობარია, — თქვა მან და ბოლოს დასძინა: — თანაც კენედის მიერაა დანიშნული.

უეცრად თითქოს ო'ბრაიენს გონება გაუნათდა: „კი, მაგრამ ეს კაცი ხომ უკვე შეერთებული შტატების პრეზიდენტია". ჰოდა დანებდა, აღარ ეურჩებოდა. თვალები დახუჭა და განგებას მხოლოდ იმასღა სთხოვდა, მოსამართლე პოლიციაზე ადრე მოსულიყო. ო'დონელი უფრო წაკლებად დამთმობი აღმოჩნდა. ვერაფრით მიმხვდარიყო, ჯონსონის ფიცის დადებაში რატომ უნდა მიეღოთ მონაწილეობა კენედის თანაშემწეებს. მისი აზრით, ორთავე ჯვუფის ერთ თვითმფრინავში ყოფნა წმინდა შემთხვევითობა იყო. ახალი პრეზიდენტი დაბეჯითებით ამტკიცებდა, ყოველნაირ ვითარებაში შევაჩერებდი თვითმფრინავის აფრენას ქალბატონი კენედის მოსვლამდეო. არა გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ, რომ იგი თავიდან სწორედ ასე აპირებდა. მაგრამ კენი შეურყეველი აღმოჩნდა, თავის სკეპტიკიზმში. მას დაბეჯითებით სწამდა, — მოსამართლეს კატაფალკისათვის რომ მიესწრო, ჯონსონი კენედის ცხედარს არ დაუცდიდა, ისე გაფრინდებოდაო. წამდაუწუმ პარკლენდის ჰოსპიტალში გამართული ბრძოლა აგონდებოდა და სახე თანდათან ეძაბებოდა. მის მაცქერალ კლიფტონს ო'დონელის სახე მგელსღა აგონებდა.

— უნდა გავფრინდეთ, ჩვენთვის აუცილებელია აქედან გაღწევა. ჩვენ ლოდინი არ შეგვიძლია, — მტკიცედ იმეორებდა ო'დონელი.

ჯონსონიც უცვლელად ერთსა და იმავეს პასუხობდა:

— არა, მე იუსტიციის მინისტრის რჩევას ვემორჩილები.

მოგვიანებით კლიფტონისათვის ცნობილი გახდა იუსტიციის მინისტრის კატეგორიული უარი, თითქოს ჯონსონისათვის მაინცდამაინც დალასში ერჩიოს ფიცის დადება (იუსტიციის მინისტრის ეს უარყოფა დამაჯერებლად დასტურდება კატცენბახთან ტელეფონით გამართული საუბრით; კენედიმ ხომ ლაპარაკი სწორედ ასე დაიწყო: „ლინდონს ტეხასში სურს ფიცის დადება...“).

კლიფტონმა რომ ეს ამბავი გაიგო, იფიქრა, ახალ პრეზიდენტს, ალბათ, ტეხასის შტატის იუსტიციის მინისტრი უეგონერ კარი ჰყავდათ მხედველობაში. მაგრამ ო'დონელმა და ო'ბრაიენმა სავსებით მკაფიოდ გაიგონეს, ჯონსონმა „ბობი“ რომ ახსენა. ერთადერთი კაცი, ვისაც ო'დონელის წინააღმდეგობის გატეხა შეეძლო, ბობი კენედი გახლდათ. თუ ბობი კენედის სურდა ახალ პრეზიდენტს სწორედ დალასში დაედო ფიცი — კენედის თანაშემწეებს თავში აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ჯონსონმა არასწორად გაიგო იუსტიციის მინისტრის ნათქვამი (როგორც ჩანს, მართლაც არასწორად გაუგია). გამოდიოდა, რომ მოთმინება უნდა მოეკრიბათ და მოსამართლის მოსვლამდე დაეცადათ. ერთი იმედიღა ასულდგმულებდათ, რომ ეს ყველაფერი მალე დამთავრდებოდა. ლამის ლოცულობდნენ, მოსამართლე ქალი ჩქარა მოვიდესო. კლიფტონისა და ო'ბრაიენის წარმოდგენაში პარკლენდის ჰოსპიტალელი სისხლისმწოველები ნამდვილ გოლიათებად იქცნენ და მოკლული პრეზიდენტის ცხედრის გატაცების შესაძლებლობა სავსებით რეალურ ამბად ეჩვენებოდათ.

პრეზიდენტმა ჯონსონმა შემოსასვლელი გადაჭრა, საპრეზიდენტო სავარძელში ჩაჯდა და ჯო აირესს ერთი ფინჯანი ბოსტნეულიან სუპი შეუკვეთა. კილდაფი წამდაუწუმ შემოდიოდა და პრეზიდენტს ფიცის დადების ცერემონიის მზადების ცნობებს აწვდიდა. სესილ სტაფტონი თავისი ორი კამერით ემზადებოდა გადაღებისათვის. თვითმფრინავში სულის შემხუთავი სიცხე იდგა. კიდევ ხუთი წუთი და ჯონსონს კვლავ დასჭირდებოდა პერანგის გამოცვლა.

და აი, როგორც იქნა, სარა ჰიუზმა აეროპორტს მოაღწია. ქალმა სწრაფად გაიარა პრეზიდენტის თანაშემწეების კაბინა და სალონში შევიდა. მოსამართლე რიგრიგობით გადაეხვია პრეზი-

დენტს, ქალბატონ ჯონსონს და სხვა თავის თანამემამულე ტეხასელებს. ჯონსონი მაშინვე მოუბრუნდა იქ მყოფთ:

— ახლა აქ რაც შეიძლება ბევრი ხალხი უნდა შეეკრიბოთ.

მაშინვე აფრინეს მაცნე მოწმეთა თავშესაყრელად. ვალენტი, იანგბლადი, რობერტსი და ლემ ჯონსი პრეზიდენტის თანაშემწეებისა და მოსამსახურე პერსონალის კაბინებში შეეიდნენ და ყველა მოიპატიჟეს. მათ კვალს თვითონ ჯონსონიც მიჰყვა, ხელები ფართოდ გაშალა და ხმამაღლა განაცხადა:

— ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ფიცის დადების ცერემონიაში, გთხოვთ, მობრძანდეთ. დიდ პატივდებად მივიჩნევ და მოხარული დაგირჩებით.

ასეთი განცხადების მიუხედავად, მოწმეთა მასობრივი მოზღვავება მაინც არ მომხდარა. პრეზიდენტს მხოლოდ მისი მოკავშირენი და მეგობრები ეახლნენ და სწორედ იმის გამო, რომ ჯონსონი სულ ახლახან გახდა პრეზიდენტის თვითმფრინავის ბატონ-პატრონი, თვითმფრინავ 26000-ის ადრინდელმა მგზავრებმა ცერემონიაში მონაწილეობისაგან თავის შეკავება ამჯობინეს. მათი ეს საქციელი გასაგები გახდება, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ეს ყველაფერი 14 საათსა და 35 წუთზე ხდებოდა. კენედის მკვლელობაში „ეჭვმიტანილი" თუმცა მაშინ უკვე დაპატიმრებული იყო, მაგრამ რადიომ და ტელევიზიამ ეს ცნობა მისი დაპატიმრებიდან მხოლოდ ორმოცი წუთის შემდეგ გადასცა. მკვლელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის უქონლობას მოჰყვა არა მარტო დალასის სიძულვილი, არამედ მთელი ტეხასის შტატისა. ყველაზე სახელოვანი ტეხასელი — ლინდონ ჯონსონი — ამ ინსტინქტური რეაქციის უდანაშაულო მსხვერპლი აღმოჩნდა. ფოტოგრაფ სტაფტონის მიერ ცოტა ხნის შემდეგ გადაღებული სურათებიც იმ ვითარების თვალსაჩინო დასტურია, რასაც ო'ბრაიენმა „გამწვავებული ატმოსფერო" უწოდა. სტაფტონის ფოტოაპარატით გადაღებული ცერემონიის დამსწრე ადამიანები მგზავრთა აშკარა უმნიშვნელო ნაწილს წარმოადგენდნენ. თუმცა აპარატის ობიექტივი ფართოკუთხიანი იყო, ფოტოგრაფმა კენედის ვერც ერთი მთავარი თანაშემწის აღბეჭდვა ვერ მოახერხა. ექიმ ბერკლის ვილაცის ზურგი ჩამოფარებოდა. სურათზე კილდაფის, რეპორტიორების, დაცვის ორი აგენტისა და კენედის სამი მდივანი ქალია

ეველინის, მერისა და პამელას სახეები ჩანდნენ. ქალები ჯეკ ვალენტიმ და ლემ ჯონსმა მოიყვანეს. მთავრობის ახალმა მეთაურმა ქალებს აღტაცებული მადლობა გადაუხადა. ეველინსა და პამელას ხელები დაუკოცნა, ხოლო პამელას „პატარა ლედიც“ კი უწოდა.

გოდფრი მაკჰიუ გაჯგიმული იდგა ჯონ კენედის კუბოსთან. კენ ო'დონელი კორიდორში გასულიყო. ლერი ო'ბრაიენმა ბობი კენედის ხათრით მიიღო ცერემონიის მომზადებაში მონაწილეობა, რადგან, ჯონსონის განცხადების თანახმად, ეს თვით ბობი კენედის სურვილი იყო. ლერიმ ყველაფერი გააკეთა, რაც კი მას მოეთხოვებოდა და სარა ჰიუზის ზურგს ამოეფარა. მათ გულისნადებს კენედის სხვა თანამშრომლებიც იზიარებდნენ. თვით სტაფტონიც კი იმ დროს იქ არყოფნას ირჩევდა. ჯიმ სუინდალი გასასვლელში მდგარ კლინტ ჰილს ჩუმად მიუახლოვდა და სახით როი კელერმანის ფართო ზურგს მიეყრდნო. როგორც პრეზიდენტის თვითმფრინავის მეთაური, პოლკოვნიკი ჯიმ სუინდალი ვალდებული იყო, ფიცის დადების ცერემონიას დასწრებოდა. შემდგომ მან ასეთი ახსნა მისცა თავის მოქმედებას:

— უბრალოდ, არ მინდოდა იმ სურათზე ვყოფილიყავი. მე არ ვეკუთვნი ჯონსონის ჯგუფს. ჩემი პრეზიდენტი კუბოში იწვა.

მაგრამ ჯონსონი ასეთ მოქცევას არ იმსახურებდა. ეს ოდენ მოჭარბებულად მგრძნობიარე კაცისათვის, როგორიც ის იყო, ამ-დაგვარი ამბების გადატანა უკიდურესად მტკივნეული გახლდათ.

ყველაზე მთავარი მაინც ის იყო, რომ თვითმფრინავი 26000-ის მგზავრთა უმრავლესობის ქცევაში თვით პრეზიდენტის პოსტისადმი უპატივცემულობა იგრძნობოდა. თუმცა იმათ, ვინც თავი აარიდეს ცერემონიაში მონაწილეობას, ალბათ, არც უფიქრიათ ამ უპატივცემულობის განზრახ გამოხატვა. ეს მხოლოდ თვითმფრინავის მგზავრების ჯერ კიდევ ნერვულ შოკში ყოფნის შედეგი გახლდათ.

შეერთებული შტატების მოსახლეობა ხარბად დააცხრა სტაფტონის მიერ ერთი საათის შემდეგ გადაცემულ სურათს, რომელიც შან „მორნინგ ნიუსის“ რედაქციაში დადგმულ ასოშიეიტედ პრესის ტელე-ფოტო კავშირის აპარატით გადასცა. ფოტოსურათის უკანა

პლანზე ადამიანთა ძნელად გასარჩევი სახეები ჩანდა, წინა პლანზე კი — ჯონსონი და მისი მეუღლე. საყოველთაო ყურადღება მიიპყრო მწუხარებით დამახინჯებულმა ჯონ ფ. კენედის ქვრივის კლასიკურმა პროფილმა. ცერემონიაში სწორედ ამ ქალის მონაწილეობა სწყუროდა კაცს, ვინც ახლა ერის ერთგულების ფიცსა სდებდა. ჯონსონს გულით სურდა ამ წუთებში კენედის ქვრივი მის გვერდით ყოფილიყო და თავის ამ სურვილს ყველას გასაგონად აცხადებდა. ბოლოს, როგორც იქნა, ქალი მართლაც მოვიდა. ეს გადაწყვეტილება თვითონ ჟაკლინმა მიიღო. თეთრ სახლში ყოფნის წლებმა ჟაკლინის სულში მეუღლის პოსტისადმი უღრმესი პატივისცემის გრძნობა შთანერგეს. მას კარგად ესმოდა ძალაუფლების სიმბოლური მნიშვნელობა და მომხდარი კატასტროფის შემდეგ თუნდაც მოჩვენებითი სიდიადის შენარჩუნების აუცილებლობა.

ჟაკლინს ელოდნენ. ო'ბრაიენი და ო'დონელი შეშფოთებული დაბორიალებდნენ კორიდორში. ჯერ ერთმა, მერე მეორემ ფრთხილად შეაღეს საწოლის კარი და შიგ შეიხედეს. ქალი ოთახში არ აღმოჩნდა, იგი, ალბათ, სააბაზანოში იყო შესული. იქ კი, რა თქმა უნდა, ისინი ვერ შეიდოდნენ. კენი მერისა და ეველინისაკენ გაემართა. არც ერთს აზრადაც არ მოსვლიათ, რომ ჟაკლინს ამ ცერემონიაში მონაწილეობის მიღება შეეძლო. ო'დონელი კატეგორიულად ილაშქრებდა ჯონსონის ამ სურვილის წინააღმდეგ. ახლა, ცოტა არ იყოს, შეშინდნენ კიდეც, ჟაკლინი ცუდად ხომ არ გახდაო.

თვითონ ჯონსონი ამ დროს სალონში სცენას ამზადებდა, ფოტოგრაფ სტაფტონს რომ უკვდავეყო.

— როგორ უნდა დავდგეთ? ყველანი მოვხვდებით სურათში? — ეკითხებოდა იგი ფოტოგრაფს.

— ობიექტივს მოსამართლის ზურგის მხრიდან დავაყენებ, — უპასუხა სტაფტონმა.

— მოდით, ქალბატონ კენედის დაველოდოთ. მისი აქ ყოფნა აუცილებელია, — მიმართა პრეზიდენტმა სარა ჰიუზს.

„ერთი მხრიდან ლედი ბიორდი ამოგიდგეთ, მეორედან ჟაკლინი", — მიაწოდა აზრი სტაფტონმა. ჯონსონმა თავი დაუქნია, თუმცა უკვე მოუთმენლობა ეტყობოდა. მერე ცოლს გახედა და სთხო-

ვა, ქალბატონ კენედის მოსაყვანად ვინმე გაგზავნეო. ჯონსონმა რამდენჯერმე გახედა საწოლი ოთახის კარს და მოთმინებადაკარგულმა წარმოთქვა:

— ერთი წუთი, მე მას ახლავე მოვიყვან.

სწორედ ამ დროს საწოლის კარი გაიღო და დაქვრივებული პირველი ლედი სალონში შემოვიდა.

ვიდრე ჯონსონი კენსა და ლერის ესაუბრებოდა, ვიდრე სარა ჰიუზი თვითმფრინავამდე მიაღწევდა და სალონში პოზირებისათვის ადგილებს არჩევდნენ, სავსებით იზოლირებული ჟაკლინ კენედი თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა. მან მხოლოდ ის იცოდა, რომ კიდევ ერთ საათს უნდა ეცადა. ჟაკლინს სულაც არ უფიქრია, ამ დროის ნაწილი ოსტინში სავიზიტოდ გამზადებული ტანსაცმლის ჩასაცმელად გამოეყენებინა. მისი აზრით, მოკლული პრეზიდენტის კუბოსთან ქათქათა კაბით დგომა სრულიად შეუფერებელი, უფრო მეტიც, შეურაცხმყოფელი საქციელი იქნებოდა. ჟაკლინი წუთებს ითვლიდა. დრო კი წარმოუდგენლად მიზოზინებდა. მარტოობა აუტანლად ემძიმა. გადაწყვიტა, ამ მტანჯველი ლოდინის წუთებში მისი ქმრის უახლოესი ადამიანების კენისა და ლერის გვერდით ყოფილიყო. ისინი ხომ უთუოდ, სადღაც იქვე იქნებოდნენ. ჟაკლინი კორიდორში გამოვიდა, სალონის მხარეს გაიხედა და რაღაცის მომლოდინე ხალხის ჯგუფს მოჰკრა თვალი. მის დანახვაზე ყველას შვება გამოეხატა. ქალს არ ეჯერებოდა, მაგრამ ეს ნამდვილად ასე იყო: ეს ხალხი მას ელოდებოდა. ჟაკლინმა ფეხს აუჩქარა. გუნებაში თავის თავს ეკითხებოდა: მაინც რატომ მითხრა, მოსამართლე მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მოვაო?

კონგრესმენი ალბერტ ტომასი ჟაკლინს მოეხვია და ყურში წასჩურჩულა:

— თქვენ პატარა გმირი ხართ.

ჟაკლინს ჯეს კარი წარუდგა: დალასის პოლიციის სამმართველომ ყველაფერი გააკეთა, რაც კი ძალუძდა.

ლინდონ ჯონსონმა მაგრად ჩაბღუჯა ქალის ხელი და თანაგრძნობით უთხრა:

— ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე სამწუხარო მომენტია.

მერე პრეზიდენტი წინ გადაიხარა და ჟაკლინ კენედი სარა ჰიუზს წარუდგინა. ლინდონმა ქალი ისევ თავისკენ მოზიდა.

— თქვენი აზრით, ჩვენ-ასე უნდა ვიდგეთ, არა? — ჰკითხა მან სტაფტონს.

ოფლადგაღვრილი ჩია ფოტოგრაფი პრეზიდენტის სავარძლის პირდაპირ, გასასვლელის მეორე მხარეს მდგარ სავარძელში ჩაგრეხილიყო. იგი მზად იყო გადაღების დასაწყებად. მზად იყვნენ პრეზიდენტიცა და ორივე ლედიც.

მზად იყო ქალიც, რომელსაც ბედმა პრეზიდენტისათვის ფიცის დადებინება არგუნა, თუმცა ისიც ნერვული აგზნების წყალობით ნამდვილ ციებას აეტანა. მიუხედავად ამისა, ჰიუზი მაინც დარწმუნებული იყო, რომ დაკისრებულ ამოცანას თავს გაართმევდა. გვერდით მდგარ კილდაფს ქალისაკენ მიშვერილი დიქტოფონის მიკროფონი ეჭირა და ისიც მზად იყო კნოპისათვის თითის დასაჭერად.

სარა ჰიუზმა კითხვა დაიწყო, მღელვარებისაგან ხმა დროდადრო უწყდებოდა: „საზეიმო ფიცსა ვდებ, რათა ვიყო...“

კითხვა ოცდარვა წამს გაგრძელდა. მოსამართლის მიერ წარმოთქმულ ფიცის სიტყვებს ახალი პრეზიდენტი იმეორებდა. ჯონსონს მარცხენა ხელი მაღლა ჰქონდა აწეული, ხოლო მარჯვენა ხელის ძლიერი ხელისგული კენედის საკუთარ ბიბლიაზე ედო. სწორედ იმ ადგილას, სადაც შავ ფონზე შავი ასოებით გარდაცვლილი პრეზიდენტის ინიციალები იყო გამოყვანილი.

უზადო იყო პრეზიდენტის კოხტა ვარცხნილობა, მისი ჰალსტუხი თუ პიჯაკის მკერდის ჯიბეში ჩადებული ცხვირსახოცი. თუმცა მაინც ვერ ხერხდებოდა მისი ვეებერთელა, ტლანქად შეკრული სხეულის გალამაზება. იქ მყოფთა შორის იგი ყველაზე მაღალი გახლდათ. ლედი ბიორდი, თანახმად მისი მეტსახელისა [1], მართლაც, რაღაც ფრინველს მოგაგონებდათ.

ჟაკლინ კენედის ჰაეროვანი სილუეტი კი თითქოს სხვა სამყაროს ეკუთვნოდა.

სტაფტონს აპარატი თავს ზევით, მაღლა აწეული ეჭირა. უკვე ყველაფერი მოგვარებული იყო. ქვრივის კაბის სისხლის ლაქები ობიექტივში არ მოხვედრილა. მწუხარებით შეძრწუნებული ჟაკლინ კენედი მიკროფონს თვალგაშტერებული მისჩერებოდა.

სარა კითხვას განაგრძობდა, ჯონსონი იმეორებდა:

---

[1] „ჩიტუნია“.

— კეთილსინდისიერად შეეასრულებ შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოვალეობას.

დამსწრეთა ყურადღება სულაც ვერ მიიპყრო ფიცის დადების ცერემონიამ. წლები ჩვეულებრივ, ასე ვთქვათ, რედაქტირებას უკეთებს მეხსიერებას, იცილებს მოსაგონრად არასასიამოვნო ამბებს, მაგრამ თვითმფრინავში ფიცის დადების ისტორიაში ამ ჯერ არნახულ აქტის მომსწრეთ თავიანთ მოგონებებში განსაცვიფრებელი ერთსულოვნება გამოიჩინეს. ყველამ ერთნაირად აღიარა, იმ დროს ჩვენი ფიქრი და გონება სხვაგან ქროდაო. უმრავლესობას საერთოდ არ გაუგონია ფიცის არც ერთი სიტყვა. ისინი უმეტესად ერთმანეთზე ფიქრით იყვნენ გართულნი. ალბერტ ტომასის აზრით, მის გვერდით თითის წვერებზე შემდგარ ჯეს კარის ობიექტივში მოხვედრის სურვილი ჰკლავდა. მერი გალაჰერი და მარტინ ანდერვუდი კენ ო'დონელს აკვირდებოდნენ, გალიაში გამომწყვდეული ვეფხვივით წინ და უკან რომ დაბორიალებდა. თავად კენი ჟაკლინზე ფიქრობდა: „გამოიყენებენ, გამოიყენებენ...“

ყველა საოცარ ფიზიკურ უძლურებას განიცდიდა. მთელი ეს ცერემონია სულ რაღაც ნახევარ წუთსაც არ გაგრძელებულა, იფიქრებდით კი, თითქოს დიდხანს გასტანაო. ოფლში გაღვრილი, შეჯგუფული ხალხი, წარმოუდგენელი სიცხე და კაბინის დახშული ჰაერი — მხუთავ ხვნეებს მოგაგონებდათ. ადამიანები გრძნობდნენ პერანგებისა და ქვედა საცვლების ქვეშ ტანზე ღვარებად ჩამდინარ ოფლს. მხოლოდ ერთი, ლედი ბიორდი ვერა გრძნობდა ამ შემხუთველ სიცხეს. მთელი თავისი არსებით ფიქრებში ჩაძირულიყო. იგი მართლაც, უცნაურ ფიქრებს წაეღო: „ეს რაღაც სიზმარივით არის, ყველაფერი ასე არარეალური, თითქოს ჩვენთვის უცნობი პიესის პერსონაჟებია. იწყება რაღაც კოშმარული, მტანჯველი. ჩვენ რაღაც გველის? შევდივართ ჩვენთვის უცხო, ახალ სამყაროში. ყველაფერი სიზმარს ჰგავს — და მაინც არ არის სიზმარი“.

ლედი ბიორდის მეუღლე კი ოდნავ გასაგონი ხმით იმეორებდა მოსამართლე ქალის მიერ წარმოთქმულ ფიცის სიტყვებს.

ეს იყო უკანასკნელი სიტყვები იმ დაბეჭდილი ბარათისა, მოსამართლე ქალს რომ ხელში ეჭირა. კონსტიტუციაც მეტს აღარას ითხოვდა, მაგრამ ჰიუზს ისეთი შეგრძნება ჰქონდა, თითქოს რაღაც დააკლო და შინაგანი იმპულსის კარნახით თვითონ დაუმატა:

— და შემეწევა ღმერთი.

— და შემეწევა ღმერთი, — დინჯად გაიმეორა ჯონსონმა.

პრეზიდენტის ბოლო სიტყვები თითქმის შთანთქა მოტორის გუგუნმა. ჯიმ სუინდალმა ღვედი შემოიკრა და ხელახლა ჩართო ძრავა № 3.

პრეზიდენტი თავის მეუღლესა და ჟაკლინ კენედის მოეხვია. აცრემლებული ლედი ბიორდი ჟაკლინს მიუახლოვდა და ხელი ხელზე მოუჭირა.

— ახლა, ჩემო კარგო, აქ ჩამოჯექით, — უთხრა მან დაქვრივებულ პირველ ლედის და იმ სავარძელთან მიიყვანა, რომელშიაც სულ ახლახან სტაფტონი იჯდა.

სარა ჰიუზი ჯონსონს მოეხვია და მღელვარედ უთხრა:

— ჩვენ ყველა თქვენთანა ვართ.

ქალმა მილოცვა დააჩქარა, რადგან თვითმფრინავი რამდენიმე წამში უკვე ჰაერში უნდა ასულიყო. გუგუნებდნენ სუინდალის მოტორები. საპრეზიდენტო სავარძელში ჩაჯდომისას ჯონსონმა ლემ ჯონსს გასძახა:

— დავიძრათ!

სამმა სტუმარმა — სარა ჰიუზმა, პოლიციის უფროსმა კარიმ და ფოტოგრაფმა სტაფტონმა — ძლივს მოასწრეს ტრაპით ჩარბენა, რომელიც ის იყო თვითმფრინავისათვის უნდა მოეშორებინათ.

დალასის საათი 14 საათსა და 47 წუთს უჩვენებდა, როცა სუინდალმა თვითმფრინავი 26000-ის ასტონიანი მასა ყვითელი განივი ზოლებით დახაზულ ლავ ფილდის ბეტონის ბილიკს მოსწყვიტა.

სალონში მჯდარმა ჯონსონმა კმაყოფილებით წარმოთქვა:

— ჰოდა, აი, მივფრინავთ.

მერე ჯო აირესი იხმო და ფინჯანი ბულიონის მოტანა უბრძანა. ლედი ბიორდმა გალეტი მოითხოვა.

ჟაკლინ კენედი წამოდგა.

— გთხოვთ მომიტევოთ,—თავაზიანად წარმოთქვა მან. ჟაკლინს არ უნდოდა ცოლ-ქმარი ჯონსონების განაწყენება, მაგრამ თავში მხოლოდ ეს აზრი უტრიალებდა: „აქ არ დაერჩები. მე იქ უნდა გავბრუნდე“.

ჟაკლინმა სწრაფი ნაბიჯით გაიარა კორიდორი და თვითმფრინავის კუდის ნაწილში კუბოსთან მდგარი კენი, ლერი, დეივი და გოდფრი

დაინახა. ქალი გასასვლელის იქითა მხარეს მდგარ ერთ-ერთ სავარძელში ჩაჯდა. ჟაკლინს კენი მიუჯდა. მათი თვალები ერთმანეთს შეხვდა და ქალი უეცრად აქვითინდა. ჟაკლინს მოზღვავებული ცრემლი აღრჩობდა და დიდხანს სიტყვის თქმა ვერ შეძლო. ბოლოს, როგორც იქნა, ხმა დაიმორჩილა და ისეთნაირად ალაპარაკდა, თითქოს სწორედ იმ წუთში დასტყდომოდეს ეს უბედურება.

— აღსრულდა! — წარმოთქვა ქალმა.

— აღსრულდა, — უსიცოცხლოდ გაიმეორა ო'დონელმა.

— ოჰ, კენ, რა იქნება აწი? — ქვითინით წამოიძახა ქალმა.

— იცით, რას გეტყვით, ჯეკი, ახლა ჩემთვის ყველაფერი სულ ერთია, — უპასუხა კენმა.

— დიახ, დიახ, თქვენ მართალი ხართ, საესებით მართალი. მისი დაკარგვის შემდეგ უკვე ყველაფერმა დაჰკარგა მნიშვნელობა, — წარმოთქვა ქალმა და ღრმად ამოიოხრა.

თვითმფრინავის კუდის განყოფილებაში, სადაც კუბო იდგა, მეტისმეტი სიმჭიდროვე იგრძნობოდა. თვითმფრინავის ეს ნაწილი, ალბათ, ყველაზე ვიწროც იყო, თუმცა კენედის ყველა თანამშრომელი სწორედ აქ ცდილობდა თავის შერგვას. აქ უბრალოდ, შეუძლებელი იყო მათი დატევა, ფიზიკურად მოუხერხებელი. კენედის კუბოსაკენ ნამდვილი დინება ატყდა. იქედან გამოსულნი ნელი ნაბიჯით ჩაუვლიდნენ ხოლმე სავარძელს, რომელშიაც ახლა პრეზიდენტი ლინდონ ჯონსონი იჯდა.

ამ დროისათვის დალასის გაზეთი „მორნინგ ნიუსი", მის ხელმძღვანელთა და თანამშრომელთა საუბედუროდ, სტიქიურად მოვარდნილ უპრეცედენტო შეურაცხყოფის ობიექტად იქცა. ადგილობრივი მკითხველები უარს აცხადებდნენ ხელმოწერაზე, სხვა შტატების მერეკლამეები კონტრაქტების გაუქმებას ითხოვდნენ. გაიძაბა გრძელი ჯაჭვი თანამიმდევრულად მზარდი ბრალდებისა: ტეხასელები ადანაშაულებდნენ — დალასს, ამერიკელები — ტეხასს, მთელი მსოფლიო — შეერთებულ შტატებს. თუმცა ჯაჭვის ყველა რგოლი ტოლფასოვანი მნიშვნელობის როდი იყო. ბევრმა ადამიანმა, ზოგან მთელი ქალაქების მცხოვრებლებმაც კი, საკუთარი სულის ჩიჩქნა იწყეს. ოსტინში (ტეხასი) გამომავალი გაზეთის „ამერიკენის" რედაქტორი წერდა:

„ჯონ კენედის სიცოცხლის მომსპობი ავაზაკური მკვლელობა მოამზადა სიძულვილმა და ფანატიზმმა, თვითკმაყოფილების დამპალმა სულმა...“

ამ თვითკრიტიკას, რასაკვირველია, თანაგრძნობა არ გამოუწვევია. დალასის საზოგადოების ბურჯებში. ქალაქის იმ ორ ყოველდღიურ გაზეთს შორის მხოლოდ „ტაიმს ჰერალდი“ აღმოჩნდა ჩაფიქრების მოსურნე. 22 ნოემბერს საღამოს გაზეთის გამოშვებაზე მუშაობის დამთავრების შემდეგ გამომცემელმა საკადრისად შეაფასა თანამშრომელთა მოხდომება, რაც თვითკმაყოფილების განსაცვიფრებელ ნიმუშად გამოდგებოდა. „დღეს თქვენ შესანიშნავად იშრომეთ, — წერდა იგი თავის განცხადებაში. რომელიც სწორედ მაშინ გამოქვეყნდა, როცა პრეზიდენტის თვითმფრინავმა ენდრიუსისაკენ აიღო გეზი, — ჩვენი ქვეყნის ვერც ერთი გაზეთი ესოდენ მკაცრ ვადაში თავის ამოცანას უკეთესად ვერ გაართმევდა თავს. თქვენ ყველას ურთულესი დავალებანი გქონდათ დაკისრებული და კიდევაც შეასრულეთ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე“. და ბოლოს თითქოს შემთხვევით გაახსენდაო, გამომცემელმა დასძინა: „დღეს სამწუხარო დღეა“.

მერე ზოგი რამ კიდევ დაურთო იმ ბუნდოვანი შეშფოთების ასახსნელად, რითაც მაშინ მოცული იყო დალასის მოსახლეობა. „მომავალ რამდენიმე დღეს ამ ამბის თაობაზე დიდი ტაქტით წერა გვმართებს — ჩვენ ერთგვარი სასამართლოს წინაშე აღმოვჩნდით, რადგან ეს ყოველივე ჩვენს ქალაქში მოხდა“, — დამრიგებლური ტონით აცხადებდა დალასის გაზეთის გამომცემელი.

დიახ, მათ ნამდვილად მკაცრად კიცხავდნენ, რასაც ფრიად მტკივნეულად განიცდიდნენ. მათი ადგილობრივი პატრიოტიზმი საშიშროების წინაშე აღმოჩნდა. „ტაიმს ჰერალდის“ სპორტული მიმომხილველის სიტყვებით, ქალაქის მცხოვრებლებს ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, როგორც მსაჯის მიერ ნაღდი გოლის გასატანად გამზადებულ დასჯილ მოთამაშეს. ასეთ პირობებში აზრი არა ჰქონდა მსაჯის გადაწყვეტილებასთან დავას. მაყურებელი ამას მაინც ვერ მიხვდებოდა. არსებობა მხოლოდ ერთი გზა. საკუთარ კართან დაბრუნება და ყველაფრის თავიდან დაწყება.

ქალაქის პრესტიჟის აღდგენა, რა თქმა უნდა, ადვილი საქმე არ იყო. მაგრამ დალასის ჩრდილო უბნის მცხოვრები ძსხვილი საქმოს-

ნები დიდ საქმეთა გაჩარხვის ოსტატები იყვნენ. რასაკვირველია, საჭირო იყო გარკვეული მსხვერპლის გაღება. აუცილებელი შეიქნა ზოგიერთ ნაკლებმნიშვნელოვან ორგანიზაციაზე საჯაროდ ხელის აღება. განწირვა ელოდა კონგრესმენ ბრიუს ელჯერს. მაგრამ ეს არაფერი. გაზეთ „მორნინგ ნიუსის“ სარედაქციო სტატიებს ჯერ-ჯერობით რბილი ტონი უნდა ჰქონოდა. რა თქმა უნდა, არავის აღფრთოვანებას არ იწვევდა ის ამბავი, რომ ლავ ფილდის აეროდრომზე ჩამოფრენილ ყოველ ახალ თვითმფრინავს უამრავი ხალხი ჩამოჰყავდა. მაგრამ ამაზე კრინტის დაძვრაც არ შეიძლებოდა. პირიქით, ჩამოსულთათვის უნდა ეჩვენებინათ, რას ნიშნავდა დალასური სტუმართმოყვარეობა. უცხო ქალაქების კორესპონდენტთათვის „მორნინგ ნიუსის“ რედაქციაში უნდა გამოეყოთ მაგიდები და ტელეფონები, გაეტანებინათ სარეკომენდაციო ბარათები იმ პირებთან, ვისაც უნარი შესწევდათ მათთვის ქალაქ დალასის ნამდვილი არსი გაეცნოთ.

ქალაქის მესვეურთათვის ყველაზე მეტი უსიამოვნების მიყენება დალასის პოლიციის უფროსს ჯეს კარის შეეძლო. მან უკვე ჩირქი მოსცხო ქალაქის საპარადო პორტრეტს, ახლა ამ კაცს ლი ოსვალდის დაპატიმრება ანდეს. ჟურნალისტებთან თუნდაც ოდნავი უხეშობაც კი აღარ შეიძლებოდა, თუმცა მათ მართლაც, ლამის წალეკეს პოლიციის სამმართველოს ხუთივე განყოფილება.

პოლიციის უფროსი კარი და ოლქის პროკურორი ჰენრი უეიდი უნდა შერიგებოდნენ ჟურნალისტთა ამ მოზღვავებას და მასთან დაკავშირებულ ყოველგვარ უხერხულობას. ისინი ვალდებულნი იყვნენ პრესისათვის მიეწოდებინათ ხელთ არსებული ყოველგვარი ცნობა იმ პატიმარზე, რომელიც მეხუთე სართულზე, განსაკუთრებით საშიშ დამნაშავეთათვის განკუთვნილ საკანში იმყოფებოდა. კარი და უეიდი მტკიცედ ემორჩილებოდნენ ამ მითითებას. ჟურნალისტთა ჯვარედინი ცეცხლის ქვეშ მოქცეულთ დათმობა ირჩიეს, თუმცა ამ საქციელითაც სხვა ჭირი დაიტეხეს. ჟურნალისტებისადმი დათმობის პოლიტიკა უცილობლად იწვევს სრულსა და უსიტყვო კაპიტულაციას.

შეშფოთდნენ ვეტერანი-რეპორტიორები. პარიზის „ფრანს სუარის“ კორესპონდენტმა ანრი დე ტურნიურმა ერთ-ერთი ფირმის ხელმძღვანელს უთხრა:

— ჩემ მიერ ნანახ ყველა პოლიციელთა შორის, თქვენები პრესისადმი გაცილებით მეტ კეთილგანწყობას ამჟღავნებდნენ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

ასევე წუხდნენ გამოცდილი ვექილებიც.

22 ნოემბრის საღამოსათვის დალასის ხელისუფალთა თანამშრომლობამ გაზეთებისა და ტელევიზიის კორესპონდენტებთან ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ იუსტიციის მინისტრის მოადგილესაც კი შიში მოჰგვარა — შესაძლებელი იქნებოდა თუ არა ყოველივე ამის შემდეგ, სამართალში მიცემულის აპელაციის შედეგება, თუ იგი ასეთ ვითარებაში იქნებოდა გასამართლებული. კარი და უეიდი ბრალდებულის დამცველ ადვოკატთა მონაწილეობის გარეშე ფაქტიურად ტელევიზიით უკვე აწარმოებდნენ მის გასამართლებას. თითქმის თხუთმეტჯერ გადაშალეს პრესის წინაშე ბრალდების ყველა კოზირი.

ყველაფერი ეს მართლმსაჯულების პაროდიად იქცა და კატცენბახი იძულებული გახდა ფედერალური იუსტიციის წარმომადგენელს ბერფუტ სანდერსს დალასში დალაპარაკებოდა და თავისი შიში გაეზიარებინა.

— აბა წარმოიდგინეთ, — უთხრა მან ბერფუტს, — რა საშინელება იქნება, იგი პრეზიდენტის მკვლელ დამნაშავედ იცნონ, ხოლო აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ უარჰყოს განაჩენი მხოლოდ იმიტომ, რომ მკვლელს ადვოკატი არა ჰყავდა. აი, როგორ დავეცემით მაშინ ყველას თვალში.

სანდერსმა ჩარევა სცადა, მაგრამ ფედერალური პროკურორი უფლებამოსილი არ იყო შტატის ციხის ადმინისტრაციაზე. და ეს მაშინ, როცა ყოველი მჯღაბნელის წინაშე მწვანე ქუჩა იყო გადაშლილი. ფედერალური პროკურორი პრესის წარმომადგენელი არ გახლდათ და იგი უბრალოდ იგნორირებული იქნა.

და მაინც ამ განსაცვიფრებელი სპექტაკლის ყველაზე საუკეთესო ნომერი არავინ იცოდა დალასის პოლიციის სამმართველოს ფარგლებს იქით. დამნაშავის იურიდიულ უფლებებზე ჩაფიქრებულ კატცენბახს, სასამართლოს გადაწყვეტილების შეცვლის შესაძლებლობა რომ აშინებდა, გულუბრყვილოდ ეგონა ტელევიზორის ეკრანებზე ნაჩვენები, პოლიციელთა ირგვლივ მოფუსფუსე, სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ადამიანები გაზეთების

ნამდვილი კორესპონდენტები თუ ტელევიზიის კომენტატორები. მაგრამ 1963 წლის 22 ნოემბერი მხოლოდ პირველი დღე გახლდათ იმ ოთხი დღისა, როცა ყველაფერი იყო შესაძლებელი. როგორც შემდეგმა ამბებმა დაადასტურეს, კატცენბახს ბევრი რამ დაუმტკიცებლად სჯეროდა.

კარის ქება სწყუროდა და უკმაყოფილების გამოწვევას ცეცხლივით ერიდებოდა. ამიტომაც გააუქმა ყველა ის გამაფრთხილებელი ზომა, რაც ჩვეულებრივ ასეთი დროისათვის იყო საჭირო, ანუ როცა საზოგადოების ინტერესი დანაშაულისადმი ისტერიის ხასიათს იღებს. არც ერთი მისი პოლიციელი პრესის წარმომადგენელთ პირადობის მოწმობასაც კი არ უსინჯავდა. 'კარი ფაქტიურად თითქმის ყველასათვის ყურამდე ღია იყო. იმ დღეთა აღმბეჭდავი ტელევიზიის ვიდეოფირები განგსტერული კინოფილმების მასობრივი აყალმაყალის კადრებს მოგაგონებდათ. სტატისტთა როლებში აღმოჩნდნენ იმ დროს სხვა დანაშაულებრივ საქმეთა მოწმენი თუ მოსარჩლენი, პატიმრები და მათი ნათესავები, პოლიციელთა ახლობლები, თაღლითები, ლოთები, ჰარვუდ-სტრიტის საეჭვო ადგილებიდან შემოხეტებული ადამიანები. ერთი სიტყვით, ყოველ შეშლილს, თუკი მოისურვებდა, შეეძლო შეეხედა ამ ყველაზე გახმაურებული დამნაშავისათვის, რომელიც ასევე გახმაურებულ პოლიციას ჰყავდა დაკავებული. მსურველი თავისუფლად შევიდოდა საღამო ხანს გამართულ კარი-უეიდი-ოსვალდის პრეს-კონფერენციაზე. დიახ, ერთი ასეთი ფსიქოპათი მართლაც მოვიდა, ლი ოსვალდი რომ დაენახა. ოსვალდიც, უკეთ დანახვის მიზნით, სპეციალურად შემაღლებულ ადგილზე დაესვათ.

ზემოხსენებულ მნახველს რქის ჩარჩოიანი სათვალე ეკეთა, ხელში ბლოკნოტი ეჭირა და იქ ყოფნის გასამართლებელი ყალბი მიზეზიც წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული. თავი ისრაელის პრესის თარჯიმნად გაასაღა, თუმცა ამაოდ იცრუა. მას ისედაც შეუშვებდნენ, რადგან პრეს-კონფერენცია ორგანიზებული იყო პრინციპით: ვინც მოასწრო, ის დაჯდა.

პრეს-კონფერენციაზე დააგვიანდა და უადგილოდ დარჩა მკვლელობათა საქმის გამომძიებელი, განყოფილების კაპიტანი ფრიტცი. თვითმარქვია კი დაუბრკოლებლად მოკალათდა ერთ-ერთ მაგიდასთან. ის კი არა, კითხვებსაც კი იძლეოდა. პრეს-კონფერენციაზე

გადაღებული კინოლენტის გასინჯვისას, გამოირკვა, როგორ ჯიქურ ათვალიერებდა იგი პატიმარს. ოსვალდსა და იმ კაცს გარეკნული იერით ერთმანეთთან საერთო არა ჰქონდათ რა, მაგრამ ემოციურობის თვალსაზრისით მათში რაღაც ნათესაური იგრძნობოდა. ორთავენი ფსიქიკამოშლილი, ბედუკულმართი ადამიანები იყვნენ. მთელ ქვეყნიერებაზე განაწყენებულ, საზოგადოებისაგან გარიყულ, სახელის მოხვეჭას დახარბებულ ამ ორ პიროვნებას გულში ჩახვეული ბოღმა უტრიალებდათ. მზად იყვნენ, ყოველგვარი ავანტურისტული, თავაწყვეტილი დანაშაული ჩაედინათ. მკვლელობისაკენ მიდრეკილ ამ ადამიანებს უჭირდათ გარემომცველ საზოგადოებასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება, განსაკუთრებით ქალებთან, საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ კი უკიდურეს გულგრილობას იჩენდნენ.

ეს ვითომდა თარჯიმანი შემდგომ ირწმუნებოდა — მე გარდაცვლილი პრეზიდენტის დიდი თაყვანისმცემელი ვიყავიო. შესაძლოა, მან მართლაც დაარწმუნა თავი ამაში, თუმცა ამის დაჯერება მეტად ძნელია. 12 საათსა და 30 წუთზე იგი გაზეთ „მორნინგ ნიუსის" რედაქციაში იმყოფებოდა. მოელაპარაკა რედაქციას, რათა გაზეთის შაბათის ნომერში დაებეჭდათ სარეკლამო განცხადება მისი საკუთარი მოდურ-სტრიპტიზიანი ორი გასართობი დაწესებულების შესახებ. ამავე დროს მან თავი არ შეიწუხა გაეგლო რაღაც ოთხიოდ კვარტალი პრეზიდენტის კორტეჟის შესახებედად, რომელმაც სწორედ მაშინ ჩაიარა. პრეზიდენტ კენედისადმი მისი ყალბი თაყვანისცემა, ოსვალდის მიერ მოგონილი „მარქსისტული რწმენის" მსგავსად, წმინდა წყლის ტყუილი იყო, თვითშთაგონების პროდუქტი, თავისი საქციელისათვის რესპექტაბელური იერის მისაცემად. სინამდვილეში ერთსაც და მეორესაც საზოგადოებრივი მოვალეობის გრძნობა ღობისძირს მიგდებულ ცინდალზე მეტად როდი აწუხებდათ. თითოეული მათგანი ისე იყო ჩაფლული საკუთარ გამოფიტულ სამყაროში, რომ სხვა რაიმე ინტერესების არსებობა სავსებით ირიცხებოდა. ორთავენი შემაძრწუნებელი მარტოობით გამოირჩეოდნენ.

სათვალიანი თაღლითი პრეს-კონფერენციაზე მხოლოდ ერთი მიზნით მივიდა — შეეთვალიერებინა დამნაშავე. თუმცა პოლიციის სარდაფებში ბევრი სხვა ატრაქციონიც იყო. ჰენრი უეიდის გამო-

სელას, ანუ მის მიერ გაცემულ პასუხებს გადაუჭარბებლად შეიძლება უხამსი ფარსი ვუწოდოთ. უეიდმა თითი ლი ოსვალდისაკენ გაიშვირა და რადიომსმენელებსა თუ ტელემაყურებლებს მიმართა:

— ვფიქრობ, ჩვენ საკმარისი საფუძველი გვაქვს იგი დამნაშავედ მივიჩნიოთ.

მერე განაცხადა, რომ პოლიციის მაძებარმა აგენტებმა „დაახლოებით თხუთმეტი მოწმე" აღმოაჩინეს, რომ დანაშაულის ჩადენაში სხვა ეეჭვიტანილი არ არსებობს, რომ ბრალდებული ფსიქიურად შერაცხადია და მას უკვე წარუდგინეს ოფიციალური ბრალდება.

კითხვაზე, ჰყავს თუ არა პატიმარს ადვოკატი, დალასის ოლქის პროკურორმა ასე უპასუხა:

— მე არ ვიცი, ჰყავს თუ არა ადვოკატი.

უეიდმა დამსწრეთ აცნობა, ბრალდებულს მალე ოლქის ციხეში გადავიყვანთო, მათვე აღუთქვა, რომ მასთან დაკავშირებული ყოველი დეტალი ინფორმირებული იქნებოდა. სულ ბოლოს კი, არცთუ ფარული ზრახვის გარეშე, ისიც დასძინა, ოსვალდი დალასში „მხოლოდ ორი თვე" ცხოვრობდაო.

— ყოჩაღ, ჰენრი! — დასძახეს ვილაცებმა, — მარჯვე სვლაა!

მაგრამ ამ „სვლას" მარჯვეს სწორედ ვერ ვუწოდებდით. იგი პროკურორის უხეში შეცდომა უფრო იყო. უეიდის ინფორმაცია არაზუსტი და აბნეული გახლდათ. მაგალითად, ოსვალდმა ბავშვობა დალასში გაატარა და თუ ამას რაიმე მნიშვნელობა აქვს, მაშინ საბჭოთა კავშირიდან მარინასთან ერთად დაბრუნებული ოსვალდი სწორედ ლავ ფილდის აეროდრომზე ჩამოფრინდა. უფრო მეტიც, პროკურორ უეიდის მიერ ზოგიერთი კონკრეტული სამხილისა და ოსვალდის დანაშაულის პრეზუმციის სასამართლომდე გაცხადების ფაქტი მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების შეუწყნარებელი დარღვევა გახლდათ.

მიკროფონების მთელი ბატარეის წინ მდგარი უეიდი, ყოველივე ამას მრავალმილიონიანი აუდიტორიის გასაგონად აცხადებდა. მაშინ, როცა, სწორედ ამ მსმენელთა შორის უნდა არჩეულიყო ნაფიცი მსაჯულები, რომ პოლიციის მორიგი მარცხის შედეგად კიდევ ერთი მკვლელობა არ მომხდარიყო, რის გამოც ლი ოსვალდის გასამართლების საჭიროება მოიხსნა. თვით 22 ნოემბერსაც კი ეს

ყველაფერი დაუჯერებლად უჩვეულო იყო, უფრო მეტად დაუჯერებელი ჩანს იგი ახლა.

ოლქის პროკურორმა ყურადღება მიაქცია ისრაელელ ვითომდა მთარგმნელის იდიოტურ ფიზიონომიას. ქახე თითქოს ნაცნობადაც ეჩვენა. ჰოდა, გაახსენდა კიდეც. სულ რაღაც სამი დღის წინ ნაცა ზნეობის საწინააღმდეგო დანაშაულთან დაკავშირებულ პროცესზე. მერე, როცა გადაღებისათვის საჭირო პროექტორები ჩაქრა და პატიმარი მეხუთე სართულის საკანში აიყვანეს, თვითმარქვია თაოჯიმანი შემაღლებული ადგილისკენ გაქანდა და პროკურორს შეესძახა:

ეი, ჰენრი!

მისალმებისა და ხელის ჩამორთმევის შემდეგ უცნობმა პროკურორს ჰკითხა:

თქვენ ვერ მიცანით? მე ჯეკ რუბი გახლავარ კლუბ „ვეგასის“ მფლობელი.

— კი ბაგრამ აქ რას აკეთებთ? — ალბათ, უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო ჰკითხა უეიდმა.

რუბიმ ხელით ფართო წრე მოხაზა და მედიდურად განაცხადა:

მე ამ ბიჭებს ყველას ვიცნობ.

ბიჭებში იგი დალასელ პოლიციელებს გულისხმობდა. ამჯერად რუბი არა ტყუოდა, იგი ნამდვილად იცნობდა მათ.

მემდეგ ორშაბათს ევროპის მცხოვრებთ თავი უნდა ემტვრიათ იმის ამოსაცნობად, თუ როგორ შეძლო ჯეკ რუბიმ ასე ადვილად, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე, მთელ პოლიციის სამმართველოში ხეტიალი. ამგვარადვე იყვნენ გაოცებულნი კენედის ახლობელი ადამიანებიც. მათთვის უცნობი იყო მსუბუქი ყოფაქცევის ადამიანთა ეს ბინძური სამყარო, დამნაშავეებისა და გარყვნილების ბუნაგების მფლობელთა აშმორებული სფერო. გაბიევინებულსახიანი საეჭვო ადამიანები, ქერად შეღებილი, უსაშველოდ წვრილად ამოქნილწარბებიანი, მოთენთილი მზერის მქონე ქალები. უბადრუკი, შეგინებული რეპუტაციისა და საზიზღარი სუნით აქოთებული ოტელები, რომელთა დაგორგლილ ზეწრებიან საწოლებთან ღამის მაგიდებზე გადაუშლელი ბიბლიები ეწყო. დიახ, აქ პოლიცია ხელს აფარებს წვრილმან დამნაშავეებს, ხოლო კანონის

დამრღვევნი თუ ამ კანონის დამცველები, ისევე როგორც ყველა სხვა, ვინაც კანონიერების მიჯნაზე გამუდმებით ოინბაზობს, არამთუ სცნობენ ერთმანეთს, კიდევაც ქორწინდებიან ერთმანეთთან. ასე რომ; უცნაური არაფერი ყოფილა ჯეკ რუბისა და დალასელ პოლიციელთა ურთიერთობაში. სამწუხაროდ, ამდაგვარი პიროვნებანი ამერიკის საპოლიციო უბნების მუდმივი სტუმრები არიან. საპოლიციო ქრონიკის ყოველმა რეპორტიორმა, სულ ცოტა, ერთი ასეთი რუბი მაინც იცის. იგი ფეხქვეშ ეგება პოლიციელებსა და დეტექტივებს. პოლიციელთა ჩინებისადმი თაყვანისცემა მათ მაშინაც კი არ უნელდებათ, როცა დროგამოშვებით თავს ციხეშიაც ამოყოფენ. უფრო ხშირად, ამაყობენ კიდეც წარსული ნასამართლეობით. ამაში ხედავენ თავიანთი ვაჟკაცობის დადასტურებას. როგორც წესი, ასეთი ტიპები საშუალო ასაკშივე იწყებენ გასუქებას და თვალებიც შესიებული აქვთ. მათი ხელების მსხვილ თითებზე ხელოვნურთვლებიანი ექსტრავაგანტური ბეჭდები კიაფობენ. ასეთი ადამიანები ადვილად გამოსარჩევი არიან თხევადი კოსმეტიკის სპეციფიკური სურნელით, პოლიციელთათვის მხრებზე ხელის მოთათუნების მანერით, მათთვის საჩუქრების ძალად მიჩეჩებითა და მათ წინაშეევ თმის დაუსრულებელი ვარცხნითა თუ ხელების შლით.

იმ ხუთშაბათს რუბიმ გვერდზე გადადო მოგონილი მიზეზი, თითქოს პოლიციის სამმართველოში პრეს-კონფერენციაზე დასასწრებად მოსულიყოს, და პოლიციელებს უფასო საშვები დაურიგა თავისი საკუთარი ღამის ორ კლუბში შიშველქალებიან წარმოდგენაზე დასასწრებად. პოლიციელებიც ყოველგვარი თავპატიჟის გარეშე იდებდნენ საშვებს ჯიბეში. რასაკვირველია, ამაში საძრახისს არც არაფერს ხედავდნენ. საოლქო პროკურორის მსგავსად, ისინიც იცნობდნენ ჯეკ რუბის და თავისუფალ დროს სამოქალაქოდ გამოწყობილნი ხშირად სტუმრობდნენ „ვეგასსა“ თუ „კარუსელს“. იქ სპეციალურად მათთვის რეზერვად დატოვებულ ადგილებს იკავებდნენ და მუქთად მორთმეულ ამ თავისებური სამყაროს ტრადიციული სასმელით — მეტწილად ვისკისა და სოდიანი წყლის ნარევით — ტკბებოდნენ. მერე ეშხში შესულნი ჩახლეჩილი ხმით აქებებდნენ უხეიროდ გათხუპნილ ქალებს სცენაზევე დაეყარათ თავიანთი ტუალეტის შავი ვუალის ინტიმური საგნები.

ავგუსტ ებერჰარდტს — ამ ოცდაათი წლის დეტექტივს ჩუთი წლის ნაცნობობა ჰქონდა რუბისთან. გარყვნილების ბუნაგებიდ მფლობელს იგი პროსტიტუციისა და ნარკომანიის წინააღმდეგ მებრძოლ განყოფილებაში მუშაობისას გაეცნო, თუმცა, ებერ-ჰარდტს სამსახურებრივად ევალებოდა თვალყური ედევნებინა, რა ხდებოდა „ვეგასსა“ და „კარუსელში“. ერთხელ კიდევაც დაიჭირა რუბის ერთ-ერთი მეძავი ნარკომანობის ბრალდებით, მაგრამ ეს ამ-ბავი მას სულაც არ უშლიდა ხელს, ამ ადგილების მუდმივი სტუ-მარი ყოფილიყო. უფრო მეტიც, ორთავე ბუნაგში იგი მეუღლეს-თან ერთად დადიოდა. ქალბატონ ებერჰარდტს ჩვეულებრივ „ვე-გასის“ პროგრამა ერჩია ხოლმე. მერე ჰარვუდ-სტრიტზე ამ ორი დაწესებულების ღირსებებზე გაცხარებული კამათებიც კი იმართე-ბოდა. ამ ბუნაგებს, რასაკვირველია, ჰყავდა თავისი პატრონისმცე-მლები, ისევე როგორც იქ გამოსულ ქალიშვილებს — მოტრფია-ლენი. რუბისთან ყოველთვის შეიძლება გემრიელად მოლხენა — ასეთი იყო ყველას ერთსულოვანი აზრი.

ებერჰარდტმა რუბი პრეს-კონფერენციაზეც შენიშნა. ცოტა წაი-ჭორავეს კიდეც. რუბიმ ქალბატონი ებერჰარდტის ჯანმრთელობა მოიკითხა. მერე პრეს-კონფერენციაზე თარჯიმნად მოსვლის ტყუი-ლიც მიასაღა. პოლიციელი რუბის ძველი მეგობარი გახლდათ და იცოდა, რუბი ებრაულად რომ ლაპარაკობდა, თუმცა მის ლინგვის-ტურ მონაცემებზე მაინცდამაინც დიდი აზრისა არ ყოფილა. რუბიმ ისიც კი უთხრა, რეპორტიორების გასამასპინძლებლად ყავა და ბუტერბროდები მაქვს მოტანილიო. ბოლოს ებერჰარდტის თქმით, „ცოტა პრეზიდენტის მკვლელობაზეც წაისაუბრეს“. რუბიმ თქვა:

— ნამდვილად ვერ გამიგია, ასეთ არარაობას, აშკარა ნულს, როგორ შეეძლო მოეკლა ისეთი კაცი, როგორიც პრეზიდენტი კე-ნედი იყო.—მერე ფრიად შეწუხებული ხმით დასძინა:—დალასისა-თვის პრეზიდენტის სიკვდილი მეტისმეტად სამწუხარო ამბავიაო. დეტექტივის მოგონების თანახმად, ამის შემდეგ, რუბი წავიდა, თუმცა თვითონ ვერ ასახელებს საით. სხვა პოლიციელებსაც არ მი-უქცევიათ ყურადღება მისი წასვლისათვის. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ჯეკ რუბი კვლავ დაბრუნდებოდა, და არც შემცდარან.

მეორე ნაწილი

გამოთხოვება

მეექვსე თავი

უკან ენდრიუსისკენ

ზურგის ქარით დევნილი პრეზიდენტის თვითმფრინავი ლამის ბგერის სისწრაფით მიჰქროდა აღმოსავლეთისაკენ. ჯიმ ხუინდალმა გზებითა და სხლტეებით დასერილ მომწვანო-მოყვითალო ვაკეს დახედა. წინ მუქი ცისფერი წყლის ლაქა ჩანდა, უფრო იქით კი მთათა გრეხილები გაწოლილიყო. პილოტმა სამხედრო-საჰაერო ბაზას რადიოთი აცნობა დაფრენის დაახლოებითი დრო 23 საათი და 05 წუთი. „ზ“ სამხედრო მფრინავების ჟარგონით „ზულუ-ტაიმ“ გრინვიჩის დროს ნიშნავს. ადგილობრივი დროით კი ენდრიუსის აეროდრომზე ისინი 18 საათსა და 05 წუთზე დაეშვებოდნენ.

სხვადასხვაგვარი სევდა მორეოდათ სამდივნოს კაბინაში მყოფ მგზავრებს. — კატატონიის მდგომარეობიდან დაწყებული უნუგეშო მწუხარებასა და საშინელ განმარტოებამდე.

პრეზიდენტის ამალის პირველი ჯგუფი, რომელმაც პარკლენდის ჰოსპიტალში ტრაგედია გადაიტანა, ახლა მომავალზე ფიქრობდა. ხვალინდელ დღეს შეიარაღებული უნდა შეხვედროდა. ეს მისი მოვალეობა იყო. მეორე ჯგუფი ჯერ ისევ წარსულით ცხოვრობდა და ფიქრით იმდღევანდელ ამბებს უტრიალებდა. შემდგომ ყველა მგზავრი თავისებურად იგონებდა ამ ფრენას. თვითმფრინავის ფანჯრებზე ფარდები დაშვებულ იყო და შებინდება არავის შეუნიშნავს. ისეთი შეგრძნება ჰქონდათ, თითქოს ყველანი დროისა და სივრცის გარეშე ცხოვრობდნენ. ყველა თავის პირად სამყაროში ჩაკეტილიყო, თავიანთ მწუხარე ფიქრებთან და ამ განმარტოებაში ქმნიდნენ მოვლენათა საკუთარ ჯაჭვს თუ საკუთარ წარმოდგენას დროსა და ჟამზე.

ჟაკლინ კენედის მდივანი ქალის პამელა ტურნიურის აზრით, მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე არც ერთი ფრენა არ გაგრძე-

ლებულა ასე დიდხანს და მომქანცველად. ქალს ისიც კი ეჩვენებოდა, ამ მგზავრობას, ალბათ, დასასრულიც არ ექნებაო. სამუშაოში ჩაფლულ მარი ფემერისათვის კი პირიქით, ეს ფრიად ხანმოკლე ფრენა იყო. და მაინც ფარული მტრობის ატმოსფეროს ყველა მგზავრი გრძნობდა. ჯეკ ვალენტიმ ჰაერში ყოფნის ამ ორ საათს ერთიანი ქაოსი უწოდა. ხოლო ჩარლზ რობერტსმა — მტანჯველი. მაკ კილდაფის თქმით, ეს იყო ყველაზე გიჟური რეისი, რომელშიც კი საერთოდ მიუღია მონაწილეობა. კლინტ ჰილმა თავისი დასვრილი კოსტიუმის გამოცვლა მოასწრო, ეკიპაჟის ერთ-ერთი წევრის ფორმა ჩაიცვა და ჩაფიქრებული წინ იცქირებოდა. მისი სიტყვებით თუ ვიმსჯელებთ, თვითმფრინავში აშკარად არაჯანსაღი ვითარება სუფევდა. დამოკიდებულება კენედისა და ჯონსონის მხლებელთა შორის უკიდურესად დაძაბული იყო.

Fortiter in re, suaviter in modo (განსაცდელის ჟამს შეინარჩუნე ზრდილობა). ძველ რომაელთა ეს გამოთქმა საოცრად უყვარდა იმ კაცს, ახლა რომ კუბოში იწვა. თავიანთი წინამძღოლის დაკარგვის შემდეგ კენედის თანმხლებნი ცუდად შენიღბულ მტრულ გრძნობებს ამოეფარნენ. თუმცა ზოგიერთი დაფარვასაც არა ცდილობდა. განსაკუთრებული გულახდილობით გამოირჩეოდა კენ ო'დონელი. ჯონსონმა ორჯერ გაგზავნა ბილ მოიერსი თვითმფრინავის კუდის ნაკვეთურში კენ ო'დონელისა და ლერი ო'ბრაიენის სალონში მოსაწვევად. მაგრამ მათ ორჯერვე გადაჭრილი უარი განაცხადეს. გოდფრი მაკჰიუ დემონსტრატიულად გაემართა ჟურნალისტებისათვის განკუთვნილ ადგილისაკენ, სადაც ჩარლზ რობერტსი და მერიმენ სმიტი პარკლენდის ჰოსპიტალში მომხდარ ამბებზე ერთმანეთს შთაბეჭდილებებს უზიარებდნენ. იგი აშკარად ცდილობდა რეპორტიორებს არ გამორჩენოდათ მისი არც ერთი სიტყვა. მარცვალ-მარცვალ წარმოთქმულ სიტყვებს მაგიდაზე მუშტის დაკვრით ადასტურებდა.

— მინდა თქვენ იცოდეთ, — თქვა მან, — რომ კენ ო'დონელი, ლერი ო'ბრაიენი, დეივ პაუერსი და მე მთელი ფრენის განმავლობაში თვითმფრინავის კუდის ნაკვეთურში პრეზიდენტთან — პრეზიდენტ კენედისთან ვიყავით.

როცა პრეზიდენტ ჯონსონის დავალებით ყუდის ნაკვეთურში ტედ კლიფტონი შევიდა, ო'დონელი დენთივით აფეთქდა.

— თქვენ გირჩევნიათ უკან გაბრუნდეთ და თქვენი ახალი ბოსის გული მოიგოთ, — მწარედ მიუგო მან.

— რა მოუვიდა ამას? მე უბრალოდ ჩემს მოვალეობას ვასრულებ.

ტეხასელებსაც უყვარდათ კენედი და იმ დღემდე მათ სხვებზე მეტად საფუძვლიანი შიში ჰქონდათ დალასისა. ამიტომ იმის გაფიქრებაც კი, რომ ისინიც იზიარებდნენ პრეზიდენტის ამ ავაზაკური მკვლელობის პასუხისმგებლობას, თვითონ მიუტევებლად ეჩვენებოდათ.

ისიც გასაგებია, რომ მათ შორის იფეთქა იმ ძველმა მტრობამ, რომელიც ჯერ კიდევ 1960 წელს ლოს-ანჯელესის დემოკრატიული პარტიის ყრილობის დროისათვის წარმოიშვა. ჯონსონის ყველა იმ მრჩეველთა შორის მხოლოდ ერთი კაცი, ბილ მოიერსი არ გაღიზიანებულა. იგი ხვდებოდა, რომ ო'დონელის უხეშობა მხოლოდ ნიღაბი იყო და გესლიან საფარქვეშ ნაზი სულის ადამიანი იმალებოდა. მოიერსი გრძნობდა, რამდენად მწარედ იყო გულმოკლული ო'დონელი და მის გამოხდომებს უპასუხოდ ტოვებდა.

ჯონსონის მთავარი თანაშემწე ლიზ კარპენტერი კვლავ შეუდგა ახალი პრეზიდენტისათვის სიტყვის პროექტის წერას. ქალმა იცოდა, აეროდრომზე პრეზიდენტს სატელევიზიო კამერების მთელი ბატარეა დაუხვდებოდა. კარპენტერმა თავისი ჩანთა მიჩხრიკ-მოჩხრიკა და პარკლენდის ჰოსპიტლიდან ლავ ფილდის აეროდრომისაკენ გიჟური რბოლის დროს მანქანაში ნაჩქარევად ჩაწერილი სიტყვის ტექსტი იპოვა, თუმცა მისი დიდი ნაწილის წაკითხვა შეუძლებელი აღმოჩნდა. დაძაბულობისაგან შუბლშეჭმუხნილი ქალი ძლივძლივობით კითხულობდა ცალკეულ სიტყვებს, ცდილობდა მოეგონებია რა დაწერა:

— ეს ტრაგიკული საათი (გაურკვეველია) და (გაურკვეველია) — დიდი პირადი ტრაგედიაა ჩემთვის. რაც ჩემს ხელთ არის, ვეცდები გავაკეთო. ეს არის ყველაფერი, რაც კი საერთოდ ძალმიძს. მე ვევედრები ღმერთს, მოწყალე თვალით გადმოგვხედოს. და თქვენს...

ხელით საგულდაგულოდ გადაწერილი ტექსტის მეორე ვარიანტი კარპენტერმა სალონს გადასცა. ჯონსონმა რამდენიმე შესწორება შეიტანა და ტექსტი მოიერსს უჩვენა. სთხოვა, ცოტა ხელი

გამიკარიო. ბოლოს მარი ფემერს გაეგზავნა მომცრო ფურცელზე დასაბეჭდად. მაგრამ როცა გადაბეჭდილი სიტყვის ტექსტი კვლავ ჯონსონს მიუბრუნდა, პრეზიდენტმა არ მოიწონა იგი. სიტყვას ნამდვილად აკლდა რაღაც. ვალენტი უყურებდა, როგორი ყურადღებით კითხულობდა პრეზიდენტი ტექსტს. სიტყვის დასკვნით ნაწილში ორი ფრაზა შეცვალა. ახლა იგი ასე მთავრდებოდა. „ვითხოვ თქვენს მხარდაჭერას და ღმერთის შეწევნას“.

ფრენის მთელი დროის მანძილზე ჯონსონი ადგილს ვერ პოულობდა. მისი ზორბა ტანი სალონის პასტელის ტონებით შეღებილ კედლების ფონზე განსაკუთრებით მკვეთრად გამოირჩეოდა. პრეზიდენტი კუთხიდან კუთხეს აწყდებოდა.

ხან იქვე, საწერ მაგიდაზე მდგარი ტელეფონით რეკავდა, ხან გასასვლელში ტეხასელ კონგრესმენებს ეთათბირებოდა, ხანაც ტელევიზორს უტრიალებდა. თვითმფრინავის დაბლა ქარბუქი მძვინვარებდა, ამახინჯებდა კომენტატორების სახეებსა თუ ხმებს და ეკრანზე გამოსახულება ცუდად ჩანდა.

განუწყვეტლად ჯგუფდებოდნენ ჯონსონის ირგვლივ თვითმფრინავის კუდის ნაკვეთურიდან მობრუნებული კონგრესმენები. ხოლო ვალენტი, ფემერი, კლიფტონი და კილდაფი ერთთავად გადიოდნენ და შემოდიოდნენ. ფრენის დასასრულს სალონში კლიფტონიც შევიდა და დარჩა კიდეც. მთელ გზაზე ჯონსონს არ მოშორებია ლედი ბიორდი, სერჟანტი ჯო აირესი, რუფუს იანგბლადი და ბილ მოიერსი. უახლოეს დღეებში მთელი მსოფლიო ყურადღებას მიაქცევს თითოეულ ჩემს მოქმედებას, — უთხრა ჯონსონმა მოიერსს. — მოსკოვმა უმცირესი ცვლილებაც კი ვერ უნდა შენიშნოს ვაშინგტონის საგარეო პოლიტიკას. დასავლეთს სიმტკიცის გამოჩენა მართებს. დიდად მნიშვნელოვანია ამ გარდამავალი პერიოდის გართულებათა დაძლევა.

1937 წლის 11 აპრილის დილას კონგრესში ახლად არჩეულმა ლინდონ ჯონსონმა ოსტინში განაცხადა:

— არა მგონი, ოდესმე შევძლო მსოფლიოს შერყევა ან ვაშინგტონს ჩასვლა და ერთი ხელის მოსმით ამერიკაში არსებული ყველა მანკიერების მოსპობა.

მეოთხედი საუკუნის განმავლობაში ჯონსონს ეს რწმენა არ შეცვლია. მას არ შეენოდა სასწაულმოქმედისა თუ აბჯარასხმული რაინდის როლი.

ხელისუფლების მემკვიდრეობაზე ჩაფიქრებულმა ჯონსონმა ვაშინგტონში ჩაფრენამდე გადაჭრა რამდენიმე საკითხი. საუბრისას ისიც ითქვა, რომ არ ღირდა ჟურნალისტების შემოშვება ენდრიუსის აეროდრომზე, მაგრამ ჯონსონმა უარის ნიშნად თავი გააქნია.

— არა, — თქვა მან, — შეიქმნება შთაბეჭდილება, რომ შიშმა აგვიტანა.

გზაზევე გადაწყვიტა ვაშინგტონში ჩასვლისთანავე რამდენიმე შეხვედრა მოეწყო მთავრობის თვალსაჩინო ჩინოვნიკებთან. მერე თავისი ძველი საქმიანობაც გაიხსენა და კონგრესის ხელმძღვანელებთან შეხვედრა განიზრახა.

— რომელ ხელმძღვანელებთან — დემოკრატიული პარტიიდან თუ ორთავესაგან ერთად? — ცივად ჰკითხა მოიერსმა.

— ორთავე პარტიისაგან, — უპასუხა პრეზიდენტმა და მოიერსიც მაშინვე ო'ბრაიენისაკენ გაქანდა იმის გასარკვევად, თუ ვინ მოეწვია ახალ პრეზიდენტთან შეხვედრაზე.

23 ნოემბრის იმ საღამოს მხოლოდ ერთი შეხვედრა შედგა. ჯერ პრეზიდენტმა მთელი თეთრი სახლის აპარატის თავშეყრა დააპირა, მაგრამ ბანდიმ ურჩია, მეტისმეტად ადრეა ამის გაკეთება, ხალხი ჯერაც ვერ გამოსულა მძიმე სულიერი შერყევიდანო. თავის მხრივ, ო'ბრაიენმაც იგივე უთხრა მოიერსს. ბილმა გაიზიარა ო'ბრაიენის რჩევა და ჯონსონმაც ხელი აიღო თავის გადაწყვეტილებაზე. დღემდე გაურკვეველია, რა გზით გაიგო ჯონსონმა კაბინეტის წევრების შეერთებული შტატების ფარგლებს გარეთ ყოფნის ამბავი. მართალია, იყო მომენტი, როცა კლიფტონს დაავალა ენდრიუსის აეროდრომზე რასკის, მაკნამარას და ბანდის დახვედრის საქმე მომიგვარეო. ესე იგი, ჯონსონს უნდა დახვედროდა კენედის სამი უახლოესი თანაშემწე. ადამიანები, ვისაც მთავრობაში ნაციონალური უშიშროების საკითხებზე პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ, რასკი ვერ დაგხვდებათო, უპასუხა კილდაფმა, თუმცა ის კი აღარ ვიცით, აუხსნა თუ არა რასკის დაუხვედრელობის მიზეზი. ჯონსონს ამ ამბის გაგება ბანდისა და მოიერსისაგანაც შეეძლო. ეს უკანასკნელი ო'ბრაიენისაგან იყო ინფორმირებული. ასე იყო თუ ისე, ჯონსონს თავზარი დასცა იმის გაგონებამ, რომ სახელმწიფოს ექვსი მინისტრი ახლა სადღაც, წყნარი ოკეანის თავს. თვითმფრინავში იმ-

ყოფებოდა. პრეზიდენტმა მაშინვე გასცა მათი თვითმფრინავის მობრუნების ბრძანება, მაგრამ იქვე მოახსენეს, თვითმფრინავი უკვე ბრუნდებაო.

ჯონსონი თანდათან ხვდებოდა იმ უცილობელ ჭეშმარიტებას (თანაც ყველაზე მძიმე პირობებში, რაც კი შეიძლება კაცმა წარმოიდგინოს), რომ მთავრობის მეთაურს პრაქტიკულად აღარა აქვს ოჯახური საიდუმლოება. სახელმწიფო და პირადი საქმეები მჭიდროდ ეხლართებოდნენ ერთმანეთს. ის იყო პრეზიდენტმა მაკოუნს ცსს-ში მოსული ახალი ცნობების მოწოდება სთხოვა, რომ რუფუს იანგბლადმა ჯონსონსა და მის მეუღლეს მათი შვილების ამბავი მოახსენა — ქალიშვილები სავსებით უშიშარ ადგილას იმყოფებიანო. არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა ნაციონალურ კათედრალურ სკოლაში მყოფ ლუსის, ხოლო ლინდა ოსტინში გახლდათ. ჯონსონმა ბრძანება გასცა, ქალიშვილების დასაცავად დაუყოვნებლივ გამოეყოთ საიდუმლო სამსახურის აგენტები. იანგბლადის რწმუნებით ეს საქმეც უკვე მოგვარებული იყო. რუფუს იანგბლადის აზრით, პრეზიდენტს ეს ღამე უკვე თეთრ სახლში უნდა გაეთია. მაგრამ პრეზიდენტმა ჭკუა მოიხმარა და გადაჭრით უარყო ეს წინადადება:

— ჩემის მხრივ, ეს უდიდესი უტაქტობა იქნება. მე ამას არ გავაკეთებ.

იანგბლადი მაინც საწინააღმდეგოს უმტკიცებდა — „პირველ ყოვლისა საკუთარ უშიშროებაზე უნდა იზრუნოთო".

— მე მესმის თქვენი, — პასუხობდა პრეზიდენტი, — მაგრამ თქვენ შეგიძლიათ ისევე უსაფრთხო გახადოთ ჩემი სიცოცხლე ჩემსავე-საკუთარ სახლში. ასე არ არის განა?

იძულებული იანგბლადი პრეზიდენტს დამორჩილდა.

თავისი ოჯახური საქმეების მოგვარების შემდეგ ჯონსონი კვლავ ტელევიზორის მკრთალ ეკრანს მიუბრუნდა. ეკრანზე გამოსახული კადრები თავსხმა წვიმაში ავტომობილის შუშის წინ გადაშლილ ხედს მოგაგონებდათ, ხმა კი თითქოს დედამიწის სიღრმიდან ამოდიოდაო.

რადიოსა და ტელევიზიის სადგურებს უკვე შეემუშავებინათ გადაცემების გარკვეული სტილი. პრეზიდენტის დაკრძალვამდე მოხსნილ იქნა ყველა სარეკლამო გადაცემა და პროგრამების ეს თავი-

სუფალი დრო მთლიანად გარდაცვლილ პრეზიდენტთან დაკავშირებული გადაცემებით შეავსეს. გადმოსცემდნენ პრეზიდენტ კენედის ქება-დიდებით სავსე სახელმწიფო მოღვაწეთა სამგლოვიარო სიტყვებს, ქუჩაში მიმავალ ადამიანებისაგან აღებულ ინტერვიუებს, უჩვენებდნენ დოკუმენტალურ სატელევიზიო კადრებს, რომლებშიც ასახული იყო პრეზიდენტ კენედის პირადი ცხოვრებისა თუ მისი მთავრობის საქმიანობის შედარებით მნიშვნელოვანი მომენტები. დროდადრო გადმოსცემდნენ უკანასკნელ ცნობებს. ტელევიზიამ ასევე აჩვენა სტაფტონის მიერ თვითმფრინავში გადაღებული ფიცის დადების ცერემონიის ფოტოსურათები.

ჯონსონი ეკრანზე მოლიცლიცე, ადამიანის გამაოგნებელ გამოსახულებებს მისჩერებოდა.

ისევ გრძელდებოდა მწუხარე სვლა კუდის ნაკვეთურში დადგმულ პრეზიდენტ კენედის კუბოსთან.

პრეზიდენტ ჯონსონი კენედის კაბინეტში მოთავსდა. პრეზიდენტ კენედის სისხლით ტანსაცმელმოხვრილი თანამშრომლები განუწყვეტლივ მიმოდიოდნენ ჯონსონისა და მისი მეუღლის თვალწინ. მეტისმეტად მძიმე ატმოსფერო სუფევდა. ლედი ბიორდი განმარტოებით იჯდა დივანზე, რომელზედაც სულ ახლახან თავისი კამერითურთ სტაფტონი იყო მოკალათებული. ქალს უეცრად რაღაც უცნაური შეგრძნება დაეუფლა, თითქოს მისი პიროვნება როგორღაც გაორდა, რომ ეს ყველაფერი ნამდვილად რეალური იყო, მაგრამ მას კი არ ეხებოდა, არამედ ვიღაც სხვას. ლედი ბიორდიმ ლიზ კარპენტერს კაცი გაუგზავნა, ჩანაწერების გადათვალიერება მსურსო. ლიზს მოეჩვენა, რომ ჯონსონის მეუღლეს უბრალოდ ვიღაცასთან გამოლაპარაკება სურდა...

ლიზ კარპენტერს არ ასვენებდა კორესპონდენტებთან მომავალ შეხვედრაზე ფიქრი და ახალ პირველ ლედის მიმართა:

— როცა ჩავფრინდებით, თქვენ, უთუოდ, გთხოვენ ორიოდე სიტყვის თქმას.

ლედი ბიორდი წუთით ჩაფიქრდა და უპასუხა:

— ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ეს ყველაფერი კოშმარული სიზმარი იყო, ახლა ნამდვილად ძალების გამონახვა გვმართებს დაწყებული საქმის გასაგრძელებლად.

— ჰოდა, აი, თქვენი განცხადებაც მზად არის, — თქვა ლიზმა და ჯონსონის მეუღლის სიტყვები ჩაიწერა.

ჯონსონმა კუბოს დაცვას უზრუნველყოფა იანგბლადს დაავალა. თეთრი სახლიდან ჯენი ბენის განკარგულებით კელერმანმა ასეთი მორიგეობა უკვე შეადგინაო, — უპასუხა აგენტმა. მოკლულ პრეზიდენტსა და მის მეუღლეს კელერმანი, ჰილი, ლენდისი და ო'ლარი იცავდნენ. მერე ჯონსონმა მოიერსი იხმო და ჟაკლინს შეუთვალა — რე ჯერჯერობით საწოლში შესვლას არ ვაპირებ და, იქნებ, თქვენ ინებოთ შებრძანება და საკუთარი თავის წესრიგში მოყვანაო. თავაზიანი შიკრიკი მაშინვე კუდის ნაკვეთურისაკენ გაქანდა, ჟაკლინ კენედისათვის პრეზიდენტის სიტყვების მოსახსენებლად.

როგორც დაბრუნებულმა მოიერსმა განაცხადა, ქალბატონმა კენედიმ „ცხედართან დარჩენა ირჩია". მისი სიტყვით, ქალი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა „უსაშველოდ გრძელ კუბოს".

ფიქრმორეული ჟაკლინი ზედ კუბოსთან მდგარ საკანაფეში იჯდა. გვერდით მყოფი კენ ო'დონელიც მწუხარე ფიქრებს მისცემოდა.

მთელი ფრენის განმავლობაში კუბოსთან იდგნენ გოდფრი მაკჰიუ, ლერი ო'ბრაიენი და დეივ პაუერსი. სამდივნოს კაბინიდან მოსულნი ფეხს ინაცვლებდნენ ხოლმე, სივიწროვის გამო ერთმანეთს რომ არ დასჯახებოდნენ.

მწუხარებამ სრულიად ახალი ურთიერთობანი წარმოშვა. წავიდა ის დრო, როცა საზოგადოებრივი აზრი პრეზიდენტის მეუღლეში მხოლოდ მაღალი წრის ბრწყინვალე ქალს ხედავდა. ამ რამდენიმე საათმა იგი სულ სხვა ქალად აქცია.

ჟაკლინმა უარყო მოიერსის მიწვევა საწოლ ოთახში შესვლაზე, რადგან აზრადაც არ მოსვლია თავისი ტუალეტის მოწესრიგება. გაახსენდა, როგორ შეუსაბამოდ ეჩვენა მისთვის გამზადებული, საწოლზე გადაფენილი ახლად გაუთოებული კაბა. მერე ფიქრით ისევ ჯონსონს დაუბრუნდა. იმ სამი წლის მანძილზე, რაც ის თეთრ სახლში ცხოვრობდა, ბევრი რამ გაიგო ლინდონ ჯონსონზე. დღემდე მათ ჩინებულად ესმოდათ ერთმანეთისა, შემდგომი ურთიერთობა კი, ბევრად იყო დამოკიდებული იმ განცხადებაზე, რომელსაც იგი მიწაზე დაშვებისთანავე პრესის წარმომადგენელთა წინაშე გააკეთებდა.

ჟაკლინმა კილდაფი იხმო.

ჯეკი ახლა იმდენად განსხვავდებოდა ქვეყნის ადრინდელ პირველი ლედისაგან, რომ თვით კენედისთან დაახლოებულ ადამიანთა ვიწრო წრემაც კი მაშინვე ვერ შენიშნა მასში მომხდარ ცვლილებათა მთელი სიღრმე.

თვითმფრინავის ყველა მგზავრს სურდა ჟაკლინს ტანსაცმელი გამოეცვალა და თავისათვის მიეხედა. ამაზე ცოლ-ქმარ ჯონსონებსა და რუფუს იანგბალდს გარდა არანაკლებ ზრუნავდნენ თვითმფრინავის კუდის ნაწილშიც.

— რატომ არ იცვლით ტანსაცმელს? — მიმართა ჟაკლინს გოდფრი მაკჰიუმ.

მტკიცე უარის ნიშნად ქალმა თავი გააქნია.

ჟაკლინის მარცხენა მაჯაზე დალეკერტებული სისხლის მუქი ლაქების დანახვაზე კილდაფი შეცბა. თვითმფრინავის კუდის ნაწილში შემოსულ მერი გალაჰერს თბილ წყალში პირსახოცის დასველება და ამ თაეზარდამცემი ლაქების საპნით მობანა ჰქონდა. გადაწყვეტილი. ის იყო თავის განზრახვას გოდფრი მაკჰიუს ეჩურჩულებოდა, რომ მათ ო'დონელი მიუახლოვდა და გადაჭრით განუცხადა:

— არ არის საჭირო. დარჩეს, როგორც არის.

ო'დონელი ჟაკლინს ჩანაფიქრს მიუხვდა. ბოლოს სიჩუმე თვითონ ჟაკლინმა დაარღვია და თავისი საქციელის მიზეზი ექიმ ბერკლის განუმარტა.

კუბოსთან ჩაჩოქილმა ექიმმა აკანკალებული ხელები ჟაკლინის სისხლით მოსვრილ ქვედატანს მიათითა და მოკრძალებით შეეპასუხა:

— იქნებ, კაბა მაინც გამოგეცვალათ?

— არა, — გააფთრებით წარმოთქვა ქალმა, — დაე, დაინახონ, რა ჩაიდინეს.

მხოლოდ კილდაფი ვერ მიუხვდა ჩანაფიქრს. ახლა იგი თავს იმტვრევდა იმის გადაწყვეტაზე, თუ როგორ გამოუტანათ ენდრიუსის აეროდრომზე პრეზიდენტის კუბო ისე, რომ გაზეთის ფოტოგრაფებს ასცდენოდნენ. მისი აზრით, საჭირო იყო შესასვლელის პირდაპირ მარჯვენა ფრთაზე მდებარე საბარგო ლუკის გახსნა. უზარმაზარი ფიუზელაჟი დაიფარავდა კუბოსა და ქვრივს ფოტო-

გრაფებისა და ტელეოპერატორების ჰვრეტისაგან. კილდაფმა თავისი ეს გეგმა ჟაკლინს გაუზიარა. მაგრამ ჟაკლინი არ დაეთანხმა.

— ჩვენ გავიცლით ჩვეულებრივი გზით მინდა დაინახონ, რა ჩაიდინეს, — მტკიცედ უპასუხა ქალმა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ო'დონელი სავარძლიდან ფიცხლად წამოდგა.

— იცით, ჯეკი, რა მოვიფიქრე? მინდა რაღაც დავლიო. ჩემი აზრით, არც თქვენ გაწყენდათ ცოტა მომაგრება.

ჟაკლინ კენედი შეყოყმანდა. მას ჯერ ბევრი რამ ედგა წინ. სპირტიანი სასმელის თუნდაც ერთ ყლუპს შეეძლო შეესუსტებინა საკუთარი თავისადმი კონტროლი, გზა მიეცა შეკავებული ცრემლისათვის.

— რა დავლიო?

— სასმელს მე თვითონ მოგიმზადებთ — შოტლანდიურ ვისკის.

— კი მაგრამ, ჩემს სიცოცხლეში არასოდეს დაშილევია შოტლანდიური ვისკი, — შეეპასუხა ჟაკლინი.

ო'დონელი, ალბათ, მართალი იყო. ჟაკლინ კენედი ისევ ყოყმანობდა, ბოლოს დასტურის ნიშნად თავი დააქნია. ვისკის მწარე მიქსტურის გემო ჰქონდა. ჟაკლინმა ჯერ ერთი ყლუპი მოსვა, მერე მეორე.

მაგრამ ვისკიმ ვერა უშველა რა. საერთოდაც ვერაფერი იგრძნო. ალკოჰოლისადმი სწორედ ამ განსაცვიფრებელი იმუნიტეტით დამაჯერებლად მტკიცდება, თუ რაოდენ ღრმად იყვნენ ტრავმირებულნი პრეზიდენტის თვითმფრინავის მგზავრები. საჭმელს არავინ მიჰკარებია. ისევე იგვერდზე დარჩა მოტანილი ბუტერბროდები.

ირლანდიელები ახლა მთავარი თემის — პრეზიდენტის დაკრძალვის ადგილის გადაწყვეტაზე თათბირობდნენ. მათი საერთო აზრით, ეს ადგილი ბოსტონი უნდა ყოფილიყო. ჯერ კიდევ ყველას კარგად ახსოვდა, როგორ იდგა ჯონ კენედი თავისი შვილის პატრიკის საფლავთან. ჰოდა დაასკვნეს, პრეზიდენტიც თავის შვილთან, მისთვის ესოდენ საყვარელ მასაჩუსეტის მშობლიურ მიწაში დამარხულიყო. რა კარგად თქვა ო'დონელმა, „ეს იყო გრძნობა, მსგავსი ახლო მეგობრის შეთვრსებისა".

— იგი ბოსტონში უნდა დაიკრძალოს, — დაბეჯითებით ეუბნე-

ბოდა იგი ჟაკლინს, — ნუ მისცემთ სხვაგან დაკრძალვის უფლებას.

ჟაკლინი ხილვადაკარგული მზერით უკანტურებდა თავს, მაგრამ უბედურების ნიაღვარი აიძულებდა საკუთარ ფიქრებში ჩაძირულიყო და გონების თვალით წარსულში ჩაეხედა. როგორ ნათლად ახსოვდა ერთი საუბარი ქმართან, მათი თეთრ სახლში ცხოვრების პირველი წლის დასასრულს. მაშინ, დასაფლავებიდან დაბრუნებულმა ჟაკლინმა საუბარი ჩამოაგდო იმ დროზე, როცა მათი დაკრძალვის ჟამი დადგებოდა.

— ჯონ, ჩვენ სად დავიკრძალებით? — ჰკითხა ქალმა.

— ვფიქრობ, ჰაიანისში. იქ ყველანი ერთად ვიქნებით.

— ჩემი აზრით, შენ ჰაიანისში არ უნდა დაიკრძალო. შენი საფლავი არლინგტონის სასაფლაოზე იქნება. შენ ხომ მთელი ქვეყნის საკუთრება ხარ.

როგორი აბსურდი იყო მაშინ იმაზე ლაპარაკი, თუ სად დაიკრძალებოდა ჯერ კიდევ სიცოცხლით სავსე ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, მთელი ცხოვრება რომ წინ ედგათ.

უეცრად ჟაკლინი გოდფრი მაკჰიუს მიუბრუნდა და უთხრა:

— თქვენ წარმოიდგინეთ, ეს ხომ ჩემი პირველი ნამდვილი პოლიტიკური მგზავრობაა, — და მერე იგივე სიტყვები გაიმეორა, რაც ცოტა ხნის წინ ლედი ბიორდის უთხრა:—როგორი კმაყოფილი ვარ რომ წამოვყევი, რა იქნებოდა, მე რომ მის გვერდით არ ყოფილიყავი?

მეუღლის დაკრძალვაზე საუბრისას ჟაკლინი მის ოფიციალურ მხარეს არ ჩაფიქრებია. მისი აზრით, მომავალ სამგლოვიარო რიტუალს ხალხის მეხსიერებაში მის მეუღლეზე კეთილშობილური და წარუშლელი მოგონება უნდა დაეტოვებინა.

კენედის უახლოეს თანაშემწეებს მისი პიროვნების მხოლოდ ერთი მხარის ცოდნა შეეძლოთ. ჯერ ისინი კენედის ასარჩევად იბრძოდნენ, მერე კი მის მხარდამხარ შრომობდნენ. დიახ,- მუშაობდნენ ბრწყინვალე, შორსმჭვრეტელ, ახალგაზრდა პოლიტიკურ მოღვაწე-პრეზიდენტთან, ამ უაღრესად სიცოცხლის მოტრფიალე ბუნების კაცთან.

კენედისათვის მეუღლე მაინც სხვაგვარად ახლობელი ადამიანი იყო. ქალი ხედავდა, თუ როგორ სდევდა მის ქმარს მთელი სი-

ცოცხლის მანძილზე უბედური ვარსკვლავი. იცოდა, ჯერ კიდევ ბავშვობაშიც რომ სტანჯავდა ფიზიკური სნეულებანი. ჯონ კენედის ამტანობა სულაც არ იყო ჯანმრთელი, სულ-სალამათი კაცის სასიცოცხლო ძალების მოჭარბება. ეს გახლდათ სულის სიძლიერე, იმის გაუტეხელი რწმენა, რომ კაცს ძალუძს საკუთარი ბედის გამოჭედვა.

დადგა ჟამი, როცა მთელი საზოგადოების ყურადღება მოკლული პრეზიდენტის ქვრივისაკენ მიიქცა. პრეზიდენტის მოულოდნელმა შორავანდედმა გარდაქმნა ქვეყნის შეხედულებანი თავის პრეზიდენტზე, ასევე ზე აიწია მისი ქვრივიც. ამ გარდამავალ ოდში მისი ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოქმედება ღრმად ეხებოდა მთელ ამერიკელ ხალხს.

მართალია, სახელმწიფოს მეთაურის პროგატივები ლინდონ ჯონსონის ხელში გადავიდა, მაგრამ ჟაკლინ კენედის გაცილებით მეტი სიძლიერით ეპყრა ადამიანთა გულები. ჯონსონის მსგავსად, ჟაკლინს არ შეეძლო იმ პასუხისმგებლობის იგნორირება, რომელიც მას დალასის ტრაგედიამ დააკისრა. ქალი, მისდა უნებურად, თავისი მოქმედებითა თუ მოქმედებაზე უარის თქმით, ამერიკის ისტორიაში გარკვეულ სტრიქონებს წერდა.

თვითმფრინავის კუდის ვიწრო კაბინაში მდგარი ადამიანები აქეთ-იქით ტორტმანებდნენ და საყრდენის ძებნაში ტიხრებს ებღაუჭებოდნენ. საეარძელში გაუნძრეველად მჯდარ ქვრივს თვალები ცრემლით ჰქონდა სავსე და ბინდბუნდში მკრთალად მბრწყინავ გრძელ კუბოს მისჩერებოდა.

მთელი ქვეყანა მათზე ფიქრობდა და მხოლოდ მათზე. იქ დაბლა, პრეზიდენტის თვითმფრინავის ირის მაგვარ ფრთებს ქვეშ ამერიკის შეერთებული შტატები ჯერ არნახულ ემოციურ კრიზისს განიცდიდა.

პრეზიდენტის თვითმფრინავ „სსძ-1"-ს, მის უკან მომავალ სიათადარიგო თვითმფრინავსა და იაპონიიდან მობრუნებულ მთავრობის თვითმფრინავ 86972-ს, რომელსაც კაბინეტის ექვსი წევრი მოჰყავდა არათუ არავითარი შეიარაღება არა ჰქონდათ, მათ გამანადგურებელთა ესკორტიც კი არ ახლდათ. ამიტომაც პენტაგონმა პრეზიდენტის თვითმფრინავის ფრენის მთელ გზაზე საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა ყველა სამხედრო-საჰაერო ბაზა. გამანად-

გურებლები მზად იყვნენ ჰაერში ასაფრენად. კაბინებში ისხდნენ თასმებშემოკრული პილოტები. ერთი ბრძანება და გამანადგურებლები თვალისუსწრაფესად ზეცაში აიჭრებოდნენ.

ამერიკის შეერთებული შტატების მცხოვრებთ იცოდნენ, რომ სადღაც ზეცაში, გარდაცვლილი პრეზიდენტის ცხედარი და მისი მონაცვლე მოფრინავდა.

, ამ დროისათვის ჭორებისა თუ ნაირ-ნაირ მოგონილ ამბავთა ტალღამ ყველაზე დიდ სიმაღლეს მიაღწია. რასაკვირველია, ამ ყალბი ხმების რაღაც ნაწილი, ალბათ, გარდუვალიც იყო, მაგრამ ერთმა ასეთმა არასწორმა ცნობამ ბევრი სერიოზული გართულება მოიყოლა. ასოშიეიტედ პრესის სააგენტომ ყოველგვარი დაეჭვების გარეშე გამოაცხადა, რომ სასიკვდილო ტყვია კენედის „პირდაპირ შუბლში მოხვდაო". ამ ცნობამ, რომელიც ექიმის მიერ კენედის გარდაცვალების დადასტურებიდან ერთი საათის შემდეგ გადაიცა, შეცდომაში შეიყვანა მილიონობით ამერიკელი და აიძულა ამ ტრაგედიასთან დაკავშირებული ყველა მომდევნო გადაცემები ყალთაბანდობად ჩაეთვალათ.

ყველაზე ხანგრძლივი ფრენა ელოდათ კაბინეტის ექვს წევრს. მოგზაურობის პირველ ეტაპს, ვიდრე წყნარი ოკეანის თავზე მყოფი თვითმფრინავი შემობრუნდებოდა და გეზს უკან, ჰავაის კუნძულებისკენ აიღებდა, ერთი საათი და ორმოცი წუთი დასჭირდა, ანუ თითქმის იმდენივე დრო, რაც სუინდალის მთელ ფრენას. თვითმფრინავ 86972-ს პრეზიდენტის თვითმფრინავის მსგავსად, მთელი ფრენის მანძილზე განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა ჯერ ჰონოლულუსთან, ხოლო ჰიკემ ფილდის აეროდრომზე შესვენების შემდეგ ვაშინგტონთან. მთელი ეს საუბრები უკიდურესი თავშეკავებით წარმოებდა. პრეზიდენტის თვითმფრინავიდან მიღებულ ცნობებსაც დიდი სიფრთხილის კვალი აჩნდა. საქმე ის გახლდათ, რომ რადიოკავშირი დახურული არხებით ვერ მოხერხდა. თვითმფრინავ 86972-ის მგზავრებს წუხილის სხვა საფუძველიც ჰქონდათ. არ იცოდნენ, როგორ იყო მათი ახალი სამსახურებრივი მდგომარეობა. პრეზიდენტმა კენედიმ ერთხელ კიდეც აღნიშნა — რამდენიმე სახელმწიფო ინსტიტუტი კონსტიტუციის ჩარჩოებს გადასცდაო. ამის მაგალითს კონგრესში ეგრეთ წოდებული, უფროსობის უფლება წარმოადგენდა. მეორე ასეთი მაგალითი, უდავოდ

სწორედ მინისტრების კაბინეტი გახლდათ. ორთავე ეს ინსტიტუტი დიდად იყო დავალებული პრეზიდენტის არსებობასთან. ისინი თეორიულად დაუწერელი კონსტიტუციის ნაწილებად იქცნენ. ამიტომაც კრიზისების პერიოდებში მათი მდგომარეობა საეჭვო ხდებოდა ხოლმე. ტრუმენის მიერ 1947 წელს მიღებული კანონის ძალაში შესვლამდე სახელმწიფო მდივანი ვიცე-პრეზიდენტის კანონიერი მემკვიდრე იყო. ახლა რასკისა და მასთან ერთად თვითმფრინავში მყოფი კოლეგების მდგომარეობა სრულიად გახსხვავდებოდა ო'დონელის, ო'ბრაიენის, სორენსენის და ბანდის მდგომარეობიდან და მხოლოდ იმიტომ, რომ მათი დანიშვნა სენატის მიერ იყო დამტკიცებული. ყველა ისინი ერთ და იმავე მთავრობის მეთაურს ემსახურებოდნენ — ის კი უკვე ცოცხალი აღარ იყო.

ამ თავგზისდამბნევი უმეფობის დროს (ისიც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თვითმფრინავ 86972-ს კაბინაში ასოშიეიტედ პრესის ტელეტაიპის არსებობის შედეგად, ფრენის პირველ ეტაპზე მის მგზავრებს შეთქმულთა მიერ მოკლული ეგონათ პირადი დაცვის აგენტი და დალასის პოლიციელი. შთაბეჭდილებას აყოლილნი ერთ-მსხვერპლად ლინდონ ჯონსონსაც თვლიდნენ) კაბინეტის წევრებს თავიანთი მოქმედების საყრდენად ისიც შეეძლოთ მიეჩნიათ, რომ ისინი ამერიკის მთავრობის მეთაურის მთავარი მრჩეველები იყვნენ, იმის მიუხედავად, თუ ვინ იყო ეს მეთაური. ბევრ მათგანს შეეძლო დაეცადა და მოგვიანებით მიედო საჭირო განმარტებანი პრეზიდენტ ჯონსონისაგან. და თუ საქმე ისე შორს წავიდოდა, თუნდაც პრეზიდენტ მაკორმაკისაგან. მაგრამ რასკს ლოდინი არ შეეძლო. ვითარების ხასიათი, თვითმფრინავში ყოფნის დროსაც კი, მისგან აქტიურობის მაქსიმუმს მოითხოვდა. მას, როგორც კაბინეტის სხვა წევრთა შორის ჩინით უფროსს, უნდა მოეხაზა დეპეშის პროექტი და მათი სახელით სამძიმარი გამოეცხადებინა ჟაკლინ კენედისა და პრეზიდენტ ჯონ კენედის პოსტის მემკვიდრისათვის, აღეთქვა მხარდაჭერა და ერთგულება. იგი, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი, აგრეთვე ვალდებული იყო შეეფასებინა პრეზიდენტ კენედის მკვლელობით გამოწვეული მოსალოდნელი შედეგები საზღვარგარეთ.

ვინაიდან დახურული ხაზით დაკავშირების საშუალება არ იყო, რასკი რადიოთი აღარ დაელაპარაკა მაკნამარას. სამაგიოროდ ხაზია-

ნი ქაღალდის მთელი ფურცელი გაავსო ათასგვარი მითითებით ჯორჯ ბოლისადმი, რომელსაც ეს დეპეშა სამხედრო-საჰაერო ძალების კავშირგაბმულობის ცენტრის საშუალებით მაშინვე უნდა გადაეცა ვაშინგტონისათვის, როგორც კი ისინი ოაჰუს აეროდრომზე დაფრინდებოდნენ. მის მიერ შედგენილი ზოგიერთი დირექტივა სრულიად აშკარა ხასიათს ატარებდა. ბუნებრივია, საჭირო იყო დიპლომატიური კორპუსების წარმომადგენელთა დამშვიდება და შტატების ორმოცდაათივე გუბერნატორისათვის ოფიციალური მიმართვების გაგზავნა. ასე იყო თუ ისე, ამერიკის შეერთებული შტატები ფედერალურ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ერთი დირექტივა ნაკარნახევი იყო მიმდინარე მომენტის გაურკვევლობით. რასკმა გაითვალისწინა ოცდამეთექვსმეტე პრეზიდენტის მოსალოდნელი შეკითხვა და სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამის განყოფილებებს თავისებური „საინვენტარო აღწერა" მოსთხოვა, რომელშიაც წარმოდგენილი იქნებოდა ზუსტი ანალიზი, თუ როგორი „საშინაო და საგარეო" შედეგი მოჰყვებოდა კენედის სიკვდილს მსოფლიოს ყველა ქვეყნის დედაქალაქში. საშიშროების პოტენციური კერებისათვის რასკმა შედარებით დეტალური ანალიზის შედგენა მოითხოვა. ერთ-ერთი საშიშროება იმდენად დელიკატური ხასიათისა იყო, რომ რასკმა იგი ქაღალდსაც ვერ ანდო. მხოლოდ ირგვლივ მყოფ კოლეგებს გაუზიარა სულისაღმშფოთი კითხვა: „ვისი ფითი დევს ატომური ომის კნოპზე?"

პიერ სელინჯერი და დუგლას დილონი რაღაცას შეუჩერებლივ წერდნენ თავიანთ ერთნაირ ბლოკნოტებში. პიერი ჟურნალისტებისათვის კაბინეტის წევრთა ერთიანი განცხადების პროექტს ამზადებდა. იცოდა ჰიკემ ფილდის აეროდრომზე პრესის წარმომადგენლები რომ დაუხვდებოდნენ. თვითმფრინავში მყოფ კაბინეტის წევრთა შორის კენედის ოჯახთან დაახლოებული მხოლოდ დილონი იყო. აკი ადგენდა კიდეც ჟაკლინ კენედისათვის გასაგზავნ, პირადი ხასიათის დეპეშის ტექსტს.

ჰავაის უბადლო მზის კაშკაშა სხივებში გახვეული თვითმფრინავი, როგორც იქნა, მიწაზე დაეშვა. იქ, შორს, აღმოსავლეთში, დროის ხუთი ზონის იქით, უკვე ბინდი წვებოდა. აქ კი, ჯერ ისევ დილა იყო. თვითმფრინავში ადმირალი ფელტი ავიდა და უამრავი „შემაძრწუნებელი წვრილმანი" მოჰყვა. კერ-

ძოდ, განაცხადა მკვლელს ტელესკოპური სამიზნიანი შორსმსროლელი თოფი ჰქონდაო. სელინჯერი, რასკი და მისი თანამშრომენი მენინგი უეცრად სადღაც გაქრნენ. დანარჩენები არც განძრეულან, ღვედებიც კი არ შემოუხსნიათ. სახელმწიფო მოღალატეთ სცერდათ. რაც შეიძლება ჩქარა მოემზადებინათ თვითმფრინავი გასაფრენად. თან იმასაც ცდილობდნენ, გუნებამომზამული თავიანთი ცოლები ცნობისმოყვარეთა ჟურნალისაგან დაეფარათ. მენინგმა ბეჭდვის საკითხების გამგებელ ოფიცერს სელინჯერის მიერ დაწერილი განცხადება გადასცა რეპორტიორთათვის დასარიგებლად. სახელმწიფო მდივანი თეთრ სახლს დაუკავშირდა და თავის მოადგილეს — ბოლს დაელაპარაკა. რასკის მითითებათა დიდი ნაწილი მას თვითონვე გაეთვალისწინებინა. თეთრი სახლის ოპერატიული განყოფილების მორიგემ სელინჯერს აცნობა, ჯონსონმა უკვე დადო ფიცი.

ოცდათხუთმეტი წუთის შემდეგ თვითმფრინავი კვლავ ჰაერში ავიდა, თან სამი ახალი მგზავრი აიყვანა—ორი კორესპონდენტი და ერთი ექიმი. პიერ სელინჯერმა პოკერის მოთამაშენი შეკრიბა და თამაში დაიწყეს.

იმ დროს, როცა რასკი თელემდა, ხოლო პოკერის მოთამაშენი თანხას ზევით სწევდნენ, მგზავრთა ერთი ჯგუფი მთავარ სალონში შეყრილიყო და მომავალ ამბებზე მსჯელობდა. ამ მოსაუბრეთა რაოდენობა ერთთავად მერყეობდა. ყოველ შემთხვევაში, მათი რიცხვი ათს არ ასცილებია. მათ შორის იყო ხუთი მინისტრი და ეკონომიური ექსპერტების საბჭოს თავმჯდომარე უოლტერ გელერი. საუბარმა თანდათან სერიოზული და კონსტრუქციული ხასიათი მიიღო. მსჯელობის მთავარი თემა „ახალი პრეზიდენტის გეგმები" იყო.

ალბათ, სწორედ აქ მოხდა ჯონსონის მმართველობის წინა პერიოდის პირველი სერიოზული ანალიზი. თვითმფრინავ 26000-ის მგზავრები განცდილი კომმარით იყვნენ დარეტიანებულნი, ვაშინგტონის დიდკაცობის უმეტესი ნაწილი პრეზიდენტის თვითმფრინავის შეხვედრის მზადებას შთაენთქა. მხოლოდ აქ, დედამიწიდან ძალიან მაღლა, ზეცის უნაპირო სივრცეში, ალიქმებოდა პრეზიდენტის სიკვდილი — როგორც განყენებული მცნება.

მთელი რვასაათიანი ფრენის განმავლობაში იმათ, ვისაც ბანქო ალ უთამაშია, მსჯელობებისა და საუბრის გარდა სხვა არჩევანი არა

ჰქონიათ. დაძაბულობით ძებოჭილებს უძველობის ისეთი შეგრძნება დაუფლებოდათ, თითქოს ჭაობში ხელშებორკილი მიბობღავდნენ. მაგრამ ამ უკიდურესად თავდაჭერილმა ადამიანებმაც ვერ შეძლეს გულისწყრომის სავსებით დაოკება. თავდაპირველად აქაც მოხდა რამდენიმე მძაფრი შეჯახება. შრომის მინისტრმა ვირტცმა, რომელმაც 1960 წელს ლოს-ანჯელესში გამართულ დემოკრატიული პარტიის ყრილობაზე ამერიკის პრეზიდენტად ედლაი სტივენსონის კანდიდატურის წამოყენებას დაუჭირა მხარი, ახლა მწარედ ჩაიქილიკა:

— ვიმედოვნებ, ამ ამბავს ქვეყნის დაქცევად არ ჩათვლით? უნდა მოგახსენოთ, რომ მე თითქოს ამის შეგრძნებაც კი მქონდა, როცა კენედის კანდიდატურა წამოაყენეს.

თანამოსაუბრენი აღაშფოთა ვირტცის ასეთმა უტაქტობამ. ახლა ჰოჯესმა დაიწყო მტკიცება, იუსტიციის მინისტრმა ლინდონ ჯონსონი უპატივცემულოდ მოიხსენია კენედების ოჯახურ წრეშიო, მაგრამ შემდეგ იძულებული გახდა გამომტყდარიყო, ყურმოკრული ამბავი ვთქვიო. წუთიც და ჰოჯესი ახლა სხვა სამგლე ორმოში ჩავარდა, თუმცა ბოლოს ისევ აღიარა, ამ ინფორმაციის წყარო სამხრეთ შტატების ბიზნესმენები არიანო.

საუბარმა თანდათან დინჯი და სერიოზული ხასიათი მიიღო. დიდხანს კამათობდნენ, თუ როგორ უნდა მოხერხებულიყო კონსტიტუციური გორდიუსის კვანძის გახსნა, იმ შემთხვევაში თუ პრეზიდენტი ფიზიკურად ვერ შეიძლებდა თავისი მოვალეობის შესრულებას. ამას მოჰყვა მემკვდრეობითობის რიგთან დაკავშირებული პრობლემის განხილვა. ვიღაცამ პალატის სპიკერის ჯონ მაკორმაკის და სენატის ბეჭდვითი სიტყვის კომისრის თავმჯდომარის კარლ გეიდენის კანდიდატურათა შესაძლებლობაც ახსენა. ამის გაგონებაზე ორმა მინისტრმა კოპები შეჰყარა. საუბრის მონაწილენი ბოლოს და ბოლოს ყველასათვის ამაღელვებელ საკითხს მიადგნენ. მსჯელობა გაჩაღდა იმ იმპროვიზირებული სტენოგრაფიული ჩანაწერის მიხედვით, რომელიც ერთ-ერთმა მინისტრმა გააკეთა.

— ჯონსონმა არაფერი იცის საგადასახადო ბალანსის საკითხებისა, — ჩაურთო გელერმა.

ყველანი ჩაფიქრდნენ. ჩამოვარდა სიჩუმე. ვერავინ იკისრა

ქებით მოეხსენებინა ლ. ბ. ჯონსონის ცოდნა ეკონომიკის დარგში. მოსაუბრენი იმაშიაც კი არ იყვნენ დარწმუნებულნი, რომ ჯონსონს რაიმე გაეგებოდა კეინსის ეკონომიური თეორიისა, რაც საფუძვლად ედო გადასახადების განზრახულ შემცირებას. თუმცა დილონმა შენიშნა, რომ ჟენედის მითითებით სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელი ყოველდღიურად ახსენებდა ვიცე-პრეზიდენტს მიღებული შიფრდეპეშების მიმოხილვას. მოხალისე მემატიანემ რაღაც ჩაწერა თავის ბლოკნოტში. საუბარი კვლავ მეორეხარისხოვან თემებს დაუბრუნდა.

საქმე ის კი არ იყო, რა იცოდა ჯონსონმა, არამედ როგორ იმოქმედებდა. ამ საკითხის პასუხი ჯონსონის პიროვნების რთულ იეროგლიფებში უნდა მონახულიყო. გამოირკვა, რომ ჰოჯესს თითქმის არასოდეს უსაუბრია ჯონსონთან. ვაჭრობის მინისტრმა მხოლოდ ხელები გაშალა. მას უბრალოდ არავითარი საფუძველი არა ჰქონდა, ცოტა თუ ბევრად, გონიერი პროგნოზის გამოყვანისა. ვირტცმა უფრო მეტი რამ იცოდა, მაგრამ ეს მხოლოდ იმას ნიშნავდა, მიმხვდარიყო, რამდენად ძნელია დასმულ კითხვაზე სწორი პასუხის მიღება.

მისივე აღიარებით, არავითარი წარმოდგენა არა ჰქონდა, რა გზას აირჩევდა ახალი პრეზიდენტი: იუდოლი, ისევე როგორც ვირტცი, ჯონსონს იცნობდა და იქ მყოფთ მხოლოდ ეს უთხრა: რა გზასაც არ უნდა დაადგეს ჯონსონი, თავის მოქმედებაში გაბედული იქნებაო.

ამ სამი წლის მანძილზე კაბინეტის სხვა წევრებთან შედარებით იუდოლსა და ფრიმენს უფრო ხშირად ჰქონდათ ხოლმე ვიცე-პრეზიდენტთან საქმე. უფრო მეტიც, ფრიმენის თქმით, მხოლოდ ისინი იცნობდნენ ჯონსონს. ჩემი აზრით, ჯონსონმა ბევრი რამ შეიძინა „ჟენედის ბრწყინვალე სკოლის გავლითო", — დასძინა მან ბოლოს.

ყველა დიდი ყურადღებით ისმენდა ამ სიტყვებს, იმედოვნებდნენ, იგი მართალი გამოდგებოდა. ბოლოს და ბოლოს მათ სხვა არჩევანიც არა ჰქონდათ. ლინდონ ჯონსონი იყო მათი ერთადერთი პრეზიდენტი და მაკორმაკისა და გეიდენისაგან განსხვავებით ბრწყინვალე ფორმაშიც იმყოფებოდა. მაგრამ აღფრთოვანებული მაინც არავინ ყოფილა. ეჭვები ღრღნიდა თვით კაბინეტის წევრ-მემატიანესაც. იმ ჩანაწერებში, რომელსაც არსებითად მხოლოდ

საკუთარი თავისათვის აკეთებდა, გამოთქვა მოსაზრება, რომ ჯონსონი „ვერ ფლობდა დროის ისეთ გრძნობას, ეპოქისა და მისი მამოძრავებელი ძალების შეცნობის იმ უნარს, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო ჯონ ფ. კენედისათვის“.

ამ ჩანაწერების ავტორი თავის თავს მაინც ჯონსონის ახლობლად თვლიდა და მისდამი, როგორც პიროვნებისადმი სიმპათიურად იყო განწყობილი. „ძნელი სათქმელია, რას გააკეთებს“, მიაწერა მან ბოლოში. ყველას ერთსულოვანი დასკვნაც, ალბათ, ეს იყო.

როცა თეთრი სახლის ოპერატიულმა განყოფილებამ და აეროპორტ ენდრიუსის კავშირგაბმულობამ პრეზიდენტ ჯონსონის ბრძანება გადმოსცა, რომლის ძალითაც თვითმფრინავ 86972-ში მყოფ კაბინეტის წევრებს მეორე დღის 14 საათსა და 45 წუთზე კაბინეტის სხდომაზე იწვევდნენ. კაბინეტში მჯდარმა მინისტრებმა და მათმა თანაშემწეებმა ქაღალდებში ჩარგეს თავი. ჰოჯესის სიტყვით რომ ვთქვათ, ისინი, როგორც ამას ჩვეულება და თავაზიანობა „მოითხოვდა“, გადადგომისათვის ემზადებოდნენ. რამდენადაც ვიცი, სწორედ ასე იქცევიან მთავრობის წევრები პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის პირველი ვადის გასვლის შემდეგ.

ფრანკლინ რუზველტის მსგავსად, ჯონ კენედიც კაპიტალიზმის თავგამოდებული დამცველი, მდიდარი კაცი გახლდათ, მაგრამ თვითონ კაპიტალისტები დიდი ქებით მაინცდამაინც არც ერთს არ ანებივრებდნენ. ისევე როგორც ოცდაათიან წლებში, სამოციანი წლების დასაწყისშიაც მანჰეტენის ფინანსიურ მაგნატებს თეთრ სახლთან მტრული, დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ. რასაკვირველია, რუზველტი და კენედი არ ყოფილან თავიანთი კლასის მოღალატენი. კენედი გახლდათ ვაჟი საფინანსო მეკობრისა, შემდეგ რომ ფრანკლინ რუზველტის ერთ-ერთი უნიჭიერესი მრჩეველი გახდა ყოველგვარ ფინანსურ რეფორმათა საკითხებში. სადაზღვევო საქმეთა ფასიანი ქაღალდების კომისია და ის სტაბილურობა, რაც მან თანამედროვე ბირჟას შიანიჭა, უდიდეს წილად ჟოზეფ პ. კენედის მოღვაწეობის შედეგი გახლდათ. ამიტომაც, პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის ყოველთვის ახსოვდა, რა ადვილი შესალახავია ეკონომიკა პანიკური განწყობილების დროს და თეთრ სახლში გადასვლის პირველსავე კვირას მოხაზა ასეთი პანიკის წარმოქმნის აღმკვეთ ღონისძიებათა გეგმები. 1961 წლის 3 თებერვალს კენედიმ

თავისი წინადადება კონგრესს ვრცელი წერილის სახით გაუგზავნა. 1963 წლის 22 ნოემბრის საღამოს ეს დოკუმენტი ფინანსთა მინისტრის მოადგილის ჰენრი ფაულერის მაგიდაზე იდო.

ისტორიულად ხაზინასა და თეთრ სახლს ყოველთვის გულთბილი დამოკიდებულება ჰქონდათ. ტყუილად კი არ ითვლება ამერიკის შტატები უძველეს და ყველაზე ძლიერ ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ სახელმწიფოდ.

უესტ იკზეკიუტივ-ავენიუს ორთავე მხარეს აზიდული ორი გიგანტური შენობა მიწისქვეშა გადასასვლელებით უკავშირდება ერთმანეთს. 1902 წლის შემდეგ, როცა ხაზინის ფარგლებში საიდუმლო სამსახური შეიქმნა, ეს კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა.

ფაულერმა, პრეზიდენტზე თავდასხმის ამბავი რომ გაიგო, პირველ ყოვლისა, საიდუმლო სამსახური გაახსენდა, უმალვე ამ სამსახურის უფროსს ჯეიმს როულის ელაპარაკა და პრეზიდენტისა და წარმომადგენელთა პალატის სპიკერის დასაცავად შესაბამისი ზომების მიღება დაავალა. როულმა დაარწმუნა, ყველა საჭირო ღონისძიება უკვე მიღებულიაო. ფაულერმა შემდგომ თავდაცვის მინისტრ მაკნამარასაც დაურეკა. თეთრი სახლის აპარატის სხვა პასუხისმგებელი თანამშრომლების მსგავსად ფაულერსაც სურდა დარწმუნებულიყო, რომ თვითმფრინავ № 86972-მა თავდაპირველი კურსი შეიცვალა და დედაქალაქისკენ მოფრინავდა. თავდაცვის მინისტრი ამ დროს სხვა ტელეფონით რობერტ კენედის ელაპარაკებოდა, მაგრამ მისმა თანაშემწემ დაუდასტურა, თვითმფრინავი უკვე ვაშინგტონისაკენ მოფრინავსო. ყურმილი რომ დადო, ფაულერს უეცრად გაახსენდა, რომ კენედის გეგმაც კი ჰქონდა შედგენილი სწორედ ასეთი განსაკუთრებული მდგომარეობისათვის.

პრეზიდენტის მიერ შემუშავებული სტრატეგიული გეგმის მოკლე მონახაზი დაახლოებით ასეთი გახლდათ: პირველ ყოვლისა ბირჟაზე უნდა შეჩერებულიყო სახელმწიფო სესხის ობლიგაციების გაყიდვა. იმავე გეგმის მიხედვით, ფაულერმა შემდეგ ფედერალური სარეზერვო ბანკის პრეზიდენტს ალფრედ ჰეისს ნიუ-იორკში დაურეკა და მითითება მისცა დაუყოვნებლივ დაკავშირებოდა ნიუ-იორკის საფონდო ბირჟის პრეზიდენტ კიტ ფანსტონსა და ფირმა „ამერიკენ ექსპრესის“ მმართველ ტედ ეთერინგტონს

და ეთხოვა დროებით შეეწყვიტათ ოპერაციები. გონგის ხმა დროულად გაისმა. პრეზიდენტ კენედის მკვლელობას და სწორედ იმ დღეს მცენარეულ ზეთთან დაკავშირებულ უმსხვილესი აფიორის გამომჟღავნებას ბირჟის დარბაზის უზარმაზარ ტაბლოზე აქციების ღირებულების თავბრუდამხვევი დაცემა მოჰყვა. ბოლოს, როგორც იქნა, ბირჟის შენობიდან ყველა მაკლერი გაყარეს და ცოტა ხნით ამოისუნთქეს. თუმცა, ამ ნაბიჯს გამარჯვებად ვერ ჩათვლიდით. თანაც ფანსტონმა დაასწრო ფინანსთა სამინისტროს მითითებას. კენედის ჩანაფიქრის მიხედვით, მთავარი ოპერაცია საზღვარგარეთ უნდა ჩატარებულიყო. ძირითადი საშიშროება დოლარის საწინააღმდეგოდ მიმართულ სპეკულაციაში მდგომარეობდა. ამდაგვარი მეკობრეობის გამოაშკარავება დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ასეთი შემთხვევების დროს იწყება ოქროს გაფაციცებული შესყიდვა, იმ ანგარიშით, რომ უნციის ფასი 35 დოლარიდან 40 და ზოგჯერ 45 დოლარამდეც აიწევს. შეჩერება უკვე ძნელი ხდება, ხომალდის გეზის შეცვლა მასში ნახვრეტის აღმოჩენისა და პანიკის დაწყების შემდეგ თითქმის უიმედო ამბავია.

კენედის სურდა ხელი შეეშალა სპეკულანტებისათვის, გადაექციათ მსოფლიო ბაზარი ბანქოს სათამაშო სახლად, სადაც წაგებული შეერთებული შტატები გამოვიდოდა. ამ მიზნით მან მიაღწია უცხო ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან შეთანხმებას, რომელსაც თვითონ მან „გაცვლითი" უწოდა. ამერიკის შეერთებული შტატები, მართლაც, ცვლიდა თავის დოლარებს სხვათა ვალუტაზე. კენედიმ უბრძანა აშშ-ის ფინანსთა სამინისტროს შეექმნა და დაეგროვებინა დიდი მარაგი თავისუფლად კონვერსირებული ვალუტის ყველას სახეობისა.— გირვანქა სტერლინგი, გფრ მარკები, იტალიური ლირები, იაპონური იენები, პესოები, რანდები, გილდერები, ფრანგული და შვეიცარული ფრანკები. ეს ხელუხლებელი მარაგი საიმედოდ იყო სეიფებში გადანახული, როგორც ერთგვარი გარანტიები. პრეზიდენტის მუდმივ მოქმედი განკარგულებების მიხედვით, განსაკუთრებული, საგანგებო მდგომარეობის დროს უცხოური ვალუტის მთელი ეს მარაგი ერთდროულად გამოიყრებოდა ბაზარზე. უცხოური ვალუტის ესოდენ დიდი რაოდენობით გამოჩენა თავიდანვე ფუშავდა დოლარების ხელგაშლილ გაყიდვის დაწყების ყოველგვარ ცდას. ამ გეგმის გან-

ხორციელების აუცილებლობა პირველად მისი ავტორის მკვლელობის შედეგად წარმოიშვა.

კენედის გეგმის წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. მის განხორციელების სულისჩამდგმელი ალ ჰეისი გაბლდათ. ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკი — მხოლოდ სარეზერვო ბანკი როდია. იგი აგრეთვე იურიდიული პირიც არის, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსურ საქმეთა წარმომადგენელი ჰეისის იღბლად ვალუტის მყიდველ-გამყიდველი უცხოური საფონდო ბირჟები ჯერ კიდევ კენედის სიკვდილამდე დაიხურა. და მაინც ამერიკის უზარმაზარი სეიფები იმავე საღამოს გახსნეს, მეორე დღეს კი, ფულის ნიშნების მთელი დასტები შევიდა მიმოქცევაში. შაბათს, 23 ნოემბერს, მუშაობა განაახლა ზოგიერთმა ბირჟამ. ისინი ოქროსთან დაკავშირებულ ოპერაციებს აწარმოებდნენ ევროპაში, კერძოდ ლონდონსა და ციურიხში. ორთავე ამ ქალაქში მეკობრეებმა მაშინვე სცადეს პანიკის ატეხა. მაგრამ კენედის „გაცვლითმა“ შეთანხმებამ შეძლო მათი სრული ბლოკირება. მათ მიერ წარმოდგენილ დოლარებს ბირჟა იღებდა, მაგრამ სანაცვლოდ ოქროს კი არ სთავაზობდა, არამედ სხვა ვალუტას. მთელი ეს ოპერაცია ფინანსური ოსტატობის ჭეშმარიტ შედევრად იქცა და ისეთ მაღალ დონეზე ჩატარდა, რომ თვით დალასის ნავთობისა და გაზების მეუფეთ, კენედის რომ სარკასტულად „ვარდისფერ“ მოწინააღმდეგეს ეძახდნენ, ამ ჩანაფიქრს ანაბანა ვერ გაუგეს.

ჰენრი ფაულერი, რომელმაც 1965 წელს ფინანსთა მინისტრი დუგლას დილონი შეცვალა, 22 ნოემბერს ვაშინგტონში „ქვეკაბინეტის“ სახელწოდებით ცნობილ ორგანოს სხდომას ესწრებოდა. მასში მონაწილეობდნენ მინისტრთა მოადგილენი და თანაშემწენი, მთავარი ექსპერტები. თუ მხედველობაში მივიღებთ ექვსი მინისტრის ვაშინგტონში არყოფნას და მთავრობის საქმიანობიდან იუსტიციის მინისტრის დროებით გამოთიშვას, მაშინ ჩინოვნიკთა ამ დასის შრომასა და მოღვაწეობას ყველაზე მაღალი შეფასება უნდა მიეცეს.

იუსტიციის მინისტრის მოადგილე კატცენბახი ტეხასის კანონებს პირისპირ შეეჭიდა. ბანდი, როგორც პრეზიდენტის თანაშემწე ნაცონალური უსაფრთხოების დარგში, „ქვეკაბინეტის“ წევრი

გახლდათ, ამგვარად იქ დროს თეთრი სახლის დასავლეთ ფრთაზე ლინდონ ჯონსონის დოკუმენტებისათვის ახალი სეიფების განლაგებით იყო გართულები. სოფლის მეურნეობის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი ჩარლზ მერფი და ჯორჯ ბოლი სატელეფონო ქსელში უწესივრობათა გამოსასწორებელ ღონისძიებაზე ჯონ მეისის ეთანხმებოდნენ. თათბირის შედეგად დაასკვნეს, რომ პარასკევ საღამოს „ჩეზაპიკ და პოტომაკის“ სატელეფონო ქსელის მწყობრიდან გამოსვლა გამოიწვია სახელმწიფო თანამშრომელთა უთვალავმა ზარმა, ასეთ თანამშრომელთა რიცხვი კი ამერიკაში ბარე მეოთხედ მილიონს აღწევდა. ყველა ცდილობდა შინ დაბრუნება, მაშინ როცა მათი ცოლებიც, ასევე თავგამოდებით ცდილობდნენ მათთან დალაპარაკებას. ამ პრობლემის გადაწყვეტა კენედის კარნახით მოხდა. ამჯერად ეს უკვე რობერტ კენედის გეგმა გახლდათ. ჯერ კიდევ სამი თვის წინ, როცა ვაშინგტონში 28 აგვისტოსათვის დანიშნული სამოქალაქო უფლებათათვის მებრძოლთა ლაშქრობა მზადდებოდა, პრეზიდენტის ძმამ, რობერტ კენედიმ წინადადება წამოაყენა სახელმწიფო დაწესებულებათა თანამშრომლების წინასწარი გაშვებისა. ათ ნაკადად დაყოფილნი სამუშაოდან თანამშრომლეერობის დაცვით ადრევე გამოვიდოდნენ და თხუთმეტწუთიანი შეალედებით დაწესებულებებს ჯგუფ-ჯგუფად დატოვებდნენ. საქმის ასეთი ორგანიზაციის შედეგად ტრანსპორტი შეუწყვეტლად, ყოველგვარი ქაოსისა და ჩახერგვის გარეშე იმუშაებდა, ხოლო ეგრეთ წოდებული „მთავრობის სამკუთხედი“ — თეთრი სახლის, კაპიტოლიუმისა და პენსილვანია-ავენიუს შორის მდებარე სვეტებიან შენობათა დიდი კომპლექსი, ადვილად გაიწმინდებოდა ფეხით მოსიარულეთაგან.

15 საათსა და 05 წუთზე, ანუ სუინდალის ლავ ფილდის აეროდრომის ბილიკებიდან აფრენის 18 წუთის შემდეგ, მეისი კოლუმბიის ოლქის პოლიციის სამმართველოს მოეთათბირა და მოქმედებას შეუდგა. სატელეფონო კავშირი, ფრიად სწრაფად, საათნახევარში აღსდგა, რაც საფუძველს გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ საოცრად დაბნეულ სატელეფონო საქმიანობაში გადამწყვეტი როლი იუსტიციის მინისტრის გეგმამ შეასრულა.

მაშინ როცა „სსძ-1“ მდინარე კამპერლენდის დაკლაკნილ ნაპირებს ზემოთ მიჰქროდა, ვაშინგტონში უკვე ცხოველი საქმია-

ნობა იყო გაჩაღებული. მისი ცენტრი გახლდათ პენტაგონის „E“ რადიუსის პოტომაკის სექტორი. გასაგები მიზეზების გამო ჩვენ არ ძალგვიძს ამ საქმიანობის არსში ჩაწვდომა. სახელმწიფო დეპარტამენტის „ახალ“ შენობაში, როგორც მას ჯერ კიდევ ეძახდნენ დედაქალაქში, ენჯიერ დიუკმა განკარგულება გასცა დარბაზში გამოეტანათ სამძიმრის ჩანაწერებისათვის განკუთვნილი წიგნი და ვერცხლის სინი ვაშინგტონში აკრედიტირებულ ელჩთა სადარბაზო ბარათებისათვის. საზღვარგარეთ არსებულ ამერიკის საელჩოებს დაეგზავნათ დეპეშები, რათა მათაც გაემზადებინათ ასეთივე წიგნები. სახელმწიფო დეპარტამენტის არქივიდან ამოღებულ იქნა იქ შენახული ერთადერთი ეგზემპლარი პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტის დაკრძალვის ცერემონიის აღწერისა. ჰარლან კლივენდმა ჯონსონს ნაციონალური გლოვის გამომხატველი ოფიციალური განცხადების პროექტი წარუდგინა. ახალმა პრეზიდენტმაც ყოველგვარი შესწორების გარეშე მოიწონა იგი. სახელმწიფო მდივნის მოადგილე ალექსის ჯონსონმა კი პრეზიდენტს აღწერილობითი სამახსოვრო ბარათი გაუმზადა, რომელშიაც ზუსტად იყო მითითებული უკვე გატარებული თუ შემდგომ აუცილებლად გასატარებელი ღონისძიებანი. ორთავე დოკუმენტი ენდრიუსის აეროდრომზე ჩამოფრენილი ახალი პრეზიდენტისათვის წარსადგენად მომზადდა.

•

სამახსოვრო ბარათი პრეზიდენტს აუწყებდა:

„1963 წლის 22 ნოემბერი

სამახსოვრო ბარათი პრეზიდენტისათვის

ქვემოთ გთავაზობთ ისტორიულ პრეცედენტებზე დაყრდნობილ ღონისძიებებსა და პროცედურებს, დროის მიხედვით ყველაზე უახლესი პრეცედენტის, ფრანკლინ რუზველტის გარდაცვალების ჩათვლით.

1. თქვენ მიერ გამოქვეყნებულ განცხადებაში პრეზიდენტის დაკრძალვის დღე გამოცხადდება ეროვნული გლოვისა და მისი სულის მოსახსენებელ ლოცვათა დღედ. განცხადების პროექტს წარმოგიდგენთ განსახილველად.

2. სახელმწიფო მდივანი ცირკულარულ დეპეშებს დაუგზავნის ყველა შტატისა და აშშ-ის ტერიტორიის გუბერნატორებს, რათაც

ეცნობებათ ოცდაათდღიანი სამოქალაქო გლოვის გამოცხადება და მომავალი დაკრძალვის ცერემონიალის ვითარებანი. გამორკვეულ იქნება, თუ რომელი მათგანი ისურვებს დაკრძალვაზე დასწრებას. დეპეშების დაგზავნის დრო დადგინდება შესაბამისი დეტალების დაზუსტების შემდეგ.

3. თქვენი მითითებით, სახელმწიფო მდივანი მოამზადებს ინსტრუქციას, რომლის შესაბამისად დაიხურება ყველა სახელმწიფო დაწესებულება და ორგანიზაცია. დაევალება თავდაცვის მინისტრს, გასცეს განკარგულება გლოვის მთელი ოცდაათი დღის განმავლობაში დაუშვან დროშები ყველა სამხედრო ნაწილსა და მის განკარგულებაში მყოფ სამხედრო გემებზე.

4. სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი აუწყებს ვაშინგტონში მყოფ ყველა საელჩოსა და მისიის მეთაურს პრეზიდენტ კენედის გარდაცვალებას. ეს უკვე გაკეთებულია.

5. სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი აუწყებს ვაშინგტონში მყოფ ყველა საელჩოსა და მისიის მეთაურს, რომ თქვენ უკვე დადეთ ფიცი პრეზიდენტის პოსტის, დაკავებასთან დაკავშირებით და გააცნობს გარდაცვლილი პრეზიდენტის დაკრძალვის ცერემონიალის წესს. ეს გაკეთდება, როგორც კი ცნობილი გახდება დაკრძალვის ცერემონიალის მიმდინარეობა.

სახელმწიფო მდივნის მოვალეობის შემსრულებელი

„ჯორჯ. უ. ბოლი".

ამ სამუშაოს დამთავრების შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელობა უფრო დელიკატური საკითხების განხილვას შეუდგა. პირველი სამი საათის განმავლობაში მკვლელის მოტივები თითქოს სავსებით გასაგები იყო. მინისტრების ყველა მოადგილე კარგად იცნობდა დალასის პოლიტიკურ კლიმატს. შემდეგ კი, 16 საათსა და 25 წუთზე საიდუმლო სამსახურიდან სპეციალური არხით გამოგზავნილი შეკითხვა მოვიდა. ფინანსთა სამინისტრო სთხოვდა სახელმწიფო დეპარტამენტს, ეცნობებინა გააჩნდა თუ არა რაიმე მონაცემი ლი ჰარვი ოსვალდის გარშემო. რამდენიმე წუთის შემდეგ რადიომ და ტელევიზიამ გადასცეს ინფორმაცია — ოსვალდი საბჭოთა მოქალაქეობის მიღების უფლებას შუამდგომლობდაო. ფინანსთა სამინისტროს მომართვისთანავე

ანალოგიური შეკითხვა მოვიდა ჯორჯ ბოლისაგან. არქივიდან ამოღებულ იქნა გვარიანი სისქის დოსიე. გამოირკვა ოსვალდის მოსკოვში ყოფნის ფაქტი. ჯონსონმა მოითხოვა გამოეკვლიათ „რამდენად მართებული იყო ჩვენი საქციელი ამ საქმეში". ამავე დროს გაიმართა ცხარე კამათი ომის წარმოშობის შესაძლებლობაზე. აშშ-ის ყოფილი ელჩი საბჭოთა კავშირში ლუელინ ტომპსონი თავგამოდებით უმტკიცებდა ჯორჯ ბოლს, კომუნისტები ასეთი მეთოდებით არ მოქმედებენო. საბჭოთა კავშირი არ აწყობს თავდასხმებს სახელმწიფოების მეთაურებზე. ერთ დროს საბჭოთა კავშირში ელჩად მყოფი ავერელ ჰარიმანიც ფრიად დამაჯერებლად უჭერდა მხარს ტომპსონის მოსაზრებებს.

მართლაც, ამერიკის შეერთებულ შტატებს არავითარი ატომური თავდასხმა არ განუცდია. ამ ორი სპეციალისტის თვალთახედვა საბჭოთა კავშირის თაობაზე სავსებით დადასტურდა. სახელმწიფო მდივნის მოადგილის ალექსის ჯონსონის აზრით, იმ უარყოფით რეაქციას, რაც ოსვალდის მიერ თავისი პიროვნების მარქსიზმის მიმდევრად გამოცხადებას მოჰყვა, შეეძლო სრულიად გაექარწყლებინა კენედის მიერ დიდი რუდუნებით გაწეული შრომა, საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის მოგვარებასთან დაკავშირებით.

ჯონსონმა განკარგულება გასცა კოლუმბიის ოლქის პოლიციას სხვათა ყურადღების მიუქცევლად საბჭოთა საელჩოს დაცვის საქმე მოეგვარებინა. ეს მითითება განხორციელდა, მაგრამ იგი ზედმეტი სიფრთხილე აღმოჩნდა. ჰარიმანის მსგავსად, ქვეყნის აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებმა ამერიკელებმა სარწმუნოდ არ მიიჩნიეს ვერსია დალასელ „მარქსისტზე". სწორედ იმ წუთებში სატელევიზიო კომპანიის კორესპონდენტები ნიუ-იორკში როკფელერის მოედანზე ინტერვიუს იღებდნენ ფეხით მოსიარულეთაგან. ყველა დაკითხული ერთსულოვან ვარაუდს გამოთქვამდა, რომ დანაშაული წაქეზებული იყო „სამხრეთში სიძულვილის გაზაღვივებელ ულტრაკონსერვატორული ელემენტების მიერ".

კენედის ავისმოსურნენი გასაოცარი სისწრაფით შეეგუვნენ მისი მმართველობის აღსასრულს. კენედის მაინც არ აპატიეს ფოლადსასხმელი მრეწველობის საქმოსნებზე გამარჯვება. ეს ადამიანები გულგრილნი რჩებოდნენ კენედის მაგნეტიზმისადმი, ისე-

ვე როგორც რუზველტის მიმზიდველობის ძალა მხოლოდ გაოცებას გვრიდა მათ მამებს. დიახ, იმათ არ შეეძლოთ გაეგოთ და აეხსნათ ის ფართო მხარდაჭერა, რომლითაც სარგებლობდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ჯონ კენედი. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას ზოგიერთი პიროვნების ეს განსაცვიფრებელი გულგრილობა თუ უტაქტობა იმ მარადსახსოვარ პარასკევს. მოვლენების ქარიშხალმა ბევრ მათგანს სახიდან ნიღაბი ააგლიჯა და ადამიანთა ყოველდღიური ურთიერთობისათვის ნიშანდობლივი ყოველვვარი პირობითობა წაშალა. მაგრამ გარემომცველი სამყაროს წინაშე ყველა ამერიკელი თავისი ჭეშმარიტი სახით წარსდგა. ზოგის უღირსობა კიდევ უფრო გამუქდა, ზოგი კი კეთილშობილებამ უფრო აამაღლა.

გაშიშვლებული იყო ადამიანთა გრძნობები კენედის გლოვის მთელი სამი დღის მანძილზე, მერე კი ყველა ეს მოგონება გულდასმით შემალეს თავიანთი მეხსიერების სამალავებში. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება. ეს გახლდათ ჟამი, როცა ადამიანებმა გადაყარეს პირობითობის ბორკილები, გამოამჟღავნეს სულის კეთილშობილება და სულაც არ ესირცხვილებოდათ თავიანთი ემოციების გამოხატვისა.

კონგრესმენმა ჯეიმს რუზველტმა, საერთოდ რბილმა და მორცხვმა კაცმა, კაპიტოლიუმში წინადადება შეიტანა კენედის სიკვდილშემდგომ „საპატიო მედალით“ დაჯილდოების თაობაზე. ხოლო კაპიტოლიუმის პირდაპირ, ძველი პარკის იქით მდებარე სასამართლოს შენობაში ერლ უორენმა — მთელ ქვეყანაში მემარჯვენე ძალების მოწინააღმდეგედ ცნობილმა კაცმა, განცხადება გამოაქვეყნა და მკაცრად გაიცხა სიძულვილის ქომაგნი. სულიერ შეშფოთებას ვერ მალავდნენ სენატორები: მენსფილდი, ბაიბლი და ბერდი. „ნეიშნლ ბროდკასტინგ კომპანის“ კომენტატორმა დევიდ ბრინკლმა 15 საათსა და 48 წუთზე გადასცა: — ბევრი ქუჩაშივე ტირის, არ ერიდებათ საკუთარი ცრემლისა. თეთრ სახლში მყოფი სენატორი ჰიუბერტ ჰემფრი თითების მტვრევით აქეთ-იქით აწყდებოდა და გულის ჯავრზე ხან ერთ პოლიციელს ეხვეოდა და ხან მეორეს.

დიახ, ეს ყველაფერი გრძნობათა უშუალო გამოხატულება გახლდათ, ხოლო მათი გულწრფელობა მართლაც რომ გულის

ამაჩუყებელი იყო, თუმცა ვაშინგტონი საჭიროებდა რიგიანი სხვა: აზროვნების სიფხიზლესა და კომპეტენტურობას. მთავარ პოსტებზე მყოფ ადამიანთა უმრავლესობამ წარმატებით გაართვა თავი ამ დაძაბულ სიტუაციას.

გამართულად მუშაობდა უცხო სახელმწიფოთა რეაქციებისა და მათი მოქმედების მეთვალყურე კომისია. პენტაგონი მზად იყო. „ქვეკაბინეტი" თავაუღებლად მუშაობდა. სახელმწიფო დეპარტამენტის საოქმო განყოფილების უფროსმა ენჯი დიუკმაც დაძლია დაკისრებული ამოცანები. მთავარი დაბრკოლება, რომელსაც იგი და მასთან ერთად ყველა პასუხისმგებელი ჩინოვნიკი წააწყდა, ეს ამბავი გახლდათ, რომ მათ არ იცოდნენ, ვის დამორჩილებოდნენ. პრეზიდენტის ინსტიტუტი მჭიდროდ არის დაკავშირებული პრეზიდენტის პიროვნებასთან. შორით მეთვალყურის თვალში იგი ალმასრულებელი ხელისუფლების მთელ აპარატს ერწყმის, ხოლო მისი ცალკეული ფუნქციები პრეზიდენტის რაზმის უპიროვნო მოთამაშეთა შორის არის განაწილებული.

კრიზისებისა და მღელვარების დროს ასეთი მოსაზრებით მხოლოდ ის მშვიდდება, ვისაც სჯერა, რომ ამ უპიროვნობის უკუნ უზადოდ მომუშავე, პიროვნებისაგან დამოუკიდებელი ზუსტი მექანიზმი იმალება. მაგრამ ასეთი მოსაზრება უაღრესად მცდარია. სახელმწიფოს მეთაურთან ახლო ურთიერთობაში მყოფ ადამიანებს, პირველ ყოვლისა, მისი სიმარტოვე აოცებთ სწორედ. სხვაგვარად არც შეიძლება იყოს.

დიუკმა აპარასკევს პრეზიდენტის მკვლელობის შეტი არა იცოდა რა. მაშინ არც შეეძლო სხვა რამეზე ფიქრი. იმასაც ვერ მიმხვდარიყო, საერთოდ ვის მოთათბირებოდა. იურიდიულად, ახლა ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწეების მორჩილებაში გადადიოდა, მაგრამ ისინი ამისათვის ჯერ მზად არ იყვნენ. სენატის ხაზით ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწემ ჯორჯ რიდმა უოლტერ ჯენკინსს დაურეკა. ისიც ჯონსონის თანაშემწე გახლდათ. ერთმანეთს პრეზიდენტის თანაშემწის ჯეკ მაკნალის კაბინეტში უიდა შეხვედროდნენ. მერე კი, როცა რიდი თეთრ სახლში მივიდა, მხოლოდ მაშინ მოაგონდა, რომ ოდნავი წარმოდგენაც არა აქვს, სად მდებარეობს ჯეკ მაკნალის კაბინეტი. რიდმა დასავლეთი ფრთის ლიბოს სართულზე მიიკითხ-მოიკითხა და აღმოსავლეთის

ფრთისკენ აიღო გეზი. კენედის თანაშემწეებთან გამართულ თათბირზე თავშეყრილთა შორის ჯენკინსიც იპოვა. ერთხანს ორთავენი დუმდნენ. რიდი გრძნობდა „ორივე ჯგუფს შორის ურთიერთობის დაძაბულობას — კენედის ჯგუფსა და ჯონსონის ჯგუფს... უოლტერი და მე დაუპატიჟებელი სტუმრებივით ვგრძნობდით ზავს. ჩვენ გვქონდა რწმუნებანი, მაგრამ გვაკლდა გამოცდილება. პრაქტიკულად ჩვენ კენედის ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილებანი დავშტამპეთ“.

სპეციალისტები (ამ სიტყვის ფართო გაგება ეგრეთ წოდებული „ქვეკაბინეტის“ წევრთა უმრავლესობას მოიცავდა) შეუფერხებლად მოქმედებდნენ. ისინი ერთხელ და სამუდამოდ დაწესებულ კანონს მიჰყვებოდნენ. თუ თქვენ მდიდარი გამოცდილება გაქვთ დაკრძალვის ორგანიზაციის საქმეში ან უცხო ვალუტის კურსის დადგენაში, მაშინ, რასაკვირველია, ინსტინქტურად და შეუცდომლად გაყვებით ჩვეულ გზას. ის ადამიანი კი, ვინც უეცრად აღმოჩნდება მისთვის სრულიად უცხო სიტუაციაში, ადვილად შეიძლება გზას აცდეს ან სულაც უკუიქცეს. წარმომადგენელთა პალატის სპიკერის სიტყვებით, „ისინი მიწას დასცა მოწმენდილ ცაზე გავარდნილმა მეხმა“. სწორედ ეს მაკორმაკი გახლდათ ერთი იმათგანი, ვინც განზე გადგომა ირჩია. მთელი 1964 წლის მანძილზე მან არაერთგზის განაცხადა უარი განეხილა წინადადება ძალაუფლების მემკვიდრეობის კანონის შეცვლის თაობაზე. მისი ასეთი საქციელი პატივმოყვარეობის გამოვლინებად მოინათლა. ვინაიდან ჯონსონის სიკვდილის შემთხვევაში პრეზიდენტობა სწორედ მაკორმაკს ელოდა, მისი თავგამოდებული წინააღმდეგობა ამ „უღირსი“ განხილვის საწინააღმდეგოდ ცალმხრივად იქნა გაგებული. აკი დაასკვნეს კიდეც: მაკორმაკს ისევ აწვალებს აზრი, რომ არსებობდა მომენტი, როცა მხოლოდ ვიცეპრეზიდენტის „გულის ფეთქვა“ იდგა მასსა და თეთრ სახლს შორისო. მაგრამ სინამდვილეში, ყველაფერი სწორედ პირუკუ იყო. მას არამცთუ აწვალებდა პრეზიდენტად გახდომის სურვილი, ფიქრითაც კი ეძნელებოდა ამგვარი შესაძლებლობის წარმოდგენა. მაკორმაკისათვის ასეთი პერსპექტივა ნამდვილად წარმოუდგენელი იყო. სპიკერს მთელი სისრულით ჰქონდა შეგნებული თავისი ხანდაზმულობა და საკუთარი სუსტი მხარეები. ყოველ

დილასა და საღამოს ოტელ „ვაშინგტონში“ ლოცვად დამდგარი მაკორმაკი ღმერთს მხოლოდ ჯონსონის კარგად ყოფნას ევედრებოდა „ღმერთო, დაიფარე და ხელი მოუმართე“. ეს იყო ყველაფერი, რაც მას ძალუძდა. მაკორმაკს წუთითაც ვერ წარმოედგინა, რომ მის ლოცვას ღმერთი არ შეისმენდა და კონგრესის მიერ მიღებული კანონი მას ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეცხრამეტე პრეზიდენტად აქცევდა.

22 ნოემბერს, დღის მეორე ნახევარში, როცა პრეზიდენტის თვითმფრინავი დედაქალაქისკენ მოჰქროდა, საიდუმლო სამსახურის აგენტთა ჯგუფმა ოტელ „ვაშინგტონის“ № 620 აპარტამენტის კარზე დააკაკუნა. მაგრამ აგენტებმა ვერ შეძლეს ამ ნომრის ზღურბლის გადაბიჯება. სპიკერმა ჯგუფის ხელმძღვანელს საოცრად ცივი ხმით განუცხადა:

— ჩემი პიროვნების დაცვა კაპიტოლიუმის მცველ სავსებით უზრუნველყოფილია, ხოლო თქვენს აქ მოსვლას კი მიუჩინევ როგორც ჩემი და ჩემი მეუღლის, ქალბატონ მაკორმაკის პირად ცხოვრებაში სრულიად შეუწყნარებელ შემოჭრას. მე ამას ვერ მოვითმენ.

როცა თვითმფრინავმა „სსძ-1“-მა მდინარე არკანზასს გადაუფრინა, ლინდონ ჯონსონმა სერჟანტ აირესს სთხოვა, რადიოტელეფონით პრეზიდენტ კენედის დედას დამაკავშირეო. თეთრი სახლის ოპერატიულმა განყოფილებამ სწრაფად დააკავშირა აირესი კენედების ოჯახის ქალაქგარეთა რეზიდენციას. სერჟანტმა ტელეფონთან როზ კენედის მოყვანა ითხოვა—პრეზიდენტის დედა იმ დროს სახლის წინ ბოლთას სცემდა.

— ალო? — შეკითხვის ტონით ჩასძახა ქალმა ყურმილში.

აირესს ის იყო უნდა ეთქვა:

— თქვენთან პრეზიდენტს სურს ლაპარაკი... — რომ უეცრად გონს მოეგო და სასწრაფოდ წარმოთქვა: — თქვენ დაგელაპარაკებათ ბატონი ჯონსონი, — და ყურმილი ჯონსონს გადასცა.

მეუღლის სახეს მიჩერებულმა ლედი ბიორდმა იგრძნო, რომ ეს, ალბათ, ყველაზე მძიმე საუბარი იყო მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე. ჯონსონმა თავისი ფართო ხელისგული ყურმილს დაეფარა და უჩურჩულა:

— არ ვიცი, რა ვუთხრა.

მერე ხელი ყურმილიდან აიღო და ხმადაბლა წარმოთქვა:

— ღმერთმა ხომ იცის, როგორ მინდოდა მოგშველებოდით.

— განა არ ვიცით, როგორ გიყვარდათ თქვენ ჯონი და როგორ უყვარდით თქვენ მას, — მიუგო მწუხარებით ზარდაცემულმა ქალმა.

— აქ არის ლედი ბიორდი და თქვენთან საუბარი სურს, — სასწრაფოდ ჩაურთო პრეზიდენტმა.

ლიზ კარპენტერს მოეჩვენა, რომ პრეზიდენტი ისეთი დაინებით აწვდიდა მეუღლეს ყურმილს, თითქოს იგი ხელსა სწვავდაო.

— ოჰ, ქალბატონო კენედი, — დაიწყო პირველმა ლედიმ და იქვე დაება ენა. მერე თითქმის ჩურჩულით თქვა ის, რაც საერთოდ შეიძლება უთხრას ადამიანმა შვილის დამკარგავ დედას: — ყველამ უნდა შევიგნოთ, რა ფასდაუდებელი საჩუქარი იყო ჩვენი ქვეყნისათვის თქვენი შვილის მიერ სამშობლოსათვის შეწირული წლები.

— მადლობელი ვარ, ლედი ბიორდ, — უპასუხა როზ კენედიმ.

ამის შემდეგ ჯო აირესმა მეორე საუბრის ორგანიზაცია შეძლო და ცოლ-ქმარი ჯონსონები რადიოტელეფონით პარკლენდის ჰოსპიტალში ნელი კონელის დაალაპარაკა. საუბარს მიყურადებული კლიფ კარტერი მიხვდა, რომ ნელი კარგ გუნებაზე იყო. როგორც ჩანდა, მისი მეუღლე უკეთ გრძნობდა თავს.

„ქვეკაბინეტი“ უმაღლესი სასამართლო და კონგრესის ხელმძღვანელები ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ენდრიუსის აეროდრომზე. ზოგი ვერტმფრენით მოფრინდა, ზოგსაც აეროპორტის მანქანებით ესარგებლა. არავინ ისმინა რობერტ კენედის თხოვნა, მაინც ყველა მოვიდა. 16 საათსა და 30 წუთზე იუსტიციის მინისტრი პრეზიდენტის ცხედრის აეროდრომიდან გადმოტანის ორგანიზაციის თაობაზე სარჯენტ შრივერს ეთათბირა. შრივერმა ვერტმფრენის გამოყენებას დაუჭირა მხარი. იგი შესაძლებლობას მოგვცემს თავიდან ავიცილოთ ვაშინგტონის საქმიან ნაწილში ხალხის თავშეყრა, რაც ჩემი აზრით, ქვრივისათვის მეტად მძიმე სანახაობა იქნებაო; — ხაზგასმით უთხრა შრივერმა.

— მზად იყოს ერთიცა და მეორეც. ეს თვითონ ჟაკლინმა უნდა გადაწყვიტოს, — მიუგო ბობიმ.

ცოტა ხნის შემდეგ შრივერმა ისევ დაურეკა რობერტ კენედის

და მოახსენა, რომ პრეზიდენტის თვითმფრინავის შესახვედრად უკლებლივ ყველა აპირებდა წასვლას.

კენედი შეძრწუნდა. მისი აზრით, აეროდრომზე მხოლოდ თვითონ, მაკნამარა და გენერალი ტეილორი უნდა ყოფილიყვნენ. აქ ხალხის თავშეყრის შესაძლებლობა აზრადაც არ მოსვლია და შრივერს ასე უპასუხა:

— ჩემი აზრით, ვერ არის მთლად კარგი იდეა. ეს სრულიად ზედმეტი ამბავია.

თეთრ სახლში შეფიქრიანდნენ. ტელეფონთან არტურ გოლდბერგი მივიდა.

— ბობ, შენ მართალი არა ხარ. ეს ხომ ვინმეს პირადი საქმე არ არის. აქ ლაპარაკია ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტზე. მე ვფიქრობ, სწორედ ყველანი უნდა წავიდეთ.

— ჯეკის ახლა ყველაზე ნაკლებად ენდომება ხალხის დანახვა.

— ჩვენ ვალდებული ვართ გავაკეთოთ ეს პრეზიდენტისათვის, თუნდაც თვითონ ჯეკისათვისაც. არ შეიძლება ამის პირადად სქესად ქცევა. ჩვენ რაც უნდა ვიღონოთ, ჟურნალისტები მაინც იქნებიან. დიპლომატებიც უსათუოდ მოვლენ. აბა წარმოიდგინე, როგორი სურათი იქნება, აეროდრომზე მარტო უცხოელები რომ აღმოჩნდნენ და... არც ერთი ამერიკელი?

მცირე დუმილის შემდეგ იძულებული რობერტ კენედი თანხმის დათანხმდა.

— რადგან ასე ფიქრობთ, გაემგზავრეთ. მე არ ვაპირებ ამაზე თქვენთან კამათს.

რობერტმა არ იცოდა, რომ თეთრ სახლში სწორედ ამ საკითხზე გაცხარებით კამათობდნენ. საოქმო საკითხების დარგში ოფიციალური არბიტრის როლში გამოსულმა ენჯი დიუკმა, პირველმა დაადგინა — ენდრიუსის აეროდრომზე არავინ გაემგზავრებაო. ამ გადაწყვეტილებას დაინტერესებული ადამიანების წინააღმდეგობა მოჰყვა. ჰარიმანმა, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ამ მითითების უბრალოდ იგნორირება გადაწყვიტა. ჰემფრიმ კი თვითონ ენჯი დიუკს დაურეკა და უხეშად მიახალა:

— ეშმაკსაც წაუღიხართ, მე აეროდრომზე მაინც წავალ.

დანგენის აზრით, ჯენკინსი, რიდი და კენედის კიდევ რამდენიმე ახლობელი თანამშრომელი აეროდრომზე უსათუოდ უნდა ყო-

ფილიუვნენ. ტედ სორენსენი ყოყმანობდა, მაგრამ ბოლოს მაინც გადაწყვიტა, თუ სხვები გაემგზავრებიან, მეც მათ შევუერთდებიო. ბანდიმ განაცხადა — მე ჩემი სამსახურებრივი მოვალეობის გამო ვალდებული ვარ ჩამოსულებს ტრაპთან დავუხვდეო. მას ხომ, თვითმფრინავიდან კლიფტონმა დაურეკა — ახალ პრეზიდენტს შენი ნახვა აეროდრომზევე სურსო. მერე თვითონ დიუკსაც შეეპარა ეჭვი თავისი პრინციპების სამართლიანობაში. მიხვდა, გოლდბერგი მართალი რომ იყო. აბა ვის შეეძლო ელჩებისათვის აეროდრომზე გამგზავრება აეკრძალა. ჰოდა, მანაც დაყარა ფარ-ხმალი და ადრინდელ გადაწყვეტილებაზე ხელი აიღო.

შებინდებისას იუსტიციის მინისტრმა უკანასკნელად დაურეკა მაკნამარას და თავისი თანაშემწის გუტმანის თანხლებით პენტაგონისკენ გასწია.

მანქანაში, რობერტ კენედი გვერდით მჯდარ გუტმანთან საუბრისას, მომხდარი უბედურების ყოველგვარ შედეგს შეეხო, მაგრამ ერთი სიტყვაც არ დასცდენია მის პირად, აუნაზღაურებელ დანაკლისსა და დამსხვრეულ კარიერაზე. იგი ლაპარაკობდა ტრაგედიის წარმოუდგენელ მასშტაბებზე, ჟაკლინის მიერ გადატანილ საშინელ ელდაზე, მშობლების უნუგეშო მწუხარებაზე, ქვეყნის მომავალის გაურკვევლობაზე. იუსტიციის მინისტრის ლიბერალური შეხედულებანი, პრეზიდენტ კენედის აზრთა მსგავსად, გაცილებით უფრო ძლიერი იყო, ვიდრე ის ლიბერალთა უმრავლესობას ეგონა.

— ხალხს წარმოდგენაც კი არა აქვს, რამდენად კონსერვატიულია ლინდონი, — თქვა უკვე პენტაგონში მისულმა რობერტმა, როცა თავდაცვის მინისტრის პერსონალური ლიფტით მაღლა ადიოდნენ. — დიდი ცვლილებები მოხდება.

მაკნამარა მოსულთ მიეგება. ორი მინისტრი ერთურთს ხანგრძლივი, ძლიერი ხელის ჩამორთმევით მიესალმა. მაკნამარამ პიჯაკი მოისხა. სწორედ ამ დროს, მათ გენერალი ტეილორი შეუერთდა, რასაც ასევე უტყვი მისალმება მოჰყვა. გუტმანი „E“ სექტორში დარჩა, ისინი კი პენტაგონის შენობის სამხრეთ მხარზე მდებარე ვერტმფრენის მოედნისაკენ გაემართნენ, საიდანაც ენდრიუსის აეროდრომისაკენ გაფრინდნენ. აეროდრომზე მისვლისას კენედისა და მაკნამარას შორის მოკლე საუბარი გაიმართა.

იუსტიციის მინისტრმა თავდაცვის მინისტრს თვითმფრინავში შეყოლა შესთავაზა, მაგრამ მაკნამარამ უარის ნიშნად თავი გააქნია.

— ბოდ, მეუხერხულება, ვერ გამოგყვები, მე ხომ ოჯახის წევრი არა ვარ, — უპასუხა მან და განზე გადგა.

თეთრ სახლში მისულმა სერჟენტ შრივერმა თავისი პალტო ექიმ ტრაველის მისაღებში დაჰკიდა. მერე ტედი და იუნის კენედები გააცილა, მაგრამ როცა მობრუნდა, პალტო აღგილზე აღარ დაუხვდა. შრივერს თეთრ სახლში ქურდობა ვერ წარმოედგინა. იფიქრა, ალბათ, რომელიმე მცველმა კარადაში დაჰკიდაო. როგორც შემდეგ გამოირკვა, პალტო მართლაც მოეპარათ. შრივერი უსაზღვროდ აღაშფოთა ამ უმსგავსმა საქციელმა. მოჰპარეს თითქმის ახალი, მუქი ნაცრისფერი ქიშმირის მშვენიერი პალტო. უეცრად შრივერმა გულში სხვაგვარი ტკივილი იგრძნო: ეს პალტო ხომ კენედის პრეზიდენტად გახდომასთან დაკავშირებულ ცერემონიალში მონაწილეობის მიღებისათვის, შეიძინა.

შრივერს უამრავი საქმე ჰქონდა და პალტოც მალევე გადააგიწყდა. კენედების ოჯახს თეთრ სახლში ახლა ის წარმომადგენლობდა და დაკრძალვასთან დაკავშირებული ბევრი წვრილმანისა და გადაუწყვეტელი პრობლემის მოგვარებას უნდა შესდგომოდა.

ამერიკელები ყველაფრის სწრაფად გაკეთებას არიან ჩვეულნი. ამიტომაც განსაკუთრებული არაფერი დაუნახავთ პრეზიდენტის ორშაბათ დღეს დაკრძალვაში. პომპეზურ ცერემონიალებს ჩვეული ევროპელები კი ფრიად გააოცა ამ ცნობამ. ჰერცოგი ნორფოლკსკი ლონდონში 50-იანი წლების დასაწყისიდან შეუდგა უინსტონ ჩერჩილის სახელმწიფო დაკრძალვისათვის მოსამზადებელ სამუშაოებს. ჩერჩილის გარდაცვალების შემდეგ კი მან მთელი კვირა მოითხოვა დაკრძალვის რეპეტიციის მოსაწყობად.

თითქმის მთელ ჯგუფს დაევალა პრეზიდენტის ახლო მეგობართა სიის შედგენა. თეთრ სახლში მისულ ედლაი სტივენსონსაც სთხოვეს, გამოეთქვა აზრი სამგლოვიარო ცერემონიალის მოწყობის თაობაზე. მაგრამ ამ საკითხების მთავარი მრჩევლები პოდპოლკოვნიკი მილერი და დიუკი გახლდათ. ამ უკანასკნელმა სახდეპარტამენტიდან რუზველტის დაკრძალვის აღწერის დოსიე მოიტანა. 16 საათსა და 30 წუთიდან შრივერი და დანგენი ენდრიუსის აეროდრომზე თვითმფრინავ № 26000-ის დამხვდურთა სი-

ებს აზუსტებდნენ. დიუკმა იქ საოქმო განყოფილების თანამშრომელი გაგზავნა. თვითონ კი დიპლომატებისათვის უნდა მიეხედა. შემდეგ შრივერთან შედგა მომავალი დაკრძალვის განაწესის პირველი წინასწარი განხილვა.

ცერემონიალის უფროსის, ვაშინგტონის სამხედრო ოლქის პოდპოლკოვნიკის მილერის განმარტებით, ასეთი სახელმწიფოებრივი დაკრძალვები ეხებოდა პრეზიდენტებს ან პრეზიდენტის პოსტზე არჩეულთ, იმის მიუხედავად, მოასწრეს თუ არა ამ პოსტის დაკავება და აგრეთვე ყველა იმათ, ვისაც ქვეყნის პრეზიდენტი ასეთი ზარ-ზეიმით დაკრძალვის ღირსად ჩათვლიდა. ძირითადი სხვაობა სახელმწიფოებრივ დაკრძალვასა და ჩვეულებრივ, ოფიციალურ დაკრძალვას შორის ის გახლდათ, თუ სად და როგორ დაიდგმებოდა გარდაცვლილის კუბო. პოლკოვნიკმა მილერმა ორი ვარიანტი წარმოადგინა: პრეზიდენტის ცხედარი ხალხთან გამოსათხოვრად მოთავსებულიყო თეთრი სახლის აღმოსავლეთ დარბაზში-ან კაპიტოლიუმის დიდ როტონდაში. პრეზიდენტის დაკრძალვა თუ ბოსტონში გადაწყდება, განმარტავდა პოლკოვნიკი, მაშინ კუბოს სპეციალური მატარებლით, თვითმფრინავით ან სულაც საესკადრო ნაღმოსანით წაიღებენო. შრივერის კატეგორიული განცხადებით, პრეზიდენტის ბოსტონში დაკრძალვა გამორიცხული იყო. ჟაკლინის გადაწყვეტილებისაგან დამოუკიდებლად, მას დაბეჯითებით სწამდა, რომ მხოლოდ არლინგტონის სასაფლაოზე უნდა ეფიქრათ.

სამგლოვიარო მატარებელმა პრეზიდენტ ლინკოლნის ცხედრით შესაბამისი ზარ-ზეიმითა და აუჩქარებლობით გაიარა თავისი გზა. ახლა კი „პრატ და უიტნის" ქარხნებში დამზადებულმა ოთხმა მძლავრმა მოტორმა ჯონ კენედის ცხედარი ტეხასიდან დედაქალაქში 136 წუთში ჩამოაფრინეს. დამხვდურთაგან არავინ იცოდა თვითმფრინავის მოფრენის ზუსტი დრო. როგორც შემდეგ გამოირკვა, იქ მისვლას ავტომანქანებითაც მშვენივრად მოასწრებდნენ, ის კი არა, საკმაო დროც დარჩებოდათ. მაგრამ ვინაიდან რისკის გაწევა არავის უნდოდა, ვერტმფრენის მოედნის ირგვლივ ერთთავად ჰედვა იდგა. დიახ, ვერტმფრენები ავტომანქანებზე სწრაფი იყო და ყველამ ვერტმფრენი ირჩია.

არავის ძალუძს ამ საღამონდელი ენდრიუსის აეროპორტის

უთრთოლველად მოგონება — როტორების ფრთათა გაუთავებელი ხმაური თუ უზარმაზარი პროექტორების დამაბრმავებელი შუქი. მთვარის სხივებით აკიაფებული მინდორი უჩვეულოდ თეთრი ჩანდა, ხოლო ადამიანები იდუმალ ჩრდილებს დაგსგავსებოდნენ.

მავთულის ხლართსა და პრეზიდენტის თვითმფრინავის მომავალ სადგომს შორის მოქცეულ ვიწრო ზოლზე დაახლოებით ორმოცდაათი ცნობილი პიროვნება შეჯგუფულიყო. მათ თვალში მოხვდათ ჭახჭახა ყვითლად შეღებილი, მეტისმეტად ულაზათო, რაღაც მექანიკური მოწყობილობა. ამ მექანიკური ამწე მანქანის საშუალებით უნდა ჩამოეღოთ პრეზიდენტის კუბო მიწაზე.

აეროდრომის მესერს იქით კი, ნესტიანი ღამის წყვდიადს მდუმარედ მდგარი სამი ათასი კაცი გაეუჩინარებინა. და ეს მხოლოდ ავანგარდი იყო. შემდეგ დღეებში ხალხის ნამდვილი ზღვა მოსკდა მოწამებრივი სიკვდილით დაღუპული პრეზიდენტის წინაშე უკანასკნელი ვალის მოსახდელად. მესერს გადაღმა მდგარ მწუხარე ადამიანთა სახეები ღირსებასა და დიდებულებას მატებდა ამ კოშმარულ სცენას.

პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველი ტედ სორენსენი ვერტმფრენში ლინდონ ჯონსონის თანაშემწეებთან უოლტერ ჯენკინსთან და ჯორჯ რიდისთან იჯდა და გულახდილად გამოუტყდა მათ:

— ძალიან მებრალებით, ასეთ დღეში რომ ჩაცვივდით. ვეცდები შეძლებისდაგვარად დაგეხმაროთ. მაგრამ, ეიმედოვნებ, მაპატიებთ ტეხასის შტატისადმი ჩემს უკიდურეს უპატივცემულობას.

— მეც თვითონ მაგდაგვარი ფიქრები მტანჯავენო, — მშვიდი ხმით მიუგო რიდიმ. ჯონსონის თანაშემწის სიტყვები ეჭვმიუტანელი იყო. მომხდარმა უბედურებამ ისინი კენედის თანაშემწეებზე ნაკლებად როდი შეაძრწუნა. ამას ყველა ხედავდა. ფიქრებში ჩაძირულმა შლეზინგერმა ისიც კი გაიფიქრა, თუკი ჯონსონმა რიდისა და ჯენკინსის მაგვარი ადამიანების მიმხრობა მოახერხა, იქნებ, თვითონაც არ არის ისეთი ცუდი, როგორც ადრე ჩანდაო. ფიქრებში უფრო ღრმად შეჭრილი ბანდი კი მზად იყო ინდულგენცია მიეცა თვით ქალაქ დალასისათვის, რადგან მისი აზრით, „ერთი შეშლილი ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ ქალაქში ყველა გაგიჟდა“.

ჯიმ სუინდალმა ღრუბლების მუქი ფენა გაჭრა და პრეზიდენ-

ტის თვითმფრინავის დაშვება დაიწყო. წინ დედაქალაქის ჩირაღდნები კაშკაშებდნენ.

ჯონსონი პრეზიდენტის საძინებელ სალონში იყო. წვერი გაპარსა, კიდევ ერთხელ გამოიცვალა პერანგი და თმა დაივარცხნა.

კორიდორში, სამდივნოს შესასვლელთან მდგარ როი კელერმანს კლინტ ჰილი მიუახლოვდა და უთხრა:

— ეაკლინს თქვენი ნახვა სურს.

როი კუდის ნაკვეთურისაკენ გაემართა. დეივ პაუერსმა როის ეაკლინის სურვილი გადასცა:

— ქალბატონი კენედი გთხოვთ, კუბო თქვენ და პრეზიდენტის სხვა მხლებელმა აგენტებმა გადაიტანოთ, თანაც მანქანის საჭესთან კვლავ გრირის დასმას ითხოვს.

კელერმანმა იცოდა, რა მწარედ განიცდიდა გრირი მომხდარ უბედურებას და ქვრივის ასეთმა გულისხმიერებამ საოცრად ააღელვა.

ეაკლინმა ასევე თავისთან იხმო ეველინ ლინკოლნი, მერი გალაჰერი, მაგზი ო'ლირი და ჯორჯ ტომასი.

— გთხოვთ კუბოს მახლობლად იყოთ, — უთხრა მან თითოეულ მათგანს.

მერე გოდფრი მაკჰიუს მიუბრუნდა:

— მე მინდა ჯონი ბიჭობრებმა გაიტანონ.

კუდის ნაკვეთურში ტედ კლიფტონი შემოვიდა და კენ ო'დონელს მოახსენა:

— სამხედროები მზად არიან კუბოს გასატანად.

— ჩვენ თვითონვე გავიტანთ, — მოკლედ მოუჭრა ო'დონელმა.

თვითმფრინავის კუდის ვიწრო გასასვლელში თხუთმეტიოდე კაცმა მოიყარა თავი.

მაკ კლიფტონმა განმარტოებით მდგარი ჯონსონი შენიშნა.

პრეს-მდივნის მოვალეობის შემსრულებელი უკიდურეს უხერხულობას გრძნობდა. მოგვიანებით მისი დაბნეულობა კიდევ უფრო გაიზარდა. პრეზიდენტის კანცელარიაში ყოფნისას შეიტყო, რომ ჯონსონი გულმოსული იყო და ყველაფრის მიზეზად სწორედ მას თვლიდა. თვით მეორე დღესაც კი პრეზიდენტი გაბრაზებით

იხსენებდა ამ ინციდენტს. მისი თავმჯდომარეობით პირველად ჩატარებული სხდომის შემდეგ ჯონსონმა ერთ-ერთ მინისტრს საიდუმლოდ უთხრა: — კენედის ოჯახსა და ჩემ შორის დიდი სიძნელეები წარმოიშვაო. აი, რა ჩაწერა თავის დღიურში შაბათ საღამოს კაბინეტის ამ წევრმა ჯონსონთან საუბრის შემდეგ:

„მან თქვა, თვითმფრინავის დაშვების შემდეგ... (მათ) ზედაც არ შემომხედეს, ცხედარი თვითმფრინავიდან გაიტანეს, კუბო მანქანაზე დადგეს, თან გაიყოლეს ქ-ნი კენედი და გაემგზავრნენო. მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოვიდა იგი თვითმფრინავიდან. ეს კი ნიშნავდა, რომ მას, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს არავითარი ყურადღება არ მიაქციეს და პატივისცემის ნასახიც არ გამოამჟღავნეს. და რომ ყოველივე ამას, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, მან მეორე ლოყა მიუშვირა.

— აბა რა უნდა ვქნა, — თქვა მან. — მე არ მინდა ამ ოჯახთან უსიამოვნება. კენედის შარავანდედსაც დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველი ჩვენთაგანისათვის“.

სუინდალმა ოსტატურად დასვა თვითმფრინავი. არც ერთ მგზავრს არ უგრძვნია, როდის შეეხო იგი მიწას. თავშეყრილი ხალხი თვითმფრინავის იმ უკანა კარს მისჩერებოდა, საიდანაც, ჩვეულებრივ, პრეზიდენტი გადმოდიოდა ხოლმე. სწორედ ამით ისარგებლა რობერტ კენედიმ და ყველასაგან შეუმჩნეველად თვითმფრინავის წინა კარისკენ მიმავალ ტრაპს შეახტა. ტრაპი ჯერ კიდევ მიგორავდა, რომ საფეხურზე სირბილით ამავალ რობერტ ტრაპს თავზე მოექცა. თვითმფრინავში შევარდნილმა ელვის სისწრაფით გაირბინა რადიოჯიხური, სამდივნოს კაბინა, სალონი. ლიზ კარპენტერმა იცნო მისი შეცვლილი სახე და თანაგრძნობისა და დამშვიდების ნიშნად მხარზე ხელის დადება მოუნდომა, მაგრამ რობერტს არც კარპენტერი შეუნიშნავს და არც ცოლ-ქმარი ჯონსონები. მეორე დღეს აკი თქვა კიდეც ჯონსონმა თავის ერთ-ერთ თანაშემწესთან საუბრისას, რობერტ კენედი არც კი გამომელაპარაკაო. დიახ, რობერტს მხოლოდ ერთი ადამიანის ნახვა სურდა. ლიზმა გაიგონა გავლისას ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები:

— მე ჯეკის ნახვა მსურს.

კუდის ნაკვეთურში შესული რობერტი ჟაკლინს ჩუმად მიუახლოვდა და გვერდში ამოუდგა.

— ჯეკი, — ჩუმი ხმით წარმოთქვა ძან და ქალს მხრებზე მოეხვია. — მე აქ ვარ.

ყველა შეკრთა: რობერტს თავისი ძმის ხმა ჰქონდა...

— ოჰ, ბობი, — თქვა ქალმა; უფრო სწორად ამოიკვნესა, სადღაც თითქოს შეება იგრძნო, მის გვერდში ბობი იდგა. „ჰო, ნამდვილად ბობია, — გაიფიქრა ქალმა, — ჭირში მუდამ შენს გვერდით მყოფი, ბობი“.

თვითმფრინავმა ერთი კიდევ წაიწია და საბოლოოდ გაჩერდა. აკიაფდნენ პროჟექტორები. სუინდალმა და ჰერსონმა ტრაპი სწრაფად ჩაირბინეს, უკანა კარისაკენ მიბრუნდნენ და პატიუისცემის ნიშნად იქვე გაირინდნენ. თვითმფრინავს უზარმაზარი ამწე მიუახლოვდა. მერე კუდის ნაკვეთურის კარი გაიღო და ლერი ო'ბრაიენის მრგვალი სახე გამოჩნდა. დაბლა მდგარმა მთავრობის წევრებმა იუსტიციის მინისტრის გატანჯულ პროფილს მოჰკრეს თვალი და საოცრად გაოცდნენ: როგორ არ ვიცოდით, ბობი დალასში თუ ჩაფრინდაო. ჟაკლინის ერთი ხელი რობერტ კენედის ეჭირა, მეორე ხელში კი ჩანთა ეკავა. უეცრად ყველამ შენიშნა სისხლის შხეფებით მოსვრილი ჟაკლინ კენედის ტანსაცმელი. წუთიც და კარში კელერმანი, გრირი, ო'ლირი, ჰილი და ლენდისი გამოჩნდნენ. მათ ფრთხილად დაუშვეს კუბო ჟაკლინისა და რობერტის ფერხთით. პროჟექტორების შუქი ზედ კუბოს ეცემოდა.

სამარისებური სიჩუმე იდგა. უხმოდ მზირალ ადამიანებს თვალი ვერ მოეწყვიტათ პრეზიდენტის მუქი წითელი ფერის ბრინჯაოს კუბოსათვის.

მეშვიდე თავი

ჟაკლინ კენედი

ამწე მანქანის მოყვანა დიდი ვერაფერი ხერხი გამოდგა. იგი თვითმფრინავის კარსაც ვერ მისწვდა. თავში კელერმანმა, ბოლოში გრირმა, საიდუმლო სამსახურის ხუთმა აგენტმა და გოლდფრი მაკჰიუმ ძლივ-ძლივობით დაუშვეს ბრინჯაოს კუბო ამწის ბაქანზე. თვითმფრინავიდან ამწეზე ჯერ ჟაკლინი და რობერტი გადმოვიდა,

მერე დანარჩენებიც მიჰყვნენ — ეველინ ლინკოლნი, მერი გალ-ჰერი, ექიმი ბერკლი, კენ ო'დონელი. ქვრივის უკან ტირილისაგან სახედასიებულ ამ ადამიანთა მწუხარე მწკრივი გაიძაბა.

რობერტ კენედიმ რძალს ჰკითხა:

— შენ ვერტმფრენი გელოდება. პირდაპირ თეთრ სახლში მიგიყვანს. საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვს?

— არა, არა! მე ახლავე ბეტესდეს ჰოსპიტალში უნდა წავიდე.

ქალმა „სასწრაფო დახმარების" ნაცრისფერ კარეტას მოჰკრა თვალი და იფიქრა, ალბათ, ჩემი თხოვნით გამოიძახესო.

— ჩვენ ამით გავემგზავრებით, — წარმოთქვა ქალმა.

ამწის პლატფორმამ ძირს დაშვება იწყო და ბიწიდან ხუთი ფუტის სიმაღლეზე შეჩერდა. ეს იყო ზღვარი. პრეზიდენტის თანაშემწეებმა, დაცვის აგენტებმა და ამ საქმისათვის მობილიზებულმა ჯარის ხუთივე სახეობის წარმომადგენლებმა დიდი გაჭირვებითა და წელში დრეკით ასწიეს მოსახსნელფეხებიანი ბრინჯაოს ყუთი და ნელ-ნელა მიწაზე დაუშვეს. უსაშველოდ მძიმე ტვირთი აქეთ-იქით ქანაობდა და კინაღამ მიწას დაენარცხა. „გროტესკი", — ასე დაახასიათა ეს სცენა ერთმა ჟურნალისტმა. ამ არეულობაში ჟაკლინ კენედი რამდენიმე წამით როგორღაც გვერდზე გარიყული აღმოჩნდა.

კლინტ ჰილს ეგონა, ქალი „სასწრაფო დახმარების" კარეტაში მძღოლის გვერდით დაჯდებაო, შეეცადა კიდეც ჟაკლინის იქ დასმას, მაგრამ ქვრივმა სასტიკი უარი განაცხადა:

— არა, მე უკან დავჯდებიო — თქვა და გვერდზე მიდგა. გრირი, კელერმანი, ლენდისი და ექიმი ბერკლი ძლივს შეიკუმშნენ წინა საჯდომზე. გრირი საჭეს მიუჯდა, ექიმი იძულებული გახდა ლენდისის მუხლებზე ჩამომჯდარიყო. იუსტიციის მინისტრი მანქანის ძარაში რძლის პირდაპირ ჩაჯდა. გოდფრი მაკჰიუც ქალის გვერდით მიიკუნჭა.

ვიდრე თვითმფრინავთან მიდგმულ ამწეს წაიღებდნენ და ახალი პრეზიდენტის ჩამოსასვლელად თვითმფრინავთან ტრაპს მიაგორებდნენ, „სასწრაფო დახმარების" მანქანა მოკლული პრეზიდენტის ცხედრით ადგილს მოწყდა და გეზი ჰოსპიტლისაკენ აიღო.

რობერტ კენედიმ პლასტმასის ტიხარი გადასწია, მძღოლისაგან რომ ანცალკევებდა, და კელერმანს ჰკითხა:

— როი, გაიგონე, დალასში ვიღაც ახალგაზრდა რომ დაუპატიმრებიათ?

როიმ ჯერ კიდევ არაფერი იცოდა. ლი ჰარვი ოსვალდს უკვე ორი საათია ეპყრო მთელი ქვეყნის ყურადღება, მაგრამ თვითმფრინავ „ანგელოზში" ეს ამბავი მხოლოდ იმათ იცოდნენ, ვინც სალონში ტელევიზიის გადაცემას უყურებდა.

მერე როგორღაც აბნეულად ალაპარაკდნენ, ხან კენედის თანაშემწეების მოსალოდნელი ბედი ახსენეს, ხან ლავ ფილდის აეროდრომიდან გამოფრენის დაგვიანება და მაკჰიუს როლი ამ საქმეში. ბოლოს ახალი პრეზიდენტის მიერ დაგვიანების მისეული ახსნაც მოიხსენიეს.

— ბობი, ლინდონმა თქვა, რომ ამის თაობაზე შენ გელაპარაკა, — მიუბრუნდა ჟაკლინი მაზლს, — და რომ შენ უთხარი, ფიცი უსათუოდ დალასში დადევიო.

იუსტიციის მინისტრი განცვიფრდა.

— როგორც ჩანს, რაღაც გაუგებრობაა. მე ამდაგვარი არაფერი შემითავაზებია.

ჟაკლინი კუბოსაკენ გადაიხარა და წაიჩურჩულა:

— ო, ბობი, არ შემიძლია დავიჯერო, რომ ჯონი აღარ არის.

მერე ქალმა მაზლის მხრებთან დაშვებულ ნაცრისფერ ფარდებს ხილვადაკარგული მზერა მიაპყრო და ერთიმეორის მიყოლებით უამბო, როგორ გაიარა პრეზიდენტის კორტეჟმა დალასის ქუჩები, როგორ მოკლეს ამ უღრუბლო მზიან დღეს და რა ხდებოდა შემდეგ. მთელი ოცი წუთი გაგრძელდა ეს საშინელი, დაძაბული თხრობა.

ამ მძიმე საუბარს შემდეგ ასე იგონებდა რობერტ კენედი:

— აშკარა იყო, ჟაკლინს გულით ეწადა ეს ყველაფერი ჩემთვის ეამბნა; სულ ერთია, მსურდა თუ არა, მე კი უბრალოდ მაშინ არც მიფიქრია, მინდოდა თუ არა ამის მოსმენა. ჰოდა, მიამბო კიდეც.

მანქანა უკვე ვაშინგტონის ქუჩებში მიქროდა. იუსტიციის მინისტრმა უეცრად თეთრი სახლის სამხრეთის ქათქათა კარიბჭეს მოჰკრა თვალი, ჯერ კიდევ კლივლენდისა და თეოდორ რუზველტის პრეზიდენტობის დროს დარგულ მუხებსა და ნეკერჩხლებს შორის რომ გამოჩნდა. 1036 დღის განმავლობაში ეს იყო პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის სახლი.

მანქანა თეთრ სახლსა და პარკს გასცდა. უეცრად გრირი იძულებული გახდა, მანქანა გზის კიდისაკენ წაეყვანა. შუა გზაზე, ლია ლუკის წინ, მწვანე ფერის, მაღალი და ვიწრო საბარგო მანქანა იდგა. მუშების ჯგუფი მონდომებით უშვებდა ლუკში ლითონის კაბელს. ტელევიზია უკვე ემზადებოდა სამგლოვიარო პროცესიის ტრანსლიაციისათვის. სატელეფონო კომპანია „ჩეპაზეკი და პოტომაკს“ ექვსი მილი სიგრძის დროებითი სატელეფონო კაბელის დაგება მოუხდა.

— ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ყოველთვის მხოლოდ მთავარი შესასვლელიდან შედის, — ბტკიცე ხმით უთხრა ექიმმა ბერკლიმ მძღოლ გრირს, როცა მანქანა ჰოსპიტლის შენობას მიუახლოვდა.

ამჯერად პრეზიდენტის მოსვლას არ ახლდა პოლიციელთა მანქანების წითელი ფარების-ნათება და საყვირების გაბმული ზუზუნი. კენედის მახლობლებმა კარგად იცოდნენ მისი აგდებული დამოკიდებულება მთელი ამ ფაცაფუცის მიმართ.

ახლა ამ მანქანას მხოლოდ მოტოციკლისტების ესკორტი ახლდა. გრირმა სიჩქარეს უმატა. მოტოციკლებზე მსხდარი პოლიციელები გრუხუნით გაეარდნენ წინ და „სასწრაფო დახმარების“ კარეტაც სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალ ბეთესდეს მთავარ შესასვლელთან მიიჭრა. მანქანის კარი პირველი რანგის კაპიტანმა გაიღო.

შესასვლელში დაფენილ, ოქრომკედით ღუზაამოქარგულ ლურჯ ხალიჩაზე ჰოსპიტლის უფროსი, კონტრ-ადმირალი კალვინ გალოუეი, კაპიტანი და კაპელანი იდგნენ. იუსტიციის მინისტრი და კაპიტანი ჟაკლინს მანქანიდან გადმოსვლაში მიეშველნენ. გოდფრი მაკჰიუ კუბოს არ მოშორებია. იგი ბოლომდე დარჩა თავის სამგლოვიარო საგუშაგოზე დაღუპული პრეზიდენტის ცხედართან.

* * *

„სასწრაფო დახმარების“ კარეტის წასვლიდან ზუსტად ოთხი წუთის შემდეგ უცნაური ამწე იქაურობას მოაშორეს.

პრეზიდენტი ჯონსონი, როგორც იქნა, თვითმფრინავიდან გადმოვიდა და ტრაპს ჩამოჰყვა. პრეზიდენტს პირველი მაკნამარა მე-

ესალმა. ჯონსონი მაკნამარასა და მის უკან მდგარ სენატორ მენსფილდს მიუბრუნდა და მწუხარე ხმით წარმოთქვა:

— რა საშინელებაა, საშინელება!

ჯონსონმა ჯენკინსსა და რიდს თავი დაუკანტურა და თავისი ტლანქი ნაბიჯებით გზა განაგრძო. გრძნობამოზღვავებულმა შლეზინგერმა მოახლოვებულ პრეზიდენტს ხელი ჩამოართვა და, როგორღაც ერთბაშად წამოისროლა:

— რაც კი შემიძლია, ყველაფერს გავაკეთებ.

ჰიუბერტ ჰემფრიმ, ერლ უორენმა და ავერელ ჰარიმანმაც ჩამოართვეს ხელი პრეზიდენტს. ზოგი ადგილიდან არ განძრეულა. არტურ გოლდბერგისა და ჯონსონის მზერა ერთმანეთს შეხვდა, მაგრამ გოლდბერგი პრეზიდენტთან მაინც არ მივიდა და თავისი საქციელი შემდეგ ასე ახსნა:

— ჩემს იქ ყოფნას სხვა მიზანი ჰქონდა. მე იქ მიცვალებულისადმი უკანასკნელი ვალის მოსახდელად მივედი. დიახ, იქ მხოლოდ უნდა ვმდგარიყავი და მეტი არაფერი. მე ასე მწამდა.

18 საათსა და 14 წუთზე ჯონსონი ჟურნალისტების თავშეყრის ადგილს მიუახლოვდა. პრეზიდენტს მიკროფონების მთელი ტყე ელოდებოდა. ჯონსონის შემდეგდროინდელი მოგონების თანახმად, გამოსვლის წინ მთელი მისი აზრები ღმერთისადმი იყო მიმართული. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, გუნებაში მამაზეციერს ევედრებოდა „ღმერთო, შენ მიშველე, პატიოსნად შევასრულო ჩემი მოვალეობა“. ამქვეყნიური ძალები დიდად ვერაფრად წყალობდა.

ძნელი წარმოსადგენია უფრო არახელსაყრელი გარემოცვა. ამწე კი წაიღეს, მაგრამ აეროდრომის იერი ამით სულაც არ გალამაზებულა. ეს კიდევ არაფერი, ჯონსონს ნამდვილი კაკაფონიის თანხლებით უნდა ელაპარაკა. მისგან რამდენიმე ნაბიჯის იქით ხმამაღლა ქვითინებდნენ ჰიუბერტ ჰემფრი და ქალბატონი მენსფილდი. სწორედ მაშინ აფრენილმა ვერტმფრენების გუგუნმა ხომ მთლად გააყრუა იქაურობა.

ლედი ბიორდის გვერდით მდგარი ჯონსონი თავისი განცხადების კითხვას შეუდგა:

— მწუხარე ქმი უდგას ახლა ჩვენს ხალხს. თავს დაგვატყდა მძიმე, აუნაზღაურებელი დანაკლისი. პირადად ჩემთვის ეს

უდიდესი ტრაგედიაა. მე მწამს, მთელი მსოფლიო ინაწილებს ქალბატონი კენედისა და მისი ოჯახის მწუხარებას. მე გავაკეთებ ყველაფერს, რაც კი ძალმიძს. ვითხოვ თქვენს დახმარებასა და ღმერთის შეწევნას.

ამ სატელევიზიო გადაცემის მაყურებელი აუდიტორია გაოცებული იყო ენდრიუსის აეროდრომზე ატეხილი გაუთავებელი გუგუნით (ვერტმფრენები ტელეკამერების კადრში არა ჩანდნენ). თვით აეროდრომზე მყოფ მსმენელთა შორისაც ცოტა ვინმე თუ მიხვდა, საერთოდ, რა თქვა ჯონსონმა.

თითქოს არც ლედი ბიორდი უსმენდა მეუღლის სიტყვებს. მისი მზერა სადღაც იქით იყო მიპყრობილი.

პრეზიდენტის ირგვლივ კონგრესის მოთავენი შემოკრბნენ. აქ იყვნენ ჰემფრი, მენსფილდი, დირკსენი, სმაზერსი, ჰეილ ბომსი, კარლ ალბერტი, ჩარლი ჰალეკი, ლეზ არენდსი. ჯონსონის მეოთხედსაუკუნოვანმა საპარლამენტო კარიერამ კაპიტოლიუმის ბინადარნი მის ბუნებრივ მოკავშირეებად აქცია. კენედისავან განსხვავებით, რომელიც არასოდეს ყოფილა სენატის მეთაურთა შეკრული წრის წევრი, ჯონსონს მათი ფართო მხარდაჭერის იმედი უნდა ჰქონოდა.

თუმცა, ახლა იგი სახელმწიფო მანქანის სულ სხვა ნაწილს მეთაურობდა და აქაც მეგობართა მხარდაჭერას საჭიროებდა. მის გული აუჩვილა მაკნამარას მისალმებამ. ვიცე-პრეზიდენტად ყოფნისას იგი ესწრებოდა ხოლმე უშიშროების ნაციონალურ საბჭოსა და კაბინეტის წევრთა სხდომებს. ამიტომაც მისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენდა ის ამბავი, რომ კენედის მთავრობაში ყველაზე ძლიერი ადამიანები იუსტიციისა და თავდაცვის მინისტრები იყვნენ. ჯონსონმა მაკნამარა იხმო და სთხოვა, თეთრ სახლში შენ გამომყევიო, თან ბანდისა და როგორც თვითონ თქვა, „ერთ-ერთი სახდეპარტამენტელის“ თანხლება ითხოვა.

აეროდრომზე სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯორჯ ბოლი იმყოფებაო, მოახსენა თავდაცვის მინისტრმა. პრეზიდენტს უმალვე თვით ჯორჯ ბოლი მიუახლოვდა და საბელმწიფო დეპარტამენტის სამახსოვრო ბარათი და განცხადების პროექტი გაღასცა. ჯორჯ ბოლის აზრით, პრეზიდენტი შოკიდან მთლიანად გაჭოსული არ იყო. სახე თითქოს ეკრუნჩხებოდა კიდეც. ბოლოს ისიც კი მოეჩ-

ვენა, რომ პრეზიდენტი ძლიერი ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ მყოფი კაცივით მოძრაობდა. მაკნამარას აზრით კი — პირიქით, ჯონსონს „საოცრად თავშეკავებულად ეჭირა თავი. მის მდგომარეობაში მე უფრო ნირწამხდარი ვიქნებოდი". როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტმა შემთხვევის შესაფერისი სიტყვები წარმოთქვა.

ენდრიუსის აეროდრომიდან თეთრ სახლში ვერტმფრენით ჩაფრენისათვის საჭირო იმ ათწუთიანი მოგზაურობის დროს ჯონსონმა გულში ჩაიხშო ყველა ის უკმაყოფილო გრძნობა, რაც აეროდრომზე მისდამი უპატივცემულობამ აღუძრა და დაწვრილებით მოჰყვა ჟაკლინ კენედის მერე დალასში გამოჩენილი ვაჟკაცური საქციელის ამბავს.

— ასეთ გმირობას მე ჯერ არსად მოვსწრებივარ, — ეუბნებოდა იგი ბოლს. მერე ჯონსონმა თავის სამ თანამგზავრს საკუთარი შეხედულება მოასსენა მათ დიდ ნიჭიერებაზე. ჯონსონის სიტყვებმა განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება ბოლზე მოახდინა.

— კენედიმ მიაღწია იმას, რასაც მე ვერასოდეს მოვახერხებდი, — თქვა ჯონსონმა. — მან თავის ირგვლივ ყველაზე ნიჭიერი ხალხი შემოიკრიბა, ვისაც კი საერთოდ ვიცნობ, არა როგორც მეგობრები ან სახელმწიფო აპარატის უკეთესი მუშაკები, არამედ, უბრალოდ უკეთესნი ყველა სფეროში. ჩემი სურვილია, თქვენ ამავე ადგილზე დარჩეთ. მე მჭირდებით თქვენ და მინდა ჩემთან ერთად იყოთ.

პრეზიდენტმა ყველას სათითაოდ გამოჰკითხა, რა ზომები განახორციელეს და რა საკითხები იყო გადასაჭრელი.

— ჩემი აზრით, უახლოეს ორმოცდარვა საათში განსაკუთრებულად საჩქარო არაფერი ჩანს, — მოახსენა ბანდიმ.

მერე პრეზიდენტი თავდაცვის მინისტრს მიუტრიალდა:

— რა მნიშვნელოვანი საკითხები გვაქვს გადასაჭრელი?

პასუხად მაკნამარამ პრეზიდენტს გააცნო დედამიწის სხვადასხვა ნაწილში განლაგებული ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების დისპოზიციები, მათი საბრძოლო მზადყოფნა და მოკავშირეთა ჯარების რაოდენობა, რასაც შეიძლებოდა დაყრდნობოდა ამერიკის შეერთებული შტატები.

ბოლმა მოკლედ დაახასიათა პრეზიდენტ კენედის მკვლელობით გამოწვეული უცხო სახელმწიფოების მთავრობათა რეაქციები.

18 საათსა და 25 წუთზე ისინი უკვე თეთრი სახლის ტერიტორიის სამხრეთ ნაწილის თავზე ფრენდნენ.

პრეზიდენტი ჯონსონი დედაქალაქში საყოველთაო მწუხარების დღეს ჩავიდა. უდავოა, ჯერ არც ერთი პრეზიდენტი ამ პოსტზე არ ასულა ესოდენ მძიმე და ტრაგიკულ ვითარებაში.

ვერტმფრენი მიწაზე დაეშვა. ჯონსონმა გაზონი გადაჭრა და საუბრის შეუწყვეტლად გასწია თეთრი სახლისაკენ.

თვით ბანდისაც კი, მთელ მთავრობაში ამ ყველაზე ნამდვილ ჩინოვნიკს, მგონი, სავსებით შეგნებული არა ჰქონდა, ვის გულისხმობდა სიტყვა „პრეზიდენტის" წარმოთქმისას.

— ბატონო პრეზიდენტო, — დაიწყო მან, — ჯერ ერთი, მიმაჩნია, რომ ყველა დოკუმენტი, რაც კი დღევანდელი დღის ორ საათამდე პრეზიდენტის სეიფში ინახება, ეკუთვნის მის ოჯახს, მეორეც, ქალბატონი კენედი უთუოდ თვითონ განსაზღვრავს დაკრძალვის წესსა და თადარიგს.

— თქვენ მართალი ხართ, — ისროლა სიტყვა ჯონსონმა და დიდი ნაბიჯებით მისალებს ჩაუარა, სადაც ჩვეულებრივ, კენედის მდივანი ქალი ეველინ ლინკოლნი მუშაობდა. ჯონსონმა გაიარა თეთრი სახლის მთელი დასავლეთი ფრთა, გავიდა უესტ ეკზეკუტივ-ავენიუზე და პრეზიდენტის კანცელარიის შენობის მეორე სართულზე თავის — ვიცე-პრეზიდენტის კაბინეტს მიაშურა. ჯონსონს იქ მისი მდივანი ქალი ჰუანიტა რობერტსი ელოდებოდა და მაშინვე შეუდგა მუშაობას. თხუთმეტი წუთის შემდეგ იქ მისულმა ტედ კლიფტონმა კენედის ოვალურ კაბინეტში ჯონსონის გადმოყვანის საკითხი დააყენა. ბილ მოიერსმა ეს ამბავი ჯონსონს გადასცა, მაგრამ პრეზიდენტმა კატეგორიულად უარყო ეს წინადადება და განაცხადა:

— ეს ჩემი მხრივ უდიდესი უტაქტობა იქნება.

ჯონსონმა ტელეფონისაკენ წაიღო ხელი, მაგრამ გაახსენდა პატარა წიგნაკი, მისთვის საჭირო ყველა ნომრით, მარი ფემერთან რომ დარჩა და ჰუანიტას ჰკითხა:

— სად არის მარი?

მარი არსად ჩანდა. უფრო მეტიც, მის თანმხლებ პირთა ძი-

რითადი ჯგუფი ვერტმფრენის მოედანსა და თეთრ სახლს შორის გზაში სადღაც გაიბნა. ამ უზარმაზარ შენობაში მოხვედრილი მცირე თანაშემწენი აქეთ-იქით გაიფანტნენ. რიდი ჯერ დიპლომატთა მისაღებ დარბაზში შევიდა, მერე არასწორი მიმართულებით რამდენჯერმე გაუხვ-გამოუხვია, ბოლოს იძულებული გახდა დახმარებისათვის მორიგე პოლიციელისათვის მიემართა. ჯეკ ვალენტისა და კლიფ კარტერს თეთრ სახლში შესასვლელი საშვი არ ჰქონდათ და დაცვის აგენტებთან შეხვედრას გაურბოდნენ. მათ სწრაფად გაიარეს სარდაფის სართულის წითელი ნოხით ნაგები კორიდორი და შვებით. ამოისუნთქეს, როცა ჰირდაპირ პრეზიდენტის კანცელარიის შენობა დაინახეს.

მაკნამარა და ბოლი ჯერ კიდევ თეთრი სახლის დასავლეთ ფრთაზე დაშორდნენ ჯონსონს. ვინაიდან ჯონსონი კონგრესის აქტიურ მოღვაწეთა შეკრებას აპირებდა, მაკნამარა და ბოლიც კაბინეტის სხდომათა დარბაზში შევიდნენ. იქვე სავარძლებში ჩასხდნენ და მთელი ოცი წუთი ისაუბრეს. ეს ორი კაცი პირველად აჯამებდა კენედის მმართველობის პერიოდს. გაშორირკვა, რომ თეთრ სახლში კენედის მოსვლის დროიდან მათ შეხედულებებს დაახლოებით ერთი მიმართულება ჰქონდათ. ორთავე იმ აზრისა გახლდათ, რომ 1960 წლის არჩევნებში კენედის მეტად მცირე უპირატესობით მოტანილმა გამარჯვებამ დაამძიმა მისი მმართველობის პირველი პერიოდი და აიძულა კენედი თავისი მთავრობის მთელი ძალები სახელმწიფოს შემჭიდროებისათვის გამოეყენებინა. ერთიცა და მეორეც დიდ იმედებს ამყარებდნენ 1964 წლის არჩევნებზე. ისინი დარწმუნებული იყვნენ, ამ არჩევნებში კენედი ხმათა დიდი უმრავლესობით გაიმარჯვებდა. ხოლო თუ ოპოზიციური რესპუბლიკური პარტია გოლდუოტერის კანდიდატურის წამოყენებას გადაწყვეტდა, მაშინ მოწინააღმდეგეზე გამარჯვება უპრეცედენტო უპირატესობით იქნებოდა განაღდებული. რის შემდეგაც, მათი ღრმა რწმენით, კენედის განჭვრეტის ძალა ამერიკას მოუტანდა ძირფესვიან გარდაქმნათა ოთხ ყველაზე მგზნებარე წელიწადს მთელი მისი ისტორიის მანძილზე.

მოსაუბრენი მხოლოდ მაშინ გაშორდნენ ერთმანეთს, როცა ჯონსონის მთელმა აპარატმა პრეზიდენტის კანცელარიის მეორე სართულზე მოიყარა თავი: ჯონსონმა თანამშრომელთა თავშეყ-

რამდე ჯენკინსსა და რირდონს მეორე დღისათვის კაბინეტის სხდომის მოწვევა დაავალა.

კილდაფს გადასცეს პრეზიდენტის უკმაყოფილება ენდრიუსის აეროდრომზე შეხვედრის ორგანიზაციის გამო. რიდიმ შენიშნა, რომ საუბრისას ჯონსონს დალასი არც კი უხსენებია. მხოლოდ ერთხელ გაკვრით წაილაპარაკა:

— დღეს რუფი მართლა გმირულად იქცეოდა. ძე ავტომანქანაში დაბლა დამცა, თავად კი მთელი ტანით ზედ გადამეფარა.

მაგრამ ესეც როგორღაც სხვათა შორის თქვა. ჯონსონის მთელი აზრი და გონი ბომავლისაკენ იყო მიმართული.

— არავითარი პაუზა, — გადაჭრით განაცხადა მან, — მთავრობამ უნდა განაგრძოს თავისი საქმიანობა. ჩვენ ყველამ საშინელი ელდა განვიცადეთ, მაგრამ ვალდებულნი ვართ კვლავინდებურად მხოლოდ წინ გავწიოთ.

როგორც იქნა, აქომინებული მარი ფემერიც მოვიდა და დაიწყო დაუსრულებელი რეკვა, მის მოსვლამდე კი ბდიუნის მოვალეობას ბილ მოიერსი ასრულებდა.

19 საათსა და 5 წუთზე პრეზიდენტი ჯონსონი ტელეფონით ელაპარაკა ჰარი ტრუმენს. 19 საათსა და 10 წუთზე კი ნიუ-იორკში ეიზენჰაუერს დაურეკა. პრეზიდენტი ყოფილ პრეზიდენტს ეკითხებოდა, თვითმფრინავს გამოგიგზავნითო. ეიზენჰაუერს საკუთარი თვითმფრინავი ჰქონდა და საჭიროების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეეძლო გამოფრენა, მაგრამ როგორც ეს სუბრისს დაადგინეს, ასეთი სასწრაფო გამოფრენის აუცილებლობა არ იყო და მათი თეთრ სახლში შეხვედრა მეორე დღისათვის დაიგეგმა. 19 საათსა და 20 წუთზე ჯონსონმა სამძიმარი გამოუცხადა კენედის სიძეს სარჯენტ შრივერს. დანგენის საწერ მაგიდას მიმჯდარი სარჯენტ შრივერი თავაუღებლად მუშაობდა.

ამ საუბრის შემდეგ პრეზიდენტი მაგიდას მიუჯდა. მას ორი პირადი ბარათი ჰქონდა დასაწერი. თავის სიცოცხლეში იგი პირველად წერდა ბარათს თეთრი სახლის ბლანკზე. 19 საათსა და 25 წუთზე პრეზიდენტმა ედგარ გუვერს დაურეკა. გუვერი შინ იყო. პრეზიდენტმა გამოძიების ფედერალურ ბიუროს მკვლელობის სრული აღწერის მომზადება დაავალა. გუვერმაც მაშინვე ბიუროში დარეკა და თავის თანაშემწესა და მასთან ერთად ოცდაათ აგენტს დაუყოვნებლივ დალასში გამგზავრება უბრძანა.

მდივანმა ქალმა, ჰუანიტა რობერტსმა, პრეზიდენტს მოახსენა — სენატორები და კონგრესმენები მისაღებში გელოდებიანო.

— ცოტა დაცდა მოუწევთ, — წაიბუტბუტა ჯონსონმა, რადგან მეორე წერილიც დასამთავრებელი ჰქონდა. პირველი უკვე დაეწერა. აი რა ეწერა ამ ბარათებში:

„თეთრი სახლი. ვაშინგტონი, 1963 წელი.
22 ნოემბერი, 19.20, პარასკევი.
ძვირფასო ჯონ!

ჯერ კიდევ ბევრი წელი გაივლის, ვიდრე ნამდვილად მიხვდებოდე, რა დიდი ადამიანი იყო მამაშენი. მისი სიკვდილი — დიდი პირადი ტრაგედიაა ყველა ჩვენთაგანისათვის.

მინდოდა განსაკუთრებით გცოდნოდა, რომ მე ვიზიარებ შენს მწუხარებას. შენ ყოველთვის იამაყებ მამაშენით.

შენი მოსიყვარულე
ლინდონ ბ. ჯონსონი“.

მეორე ბარათი ოდნავ უფრო გრძელი იყო. ორი ქალიშვილის მამა ლინდონ ჯონსონი განსაკუთრებულ სიყვარულს ამჟღავნებდა პრეზიდენტის ქალიშვილისადმი.

„თეთრი სახლი. ვაშინგტონი. 1963. 22 ნოემბერი.
19.30, პარასკევი.
ძვირფასო კეროლაინ!

შენი მამის სიკვდილი დიდ ტრაგედიად იქცა მთელი ერისათვის, ისევე როგორც პირადად შენთვის. მინდა იცოდე, რომ ახლა სულ შენზე ვფიქრობ.

იგი ბრძენი და თავისი საქმის ერთგული კაცი იყო. შენ ყოველთვის შეგიძლია იამაყო იმით, რაც მან თავის ქვეყანას გაუკეთა.

შენი მოსიყვარულე
ლინდონ ბ. ჯონსონი“.

ჯონსონის ხასიათი ყოველთვის უდიდესი სირთულით გამოირჩეოდა. იგი ითავსებდა უტაქტობასა და სინაზეს, ვერაგობასა და მგზნებარებას.

პრეზიდენტმა უხმოდ გადასცა მდივანს წერილები, მერე გაჭირ-

ვებით წამოდგა და კონგრესის ლიდერების მისასალმებლად მისაღებისაკენ გაემართა.

შეხვედრა ფრიად მოკლე და ნაკლებ შედეგიანი გამოდგა. საკანონმდებლო პრობლემებს საერთოდ არ შეხებიან. ჯონსონმა ნელა გადაიტანა მზერა ერთი სახიდან მეორეზე და თავისი სიტყვა მიმართვით დაიწყო. დამსწრეთ „უახლოესი მეგობრები“ უწოდა. ყველას რჩევა და მხარდაჭერა სთხოვა და მასთან თანამშრომლობისაკენ მოუწოდა. მათაც ყველაფერი მხურვალედ აღუთქვეს: მაიკლ მენსფილდთან და ევერეტ დირკსენთან საუბრის დროს ჯონსონმა რწმენა გამოთქვა, რომ კონგრესი შეძლებდა ახალი, ენერგიული ხელმძღვანელობის შექმნას.

ჯინ კენედი-სმიტი მარტოდმარტო იდგა ბეტესდეს ჰოსპიტლის აპარტამენტების ფანჯარასთან. სიბნელე სწრაფად ეფინებოდა შუშის ცივ ზედაპირს. უეცრად ზურგს უკან ყრუ ხმა მოესმა: „იგი აქ არის“. ჯინი მაშინვე მოტრიალდა და სასტუმროს ცენტრში თავისი რძალი დაინახა. ჟაკლინის უკან კი მისი ძმა — რობერტ კენედი იდგა. რობერტი ტელეფონთან მიეიდა, საჩქაროდ ვიღაცას დაელაპარაკა და უმალვე ჟაკლინთან დაბრუნდა.

როგორც ეს შემდეგ ბრედლიმ გაიხსენა, „გულმოკლული რობერტი გარეგნულად მშვიდი ჩანდა. იგი ჯეკისა და სხვა ახლობლების გამხნევებას ცდილობდა, თუმცა ამ გამხნევებას ყველაზე მეტად თვითონ საჭიროებდა. მას უბრალოდ განსაცვიფრებლად ეჭირა თავი. რობერტის საქციელმა ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა“.

მერე ბობიმ რძალი გვერდზე გაიხმო და უთხრა:

— ისინი ფიქრობენ, თითქოს იპოვეს კაცი, ვინც ეს ჩაიდინა. იგი თავს კომუნისტად აცხადებს.

ჟაკლინმა გაოცებით შეხედა მაზლს და გუნებაში გაიფიქრა: — „ღმერთო ჩემო, ეს ხომ აბსურდია“. — შემდეგ ჟაკლინს არაერთხელ აღუნიშნავს დალასის დაძაბული, სიძულვილის მიაზმებით გაჟღენთილი ატმოსფერო, მაგრამ იმ წუთში, უბრალოდ ცუდად იგრძნო თავი.

ბეტესდეს ჰოსპიტალში მოვიდა ჟაკლინის დედაც, ჟანეტ ოჩინკლოსი. დედის თხოვნით, ჟაკლინმა ეკითხა საკითხი, რომელსაც ასე უფრთხოდა — ეცნობებინა კეროლაინისა და ჯონისათვის მამის დალუპვა.

— ჯეკი, შენ თვითონ ეტყვი ბავშვებს, თუ მე ან გამდელმა მოდ შოუმ ვუთხრათ? — ჰკითხა ქალიშვილს ჟანეტ ოჩინკლოსმა.

— როგორც შენ მირჩევ, — უპასუხა ჟაკლინმა.

— ჰო... ჯონს კიდევ შეიძლება მოგვიანებით უთხრას კაცმა, მაგრამ აი კეროლაინს კი მანამ უნდა გავაგებინოთ, ვიდრე თავისი ამხანაგებისაგან გაიგებდეს.

— ჰო, მართალია, დედიკო. რას იფიქრებს, თუ უეცრად...

ჟაკლინი წუთით ჩაფიქრდა:

— მე თვითონ ვეტყვი ბავშვებს, მაგრამ თუ ჩემ დაბრუნებამდე გაიგონ, მაშინ შოუმ ყველაფერი იღონოს, რაც საჭიროა.

ჟანეტ ოჩინკლოსს ქალიშვილის სიტყვები საზრიანად ეჩვენა, მაგრამ მაინც საკუთარი გადაწყვეტილება ირჩია. სურდა, როგორმე აეცდინა ქალიშვილისათვის უკანასკნელი და, შესაძლოა, ყველაზე მძიმე მოვალეობა. ქალბატონმა ოჩინკლოსმა ბავშვების გამდელ მოდ შოუს დაურეკა:

— როგორ არიან ბავშვები?

— მშვენივრად, — უპასუხა მოდ შოუმ. — უკვე ივახშმეს და ახლა თვალებიღა ებლიტებათ.

თვითონ გამდელი კი ძალიან ცუდად გრძნობდა თავს. სულ უფრო და უფრო უჭირდა თავშეკავება. დროდადრო ჰკარგავდა კიდეც საკუთარი თავის კონტროლს. იძულებული იყო ბავშვებისათვის სახე აერიდებინა.

— ქალბატონი კენედი გთხოვთ, მომხდარი უბედურება კეროლაინს თქვენ გააგებინოთ.

მოდ შოუს ენა ჩაუვარდა. ატირება ერთ რამედ უღირდა, მაგრამ თავი შეიკავა: ბავშვები მეორე ოთახში იყვნენ.

— ძალიან გთხოვთ, ამაცდინოთ ეს დავალება, — მიყრუებული, მაგრამ სასოწარკვეთილი ხმით შეეხვეწა ქალი, — ღმერთო, მაშორე, სასუმელი ესე.

— სამწუხაროდ, ეს თქვენ უნდა გააკეთოთ და მხოლოდ თქვენ.

— მე არ შემიძლია ბავშვს წავართვა სიხარული. ამისათვის

ძალა არ მეყოფა. მე არ ძალმიძს პატარა კეროლაინს ბედნიერება ჩავუშხამო.

—ვიცი, რა მძიმე ხვედრია, მაგრამ ეს თქვენ უნდა გააკეთოთ.

გამდელმა კვლავ დაუწყო ხვეწნა-მუდარა:

— გთხოვთ, გთხოვთ, ნუთუ სხვა არავინ არის.

— არა, არავინ არის, ქალბატონი კენედი კი თავს ძალიან ცუდად გრძნობს.

ქალებმა ყურმილი დაკიდეს.

გამდელმა ჯერ ჯონი ჩააწვინა საწოლში. დადგა კეროლაინის ჯერიც. გოგონას საწოლ ოთახში შესვლისთანავე მოდ შოუმ რიგორლაც ნელა, თითქოს დაყოვნებით წარმოთქვა:

— კეროლაინ, მამაშენს ესროლეს. იგი ჰოსპიტალში წაიყვანეს, მაგრამ ექიმებმა ვერ უშველეს.

ჩამოვარდა სიჩუმე.

— მამაშენი, — განაგრძობდა გამდელი, — პატრიკს მიჰყვა. — მოდ შოუ კვლავ დადუმდა. —ამას თქვენ ძალიან უყვარდით.

გოგონამ სახე ბალიშში ჩარგო და მწარედ ატირდა. მოდ შოუ კი მის საწოლთან იდგა და შრომისაგან გაუხეშებულ ხელებს ნერვიულად ისრესდა. იდგა, ვიდრე ბავშვს ძილმა არ წაართვა თავი.

ბევრ ვაშინგტონელ ჩინოვნიკს, სამუშაო დღე დამთავრებული რომ ეგონა, იმ საღამოს უამრავ ტელეფონის ზარზე მოუხდა პასუხის გაცემა.

ახალ პრეზიდენტს უკვე საკუთარ განკარგულებაში ჰქონდა თეთრი სახლის ორი კომუტატორი და ნეტარების მწვერვალზე იმყოფებოდა. ჰოდა, აკი რეკავდა კიდეც გაუთავებლივ. მის ერთ ხელს მაგრად ჩაებღაუჯა ტელეფონის ყურმილი, ხოლო მეორე ხელის თითებს ოსტატურად ამოძრავებდა სელექტორული კავშირის გამჭვირვალე კნოპებზე. იმათ შორის, ვისაც პრეზიდენტმა იმ პარასკევ საღამოს დაურეკა, არტურ გოლდბერგი და ტედ სორენსენიც იყვნენ. გოლდბერგის ტელეფონი საღამოს 9 საათზე აწკრიალდა. პრეზიდენტმა მას ენდრიუსის აეროდრომზე შემხვედრთა შორის მოჰკრა თვალი და ახლა განმარტებას სთხოვდა, რატომ არ მოხვედი და ხელი არ ჩამომართვიო. — მე დღეს პრეზიდენტ კენედის ცხედრის შესახვედრად გამოვედი, თქვენ კი ხვალ

გეახლებითო, — უპასუხა გოლდბერგმა. სორენსენმაც ჯონსონის მიწვევა მეორე დღისათვის მიიღო.

— კეთილი, ბატონო პრეზიდენტო, — სრულიად მექანიკურად ალმოხდა ტედს და მხოლოდ ახლა მიხვდა მის მიერვე წარმოთქმული სიტყვების ნამდვილ არსს. მეტად აღარასოდეს დაუძახებს ჯონ კენედის „ბატონო პრეზიდენტოს." სორენსენმა ტელეფონის ყურმილი დაკიდა და თითქმის გონდაკარგული სკამზე დაეშვა.

ლინდონ ჯონსონი გახლდათ ვაშინგტონის სატელეფონო ქსელის, მართლაც ყველაზე აქტიური კლიენტი, ეს კი თავისთავად, არცთუ პატარა გმირობა იყო. ამერიკელთა უმრავლესობა თვალმოუშორებლად მისჩერებოდა ტელევიზორებს. გვიან ღამით, ტელემაყურებელთა რიგებს ახალი პრეზიდენტიც შეუერთდა. ჯონსონმა საკუთარი თანაშემწე რიდი მეორე დღისათვის სამუშაო გეგმის შესადგენად დატოვა. თვითონ კი მანქანაში ჩაჯდა და მაკარტურის ბულვარის გავლით შინ, სპრიგ ველისაკენ გასწია. პრეზიდენტს თან გაპყვნენ შოიერსი, ვალენტი, კლიფ კარტერი და ყოფილი ტეხასელი ჟურნალისტი ახლა კი ჯონსონის აპარატის წევრი — ჰორეის ბასბი.

პრეზიდენტი ჯონსონი შეიარაღებული აგენტებით გარშემორტყმულ თავის საცხოვრებელ სახლ „ელმზში" მივიდა და ტელევიზორსა და ტელევიზორს შორის უაზრო ბოლთის ცემა იწყო.

ლედი ბიორდი ცოტა ხნით დაბლა, ტერასზე ჩავიდა და თავისი მეუღლის საზოგადოებას შეუერთდა. ბასბი ძალე წავიდა. დანარჩენი სტუმრები კი მასპინძლის საწოლში ავიდნენ და ტელევიზორებს მიუსხდნენ. ყველა დუმდა. მხოლოდ ერთხელ, ნელი ხმით დაარღვია სიჩუმე პრეზიდენტმა და ჟაკლინის თავგამოდება ახსენა:

— მაშინ როცა, მთელ ქვეყანას ჩვენი ცხოვრების ყველაზე მახინჯი, გულის ამრევი მხარეები ვუჩვენეთ, ჟაკლინმა მაგალითი მოგვცა და კეთილშობილურ თვისებათა სიმბოლოდ მოგვევლინა. რისთვისაც სამუდამოდ მადლობელი უნდა ვიყოთ მისი.

იგი კვლავ დადუმდა და მზერა ტელევიზორის ეკრანს მიაპყრო. როგორც ვალენტი იგონებს, სატელევიზიო სადგურები „იმეორებდნენ დალასისა და ტეხასის ადრინდელ რეპორტაჟებს, პრეზიდენტის მკვლელობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო რეა-

ქციების ალმწერ გადაცემებს. ჯერ ქრონიკალურ კადრებს აჩვენებდნენ — პარადს, პრეზიდენტის კორტეჟს, შემდეგ კი ძველი დოკუმენტური ფილმების ნაწყვეტებს, პრეზიდენტ კენედის მხურვალე გამოსვლებს. ლინდონ ჯონსონი დიდი ინტერესით უყურებდა".

ბეტესდეს ჰოსპიტალში რობერტ კენედიმ კვლავ გაუმეორა კენ ო'დონელსა და ლერი ო'ბრაიენს, რომ მას სულაც არ დაუძალებია ჯონსონისათვის, გინდა თუ არა, თვითმფრინავზე დადგეი ფიციო. ო'დონელმა და ო'ბრაიენმა ერთმანეთს გაკვირვებული მზერა შეავლეს. მათ ვერც კი წარმოედგინათ, ჯონსონი ამ გზით თუ ისურვებდა ხელისუფლების მემკვიდრეობის აღნიშვნას.

დაახლოებით რვის ნახევრისათვის ჰოსპიტალში მაკნამარაც მოვიდა. ბობის მოესწრო თეთრი სახლიდან შინ მიბრუნებულ მაკნამარასათვის დაერეკა.

მაკნამარამ ოთახების ანფილადას ჩაუარა და ჟაკლინი დაინახა.

ჟაკლინი ერთთავად მკვლელობაზე ლაპარაკობდა, უეცრად ლაპარაკი გაწყვიტა და იკითხა:

— ახლა სადღა ვიცხოვრებთ?

თეთრი სახლი უკვე აღარ იყო კენედის ოჯახის რეზიდენცია. კენედის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ მათ გაჰყიდეს სახლი ჯორჯტაუნში.

— ალბათ, ისევ ჯორჯტაუნში დავბრუნდები, სასურველია, ისევ იმ სახლში, — წარმოთქვა მწარედ ჩაფიქრებულმა ქალმა.

— მე ხელახლა შეეიძენ ამ სახლს თქვენთვის, — უთხრა მაკნამარამ.

იაპონიაში მიმავალმა მთავრობის თვითმფრინავმა № 86972, რომელსაც უკან მობრუნება ებრძანა, დაამთავრა თავისი ოცდაოთხსაათიანი ფრენა და 23 ნოემბერს, 12 საათსა და 35 წუთზე ენდრიუსის აეროდრომზე დაჯდა.

სწორედ იმ ადგილას, სადაც ცოტა ხნის წინ პრეზიდენტი ჯონსონი სიტყვას ამბობდა, ახლა სახელმწიფო მდივანი დინ რასკი იდგა და აცხადებდა — მთელ ჩემ კოლეგებთან ერთად ვიზიარებ ამ მძიმე დანაკლისით გამოწვეულ უნუგეშო მწუხარებასო.

ენდრიუსის აეროდრომზე მთავრობის თვითმფრინავის შესახვედრად მოსული მინისტრების მოადგილეები და თანაშემწეები სახლებისაკენ წავიდ-წამოვიდნენ. დამხვდურთა შორის იყო შრომის მინისტრის თანაშემწე პეტ მოინიჰენი. იგი მეტად უგუნებოდ გახლდათ. ცუდი წინათგრძნობა აკვიატებოდა. თვითმფრინავ-ს მოლოდინში აეროვაგზალში ფინჯან ყავას მიუჯდა და ირგვლივ მოსაუბრეთა ათასგვარ ლაპარაკს წაჰკრა ყური.

ჯერ კიდევ თვითმფრინავ 86972-ის მოფრენამდე მოინიჰენი გაცხარებით ელაპარაკა სახელმწიფო მდივნის მოადგილე ბოლს, შემდეგ კი შრომის მინისტრ ვირტცს. ორივე საუბარი ერთსა და იმავე თემას შეეხებოდა.

— გამოძიების საქმე დალასში ჩვენ თვითონ უნდა ავიღოთ ხელში, — უმტკიცებდა თანამოსაუბრეთ მოინიჰენი. — ამერიკელი პოლიციელები ემოციური ხალხია. ისინი არავითარ წესებს არა სცნობენ და კორუპციით იმ ზომამდე არიან სახელგატეხილები, რომ მზად არიან გადამეტებული გულმოდგინებაც გამოიჩინონ, როგორც კი ნამდვილად დიდ საქმეს შეეჩეხებიან. მათზე დაყრდნობა არ შეიძლება. უბრალოდ დაუშვებელია, პოლიციას ვანდოთ მთელი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრა. არავის ძალუძს იწინასწარმეტყველოს, როგორ მოიქცევა დალასის პოლიცია. მათ დამნაშავე კომუნისტად მონათლეს, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს მის ნამდვილ კომუნისტობას.

— დიახ, თქვენ მართალი ხართ, მე რასაც ამაზე მოვეთათბირები, — დაეთანხმა ბოლი.

დათანხმების მიუხედავად მოინიჰენს ისეთი აზრი დარჩა, რომ ბოლი მთლად მაინც ვერ მიხვდა მისი საუბრის არსს. რასკთან მოლაპარაკება ვირტცმაც აღუთქვა, თუმცა მასაც ბუნდოვნად ესახებოდა საქმის ნამდვილი ვითარება.

მოინიჰენს შიში ოდნავ არ შენელებია და კვლავ თავისას ცდილობდა. აეროდრომზე ძველი მეგობარი, საიდუმლო სამსახურის გამგებელი, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ბობ უოლესი დაინახა და უმალვე, როგორც იტყვიან, კედელს ააკრა.

უოლესი შეეპასუხა:

— კი მაგრამ, ჩვენ უკვე მთლიანად ვაკონტროლებთ ვითარებას. ჩემი ერთერთი საუკეთესო მუშაკი დალასში გავაგზავნეთ, ალბათ, უკვე ლუისვილშია ან სულაც ნეშვილში...

მოინიჰენი არც ამ პასუხმა დააკმაყოფილა. იგი მონდომებით ცდილობდა თავის მხარეზე ახალ-ახალი ადამიანების მიმხრობას, თუმცა მათმა უმრავლესობამ არასწორად ახსნა მისი ასეთი შეშფოთება. მათი აზრით, მოინიჰენი მემარჯვენეთა შეთქმულების არსებობის დამტკიცებას ცდილობდა. სინამდვილეში იგი ამას სულაც არ ცდილა.

— მინდა რეალურად არსებული ფაქტები ვიცოდე, — იმეორებდა იგი. — მე არავითარი წინასწარ აკვიატებული აზრი არა მაქვს, მაგრამ ვიცი, რესპუბლიკა უფლებრივ წყობილებას ეწყარება, დალასში კი — ქაოსია. ჩვენ ერთი წუთიც არ უნდა დავკარგოთ.

— ეს კი უკვე გადაამლაშეთ, — უთხრა ვიღაცამ მოინიჰენს.

პეტ მოინიჰენი აფეთქდა:

— ოჰ შე ნაძირალავ, შენა! — შეჰყვირა გააფთრებულმა. — ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი, ხალხის რჩეული კაცი კუბოში წევს და შენ რომელ გადამლაშებაზე მელაპარაკები! დიახ, მთელი ისტორია სწორედაც წარმოუდგენელი ამბებისგან შედგება. იმან, ვინც თავის დროზე თქვა — კეისარს ფორუმზე ხანჯლით მოჰკლავენო, შენი აზრით, გადაამლაშა, არა?

ენდრიუსის აეროდრომზე ყოფნის დროს, თუ უკან დედაქალაქში დაბრუნებისას, მოინიჰენი კვლავ განაგრძობდა წარუმატებელ მტკიცებას. მხოლოდ ბოლი და ვერტცი დაეთანხმნენ საჭირო ღონისძიების გატარების აუცილებლობაში. მაგრამ საქმით არაფერი კეთდებოდა. მათი ორჭოფული პასუხებით და ბუნდოვანი დაპირებებით შეწუხებული მოინიჰენი მიხვდა, რომ საერთოდაც არაფერი გაკეთდებოდა.

„აი კენედის მთავრობის აქილევსის ქუსლი", — ფიქრობდა იგი. ისინი ყველაფერში მშვენივრად ერკვევიან, მხოლოდ ერთი რამ ვერ გაუგიათ — რაოდენ დიდი ადგილი უჭირავს ამერიკის ცხოვრებაში უხეშ, შიშველ ძალას. ცხოვრების ყაიდის სინატიფემ და ბონვივანობამ მოსწყვიტა ისინი საპოლიციო უბნებისა და ძალადობის სამყაროს, თვალები დაუხუჭა იმის დასანახავად, რარიგ არაადამიანურნი შეიძლება აღმოჩნდნენ ამერიკელები ერთმანეთის მიმართ. ისინი შორს არიან ამ ამბებისაგან და აქედან გამომდინარეობს მათი უნდობლობაც. მოინიჰენი კი მათგან განსხვავებუ-

ლი კაცი გახლდათ. იგი იცნობდა ცხოვრებას და სჯეროდა ძალადობის შესაძლებლობა. ამიტომ ყველას დაუფარავად უზიარებდა თავის აზრებს, ვინც კი საერთოდ მის მოსმენას მოისურვებდა. ეჭვი არ არის, სკელტონის მსგავსად მასაც სრულიად გარკვეული და ცუდი წინათგრძნობა ჰქონდა. იგი დარწმუნებული იყო, თუ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა დაუყოვნებლივ და თანაც განსაკუთრებული მონდომებით არ ჩაერეოდა, ქვეყანა დალასში მომხდარი კატასტროფის წინაშე აღმოჩნდებოდა.

დალასის დროით 19 საათსა და 10 წუთზე პოლიციის კაპიტან უილ ფრიტცის კაბინეტში ლი ჰარვი ოსვალდს ოფიციალურად წარუდგინეს პოლიციელ ჯ. დ. ტიპიტის მკვლელობის ბრალდება. სხდომას თავმჯდომარეობდა მომრიგებელი მოსამართლე დევიდ ლ. ჯონსონი. ღამის ორის ნახევარზე პრესის წინაშე გამართულ განმეორებითი საპარადო წარმოდგენის შემდეგ, სარდაფში ჩატარებულ პრეს-კონფერენციის ჩათვლით, ოსვალდი მეოთხე სართულზე, საგამომძიებლო ნაწილში აიყვანეს და პრეზიდენტ ჯონ ფ. კენედის მოკვლის ბრალდება წარუდგინეს. სასამართლო ხელისუფალთ კვლავ დევიდ ჯონსონი წარმომადგენლობდა; ამასთან დაკავშირებით უნდა მოვაგონოთ, რომ ყველა საეჭვო სასამართლო განხილვები, როგორც წესი, კარდახურულში იმართება.

მეორე ბრალდების წარდგენის შემდეგ ოსვალდმა კორესპონდენტებს აუწყა, — მომრიგებელ მოსამართლეს პროტესტი განვუცხადეო.

— მე, — თქვა მან, — ნება არ დამრთეს ადვოკატის დახმარებით მესარგებლა, საქმე ფრიად ნაჩქარევად განიხილეს და ამიტომაც წარმოდგენა არა მაქვს საერთოდ რაშია საქმე.

ოსვალდი აშკარად ტყუოდა. მან, რასაკვირველია, ყველაფერი მშვენივრად იცოდა. ფრიად დამაჯერებელი ხასიათის არაპირდაპირი სამხილები ათგზის ამტკიცებდნენ მის დანაშაულს. იგი უბრალოდ, შეძლებისდაგვარად, თავის დაძვრენას ცდილობდა. ადგილობრივ ხელისუფალთა არაკომპეტენტურობის წყალობით კი, ამის შესაძლებლობა, მართლაც, ჭარბად ჰქონდა. არსებითად, მას, ალბათ თავისი გაკვირვების გამოხატვა თუ სურდა სასამართლოსა და პოლიციის ჩინოვნიკთა ასეთი უმეცრების გამო.

პეტ მოინიჰენი საოცრად აღაშფოთა ყველა ამ ამბის გაგებამ.

იგი მიხვდა, რა მწარედ ცდებოდა, როცა თავისი დასკვნები მისთვის კარგად ცნობილ, ნიუ-იორკსა თუ ბოსტონში არსებული მორალის მიხედვით გამოჰყავდა. დალასი გაცილებით ქვევით, განვითარების ერთ-ერთ ყველაზე დაბალ საფეხურზე იდგა. ჩადენილ იქნა ქალაქის ისტორიაში უდიდესი დანაშაული, ხოლო გამოძიება ხელთ იგდეს კანონის დამცველმა კაცუნებმა. ოლქის პროკურორი ჰენრი უეიდი მხოლოდ ტელევიზიის ეკრანზე გამოჩნდებოდა ხოლმე, ისე კი თითქმის მოუხელთებელი იყო. იგი თვით აშშ-ის იუსტიციის მინისტრისათვისაც კი მიუწვდომელი აღმოჩნდა. პარასკევ საღამოს დალასის პოლიციის სამმართველოს იურისტთა დელეგაცია ეწვია — მოქალაქეთა თავისუფლების დაცვის ამერიკული კავშირის წევრები. მათ სურდათ გაეგოთ, ოსვალდს მართლა ეთქვა თუ არა უარი დამცველის აყვანაზე. პოლიციის ჩინოვნიკებმა და მომრიგებელ მოსამართლემ დაარწმუნეს დელეგაციის წევრები, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა და ასაღელვებელი არა ჰქონდათ რა. თუმცა, ოსვალდის ნახვის უფლება მათ მაინც არ დართეს.

იუსტიციის მინისტრის მოადგილის კატცენბახისა და ამ საქმისათვის გამოყოფილი ჯონსონის რამდენიმე მოადგილის ვაშინგტონიდან განუწყვეტელი დაძალების მიუხედავად ქალაქ დალასის ადვოკატთა კოლეგიას იმ საღამოს მაინც არაფერი გაუკეთებია. ოსვალდის უთავბოლო დაკითხვები კი კვლავ გრძელდებოდა. და ეს ყველაფერი ისე არეულ-დარეულად კეთდებოდა, რომ სამხრეთ-დასავლეთის შტატების სისხლის სამართლის წვრილმან საქმეებისათვის დამახასიათებელ უდარდელობას და დაუდევრობასაც კი გადააჭარბა. ოსვალდის დაკითხვებს ერთდროულად აწარმოებდნენ დალასის პოლიციის სისხლის სამართლის განყოფილების გამომძიებლები, შერიფები, ტეხასის საოლქო პოლიცია, გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტები და საიდუმლო სამსახური.

დალასის ყველა ამ დიდი სიმდიდრის მიუხედავად, მუნიციპალური ბიუჯეტი მათხოვრული იყო. დალასის პოლიციის სამმართველოს თანამედროვე კინოაპარატიც კი არ გააჩნდა. ყოველთვის, როცა მკვლელობის კადრების დათვალიერების აუცილებლობა იქმნებოდა, პოლიციელები იძულებულნი იყვნენ ზაპრუდერის მიერ

გადაღებული კადრების სანახავად ზაპრუდერს კანტორაში სწვეოდნენ.

რაღაც იდუმალი მიზეზების გამო, რაც ასევე გამოუცნობი დარჩა, პოლიციის სამმართველოს ყველა მდივანი იმ დღეს შინ გაუშვეს. ასე რომ, ისტორიკოსები მოკლებულნი არიან ამ ესოდენ მნიშვნელოვანი დაკითხვების ელემენტარულ სტენოგრაფიულ ჩანაწერებსაც კი. ერთადერთი, რაც გაგვაჩნია, ეს თვით ოსვალდის დამკითხველთა მოგონებანია.

მეორე დღეს, როცა დამცველთა ადგილობრივი კოლეგიის თავმჯდომარე პოლიციის სამმართველოში გამოცხადდა, ოსვალდმა უარი განაცხადა მის მიერ შეთავაზებულ მომსახურეობაზე. მან უმჯობესად მიიჩნია ადვოკატად ჰყოლოდა პოლიტიკური დანაშაულის ჩამდენ ბრალდებულთა დაცვით ფართოდ სახელგანთქმული ნიუ-იორკელი ვექილი ჯონ აბტი ან კიდევ მოქალაქეთა თავისუფლების დაცვის კავშირის რომელიმე ადვოკატი. არავის უფიქრია ოსვალდისათვის ეცნობებინა, რომ წინა ღამით ამ ორგანიზაციის წარმომადგენლები თვითონ ცდილობდნენ ოსვალდთან შეხვედრაზე, რაზედაც მათ უარი ეთქვათ.

ვაშინგტონის სამხედრო ოლქს საშინელი აპათია დაუფლებოდა. გენერალ უილის შტაბ-ბინაში არავინ იყო. ვერაგულად მოკლული პრეზიდენტის ცხედარს საცაა იმ შენობაში გადაიტანდნენ, საიდანაც იგი სახელმწიფოს მართავდა. სრულ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო მაკნეიერისა და მეირის ყაზარმების თითოეული ჯარისკაცი, ანაკოსტიის სამხედრო პორტის ყოველი მეზღვაური, მაგრამ სინამდვილეში ამდაგვარიც არაფერი ყოფილა. ისინი ერთთავად საწოლებზე ეყარნენ ანდა გვიან ღამემდე გაგრძელებულ ტელეგადაცემებს უყურებდნენ. თავდაცვის მინისტრს თავის განკარგულებაში ორნახევარი მილიონიანი არმია ჰყავდა, მაგრამ ახლა თეთრი სახლისათვის შესაფერისი სამხედრო ყარაულის გამოყოფაც კი ვერ მოახერხა. მაკნამარა სულ მთლად დაბნეული აღმოჩნდა. არა ნაკლებ საგონებელში ჩავარდნილმა იუსტიციის მინისტრმა რობერტ კენედიმ ცივი ხმით განაცხადა:

— თუკი მისისიპის შტატის პატარა ქალაქ ოქსფორდში ოცი ათასი ჯარისკაცის გაგზავნა შეგვიძლია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ვაშინგტონში ჯარის საკმარისი ნაწილების გამოძახებაც არ გაგვიჭირდება.

იუსტიციის მინისტრის ვარაუდი სავსებით მართებული იყო, მაგრამ განუხორციელებელი. სარჯენტ შრივერს უკვე ღალატობდა თავშეკავება. ბოლოს და ბოლოს, რა ხანია დამთავრდა ბრძოლები დამოუკიდებლობისათვის, ამერიკა საომარ მოქმედებაში არ მონაწილეობდა, ქვეყანაში მშვიდობა სუფევდა, პენტაგონს ამ ქვეყნის ისტორიის მანძილზე თოფქვეშ ჰყავდა ყველაზე მრავალრიცხოვანი არმია და მაინც, ღამის სამ საათზე ფეხზე იდგა მხოლოდ კუბოსთან მდგარი საპატიო ყარაული ლეიტენანტ სოუტელის მეთაურობით და კუბოს გამომტანი ლეიტენანტ ბერდის ჯგუფი.

კარგად აწყობილმა სამხედრო მანქანამ უეცრად უარი თქვა მეშაობაზე. იძლეოდნენ ბრძანებებს, შესრულებაზე კი არავინ ფიქრობდა. აღშფოთებულ შრივერს ღამის სისხლი ჩაქცეოდა.

— ჩვენი სამხედრო ბიუჯეტი ორმოცდაათ მილიარდ დოლარს შეადგენს, — დასძახა მან შეპარდსა და მილერს. — ჰოდა, ახლა პრეზიდენტი, ყოველივე ამის მთავარსარდალი, შინ ბრუნდება. ნუთუ თქვენ არ ძალგიძთ ვინმეს გამონახვა?

სამხედრო-საზღვაო ფლოტის კაპიტანი და სახმელეთო ჯარების პოლკოვნიკი სკამებზე შეიშმუშნენ, დამნაშავის გამომეტყველებით ერთმანეთს გადახედეს და ტელეფონის აპარატებს მიაშურეს. მერე უკანვე დაბრუნდნენ, მაგრამ ჯარის ნაწილები კელავინდებურად არსად ჩანდა.

ბეტესდეს ჰოსპიტალში ჟაკლინმა ტელევიზორი ჩართო. დაიფრქვა საორღანო მუსიკის ჰანგები, ქალის თვალწინ მეუღლის სახე გაცოცხლდა. იხილა თვითმფრინავში ფიცის დადების ცერემონიაც, რასაც ეკლესიებში გამართული ურიცხვი სპარაკლისო სცენები მოჰყვა. განმარტოებით მჯდარი ჟაკლინი ეკრანს მისჩერებოდა და თვალთაგან მდუღარება გადმოსდიოდა. მერე წამოდგა და სამზარეულოსაკენ გასწია, სადაც ბობი კენედი და ბობი მაკნამარა ერთმანეთს ხმადაბლა ესაუბრებოდნენ. მაზლმა უეცრად ჟაკლინს პოლიციელ ტიპიტის ქვრივზე ჩამოუგდო ლაპარაკი.

— ხომ არ ისურვებდი მასთან დალაპარაკებას? — ჰკითხა ბობიმ.

არა, ჟაკლინს არ უნდოდა იმ ქალთან საუბარი. ძნელი იყო ფიქრი სხვა რამეზე, გარდა იმისა, რომ იქ, დაბლა მისი მეუღლის

ცხედარი ესვენა. ალბათ, ქალბატონმა ტიპიტმაც ისეთივე მძიმე დანაკლისი განიცადა, როგორიც მან, მაგრამ ეს ფიქრი ჟაკლინის თავში უკვე აღარ შედიოდა. ქალს მხოლოდ ბობის გულისხმიერებით გაოცებაღა შეეძლო.

რობერტ კენედი ტელეფონზე დასარეკად სადარბაზო ოთახში გავიდა. მისი არყოფნის დროს ჟაკლინი მაკნამარას გამოელაპარაკა. ჟაკლინს სურდა მეუღლის ცხედარი დახურული კუბოთი წარედგინათ საზოგადოებისათვის. დრო აღარ ითმენდა, რაღაც გადაწყვეტილება უნდა მიეღოთ. უკვე შაბათი დღე თენდებოდა. რამდენიმე საათის შემდეგ პრეზიდენტის ცხედარი ხალხთან გამოსამშვიდობებლად უნდა დაედგათ. ჟაკლინს თავისი მამის დაკრძალვის მწარე მოგონებები გაუცოცხლდა.

— მე მინდა კუბო დახუროთ. არ შეიძლება მისი ახდილად დადგმა.

მაკნამარა არ დაეთანხმა:

— ჯეკი, ეს არ შეიძლება. ხალხს თავისი პრეზიდენტის უკანასკნელად ხილვა სურს.

— ჩემთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს. ეს არის ყველაზე საშინელი, ყველაზე არაბუნებრივი სანახაობა. მათ ცოცხალი ჯონი უნდა დაამახსოვრდეთ.

სწორედ ამ დროს იუსტიციის მინისტრი შემოვიდა და ვისაც სად მოუხერხდა, იქ მოკალათდა: რობერტ კენედი მაცივარზე, მაკნამარა სამზარეულოს ბაკანზე, ხოლო ჯეკი პირდაპირ იატაკზე. ქალმა კვლავ გაიმეორა — გაფიქრებაც არ შემიძლია „გვამის ჩვენებაზე", როგორც ამას დამკრძალავ ბიუროში ამბობენ ხოლმე. მაგრამ ბობი კენედიც, ისევე როგორც მაკნამარა, წინ აღუდგა რძლის ამ სურვილს.

— ეს შემთხვევა გამონაკლისია, — მიუბრუნდა იგი რძალს, — არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს საზოგადოების აზრს ისეთ მნიშვნელოვან საქმეში, როგორიც პრეზიდენტის დაკრძალვაა. პირადმა სურვილებმა უკან უნდა დაიხიოს.

ჯეკი მიჩვეული იყო მამაკაცების აზრისათვის ანგარიშის გაწევას. მისი თანამოსაუბრენი მისი მეუღლის აბსოლუტური ნდობით აღჭურვილ ადამიანთა ვიწრო წრეს ეკუთვნოდნენ. ჰოდა აკი, ბოლოს და ბოლოს გაჩუმდა კიდეც. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ

„საშინლად იტანჯებოდა“, მაგრამ მაინც დათმობა არჩია. სინამდვილეში, ჯეკი სულაც არ შერიგებია. სასწორზე იდო მისთვის ყველაზე ძვირფასი რამ. წმინდა ქალური ალღოთი მან მხოლოდ დალოდების ტაქტიკა ირჩია. მაკნამარას შემდეგდროინდელი მოგონებების მიხედვით „სამზარეულოში შექმნილი დაძაბულობა ჭეშმარიტად აუტანელი იყო“.

შრივერისა და მხატვარ უოლტონის მონდომების წყალობით კენედის თეთრ სახლში დაბრუნება თავისი დრამატიულობით ამაღელვებელ სანახაობად უნდა ქცეულიყო: ჩირაღდნების მეწამული შუქით განათებული გზა, წყვდიადივით შავ, სამგლოვიარო საბურველთა ფონზე აღმართული თეთრად მოქათქათე კოლონები.

აღმოსავლეთის დარბაზი უმძიმესი გლოვის სურათს ქმნიდა. სამგლოვიარო კვარცხლბეკი მზად იყო პრეზიდენტის კუბოს დასადგამად. თუმცა, ერთი რამ მაინც ვერ უზრუნველეყოთ.

— ჰო, მაგრამ ისინი სად არიან? — ჰკითხა შრივერმა ტედ შეპარდს. შრივერს განმარტება არა სჭირდებოდა, თუ ვის გულისხმობდა იგი. შეპარდმა ხელები გაასავსავა. მას მართლაც არაფრის თქმა არ შეეძლო.

— ყოველ წუთს მოსალოდნელია შეერთებული შტატების პრეზიდენტის მოსვლა, — მკაცრი ხმით წარმოთქვა შრივერმა, — შემხვედრთ კი ვერა ვხედავ. დასწყევლოს ეშმაკმა, ტეზ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, ახლავე უნდა მოვიყვანოთ ჯარისკაცები ან მეზღვაურები. მათ ზეიმურად უნდა მიაცილონ იგი კარებამდე, ისე როგორც ამას ცერემონიის სერიოზულობა მოითხოვს.

— გამოიძახეთ საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილები, — თქვა დინ მარკჰემმა.

ომის დროს იგი თვითონ მსახურობდა საზღვაო ქვეით ჯარში და იცოდა, რომ იქ, რამდენიმე შერჩეული ნაწილი ყოველთვის იყო გამოყოფილი სწორედ პარადებში მონაწილეობისათვის.

პოდპოლკოვნიკი მილერი აღფრთოვანდა.

— მართლაც, ეს ხომ ყველა სხვა სამხედრო ნაწილსა და საზღვაო ბაზაზე ახლოს არის, — თქვა მან. — ახლავე გავაგზავნი ავტობუსს.

შეპარდმა ნაწილის მორიგეს დაურეკა და, როგორც მოსა-

ლოდნელი იყო, ყოველგვარი შეპასუხების გამომრიცხველი ხმით, ბრძანება გასცა.

— განგაშის ხმაზე წამოაყენეთ ხალხი. მოკლეს მთავარსარდალი. თეთრ სახლში დაუყოვნებლივ გამოგზავნეთ საზღვაო ქვეითელების ოცეული. შეასრულეთ!

უკვე ამ დროისათვის პრეზიდენტის კუბოს გადასატანად გამოყოფილი ლეიტენანტ ბერდის ჯარისკაცები დროშაგადაფენილ კუბოს ეახლნენ და მხედრული სალამი სცეს.

ექიმი ბერკლი მეჩვიდმეტე სართულზე ავიდა და კარზე ფრთხილად დააკაკუნა. ოთახიდან ჯგუფად თავშეყრილნი გამოვიდნენ. ჟაკლინსა და ბობის უკან მაკნამარა, ექიმი ბერკლი, ეტელ კენედი და ჯინ კენედი-სმიტი მოდიოდნენ.

კუბო კვლავ „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში შედგეს. გვერდითა გადასაკეც დასაჯდომზე ჟაკლინი დაჯდა, რობერტ კენედი კი — მის ფეხთით, მანქანის იატაკზე მოთავსდა. ნაშუალამევს, ზუსტად 3 საათსა და 56 წუთზე კლინტ ჰილმა მძღოლ ბილ გრირს ჰოსპიტლის დატოვება უბრძანა. გრირის მანქანა გენერალ უეილის სამსახურებრივ მანქანას მიჰყვა, უმალვე გაიარა ჰოსპიტლის ტერიტორია, გასცდა მთავარ ჭიშკარს და ვისკონსინ-ავენიუს გავლით მასაჩუსეტსის ავენიუზე გავიდა.

ზეცა მტრედისფერდებოდა. მანქანაში მდუმარება სუფევდა, სათქმელიც აღარა ჰქონდათ. ყველა გაწამებული და გასავათებული იყო.

კორტეჟს მხოლოდ მოლიცლიცე ფარნით თუ გამოიცნობდით, მაგრამ გზაზე მაინც უამრავი უსიტყვოდ მდგარი ადამიანი შემოხვდათ. დაკვირვებით მზირალი უილი, მაკჰიუ, ჰეკეტი და ლეიტენანტი ბერდი კარგად ხედავდნენ გზაჯვარედინებზე შეჩერებულ ავტომანქანებთან სამუშაო კომბინიზონებში გამოწყობილ, გაჭიმულ ადამიანებს. ბენზინის ჩასასხმელი კოლონების ღამის ცვლის მუშაკები „სასწრაფო დახმარების“ მანქანის დანახვისთანავე წელში სწორდებოდნენ და თავიანთ კეპებს მკერდზე იდებდნენ. ასე უთენია ქალაქში, ჩვეულებრივ, ძალიან ნაკლები მოძრაობაა, მაგრამ ამჯერად პრეზიდენტის მანქანის უკან უზარმაზარი ესკორტი გაძაბულიყო. ბეტესდეს ჰოსპიტლიდან გამოსვლისას პრეზიდენტის კოლონის ჩამკეტი ლეიტენანტი ბერდის ჯარისკაცებიანი მანქანა

გახლდათ, მაგრამ როცა ამ მანქანამ მასაჩუსეტსის აკენიედან მეოცე ქუჩისაკენ გაუხვია, ლეიტენანტმა ეკან მოიბედა და თვალს არ დაუჯერა. პროსპექტის გაყოლებაზე, უცხო ქვეყნების საელჩოების შენობათა წინ, ერთმანეთზე მიჯრით წაწყობილი, ანთებულფარებიანი ასობით მანქანა დაინახა. მანქანათა დაუსრულებელ მწკრივებს თვალს ვეღარც კი გაუწვდენდი.

როგორც იქნა, კორტეჟმა თეთრ სახლს მიაღწია. უსაზღვროდ სევდიანი ორი ადამიანი „სასწრაფო დახმარების“ მანქანიდან გადმოვიდა.

შრიეერმა ჟაკლინსა და ბობის უსიტყვოდ ჩაძოერთვა ხელი. კუბოს გადმოსატანად გამოყოფილი შვიდი ჯარისკაცი „სასწრაფო დახმარების“ მანქანასთან მივიდა. ჯარისკაცებმა კუბო მხრებზე შეიდგეს და მარმარილოს ვესტიბიულის გავლით აღმოსავლეთის დარბაზში შეიტანეს, სადაც სამგლოვიარო ბალდახინის ქვეშ კვარცხლბეკი იდგა.

დაქვრივებული პირველი ლედი დარბაზის ზღურბლთან შედგა. რა კარგად იცოდა მისი ისტორია, როგორ უყვარდა ეს დარბაზი. სულ ახლახან, ოთხშაბათს, ვამართულ მოსამართლეთა პატივსაცემ მიღებაზე იყო იგი აქ.

ჟაკლინმა უეცრად იგრძნო, რომ შინ მოვიდა. ომის ვეტერანთა დროშასთან ჩაიმუხლა და სახე მის ნაკეცებში ჩარგო. ცოტა ხნის მერე ადგა და დარბაზი დატოვა, სხვებიც მას მიჰყვნენ.

დარბაზიდან გამოსულთა გრძელი მწკრივი ვესტიბიულისაკენ გაიძაბა. ჟაკლინი კიბეს აუყვა და მეორე სართულზე ავიდა. დანარჩენები იუსტიციის მინისტრის განკარგულების მოლოდინში ვესტბიულშივე დარჩნენ. იქ, კუბოს კვარცხლბეკთან დგომისას, ბობიმ ჩურჩულით უთხრა ჟაკლინს — კუბოს საქმეს მე მივხედავო. დიახ, ახლა იგი უკანვე, აღმოსავლეთის დარბაზში უნდა დაბრუნებულიყო და კუბოს ახდა მოეთხოვა. ვიდრე კუბოსთან მდგარი ლეიტენანტ სოუტელის საპატიო ყარაული ლეიტენანტ ბერდის ქვეგანაყოფს ენაცვლებოდა, კუბო უკვე ახადეს.

პრეზიდენტის ძმამ კუბოსთან ახლოს მდგარ საპატიო ყარაულის წევრებს, გვერდზე მიდექითო, სთხოვა და კუბოს მარტო თვითონ მიუახლოვდა. ასე დახედა პირველად რობერტ კენედიმ ძმის ცხედარს. მხოლოდ თვალის შევლება აღმოჩნდა საკმარო

იმის მისახვედრად, რომ ჯეკი მართალი იყო, მაგრამ მას არ შეეძლო ასე ერთპიროვნულად გადაეწყვიტა ესოდენ მნიშვნელოვანი საკითხი. მაკნამარას საფუძვლიანი შეხედულების ანგარიშგაუწევლობა არ ივარგებდა. მართალია, ჯონ კენედი იყო ჟაკლინის მეუღლე და კენედების ოჯახის წევრი, მაგრამ იგი ასევე ამერიკის სახელმწიფოს მეთაურიც გახლდათ. მისი ბევრი ახლობელი ადამიანის — მათ რიცხვში ო'დონელის და ო'ბრაიენის აზრით, კუბოს დახურულად დადგმა ტრადიციის გადახვევა იქნებოდა. ჰოდა, აკი ბობიმაც ამიტომ სცადა თავისი გადაწყვეტილების სისწორის შემოწმება. ღაწვებზე ცრემლშეუმშრალი რობერტი ვესტიბიულში შევიდა და იქ მომლოდინეთ კვლავ დარბაზში შებრუნება სთხოვა. მათ პრეზიდენტის ცხედრისათვის უნდა დაეხედათ და თავიანთი აზრი გამოეთქვათ. თავისი თხოვნა რობერტმა შემდეგნაირად განმარტა:

— ჯეკი დაჟინებით ითხოვს კუბოს დახურვას.

შესაძლოა, ბობის ამ საქციელმაც იქონია გავლენა. იქნება, შედეგი სხვა ყოფილიყო, რობერტს ჟაკლინის სურვილი ხმამაღლა რომ არ გამოეთქვა. თუმცა ესეც ნაკლებ სარწმუნოა, რადგან იმათ შორის, ვინც მაშინ დარბაზში იყო და პრეზიდენტის ცხედარი იხილა — რობერტ მაკნამარა, არტურ შლეზინგერი, ჩარლზ სპოლდინგი, ბილ უოლტონი, ნენსი ტაკერმანი, ფრენკ მორისონი და ექიმი ინგლიში, — მხოლოდ ექიმი და თავდაცვის მინისტრი ფიქრობდნენ, რომ მიცვალებული კარგი შესახედავი იყო. თუმცა ექიმმა ინგლიშმა მერე ისიც განაცხადა — ახდილი კუბოების პრინციპული წინააღმდეგი ვარო.

გადამწყვეტი აღმოჩნდა უმრავლესობის მიერ გამოტანილი განაჩენი. რობერტ კენედის მტკიცე ხასიათის მცოდნეთ, აღარც უცდიათ თავიანთი აზრების შერბილება. არტურ შლეზინგერი და ნენსი ტაკერმანი ვესტიბიულში დაბრუნდნენ.

— საშინელებაა, — გამოთქვა თავისი შთაბეჭდილება შლეზინგერმა. — პირველად მომეჩვენა, რომ ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მე ხომ ბეცი ვარ და რაც უფრო ახლოს მივდიოდი, სულ უფრო და უფრო ნაკლებად ჰგავდა პრეზიდენტი თავის თავს. თითქოს მთლიანად ცვილისაა.

ნენსიმ ძლივს გასაგონად წაილაპარაკა:

— მართლაც, სულ აღარა ჰგავს თავის თავს.

სპოლდინგმა უხეში პირდაპირობით პრეზიდენტის სახე სათამაშოების მაღაზიებში გასაყიდად გამოტანილ რეზინის ნიღაბს შეადარა.

იგი დაბეჯითებით სთხოვდა რობერტს კუბოს დახურვას. თვალცრემლიანი იუსტიციის მინისტრი მხატვარ ბილ უოლტონს მიუბრუნდა და წასჩურჩულა:

— გთხოვთ დახედოთ. მე მინდა თქვენი აზრი ვიცოდე.

მხატვარმა გამძლეობის დაკარგვამდე უცქირა პრეზიდენტის ცხედარს, მერე კი რობერტს მიუბრუნდა:

— ნუ მისცემთ ახდის უფლებას. ეს სანთლის მანეკენია და არა პრეზიდენტი.

შლეზინგერმა ისტორიაში არსებული პრეცედენტიც გაახსენა რობერტ კენედის — პრეზიდენტ რუზველტის კუბო ასევე დახურული იდგაო.

— ნუ დატოვებთ ასე ახდილს, — ევედრებოდა უოლტონი.

— თქვენ მართალი ხართ, დახურეთ კუბო, — მოჭრით წარმოთქვა რობერტმა, უცბად შემოტრიალდა და სპოლდინგის თანხლებით მაღლა ავიდა.

სელინჯერმა ეს გადაწყვეტილება პრესას აცნობა. მართალია, სატელევიზიო სადგურები თავგანწირვით იბრძოდნენ ყოველი ახალი კადრისათვის, მაგრამ ამჯერად საკადრისი ტაქტი გამოიჩინეს და ამ გადაწყვეტილების თაობაზე არავითარი ხმაური არ აუტეხიათ. მაგრამ შემდეგ კუბოს დახურვის ცნობამ მაინც ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ამერიკის ტელემაყურებელთა ძალიან დიდი რაოდენობა დარწმუნებული იყო, რომ კუბო რაღაცის დასამალავად დახურეს.

ჟურნალმა „ტაიმსმა“ 1963 წლის 6 დეკემბრის ნომერში თავის მკითხველებს აუწყა: „კუბოს ახდა შეუძლებელი შეიქნა, რადგან პრეზიდენტის სახე ძლიერ დამახინჯებული იყო“. ჟურნალის განმარტება თავიდან ბოლომდე მოგონილია. არც ერთ ტყვიას პრეზიდენტის სახე არ დაუმახინჯებია. როცა პარკლენდის ჰოსპიტალში ჟაკლინი ქმარს შეჰყურებდა, მისი სახის ნაკვთები დამახინჯებული არ ყოფილა, მაგრამ პრეზიდენტის სახეს შემდეგ გაუკეთდა კოსმეტიკური დამუშავება, რამაც ახლობლების უკმაყოფ-

ლება გამოიწვია. თუ ქრონოლოგიას ზუსტად გავედევნებით, მაშინ ჟაკლინის მიერ კვირა დილით მეუღლის ცხედრის ნახვისას წარმოთქმული სიტყვები უადგილოა. თუმცა მისი დაკვირვების ორსს პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ზემოთ აღწერილ ამბავთან. „ეს ჯონი არ იყო. იგი უფრო მადამ ტიუსოს მუზეუმის ექსპონატს ჰგავდა“.

თეთრ სახლში აღარ იყო მყუდრო კუთხე-კუნჭული. ყველგან დაუსრულებლად ერთსა და იმავეს იმეორებდნენ. სააბაზანოებში, საპირფარეშო ოთახებში, თვით დარბაზში, კუბოს კვარცხლბეკთანაც კი.

ასეთ ვითარებაში, განსაკუთრებით ასე დილა ადრიან ყოველგვარმა დეკორუმმა აზრი დაკარგა.

თეთრი სახლიდან გამოსვლისას არტურ შლეზინგერმა მაკნამარას შინ მიყვანა შესთავაზა. ქუჩები ჯერ კიდევ საგანთიადო ნაცრისფერ ბინდში იყო გახვეული, როცა შლეზინგერმა ფეშენებელური მოედნის გვერდით, პატარა საცხოვრებელ კვარტალთან მანქანა გააჩერა. შლეზინგერის დღიურის მიხედვით, მაკნამარამ ასეთი რამ უთხრა:

— ქვეყანამ მეტად დიდი დანაკლისი განიცადა, მისი შევსება ათეული წლის შემდეგ თუ მოხერხდება. დღეს კი ჰორიზონტზე არა ჩანს არც ერთი ფიგურა, პრეზიდენტ კენედისთან, როგორც ეროვნულ გმირთან, შედარებას რომ შეძლებდეს.

მაკნამარას აზრით, გოლდუოტერი უკვე გასული იყო პოლიტიკური ასპარეზიდან, თვით ნიქსონიც — რესპუბლიკელთა პარტიის ყველაზე მოსალოდნელი კანდიდატი, დემოკრატიული პარტიის კანდიდატთა შორის გაჩაღებული ბრძოლა. მაკნამარას შეხედულებით, პარტიისათვის მომაკვდინებელი ამბავი იქნებოდა.

ბოლოს დასძინა, რომ პირადად თვითონ საკმარისად არ იცნობს ჯონსონს, მისი მუშაობის სტილს. თუმცა ვარაუდიც გამოთქვა — ახალი პრეზიდენტი, ალბათ, მთავარ ყურადღებას ძირითადად 1964 წლის არჩევნებისათვის მზადებას მიაპყრობსო.

თავდაცვის მინისტრი ენდრიუსის აეროდრომიდან ვერტმფრენით თეთრ სახლში ჯონსონთან ერთად მიფრენის ამბავსაც მოჰყვა — მართალია, პრეზიდენტი მირჩევს ძველ პოსტზე დარჩენას,

მაგრამ თავად დარწმუნებული არა ვარ, მასთან მუშაობის შეწყობა შევძლოო.

მაკნამარას მანქანიდან გადმოსვლისას ბინდი ისევ შეიმჩნეოდა, თუმცა უკვე განათებულიყო.

შლეზინგერმა კი გადაჭრით განაცხადა — დაუყოვნებლივ გადავდგებიო. მისი ლრმა რწმენით, „უნდა წავიდნენ ისინი, ანუ ყველა, ვინც კენედისთან მუშაობდა. დატოვონ ჯონსონი თავის გარემოცვაში“. შლეზინგერის სიტყვით, „მთავრობის კაბინეტი განსხვავდება თეთრი სახლის აპარატისაგან. უკანასკნელი ყალიბდება უაღრესად პირადულ საფუძვლებზე. თუმცა, აქაც არის ერთი გამონაკლისი: მაკ ბანდი, საკუთარი თავისათვის სპეციალური თანამდებობის შემქმნელი“.

შლეზინგერი დარწმუნებული იყო, რომ კენედის აპარატი მთელი მისი, ასე ვთქვათ, „სამსახურებრივი ოჯახი“ ვერასოდეს მოახერხებდა ჯონსონთან ახლობლობას. რაც შეეხება კენედის კაბინეტს (მთავრობას) თავისუფლად შეეძლო ქცეულიყო ჯონსონის კაბინეტად. თუმცა, ეს უკვე განსაკუთრებული საკითხი იყო.

ჰარვარდის უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორისათვის არტურ შლეზინგერი ზედმეტად ეშმაკი ჩანდა. მაკნამარა ხმამაღლა და გულუბრყვილოდ აგებდა ნაირ-ნაირ მოსაზრებებს მომავალ არჩევნებთან დაკავშირებით. ხოლო მისი იმდღევანდელი „შოფერი“, ჩვეულებრივ, ასე სიტყვამრავალი კაცი, ამჯერად სიტყვაძვირ კენ ო'დონელისათვის შესაფერი თავშეკავებით ისმენდა.

მაკნამარა რესპუბლიკელი გახლდათ, ხოლო შლეზინგერი — დემოკრატიული პარტიის თავგამოდებული მომხრე. მართალია, მაკნამარასთან საუბრისას მან თავი შეიკავა გამოეთქვა რაიმე აზრი, მაგრამ საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული მისი შეხედულებანი გაცილებით უფრო მიკერძოებული იყო, ვიდრე მისი მოსაუბრისა.

შლეზინგერი გუნებაში საკუთარ თავს ეკითხებოდა: უნდა ყოფილიყო თუ არა ლინდონ ჯონსონი მისი პარტიის კანდიდატი მომავალ არჩევნებში? იგი ემზადებოდა კიდეც ატლანტიკ-სიტიში დემოკრატიული პარტიის ყრილობისათვის.

შლეზინგერი მაკნამარას დაემშვიდობა და პარტიის ნაციონალური კომიტეტის თავმჯდომარე ჯონ ბეილს ეწვია. ყოველგვარი

შესავლის გარეშე პირდაპირ ჰკითხა: შეიძლება თუ არა უარი ვუთხრათ ახალ პრეზიდენტს დემოკრატიული პარტიისაგან მისი კანდიდატურის წამოყენებაზეო? როგორც ბეილი იგონებს, მან ასეთი პასუხი გასცა: „ფორმალურად ეს სრულიად შესაძლებელი ამბავია, მაგრამ ამის შედეგად დემოკრატიული პარტია არჩევნებზე უსათუოდ დამარცხდება". შლეზინგერის აზრით, პარტია ყოველგვარ ვითარებაში დამარცხდებოდა, გაიმარჯვებს ან როქფელერი ან ნიქსონი, „მსხვილ საზრეწველო ცენტრებში" მიღებულ ხმათა დიდი უმრავლესობის წყალობით.

შლეზინგერი ერთხანს დაფიქრდა და დასძინა:

— და მაინც ვფიქრობ, რომ ჯონსონს ვითარების შეგრძნობისათვის საყოფი შორსმჭვრეტელობა მოეპოება, რამაც, შესაძლოა, აიძულოს შემტევი ლიბერალური პოლიტიკის გატარება.

ასეთი მოსაზრებანი გამოითქვა ოცდამეთექვსმეტე პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის პირველ დღეს, ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე იგი რომელსამე მიმართულებით რაიმე ნაბიჯს გადადგამდა. დემოკრატიული პარტიის ეს მოღვაწე სერიოზულად ჩაფიქრებოდა ამ საკითხს — ჯონსონის ყოველგვარი დამსახურების მიუხედავად ხომ არ აჯობებდა მისი კანდიდატურის ჩაგდება, თუნდაც მომავალ არჩევნებში ეს მთელი პარტიის დამარცხებას მოასწავებდესო.

და მაინც არა მგონი, ვინმეს უფრო ზუსტად ეწინასწარმეტყველოს ჯონსონის შიდაპოლიტიკური პროგრამის მომავალი მიმართულება.

გათენდა. მზის სხივები მოეფინა იქაურობას. დილის გაუფანტავ ნისლში მუხის დაცვენილი ფოთლები იდუმალ ფიგურებს მიაგავდა პატარა მწვანე მდელოებზე, სადაც ჯერ კიდევ ეიზენჰაუერის დროინდელი გოლფის ორმოები შემორჩენილიყო.

ყოფილი პირველი ლედის საძინებელი ოთახის ფანჯრების ქვეშ ბეწვაშლილი ციყვი ღრენით აკვირდებოდა საკუთარ თათებს. ჟაკლინ კენედი ვერ ხედავდა ამას. ქალი უგრძნობლად იწვა. დიახ, მხოლოდ ამას იტყოდით მის მდგომარეობაზე. ეს არ იყო ძილი. ალბათ, მთელ თეთრ სახლში არ მოიძებნებოდა ადამიანი, ვისაც უფრო გაძნელებოდა თვალების მილულვა, ვიდრე თვით ამ სახლის დიასახლისს.

ექიმი ჯონ უოლში იძულებული გახდა უკიდურესი ზომა

ესმარა, რადგან ასე არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ქალს არაქათი გამოეცლებოდა. რჩებოდა ერთი გამოსავალი: ძლიერი ნარკოტიკული საშუალებით გაბრუება.

აღმოსავლეთის დარბაზის დატოვების შემდეგ ქაკლინი ძლიერ-ძლიერობით ავიდა მეორე სართულზე და ატირებულ მოახლე ქალს პირდაპირ ხელებში ჩაუვარდა. ერთმანეთს ჩახვეულნი შეეიდნენ ქაკლინის საძინებელში. მხოლოდ აქ, როგორც იქნა, გაიხადა სისხლით მოსვრილი ტანსაცმელი. სისხლის შემხმარი შხეფები უკვე გამუქებულიყო. მოახლე საოცრად შეაშფოთა სისხლის ამდენი ლაქების ხილვამ. მსახური ქალი რადიოსაც ისმენდა და ტელევიზორის გადმოცემებიც ნანახი ჰქონდა, მაგრამ ამ სანახაობამ მაინც წარმოუდგენელი თავზარი დასცა.

ექიმმა უოლშმა თავის პაციენტს ნემსი ჯერ კიდევ საზღვაო ჰოსპიტალ ბეტესდეში ყოფნისას გაუკეთა, მაგრამ წამალმა ქაკლინზე არ იმოქმედა. ექიმმა კვლავ შეაესო შპრიცი. ამჯერად იგი თავის სამედიკამენტო არსენალში არსებულ ყველაზე ძლიერად მოქმედი საშუალების გამოყენებას აპირებდა.

მერვე თავი

ახალი პრეზიდენტის პირველი დღე

დილის რვა საათი იყო. თეთრი სახლის დასავლეთ ფრთაზე პიერ სელინჯერის კაბინეტში ტელეფონი აწკრიალდა.

— პრეზიდენტს სურს თქვენთან ლაპარაკი, — მოახსენა სელინჯერს ოპერატორმა.

პიერი სახტად დარჩა: „პრეზიდენტის როლში სხვა ვინმეს წარმოდგენა ვერ შევძელი“.

ჯონსონი წყნარად და ფრთხილად ლაპარაკობდა:

— მე მესმის, რა ძლიერი გრძნობები გაკავშირებთ კენედისთან მაგრამ ვისურვებდი, რომ თქვენ, პიერ სელინჯერი, კვლავ დარჩენილიყავით პრეზიდენტის თანაშემწის პოსტზე.—თქვენ მე უფრო მეტად მჭირდებით, ვიდრე მას, — ხაზგასმით დასძინა ჯონსონმა.

თავის საცხოვრებელ სახლიდან ანუ „ელმზიდან“ დაბრუნების შემდეგ ჯონსონისათვის პირველ ამოცანად სამუშაო ადგილის მონახვა იქცა. როგორც პრეზიდენტს, მას უფლება ჰქონდა ოვალური კაბინეტის დაკავებისა. შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ ეს იყო მისი პირდაპირი მოვალეობა და ყოველგვარი სხვა საქციელი კრიტიკულ მომენტში მთავრობისადმი რწმენის დაცემას გამოიწვევდა. ზოგიერთი მოღვაწე სწორედ ასე სვამდა საკითხს. მაგრამ ხალხი მეტად მწუხარე იყო და თეთრ სახლში ახალი პრეზიდენტის გადმოსვლა, შესაძლოა, არასწორად ახსნილიყო ან სულაც უარყოფითად აღექვათ. არჩევანის გაკეთება არცთუ ისე ადვილი გახლდათ. სწორედ აქ გამოიჩინა ჯონსონმა თავისი ბუნებისათვის ესოდენ უჩვეულო გაუბედაობა. მისი პირველი სურვილი თეთრი სახლის დასავლეთ ფრთაზე მისვლა იყო.

ეველინ ლინკოლნი ნივთებსა და მასალებს ალაგებდა. მაკჯორჯ ბანდის ბრძანების თანახმად, მას გენერალ ტეილორის ყოფილი კაბინეტი გამოუყვეს. ქალმა იცოდა, რომ რობერტ კენედის მისი ძმის კუთვნილი ყველა ნივთის გატანა სურდა, მაგრამ ეველინი ამას სასწრაფო საქმედ არა თვლიდა. ის კი არა, თეთრი სახლის ფოტოგრაფ კაპიტან სესილ სტაფტონსა სთხოვა ახლად გაწყობილი კაბინეტები გადაეღო, ვიდრე ყოფილი პრეზიდენტის ნივთები ჯერ ისევ ხელუხლებელი იყო. მუშაობაში გართულ ქალს უეცრად ლინდონ ჯონსონი წაადგა თავს და ოვალურ კაბინეტში შემოდიო, სთხოვა.

— დიახ, სერ, — მიუგო ქალმა და მორჩილად გაჰყვა უკან.

პრეზიდენტი ერთ-ერთ დივანზე დაჯდა. ეველინმა საქანელა-სავარძლისკენ გადადგა ბიჯი, მაგრამ უეცრად შედგა და იქვე პირდაპირ მდგარ დივანზე დაეშვა.

— მე თქვენ უფრო მეტად მჭირდებით, ვიდრე თქვენ მე, — მიმართა ჯონსონმა ქალს, — მაგრამ ოკეანის გაღმა მყოფთათვის მეც უნდა შევუდგე საქმეს. ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე მიღება მაქვს დანიშნული. ხომ ვერ შეძლებდით ამ დროისათვის კაბინეტის გათავისუფლებას?

პრეზიდენტმა ქალს ერთი საათიც კი არ მისცა. ეველინმა სუსტი ხმით უპასუხა:

— კეთილი, ბატონო პრეზიდენტო!

მერე ჯონსონმა ჰკითხა:

— როგორ ფიქრობთ, შეიძლება ბილ მოიერსის მოთავსება კენ ო'დონელის კაბინეტში?

ქალმა არ იცოდა, რა ეპასუხა. უხერხული პაუზის შემდეგ ენის ბორძიკით ძლივს წარმოთქვა:

— მე არ ვიცი, ბატონო პრეზიდენტო.

შემცბარი ეველინი ის იყო თავის კაბინეტში უნდა შესულიყო, რომ რობერტ კენედის შეეჩეხა. ქალმა თავი ვერ შეიკავა და აქვითინდა.

— იცით, ათის ნახევრისათვის ყველაფრის გატანა მთხოვა.

უმცროს კენედის ელდა ეცა. იგი სწორედ ამ გადაბარგების ამბების გასაგებად მოვიდა, მაგრამ ასეთ რამეს მაინც არ ელოდა.

— ეს შეუძლებელია! — წამოიძახა მან.

წუთიც და ჰოლში თვითონ ჯონსონს შეხვდა. ჯონ კენედის სიკვდილის შემდეგ ეს იყო მათი პირველი შეხვედრა, თანაც ახალ ვითარებაში. ჯონსონი უკვე აღარ გახლდათ რობერტ კენედის ხელქვეითი. ახლა საქმე პირუკუ იყო. რობერტ კენედი გაეღიზიანებია იმ მონაყოლს, რაც ჯონსონის დალასიდან ვაშინგტონში ფრენისას ჯონსონის საქციელს შეეხებოდა. თავის მხრივ, ჯონსონიც აუტანელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. დიახ, როგორადაც არ უნდა მოქცეულიყო 23 ნოემბრის იმ შაბათ დილას, ყველას გულს მაინც ვერ მოიგებდა. პირველ ყოვლისა, მას ქვეყნის წინაშე უნდა შეესრულებინა თავისი მოვალეობა და ეს ვალდებულება მან, მართლაც, პირნათლად შეასრულა.

— არ შეიძლება არავითარი შეფერხება. მთავრობა ვალდებულია მუშაობა განაგრძოს, — უთხრა ჯონსონმა თავის თანაშემწე ჯორჯ რიდს.

ეს ჭეშმარიტად ბრძნული გადაწყვეტილება იყო. ორი მთავრობის შესაყართან ულამაზო ნაიარევი დარჩებოდა და მეტი არაფერი.

ო'დონელის კაბინეტიდან გამოსულმა პრეზიდენტმა იუსტიციის მინისტრი დაინახა.

— მე თქვენთან მოლაპარაკება მინდოდა, — უთხრა მან.

— კეთილი, — მიუგო რობერტ კენედიმ.

ჯონსონს პრეზიდენტის კაბინეტში არ სურდა საუბარი და

პრეზიდენტის პირსაბანი ოთახის წინ პატარა შესასვლელში გავიდნენ. ახალმა პრეზიდენტმა რობერტ კენედის მოახსენა, რომ იგი მისთვის უფრო აუცილებელი და საჭირო კაცია, ვიდრე ეს მისი ძმისთვის იყო. ამ დროისათვის დაახლოებით ერთ დუჟინ მთავრობის წევრს ეს ფრაზა კენედისათვის უკვე ციტირებული ჰქონდა. რობერტს ახლა, საერთოდაც არ სურდა მისი მომავალი მუშაობის, კაბინეტის წევრად დარჩენა-არდარჩენის საკითხზე ლაპარაკი. — ჩვენ წინაშე ახლა გაცილებით პროზაული — ბარგის გატანის საკითხი დგას, — უთხრა რობერტმა, — ხოლო ჩემი ძმის ნივთების ყუთებში ჩასალაგებლად კი დრო არის საჭირო.

— თქვენ შეგიძლია დაიცადოთ? — გადაჭრით ჰკითხა რობერტმა.

— რასაკვირველია, — მყისვე მიუგო ახალმა პრეზიდენტმა და მაშინვე იმის განმარტება დაიწყო, თუ რა ჰქონდა მხედველობაში. რომ არსებითად, მას სულაც არ ეჩქარება თეთრ სახლში გადმოსვლა და ეს მხოლოდ მისი მრჩევლების დაჟინებაა.

იუსტიციის მინისტრზე ჯონსონის ამ თავგამოდებულ მტკიცებებს არავითარი გავლენა არ მოუხდენია. ეტყობა, ბობის გულგრილობამ აიძულა ჯონსონი მყისვე ძველ სამყოფელს, პრეზიდენტის კანცელარიის შენობაში მოთავსებულ თავის კაბინეტს დაბრუნებოდა.

ჯონსონს ნამდვილად არაფერი გაუზვიადებია თეთრ სახლში გადმოსვლასთან დაკავშირებული იძულების ხსენებისას. რობერტ კენედისთან შეხვედრის შემდეგ კი იგი უკვე გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდა ამდაგვარ დაძალებას. ჯონსონი ოპერატიულ განყოფილებაში ჩავიდა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორის მაკოუნისა და თავისი სპეციალური თანაშემწის ბანდის ცნობები გადასინჯა. მერე, აგენტის ქოლგას შეფარებულმა, სასწრაფოდ გადაჭრა უესტ იაზეკუტივ-ავენიუ. იქ ჯონსონი რასკს, მაკნამარასა და კონგრესის ლიდერებს უნდა შეხვედროდა. თავის სამდივნოს მუშაკებს კი მოკლედ უბრძანა:

— მარიმ ტელეფონის ზარს გასცეს პასუხი, ჰუანიტამ ხალხს მიხედოს.

როცა ვიღაცამ საკითხი წამოჭრა, პრეზიდენტი საღამოს ტელევიზიით უნდა გამოვიდეს და ხალხს მიმართოსო, ჯონსონმა უა-

რის ნიშნად თავი გააქნია. ახალი პრეზიდენტის ადიუტანტი პოლკოვნიკი უილიამ ჯეკსონი დაჟინებით უმტკიცებდა, თეთრ სახლში თქვენი გადასვლა აუცილებელიაო, მაგრამ პრეზიდენტს ამის გაგონებაც აღარ სურდა.

— თეთრ სახლში პრეზიდენტის ყოფნა ადამიანებს სიმტკიცესა და რწმენას შემატებს, — უხსნიდა პოლკოვნიკი.

— ხალხს სიმტკიცესა და რწმენას ჩვენი კარგი მუშაობა მოუტანს, — მოიგერია პრეზიდენტმა. — საერთოდაც, კმარა ამაზე ლაპარაკი! პირველ ყოვლისა, ჩვენ ქალბატონ კენედისა და მისი ოჯახის მდგომარეობაზე უნდა ვიფიქროთ.

სწორედ ამ დროს, ქუჩის მეორე მხარეს მდგარ შენობაში, რობერტ კენედიმ გამალებით მომუშავე ეველინ ლინკოლნს უთხრა, აღარ გემართებსო აჩქარება. მაგრამ მდივანი ქალი მაინც ჩქარობდა. სწრაფად შეფუთეს ჯონ კენედის ორი დივან-საქანელა და პატარა საგორავით შენობიდან გაიტანეს. ათის ნახევრისათვის შეუძლებელი იყო შენობის დაცლა, მაგრამ თერთმეტი საათისათვის კი გულით ეწადა ყველა ნივთი მუყაოს ყუთებში ჰქონოდა ჩალაგებული. მართალია, ეველინი ცოტა ხნით პრეზიდენტის რეზიდენციაში ღვთის მსახურებაზე დასასწრებად გავიდა, მაგრამ მაინც მოასწრო ყველა აუცილებელი საქმის გაკეთება. მარტო თვითონ ამ სამუშაოს, ალბათ, მთელი დღე მოუნდებოდა, მაგრამ როგორც კი პირველ ყუთს მოჰკიდა ხელი, მაშინვე მშველელთა მთელი გუნდი შემოეხვია: მისი ქმარი, მერი გალაჰერი, ჯო ჯორდანო, ბუტს მიულერი და მაგზი ო'ლირი. წუთით კენ ო'დონელმაც შემოიხედა. თავისი ტეხასური საქაღალდე მაგიდაზე დაადგა და ჩვეულებრივ მოკლედ მოჰკრა:

— მე შინ მივდივარ.

ეველინმა იფიქრა, ალბათ, უკვე გადადგომა ითხოვაო და ო'დონელის საქაღალდეც პრეზიდენტის კუთვნილ ნივთებთან ერთად შეფუთეს. ფუთავდნენ სურათებს, გემების მოდელებს, ოვალურ კაბინეტში მდგარ ჩუქურთმიან საწერ მაგიდას და მასზე მდგარ ათასგვარ სუვენირს. მთავრობის ძველი მეთაურის ნივთების გადატანის შესაბამისად ოთახში შემოჰქონდათ ახალი მეთაურის ნივთები. უეცრად, ეველინ ლინკოლნის მაგიდის უკანა კედელზე, ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის კაბინეტიდან გამოტანილი

ოქროს ჩარჩოში ჩასმული, ლინდონ ჯონსონის უზარმაზარი პორტრეტი გაჩნდა.

ვიდრე თეთრი სახლის აღმოსავლეთის ფრთაზე ეველინ ლინკოლნი და მისი რაზმი კენედის ნივთებს ფუთავდნენ, არტურ შლეზინგერმა გადადგომის მაუწყებელი განცხადების წერა დაამთავრა. თეთრი სახლის დასავლეთ ფრთაზე კი ტედ სორენსენმა თავის თანამშრომლებს განუცხადა, პოსტიდან გადადგომას ვაპირებ და, იმედი მაქვს, თქვენც ასევე მოიქცევითო. ტეხასში კენედის მხლებელ აგენტთა უმრავლესობა ახლა ანგარიშების წარდგენაზე მუშაობდა. შოფერი ბილ გრირი სპეციალური შემოწმების ჩასატარებლად კენედის დალასისეულ ტანსაცმელს აბარებდა. მაკ ბანდი ვიცე-პრეზიდენტის მისაღებში მორიგეობდა. დუაიტ ეიზენჰაუერი ჯონსონთან შესახვედრად მიემგზავრებოდა. თვითონ ჯონსონი სენატორ ჰიუბერტ ჰემფრის ელაპარაკებოდა და მადლობაც უთხრა ტელევიზიით გამოსვლისათვის. მერე სენატორ იარბოროს დაურეკა და მისი მხარდაჭერის გამომხატველი დეპეშების მიღება დაუდასტურა.

დემოკრატიული პარტიის ნაციონალური კომიტეტის წევრმა ბაირონ სკელტონმა რობერტ კენედის ტეხასიდან დეპეშა გამოუგზავნა: „ნეტავ ყურადგეღოთ 4 ნოემბრის წერილში ჩემ მიერ გამოთქმული გაფრთხილება დალასის ვიზიტის საშიშროებასთან დაკავშირებით!“

რაც შეეხება ლი ოსვალდს, იგი ამ დროს დალასის პოლიციის შენობის მეხუთე სართულზე, საკანში იწვა. მისი ცოლი, დედა და ორი ქალიშვილი სასტუმრო „ადოლფუსის“ მეცხრე სართულის 905—907 ნომრებში იმყოფებოდნენ. პეინების სახლიდან ისინი აქ ჟურნალ „ლაიფის“ კორესპონდენტმა ტომას ტომპსონმა მოიყვანა. ღამის განმავლობაში საგრძნობლად იმატა კენედის მკვლელის საწინააღმდეგო სამხილთა რიცხვმა. ქალაქ ჩიკაგოს „კლეინის“ ფირმის სპორტული საქონლით მოვაჭრე მაღაზიის დირექტორები ექვსი საათი თავაუღებლად უსხდნენ თავიანთი დოკუმენტების მიკროფილმებს და, როგორც იქნა, დილის ოთხ საათზე იპოვეს ჟურნალ „ამერიკენ რაიფლემენის“ ტალონი, რომლითაც რვა თვის უკან ოსვალდმა ოპტიკური სამიზნიანი შაშხანა შეუკვეთა.

ო

ცა ოსვალდი ხელახლა დასაკითხად ოთახში მოიყვანეს, ფორესტ სორელში იმ დასკვნამდე მივიდა, რომ პატიმარს განგებ გამოჰყავდა კაპიტანი უილ ფრიტცი მოთმინებიდან, იმ იმედით, რომ ბოლოს და ბოლოს, კაპიტანი მას გალახავდა. ამით ოსვალდს საშუალება მიეცემოდა პოლიციისათვის მისდამი უხეში მოპყრობის ბრალდება წარედგინა. მეორეს მხრივ, ვერც პოლიცია აუმჯობესებდა დაკითხვის მეთოდებს. პატარა ოთახი კვლავ გაჭედილი იყო დალასის, ტეხასისა თუ ფედერალური პოლიციის მუშაკებით. პატიმრისათვის დასმულ ბევრ კითხვას საერთოდ არავითარი კავშირი არა ჰქონდა საქმესთან. მაგალითად, ფრიტცმა ჰკითხა ოსვალდს, გწამთ თუ არა ღმერთი. როგორც ეს შემდეგ ფრიტცმა გაიხსენა, ოსვალდმა საკადრისად მოიგერია იგი. „არ ვაპირებ ამ საკითხის განხილვასო". თავისი წარსულის მოყოლისას კი, მართლაც, შესაბრალისად ტყუოდა. იმტკიცებოდა, შაშხანას აბა რითი შევიძენდი, როცა წიგნების საწყობში საათში მხოლოდ 1 დოლარსა და 25 ცენტს მიხდიანო. ცდილობდა ირგვლივ მყოფი ადამიანები დაერწმუნებინა, რომ იგი „არც კომუნისტია და არც მარქსისტ-ლენინელი, არამედ უბრალოდ მარქსისტია". საქმის გამომძიებელთა შორის არავინ იყო დიალექტიკური მატერიალიზმის მცოდნე. არც ერთ ძათგანს ჰეგელი წაკითხული არა ჰქონდა, ისევე როგორც იგი არასოდეს წაუკითხავს თვით პატიმარს ლი ჰარვი ოსვალდს.

კენედის მკვლელობის თაობაზე ოსვალდმა შენიშნა:

— ქვეყანას ახალი პრეზიდენტი წარუძღვება და ხალხს ყველაფერი რამდენიმე დღეში დაავიწყდება.

ესა და კიდევ ამგვარადვე სხვათა შორის წამოსროლილი სიტყვები — კერძოდ, მთავრობის მეთაურს „კარგი ოჯახი" აქვსო — აი ყველაფერი ის, რაც მან თავის მსხვერპლზე თქვა. აკი ფრიტცს უთხრა კიდეც: პრეზიდენტზე არაფერი განსაკუთრებული არ შეიძლია გითხრათო, — გულისხმობდა, რასაკვირველია პრეზიდენტ კენედის.

თუმცა დაკითხვის ოქმები არასრულია (ეტყობა, ოსვალდისათვის არაფერი უკითხავთ გუბერნატორ კონელიზე), მაგრამ იგრძნობა, უფრო სრულყოფილი ჩანაწერებიც ბევრით მეტს არას შეგვძენდა. თვით მაშინაც კი, როცა ოსვალდს ცოლთან, დედასთან

და ძმასთან შეხვედრის ნება დართეს, ამ ეროვნულ ტრაგედიასთან დაკავშირებით უცნაურობამდე თავშეკავებულად ეჭირა თავი. ნათესავებთან იმ ხუთწუთიანი შეხვედრის დროს მას თითქმის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია დედისათვის. ცოლს რუსულ ენაზე ბავშვების ამბავი გამოჰკითხა. უეცრად მარინა ოსვალდმა ხმამაღლა გაიცინა, დედამთილს მიუბრუნდა და თავისი დამტვრეული ინგლისურით უთხრა:

— დედა, მეუბნება, რომ ვუყვარვარ და ჯუნს ტუფლებს უყიდის.

მარინას არ უკითხავს ქმრისათვის, მოკლა თუ არა კენედი, თუმცა ეს კითხვა ერთთავად გონებაში უტრიალებდა.

მარინას მიერ მოგვიანებით გამოთქმულ სიტყვებს თუ გავიმეორებთ, „თვალებში ეტყობოდა, რომ დამნაშავე იყო".

ლი ოსვალდის თვალების გამომეტყველებამ განსაკუთრებით ძმაზე იმოქმედა. რობერტ ოსვალდი ორჯერ მეტხანს დარჩა ლისთან, ვიდრე ცოლი და დედა. ამ შეხვედრას იგი შემდეგ ასე იგონებს:

— ლი თითქოს საზრიანად იქცეოდა, მგარამ მთელი მისი მოქმედება რაღაც მექანიკური იყო. გონება საკვირველმა აზრმა გამინათა: მივხვდი, რომ ეს ყველაფერი მას სულ არ აღელვებდა. პირდაპირ თვალებში შევყურებდი, თუმცა რაიმე აზრის ნიშანწყალიც კი ვერ დავინახე. ჩემს სახეზე გამოხატული გაკვირვების ამოკითხვისას მისთვის ცხადი გახდა, რომ მე ეს შევამჩნიე. იგი გრძნობდა, კერძოდ რა მქონდა მხედველობაში, დიახ, როცა თვალებში ხელმეორედ შევხედე, ლიმ მითხრა: „ძმაო, ნუ ცდილობ, მაინც ვერაფერს დაინახავ".

მარინა ოსვალდსა და მის დედამთილ მარგარიტას ერთმანეთთან მხოლოდ ბავშვები აკავშირებდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბავშვებზე ზრუნვასა და ერთი მომენტალური სურათის გაქრობის აუცილებლობას, ამ ორ ქალს შორის მხოლოდ უსიამოვნების მომტანი მეტად დაძაბული ურთიერთობა არსებობდა. ზემოხსენებულ სურათზე ლი ოსვალდი იყო გამოსახული, ხელში სწორედ ის შაშხანა ეჭირა, რითაც მკვლელობა ჩაიდინა (ქალების მოგონებათა თანახმად, მარინამ ეს სურათი საფერფლეზე დაწვა, ხოლო მარგარიტამ იგი საპირფარეშოში წყალს გაატანა).

თუ-ცა, უკვე არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა მათ ნამოქმედარს. პეინების გარაჟის გაჩხრეკისას პოლიციამ იმავე ავსკიდან გადაბეჭდილი თითქმის ისეთივე სურათი იპოვა. იგი ოსვალდის ნივთებთან ერთად ყავისფერ მუყაოს კოლოფში იდო. ასევე ნაკლები აზრი ჰქონდა ოსვალდის ქედმაღლურ ტონს ფრიტცის მიერ წარმოებული დაკითხვის დროს. რა თქმა უნდა, ბევრმა გამოთქვა და ბევრიც გამოთქვამს თავის დაეჭვებას ოსვალდის ბრალდების საბუთიანობაზე. ოსვალდის დაპატიმრებიდან რამდენიმე საათის განმავლობაში დალასში დარეკეს მსოფლიოს ყველა კუთხიდან. ექვსჯერ მარტო ავსტრალიიდან. გამოთქვამდნენ ეჭვაუდს, — პატიმარი მხოლოდ განტევების ვაცია და მეტი არაფერია. მაგრამ ეს ასე არ გახლდათ. თანდათან იზრდებოდა არაპირდაპირ სამხილთა რაოდენობა. შაბათ დილისათვის (23 ნოემბერი) ეს ამოიცნეს მოწმეებმა. მისი უხერხემლო ალიბიდან ფარდების კარნიზის თაობაზე ნიშანწყალიც აღარ დარჩა. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ტაქსის შოფერ ბილ უელის მარშრუტი შეამოწმა, ხოლო ვაშინგტონში იუსტიციის სამინისტროს ლაბორატორიამ თავის მხრივ დაადასტურა ყველა ეჭვი, რაც მკვლელის თითების ანაბეჭდებსა და ბამბის ხალათის ნაგლეჯებს ეხებოდა, შაშხანის კონდახსა და ლითონის სალტეს შორის რომ შერჩენილიყო.

23 ნოემბრის დილისათვის ოსვალდი უცილობელ დამნაშავედ იქნა აღიარებული. მის დამნაშავეობაში ოდნავ დასაბუთებული დაეჭვებაც აღარ შეიძლებოდა. ოსვალდის დანაშაულის დამამტკიცებელი საბუთები უკვე თავზე საყრელად იყო. ყველა მიიჩნევდა, — სახელმწიფოს მთავრობის მეთაურის მკვლელს ოდნავი ეშმაკობა მაინც უნდა ჰქონოდა. რაც უფრო მეტი ფაქტი გროვდებოდა ბრალდებულის გარშემო, მით უფრო უჭირდა გონების მისი შეცნობა. მიზეზსა და შედეგს შორის სრული შეუსაბამობა იყო. მათი შედარება ვერ ხერხდებოდა. ოსვალდის დამპატიმრებელნი როდი იყვნენ დამნაშავენი მის უგუნურებაში. არც ოსვალდის უადვოკატობაში შეიძლება მათი მთლიანად დადანაშაულება. რასაკვირველია, იმ პარასკევ საღამოს, მოქალაქეობრივ უფლებათა თავისუფლების დაცვის კავშირის იურისტთა დელეგაცია უფრო თავაზიანად უნდა მიეღოთ. მაგრამ დამცველის გამოყოფა სასამარ-

თლოს მანამ არ შეეძლო, ვიდრე პროცესი არ დაიწყებოდა. საქმის ძიება კი ჯერ ამ საფეხურამდე არ იყო მისული. პატიმართან ურთიერთობაში მიუტევებელ შეცდომად კვლავინდებურად მისი ასეთი უპრეცედენტო სახალხო ჩვენება იყო. სპექტაკლები ლი ოსვალდის მონაწილეობით თითქმის შეუწყვეტლად მიმდინარეობდა. უამრავი გაფრთხილების მიუხედავად არც ფოტოსურათების გადაღება შემცირებულა და არც ერთი მიკროფონი არ გაუტანიათ. შაბათი დღის, ერთ-ერთი გაცხოველებული ინტერვიუს დროს, კაპიტანმა ფრიტცმა „ნეიშნლ ბროტკასტინგ კომპანის" კორესპონდენტს უთხრა:

— ამ კაცმა მოკლა პრეზიდენტი. ბრალდების დასადასტურებლად ჩვენ სრულიად ურყევი მტკიცებანი გაგვაჩნია.

როგორც კი გამოძიების ფედერალურმა ბიურომ დალასის პოლიციის უფროსს კარის აცნობა, ფირმა „კლეინისათვის" გაგზავნილი შაშხანის შეკვეთის ტალონი ლი ჰარვი ოსვალდის ხელით არის შევსებულიო, კარიმ მაშინვე ეს ყველაფერი პრეს-კონფერენციაზე დაწვრილებით გადმოალაგა. პრეს-კონფერენცია კი ტელევიზიით გადაიცემოდა. ამის გამგონე გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი ედგარ გუვერი ლამის გაცოფდა. მაშინვე დალასში დარეკა და მკაცრად გააფრთხილა: ჩემი უწყების მიერ დადგენილი სამხილები არასოდეს საჯაროდ არ გამოიტანოთო. კარი გუვერის თაყვანისმცემელი კაცი გახლდათ. კაბინეტში დიდი სიამაყით ჰქონდა გაკრული მისთვის ნაჩუქარი, წარწერით დამშვენებული გუვერის სურათი. და მაინც თითქოს და რაღაც თავისთავადი იმპულსების გავლენით გამოაშკარავება კვლავ გრძელდებოდა. ოლქის პროკურორმა ჰენრი უეიდმა მისახვედრი გადაკვრით თქვა, ჟაკლინ კენედისა და ლინდონ ჯონსონს, შესაძლოა, ჩვენების მისაცემად დალასში მოუწიოთ ჩამოსვლაო, ხოლო კომენტატორთა შორის ყველაზე ფრთხილმა დევიდ ბრინკლმა პირდაპირ განაცხადა, „პრეზიდენტი მოკლა ვიღაც ნაძირალამ ფოსტით შეკვეთილი შაშხანითო".

ცოფებს ყრიდა თითქმის ყველა მოწინავე იურისტი. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ერლ უორენი შინ სატელევიზიო გადაცემას უსმენდა. ტელევიზია დაწვრილებით ცნობებს იძლეოდა ოსვალდის საწინააღმდეგო სამხილთა თაობაზე და უორენს

[illegible] [illegible] გასასეულდა: საძიებელ[illegible] რომელიღაც შეკრიფვა ტელევიზიით გადასცა ბრალდებულის აღიარება. ეს პირველ[illegible] სასამართლოს დაბალმა ინსტანციამ ბრალდებულად სცნო, ხოლ[illegible] უმაღლესი სასამართლო იძულებული გახდა განაჩენი გადაესინჯა. რაც შეეხება კანონის ახლანდელ დარღვევას, „ორენის აზრი", გაცილებით უფრო სერიოზული იყო.

ვინაიდან რობერტ კენედის იმჟამად არ შეეძლო იუსტიციის მინისტრის მოვალეობის შესრულება, ფაქტიურად მინისტრის ქმიანობას ახლა მისი მოადგილე ნიკ კატცენბახი ასრულებდ მან წინადადება წამოაყენა შექმნილიყო საქმის გამომძიებელი მისია, რომელსაც შემდგომ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ჩაუდგა სათავეში.

საუბედუროდ, კატცენბახმა შეიტყო, რომ ახალმა პრეზიდენტმა უკვე მიიღო წინასწარი გადაწყვეტილება შეექმნა კენედის მკვლელობის გამომძიებელი ტეხასური კომისია, რომელშიაც არც ერთი არატეხასელი, მათ რიცხვში ფედერალური ხელისუფლების არც ერთი წარმომადგენელი არ შეეიდოდა. კატცენბახი მაშინვე ეწვია ჯონსონთან საკმაოდ დაახლოებულ ვაშინგტონელ ადვოკატ ეიბ ფორტასს და ყოველგვარი ქარაგმების გარეშე, ღაუფარავად განუცხადა, რომ პრეზიდენტის ამ გადაწყვეტილებას მიიჩნევს საშინელ შეცდომად. მან ფორტასისაგან ისიც შეიტყო, რომ ჯონსონი ფედერალურ გამოძიებათა ბიუროს მოხსენების გამოქვეყნებას აპირებდა პრეზიდენტ კენედის მკვლელობის ვითარებასთან დაკავშირებით.

ნიკ კატცენბახი საოცარი შეუპოვრობით მოითხოვდა, რათა ამ მოხსენებას იუსტიციის მინისტრის ან კერძოდ მის ხელში გაეცალა.

ყველა საშინლად შეაშფოთა ოლქის პროკურორ უიედის გადაკრულმა სიტყვებმა — შესაძლოა, პირველი ლედი ჩვენების მისაცემად დალასის სასამართლოში იხმონო. ტეხასში ფართოდ გავრცელებული აზრის მიხედვით, „ყოველივე იმის შემდეგ, რის გადატანაც ჟაკლინს მოუხდა, მოსალოდნელი არ არის მისი აქ დაბრუნება და ამ საზიზღარი დანაშაულის განხილვაზე დასწრება". ეს სიტყვები ჯეკ რუბის ეკუთვნის. რუბი კიდევ უფრო შორს წავიდა. მას სწამდა — „ჩვენი საყვარელი პრეზიდენტისათვის, ვიღაც

ისე გააკეთებს", რომ ამ მგზავრობის საჭიროება მოიხსნებაო. ამის ჩადენა კი, ცხადია, მხოლოდ მოხალისეს შეეძლო. მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე ჯეკ რუბი საკუთარ თავს შურისმაძიებლად თვლიდა — საკმარისი იყო რაიმე ანტისემიტური შენიშვნა, რომ რუბი თავშეკავებას კარგავდა. შურისგებისას იგი ყოველთვის ძალადობას იყენებდა. რუბი ფიზიკურად სუსტი, მაგრამ პირდაპირი კაცი იყო. ვითარცა პატარა ბავშვს, მას არ ძალუძდა წინასწარ განეჭვრიტა თავისი უეცარი აფეთქების შედეგი.

* * *

საუკუნე-ნახევრის განმავლობაში თეთრი სახლის სამეჯლისო დარბაზში უკანასკნელი პატივისცემა მიაგეს პოსტზე ყოფნისას გარდაცვლილ ხუთ პრეზიდენტს: ჰარისონს, ტეილორს, ლინკოლნს, გარდინგს და ფრანკლინ რუზველტს. მათი თანამედროვეთათვის ეს იყო სადღაც სხვაგან მომხდარი ამბები, რაზედაც მხოლოდ გაზეთებში კითხულობდნენ. 1963 წლის 23 ნოემბერს კი მოვლენებისაგან ასეთი ჩამორჩენა უკვე აღარ იგრძნობოდა. მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა ძლიერმა გაერთიანებამ მთელი ერი პენსილვანია-ავენიუს 1600-ში შეჰყარა. „ზუმარას" მრავალფოკუსიანი ლინზის საშუალებით ხალხი პრეზიდენტის რეზიდენციის წვიმით დასველებულ საფეხურებს მისჩერებოდა. მაყურებელთ ისიც კი არ გამორჩენიათ, როგორ მიარაწკუნა სველგამაშიანი ქუსლები სამხედრო მეზღვაურმა მეთაურთან მისალმებისას და როგორ ასხლტა წყლის შხეფები. ყველას შეეძლო დაენახა, როგორ უწვდიდნენ თავიანთ სველ ხელებს სარჯენტ შრივერი და ენჯი დიუკი. შესვენებისას სამგლოვიარო ბაირაღებში ჩაფლულ თეთრი სახლის ჩრდილოეთ შესასვლელს უჩვენებდნენ.

მთელი შვიდი საათი გრძელდებოდა ეს დიდებული პანტომიმა. გადაცემებში ურთავდნენ ფილმების ნაწყვეტებს, სამგლოვიარო მუსიკას, უჩვენებდნენ დალახს. ზოგჯერ კომენტატორიც ლაპარაკობდა.

მიმსვლელნი ჯერ თეთრი სახლის ლურჯ დარბაზში შეჰყავდათ, სადაც მოკლული პრეზიდენტის ოჯახის წევრები რიგრიგობით ას-

ოულებდხეხ ძასპინძლის როლს. მერე გადიოდნენ მწვანე და აღმოსავლეთის დარბაზებს, ჩერდებოდნენ კუბოს კვარცხლბეკთან და კიბის საფეხურებით დაბლა ეშვებოდნენ.

ახალი პრეზიდენტისადმი პატივისცემის გამო გადასინჯულ იქნა საპანაშვიდო ეტიკეტი. ცხადია, ლინდონ ჯონსონს პირველს უნდა გაევლო კუბოსთან, როგორც კი კენედის ოჯახი გაეიდოდა. ამიტომ ადრე მოსულებს პრეზიდენტის მიერ აღმოსავლეთის დარბაზის გავლამდე ცოტა დაცდა სთხოვეს. ისინი კი საკმაოდ ბლომად იყვნენ.

კაბინეტის წევრებმა კენედის ნივთებისაგან დაცლილ სხდომათა დარბაზში მოიყარეს თავი. ფიქრობდნენ, ჯონსონს ჩვენც მივყვებით უკანო, მაგრამ ლინდონმა ჩაშალა მათი გეგმები. ახალმა პრეზიდენტმა კონგრესის ლიდერთა თანხლებით გადაჭრა უსაფიქზეკუტივ ავენიუ და სხდომათა დარბაზში შეუსვლელად თავისი ამალითურთ კვარცხლბეკზე დადგმულ პრეზიდენტის კუბოს შემოუარა.

მისვლა ინებეს კენედის მტრებმაც — მათ სხვა გამოსავალი არა ჰქონდათ. იმათთვის, ვინც კი რაიმე როლს თამაშობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იმ შაბათ დღეს თეთრი სახლის დემონსტრაციული უგულვებელყოფა ნამდვილად უაზრობას ნიშნავდა. იყო თუ არა მკვლელი ფართო შეთქმულების წევრი, ჯერ კიდევ ღიად რჩებოდა. ეჭვი არ არის, იქ მყოფთაგან ზოგი თვალთმაქცობდა, მაგრამ ბევრი, კენედისაგან განსხვავებული აზრების მიუხედავად, მაინც სიმპათიურად იყო განწყობილი მისდამი, როგორც პიროვნებისადმი.

კუბოსთან ჩავლილ ორ უკანასკნელ დელეგაციას შორის პრესის წარმომადგენლები იყვნენ, მეორე დელეგაციას კი თეთრი სახლის მოსამსახურე პერსონალი შეადგენდა. ქვეყნის გამოჩენილი ადამიანები უკვე გაიკრიფნენ. ელჩები მასაჩუსეტს-ავენიუზე დაბრუნდნენ, გუბერნატორები — თავიანთი სასტუმროების ნომრებში, სენატორები — კაპიტოლიუმში.

რადიოსა და ტელევიზიის რეპორტიორების, სპეციალური კორესპონდენტების, მეტადრე მსახურთა, დურგლებისა თუ დამლაგებლების პრეზიდენტთან გამოთხოვება ნამდვილად უჩვეულო იყო. ეს, რა თქმა უნდა, არ გახლდათ დაკრძალვის საზეიმო ცე-

რემონიალის გეგმით გათვალისწინებული ამბავი, ისევე როგორც წინა ღამით ენდრიუსის აეროდრომსა და ბეტესდეს ჰოსპიტალში ხალხის თავშეყრა. ან თუნდაც გამთენიისას ბენზინის კოლონის მუშაკების მოწიწებული დგომა ვისკონსინ-ავენიუს გაყოლებაზე. იგი მთელი ქვეყნის უსაზღვრო მწუხარების მაუწყებელი იყო. კენედის კამერდინერი ჯორჯ ტომასი, ვის მოვალეობასაც პრეზიდენტისათვის ფეხსაცმელის გაწმენდა და შარვლის გაუთოება შეადგენდა, ახლა მუხლებზე დგომას მიიჩნევდა თავის მოვალეობად. პრეზიდენტებისადმი არცთუ მონური ერთგულებით გამორჩეული ჟურნალისტები, ახლა მწუხარე დუმილით მიიწევდნენ კუბოსაკენ. მერე მათ ითხოვეს და ნებართვაც მიიღეს—მეორე დღეს პენსილვანია-ავენიუზე პრეზიდენტის კუბოს კაპიტოლიუმამდე ფეხით გაჰყოლოდნენ.

* * *

თეთრი სახლის აღმოსავლეთ დარბაზში ჩურჩულით ლაპარაკობდნენ. ოვალურ კაბინეტში არავინ იყო, სამაგიეროდ, ვიცეპრეზიდენტის ოთახებს ეტყობოდა საოცარი გამოცოცხლება. ძველსა და ახალ მთავრობას შორის თვალისათვის შესამჩნევი ფიზიკური საზღვარი გაწოლილიყო. ეს ზღვარი უესტ იკზეკუტივ-ავენიუ გახლდათ. ერთი კვარტალის სიგრძისა და ერთმხრივი მოძრაობის მქონე ეს ქუჩა, ფაქტიურად თეთრი სახლის მანქანების სადგომი იყო. ორრიგად ჩამწკრივებული მანქანების ერთ მხარეს იდგა მთავრობის მეთაურის ძველი, ლამაზი შენობა. ამ სახლში ჯერ კიდევ ტრიალებდა სული ყველაზე ახალგაზრდა კაცისა, ვისაც კი ოდესმე ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტი ეჭირა. მეორე მხარეს მდგარ შენობაში კი შეფიქრიანებული ადამიანები გადი-გამოდიოდნენ.

ზოგიერთი პიროვნება, მათ შორის თვით ჯონსონიც, გადადიოდა უესტ იკზეკუტივ-ავენიუზე, გამავალ საზღვარს. ყველა გრძნობდა ამ სამანის არსებობას, რომ მთავრობის აპარატის ხელმძღვანელობა ორ ბანაკად იყო გაყოფილი. ერთ მხარეზე მყოფ ადამიანებს იმ მომენტის დაჩქარება სურდათ, როცა უესტ იკზეკუტივ-ავენიუს კვლავ გამოიყენებდნენ „დიდი კაცების“ მანქა-

ნების დასაყენებელ მოკირწყლულ გზად. მეორე მხარეზე მყოფთათვის მოსალოდნელ ცვლილებებთან დაკავშირებული ფიქრიც კი აუტანელი იყო. ჟაკლინ კენედისადმი მიწერილ ერთ-ერთ ბარათში არტურ შლეზინგერი თავის კაბინეტში წერდა:

„მე სულ მთლად განადგურებული ვარ, მაგრამ ვხვდები, რომ რასაც აქ თითოეული ჩვენგანი გრძნობს — მხოლოდ უმხიშვნელო ნაწილია იმ საშინელი სიცარიელისა და სასოწარკვეთისა, რასაც თქვენ განიცდით".

შლეზინგერი ჟაკლინს ატყობინებდა — განზრახული მაქვს ჩემი მომავალი საქმიანობა გარდაცვლილი პრეზიდენტის არქივზე მუშაობას შევწირო. ჯონსონს უკვე წარვუდგინე განცხადება ჩემი სამსახურიდან გადადგომასთან დაკავშირებითო.

შლეზინგერის საქციელი „ლოიალისტების" პოზიციას გამოხატავდა. პრეზიდენტი გარდაიცვალა — ახალ პრეზიდენტთან მუშაობა სხვებმა უნდა. განაგრძონ. სპექტრის ერთ ბოლოში იდგნენ შლეზინგერი, სორენსენი, ო'დონელი და მათი ლიდერი რობერტ კენედი (თუმცა ღრუბლიანი დღე იყო, მაგრამ პანაშვიდის შემდეგ თავისი დაბერილი ქუთუთოების დასაფარავად მუქი სათვალე გაიკეთა), მეორე ბოლოში კი მაკჯორჯ ბანდის მსგავსი ადამიანები. მან არაერთგზის მოაგონა კენედის გუნდის წევრებს „წარმოდგენა უნდა გაგრძელდეს". მე, ჩემის მხრივ, — განაცხადა ბანდიმ, — განზრახული მაქვს დავრჩე ჩემს პოსტზე მანამ, ვიდრე საჭირო ვიქნები ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისათვისო. ტედ სორენსენი კი ამ საკითხს ცოტა სხვაგვარად უყურებდა. 19 საათსა და 30 წუთზე იგი ჯონსონიხ მიწვევით პრეზიდენტის კანცელარიის შენობაში გამოცხადდა. პრეზიდენტმა სორენსენს რჩევა ჰკითხა — რა ვუყო თეთრი სახლის პერსონალსო. ტედმა მშვიდად მიუგო:

— თქვენ წინაშე ორმხრივი პრობლემა დგას: რა უნდა უყოთ იმათ, ვინც თავს შეიკავებს თქვენთან გადმოსვლაზე, ან თუნდაც იმათ, ვინც ამას დიდი ხალისით გააკეთებს.

ამ უკანასკნელ ნიუანსს ბევრი მწვავედ გრძნობდა. დღის გასვლასთან ერთად იძაბებოდა ადამიანთა ურთიერთობებიც.

— სამართლიანობა მოითხოვს განვაცხადო, — თქვა 1964 წლის გაზაფხულზე არტურ შლეზინგერმა, — ყველა რომ ისე მოქცეუ-

ლიყო, როგორც მე და კენ ო'დონელი ვიქცეოდით, მთავრობა პარალიზებული აღმოჩნდებოდა.

ჯერ კიდევ მაშინ შლეზინგერი წერდა: „ზოგიერთ ადამიანს მეტისმეტად უჭირს პირადი ემოციების გამოხატვა. მაკჯორჯ ბანდის, მართალია, რკინისებური კონტროლის ქვეშ ჰყავს საკუთარი თავი, მაგრამ არა მგონი, მისი მსგავსი ადამიანები ნაკლებად განიცდიდნენ ამ მძიმე ვითარებას, ვიდრე... ყველა ჩვენ“.

დიახ, იგი მართალი გახლდათ. შლეზინგერი თუმცა დიდი ბუნების ადამიანი იყო, მაგრამ მანაც არ იცოდა, რომ ეფექტიანობის ნიმუში მაკჯორჯ ბანდი, კაცი — ლითონის რობოტი, გამომთვლელი მანქანა, — ჯონ კენედიზე ფიქრებში გართული იმ ღამით მწარედ ქვითინებდა.

მძაფრი გრძნობებით აღტკინებულ „ლოიალისტებს“ მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი საკადრისი პატივი ეცათ მოკლული პრეზიდენტისათვის. რაც შეეხება „რეალისტებს“, ისინი მეტად ძნელსა და საჭირო როლს ასრულებდნენ. შესაძლოა, ისტორიამ მათ მაღალი შეფასებაც მისცეს, რადგან ნაციონალური ინტერესების უზრუნველეოფის საქმეში „რეალისტების“ დამსახურება, მართლაც, დიდი იყო.

კვარცხლბეკზე დადგმული კუბოს ნახვით მონუსხულ ქვეყანას ვერც კი წარმოედგინა მთავრობის შიგა კონფლიქტის არსებობა. წინა დღეს ჩადენილ მკვლელობასა და მომავალი დაკრძალვის გარდა სხვა რამეზე ფიქრი ფაქტიურად შეუძლებელი ჩანდა. ჟურნალ „ტაიმსის“ კორესპონდენტის თქმით, „ჯონსონი ჯერ კიდევ არავის აინტერესებდა“, საჭირო იყო მეორე ნომრამდე დაცდა, ვიდრე ამ ყოველკვირეული ჟურნალის გარეკანზე ახალი მთავრობის მეთაურის სურათი დაიბეჭდებოდა. და მართლაც, ჯონსონით მაშინ ძალიან ცოტა ვინმე თუ იყო დაინტერესებული. მიუხედავად ამისა, ჯონსონის გუნება-განწყობილება პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის პირველ დღეს თავისთავად ინტერესს მოკლებული როდია, თუმცა ამის ზუსტად აღწერა, ცოტა არ იყოს, ძნელი საქმეა. ჯონსონის ქამელეონის ბუნება ჯერ ასე ცხადად აროდეს გამომჟღავნებულა, აროდეს ყოფილა ლინდონ ჯონსონი იმდღევანდელივით მრავალსახოვანი.

გეგონებოდათ, თითქოს № 274 კაბინეტის კულისებში სულ

ასლად ყოთიაიოი, ერთი და იგივე გარეგნობისა და ლაპარაკის მანერის მქონე ერთი დუქინი ტესასელი იყო თავშეფარებული. და ეს მაშინ, როცა თითოეულ მათგანს საკუთარი ხასიათი, იდეოლოგია და მიზანი ჰქონდა.

კაბინეტში ჯორჯ რიდი შევიდა — და აი სცენაზე ჯონსონ ნათელმხილველი გამოჩნდა.

„ყველაფერი ქაოსს მოეცვა, — იგონებდა შემდეგ რიდი, — მხოლოდ პრეზიდენტმა იცოდა, რას აკეთებდა".

კენეტ გელბრაიტს ჯონსონის სახით ზომიერ მემარცხენეთა მებრძოლი წარმომადგენელი შეეგება.

— მინდა ენერგიულად მოვკიდო ხელი სამოქალაქო უფლებათა საქმეს და არც იმიტომ, რომ ამისათვის კენედი იბრძოდა, არამედ იმიტომ, რომ ამისათვის ვიბრძვი მე. ნუ დაგავიწყდებათ, მე რუზველტის ყაიდის დემოკრატი ვარ და ლიბერალური პოლიტიკის გატარებას ვაპირებ.

თავისი არისტოკრატიული სიარულით კაბინეტში შესულ ავერელ ჰარიმანს ჯონსონმა ასე მიმართა:

— თქვენ ხომ იცით, ყოველთვის გთელიდით ჩემს ყველაზე ძველ და უკეთეს ვაშინგტონელ მეგობრად.

პრეზიდენტი უშეცდომოდ იყენებდა უნარს, ისე მიდგომოდა ყოველ მომსვლელს თავისი მრავალსახოვანი ბუნების რომელიმე მხრიდან, რომ ადამიანს სიმხნევე და რწმენა დაუფლებოდა. ვინაიდან მასთან სათითაოდ შედიოდნენ, წარმატებაც საყოველთაო იყო. თავიანთი კოლეგებისადმი ჯერ კიდევ უნდობლად მაცქერალმა უკიდურესმა „ლოიალისტებმაც" კი № 274 კაბინეტში შესვლისას ისეთი თვინიერი, თავისი მწუხარებით მოდრეკილი ჯონსონი იხილეს, რომ მისმა ნახვამ თვით სღრენსენსა და შლეზინგერზედაც კი იმოქმედა.

მღელვარებისაგან აკანკალებული ხმით ლინდონ ჯონსონმა ბრიტანეთის ელჩს ესეც კი უთხრა:

— ჩემს ოჯახში კენჯი რომ ეყარათ, მმართებს თუ არა აქ დარჩენა, დარწმუნებული ვარ, სამი ან სულაც ოთხი ხმა ჩემს აქედან დაუყოვნებლივ წასვლას დაუჭერდა მხარს.

მაგრამ აი უეცრად ეს ლინდონიც გაქრა, თვალისუსწრაფესად სხვა კაცად გარდისახა და ლერი ოობრაიენს საპარლამენტო პრო-

ცედურის ერთ იურიდიულ მხარესთან დაკავშირებით მეტად ეშ-
მაკური რჩევა მისცა. ძნელია ერთმანეთს შეათავსო პრეზიდენტის
როლის ესოდენ დახვეწილად შემსრულებელი ყველა ეს სხვადა-
სხვა მოთამაშე. და მაინც ფაქტი ფაქტად რჩება: თითოეულმა
მათგანმა თავისი როლი ბრწყინვალედ შეასრულა და სავსებით
დამსახურებული აპლოდისმენტებიც მიიღო. 23 ნოემბრის იმ შა-
ბათ დღეს ჯონსონი ნამდვილად მომაჯადოებელი გახლდათ. თავის
თავში იგი მრავალ სხვადასხვა ადამიანს ასახიერებდა. ხოლო ის
კი, რომელი მათგანი იყო მათ შორის ნამდვილი ლინდონ ჯონსო-
ნი, ეს მისმა ბიოგრაფებმა განსაჯონ. ერთი რამ შეიძლება ითქვას:
უკანასკნელი სამი წლის მანძილზე იგი იმ დღეს ყველაზე აქტიუ-
რი იყო. მან წინა საღამოდანვე დაიწყო და ნელ-ნელა თავის ყვე-
ლა მივიწყებულ ტალანტს უხმო. ჰოდა აი, ხელახლა აღსდგა კი-
დეც. ღამის განმავლობაში ჯონსონმა ახალი ძალები მოიკრიბა.
მის სიბრძნეში დაეჭვებულთ უკვე სადაოდ აღარ ჰქონდათ მისი
ენერგია. გეგონებოდათ, თითქოს ყოველი ცალკეული მომსვლე-
ლი, ყოველი თათბირი ახალ ძალებს მატებსო. რამდენჯერმე კო-
ნელის დაურეკა პარკლენდის ჰოსპიტალში; აქეთ თავაზიან, მაგ-
რამ მოუდრეკელ კატცენბახს ჩუმი ხმით შეება, კერძოდ იმის თა-
ობაზე, თუ ვის უნდა გამოეძიებია კენედის მკვლელობა — ტეხა-
სის შტატს თუ ფედერალურ კომისიას; იქით ზემოქმედების
ყველა ღონე იხმარა ედგარ გუვერის მიმართ, რომელმაც უკვე
თავისი აგენტების რისხვა დაატეხა დალასის აეროპორტ ლავ
ფილდს; ჯონსონმა ორშაბათი, 25 ნოემბერი, ამერიკის შეერთე-
ბული შტატებისათვის საყოველთაო გლოვის დღედ გამოაცხადა;
კაბინეტში მიიღო უმაღლესი სასამართლოს წევრი არტურ გოლდ-
ბერგი და მოასწრო რასკთან, ბანდისთან, მაკნამარასა და ეიზენ-
ჰაუერთან სურათების გადაღება;

17 საათსა და 13 წუთზე ეს ფოტოსურათები ტელევიზიას
საჩვენებლად გადასცეს (ეს იყო ლინდონ ბეინს ჯონსონის პირ-
ველი სურათები პრეზიდენტის პოსტზე).

რობერტ კენედისთან შეხვედრის შემდეგ ჯონსონმა სასიამოვ-
ნო შვება იგრძნო. პრეზიდენტს კონგრესის ლიდერები ეახლნენ
მხარდაჭერის პირადად მოსახსენებლად და თავიანთი პარტიულო-
ბის მიუხედავად, ერთგული სამსახური შესთავაზეს. რესპუბლი-

კური პარტიის მოღვაწე ჩარლ ჰალეკი და ევ შოუ, თავის დროზე, ამაოდ ცდილობდნენ პრეზიდენტად არჩეული კენედის მოშხამვას. სწორედ ეს ჩარლ ჰალეკი გახლდათ ახლა პირველი, ვინაც პრეზიდენტი ჯონსონი გაამხნევა. ჰალეკის შემდეგ პრეზიდენტს სენატორმა დირკსენმა მიმართა და შეღაღადა:

— ჩვენ ვითანამშრომლებთ ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. ღმერთი იყოს თქვენი შემწე, ბატონო პრეზიდენტო!

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე, სერ, — იმეორებდნენ დელეგაციის სხვა წევრები.

ამ გამამხნევებელ რწმუნებათა შემდეგ პრეზიდენტმა კონგრესის ლიდერები და ლედი ბიორდი აღმოსავლეთის დარბაზისაკენ წაიყვანა.

კვარცხლბეკზე მდგარ კენედის კუბოს რომ გასცდა, ჯონსონმა ეიზენჰაუერი დაინახა და ოცწუთიან საუბარზე თავისთან მიიწვია, თუმცა სინამდვილეში იმდღევანდელ საუბართა შორის ეს შეხვედრა ყველაზე ხანგრძლივი აღმოჩნდა. იგი ორ საათს გაგრძელდა. საუბრის დროს ოცდამეთოთხმეტე პრეზიდენტს ოცდამეთექვსმეტე პრეზიდენტი შეშფოთებული ეჩვენა. ჯონსონმა ეიზენჰაუერს ზოგიერთ მიმდინარე საკითხთან დაკავშირებით რჩევა სთხოვა. საქმე ეხებოდა როგორც შიდა პოლიტიკურ ამბებს (გადასახადების შემცირება), ისე საგარეო ვითარებასაც. განსაკუთრებით კუბისა და ლაოსის მდგომარეობას. პრეზიდენტად მუშაობის ამ პირველ სტადიაზე ლინდონ ჯონსონის ძირითადი საზრუნავი საქმეების მდგომარეობის გაცნობა და თავისი წინამორბედის პოლიტიკის გაგრძელებისათვის მომზადება გახლდათ. გენერალი ეიზენჰაუერი საუბრისას დარწმუნდა, რომ ჯონსონი გაბედულად აპირებდა თავისი ახალი მოვალეობისათვის თავის გართმევას.

მათი ამ გაჭიანურებული შეხვედრის დროს კაბინეტში თითის წვერებზე შემდგარი ბანდი შევიდა („ბამბის შინამოსამსახურესა“ ვგავარო, იტყოდა ხოლმე თავის თავზე) და პრეზიდენტს მაგიდაზე შლეზინგერის გადადგომის მაუწყებელი ბარათი დაუდო. ჯონსონმა წერილს მწყრალი მზერა შეავლო და ხმამაღლა წარმოთქვა:

— ახლავე უკანვე წაიღოს. მე არა მჭირდება ასეთი წერილები და საერთოდაც ყველას მოახსენეთ ეს ჩემი აზრი.

სადღაც უკანა რიგებში მყოფი ბილ მოიერსი კაბინეტიდან გამოვიდა და შლეზინგერს დაურეკა, პრეზიდენტმა არ მიიღო შენი გადადგომა, ადგილზე დარჩენას გთხოვსო.

თვითონ გენერალმა ეიზენჰაუერმაც ურჩია, ხალხი შენ თვითონვე შეარჩიეო, მაგრამ პრეზიდენტი არც მას დაეთანხმა და პირქუში მზერა ესროლა.

დაკრძალვის შემდეგ კი რაღა მოგახსენოთ. ჯონსონი ოსტატურად შეუდგა თავისი აპარატის შერჩევას. თვით ის მრჩეველნიც კი მოიშორა, ვისაც თავის ადგილზე დარჩენა ერჩია. 23 ნოემბერს კი ყოველგვარ ცვლილებას ხმალამოღებული ხვდებოდა, მთავრობიდან წასვლას ლამის დეზერტირობის ტოლ ნაბიჯად თვლიდა.

კაბინეტის საღამოს სხდომაზე დინ რასკმა ჯონსონს მოაგონა, — ტრადიციის მიხედვით, ახალი პრეზიდენტის მოსვლასთან დაკავშირებით, კაბინეტის ყველა წევრი უნდა გადადგესო. ჯონსონი თავს ჯიუტად აქნევდა — მე მინდა ყველა თავის პოსტზე დარჩეს მრჩევლებადო. რასკმა კვლავ გაუმეორა — ეს ტრადიციის საკითხია. აქ საქმე პრეზიდენტს ეხება და ასეა მიღებულიო. შესაძლოა, მთავრობის მომავალმა მეთაურებმა არ მოისურვონ მინისტრების თავიანთ პოსტებზე დატოვებაო. მაგრამ ჯონსონი მაინც არ ნებდებოდა. მან არ დაადასტურა კაბინეტის წევრთა მიერ წარდგენილი გადადგომის მაუწყებელი განცხადებების მიღება, თუმცა ისინი უკვე შეტანილი იყო. საღამოს ჯონსონს სორენსენი შეხვდა და თავისი განცხადება შეახსენა. პრეზიდენტმა მკვახედ მოუჭრა:

— დიახ, ვიცი, მივიღე თქვენი წერილი, — და უმალვე შეცვალა საუბრის თემა.

ახალი პრეზიდენტი და ახალი პირველი ლედი ლაფაიეტის პარკის ჩრდილოეთ მხარეზე მდებარე წმინდა ჯონის ეკლესიაში პრეზიდენტ კენედის ხსოვნის აღსანიშნავ წირვას დაესწრნენ.

მკვლელობის ჩადენის დროიდან უკვე მთელი დღე და ღამე გავიდა. მოახლოვდა შუადღე. შლეზინგერმა თეთრი სახლის მოპირდაპირე მხარეზე მდგარ ფინანსთა სამინისტროს შენობაში მოთავსებული რესტორნის განცალკევებულ დარბაზში საუზმე გააწყო. მისი მონაწილენი, მასპინძელი და სტუმრები (კენ და

კოლი გელიოაიტები, კენედის მეგობარი მსახიობი ბილ უოლტონი და მისი ვაჟი ტეტი, ს

ნაც ესიამოვნა, მაგრამ ამაოდ, პრეზიდენტმა ასეთი თხოვნით ბარე ექვს კაცს მიმართა.

ჯონსონს ერთი სული ჰქონდა, კონგრესის წინაშე გამოსვლამდე, და ეს გასაგებიც არის: მომხდარი ამბით შეძრწუნებული ხალხი რაც უფრო ადრე გაიგონებდა ახალი ლიდერის ხმას, თანაც თუ რაიმე არსებითს იტყოდა, მით უფრო აჯობებდა. სახელმწიფო მდივნის მოადგილეები ავერელ ჰარიმანი, ჯორჯ ბოლი და ალექსის ჯონსონი იმ დილით შეუდგნენ პრეზიდენტისათვის შვიდრვაწუთიანი სიტყვის მომზადებას, რაც იმ საღამოს ინფორმაციის ყველა არხით გადაიცემოდა. ამ სიტყვაში პრეზიდენტს უნდა გამოეთქვა სინანული ქვეყანაში გამეფებული „ისტერიის“ გამო. მხარი დაეჭირა გაერთიანებული ერების ორგანიზაციისათვის, მშვიდობისათვის და კენედის პოლიტიკის მემკვიდრეობისათვის. მაგრამ ჯონსონმა სახელმწიფო მდივნის მოადგილეების ამ გეგმას ვეტო დაადო. მიზეზად „წინ წაჩრას არ ვაპირებო“, განაცხადა. იგი ჯერ კიდევ ნიადაგის სინჯვაში იყო და კვლავ უკანა პლანზე დგომას ირჩევდა. 14 საათსა და 30 წუთზე მას მშვენიერი შესაძლებლობა ჰქონდა ვითარების მოსინჯვისა. ამ დროისათვის კაბინეტის სხდომა იყო დანიშნული. სხდომათა დარბაზში ყოველი სავარძლის წინ მაგიდაზე ყვითელფურცლიანი, სქელი ბლოკნოტები და წვერწათლილი ფანქრები ელაგა. ვიცე-პრეზიდენტის სავარძელი საპრეზიდენტო ადგილზე იყო გადატანილი. დამსწრეთა შორის უნდა ყოფილიყო კენედების ოჯახის ახალი მეთაური — იუსტიციის მინისტრი რობერტ ფ. კენედი.

— ჯენტლმენებო, თქვენ წინაშეა შეერთებული შტატების პრეზიდენტი, — განაცხადა რასკმა სხდომის წინ და ყველა ფეხზე წამოდგა.

სხდომა მაინცდამაინც დიდი მიღწევა ვერ გამოდგა. მისი პერსპექტივები თავიდანვე საეჭვო იყო. მინისტრთა მორალური განწყობილება წარმოუდგენლად დაბალ დონეზე იდგა. მართალია, ჯონსონს ჰქონდა ერთგვარი შანსები: ბანდიმ მორიდებული გამოთქმით შეზავებული ჩანაწერი მოამზადა, სწორედ იმ საკითხების თაობაზე, რაზედაც, შესაძლოა, „პრეზიდენტს აზრის გამოთქმა“ მოსურვებოდა. თან ყველა დამსწრის სურვილიც ქვეყნის რაც შეიძლება ჩქარი დაშოშმინება და დაწყნარება გახლდათ.

საგარეო კატასტროფა სულ ახალმომხდარი იყო და არ ხერხდებოდა იმის დავიწყება, რომ კაცი, ვინაც ისინი ამ პოსტებზე დანიშნა, ახლა ამავე შენობის მეორე მხარეზე კუბოში იწვა. ახალ პრეზიდენტს ხელს უშლიდა თავის დაჭერის მისებური მანერაც. იქ დამსწრე ადამიანებზე სრულიად უცხო კაცს უფრო მეტი ზეგავლენის მოხდენა შეეძლო. ლინდონი კი, როგორც მას გუნებაში კვლავინდებურად უწოდებდნენ, მათთვის შეჩვეული კაცი იყო. წინა სხდომებზე მას ხელქვეითის მდგომარეობა ეჭირა, თუმცა სხდომას ახლაც ფრიად მორიდებულად მართავდა.

ჯონსონმა სხდომა მდუმარე ლოცვით დაიწყო, ჭერე მოსალოდნელ სიძნელეთა დასაძლევად მინისტრებს მხარში ამოდგომა სთხოვა და სიტყვა იმ მოწოდებით დაასრულა, უმრავლესობამ, რომ უკვე ზეპირად იცოდა: თქვენი თავი მე გაცილებით მეტად მჭირდება, ვიდრე ეს პრეზიდენტ კენედის სჭირდებოდა.

იუსტიციის მინისტრის ყოფნა ამ ოცდახუთწუთიან სხდომაზე დიდი სიფრთხილით უნდა შეფასდეს, რადგან მიკერძოებულ ადამიანებს ადვილად შეუძლიათ დაამახინჯონ ხასიათი იმ უთანხმოებისა, რაც ჯონსონსა და რობერტ კენედის შორის არსებობდა. ორთავე ეს ადამიანი უპრეცედენტო ფსიქოლოგიური პრესის ქვეშ იმყოფებოდა. თუ ჯონსონის არადელიკატური საქციელი, არცთუ ისე სულგრძელად მოგეჩვენებათ, მაშინ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბობი კენედი მთავრობის ახალი მეთაურისათვის თავისებურად ერთადერთ პრობლემას წარმოადგენდა პრეზიდენტთა ცვლის მთელი ისტორიის მანძილზე. მის წინ იდგა კაცი, კაბინეტის წევრი, ვინაც გამოიყურებოდა, ლაპარაკობდა თუ ფიქრობდა ისევე, როგორც სულ ახლახან მოკლული პრეზიდენტი. იგი გახლდათ მეორე „მე" პრეზიდენტისა, ერთ-ერთი იმ ადამიანთაგანი, ყველაზე მეტად რომ მისტიროდა მის დაკარგვას. და ბოლოს ეს იყო კაცი, როგორც ეს ყველა იქ მყოფმა იცოდა, ვინც ძმის სახელით დროდადრო ფაქტიურად სააღმსრულებლო ხელისუფლებასაც ახორციელებდა.

თვითონ იუსტიციის მინისტრი მომავალი დასაფლავების ფიქრებში ჩაძირულიყო. მისი ამ სხდომაზე ყოფნაც, შეიძლება ითქვას, შემთხვევითი გახლდათ. იგი იქ სამგლოვიარო მესის „შესრულების შემდეგ მხოლოდ იმის შესამოწმებლად მოვიდა, იყო

თუ არა გატანილი მისი ძმის ყველა ნივთი. სერჟანტ ჯორდანოს სხდომათა დარბაზიდან კენედის საავარძლის გატანა დავიწყებოდა. ამიტომაც დღისითვე შემოსვლა და შემოწმება არჩია. კაბინეტის ყველა წევრი ადგილზე იყო. ბანდიმ ბობი კენედი დაინახა და დაიყოლია კიდეც, დარბაზში შესულიყო და თავისი ადგილი დაეკავებინა. თერთმეტი დღის შემდეგ ბანდი ყვებოდა:

„ბობიმ დაიგვიანა და, იქნებ, არც დარჩენილიყო, მე რომ არ მეთქვა, შენი სხდომაზე დარჩენა აუცილებელია-მეთქი. იუსტიციის მინისტრმა მოითხოვა არ გადაეღოთ არც ერთი ფოტოსურათი. როგორც ახლა ჩემთვის ცნობილია, ამ მოთხოვნაზე დათანხმება პრეზიდენტისათვის ისეთივე საძნელო საქმე იყო, როგორც ოცდაათი წელიწადი პაპიროსის მწეველი კაცისათვის გაბოლებაზე თავის შეკავება. მაგრამ თანხმობის მიღწევის ხათრით პრეზიდენტი უყოყმანოდ დაემორჩილა“.

ბობის სხდომაზე გამოჩენამ დრამატული რეაქცია გამოიწვია. კაბინეტის რამდენიმე წევრი ადგილიდან წამოხტა. ერთმა ხელი ჩამოართვა და მხარზე ხელი მოუთათუნა. ბევრი არ განძრეულა. მათ შორის ჯონსონიც. მწუხარე ფიქრებში ჩაძირული იუსტიციის მინისტრი სავარძელს ზურგით მიეყრდნო. დამძიმებული ქუთუთოები თვალებზე ჩამოსწოლოდა. მის მდგომარეობაში მყოფი კაცის დუმილიც კი მრავლისმეტყველი ხდება. სხდომის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში აშკარად გამოთქვამდნენ მისი გადადგომის ვარაუდს. რობერტ კენედის უახლოესი მომავალი მილიონობით ადამიანის მსჯელობის საგნად იქცა. ყველამ, ვინც კი მაშინ იმ გრძელ მაგიდას უჯდა, შენიშნა და ყურად იღო რობერტ კენედის ესოდენ თავშეკავებული მანერა. თავად ჯონსონმა კი, ალბათ, ყველაზე მეტად.

პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს ედლაი სტივენსონმა — როგორც დემოკრატიული პარტიის უხუცესმა, და დინ რასკმა — როგორც კაბინეტის პირველმა მინისტრმა. ჩვეულებრივ, ყველაზე მჭევრმეტყველმა და გამოცდილმა ორატორმა სტივენსონმა საკუთარი თავისადმი საოცარი უნდობლობა გამოიჩინა და თავისი მოკლე, ხუთად ხუთი აბზაცისაგან შემდგარი სიტყვა მარცვალ-მარცვალ ჩაიკითხა. სხდომას მოაგონა, რომ პრეზიდენტ კენედის კაბინეტის პირველ სხდომაზე მან კენედის

თავისი მხარდაჭერა აღუთქვა. ეს აღქმა მან ახლაც გაიმეორა. ბოლოს დასძინა: „ქვეყანას მხოლოდ წუთით შეუძლია შეწყვიტოს თავისი საქმიანობა“.

— განსაკუთრებული თვისებები თქვენი ხასიათისა, თქვენი სიბრძნე და გამოცდილება — წყალობაა ჩვენი ქვეყნისათვის ესოდენ მძიმე დროს. ახლა ჩვენ მთლიანად თქვენს წინამძღოლობას ვართ დანდობილნი.

რასაც ფრიად უხვი გამოდგა ჯონსონის ქებაში.

ჯონსონსა და რასკს შორის რეპლიკების გაცვლის შემდეგ სხდომა დაიშალა. იგი უშედეგო აღმოჩნდა. შთაბეჭდილებაც არავის შექმნია, რაიმეს მივაღწიეთო. სტივენსონისა და რასკის სიტყვებით აღფრთოვანებული ჯონსონიც კი ახლა იმედგაცრუებული ჩანდა. პრეზიდენტი მეტს ელოდა. ბანდის სიტყვებით, „ეს პატარა, მოსაწყენი სხდომა იყო“. შრომის მინისტრს ვირტცს კი იგი „საშინელი“ და „თითქმის ავტომატური“ ეჩვენა. პრეზიდენტის „ენერგიულობისა და თავგამოდების“ მომლოდინე ერთი მინისტრის აზრით, სხდომამ „უაღრესად არადამაკმაყოფილებლად ჩაიარა“, კაბინეტის ერთმა წევრმა ჯონსონთან შეხვედრა ითხოვა და დაბეჯითებითაც ურჩია, ჯერ ხალხისათვის მიემართა და კონგრესზე მერე გამოსულიყო. მხილველთა გასაოცრად, ჯონსონის ქცევა და თავდაჭერა სხდომიდან სულ რაღაც რამდენიმე წუთის შემდეგ სრულიად სხვაგვარი იყო. ეს გახლდათ მისი ელვისებური გასაოცარი გარდაქმნის ერთ-ერთი ნაირსახეობა. კაბინეტის სხდომაზე გაუბედავად მზირალ ჯონსონს ახლა, როგორც ამას მინისტრის დღიურში ვკითხულობთ, აღარც „გულგატეხილობა ემჩნეოდა და დაძაბულობაც განელებოდა. სენატის უმრავლესობის ყოფილი ლიდერის ლინდონ ჯონსონისათვის დამახასიათებელი ძალა და თავისი თავის რწმენა დაბრუნებოდა“.

ახალმა პრეზიდენტმა მასთან მისულ ამ მაღალი თანამდებობის პირს დაუფარავად უამბო იუსტიციის მინისტრსა და მას შორის არსებული დაძაბული ურთიერთობის ამბავი.

— ჯეკის შესანიშნავად ეჭირა თავი, — უყვებოდა პრეზიდენტი. — როგორც კი აბარგებას მოვრჩები, ბინას მაშინვე დაგიცლითო, მითხრა. ჩემი პასუხი კი ასეთი გახლდათ: „ჩემო კარგო, დარჩით, რამდენ ხანსაც გენებოთ. მე სულაც არ მეჩქარება.

მადლობა ღმერთს, კარგი და მოხერხებული სახლ-კარი მაქვს. თქვენ კი როგორი უბედურება დაგატყდათ, თანაც რამდენი სხვა პრობლემაა მოსაგვარებელი".

ჯონსონმა მოსაუბრეს მიახვედრა, რომ მისთვის „ნამდვილი პრობლემა ბობი იყო". მისი ღრმა რწმენით, ბობის სხდომაზე დაგვიანება წინასწარ იყო გამიზნული. იმასაც კი ამბობდა, თითქოს ბობის მისი დამცირება განეზრახოს და „ერთი თანაშემწისათვის" საიდუმლოდ ეთქვას: „ჩვენ არ შევალთ, ვიდრე ჯონსონი თავის ადგილას არ დაჯდება".[1]

ეს ბრალდება აშკარად უმართებულო გახლდათ, მაგრამ, ეტყობა, იგი გარდუვალი შედეგი აღმოჩნდა იმ დამოკიდებულებისა, რაც ჯონსონსა და რობერტ კენედის შორის არსებობდა, ანუ უფრო სწორად, რაც მათ მრჩევლებს შორის იყო. ჯერ კიდევ ლოს-ანჯელესის 1960 წლის დემოკრატიული პარტიის ყრილობიდან მოკიდებული ამ ორი მოღვაწის ურთიერთდამოკიდებულება გაუგებრობათა შედეგად არაერთხელ გაფუჭებულა. უსიამოვნების პირველწყარო კი ყოველთვის ესა თუ ის „თანაშემწე" იყო. ვიცე-პრეზიდენტი, მაგალითად, დარწმუნებული გახლდათ, რომ იუსტიციის მინისტრმა არ აპატია მისი მამის — ჯოზეფ კენედის მისამართით ლოს-ანჯელესში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნები. ყველაზე საკვირველი ის არის, რომ რობერტ კენედის ეს შენიშვნები არ მოუსმენია. მასზე დაწერილი ორი განაწერაც არსად წაუკითხავს. ჯონსონის მომხრეები დარწმუნებული იყვნენ, რომ ბობის არ უყვარდა მათი ლიდერი. კენედის მახლობელ ადამიანებს მრავალგზის უმტკიცებიათ საწინააღმდეგო, მაგრამ ამაოდ. ჯონსონის მთავრობა ჯერ მუშაობას არ შედგომოდა, რომ პრესამ უკვე დაიწყო ამ ორი მოღვაწის „მტრობასთან" დაკავშირებული დაწვრილებითი ვარაუდების გამოთქმა. რასაკვირველია, იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ მათი ტემპერამენტი და თავის დაჭერის მანერა ფრიად განსხვავებული იყო. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა ჯონ კენედისა და ლინდონ ჯონსონზე, მაგრამ ამ განსხვავებას ისინი მტრობამდე არასოდეს მიუყვანია.

---

1 რობერტ კენედი უარყოფს ამას. როცა გაიგო, თუ როგორ ახსნა პრეზიდენტმა მისი საქციელი, ჯერ გაიკვირვა, მერე კი გაიცინა.

ლოს, ოოგოლიც უხდა ყოფილიყო ამ დაძაბული ურთიერთობის წყაროები, ისინი უსათუოდ არსებობდნენ. კაბინეტის სხდომაზე რობერტ კენედის დაგვიანების შედეგები მეტად უსიამოვნო იყოო, — უთხრა პრეზიდენტმა იმავე მინისტრის დარბაზში შესულმა იუსტიციის მინისტრმა ერთიანად გაოფუკა შეკ ლაპარაკში შესული პრეზიდენტის გამოსვლის შთაბეჭდილება. ჯონსონი პრეზიდენტის ძმას თავისი გზის მრისხანე დაბრკოლებად თვლიდა. იგი დაეთანხმა თავის მოსაუბრეს კონგრესის წინაშე გამოსვლის დაჩქარების აუცილებლობაზე. ჯონსონი შიშობდა — ოთხშაბათი ძალიან შორს იყო, უფრო ადრე გამოსვლას კი, შესაძლოა, „კენედების ოჯახის განაწყენება მოჰყოლოდა".

ჯონსონს მისაღებში სარჯენტ შრივერი ელოდებოდა, რომლის ვიზიტიც მოვალეობის გრძნობით იყო ნაკარნახევი. კენედი ოჯახის ყველა წევრთა შორის მხოლოდ ეს იყო ჯონსონთან შედარებით ახლოს და სურდა ახალი პრეზიდენტისათვის წარმატება ესურვებია. შრივერი ჯონსონს ძალიან გულღია მასპინძლად თვლიდა.

— ჩემო სარჯ, — უთხრა ახალმა პრეზიდენტმა, — ნამდვილად საშინელია ყველაფერი ეს. მე ერთიანად დაორგუნვილი ვარ, მაგრამ მინდა გითხრა, რომ შენდამი ყოველთვის დიდი პატივისცემის გრძნობა მამოძრავებდა. დღემდე შენთვის ვერაფრის გაკეთება ვერ შევძელი, მაგრამ ვიმედოვნებ მომავალში გაგიკეთო.

— შემიძლია რამეში გამოგადგეთ? — ჰკითხა შრივერმა.

— დიახ, — მიუგო ჯონსონმა, — გადასაწყვეტი მაქვს ორი საკითხი: ოვალურ კაბინეტში გადმოსვლა და კონგრესის ორთავე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე გამოსვლის დროის დადგენა (უნდა აღინიშნოს, რომ ჯონსონი მაინცდამაინც დიდ ინტერესს არ ამჟღავნებდა ხალხის წინაშე იმ დღეებში სიტყვით გამოსულიყო. მას უპირველეს ყოვლისა, კონგრესი ანაღვლებდა. თუმცა კაპიტოლიუმში წარმოთქმულ და ტელევიზიით ტრანსლირებულ სიტყვას იმდენივე ამერიკელი მოისმენდა, რამდენსაც თეთრ სახლში ბუხართან გამართულ საუბარს). ჯონსონმა შენიშნა, რომ რასკი და ბანდი, ისევე როგორც ბევრი სხვა, სიმბოლურ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პრეზიდენტის რეზიდენციაში ყოფნას. დაბეჯითებით აცხადებდნენ — პრეზიდენტმა მნახველები უსათუ-

ოდ თეთრი სახლის დასავლეთ ფრთაზე უნდა მიიღოსო. პრეზიდენტმა კავშირგაბმულობის მნიშვნელოვან კვანძებთან სიახლოესაც გაუსვა ხაზი.

პრეზიდენტი სულაც არ ჩქარობდა ქაკლინის გამოსახლებას. პირიქით, იგი მზად იყო თავის სახლში კიდევ კარგა ხანს დარჩენილიყო. მას მხოლოდ თეთრი სახლის დასავლეთ ფრთაზე მოთავსებული მთავრობის მეთაურის კაბინეტი სჭირდებოდა და არა რეზიდენციის ფუფუნება.

აბრაამ ლინკოლნის მემკვიდრეს, ჯონ კენედის მემკვიდრის მსგავსად, არ სურდა შექმნილიყო შთაბეჭდილება, რომ თითქოს იგი პრეზიდენტის სახლში დაბინავებას ესწრაფვოდეს. მსგავსება მეჩვიდმეტე და მეოცდათექვსმეტე პრეზიდენტს შორის სხვა მხრივადაც გასაოცარია.

„რომელი პრეზიდენტი იყო უკეთ მომზადებული თავისი პოსტისათვის?" — კითხულობს ენდრიუ ჯონსონის ბიოგრაფი ლოიდ პოლ სტრაიკერი. ლინდონ ჯონსონის ბიოგრაფები, რასაკვირველია, მაშინვე დაიფიცებდნენ, მეორე ჯონსონი უკეთ იყო მომზადებულიო. ლინდონ ჯონსონის მსგავსად, ენდრიუ ჯონსონიც ფრიად გალანტური გახლდათ ქალებთან, ხოლო საკმაოდ უტაქტო მამაკაცებთან. ყოველნაირად მსურველმა თავისი წინამორბედის დაჩრდილვისა, ენდრიუ ჯონსონმაც მკვლელობის მეორე დღესვე მოიწვია კაბინეტის სხდომა და გარდაცვლილი პრეზიდენტის პოლიტიკას ვაგრძელებო, გამოაცხადა. იმ დღესაც ასევე წვიმდა. რაც შეეხება პრეზიდენტის რეზიდენციაში გადმოსვლის საკითხს, აქ ჯონსონები მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ენდრიუმ თავისი კაბინეტი ფინანსთა სამინისტროს შენობაში მოაწყო, სადაც შემდეგ თავისი დროებითი შტაბ-ბინაც გამართა. იგი მხოლოდ 1865 წლის 9 ივნისს, ანუ ლინკოლნის მკვლელობიდან რვა კვირის შემდეგ გადმოვიდა თეთრ სახლში.

როგორც სენატორი ჰემფრი წერს, მთავრობის ახალი მეთაური — ეს არის „მოქმედების კაცი. მას სურს საქმე მართლა კეთდებოდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი მოუსვენარი და მომთხოვნია".

შრიეერი უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა: მას ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა პრეზიდენტობასთან დაკავშირებულ სა-

კითხეებზე. ძართალია, კენედის ოჯახის წარმომადგენელთან შეუღლების წყალობით იგი პრეზიდენტს დაუმოყვრდა, მაგრამ მშვიდობის კორპუსის საქმეთა გამო ერთთავად მოუცლელს, სრულიად აღარ რჩებოდა დრო მთავრობის ლაბირინთებში გასარკვევად.

ჩვეულებრივ, სწრაფი გადაწყვეტილების გაბოტანის უნარის მქონე შრივერს ახლა ვერაფრით გადაეწყვიტა ოვალური კაბინეტის საკითხი. სწორედ იმ ბანდის აზრით, პრეზიდენტმა რომ საუბარში დაიმოწმა, „ეს კაბინეტი პირველ ყოვლისა პრეზიდენტის არის, მაშინ როცა კენედის ოჯახი, ბუნებრივია, მას ჯონის კაბინეტად მიიჩნევსო“.

— მე ფლოტში ვმსახურობდი, — ამბობდა შრივერი. — ეს მზად ვარ ბანდის დავეთანხმო. არ შეიძლება უარი თქვა საკუთარი ადგილის დაკავებაზე იმიტომ, რომ მეთაური დაეცა. მეორეს მხრივ დაიკავო კაბინეტი მანამ, ვიდრე ჯონი კვლავ თეთრ სახლშია, შეუსაბამოდ და ნაჩქარევად მეჩვენება. ჯონის ცხედარი ხომ ჯერ ისევ აღმოსავლეთის დარბაზშია.

მთავრობის მოკლული მეთაურის ოჯახის წევრთაგან მასთან ყველაზე უკეთ განწყობილი ადამიანის მხარის დაუჭერლობამ ჯონსონი თითქოს უკან დახია. იმ დღეს პრეზიდენტი მეტად აღარ დაბრუნებია ამ საკითხს.

დასადგენი რჩებოდა კონგრესის წინაშე სიტყვით გამოსვლის დრო. ჯონსონმა კვლავ მოიშველია კაბინეტის ხელმძღვანელობის ძალდატანება. საქმისადმი პირდაპირ მიდგომას ჩვეულ ადამიანებში, კენედისათვის რომ ასე დამახასიათებელი იყო, ჯონსონის ასეთი შემოვლითი მანევრები გაოცებასლა იწვევდა. როცა კენედი რაიმე ბრძანებას იძლეოდა, იგი ჩვეულებრივ ასე იწყებდა: „ჩემი აზრით...“ და თუ თქვენ არ ეთანხმებოდით, შეგეძლოთ მასთან გეკამათათ. ჯონსონი კი სხვათა აზრების წარმომთქმელის როლში გამოდიოდა. ვთქვათ, თუ აზრები უხეირო გამოდგებოდა, მათი წარმომთქმელი არაფერ შუაში იყო. ჯონსონის ფრთხილად ჩართული სიტყვები („ბანდი ამბობს“, „რასკი ამბობს“ ან „მაკნამარა ამბობს“) მას თითქოს პასუხისმგებლობას ხსნიდა. ჯონსონმა შრივერსაც ასევე უთხრა — ყველას ერთობლივი აზრია პრეზიდენტის რაც შეიძლება ჩქარა მისვლა კაპიტოლიუმში, რადგან „მთავარია

იმის ჩვენება, რომ ჯონსონის მთავრობა საქმიანობას შეუდგაო". შრივერი პრეზიდენტს დაეთანხმა, მაგრამ სულ სხვა მოსაზრებათა გამო.

მშვიდობის კორპუსის საქმეებთან დაკავშირებულ მოგზაურობათა გამოცდილებიდან გამომდინარე შრივერი ხვდებოდა, რომ აზიაში, აფრიკაში, სამხრეთ ამერიკაში ჩათვლიდნენ — „ვინც პრეზიდენტ კენედის მკვლელობა მოაწყო, პრეზიდენტიც ის გახდებაო". საჭირო იყო ამგვარ შეხედულებათა გაფანტვა. რაც უფრო ადრე ეტყოდნენ მთელ მსოფლიოს, რომ ჯონსონი არ იყო ის კაცი, ვინც მოსყიდულ მკვლელთა სამსახურს გამოიყენებდა, მით უკეთესი შეერთებული შტატებისათვის.

— მე მოველაპარაკები ბობის, — უთხრა შრივერმა, როცა გაიგო, რომ ჯონსონს გამოსვლა სამშაბათისათვის ერჩივნა.

მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა. შრივერმა არ იცოდა, რომ იგივე ამოცანა ბანდის წინაშეც იდგა და იგი მარცხით დამთავრდა. რობერტ კენედიმ ბანდის გადაჭრით მიუგო:

— მე ეს არ მომწონს. ჩემი აზრით, თუნდაც ერთი დღე დაკრძალვის შემდეგ მაინც უნდა მოითმინოთ.

ბანდიმ სწრაფად შეითვისა ჯონსონის გამოთქმათა გაურკვეველი მანერა და ბობის ასე მოახსენა: „მათ" სურთ ეს გამოსვლა სამშაბათს მოეწყოსო.

— ჯანდაბას თქვენი თავი! — განრისხდა იუსტიციის მინისტრი. — მაშინ მე რაღას მეკითხებით? ნუ მეკითხებით იმას, რის გაკეთებაც უკვე გადაწყვეტილი გაქვთ.

ჯონსონი, ალბათ, ფიქრობდა, კენედის სიძის გამოყენება მომრიგებლის როლში უფრო მოსახერხებელი იქნებაო, მაგრამ ნამდვილად ცდებოდა. გაღიზიანებულმა ბობმ, პრეზიდენტი უშუალოდ მას რომ არ მიმართავდა, შრივერს მკაცრად მიახალა:

— მაინც რატომ გაგზავნის ჩემთან? რას შემოგჩენია? ხომ იცის, რომ მე ოთხშაბათამდე მოცდის მომხრე ვარ?

შრივერი მაშინვე უკან გატრიალდა. პრეზიდენტთან შესულმა კენედის ნათქვამი ფრთხილად და შელამაზებულად გადასცა:

— ბობის ურჩევნია, კიდევ ერთ დღეს რომ დაიცდიდეთ, ოუ, რა თქმა უნდა, რაიმე განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი მიზეზი არ არსებობს უფრო ადრე გამოსვლისათვის.

ჯონსონმა უმალვე ყურმილს წაავლო ხელი, კნოპს დააჭირა და თავის მსმენელს მოკლედ მიუგდო:

— კეთილი, ოთხშაბათს იქნება.

ახსნა-განმარტება საჭირო არ იყო. მთელი პერსონალი კარგად იცნობდა საქმის ვითარებას და მხოლოდ მის ცნობას ელოდებოდა. შრიეერმა პრეზიდენტის გადაწყვეტილება ბობის მაშინვე გადასცა. საჭირო იყო ოფიციალური განცხადების გამოქვეყნება, რაც სელინჯერის საშუალებით უნდა მომხდარიყო. 18 საათსა და 30 წუთზე რადიომ და ტელევიზიამ ხალხს აუწყა — პრეზიდენტი ჯონსონი კონგრესის წინაშე ოცდაშვიდ ნოემბერს 12 საათსა და 30 წუთზე გამოვაო.

ოცდაშვიდ ნოემბერს რადიოსატელევიზიო კომპანიებს სი-ბი-ესს, ენ-ბი-სის და აი-ბი-სის უნდა გადაეცათ პრეზიდენტ ჯონსონის გამოსვლა. არც ერთ კომენტატორს გადაკვრითაც არ უთქვამს, პრეზიდენტი აჩქარდა ან, პირიქით, დაყოვნდაო. მხოლოდ ერთმა მუჭა ადამიანებმა იცოდნენ იმ აზრთა სხვადასხვაობის არსებობა, რაც ამ გამოსვლის დადგენას მოჰყვა ისე კი, აშკარა იყო, რომ ყოველივე ამას ურთიერთობის გამწვავება მოჰყვა.

ძნელია გამწვავებულ ურთიერთობათა ხარისხის გაზომვა. ეიცე-პრეზიდენტის კაბინეტში შაბათს გამართულ საუბრის თაობაზე საქმეში ჩახედულ პირთა უმრავლესობა დუმდა. დუმილი ირჩია თვით ბანდიმაც.

მაკნამარა ჯონსონს დღის შუა მონაკვეთში ეთათბირა. შემდეგ კი ამ შეხვედრას ასეთი კომენტარი გაუკეთა: „საუბარი მიმდინარე საკითხებს არ შეხებია, თუმცა თავს უფლებამოსილად არ ვრაცხ, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტთან ამ ჩემი საუბრის შინაარსი გაგაცნოთო". თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ასეთივე საუბრებს სხვა დროს ფრიად დაწვრილებით გადმოსცემდა, აშკარაა ასეთ პასუხს არავის დაკმაყოფილება არ შეეძლო.

როგორც ჩანდა, ჯონსონს ეგონა, რომ ხელს უშლიდნენ, რაშიაც ძირითადად რობერტ კენედის ადანაშაულებდა. და ეს გასაგებიც არის. იუსტიციის მინისტრი სწორედ იმ წარსულის სიმბოლოდ გახლდათ, რაც ჯონსონს უნდა გადაელახა. მაგრამ ეს უმარ-

თებულოც იყო: თუ ყურადღებით გავეცნობით ბობი კენედის იმ-
დღევანდელ საქმიანობას, აშკარა გახდება, რომ იგი ერთთავად დაკ-
რძალვის მოსამზადებელი ამბებით იყო გართული. მთავრობას თავი-
სი მუშაობა უნდა გაეგრძელებინა, ეს კი შეუთავსებელი იყო იმ მწუ-
ხარებასთან, რასაც კენედების ოჯახი განიცდიდა.. გონიერი გამო-
სავალი თითქოს შეუძლებელი ჩანდა. პრეზიდენტის სამოქმედო
გზაზე იდგა რაღაც მეტი, ვიდრე ცალკე პიროვნება: ჯონსონი
ცდილობდა ახალი მთავრობის ფუნქციების დაწყებას, ხოლო
ისინი, ვისაც დახმარების აღმოჩენა შეეძლო, საკუთარი ტეხასე-
ლებითა და ვაშინგტონელი ძველი მეგობრების ჩათვლით, მთელი
ცხოვრების მანძილზე ჯერ არგანცდილ ემოციების -ნიაღვრებით
აღმოჩნდნენ შებოჭილნი.

პრეზიდენტი ტედ სორენსენს სწორედ შინ წასვლის წინ ესა-
უბრა. ხანგრძლივი და მძიმე გამოდგა ეს შეხვედრა. რობერტ
კენედიც რომ არა, მათ შორის უხილავი კედელი მაინც იარსებებ-
და. მართალია, სორენსენმა თავისი პოსტიდან უხმაუროდ წასვლა
ირჩია, მაგრამ თავის მოვალეობას იგი დიდი პასუხისმგებლობით
ეკიდებოდა. სურდა გამოსადეგი ყოფილიყო და პრეზიდენტს ყვე-
ლაზე სასწრაფო საქმეთა სია შეუდგინა. დაწვრილებით იხილავ-
და თითოეულ პუნქტს და, როგორც თვითონვე იგონებს, საკმაო
პირდაპირობითა და სიმკაცრით. და მაინც მისი ჯონსონისადმი
დამოკიდებულება მტრული არ ყოფილა. ტედმა პრეზიდენტს კა-
პიტოლიუმში სიტყვით გამოსვლის დაჩქარება ურჩია. ჯონსონმა
თვალი აარიდა სორენსენის განცხადებას გადადგომის თაობაზე და
თვალშეუდგამი სახით ისმენდა თეთრი სახლის პერსონალის დახა-
სიათებებს. საუბრის დასაწყისში პრეზიდენტმა ჰკითხა:

— გიფიქრიათ თუ არა, რომ ამ საქმეში, შესაძლოა, უცხო
ქვეყნის მთავრობა იყოს გარეული?

ტედმა კითხვას კითხვითვე უპასუხა:

— რაიმე მტკიცება გაგაჩნიათ?

პასუხიდან ჩანდა, დამაჯერებელი საბუთი არაფერი ჰქონდათ.
ჯონსონმა გამოძიების ფედერალური ბიუროს პატაკი უჩვენა.
ცნობის მიხედვით, რომელიღაც არამეგობრული სახელმწიფოს მე-
თაურნი კენედის სიკვდილს მოელოდნენ. მაგრამ ცნობა ფრიად
ბუნდოვანი გახლდათ და მასზე დაყრდნობა არ შეიძლებოდა. მასში

არც ფაქტები ჩანდა და არც სახელები, ხოლო მაუწყებლის ვინაობა კოდირებული იყო.

— ეს არაფერს ნიშნავს, — თქვა სორენსენმა და ქაღალდი პრეზიდენტს დაუბრუნა.

პრეზიდენტს ხმა არ ამოუღია. მერე სორენსენს ისევ კითხვები მიმართა — თვლიდა თუ არა იგი საჭიროდ, დაკრძალვის დროს მის დასაცავად უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომები ეხმარათ. უარყოფის ნიშნად ტედმა თავი გააქნია: იგი ამას საჭიროდ არა თვლიდა.

ადრე თუ გვიან (აღმოჩნდა რომ ადრე) ახლანდელ პრეზიდენტსა და წინა პრეზიდენტის მრჩეველს შორის ურთიერთობა უნდა გაწყვეტილიყო. როგორც ეს სორენსენმა კაბინეტის ერთ-ერთ წევრს უამბო, მან ჯონ კენედის კარიერას ათ წელზე მეტი ხნის სიცოცხლე მოახმარა. ახლა კი ყველაფერი მტვრად იქცა, თითქოს დალასში თვითონ სორენსენი დაეცა. ის და კენედი იდეალურად ეწყობოდნენ ერთმანეთს. ორთავე ახალგაზრდები იყვნენ, განათლებულნი. სორენსენი შესანიშნავი იარაღი იყო ჯონ კენედის ინტელექტის ასალესად. კენ ო'დონელი კენედის პოლიტიკური ტალანტების გაღვივებას უწყობდა ხელს, რაც შეეხება ლუელინ ტომპსონს, იგი მათ რუსული საკითხის შესწავლის საქმეში ხელმძღვანელობდა. მაგრამ ლინდონ ჯონსონისათვის ტედ სორენსენი ვერ იქნებოდა შესაფერი კომპანიონი. ისინი სრულიად სხვა, ერთმანეთთან ძალზე დაშორებული ადამიანები იყვნენ.

პირველ დღეებში პრეზიდენტი ყოველნაირად ცდილობდა თავი ისე დაეჭირა, თითქოს მართლა სწამდა კენედისეული კომანდის შემადგენლობის შენარჩუნების შესაძლებლობა. მაგრამ მას არ ძალუძდა ამის გაკეთება. იგი მალევე მიხვდა, თავისი ხალხის შერჩევის გარდუვალობას. ეს მისი ილუზიები ნიშანდობლივი იყო იმ გრძნობისათვის, რასაც კენედი იწვევდა და როგორც მერე თვითონ თქვა, ისინი „კენედის შარავანდედის“ შენარჩუნების აუცილებლობას მოწმობდნენ.

1963 წლის 23 ნოემბერს ერის მწუხარება იმდენად ღრმა იყო, რომ ყოველგვარი სხვა ემოციური ატმოსფერო წარმოუდგენლად გეჩვენებოდა. უფრო გვიან, განსაკუთრებით არჩევნების შედეგებით პრეზიდენტობის შენარჩუნების შემდეგ კიდევაც დაავიწყდა,

რომ ოდესღაც კენედის თანაშემწეებს დახმარებას სთხოვდა. ჯონსონს მათი სახელების გახსენებაც აღარ სიამოვნებდა, ხოლო ერთი წლის შემდეგ უკვე ყველაფერი აღიზიანებდა, რაც კენედის აგონებდა და მის სახელს უკავშირდებოდა. ჯონსონის გაღიზიანება იმ ზომამდე მივიდა, რომ თეთრი სახლის საიდუმლო სამსახურის ყოველი აგენტი თუ შოფერი, ვისაც ჰალსტუხის სამაგრად ის ქინძისთავი ეკეთა, ზედ რომ ნალმოსანი კატარღა იყო ამოტვიფრული, რომელზედაც ჯონ კენედი მეორე მსოფლიო ომის დროს მსახურობდა, უსათუოდ პრეზიდენტის რისხვას დაიმსახურებდა.

* * *

თეთრი სახლის მეორე სართულზე, ვარდისფერ ბაღში გამავალ ფანჯარასთან ლუი XV სტილის საწერ მაგიდას ჟაკლინ კენედი მისჯდომოდა და თეთრი სახლის ღერბიან ქაღალდს ქაღალდზე ავსებდა. წერდა ადამიანთა გვარებს, ვისთვისაც უნდა დაერეკა ან მიეწერა, ადგენდა მოსაგვარებელ საქმეთა სიას. გაოცებასღა იწვევდა ის ამბავი, რომ მწუხარებით გულმოკლული პირველი ლედი იძულებული იყო, ასეთი უმნიშვნელო საქმეები ეკეთებინა. თუმცა, ყოველი სხვა ქვრივის მსგავსად, ბევრი კერძო საკითხი მხოლოდ მას უნდა გადაეწყვიტა. რა თქმა უნდა, ჟაკლინს შეეძლო განმარტოებულიყო, ამისათვის არავინ გაკიცხავდა და არც არავის გაუკვირდებოდა, რადგან ამას მისი ბუნებისათვის დამახასიათებელ თავდაჭერილობად ჩათვლიდნენ, მაგრამ ჟაკლინს თვითონ სურდა დასაფლავების ორგანიზაციაში მონაწილეობა მიეღო.

ასეთი მოუცლელობა მისთვის სასარგებლოც იყო. ქალს ძილი არ შეეძლო და რაღაც ხომ უნდა ეკეთებინა. მძიმე ფიქრების აყოლას ისევ წერისათვის გულის გადაყოლება ჯობდა. ჰოდა აი, მთელი გულისყური ხვალისა და ზეგის ამბებს მიაპყრო. ჟაკლინმა თავი გადააგო სამგლოვიარო ცერემონიის მომზადებას, რომელმაც მთელ ამერიკელ ხალხზე სწორედ მისი მონაწილეობის წყალობით დატოვა წარუშლელი მთაბეჭდილება. პირველი ლედი იმვიათად რჩებოდა მარტო. მისი ნათესავები, მდივნები, მისი და მისი ქმრის მეგობრები, მომსახურე პერსონალი, შედი-გამოდიოდნენ დასავლეთის სასტუმრო ოთახის ორმაგი კარებიდან. ხელ-

ში ეჭირათ ჟაკლინის ნაწერი ქაღალდები. დიახ, იგი აიძულებდა ჟაკლინს აზროვნების მოკრებას და ტიხარივით იმართებოდა მასსა და მწუხარებას შორის.

კენედის დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილეობას ისწრაფოდა ყველა — სტუდენტური, ვეტერანთა თუ ნახევრად რელიგიური ხასიათის ორგანიზაციები. მაგრამ თუ ეს ცერემონია კენედის სულისკვეთების შესაბამისი უნდა ყოფილიყო, მაშინ ჟაკლინს აქტიურად უნდა ემოქმედა, ის კი არა, პოლიტიკური დეტალების მოგვარებაშიც თვითონ უნდა ჩარეულიყო. საეკლესიო იერარქიას თავისი საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა ამ სამგლოვიარო-საზეიმო ცერემონიაზე, ხოლო სხვადასხვა სახეობის ჯარებთან პაექრობა, ხომ თითქმის შეუძლებელი აღმოჩნდა.

ნამდვილი შეჯახება კი იმ ტაძრის შერჩევას მოჰყვა, სადაც პანაშვიდი უნდა გამართულიყო. კარდინალების აზრით, არჩევანი ვაშინგტონის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე უბრალოდ ჩასახვის ტაძარს არ უნდა ასცდენოდა. ეპისკოპოსებსა და კარდინალებს უკეთესი ტაძარი ვერც კი წარმოედგინათ. ეს რომაული სტილით ნაგები შენობა კათოლიკური ეკლესიის ყველაზე დიდი და ბრწყინვალე ტაძარი გახლდათ მთელ ამერიკის შეერთებულ შტატებში. მანქანების სადგომად განკუთვნილ ფართო მოედნით შემორკალულ ტაძარში 2500 კაცს შეეძლო დაჯდომა. აბა ტურისტებისათვის ხომ ეს ტაძარი ნამდვილ ღირსშესანიშნაობად იყო ქცეული. გაზაფხულსა და ზაფხულში — ტურისტთა მოზღვავების დროს, სპეციალური ექსკურსიები იქმნებოდა მის დასათვალიერებლად. ტაძრის სარდაფში უდიდესი კაფეტერია იყო გამართული. მაგრამ ჟაკლინისათვის ყოველივე ამას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა. ქალს ამ ტაძრის არც სახელწოდება მოსწონდა და არც არასოდეს ყოფილა იქ. გაცილებით უფრო მიმზიდველად წმინდა მათეს ტაძარი მიაჩნდა. ჟაკლინისათვის განსაკუთრებით ძვირფასი იყო მოგონება, დაკავშირებული ერთ წირვასთან, რომელსაც იგი ქმართან ერთად ესწრებოდა. თუ რომელიმე ტაძარს რაიმე დამოკიდებულება ჰქონდა პრეზიდენტთან, ეს მხოლოდ წმ. მათეს ტაძარი იყო. წმინდა მამები სახტად დარჩნენ: მათ დიდებულ ტაძართან შედარებით წმ. მათეს ტაძარი ერთი ძველი ეკლესია იყო, ყოველგვარ განძეულობასა და მხატვრულ

სამშვენისებს მოკლებული. არც ერთი მხარე არა სთმობდა — აქეთ ქვრივი, იქით ეკლესიის მსახურნი. რობერტ კენედის სიტყვითაც ივივე სურათია დახატული — „მღვდლები უბიწოდ ჩასახვის ტაძარს ითხოვდნენ, ჟაკლინი კი შეუპოვრად იცავდა წმინდა მათეს ტაძრის აუცილებლობას".

ჟაკლინს თავისი აზრი რობერტმაც გაუზიარა:

— მე მგონი, წმინდა მათეს ტაძარი ძალიან პატარაა: იქ მხოლოდ ათას ორასი კაცი ეტევა.

— ჩემთვის სულ ერთია, თუნდაც ყველა ქუჩაში დამდგარა.— უპასუხა ქალმა. — მე მხოლოდ ის ვიცი, რომ იგი ყველაზე შესაფერისი ადგილია.

ჟაკლინის არჩევანი მეორე საფუძვლიანი მიზეზითაც იყო ნაკარნახევი, რომელიც ბოლოს და ბოლოს, გაიტანა კიდეც: ქვრივს არ უნდოდა თავისი ქმრის სულის მოსახსენებელ მესაზე „შავი კადილაკით" მისულიყო. ურყევად ჰქონდა გადაწყვეტილი, ქმრის კუბოს ფეხით გაჰყოლოდა, ხოლო რადგან მდიდრული ტაძარი მეტისმეტად შორს იყო, ეს ჩანაფიქრი თავისთავად ირიცხებოდა. ამრიგად, საკითხი ჟაკლინის სასარგებლოდ გადაწყდა, თუმცა ამას სხვა, არასაეკლესიო, მაგრამ პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ზოგიერთი პრობლემის წარმოშობა მოჰყვა.

არავინ, მათ რიცხვში არც ბობი კენედი ელოდა, რომ კუბოს უკან ფეხით მიყოლას მოისურვებდა სახელგანთქმულ პირთა მთელი კოლონა. ყველას, ვისაც კი უშიშროებასთან რაიმე კავშირი ჰქონდა, თავზარი დასცა ამ გადაწყვეტილებამ: სახელმწიფო დეპარტამენტის საოქმო განყოფილების უფროსი ენჯი დიუკი კატასტროფას წინასწარმეტყველებდა. იგი იმაშიაც არ იყო დარწმუნებული, რომ ამდაგვარი პატივისცემა ამერიკულ ტრადიციებს შეესაბამებოდა. მისი დავალებით კვლავ ძებნად დაგზავნეს კონგრესის ბიბლიოთეკის მუშაკნი. ჰოდა, აი, დაბრუნდნენ გაზეთების გაყვითლებულ ტომებისა და მიკროფილმების კოლოფების სიმძიმით წელში გადრეკილნი. მათი ძიების შედეგად დადგინდა, რომ ანალოგიური პროცესიები მიჰყვებოდნენ ვაშინგტონის, ლინკოლნის, გრანტისა და თეოდორ რუზველტის კუბოებს.

ჯორჯ ვაშინგტონის ცხედარს მოუნტ-ვერნონში გაჭრილ საფლავამდე გაჰყვა ამერიკის რევოლუციის ოცდათორმეტ-ოცდაცა-

მეტი ათასი ვეტერანი. ეს იყო ყველა შესაძლებელ პრეცენდენტთა შორის უკეთესი და დიუკიც შეუდგა მუშაობას.

ქვრივს ჯერ მთელი გზის გავლა უნდოდა ფეხით — პრეზიდენტის რეზიდენციიდან კაპიტოლიუმამდე, ხოლო იქიდან წმინდა მათეს ტაძარსა და არლინგტონის სასაფლაომდე. ჟაკლინისავან დამოუკიდებლად შტატების უფროსთა გაერთიანებული ჯგუფის წევრებმაც იგივე გადაწყვიტეს. ჯარისკაცებსა და მეზღვაურებს ეს ამბავი დაღუპული მთავარსარდლის შესაფერ პატივად მიაჩნდათ.

შეშინებულმა ტედ კლიფტონმა ფრთხილად შენიშნა — შედეგები კატასტროფული იქნება: თუ დაქვრივებული პირველი ლედი ფეხით ივლის, მამაკაცები უარს იტყვიან მანქანებში ჩასხდომაზე, მაშინ როცა მათ შორის ცოტა ვინმეს თუ ძალუძს ასეთი ლაშქრობის გაძლება. კლიფტონმა შეახსენა ქალბატონ კენედის, რომ მის უკან უნდა წამოლასლასდნენ კონგრესისა და უმაღლესი სასამართლოს წევრები—სამოცდაათ-ოთხმოც წელს მიღწეული მოხუცები. ალბათ, წამოსვლას ისურვებს თურქეთის პრეზიდენტიც, რომელსაც მაიორის ჩინი ჯერ კიდევ მაშინ ჰქონდა, როცა ეიზენჰაუერი (იგი უკვე სამოცდაცამეტი წლისაა) სამხედრო აკადემიის კადეტი იყო მხოლოდ. სავსებით შესაძლებელია, — დასძინა ბოლოს კლიფტონმა, — რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ ქვეყანათა ნახევარი თავიანთ ლიდერებს გამოესალმოს.

ჟაკლინი დაფიქრდა და გადაწყვეტილება შეცვალა: ფეხით გაივლიდნენ რვა კვარტალს, თეთრი სახლიდან, წმინდა მათეს ტაძრამდე. სახელმწიფოთა იმ მეთაურებს, ვისაც ჯანმრთელობა ამის საშუალებას არ მიცემდა, წინასწარ შეეძლოთ ტაძარში მისვლა. დაკრძალვის ორგანიზატორებმა ამაზედაც სცადეს წინააღმდეგობის გაწევა, მაგრამ ჟაკლინმა მეტად აღარ დაიხია და მკაცრად წარმოთქვა:

— ჩემს გარდა სხვა ნურავინ გაყვება.

ცერემონიის მონაწილენი შენ გვერდით ყოფნას დაიჟინებენო, უთხრეს ჟაკლინს.

— ეგ მათი საქმეა, — მხრების აჩეჩვით წარმოთქვა ქალმა.

ერთმა ისიც კი ჰკითხა:

— წვიმა რომ მოვიდეს, მაშინ რაღა ვქნათ?

— ჩემთვის სულ ერთია. მე მაინც წავალ.

ჟაკლინის შეუპოვარმა ტონმა მოწინააღმდეგენი აიძულა დისკუსია შეეწყვიტათ. მიხვდნენ, ქარიშხლის ამოვარდნაც ვერ შეუშლიდა ხელს წმინდა მათეს ტაძრამდე ფეხით ევლო. ქვრივი ამას ისეთივე დაჟინებით ითხოვდა, როგორი შეუპოვრობითაც გოტანა დალასში ქმრის ცხედართან დარჩენა და სისხლითმოსვრილი კაბის შინ დაბრუნებამდე გაუხდელობა.

ჩვეულებრივ, მეგობრებზე უფრო ჟაკლინს ქმარი უგებდა ხოლმე. შვიდი წლის წინ ქ. ბოსტონში დემოკრატიული პარტიის შტაბ-ბინაში მაგიდის კიდესთან მჯდარმა ჯონ კენედიმ მეგობრებს უთხრა:

— ჩემი ცოლი მორცხვი და მშვიდი ადამიანია, მაგრამ გამწვავებული ვითარების თავის გართმევაც საკვლებით შეუძლია.

ისინი მხოლოდ ახლაღა მიხვდნენ, რომ ასე მოლაპარაკე ჯონ კენედიმ ამ შეფასებაში ჩვეული თავშეკავება გამოამჟღავნა.

კალაპოტიდან ამოვარდნილი ამერიკელი ხალხის მეხსიერებაში 1963 წლის 23 ნოემბერი დარჩა როგორც ინტერვალი — კენედის მკვლელობით გამოწვეულ პარასკევი დღის შეძრწუნებასა და კვირა დღეს მომხდარ დამნაშავის მკვლელობას შორის, ამ განწყობილებებს კიდევ უფრო ამძიმებდა ტელევიზიით გადმოცემული ვაშინგტონის დრამატული სცენების ჩვენება. ჩიკაგოს უნივერსიტეტის მიერ ჩატარებული გამოკვლევის მიხედვით, იმ შაბათ დღეს ყოველმა მოზრდილმა ადამიანმა ტელევიზორთან გაატარა საშუალოდ ათი საათი. მიუხედავად ამისა, მაყურებელს ახალი ბევრი არა გაუგია რა. უმრავლესობას ერთმანეთთან დაუკავშირებელი ამბების რამდენიმე ეპიზოდის მოგონებაღა თუ შეეძლოთ: თეთრი სახლის აღმოსავლეთის დარბაზში კენედის კუბოსთან გამართული გულისმომკვლელი სპექტაკლი, სადაც ყოველ ნახევარ საათში იცვლებოდა საპატიო ყარაული; და ყოველივე ამის პარალელურად შეურაცხმყოფლად კონტრასტული სცენები დალასის ციხიდან, როცა ზოგიერთი კადრი (მაგალითად, ოსვალდის მიერ პერანგის გამოცვლა) ნაჩვენები იყო როგორც დიდმნიშვნელოვანი მოვლენა.

გაოცებას იწვევდა ის ფაქტიც, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ახალგაზრდა პრეზიდენტს გლოვობდა არა მარტო მისი თანამემამულენი, არამედ მთელი მსოფლიო.

განცვიფრებული იყო თვით სახელმწიფო დეპარტამენტიც. მა-

თი საქალალდეები გაიტანა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩების მიერ გამოგზავნილი დეპეშებით, რომლებშიაც იქაური ადამიანების ღრმა მწუხარებას აღწერდნენ. ასეთივე გრძნობები დაუფლებოდათ საზღვარგარეთელ პოლიტიკოსებსაც. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დუგლას ჰიუმმა განაცხადა — „გაოცებული ვარ ინგლისელთა ასეთი ღრმა რეაქციით, განსაკუთრებით ჩვენი ახალგაზრდებით". გაოცება ვერც პრეზიდენტმა დე გოლმა დაფარა და თავის მეგობარს უთხრა: „ნამდვილად განცვიფრებული ვარ. მთელი საფრანგეთი ტირის. თითქოს იგი ფრანგი იყო, ან სულაც მათი ოჯახის წევრი".

მთელ მსოფლიოში გრძნობათა ასეთ დაძაბვას უდავოდ კავშირგაბმულობის სისწრაფეც აძლიერებდა. თან ისიც უნდა ითქვას, რომ მსოფლიოში დიდმნიშვნელოვანი სხვა არა მომხდარა რა. ვთქვათ, მაგალითად, ჩინეთი რომ თავს დასხმოდა ინდოეთს, აზიის ყურადღება მყისვე გადაირთვებოდა. ვინაიდან იმ დღეებში ისტორიული მნიშვნელობის ტოლფასოვანი არაფერი მომხდარა და ყურადღებაც არაფერზე გადატანილა. კენედის მკვლელობა დარჩა თავისებურ ერთადერთ მოვლენად მთელ მსოფლიოში. მისი შედეგები იმდენად ფანტასტიკური იყო, რომ წმინდა მათეს ტაძარში ქვეყნიერების ყოველი მხრიდან რვა სახელმწიფოს მეთაური, ათი პრემიერ-მინისტრი და მსოფლიოში ჯერ კიდევ არსებულ გვირგვინოსან მეფეთა უმრავლესობა მოიყვანა.

მეტი დრო რომ ყოფილიყო და სახელმწიფო დეპარტამენტს სწრაფი ხელშეწყობა გამოეჩინა, უცხოელთა დელეგაციები კიდევ უფრო მრავალრიცხოვანი იქნებოდა. სახელმწიფო მდივნის მოადგილეებმა პარასკევ საღამოს განიხილეს ეს საკითხი და მთელ მსოფლიოს ტერიტორიაზე გაფანტულ აშშ-ის ელჩებს ტელეგრამები დაუგზავნეს. ელჩებს ურჩევდნენ, მათდამი რწმუნებული ქვეყნების სახელმწიფო მოღვაწეთათვის გადაეთქმევინებინათ კენედის დაკრძალვაზე ჩამოსვლა, იმ საბაბით, რომ ერთი სახელმწიფოს მეთაურის ჩამოსვლა უხერხულობას შეუქმნიდა მეორე სახელმწიფოს მეთაურის ყოფნას. იმავე საღამოსვე იწყო დენა უკმაყოფილო გამოხმაურებებმა. ინგლისის დედოფალი ელისაბედ II ბავშვის გაჩენის მოლოდინში იყო და ჩასვლა თავად არ შეეძლო, მაგრამ ქმრისა და პრემიერ-მინისტრის გაგზავნას აპირებდა.

ბევრმა სხვა სახელმწიფოს ხელმძღვანელმა ვაშინგტონს აცნობა, რადგან ასეა, სულაც კერძო პირთა სახელით ჩამოვალთო. აკი ერთ-ერთი დეპეშაც იუწყებოდა, — თუ ოფიციალურ მოწვევაზე ზედმეტია ლაპარაკი, მაშინ „პირადი მეგობრობის უფლებით" ჩამოვალო. სახელმწიფო დეპარტამენტი შეფიქრიანდა, მაგრამ შაბათ დილით დინ რასკმა ყველა თავისი თანამშრომელი შეჰყარა და პარასკევს გამოტანილი გადაწყვეტილება დაადასტურა. დაკრძალვა ორ-მოცდარვა საათის შემდეგ უნდა მომხდარიყო და, მისი აზრით, მოწვეულები გეიანდებოდა. მაგრამ ამ დროისათვის მსოფლიოს ქვეყნების დედაქალაქებმა ადგილობრივ მოქალაქეთა მზარდი ძალდატანება იგრძნეს და შუადღისათვის ჯებირი გაირღვა. ყველაზე ადრე ეს დე გოლმა გააკეთა; დაკრძალვაზე ჩამოფრენის ცნობა გამოგზავნეს ლუდვიგ ერჰარდმა, პრინც ფილიპმა და სერ ალეკ დუგლას-ჰიუმმა.

პირველად დე გოლი პარიზიდან დაძვრას არ აპირებდა. თვითონ ამერიკელებმა ისურვეს ასე და იგი ხომ მეტად ამაყი კაცი იყო. ამავე დროს დე გოლსა და კენედის შორის არსებული შეუთანხმებლობაც არ ყოფილა დაფარული და ასეთი მკვეთრი შემობრუნება, შესაძლოა, პირფერობად მონათლულიყო. დე გოლის გადაწყვეტილება თვითონ საფრანგეთმა შეცვალა. თუ შეერთებული შტატების პრეზიდენტი ესოდენ ბევრს ნიშნავდა ფრანგებისათვის, — განუცხადა დე გოლმა თავის მეგობრებს, — მაშინ საფრანგეთის პრეზიდენტი ვალდებულია მის დაკრძალვას დაესწროსო. დე გოლმა თვითონვე დაურეკა საფრანგეთის ელჩს ერვე ალფანს ვაშინგტონში და საქმის ვითარება აუწყა. დე გოლის გადაწყვეტილება ვაშინგტონის დროით 12 საათსა და 2 წუთზე გადაიცა. ათი წუთის შემდეგ ბრიუსელმაც გამოაცხადა ვაშინგტონში მეფე ბოდუენი ჩავაო. იძულებულმა სახელმწიფო დეპარტამენტმა სასწრაფოდ დაგზავნა ოფიციალური მოწვეულები და ჰარიმანის სიტყვით რომ ვთქვათ, „მაშინვე წამოვიდა მიპატიჟების მიღების მაუწყებელი დეპეშათა ნიაღვარი: საბერძნეთის დედოფლიდან, ეთიოპიის იმპერატორიდან, ლუქსემბურგის დიდი ჰერცოგიდან, ნიდერლანდების კორონპრინცისაგან, ნორვეგიისა და დანიის კრონპრინცესებისაგან, დასავლეთ გერმანიის, ისრაელის, სამხრეთ კორეის, ფილიპინების პრეზიდენტისაგან. თურქეთის, კანადის და იამაიკის პრემიერ-მინისტრებისაგან, საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯ-

დომარის პირველი მოადგილის ანასტას მიქოიანისაგან, კამბოჯელ პრინც ნოროდომ სიანუკისაგან. სულ ოთხმოცდათორმეტმა ქვეყანამ გამოგზავნა თავიანთი დელეგაციები. პაკისტანის პრეზიდენტი აიუბ ხანი შინ დარჩა, ისევე, როგორც ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობის პრეზიდენტები. კონსტიტუციის ძალით მათ განსაკუთრებული საკანონმდებლო აქტის მიუღებლად უფლება არა ჰქონდათ თავიანთი ქვეყნებისა. ყოველივე ამის მიუხედავად, ამომრჩევლები მაინც გაუბრაზდნენ. არსებული ვითარების დასტურად ის ფაქტიც კმარა, რომ დასახელებულ სახელმწიფოთა მეთაურებს საჯარო განმარტება დასჭირდათ, თუ რატომ არ შეეძლოთ დამდგარიყვნენ უცხო ქვეყნის მეთაურის კუბოსთან.

ამერიკის შეერთებული შტატების დედაქალაქში ჩამომსვლელ წარჩინებულ პირთა სიაში ვერ ნახავდით ამჟამად გადამდგარი დიპლომატის, 1937-40 წლებში დიდ ბრიტანეთში ამერიკის ელჩის, ჯოზეფ პ. კენედის სახელს. დიახ, მას არ შეეძლო თავისი შვილის დაკრძალვას დასწრებოდა. ჯოზეფს ორი წლის უკან დაბლა დაეცა და ახლა ლოგინად იყო ჩავარდნილი. იგი გახლდათ ყველაზე მკაცრი და ეშმაკი კენედი ყველა კენედთა შორის. ჰოდა, იწვნია კიდეც საოცრად შეუბრალებელი კრიტიკა. ახლა, ასეთ უმწეო მდგომარეობაში მყოფს, რა თქმა უნდა, აღარაფინ ერჩოდა. ჰაიანის-პორტში მათ სახლთან სამორიგეოდ გამოყოფილ რეპორტიორთა ჯგუფს თავი მშვიდად ეჭირა. იმ დროს, როცა ტელემაყურებელთა თვალწინ ერთთავად ვაშინგტონსა და დალასს ატრიალებდნენ. კონცხ კოდს, სადაც ჰაიანის-პორტი მდებარეობდა, იშვიათად თუ ვინმე ახსენებდა. იქიდან მოსული ცნობები მხოლოდ ნათესავთა ჩამოსვლის მოკლე ინფორმაციით იფარგლებოდა. უჩვენებდნენ პრეზიდენტ კენედის დედის ფოტოგრაფიათა სერიებს, რომლებიც ჰაიანის-პორტში გამართულ წირვაზე იყო გადაღებული.

მთელი შაბათი დღის განმავლობაში, თვითმფრინავები ზედიზედ მოფრინავდნენ, შემდეგ კი ცუდმა ამინდმა უცხოელ სახელმწიფო მოღვაწეებს ფრენის გუნება გაუფუჭდათ და ვაშინგტონში ჩაფრენა კვირისათვის გადადეს.

ყოფილი პრეზიდენტების ტრუმენისა და ეიზენჰაუერის ყოველი მოგზაურობა წინასწარ გულდასმით იყო ხოლმე აწონილ-და-

წონილი. ჰეტისბერგში დაბრუნებულმა ეიზენჰაუერმა ცუდი ამინდის გამო ვეღარ გამოაღწია თავისი ფერმიდან.

ტრუმენი სტუმართათვის ოფიციალურად განკუთვნილ მთავრობის განცალკევებულ სახლში დაბინავდა. იგი აქ წინათაც ცხოვრობდა, როცა თავისი პრეზიდენტობის მეორე ვადის დროს მთავრობის მეთაურის რეზიდენციაში რემონტი მიმდინარეობდა. ტრუმენს წარსული დღეები გაახსენდა და ავერელ ჰარიმანს უთხრა, — ნამდვილად თანავუგრძნობ ლინდონ ჯონსონს, რადგან კარგად მახსოვს, როგორი „გამოუცდელი" ვიყავი რუზველტის სიკვდილის დროისათვის.

თავიანთი ასაკისა და მდგომარეობის გამო ეიზენჰაუერი და ტრუმენი განსაკუთრებული ყურადღებით იყვნენ გარემოცული. მათ ეკრძალებოდათ წმინდა მათეს ტაძრამდე იმ რვა კვარტლის გავლაც კი.

ჩიკაგოში ჩატარებული საზოგადოების გამოკითხვის მიხედვით, კენედის მკვლელობა არ განიცადა ერთმა ამერიკელმა ყოველ ათ კაცში. შეიძლება ითქვას, რომ იმ შაბათ დღეს თითქმის ყოველგვარი რეაქცია ბუნებრივი ჩანდა. ლოს-ანჯელესში გარდაიცვალა ოლდოს ჰაქსლი,[1] ოგაიოს საავადმყოფოში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაიღუპა სამოცდასამი კაცი. სხვა დროს ეს ყველაფერი მეტად მნიშვნელოვან ამბებად ჩაითვლებოდა, მაგრამ იმდღევანდელმა გაზეთებმა ეს მხოლოდ სხვათა შორის თქვეს. ერის მწუხარება დომინირებელი და თითქმის საყოველთაო ფაქტორი გახლდათ. საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობით, კენედისადმი მტრულად განწყობილი, მისი საწინააღმდეგო ოპოზიციის სულისჩამდგმელ სამხრეთელებს შორისაც სამოცდაორ პროცენტს „ისეთი გრძნობა ჰქონდათ, თითქოს ახლობელი და ძვირფასი ვინმე დაჰკარგოდათ".

მაგრამ მწუხარება მაინც სხვადასხვაგვარად ვლინდება. პარასკევს ქვეყნის წუხილი უპირატესად ჟაკლინისა და ბავშვებისადმი იყო მიმართული, რასაც ზედ ერთვოდა უპიროვნო თუ უმისამართო რისხვის გრძნობა. ეს რისხვა დედაქალაქში მთელ შაბათს ბობოქრობდა. დალასის „მორნინგ ნიუსის" ვაშინგტონის განყოფი-

---

[1] ცნობილი ინგლისელი მწერალი.

ლებაში შეუწყვეტლად გაისმოდა მუქარით სავსე სატელეფონო ზარები.

აგრესიულად იყო განწყობილი შრომის მინისტრის მოადგილე პეტ მოინიჰენი. ვაშინგტონის გაზეთ „სტარის“ კორესპონდენტ მერი მაკგრორის ბინაში გამართულ სადილზე იგი მკაცრად ლაპარაკობდა დალასის პოლიციის სამმართველოზე — რაც უფრო ჩქარა წაიყვანენ იქედან ოსვალდს, მით უფრო მეტი იქნება საიდუმლოების გახსნის შანსიო.

— სხვაგვარად, იქნებ, ვერც ვერასოდეს გავიგოთ, ვინ ჩაიდინა ეს საშინელი მკვლელობა. ამას კი შეუძლია ჩრდილი მიაყენოს ჩვენს ისტორიას, მთელ საუკუნეს.

იქ მყოფთაგან მოინიჰენს არავინ შეპაექრებია. ვაშინგტონელებს შორის დალასის რეპუტაცია უფრო დაბლა ვეღარ დაეცემოდა.

*

ჟაკლინ კენედიმ იცოდა, რომ სამგლოვიარო კორტეჟი ხვალ რეზიდენციიდან სრულ თორმეტ საათზე დაიძრებოდა. საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის დრო რამდენიმე საათით შემცირდა. სწორედ ახლა და არა პარასკევს ბეტესდეში ჟაკლინის ირგვლივ მყოფმა ადამიანებმა მისი სიმკაცრე იგრძნეს. შაბათ საღამოს ქალის საკუთარი თავისადმი რწმენამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. როტონდის ხვალინდელი ცერემონიის საკითხი გადადებას ვეღარ ითმენდა, ამიტომაც ყველაფერი ამ საღამოსვე უნდა გადაწყდესო, — შენიშნა შრივერმა. ორშაბათის გეგმები კიდევ შეიძლება შეიცვალოს, კაპიტოლიუმიდან დაბრუნების შემდეგ, მაგრამ ცერემონია როტონდაში უკვე კარზე იდგა. ქერივი წუთით შეყოყმანდა. კონგრესი მისთვის შეუცნობელი რამ იყო. იგი ხომ სენატორებსა და წარმომადგენელთა პალატის წევრებს მხოლოდ მიღებების დროს ხვდებოდა და არ იცოდა, ასეთ შემთხვევებში როგორ იყო მიღებული. უეცრად, ერთი თვის წინათ, თეთრ სახლში გამართული პატარა მიღება გაახსენდა. მიღებაზე „ნიუსუიკელი“ ბენ ბრედლი პრეზიდენტს ეჭილიკებოდა, ესაოდა რატომ გაჭიანურდა გადასახადების შემცირებისა და მოქალაქეთა უფლებების კანონპროექტების კონგრესზე გატანაო. კენედიმ, ცოტა არ იყოს, მკეახედ მოიგერია და

განაცხადა, — ორთავე კანონპროექტი მიღებული იქნებაო. და მიღების თარიღიც ზუსტად დაასახელა. მერე პრეზიდენტმა კელავ განაგრძო ლაპარაკი და ბრედლის ჰკითხა:

— მაინც რატომ არ ბეჭდავთ „ნიუსუიკლის" ყდაზე მაიკლ მენსფილდის პორტრეტს? მენსფილდი უმრავლესობის ყველაზე უკეთესი ლიდერია კონგრესში, როგორიც კი საერთოდ გვყოლია ოდესმე.

შემდეგ თავისი ბრწყინვალე მეხსიერების წყალობით მთავრობის მეთაურმა მენსფილდის დროს მიღებული კანონმდებლობითი აქტების მაღალი პროცენტულობის დასტურად მთელი წყება სტატისტიკური მონაცემები გადმოალაგა. ჟაკლინ კენედის ახლა თავისი ქმრის სწორედ ეს სიმპათიები მოაგონდა. სენატის დემოკრატიული პარტიის ლიდერისადმი.

— მე მინდა, როტონდაში სიტყვით გამოსული ის ერთი კაცი მაიკლ მენსფილდი იყოს, — განაცხადა ქალმა.

შრივერი მერი დანგენის კაბინეტში დაბრუნდა და საოცრად გაჭიანურებულ სხდომას განუცხადა:

— ჯეკის სურს, როტონდაში გამოსათხოვარი სიტყვა მაიკლ მენსფილდმა წარმოთქვას.

შრივერს ვიღაცის ჩახველება მოესმა. იგი ფიშბეიტად[1] ცნობილი უილიამ ბილერი გახლდათ, კაპიტოლიუმის მსახურთუფროსი და კონგრესის წევრთა შორის მეკავშირე. ფიშბეიტმა შრივერს პირდაპირ განუცხადა — ქალბატონ კენედის თავისი მოთხოვნის უკან წაღება მოუწევს ანდა კომპრომისზე წასვლაო.

— კაპიტოლიუმის ის ნაწილი, სადაც როტონდაა მოთავსებული, წარმომადგენელთა პალატის იურისდიქციის ქვეშ იმყოფება და იგი სპიკერს ეკუთვნის, — დააყოლა განმარტება ფიშბეიტმა.

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მას ფლობს? — ჰკითხა გაოცებულმა სარჯენტმა.

ფიშბეიტმა ნერწყვი გადაყლაპა.

— ფლობს-მეთქი, ვერ გეტყვით, მაგრამ თუ თქვენ რაიმე გეგმები გაქვთ როტონდასთან დაკავშირებით, მაშინ უსათუოდ სპიკერს უნდა მიმართოთ. იმთავითვე ასეა მიღებული. ეს დაკრძალ-

---

[1] ფ ი შ ბ ე ი ტ ი (ინგლ.) — თევზის სატყუარა.

ვის ის ნაწილია, კონგრესს რომ ეხება და რაც უნდა სურდეს ჯეკის, ვერ შეხვალთ და ვერ იტყვით. სიტყვა მაინცდამაინც მაიკლ მენსფილდმა წარმოთქვასო. ამას, შესაძლოა, სპიკერის თავმოყვარეობის შელახვა მოპყავს.

შრივერს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს უცხო სახელმწიფოს მეთაურთან ჰქონდა საქმე. მერე ვიღაცამ ისიც შენიშნა, რომ არსებობს სახელმწიფო მესამე ორგანო, უმაღლესი სასამართლოს სახით და პანაშვიდზე მისი თავმჯდომარისათვისაც საჭირო იყო რაიმე როლის გამონახვა. სარჯენტს ყველაფერმა ამან პოლიტიკური პარტიის ყრილობა მოაგონა: ფრაქციის ყოველმა ლიდერმა ჯერის მიხედვით ტრიბუნაზე გამოსულის უფლება რომ უნდა მიიღოს.

არაწკუნდნენ თეთრი სახლის ტელეფონები. მოწვეულ იქნა საპარლამენტო პროცედურების სპეციალისტთა თათბირი. მათი საერთო აზრით, პანაშვიდზე სამი ორატორის გამოსვლა დადგინდა. სიტყვები უნდა წარმოეთქვათ — ჯონ მაკორმაკს, ერლ უორენსა და მაიკლ მენსფილდს.

— მე ვღებულობ ამ წინადადებას, — განაცხადა შრივერმა.

გაიცა ნიშანი და სამთავე დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას. მაკორმაკი და უორენი თავიანთი ოტელების ნომრებში ჩაიკეტნენ, ხოლო მენსფილდი — კაბინეტში.

ჟაკლინ კენედიმ ქმარს გამოსათხოვარი წერილი დაუწერა. შემდეგ ვეღარ მოიგონა მისი დაწერის ზუსტი დრო: წამლებმა და ხანგრძლივმა უძილობამ ქალს აღქმის გრძნობა მოუჩლუნგა.

მსახურებმა პრეზიდენტის აპარტამენტების სამხრეთ-დასავლეთი კუთხის ფარდები ისე მჭიდროდ დაუშვეს, რომ ვეღარ გაარჩევდით, დღე იყო თუ ღამე. ჩამობნელებულ ოთახში ფურცელ-ფურცელ წერა ჟაკლინმა თავისი მგზნებარე წერილი, მერე კონვერტში ჩადო და დაბეჭდა.

თავი მეცხრე

კვირა დღის ამბები

24 ნოემბერი ის კვირა დღე გახლდათ, როცა ქვემეხის ლაფეტზე დადგმული პრეზიდენტ კენედის კუბო პენსილვანია-აევნიუს გაელით კაპიტოლიუმის დიდ როტონდამდე უნდა მიეტანათ.

პირველ გაოსათხოვარ სიტყვებსაც იქ წარმოთქვამდნენ. ქმრის სიკვდილის შემდეგ ჟაკლინისათვის ეს პირველი გამოჩენა იყო ხალხის წინაშე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ. ენდრიუსის აეროდრომზე თვითმფრინავ 26000-იდან მის გადმოსვლას, ახლა ჟაკლინი ბავშვებთან ერთად უნდა წარსდგომოდა საზოგადოებას.

ამერიკის შეერთებული შტატების ოცდამეთექვსმეტე პრეზიდენტისათვის ეს კვირა პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის მეორე დღე იყო. აეროპორტ დალასსა და ვაშინგტონის ნაციონალურ აეროპორტში ერთიმეოთის მიყოლებით ჩამოდიოდნენ კენედის დაკრძალვაზე დასასწრებლად გამოგზავნილი უცხო ქვეყნების წარმომადგენლები. ამ დღესვე ამთავრებდა თავის მუშაობას პრეზიდენტის დაკრძალვის მომწყობი კომისიაც, შრივერისა და დანგენის ხელმძღვანელობით. მუშაობის დასკვნით ეტაპზე მათ კარდინალი კაშინგი და ეპისკოპოსი ჰენონი უნდა შეერთებოდათ. იმავე კვირას უნდა დაწყებულიყო მოწამებრივი სიკვდილით დაღუპული პრეზიდენტის ნაციონალურ გმირად გამოცხადების ორდღიანი ცერემონიალი. ყველაფერი ეს შაბათ საღამოს იქნა მოფიქრებული, მაგრამ კვირა დღის ამბების წინასწარ განჭვრეტა სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა. პრეზიდენტის ქვრივის საქციელი, დედაქალაქში ამერიკელთა მოზღვავება და ბოლოს მილიონობით ტელემაყურებელთა წინაშე ჩადენილი მკვლელობა, მართლაც რომ წინასწარ გაუთვალისწინებელი ამბები იყო.

დილით გამოიდარა. პრეზიდენტის რეზიდენციის მეორე სართულის ფანჯარასთან მდგარმა რობერტ კენედიმ ჯერ უღრუბლო, კამკამა ზეცას შეავლო თვალი, მერე კი დაბლა ჩაიხედა. ბობი გააოცა ლაფაიეტის პარკში ზღვად შეყრილმა ხალხმა. ფხიზლად იდგნენ უხმოდ მომლოდინე ადამიანები. ყურადსაღები იყო მათი საზოგადოებრივი მდგომარეობაცა და რაოდენობაც. პენსილვანია-ავენიუზე, ჩვეულებრივ, შეგიძლიათ ნახოთ ტურისტთა ჯგუფები მხრებზე—ფოტოაპარატებითა და კინოკამერებით, ნაქირავები ავტობუსებით ჩამოსული სტუდენტობა თუ საერთოდ, ცნობისმოყვარე ხალხი. ამ დილით პარკში მყოფი ადამიანები კი ვაშინგტონელები იყვნენ. უფრო და უფრო თვალშისაცემი გახდა სხვა ამბავიც: ჩამოსულთა უმრაველესობა ოც წელზე დიდად გადაცილებული არ იქნებოდა. ჯონ კენედი ორმოცდაექვსი წლისა გახლდათ, მაგრამ

ფოთოლგაძარცულ ხეების ქვეშ მდგარი ახალგაზრდობა მასში თავიანთი თაობის ბელადს ხედავდა.

დაღლილი, განაწამები, წვერგაუპარსავი ამერიკელები წამოწითლებული თვალებით ათვალიერებდნენ გაზეთებს. პარასკევმა და შაბათმა დაქანცა ხალხი. ამ ორი წარმოუდგენლად მძიმე დღის შემდეგ ქვეყანას თითქოს ვეღარაფერი შეაშფოთებდა. მხოლოდ რაღაც განსაკუთრებულ მოვლენას თუ შეეძლო თავიანთ ტელევიზორებს მიმსხდარ მაყურებელთა შეძრწუნება. არაქათგამოცლილებს ეკრანის ცქერაღა შეეძლოთ მხოლოდ, რაიმეს აღქმის თავი კი აღარა ჰქონდათ.

გამონაკლისი ისევ ლი ჰარვი ოსვალდი აღმოჩნდა. მის უდრტვინველ, მშვიდ ძილზე ამჯერად არაფერი უთქვამთ. განსაკუთრებულად მკაცრ რეჟიმს დაქვემდებარებულ ციხის საკანთან მდგარ პოლიციელებს ეს სულაც არ გაჰკვირვებიათ. ახლა მხოლოდ ოსვალდის ფლეგმატურობა ჩანდა უცნაურად. საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრის გამოკვლევათა მიხედვით იმ ხანად ორმოცდაათ მილიონზე მეტ ადამიანს უძილობა ტანჯავდა, ხოლო იმ კაცს, ვინც ამდენი ხალხის უძილობის მიზეზი იყო, მეორე ღამეა ნეტარის ძილით ეძინა. ის კია, რომ მის სიმშვიდეს გარედან არავინ არღვევდა: ოსვალდს არათუ თავს აბეზრებდნენ, ზოგჯერ ივიწყებდნენ კიდეც. შაბათს მისი დაკითხვა სამ საათზე ნაკლებ ხანს გაგრძელდა. ადგილობრივი კანონების მიხედვით, სისხლის სამართლის დანაშაულით ბრალდებაწაყენებული ადამიანი საგრაფოს ციხეში უნდა გადაეყვანათ. ეს ციხე ოსვალდის მაშინდელი სამყოფელიდან დაახლოებით თორმეტიოდე კვარტალის დაშორებით მდებარეობდა, მაგრამ ოსვალდი ამისათვის არ შეუწუხებიათ. დალასის პოლიციის უფროსმა კარიმ ტელეოპერატორებს აუწყა, ოსვალდის სხვა ციხეში გადაყვანა ნამდვილი სპექტაკლივით მინდა მოვაწყოო. ყოველივე ამის გამო მათ თავიანთი რთული მოწყობილობანი კვირას, ანუ, ათი საათისათვის უნდა მოემზადებინათ, სწორედ იმ დროისათვის, როცა ვაშინგტონში კენედის ოჯახი აღმოსავლეთის დარბაზში პრეზიდენტის უკანასკნელ პანაშვიდს დაესწრებოდა.

თუ მხედველობაში არ მივიღებთ მარინასთან დარეკვის წარუმატებელ ცდას და პოლიტიკური ყრილობის მთავარი ფიგურის

მსგავსად, ტელეკამერის წინაშე მის უდიდეს აქტიურობას, ოსვალდი ძირითადად მოცლილი იყო. სწორედ დამნაშავეს, ამ ერთადერთ პიროვნებას ჰქონდა უამრავი თავისუფალი დრო მთელი ამ დრამის მონაწილე მოქმედ პირთა შორის. შაბათს იგი დასაძინებლად 19 საათსა და 15 წუთზე გაისტუმრეს, მეორე საღამოსაც ფრიად მშვიდად, ალალ-მართალი კაცის ძილით ეძინა. კენედის მკვლელობიდან ზუსტად ხუთი თვის შემდეგ 1964 წლის 22 აპრილს კაპიტანი უილ ფრიტცი იგონებდა: „იცით, მე მას არაფრით შეეუწუხებივარ".

კაპიტნის მეურვეობაში მყოფსაც თავის მხრივ შეეძლო ამ ქათინაურის უკანვე დაბრუნება. ოსვალდისათვის, მართალია, დამცველი არ აუყვანიათ, მაგრამ მან ეს არ იცოდა, დიახ, ნამდვილად უცნაურად უნდა მოჩვენებოდა, რომ ამერიკის შეერთებული შტატებ-ს პრეზიდენტისა და პოლიციის ოფიცრის განზრახ მკვლელობის ბრალდებით დაპატიმრებულ კაცს, რომ აღარაფერი ეთქვათ ტეხასის გუბერნატორის დაჭრაზე, პოლიცია ასე ნაკლებად აწუხებდა. ოსვალდის დაკითხვის ოქმების გულდასმით შესწავლამ ცხადყო, რომ იგი რიგიანად არც კი დაუკითხავთ. ყველა, ვისთვისაც ნაცნობია პოლიციის აზროვნების ხასიათი, იცის: რომ პოლიციელებს კანონების თავისებურად ახსნის მიდრეკილება აქვთ. მათ შორის მეფობს რწმენა, რომ ეჭვმიტანილი დამნაშავეა, ვიდრე დამტკიცებული არ იქნება საწინააღმდეგო. სახელმძღვანელოების საწყობში მომუშავე კაცის საქმე სავსებით ნათელი იყო პრეზიდენტის მკვლელობიდან სამი საათის შემდეგ. ოსვალდი უკვე ორმოცდაექვსი საათის დაპატიმრებული იყო და მას მაინც გასაოცარი თავაზიანობით ეჭცეოდნენ. ამის მიზეზი ახლა ნათელია. ვთქვათ, ოსვალდს არაფრად მიაჩნდა საკუთარი მომავალი, მაგრამ ამას ვერ ვიტყვით „დიდი დ"-ს სამოქალაქო ხელისუფლებაზე.

დალასის რეპუტაციის კიდევ უფრო დაცემის შიშით თვალყურს ადევნებდნენ პოლიციის უფროსის, კარის — მიერ წარმოებულ ძიებას. მათ აზრადაც არ მოსელიათ, რომ ამ მზრუნველობას ოსვალდისადმი ყურადღების გაძლიერება მოჰყვებოდა, რითაც სწორედ იმ შედეგს შეუწყობდნენ ხელს, რისაც ყველაზე მეტად ეშინოდათ. ყოველივე ამის გაგება კიდევ როგორმე შეიძლება, მაგრამ ყველაზე ძნელად გასაგები და ამ დღეთა მოგონებებში არეულო-

ბის შემტანია ის სრული შეუფასებლობა, რომელიც მკვლელის სიცოცხლის უკანასკნელ საათებსა და დედაქალაქში გამართულ სამგლოვიარო ცერემონიას შორის არსებობდა.

იმ დროს, როცა რობერტ კენედი ლაფაიეტის პარკში ღირსეული თავშეკავებით მდგარ ხალხს გადაჰყურებდა, სალდუმლო სამსახურის მთავარმა აგენტმა ფორესტ სორელზმა დალასის საპოლიციო სამმართველოს შენობის მესამე სართულიდან გაიხედა და ტყვიამფრქვევიანი ღია ფერის „ფორდი" დაინახა. ეს საოცარი მანქანა კომერსს-სტრიტზე იდგა, საჭეს კი სხვათა ყურადღების მიპყრობის მსურველი, ერთი დალასელი მევახშე უჯდა. ეს კაცი თავის თავს „პატიოსან გამსესხებელ ჯო გოლდშტეინს" ეძახდა. სორელზის მახვილი მზერა ტყვიამფრქვევზე შეჩერდა. იგი იცნობდა მდიდარსა და გულუხვ მევახშეს, პოლიციელებს რომ ეპირფერებოდა და მათ გულს ვალში დატოვებულ ნიეთებზე ფასის დაკლებით იგებდა. სორელზმა არ იცოდა, რომ პატიოსანი ჯოს ყველაზე კარგ მეგობარს ჯეკ რუბი ერქვა. თუმცა კიდევაც რომ სცოდნოდა, იფიქრებდა, ამას საქმესთან რა კავშირი აქვსო. და ეს ასეც იყო. ამ სცენის მნიშვნელობა იმ ორი სამყაროს თანაარსებობა გახლდათ, რომლის სიმბოლო ერთგან მყვირალა ფერის „ფორდი" იყო, მეორეგან კი კვარცხლბეკზე დადგმული პრეზიდენტ კენედის კუბო. შეურაცხმყოფელად გაისმოდა ვაშინგტონისა და დალასის შედარება, ისევე როგორც კენედისა და ოსვალდისა, მაგრამ იმ კვირის დასასრულს ორთავენი შევიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში.

დალასის რეპუტაციის აღდგენის ოდბაი ცდაც კი, როგორც ჩანს, განწირული იყო. თუ სარწმუნოდ მივიღებთ მოსახლეობის დაკითხვის ცნობებს, მაშინ 27 მილიონმა ამერიკელმა დანაშაულში ბრალი დასდო „დალასის მცხოვრებლებს" საერთოდ. ჯონ ფ. კენედის ავადმყოფი მამის მომვლელი ექთანი, რიტა დალასი, თავისი გვარის გამო ტელეფონით იმდენჯერ გამოლანძღეს, რომ იძულებული გახდა სატელეფონო კომპანიისათვის ტელეფონის ნომრის შეცვლა ეთხოვა. რა თქმა უნდა, უმართებულო იქნება დრამის ამ მხარის მეტისმეტად გაზვიადება. რადგან მოსახლეობის დამკითხველი იმავე პირების განცხადებით, მოსახლეობის 85 პროცენტს დალასი საერთოდ არ უხსენებია.

ვაშინგტონში მომავალი ცერემონიის მთავარი მონაწილენი უშუალოდ თავიანთი საქმეებით იყვნენ გართულნი. მაიკლ მენსფილდმა და ჯორჯ მაკორმაკმა გამოსათხოვარი სიტყვების წარმოთქმის თანამიმდევრობა დაადგინეს. პირველი მენსფილდი უნდა გამოსულიყო, ბოლო სიტყვას მაკორმაკი წარმოსთქვამდა. სემ ბრედმა და მისმა რაზმმა პრეზიდენტის კუბო თეთრი სახლიდან როტონდის გასასვლელში გადაიტანეს და ჟაკლინიც გამოჩნდა.

* * *

წმ. მარკოზის საეპისკოპოსო ეკლესიაში წირვის დამთავრების შემდეგ მეუღლისა და ქალიშვილის თანხლებით ჯონსონი სახლისაკენ გაემართა. შესვლისთანავე მეკარემ მოახსენა, დინ რასკს სურს თქვენთან ტელეფონით დალაპარაკებაო. სახელმწიფო მდივანმა პრეზიდენტს აუწყა ის, რაც იმ დროისათვის ცნობილი ზდებოდა მთელი ქვეყნისათვის: ეს-ეს არის ოსვალდი მოკლეს „ტელევიზიით". ჯონ კენედის დამ ჯინ სმიტმა ლურჯ დარბაზში ჩურჩულით გადაულაპარაკა ლედი ბიორდს, ახლახან მსახურისაგან გავიგე, თითქოს თვითონ მკვლელი კვდებოდეს. ჯონსონი მაშინვე იუსტიციის მინისტრს მიუტრიალდა, რობერტმა ამ ამბისა ჯერ არაფერი იცოდა.

— თქვენ რაღაც უნდა მოიმოქმედოთ, ჩვენ რაღაც უნდა გავაკეთოთ. ჩვენ აუცილებლად რაღაც უნდა ვიღონოთ! ეს მთელ მსოფლიოში სახელს გაუტეხს შეერთებულ შტატებს, — თქვა ალელვებულმა პრეზიდენტმა.

ოსვალდი მოკვდა იმავე შენობაში, სადაც ადრე პრეზიდენტის ცხედარი ესვენა. საგორავიან საკაცეზე დადებული ოსვალდის ცხედარი სწორედ იმ ოთახისაკენ გააქანეს, მაგრამ ერთ-ერთმა ექიმმა პარკლენდის ჰოსპიტლის დირექტორს, პრაისს ანიშნა, ამის გაკეთება არ შეიძლებაო. პრაისი მაშინვე მიხვდა საქმის ვითარებას და ბრძანება გასცა, ოსვალდი № 2 საოპერაციოში შეეყვანათ, სულ რაღაც ორი საათის წინ ჰოსპიტლის სამთავე საოპერაციო სრულ წესრიგში მოიყვანეს სწორედ ამდაგვარი მოსალოდნელი შემთხვევის გათვალისწინების საბაბით. მოგვიანებით ამ ჰოსპიტლის ექთანი ბერტა ლოზანო იხსენებდა, „თერთმეტი საათისათვის ქსენონის მდივანმა გამაფრთხილა, მზად უნდა ვიყოთ ყო-

ველგვარი სასწრაფო შემთხვევისათვის, ქალაქის ციხის წინ უამრავი ხალხია თავშეყრილი".

ოსვალდზე თავდასხმას ელოდნენ. ყველა თანამდებობის პირი მზად იყო ამისათვის, თავდასხმა კი მაინც მოხდა.

პარასკევს პრეზიდენტ კენედის მკვლელობა და შაბათს მისი მკვლელის მკვლელობა ორი ძირითადი მომენტით ხასიათდება. მოსალოდნელ კატასტროფასთან დაკავშირებული გაფრთხილებანი, თუმცა სარწმუნო წყაროებიდან მოდიოდა, მაგრამ მათი შეფასებისას პოლიცია მწარედ შეცდა. ჯერ პოლიციის სამმართველო ოსვალდის გადაყვანას შაბათს 22 საათზე აპირებდა. გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორი გუვერი, ისევე როგორც სხვები, შინ იმ შთაბეჭდილებით წავიდნენ, რომ ეს ასეც მოხდა. კვირას, 14 საათი და 15 წუთიდან გამოძიების ფედერალური ბიუროს დალასის განყოფილებაში ბრალდებულის მოკვლის მუქარით სავსე ანონიმური რეკვა ატყდა. სორელზმა კვირა დილით ფრიტცს ოსვალდის დროის გამოუცხადებლად გადაყვანა შესთავაზა, კერძოდ, მაშინ, როცა მახლობლად არავინ იქნებოდა. მაგრამ ფედერალურ ხელისუფალთა ყველა რჩევა, ისევე როგორც პოლიციის სამმართველოს ზოგიერთი რეკომენდაცია უარყოფილ იქნა.

კარისა და ფრიტცს ოსვალდის სიცოცხლის უსაფრთხოებისა ეშინოდათ და წინასწარვე განსაკუთრებული ზომები მიიღეს. ცდილობდნენ, როგორმე გაეცურებიათ ოსვალდის მოდარაჯე ადამიანები. მაგრამ ამჯერად მათი შეცდომა საწინააღმდეგო აღმოჩნდა 22 ნოემბერს დაშვებული შეცდომისა. მაშინ, პრეზიდენტის დაცვაზე პასუხისმგებელ პირებს კენედიზე თავდასხმა მოსალოდნელად მიაჩნდათ აეროპორტსა და სავაჭრო ცენტრში, ხოლო პრეზიდენტის გასასვლელი გზა უყურადღებოდ დატოვეს.

იმ მომენტიდან, როცა ოსვალდის ციხეში გადაყვანის საკითხი პირველად დაისვა, დალასის პოლიცია ეგრეთ წოდებულ „ასთა კომიტეტის" სავარაუდო მოქმედებიდან გამომდინარეობდა. დარხეული ხმების მიხედვით, ბარე ასი კაცი აპირებდა პატიმრის გატაცებას და სწორედ დილის მოედანზე მდებარე ციხეში გადაყვანის დროს. კარისა და ფრიტცის ეგონათ, მზად ვართ მათი ამ განზრახვის ჩასაფუშავადო. გადაყვანის დროს ოსვალდს დეტექტივთან ხელბორკილების საშუალებით გადაბმას და ცრემლდენი გაზის ყუმბარებით შეიარაღებული პოლიციელებით გარშემორტყმას

უპირებდნენ. თვით გადაყვანა კი გაძლიერებული დაცვის გამოყენებით განხორციელდებოდა. მაგრამ საქმის მესვეურთ გაუთვალისწინებელი დარჩათ შესაძლებლობა უცხო პირის პოლიციელთა რაზმში ჯერ კიდევ მანამ შეძრომისა, ვიდრე პატიმარს სარდაფიდან ამოიყვანდნენ. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა, ოსვალდზე გადაბმულმა დეტექტივმა ლიველმა ლიფტებისაკენ მიმავალ გზაზე ოსვალდს უთხრა:

— ვფიქრობ, შენი მოკვლის მოსურნე შენზე ნაკლები მსროლელი არ აღმოჩნდება.

ლიველის მოგონების თანახმად ოსვალდმა „თითქოს გაიცინა" და თქვა:

— მე არავინ მესვრის.

მაგრამ აღმოჩნდა კაცი, ვინც ამ საქმის ჩადენას აპირებდა. დიახ, იგი ჯერ რუბი გახლდათ. რუბის სარდაფში გამოჩენა ფრიად უცნაური იყო. ზოგისათვის იგი ერთთავად საიდუმლოებით მოცულ ამბად რჩება, სხვები კი ამას შეთქმულებაში პოლიციელთა მონაწილეობის უცილობელ საბუთად მიიჩნევს. თვით იმათაც კი, ვინაც გულდასმით შეისწავლა მკვლელობასთან დაკავშირებული ყველა ფაქტი, ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს მარჯვე ილუზიონისტის ნომერი ენახოთ. ციხეს ისევე უნდა უზრუნველეყო შიგ შეღწევის შეუძლებლობა, როგორც იქიდან გაქცევისა.

კარის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი საპოლიციო სამმართველო დილის ცხრა საათიდან სრულ მზადყოფნაში თვლიდა თავს. მისმა ხელქვეითებმა უსაფრთხოების რთული ზომები განახორციელეს, ყველაფერი გააკეთეს ღონისძიების ჩაფუშვის თავიდან ასაცილებლად. მაგრამ იგი მაინც ვერ აიცდინეს. სარდაფის სართული მთლიანად დაცალეს ხალხისაგან. მეინ-სტრიტისა და კომერს-სტრიტის მხრიდან გარაჟისაკენ მიმავალ დამრეც ბილიკებზე დაცვა გაამწკრივეს. თოთხმეტმა პოლიციელმა შეამოწმა გარემომცველი ადგილები. გაისინჯა ჰაერის საკონდენსაციო არხები და გარაჟში მდგარი მანქანების საბარგულებიც კი.

და მაინც როცა ოსვალდი ლიფტიდან გამოვიდა, რუბი უკვე სარდაფში გახლდათ. როგორ მოახერხა რუბიმ ეს? ამ კითხვაზე ნაწილობრივ პასუხს იძლევა ის ფაქტი, რომ რუბი ჩხრეკის დროს ჯერ კიდევ იქ არ იყო. 11 საათსა და 17 წუთზე სამი წუთით ადრე,

ვიდრე ოსვალდს გარაჟში ჩაიყვანდნენ, რუბი ვეინ-სტრიტზე ტელეგრაფის განყოფილებაში იმყოფებოდა, ანუ გარაჟის ზემოთა შესასვლელიდან 350 ფუტის დაშორებით. რუბიმ თავისი კლუბის ნორჩ, ოცი წლის მსახიობს, კარინ კარლინს (პაწია ლინს) 25 დოლარი გაუგზავნა. ფულის გაგზავნის დროის აღმნიშვნელი შტამპით დასტურდება, რომ რუბი ამ დროს სალაროს წინ იდგა. სალაროს ფანჯრიდან ოსვალდის მკვლელობის ადგილამდე წუთ-ნახევრის სავალი იყო. რა თქმა უნდა, ჩხრეკის დროს გატარებული უსაფრთხოების ზომები ისეთივე მკაცრი რომ დარჩენილიყო, რუბი გარაჟის სადარბაზო გზისაკენ გაძრომას ვერ შეძლებდა. თვით სორელზსაც კი, მთელი ოცდარვა წლის მანძილზე დალასის საიდუმლო აგენტად ნამუშევარ კაცს, დილით ციხის შენობაში შესვლის დროს საბუთების წარდგენა მოთხოვეს. რუბის არავითარი საბუთი არ წარუდგენია და ის ამბავი, რომ იგი გარაჟის სადარბაზო გზის მცველს რიი ვოუნს გაუძვრა, უბრალო შემთხვევითობად უნდა ჩაითვალოს. აქვე უნდა დავძინოთ, ეს შემთხვევითობა გახლდათ შედეგი პოლიციელთა არასწორი მომზადებისა ოსვალდის ციხეში გადაყვანასთან დაკავშირებით.

ყველა რეპორტიორის გულის მოგების სურვილი და მკვლელისათვის სამაგიეროს გადახდის შესაძლებლობათა მოსპობა ერთიმეორის გამომრიცხველი ამბები გახლდათ.

სხვათა თვალის ასახვევად, ყველაზე მარტივი საშუალება რაიმე ტყუილის გამოგონება იქნებოდა. 1901 წელს ბუფალოს პოლიციის ერთი ციხიდან მეორეში გადაჰყავდათ პრეზიდენტ მაკინლის მკვლელი ლეონ ფ. ჩოლგაში. პოლიციამ სრულიად მარტივი ხერხი იხმარა: მკვლელს პოლიციელის კოსტიუმი ჩააცვეს. დალასში კი, 1963 წლის 24 ნოემბერს მსგავსიც ვერაფერი მოიგონეს. ყველაზე უკეთესი, რის მოფიქრებაც ჯეს კარიმ შეძლო, ჯავშნოსანი მანქანის მოყვანა გახლდათ, ანუ ტრანსპორტის ის სახეობა, რითაც ბანკები სარგებლობენ ხოლმე დიდი რაოდენობის თანხის გადატანის დროს. ეს არჩევანი არც ფანტაზიით გამოირჩეოდა და არც პრაქტიკულობით. როცა ეს ჯავშნიანი საბარგო მანქანა მოვიდა (მისი გამოჩენა პრესის მუშაკებმა მაშინვე შენიშნეს), გამოირკვა, რომ იგი მეტისმეტად დიდი იყო სადარბაზო გზისათვის. შოფერმა კი უარი განაცხადა კომერს-სტრიტის მხრიდან სარდაფის სარ-

თულში მანქანის უკანა სელით შეყვანაზე და მოსაბრუნებელი ადგილის უქონლობის გამო მანქანა სადარბაზო გზის ზემოთა მხარეს დატოვა.

როცა ოსვალდის მკვლელი ტელეგრაფის განყოფილებაში შევიდა, ოსვალდი კაპიტან უილ ფრიტცის კაბინეტში სეიტრს იცვამდა. პოლიციის უფროსი კარი ოსვალდს ციხის ლიფტით უპირებდა დაბლა, სარდაფის სართულში გაგზავნას, საიდანაც ციხის კანცელარიის გავლით გარაჟში შეიყვანდნენ. გარაჟიდან გამოსული ოსვალდის მარცხნივ მეინ-სტრიტზე გამავალი სადარბაზო გზა აღმოჩნდებოდა, მარჯვნივ კი — კომერს-სტრიტისაკენ მიმავალი სადარბაზო გზის თავში ქვაფენილისაკენ ბრტყელცხვირმიშვერილი, ტანკის მსგავსი, ჯავშნიანი საბარგო მანქანა. ამ საბარგო მანქანასა და ციხის კანტორას შორის ორი დიდი მანქანა იდგა — „ფორდ გალაქსის“ ტიპის უნომრო ლიმუზინები. ისინი საბარგო მანქანას გაჰყვებოდნენ. ერთ-ერთ ლიმუზინს ციხის გზა უნდა ეჩვენებინა.

საოცარია, მაგრამ კარის ეს ამბავი არ უცნობებია კაპიტან ფრიტცისათვის, ვისაც უნდა დაეცვა ოსვალდი, ვიდრე მას შერიფი არ შეცვლიდა. ფრიტცმა ეს ყველაფერი მაშინ გაიგო, როცა იგი, სორელზი და გ. ფ. ბ-ს აგენტები უკანასკნელ ღონეს ხმარობდნენ, იძულებული გაეხადათ პატიმარი ხელი აეღო ქედმაღლურ ქცევებზე. სორელზს მოეჩვენა, თითქოს პატიმარი, ცოტა არ იყოს, მოტყდა კიდეც. სწორედ ამ დროს კარიმ ოთახის კარი შეაღო და იკითხა — კიდევ რამდენ ხანს გაგრძელდება პატიმრის დაკითხვაო. უკვე დროა გზას დავადგეთ, — უპასუხა კარიმ. როცა ფრიტცისათვის ცნობილი გახდა, თუ როგორ უპირებდნენ ოსვალდს გადაყვანას, მან სასტიკი წინააღმდეგობა გასწია. მისი აზრით, ოსვალდი, „ფორდ გალაქსის“ ტიპის მეორე მანქანაში უნდა ჩაესვათ. საერთოდ კი მანქანები ასეთი თანამიმდევრობით უნდა დაძრულიყო: წინ საბარგო მანქანა წავიდოდა, მის უკან დეტექტივებიანი ლიმუზინი, ბოლოში კი მანქანა ოსვალდითურთ. ერთი ბლოკის გავლის შემდეგ განცალკევებული მანქანები სხვადასხვა მხრით წავიდოდნენ. პირველ მოსახვევთან „ფორდ გალაქსის“ ტიპის მეორე მანქანა გეზს საგრაფოს ციხისკენ აიღებდა, მაშინ, როცა დანარჩენ ორ მანქანას დალასის საქმიან ნაწილში ნელი სვლა უნდა განეგრძო. ეს იქნებოდა სხვათა შეცდომაში შემყვანი მანევრი. პრესის ზოგიერთი წარმო-

მადგენელი გაცურების გამო, რა თქმა უნდა, „უკმაყოფილოც“ აღმოჩნდებოდა. კარი დაეთანხმა ფრიტცის მიერ წამოყენებულ მანქანათა მსვლელობის ამ გეგმას.

ოსვალდის გადაყვანის გეგმის შეცვლა მაშინვე შენობის ლიბოს სართულს ტელეფონით ეცნობა. იმავე დროს გაიცა განკარგულება გარაჟიდან გამოეყვანათ ახალი მეთაური მანქანა და იგი საბარგო მანქანის წინ, კომერს-სტრიტზე დაეყენებინათ. ფრიტცმა ამ საქმის მოგვარება ლეიტენანტ რიო ს. პირს დაავალა. ქუჩაში მდგარმა საბარგო მანქანამ პირსს გზა ჩაუკეტა, ამიტომ იგი სადარბაზო გზით მაღლა, მეინ-სტრიტზე უნდა ასულიყო (რითაც ირღვეოდა საპოლიციო სამმართველოს დაწესებული რკინის კანონი, გზას ცალმხრივი გასასვლელი ჰქონდა) და მთელი კვარტალისათვის მოეკლო. გარაჟიდან გასული პრესი, როგორც კი მეინ-სტრიტს მიუახლოვდა, პოლიციელი ვოუნი მანქანათა მოძრაობის შეჩერების მიზნით მოსახვევიდან გამოვიდა. ვოუნი თავის პოსტს, დაახლოებით, ათი წამით მოშორდა. მხოლოდ ათი წამის მანძილზე აღმოჩნდა სარდაფის სართულის შესასვლელი ყოველგვარი დაცვის გარეშე. და აი სწორედ ამ მომენტში, ჩვეულებისამებრ, კოსტიუმსა და შლაპაში გამოწყობილი ზონზროხა ჯეკ რუბი, ყველასაგან შეუმჩნევლად, შიგ შეიპარა.

ჯეკ რუბის ჯიბეში დამბაჩა ედო. ვითარცა დალასში მცხოვრებ კაცს, ეს იარაღი ყოველთვის თანა ჰქონდა. აქ ხომ სალივენის კანონი არ მოქმედებდა. თანაც იმ დღეს ჯიბეში ორი ათასი დოლარი ნაღდი ფული ედო. ერთი ათასიც თავისი მანქანის საბარგულში დაეტოვებია, ტელეგრაფის პირდაპირ რომ ჰყავდა დაყენებული. რუბის ეს საქციელი კარგად ეხმარებოდა იმ სახეს, რომლის შექმნასაც იგი ასე გულმოდგინედ ცდილობდა. ეს გახლდათ ფულის დაუზოგველად მფლანგველი ჯეკი. ახლა კი შურისმაძიებელ ჯეკად სურდა ქცევა.

თვითონ რუბის სიტყვებით რომ ვთქვათ, დალასის საქმიან ნაწილში მისი მისვლა „ორმაგ მიზანს“ ისახავდა. პირველი — კარინისათვის ფულის გაგზავნა. კარინის ქმარს მუდმივი სამუშაო არა ჰქონდა და ახლა თავის ცოლთან ერთად სახლში იჯდა. ქალი ფულს, ჩვეულებრივ, შაბათობით იღებდა, მაგრამ რუბიმ, პრეზიდენტის სიკვდილთან დაკავშირებული გლოვის ნიშნად, კლუბის დროებით

ლაკეტვა გადაეწყვიტა და კარინი უსახსროდ რჩებოდა. ოთხი თვის ფეხმძიმე პაწია ლინს საქმელიც უნდა ეყიდა და ბინის ქირაც გადაეხადა. და ეს მაშინ, როცა ქისაში ორმოცდაათი ცენტიც არა ჰქონდა.

ისტორიის ფურცლებზე რუბის გამოჩენა, რასაკვირველია, მეორე მიზანმა უზრუნველყო. სავსებით ნათელი არ არის, სახელდობრ, რა იქცა ამის მიზეზად. იქნებ, ფეხმძიმე პაწია ლინს რომ არ დაერეკა უკიდურეს გაჭირვებაში ვარო, იგი დალასის საქმიან ნაწილში არც გამგზავრებულიყო. თუმცა, თვითონ ქალის მოგონების თანახმად, რუბიმ ასე უპასუხა: „ჰო, ჩემთვის სულ ერთია, მე მაინც იქითკენ მივდივარ“.

თუ რუბის მოუსვენარ ხასიათსაც გავითვალისწინებთ, ნაკლებსარწმუნოდ მოგვეჩვენება, რომ მას მთელი დილა მწუხარე ფიქრებში გართულს გაეტარებინა. ხოლო მისი სიტყვები: „ჰო, ჩემთვის სულ ერთია, მე მაინც იქითკენ მივდივარ“, ისე არ უნდა აეხსნათ, თითქოს იგი წინასწარი განზრახვით მოქმედებდა. როგორც ჩანს, იმ კვირა დღეს რუბი ტყუილის სათქმელად არ იყო განწყობილი.

ციხესთან გავლისას რუბიმ ქვაფენილზე თავშეყრილი ხალხი შენიშნა, მაგრამ როგორც ამას შემდეგ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ერლ უორენს დაბეჯითებით უმტკიცებდა, იგი „დარწმუნებული იყო, რომ ოსვალდი უკვე გადაყვანილი ჰყავდათ“. რუბიმ არაერთგზის განაცხადა — მკვლელობა უეცარი აღგზნების შედეგად ჩავიდინეო. შესაძლოა, სულაც ტყუოდა. რა თქმა უნდა, მას ყოველნაირი საფუძველი ჰქონდა ეთქვა ტყუილი, ამჯერად საქმე მის სიცოცხლეს ეხებოდა. მაგრამ იმ კვირანდელი მისი საქციელის ყველაზე დაწვრილებითი შესწავლაც კი ვერავითარ, თვით უმცირეს შეუთავსებლობას ვერ მონახავდა მის ნამოქმედარსა და ნათქვამს შორის. ყველაფერი იმას მიანიშნებდა, რომ მკვლელობა, მართლაც, უეცარი აღელვების შედეგად ჩაიდინა.

ხოლო ოსვალდმა დაბლა ჩასასვლელი საბედისწერო გზა, როგორც ყველაფერი მის ცხოვრებაში, ულაზათოდ და უხამსად გაიარა. დეტექტივ ლივენს ხელბორკილებით მიბმული ოსვალდი ფრიტცის მწვანეკედლებიან კაბინეტიდან გამოვიდა. სწორზურგა გადაქექილ სკამებს ჩაუარა და მუქ ყავისფერ ლიფტში შევიდა. რკინის მკვრივი ბადურის იქით მელიფტე იდგა.

ფრიტცმა და ოთხმა დეტექტივმა პატიმარი ლიბოს სართულში ეწერო კანტორის წინ გაატარეს და ყავისფერ უსიამო გარაჟში შეიყვანეს. გარაჟის ჭერს ერთ დროს ყვითელი ფერის, ახლა კი მანქანებიდან გამონაბოლქვი გაზების წყალობით ნაცრისფრად ქცეული, ლაქებიანი ბოძები ედგა. ოსვალდი კედელზე გაკრული განცხადების წინ შეჩერდა: „ნუ დაჯდებით მოაჯირზე, ნუ დადგებით გზაზე". მაგრამ ოსვალდს არ შეეძლო მისი დანახვა, რადგან სწორედ ამ დროს ატყდა ნამდვილად წარმოუდგენელი რამ. ოსვალდს ორი დუქინი რეპორტიორი მივარდა — აყრიდნენ კითხვებს, პირთან მიჰქონდათ მიკროფონები, ცდილობდნენ ერთმანეთის ხმის გადაფარვას. ელავდნენ ფოტორეპორტიორთა ლამპები, ნათდებოდა იქაურობა, პატიმარს ხელბორკილებით ეწეოდნენ და მანქანისაკენ ათიოდ ფუტი გაიარა. სწორედ აქ, მარცხენა მხრიდან ოსვალდს ჯეკ რუბი მიუახლოვდა. დამბაჩამომარჯვებული, ჩასკვნილი რუბი რომელიღაც რეპორტიორსა და სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილ პოლიციის აგენტს შორის გაძვრა, მარჯვენა ხელი წინ გაიშვირა და დაიძახა:

— შენ მოკალი პრეზიდენტი, შე ვირთხა!

იგრიალა რუბის დამბაჩამ. ოსვალდს ტყვიამ დაუზიანა აორტა, ღვიძლი, ელენთა. თვალის დახამხამებაში პრეზიდენტის მკვლელის მკვლელი, პოლიციელთა მუშტებით მოცელილი, სარდაფის იატაკზე ეგდო. დაზაფრულმა რუბიმ, თითქოს საწყლად წაილაპარაკა:

— მე ჯეკ რუბი, ვარ, თქვენ ხომ ყველანი მიცნობთ!

სასიკვდილოდ დაჭრილ ოსვალდს სისხლის შიგა ჩაქცევა დაეწყო და უკანვე ცეხის კანტორაში შეიყვანეს. თუ სორელზისა და კარის მოგონებას დავუნდობით, ოსვალდს არასწორად წარმართული პირველი დახმარების წყალობით ცოცხლად დარჩენის უკანასკნელი შესაძლებლობა მოუსპეს (თუ ასეთი საერთოდ არსებობდა). რუბის გასროლის მომენტში სორელზი და კარი ზევით იყვნენ. კარი ქალაქის მერს ტელეფონით ატყობინებდა, პატიმრის გადაყვანა დაიწყოო.

— ოსვალდს ესროლეს, — ქვემოდან ასძახეს კარის ხელქვეითებმა და ორთავენი კარიცა და სორელზიც მაშინვე დაბლა ჩაცვივდნენ. სორელზი გაოცდა, როცა ოსვალდის წინ მუხლებზე ჩაჩოქილი სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი პოლიციელი დაინახა. იგი

ოსვალდს ხელოვნური სუნთქვის ილეთებს უკეთებდა. სორელზმა ვერ იცნო ის კაცი. კარი შემდგომ ამ კაცს იხსენებდა როგორც „დეტექტივს". მუცლის არის დაზიანებისას ხელოვნურ სუნთქვაზე უარესი არაფერია. ეს საბერველით ცეცხლის გაღვივებასა ჰგავს. სისხლის ჩაქცევა ძლიერდება შიდა ორგანოებზე დაწოლის შესაბამისად.

პარკლენდის ჰოსპიტალში მოთავსებიდან ათი წუთის შემდეგ ოსვალდი საოპერაციო მაგიდაზე აღმოჩნდა. მის ირგვლივ ივივე ექიმები იყვნენ, ვინც კენედის უკანასკნელ წუთებს შეესწრო. პერიმ და ჯენკინსმა, მაშინდელივით ყოველი ღონე იხმარეს, რაც კი ასეთ დროს მართებულია, მაგრამ როგორც ეს ჯენკინსმა თქვა, „პაციენტის ტრავმა მეტად მძიმე იყო და სიცოცხლის შენარჩუნება შეუძლებელი აღმოჩნდა". პრეზიდენტ კენედის სიკვდილის გამოცხადებიდან ორი დღე-ღამისა და შვიდი წუთის შემდეგ მისი მკვლელის სახესაც ზეწარი წააფარეს.

* * *

ოსვალდის სიკვდილმა, განსაკუთრებით მისი აღსრულების ვითარებამ მომდევნო კვირეებში, სულ უფრო მეტი და მეტი ყურადღება მიიქცია. ბოლოს კი გაუმართლებლად დიდი მნიშვნელობა მიენიჭა. თვით ამ ფაქტის ჩადენის დროს იგი ასე მწვავედ არ აღქმულა. მაშინ მთელი ქვეყნის ყურადღება თეთრი სახლის ჩრდილო გალერეისაკენ იყო მიმართული და დამნაშავის მკვლელობა ლამის დაბრკოლებად ჩანდა. კენედის ახლობელი ადამიანები ორმოცდარვა საათის წინ განშორდნენ დალასს და ახლა მომავალი დაკრძალვის საქმეებში გართულებს დრო აღარ ჰქონდათ პოლიციის ჭუჭყიან სარდაფებში მოფუსფუსე ადამიანებისათვის მიეხედათ.

პრეზიდენტ ჯონსონის მიერ ლურჯ დარბაზში წარმოთქმული სიტყვები, „ეს დასცემს შეერთებული შტატების რეპუტაციას მთელ მსოფლიოში", რობერტ კენედის შეუსაბამოდაც კი ეჩვენა. მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ განაცხადა — „მაშინ მეგონა, ეს ჩემთვის არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო პირველხარისხოვანი ამბავი".

ჯონ კენედის სიძემ სტივ სმიტმაც ასევე გულგრილად მოისმინა ეს ცნობა. არც ლერი ო'ბრაიენზე მოუხდენია ამ ამბავს დიდი ზეგავლენა. ასეთივე ინდიფერენტული განწყობილება გამოამჟღავნა კენ ო'დონელმაც. მას არც ხუთშაბათს მიუცია ოსვალდის დაპატიმრებისათვის დიდი მნიშვნელობა, ჰარვარდის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტდამთავრებულ მშვიდობის კორპუსის გენერალურ მდივან დინ გუდვინსაც არ გამოუჩენია რაიმე პროფესიული დაინტერესება.

— ჩემთვის სულ ერთი იყო, — განაცხადა მან, — თუნდაც ის ეთქვათ, მკვლელობა კონელის ბრალდებაო.

ტელეფონის ზარს სარჯენტ შრივერმა უპასუხა. ყურმილი მალევე დადო და განაცხადა:

— ეს წუთია ოსვალდი ვიღაცას მოუკლავს.

კაბინეტში კრინტი არავის დაუძრავს. როგორც ეს შემდეგ გუდვინმა თქვა: „ჩვენ მუშაობა განვაგრძეთ".

ყველა იმ შვიდი საუკუნის მანძილზე, რაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო არსებობს, ჯერ არავის ჩაუდენია დანაშაული ესოდენ მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე. ვიცე-პრეზიდენტის თანაშემწე ჯორჯ რიდი ისევე აღშფოთდა როგორც ამ ორი დღის წინ. იგი ტელეფონით ლაპარაკობდა და ცალი თვალით ტელევიზორის ეკრანს გასცქეროდა. რიდიმ თავისი თვალით დაინახა, როგორ გაისროლეს და მოკლეს ვიღაც კაცი, მაგარამ ამ ამბავს მის ცნობიერებამდე არ შეუღწევია. მდივანს ტელევიზორი გამოათიშვინა და აღელვებით წარმოთქვა:

— ნეტა რას ფიქრობენ, პრეზიდენტის დასაფლავების ჩვენება შეწყვიტეს და ძველ განგსტერულ ფილმს გვიჩვენებენ?

მაგრამ უეცრად რიდის თითქოს გონება გაუნათდაო, მიხვდა, მსროლელი კინომსახიობი არ იყო და ისეთი შეშფოთებით დადო ყურმილი, რომ დღესაც ვერ გაუხსენებია, ვის ელაპარაკებოდა მაშინ.

გარდაცვლილი პრეზიდენტის უახლეს მეგობარ ბაირონ უაიტსაც ასევე ეჩვენა:

— ეს ყველაფერი ახალ კინოფილმად მივიჩნიე.

ბავშვთა და მოზარდთა დანაშაულის წინააღმდეგ მებრძოლი კომისიის ხელმძღვანელი დეივი ჰეკეტი ოსვალდის მკვლელობას იუს-

ტიციის მინისტრის სახლში ტელევიზიით უყურებდა და მისი სულიერი მდგომარეობა იოტის ოდენად არ შეცვლილა.

თავის საწერ მაგიდასთან მჯდარი უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ერლ უორენი კანონთა კრებულს ათვალიერებდა და თავისთვის რაღაცას ინიშნავდა. მას არაფერი დაუნახავს, მაგრამ კაბინეტში უეცრად ყვირილით შეევარდა მისი ქალიშვილი დოროთი.

— ეს წუთია მოკლეს ოსვალდი!

უორენმა ფანქარი გვერდზე გადადო და, ცოტა არ იყოს, გაღიზიანებული ტონით უთხრა:

— ჩემო კარგო, რატომ იმეორებ ამ საშინელ ჭორებს?

უმაღლესი სასამართლოს წევრ დუგლასს ოსვალდის მკვლელობის ამბავი სახლში შესვლისთანავე მიახარა მისმა ახალგაზრდა ცოლმა.

— ეს წარმოუდგენელია, — წამოიძახა დუგლასმა.

ჯონი დუგლასმა რამდენიმე წუთის წინ ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა. ჰოდა, არამთუ წარმოიდგინა, სიამოვნებაც კი განიცადა. მკვლელის იატაკზე დაცემისთანავე ქალი წამოხტა და მოზეიმე ხმით შეჰყვირა:

— ყოჩაღ! კიდევ ერთიც დაახალე!

მაგრამ ასეთი რეაქცია ნიშანდობლივი არ იყო. თუმცა მოსახლეობის გარკვეული, რა თქმა უნდა, მცირე ნაწილი პარასკევიდან მოკიდებული სისხლის ღვრის ჟინით იყო აღგზნებული.

ვიდრე ოსვალდის მკვლელობა ოფიციალურად გამოცხადდებოდა, პარკლენდის ჰოსპიტლის ტელეფონისტი ქალები ძლივს იგერიებდნენ უცნობ პირთა გაუთავებელ ზარებს. „მოკალით, მანამ თქვენთან არის", — იძლეოდნენ რჩევა-დარიგებებს. ზოგიც თვითონ ჰოსპიტლის პერსონალს ადანაშაულებდა „მკვლელები და ზანგები გიყვართო". ბევრისათვის შურისძიების ასეთი წყურვილი დროებითი აღმოჩნდა. რამდენიმე დღის შემდეგ ჯონი დუგლასი წითლდებოდა თავისი „ბარბაროსობის" გახსენებაზე.

ჩიკაგოს მოსახლეობის გამოკითხვამ ნათელყო — ამერიკელების 89 პროცენტს დაბეჯითებით სჯეროდა, რომ „კენედის მკვლელ კაცს არც დახვრეტდნენ და არც ლინჩის წესით დასჯიდნენ".

აღშფოთებას ვერ მალავდნენ ოსვალდის მკვლელობით უკმაყოფილო ამერიკელები. კვირა საღამოს, როცა რობერტ კენედიმ საკუთარ თავთან დარჩენა და იმდღევანდელ ამბებზე ჩაფიქრება შეძლო, თავის მოადგილე ნიკ კატზენბახს უთხრა:

— ძალიან ცუდი, რომ დალასში ის ყმაწვილი მოკლეს.

ჯონ კენეტ გელბრაიტის აზრით, „ჩადენილ დანაშაულთა შორის, ეს ერთგვარად ყველაზე მიუტევებელი რამ იყო". ლუელინ ტომპსონი ოსვალდის მკვლელობას დიპლომატიურ კატასტროფად თვლიდა. თავზარდამცემი იყო მკვლელობის ჩადენის მომენტიც „სწორედ მაშინ, როცა პრეზიდენტის დაკრძალვით ჩვენი ქვეყნის რეპუტაციის აღდგენა იწყებოდა საზღვარგარეთ".

მწარე ფიქრები აღეძრა ოსვალდის მკვლელობის გაგონებისას „სტარის" კორესპონდენტ მერი მაკგროის: „დადგა რესპუბლიკის აღსასრული. ჩვენ ველარასოდეს ვიქნებით ის, რაც ვიყავით. ყველაფერს ბოლო მოეღო!" შრომის მინისტრის მოადგილეს პეტ მოინიჰენს, როგორც მოგეხსენებათ, თავიდანვე არა ჰქონდა დალასის პოლიციის ნდობა. ახლა, როცა თავის კაბინეტში ყოფნისას ცოლმა ოსვალდის მკვლელობის ამბავი აცნობა, პეტს უეცრად ერთი და იგივე სტრიქონით დაწყებული გაზეთების სტატიები მოეჩვენა: „მკვლელობაში ეჭვმიტანილი მოკლულ იქნა გაქცევის მცდელობის დროს!" აღგზნებულმა მოინიჰენმა მთელი ძალით მიარტყა ფეხი კედელს. მერე რიგრიგობით ლამის ყველა ნაცნობს ჩამოურეკა.

გენერალ ტეილორს კი სულ სხვა აზრი გაუჩნდა:

— დარწმუნებული ვიყავი წარმოიშობოდა ეჭვი, რომ რუბიმ რაღაცის დაფარვის მიზნით მოკლა ოსვალდი.

ვინც კი ამ საქმეს, საერთოდ ყურადღება მიაქცია, ოსვალდის მკვლელობის პირველ საათებში ყველამ სწორედ ეს იფიქრა. კარის განმარტება ულიმლამო და დაუსაბუთებელი ჩანდა. თვით შემდეგაც კი, როცა ყველა ფაქტი ცნობილი გახდა, ეჭვი მაინც არ გამქრალა. ამერიკელების უმრავლესობას მტკიცედ სჯეროდა, რომ ორთავე მკვლელობა „ორგანიზებული შეთქმულების შედეგი იყო". აბა იმ კვირა დღეს ხომ ეჭვიც არავის ეპარებოდა. ერთადერთ გონივრულ ახსნას შეთქმულების არსებობაში ხედავდნენ.

მართლაც. რაც მეტს იგებდა ხალხი დამნაშავეთა ამბებს, მით

უფრო მტკიცდებოდა მათი ეს რწმენა. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო (ცსს), გამოძიების ფედერალური ბიურო (გფბ) და საიდუმლო სამსახური ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ერთ და იმავე მოსაზრებებიდან გამოდიოდნენ, რომ რუბი და ოსვალდი ადრევე იყვნენ ერთმანეთთან დაკავშირებული. ფინანსთა მინისტრი დუგლას დილონი თავის ვარაუდებსაც კი გამოთქვამდა, თუ ვინ უნდა მდგარიყო ამ ორმაგი მკვლელობის ჩამდენთა ზურგს უკან.

— ესღა გვაკლდა! — ღმერთო, როდის დამთავრდება ყველაფერი ეს! — წამოიყვირა აღშფოთებულმა ტედ სორენსენმა.

დალასში ფედერალური პროკურორი ბერფუტ სანდერსი თავის მეუღლესა და მოსამართლე სარა ჰიუზს მანქანით აეროპორტ ლავ ფილდისაკენ მიაქროლებდა, საიდანაც ისინი კენედის დაკრძალვაზე დასასწრებლად ვაშინგტონს უნდა გაფრენილიყვნენ. ის იყო სანდერსი ქალებს დაემშვიდობა, რომ მანქანის რადიოში ოსვალდის მკვლელობის მაუწყებელი განცხადება გაიგონა. იგი მაშინვე თავის კაბინეტისაკენ გამოქანდა და საქმეში ოფიციალურად ჩაება გამოძიების ფედერალური ბიურო. სწორედ იმ იურიდიულ საფუძველზე დაყრდნობით, რომ დარღვეულ იქნა ოსვალდის მოქალაქეობრივი უფლებები. თავის მხრივ, საიდუმლო სამსახური საკუთარ გამოძიებებს შეუდგა. სორელზი ტელეფონით დაუკავშირდა საიდუმლო სამსახურის აგენტთა ჯგუფის უფროსს ჯერი ბენს, რათა რუბისა და ოსვალდის კავშირის დადგენა დაეჩქარებინა.

— ეს შეთქმულებაა, — თქვა ბენმა.

— რასაკვირველია, — დაეთანხმა სორელზი.

ბედის ირონიის წყალობით ოსვალდის ვერც ცოლმა და ვერც დედამ ვერ ნახეს მისი სცენაზე უკანასკნელი გამოჩენა. საიდუმლო სამსახურის აგენტებს სწორედ იმ დროს ქალები სხვა სასტუმროში გადაეყვანათ. დილით ისინი სასტუმრო „იკზეკუტივ ინში" იმყოფებოდნენ, მერე კი დალასსა და ფორტ-უორტს შორის მდებარე ოტელში გადაიყვანეს. მარგარიტა ოსვალდის მოგონების თანახმად. მარინამ უთხრა: „დედა, მინდა ლის შევხედო". მარგარიტას განმარტებით, მარინა იმედოვნებდა, „რომ ლის ტელევიზორში აჩვენებდნენ და ეს, მართლაც, ასე იყო". მე კი დავუშალე:

— სულ ერთია, მაინც ერთსა და იმავეს იმეორებენ, მოდი გამოვრთოთ ტელევიზორი. ჰოდა, გამოვრთე კიდეც. ასე რომ, არც მე და არც მარინას არ გვინახავს, რა მოუვიდა ჩემს ვაჟს.

არც რობერტ ოსვალდს უნახავს ძმის მკვლელობის სურათი, მაგრამ იგი იყო მკვლელის ოჯახის პირველი წევრი, ვინც ეს ამბავი გაიგონა.

თვითონ სრულიად უდანაშაულოს ორი დღე-ღამე თვალი არ მოუხუჭავს იმის მწარე შეგნებით, რომ მთელ სიცოცხლეში — სიკვდილამდე მოუწევდა ძმის დანაშაულის სამარცხვინო ტვირთის ზიდვა. ის კი არა, ოსვალდის გვარის მქონე ოჯახებმა ცხელ გულზე სასამართლოებსაც კი მიმართეს — გვარი გამოგვიცვალეთ, სმიტები ან ჯონსები გავხდებითო! რობერტს ისღა დარჩენოდა, ეაქაცურად შეხვედროდა ძმის სიკვდილის ცნობას და, შეიძლება ითქვას, შეძლო კიდეც. მან მხოლოდ ერთხელ დაკარგა თავშეკავება და ისიც საკუთარი დედის საქციელის გამო.

შვილის სიკვდილის გამგონე მარგარიტამ, მართლაც რომ ყველას განმანცვიფრებელი აზრი გამოთქვა: ჩემი შვილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელით მოქმედებდა. ჰოდა, რადგანაც ლიმ სიცოცხლე თავის ქვეყნის საქმეს შესწირა, ახლა კეთილინებონ და საკადრისი პატივისცემით „არლინგტონის სასაფლაოზე" დაკრძალონო. რობერტ ოსვალდი დაუფარავი ზიზღით ისმენდა დედის ამ მოთხოვნას, ბოლოს ვეღარ მოითმინა და ხმამაღლა შესძახა:

— დედა, ხმა გაკმინდე!

* *

ორთავე ბავშვს ხელჩაკიდებული ჟაკლინ კენედი ჩრდილო გალერეის შესასვლელთან გამოჩნდა. შესივებული თვალები კუბოსათვის მიეშტერებია და დაკრძალვის პროცესიის დაწყებას ელოდებოდა. ბავშვებიანი ქალის გამოუთქმელი ტრაგედიით სავსე გარეგნობამ წამით შეაშფოთა ერის სინდისი.

იმავე კვირაში ახალი ინგლისის კოლეჯის სტუდენტების მიერ ჩატარებული გამოკითხვით დადგენილ იქნა, რომ საზოგადოების „ყურადღება მიმართული ქალბატონ კენედის მოქმედებისა და

ქცევისადმი ლამის სიგიჟეს მიუახლოვდა". დიახ, აქ შეეჩეხა ქაქლინი პირველად ამ ყურადღებას. დალასის შემდეგ. პირველად იხილა მზის სხივიც, მაგრამ ქალს თვალი არ მოუჭუტავს. მტკიცედ და შეურყევლად ელოდა სიგნალს. წამწამები დაბლა დაეხარა, ხოლო თავისი მშვენიერი პირი კლასიკური ტრაგედიის ნიღბის მსგავსად მოეკუმა. მაშინვე, როგორც ყოველთვის, მის უკან რობერტ კენედი დადგა. ტელეკამერებმა ობიექტივი ქვრივისაკენ მიმართეს და აღარც მოუცილებიათ. ამერიკის შეერთებული შტატების ყველა მოქალაქე. იმათ გარდა, ვინც გაზეთს ათვალიერებდა ან მეგობარს ესაუბრებოდა, ქალბატონ კენედის მისჩერებოდა. მათივე სიტყვებით, მოზრდილი მოსახლეობის 95 პროცენტი ტელევიზორს მისჯდომოდა ან რადიოს უსმენდა. ამერიკას შეიძლება დაემატოს მთელი ევროპა და აზიის ის ქვეყნები, ვისაც პერიოდულად მაინც უხერხდებოდა მეკავშირე თანამგზავრის დაჭერა. საბჭოთა კავშირში გამოცხადდა, რომ დაკრძალვის მთელი ცერემონიალი წმინდა მათეს ტაძარში სულის მოსახსენებელი წირვის ჩათვლით ტელევიზიით იქნება ტრანსლირებულიო.

მწუხარებას მოეცვა მთელი ამერიკელი ერი. ოსვალდის მკვლელობიდან ნახევარი საათის შემდეგ რადიოკომენტატორმა განაცხადა:

— მოხდა მეტისმეტად ბევრი რამ, მეტისმეტად სწრაფად და მეტისმეტად საშინელი.

უკანასკნელ ორ დღეში დატრიალებული ამბებით გაოგნებული საშუალო ამერიკელი, თავისი რასობრივი, რელიგიური თუ პოლიტიკური რწმენის მიუხედავად, ტელევიზორს თვალმოუშორებლად მიჩერებოდა.

სახელმწიფო დეპარტამენტის საოქმო განყოფილების თანამშრომლებმა 13 საათსა და 8 წუთისათვის დაამთავრეს როტონდის გაუნათებელ დარბაზში იმ წრის მონიშვნა და ზონარით სექტორებით გამოცალკევება, სადაც უმაღლესი სასამართლოს წევრები, კონგრესის ხელმძღვანელები, კაბინეტის წევრები, თეთრი სახლის პერსონალი, კენედის ოჯახი და მისი მეგობრები უნდა დამდგარიყვნენ.

უნდა ითქვას, რომ იმ დღეს ზოგიერთ კონგრესმენს შეუფერებლად ეჭირა თავი და როტონდაში კენედის მომხრეებზე უსიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. საზღვაო მინისტრის მოვალეობის შემსრულებელმა პოლ ფეიმ შეამჩნია ზოგიერთი კონგრესმენის გამაღიზიანებელი საქციელი „ზონრებს რომ აწყდებოდნენ ფოტოსურათში მოხვედრის მიზნით". თვითონაც, რა თქმა უნდა, ფრიად კრიტიკულად მოექცა „პრეზიდენტის პოლიტიკურ მტრებად აღიარებულთ".

პრეზიდენტ კენედის თანაშემწეების ჯერი ვიზნერის, ფრედ პოლბორნის და მაიკლ ფელდმენის ზურგს უკან მდგარი ორი კონგრესმენი ერთმანეთს ხმამაღლა ეკითხებოდა — უნდა შეესრულებია თუ არა ლინდონ ჯონსონს კენედის ზეპირად გაცხადებული ვალდებულებანი. კენეტ გელბრაიტის დღიურის მიხედვით კი მის გვერდით მდგარ კონგრესმენთა დიდ ჯგუფს, თითქოს მხოლოდ ის აწუხებდა, მიიწვევდნენ თუ არა ხვალ პრეზიდენტის დაკრძალვაზე.

ულიდეროდ დარჩენილი პრეზიდენტის თანაშემწეები უდავოდ მომეტებულ მგრძნობიარობას ამჟღავნებდნენ. მათ განაწყენებას ბევრი არა უნდოდა რა. თვითონ გელბრაიტმაც გამაღიზიანებლად განაცხადა, „წუხელ პრეზიდენტს ძალიან კარგი პროექტი დავუწერე" კონგრესის ორთავ პალატის გაერთიანებულ სხდომაზე წარმოსათქმელი მიმართვისო. ეკონომიურ ექსპერტთა საბჭოს თავმჯდომარე უოლტერ გელერმა კი, „გასაოცარი" საუბრის ამბავი დიდი რიხით მოჰყვა („ლინდონ ჯონსონმა თითი გულზე მკრა და მითხრა: „მე მინდა თქვენ და თქვენმა ლიბერალმა მეგობრებმა იცოდნენ, რომ მე რუზველტის ყაიდის დემოკრატი ვარ და არა კონსერვატორი"), რამაც მისი მეგობრის გულისწყრომა გამოიწვია.

თავდაცვის მინისტრი მაკნამარა ანთებული თვალებით ყვებოდა არლინგტონში წარმოებული სამზადისის ამბავს.

— ეს გამოვა რაღაც საკურთხევლის მაგვარი, — თქვა მან, და ნაღვლიანად დასძინა: — მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი აღარ არის, ძველებურად აღარაფერი იქნება. პრეზიდენტ კენედის, ყველა სხვა კარგ თვისებასთან ერთად შეეძლო მთელი მსოფლიოს ხალხთა გულების აძგერება. მისი გამოსვლები ისეთი სულისკვეთებით იყო გამსჭვალული და ისეთ პრობლემებს ეხებოდა, რაც სწო-

რედ იმ დროსა და ეპოქას გამოხატავდა, რომელშიც თვითონ ცხოვრობდა. ლინდონ ჯონსონი მისი მინამსგავსიც არ არის.

— ჩვენ მაინც ბედმა არ გაგვწირა, ახლა მეთაურად ისეთი ძლიერი კაცი გვიდგას, როგორიც ლინდონია, — განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა ორვილ ფრიმენმა.

მაკნამარამ თავი დაუკანტურა. ირგვლივ მყოფთ კრინტი არ დაუძრავთ.

კორტეეს კაპიტოლიუმის აღმოსავლეთის ფრთისათვის უნდა შემოევლო. პრეზიდენტ კენედის თანაშემწენი ყურდაცქვეტილნი იდგნენ, რადგან მათ მოახლოებას უფრო ადრე გაიგონებდნენ, ვიდრე თვალით დაინახავდნენ. აი, უკვე მოესმათ კიდეც რაღაც ხმები პენსილვანია-ავენიუს შორეული კუთხის ბოლოდან: „ბუმ, ბუმ, დრრ“.

ხმები ერთთავად მეორდებოდა და მოახლოების შესაბამისად სულ უფრო და უფრო გარკვევით მოისმოდა. დიახ, ეს საშინელი რაკარუკი დოლების ყრუ ხმა გახლდათ.

ვაშინგტონის სამხედრო ოლქის სარდალმა გენერალ-მაიორმა ფილიპ უილმა ქათქათა ხელთათმნიანი ხელის აწევით პროცესიას დაწყების ნიშანი მისცა. მის უკან მოდიოდნენ მედოლეები და ქვეითი მეზღვაურთა ასეული ოთხმოცდაცხრა კაცის შემადგენლობით, მკერდზე რომ ალაპლაპებული ხიშტები მიეკრათ. შტაბების მეთაურები; პრეზიდენტის სამხედრო ადიუტანტები ტედ კლიფტონი, გოდფრი მაკჰიუ და ტეზ შეპარდი; ცხენებშებმულ ლაფეტზე დადგმული კუბო; ჯონ კენედის საპრეზიდენტო დროშა; უმხედრო რაში; ლეიტენანტ ბერდის რაზმი; ქვრივის ლიმუზინი და ცხრა სხვა მანქანა, რომლებშიაც კენედის კლანის წევრები და მათი ნათესავები — ფიტცჯერალდები, ოჩინკლოსები, შრივერები, სმიტები, ლოუფორდები და მათი ბავშვები ისხდნენ. ბოლო მანქანას არეული ნაბიჯით მომავალი თეთრი სახლის პრესის მუშაკები მიჰყვებოდნენ. პროცესია ქვეითი პოლიციითა და სამი ავტომანქანით მთავრდებოდა.

სადა კუბოს ორთავე მხარეს ორმოცდაათი შტატის ნაირფერი დროშა ეფინა. პროცესია ფოთლებშემოძარცულ გრძელ ხეივანს მიუყვებოდა.

მის დინებასთან ერთად სულ უფრო და უფრო მძიმდებოდა

ირგვლივ გამეფებული სიჩუმე. სერჟანტ სეტერბერგს იგი „არაბუნებრივად“ ეჩვენა. გენერალ კლიფტონს ამ სიჩუმემ 1944 წლის ერთი საღამო მოაგონა, როცა მებრძოლი ნაწილების წინ „ჯიპით“ გაიჭრა და მანქანიდან გადმოვარდა. მაშინ მთელი სამი საათი იბორიალა მიტოვებული ქალაქის ქუჩებში, ეგონა, მხოლოდ თვითონ იყო ერთადერთი ადამიანი მთელ ფლორენციაში, მაგრამ ახლა მოეჩვენა, რომ „იმ დღეს ფლორენციაში უფრო მეტი ხმაური იყო, ვიდრე ახლა ვაშინგტონში. ამ პროცესიის წინ მიმავალ გენერალ-მაიორ უილს ესმოდა, როგორ სცემდნენ „დოლები, საშინელი დოლები“.

— აჰ, ლინდონ! — წამოიძახა უეცრად ჟაკლინმა, პირველად და უკანასკნელად დაარღვია თავისი აღქმა, აღარასოდეს მიემართა ჯონსონისათვის სახელით, — რა საშინელი დასაწყისია თქვენთვის!

ახალ პრეზიდენტს პასუხი არ გაუცია. საერთოდაც, მთელი გზის განმავლობაში, არც მას და არც ლედი ბიორდს კრინტი არ დაუძრავთ. რობერტ კენედი უჩუმრად ამშვიდებდა კეროლაინს. პრეზიდენტის ბავშვებს მშვიდად ეჭირათ თავი. ყველასი და მათ რიცხვში საჭესთან მჯდარი ბილ გრირისა და მის გვერდით მყოფ ჯერი ბენის მოგონების თანახმად, ჟაკლინის მიერ წარმოთქმული თანაგრძნობის სიტყვების გარდა მანქანაში არაფერი თქმულა.

ვინაიდან პროცესიის მონაწილენი კაპიტოლიუმისაკენ იცქირებოდნენ და ტელეკამერებიც მათკენ იყო მიმართული, ამიტომ ვერც იმათ, ვინც მეწინავე კოლონაში იმყოფებოდა და ვერც მილიონობით ტელემაყურებელმა ვერ დაინახეს 45-წუთიანი საგლოვიარო პროცესიის ყველაზე დრამატული მომენტი. შრივერ-დანგენის გეგმის მიხედვით ლაფეტის უკან მიმავალთა ბოლო ორი კატეგორია პოლიციელები და „პროცესიის სხვა მონაწილენი“ უნდა ყოფილიყვნენ. მხოლოდ კორესპონდენტებმა იარეს მთელი ეს თერთმეტი -კვარტალი ფეხით. მაგრამ მეცხრე ქუჩისა და პენსილვანია-ავენიუს კუთხეში იუსტიციის სამინისტროს შენობაში მოთავსებულ გამოძიების ფედერალური ბიუროს შესასვლელის მახლობლად ყველაფერი უეცრად შეიცვალა.

სამგლოვიარო კორტეჟის ბოლოში თავშეყრილმა ხალხმა მთელი ქუჩა ააკსო და წინ დაიძრა. კოლონებში მიმავალმა პოლიციელებმა თავი გამოიდეს მათ შესაჩერებლად. განივი საფარი შექ-

მნესდა ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ: კაპიტოლიუმის მოედანი ხალხით არის გაჭედილი, კორტეჟის გაყოლა საჭირო არ არისო. დიახ, ეს ნამდვილად ასე იყო. მაგრამ ამ ხალხის გონზე მოყვანის ცდა მოვარდნილ ტალღასთან კამათს ნიშნავდა. მართლაც. იუსტიციის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს შორის მდებარე კვარტალი ერთიანად ხალხით გადაშავებული ჩანდა. თუმცა ეს იყო ყველაზე მშვიდი ბრბო, ვისაც კი ოდესმე პოლიციელთა საფარი გაურღვევია. თვით გარღვევა იმდენად ჩქარა და ისე ადვილად მოხდა, რომ წინ გასულთ ეჭვიც არაფრისა გასჩენიათ. სანახაობა კი ნამდვილად შთამბეჭდავი იყო. ნაციონალური არქივის შენობის წინ ცხენის ქანდაკებაზე ამძვრალი სამი პოლიციელი ხალხის რაოდენობის დადგენას ცდილობდა. მათი ანგარიშით პრეზიდენტ ჯონ კენედის „პროცესიის ისე მონაწილეთა" ახი ათასი კაცი მიაცილებდა.

• • •

გენერალ-მაიორმა უილმა, ლაფეტი კაპიტოლიუმის სენატის მხარეს შემოატარებინა და შენობის აღმოსავლეთის საფეხურებთან შეაჩერა. პროცესიის მთავარი მონაწილენი სამხედრო პატივისცემის მოლოდინში კაპიტოლიუმის ქვედა საფეხურზე იდგნენ. მოედნის ჩრდილოეთით, პარკ „იუნიონ ნეიშნში" საარტილერიო ბატალიონის მეთაურმა ხელი ასწია და სმენად იქცა. მთელი დაძაბულობით უგდებდა ყურს მუზარადში ჩამონტაჟებულ მინიატურულ რადიომიმღებს. კაპიტოლიუმის მოედანზე მყოფი კაპიტანი მზადყოფნის ბრძანებას იძლეოდა.

უეცრად ამოჭრილმა ქარმა კუბოზე გადაფენილ ვარსკვლავზოლიან დროშას ფრიალი დაუწყო. კაპიტანმა ბრძანება გასცა: „ცეცხლი!"

დაიქუხა ოცდაერთი ზარბაზნიდან გასროლილმა სალუტის პირველმა ზალპმა. ჯარისკაცებმა თოფები მხრებზე შეიგდეს, მეთაურთა დაძაბული ხელები ქუდების წინაფრებს შეეხო. გარკვევით გაისმა სამხედრო-საზღვაო ძალების ორკესტრის პირველი მელოდიური ჰანგი.

როგორც კი დაფდაფების ხმები მინელდა, მაშინვე გაისმა ჰიმნი „დიდება ბელადს", თუმცა ყოველი ხუთი წამის შემდეგ იგი საარტილერიო ბატარეის ზალპების გუგუნით იფარებოდა.

როტონდაში სიტყვებით გამოვიდნენ მენსფილდი, უორენი და მაკორმაკი. მსმენელები, რა თქმა უნდა, შარზე იყვნენ. არავის გაუკრიტიკებია მხოლოდ მაკორმაკი, რადგან, არსებითად, არც არაფერი უთქვამს. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის, უორენის სიტყვამ. მსმენელთა შორის სხვადასხვაგვარი გრძნობები აღძრა. უორენი სასტიკად გმობდა სიძულვილის გამჩაღებულ ადამიანებს. რობერტ კენედის აზრით, სიძულვილის მოხსენიება უადგილო იყო. მაკჯორჯ ბანდის შეხედულებით კი „მომხდარი ტრაგედიის ძირითადი აზრი, უაზრობაში მდგომარეობდა". მხოლოდ კენედ გელბრაიტი მიხვდა უორენის გამოსვლის ნამდვილ აზრს. იგი თავის დღიურში წერდა: „უორენმა თქვა ის. რის თქმაც ჭეშმარიტად საჭირო იყო: თუ მკვლელობის ჩამდენთა რიცხვი ცოტაა, სამაგიეროდ ბევრი უწყობს ხელს მკვლელობის სურვილის აღმძვრელ ატმოსფეროს შექმნას". მაგრამ ამ სამ სიტყვათა შორის ყველაზე პოლემიკური, სენატში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერის, მაიკლ მენსფილდის სიტყვა გახლდათ. უორენის მსგავსად, მენსფილდი მიხვდა დალასში მომხდარი დანაშაულის არსს და განაცხადა: „იმ საშინელ მომენტში კენედის დასაღუპავად ერთმანეთს შეერწყა ფანატიზმი, სიძულვილი, ცრურწმენა და ქედმაღლობა". მენსფილდის სიტყვა აშკარად გამოირჩეოდა აზრის გამოთქმის ბრწყინვალე მანერითა და ხატოვანებით. იგი ნამდვილი შედევრი იყო, თუმცა, ბევრ სხვა სიტყვათა მსგავსად, წარმოთქმისას სათანადოდ დაუფასებელი. ცუდი აკუსტიკის გამო მენსფილდის სიტყვა ბევრმა ვერც კი გაიგონა, ხოლო გამგონთა დიდი ნაწილი თავშეკავებისა და განგებ დაკნინების ტრადიციებზე იყო აღზრდილი.

მათ არ მოსწონდათ მენსფილდის გულახდილობა და ემოციურობა. დუგლას დილონი იბუზებოდა, ხოლო ბრიტანეთის ელჩ, დეკიდ ორმსბი-გორს მენსფილდის სიტყვა საშინელიც კი ეჩვენა. იქ დამსწრეთაგან თითქმის ვერავინ მიხვდა, რომ ეს იყო ვალის მოხდა ახალგაზრდა პრეზიდენტისა და პირველი ლედისადმი. ჟაკლინ კენედის შემყურე პანაშვიდის მონაწილეთ მენსფილდის გამოსელა უადგილო სიმკაცრედ ეჩვენათ. მაგრამ ისინი არ ყოფილან პრეზიდენტის მანქანა SS 100X-ში, მათ არ დაუნახავთ სისხლი, არ განუცდიათ პარკლენდის ჰოსპიტლის № 1 საოპერაციოს კოშ-

მარები, მათთვის უცნობი იყო ძალისმიერი სიკვდილის სურათი.. მხოლოდ ჟაკლინს შეეძლო მენსფილდის სიტყვის შეფასება. ქალს ვერც კი წარმოედგინა, რომ დაკრძალვაზე წარმოთქმული სიტყვა შეიძლებოდა ასეთი ბრწყინვალე ყოფილიყო. საკუთარ ყურებს არ უჯერებდა. მენსფილდის გამხდარმა სახემ და ტანჯვით სავსე თვალებმა ჟაკლინს ელ-გრეკოს სურათებზე გამოსახული წმინდანთა პროფილი მოაგონა. მისთვის ეს გამოსვლა არა ნაკლებ მშვენიერ-მეტყველური იყო, ვიდრე პერიკლეს სიტყვა, ანდა ბრძოლაში ხუთი ვაჟის დამკარგავი დედისადმი ლინკოლნის მიერ მიწერილი წერილი. დიახ, მაიკლ მენსფილდი თავის გამოსვლაში არ გაქცევია საშინელ სინამდვილეს.

„მხოლოდ ამ ერთადერთ სიტყვაში ითქვა ის, რაც ჭეშმარიტად მოხდა“, — გაიფიქრა ჟაკლინმა.

მენსფილდმა სიტყვა დაამთავრა და ვიდრე მისი მთრთოლვარე ხმა ჯერ კიდევ როტონდის თაღებქვეშ გაისმოდა, იგი ჟაკლინს მიუახლოვდა და სიტყვის ტექსტი გადასცა.

— თქვენ გამოიცანით ჩემი სურვილი, — უთხრა ჟაკლინმა, — როგორ მიმიხვდით, სიტყვის გამორთმევა რომ მსურდა?

მენსფილდმა თავი დახარა.

— მე ეს არ ვიცოდი. უბრალოდ, მინდოდა თქვენთვის გადმომეცა.

კუბოსთან უკვე იდო ჟაკლინის გვირგვინი. ახლა ლინდონ ჯონსონი დაწინაურდა შეერთებული შტატების პრეზიდენტის რიტუალის შესასრულებლად — გვირგვინის მისატანად. თეთრ-წითელი მიხაკებითა და ხასხასა მწვანით მორთული უზარმაზარი გვირგვინი ერთ აწოწილ სერჟანტს ეჭირა. როცა ჯონსონი გვირგვინს მიუახლოვდა და კუბოსაკენ წაიწია, სერჟანტმა უკან დაიხია და თავისი ნაბიჯები პრეზიდენტისას აუწყო. ორი ადამიანის უცნაური ვალსი დამთავრდა. სერჟანტი სწრაფად გაეცალა იქაურობას. ჯონსონი წუთით შედგა და კვლავ თავის ადგილზე დაბრუნდა. როტონდაში სიჩუმე სუფევდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ სერჟანტის ქვითინს, ორ პოლკოვნიკს გასასვლელისკენ რომ მიჰყავდა.

თოთხმეტწუთიანი ცერემონია დასასრულს მიუახლოვდა. პანაშვიდი დამთავრდა. თითქმის გულწასული ჟაკლინ კენედი უეცრ-

რად ძიხვდა, რომ რიტონდიდან პირველი თვითონ უნდა გასულიყო და რომ ყველა სწორედ მას ელოდებოდა.

ქალი მაშინვე რობერტს მიუტრიალდა და ჩუმად ჰკითხა:

— უნდა გამოვეთხოვო?

რობერტმა თავი დაუქნია. ეაკლინი საოცარ უხერხულობას გრძნობდა, მაგრამ არ უნდოდა ყველაფერი ასე დამთავრებულიყო. ქალმა იქვე მდგარ კეროლაინს ხელი წაავლო და წასჩურჩულა:

— ახლა მამიკოს გამოვეთხოვებით, უკანასკნელად ვაკოცებთ და ვეტყვით, როგორ გვიყვარს იგი ჩვენ და როგორ დაგვაკლდება ყოველთვის.

დედა-შვილი კუბოს მიუახლოვდა. კეროლაინი მონდომებით ცდილობდა დედის მოძრაობების განმეორებას. ეაკლინი მუხლებზე დაეშვა. კეროლაინმაც მას მიჰბაძა.

—აკოცე, — წაიჩურჩულა ეაკლინმა.

ორთავე დაიხარა და თვალდახუჭულებმა დროშას მსუბუქად ეამბორეს.

ეაკლინი ბავშვისათვის ხელშეუშვებლად წამოდგა და ღირსეული სიმშვიდით გასასვლელისაკენ გაემართა. ყველა მას მიჰყვა.

რიტონდიდან გამოსულთა თვალწინ მზის კაშკაშა სხივებში გახვეული ხალხის ზღვა გადაიშალა. კლიფტონს, როგორც ეს თვითონ თქვა, ამ უკიდეგანო „თავების ზღვის“ დანახვაზე, მოეჩვენა თითქოს „მთელი დედამიწა ხალხით იყო მოფენილი“.

ცერემონიის დაწყებამდე რადიოთი და ტელევიზიით გამოაცხადეს, რომ რიტონდაში მსვლელობა ხალხისთვისაც დაიწყებოდა. ვაშინგტონში მიმავალ გზებსა და ხიდებზე მოძრაობა თანდათან გაძნელდა. ნიუ-იორკ-ავენიუზე მიმავალ მანქანებს ბუფერი ბუფერზე ჰქონდათ მიკრული. საავტომობილო კოლონა ოცდაათ მილზე — თვით ბალტიმორამდე გაიჭიმა. რაც შეეხება პროცესიის მონაწილეთ, როგორც რადიოს დიქტორმა გამოაცხადა, „ეს იყო ნორჩი ახალგაზრდობა. მათი უმრავლესობა ოცი წლის ან ცოტა მეტი ხნისა თუ იქნებოდა“. ბაირონ უაიტზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა კოლეჯის სვიტრებში გამოწყობილმა წიგნებიანმა სტუდენტებმა.

ქვაფენილზე, ჯერ კიდევ მანქანაში ჩაჯდომამდე, ეაკლინ კენედი ქ-ნ ჯონსონს მიუახლოვდა და უთხრა:

— ლედი ბიორდ, ჩვენ ხომ უნდა მოვილაპარაკოთ თქვენი გადმოსვლის თაობაზე, გთხოვთ, რაც შეიძლება მალე მინახულოთ.

დაბნეულმა ახალმა პირველმა ლედიმ პასუხი ძლივს მოახერხა:

— პირველ ყოვლისა, მინდა გითხრათ, რომ მე შემიძლია დავიცადო, ვიდრე თქვენ სრულად არ გაემზადებით.

როგორც ამას შემდეგ ლედი ბიორდი იგონებს, ქვრივმა თითქოს ოდნავ გაიღიმა და თქვა:

— ზეგ, რა დროსაც გენებოთ. მე იქ მერე აღარა მესაქმება რა.

14 საათსა და 19 წუთზე ჟაკლინი მანქანაში ჩაჯდა და კაპიტოლიუმი დატოვა. ექვსი წუთის შემდეგ „ნეიშნლ ბროდკასტინგ კომპანის“ კორესპონდენტმა ფრენკ მაკჯიმ დაადასტურა, ლი ჰარვი ოსვალდის სიკვდილი. მკვლელის მკვლელობა — „კიდევ ერთი საშინელი დანაშაული“ — გაიფიქრა ჟაკლინმა, როცა ოსვალდის მკვლელობის ამბავი გაიგო.

* *

სახელმწიფო დეპარტამენტი, ვითარცა მკაცრი დამცველი ეტიკეტისა, ჯერ კიდევ მერყეობდა დაკრძალვაზე ჩამოსულ გამოჩენილ პირთა მიღებასთან დაკავშირებულ გეგმის თაობაზე. აშკარა იყო, პრეზიდენტის დაკრძალვის შემდეგ მათთვის მიღება უნდა გამართულიყო. მასპინძლის როლში გამოსვლას ჯერ დინ რასკი აპირებდა, მაგრამ მას ტაქტიკურად მიანიშნეს, რომ იგი არ იყო სახელმწიფოს მეთაური. არც იუსტიციის მინისტრი გახლდათ ასეთი. მაგრამ რასკი და სახელმწიფო მდივნის მოადგილე ალექსის ჯონსონი, ეს ჯერ კიდევ უახლოესი წარსულით შთაგონებული ადამიანები, ფიქრობდნენ, რომ სტუმრები რობერტ კენედის უნდა მიეღო. კვირისათვის სახელმწიფო დეპარტამენტმა ლინდონ ჯონსონი პრეზიდენტად იცნო, ისიც გადაწყდა, რომ სწორედ იგი უნდა შეხვედროდა სტუმრებს. შემდეგ ჟაკლინ კენედიმ განაცხადა — თეთრ სახლში უცხოელ სტუმართა მიღება მე მსურსო. ალექსიო ჯონსონს თავში აზრადაც არ მოუვიდოდა, რომ ჟაკლინს ასეთი რამ შეეძლო ეთქვა, რადგან იგი აღემატებოდა ყოველივეს, რაც კი მოვალეობის გრძნობით იყო ნაკარნახევი. თუმცა დიპლომატიის თვალსაზრისით ამ ამბავს უზარმაზარი მოგების მოტანა შეეძლო.

ასეც გადაწყდა — გამართულიყო ორი მიღება: ერთი ძველი მთავრობის სახელით, მეორე — ახალის.

როგორც კი კაპიტოლიუმში ხალხმა იწყო დენა, ახალი და ძველი მთავრობის მოღვაწეებმა იქაურობა დატოვეს და თეთრ სახლსა და პრეზიდენტის კანცელარიაში მუშაობა განაახლეს. ჟაკლინ კენედი კვლავ პრეზიდენტის შესანიშნავ რეზიდენციაში იყო, მაშინ როცა ლინდონ ჯონსონი კანცელარიის შენობის კორიდორებში მიმოდიოდა. როტონდაში გამართული პანაშვიდიდან დაბრუნებულმა ჯონსონმა, პირველ ყოვლისა, ნიკ კატცენბახს დაურეკა და ოსვალდის შესახებ არსებული ცნობები მოითხოვა. კატცენბახის მოხსენების თანახმად, იუსტიციის სამინისტროს სისხლის სამართლის საქმეთა სამმართველოს უფროსი ჯეკ მილერი დალასში მიფრინავდა, ხოლო გამოძიების ფედერალური ბიურო ოფიციალურად მონაწილეობდა საქმის გამოძიებაში.

შეერთებული შტატების ელჩმა ვიეტნამში ჰენრი კაბოტ ლოჯმა და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თავმჯდომარემ ჯონ მაკოუნმა ზუსტად 15 საათზე ჯონსონს ვიეტნამში არსებული მდგომარეობის თაობაზე დაწერილებითი ინფორმაცია წარუდგინეს.

იმ დღესვე იქნა განხილული საკითხი, კერძოდ რომელ უცხოელ სტუმართან შეხვედრა იყო აუცილებელი პრეზიდენტისათვის: სინამდვილეში ეს იყო საუწყებო დავა სახელმწიფო მდივნის მოადგილის ჯორჯ ბოლსა და პრეზიდენტის სპეციალური თანაშემწის მაკჯორჯ ბანდის შორის იმაზე, თუ ვის უნდა შეედგინა პრეზიდენტის მისაღებ სტუმართა სია. ეს დავა ჯონსონმა გადაჭრა (ბანდის სასარგებლოდ). 17 საათსა და 15 წუთზე პრეზიდენტს გააცნეს ფედერალური ბიუჯეტის საიდუმლოებანი, იმ დროს, როცა კენედის ფინანსური მრჩეველები ლინდონ ჯონსონის „საიდუმლოებებს" ეცნობოდნენ.

შუადღისას საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე კერმიტ გორდონს უკვე ჰქონდა პრეზიდენტთან ხანმოკლე საუბარი. გორდონი ახლა ფინანსთა მინისტრ დილონთან, მის მოადგილე ფაულერთან და ეკონომიური ექსპერტების საბჭოს თავმჯდომარე გელერთან ერთად გამოცხადდა. მათ სურდათ ლინდონს მხარი დაეჭირა ჯერ კიდევ კენედის მიერ წამოყენებული წინადადებისათვის, გა-

დასახადების 11,5 მილიონი დოლარით შემცირების თაობაზე. უნდა მიეხვედრებიათ, ახალი ბიუჯეტის მომზადება თითქმის დამთავრებულიაო. კონგრესზე ბიუჯეტის დროულად წარდგენისათვის საჭირო იყო უახლოეს ორ-სამ კვირაში იგი სახელმწიფო სტამბისათვის ასაწყობად გადაეცათ. დიახ, ჯონსონმა მხარი დაუჭირა გადასახადების შემცირების კანონპროექტს და ბიუჯეტს მაშინვე პოლიტიკური ჟღერადობა მისცა.

„ჯონსონის ბიუჯეტი" უნდა გამხდარიყო მის პირველ საპრეზიდენტო ტრიუმფად. ბიზნესმენების მიმხრობის სურვილით ალსავსე ჯონსონი ცდილობდა ეჩვენებინა, რომ იგი, პრეზიდენტი, ვეფხვივით ებრძვის გამფლანგველებს, რაც მისი აზრით მიზნის მიღწევის უკეთესი საშუალება იყო. მთავრობის საქმეებში ჩაუხედავ ადამიანებს ახალი წლისათვის ისეთი შთაბეჭდილება შეექმნათ, თითქოს პრეზიდენტ კენედის 103-მილიარდიანი ბიუჯეტი ჯონსონს შეემცირებინოს. მაგრამ ეს მხოლოდ მითი იყო. ტეხასში გამგზავრების წინ კენედიმ დაგეგმილ 103 მილიარდს დაახლოებით ორი მილიარდი დოლარი ჩამოაკლო, თან დილონი გააფრთხილა, ბიუჯეტი 100 მილიარდ დოლარზე ნაკლები უნდა გამოვიდეს, თორემ საგადასახადო კანონპროექტს სენატზე გატანა არ უწერიაო. ჯონსონი 97,7 მილიარდ დოლარზე შეჩერდა. რაც წინა წლის ბიუჯეტს მხოლოდ ოდნავ აღემატებოდა. კენედის ბიუჯეტიც დაახლოებით ასეთივე უნდა ყოფილიყო. ამ ორ ბიუჯეტს შორის განსხვავება ძირითადად ჯონსონის უნარში მდგომარეობდა — მომხმარებლისათვის საქონელი, რაც შეიძლება, შნოიანად ეჩვენებინა, სახელმწიფო ფინანსიურ წრეებში შეექმნა შთაბეჭდილება, რომ ეს იყო ყველაზე მომჭირნე პრეზიდენტი კულიჯის შემდეგ. ვერც ერთმა ვაშინგტონელმა კორესპონდენტმა ვერ შენიშნა, რომ ეს მხოლოდ მოხერხება იყო და მეტი არაფერი.

ერთი წლის შემდეგ დილონი და მისი კომპანია ფხიზლად ადევნებდა თვალს ჯონსონს მანევრებსა და კომბინაციებს, რადგან ამ დროისათვის მისი ფანდები უკვე საყოველთაოდ ცნობილი გახდა. მაშინ კი როგორც ადამიანს მთავრობაში მას ძალიან ნაკლებად იცნობდნენ. მაგალითად, ბანდიმ ეჭვადაც არ იცოდა ახალი პრეზიდენტის დაუცხრომელი სიყვარული ფოტოგრაფირებისადმი. კენეტ გელბრაიტისა და კაბინეტის სამი წევრის ფრიმენის, იუდო-

[illegible] დაბეჭდილი უხეში შეცდომა სწორედ ამ უცოდინარობის შედეგი გახლდათ. პრეზიდენტის კანცელარიაში მისვლამდე გელერი ფრიმენის კაბინეტში დაუცხრომელი გელბრაიტის ინიციატივით მოწვეულ სხდომას დაესწრო. გელბრაიტის აზრით, მათ მიერ მომზადებული სიტყვის პროექტი, რაც პრეზიდენტს სენატისა და კონგრესის წარმომადგენელთა პალატის გაერთიანებულ სხდომაზე უნდა წარმოეთქვა, ჯერ იმათ უნდა მომოეწონებინათ, ვისაც იგი მთავრობაში „ლიბერალურ ფრთად" მიიჩნევდა. ამ სხდომას ჩარლზ მერფიც ესწრებოდა. მან თავის დროზე ასეთივე სიტყვა ტრუმენსაც დაუწერა და ახლაც მოემზადებია ჯონსონის სიტყვის პროექტი. გელბრაიტს ეჩვენა, რომ მერფის სიტყვა ძალიან ჰგავდა მის მიერ დაწერილ სიტყვას. გელბრაიტმა განაცხადა — პრეზიდენტის სურვილი იყო სიტყვის პროექტი მე და ტედ სორენსენს დაგვეწერაო, და თათბირის მონაწილეთ სთხოვა, გამოეთქვათ თავიანთი შენიშვნები. კენედის დროს ყველაფერი ეს სრულიად ჩვეულებრივი ამბავი იქნებოდა, მაგრამ ჯონსონისათვის სულაც არ იყო ჩვეულებრივი რამ. გელერმა სხდომის ამბავი პრეზიდენტთან წამოროშა. პრეზიდენტს სხდომა საეჭვოდ ეჩვენა და გელერს უთხრა, გელბრაიტის მიერ მოწვეული სხდომა, ალბათ, „ლიბერალთა დახურული კრებაა" ჩემ საწინააღმდეგოდ მიმართულიო. ამ სრულიად არაპოლიტიკურმა კრებამ ეჭვის ქვეშ დააყენა ყველა მისი მონაწილე, რასაც გელბრაიტის. ამ გარდამავალი პერიოდის პოლიტიკური მოღვაწის კარიერის დასასრული მოჰყვა. პრეზიდენტი წინააღმდეგი იყო ფარული სხდომებისა და ყველა მის მიერ არასანქციირებული სხდომა „ფარულად" ითვლებოდა. პრეზიდენტს განზრახული ჰქონდა თავისი მაგარი ხელით ყველაფრისათვის, ზუსტად ყველაფრისათვის ეხელმძღვანელა.

და თუ ახალი პრეზიდენტი როდესმე უსამართლო იყო ლიბერალების მიმართ (ადვილი შესაძლებელია, ასეთი რამ არც არასოდეს ყოფილა), ამას არსებითი მნიშვნელობა არა ჰქონდა. შეერთებული შტატები, უპირველეს ყოვლისა, რწმენის ატმოსფეროს დაჩქარებით შექმნის აუცილებლობას ითხოვდა. ამ მხრივ პრეზიდენტი ნამდვილად დიდებული იყო. არც ის ნიშნავდა არაფერს, რომ იგი რწმენის მხოლოდ მოჩვენებითობას ქმნიდა, როცა მის გულს

ურწმუნობის ჭია ღრღნიდა. იგი საკუთარ თავში იხშობდა ყველა შიშსა და მერყეობას. დიახ, ჯონსონისათვის უცხო არ იყო ამდაგვარი გრძნობები, მაგრამ იშვიათად რომ ვინმესათვის საკუთარ სულში ჩახედვის უფლება მიეცა და თავისი დაეჭვება გაემხილა. თუმცა ფინანსთა მინისტრმა დილონმა წამიერად მაინც შეძლო მათი დანახვა.

ბიუჯეტთან დაკავშირებული საუბრის შემდეგ პრეზიდენტი და დილონი საიდუმლო სამსახურის მუშაობას შეეხნენ, მერე კი კაპიტოლიუმიდან მათეს ტაძარში ხვალინდელი სამგლოვიარო პროცესიის მსვლელობასთან დაკავშირებული საკითხები განიხილეს. ვინაიდან ოსვალდის მკვლელობა რთული შეთქმულების ეჭვს იწვევდა, თეთრი სახლის საიდუმლო სამსახურის უფროსი როული წინ აღუდგა პრეზიდენტის სურვილს კუბოს ფეხით გაჰყოლოდა. ჯონსონი ჯერ დაეთანხმა როულს, მერე კი გადაჭრით განაცხადა:

— ლედი ბიორდიმ მითხრა, პროცესიას უთუოდ ფეხით უნდა გაჰყვეო, და მეც ახლა ამ აზრს ვადგავარ.

* * *

ჟაკლინ კენედის შტაბ-ბინად ახლა დასავლეთი სასტუმრო ოთახი იქცა, საიდანაც იგი იშვიათად გამოდიოდა. მისი სურვილით, სასტუმრო ოთახის კარი დაკეტეს, რითაც თვითონ და მის ირგვლივ მყოფი ადამიანები დანარჩენი ოთახებიდან გამოცალკევდნენ.

იზოლაციას გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა. ქვრივის აზრის მოკრება სჭირდებოდა, რეზიდენცია კი ხალხით იყო გაჭედილი.

ჟაკლინს უნდა განესაზღვრა დაკრძალვის ხასიათი. ამავე დროს, თავის უახლოეს მომავალთან დაკავშირებით რაღაც უნდა გადაეწყვიტა. ახლა მას სახლიც აღარა ჰქონდა. მისი ახლანდელი ბინა უკვე ჯონსონების კანონიერ რეზიდენციად იყო ქცეული. ლედი ბიორდის თავაზიანი წინადადების მიუხედავად, მათი გადმოსვლის უსასრულოდ გადადება არ შეიძლებოდა. რეზიდენცია იყო მთავრობის მეთაურის შტაბ-ბინა. ეს კი ნიშნავდა, რომ ყველაფერი, რაც კი კენედის ოჯახთან იყო დაკავშირებული, თეთრ სახლში კეროლაინის გაკვეთილების ჩათვლით, სხვაგან უნდა გადატანილიყო, მაგრამ, სახელდობრ — სად, ეს ჯერ კიდევ ვერ გადაეწყვი-

ტა. უაღოავი გავლენიანი მეგობრით გარშემორტყმულმა ჟაკლინმა, რასაკვირველია, მალევე შეძლო ამ საკითხის დროებითი გადაწყვეტა.

ქვრივის ბინით უზრუნველყოფის მოგვარებას კენეტ გელბრაიტმა მოჰკიდა ხელი და კარგადაც გაართვა თავი. ჟაკლინის განცხადებას, ჯერ არ ვიცი და არც შემიძლია ჩემი საფინანსო მდგომარეობაში ჩახედვაო, კენეტ გელბრაიტმა ასეთი პასუხი გასცა: „ჰარიმანს იმდენი უძრავი ქონება აქვს, არ იცის, რა უყოს. შეუძლია ჯორჯტაუნში სახლი იყიდოს და თქვენ გადმოგცეთ. მისთვის ეს ამბავი კაპიტალის გონივრული დაბანდება იქნება მხოლოდ".

და მაინც საქმე არც ისე იოლი მოსაგვარებელი აღმოჩნდა: წარმოიშვა ავეჯისა და მოსამსახურე პერსონალის საკითხი. მაშინ ჰარიმანმა თავისი ოჯახის ოტელში გადაყვანა და ჯორჯტაუნში მდებარე მისი საკუთარი სახლის კენედის ოჯახისათვის დათმობა გადაწყვიტა. სამი სატელეფონო საუბრის შემდეგ გელბრაიტმა რობერტ კენედის აცნობა, საქმე სწორედ ასეთნაირად მოგვარდაო.

დაწვრილებით იქნა განხილული მეორე დღეს წარმოსათქმელი გამოსათხოვარი სიტყვების საკითხი. კორტეჟი შეჩერდებოდა ორგან, წმ. მათეს ტაძარში და არლინგტონის სასაფლაოზე. სიტყვებიც ორთავე ადგილას წარმოითქმებოდა. ტაძარში ეპისკოპოსი ჰენონი უნდა გამოსულიყო. არალვთისმსახურის მიერ ტაძარში სიტყვის წარმოთქმა უარყოფითად გადაწყდა. სასაფლაოზე წარმოსათქმელი სიტყვების თაობაზე ჟაკლინმა რობერტს თავისი თხოვნა წარუდგინა:

— თუ ვინმეს იქ გამოსვლა ეკუთვნის, პირველ ყოვლისა მის ძმებს. ტედიმ და შენ სადღაც რაიმე უნდა თქვათ. შენ იქ, საფლავთან გამოდი.

ნასადილევს კაპიტოლიუმს ზღვა ხალხი მიაწყდა. ჯეკისა და ბობის მისვლიდან ერთი საათის შემდეგ კაპიტოლიუმში პრეზიდენტის დედა შეავიდა. ქალს შრიფერები, ლოუფორდები და რაძივილები ახლდნენ. მოგვიანებით მოსულ ტედ კენედის კი ჯონ გარგანი და ორი თავისი თანაშემწე მოყვა. პრეზიდენტის ახლობელთა მანქანები შეუმჩნევლად ჩერდებოდნენ კაპიტოლიუმის აღმოსავლეთის შესასვლელის საფეხურთან. მერე მანქანიდან გადმოსულნი ლიფტით ადიოდნენ მაღლა და როტონდაში სამხრეთის მხრიდან შედიოდნენ. მათ ხალხის ულევი ნაკადით გარშემორ-

ტყმულ კუბოსთან მისვლისთანავე სცნობდნენ და წყნარად უთ-მობდნენ გასასვლელ გზას. იქვე მდგარი ჯარისკაცი მაშინვე ხსნი-და ხავერდის ზონარს და კენედის ოჯახის წევრები ერთიმეორის მიყოლებით წინ გადიოდნენ. ლოცვად აღვლენილნი მუხლს იყრიდ-ნენ პრეზიდენტის კუბოსა და გვირგვინის წინ. „პრეზიდენტ ჯონ-სონისა და მთელი ერისაგან“ — ეწერა გვირგვინის ბარათზე.

* * *

საშუალო ამერიკელი როგორღაც გარე სამყაროსაგან გამიჯნუ-ლიყო, საკუთარ ფიქრებსა და ტელევიზორს მინდობილი. ტელევიზია კი, კვირა საღამოს ოფიციალური ცერემონიის გაუ-მართაობის გამო, მართლაც ძნელ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იგი იძულებული შეიქნა გადმოეცა ყველაფერი, რაც კი აიდლუაილდი-სა და დალესის სახელობის აეროპორტებში ხდებოდა, სადაც და-უსრულებელ ნაკადად მოედინებოდა კენედის დაკრძალვაში მონა-წილეობის მისაღებად ჩამოსული უცხოელი სტუმრები. ყველა ამ სახელოვან სტუმართა უპრეცენდენტოდ დიდი რაოდენობის მი-უხედავად, მათ ჩამოსვლასთან დაკავშირებული გადაცემები რო-გორღაც გულის გამტეხ გრძნობებს გვრიდა ადამიანს: ისინი უარს ამბობდნენ განცხადებების წარმოთქმაზე, ხოლო ვაშინგტონში მყოფი მათი ელჩები და სახელმწიფო დეპარტამენტი ვერ ბედავ-დნენ მათ მაგიერ გამოსვლას. სახელმწიფო დეპარტამენტს არ შე-ეძლო ყველასთან შეხვედრის უზრუნველყოფა. დინ რასკი, ჯორჯ ბოლი და ავერელ ჰარიმანი ერთმანეთს ენაცვლებოდნენ დალესის სახელობის აეროდრომში. თვითმფრინავთან ტრაპის მიგორებისთა-ნავე გადიოდნენ ჩამოსულთა შესახვედრად. ვინაიდან ფრიად სა-პატიო დელეგაციები წუთი წუთზე ჩამოდიოდნენ, ხოლო ესენი ხე-ლის ჩამორთმევასაც ძლივს ასწრებდნენ, ამიტომ თვითონ ელჩებს უნდა ეზრუნათ თავიანთი ქვეყნების წარმომადგენლობაზე.

სახელმწიფო დეპარტამენტის საოქმო განყოფილების უფროსი ენჯი დიუკი საერთაშორისო ეტიკეტის დაცვასთან დაკავშირებულ მითითებებს ტელეფონით იძლეოდა. თუმცა მერე ისიც დარწმუნ-და, რომ უცხოელ სტუმრებს ესმოდათ მასპინძელთა მძიმე მდგო-მარეობა. უკლებლივ ყველა ჩამოსული დაეთანხმა წინადადებას,

რომ ოფიციალურ ცერემონიებზე სახელმწიფოთა მეთაურების ადგილები განკუთვნილი იქნებოდა მათი სახელმწიფოების სახელწოდებათა მიხედვით ინგლისური ანბანის თანამიმდევრობით.

ყოველივე ამის მიუხედავად, დალესის სახელობის აეროპორტი კოშმარად ექცათ საოქმო განყოფილების მუშაკებს. გარდაუვალი ენობრივი სიძნელენი მეტისმეტად გართულდა სხვადასხვა ეროვნების სტუმართა მოზღვავებით. დალესის სახელობის აეროდრომზე ერთი თვითმფრინავით დაეშვნენ ეპისკოპოსი ჰენონი, თურქეთის პრეზიდენტი, იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი და მაროკოს უფლისწული. მაროკოელმა სტუმარმა ინგლისური ერთი სიტყვაც არ იცოდა, მაგრამ იგი იოლად გამოვიდა ეპისკოპოს ჰენონის თანმხლები მღვდლის ფრანგულით. როცა შარლ დე გოლმა რასკს მიმართა: ჩემი ქვეყნის სახელით უღრმეს თანაგრძნობას გიცხადებთ. უნდა მოგახსენოთ, რომ აქ ფრანგმა ხალხმა გამომგზავნა, როგორც მისი წარმომადგენელიო — სახელმწიფო მდივანი ფრანგულის უცოდინარობის გამო მეტად უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და იძულებული იყო თარჯიმნისათვის დაეცადა.

ჯეკ რუბის მიერ ოსვალდის მკვლელობას ატმოსფეროს საოცარი დაძაბვა მოჰყვა. სწორედ ამ მიზეზით აიხსნებოდა მასპინძელთა და მათი სტუმრების ხაზგასმული თავაზიანობა. უკვე ორი დღე შესრულდა, რაც ამერიკის შეერთებული შტატები ღრმა გლოვას მოეცვა. შებღალული იყო მათი ამაყი სული. ამერიკელი დიპლომატები ყოველნაირად არიდებენ თავს ახალი სამარცხვინო საქციელის გაკვრით ხსენებასაც კი. ხოლო უცხოეთიდან ჩამოსული თანამდებობის პირნი ტაქტიკურად დუმდნენ. გრძნობდნენ, დღევანდელ განაწყენებას მასპინძლების სამუდამო იარა მოჰყვებოდა. მათი კონტაქტები მხოლოდ აეროდრომზე მისალმებებით რომ შემოფარგლულიყო, სტუმრები ვერ შეამჩნევდნენ ამერიკის საზოგადოებაში არსებულ იმ საშინელი ძალადობის კვალს, რამაც ისინი აქ ჩამოიყვანა. დიპლომატთა სამწუხაროდ, ვაშინგტონის ყველა საელჩოში ტელევიზორიც იდგა და რადიომიმღებიც. საელჩოს თანამშრომლები თვალნათლივ ხედავდნენ, რომ ყველა ამერიკელი როდი იყო ნორმალური და ცივილიზებული. მათთვის ცნობილი

გახდა პენსილვანია-ავენიუზე, თეთრი სახლის წინ, მოსეირნე კაცი, რომელსაც ხელით ნაწერი ლოზუნგით ეჭირა: „ღმერთმა დასაჯა ჯონ ფ. კენედი“. ბირმინჰემში, ადგილობრივი სატელევიზიო კომპანიის მიერ მოწყობილ გადაცემაში ერთმა ალაბამელმა დაუფარავად განაცხადა: „უნდა დაიხვრიტოს ყოველი თეთრი, ვინც ზანგებისათვის იმას აკეთებს, რასაც კენედი აკეთებდა!“ გადაცემა, რა თქმა უნდა, მაშინვე შეწყვიტეს, მაგრამ ეს სიტყვები უკვე ნათქვამი დარჩა. 22 საათსა და 55 წუთზე სტუმრებს ეცნობათ, რომ კოსმონავტი ჯონ გლენი, კენედის კოსმოსური ოცნების სიმბოლო, აეროდრომზე დაგვიანებით ჩამოფრინდა. დაგვიანების მიზეზი გახლდათ ყუმბარის დაშენის საშიშროება, რითაც კოსმონავტს სწორედ ტეხასში ემუქრებოდნენ.

* *

ექიმმა უოლშმა თეთრ სახლში ჟაკლინ კენედის მესამე ნემსი გაუკეთა და ქალი დასაძინებლად თავისი მეუღლის ქვასავით მაგარ სამგზავრო საწოლზე დაწვა. ჟაკლინის დაც იქვე, პრეზიდენტის საწოლზე მოთავსდა, ხოლო მის ქმარს კი საწოლარზე გაუშალეს.

მასაჩუსეტს-ავენიუზე მდებარე ხალხით გაჭედილ საელჩოებში სიბნელე და სიჩუმე სუფევდა. მხოლოდ ქალბატონ ნიკოლ ალფანის ლანდისებურად მოძრავი ფიგურა, ფანჯრის საკეტებს რომ კვლავ და კვლავ სინჯავდა და საფრანგეთის საელჩოს წინ სიურტეს აგენტების ჩრდილები მოწმობდნენ, რომ ფრანგებს რაღაც განსაკუთრებული მღელვარების მიზეზი ჰქონდათ: სადილობისას ვიღაც უცნობმა ტელეფონით ორჯერ გააფრთხილა — იცოდეთ, ღამით საფრანგეთის საელჩოში ყუმბარა აფეთქდებაო. ქალბატონი ალფანი საოცრად შეშინებული იყო. თვითონ შარლ დე გოლი კი ყურსაც არ იბერტყავდა. ასეთი მუქარა მას ბევრჯერ მოესმინა და ახლა სრულიად უშფოთველს, ღრმა ძილით ეძინა ქირით გამორთმეულ სპეციალურ გრძელ საწოლზე.

კვირას, 16 საათსა და 30 წუთისათვის, წმინდა მათეს ტაძარი საერთაშორისო საპოლიციო ორგანიზაციის ყრილობას დაემსგავსა საიდუმლო პოლიციის მთელი არსებობის მანძილზე ღვთის ტაძარში ალასოდეს მოუყრია თავი პირადი დაცვის აგენტების ესოდენ

კოსმოპოლიტურ კომპანიას. ჯონსონისა და კენედის ოჯახის სიცოცხლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ზომების ზედამხედველ როი კელერმანს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოა იგი ახალ ბაბილონის გოდოლთან იმყოფებოდა. შეერთებულ შტატებს მუშაკთა საკმარისი რაოდენობა ჰყავდა, რათა ეს საქმე თავად მოეგვარებინათ. კელერმანის აგენტების გვერდით აქ იმყოფებოდნენ გამოძიების ფედერალური ბიუროს აგენტთა რაზმები და ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რჩეული აგენტები. ზოგი მათგანი, როგორც უცხო ენათა მცოდნენი, საზღვარგარეთიდანაც კი ჩამოიყვანეს. მაგრამ დალასში მომხდარმა მკვლელობებმა, ბუნებრივია, საზღვარგარეთ საკმაოდ შეარყია ამერიკული პოლიციის უნარიანობის რწმენა. სწორედ ამ უნდობლობის შედეგი გახლდათ, რომ ტაძრის გვერდითი ეკვდერი, ქორო და თვით საკურთხეველიც სკოტლანდ-იარდისა და სიურტეს განსაკუთრებულ განყოფილებათა სპეციალისტებით იყო სავსე. აქვე ნახავდით მკვირცხლ, მოკლეფეხება იაპონელებს, პუერტორიკელებს და ქამრიან საწვიმრებში გამოწყობილ შავსათვალიან დასავლეთ გერმანელებს. კელერმანი, რა თქმა უნდა, ამოწმებდა მათ, ისევე როგორც ისინი მას და საერთოდ — ერთმანეთს.

უკანასკნელი ყვავილები მოიყინა ვარდისფერ ბაღში. ფარენჰაიტის მიხედვით თერმომეტრი ლამის ოცდაათ გრადუსამდე დაეცა. უჩვეულოდ წყნარი ღამე იდგა. თუმცა საკმარისი იყო აღმოსავლეთისაკენ გაგეხედათ, რომ მაშინვე მიმხვდარიყავით, რარიგ მოჩვენებითი იყო ეს სიწყნარე. მოვლენებმა კვლავ მიაღწიეს თავიანთ კულმინაციურ წერტილს. ჩახჩახებდა კაპიტოლიუმის მთელი შენობა. უდიდეს სივრცეს ეფინებოდა მისგან გამონაშუქი სინათლე. მეოთხედი მილიონი ამერიკელი კენედისთან გამოთხოვებას ელოდებოდა.

• • •

ჯერ კიდევ კვირას, გამოსათხოვარი სიტყვების წარმოთქმიდან ერთი საათის შემდეგ, 15 საათსა და 11 წუთზე ვაშინგტონის საოლქო პოლიციამ გადასცა ცნობა, რომ „კაპიტოლიუმისაკენ მიმავალი ხალხის სიმრავლის გამო იქმნებოდა სერიოზული საფრთხე“. ადრინდელი გეგმის მიხედვით, კაპიტოლიუმის ბრინჯაოს

კარი ხალხისათვის 21 საათამდე უნდა ყოფილიყო ღია. რა თქმა უნდა, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა. მაგრამ ეს აშკარად არარეალური აღმოჩნდა. პლედებში გახვეული ადამიანები, აქ ღამიდანვე იცდიდნენ. ჟაკლინი და რობერტ კენედი კაპიტოლიუმში საღამოს ცხრა საათისათვის დაბრუნდნენ და მათ გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. კუბოს წინ კარგა ხანს მუხლმოყრილი დგომის შემდეგ ჟაკლინი წამოდგა და რობერტს მიჰყვა მასთან ერთად მანქანაში ჩასაჯდომად, მაგრამ კართან მოსულმა უეცრად თავი გააქნია და მტკიცედ წარმოთქვა:

— არა, მე ფეხით მინდა გავიარო.

მართლაც, მთელი ათი წუთი ფერსტ-ავენიუსაკენ მიმავალ დაკლაკნილ ბილიკს ნელი ნაბიჯით გაუყვნენ. რომელიღაც რეპორტიორმა იუსტიციის მინისტრს ჰკითხა, რა აზრის ხართ ამ ზღვად შეყრილ ხალხზეო. რობერტ კენედიმ ირგვლივ მიმოიხედა და ჩუმად ჩაილაპარაკა:

— განსაცვიფრებელია, განსაცვიფრებელი!..

მოწამებრივმა სიკვდილმა სწრაფად შეცვალა ხალხის დამოკიდებულება ჯონ კენედისადმი. ჯერ კიდევ პარასკევ დილით მას ახალგაზრდა, პოპულარულ პრეზიდენტად, მაგრამ სადაო პოლიტიკურ ფიგურად თვლიდნენ. ამ საღამოს იგი სადავო მხოლოდ რამდენიმე კაცისათვისღა დარჩა. სიცოცხლეში კენედისათვის ცნობილი იყო მტერ-მოყვრებით დასახლებული ვაშინგტონი. სიკვდილმა კი ორთავ განწყობილება გაიყოლა თან — მტრულიცა და მოყვრულიც. იგი ახლა ერთიანმა გრძნობამ — თაყვანისცემამ შეცვალა. ხალხის ეს უსასრულო მასა, ხუთ-ხუთ კაცობით რომ ძლივს მიიწევდა წინ, მრევლის თავშეყრას უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრბოს. ახლა ძნელია აღდგენა ან დაჯერება იმ თაყვანისცემისა თუ მოწიწებისა. რასაც ისინი მაშინ ავლენდნენ. დიახ, ეს გრძნობა ხალხმა ნამდვილად განიცადა.

შუაღამისათვის კაპიტოლიუმში კენედის კუბოს ჩაუარა ასი ათასმა კაცმა. მათ უკან კი რიგი სამ მილზე იყო გაძაბული. მდუმარედ იდგა აცახცახებულმხრებიანი, სიცივისაგან სუნთქვაშეკრულ ადამიანთა სამი მილი. ხუთ-ხუთ კაცად დაწყობილი რიგი ჯერ ჩვიდმეტ კვარტალზე იყო გაჭიმული. მერე ოცდარვა კვარტალზე გაიძაბა, უფრო მოგვიანებით ორმოცზე, ხოლო დი-

ლის ხუთი საათისათვის პოლიციელები ახალმოსულებს დადგომას აღარ ურჩევდნენ:

— კარი ცხრის ნახევრისათვის დაიკეტება. წაბრძანდით შინ — ამიერიდან დიდი-დიდი ოთხმოცი ათასმა კაცმა შეძლოს გავლა.

ადამიანები კი მაინც განაგრძნობდნენ დგომას. არც სამდურავს ამბობდნენ და არც ფეხს იცვლიდნენ. ისინი იყვნენ და უნდა მდგარიყვნენ იქ.

ყველას, ვინც ის ღამე კაპიტოლიუმის ბორცვზე გაატარა, საზეიმოვნო მოგონებად დარჩება, რომ ამ ზღვა ხალხში ხელს არავინ იკვრევინებოდა, ურიგოდ არ მიძვრებოდა, არ უხეშობდა. ბევრი ბავშვებიანად მოსულიყო. თვით პატარებიც კი, ალბათ, უფროსების განწყობის შესაბამისად, ჩუმად იყვნენ, არ ჭირვეულობდნენ. შესაძლოა, ეს იყოს ხალხთა მეხსიერებაში არსებული ვაშინგტონში მომხდარი ყველაზე დემოკრატიული მოვლენა. დე ვალერა და კატარღა „პტ-109" კომანდის წევრები როტონდაში ურიგოდ შეუშვეს. ირლანდიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დე ვალერა ოთხმოც წელს გადაცილებული ბრმა მოხუცი გახლდათ. ცოტა მოგვიანებით მოსულმა ამავე კატარღის კომანდის ორმა წევრმა კი უარი განაცხადა ყოველგვარ პრივილეგიაზე. ნაქირავები ავტობუსით ნიუ-ჯერსიდან ჩამოსული ოცდათექვსმეტი მონაზონი რიგის ბოლოში დადგა. სხვათა მსგავსად რიგში იდგა ყავარჯნიანი ყმაწვილი, საგორავიან სავარძელში მჯდარი ქალი თუ ახალ ნაოპერაციევი, ჯერ კიდევ გამოუჯანსაღებელი გოგონა. პიერ სელინჯერის თხუთმეტი წლის ვაჟი თოთხმეტი საათი იდგა რიგში. ვინ აღარ იყო იქ, ვირჯინიელი ფერმერები თუ წაულას ძვირფას ქურქებში გახვეული ნიუ-იორკელი მანდილოსნები.

მეათე თავი

კაპიტოლიუმიდან არლინგტონამდე

დადგა ორშაბათი, 1963 წლის 25 ნოემბერი.

დილით სენატორი ქალი მარგარეტ ჩეიზ სმიტი სენატის სხდომათა დარბაზში შევიდა და იმ მაგიდაზე, რომელსაც ერთ დროს

სენატორი ჯონ ფ. კენედი უჯდა, წითელი, ხასხასა ვარდი დადო. ერთმა ნიუ-იორკელმა გაზეთის გამყიდველმა თავის ჯიხურს წარწერა მიაკრა: „დაკეტილია იმ დანაკლისის გამო, რომელიც ამერიკამ განიცადა“.

პარკლენდის ჰოსპიტლის ერთ-ერთ პალატაში აშკარად მომჯობინდა ტეხასის გუბერნატორი ჯონ კონელი. დაჭრილს საბოლოოდ მოშორდა მტანჯველი სიზმრების საშინელი ხლართები. აზროვნებაც გაუნათდა. წიგნების საწყობთან მომხდარი ტრაგედიის შემდეგ სავსებით მხოლოდ ახლა მოვიდა გონს. მომვლელმა საუზმედ თხელი ფაფა და ყავა შეუტანა. პალატაში ტელევიზორი დაუდგეს. როგორც მისმა მეუღლემ, ნელიმ, უთხრა, მათი ჩვიდმეტი წლის ვაჟი, ჯონი, როგორც ოჯახის წარმომადგენელი, ვაშინგტონს გაფრენილიყო კენედის დაკრძალვაზე დასასწრებლად. თვალმოჭუტული კონელი ტელევიზორის ეკრანს მიაჩერდა და გუნებაში გაიფიქრა. „ვითომ დავინახავ კია იმას“.

საწოლსმიჯაჭვული გუბერნატორი ერთ-ერთი იმ მცირერიცხოვან ტეხასელ ჩინოვნიკთაგანი იყო, ვინც საყოველთაო გლოვას შეუერთდა და ვაშინგტონში გამართულ სამგლოვიარო-საზეიმო ცერემონიალის გადმოცემას ტელევიზორით უყურებდა. ტეხასელ ჩინოვნიკთა ერთი ნაწილი სამსახურებრივი მოვალეობის გამო ლორელ-ლენდის მემორიალურ პარკში პოლიციელ ტიპიტის დაკრძალვას ესწრებოდა. დანარჩენები მალულად სპობდნენ პარასკევს მომხდარი კატასტროფის შედეგებს.

ამ ნანგრევთა შორის ყველაზე უსიამოვნო ნარჩენი, რა თქმა უნდა, ლი ოსვალდის გვამი იყო. საბედნიეროდ, ქალაქის მმართველობის მესვეურთ არ დასჭირდათ ამ საზრუნავის მოგვარება. მისი დასაფლავების საქმე საიდუმლო სამსახურმა იკისრა. დაკრძალვის ადგილად, მოკლულის დედის სურვილის თანახმად, დალასიდან ოცდათი კილომეტრით დაშორებული, ქალაქ ფორტ-უორტის როუზ-ჰილის სასაფლაო დადგინდა. ორშაბათ დილით როუზ-ჰილის მესაფლავეთ ებრძანათ გაეთხარათ საფლავი ვინმე „უილიამ ბობოსათვის“, მაგრამ ტყუილმა თავი დიდხანს ვერ შეინახა. როცა სასაფლაოზე ფიჭვის ფიცრებისაგან შეკრული იაფფასიანი მოლესკინგადაკრული ოსვალდის კუბო მოიტანეს, მას არანაკლებ ასი ფორტუორტელი პოლიციელი მიჰყვა. მათ მაშინვე საფლავს

ალყა შემოარტყეს, რათა არაფერი დამუქრებოდა მიცვალებულის დედის, ძმის, მეუღლისა თუ ბავშვების სიცოცხლეს. კუბოს სახურავი ახადეს. პოლიციელთა ზურგს უკან მდგარი ორმოცი რეპორტიორი მიცვალებულს დაჟინებით მიაჩერდა.

ოსვალდის მიწაში ჩაგდების მიუხედავად, მისგან საესებით განთავისუფლება მაინც არ მოხერხდა.

დარჩა ჯეკ რუბი, დარჩა უცილობლად პასუხგასაცემი ასეულობით კითხვა. ზოგი ამ კითხვათაგანი აღშფოთებას იწვევდა, ზოგს ავის მომასწავებელი იერი დაჰკრავდა, ზოგიც, — თუმცა მაშინ ამის აღიარებისათვის საკმაო გამბედაობა არა გვყოფნიდა, — უკვალოდ უნდა გამქრალიყო. ახალი პრეზიდენტის ერთ-ერთი უპირატესად გადასაჭრელი ამოცანა ის გახლდათ, თუ ვის დაევალებოდა ყველა ამ კითხვის გამოძიება და პასუხის გაცემა.

მხოლოდ ორი წლის შემდეგ გახსნა საიდუმლო ტეხასის პროკურორმა უოგონერ კარმა. ორშაბათს, 25 ნოემბერს ახალმა პრეზიდენტმა დაურეკა. ჯონსონის წინადადებით კენედის მკვლელობასთან დაკავშირებული ყოველი ამბის გამოძიება ტეხასის ხელისუფალთ უნდა ეკისრათ. ამით პრეზიდენტი თავიდან აიცდენდა დალასში ფედერალური აგენტების გაგზავნის საჭიროებას. კარის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჯონსონი დაბეჯითებით სთხოვდა, არ გაემხილა ამ იდეის ავტორის ვინაობა და ბეჭდვითი სიტყვის წარმომადგენელთათვის თვითონ ეცნობებინა გამოძიების მიმდინარეობის ამბავი. „ყველაფერი ეს ისე უნდა მომეწყო, — იგონებდა შემდეგ კარი, — თითქოს ეს გადაწყვეტილება თვითონ მე გამოვიტანე". კარი დაემორჩილა ჯონსონის წინადადებას და ოტელ „სტატლერ-ჰილტონში" თავშეყრილ ჟურნალისტების წინაშე შესაბამისი განცხადებით გამოვიდა.

მაგრამ დალასში მოზღვავებულ ფედერალურ გამომძიებელთა შეკავება უიმედო საქმე აღმოჩნდა. მათი დიდი რაოდენობა უკვე დალასში იყო ჩასული. დალასში ჩამოფრინდა იუსტიციის საშმართველოს უფროსი ჯეკ მილერი. პოლიციელი ტიპიტის დაკრძალვის შემდეგ მან და დალასის ფედერალურმა პროკურორმა ბერფუტ სანდერსმა დაითანხმეს საოლქო პროკურორი უეიდი და შემდეგ თვით უოგონერ კარიც, არ დაეჩქარებინათ მოვლენათა განვითარება. დაეცადათ ვიდრე იუსტიციის მინისტრის მოადგილე კატ-

ცენბახი არ დაარწმუნებდა პრეზიდენტ ჯონსონს თავისი გადაწყვეტილების შეცვლის აუცილებლობაში. უოგონერ კარის გადაბირებას დიდი დრო არ დასჭირვებია. მან საკმაოდ იწვნია პრეს-კონფერენციის სიმწარე, სადაც, მისი სიტყვებით თუ ვიტყვით, ტეხასის საწინააღმდეგოდ დაგროვილი შხამი ყველა მას შეასვეს.

ტეხასელები კონსერვატორული ყაიდის ხალხია, — უოგონერ კარიც მათ რიცხვს ეკუთვნოდა და უკიდურესად მტკივნეულად განიცდიდა ყოველგვარ თავდასხმას. კრიტიკული ხმები თვით ტეხასშიაც გაისმოდა. განსაკუთრებით ხმამაღლა დალასის სამღვდელოება ილაშქრებდა. პოლიციამ, სიცოცხლის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სპეციალური დაცვა გამოუყო მეთოდისტური ეკლესიის მღვდელ ჰოლმსს, მას შემდეგ, როცა მან საჯაროდ განაცხადა: დალასის მოსწავლეები აღფრთოვანებული აპლოდისმენტებით შეხვდნენ პრეზიდენტის მკვლელობის ცნობასო. იმავე მეთოდისტური ეკლესიის პასტორმა დიკონსონმა თავის მრევლს დაუფარავად განუცხადა, — დანაშაულებრივი მტრობით აღგზნებული მხოლოდ ზოგიერთი უპასუხისმგებლო ელემენტი როდი იყო. ჩვენს ქალაქში, პრეზიდენტის ჩამოსვლამდე ორი დღით ადრე, მეტად სასაიამოვნო და სავსებით რესპექტაბელური შეხვედრის დროს ერთმა ფრიად განათლებულმა ცოლ-ქმარმა სადილზე ყოფნისას ზიზღის დაუფარავად განაცხადეს — ვერ ვიტანთ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს და სულაც არ დაგვენანება, ვინმე მიზანში თუ ამოიღებსო.

პრესვიტარიანელი პასტორის, უოლტერ ბენეტის აზრით, ქალაქში დაგროვილმა ზიზღმა ბოლოს ცეცხლის ქარიშხლად იფეთქა. თავისი მამხილებელი ქადაგების ტექსტში ბაპტისტი ჯეიმს ალენი კენედის მკვლელობაზე პასუხისმგებელ დალასელ ძალებს ამათრახებდა: „თავიანთ სოროებს თავშეფარებული ეს ძალები დღის სინათლეზე გამოძვრნენ, როგორც კი საერთო სიძულვილით გავარვარებული ატმოსფეროს სითბო იგრძნეს“.

ამდაგვარი ტირადები სერავდნენ ქალაქის ხელისუფალთა ნაზ გრძნობებს და დალასის მამები შემოვლით თავდაცვაზე გადავიდნენ. ქალაქის მერმა კეიბელმა გადაჭრით განაცხადა, ოსვალდი არ ყოფილა ჩვენი ქალაქის მუდმივი მკვიდრიო, მერე ზსიც დასძინა: „ეს ყველაფერი ასევე შეიძლებოდა მომხდარიყო პოდუნკშიაც“

(ქალაქის მერის ამ განცხადებას ჟურნალი „ნიუსუიკი“ კითხვით გამოეპასუხა: „განა პოდუნკელი მოსწავლეები ასევე აღფრთოვანდებოდნენ, ეს ამბავი მათ ქალაქში რომ მომხდარიყო და არა დალასში?“). მუნიციპალური საბჭოს წევრის კერი უელჩის მტკიცებით, „ეს შემთხვევა არ უნდა დაემჩნეს დალასის სახესა თუ ხასიათს“. დალასის „მორნინგ ნიუსი“ კვლავ გადავიდა შეტევაზე და სარედაქციო წერილის საშუალებით თავის მკითხველებს მოსთხოვა — „თქვენი გულებიდან ამოიგდეთ დანაშაულისა და სიმწარის გრძნობა და ცხოვრების ნორმალურ სახეს დაუბრუნდით“. წერილის ავტორებმა მოწყალება მოიღეს და აღიარეს, ის დღეები დალასისათვის მართლაც მძიმე დრო იყოო, თუმცა იმასაც გაიძახოდნენ ქალაქი ხესა ჰგავს და დიდ სიმაღლეს მხოლოდ ქარაშოტების გამოკლებით მიაღწევსო.

გაცილებით მეტად საყურადღებო მოვლენა გახლდათ ის ძლიერი და თანდათან მზარდი თანაგრძნობა, რასაც დალასისადმი ტეხასის შტატის ფარგლებს გარეთ იჩენდნენ. პრეზიდენტ კენედის მკვლელობიდან ნახევარი საათის შემდეგ „ამერიკის ხმის“ დიქტორმა დალასს ულტრამემარჯვენე ძალების ცენტრი უწოდა. ახლა „ნიუ-იორკ ტაიმსის“ ფურცლებზე არტურ კროკი აღშფოთებით კიცხავდა იმ თვითნებურ და, როგორც უკვე გამოირკვაო, სრულიად უმართებულო მტკიცებას მკვლელის მემარჯვენეთა აზრების მიმდევრად აღიარების თაობაზე. „მორნინგ ნიუსს“ ერთი ქალაქის კონსერვატორული ძალების რეპუტაცია აწუხებდა, კროკი კი მთელი ქვეყნის კონსერვატორებზე ზრუნავდა. ორთავე შემთხვევაში კროკის პოზიცია შემდეგი სიტყვებით შეგვეძლო გამოგვეხატა: „დაე მუდამ მართალი იყოს ჩემი კერპი, თუმცა იგი ჩემთვის მაინც ურყევ კერპად დარჩება, მართალი იქნება თუ არა“. საფრთხის ქვეშ იდგა მთელი ქვეყნის რეპუტაცია. ჰოდა, სწორედ აქედან წარმოსდგა მკვლელის ანგარიშიდან ჩამოწერის აუცილებლობა, როგორც გარემოსთან კავშირს მოწყვეტილი, ერთადერთი გადაგვარებული კაცისა.

— მთელი უბედურება ის არის, რომ ყველაფერს ახლა იმ ოცდაოთხი წლის ყმაწვილს დააბრალებენ, — თქვა პრეზიდენტის თანაშემწე რალფ დანგენმა.

ეს იყო ისტორიაში ერთ-ერთი იმ იშვიათ ორშაბათთაგანი, რო-

ცა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესმა სასამართლომ თავისი მორიგი სხდომა გადადო. სხდომის სანაცვლოდ მოსამართლენი ერლ უორენის სახლში შეიკრიბნენ და გეზი თეთრი სახლისაკენ აიღეს.

სენატორებმა დილის 10 საათზე შეწყვიტეს ხორბლის გაყიდვის კანონპროექტის განხილვა. წარმომადგენელთა პალატის წევრების შემდეგ სწორედ მათ ჩაუარეს კენედის კუბოს. მერე სენატის უმაღლესი დიდკაცობა წმ. მათეს ტაძრისაკენ დაიძრა, მიშინ როცა მათმა რანგით უმცროსმა კოლეგებმა მდინარე პოტომაკის ხიდი გადაჭრეს და არლინგტონის სასაფლაოსთან მიახლოებისას საიდუმლო სამსახურის აგენტებს თავიანთი საბუთები წარუდგინეს.

შეწყდა დედაქალაქის ყოველგვარი საქმიანი აქტივობა. ეს იყო დაკრძალვის დღე და, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველი ამერიკელი ცდილობდა ასე თუ ისე, მასში მონაწილეობა მიეღო.

დილით, ზუსტად 9 საათზე, როტონდის ფართო კარი დაიხურა. 250 ათასმა კაცმა მოასწრო კენედის კუბოსთან ჩავლა, მაგრამ გეგონებოდათ, ისინი ისევ კაპიტოლიუმის შენობასთან დგანანო. კვლავ ზღვა ხალხი იდგა როტონდის კარს მიღმა. ერთ კლივლენდიდან ჩამოსულ ოჯახს 20 ფუტის გავლაღა სჭირდებოდა. კუბოსთან თავშეყრილნი გაჭიმულ ბაგირებს იქით განზე გადგნენ. გარეთ კი გზის კიდეებში ჩამწკრივებულნი გათენებამდე მოსული ათიათასობით ადამიანი მდუმარედ ელოდა სამგლოვიარო პროცესიის დაწყებას.

სინამდვილეში, სამგლოვიარო ცერემონიაში ბარე სამ პროცესიას უნდა მიეღო მონაწილეობა. ჯერ კენედის ოჯახი და სამხედრო ნაწილები ლაფეტზე დადგმულ კუბოს კაპიტოლიუმიდან თეთრ სახლამდე ესკორტად უნდა გაჰყოლოდნენ. მერე ქვრივი გადმოვიდოდა მანქანიდან და, პროცესიის თავში მოქცეული, ფეზით მივიდოდა წმ. მათეს ტაძრამდე. სამგლოვიარო მესის შემდეგ პროცესიის ყველა მონაწილე კვლავ ჩაჯდებოდა ავტომანქანაში და ლაფეტის მიყოლებით არლინგტონის სასაფლაომდე მივიდოდა. მთელი ამ მარშრუტის სიგრძე ექვს მილს აღემატებოდა. სამგლოვიარო კორტეჟის მსვლელობის მთელ მანძილზე გზის ორსავე მხარეს აურაცხელი ხალხი იდგა.

მოგვიანებით ბანდი წერდა: „გეგონებოდათ, მთელი ეს გზა შინდა მათეს ტაძრამდე. და შემდეგ თვით სასაფლაომდე გიგანტური ამფითეატრის მწკრივები იყო, სადაც უდიდესი მწუხარების განსაცვიფრებელი დრამა თამაშდებოდა“.

დილის 10 საათზე კაბინეტის წევრები, კონგრესის ლიდერები, ოთხი სახლის აპარატი, გარდაცვლილი პრეზიდენტის ახლო მეგობრები და საზღვარგარეთელი საპატიო სტუმრები თეთრი სახლის მწვანე, ცისფერ, წითელსა და საპარადო დარბაზებში შეიკრიბნენ. თითოეულ მათგანს ასეთი შინარსის პატარა მოსაწვევი ბარათი ჰქონდა:

თ ე თ რ ი ს ა ხ ლ ი

ბატონ

ორშაბათს, 1963 წლის 25 ნოემბერს, გიწვევთ დაკრძალვის მსვლელობაში მონაწილეობის მისაღებად. 11 საათსა და 30 წუთზე პროცესია დატოვებს თეთრ სახლს და წმ. მათეს ტაძრისაკენ გაემართება. სადაც შედგება სამგლოვიარო მესა.

* *

წმ. მათეს ტაძარში უკვე აღემართათ და ალისფერი ხავერდით მოეფარდაგებიათ საეკლესიო კატაფალკი. თეთრ მარმარილოს საკურთხეველზე დადგმულ ექვს ოქროს სასანთლეში თაფლის ვეებერთელა სანთლები კიაფობდნენ. მათი მერხევი ალი წითელ ათინათად ეცემოდა ყვავილებიან ლარნაკებს. გრანტ ლა ფარჟის გენიით შექმნილი ეკლესიის მდიდრულად გაფორმებულ თაღებქვეშ გარდაცვლილი პრეზიდენტის ნათესავები, წარჩინებულთა ცოლები, დიპლომატიური კორპუსის წევრები, მთელი „ქვეკაბინეტი“ და „ახალი ზღუდეების“ ელიტა იდგნენ. მზად იყო არლინგტონში გაჭრილი სამარეც. იქვე მდგარ ირლანდიელ კადეტებს ჯერ ისევ შეეძლოთ თავისუფლად დგომა. ორ გენერალს უჩვენეს, თუ როგორ აინთებოდა მუდმივი ცეცხლი. ამაო გამოდგა გენერლების შიში, ცეცხლის ალი ირგვლივ შემოწყობილ ფიჭვის ტოტებს გადასწვდებაო. მაკლელანის მოედანზე 76-ე მილიმეტრიანი ზარბაზნების ბატარეასთან ბრძანებას ელოდა არტილერიის კაპიტანი, გვარად გეი.

თავიანთი ადგილები დაიკავეს სამხედრო საჰაერო ძალების ორკესტრის წევრებმაც.

აკლდამა ახდილი იყო. იქვე იდგა პრეზიდენტის კუბოს ჩასაშვები სპეციალური მოწყობილობა.

საზღვარგარეთიდან დაკრძალვის ცერემონიალში მონაწილეობის მისაღებად ჩამოსული სახელმწიფო მოღვაწენი ყურადღებით ათვალიერებდნენ სარჯენტ შრივერის მიერ დარიგებულ მოსაწვევებს.

ადრე დილიდანვე დამაფიქრებლად იმატა ანონიმურ მუქარათა რიცხვმა. მოსალოდნელ მსხვერპლად ყველაზე ხშირად დე გოლს, ანასტას მიქოიანს, პრეზიდენტ ჯონსონს, რობერტ კენედისა და ერლ უორენს ასახელებდნენ. მაგრამ ამ ადამიანთა დაშინება არც ისე ადვილი საქმე იყო. ჯონსონის ერთ-ერთმა ტეხასელმა მეგობარმა გაიხსენა, თუ როგორ დაემუქრა დაშინებით თავმობეზრებული ჯონსონი თავის ადიუტანტ პოლკოვნიკ ჯეკსონს: „რატომღაც ერთთავად ბრძანებლობას ჩემულობთ. თქვენ რომ დაგიჯეროს კაცმა, იდიოტად გადაიქცევა. მე ფეხით წავალ. მორჩა და გათავდა". ასევე მკაცრი იყო ბობი კენედის გადაწყვეტილება, თუმცა თავისი აზრი ასე მკვახედ არ გამოუთქვამს. ნიკ კაცტენბახი და ედ გუტმანი შეეცადნენ რობერტი დაეყოლებინათ ხალხის წინაშე როგორმე ნაკლებად გამოჩენილიყო, მაგრამ მან უბრალოდ საუბრის თემა შეცვალა. ხოლო როცა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა მაკოუნმა სპეციალურად დაურეკა, რობერტმა ასეთი პასუხი გასცა: „ამ თემაზე ვინმე სხვას ელაპარაკეთ. ეს დღე ჩემთვის მეტისმეტად ბევრს ნიშნავს". უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ერლ უორენის რეაქცია ვაშინგტონის პოლიციის ამდაგვარ გაფრთხილებაზე შედარებით უბრალო აღმოჩნდა. უორენმა თავი ისე დაიჭირა, ვითომ არაფერი გაუგონია და, რასაკვირველია, პასუხადაც არაფერი უთქვამს.

როცა ეს ყველაფერი ახლა იწერება, ამგვარი მოქმედება დიდ შთაბეჭდილებას ვერ ახდენს. დაკრძალვის ცერემონია სწრაფად დამთავრდა და ცუდიც არა მომხდარა რა. მაგრამ იმ ორშაბათი დღის 10 საათზე არავის შეეძლო თავი დაედო ესოდენ მშვიდობიან დასასრულზე.

განა ამდაგვარი გაფრთხილებანი არ უძღოდა წინ პარასკევს

მომხდარ პრეზიდენტზე თავდასხმას. გაფრთხილებანი უსწრებდა თვით ოსვალდის მკვლელობასაც. ჰოდა, აი, კვლავ გაისმა გამაფრთხილებელი სიგნალები. ამჯერად დაქირავებული მკვლელისათვის საჭირო არ იყო სნაიპერის აუცდენლობა და ყალბი საბუთების გამოყენება. ვთქვათ, კიდევაც რომ აეცდინა ერთი გარკვეული გამოჩენილი პიროვნებისათვის, მეორეს მაინც უსათუოდ მოხვდებოდა. თეთრ სახლსა და წმინდა მათეს ტაძარს შორის მოთავსებული რვა კვარტალი ახლა ქალაქის ყველაზე ხალხმრავალი ნაწილი იყო. სწორედ ადამიანებით აფუთფუთებულ ამ ხეობაში ნელი ნაბიჯებით უნდა გაევლო მსოფლიოს უმეტეს სახელმწიფოთა უმაღლესი ძალაუფლებით აღჭურვილ მოღვაწეთ.

უშიშროების სამსახური ენერგიას არ ზოგავდა, ყველაფერს აკეთებდა შესაძლებლობის შესაბამისად. პენტაგონსა და ვაშინგტონის პოლიციას თოფქვეშ ოთხი ათასი კაცი ჰყავდა. მათ რიცხვში ნიუ-იორკიდან, ქალაქის მესვეურთა მიერ თავიანთ ხარჯზე გამოგზავნილ პოლიციელთა დიდი ჯგუფი. პროცესიის მონაწილეთა შორის უნდა გარეულიყო თეთრი სახლის დაცვის აგენტები, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს 64 თანამშრომელი, გამოძიების ფედერალური ბიუროს 40 აგენტი, სახდეპარტამენტის უშიშროების სამსახურის 250 თანამშრომელი და უცხო სახელმწიფოთა პოლიციელების რჩეული წარმომადგენლები. მარტო დე გოლს 12 ფრანგი მცველი და 10 სახდეპარტამენტელი აგენტი იცავდა. მღელვარება კი მაინც არ ცხრებოდა. დინ რასკი ცისფერ დარბაზში კაბინეტის წევრებს გამოუტყდა: „მეტისმეტად შეშფოთებული ვარო“, მაგალითისათვის დე გოლი დაასახელა, კაცი, რომელიც უკვე „ოთხჯერ იყო მოსაკლავად მიზანში ამოღებული“. მისი აზრით, ანასტას მიქოიანიც „პირველხარისხოვანი მნიშვნელობის მიზანი“ იყო. დუგლას დილონმაც რასკის შეხედულება დაადასტურა და თავისი განსაკუთრებული შიში გამოთქვა მიქოიანის სიცოცხლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. „ვშიშობ, რომ მიქოიანს ესვრიან“. თავისი შიში არც ოლივერ ფრიმენს დაუმალავს. შეშინებულმა ჯორჯ ბოლმა უარიც კი განაცხადა ცერემონიალში მონაწილეობაზე. მან და ალექსის ჯონსონმა სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში მორიგეობა ამჯობინეს.

თვით უკანასკნელ წუთებამდე ცდილობდნენ როგორმე გადა-

ებირებინათ ქვეითი პროცესიის ცალკეული მონაწილენი და მანქანებში ჩაესვათ. ლუელინ ტომპსონმა რუსებს მოაგონა, მიქოიანს შესანიშნავი მიზეზები აქვს მანქანაში ჩასაჯდომად. ერთი, რომ არცთუ ცოტა ხნის კაცია, მეორეც ახლად მომჯობინებულია ჰეპატიტთან დაკავშირებული ოპერაციის შემდეგო. მაგრამ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, სხვათა მსგავსად, მოუდრეკელი კაცი აღმოჩნდა. შეუძლებელი შეიქნა ირლანდიის პრეზიდენტის დე ვალერას გადაწყვეტილების შეცვლაც. ამ კაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმე იყო, რომ მისი ვაჟი, პროფესიით ექიმი, იძულებული გახდა ჯიბეში შპრიცით მამას გვერდით ამოსდგომოდა და მასთან ერთად ევლო. როგორც მოსალოდნელი იყო, მათი გამბედაობის მთავარი წყარო აქაც ჟაკლინ კენედი გახლდათ. ვინაიდან სამგლოვიარო მსვლელობის მეთაურობას თვითონ აპირებდა, ყველა მის მაგალითს უნდა მიჰყოლოდა. მამაკაცთა სქესის არც ერთ ლიდერს არ შეეძლო საშიშროებისათვის თავი აერიდებინა, როცა ქალი მას სახეში უყურებდა.

მოსალოდნელი თავდასხმის თაობაზე სამი უკანასკნელი შეტყობინება გამოგზავნილი იყო კანადის სამეფო ცხენოსანი პოლიციიდან, გამოძიების ფედერალურ ბიუროდან და ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოდან. კანადის პოლიციამ „მიიღო ცნობა", რომ ვიღაც ფრანგული წარმოშობის, გულში დაუმცხრალი წყენით აღგზნებული კანადელი სამხრეთისაკენ გამოეშურა გენერალ დეგოლის მოსაკლავად.

გამოძიების ფედერალური ბიურო კიდევ უფრო ბუნდოვანი ენით ლაპარაკობდა. დირექტორი მეტისმეტად „შეშფოთებული" იყო და „რეკომენდაციას იძლეოდა, მსვლელობაში მონაწილეობას ნუ მიიღებთო", რამაც მოთმინების ფიალა აუვსო სარჯენტ შრივერს.

— ეს ხომ სისულელეა, — მკვახედ ისროლა მან, — შეშფოთებული ვინ აღარ არის. განა გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორობაა საჭირო იმის განსაჭვრეტად, რომ საერთოდ რაღაც საშიშროებაა მოსალოდნელი. ეს ხომ თეთრი სახლის შვეიცარისათვისაც კი ნათელი ამბავია. ყველა ეს ხრიკები მხოლოდ იმისათვის არის საჭირო, თუ ვინმე მოკლეს, დირექტორს სათქმელი ჰქონდეს: „აი, მე ხომ გაგაფრთხილეთო". ეს უბრალოდ თავის დაზღვევაა და მეტი არაფერი. უფრო კონკრეტული ხასიათი ჰქონდა

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ცნობებს. 10 საათსა და 30 წუთზე შიკრიკმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ბინიდან გადმოცემული სასწრაფო შეტყობინება გადასცა მაკოუნს. აშკარა იყო, მაკოუნი ააღელვა ცნობის შინაარსმა. შეტყობინებას გრიფი „A-I-A"-ესვა, რაც ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ჟარგონით ცნობის „აბსოლუტურ უტყუარობას" ნიშნავდა. ცნობა მოწოდებული იყო ნიუ-იორკის კავშირგაბმულობის ცენტრის საშუალებით, ქენეკის ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს აგენტებისაგან. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს რეზიდენტურას ეგონა, რომ ხელთ ვიგდე საკმაოდ მოფიქრებული შეთქმულების უტყუარი საბუთებიო. შეთქმულთ გენერალი დე გოლი წმინდა მათეს ტაძარში შესვლისას უნდა მოეკლათ. მაკოუნი დარწმუნებული იყო, საქმე „საშიშ" ხასიათს იღებდა და გენერალი დე გოლის სასწრაფოდ გაფრთხილება სცნო საჭიროდ. მაკოუნმა სახელმწიფო დეპარტამენტის საოქმო განყოფილების უფროსი დიუკი მონახა, როგორც ფრანგულის მასზე უკეთ მცოდნე, თვითონ დიუკმა კი ფრანგულად უზადო მოლაპარაკე მაკორჯ ბანდი მოიშველია.

— ჰოდა აი, მე და დიუკს, — ყვებოდა შემდეგ ბანდი, — წილად გვხვდა დე გოლთან მოლაპარაკება.

გენერლებმა დე გოლს ჯერ საშიში ცნობები გაუმხილეს, მერე კი დახურულ ლიმუზინში ჩაჯდომაზე დაყოლიება სცადეს. თავგამოდებით უმტკიცებდნენ — ჟაკლინის მიმართ პატივისცემის გამოხატვა სწორედ ის იქნება, თუ საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში არ ჩაგდებთო. გენერლის პასუხის წინასწარმეტყველება ადრევე შეიძლებოდა, თუმცა ამ საუბრის მონაწილეთ შემდეგ სხვადასხვაგარად გაიხსენეს დე გოლის ეს უარი. დიუკის მოგონების მიხედვით, დე გოლმა თავისი უარი შემდეგნაირად გამოხატა: სწორედ სიცოცხლისადმი შიშის არად ჩაგდებით მსურს გამოვხატო ქალბატონ კენედის მიმართ ჩემი პირადი პატივისცემაო. მაგრამ ბანდის თუ დავუჯერებთ, მას მხოლოდ ცივი ხმით წარმოთქმული მოკლე „ნონ" ესმოდა. ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს უფრო თბილი მიღებით შეეძლო დაეტრაბახა, ვიდრე გამოძიების ფედერალურ ბიუროს. როცა დე გოლს, უდიდესი დამაჯერებლობის მინიჭების მიზნით, გამოძიების ფედერალური ბიუროს პაკეტი წარუდგინეს, შრივერმა თავის თვალით დაინახა დე გოლის ზიზ-

ღით მოკუმული ტუჩები. დიახ, გუვერისათვის გაცემული პასუხი ახლოლად „ფფუ“ ბგერების წარმოთქმით შემოიფაოგლა.

და აი, დადგა პროცესიის დაძვრის ჟამი. გარდაცვლილი პრეზიდენტის ნათესავები რამდენიმე წუთის დაგვიანებით გამოვიდნენ თეთრი სახლიდან და შესასვლელთან მომლოდინე უსასრულო ქარავნის ერთ-ერთ ლიმუზინში ჩასხდნენ. მანქანების კავალკადა კაპიტოლიუმისაკენ გაემართა, სადაც უკვე იდგნენ გრძელ მწკრივებად ჩარიგებული სამხედროები. მათ ვაშინგტონის სამხედრო ოლქის სარდალი, გენერალ-მაიორი უილი მეთაურობდა. სარდლის ზურგს უკან საპარადო მუნდირების ცისარტყელა გაწოლილიყო. სამხედრო-საზღვაო ფლოტის ორკესტრის მუსიკოსების ალისფერი მუნდირები, სამხედრო აკადემიის კადეტების ნაცრისფერი ტანსაცმელი, გარდემარინთა მუქი ლურჯი ფორმა და მფრინავთა ბაცი ცისფერი კიტელები ერთ მრავალფეროვან სანახაობად ქცეულიყო. გაერთიანებული ორკესტრისა და შტაბების მეთაურთა ოქროსფრად მბრწყინავი სირმების რიგთა უკან უმხედრო ბედაური, კოხტა, მოყვანილთავიანი, ამაყად ყელმოღერებული შავი ჯეკი იდგა. ამ მოხდენილი ბედაურის მხედარი ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი უნდა ყოფილიყო. აპრიალებულ ჩექმებსა და ცხენის აღკაზმულობაზე მიბმულ ხმლის მოვერცხლილ ქარქაშზე ზამთრის მზის ცივი სხივები კიაფობდნენ.

პროცესია თეთრ სახლს მიუახლოვდა. გაისმა ზარების რეკვა და ანაპოლისის გუნდის გალობა. სამხედრო ესკორტი, ბრძანების გაგონებისთანავე — თეთრი სახლის გვერდით, მეჩვიდმეტე ქუჩაზე შეჩერდა.

ლაფეტი მსვლელობას განაგრძობდა. მისი ბორბლები თეთრი სახლისაკენ მიმავალ, სახელმწიფო ალმებით მოფენილ ხეივანში მისრიალებდა, გზად გაწოლილ შემოძარცულფოთლებიან ხეთა ჩრდილებზე.

სწორედ ამ დროს, ახალი პრეზიდენტი და მისი მეუღლე ჯერი ბენის თანხლებით პრეზიდენტის კანცელარიის შენობიდან გამოვიდნენ და აჩქარებული ნაბიჯით კენედის ოჯახის შესახვედრად გაემართნენ.

დაქვრივებულმა პირველმა ლედიმ როგორღაც უხერხულად

გადმოაბიჯა მანქანიდან. წაბორძიკდა კიდეც, მაგრამ მაშინვე გასწორდა. ქალს მეზღვაურთა გუნდის გალობა შემოესმა. მგალობლები ახლა მესამე ჰიმნის შესასრულებლად ემზადებოდნენ. ჟაკლინს ფრიად გაბედული გამომეტყველება ჰქონდა, სინამდვილეში კი სავსებით დაბნეული იყო. ცერემონიის ეს ნაწილი სხვებმა მოამზადეს და აქამდე იგი ღრმად არც კი ჩაფიქრებია, თუ ვინ ჩამოვიდოდა დაკრძალვაზე საზღვარგარეთიდან. ყოველ შემთხვევაში, ის მაინც არ ეგონა, რომ ჩამოსულნიც ამ მსვლელობაში მიიღებდნენ მონაწილეობას. ახლა კი ყველას აქ მოეყარა თავი.

უეცრად ჟაკლინი შემობრუნდა და დაწინაურდა. საგალობლის შესასრულებლად მომზადებული გუნდი იძულებული შეიქნა გაჩუმებულიყო. შეუჩერებლად რეკდნენ ეკლესიის ზარები.

რობერტ კენედი ჟაკლინს დაეწია და მარჯვენა მხრიდან ამოუდგა, მარცხენა მხარეს კი უმცროსი მაზლი ტედ კენედი დაუდგა.

და აი, უეცრად ზარების სამგლოვიარო გუგუნს მესტვირეების გამკივანი ხმაც შეერია. პოლკოვნიკ მილერის ბრძანების ხმაზე ცხრა მესტვირე მსვლელობას შეუერთდა. მთელი მათი გარეგნობა: დათვის ტყავის შავ-შავი ბოხოხები, წითელი ტარტანები და ქათქათა გეტრები ისევე მოულოდნელი იყო, როგორც მათი მუსიკა. და მაინც შოპენის სამგლოვიარო მუსიკისაგან ესოდენ განსხვავებული სტვირების ნაღვლიანი ქვითინი ამ სევდიანი პროცესიისათვის სრულიად ბუნებრივად ჟღერდა. უფრო მეტიც, სტვირის ხმაზე როგორღაც უფრო მსუბუქადაც კი მიაბიჯებდნენ. პროცესიის მწკრივები აირია. ამ გაუთვალისწინებელმა მდგომარეობამ, რა თქმა უნდა, დაცვის ამოცანა შეამსუბუქა. მაგრამ წესრიგის უზრუნველყოფის მოჩვენებითობაც კი შეუძლებელი შეიქნა. ჩურჩულით გადმოცემული ინსტრუქციები კოლონათა ენობრივი სხვადასხვაობის გამო სრულიად უსარგებლო აღმოჩნდა. ხანდაზმული ასაკი მძიმე ტვირთად აწვა მსვლელობის ზოგიერთ მონაწილეს — დე ვალერას, დასავლეთ გერმანიიდან ჩამოსულ ლუბკესა და თურქეთის პრემიერ ინენიუს. დასაწყისში ისინი პირველ რიგებში იყვნენ, მაგრამ იმ დროისათვის, როცა კოლონამ მარცხნივ, კონექტიკურ-ავენიუზე შეხვევა იწყო, უკანასკნელ რიგებში აღმოჩნდნენ. და მაინც მთელი ეს არეულობა არავის საყვედურს არ იწვევდა.

წმინდა მათეს ტაძრის საფეხურზე მდგარი კარდინალი კაშინგი სამგლოვიარო პროცესიის მოახლოებას უცდიდა. მას წითლით გაწყობილი შავი მანტია და მაღალი თეთრი მიტრა ემოსა. ჟაკლინ კენედის კარდინალი ერთი შეხედვით როგორღაც „უზარმაზარ“ ფიგურად წარმოუდგა. კარდინალმა კი ტაძრისკენ მომავალი თავისი პრეზიდენტის კუბო რომ დაინახა, თავი ჩაღუნა და ატირდა, თუმცა აცასცახებული ხელით მაშინვე მოიწმინდა ცრემლი.

როგორც კი სამხედრო ორკესტრმა „დიდება ბელადის“ დაკვრა დაამთავრა და ჰიმნი „ილოცეთ განსვენებულთათვის“ დაიწყო, კარდინალმა ჟაკლინისა და მისი ბავშვების შესახვედრად ხელები გაშალა. ქვრივს მოეხვია და აკოცა, ხოლო ქალს მუხლის მოდრეკისა და ბეჭედზე მოხვევის ნება დართო — რასაც სხვა შემთხვევაში არ დაანებებდა.

კარდინალი, საეკლესიო მსახურის თანხლებით, რომელსაც ხელში ჯვარცმა ეჭირა, ტრადიციული რიტუალისა და მიცვალებულისათვის წესის ასაგებად მოემზადა. ლეიტენანტ ბერდისათვის კი ეს ამბავი სრული მოულოდნელობა აღმოჩნდა. მან და მთელმა მისმა კომანდამ ლაფეტს ღვედები შეხსნეს, კუბო მხარზე შეიდგეს და კიბის საფეხურებს შეუყვნენ. და აი, უეცრად ნაკურთხი წყლით ხელში გზა კარდინალმა გადაუღობა. საშინელ მდგომარეობაში აღმოჩნდა კუბოს ქვეშ მდგარი რვა მამაკაცი. კუბოს სიმძიმე თანაბრად არ იყო განაწილებული. ბერდი უკანასკნელ ძალებს იკრებდა და კუბოს ქვემოდან იმაგრებდა, იმ დროს, როცა მღვდლის წრიპინა ხმა თითქოსდა დაუსრულებელი ლოცვის წარმოთქმას განაგრძობდა. ლეიტენანტს არასოდეს მოესმინა ასეთი გრძელი ლოცვა. კათოლიკურ ლიტურგიაში გაუთვითცნობიერებულ ბერდს წუთით თავში საშინელმა აზრმა გაუელვა. ვინ იცის, იქნებ, მესა სულაც ეს არისო. ის იყო ილაჯგამწყდარი ლეიტენანტი კარდინალისათვის გადაჩურჩულებას აპირებდა: „კმარა, კარდინალო, ახლა დავიძრათო“, რომ მისმა უსამღვდელოესობამ დამამთავრებელი სიტყვები წარმოთქვა: „და დაადგება თავს მუდმივი ნათელი“. კარდინალმა დროშას აკოცა და განზე გადგა. როგორც იქნა, ლეიტენანტმა ბერდმა და მისმა თანაშემწეებმა კუბო ტაძარში შეიტანეს და კატაფალკაზე ფრთხილად დაუშვეს.

დერეფანში გუნდმა გრიგორიანური „სუბვენიტე“ შეასრულა. ბენ ბრედლი და კიდევ რვა მომწესრიგებელი თავგამოდებით ცდილობდნენ, რაც შეიძლება ჩქარა დაესვათ პროცესიის მონაწილენი. კენედის ოჯახი ადვილად მოათავსეს, გაუთვალისწინებელი სიძნელეები წარმოიშვა გამოჩენილ უცხოელ მოღვაწეებთან დაკავშირებით. ეს კი საოქმო ნაწილის უფროსის, ენჯი დიუკის საზრუნავი გახლდათ, და მერე როგორი საზრუნავი! ამ სუსტმა კაცმა, სამი დღე და ღამე შეუსვენებლივ იმუშავა. დაკრძალვის შემდეგაც მისი მოსაგვარებელი იყო ორი საპასუხისმგებლო მიღება: ერთი, ჟაკლინ კენედის სახელით თეთრ სახლში და მეორე, პრეზიდენტ ჯონსონის სახელით სახელმწიფო დეპარტამენტის შენობაში. თუმცა მისთვის ყველაზე ძნელ გამოცდად ეკლესიის ეს ერთი საათი იქცა. ყველაფერი იმას მოჰყვა, რომ რეზერვში დატოვებულ, მის მიერ წინა ღამით განაწილებულ ადგილებს პრეზიდენტის თანაშემწე ჯეკ მაკნალიმ პრეზიდენტ კენედის აპარატის თანაშრომლებისათვის კონსფისკაცია უყო. დიუკი იძულებულ გახდა, ყველა ეს უცხო სახელმწიფოთა მეთაურნი მარჯვნივ, წმინდა იოსების სამლოცველოსკენ გაეყვანა. მაგრამ, მისდა საუბედუროდ, ამ ადგილიდან, თურმე, საკურთხეველი საერთოდ არ ჩანდა.

ენჯი დიუკმა ახლა იმპროვიზირებას მიჰყო ხელი. ეკლესიის რომელიღაც თანამშრომელი ჩაიგდო ხელში და სტუმრების წინ ტელევიზორის დადგმა მოითხოვა. მას უპასუხეს, მართალია, ტაძარში არის ტელევიზორი, მაგრამ ყოველად დაუშვებელია მესის დროს მისი ჩართვაო, დიუკი შეეპასუხა, საფრთხის წინაშე დგას ოთხმოცდათერთმეტ სახელმწიფოსთან დიპლომატიური ურთიერთობის საკითხი.

ბოლოს მაინც დიუკმა გაიმარჯვა. ტელევიზორი მოიტანეს და ჭსელში ჩართეს. მაგრამ დიუკი და მისი ხელქვეითები ისევ დაღონდნენ, როცა სტუმრების ადგილებზე მოთავსება იწყეს იგი ახლაღა მიხვდა, რომ პალტოები ანგარიშში არ ჩათვალა და სათვალავში მოტყუვდა. მას მხედველობიდან გამორჩენოდა კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება. ეთიოპიის იმპერატორს, ბელგიის მეფესა და იტალიის დედოფლის მეუღლეს წელზე უზარმაზარი ხმლები ეკიდათ, რაც ასევე დამატებით სივრცეს ითხოვდა. ხუთადგილიან საეკლესიო სკამზე ოთხი სტუმრის დასმა ნიშ-

ნავდა ოცი კაცის უადგილოდ დატოვებას, ანუ მთელი წირვის დროს ოცი უცხო სახელმწიფოს მეთაურის ფეხზე დგომას. ამას კი იგი ნამდვილად ვერ დაუშვებდა. რჩებოდა მხოლოდ ერთი გზა: უნდა შეეიწროებულიყვნენ და უადგილოდ დარჩენილი მეთაურები სკამებზე დაესვათ. ჰოდა აი, ხალხით გაჭედილი, გადატვირთული ავტობუსის კონდუქტორის მსგავსად, დიუკმა ყველას ხვეწნა დაუწყო — ცოტა მიიჩოჩ-მოიჩოჩეთო. აბუზღუნებული სტუმრები თხოვნას დამორჩილდნენ. ზოგიერთი სიტუაცია, მართლაც კომიკური იყო. მაგალითად, ერთადერთი თავისუფალი ადგილი, სადაც ჰოლანდიის პრინცესა ბეატრისა შეიძლებოდა დამჯდარიყო,— მიქოიანსა და მის მცველს შორის არსებული მანძილი აღმოჩნდა. დიუკმა ქალი მართლაც ჩასვა იქ. უადგილოდ მხოლოდ იამაიკის პრემიერ-მინისტრი სერ ალექსანდერ ბუსტამანტე დარჩა. სამლოცველოში უკვე ნემსი აღარ ჩაიგდებოდა და ენკი დიუკმა იგი გუბერნატორთა ადგილებისაკენ წაიყვანა. უადგილო სტუმრის დანახვაზე ნელსონ როკფელერი სკამიდან წამოდგა და თავისი ადგილი დაუთმო. სერ ალექსანდერი კი დაჯდა, მაგრამ ახლა როკფელერს გაუხდა სახვეწნად საქმე — ცოტა ჩაიწიეთ, მეც ჩამომაჯინეთო. „ქილაში ჩაწყობილ სარდინებსა ჰგავდნენო, — იგონებდა შემდეგ დიუკი მჭიდროდ ჩალაგებულ უცხოელებზე. — მთელი მესა ფეხზე დგომელა ნერვულობაში გავატარე. რაღაც სასწაულით მაინც მოვახერხეთ ყველას მოთავსება, მაგრამ ცუდად ვხდები იმის მოგონებისას, რა ჯაფა გადაგვხვდა ამის მისაღწევად“.

მომდევნო ხუთი წუთის განმავლობაში ამერიკის შეერთებული შტატების მთელი კონტინენტური ნაწილი პრაქტიკულად იზოლირებული გახლდათ. 12 საათსა და 19 წუთამდე შეწყვეტილ იყო სატელეფონო და სატელეგრაფო კავშირი გარე სამყაროსთან. თუმცა ამერიკის მილმა სამყარომ მაინც იცოდა, რა ხდებოდა ამ დროს იქ.

მესა დამთავრდა. კუბო კელავ შეიდგეს მხრებზე და ტაძრიდან გამოიტანეს. ჟაკლინ კენედი ყურადღებით მისჩერებოდა ლაფეტზე კუბოს მესამედ დადგმას. კარდინალი კაშინგი საკურთხეველის უკან გავიდა და სამოსი ხელდახელ გამოიცვალა. მან დაინახა, როგორ ამშვიდებდა პატარა კეროლაინი თავის დედას. საკურთხეველიდან გამოსული კარდინალი უკვე ალისფერ მიტრაში და ალის-

ფერ მანტიაში იყო გახვეული. იგი ბავშვებისაკენ დაიხარა და მიუალერსა.

— მე არასოდეს დამავიწყდება, როგორ დაუძახეთ მას „ძვირფასო ჯეკ“, — უთხრა ქვრივმა კარდინალს.

ქალს თვალები კვლავ ცრემლით ჰქონდა სავსე და თავს ძალას ატანდა ქვითინის შესაკავებლად. უეცრად თითქოს გულზე მოეშვა, მას პატარა ჯონით ხელში აგენტი ფოსტერი მიუახლოვდა. ბიჭუნა აგენტისათვის საეკლესიო ბროშურის ხელიდან წართმევას ცდილობდა. ბავშვი ყურადღებას ითხოვდა, რამაც ჟაკლინი წუთით თავის მწუხარებას ჩამოაშორა.

მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ რამდენიმე წამს გაგრძელდა. საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონიამ კვლავ გაიყოლა ისინი. ჟაკლინმა ვერც კი მოასწრო ბავშვის ჩამოსმა, რომ ორკესტრმა „დიდება ბელადის“ შესრულება დაიწყო. დიახ, უკანასკნელად სრულდებოდა ეს ჰიმნი პრეზიდენტ კენედის პატივსაცემად. ჯარისკაცები „სმენაზე“ დადგნენ. ოფიცრებმა, პოლიციელებმა და ლაფეტის ფორეიტორმა მხედრული სალამი აიღეს. მღვდელმსახურთ თითქოსდა სალოცავად დაიჭდეს ხელები. სამოქალაქო პირები წელში გასწორდნენ. ჟაკლინს მოაგონდა, როგორ უყვარდა პატარა ჯონს მამასთან ჯარისკაცობანას თამაში და ჯონისაკენ დაიხარა. ხელიდან ბროშურა გამოართვა და უთხრა:

— ჯონ, შენ ახლა შეგიძლია მამას სალამი სცე და უკანასკნელად უთხრა მშვიდობით.

პატარა ბიჭუნამ სალუტის ნიშნად ხელი გაბედულად ასწია და ქუდთან მიიტანა. თითქოს მწარე ტკივილმა დაუარაო, ისე შეეჭმუხნა სახე იქვე მდგარ რობერტ კენედის. გზის გაღმა მზირალმა ეპისკოპოსმა შენიშნა, როგორ უეცრად დაიხია ამის მხილველმა ხალხმა, თითქოს მოქნეული დარტყმა იცდინესო. ამ მარად სახსოვარ დილას თავისი ემოციური ზემოქმედების სიძლიერით პატარა ჯონის სალუტს ვერაფერი შეედრებოდა. ჟაკლინი კი ამ დროს ლარივით გაჭიმული იდგა და არაფერი დაუნახავს; მერე კი როცა ფოტოსურათი უჩვენეს, ქალი უეცრად გაშეშდა. არ ეგონა ამ ჟესტს თუ ასეთი ზემოქმედების ძალა ექნებოდა.

კორტეჟის დაძვრას კარგა ხანი შეაგვიანდა.

რობერტმა ჟაკლინს ხელკავი გამოსდო და მანქანისაკენ წაიყ-

ვანა. მანქანაში ჩაჯდომის შემდგ კი საკმაო ლოდინი დასჭირდათ. ჟაკლინს იგი უსასრულო ეჩვენა, ვერ მიმხვდარიყო, რას უნდა გამოეწვია ასეთი ხანგრძლივი შეფერხება.

წმინდა მათეს ტაძრიდან მასთან ერთად გამოსული ათასობით ადამიანიც ამავე კითხვაზე იმტვრევდა თავს. გავიდა მეოთხედი საათი და ხალხი მანქანებში ჯერაც ვერ ჩაესხათ. საშინელი არეულობა სუფევდა. უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარეს ერლ უორენს მისმა თანმხლებმა პოლიციელმა ტროტუარზე დაცდა სთხოვა იმ პირობით, რომ უმალვე მანქანითურთ დაბრუნდებოდა. მაგრამ პოლიციელი უკვალოდ გაქრა. უორენმა იმდენი იბორიალა, ვიდრე სადღაც რიგის ბოლოში თავისთვის ადგილი არ აღმოაჩინა. შტაბების უფროსებს საერთოდ არ აღმოაჩნდათ ტრანსპორტის არავითარი საშუალება, ვინაიდან საიდუმლო სამსახურის აგენტმა — უელსმა ამ მანქანას ჯონი და კეროლაინ კენედებისათვის დროებითი კონფისკაცია გაუკეთა. არანაკლებ ქაოტური ხასიათი ჰქონდა მსვლელობის დანარჩენ მონაწილეთათვის ავტომანქანებში ადგილების განაწილებას. ლიმუზინები ისე იყო ხალხით გამოვსებული, გეგონებოდა მაშველი ნავებია ჩასაძირავად განწირული გემიდან ამოყვანილი ხალხით სავსეო. ერთ-ერთ მანქანაში თორმეტი კაცი ჩამჯდარიყო. მეორეში სრულ განმარტოებას მისცემოდა სერჟანტი ჯო აირესი. ფასი დაკარგა ყოველგვარმა რანგმა. პრეზიდენტ ჯონსონის ავტომანქანის წინ ცხრა მანქანა აღმოჩნდა. დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის, დუგლას ჰიუმის მანქანას კარგა ხანს კოლონასთან შეერთების უფლებაც არ მისცეს. სადღაც ბოლოში მოექცნენ ეიზენჰაუერის და ტრუმენის მანქანები. ეს იმ დროს, როცა მანქანა, რომელშიაც პრეზიდენტ კენედის მდივანი ქალი ეველინ ლინკოლნი, კამერდინერი ჯორჯ ტომასი და ჟაკლინის მსახური ისხდნენ, სულ წინ გაჭრილიყო და პროცესიის თავში, მეოთხე მანქანად მიდიოდა.

დიუკს კვლავ საოქმო ჯოჯოხეთი ტანჯავდა. ეკლესიიდან გამოსვლისას კენ ო'დონელმა ჰკითხა:

— წინ ვინ წავა?

დიუკმა უპასუხა:

— აქ საკამათო არაფერია. გარდაცვლილი პრეზიდენტის ოჯახისა და პრეზიდენტ ჯონსონის მანქანებს, „რა თქმა უნდა", უცხო სახელმწიფოთა მეთაურების მანქანები უნდა მიჰყვნენ.

ამაზე ხომ ჯერ კიდევ რალფ დანგენის კაბინეტში შეთანხმდნენ. მაგრამ არსებითად საქმე სულ სხვაგვარად იყო. ენჯი დიუკს მთელი ამ არეულობის მიზეზთან დაკავშირებით საკუთარი შეხედულება ჰქონდა. თეთრი სახლის აპარატის თანამშრომლებმა საოცარი სულსწრაფობა გამოიჩინეს და ყველას გაუსწრეს. ენჯი დიუკის აზრით, ამაში ბრალი პრეზიდენტის თანაშემწეს (ადმინისტრატიული ხაზით) დაუმორჩილებელ ჯეკ მაკნალის მიუძღოდა.

დიახ, დიუკი სწორად სჯიდა: ჯეკ მაკნალი დაწესებულ თადარიგს აშკარად უმართებულოდ მიიჩნევდა. მისი აზრით, თეთრი სახლის აპარატის თანამშრომლებს უფლება ჰქონდათ პროცესიის თავში ყოფილიყვნენ. ამიტომაც ჯეკ მაკნალი ჯერ კიდევ წირვის დროს შეუმჩნევლად გამოძვრა ეკლესიიდან და როუდ აილენდ-ავენიუს სამივე მწკრივის შესწავლას შეუდგა. პირველი რიგი კენედის ოჯახის ავტომანქანებს ეჭირათ, მეორე — დიპლომატიური კორპუსის წევრთა მანქანებს, მესამე რიგი თავისუფალი იყო. თეთრი სახლის დაცვის უფროსის განმარტებით, ეს რიგი განსაკუთრებული შემთხვევისათვის იყო შემონახული.

ჯეკმა იფიქრა, ალბათ, სწორედ ეს არის განსაკუთრებული შემთხვევაო, და მაშინვე სადღაც მოსახვევს იქით მდგარი თეთრი სახლის ცხრამეტი ლიმუზინი მონახა და მძღოლებს მესამე სათადარიგო მწკრივის დაკავება უბრძანა. მერე თეთრი სახლის ერთ-ერთი სერჟანტი მეორე მწკრივის მეთაური მანქანის წინ დააყენა და გააფრთხილა — არ მიეცა ადგილიდან დაძერის უფლება უცხო სახელმწიფოთა მეთაურებისა და მეფეთა ოჯახების მანქანებისათვის, ვიდრე თეთრი სახლის თანამშრომელთა მანქანები კორტეჟის შემადგენლობას არ შეერეოდნენ. მარტო ამას შეეძლო მთელი ვითარების არევ-დარევა. მაგრამ საქმე მარტო ეს როდი გახლდათ; საკმარისი შეიქნა თუნდაც ერთ ადგილას დარღვეულიყო დაწესებული თანამიმდევრობა, რომ ყველას თავის ჭკუაზე დაეწყო მოქმედება: სენატორმა მაიკლ მენსფილდმა დაინახა, როგორ სხდებოდნენ ჯეკ მაკნალი და მისი მეუღლე თეთრი სახლის პირველ მანქანაში, რის გამოც აღარც თვითონ დაიცადა და, ენჯი დიუკის თავგამოდებული ხვეწნის მიუხედავად, კონგრესის დანარჩენი ხელმძღვანელების თანხლებით წინ გაიჭრა. დაირღვა ყოველგვარი წესრიგის მოჩვენებითობაც კი. ავტომანქანების საძებნად

დარბოდნენ უმაღლესი სასამართლოს წევრები და გუბერნატორები. ასე გეგონებოდათ, თეატრიდან თავსხმაში გამოსულან და ახლა შინ წასასვლელად ტაქსებს ეძებენო. ცარიელ მანქანებს დროზე დაპატრონებულმა შედარებით ფხიანმა კოლეგებმა ბოლოს და ბოლოს ისინიც ჩაისვეს მანქანებში.

შარლ დე გოლმა უარი თქვა ცერი აეწია, რათა ვინმეს თავის მანქანაში ჩაესვა. მან ქედმაღლურად გადახედა მთელ ამ ზედახორას, გაკვირვებით ასწია წარბები და ამერიკის საოქმოს უფროსს შეხედა. დიუკმა მშვენიერი იმპროვიზაციები შეთხზა. თუმცა კარგად ხედავდა წინ გაჭრილ მდივნებსა და თეთრი სახლის მოსამსახურე პერსონალს, მაგრამ დე გოლსა და ჰაილე სელასიეს მაინც ასე მოახსენა — პრეზიდენტ კენედის ოჯახის წევრებს, მოგეხსენებათ, უფლება აქვთ პროცესიის წინ მიდიოდნენო. დიუკის თანამოსაუბრენი დაეთანხმდნენ მის ამ განცხადებას. „რა თქმა უნდა, ისიც კარგად მოგეხსენებათ, — კვლავ განაგრძობდა საოქმოს უფროსი, — თუ რაოდენ დიდია კენედის ოჯახი" დასტურის თანახმად ისინიც თავს უკანტურებდნენ. გუნებაში, ალბათ, კიდევაც უკვირდათ, როგორ აღმოჩნდა კამერდინერი ჯორჯ ტომასი, ეთიოპიის იმპერატორ სალასიეზე არანაკლებ მუქი სახის კაცი კენედის ახლო ნათესავთა რიცხვშიო. მაგრამ გაჩუმება, უთუოდ, ტაქტის გრძნობის კარნახით ირჩიეს. ამ დროისათვის დიუკს თანაშემწენიც წამოეშველნენ, მაგრამ ისინი განსაკუთრებულად საპატიო უცხოელ მოღვაწეებზე ზრუნავდნენ. დანარჩენების ბედთან მათ საქმე არა ჰქონდათ.

ასე ყოვლად არეულად დაიძრა ჯონ კენედის უკანასკნელი კორტეჟი, მსგავსად მისი ცხოვრების ბევრი ეპიზოდისა. კენედის ცხოვრებაში, მართლაც, არაფერი გაკეთებულა მკაცრი წესრიგიანობის მიხედვით, თუმცა ტელევიზორებს მიჯაჭვულ ამერიკელებს, ვისთვისაც ეს საზეიმო-სამგლოვიარო ცერემონიალი ასე ბევრს ნიშნავდა, არავითარი უწესრიგობა არ შეუმჩნევიათ. არლინგტონის სასაფლაოსკენ მიმავალი სამგლოვიარო პროცესიის მთელი მსვლელობის დროს სატელევიზიო კამერების ყურადღება ძირითადად ლაფეტის მოძრაობისაკენ და ეკლესიიდან სამი მილით დაშორებულ პრეზიდენტის კუბოს მომლოდინე სასაფლაოსკენ იყო მიმართული.

სამგლოვიარო პროცესიის მოძრაობას მიჩერებული ქვეყანა თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდა ლაფეტის უკან, ნელი სვლით მიმავალ მანქანებს. მათი ტელევიზორების ეკრანებზე ეს კავალკადა ბუნდოვან შავ ლაქებად აღიქმებოდა. ნაციონალური აუდიტორიის თვალში ამ ლიმუზინების პერსონალურ შემადგენლობას არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

არლინგტონისაკენ მიმავალ გზაზე მანქანაში მსხდარი ძმები კენედები და ჟაკლინ კენედი ახლა იმაზეღა მსჯელობდნენ, ღირდა თუ არა საფლავზე ჯონ კენედის მიერ წარმოთქმული სიტყვათა ნაწყვეტების მოსმენა.

გამოითქვა დადებითი და საწინააღმდეგო არგუმენტები. ბოლოს თავდაპირველი შეხედულება შეიცვალეს და გადაწყვიტეს, რომ ამის მოსმენა ნამდვილად საჭირო იყო. შემდეგ სალაპარაკო თემა უეცრად შეიცვალა.

ეიზენჰაუერი და ტრუმენი კი ერთმანეთს თავიანთ შეხედულებებს უზიარებდნენ — იყო თუ არა კენედის მკვლელობა პოლიტიკური შეთქმულების შედეგი, და ბოლოს უარყოფით დასკვნამდე მივიდნენ. მერე წარსულის მოგონებებს მისცეს თავი, თუმცა თავიანთი ძველი შეჯახებანი არც ერთს არ უხსენებია.

არლინგტონის სასაფლაოზე ჯარისკაცები და ოფიცრები „სმენაზე" იდგნენ. კუბო ნელა დაუშვეს ღია სამარესთან მდგარი ამწის ლითონის პლატფორმაზე.

გაისმა ბრძანება:

— თავისუფლად!

კუბოს გადამტან ჯარისკაცებს უკვე ხელში ეჭირათ ვარსკვლავიანი დროშა, ხოლო მათი მეთაური ლეიტენანტი და სასაფლაოს ერთი მუშაკი აკლდამაში კუბოს დაშვებას ადევნებდნენ თვალს. ბიჭები წელში ხეირიანად გასწორებულებიც არ იყვნენ, რომ ზეცაში, სწორედ მათ თავზე ორმოცამდე რეაქტიულმა გამანადგურებელმა გადაიქროლა, ისინი ძალიან ადრე გამოჩნდნენ, სამაგიეროდ პოლკოვნიკმა სუინდალმა თავისი თვითმფრინავის გამოჩენის დრო აბსოლუტური სიზუსტით გამოიანგარიშა. თვითმფრინავების გრუხუნის გაგონებისას ხალხმა მზერა ზეცას მიაპყრო. სწორედ დროის იმ მონაკვეთში, როცა „F-105" გამანადგურებლების გრუხუნის ექო მისწყდა, საფლავის თავზე უხმაუროდ გამოჩნდა

პრეზიდენტის თვითმფრინავი. რაღაც წამების განმავლობაში ეს შესანიშნავი ლითონის ფრინველი საფლავის თავზე ისე დაბლა ლივლივებდა, თითქოს ხელის წავლებაც კი გინდოდა მისი ძრავებიდან გამოვარდნილი ცისფერი ზოლისათვის. გამოთხოვების ნიშნად პოლკოვნიკმა სუინდალმა ოცი გრადუსით მარცხნივ გადახარა თვითმფრინავის ისრისებური ფრთები. მერე ზუსტად გაჭიმული დროშის ზემოთ მანქანა გაასწორა და ახლა მარჯვნივ გადახარა მისი ფრთები. დაახლოებით სამი წამი გააჩერა თვითმფრინავი ამ მდგომარეობაში. მერე კი ვერცხლისფერი ელვის მსგავსად კიბ რიჯის მიმართულებით გასრიალდა.

გაისმა ბრძანება და მაკლელანის მოედანზე კაპიტან გეის ბატარეის ოცდაერთი ქვემეხისაგან გასროლილი სალუტი აგუგუნდა. ჯარის ნაწილებს „სმენაზე“ ყოფნა ებრძანათ. მღვდელს კურთხევის რიტუალი უნდა დაეწყო. საფლავთან მდგარმა ჯარისკაცებმა ვარსკვლავიანი დროშა ასწიეს და კარდინალმა ჩაშვებული კუბოს პკურება იწყო. შემდეგ კარდინალის ადგილი საინჟინრო ჯარების ოფიცერმა, მაიორმა კონვერსმა დაიჭირა და ჟაკლინს მიმართა:

— ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე სამწუხარო წუთებია.

ჟაკლინმა მაიორის აღელვებულ სახეს შეავლო თვალი, აშკარა იყო ამ სიტყვების გულწრფელობა. მერე მაიორმა ქვრივს ანთებული პატარა ჩირაღდანი გადასცა და იქეთკენ წაიყვანა, სადაც მუდამ მწვანე მცენარეთაგან შეკრულ გვირგვინს შორის მუდმივი ცეცხლი უნდა აგიზგიზებულიყო. ჟაკლინი დაიხარა და ჩირაღდანი გაზის სანათთან მიიტანა — ავარდა კაშკაშა ალი. ქალმა ჩირაღდანი მერე ბობის გადასცა. ბობიმ გაიმეორა რძლის ჟესტი და თავის მხრივ ჩირაღდანი ახლა თავის დედას გადააწოდა, მაგრამ როზ კენედის არც კი შეუნიშნავს შვილის ეს მოძრაობა. მან მუდმივი ცეცხლის არსებობაც არ იცოდა. თავდახრილი დედის ტუჩები უხმოდ ირხეოდნენ — იგი ლოცულობდა. ჰოდა, ბობიც შემობრუნდა და ჩირაღდანი მეორე მხარეზე მდგარ ძმას, ტედს მიაწოდა. თუმცა ტედს არ ეგონა, ამ ცერემონიალში მასაც თუ უნდა მიეღო მონაწილეობა, მაგრამ ძმას ჩირაღდანი გამოართვა და მსუბუქად შეახო ცეცხლის მოყვითალო-მოცისფრო ალს. სამხედრო ინჟინრები ელოდნენ ახალი პრეზიდენტის მონაწილეობას მუდმივი ცეცხლის

ანთების პროცედურაში, მაგრამ ჯონსონს ამ სიმბოლური აქტის შესრულების შესაძლებლობა არა ჰქონდა. ორ მცველს შორის ჩაჭედილი ახალი პრეზიდენტი კუბოს მოპირდაპირე მხარეზე იდგა. ამიტომაც მაიორმა კონვერსმა ტედს ჩირაღდანი გამოართვა და ჩააქრო. მოკლე ცერემონია დამთავრდა.

საერთოდაც ყველაფერი დამთავრდა: მიცვალებულის წესის აგება, სახელმწიფო დაკრძალვა, მთელი ეს უცნაური ცერემონია, ძველი სამყაროს მისტიკისა და ამერიკული ტრადიციების ჰარმონიული გაერთიანება, საკუთარი გულების კარნახით სამგლოვიარო პროცესად ქცეული მუნდირებისა და ნაირფერ სამოსელთა საოცრად უსასრულო რიგები.

არლინგტონის სასაფლაოდან დაბრუნებულმა ჟაკლინ კენედიმ თავის თავს თეთრი სახლიდან გადასაბარგებლად ორკვირიანი ვადა განუსაზღვრა. პრეზიდენტის აუზთან მდებარე საჩუქრების ოთახში მსახური ჯო ჯორდანო და ბუტსი მილერი მაშინვე შეუდგნენ სურათების, გრამფირფიტებისა და ოთხი დიდი კარადიდან გამოღებული სამახსოვრო ნივთების მუყაოს დიდ კოლოფში ჩალაგებას. მსახური ვესტი ზემოთ წიგნებს ფუთავდა, ხოლო კამერდინერი ჯორჯ ტომასი — ტანსაცმელს.

პრეზიდენტ კენედის ორმოციოდე მრჩეველს თეთრი სახლის აპარატის თანამშრომელთა სასადილოში მოეყარა თავი და საკუთარ მომავალზე ბჭობდნენ. „მაფია“ ლერი ო'ბრაიენის კაბინეტში თათბირობდა.

ექიმმა ბერკლიმ მეორეჯერ წარუდგინა უოლტერ ჯენკინსს თავისი განცხადება სამსახურიდან გადადგომის თაობაზე. თეთრი სახლის დასავლეთ ფრთაზე, თავის მაღალზურგიან საყარძელში ჩამჯდარი ტედ სორენსენი ახალი პრეზიდენტისათვის გელბრაიტის მიერ დაწერილ კონგრესის ორივე პალატის გაერთიანებულ სხდომაზე წარმოსათქმელი სიტყვის პროექტს კითხულობდა. ტექსტი რომ ჩაათავა, ახლა მეორე პროექტის კითხვას შეუდგა. ორთავე პროექტის გაცნობის შემდეგ მაინც ყველაფრის თავიდან დაწერა გადაწყვიტა.

სორენსენი წერდა:

„ბატონო სპიკერო, ბატონო თავმჯდომარეე, წარმომადგენელთა პალატისა და სენატის წევრებო, ჩემო თანამოქალაქენო!

მე დიდი სიამოვნებით დავთმობდი ჩემთვის ყველაზე ძვირფასს, ოღონდ დღეს აქ არ ვყოფილიყავ.

არ არსებობს ამ დანაკლისით მოგვრილი დარდისა და მჭმუნვარების გამომხატველი ნაღვლიანი სიტყვები. არ არსებობს საკმარისი სიძლიერის სიტყვა, იმ გაბედულების გადმოსაცემად, რასაც მისი დაწყებული საქმის გაგრძელება ჰქვია. ჯონ ფიტცჯერალდ კენედი თავისი სიტყვითა და საქმით კვლავ ჩვენ შორის ცოცხლობს".

სორენსენმა შვიდ გვერდიანი იმ სიტყვის ტექსტი მოხაზა, ახალმა პრეზიდენტმა ორი დღის შემდეგ კონგრესის წინაშე რომ წარმოთქვა. ჯონსონმა ამ სიტყვით კონგრესს მოუწოდა დაუყოვნებლივ მიეღო კენედის მიერ შემოთავაზებული კანონპროექტი გადასახადების შემცირებისა და სამოქალაქო უფლებათა თაობაზე.

სწორედ იმ დროს, როცა სორენსენი პრეზიდენტის სიტყვის ტექსტზე მუშაობდა, კენედის ოჯახი თეთრი სახლის მისაღებში უცხოელ სტუმრებს ხვდებოდა და ენჯი დიუკი ოკეანესგაღმელ სტუმრებს პრეზიდენტის სასადილოს საზეიმო დარბაზში გაწყობილ მაგიდებისაკენ გაუძღვა.

საეჭვოა, რომელიმე სხვა ქალს ასე სწრაფად მოეხერხებინა მთავრობის დარბაზობისათვის გამზადება, როგორც ეს ჟაკლინმა შეძლო. გარდაცვლილი პრეზიდენტის სიძე პიტერ ლოუფორდი ის იყო დასავლეთის სასტუმრო დარბაზში შევიდა ეველინთან და თავის სიდედრთან მოსალაპარაკებლად, რომ ჟაკლინმა მოიხადა შავი ბერეტი და სამგლოვიარო პირბადე, ზერელედ შეისწორა თავისი სადა თმის ვარცხნილობა და უკვე მზად იყო სტუმრების შესახვედრად.

საოქმოს უფროსი შეწუხებული ჩანდა. დიუკი ვერ მიმხვდარიყო, რა სურდა დაბლა ჩასულ ჟაკლინს — შემხვედრთა მწკრივში მდგარი მიესალმებოდა სტუმრებს თუ უბრალოდ, მათ შორის იქნებოდა. ჟაკლინმა შეკითხვის გამომხატველი მზერა შეავლო ინგლისის დედოფლის მეუღლეს — ედინბურგის ჰერცოგს

— მე გირჩევთ, — გამოეპასუხა ჰერცოგი, — სტუმრები დარბაზის შესასვლელთან ფეხზე მდგარმა მიიღოთ. ეს უფრო სწრაფიც იქნება და უკეთესიც.

გაწყობილ მაგიდებთან თავშეყრილი ხალხი გააოცა ქვრივის

დაბლა ჩასვლამ. ქალის ასეთმა მოქმედებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სტუმართა სახის გამომეტყველება მჭევრმეტყველურად ადასტურებდა მათ მადლიერებას.

პრინცი ფილიპე მართალი აღმოჩნდა; მის მიერ შეთავაზებულმა პროცედურამ ყველაფერი მნიშვნელოვნად დააჩქარა. დროდადრო შეყოვნებებს იწვევდა თვითონ ქაკლინის სურვილი რაიმე განსაკუთრებული ეთქვა ამა თუ იმ სტუმრისათვის, რასაც მწკრივის მოძრაობის შეჩერება მოსდევდა. ბრინჯაოს ჭაღის დამაბრმავებელი შუქის ქვეშ ტედი კენედის, ენჯი დიუკისა და გოდფრი მაკჰიუს შორის მდგარი ქაკლინი სტუმრებს ხელის ჩამორთმევით ესალმებოდა და ძლივს გასაგონი ხმით თითო-ოროლა ფრაზას წარმოთქვამდა.

არა მგონი, ლუდვიგ ერჰარდს დავიწყებოდა, — რომ თუ ეს უბედურება არა, სწორედ ამ საღამოს იგი ჯონ კენედის სტუმარი იქნებოდა. დიახ, ერჰარდს ეს კარგად ახსოვდა, მაგრამ მაინც შეაძრწუნა ქაკლინის ჩურჩულით წარმოთქმულმა სიტყვებმა:

— ჩვენ ხომ სწორედ დღეს სადილზე უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. ჩემი თხოვნით სადილზე გერმანულ ღვინოს მოგვართმევდნენ და ორკესტრიც გერმანულ მუსიკას შეასრულებდა.

შემდეგ ქაკლინმა ხელგამოწვდილი და თანაგრძნობის გამომხატველი სახით მისკენ მომავალი საბერძნეთის დედოფალი დაინახა. ცოტა იქით კი სრულიად გარკვევით შენიშნა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანასტას მიქოიანი. იგი გულწრფელად დანაღვლიანებული ჩანდა. ქაკლინმა მიქოიანს ხელი გაუწოდა, რამაც თითქოს კიდევ უფრო ააღელვა პატივცემული სტუმარი.

თეთრ სახლში გამართული მიღების შემდეგ დე გოლმა საფრანგეთის საელჩოში ელჩ ალფანთან და მის მეუღლესთან ერთად ისადილა.

პრეზიდენტი ჯონსონი კი სახელმწიფო დეპარტამენტის სანთლებით განათებულ დარბაზში სტუმრებს ხელის ჩამორთმევით ესალმებოდა. ხუთ საათზე მოსულს ჯერ კიდევ 220 კაცი ელოდებოდა. მას, როგორც მთავრობის მეთაურს, პირველად ეძლეოდა თავისი დამაჯერებელი მანერისა და თითოეულის დარწმუნების

უნარის გამომჟღავნების შესაძლებლობა. დიახ, ყოველივე ამას არცთუ ცოტა დრო სჭირდებოდა. დე გოლსა და ჯონსონს პირადი ნაცნობობა ჰქონდათ. ამ 30 თვის წინ პარიზში გაიცნეს ერთმანეთი. მაშინ გენერალმა ცივად შეაწყვეტინა ჯონსონს თავისი ტირადა:

— რის სასწავლად ჩამოხვედით აქ?

ახლა დე გოლმა ჯონსონს აცნობა — საფრანგეთის პრეზიდენტს არ შეჰფერის რიგში დგომაო. მან ჯერ ელჩებთან ისადილა, მიიღო აბაზანა, ტანსაცმელი გამოიცვალა და თავისი მცველებითურთ ჯონსონს შემდეგ ეწვია.

სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ანასტას მიქოიანი ჯონსონმა გაუღიმებლად მიიღო. ხელი სწრაფად ჩამოართვა და ფოტოგრაფებს სურათის გადასაღებად დაუდგა. მათი შეხვედრა ზუსტად 35 წამს გაგრძელდა. იგი ყველაზე ხანმოკლე აღმოჩნდა სხვა 220 შეხვედრათა შორის. როგორც ჩანდა, არც საბჭოთა სტუმარს ჰქონდა არავითარი სურვილი ამ შეხვედრის გახანგრძლივებისა. ღიმი არც მის სახეს აჩნდა: ყველა ვითარების მიხედვით, ალბათ, მეორე დღისათვის იყო დანიშნული მათი ცალკე შეხვედრა. როგორც ეს საბჭოთა კავშირის დელეგაციის ერთმა წევრმა თავის ამერიკელ მეგობარს პირად საუბარში გაუმხილა, რუსებს ჯონსონის პიროვნების შესახებ ძალიან ძუნწი ცნობები მოეპოვებოდათ და მათი სიფრთხილეც ამით იყო გამართლებული. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს ცნობები, მაინცდამაინც ჭარბად არც სხვა უცხო ქვეყნებს ჰქონიათ. მათ ფრიად ცოტა რამ იცოდნენ ჯონსონის ტემპერამენტზე, მისი ხასიათის თავისებურებებზე, საერთაშორისო ამბებში გარკვევის უნარსა და გავლენის იმ ძალაზე, რაც მას ამერიკის მთავრობაზე ჰქონდა. ამიტომაც სახელმწიფო დეპარტამენტში გამართული მიღების ერთ-ერთი ამოცანა ახალი პრეზიდენტის პიროვნებისადმი აღძრული ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება გახლდათ. მართლაც, ბევრი უცხო ქვეყნის სახელმწიფოს მეთაური იყო ახლა ვაშინგტონში და ამ მიღების ერთ-ერთი ორგანიზატორის, ცოტა არ იყოს, უტაქტო განცხადებას თუ გავიმეორებთ, სახელმწიფო დეპარტამენტს „საშუალება მიეცა ერთი გასროლით ორი კურდღელი მოეკლა".

მაშინ ეჭვადაც არავის უფიქრია, რომ დე გოლი ამ მდგომარე-

ობას თავის სასარგებლოდ გამოიყენებდა და უარს იტყოდა კენედისათვის მიცემულ დაპირებაზე.

დეპარტამენტში გამართული მიღების ხასიათმა ვერ დააკმაყოფილა გამოჩენილ უცხო სტუმართა ინტერესები. საფრანგეთის პრეზიდენტის გარდა ყველამ ითხოვა კერძო აუდიენცია. მოვდევნო ორი დღის განმავლობაში შეხვედრები უნდა გამართულიყო მიქოიანთან, სელასიესთან, ინენრიუსთან, დუგლას-ჰიუმთან, დე ვალერასთან, ერჰარდთან და ლათინური ამერიკის დელეგაციის მეთაურებთან.

ლინდონ ჯონსონმა უკვე იგრძნო პრეზიდენტის ურიცხვ მოვალეობათა სიმძიმე. სახელმწიფო დეპარტამენტის მიღებათა დარბაზიდან გამოსულს პრეზიდენტის კანცელარიაში 35 გუბერნატორი ელოდებოდა, ხოლო ოც საათსა და ორმოცდახუთ წუთზე დანიშნული იყო მეორე გაფართოებული სხდომა სახელმწიფო ბიუჯეტის საკითხების განხილვის გამო.

კავშირგაბმულობის ოცი პირდაპირი არხის კნოპით აღჭურვილი მისი ტელეფონის აპარატთან მდივნის ჩანაწერები ელაგა თითქმის ყველა დიდი პროფკავშირული მოღვაწისა თუ ქვეყნის ბიზნესმენისათვის დასარეკად.

ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ მარი ფემერის ყველაზე რთული პრობლემა ჯონსონის რანჩოში გამგზავრებასთან დაკავშირებით ჟაკლინისათვის ხაოიანი პირსახოცების გემოვნებით შერჩევაში მდგომარეობდა. ახლა კი თავი უნდა გაერთვა ჯონსონის სამოცი დეპეშის ტექსტისათვის იმ სახელმწიფოთა მეთაურების სახელზე, ზინაც ვერ მოასწრო დაკრძალვაზე ჩამოსვლა. რა თქმა უნდა, მარი არ ადგენდა ამ დეპეშებს, არც ჯონსონს მოუცლია ამ საქმისათვის. კენედის მთელი კომანდის სრული შემადგენლობა ახალი პრეზიდენტის განკარგულებათა შესასრულებლად იღწვოდა. მაკ ბანდი სასწრაფოდ გამოიძახეს წითელი სასტუმრო ოთახიდან და მეორე დღისათვის დანიშნულ სამხრეთ ამერიკის ქვეყნების წარმომადგენელთა შეხვედრის დღის წესრიგის მომზადება დააკალეს. დიკ გუდვინი პრეზიდენტს ამ შეხვედრაზე წარმოსათქმელ სიტყვის ტექსტს უწერდა. ლუელინ ტომპსონი მიქოიანთან შეხვედრის განცხადების პროექტს ამზადებდა. ალექსის ჯონსონმა მიღებაზე მიწვეულ თითოეულ პიროვნებაზე მოკლე დახასიათებები შეადგინა.

ვიდრე პრეზიდენტს რომელიმე მოღვაწეს წარუდგენდნენ, რასკი სტუმარს ზუსტად იმდენი ხნით აყოვნებდა, ვიდრე სახელმწიფო მდივნის მოადგილე ან სახდეპარტამენტის საოქმო განყოფილების თანამშრომელი პრეზიდენტს შესაბამის ბიოგრაფიულ ცნობარიდან ყველაზე მთავარს უჩურჩულებდა.

ენჯი დიუკი განცვიფრდა, რამდენად განსხვავდებოდა აქაური საერთო განწყობილება თეთრი სახლის ატმოსფეროსაგან, საიდანაც იგი ახლახან გამოვიდა. „აქ ყველაფერი მომავალს ემსახურებოდა, თითქოს ჰაერიც კი ენერგიით იყო დამუხტული“.

თვითონ ენჯი დიუკის გული კი კვლავინდებურად წარსულს ეკუთვნოდა. თავის აპარატს მან ერთბაშად წამოჭრილი უამრავი წვრილმანი საკითხის მოგვარება დაავალა. თავად პრეზიდენტი თავს შესანიშნავად გრძნობდა და სულაც არ აშინებდა პრეზიდენტის კანცელარიაში გაჩენილი საქმეების მზარდი გორა. კენედის მსგავსად, მასაც დაძაბული მუშაობა უყვარდა. უფრო მეტიც, იგი ადამიანებთან პირადი კონტაქტების ტრფიალი გახლდათ. ბანანის რესპუბლიკებისა და განვითარებადი ქვეყნების წარმომადგენლებს იგი ძლიერი ხელის ჩამორთმევითა და გამომცდელი მზერით ხვდებოდა. ახლო ნაცნობებსა და მისთვის განსაკუთრებულად საინტერესო ადამიანებს კი ტეხასელ თანამემამულეთათვის კარგად ცნობილი, ევრეთ წოდებული „ხელის დადება“ ან სულაც „დამუშავება“ ელოდათ. ამდაგვარი მისალმების დროს ჯონსონი მარჯვენა ხელით ენერგიულად არხევდა მოსაუბრის ხელს, ხოლო მარცხენათი მის იდაყვს ეხვეოდა და მეგობრულად უთათუნებდა. ვილი ბრანდტი, უ ტანი, ჟან მონე და პოლ ანრი სპააკი ვერ აცდნენ „დამუშავების“ ილეთებს, პრეზიდენტმა თითოეული მათგანი „ხელის დადების“ ლირსად სცნო.

ექვსი საათისათვის ეს მხნე ახმახი იძულებული შეიქნა მალვით დაეზილა თავისი მარჯვენა ხელი. ხოლო სტუმრები ხელის ჩამორთმევისთანავე ნიაღვარივით აწყდებოდნენ ჯონ კუინსი ადამსის დარბაზში გაწყობილ მაგიდებს.

საფრანგეთის ელჩმა ალფანმა ტელეფონით იკითხა საქმის ვითარება. ენჯი დიუკმა მოახსენა — გზა ხსნილია, პრეზიდენტ დე გოლს ცდა აღარ დასჭირდებაო. ამასობაში პრეზიდენტმა ჯონსონმა ტომას ჯეფერსონის დარბაზში რჩეული სტუმრების პირველი

სხდომა გახსნა. ალექსის ჯონსონმა გააფრთხილა პრეზიდენტი თითოეული საუბარი 3—4 წუთზე მეტი არ გაეგრძელებინა, წიაღალმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, ქედვა შეიქნესო. მართლაც ასე მოხდა. ერთ-ერთი დამსწრის სიტყვებით, „რიგი წუთი-წუთზე იზრდებოდა“ მაკ ბანდი შეეცადა მსვლელობის დაჩქარებას, მაგრამ შედეგი ფრიად უმნიშვნელო აღმოჩნდა. ამიტომაც სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ამ პრობლემის სხვაგვარად გადაჭრა მოისაზრა, რაც, მისი აზრით, სწორედ რომ ბრწყინვალე იყო: პრეზიდენტს ყველა სკანდინავიელთან ერთდროული გასაუბრება შესთავაზეს. დარბაზში შემოვიდა დანიელი კრონპრინცი გეორგი და დანიის პრემიერ-მინისტრი იენს კრაგი, ნორვეგიის კრონპრინცი ჰარალდი და ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი ეინარ გერჰარდსენი, შვეიცის პრინცი ბერტილი და შვეიცის პრემიერ-მინისტრი ტაგე ერლანდერი; ჯონსონი ჩრდილოეთის ქვეყნების საბჭოს სხდომის თავმჯდომარის როლში აღმოჩნდა. ყველაფერი მშვენივრად აეწყო, მაგრამ უეცრად ზღურბლთან გამოჩნდა კაცი, რომელსაც არავითარი სურვილი არა ჰქონდა კარის იქით უქმად ყოფნისა. აეროპორტში დე გოლის პირადი თვითმფრინავი უკვე მზად გახლდათ გასაფრენად. აფრენის დროდ 21 საათი იყო დანიშნული. დე გოლს განზრახული ჰქონდა ზუსტად 8 საათის შემდეგ პარიზში, თავისი კაბინეტის მაგიდასთან ყოფილიყო ანუ დილის ხუთ საათზე ვაშინგტონის დროით.

დარბაზში თავისი ფართო ნაბიჯებით შესული დე გოლის გამოჩენამ შეწყვიტა სკანდინავიელებთან გამართული სხდომა. შვედები, დანიელები, ნორვეგიელები ადგილებიდან წამოცვივდნენ და გაკვირვების გამომხატველი წამოძახილებით აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. წინ გაჭრილმა რასკმა ორთავე პრეზიდენტს — ჯონსონსა და დე გოლს თავის კაბინეტში შესვლა შესთავაზა. როგორც ამას რასკის ჩანაწერი გვამცნობს, მან თვითონ დაუწყო საუბარი დე გოლს და პრეზიდენტის დაკრძალვაზე ჩამოსვლის გამო მადლობა მოახსენა. დე გოლმა პასუხად პირადი და ფრანგი ხალხის აზრები გამოსახა: რომ მას „ყოველთვის აღაფრთოვანებდა პრეზიდენტი კენედი და მისდამი ერთთავად ღრმა პატივისცემით იყო გამსჭვალული — რომ კენედის სიკვდილი აუნაზღაურებელი. დანაკლისია მთელი მსოფლიოსათვის. ხოლო თვით ფრანგმა ხალხმა კენედის

სიკვდილი განიცადა როგორც საკუთარი, პირადი ტრაგედია, თითქოს იგი მათი ოჯახის წევრი იყო".

შემდეგ დე გოლი შეეხო საფრანგეთსა და შეერთებულ შტატებს შორის არსებულ კავშირს. „ეს რეალური ფაქტია, — თქვა მან, — და მხოლოდ ამას აქვს მნიშვნელობა". რასკმა საუბარში ჩარევის შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ კავშირის სიმტკიცესო, — თქვა მან და ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ახალ მთავრობას „განზრახული აქვს იმავე მიზნებს ემსახუროს, რასაც პრეზიდენტი კენედი. შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულება, პოლიტიკური და სამხედრო ვალდებულებანი ევროპის მიმართ ოდნავადაც არ შეიცვლება. შეგიძლიათ მტკიცე იმედი იქონიოთ, პრეზიდენტ კენედის უახლოესი თანამებრძოლი პრეზიდენტი ჯონსონი ყველა ღონეს იხმარს რათა არაფერი დაირღვეს შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკის ტემპსა და მიზანდასახულებაში". უკეთ რომ ვთქვათ, საფრანგეთი, ინგლისი და ამერიკა, ისევე როგორც უწინ, კვლავაც შეერთებულად იმოქმედებენო.

ჯონსონს კრინტი არ დაუძრავს. მან ფრანგული ენა არ იცოდა, მაგრამ რასკს უფრო მეტადაც კი ენდობოდა, ვიდრე კენედი. ამიტომაც პრეზიდენტმა თავის საგარეო საქმეთა მინისტრს ნება დართო საუბარი მისი სახელით წარემართა იმ, ასე ვთქვათ, ერთადერთ შეხვედრაში, სადაც მის პიროვნებას შეეძლო მოსაუბრის მეხსიერებაში რაიმე კვალი მაინც დაეტოვებინა.

სხვა მხრივ შეხვედრამ ჯონსონისათვის წარმატებით ჩაიარა. და ეს არცთუ ისე ცოლი საქმე იყო, როგორც ტელევიზორის ეკრანზე ჩანდა. ჯონსონი კარგად ცნობილი კაცი იყო მისი თანამემამულეთათვის. 50-იან წლებში წარმომადგენელთა პალატაში დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერად წამოყენების შემდეგ იგი ეროვნული მასშტაბის მოღვაწედ იქცა. მაშინ, როცა ეიზენჰაუერი მონარქი იყო, ხოლო ჯონსონი შესანიშნავად თამაშობდა მის პრემიერ-მინისტრის როლს. მართალია, ისინი სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები იყვნენ, მკვეთრად განსხვავდებოდნენ პოლიტიკური ფილოსოფიის საკითხებში და სხვადასხვა ნიჭითაც იყვნენ დაჯილდოებულნი, მაგრამ ორთავე ეს ადამიანი შინნაქსოვი ტილოს ერთი ნაჭრისაგან იყო გამოჭრილი. ამერიკელები კარგად

იცნობდნენ ამ ქსოვილს. უცხოელთათვის, განსაკუთრებით ევროპელებისათვის ჯონსონის პიროვნების ეს მდაბიურობა გაუგებარი და უცხო იყო, შესაბამისად საეჭვოც კი. ის ფაქტი, რომ სხვა ქვეყნების წარმომადგენლობათა უმრავლესობამ 25 ნოემბერს ვაშინგტონი დამშვიდებულებმა დატოვეს, თავისთავად გამარჯვებას ნიშნავდა. ეს წარმატება კიდევ უფრო მნიშვნელოვანი გამოჩნდება, თუ იმასაც გავიხსენებთ, რომ ხელისუფლების ახალი მეთაური იძულებული იყო თავისი პირველი ნაბიჯები ავბედითი ვითარების მძიმე ატმოსფეროში გადაედგა. შესაძლოა, „ნიუს უიკის" მიმომხილველი ბენ ბრედლი კიდევაც აჭარბებდა — ჯონსონი თეთრ სახლში ყოფნისას ერთთავად კენედის ჩრდილში იქნებაო. მაგრამ იმ საღამოს, როცა დალასის იდუმალებით სავსე ვითარება სულ უფრო და უფრო საშიშ ხასიათს იღებდა, ეს ჩრდილი უდავოდ მეტისმეტად დიდი იყო.

კენედის ბავშვები დააწვინეს. ჟაკლინის დედ-მამა გაემგზავრა. ცოლ-ქმარი სმიტები დასასვენებლად გავიდნენ, ეტელ კენედიმ თავისი ბავშვები ჰიკორი ჰილის ვილაში წაიყვანა. ტედი და მისი მეუღლე ჯოანი შინ წავიდნენ. წავიდ-წამოვიდა ყველა რობერტისა და ჟაკლინის გარდა.

დიახ, თეთრი სახლის მეორე სართულზე მარტო დარჩა მომხდარი უბედურებით ყველაზე მეტად გულმოკლული ორი ადამიანი. მხოლოდ ხუთი დღე გავიდა იმ საღამოს შემდეგ, როცა შინისკენ მიმავალი იუსტიციის მინისტრი სწორედ აქ შეჩერდა და მთელი ორმოცდახუთი წუთი ესაუბრა პირველ ლედის. გამოჭკვიანდა რძალს, იყო თუ არა იმდენად მოკეთებული თავისი ახალდაბადებული ბიჭუნას სიკვდილის შემდეგ, რომ ტეხასში დამღლელი მგზავრობა და მომავალი საარჩევნო კამპანიის მთელი სიმძიმე აეტანა. ახლა, როცა იგი კვლავ აპირებდა თეთრი სახლისა და მისი რეზიდენციის გამყოფი მემორიალური ხიდის გადაელას, რობერტ კენედის აღარ სჭირდებოდა იმის კითხვა, გაუძლებდა თუ არა ჟაკლინი კარსმომდგარ გასაჭირს.

მან იცოდა, რომ ჟაკლინი, ისევე როგორც თვითონ, გადაიტანდა ყველაფერს, ამიტომაც რობერტმა საგანგებოდ მშვიდი ტონით, მეხსიერებაში უეცრად აღმდგარი გარდაცვლილი პრეზიდენტის მანერითა და ხმით ჰკითხა:

— ხომ არ ისურვებდი მეგობრის მონახულებას?

ვესტიბიულის მაგიდაზე მდგარ მოოქროვილ ლარნაკში ჟაკლინს ყოველთვის ეწყო თეთრი შროშანები. ჰოდა ახლაც, ამ ლარნაკიდან ამოღებული თაიგული წაიღო თან.

კლინტ ჰილმა ტელეფონით გააფრთხილა არლინგტონის სასაფლაოს მორიგე — მაქეთ მოვდივართო. მთავარი ზედამხედველის სახლი სასაფლაოს ტერიტორიაზე იდგა. მან ხელდახელ ჩაიცვა და კენედების შაე „მერკურს“ ჭიშკართან დაუხვდა. მოსულთ მანქანა იქვე დატოვეს და მეხებისა და კედარების ხეივნით პრეზიდენტის საფლავისაკენ გასწიეს. ახლა აქ უკვე ყველაფერი სხვაგვარად გამოიყურებოდა. აღარსად იყო ხალხის უსასრულო მწკრივები. მესერთან მხოლოდ რობერტი, ჟაკლინი, კლინტ ჰილი, პოლიციის ორი ჯარისკაცი და სასაფლაოს ზედამხედველი იდგნენ. სამარის კორდიც სასწრაფოდ მოესწორებინათ. მესერს იქით კაშკაშა ლენტებიანი დიდებული გვირგვინები მოჩანდა. ღამე მოწყალედ ფარავდა ყოველგვარ დისონანს. „იყო საოცარი ნესტი, სიბნელე და სიჩუმე“ — აი ყველაფერი, რაც კლინტის მეხსიერებას შერჩა.

ერთ-ერთმა სამხედრო პოლიციელმა ღობის კარი გამოაღო. ჟაკლინი და რობერტი შიგ შეავიდნენ და ჩაიჩოქეს. ჭაობის ცეცხლის მსგავსად, სიბნელეში ცისფრად ელვარებდა ალის ენა. სიოს შემოქროლებაზე აქეთ-იქით ეცემოდა მისი სუსტი შუქი და უსწორმასწორო ათინათი საფლავზე დახრილ ჟაკლინისა და რობერტის თავებს ანათებდა, სიბნელეს სტაცებდა კლინტ ჰილის, მცველებისა და მოშორებით მდგარ შოფრის ფიგურებს.

ჟაკლინმა მწვანე ტოტებს მისი სიყვარულის უკანასკნელი ნიშანი — ყვავილების თაიგული დაადო და ღამის უკუნში უკან წამოსასვლელ გზას დაადგა.

ეპილოგი

ლეგენდა და სინამდვილე

კენედის ბევრი მოძულე, ისევე როგორც ბევრი თაყვანისმცემელი, გააოცა პრეზიდენტის დაკრძალვის შემდეგ წარმოშობილმა ემოციათა სულ უფრო და უფრო მზარდმა ტალღამ. ცინიკოსებმა ამ მოვლენას სარკასტულად „კენედის კულტი" უწოდეს, რადგან თითქოს გამოჩენილი ადამიანის სიკვდილს არ მოსდევს გრძნობათა გაძლიერება მის გულწრფელად ერთგულ ადამიანებში. კენედის პიროვნება ამერიკელი ხალხის ემოციურ მოთხოვნილებებს პასუხობდა და ამ მოვლენის არსიც ეს გახლდათ. ჯეიმს რესტონის დაკვირვებით „ლეგენდა კენედის პიროვნებაზე სიღრმითაც იზრდებოდა და სიგანითაც. თვით ისინიც კი, ვისაც იგი სიცოცხლეში ყოველნაირად შერისხული ჰყავდათ, ახლა ლამის გაეღმერთებიათ მისი სახელი. კენედის შეუბრალებლად გამკიცხველი ბევრი პოლიტიკური მოწინააღმდეგე ახლა მისი მსგავსი გარეგნობისა თუ მეტყველების მანერის მქონე კანდიდატებს ეძებდნენ".

გლოვის პერიოდი ოფიციალურად ოცდაათი დღით იყო განსაზღვრული, რაც არსებითად დროშების დაშვებას, სხვადასხვა მეჯლისებისა და მთავრობის დარბაზობების გადადებას ნიშნავდა მხოლოდ. რაც შეეხება საქმიან აქტივობას, იგი დაკრძალვის მეორე დღესვე განახლდა. კვლავ გამოჩნდა რეკლამები ტელევიზორების ეკრანებზე, ისევ აიწია ბირჟაზე აქციების კურსმა, ძველებურადვე აკიაფდნენ თეატრის ცეცხლები. ნელ-ნელა დგებოდნენ ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ტრაგედიით წონასწორობადაკარგული ადამიანები.

ჰოდა აი, გავიდა გლოვის ეს ოცდაათი დღეც. კვლავ აფრიალდნენ ჭოკის წვერებზე წამოცმული დროშები, ისევ შეაგორეს როიალი თეთრი სახლის აღმოსავლეთ დარბაზში, ვაშინგტონის მაღალი წრის დიასახლისებმა განაახლეს თავიანთი დარბაზობები. და მაინც, მათდა გასაოცრად, ყველამ იგრძნო, რომ გლოვა სულაც არ დამთავრებულა. რასაკვირველია, გადაიარა იმ ციებცხელებამ, 23 ნოემბრიდან 25 ნოემბრამდე მთელ შეერთებულ

შტატებს რომ არყეედა, მაგრამ ეს ხომ რაღაც უჩვეულო მდგომარეობა იყო. ამიტომაც არავის გაჰკვირვებია, როგორც ეს მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ მოზრდილ მოქალაქეთა სამი მეოთხედი თავის ჩვეულებრივ ცხოვრებას დაუბრუნდა. ერის წყლულმა მოშუშება იწყო და იგი საკმაოდ სწრაფადაც მიმდინარეობდა.

სევდა კი მაინც არა ქრებოდა. ნიუ-იორკში მეხუთე ავენიუ ნელი ნაბიჯით გაიარა მრავალათასიანმა პროცესიამ; მის მონაწილეთ კენედის ხსოვნის ნიშნად ხელში ანთებული სანთლები ეჭირათ. საშობაო საჩუქრების შესაძენად მაღაზიებში შესულთ გულს უმძიმებდათ სავაჭროებში დასადგურებული უხალისობა, მაშინ როცა ამ დროს მაღაზიებში ჩვეულებრივ გამოცოცხლება და ხალისი მეფობდა. ზედიზედ გამოვიდა ჟურნალების სპეციალური ნომრები, მიძღვნილი ჯონ ფ. კენედის ხსოვნისადმი. დედაქალაქის ყოველი წიგნის მაღაზიის თაროებზე მისი ფოტოსურათების ალბომებისათვის ცალკე კუთხეები იყო განკუთვნილი.

ამერიკის ისტორიის რელიქვიების გაყიდვაში დახელოვნებული აუქციონისტების აზრით, კენედის ხელით ნაწერი, ლინკოლნის წერილების დარად შეფასდებოდა. კენედის წიგნი „მამაცთა გალერეა" ავტორის ავტოგრაფით 375 დოლარად შეფასდა. იმ ტრიბუნის დეტალები, საიდანაც მან სიკვდილის წინა დღით სან-ანტონიოში სიტყვა წარმოთქვა, კოლექციონერთა შესაშურ საგნებად იქცნენ. ხოლო სასტუმრო „ტეხასის" იმ საწოლი ოთახის კარზე გაკრული აბრა — „ნომერი 850", — სადაც კენედიმ უკანასკნელი ღამე გაითია, უკვალოდ გაქრა.

შემდეგ კი, როცა ლინდონ ჯონსონი პრეზიდენტად ხელახლა წამოყენებასთან დაკავშირებით შეერთებულ შტატებში მოგზაურობდა, თეთრი სახლის თანამშრომლები მსურველთ ორთავე პრეზიდენტის სურათებს სთავაზობდნენ, რითაც ცდილობდნენ ხაზი გაესვათ ხელისუფლების მონაცვლეობისათვის. მაგრამ ამაზე ძალიან ადრე მოუხდათ ხელის აღება. სახელმწიფოს ახალი მეთაურის ერთ სურათზე კენედის ათი სურათი მიჰქონდათ. საიდუმლო სამსახურის ყველა აგენტი აღაშფოთა ჯონსონის საქციელმა, როცა მან ერთ-ერთ აგენტს საყვედური უთხრა ჰალსტუხის იმ სამაგრის. ტარებისათვის, რომელზედაც კენედისეული სამხედრო ,ატარლის

მინიატურული გამოსახულება იყო ამოტვიფრული. პრეზიდენტმა მკვახედ მოაგონა აგენტს, — ახლა სხვა პრეზიდენტთან მსახურობ. დიახ, ჯონსონს ყოველთვის და ყოველგან თანა სდევდა გარდაცვლილი პრეზიდენტის აჩრდილი და მისი გაღიზიანებაც ადვილად გასაგები ხდება. თვით დემოკრატიული პარტიის 1964 წლის ყრილობაზე, სადაც პრეზიდენტის პოსტზე კანდიდატურის წამოყენების საკითხი იდგა, სწორედ ბოლო მომენტში ჯონსონს, როგორც იტყვიან, პირში ჩალა გამოავლეს, თუმცა მთელი ეს ლონისძიება გულდასმით მზადდებოდა, როგორც მისი ტრიუმფალური გამოსვლა. ყრილობამდე ერთი თვით ადრე ჯონსონმა რობერტ კენედი ამოშალა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე წამოსაყენებელ კანდიდატურათა სიიდან. მიუხედავად ამისა, ყრილობის დარბაზში შექმნილი ყველაზე ამაღელვებელი წუთები მას მაინც არ ერგო. ეს წუთები სწორედ მაშინ დადგა, როცა ტრიბუნაზე იუსტიციის მინისტრი ავიდა და ყრილობის დელეგატებს კინოფილმი შესთავაზა, რომელიც თავისი ძმის მიერ თეთრ სახლში გატარებულ ათას დღის ამბებს ასახავდა. დელეგატები ადგილებიდან წამოიჭრნენ და რობერტ კენედის თხუთმეტი წუთის განმავლობაში ფეხზე მდგომელა გამაყრუებლად უკრავდნენ ტაშს.

რაც უფრო მეტად უკვირდებოდა ადამიანი ჯონ კენედის გარშემო წარმოქმნილ ლეგენდის არსს, მით უფრო მეტად იბნეოდა. მოკლული პრეზიდენტის ძმას არაფერი გაუკეთებია ასეთი დემონსტრაციის წასახალისებლად. რამდენჯერმე მისი შეწყვეტაც კი სცადა. მერე თითქოს გაიღიმაო, ტუჩი მოიკვნიტა და თავი ჩაქინდრა.

კომენტატორმა დევიდ ბრინკლმა კენედის მკვლელობა და მისი შედეგები ლოგიკური ანალიზით აუხსნელ, იდუმალ მოვლენათა რიცხვს მიაკუთვნა.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ადამიანები კვლავინდებურად ცდილობდნენ მთელი ეს მოვლენები თავიანთი ცხოვრების ჩარჩოში ჩაესვათ. ყველაზე ცნობილი გზა ქვეყნის სხვადასხვა ადგილებისათვის, დასახლებული პუნქტებისათვის, ქუჩებისათვის გარდაცვლილი პრეზიდენტის სახელის მინიჭებაში მდგომარეობდა. ჟაკლინ კენედიმ თხოვა ჯონსონს, კანავერალის კონცხისათვის კენედის სახელი ეწოდებინა. პრეზიდენტმა დაუყოვნებლივ შეასრუ-

ლ: მისი თხოვნა. ნიუ-იორკის მერის ვაგნერის წინადადებით, აიდ-ლუაილდის აეროპორტს კენედის სახელი დაერქვა. კონგრესმა სახელი შეუცვალა ზოგადნაციონალურ კულტურულ ცენტრს და იგი ჯონ ფ. კენედის სახელობის საშემსრულებლო ხელოვნების ცენტრად იქცა ფინანსთა სამინისტრო კენედის გამოსახულებიანი ორმოცდაათი მილიონი ორმოცდაათცენტიანი მონეტის მოჭრას შეუდგა. დადგინდა ისიც, რომ ხალხი ამ ფულს ინახავდა, როგორც სუვენირს და სულ მალე მიმოქცევიდან გაქრა.

შეერთებული შტატების ყველა მხარესა და კუთხეში სხვადასხვა კომისიები და მუნიციპალური საბჭოები ერთხმად აძლევდნენ ხმას პრეზიდენტის სახელის უკვდავყოფას და ზედიზედ უცვლიდნენ რუკაზე სახელებს შესაბამის ქალაქებსა თუ შტატებს.

ჟაკლინ კენედიმ საფრანგეთის ელჩის მეუღლეს ნიკოლ ალფანს უთხრა: „დაჭრილი ნადირის მსგავსად, ერთადერთი სურვილი მაქვს, შევძვრე სადმე მალულ ადგილას და მივყუჩდე“. ყოველივე ამის მაგივრად, ქალს შეუსვენებლივ უხდებოდა ათასგვარი ამოცანის გადაჭრა. მართალია, მისი ნათესავები შეძლებისდაგვარად ეხმარებოდნენ, მაგრამ საქმის უმრავლესობისათვის თავის გართმევა მაინც მას უწევდა. მან არ ისურვა დაკრძალვის სამზადისის პასუხისმგებლობის სხვაზე გადაბარება. შემდეგაც ყველაფრის გაკეთებას თვითონ ცდილობდა. ხშირად, უბრალოდ, არჩევანიც არა ჰქონდა. თუ ჟაკლინს ახალი პრეზიდენტისათვის მხარდაჭერა სურდა, მაშინ შესაბამის ცერემონიებზე მისი დასწრება აბსოლუტურად აუცილებელი იყო, ვინაიდან მისი შეცვლა აქ ნამდვილად არავის შეეძლო.

ჟაკლინი ცდილობდა, რაც შეიძლება, ჩქარა დაეცალა თეთრი სახლი ახალი შეპატრონისათვის. გადასვლის წინ, მისი უკანასკნელი, დრამატიზმით სავსე ჟესტი მთლიანად მის მიერვე იყო მოფიქრებული: რამდენიმე წარუმატებელი ცდის შემდეგ ჟაკლინმა ქაღალდის ფურცლებზე თავისი წვრილი ხელწერით შემდეგი სიტყვები გამოიყვანა:

„შეერთებული შტატების პრეზიდენტის პოსტზე ყოფნისას ამ ოთახში ცხოვრობდა ჯონ ფიტცჯერალდ კენედი და მისი მეუღლე ჟაკლინი ორი წელი, ათი თვე და ორი დღე“.

შემდეგ ეს სიტყვები კარზე ამოკვეთეს ზუსტად იმ ძველი წარწერის ქვეშ:

„თეთრ სახლში ყოფნის დროს, 1861 წლის 4 მარტიდან 1865 წლის 13 აპრილამდე ამ ოთახში ეძინა აბრამ ლინკოლნს“

ქაკლინი ჩაეტია თეთონ, მის მიერეე განსაზღვრულ ვადაში. პრეზიდენტის დაკრძალვიდან ზუსტად 11 დღის შემდეგ იგი ჰარიმანების სახლში გადავიდა.

პრეზიდენტმა ჯონსონმა რუფუს იანგბლადს ფინანსთა სამინისტროს უმაღლესი ჯილდო მიაკრა გულზე. ხოტბაც შეასხა — შენ ერთ-ერთი ყველაზე მამაცი და ნიჭიერი მუშაკი ხარ, ვისაც კი საერთოდ ვიცნობო. ქაკლინ კენედის დაკინებული თხოვნის შედეგად ფინანსთა მინისტრმა კლინტ ჰილიც ასევე დააჯილდოვა. მართალია, თავდასხმის მომენტში ორთავე ამ აგენტს ჩინებულად ეჭირა თავი, მაგრამ განსაკუთრებულ ქებას მაინც კლინტ ჰილის დრამატული ნახტომი იმსახურებდა. ფოტოსურათების წყალობით იგი მთელ სახელმწიფოში ცნობილი კაცი გახდა. ამ დაჯილდოებებმა ფარული უკმაყოფილება გამოიწვია ოფიციალური ვაშინგტონის უმეტესობაში. საიდუმლო სამსახურმა პრეზიდენტის წინაშე ვერ შეასრულა თავისი მოვალეობა და საქმის მთელი არსიც ეს იყო. ყველას საერთო აზრით, საიდუმლო სამსახურის თანამშრომელთა პირველი რეაქცია კოლექტიური დანაშაულისა და სირცხვილის გრძნობა უნდა ყოფილიყო და არა დიდი წარმატებით გაჩენილი სიამაყე. ჯერ ჩავარდნის მიზეზები უნდა გაერკვიათ, ჯილდოების გაცემას კი მერე შედგომოდნენ. რა თქმა უნდა, კენედის მკვლელობის ძიება დაწყებული იყო, მაგრამ აქაც. ჯერჯერობით საქმე ისე მიმდინარეობდა, რომ მხოლოდ შიშსა და წუხილის გრძნობას იწვევდა; გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ორმოცდაათი აგენტი გამოყო, როგორც იტყვიან, მთელი საქმის ერთი ხელის დაკვრით მოსათავებლად. ყოველივე ამის შედეგად გაჩნდა უსუსური ანგარიში, ყველა საჩოთირო კითხვას ერთი და იგივე ფრაზით, უაპელაციოდ რომ უარყოფდა: „არავითარი სამხილი არ აღმოჩნდა“, მერე ეს ანგარიში ჩუმად გადასცეს ერთ-ერთ ჟურნალს და, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი შინაარსიც ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა. თუნდაც ეს ერთი ეპიზოდი კმარა იმის სამწუხარო მაგალითად, თუ როგორ ივიწყებს ქვეყნის ბიუროკრატიული აპარატი საშიშროების მოახლოების დროს ქვეყნის ინტერესებს და როგორ იბრძვის საკუთარი თავის დასაცავად.

ბოლოს და ბოლოს ახალ პრეზიდენტს შეაგნებინეს, რომ კენედის მკვლელობის საქმის გამოძიების ტეხასელ ხელისუფალთათვის მინდობა ნიშნავდა თავიდანვე საეჭვო გაეხადათ მათი საქმიანობა, როგორც თავის გამართლების მცდელობა. პრეზიდენტის დაკრძალვიდან ოთხი დღის შემდეგ იუსტიციის მინისტრის მოადგილეები კატცენბახი და კოკსი შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე უორენს ეწვივნენ და ფედერალური კომისიის ხელმძღვანელობა სთხოვეს. უორენმა სასტიკი უარი განაცხადა — მე თვითონ არაერთხელ გამიკიცხავს სასამართლოს წევრები რაიმე სხვა, საკუთარი საქმის მომცდენი, ფუნქციების შესრულებისათვის და მე როგორ დავთანხმდები მაგ საქმეზეო. გამოსავლის სახით უორენმა რჩევა მისცა, პენსიაში გასულ ერთ-ერთ მოსამართლისათვის მიემართათ. მოსულთ, რასაკვირველია, რჩევა არ ეჭაშნიკათ და თეთრ სახლს სასწრაფოდ აცნობეს — უორენი ვერ დავიყოლიეთო. პრეზიდენტ ჯონსონს კი სწორედ ასეთი სიტუაციების მოგვარება ემარჯვებოდა. მინისტრის მოადგილეების წასვლა და უორენის სამუშაო მაგიდაზე ტელეფონის აწკარუნება ერთი იყო — პრეზიდენტი ერლ უორენს მასთან დაუყოვნებლივ გამოცხადებას სთხოვდა. მერე კი თვითონ უორენის აღწერით ვითარება შემდეგნაირად წარიმართა:

„მისვლისთანავე ბანდი შემომეგება და პრეზიდენტის კაბინეტში შემიყვანა. საქმემ მეტად სერიოზული სახე მიიღო, — მითხრა პრეზიდენტმა. ბობოქრობს საშინელი ჭორები და არც საერთაშორისო მდგომარეობის დაციწყება შეიძლებაო. სწორედ ახლა ვესაუბრე რასკის და იგი მეტისმეტად შეშფოთებულია. მერე ატომური ენერგიის კომისიის თავმჯდომარის ინფორმაციაც მოიხსენია. რამდენი მილიონი ადამიანის სიცოცხლეს იმსხვერპლებს, ატომური ომი რომ დაიწყოსო. ერთადერთი, რასაც შეუძლია ამ ჭორების მოკვეთა — ეს მხოლოდ გამოძიების სრულიად დამოუკიდებელი და პასუხისმგებელი კომისიის შექმნა იქნება. ამ კომისიას კი შეუძლია უხელმძღვანელოს სახელმწიფო სასამართლო იერარქიის უმაღლესი პოსტის მქონე კაცმაო.

მეც მოვახსენე ჩემი აზრი ამ საკითხის თაობაზე. ჯონსონის შეხედულებით, თუ საზოგადოებრივი აზრი მტრულად იქნებოდა განწყობილი კუბისა და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ამას, შესაძლოა, ომიც კი მოჰყოლოდა.

— თქვენ ერთხელ უკვე გეცვათ საბჭოდრო ფორმა, — მითხრა პრეზიდენტმა, — დარწმუნებული ვარ, თქვენი სამშობლოს ინტერესებისათვის კიდევ რომ მეთხოვა, ამ ფორმას თქვენ ისევ ჩაიცვამდით.

— რასაკვირველია, — ვუპასუხე მე.

— ახლა, ამაზე უფრო დიდი სამსახურის გაწევას გთხოვთ, — მითხრა მან.

— რადგან საკითხს ამგვარად სვამთ, — ვთქვი მე, — ისღა დამრჩენია მხოლოდ თანხმობით გიპასუხოთ".

ჯონსონმა იმავე საღამოს მოაწერა ხელი კომისიის კიდევ ექვსი წევრის დანიშვნის განკარგულებას. კომისიას ევალებოდა გამოძიების ფედერალური ბიუროს ყველა მასალის შესწავლა, დამოუკიდებელი ძიების წარმოება და კენედის მკვლელობასთან დაკავშირებულ „ყველა ფაქტსა და ვითარებაზე" საკუთარი დასკვნების გამოტანა. მისი კვლევის სფეროში შედიოდა „კენედის მკვლელობაში ეჭვმიტანილი კაცის ძალადობრივი სიკვდილის ვითარების ახსნა და დადგენა".

პრეზიდენტის მიერ კომისიის შედგენილობაში ცნობილ პიროვნებათა შეყვანა ქვეყნის საზოგადოებრივ აზრზე შთაბეჭდილების მოხდენის მიზნით იყო ჩაფიქრებული, რაც სავსებით ეთანხმებოდა ასეთი ორგანოების შექმნის ტრადიციებს. ნამდვილი სამუშაო კომისიის მთავარმა იურისკონსულტმა და მისმა თოთხმეტმა თანაშემწემ იტვირთეს. მათ შორის ყველაზე აქტიური მუშაობა გააჩაღეს შედარებით ახალგაზრდა იურისტებმა. ექვსი თვის მანძილზე კომისიის სხდომებზე გამოძახებული იქნა 94 მოწმე. კომისიის აპარატის ცალკეულმა წევრებმა ამავე დროის განმავლობაში 395 კაცის დაკითხვა მოასწრეს. ფიცის ქვეშ წერილობითი ჩვენებები ჩამოერთვა 61 კაცს, ხოლო პრეზიდენტმა და მისმა მეუღლემ თავიანთი ჩვენებები წერილობით გამოგზავნეს. უორენის კომისიამ სრული ტექსტი 1964 წლის სექტემბერს წარადგინა და გამოქვეყნდა კიდეც.

შეერთებულ შტატებში უორენის კომისიის მოხსენებას საყოველთაო მოწონება ხვდა. ნაკლები აღტაცებით მიიღეს იგი საზღვარგარეთ, სადაც მრავალგზის აკრიტიკებდნენ, როგორც „ოფიციალურ ვერსიას". გადაკვრით მიანიშნებდნენ — სხვა, ნამდვილი

ვერსია ჯერ კიდევ მკაცრი საიდუმლოებით ინახებაო. თუმცა საიდუმლო სამსახური, გამოძიების ფედერალური ბიურო და ქალაქ დალასის პოლიცია მაინცდამაინც მოსაწონარს დიდად ვერაფერს საქმიანობდა, მათ მაინც ფრიად მორიდებულად მოექცნენ. მათი მუშაობის ნაკლოვანებათა აღმოფხვრის თაობაზე კომისიის მიერ წამოყენებულ წინადადებებს სინათლე და გაბედულება აკლდა. მაგრამ თვით ასეთ შერბილებულ ვითარებაშიც მათ მეტად სავალალო ბედი ერგოთ. გამოძიების ფედერალური ბიუროს გაკრიტიკებით განრისხებული გუვერი ისეთი გააფთრებით გადავიდა კონტრშეტევაზე, რომ ამერიკელებმა ველარც კი განასხვავეს, მოხსენებაში გაცილებით მკაცრად საიდუმლო სამსახურის ნაკლოვანებანი რომ იყო გამოაშკარავებული. საიდუმლო სამსახურმა კი კეთილგონიერი დუმილი ირჩია. იმ დროისათვის, როცა გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორმა დისციპლინური ანგარიშსწორება დაამთავრა დალასის აგენტების მიმართ, ამერიკელ მკითხველთა უმრავლესობას უკვე დაავიწყდა კიდეც, რომელი უწყება აგებდა პასუხს კენედის სიცოცხლის უსაფრთხოებაზე. უორენის კომისიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი წინადადება კი საქმეს მიეკერა და დავიწყებას მიეცა. ამ კომისიის წინადადებით საიდუმლო სამსახური უშუალოდ მინისტრთა კაბინეტს უნდა დაქვემდებარებოდა. ეს წინადადებაც ასევე არ განხორციელებულა. კომისიის აზრით, თეთრი სახლის საიდუმლო სამსახურის აგენტთა ჯგუფის უფროსის პოსტზე ისეთი ჩინოვნიკი იყო საჭირო, ვინც პირადი ურთიერთობით პრეზიდენტთან დაკავშირებული არ იქნებოდა. ჯონსონმა ჯერი ბენი მაშინვე რუფუს იანგბლადით შეცვალა. თუმცა საიდუმლო სამსახურის არცთუ ბევრ აგენტს შეშურებია მისი ბედი. სახელმწიფოს ახალი მეთაური გაცილებით უფრო ძნელი დასაცავი აღმოჩნდა, ვიდრე მისი წინამორბედი, ჯონსონი უკანმოუხედავად ერთვოდა ხოლმე ხალხის ბრბოს, სტუმართმოყვრულად უხსნიდა თეთრი სახლის კარებს ჯგროდ თავშეყრილ ტურისტებს, მკაცრად კიცხავდა მასთან ზედმეტად მიახლოებულ პირად მცველებს.

საიდუმლო სამსახურმა ხელახლა გამართა პრეზიდენტის „ლინკოლნი“, რომელშიაც სასიკვდილოდ დაჭრეს პრეზიდენტი ჯონ კენედი. მანქანას ჰქონდა ხმის გამაძლიერებელი ძრავა, ორ-ნახევა-

რი ტონა ახალი რკინის ჯავშანი, საძი დუიძის სისქის მინები და ტყვიაგაუმტარი საბურავები.

უორენის კომისიის მოხსენება არ შეხებია ცეცხლმსროლელი იარაღით ვაჭრობაზე კონტროლის დაწესებას. ეს საკითხი კომისიის წევრებმა ერთმანეთს შორის განიხილეს და დაასკვნეს, რომ იგი მათ კომპეტენციაში არ შედიოდა. კენედის მკვლელობის შემდეგ შესაბამისი კანონის მიღების აუცილებლობა იმდენად მომწიფდა, რომ თითქოს მის განხორციელებას წინ აღარა ედგა რა. საზოგადოებრივი აზრის დაკითხვამ აჩვენა, რომ ყოველი ათი დაკითხული ამერიკელიდან რვა მხარს უჭერდა ისეთი კანონის მიღებას, რომელიც იარაღის შეძენის ნებართვას მხოლოდ იმ პირებს დართავდა, ვისაც პოლიციის შესაბამისი თანხმობა ექნებოდა. რობერტ კენედიმ მოითხოვა, რათა სენატს იარაღის ფოსტით გამოწერა აეკრძალა. სულ მალე ამ წინადადების მხარის დამჭერი წერილებით აივსო მთელი კაპიტოლიუმი.

პრეზიდენტის დაკრძალვიდან რამდენიმე კვირის შემდეგ სენატორმა ტომას დოდმა საკმაოდ გონივრული კანონპროექტი წამოაყენა. იგი კრძალავდა იარაღის ფოსტით გამოწერას, მის იმპორტს (გარდა სპორტულისა) და შეძენის უფლებას 21 წლის ასაკამდე. ამასთანავე ავალდებულებდა იარაღის ყოველ მყიდველს საბუთებით დაედასტურებინა თავისი პიროვნება, რათა საჭიროების შემთხვევაში პოლიციას შესაძლებლობა ჰქონოდა მისი მოძებნისა. ამერიკის ადვოკატთა ასოციაციამ მხურვალედ დაუჭირა მხარი ტომას დოდის ამ კანონპროექტს, თუმცა ცხოვრებაში გატარებაზე მაინც არავის უზრუნია.

შეერთებული შტატების პატიმართა ბანაკებისა და ციხეების სამმართველოს უფროსი გადაჭრით აცხადებდა: „ბოლოს და ბოლოს თუ ავტომანქანები ექვემდებარებიან რეგისტრაციას, ხოლო მძღოლებს მართვის უფლება სჭირდებათ“, იარაღს მით უფრო უნდა მივხედოთ. მაგრამ მისი ეს განცხადება დარჩა ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა. საბოლოოდ კონგრესს იარაღის გაყიდვაზე კონტროლის დაწესების 18 კანონპროექტი წარუდგინეს. და მაინც ვერც ერთმა ამ „იარაღსაწინააღმდეგო“ პროექტმა მიზანს ვერ მიაღწია. შეერთებული შტატები კვლავ რჩებოდა მსოფლიოში ერთადერთ ცივილიზებულ სახელმწიფოდ, სადაც ცე-

ცხლმსროლელი იარაღის შეძენისა და მოხმარების მარეგულირებული არავითარი მყარი კანონი არ არსებობდა. მარტო 1964 წელს ამ სახელმწიფოში შეტანილ იქნა 600 ათასი იაფფასიანი იარაღი.

ბევრი ამერიკელი იარაღის ყიდვაზე კონტროლის დაწესების ყველა ამ ცდაში თავიანთი მამაცობის ხელყოფას ხედავდა. უდიდესი გავლენის მქონე მოყვარულმსროლელთა ეროვნული ასოციაცია თავიანთი გაერთიანების ნახევარმილიონიანი არმიის წევრებს მოუწოდებდა წერილობითი პროტესტები გამოეთქვათ იარაღის შესყიდვის კონტროლის დაწესებაზე. მათმა ლობისტებმა კონგრესის ცალკეული წევრების გადაბირებაც კი დაიწყეს იმ ფარისევლური აფორიზმის გამოყენებით, რომ „კლავს არა იარაღი, არამედ ადამიანი". ისინი მხოლოდ ჰიკენლუპერის კანონის მიღებას მოითხოვდნენ. ეს კანონი უცხო ქვეყნების ფირმათა მიერ დამზადებული იარაღებისა და პისტოლეტების შემოტანას კრძალავდა მხოლოდ. ამაო აღმოჩნდა კატცენბახის ყველა ცდა, დაემტკიცებინა, რომ ასოციაცია ფაბრიკანტების შემოსავალს იცავდა და არა სპორტსმენთა ინტერესებს.

მასობრივი ტირაჟის მქონე ჟურნალი „ფილდ ენდ სტრიმი" თავის მკითხველებს აფრთხილებდა: „ექსტრემისტები კვლავ მოითხოვენ ცეცხლმსროლელი იარაღის გაყიდვის აკრძალვას". ჟურნალი თავის მკითხველებს შეტევაზე გადასვლას მოუწოდებდა. აქვე მინდა მოგახსენოთ, რომ 1966 წელს ერთ-ერთმა ფირმამ, რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე იარაღსა და პისტოლეტებს ფოსტით უგზავნიდა ყველას, ვისგანაც შესაბამის ფულად გადარიცხვას მიიღებდა, ამ ჟურნალის თებერვლის ნომერში მოათავსა განცხადება. იგი რეკლამას უკეთებდა უცხოური წარმოების ოპტიკურსამიზნიან იაფ თოფს ანუ, როგორც თვითონვე წერდნენ, იარაღის მფლობელთა შორის „კენედის მარკის შაშხანად" წოდებულ იარაღს. ამ ცნობის გვერდით დაბეჭდილი იყო სარეკლამო განცხადება კენედის ხსოვნისადმი მიძღვნილი სპეციალური საფოსტო მარკების გამოშვების გამო. ქალაქ პატერსონის (ნიუჯერსის შტატი) ერთმა რეპორტიორმა იმის შემოწმება სცადა, თუ სადამდე იყვნენ მისულნი იარაღის ფოსტით გამყიდველი ფირმები და ერთ-ერთ ასეთ ფირმას შეკვეთა გაუგზავნა, ხოლო ფულის

ჩეკს „ლი ჰარვი ოსვალდი“ მოაწერა. რეპორტიორმა ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მიიღო იარაღი.

იარაღის მფლობელნი ჟურნალ „აუტორ ლაიფის“ მოწოდებას აჰყვნენ და თვითონ გადავიდნენ შეტევაზე. განსაკუთრებით შეურიგებელი ბრძოლა ტეხასის შტატში გაჩაღდა. ქვეყნის სხვა რაიონებში სამოსამართლო ორგანოები კეთილად განეწყვნენ იმ ოცი ათასზე მეტი კანონისა თუ დადგენილების მიმართ, ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა ცალკეულ ქალაქებსა და შტატებში რომ გამოიტანეს იარაღის გაყიდვაზე კონტროლის დაწესების გამო. 1962 წელს დალასის ერთ-ერთმა მოსამართლემ შეცვალა მუნიციპალიტეტის დადგენილება იარაღის ტარების შეზღუდვასთან დაკავშირებით, ვითომ იმ საბაბით, რომ იგი თითქოს „თვითნებურად ბღალავდა ამ შტატის მოქალაქეთა ხელშეუვალობის უფლებას“.

გუბერნატორ კონელის ხელზე ჭრილობა კარგად მოშეშებულიც არა ჰქონდა, რომ ტეხასის შტატის კონგრესმენებს მიმართა — დოდის კანონპროექტის წინააღმდეგ გაილაშქრეთო. დალასში გამართულ კონფერენციაზე კი შტატის რესპუბლიკური პარტიის წევრებმა კერძო პირთათვის იარაღის შეძენისა და ხმარების ყოველგვარი შეზღუდვის გამამათრახებელი რეზოლუცია მიიღეს.

„დიდმა დ“.-მ ძველებურადვე გამოიჩინა თავი ათასგვარი უცნაურობით. 1963 წლის ნოემბრის ბოლო კვირას ლიბერალთა გულებში გაჩენილი იმედის ნაპერწკალი, რომ კენედის სიკვდილთან დაკავშირებულ ღირებულებათა მტკივნეულ გადაფასებას ამ ქალაქის მცხოვრებთა საზოგადოებრივი შეგნების გაღვივება მოჰყვებოდა, აუხდენელი ოცნება გამოდგა. რაც მეტი იყო ცვლილება დალასში, მით უფრო ცხადად იგრძნობოდა, რომ იგი კვლავ იგივე იყო. დაჭკნა კენედის მკვლელობის ადგილას, დილის მოედანზე მიტანილი გვირგვინები. თვითშეგნების ნორჩი ყლორტები გაუხმდა და თავდაცვის საფრად იქცა. ის შიში კი „ღმერთო, დაგვიფარე, რას იტყვიან ჩვენზე ნიუ-იორკშიო“, ერთ-ერთი ადგილობრივი ფსიქიატრის აღწერილობით მერე ასეთ ვითარებად ჩამოყალიბდა:

„დალასელები ძალიან, ძალიან ამაყობენ თავიანთი ქალაქით. მის ცალკეულ მოქალაქეთ ეს გრძნობა რაღაც თავმომწო-

ნეობის მანიად ქცევიათ და, სხვათა მწუხარებაზე ზრუნვის ნაცვლად, ქალაქის რეპუტაციის შერყევის შიშით არიან შეპყრობილნი“.

ამ მოქალაქეთა თვალში დალასმა საჭირო რეაბილიტაცია ახალი პრეზიდენტის მოღვაწეობის პირველსავე თვეში მიიღო. საქმე ის გახლავთ, რომ 1963 წლის სტუდენტთა გუნდების სპორტული სეზონის დასასრულს ქვეყნის სპორტულმა კომენტატორებმა თავიანთი არჩევანი ტეხასის უნივერსიტეტისა და აშშ-ის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის რეგბისტთა გუნდებზე შეაჩერეს და მათ № 1 და №-2 გუნდები უწოდეს.

ეს გუნდები ტეხასში კოტონ-ბოულის დიდ სპორტულ არენაზე შეხვდნენ ერთმანეთს. კადეტები გვარიანად მიზილეს. მთელი ტეხასი ზეიმობდა გამარჯვებას.

საერთო სახალხო სინანულის გრძნობა საკმაოდ ჩქარა გაქრა. ჯეს კარის პოლიციელები ადგილობრივი ხელმძღვანელობის საქმიანობით აღშფოთების ნაცვლად აკრიტიკებდნენ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებებს სამართალში მიცემულთა დაცვის თაობაზე, რამაც დალასის პოლიციის აზრით, ხელი შეუშალა ოსვალდის რიგიანად დაკითხვას.

22 ნოემბერს მომხდარი კატასტროფის პირველი შთაბეჭდილებით შეშფოთებულმა სასკოლო განათლების ინსპექტორმა უაიტმა დაიფიცა — სამსახურიდან გავაძევებ იმ მასწავლებელს, ვინც თავის მოწაფეებს უთხრა: სურვილი მაქვს პრეზიდენტ კენედის სახეში შევაფურთხოო. გავიდა რამდენიმე დღე და ინსპექტორმა აზრი შეიცვალა. სამაგიეროდ, მოხდა სულ სხვა რამ, ამავე ინსპექტორმა ორი კვირის შემდეგ სამსახურიდან დაითხოვა სულ სხვა მასწავლებელი, ვინაც ჟურნალ „ტაიმის“ რედაქციას წერილი მისწერა. მასწავლებელი ქალი წერილში ირწმუნებოდა, რომ თვითონ იყო მოწმე როგორ „აღვივებდნენ ჩვენი გაზეთები და დალასის ზოგიერთი ხელმძღვანელები სიძულვილის თესლს“. მისი ღრმა რწმენით, ასეთმა საქციელმა მკვლელს დანაშაულებრივი აქტის ჩადენისაკენ წაუბიძგა.

დალასის ერთ-ერთი ნავთობის კომპანიის ვიცე-პრეზიდენტმა და დალასის დიდი უნივერმაღის დირექციის წევრმა პრესის ფურცლებზე სასტიკად გააკრიტიკეს ქალაქის ულტრამემარჯვენე ორ-

განიზაციები, რის შედეგად ორთავე ავტორი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

რასაკვირველია, დალასის მოსახლეობის უმრავლესობა უდიდეს სინანულს განიცდიდა მომხდარი უბედურების გამო, მაშინ როცა ადგილობრივ ხელისუფალთ უარი განაცხადეს კენედის უკვდავსაყოფად რაიმე ძეგლისა თუ მემორიალური დაფის დასაფინანსებელ ხარჯებზე (საზოგადოებრივი თანხების აღნიშნული მიზნისათვის გამოყენება, ჩვენი მხრივ, კანონის დარღვევა იქნებაო). მერე დალასის მოქალაქეთა მიერ შექმნილმა კომიტეტმა გადაწყვიტა, სასამართლოს მახლობლად მდებარე მიყრუებული კვარტალი კენედის ხსოვნის მოედნად ექციათ, მაგრამ ეს გეგმაც სადღაც ჩაიკარგა. ბოლოს და ბოლოს გახსნილ იქნა ძეგლი საკაჭრო ცენტრში. იქ, სადაც 22 ნოემბერს კენედის სიტყვა უნდა წარმოეთქვა. დანაშაულის ჩადენის ადგილას კი არაფერი იყო იმის მაუწყებელი, რომ სწორედ აქ დაიღვარა პრეზიდენტ ჯონ კენედის სისხლი. უბედურების სამახსოვრო რაიმე ნიშნის უქონლობა განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა ამერიკული ლეგიონის მიერ დალასში ყოველწლიური კონფერენციის ჩატარების დროს. ზედიზედ, მთელი ექვსი საათის განმავლობაში ტამბურმაჟორელთა მყვირალა ტანსაცმელებში გამოწყობილი კვერთხიანი გოგონები ნაირფერმუნდირებიან კოლონების წინ სწორედ სკოლის სახელმძღვანელოების ტეხასის საწყობის წინ მიდი-მოდიოდნენ. შენობასთან არავინ ჩერდებოდა და არც არაფერი მოგაგონებდათ სულ ცოტა ხნის წინ დატრიალებულ უბედურებას.

1966 წლის გაზაფხულზე, ანუ რანიმიდში კენედის მუზეუმის გახსნიდან ერთი წლის თავზე, დალასის მესვეურებმა კეთილ ინებეს თავიანთი პოზიციების გადასინჯვა. საქმე მთელი 180 გრადუსით შემობრუნდა და ქალაქის გამწვანებისათვის განკუთვნილ თანხიდან 20 ათასი დოლარი გამოყვეს კენედის ხსოვნის მემორიალური დაფის ასაგებად. დაფის თავდაპირველი ტექსტის ვარიანტი ათი აბზაცისაგან შედგებოდა. მისი ავტორები გვაუწყებდნენ, რომ მოედანს ჰქვია ჯ. გ. ბ. დილის სახელი, მერე აღწერდნენ დღევანდელი ქალაქის ტერიტორიაზე დაახლოებით 1841 წელს აგებულ პირველ ქოხს, იხსენებდნენ ტეხასის საკანონმდებლო საკრებულოს დეკრეტს, რომლის ძალითაც 1846 წელს შეიქმნა დალა-

სის ოლქი. ნაამბობი იყო მდინარე ტრინიტიზე 1855 წელს ფასიანი ხიდის მშენებლობისა და 1856 წელს დალასის შტატის შემადგენლობაში შეყვანის ამბავი, იხსენებდნენ მდინარე ტრინიტიზე 1869 წელს რეგულარული ნაოსნობის გახსნას, 1872 წელს დალასიდან მექსიკის ყურემდე გაყვანილი სარკინიგზო ხაზის მშენებლობის დამთავრებას და ბოლოს მედიდურად აცხადებდნენ 1873 წელს დამთავრებული რკინიგზის დიდი ვაგზლის შენობის ქალაქისათვის შემატებას. ასეთი შემოქმედებითი საქმიანობის გაცნობის ფონზე წარწერის ავტორები დასასრულს იეწყებოდნენ — ეს ადგილი საუბედუროდ მთელი მსოფლიოს შემაძრწუნებელი ტრაგედიის სცენად იქცაო.

„ტაიმს ჰერალდის“ ჟურნალისტები აღაშფოთა ამ ტექსტის წაკითხვამ. აკი გესლიანადაც აღნიშეს, მკვლელობის საშინელი სიმართლისათვის ლაქის გადასმის ასეთი ცდა კიდევ უფრო განამტკიცებს ისედაც ფართოდ გავრცელებულ აზრს დალასზე, როგორც ქალაქზე, რომელიც მხოლოდ თავის პრესტიჟზე ზრუნავს და საკუთარი ცხვირის იქით ვერაფერს ხედავსო. ყოველივე ამის შემდეგ ადგილობრივი ხელისუფლება ქალაქის ყოველგვარი „შემოქმედების მოღვაწეობის“ მოხსენიების გარეშე, უფრო მოკლე და უბრალო ტექსტს დასჯერდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ქალაქის მესვეურთ წიგნების საწყობის შენობის აღების ფარული ჰქონდათ შეუჯდათ. ესაო და ეს ძველი შენობა ქალაქის მოძრაობას ხელს უშლისო. დიახ, ეს სახლი უსიამოვნო მოგონებებს იწვევდა და დალასის მცხოვრებთ სულაც არ სიამოვნებდათ მისი ცქერა.

თვალს ეკალივით ესობოდა ჯეკ რუბი. მისმა სასამართლო პროცესმა ყველას აღშფოთება გამოიწვია. გამონაკლისს მხოლოდ ბურანში მყოფი ბრალდებული იუბი და განდიდების დაუოკებელი წყურვილით შეპყრობილი მისი ადვოკატი წარმოადგენდნენ. სასამართლოს პროცესი დროდადრო საცირკო წარმოდგენას ემსგავსებოდა. მოსამართლის — ჯო ბ. ბრაუნის გასაოცრად — გამოირკვა, რომ 1959 წელს თვითონ მან გაუწია ჯეკ რუბის რეკომენდაცია დალასის სავაჭრო პალატის წევრი გამხდარიყო და მაინც ბრაუნმა უარი არ თქვა ამ საქმის მოსამართლეობაზე. მართალია, რეკომენდაცია მე მივეცი, — განაცხადა მან, — ნაგრამ მაშინ ბრალ-

დებულს საკმაოდ კარგად არ ვიცნობდიო. მისი მოთხოვნით, კენედის მკვლელობის ტელევიზიით მხილველნი მოწმედ არ გამოდგებოდნენ. ტეხასის უმაღლესმა სასამართლომ მხარი დაუჭირა ამ გადაწყვეტილებას. საბოლოოდ მოწვეულ იქნა ნაფიც მსაჯულთა სასამართლო — საგანგებოდ შერჩეულივით, მხოლოდ თეთრი რასისა, ხოლო რელიგიის მიხედვით, პროტესტანტული რწმენის მოქალაქენი. ერთხელ სასამართლოს სხდომის შეწყვეტა მოჰყვა ადგილობრივი ციხიდან ბრალდებულთა გაქცევას. დაცვამ ორჯერ ჩამოართვა იარაღები დარბაზში მყოფთ (პისტოლეტწართმეულთა შორის გახლდათ რუბის ღამის კლუბის ლამაზმანი). მოსამართლემ ნება დართო განაჩენის გამოქვეყნების დროისათვის დარბაზში დაედგათ სატელევიზიო კამერები. 1964 წლის 14 მარტს რუბი ცნობილ იქნა დამნაშავედ წინასწარგანზრახულ მკვლელობაში. ნაფიცმა მსაჯულებმა დამნაშავეს არ მისცეს შეწყალების რეკომენდაცია და მას სიკვდილით დასჯა მიესაჯა. რუბიმ სამჯერ სცადა თავის მოკვლა. 1966 წლის ოქტომბრამდე იგი ადგილობრივი ციხის საკანში იმყოფებოდა, ანუ მანამდე ვიდრე ტეხასის სასამართლოს სააპელაციო კოლეგიამ პროცესუალურ დარღვევათა საფუძველზე განაჩენი არ გააუქმა და საქმის ახალი მოსმენა არ დანიშნა. მაგრამ რუბის გამარჯვება პიროსისებური გამოდგა. კიბოს უკურნებელი სენით შეპყრობილი რუბი 1967 წლის დამდეგს პარკლენდის ჰოსპიტალში გარდაიცვალა.

დალასის მესვეურთა სამწუხაროდ, ზედაპირზე ტივტივდებოდა სულ ახალახალი გროტესკული ამბები.

ფირმა „კლეინის“ სპორტული ინვენტარის მაღაზიის მიერ გამოქვეყნებული ცნობის მიხედვით, სუვენირების მოტრფიალე დალასელებმა „მანლიჰერ-კარკანოს“ მარკის 150 შაშხანა შეუკვეთეს. ერთმა გაქნილმა საქმოსანმა შექმნა ფირმა „ისტორიული სუვენირები“ და გასაყიდად გამოიტანა სამ დოლარად და სამოცდათხუთმეტ ცენტად ღირებული ორიგინალური საწერი მოწყობილობა, ბურთულიანი ავტოკალმის ქვესადგამით. იგი წარმოადგენდა ბრინჯაოსფერ მინიატურულ მოდელს იმ მოედნისა, სადაც პრეზიდენტის მკვლელობა მოხდა. არცთუ მოჭარბებულად მგრძნობიარე დალასელები დიდი ამბით ყიდულობდნენ ამ უცნაურ საწერ მოწყობილობას.

მარინა ოსვალდს ნებაყოფლობითი შემოწირულების სახით 70 ათასი დოლარი შეუგროვდა და ენერგიულად შეუდგა ბიზნესის გაჩაღებას. ქმრის დღიურმა მარინას 20 ათასი დოლარი მოუტანა, ხოლო ფოტოსურათმა, სადაც ოსვალდი „მანლიჰერ — კარკანოს“ შაშხანით იყო აღბეჭდილი, ხუთი ათასი დოლარი შესძინა. შემდეგ ქალი ამ შაშხანის ხელში ჩაგდებასაც კი შეეცადა. თავის უცნაურ მოთხოვნას მარინა ასე ასაბუთებდა, — რადგან ოსვალდი ცოცხალი აღარ არის, შაშხანა ნივთიერ საბუთად აღარ გამოდგება და მე დამიბრუნეთო. ერთმა დენვერელმა ნავთის მრეწველმა ამ შაშხანის სუვენირად შეძენა მოინდომა და მარინას სახელზე, დაბევების სახით, 10 ათასი დოლარი გაგზავნა (ეს თანხა 499 ჯერ აღემატებოდა ოსვალდის მიერ ამ შაშხანის შესაძენად გაღებულ თანხას), მერე კი კატეგენბახს სასამართლო სარჩელი წარუდგინა და პრეზიდენტ კენედის სიკვდილის მომტანი შაშხანის მისთვის გადაცემა მოითხოვა, მაგრამ 1966 წლის დასაწყისში ფედერალურმა სასამართლომ ულაპარაკოდ უარყო ეს სარჩელი და იმავე წლის შემოდგომაზე იუსტიციის სამინისტრომ მუდმივ მფლობელობაში მიიღო შაშხანა № — 2766.

1963 წლის ნოემბრის შემდეგ არც რუთ პეინსა და არც მარგარიტა ოსვალდს მარინა აღარ უნახავთ. მარგარიტამ უმატა რძლის ლანძღვას. გაზეთებიდან შეიტყო, რომ ახალგაზრდა ქვრივი თმას ილებავდა, მოჭარბებულად იცხებდა პომადას და პაპიროსსაც ვვარიანად ეწაჩებოდა. ოსვალდის დედის თვალში ყოველივე ამას ცუდი გავლენის მოხდენა შეეძლო თავისი გარდაცვლილი ვაჟის ბავშვებზე. თუმცა მარგარიტას უკმაყოფილებას სხვა უფრო საფუძვლიანი მიზეზებიც ჰქონდა. მარგარიტა აღაშფოთა უორენის კომისიის მოხსენებაში ოსვალდის იმდაგვარად ხსენებამ. „მათ ვერ გაბედეს ხალხისათვის სიმართლის თქმა“, — განაცხადა ოსვალდის დედამ. როგორც თვითონ ფიქრობდა, უორენის კომისიამ ჩვენებისათვის ჰონორარის გაცემაზე უარის თქმით „პირიდან ლუკმა გამოაცალა“. „მათ მომატყუეს მე“. დიახ, ოსვალდის დედამ ჟურნალ „ესკვაირის“ რედაქციას, მართლაც, კარგ ფასად მიჰყიდა ლის წერილი და ჟურნალის წარმომადგენელთან ლაპარაკიც არ ისურვა, ვიდრე თანხა სრულად არ გადაუხადეს. აღებული ფულით ქალმა მაშინვე შეიძინა ორფერი ავტომანქანა, მოოქრულ-ჩარჩოიანი ვის-

ტლერის სურათის „დედის“ რეპროდუქცია და სასტუმრო ოთახში დაჰკიდა. ყელზე კი ქალწულ მარიამის მინიატურული ქანდაკების ოქროს ავგაროზი შეიბა. მისი სახელი კვლავ იხსენიებოდა ქალაქ ფორტ-უორტის სატელეფონო ცნობარში. მარგარიტა სიამოვნებით ესაუბრებოდა ხოლმე ჟურნალისტებს, თუმცა ტელეფონის ზარის ხმა თანდათან სულ უფრო და უფრო კლებულობდა.

1964 წლის პრეზიდენტის არჩევნების კამპანიის დროს მკვლელის დედამ უკიდურეს მემარჯვენეთა მიერ გამოცემული უამრავი წინასაარჩევნო ლიტერატურა წაიკითხა.

მთელი შტატის წიგნების ჯიხურები გოლდუოტერელთა კოჰორტის ერთიან საკუთრებას წარმოადგენდა. ყოველი მხრიდან ისმოდა მათი პროპაგანდისტული კიჟინა — გაზეთის ჯიხურების თაროებიდან, წიგნის იაფფასიანი მაღაზიებიდან თუ სასტუმროების ვესტიბიულებიდან. და მაინც მთელ ამ ალიაქოთს არჩევნებზე ძალიან ნაკლები ეფექტი მოჰყვა. ისევე როგორც დანარჩენ შტატებში, რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა ბარი გოლდოუტერმა ტეხასშიაც სასტიკი დამარცხება განიცადა. უფრო რთულ ვითარებაში მიმდინარეობდა სენატის არჩევნები.

თებერვალში კონელისა და იარბოროს მტრობამ ახალი ძალით იფეთქა. დემოკრატიული პარტიის ლიდერის ავტორიტეტის მქონე ჯონსონმაც ვერ მოახერხა, ცოტა თუ ბევრად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოწინააღმდეგე მხარეთა შორის ზავის ჩამოგდება. ბედის საოცარი ირონიის წყალობით, კენედის მკვლელობამ მნიშვნელოვნად შეურყია შანსები მის ერთადერთ თანმიმდევრულ მომხრეს შტატის დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობაში.

იარბოროს გულს უკლავდა ის ამბავი, რომ დილის მოედანზე მომხდარი გასროლის შედეგად კონელი უვნებელი დარჩა. იმ ღირსახსოვარ პარასკევამდე სენატორი იარბორო, შტატის მოსახლეობის ყოველი დაკითხვის მიხედვით, პოპულარობის თვალსაზრისით კონელის სასტიკად ჯაბნიდა. მაგრამ აი, არჩევნების დროს გუბერნატორმა დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა თავის ყველა მოწინააღმდეგეზე.

22 ნოემბერს ოსტინში დანიშნული ბანკეტის ბილეთების გაყიდვით შემოსული თანხა უკან აღარ გაცემულა (თუმცა ერთმა

ვაცმა თავისი ასი დოლარის დაბრუნება მოითხოვა უსადილოდ დარჩენის გამო). მთელი ეს 350 ათასი დოლარი თანაბრად განაწილდა ამ ბანკეტის მომწყობ დემოკრატიული პარტიის საორგანიზაციო კომიტეტებსა და ამ პარტიის ადგილობრივ განყოფილებას შორის. სენატორი იარბოროო დიდ ფინანსურ ნაკლებობას განიცდიდა თავისი საარჩევნო კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებით. 14 სექტემბერს მეტად უხერხული სიტუაცია შეიქმნა. საღამოს შვიდ საათზე დალასში იმართებოდა ორი ფასიანი ბანკეტი: ერთი — „შერატონ-დალასში", იარბოროს პატივსაცემად, მეორე კი — საკაჭრო ცენტრში, კონელის პატივსაცემად.

დემოკრატიული პარტიის წევრები არჩევანის წინაშე იდგნენ. ბაირონ სკელტონმა სასოწარკვეთით აღაპყრო ხელები და შინ დარჩა. რისთვისაც შემდგომ დაისაჯა კიდეც: მის მაგივრად ტეხასიდან პარტიის ნაციონალური კომიტეტის წევრად კონელის კაცი წამოაყენეს. ჯონსონის სერთუკის კალთას ჩაფრენილმა გაღიზიანებულმა იარბოროომ უარი განაცხადა სენატში შესვლაზე. წინასაარჩევნო გამოსვლებსა თუ თავის პუბლიკაციებში იგი ხაზგასმით აღნიშნავდა პირად ერთგულებას პრეზიდენტ კენედისადმი და 3 ნოემბერს ძლივძლივობით შერჩა ხელმძღვანელობას.

თვით დალასში კი მან ამის მიღწევაც ვერ შეძლო. იარბოროომ ფიასკო განიცადა დალასის ოლქში და დაჰკარგა თითქმის 27 ათასი ხმა. ეს იყო ყველაზე ცუდი შედეგი მთელი მისი პოლიტიკური კარიერის მანძილზე. დამარცხებულმა გოლდუოტერმაც კი მეტი ხმა მიიღო დალასელ ამომრჩეველთაგან, ვიდრე სენატორმა იარბოროომ. ელჯერზე გამარჯვება მოიპოვა დალასის მერმა ერლ კეიბელმა, მაგრამ ყველაზე წინ მაინც კონელი მიდიოდა. მან ორჯერ მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ერთად ყველა მისმა მოწინააღმდეგემ. აქ უკვე აშკარად იჩინა თავი დალასის გაზეთ „მორნინგ ნიუსის" გავლენამ. გუბერნატორი გახლდათ ის ერთადერთი კაცი, ვისაც თვითონ გაზეთის გამომცემელი დილი უჭერდა მხარს. გამომცემლის აზრით, შუბლმაგარი ტეხასელების გზნება შენელდებოდა გოლდუოუტერის ვარსკვლავის გაქრობასთან ერთად, მაგრამ ეს ასე არ გახლდათ. მათი ენერგია უსამანო იყო. შტატის მასშტაბით მათმა პრესტიჟმა გაუძლო კენედის მკვლელობით თავს დატეხილ ყოველგვარ გასაჭირს. ახლა ერლ უორენის სახით მათ ახალი „№-1" ავი

სული გაუჩნდათ. რამდენიც უნდა ელაპარაკათ მოქალაქეთა საბჭოს პოლიტიკურ ილუზიონისტებს, მათ არც უფიქრიათ ოდნავ მაინც შეეცვალათ თავიანთი ადრინდელი შეხედულებანი ჯონ კენედიზე. ისინი არც ერთ დღეს არ უშვებდნენ, ელმ-სტრიტზე მოკლული პრეზიდენტისადმი მტრობის დამადასტურებელი ახალი რამ არ მოემოქმედათ. 1964 წლის სექტემბრის ბოლოს, სწორედ იმ კვირაში, როცა უორენის კომისიამ თავისი მოხსენება გამოაქვეყნა, სავაჭრო ქუჩაზე წიგნის მაღაზიის ვიტრინაში გამოფინეს წიგნი „მკვლელობის მემკვიდრეობა". ამ 479 გვერდიან შრომაში პრეზიდენტი კენედი გამოყვანილი იყო გარყვნილ და მოღალატე კაცად. მისი მკვლელობის წლისთავზე დალასის საქმიანი ნაწილის ყველა ქუჩაში ჰყიდდნენ შტატის უფლებათა დამცველი პარტიის მიერ გამოშვებულ გაზეთ „სანდერბოლტს". გაზეთის პირველ გვერდზევე ლაფში სვრიდნენ გარდაცვლილი პრეზიდენტის სახელს.

1965 წლის 29 მაისს, კენედის დაბადების 48 წლისთავზე, ტეხასის საკანონმდებლო საკრებულოში მემარჯვენე ფრთამ ჩაფუშა კანონპროექტი ტეხასის გონებრივად ჩამორჩენილ ბავშვთა სკოლისათვის კენედის სახელის მინიჭების თაობაზე. საკრებულოს დეპუტატმა, გუბერნატორ კონელის ძმამ, მხარი არ დაუჭირა ამ პროექტს, ხოლო გაზეთმა „ტეხას ობსერვერმა" საკრებულოს წევრთა გამოსვლების ცალკეული ციტატებიც კი მოიყვანა: „ეს პოლიტიკური თამაშია მკვდარი ადამიანის სახელის ირგვლივ". „მასზე ცუდი აზრისა ვარ", „მე არ მინდა პოლიტიკურად დავზარალდე", „ჩემს ამომრჩევლებს ეს ამბავი გუნებაში არ მოუვათ", „მე ოგი არასოდეს მომწონდა".

შემოდგომაზე, პრეზიდენტის სიკვდილიდან ორი წლის შემდეგ, ლუ ჰარისონის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ დალასში პრეზიდენტ კენედის ხსოვნის პატივისმცემელთა რიცხვი კატასტროფულად მცირე იყო მთელ შეერთებულ შტატებთან შედარებით. 1966 წელს ლოს-ანჯელესის გაზეთ „ტაიმსში" დაიბეჭდა ჰენრის წერილი. მასში განხილული იყო ამერიკის ინფორმაციის სააგენტოს მიერ კენედიზე შექმნილი ამაღელვებელი კინოფილმი — „სწრაფი წლები, ეპიკური დღეები". შეერთებული შტატების ყველა ქალაქის კინოთეატრებთან ფილმის ნახვის მსურველ-

თა ზღვა იდგა, მაშინ როცა ქალაქ დალასში მისი ჩვენება სავსებით ჩაიფუშა.

კენედის მკვლელობასთან დაკავშირებულ ამბებში მეორეხარისხოვანი როლის რამდენიმე შემსრულებელი 1963/64 წლის ზამთარში უეცრად გარდაიცვალა ანდა რაღაც გაურკვეველი, იდუმალი თავდასხმის მსხვერპლი გახდა. 23 იანვარს თავისი მაღაზიის გაჩერებასთან თოფით მოკლეს ნახმარი ავტომანქანებით მოვაჭრე მაღაზიის გამყიდველი უორენ რეინოლდსი. იგი შემთხვევითი მოწმე იყო ლი ოსვალდის გაქცევისა, როცა ამ უკანასკნელმა პოლიციელი ტიპიტი მოკლა. რეინოლდსის მკვლელი დაინახეს, მაგრამ დაჭერა ვერ მოახერხეს. პოლიციამ დააპატიმრა ეჭვმიტანილი სუბიექტი, თუმცა იგი მაშინვე გაანთავისუფლეს, როგორც კი ერთ-ერთმა მანდილოსანმა მის სასარგებლოდ ჩვენება მისცა, რამდენიმე ხნის შემდეგ სწორედ ეს მანდილოსანი თვითონ დააპატიმრეს საზოგადოებრივი წესების დარღვევის ბრალდებით და დალასის ციხის საკანში თავი ჩამოიხრჩო. სამი ადამიანი — გენერალი, რომელიც სან-ანტონიოს აეროდრომზე კენედის სამხედრო-საჰაერო ძალების სახელით მიესალმა, ოფიციანტი, ვინაც კენედის ფორტ-ურტში უკანასკნელი საუზმე მიართვა და გაზეთ „მორნინგ-ნიუსის" სარეკლამო განყოფილების გამგე — სრულიად მოულოდნელად მიიღო უფალმა. სარეკლამოს უფროსი ჯან-ლონით სავსე ორმოცდახუთი წლის მამაკაცი შესაშური ჯანმრთელობის პატრონი გახლდათ. არც ოცდაშვიდი წლის კაპიტანი უჩიოდა ავადმყოფობას. იგი უშუალო უფროსი იყო ლეიტენანტ სემ ბერდისა, პრეზიდენტის დაკრძალვის მთელი ცერემონიალის დროს. სექტემბერში, ამ ამბებამდე სულ რაღაც ორი თვით ადრე, მან მორიგი სამხედრო-სამედიცინო კომისია გაიარა. ელექტრო-კარდიოგრამა სავსებით ნორმალურ მდგომარეობას უჩვენებდა. პრეზიდენტ კენედის დაკრძალვიდან ათი დღის შემდეგ მან ერთდღიანი შვებულება აიღო. სადილობისას მაგიდასთან მჯდარი უეცრად გადაიქცა და იქვე განუტევა სული. გულმა ვერ გაუძლო. ორი წლის შემდეგ უცნაურად გარდაცვლილ ადამიანთა სია ორი სახელით შეივსო. ოსვალდის დიასახლისი ერლინა რობერტსი უეცრად გარდაიცვალა, ხოლო კენედიზე თავდასხმის შემდეგ ოსვალდის წამყვანი ტაქსის შოფერი ჭუჩაში მომხდარი კატასტროფის შედეგად დაიღუპა.

• • •

ქალ ენედის სამარეში ჩაშვების მეორე დღესვე ჯონსონმა არტურ შლეზინგერი თავისთან ოვალურ კაბინეტში მიიწვია და დაბეჯითებით განუცხადა:

— უპირველეს ყოვლისა, მინდა მოგახსენოთ, რომ თქვენ მე გაცილებით უფრო მესაჭიროებით, ვიდრე ჯონ კენედის. იგი თვითონ იყო უდიდესი ცოდნის, უნარის, შორსმჭვრეტელობის მფლობელი. მე ამ თვისებათა გამომჟღავნებას მხოლოდ თქვენი დახმარებით თუ შევძლებ. თქვენთვის ცნობილია მოქმედების პროგრამა, მის განსახორციელებლად საჭირო ღონისძიებანი, ნათელია ჩვენი ყველა ამოცანა, კარგად იცნობთ ჩვენი ქვეყნის ისტორიულ წარსულსაც და მის პროგრესულ კურსსაც. თქვენ ნაცნობ-მეგობართა შორის არიან მწერლები და ბევრი სხვა საინტერესო პროფესიის ადამიანები. მე მივიღე თქვენი წერილი გადადგომის თაობაზე, რასაც კეთილშობილ ჟესტად ვაფასებ, მაგრამ არ შემიძლია თქვენი გადადგომის რეალურ ფაქტად გადაქცევას დასტურით ვუპასუხო.

შლეზინგერი ჯონსონს შეეპასუხა: — ჩემი აზრით, ყოველ პრეზიდენტს უახლოეს თანამშრომლებად თავისი ადამიანები უნდა ჰყავდესო.

მე თქვენ სწორედ ასეთ ადამიანად გთვლითო, — უპასუხა ჯონსონმა. დღემდე ჩემთან მომუშავე ხალხით უკმაყოფილო სულაც არა ვარ, — განაგრძობდა პრეზიდენტი, — მაგრამ ისინი უფრო მდარე კლასისანი არიან, ვიდრე თქვენ ან თეთრი სახლის სხვა თანამშრომელი. მე, რა თქმა უნდა, შევიყვან ჩემს სამ-ოთხ თანაშემწეს თეთრი სახლის აპარატში, სხვა დანარჩენი კი თავის ადგილზე უნდა დარჩეს.

გთხოვთ, ერთი წელი მაინც იმუშაოთ ჩემთან, — დასძინა მან ბოლოს. ჯონსონი დარწმუნებული იყო, რომ ამ დროისათვის შეძლებდა მათი ლოიალობის მოპოვებას.

საკუთარ კაბინეტში დაბრუნებულმა შლეზინგერმა სიტყვასიტყვით ჩაიწერა მთელი ეს საუბარი და თავის მხრივაც დასძინა:

„იგი ლაპარაკობდა უბრალოდ, ღირსეულად და აშკარა რწმენით. ცოტა არ იყოს, დავიბენი, არ ვიცი, როგორ მოვიქცე. დარ-

წმენებული-ვარ, ჩემი აქ დარჩენა არა ღირს, მაგრამ იმასაც მივ-ხვდი, რომ წასვლაც არც ისე იოლი საქმე იქნება, როგორც მე-გონა".

შლიზენგერის ინტუიცია გამართლდა: ჯონსონისა და კენე-დის ხალხის კავშირი დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა. ჯონსონი და-მოუკიდებელი უნდა გამხდარიყო. ამავე დროს, არ შეიძლებოდა საკადრისად არ შეფასებულიყო ახალი პრეზიდენტის ინსტინქტის გრძნობაც. როგორი ქება-დიდების წერილებიც უნდა ებეჭ-დათ მეგობრულად განწყობილ გაზეთებს, ფაქტი ფაქტად რჩებო-და: იგი სახელმწიფოს ნამდვილ ხელმძღვანელად მხოლოდ მას შემდეგ გახდებოდა, როცა ამერიკელი ხალხი მას პრეზიდენტის პოსტზე აირჩევდა. ამ დრომდე კი მაქსიმალურად უნდა გამოეყე-ნებინა სწორედ ის ამბავი, რომ სამი წლის უკან თვითონ კენედიმ აირჩია იგი ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატად. თანაც ამერიკელები-სათვის ისეთი შთაბეჭდილება უნდა გაეჩინა, რომ თითქოს გარ-დაცვლილი პრეზიდენტის უახლოესი თანამოსაქმენი კენედის შემ-დეგ ყოველთვის მას თვლიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ნიჭიერ მოღვაწედ.

დამთავრდა ჯონსონის პრეზიდენტის პოსტზე ყოფნის მეორე კვირაც, და აი, პრეზიდენტმა იუსტიციის მინისტრი რობერტ კე-ნედი თავისთან სასაუბროდ მიიწვია. ჯონსონმა, ყოველგვარი შე-სავლის გარეშე, კენედის კაბინეტში მის გადმოსვლასთან დაკავ-შირებულ შაბათ დილით წარმოქმნილ გაუგებრობასა და პარასკევს დალასიდან პრეზიდენტის თვითმფრინავის გამოფრენის დაგვი-ანებაზე დაიწყო ლაპარაკი. ჯონსონმა კვლავ გაიმეორა — თეთრ სახლში რასკისა და მაკნამარას დაჟინებული თხოვნის შედეგად გად-მოვედიო და ეს ჰეშმარიტად ასეც იყო. ის მტკიცება კი „თვით-მფრინავი დალასიდან მაშინვე გამოფრინდა, როგორც კი ჟაკლინი მოვიდაო", რა თქმა უნდა, სიმართლეს არ შეეფერებოდა.

— თქვენ ირგვლივ მყოფი ადამიანები, — განაგრძობდა იგი, — ბევრს ყბედობენ ჩემზე. პირადად მე, ნებას არ მივცემ ჩემს ახ-ლობლებს ჭორები ავრცელონ თქვენს კეთილისმყოფლებზე. ძალიან გთხოვთ, ნურც თქვენი ხალხი იჭორავებს ჩემზე.

რობერტ კენედის არა სურდა პრეზიდენტთან დავა და კამათი. მათი ურთიერთობა ჩიხში მოემწყვდა. ეს საუბარი სულ რაღაც

ხუთ წუთს გაგრძელდა. თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე ოფიციალურ შეხვედრას და საშობაო მოსალოცი დეპეშების გაგზავნ-გამოგზავნას, ეს იყო მათი ერთადერთი საუბარი მთელი იმ ზამთრის მანძილზე.

პრეზიდენტის თანაშემწე პიერ სელინჯერმა დეკემბრის დასაწყისში განაცხადა, რომ ტედ სორენსენი, კენ ო'დონელი, ლეონ ო'ბრაიენი და თვითონ პიერ სელინჯერი თავიანთ პოსტებზე დარჩებოდნენ მანამ, ვიდრე მათი იქ ყოფნა საჭირო იქნებოდა. მაგრამ ეს განცხადება ცარიელი ჟესტი იყო. თეთრი სახლის დასავლეთი ფრთის არც ერთ თანამშრომელს არ უფიქრია, რომ თაფლობის თვე გახანგრძლივდებოდა. დიახ, ისინი მართალნი აღმოჩნდნენ. 1964 წლის 16 იანვარს თავისი პოსტი დატოვა სორენსენმა. ორი დღის შემდეგ თავის სამასწავლებლო მოღვაწეობას დაუბრუნდა კენედის სპეციალური თანაშემწე მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში ჯერომ ვიზნერი. შლეზინგერმაც თავისი გაიტანა და თეთრი სახლიმის მიერვე დადგენილი ვადის ფარგლებში — 29 იანვარს დატოვა. პრეზიდენტის თანაშემწე ტედ რირდონი ჯონსონს 5 თებერვალს გამოემშვიდობა. ერთი თვის თავზე თვითონ სელინჯერმა ჩამოართვა ხელი ჯონსონს და სენატში ადგილის მოპოვებისათვის დაიწყო ბრძოლა. მასთან ერთად კალიფორნიას გაემგზავრა პრეზიდენტის მეორე თანაშემწე ბეჭდვითი სიტყვის დარგში ენდი ჰეტჩერი. გადადგომა ითხოვა პრეზიდენტის ადიუტანტმა — ბრიგადის გენერალმა სამხედრო-საჰაერო ძალების ხაზით — გოდფრი მაკჰიუმ. პრეზიდენტის ადიუტანტი სამხედრო საზღვაო ძალების ხაზით ტეზ შეპარდი სამუშაოდ სამხედრო ფლოტში გადავიდა, ხოლო კენედის თანაშემწე რალფ დანგენი ჩილეში ელჩად დანიშნეს.

მიუხედავად ზემოთქმულისა, ჯონსონმა მაინც მოახერხა კენედის შედარებით ცნობილ თანამებრძოლების შრივერის, ბანდისა და „მაფიის“ ხელმძღვანელობის შენარჩუნება. შრივერისა და ირლანდიელების დახმარება ფასდაუდებელი იყო, იგი შენარჩუნებული ერთიანობის მოჩვენებითობას ქმნიდა. ტეხასიდან ვაშინგტონში გამოფრენისას კენ ო'დონელის საქციელი არავის უტოვებდა იმის ეჭვს, რომ იგი თეთრ სახლში რამდენიმე დღეზე მეტს დარჩებოდა. ჯონსონთან მისი მუშაობის გაგრძელებამ ყველას გაკ-

ვირვება გამოიწვია, მათ რიცხვში თვით პრეზიდენტისაც, თუმცა, რასაკვირველია, მას არაფერი შეუმჩნევია.

19 ივნისს საავიაციო კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდა ტედ კენედი.

მთელი საარჩევნო კამპანია ტედის სახელით მისმა მეუღლემ ჯოანმა ჩაატარა. ქალისათვის საკმარისი იყო მხოლოდ იმის ჩვენება, რომ იგი კარგად გამოიყურებოდა. იმ წელიწადს თვითონ წმინდა პატრიკსაც არ შეეძლო მასაჩუსეტსის შტატის არჩევნებში კენედის ოჯახის წევრისათვის ხელის შეშლა. რესპუბლიკელები მხოლოდ მოჩვენებითად ეწინააღმდეგებოდნენ. ტედიც, განსაცვიფრებელი უმრავლესობით ხელახლა იქნა არჩეული. სელინჯერი გააშავეს, მაგრამ სამაგიეროდ გარდაცვლილი პრეზიდენტის ორმა ძმამ კაპიტოლიუმში შექმნა ბირთვი თავისებური „მთავრობისა ემიგრაციაში“.

1964 წლის ნოემბერში გამართული პრეზიდენტის არჩევნების დროს ჯონსონმა გაიმარჯვა რესპუბლიკელთა პარტიის ყველაზე უიღბლო კანდიდატ ბარი გოლდუოტერზე. ჯონსონმა შეერთებული შტატების მთელი ისტორიის მანძილზე ამომრჩეველთა ხმების ყველაზე დიდი რაოდენობა (61,3 პროცენტი) მიიღო.

1964 წლის 3 ნოემბერს გამანადგურებელი დარტყმა განიცადა ულტრების ოცნებამ — ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება. არჩევნების შედეგები ჯონსონმა ახსნა როგორც პირადად მისდამი გამოცხადებული ნდობა. ჯონსონის პრეზიდენტობა შეგიდა სრულიად ახალ ფაზაში, ანუ, მისი ერთი თანაშემწის სიტყვით რომ ვთქვათ, დაიწყო „სრულიად ახალი მატჩი“. პირველი ტაიმი ამ მატჩისა გახლდათ საზეიმო ცერემონია, რომლის მომწყობ კომისიასაც ვაშინგტონში ქალაქ დალასის სავაჭრო პალატის წარმომადგენელი ხელმძღვანელობდა. 1964 წლის 20 იანვრისათვის დანიშნული ზეიმი წინასწარ იყო რეკლამირებული, როგორც „ტეხასის საუკეთესო სტილით“ გამართული წარმოდგენა. პარადის დევიზი გახლდათ: „მობრძანდით და დატკბით ჩვენით“ ამ მოწოდების შედეგად იმდენმა ხალხმა მოიყარა თავი, რომ საზეიმო მეჯლისზე ხალხის სიმრავლის გამო საცეკვაო ადგილიც აღარ დარჩა. გამონაკლისი მხოლოდ სახეგაბრწყინებული პრეზიდენტისათვის გააკეთეს. ჯონსონს, მართლაც, ისეთი სახე ჰქონდა, თითქოს თვითონ აპირებდა მთელ

ლამეს ფეხჩაუდგმელად ცეკვას. თუმცა სიხამდვილეში დაახლოებით ასეც გააკეთა.

ვაშინგტონში განწყობილების განსაცვიფრებელი ცვლილება იგრძნობოდა. „ორივი ლიგელი“ სწავლულების არმია იშლებოდა. მისი ფელდმარშლები თუ ჯარისკაცები სხვადასხვა დროშის ქვეშ დგებოდნენ, ან სულაც დეზერტირობდნენ. მაშინ როცა, ერთ დროს, პრეზიდენტის რეზიდენციის დასავლეთის ფრთის მუდმივმყოფელები იყვნენ. ახლა კი მხოლოდ ისტორიის კუთვნილებადღა იქცნენ. ლერი ო'ბრაიენი ფოსტისა და კავშირგაბმულობის მინისტრად დანიშნეს. კენ ო'დონელმა მასაჩუსეტსის შტატის არჩევნებში სცადა ბედი, მაგრამ დამარცხება განიცადა. მაკჯორჯ ბანდი ფორდის ფონდის პრეზიდენტი გახდა. კენედის სპეციალურ თანაშემწეთა შორის ყველაზე ბოლოს იგი წავიდა. გარდაცვლილი პრეზიდენტის ახლობელთაგან მინისტრთა კაბინეტებში მხოლოდ რობერტ მაკნამარა იყო დარჩენილი. ვიეტნამის ჩრდილის ზრდისა და მისი გასისხლფერების პროპორციულად იზრდებოდა თავდაცვის მინისტრის წონაც, ვიდრე იგი ვაშინგტონში №-2 კაცად არ იქცა ანუ ტეხასის ეარგონით რომ ვთქვათ, არ გახდა პიროვნება „ნუმერო დოს“. „ნუმერო უნო“ და „ნუმერო დოს“ ენერგიით სავსე ადამიანები იყვნენ. მაგრამ ისინი მართავდნენ ქალაქს, რომლის მცხოვრებთ ჩვეულებად ექცათ ზურგს უკან მოხედვა და წარსულის ჩრდილისათვის თვალის გასწორება. ორი საუკუნის განმავლობაში ამერიკის დედაქალაქი ცინიკურად აღიქვამდა ცვლილებებს მთავრობაში. მაგრამ ამჯერად ყველაფერი სხვაგვარად იყო.

როი ტრულის სასკოლო სახელმძღვანელოების საწყობის მეექვსე სართულის ფანჯრიდან გასროლილმა ტყვიამ უკან დაატრიალა საათის ისრები. „ახალი ზღუდეების“ ორი რაინდის გასაცილებლად ჰიკორი ჰილში გამართულ სადილზე ერთმა სტუმარმა შენიშნა:

— იცით, ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდები ვართ იმისათვის, რომ ძველ თანამებრძოლთა შეხვედრების მონაწილენი ვიყოთ.

ჟაკლინ კენედი არ დასწრებია ვაშინგტონში გამართულ ძველ თანამებრძოლთა შეხვედრას. ქმრის მკვლელობიდან არცთუ დიდი ხნის შემდეგ იგი ნიუ-იორკში გადავიდა. ჯერ დროებით ოტელ

„ჯარლაილში" დაბინავდა, შემდეგ კი თავისი დის სახლისა და ქმრის ნათესავების მახლობლად მეხუთე ავენიუზე 200 ათას დოლარად ღირებული აპარტამენტები შეიძინა.

ჟაკლინს გარს ერტყა ხელოვანთა რჩეული სამყარო, რომელსაც, თანამემამულეთა უმრავლესობის აზრით, ევროპული კულტურისაკენ ეჭირა თვალი.

შესაძლოა, მისი ნიუ-იორკში გადასვლა გარდუვალიც იყო. იგი აღმოსავლეთ სანაპიროზე გაზრდილი ქალი გახლდათ და მასთან სულიერად იყო დაკავშირებული. ცხოვრების გზაზე შორეულ ვარსკვლავებისაკენ მზირალი ახალგაზრდა მასაჩუსეტსელი სენატორი რომ არ შეხვედროდა, ჟაკლინი, ალბათ, თავის სიცოცხლეს ამ კასტის გარემოცვაში გაატარებდა.

ჟაკლინი კარგად იცნობდა ამ მხიარულ, მახვილგონიერ სამყაროს. ამ წრეში მას ჩვეულებრივ ადამიანად თვლიდნენ და არა მუზეუმის ექსპონატად.

მაგრამ ამაზე არ ფიქრობდა იგი, როცა არლინგტონის სასაფლაოზე ქმარი დაასაფლავა.

თავისი ქორწინების პირველი წლები ჟაკლინმა ჯორჯტაუნში გაატარა. აქვე აპირებდა იგი თავისი შვილების კერონლაინისა და ჯონის აღზრდას. ყოველგვარ ილუზიებს მოკლებული ჟაკლინი კარგად გრძნობდა, რომ უმამო ბავშვობა ვერასოდეს აღმოჩნდებოდა ისეთი, როგორიც იგი მამის სიცოცხლეში იქნებოდა. ქმრის ძმებსა და მეგობრებს, რა თქმა უნდა, შეეძლოთ ბავშვების ცხოვრებაზე თავიანთი მამაკაცური გავლენის მოხდენა თუ ოპტიმიზმის ჩანერგვა. ამერიკის დედაქალაქიც თავისი ისტორიული წარსულით ყველაზე შესაფერი ადგილი იყო პრეზიდენტის ქალ-ვაჟის აღსაზრდელად.

მაგრამ ვაშინგტონი მათთვის ვერ იქცა ასეთ ადგილად. მათი დედა იძულებული გახდა, სიმშვიდე სხვაგან ეძებნა.

პრეზიდენტის დაკრძალვის ცერემონიის დროს პრეზიდენტის ახლობელთაგან არავინ დაფიქრებულა, თუ რა გავლენას მოახდენდა ყოველივე ეს ქვეყნის მოსახლეობაზე. გატანჯულ ადამიანებს ამაზე ფიქრი არ შეეძლოთ. თვითონ ის ფაქტი, რომ ვაშინგტონის ქუჩებში მილიონობით ადამიანი ყურყუტებდა მოკლული პრეზიდენტის წინაშე ვალის მოსახდელად, მათთვის საკმაოდ განსაცვიფ-

რებელი აღმოჩენა იყო. გავიდა რამდენიმე კვირა, ვიდრე იმას შეიგნებდნენ, რომ 25 ნოემბერს ვაშინგტონში ჩამოსულ თითოეულ კაცზე ორმოცდაათივე შტატის ასეულობით ტელევიზორს მიჯაჭვული ადამიანი მოდიოდა. საჭირო გახდა რამდენიმე თვე, რათა ბოლომდე აღექვათ ამ ფენომალური მოვლენის მთელი მნიშვნელობა. რა თქმა უნდა, გასაგები იყო არლინგტონის სასაფლაოზე ხალხის არნახული მოზღვავება. სწორედ იმ წელს ვაშინგტონში ტურისტთა განსაკუთრებით დიდი მოჭარბება იგრძნობოდა. ნიუიორკში გაიხსნა მსოფლიო გამოფენა. ამერიკის სხვადასხვა შტატებიდან სამოგზაუროდ დაძრული ოჯახები გზად დედაქალაქში ჩამოდიოდნენ. აუცილებლად მოსანახულებელ ადგილთა სიაში №-სტრიტზე მდებარე განცალკევებული სახლიც იყო.

სახლს, სადაც ახლა პრეზიდენტის ქვრივი და ბავშვები ცხოვრობდნენ, განუწყვეტლივ ეჭვრეტდნენ ჯგუფებად თავშეყრილი ადამიანები. მოურიდებლად მისცვივდებოდნენ ხოლმე ჟაკლინის ბინიდან გამოსულ მეგობრებსა თუ ნათესავებს. ადიოდნენ მისი სახლის კიბეზე და ერთმანეთს სურათებს უღებდნენ, უზარმაზარი ტურისტული ავტობუსებით იყო სავსე იქაურობა. შეუძლებელი შეიქნა ნორმალური ცხოვრება. იძულებული ჟაკლინ კენედი თავისი ბავშვებიანად მდინარე პოტომაკის გაღმა მხარეს, ეტელ კენედის სახლის უკანა ეზოში გარბოდა ცნობისმოყვარეთა მზერის ასარიდებლად.

რა თქმა უნდა, ჟაკლინს ახარებდა მოწამებრივი სიკვდილით გარდაცვლილი მისი მეუღლის ხსოვნის ყოველგვარი გამოვლინება. სწორედ ამიტომ გამოიჩინა ისეთი თავდაჭერა დალასში მომხდარი უბედურებიდან მთელი სამი დღე-ღამის განმავლობაში. მაგრამ მას არასოდეს უფიქრია, რომ თავისი ასეთი საქციელით თვითონაც მილიონების გულებს შემორჩებოდა. ოცდათოთხმეტი წლის ქალი ეროვნულ ინსტიტუტად იქცა. არჩიბალდ მაკლიშმა შეძლო ორიოდ სიტყვით მისი ახლანდელი მდგომარეობის აღწერა. ახალი კულტურული ცენტრის გახსნასთან დაკავშირებით მას პატარა სიტყვის დაწერა ხთხოვეს, რის მაგივრადაც ჟაკლინ კენედისადმი მიძღვნილი პეანი გამოგზავნა. იგი ხოტბას ასხამდა ჟაკლინს: „შერთებული შტატების მეოცდათხუთმეტე პრეზიდენტის მეუღლე ჟაკლინ კენედი ქმართან ერთად იყოფდა მისი გრძნებითა

და ცეცხლით სავსე ცხოვრების სიხარულსა თუ ამ ცხოვრების დასასრულის მძიმე წუთებს. სწორედ მან, ამერიკელი ხალხისათვის უკანასკნელი ასი წლის მანძილზე ყველაზე საშინელი ტრაგედია სულიერი სიძლიერის ნათელ დემონსტრაციად აქცია".

ყველა ცდილობდა მისდამი მადლიერების გამოხატვას. ჟაკლინის კანდიდატურა წამოყენებული იყო აშშ-ის ელჩის თანამდებობაზე საფრანგეთში. იგი აირჩიეს ნაციონალურ-გეოგრაფიული საზოგადოების მუდმივ წევრად. როგორც იტყვიან, აავსეს დროშებითა და ალმებით. მარტო ერთმა ჯონ მაკორმაკმა იმ ღირსახსოვარ ნოემბრის დღეებში დედაქალაქის თავზე მოფრიალე ექვსი დროშა უსახსოვრა. თვით სენატმა ჟაკლინის საქციელით აღფრთოვანების გამომხატველი სპეციალური რეზოლუცია მიიღო. იგი იყო პირველი ქვრივი პრეზიდენტისა, ვისაც საიდუმლო სამსახურის დაცვა დაენიშნა. ვინაიდან ჟაკლინის სახელზე ყოველდღიურად ასობით წერილი მოდიოდა, მთავრობამ დამხმარედ ორი მდივანი ქალი გამოუყო. თავაუღებლივ შრომობდნენ მდივანი ქალები, ცდილობდნენ, არც ერთი წერილი უპასუხოდ არ დარჩენილიყო. საოცრად გაიბერა „განსაკუთრებით მგრძნობიარე" წერილთათვის განკუთვნილი საქაღალდე. წერილთა უმრავლესობა კი სწორედ ამდაგვარი იყო. თუმცა ზოგიერთი წერილი ამ საქაღალდეში აშკარად ვერ ჩაიდებოდა. დალასიდან მოსული ერთ-ერთი წერილი ასეთი შინაარსისა გახლდათ: ტეხასის ვაჭრობის დაძაბუნებით შეშფოთებულ ბიზნესმენთა კომიტეტი სთხოვდა ჟაკლინს ხელი მოეწერა განცხადებებისათვის, რომელშიც ნაქებ-ნადიდები იქნებოდა ტეხასური სტუმართმოყვარეობა. ეს წერილი ჟაკლინმა რობერტ კენედის გადასცა.

ყველაფერი, რასაც კი ჟაკლინ კენედი გააკეთებდა, უმალვე ტრადიციის სახეს იღებდა. წმინდა პატრიკის დღეს ჟაკლინმა მეუღლის საფლავს სამყურას პატარა ბუჩქი დაადო. სასაფლაოს ადმინისტრაციამ ეს ბუჩქი კენედის საფლავის ბორცვზე დარგო. ჰოდა აი, წამოვიდა თხოვნით სავსე წერილების ნიაღვარი — როგორმე ჩვენც გამოგვიგზავნეთ საფლავზე დასარგავად მასეთივე ღივებიო.

თავისი გარდაცვლილი მეუღლის დაბადების ორმოცდამეშვიდე წლის თავზე ჟაკლინ კენედი ბავშვებიანად წმინდა მათეს ეკლესიაში წირვას დაესწრო. ეს იყო 25 ნოემბრის ამბების გამეორება.

გუნდი სამხედრო-საზღვაო ჰიმნს მღეროდა. გარეთ ტურისტთა ბრბოებმა ჩაჭედეს როუ აილენდ-ავენიუ.

ჟაკლინმა თვით აფთიაქშიაც კი ვერ შეიყვანა თავისი ქალიშვილი, რადგან იქ გამოფენილ ილუსტრირებულ ჟურნალების გარეკანებზე მიუტევებლად უხამსი სურათების ქვეშ მისი სურათები იყო დაბეჭდილი: „მამაკაცი ჯეკის ცხოვრებაში“ (მკითხველი ჟურნალის გახსნისთანავე მიხვდებოდა, რომ ეს ყველაფერი ჯონ ფ. კენედის ეხებოდა), „მამაკაცი, რომელიც ჯეკიმ სხვებს არჩია“ (როგორც გამოირკვა, ეს თვითონ იმ წიგნის ავტორი იყო), „მეტისმეტად ხშირად ხომ არ ხვდება ჯეკი ბობის?“ „ლედი ბიორდიმ უნებურად შეურაცხყო ჯეკი“. „ჯეკის ცხოვრების საიდუმლო“ და ასე შემდეგ, დაუსრულებლად თვიდან თვემდე. სელინჯერი ყელგამოწვდილი ეხვეწებოდა ამ მაკულატურის გამომცემლებს, როგორმე დაეცხროთ თავიანთი მოჭარბებული გზნება. მაგრამ წიგნების მაღაზიებისა და გაზეთების ჯიხურების თაროები კვლავ იზნიქებოდა საჩქაროდ გამოშვებული ასეთი პროდუქციით. მათ კარგად იცოდნენ, რომ ჯეკი არ იჩივლებდა, რადგან სასამართლო პროცესი რეკლამების ახალ ნიაღვარს წარმოქმნიდა. დიახ, ყველაფერი ეს ჯეკის გულს ურევდა. ბევრი გაქნილი გამომცემელი მართლაც რომ შეუფერებლად იქცეოდა. ჯეკისთან დაკავშირებული ყოველი ცნობა ნამდვილი სენსაციის სახეს იღებდა.

№ სტრიტზე განცალკევებულ სახლში ცხოვრებისას ჟაკლინმა განსაკუთრებული სიმწვავით იგრძნო თავისი უბედურების მთელი სიღრმე. მოსვენებას უკარგავდა თავსდახვეული მწარე ფიქრები, სიცოცხლეს უმწარებდა ათასგვარი „რ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა“. რ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა, იმ საბედისწერო დღეს დახურული მანქანა რომ დაეჯინა, რ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა, სწრაფად მარჯვნივ რომ მობრუნებულიყო, რ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა საიდუმლო დაცვას უკან საფეხურზე ერთის მაგივრად ორი აგენტი დაეყენებია... რ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა... რ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა.. რ ა ი ქ ნ ე ბ ო დ ა... თუმცა ამ კითხვებზე თავის მტვრევა, ახლა სრულიად უნაყოფო რამ იყო. არადა მტანჯველი ფიქრებისათვის თავი ვერაფრით დაეღწია. საღამოობით თვლემდა. ღამით კი თვალგახელილი იწვა და ისევ და ისევ თავის მწუხარებას უტრიალებდა. ქალი ფიქრობდა ლი ოსვალდზე. მისი აზრით, იგი შეთქმულების მხოლოდ ერთ-ერთი მო-

ნაწილე იყო. ასეთ შემთხვევაში ტრაგედიას გარდუვალობის ძალა ენიჭებოდა და შეეძლო თავი დაერწმუნებინა, რომ შეთქმულნი ელმსტრიტზე აცდენილ სასიკვდილო ტყვიას, სულ ერთია სადმე მაინც დაადევნებდნენ. ყველაზე მწარე და გულისმომკვლელი იმის გაფიქრება იყო, რომ სულ ერთი-ორი დუიმის სხვაობას ან ერთი-ორი წამის დაყოვნებას შეეძლო მთელი ამ ისტორიის შეცვლა.

„მე უნდა მცოდნოდა, რომ ძალიან ბევრი მსურდა, როცა მასთან ერთად დაბერებაზე ვოცნებობდი, როცა მასთან ერთად ვაპირებდი ჩვენი შვილების დაზრდის ცქერას..."

ჟაკლინი გულთბილად უხვდებოდა თავისი მეუღლის პოლიტიკურ თანამებრძოლთ, ყოველგვარ წარმატებას უსურვებდა თავის საყვარელ მაზლებს არჩევნებში, მაგრამ თვითონ არავითარ ინტერესს აღარ ამჟღავნებდა პრეზიდენტის საარჩევნო კამპანიისადმი, რაც კანონით ჯონ კენედის საარჩევნო კამპანია უნდა ყოფილიყო. ჟაკლინი მანჰეტენში ახალჩამოსახლებული იყო და ხმას ნიუიორკში ვერ მისცემდა. იგი კვლავინდებურად ბოსტონის ამომრჩეველთა სიაში ირიცხებოდა. სურვილის შემთხვევაში ჟაკლინს შეეძლო 3 ნოემბერს გაფრენილიყო, ანდა ფოსტით გაეგზავნა ბიულეტენი, მაგრამ არც ერთი გააკეთა და არც მეორე. ის კი არა, პრეზიდენტ ჯონსონს მისალოცი დეპეშაც არ გაუგზავნა. იგი სამუდამოდ ჩამოშორდა პოლიტიკის სფეროს.

თავისი პირველი ნაბიჯები მან ახალგაზრდა სენატორ ჯონ კენედისთან ხელჩაკიდებით გადადგა, ახლა კი ყველაფერი დაუბრუნებლად იყო დაკარგული. ესტაფეტა მისმა ძმებმა მიიღეს. ამ დროიდან მოყოლებული გაზეთების მკითხველები ჟაკლინის სამხრეთში გამგზავრების, ადრიატიკის ზღვაზე თუ რომში ყოფნის ამბებს გებულობდნენ. მხოლოდ მყუდროებასა და სიმშვიდეს შეეძლო მისი ტკივილების განელება.

ჟაკლინ კენედიმ ეპვადაც არ იცოდა, რომ ტანსაცმელი, რაც იმ ნათელ, მზიან დღეს დალასში ეცვა, ახლა № სტრიტის №—3017 სახლის მახლობელი შენობის სხვენზე ინახებოდა. იმ ტრაგიკულ საღამოს ბეტესდეში ყოფნისას მისმა ახლობლებმა დათქვეს, რომ ამ ტანსაცმელს ჟაკლინს აღარასოდეს აჩვენებდნენ. მართლაც, ჯეკის თვალიც აღარ მოუკრავს მისთვის, თუმცა ყავისფერ მუყაოს

ერთ-ერთ მოგრძო ყუთში ჩაწყობილი მისი ეს დალასური ტუალეტი ახლა სხვენის ძელებს შორის არის ჩადგმული.

პირველ ყუთს „1953 წლის 12 სექტემბერი“ აწერია — მისი ქორწინების დღე. შიგ ეაკლინის საქორწინო ტანსაცმელია ჩაწყობილი. მეორეზე კი მსხვილი ასოებით წაუწერიათ: „ჯეკის ტანსაცმელი. 1963 წელი, 22 ნოემბერი“. ყუთში ფაქიზად არის ჩალაგებული თეთრ ტილოში გახვეული ვარდისფერი შალის კოსტიუმი, შავი ბლუზა, დაბალქუსლიანი ტუფლები და წინდები. თუ იქ როდისმე შორით მოსული შემთხვევით მნახველი ავა, ისეთი ადამიანი, ვისაც არაფერს ეტყვის ეს თარიღი, სახელი და თვით ტანსაცმელი, უთუოდ იფიქრებს, ახლა მოდიდან გასული, მაგრამ ერთ დროს შესანიშნავი ტუალეტი ინახებაო. რასაც დიასახლისი, ალბათ, სასიამოვნო ამბების მოსაგონრად ინახავსო.

მაგრამ თუ ეს დაუპატიჟებელი სტუმარი უფრო დაკვირვებით დახედავს ამ ნივთებს, გაოცება არ აცდება. თვით ბედნიერი წუთების მოსაგონარად შენახულ ტანსაცმელსაც არ აწყენდა გაწმენდა-გასუფთავება. დიახ, ეს კოსტიუმი არავის გაუწმენდია. ეაკეტის მთელი წინა ნაწილი და ქვედატანის კალთა საშინელი ლაქებით არის მოთხვრილი. ტყავის ჩანთის ზედაპირსა და ტუფლების შიგ სარჩულს რაღაც რუხი ბრკე მოსდებია: წითელი შხეფები უცნაურ ნაყშებად გადაბურულა. დროს თავისი გაუტანია: ლაქები წერტილებად ქცეულა.

ეს ტანსაცმელი სენტიმენტალური მოგონებისათვის როდი შეუნახავთ. ყოველივე ამის მნახველი ადამიანი მიხვდება, რომ მის მფლობელ, უთუოდ ახალგაზრდა და ტანკენარ ქალს რაღაც საშინელი კატასტროფა შეემთხვა. იქნებ, იმასაც ჩაუფიქრდეს — გადარჩა კია? ან სულაც საკუთარ თავს ჰკითხოს: ნეტა ვინ იყო დამნაშავე?

ს ა რ ჩ ე ვ ი

პ რ ო ლ ო გ ი

ტეხასში გამგზავრების წინადღე 5

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა წ ი ლ ი

სან-ანტონიო, ჰიუსტონი, ფორტ-უორტი 75
პრეზიდენტის ავტომანქანა SS100X 139
ტრაგედია და პანიკა 200
ლინდონ ბეინს ჯონსონი 274
ვაშინგტონში დაბრუნების წინ 352

მ ე ო თ ხ ე ნ ა წ ი ლ ი

უკან ენდრიუსისაკენ 406
ჟაკლინ კენედი 444
ახალი პრეზიდენტის პირველი დღე 475
კვირა დღის ამბები 519
კაპიტოლიუმიდან არლინგტონამდე 357

ე პ ი ლ ო გ ი

ლეგენდა და სინამდვილე 589